ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ეროვნული პრობლემა ქართულ მწერლობაში (1917-1921 წლები)

შპს „გამომცემლობა სამშობლო“
2023

რედაქტორი: პროფესორი რევაზ მიშველაძე

რეცენზენტები: პროფესორი სოსო სიგუა
პროფესორი ნესტან კუტივაძე

ISBN 978-9941-9865-0-5

შინაარსი

შესავალი ---------- 7

ეროვნული საკითხი მეოცე საუკუნის პირველ ოცწლეულში
მოღვაწე ქართველ პოლიტიკოსთა ნააზრევში ---------- 13

ა) იოსებ სტალინი ---------- 14

ბ) ნოე ჟორდანია ---------- 40

გ) ფილიპე მახარაძე ---------- 54

გარესამყაროსთან ურთიერთობის პრობლემა ---------- 80

ქართულ-ოსმალური საომარი კონფლიქტი
და ქართველი მწერლები ---------- 117

ნიკო ნიკოლაძის ეროვნული მრწამსის ევოლუცია ---------- 137

გიორგი შარვაშიძე ---------- 159

ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი და საქართველო --------- 167

დავით კლდიაშვილი ---------- 186

შიო არაგვისპირელი ---------- 200

ია ეკალაძე (იაკობ ცინცაძე) ---------- 204

მემედ აბაშიძე ---------- 215

შალვა დადიანი ---------- 246

კონსტანტინე ოდიშარია (მარტვილელი) ---------- 266

იოსებ იმედაშვილი ---------- 301

კოტე მაყაშვილი ---------- 316

ვასილ ბარნოვი ---------- 325

მიხეილ ჯავახიშვილი ---------- 340

ნიკო ლორთქიფანიძე ---------- 355

გრიგოლ რობაქიძე ---------- 378

ალექსანდრე აბაშელი ---------- 398

გიორგი ქუჩიშვილი ---------- 406

შალვა ამირეჯიბი ---------- 417

გერონტი ქიქოძე ---------- 443

იოსებ გრიშაშვილი ---------- 459

ვლადიმერ ემუხვარი ---------- 470

გალაკტიონ ტაბიძე ---------- 490

პაოლო იაშვილი ---------- 510

კონსტანტინე გამსახურდია ---------- 527

პოლიკარპე კაკაბაძე ---------- 547

პავლე ინგოროყვა ---------- 553

ტიციან ტაბიძე ---------- 568

ნიკოლო მიწიშვილის „თებერვალი,“ როგორც
საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის
ამსახველი მხატვრულ-დოკუმენტური ნაწარმოები ---------- 584

ტერენტი გრანელი ---------- 594

გიორგი ლეონიძე ---------- 610

მარო მაყაშვილი ---------- 616

სტამბოლის ქართული სავანის სტამბა-გამომცემლობის
ქართული გამოცემანი 1917-1921 წლებში ---------- 628

ქართული წიგნის სტამბოლელი გამომცემელნი და საქართველოს
სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.
პეტრე სურგულაძის წიგნები ---------- 634

სტამბოლის ქართული სავანის მიერ გამოცემული
თარგმნილი წიგნები:

ა) ევგენი დალეჯიო დ'ალესიო –
„ქართველები კონსტანტინეპოლში“ ---------- 642

ბ) რემონ ჟანენი – "ქართველები იერუსალიმში" -------- 648

ბოლოთქმა ---------- 653

ბიბლიოგრაფია ---------- 655

რეზიუმე ინგლისურ ენაზე ---------- 665

ავთანდილ ნიკოლეიშვილი - ბიოგრაფიული მონაცემები ------ 669

შესავალი

მეოცე საუკუნეში მოღვაწე ქართველ მწერალთა ეროვნული მრწამსის ობიექტურად გასააზრებლად განსაკუთრებული ყურადღება იმ დამოკიდებულებასაც უნდა მივაქციოთ, რომელსაც ისინი ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვან მოვლენებთან დაკავშირებით ავლენდნენ უშუალოდ შესაბამის პერიოდში დაწერილი თავიანთი ნაწარმოებებით. ამ მოსაზრებას არსებითად განაპირობებს ის ფაქტი, რომ ეროვნული პრობლემის გააზრება მათი უდიდესი ნაწილის შემოქმედებაში 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციისა და საბჭოთა კავშირად სახელდებული რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მისი მოქცევის შედეგად დამკვიდრებული იდეოლოგიური პრინციპებით იმდენად აღმოჩნდა დაღდასმული, რომ რადიკალურად განსხვავდება მათი ნამდვილი ეროვნული მრწამსისაგან.

სწორედ ამ ტრაგიკული მოვლენის სამწუხარო შედეგს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ამ თემაზე მათ მიერ საბჭოთა პერიოდში შექმნილი მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტების საგულისხმო ნაწილი საბჭოთა იდეოლოგიის მარწუხებით იყო შებოჭილი და ნაკლებად გამოხატავდა მათი ავტორების ნამდვილ ეროვნულ თვალთახედვას.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას პირველ ყოვლისა ის ტექსტები იძენს, რომელთა მეშვეობითაც თავის ნამდვილ ეროვნულ თვალთახედვას ბევრი მათგანი შენიღბულად, ალეგორიული ფორმით, გამოხატავდა. აღნიშნული მიმართულებით კიდევ უფრო მნიშვნელოვანია მათ არქივებში დაცული ის ნაწარმოებები და სხვადასხვა სახის ჩანაწერები, რომელთა გამოქვეყნებაც მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლისა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

წინამდებარე ნაშრომის დაწერის უმთავრესი მიზანია, მკითხველს ამჯერად ის დამოკიდებულება დავანახოთ სათანადოდ არგუმენტებული ფორმით, რომელსაც თავიანთი მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტებით გამოხატავდნენ ქართველი მწერლები რუსეთის იმპერიაში 1917 წლის თებერვალში მომხდარი რევოლუციისა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკ-

იდებლობის აღდგენის დროიდან მოყოლებული 1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის ჩათვლით.

მათ მიერ აღნიშნულ თემაზე დაწერილი ნაწარმოებების შექმნის დროს ესოდენი სიმკვეთრით იმიტომაც ვუსვამ ხაზს, რომ ხსენებული ისტორიული მოვლენისადმი საბჭოთა ხელისუფლების მესვეურთა მკვეთრად ნეგატიურმა დამოკიდებულებამ იმხანად მოღვაწე მწერალთა შემოქმედებით პოზიციაზე იმდენად მძლავრი და ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა, რომ აღნიშნული მოვლენა ან საერთოდ დარჩა ყურადღების მიღმა, ანდა საბჭოთა იდეოლოგიით დაღდასმული სახით იქნა შეფასებული.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო პერიოდში აზვირთებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, რასაც შედეგად 1991 წელს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მოჰყვა, ზემოთ აღნიშნული ისტორიული მოვლენებისადმი დამოკიდებულების რადიკალურმა შეცვლამ, ბუნებრივია, იმხანად მოღვაწე ჩვენი მწერლების შემოქმედებაზეც მოახდინა არსებითი ზეგავლენა და იმჟამინდელი პროცესები უკვე დიამეტრალურად განსხვავებული თვალთახედვით იქნა დანახული და შეფასებული.

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ნანატრი დროის დადგომა არსებითად აღმოჩნდა დაკავშირებული რუსეთში 1917 წლის თებერვალში მომხდარ რევოლუციასთან. იმხანად მოღვაწე ქართველმა მწერლებმა ეს მოვლენა მისი მოხდენისთანავე რომ შეაფასეს სწორედ ამ თვალთახედვით, ეს თვალნათლივ ჩანს იმხანად გამოქვეყნებული მათი მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტებით.

მაგალითად, ამ ისტორიული მოვლენის მოხდენიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 1917 წლის 5 მარტს, გაზეთ „სამშობლოში“ გამოქვეყნებულ წერილში ნიკო ლორთქიფანიძე აღფრთოვანებას გამოხატავდა იმის გამო, რომ ხსენებულმა რევოლუციამ ქართველ ხალხს კიდევ უფრო მეტად განუმტკიცა ეროვნული თავისუფლებისაკენ სწრაფვის სულისკვეთება. ამ მოვლენით აღფრთოვანებული მწერალი თანამემამულეებს მოუწოდებდა, გონივრულად გამოეყენებინათ ეს ხელსაყრელი დრო და ისე მოქცეულიყვნენ, როგორც „უფლება-მოსილ მოქალაქეს შეჰფეროდა და არა მოსასვენებლად ბორკილებისაგან დროებით განთავისუფლებულ პატიმარს.“

ნ. ლორთქიფანიძე გამონაკლისი არ ყოფილა და მსგავსი სულისკვეთების გამომხატველი მხატვრულ-პუბლიცისტური ტექსტები მრავლად გამოქვეყნდა იმდროინდელ ქართულ პრესაში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა იმავე წლის 13 მარტს დაწერილი გალაკტიონის ცნობილი ლექსი „დროშები ჩქარა.“

1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შედეგად რუსეთის იმპერიაში განვითარებულმა მოვლენებმა ქართველი საზოგადოების უდიდეს ნაწილში რეალურად გააჩინა მოლოდინი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა. იმის ნათელსაყოფად, ეს მოლოდინი იმდროინდელი ქართული მწერლობისთვისაც რომ იქცა შემოქმედებითი მიზანსწრაფვის უმთავრეს მიმართულებად, აქ 1917 წლის 15 ოქტომბერს „ქართველ ხელოვან მწერალთა“ პირველ ყრილობაზე მიღებული მოწოდებიდან ციტირებული ეს ფრაგმენტიც მინდა დავიმოწმო:

„ისე არასოდეს შემოღამებულა, როგორც რუსთა ბატონობის დროს. შენი ტაძრები ჩამოინგრა, საუცხოო ციხე-დარბაზები განადგურდა... ბექა ოპიზრისა და მისებრ მაღალნიჭიერ ხელოვანთა მიერ ნაჭედი განძეულობანი გაიბნა და წარტაცებულ იქნა... სიმღერა და ცეკვა გადაგვარდა. თვით ენაც, წმინდა და ფაქიზი, შეირყვნა და მწერლობამაც იწყო აზროვნება სხვისებრი... დაიკარგა თავისთავადობა, ხელოვნებაში მშვენიერების ღმერთის ნაცვლად მოძალადე დეზებიანი ვინმე წამოჯდა მაღალ კვარცხლბეკებზე. შენ სულიერ მონად გახდი, რადგანაც ჩრდილოელის ქუსლდალურსმნული ტლანქი წაღა მოხვდა შენს ახოვან მკერდს, წაგაქცია და საკორტნავად თვით-მპყრობელობის ორთავა არწივიც მოგენთო. ეხლა ძლივს ასრულდა თვით რუსი ხალხის საუკეთესო ნაწილის სურვილი, თვითმპყრობელობა დაემხო და შენც მოგშორდა ის ორთავა არწივი... ყოველივე ის, რითაც ამაყობდი შენს წარსულში, რაც სამუდამოდ ამართლებს მსოფლიოს წინაშე შენს სახელს, გავალებს, დღესვე გადასწყვიტო ბედი შენი მომავლისა. ისტორიის შეუწყვეტელმა ტანჯვამ ვერ ჩაჰკლა შენი გმირული სული, რომელსაც არასოდეს სჭირდებოდა გამოფხიზლება ისე, როგორც დღეს. ჩრდილოეთის ნისლი უნდა ჩამოსცილდეს შენი ქვეყნის მზეს და უნდა იგრძნო განახლებული ბედნიერება. სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა მოგმართავს შენ, ქართველო ერო, და მოგიწოდებს, იხსნა შენი

თავი ტყვეობისგან, გააცოცხლო შენი ენა, აღადგინო შენი უფლება, რაინდობა და კეთილშობილი სიამაყე.“

1918 წლის 26 მაისს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელის მოწერის შემდგომ პერიოდში ამ ისტორიული მოვლენით განპირობებული სიხარულის გამოხატვამ იმდენად დიდი მასშტაბები შეიძინა, რომ იგი იმხანად მოღვაწე მწერალთა ყველა თაობის წარმომადგენლების შემოქმედებაში გამოვლინდა მძაფრად ემოციური ფორმით. მაგალითად, ვაჟა-ფშაველას ძმამ - ბაჩანამ (1866-1928 წწ.) 1919 წელს გამოქვეყნებულ ლექსში თაობათა მიერ ნანატრი დროის დადგომით განპირობებული ემოცია შემდეგნაირად გამოხატა:

ნუ დამეკარგე, ნუგეშო, მოდი, ნუ ამკარ მხარია,
თავისუფლებას დავესწარ, ძლივს როსმე გაგვიხარია.
სხვა მზე ამოდის დაჭრილი, სულს ღაფავს იმპერიაცა
და ვაშა - თავის ბედსა სჭედს პატარა ივერიაცა!..

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით განპირობებული სიხარულის გამოხატვასთან ერთად, ქართველ მწერალთა იმდროინდელ შემოქმედებაში ჩვენს მაშინდელ ყოფაში არსებული პრობლემებიც იქცა აქტიური განხილვის საგნად. მათგან განსაკუთრებული საფრთხის მომცველ მოვლენად იყო მიჩნეული სოციალიზმის იდეოლოგია, რომლის მქადაგებელნი ეკონომიკური სიდუხჭირით შეჭირვებულ ადამიანებს მაცდუნებელი დაპირებებით უბნევდნენ თავგზას.

ამ მოვლენით განპირობებულ საშიშროებას კიდევ უფრო დიდ მასშტაბებს სძენდა ის ფაქტი, რომ სოციალისტური იდეების სამსახურში ფანატიკური ერთგულებით მდგარ რევოლუციონერთაგან განსაკუთრებული აქტიურობით ქართველი ბოლშევიკები გამოირჩეოდნენ. თავიანთი ანტიეროვნული პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, ისინი ერთმნიშვნელოვნად უჭერდნენ მხარს რუსეთის ყოფილი იმპერიის ნანგრევებზე ახალი სახელმწიფოებრივი კონგლომერატის ჩამოყალიბებას და ჩვენს ქვეყანას კვლავაც რუსეთის ნაწილად მიიჩნევდნენ.

სამშობლოს მოღალატე ამ ადამიანთა ამგვარი მზაკვრული პარტიული მიზანსწრაფვა ქართული მწერლობის არაერთმა წარმომადგენელმა იმთავითვე აქცია უმწვავესი კრიტიკის საგნად. მაგალითად, ვახტანგ კოტეტიშვილი 1920 წელს გაზეთ „სახალხო საქმის“ 1 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში შეშფოთებით

აუწყებდა საზოგადოებას, რომ „რუსეთზე მეოცნებე კომუნისტები საქართველოს აღსავლის კართან იდგნენ," რუსეთიდან ჩვენი ქვეყნის გამოყოფას ვერ ურიგდებოდნენ და „სადენიკინო თუ სალენინო რუსეთთან ერთად" ჩვენს სამშობლოსაც „იღებდნენ მიზანში".

რუსი კომუნისტების იმპერიული მიზნის ფარდაახდილი სახით წარმოსაჩენად ვ. კოტეტიშვილი მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას უპირველეს ყოვლისა იმ გარემოებას მიაპყრობდა, რომ „მოსკოვის გათამამებული ბოლშევიკები რევოლუციის დიდ პრინციპს ძველ იმპერიალისტურ ზრახვათა" შესანიღბად იყენებდნენ და ღრმად იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ „სოციალიზმის ატლასით დარახტული რაშით რუსულ იმპერიალიზმს ყველგან შეაჭენებდნენ" (კოტეტიშვილი, 1920).

ვ. კოტეტიშვილი გამონაკლისი არ ყოფილა და ამგვარი ანტიბოლშევიკური თვალთახედვა იმხანად მოღვაწე არაერთი ქართველი მწერლის შემოქმედებაში გამოვლინდა საკმაოდ მძაფრი ფორმით. მაგალითად, საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის 1920 წლის 7 მაისს ოფიციალურად გაფორმებული იმ ხელშეკრულების დადების წინა დღეს, რომლითაც რუსეთი დოკუმენტური ფორმით აღიარებდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, გაზეთ „სახალხო საქმის" ფურცლებზე გამოქვეყნებულ წერილში - „რას მოგვიტანენ ბოლშევიკები" სამსონ ფირცხალავა შეშფოთებით საუბრობდა იმ საფრთხეზე, რომელიც სწორედ ამ აგრესორი სახელმწიფოსაგან მოელოდა ჩვენს ქვეყანას.

ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული პუბლიკაციიდან: „თავიდანვე დაეტყოთ ბოლშევიკებს, რომ თავგამოდებით ცდილობენ ძველი რუსეთის სახელმწიფოებრივი საზღვრების აღდგენას და თუმცა სიტყვით გამოაცხადეს ეროვნული პიროვნების ხელშეუხებლობა, მაგრამ საქმით ყველგან გადათელეს ეროვნება... ახლაც რომ ამიერკავკასიაში შემოიჭრნენ რუსი ბოლშევიკები და სისხლიან ოსმალეთს უკავშირდებიან, იგივე მიზანია მათი ხელმძღვანელი - ყველა განთავისუფლებული ერის დამორჩილება და ძველი რუსეთის საზღვრების აღდგენა... სახე შეიცვალა, მაგრამ გული იგივეა. სოციალისტურ ქერქში გამოწყობილი იმპერიალიზმი ებრძვის ბურჟუაზიულ იმპერიალიზმს. ერთსაც და მეორესაც უნდა პატარა ერების დამორჩილება და მოსპობა. ორივე საშიშია, მაგრამ

უფრო საშიშია ის, რომელიც სოციალისტურად მოკაზმულია, ვინაიდან მისი სიტყვა უფრო შემპარავია და მაცდური“.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ქართველ მწერალთა მიერ 1917-1921 წლებში დაწერილ მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებზე დაყრდნობით მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეუქმნას მათი ავტორების ნამდვილ ეროვნულ თვალთახედვასა და იმდროინდელი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოვლენებისადმი დამოკიდებულებაზე. იქიდან გამომდინარე, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაკანონებულ იდეოლოგიურ შეზღუდვათა გამო ხსენებული ტექსტების გარკვეული ნაწილი მათი ავტორების მიერ საბჭოთა პერიოდში გამოცემულ წიგნებში ან აღარ გამოქვეყნებულა, ანდა კორექტირებული სახით იყო დაბეჭდილი, მათი გარკვეული ნაწილი მიზანმიმართულად იქნა მოძიებული როგორც მაშინდელი პრესიდან, ისე მათი ავტორების არქივებიდან.

ეროვნული საკითხი მეოცე საუკუნის პირველ ოცწლეულში მოღვაწე ქართველ პოლიტიკოსთა ნააზრევში

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და სუვერენულ სახელმწიფოდ არსებობის ხანმოკლე ისტორია განუყოფელად აღმოჩნდა დაკავშირებული იმხანად მოღვაწე ქართველ პარტიულ ლიდერთა პოლიტიკურ მოღვაწეობასთან. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება პირველ ყოვლისა იმ პოლიტიკოსთა ნააზრევს მინდა მივაქციო, რომლებიც თავიანთი საქმიანობის განმსაზღვრელ უმთავრეს საასპარეზო სივრცედ არა მათ ეთნიკურ სამშობლოს მიიჩნევდნენ, არამედ რუსეთს.

საკუთარი ქვეყნისაგან თავიანთი ცნობიერებითაც და ხშირ შემთხვევაში პრაქტიკული საქმიანობითაც დისტანცირებული ეს ნაქართველარი პარტაქტივისტები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, საქართველო კვლავაც რომ დარჩენილიყო რუსული სახელმწიფოებრივი სივრცის განუყოფელ ნაწილად. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ თავიანთი ამგვარი მოღალატეობრივი საქმიანობით მათ არსებითად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის პროცესში.

თუმცა ობიექტურობა მოითხოვს აქვე ისიც ითქვას, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ქართველ ლიდერთა გარკვეულმა ნაწილმა, რომელთა საქმიანობის უმთავრეს ასპარეზს რუსეთი წარმოადგენდა, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პოლიტიკური თვალთახედვა შეიცვალა და ამჯერად უკვე ქართული სახელმწიფოს სამსახურში ცადა ადგილის დამკვიდრება.

ეს მოვლენები სავსებით ბუნებრივად ახდენდა იმდროინდელი ჩვენი საზოგადოების, მათ შორის იმხანად მოღვაწე ქართველი მწერლების, ეროვნულ ცნობიერებაზეც არც თუ უმნიშვნელო ზეგავლენას.

ყოველივე ზემოთქმულზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად და წინამდებარე ნაშრომის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ქვემოთ შევეცდები არგუმენტირებულად წარმოვაჩინო რამდენიმე მათგანის ეროვნულ-პარტიული თვალთახედვა და მათი როლი იმდროინდელ მოვლენათა წარმართვის პროცესში.

ა) იოსებ სტალინი

1917-1921 წლებში საქართველოში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არსებული მდგომარეობისადმი იოსებ სტალინის დამოკიდებულებაზე საუბრის დაწყებამდე რამდენიმე სიტყვა იმ მოსაზრებებზეც მინდა ვთქვა, რომელსაც აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით გამოთქვამდა იგი თავის მანამდელ ნაშრომებში (სტალინის ეროვნულ თვალთახედვასთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხილეთ ჩემი წიგნი: ეროვნული საკითხი სტალინის ნააზრევში. ქუთაისი, 2000 წ.).

როგორც ცნობილია, 1874 წელს, გორის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, სტალინმა სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც აქტიური ურთიერთობა დაამყარა რუსეთიდან ამიერკავკასიაში გადმოსახლებულ რევოლუციონერებთან. 1898 წელს ის უკვე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი გახდა და ამ დროიდან მოყოლებული, თავისი ცხოვრების უმთავრეს მიზნად მარქსისტული რევოლუციური იდეებისადმი უღალატო სამსახური დაისახა.

სოციალ-დემოკრატიული იდეებით მის ამგვარ დაინტერესებას ყრმა სტალინის ცხოვრებაში წინ უძღოდა პოეზიით მისი გატაცების ხანმოკლე პერიოდი. კერძოდ, 1895-1896 წლებში ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამომავალ „ივერიასა“ და გაზეთ გაზეთ „კვალში“ სოსელოსა და ი. ჯ-შვილის ხელმოწერებით მან რამდენიმე ლექსიც გამოაქვეყნა, რომელთაც იმდროინდელი ლიტერატურული საზოგადოების მოწონება დაიმსახურეს. როგორც ამ ლექსებითაც თვალნათლივ გამოჩნდა, მისი იმდროინდელი ცნობიერება უპირველეს ყოვლისა ქართველ „სამოციანელთა“ პატრიოტული იდეებით იყო აღბეჭდილი. სტალინის მაშინდელი თვალთახედვის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას სოსელოს ფსევდონიმით იმხანად გამოქვეყნებული მისი ერთ-ერთი ლექსიდან („დილა“) დამოწმებული ეს სტრიქონებიც ნათლად ადასტურებს:

> აჰყვავდი, ტურფა ქვეყანავ, ილხინე, ივერთ მხარეო,
> და შენც, ქართველო, სწავლითა სამშობლო გაახარეო!

როგორც ამ სტრიქონებითაც თვალნათლივ ჩანს, მათი ავტორის იმდროინდელი რომანტიკული იდეალი სამშობლოს გახარება იყო, მის ბედნიერ მომავალზე ფიქრი და ოცნება. ახალბედა ავტორის ეროვნულ-პატრიოტული თვალთახედვის ამგვარ შეფასებაში გადა-

ჭარბებული რომ არაფერია, ამას რაფიელ ერისთავისადმი მიძღვნილი მისი ლექსიც ადასტურებს, რომელშიც იგი რომანტიკული აღფრთოვანებით ასხამდა ხოტბას მხცოვანი პოეტის მამულიშვილურ დამსახურებას.

კერძოდ, ლექსის ავტორის შეფასებით, რ. ერისთავს პირველ ყოვლისა სწორედ ამ დამსახურებამ მოუპოვა ის საქვეყნო სიყვარული და საყოველთაო აღიარება, რამაც სავსებით ბუნებრივად გაუჩინა მას ქართველ ერში მისებრი მამულიშვილების მომრავლების მძაფრი სურვილი. მეტი სიცხადისათვის დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული პოეტური ხოტბიდან:

> როს ერის კეთილდღეობით საამოდ აღტაცებული,
> სიმთა აჟღერებდი ტკბილ ხმაზედ, ვით ზეცით მოვლინებული.
> როს დაჰგალობდი სამშობლოს, ის იყო შენი ტრფიალი,
> მისთვის გაჰქონდა შენს ჩანგსა გულის წარმტაცი წკრიალი...
> მაშინ, მგოსანო, ქართველი თურმე ციურს ძეგლს გიგებდა
> და წარსულს შრომას, ვაებას აწმყოთი გიგვირგვინებდა.
> შენმა სიტყვებმა მის გულში უკვე გაიდგა ფესვია,
> მოიმკე, წმინდა მხცოვანო, რაც სიყრმით დაგითესია.
> ნამგლად იხმარე ერისგან გრძნობით ჰაერში ძახილი:
> „ვაშა, რაფიელ! გამრავლდეს მამულში შენებრი შვილი!!!

სამწუხაროდ, პოეზიით სტალინის გატაცება მეტად ხანმოკლე გამოდგა და თავისი შემდგომი ცხოვრების უმთავრეს მიზანსწრაფვად მან რევოლუციური მოღვაწეობა დაისახა. შესაბამისად, არსებითად და რადიკალურად შეიცვალა მისი ეროვნულ-მოქალაქეობრივი მისწრაფებებიც, რის შედეგადაც ყრმა სოსელოს ოცნება „ივერთ მხარის ლხენასა“ და „ტურფა ქვეყნის აყვავებაზე“ სოციალური სამართლიანობის დამყარებისთვის ბრძოლის იდეებმა შეცვალა. ამ ბრძოლის ეპიცენტრად კი მთელი რუსეთის იმპერია იქცა და ამიერიდან უკვე სტალინად გარდაქმნილი მარქსისტი რევოლუციონერი საბოლოოდ გაემიჯნა მის ადრინდელ პატრიოტულ იდეალებს.

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს სტალინის ეროვნული თვალთახედვის ჩემეულ შეფასებაზე, შევეცდები, მოკლედ წარმოვაჩინო აღნიშნული მიმართულებით გამოთქმული მისი უმთავრესი დებულებები.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სტალინის სოციალური და პოლიტიკური მრწამსი არსებითად განსაზღვრა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფუძემდებლურმა პრინციპებმა. აქედან გამომდინარე, ეს მოვლენა სავსებით ლოგიკურად იქცა მისი ეროვნული თვალთა-

ხედვის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად. პირველ ყოვლისა სწორედ ამ გარემოების თვალნათლივ გამოვლინებას წარმოადგენს ის დამოკიდებულება, რასაც სტალინი ქართველი და საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი სხვა არარუსი ხალხების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემებისადმი იჩენდა მთელი ცხოვრების განმავლობაში.

მის პარტიულ თვალთახედვას განსაკუთრებულ მასშტაბებს ამ შემთხვევაში ის გარემოებაც სძენდა, რომ იგი ამით მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთა ანტიეროვნულ პოლიტიკას კი არ ერთგულებდა, არამედ თავად იყო ამ პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი.

თუმცა ეს ყველაფერი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს სტალინს ყოველივე ეროვნულისადმი (არარუსულისადმი) ჰქონდა მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება. რასაკვირველია, არა. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ამგვარ უკომპრომისოდ ნეგატიურ დამოკიდებულებას იგი მხოლოდ იმ მიმართულებით ავლენდა, თუ ამ მოვლენას საბჭოთა (იმავე რუსული) იმპერიის სახელმწიფოებრივი მთლიანობისთვის ძირის გამომთხრელ ფაქტორად მიიჩნევდა. სხვა შემთხვევაში კი მისი ეროვნული ნიჰილიზმი ნაკლებად მასშტაბურ გამოვლინებას იძენდა.

უფრო მეტიც, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია, სტალინის ცხოვრებაში ისეთი ეპიზოდებიც იყო, როცა მას ქართული კულტურის წარმოჩენისა და ჩვენი ეროვნული ინტერესების დაცვის საქმეში საგულისხმოდ მნიშვნელოვანი როლიც აქვს შესრულებული.

თუმცა როგორც კი ქართველ მოღვაწეთა ეროვნულ მისწრაფებებში საბჭოთა იმპერიის სახელმწიფოებრივი მთლიანობისგან ჩვენი ქვეყნის გამიჯვნის წარმომჩენ რაიმე გამოვლინებას დაინახავდა, ამ მოვლენის ძირფესვიანად ამოსაძირკვად უმკაცრეს ზომებს ატარებდა. ეს ყველაფერი კი იმის შეუვალი რწმენის შედეგს წარმოადგენდა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ საქართველოს არსებობა სტალინს არარეალურ მოვლენად მიაჩნდა და ჩვენს ქვეყანას საბჭოთა (რუსული) იმპერიული სივრცის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევდა.

როგორც სტალინის ნაწერებიდან თვალნათლივ ჩანს, მის ამგვარ თვალთახედვას პარტიული მოღვაწეობის საწყის ეტაპზევე ჩაეყარა მყარი საფუძველი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა 1904 წელს გამოქვეყნებული მისი წერილი „როგორ ესმის სოცი-

ალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი?“ ხსენებულ პუბლიკაციაში სტალინმა პირველად გამოკვეთა ნაციონალური საკითხის სოციალ-დემოკრატიული გაგების უმთავრესი არსი და ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ პროლეტარიატის გასამარჯვებლად და სოციალური სამართლიანობის დასამყარებლად ძირითადი და არსებითია არა ეროვნული, არამედ კლასობრივი მიზანსწრაფვა. ამ პრობლემის სწორედ ამგვარმა გაგებამ მიიყვანა იგი იმის აღიარებამდე, რომ „პროლეტარიატის გასამარჯვებლად საჭირო იყო ყველა მუშის შეერთება, განურჩევლად ეროვნებისა.“

ასე რომ, რევოლუციის გამარჯვების უმთავრეს პირობად სტალინმა უწინარეს ყოვლისა ნაციონალური ზღუდეების დანგრევა და რუს, ქართველ, სომეხ, პოლონელ, ებრაელ და სხვა ეროვნებათა პროლეტარების მჭიდრო შეკავშირება მიიჩნია. ეროვნული და კლასობრივი ინტერესების ამგვარი მკვეთრი გამიჯვნითა და ურთიერთდაპირისპირებით სტალინი რადიკალურად გაემიჯნა ეროვნული ერთობის მქადაგებელ ჩვენს დიდ მამულიშვილებს (ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ა. ჯორჯაძეს...), რომელთაც ქართველი ხალხის წინაშე მწვავედ მდგარ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემათა გადაწყვეტის უმთავრეს პირობად ერთმანეთისაგან კლასობრივად გათიშულ ძალთა გაერთიანება მიაჩნდათ.

მათგან განსხვავებით, სტალინი ეროვნული ერთობის ამგვარ პერსპექტივას ასეთ განზოგადებულ შეფასებას აძლევდა: „თუ ამ გზაზე სიარულს გავაგრძელებთ, ადრე თუ გვიან იძულებული ვიქნებით, დავასკვნათ, რომ „ნაციონალური“ და კიდევ სხვა „განსხვავებანი“, მაგალითად, სომეხი პროლეტარისა ისეთივეა, როგორიც სომეხი ბურჟუაზიის, რომ სომეხ პროლეტარსა და სომეხ ბურჟუას ერთნაირი ხასიათი და ზნე-ჩვეულებები აქვთ, რომ ესენი ერთ ხალხს, ერთ განუყოფელ „ნაციას“ შეადგენენ. აქედან დიდი მანძილი აღარ არის საერთო მოქმედების ნიადაგამდე, რომელზედაც უნდა შედგნენ ბურჟუები და პროლეტარები და მეგობრულად ხელი გაუწოდონ ერთმანეთს, როგორც წინაპრებმა ერთი და იმავე „ნაციისა“ (სტალინი, 1947(1): 38).

როგორც ვხედავთ, ეროვნული ერთობისა და „საერთო მოქმედების“ იმ თეორიას, რომელიც ჩვენი ერის დიდი შვილების დაუეჭვებელი რწმენით, ქვეყნის გადარჩენისა და გამარჯვების უმთავრეს საფუძველს წარმოადგენდა, სტალინმა „კლასთა ანტაგონიზმი“ დაუპირისპირა და თავისი რევოლუციური მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავ-

რეს მიზანსწრაფვად „ნაციონალური კედლების დანგრევა“ და არა მათი „გამაგრება“ მიიჩნია.

სტალინის განმარტებით, სოციალ-დემოკრატების უმთავრესი მიზანი იყო არა სოციალურად განსხვავებულ კლასთა და ძალთა გაერთიანება ერთობლივი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების ხორცშესასხმელად, არამედ „ერთა შორის ამართული ნაციონალური კედლების დანგრევა“ და ამ გზით უფრო მეტად დაახლოება „რუსეთის პროლეტარებთან.“ აქედან გამომდინარე, სტალინს პრინციპულად მიუღებელ მოვლენად მიაჩნდა პროლეტარიატის დაყოფა ეროვნული კუთვნილების ნიშნით. მისი მტკიცებით, საზოგადოების ნაციონალური ნიშნით დაყოფა-დანაწილება მათი პარტიის რევოლუციურ მიზანსწრაფვას საფუძველს გამოაცლიდა.

სტალინის ხაზგასმით, მის უმთავრეს მიზანს კი ის წარმოადგენდა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას „თავის დროშის ქვეშ თავი რომ მოეყარა არა მარტო რუსი პროლეტარებისათვის, არამედ რუსეთის ყველა ერის პროლეტარებისათვის,“ რაც შესაძლებლობას მიცემდათ, „ძირს დაეცათ მათ შორის ამართული ნაციონალური კედლები.“

თუმცა, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ობიექტურობა მოითხოვს, აქვე ისიც აღინიშნოს, რომ ხსენებული პუბლიკაციის მიხედვით, სტალინისეული თვალთახედვის წარმომჩენ ერთ-ერთ მთავარ დებულებას რუსეთში მცხოვრებ არარუს ხალხთა ეროვნული ინტერესების დაცვაც წარმოადგენდა. კერძოდ, მისი ხაზგასმით, მათი ბრძოლის მიზანი ისიც იყო, „რუსეთის ერების პროლეტარებს სრული უფლება რომ ჰქონოდათ იმ ენით სარგებლობისა, რომელზედაც უფრო თავისუფლად შეეძლებოდათ სწავლა-განათლების შეძენა... ამნაირ ენად კი ცნობილი იყო სამშობლო ენა“ (სტალინი, 1947 (1): 43).

იმისათვის, რომ რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრებ სხვადასხვა ხალხებს შეუზღუდველად გამოევლინათ თავიანთი ეროვნული ინტერესები, სტალინის აზრით, მათ ასევე თავისუფლად უნდა ესარგებლათ „ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის“ უფლებით. თუმცა რუსეთის იმპერიისგან რომელიმე მათგანის გამოყოფასა და მის მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვებაზე ხსენებულ სტატიაში არაფერია ნათქვამი.

მართალია, სტალინი ერთგან საქართველოს „ნაციონალური დამოუკიდებლობის“ მოთხოვნის მიზანშეწონილობის შესახებაც ამ-

ბობს რამდენიმე სიტყვას, მაგრამ, მისი თქმით, „საქართველოისტების“ (იგულისხმებიან ქართველი ფედერალისტების მიერ 1903-1905 წლებში პარიზში ქართულ და ფრანგულ ენებზე გამოცემული გაზეთის - „საქართველოს“ ირგვლივ შემოკრებილი ქართველი „ნაციონალისტები“) მიერ კატეგორიული ფორმით დასმულ შეკითხვაზე: „სასარგებლო იყო თუ საზარალო პროლეტარიატისათვის ნაციონალური დამოუკიდებლობა,“ „გადაჭრილი პასუხი“ არ შეიძლებოდა არსებულიყო.

ამ კითხვაზე „ასე ახირებულად „გადაჭრილი“ პასუხის მოთხოვნას სტალინმა სისულელე უწოდა და განაცხადა, რომ საკითხი იმასთან დაკავშირებით, „სასარგებლოა მათთვის თუ საზარალო ნაციონალური დამოუკიდებლობა,“ თავად ამ ერებმა უნდა გადაჭრან და გაარკვიონ. თავად სტალინმა კი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია ხსენებულ სტატიაში ამგვარად ჩამოაყალიბა: „ჩვენ ვალდებული ვართ შევეცადოთ, რომ ერთა სურვილები ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული იყოს, რომ ეს სურვილები პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარეობდეს... ამისთვის კი საჭიროა სოციალ-დემოკრატიული კრიტიკის ქარცეცხლში გავატაროთ ზოგიერთი რეაქციონული „ნაციონალური“ ზნე-ჩვეულება და დაწესებულება“ (სტალინი, 1947 (1): 51).

როგორც დამოწმებული ფრაგმენტებითაც თვალნათლივ ჩანს, სტალინი „ნაციონალური დამოუკიდებლობის“ მოთხოვნაზე უფრო მნიშვნელოვან მოვლენად „პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებიდან გამომდინარე ნამდვილი სოციალ-დემოკრატიული სურვილების“ აღსასრულებლად ბრძოლას მიიჩნევდა და საქართველოს მაგალითზე იმასაც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „სქელშუბლიანი „საქართველოისტების“ მიერ გაფეტიშებული „არავითარი ნაციონალური სული“ არ არსებობდა და „არც შეიძლებოდა არსებულიყო“ (სტალინი, 1947 (2): 52).

1904 წლიდან მოყოლებული 1913 წლამდე დაბეჭდილ თავის ნაშრომებში სტალინს ეროვნული პრობლემა განსაკუთრებული ყურადღების საგნად აღარ უქცევია. ამ წელს კი მან ამასთან დაკავშირებით ორი წერილი დაბეჭდა – „ნაციონალიზმის გზით“ (გაზ. „სოციალ-დემოკრატი,“ 1913 წ. #30) და „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ (ჟურნ. „როსვეშჩენიე,“ 1913 წ. #3-5). აღნიშნული პრობლემით სტალინის ამგვარი დაინტერესება არსებითად განაპირობეს იმხანად განვითარებულმა დიდმნიშვნელოვანმა მოვლენებმა.

პირველ სტატიას ქვესათაურად „წერილი კავკასიიდანაც“ ჰქვია და ეროვნულ პრობლემაზე მსჯელობა მასში ძირითადად კავკასიაში, უპირატესწილად კი საქართველოში, აღნიშნული თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის ავტორისეულ ანალიზს წარმოადგენს.

სტალინის განსჯის უმთავრეს საგნად ამ შემთხვევაში იმის გარკვევა იქცა, რამდენად იყო მიზანშეწონილი რუსეთის იმპერიის ამ რეგიონში ეროვნული თვითმმართველობის შემოღება. კერძოდ, მისი აზრით, მათი პარტიისთვის ამ შემთხვევაში პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა იმის გარკვევას, როგორ გამოიყენებდა ერი ამ უფლებას და „როგორ გადაწყვეტდა თავის ბედს - ცენტრალიზმის თუ სეპარატიზმის სასარგებლოდ“ (სტალინი, 1947 (2): 307).

სტალინის აზრით, ამ შემთხვევაში აუცილებელი იყო, აქტიურად ჩარეულიყვნენ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის პროცესში და „გავლენა მოეხდინათ ეროვნების ნებაზე ისეთი გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერებოდა პროლეტარიატის ინტერესებს.“

როგორც საკითხის ამგვარი დასმითაც თვალნათლივ ჩანს, ამ დასკვნის გამოტანით სტალინი ფაქტობრივად რუსეთში მცხოვრებ არარუს ხალხთა, მათ შორის ქართველთაც, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის რეალურ მოწინააღმდეგედ გამოვიდა.

თავისი პარტიული მოღვაწეობის ადრინდელ ეტაპზე იგი არათუ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აშკარა მოწინააღმდეგე იყო, არამედ კულტურულ-ნაციონალური ავტონომიისაც კი. ეს რომ ნამდვილად ასეა, ეს ზემოთ ნახსენები პუბლიკაციებიდანაც თვალნათლივ ჩანს. მაგალითად: „1906 წელს, კავკასიის საოლქო კონფერენციაზე პირველად წამოიჭრა კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის საკითხი. იგი წამოაყენა და მის გადაწყვეტას მოითხოვდა ქუთაისელთა პატარა ჯგუფი. საკითხი, როგორც მაშინ ამბობდნენ, „სამარცხვინოდ ჩაფლავდა“ იმიტომ, რომ მის წინააღმდეგ ერთნაირად მკაცრად გაილაშქრა ორივე ფრაქციამ (იგულისხმებიან ბოლშევიკები და მენშევიკები - ა. ნ.) კოსტროვისა (ნ. ჟორდანიას ფსევდონიმია - ა. ნ.) და ამ სტრიქონების დამწერის სახით. გადაწყდა, რომ ეგრედ წოდებული „კავკასიის საოლქო თვითმმართველობა“ ნაციონალური საკითხის საუკეთესო გადაწყვეტაა და ყველაზე უფრო შეეფერება ბრძოლაში გაერთიანებული კავკასიის პროლეტარიატის ინტერესებს“ (სტალინი, 1947 (2): 309).

როგორც დამოწმებული ფრაგმენტებითაც თვალნათლივ ჩანს, თავისი ამგვარი პარტიული თვალთახედვის დაფიქსირებით სტალინი კიდევ ერთხელ გამოვიდა რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი ცენტრალიზმის აქტიურად დამცველის როლში.

ეროვნულ პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხთა განსჯა-გააზრებამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა სტალინის მიერ 1913 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი.“ საკმაოდ ვრცელი მოცულობის მქონე ამ ნაშრომის გაანალიზების დროს განსაკუთრებულ ყურადღებას ამჯერად მხოლოდ იმ ეპიზოდებს მივაპყრობ, რომლებშიც წინამდებარე ნარკვევის მიზანდასახულობასთან დაკავშირებული საკითხებია განსჯის საგნად ქცეული.

მიუხედავად იმისა, რომ ერის რაობასთან დაკავშირებით ავტორის მიერ გამოთქმული ცალკეული მოსაზრებანი დღესაც მისაღებია და უსათუოდ გასათვალისწინებელი, საკუთრივ ქართველ ერთან მიმართებით დაფიქსირებულ შეხედულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი პრინციპულად მცდარია და რეალობას მოწყვეტილი. ამ გარემოებას არსებითად განაპირობებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული პრობლემა ავტორს მხოლოდ პარტიული თვალთახედვით აქვს გაანალიზებული და შეფასებული. ნათქვამისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტებს ხსენებული ოპუსიდან.

ავტორის მტკიცებით, იმისდა მიუხედავად, რომ რეფორმამდელ ხანაში (იგულისხმება ბატონყმობის გაუქმება საქართველოში) „ქართველები საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, ისინი არსებითად ერთ ერს არ შეადგენდნენ, ვინაიდან დანაწილებული იყვნენ მთელ რიგ ერთმანეთისაგან მოწყვეტილ სამთავროებად“ (სტალინი, 1947 (2): 317).

საკუთარი პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, სტალინი ეროვნულ ინტერესებთან შედარებით არსებითად მნიშვნელოვან როლს პირველ ყოვლისა კლასობრივ მისწრაფებებს ანიჭებდა და სწორედ ამ თვალთახედვით აანალიზებდა მოვლენებს. კერძოდ, „ყველა ეროვნების მუშების გაერთიანება კლასობრივ-სოციალური ინტერესების საფუძველზე“ მას იმდენად მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდა, რომ იგი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის დროს განსხვავებულ კლასთა გაერთიანებას „ინტერესთა ჰარმონიის“ საფუძველზე. ამიტომაც მიაჩნდა მას

პრინციპულად მიუღებლად ამ ბრძოლაში პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ყოველგვარი თანამოკავშირეობა.

როგორც ცნობილია, „მარქსიზმისა და ნაციონალური საკითხის“ მეშვეობით სტალინი ერთა თვითგამორკვევის უფლების აქტიურად დამცველის როლშიც მოგვევლინა სიტყვიერად. კერძოდ, მისი ხაზგასმით, მოთხოვნა იმისა, რომ ყოველ ერს თავად ჰქონდა უფლება საკუთარი ბედის განსაზღვრისა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპროგრამო დებულებას წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, არავის ჰქონდა უფლება, ძალდატანებით ჩარეულიყო მის ცხოვრებაში, დაენგრია მისი სკოლები და სხვა დაწესებულებანი, შეევიწროებინა მისი ენა და შეეკვეცა მისი ეროვნული უფლებები (სტალინი, 1947 (2): 333).

ცხადია, ყველა ეს მოთხოვნა დღესაც ყავლგაუსვლელ ჭეშმარიტებას წარმოადგენს, ისევე როგორც ავტორისეული მსჯელობა ეროვნული თვითგამორკვევის ისეთ ფორმებზე, როგორებიცაა: ავტონომია, ფედერაცია და სრული დამოუკიდებლობა. ამ ფორმათა დახასიათების დროს სტალინი არაერთგზის უსვამდა ხაზს იმ ფაქტს, რომ „ყოველი ერი სუვერენულია და თანასწორუფლებიანი,“ რომ ყოველ ერს შეუძლია თავადვე განსაზღვროს თავისი სახელმწიფოებრივი არსებობის ფორმა (სტალინი, 1947 (2): 334).

მაგრამ დღევანდელი თვალთახედვითაც სავსებით მისაღები ამ თეორიული მსჯელობის შედეგად გამოთქმულ დებულებებს პრინციპულად ეწინააღმდეგება თავად სტალინის მიერ ცალკეული ერების ცხოვრებიდან დამოწმებული მაგალითები. სახელდობრ, ნაშრომის მესამე თავში („საკითხის დაყენება“), მსჯელობს რა ერის უფლებაზე - „თავისუფლად გადაწყვიტოს თავისი ბედი,“ სტალინი ყურადღებას იმაზეც ამახვილებდა, ავტონომიური თვითმმართველობისაკენ ერის მისწრაფება არავითარ შემთხვევაში რომ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს „ერის უმრავლესობის,“ უფრო ზუსტად, პროლეტარიატის ინტერესებს.

სწორედ ამ საშიშროების თვალნათლივ გამოვლინებად მიიჩნევდა სტალინი კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას და ხსენებულ ნაშრომში არაერთგზის აღნიშნავდა მის „მავნებლობასა“ და „უვარგისობას.“ მისი ხაზგასმით, ავტონომიის ეს ფორმა არა თუ წინ ეწევა ერის კულტურულ განვითარებას, არამედ, პირიქით, „პირდაპირ საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს, ვინაიდან იგი ძველ ნაჭუჭებში ამწყვდევს ერებს, აჩერებს მათ კულტურის დაბალ საფე-

ხურზე, ხელს უშლის მათ, კულტურის მაღალ საფეხურზე ავიდნენ“ (სტალინი, 1947 (2): 379).

კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის „უვარგისობის“ ერთერთ მთავარ არგუმენტად ავტორს ისიც მოჰქონდა, რომ „იგი გვეწევა ნაციონალიზმისაკენ, ვინაიდან მას მივყავართ ადამიანთა ნაციონალურ კურიებად „გამიჯვნის“ თვალსაზრისისაკენ, ნაციონალურ თავისებურებათა შენარჩუნებისა და დანერგვის თვალსაზრისისაკენ, - ეს კი ისეთი რამ არის, რაც სრულებით არ შეეფერება სოციალდემოკრატიას“ (სტალინი, 1947 (2): 389).

როგორც ვხედავთ, სტალინის ამ მსჯელობიდან თვალნათლივ ვლინდება მისი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ავტონომიის ფორმისადმი, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიული მოწყობისთვის პრინციპულად მიუღებლად მიიჩნევს. მისი აზრით, აღნიშნული თვალსაზრისით გაცილებით კარგ ფორმას წარმოადგენდა ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა საოლქო ავტონომიის, ანუ რეგიონალიზმის საფუძველზე. ტერიტორიული მოწყობის ამ სახეობის უპირატესობად იგი იმას მიიჩნევდა, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვექნებოდა ამდაგვარი ტერიტორიული ერთეულების გამოყოფასთან არა ნაციონალური პრინციპის საფუძველზე, არამედ მხოლოდ რეგიონული მასშტაბების გათვალისწინებით.

სახელმწიფოს ამგვარი ფორმით მოწყობის უპირატეს მხარედ სტალინი იმას მიიჩნევდა, რომ იგი ადამიანებს ერთმანეთისგან „არ მიჯნავდა ერების მიხედვით; არ ამაგრებდა ნაციონალურ ტიხრებს და მოსახლეობას იმისათვის აერთიანებდა, რომ გზა გახსნოდა სხვაგვარ გამიჯვნას, კლასების მიხედვით გამიჯვნას“ (სტალინი, 1947 (2): 390).

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის სტალინისეული მოდელი ნაციონალურ უმცირესობათა ინტერესებსაც ითვალისწინებდა, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ იგი რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნების შელამაზებულ ვარიანტს წარმოადგენდა. საამისო საფუძველს კი პირველ ყოვლისა ავტორის პარტიული იდეოლოგია ქმნიდა, რომლის უმთავრეს მიზანსაც ხალხთა არა ეროვნული ნიშნის მიხედვით შეკავშირება წარმოადგენდა, არამედ კლასობრივი ერთობის დამკვიდრება და ეროვნული „ტიხრების“ უპირობო მოსპობა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რუსეთის იმპერიული სახელმწიფოს მოსაწყობად სტალინს ყველაზე მეტად მისაღებ

ვარიანტად სწორედ ტერიტორიული მოწყობის ის ფორმა მიაჩნდა, რომელსაც იგი საოლქო ავტონომიის სახელით მოიხსენიებდა. მისი აზრით, სწორედ ეს იქნებოდა რუსეთში ნაციონალური პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო გზა.

სახელმწიფოებრივი მოწყობის აღნიშნული მოდელის უპირატესობის დასაბუთებას სტალინი კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში, ეროვნული თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის ანალიზის შედეგადაც შეეცადა. სამწუხაროდ, იმხანად რუსეთის იმპერიაში შემავალ ამ რეგიონში ამ მხრივ არსებული მდგომარეობის ავტორისეული ანალიზი და შეფასებანი პრინციპულად მცდარია და ნაკლებად შეესაბამება რეალობას.

უფრო მეტიც, სტალინის მიერ გამოთქმული არაერთი მოსაზრება, ნებსით თუ უნებლიედ, ძირსაც კი უთხრის საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ ჩვენს ეროვნულ ერთობას და ქართველ ხალხს ტომობრივადაც და ენობრივადაც ერთმანეთისაგან განსხვავებულ ჯგუფთა მექანიკურ კონგლომერატად წარმოადგენს.

აღნიშნული გარემოება სტალინს იმის მყარ არგუმენტად მიაჩნდა, რომ რუსეთის სახელმწიფოებრივ სივრცეში კავკასიის გამოყოფა ცალკე კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიად „უაზრო და სულელური“ გადაწყვეტილება იქნებოდა. კერძოდ, აი, რა არგუმენტები მოჰქონდა მას კატეგორიული ფორმით გამოთქმული ამ მოსაზრების დასასაბუთებლად: „კულტურულ-ნაციონალური ავტონომია გულისხმობს ცოტად თუ ბევრად განვითარებულ ეროვნებებს, განვითარებული კულტურით, ლიტერატურით. უამპირობებოდ ეს ავტონომია ყოველგვარ მნიშვნელობას კარგავს, უაზრობად იქცევა.“ კავკასიაში მცხოვრებ „მთელ რიგ ხალხებს“ კი, სტალინის აზრით, პრიმიტიული კულტურა და განსაკუთრებული ენა აქვთ“ და „მოკლებული არიან მშობლიურ ლიტერატურას.“

ეს ყველაფერი ავტორს მყარ საფუძველს აძლევდა საიმისოდ, ავტონომიის ზემოთ აღნიშნული ფორმის მოთხოვნათა სრულ აბსურდულობაში ღრმად დარწმუნებულს რომ ეკითხა: „როგორ მივუყენოთ მათ კულტურულ-ნაციონალური ავტონომია? რა ვუყოთ ასეთ ხალხებს? როგორ „მოვაწყოთ“ ისინი ცალკეულ კულტურულ-ნაციონალურ კავშირებად, რასაც კულტურულ-ნაციონალური ავტონომია გულისხმობს?“ (სტალინი, 1947 (2): 377).

მკითხველს სავსებით ბუნებრივად გაუჩნდება შეკითხვა, ვის გულისხმობს ავტორი „პრიმიტიული კულტურისა და განსაკუთრებუ-

ლი ენის მქონე ამ ხალხებში?“ სტალინის აზრით, ესენი არიან მეგრელები, აჭარლები, ქობულეთელები, სვანები, ლეკები და სხვები. ისინი თუმცა „სხვადასხვა ენებზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ. რა ერებს მივაკუთვნოთ ისინი? - გაოცებით კითხულობს იგი, - შესაძლებელია თუ არა მათი „მოწყობა“ ნაციონალურ კავშირებად, რა „კულტურული საქმეების“ გარშემო „მოვაწყოთ“ ისინი“ (სტალინი, 1947 (2): 377).

ამდაგვარი მსჯელობის აბსურდულობა იმდენად ცხადია, რომ მისი გამაბათლებელი არგუმენტების მოშველიებას აზრი არ აქვს. მეგრელების, სვანების, აჭარლებისა და ქობულეთელების გამოცხადება ცალკე ერებად ფაქტობრივად იმ პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელება იყო, რომელსაც მეფის რუსეთის ხელისუფლება მიზანმიმართულად ატარებდა საქართველოში. სწორედ ამ პოლიტიკის ერთერთ თვალნათლივ გამოვლინებას წარმოადგენდა ქართველი ერის დანაწილება სტალინის მიერ სახელდებულ ზემოთ ხსენებულ „ეროვნულ ერთეულებად.“

აქედან გამომდინარე, ქართველი ერის მისეული დაყოფა-დანაწევრებაც ფაქტობრივად რუსეთის კოლონიური პოლიტიკის თავისებურ გაგრძელებად ან განახლებულ ვარიანტად შეიძლება მივიჩიოთ.

ყველაზე გონივრული გამოსავალი, რომელიც სტალინს კავკასიაში (შესაბამისად საქართველოშიც) არსებული ამ მდგომარეობიდან მიაჩნდა მიზანშეწონილად, საოლქო ავტონომიის შექმნა იყო, რაც, მისი აზრით, სასურველ პირობებს შექმნიდა „ვიწრო ნაციონალური კარჩაკეტილობის ნაჭუჭიდან“ (მისი სიტყვებია) იქ მცხოვრები ხალხების გამოსაყვანად.

როგორც ვხედავთ, თავისი პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, სტალინი არა თუ რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან კავკასიის (მათ შორის საქართველოსაც) გამოყოფას ეწინააღმდეგებოდა კატეგორიულად, არამედ მის მიერვე სიტყვიერად დაფიქსირებული ერთა თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე აქ მცხოვრებ ხალხთა მიერ კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის მოპოვებასაც კი.

• • •

1913 წლიდან 1917 წლის მარტამდე ეროვნულ პრობლემასთან დაკავშირებით სტალინს წერილობითი სახით არაფერი გამოუქვეყ-

ნებია და ამ მოვლენისადმი განსაკუთრებული ინტერესი მის ნაშრომებში განახლებული ძალით მხოლოდ 1917 წლის თებერავალის რევოლუციის შემდეგ გამოვლინდა.

ეს გარემოება არსებითად განაპირობა ამ რევოლუციის გამარჯვების შედეგად რუსეთის იმპერიის სათავეში დროებითი ხელისუფლების მოსვლამ, რის შედეგადაც მწვავედ დაისვა ამ იმპერიაში მცხოვრებ არარუს ხალხთა სამომავლო ბედის გარკვევის პრობლემა. როგორც სტალინის იმდროინდელი ნაწერებიდან თვალნათლივ ჩანს, იგი ძალზე აქტიურად ჩაება ამ პრობლემის გადაწყვეტის პროცესში და მიზანსწრაფულად შეეცადა არარუს ხალხთა სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველაზე მეტად მისაღები ფორმის მოძებნას როგორც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ისე მისგან გამოყოფითაც.

ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი სიცხადის მისაცემად ქვემოთ შევეცდები, იმდროინდელი მისი ნააზრევიდან მოკლედ წარმოვაჩინო აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით მის მიერ გამოთქმული უმთავრესი მოსაზრებანი.

1917 წლის 25 მარტს გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნებულ წერილში „ნაციონალურ შეზღუდვათა გაუქმების შესახებ" (იხ: სტალინი, ტ. 3, 1948 (1): 17-21) სტალინმა კიდევ ერთხელ აქცია სპეციალური მსჯელობის საგნად რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ არარუს ხალხთა ეროვნული პრობლემები. მისი შეფასებით, „ძველი რუსეთის ერთერთი იარა, რომელიც სამარცხვინო ლაქას ცხებდა მას, ნაციონალური ჩაგვრის იარა იყო. რელიგიური და ნაციონალური დევნა, „უცხოტომელთა" ძალდატანებითი გარუსება, ნაციონალურ კუტურულ დაწესებულებათა დევნა, საარჩევნო უფლებათა წართმევა, მისვლა-მოსვლის თავისუფლების წართმევა, ეროვნებების ერთი-მეორეზე წასისინება, რბევა და ხოცვა-ჟლეტა, – აი, იგი, ავად მოსაგონარი ნაციონალური ჩაგვრა."

როგორც ციტირებული ფრაგმენტიდანაც თვალნათლივ ჩანს, სტალინი ყოველგვარი შენიღბვისა და შელამაზების გარეშე წარმოაჩენდა იმ უმძიმეს მდგომარეობას, რაშიც რუსეთის იმპერიაში არარუსი ეროვნების ხალხებს უხდებოდათ ცხოვრება. თებერვლის რევოლუციის გამარჯვებამ და ხელისუფლების სათავეში დროებითი მთავრობის მოსვლამ რეალური საფუძველი შექმნა ამ პრობლემის გადასაწყვეტად.

სტალინი, თავისი პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, აქტიურად ჩაერთო ამ პროცესში და რეალურად შეეცადა აღნიშნული პრობლემის მოგვარებას ყველაზე მეტად ოპტიმალური გზით.

მისი აზრით, იმ მომენტში პირველ ყოვლისა ორი რამის გაკეთება იყო სასწრაფოდ აუცილებელი: „ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ ეროვნებათა უფლებების ჩამოყალიბება და ამ უფლებების კანონმდებლობითი განმტკიცება.“ იგი კმაყოფილებით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ დროებითმა მთავრობამ ამ პრობლემის მოსაგვარებლად უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი და გამოსცა დეკრეტი სარწმუნოებრივ და ეროვნულ შეზღუდვათა გაუქმების შესახებ. მაგრამ სტალინს ეს ყველაფერი არასაკმარისად მიაჩნდა იმის გამო, რომ ხსენებული „დეკრეტი არ ამყარებდა ნაციონალურ თანასწორუფლებიანობას ენის მხრივ“ და მოითხოვდა, არარუს ხალხთა ენების სრულ გათანაბრებას რუსულ ენასთან.

რუსეთში მცხოვრებ ხალხთა თანასწორუფლებიანობის მისაღწევად სტალინი ასევე აუცილებლად მიიჩნევდა, მთავრობას სასწრაფოდ შეემუშავებინა „ნაციონალური ჩაგვრის მოსპობის დადებითი გეგმა“ და იქვე თავადაც განსაზღვრავდა ამ გეგმის ორ უმთავრეს პუნქტს: „1) პოლიტიკური ავტონომია (და არა ფედერაცია!) იმ ოლქებისა, რომლებიც წარმოადგენენ მთლიან სამეურნეო ტერიტორიას მოსახლეობის განსაკუთრებული ყოფა-ცხოვრებით და ნაციონალური შემადგენლობით, მშობლიურ ენაზე „საქმის წარმოებითა“ და „სწავლებით;“

2) თვითგამორკვევის უფლება იმ ერებისათვის, რომლებსაც ამა თუ იმ მიზეზით არ შეუძლიათ დარჩნენ სახელმწიფოებრივი მთელის ფარგლებში.“

სტალინის მართებული ხაზგასმით, სწორედ „ასეთია ის გზა, რომელსაც ნაციონალური ჩაგვრის მოსპობისაკენ, ეროვნებათა თავისუფლების იმ მაქსიმუმის უზრუნველყოფისაკენ მივყავართ, რომელიც შესაძლებელია კაპიტალიზმის დროს.“

ხსენებულ პრობლემაზე მსჯელობა სტალინმა სამი დღის შემდეგ, 28 მარტს, „პრავდაში“ გამოქვეყნებულ ახალ წერილშიც - „ფედერალიზმის წინააღმდეგ“ განაგრძო (იხ: სტალინი, ტ. 3, 1948 (1): 25-30). აღნიშნული სტატიის დაწერის უმთავრეს მიზანს რუსეთისა და მის შემადგენლობაში მყოფი ხალხების ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ოპტიმალური სტრუქტურის ძიება წარმოადგენდა. კერძოდ, სტალინი მწვავედ ეკამათებოდა ესერების გაზეთ

„დელო ნაროდაში“ გამოქვეყნებული წერილის - „რუსეთი - ოლქთა კავშირი“ ავტორს - ი. ოკულიჩს, რომელიც მოითხოვდა, აშშ-ს გამოცდილების გათვალისწინებით, რუსეთი გადაქცეულიყო ოლქთა კავშირებისგან შექმნილ „ფედერალურ სახელმწიფოდ.“ სტატიის ავტორს სწორედ ასეთ ოლქებად ჰქონდა წარმოდგენილი რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ისეთი რეგიონები, როგორებიცაა: მალოროსია, საქართველო, ციმბირი, თურქისტანი და სხვ.

სტალინის აზრით, ამის გაკეთება რუსეთის რეალობაში პრინციპულად მიუღებელ მოვლენას წარმოადგენდა, რადგანაც ამერიკის შემთხვევაში ცალკე ტერიტორიულ ერთეულებად შტატების გამოყოფა გეოგრაფიული ნიშნით იყო განსაზღვრული და არა ნაციონალური ფაქტორის გათვალისწინებით. რაც შეეხებოდა რუსეთს, იქ გამოსაყოფ საოლქო რეგიონებში ეროვნული თვალსაზრისით არსებითად განსხვავებული მდგომარეობა არსებობდა. კერძოდ, სტალინის ხაზგასმით, „ის, რასაც რუსეთში ჩვეულებრივ ეწოდება ოლქები, რომლებსაც ავტონომია ესაჭიროებათ (უკრაინა, ამიერკავკასია, ციმბირი, თურქისტანი და სხვ.), უბრალო გეოგრაფიული ოლქები როდია... არამედ რუსეთის გარკვეული კუთხეები გარკვეული ყოფაცხოვრებით და მათი მოსახლეობის (არარუსულის) ნაციონალური შემადგენლობით.“ აქედან გამომდინარე, სტალინი თვლიდა, რომ ოლქებად რუსეთის დანაწილებას „საფუძვლად ნაციონალური ნიშანი“ უნდა დასდებოდა.

აღნიშნული რეალობის გათვალისწინებით, რუსეთში ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის ოპტიმალურ ფორმად სტალინს ასეთი რამის გაკეთება მიაჩნდა:

„1) გამოყოფის უფლება რუსეთის განსაზღვრულ ოლქებში მოსახლე იმ ერებისათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ, არ სურთ დარჩნენ მის ფარგლებში;

2) პოლიტიკური ავტონომია ერთიანი (გაერთიანებული) სახელმწიფოს ფარგლებში კონსტიტუციის ერთიანი ნორმებით იმ ოლქებისათვის, რომლებიც განსაზღვრული ნაციონალური შემადგენლობით განირჩევიან და მთელის ფარგლებში რჩებიან.“

მართალია, რუსეთის შემადგენლობაში ცალკეული ოლქებისათვის ავტონომიის მინიჭების უფლებას სტალინი ადრეც უჭერდა მხარს, მაგრამ ამგვარი ოლქების შექმნას საფუძვლად იგი არა ნაციონალურ პრინციპს მიიჩნევდა, არამედ მხოლოდ ტერიტორიულ ფაქტორს. ზემოთ აღნიშნულ დებულებაში კი მისი ეს მოთხოვნა უკ-

ვე არსებითად იყო შეცვლილი და ავტონომიური ოლქის შექმნის უმთავრეს პირობად ხსენებული ტერიტორიული ერთეულის „ნაციონალური შემადგენლობით გამორჩეულობა“ იყო მიჩნეული.

ჩაგრულ ერთა სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხს სტალინმა განსაკუთრებული ყურადღება რუსეთის ბოლშევიკების მეშვიდე (აპრილის) კონფერენციაზე გამოსვლის დროსაც მიაქცია. კერძოდ, ამ კონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაში (იხ: სტალინი, ტ. 3, 1948 (1): 54-61) მან მკაფიოდ ჩამოაყალიბა პირადად მისი და მისი თანაპარტიელების პოზიცია რუსეთი სახელმწიფოებრივ სტრუქტურასთან დაკავშირებით.

სტალინის აზრით, „რუსეთის შემადგენლობაში შემავალ ჩაგრულ ხალხებს უნდა მიცემოდათ უფლება, თვითონ გადაეწყვიტათ საკითხი - რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში სურდათ დარჩენა, თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოყოფა.“

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა, ცხადია, უაღრესად პროგრესული მოვლენაა და დღესაც მისაღები, მაგრამ კონკრეტულად იმდროინდელ ვითარებასთან მისადაგებით ამ მოსაზრების ავტორის მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება აშკარად შეუსაბამოა აღნიშნულ დებულებასთან. კერძოდ, თუ იმხანად რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ფინეთის პრობლემაზე საუბრის დროს სტალინი პრინციპულად უჭერდა მხარს რუსეთისაგან მის გამოყოფასა და ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, იგი ერთმნიშვნელოვნად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის შემადგენლობაში შემავალი სხვა ეროვნული რეგიონების მისგან გამოყოფას.

ნათქვამისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ხსენებული გამოსვლიდან: სტალინის ხაზგასმით, ერთა თავისუფალი გამოყოფის უფლების აღიარება არამც და არამც არ უნდა გაგვეიგივებინა ერის გამოყოფის აუცილებლობასთან. მისი თქმით, მათი „ერთმანეთში არევა შეუწყნარებელია და ეს საკითხი პროლეტარიატის პარტიამ ყოველ ცალკე შემთხვევაში სრულიად დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს ვითარების მიხედვით. როდესაც ჩაგრულ ეროვნებათა გამოყოფის უფლებას, თავიანთი პოლიტიკური ბედის გადაჭრის უფლებას ვაღიარებთ, ჩვენ ამით არ ვწყვეტთ საკითხს - უნდა გამოეყონ თუ არა რუსეთის სახელმწიფოს მოცემულ მომენტში ეს და ეს ერები. მე შემიძლია ვაღიარო ერის გამოყოფის უფლება, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მე იგი ვალდებული გავხადე, ასე მოიქცეს.“

როგორც დამოწმებული ფრაგმენტიდან ნათლად ჩანს, სტალინის მიერ თავად ერის მიერ გადასაწყვეტ უზენაეს ნებად გამოცხადებული ეროვნული თვითგამორკვევის უფლება ფაქტობრივად მხოლოდ სიტყვიერ განაცხადად დარჩა და ავტორი ამ უფლების რეალურად აღსრულების მთავარ პირობად თავად ერის ნებას კი არ მიიჩნევდა, არამედ მის გადაწყვეტას მხოლოდ პარტიული პრინციპების საფუძველზე თვლიდა მიზანშეწონილად.

ამიერკავკასიასთან და კავკასიასთან (ცალკე ეროვნულ-ტერიტორიულ ერთეულად სტალინი საქართველოზე გაცილებით ხშირად სწორედ ამ რეგიონს მოიხსენიებდა ხოლმე) დაკავშირებით კი მისი პოზიცია ზემოთ ხსენებულ ნაშრომში ავტორს ასე ჰქონდა ჩამოყალიბებული: „მე პირადად წინააღმდეგი ვიქნებოდი ამიერკავკასიის გამოყოფისა, ვიღებ რა მხედველობაში საერთო განვითარებას ამიერკავკასიასა და რუსეთში, პროლეტარიატის ბრძოლის განსაზღვრულ პირობებს და სხვ.“

ეროვნულ საკითხს სტალინი 1917 წელს კიდევ ერთი სტატიით გამოეხმაურა. ესაა 1917 წლის 13 აგვისტოს დაბეჭდილი წერილი „კონტრრევოლუცია და რუსეთის ხალხები“ (იხ: სტალინი, ტ. 3, 1948 (1): 233-237), რომელშიც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავისი პარტიული თვალთახედვა მან შემდეგნაირად განსაზღვრა: „ჩვენ სრულებით არა ვართ წინააღმდეგნი ხალხთა ერთ მთლიან სახელმწიფოდ გაერთიანებისა. ჩვენ სრულებითაც არ ვემხრობით დიდი სახელმწიფოების წვრილ სახელმწიფოებად დაქუცმაცებას, ვინაიდან თავისთავად ცხადია, რომ წვრილი სახელმწიფოების დიდ სახელმწიფოებად გაერთიანება ერთ-ერთი პირობაა, რომელიც აადვილებს სოციალიზმის განხორციელების საქმეს.“

მართალია, სტალინი ამ შემთხვევაში კონკრეტულად არ ასახელებდა მისეული დასკვნის მიღმა ნაგულისხმევ სახელმწიფოებს, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი პირველ ყოვლისა რუსეთს რომ გულისხმობდა, ეს არაორაზროვნად ჩანს ხსენებული პუბლიკაციიდან.

მოკლედ, ასეთია ის უმთავრესი პარტიულ-პოლიტიკური პრინციპები, რომლებიც სტალინს ეროვნულ პრობლემასთან დაკავშირებით ჰქონდა ჩამოყალიბებული რუსეთში 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის (გადატრიალების) მოხდენამდე გამოქვეყნებულ თავის წერილებში.

1917 წლის რევოლუციის (გადატრიალების) შემდეგ, ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლით, კი ფაქტობრივად რადი-

კალურად შეიცვალა სტალინის ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვა. ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმან, რომ იგი უკვე ამ მოვლენის შედეგად რუსეთის იმპერიაში დამკვიდრებული საბჭოთა ხელისუფლების მმართველი ელიტის ერთ-ერთი უპირველესი წარმომადგენელი გახდა, რომელსაც რეალური შესაძლებლობა მიეცა იმისა, თავად განეხორციელებინა რუსეთში მცხოვრებ ერთა თვითგამორკვევისა და ეროვნული ჩაგვრის აღმოფხვრის ის გამოვლინებანი, რასაც თავადაც ამხელდა ამ მოვლენამდე დაწერილ თავის წერილებში.

ქვემოთ შევეცდები, თვითონ სტალინის პუბლიკაციებზე დაყრდნობით, მკითხველს არგუმენტირებულად დავანახო, რამდენად განახორციელა მან მის მანამდელ პუბლიკაციებში ხაზგასმით და მრავალგზის დაფიქსირებული მოწოდება რუსეთში მცხოვრები არარუსი ხალხების ეროვნული ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, საბჭოთა რეჟიმის დამყარების პირველ ეტაპზე, როცა ომის ქარცეცხლში გახვეული რუსეთის ახალი ხელისუფლების წინაშე მთელი სიმწვავით დადგა ძალაუფლების შენარჩუნების პრობლემა, მმართველი ძალის მიერ გატარებული ეროვნული პოლიტიკა რამდენადმე კომპრომისული იყო. სათანადო სამხედრო ძალის არქონის გამო, ხელისუფლება მმართველობით კონტროლს უკვე ვეღარ უწევდა იმპერიის განაპირა, არარუსული ეთნოსებით დასახლებულ, რეგიონებს, რომლებიც თანდათანობით გამოდიოდნენ მპყრობელი ქვეყნის შემადგენლობიდან და აქტიურად ემზადებოდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ფორმირებისათვის.

მართალია, საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების მესვეურები შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ ამ პროცესს წინ რომ აღდგომოდნენ, მაგრამ რამდენიმე არარუსულმა რეგიონმა მიზანს მაინც მიაღწია და რეალურად გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მათ შორის იყო საქართველოც.

წინამდებარე ნაშრომის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ქვემოთ შევეცდები, თავად სტალინის ნაშრომებზე დაყრდნობით, არგუმენტირებულად წარმოვაჩინო სტალინის მკვეთრად ნეგატიური როლი ამ მიმართულებით, რაც, სამწუხაროდ, 1921 წლის თებერვალ-მარტში პირადად მისი და მისი თანამებრძოლების ძალისხმევის შედეგად საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციით დასრულდა.

როგორც სტალინის ბიოგრაფიიდანაც და წერილობითი ნააზრევიდანაც თვალნათლივ ჩანს, მას თავიდანვე მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდა რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფის იმ პოლიტიკისადმი, რომელიც ქართველ მამულიშვილთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მრწამსის უმთავრესი მიზანსწრაფვის საგანს წარმოადგენდა. მისმა ამგვარმა თვალთახედვამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

კერძოდ, სტალინი პრინციპულად დაუპირისპირდა 1917 წლის ნოემბერში თბილისში შექმნილ ამიერკავკასიის კომისარიატს და მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობაზე, 1918 წლის 15 იანვარს, წარმოთქმულ სიტყვაში ამიერკავკასიის ხალხთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობების ბრძოლას „ნაციონალური დამოუკიდებლობისათვის მხოლოდ და მხოლოდ ფარისევლური საფარი უწოდა მშრომელი ხალხის წინააღმდეგ გაჩაღებული ლაშქრობისა“ (სტალინი, ტ. 4, 1948 (2)).

ამიერკავკასიელ ხალხთა ნაციონალისტ თავკაცებთან დაპირისპირების დროს სტალინი განსაკუთრებულ აგრესიას ქართველი ლიდერების, პირველ ყოვლისა კი ნ. ჟორდანიასა და ე. გეგეჭკორის მიმართ ავლენდა. მის ამგვარ აგრესიას არსებითად განაპირობებდა რწმენა იმისა, რომ ხსენებული მოვლენის უმთავრეს ცენტრად მას თბილისი მიაჩნდა, რომელსაც „ანტისაბჭოთა კოალიციის დედაქალაქსა“ და „მძინარა ქალაქს“ უწოდებდა.

სტალინი არა მარტო გარედან ადევნებდა თვალს ამიერკავკასიაში იმხანად მიმდინარე მოვლენებს, არამედ თავადაც გამოდიოდა ამ მოვლენათა წარმმართველის როლშიც. როგორც მისი ბიოგრაფიიდანაა ცნობილი, იგი საგანგებო მისიით რამდენჯერმე იმყოფებოდა ჩრდილოეთ კავკასიასა და ბაქოში და პირადად მიიღო მონაწილეობა აქ მიმდინარე რევოლუციური ბრძოლების გააქტიურების საქმეში.

1918 წელს გაზეთ „პრავდის“ 26 და 27 მარტის ნომრებში გამოქვეყნებულ წერილში „ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის ნიღბით“ სტალინი უდიდესი კმაყოფილებითა და დაიმედებით ამცნობდა საზოგადოებას იმ ფაქტს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში სამოქალაქო ომის ფრონტზე საბჭოთა რუსეთის მიერ მოპოვებულ წარმატებათა შედეგად „ჩრდილოეთიდან მომავალი საბჭოთა

რევოლუციის ტალღები უბოდიშოდ შეიჭრა ამიერკავკასიის კოლაციის სამეფოში და მის არსებობას დაემუქრა“ (სტალინი,1948 (2): 64).

სტალინის ინფორმაციით „ჩრდილოეთიდან მომავალმა რევოლუციამ ახალი ბრძოლისთვის იმდენად აამხედრა ამიერკავკასიის პროლეტარიატი,“ რომ „მენშევიკური კონტრრევოლუციის დასაყრდენის, მძინარა თბილისის მუშებიც კი ზურგს აქცევდნენ ამიერკავკასიის კომისარიატს და მხარს უჭერდნენ საბჭოთა ხელისუფლებას“ (სტალინი,1948 (2): 65).

საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში შექმნილი მდგომარეობით სტალინის განპირობებულმა შეშფოთებამ განსაკუთრებით დიდი მასშტაბები შეიძინა ამ ქვეყნების მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების წინარე პერიოდში. ამ თვალსაზრისის დასტურად აქ 1918 წლის 23 მაისს, ჩვენი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე სამი დღით ადრე, გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული მისი წერილი - „მდგომარეობა კავკასიაში“ მინდა გავიხსენო. ამ პუბლიკაციის მეშვეობით სტალინი უღრმეს შეშფოთებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ „ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებამ (22 აპრილს), რასაც ხელ-ფეხი უნდა გაეხსნა თბილისის „მთავრობისათვის,“ მისი შეფასებით, ნამდვილად საერთაშორისო ხაფანგში გააბა იგი“ (სტალინი,1948 (2): 103).

სტალინი მკვეთრად ნეგატიურ შეფასებას აძლევდა თბილისის მენშევიკური მთავრობის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ და თვლიდა, რომ მისი ამგვარი მისწრაფება და რუსეთისაგან ჩამოშორება „გარდუვალად გადაიქცეოდა მის მონურ დამოკიდებულებად თურქ-გერმანელ „ცივილიზებულ“ მტაცებლებთან. ეს იქნებოდა ხელისუფლების სათავეში მოქცეული თბილისელი მენშევიკების კავშირი თურქ-გერმანელ იმპერიალისტებთან რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ“ (სტალინი,1948 (2): 103).

თბილისის „მთავრობის“ „შავი ბანდების“ ამგვარი მოქმედებით აღშფოთებული სტალინი მკითხველს კმაყოფილებით აუწყებდა, რომ მათ წინააღმდეგ თითქოსდა ერთსულოვნად აჯანყდა მთელი აფხაზეთი, რომლის მოსახლეობა „გმირულად გამოვიდა „თბილისის „მთავრობის“ შავი ბანდების წინააღმდეგ საბრძოლველად“ და იარაღით ხელში იცავდა სოხუმს მათი აგრესიისაგან.

საბედნიეროდ, აფხაზეთში იმხანად შექმნილი მდგომარეობა მალევე მოწესრიგდა და სტალინისა და მისი თანამზრახველებისთვის სასურველი მიმართულებით არ განვითარებულა. კერძოდ, საქარ-

თველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, „ბოლშევიკებისაგან აფხაზეთის გასაწმენდად“ და იქ სახელმწიფოებრივი წესრიგის დასამყარებლად ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება იქ სახალხო გვარდიის გაგზავნის შესახებ შტაბის უფროსის - ვ. ჯუღელის ხელმძღვანელობით. 1918 წლის 17 მაისს გვარდიელებმა დაამარცხეს ბოლშევიკების ჯარი და ზეიმით შევიდნენ სოხუმში (მაზნიაშვილი, 1990: 55).

სტალინის იმდროინდელი წერილებიდან თვალნათლივ ვლინდება მისი აქტიური მცდელობა, რუსეთის იმდროინდელ მესვეურებს ყველაფერი გაეკეთებინათ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად და რუსეთის იმპერიულ სივრცეში მოსაქცევად. სტალინის ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას 1918 წლის 31 აგვისტოს მის მიერ ლენინისთვის გაგზავნილი წერილიდან დამოწმებული ეს ფრაგმენტიც ნათლად ადასტურებს: „წარმოებს ბრძოლა სამხრეთისა და კასპიისათვის. მთელი ეს რაიონი რომ შევინარჩუნოთ (და იგი შეიძლება შევინარჩუნოთ!), საჭიროა გვქონდეს მსუბუქი ტიპის რამდენიმე ნაღმოსანი და ორიოდე წყალქვეშა ნავი... **გემუდარებით დაამსხვრიოთ ყველა დაბრკოლება** (ხაზგასმა ჩემია - ა. ნ.) და ამით გააადვილოთ ყოველივე იმის მიღების საქმე, რაც საჭიროა. ბაქო, თურქისტანი, ჩრდილოეთ კავკასია ჩვენი იქნება (უეჭველად!), თუ დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებულ იქნა ჩვენი მოთხოვნები. ფრონტზე ჩვენი საქმე კარგად მიდის. ეჭვი არ მეპარება, რომ კიდევ უკეთ წავა“ (სტალინი,1948 (2): 103).

მიუხედავად იმისა, რომ დამოწმებულ ფრაგმენტში უშუალოდ საქართველო მოხსენიებული არ არის, კონტექსტიდანაც და სტალინის იმდროინდელი მოღვაწეობის წარმომჩენი სხვა დოკუმენტებიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ გასატარებელი ამ აგრესიული პოლიტიკის ობიექტად ის და მისი კოლეგები თავიანთი დამპყრობლური პოლიტიკის სამიზნედ ჩვენს ქვეყანასაც მოიაზრებდნენ.

მაგრამ, ამგვარი აქტიურობის მიუხედავად, საბჭოთა რუსეთმა ამიერკავკასიის რესპუბლიკების „გაწითლება“ და თავის სახელმწიფოებრივ შემადგენლობაში განმეორებით მისი შეყვანა მაინც ვერ შეძლო. იმის ნათელსაყოფად, ამ ტრაგიკული მოვლენის ერთ-ერთი მთავარი წარმმართველი სტალინიც რომ იყო, დავიმოწმებ რამდენიმე ფრაგმენტს მისი იმდროინდელი ნააზრევიდან.

1920 წლის 30 ნოემბერს „პრავდაში“ გამოქვეყნებულ წერილში - „მდგომარეობა კავკასიაში“, რომელიც გაზეთის თანამშრომელთან გამართული მისი საუბრის ჩანაწერს წარმოადგენდა, კავკასიიდან დაბრუნებული სტალინი დაწვრილებით მიმოიხილავდა იქ არსებულ მდგომარეობას და მკაფიოდ განსაზღვრავდა საბჭოთა რუსეთის პარტიულ-სახელმწიფოებრივ სტრატეგიას ამ რეგიონთან დაკავშირებით. კერძოდ, იგი არაორაზროვნად აცხადებდა, რომ „რევოლუციისთვის კავკასიის დიდი მნიშვნელობა“ მარტო იმით კი არ იყო განპირობებული, რომ ეს მხარე „ნედლეულის, სათბობისა და სურსათის წყაროა, არამედ მისი მდებარეობითაც ევროპასა და აზიას შუა, კერძოდ, რუსეთსა და თურქეთს შუა, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სტრატეგიული გზების არსებობით (ბათუმი - ბაქო, ბათუმი - თავრიზი -არზრუმი)“ (სტალინი,1948 (2): 444).

სტალინის აზრით, აქედან გამომდინარე, რუსეთისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, „ბოლოს და ბოლოს ვინ მოიკიდებდა ფეხს კავკასიაში - რევოლუცია თუ ანტანტა.“ სამწუხაროდ, იმ დროისათვის, როცა ეს წერილი დაიბეჭდა, აზერბაიჯანში უკვე იყო დამყარებული საბჭოთა ხელისუფლება და ამ მიზნის მიღწევა ახლა სომხეთსა და საქართველოში იყო განსახორციელებელი. სტალინი გულისწყრომით საუბრობდა იმაზე, რომ ამ გზაზე საბჭოთა რუსეთს განსაკუთრებულ სირთულეს საქართველო უქმნიდა.

კერძოდ, მისი შეფასებით, იმდროინდელი თბილისი „კონტრრევოლუციური მუშაობის ბაზად“ იყო ქცეული და ანტანტის ძლიერ დასაყრდენ ცენტრს წარმოადგენდა.

აღნიშნულ გარემოებასთან ერთად, სტალინი ნიშნის მოგებით იმასაც აცხადებდა, რომ „საქართველოს კატასტროფული სამეურნეო და სასურსათო მდგომარეობა“ იმხანად უკვე აშკარა ფაქტი იყო და კმაყოფილებას ვერ ფარავდა იმის გამო, რომ „ანტანტის ბადეში გახვეულმა“ ჩვენმა ქვეყანამ „დაკარგა როგორც ბაქოს ნავთი, ისე ყუბანის პური.“ ასე რომ, „ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალისტური ოპერაციების ძირითად ბაზად გადაქცეული“ და „საბჭოთა რუსეთთან მტრულ ურთიერთობაში მყოფი დამყაყებული საქართველო... იმჟამად თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა“ (სტალინი,1948 (2): 446-447).

როგორც დამოწმებული ფრაგმენტებიდანაც თვალნათლივ ჩანს, საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკებში იმხანად მიმდინარე იმ მოვლენებისადმი, რომელთა უმთავრეს მიზანსაც ამ

რესპუბლიკების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დამკვიდრება წარმოადგენდა, სტალინი არა მარტო სიტყვიერად გამოხატავდა მკვეთრად ნეგატიურ დამოუკიდებლობას, არამედ ამ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლის აქტიურ ორგანიზატორადაც გვევლინებოდა და ყველაფერს აკეთებდა განახლებული იმპერიის ფარგლებში მათ დასამკვიდრებლად.

და როცა 1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გამოცხადდა, „პრავდის" 4 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილ მის წერილში - „გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!" იგი სიხარულით ამცნობდა მკითხველებს, რომ „განაწამებმა და მრავალტანჯულმა სომხეთმა", როგორც იქნა, „საწადელს მიაღწია და თავი საბჭოთა ქვეყნად გამოაცხადა," რითაც „ხსნისა და ნაციონალური განახლების" გზა იპოვა (სტალინი,1948 (2): 449).

სტალინის შეფასებით, აღნიშნული თვალსაზრისით ყველაზე კრიტიკული მდგომარეობა საქართველოში არსებობდა. კერძოდ, ჩვენს ქვეყანაში იმხანად მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოვლენებისადმი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება მან განსაკუთრებული ძალით სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ გამოავლინა და „გაკოტრებული ქართველი სოციალ-მედუქნეების" (სტალინის სიტყვებია - ა. ნ.) მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლოის გამოცხადება ამგვარად შეაფასა: საქართველოს, როგორც „დამოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფოს, წარმოშობამ ვერ დაამყარა და არც შეეძლო დაემყარებინა ეროვნებათა მშვიდობიანი თანაცხოვრება, ვერ მოსპო და არც შეეძლო მოესპო ნაციონალური უთანასწორობა, არც ნაციონალური ჩაგვრა, ვინაიდან კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ ახალ ნაციონალურ სახელმწიფოებს არ შეუძლია არსებობა:

ა) თუ თავიანთ ნაციონალურ უმცირესობებს არ დაჩაგრავენ (საქართველო... ჩაგრავს ოსებს, აფხაზებს, სომხებს...);

ბ) თუ მეზობლების ხარჯზე თავიანთ ტერიტორიას არ გააფართოებენ, რაც იწვევს კონფლიქტებსა და ომებს (საქართველო-სომხეთის, თურქეთის წინააღმდეგ...)" (სტალინი,1949: 15).

სტალინმა ეს მოსაზრება 1921 წლის 10 თებერვალს გამოთქვა. მისი უკმაყოფილება ამ შემთხვევაში იმითაც უნდა აიხსნას, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთისაგან განსხვავებით, საქართველო იმხანად ჯერ კიდევ ინარჩუნებდა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად რუ-

სეთი უკვე იწყებდა ფართო მასშტაბიან და აქტიურ საბრძოლო ოპერაციებს.

ლენინთან ერთად, ამ ტრაგიკული მოვლენის მთავარ ორგანიზატორს სტალინიც რომ წარმოადგენდა, ამას საქართველოში რევკომის შექმნის პროცესში მისი აქტიური მონაწილეობაც ადასტურებს. მაგალითად, 1921 წლის 17 თებერვალს, გაეცნო რა რევკომის წევრთა შემადგენლობას, სტალინმა ორჯონიკიძეს ამ შინაარსის წერილი გაუგზავნა: „რევკომის შემადგენლობა არ არის კარგი. წინადადებას გაძლევ, მიუმატე სიას არაქელა, ცხაკაია, ელისაბედაშვილი, ვინმე თათართაგან და აგრეთვე ფედერალისტთაგან. რევკომს შეუძლია გამოყოს აღმასკომი ხუთი კაცის შემადგენლობით. მაგალითად, მახარაძე, მდივანი, ელისაბედაშვილი, ერთი სომეხი, ერთი თათარი“ (თოიძე, 1999: 23).

ამგვარი აქტიურობის მიუხედავად, საქართველოს გასაბჭოების ფაქტი სტალინმა, განსხვავებით აზერბაიჯანსა და სომხეთში მომხდარი ანალოგიური მოვლენისაგან, რასაც დაუყოვნებლივ მიესალმა, ოფიციალურად საკმაოდ დაგვიანებით შეაფასა. კერძოდ, ეს მოხდა ამ მოვლენიდან ოთხ თვეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ, 1921 წლის 6 ივლისს გამართულ საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის საერთო კრებაზე გაკეთებულ მის მოხსენებაში - „კომუნიზმის მორიგ ამოცანებზე საქართველოსა და ამიერკავკასიაში.“

ამ მოხსენებით სტალინმა შეუძლებლად მიიჩნია ამიერკავკასიის რესპუბლიკების, პირველ ყოვლისა კი საქართველოს, დამოუკიდებლად არსებობა და აუცილებლად მიიჩნია ერთ ფედერაციულ სახელმწიფოდ მათი გაერთიანება. ამის გაკეთებას იგი პირველ ყოვლისა ჩვენი ქვეყნისთვის მიიჩნევდა სასწრაფოდ მოსაგვარებელ საქმედ, რასაც ამგვარად ასაბუთებდა: „საბჭოთა საქართველოს სრულიად განმარტოებით არსებობა... წარმოუდგენელია როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე მეურნეობრივი განვითარების თვალსაზრისითაც... მეორეც, ცხადია, რომ საქართველო, რომელსაც სურსათ-სანოვაგე აკლია, საჭიროებს რუსეთის პურს, თავს ვერ გაიტანს უამისოდ.

მესამეც, საქართველო, რომელსაც თხევადი სათბობი არა აქვს, ცხადია, ტრანსპორტისა და მრეწველობის განვითარებისთვის საჭიროებს აზერბაიჯანის ნავთის პროდუქტებს და თავს ვერ გაიტანს უიმათოდ.

მეოთხეც, უეჭველია აგრეთვე, რომ საქართველო... საჭიროებს რუსეთის მხრივ ოქროთი დახმარებას...

ბოლოს, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს საქართველოს მოსახლეობის ნაციონალური შემადგენლობის თავისებურ პირობებს, რის გამოც ამ მოსახლეობის მნიშვნელოვან პროცენტს შეადგენედნ სომხები, ხოლო თბილისში, საქართველოს დედაქალაქში, მთელი მოსახლეობის თითქმის ნახევარი სომხობაა" (სტალინი, 1949: 102).

ვითარების ამგვარმა ანალიზმა სტალინი იმის აღიარებამდე მიიყვანა, რომ ასეთ შემთხვევაში ყველაზე გონივრული გამოსავალი ამიერკავკასიის რესუპუბლიკათა ფედერაციის შექმნა იყო. მისი აზრით, უმთავრეს სირთულეს, რომელიც ამ მიზნის განხორციელების გზაზე აუცილებლად უნდა ყოფილიყო დაძლეული, ამ რესპუბლიკებში გაღვივებული ნაციონალიზმი წარმოადგენდა. კერძოდ, ზემოთ ხსენებულ თავის მოხსენებაში მან გულისწყრომით ისაუბრა უკანსაკნელ წლებში „საშინლად გაძლიერებულ ქართულ, სამხურ და აზერბაიჯანულ ნაციონალიზმზე," რაც ერთ ფედერაციულ სახელმწიფოდ მათი გაერთიანების შემაფერხებელ მოვლენად მიაჩნდა. სტალინის აზრით, ამ სამი რესპუბლიკიდან განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა აღნიშნული თვალსაზრისით საქართველოში არსებობდა.

მისი ხაზგასმით, განსხვავებით ამიერკავკასიაში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების მშრომელებს შორის 1905-1917 წლებში ამ თვალსაზრისით არსებული „სრული ძმური სოლიდაროზისაგან," თბილისში იმხანად ჩამოსვლის დროს იგი გაოცებული დარჩა იმით, რომ „ამიერკავკასიის ეროვნებათა მუშებს შორის აღარ იყო წინანდელი სოლიდაროზა. მუშებსა და გლეხებში განვითარებულია ნაციონალიზმი, გაძლიერებულია უნდობლობის გრძნობა თავისი სხვატომელი ამხანაგებისადმი: ანტისომხური, ანტითათრული, ანტიქურთული, ანტირუსული და ყოველგვარი სხვა ნაციონალიზმი ახლა ჭარბზე ჭარბადაა. ძმური გრძნობის ძველი კავშირი გაწყვეტილია, ან, ყოველ შემთხვევაში, ძალიან შესუსტებულია. ჩანს, ნაციონალისტურ მთავრობათა სამი წლის არსებობას საქართველოში (მენშევიკები), აზერბაიჯანში (მუსავატელები), სომხეთში (დაშნაკები) ამაოდ არ ჩაუვლია. ეს ნაციონალისტური მთავრობანი, რომელნიც თავის ნაციონალისტურ პოლიტიკას ეწეოდნენ და მშრომელთა შორის აგრესიული ნაციონალიზმის სულისკვეთების გასაღვივებლად მუშაობდნენ, ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ თვითეული ამ პატარა ქვე-

ყანათაგანი მტრული ნაციონალისტური ატმოსფეროს რკალით გარემოცული აღმოჩნდა... ამ მოშხამულ ნაციონალისტურ ვითარებაში ძველი ინტერნაციონალური კავშირი გაწყდა, ხოლო მუშების შეგნება ნაციონალიზმის შხამით მოწამლული აღმოჩნდა“ (სტალინი, 1949: 104).

სტალინის შეფასებით, „ნაციონალიზმის ამ გადმონაშთების სიძლიერე ის უმთავრესი დამაბრკოლებელი მოვლენა იყო, რომელიც „ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების სამეურნეო (და სამხედრო) ღონისძიებათა გაერთიანების საქმეს უაღრესად უშლიდა ხელს.“ „ასეთი გაერთიანების განუხორციელებლად“ კი მას შეუძლებლად მიაჩნდა ამ რესპუბლიკათა, განსაკუთრებით კი საქართველოს, სამეურნეო წარმატების მიღწევა.

ამიტომაც იყო, რომ თავის მოხსენებაში სტალინმა საქართველოს კომუნისტთა „მორიგ ამოცანად“ საქართველოში „ნაციონალიზმის გველეშაპის გასრესა და ინტერნაციონალიზმის ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნა“ (მისი სიტყვებია) მიიჩნია. ამის მისაღწევად კი იგი აუცილებლად თვლიდა „ულმობელ ბრძოლას ნაციონალიზმთან და იმ ძველი ძმური ინტერნაციონალური კავშირის აღდგენას, რაც ნაციონალისტური მენშევიკური მთავრობის გაჩენამდე არსებობდა“ (სტალინი, 1949: 105).

სტალინის აზრით, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ამგვარი გაერთიანება არამც და არამც არ ნიშნავდა იმას, რომ „აღარ არსებულიყო დამოუკიდებელი საქართველო, ან დამოუკიდებელი აზერბაიჯანი.“ იგი პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა იმ პროექტის ავტორებს, რომლებიც მოითხოვდნენ, მათ სანაცვლოდ აღდგენილი ყოფილიყო „ძველი გუბერნიები (თბილისის, ბაქოს, ერევნის) ამიერკავკასიის ერთი მთავრობის მეთაურობით.“

ამ აზრს სტალინი „რეაქციულ უტოპიას“ უწოდებდა. მისი თქმით, „ასეთი პროექტი უეჭველია, ისტორიის ჩარხის უკუღმა შეტრიალების სურვილიდან გამომდინარეობდა,“ რაც „რევოლუციის მონაპოვრის გაუქმებას“ ნიშნავდა. ამიტომაც, ეს რომ არ მომხდარიყო, იგი დაბეჯითებით მოითხოვდა, აუცილებლად შეენარჩუნებინათ როგორც საქართველოს, ისე აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობა. თუმცა იმას კი აღარ განმარტავდა, ერთ ფედერაციულ რესპუბლიკად ამ რესპუბლიკათა გაერთიანების შემთხვევაში ეს რეალურად როგორ უნდა მომხდარიყო.

სტალინის ამ პარტიულმა დირექტივამ რამდენიმე თვეში ის შედეგი გამოიღო, რომ 1922 წლის 12 მარტს ოფიციალურად იქნა მიღებული გადაწყვეტილება ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის შესახებ. მის შემადგენლობაში ურთიერთშორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შევიდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სოციალისტური რესპუბლიკები; 1922 წლის 16 დეკემბერს კი ამ ფედერაციას აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაც შეუერთდა, რომელიც 1921 წლის 16 დეკემბერს თბლისში გაფორმებული სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე ე. წ. დამოუკიდებელ რესპუბლიკად შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში.

როგორც ცნობილია, თავის მხრივ, 1922 წლის 30 დეკემბერს ამიერკავკასიის ფედერაცია სსრ კავშირის შემადგენლობაში შევიდა. 1931 წლის თებერვალში აფხაზეთის საბჭოების მეექვსე ყრილობის გადაწყვეტილებით, აფხაზეთს დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსი ჩამოერთვა და იგი საქართველოს სსრ შემადგენლობაში უკვე ავტონომიური რესპუბლიკის სახით გაერთიანდა; 1936 წლის 5 დეკემბერს კი ამიერკავკასიის ფედერაციაც დაიშალა და სამივე რესპუბლიკა ფორმალურად დამოუკიდებელი რესპუბლიკების სტატუსით ცალ-ცალკე შევიდა სსრ კავშირის შემადგენლობაში.

ბ) ნოე ჟორდანია

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა არა მარტო იმდროინდელი ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილისათვის იქცა ეროვნული ცნობიერების კიდევ უფრო მეტად განმამტკიცებელ მოვლენად, არამედ იმ პოლიტიკოსთა ცალკეული წარმომადგენლებისთვისაც, რომელთაც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მომავალი მანამდე რუსეთისგან დისტანცირებულად ვერ წარმოედგინათ. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, ნოე ჟორდანიაც (1869-1953 წწ.) ერთ-ერთი მათგანი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მისი პარტიული მოღვაწეობის მანამდელ პერიოდში მას ეროვნული პრობლემაც არაერთხელ უქცევია განსჯის საგნად, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ საქართველოს არსებობას იგი იმხანად არარეალურ მოვლენად მიიჩნევდა და ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის პერსპექტიულ გზად რუსეთის შემადგენლობაში მის დარჩენას მიიჩ-

ნევდა ავტონომიური მართვა-განმგებლობისა და ენობრივი, კულტურული და ეროვნული თვითმყოფადობის დაცვისა და შენარჩუნების გარანტიით.

მიუხედავად იმისა, რომ დღესდღეობით, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში, ნოე ჟორდანიას ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი კიდევ უფრო მეტად იქცა განსაკუთრებული ინტერესის საგნად, მისი პარტიულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა და წერილობითი მემკვიდრეობა ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი და სათანადოდ შეფასებული.

ამის ერთ-ერთ ნათელ გამოვლინებას წარმოადგენს აშკარად გაორებული ის დამოკიდებულება, რომელიც თვალნათლივ ვლინდება ნოე ჟორდანიას ემიგრაციამდელი პერიოდის ნააზრევისა და მოღვაწეობის შეფასების დროს. კერძოდ, მკვლევართა ერთი ნაწილი მას პარტიული იდეოლოგიით შებოჭილ იმ პიროვნებად მიიჩნევს, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდელ პერიოდში ჩვენი ქვეყანა რუსეთის სახელმწიფოებრივი სივრცის განუყოფელ ნაწილად აღიარებდა, მეორე ნაწილის აზრით კი თავისი იმდროინდელი პარტიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობით ნ. ჟორდანია მისი მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდშიც ეროვნული იდეების სამსახურში მდგარ პიროვნებას წარმოადგენდა.

ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ ორიოდე ამონარიდს აღნიშნულ მოსაზრებათა ავტორების ნაშრომებიდან.

როსტომ ჩხეიძე: „შალვა ამირეჯიბი დამოუკიდებლობის გამოცხადების დღესა და, საერთოდ, იმ ხანას რომ გაიხსენებდა, მარტო აღტაცების განცდა კი არ დაუვლიდა სხეულში, ის ავი დეტალებიც ამოუტივტივდებოდა გონებაში, რაც თანდათან თავისებურ სიმბოლოდაც გამოჩნდებოდა დამოუკიდებლობის დამხობის მიზეზებისა: მთავრობის სასახლის თავზე ისევ ისე ფრიალებდა წითელი დროშაც, ნაცვლად ეროვნულისა, და სხდომათა დარბაზშიც ისევ ისე ეკიდა მარქსის სურათი... მენშევიკებად და ბოლშევიკებად რომ გაყოფილიყვნენ, ეს ხელს არ უშლიდათ, ერთნაირად ეცათ თაყვანი რევოლუციის იდეური შემოქმედისათვის...

ჟორდანიასაგან რას მოელოდნენ უკეთესს. ისიც დიდი ამბავი იყო, საქართველოს დამოუკიდებლობა რომ ამოთქვა, მერე კი მაინცდამაინც აღარ შეუშლია ხელი წითელი დროშის ჩამოგდებისთვისაც, გამომწვევად რომ ფრიალებდა.

ნოე ჟორდანია ვაივაგლახით რომ ამოთქვამდა, ლამის ატირებული რომ გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას, რა გასაკვირია. მთელი ცხოვრება თავგამეტებული იბრძოდა სწორედ ამ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ილია ჭავჭავაძესა და მის ეროვნულ მოძღვრებასაც ამიტომ დაპირისპირებოდა ასეთი შეურიგებლობით. ეროვნულ დროშას აბუჩად იგდებდა, ქართველი ხალხის ეროვნული მისწრაფებებისა არაფერი სწამდა და: ჩვენ რუსეთის ნაწილი ვართო, - დაბეჯითებით და დაუსრულებლად ირწმუნებოდა.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ქვეყნისა სულ სხვაგვარად დატრიალდებოდა, ვიდრე მის განყენებულ თეორიებში ისახებოდა, და თუმცა კარგა ხანს ითრევდა ფეხს, სხვა გზა აღარ დარჩენოდა, გარდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა“ (ჩხეიძე, 2003: 184).

ვახტანგ გურული: „1907-1913 წლები უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდია ნოე ჟორდანიას, პოლიტიკური მოღვაწის, ცხოვრებაში. სწორედ ამ წლებში იღებს იგი ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, **ამიერიდან ნოე ჟორდანიას მოღვაწეობას ილია ჭავჭავაძის მიერ დაწყებული დიდი ეროვნული საქმის გაგრძელება და მისი ბოლომდე მიყვანა ედება საფუძვლად** (ხაზგასმა ავტორისაა - ა. ნ.)...

კონფლიქტი რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან და იქ პოზიციების დაკარგვა მხოლოდ პოლიტიკური სიბეცე იქნებოდა. არავინ იცოდა, ხვალ რა მოხდებოდა რუსეთში. ამიტომაც იყო ყოვლად მიუღებელი გზის მოჭრა რუსეთის ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ძალასთან. რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან, საერთოდ, რუსეთის სახელმწიფოსთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება ნოე ჟორდანიას პირადი კარიერისთვის კი არ სჭირდებოდა, არამედ ეს აუცილებელი იყო საქართველოსთვის, ერის მომავლისათვის. თუ ასე გავიაზრებთ, ცხადი გახდება, რომ **ნოე ჟორდანია რუსოფილი კი არ ყოფილა, არამედ რეალისტი, შორსმჭვრეტელი პოლიტიკური მოღვაწე** (ხაზგასმა ავტორისაა - ა. ნ.)“ (გურული, 1999: 72).

ვ. გურულის აზრით, ნოე ჟორდანიას ეროვნული მრწამსის ამგვარ შეფასებას სულაც არ უშლიდა ხელს ის გარემოება, რომ იგი 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის იდეასაც კი არ უჭერდა მხარს და მის ამ პოზიციას ასეთ გამართლებას უძებნის: ნ. ჟორდანიას მიერ საქართველოს ავტონომიის იდეისთვის მხარდაჭერა „ნიშნავდა კონფლიქტს არა მარტო ვ. ლენინსა და ბოლშევიკებთან, არამ-

ედ გ. პლეხანოვსა და მენშევიკებთანაც, ე. ი. მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან. ეს კი ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერს აღარ შეეძლო“ (გურული, 1999: 66).

რუსი სოციალ-დემოკრატებისადმი, საერთოდ, რუსეთის ხელისუფლებისადმი ნ. ჟორდანიას ამგვარი ოპტიმისტური დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით მის მიერ შემუშავებულ დოკუმენტებშიც გამოვლინდა ცხადად და აშკარად. ნათქვამისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტებს ხსენებული მასალებიდან.

ფრაგმენტი 1917 წლის 19-24 ნოემბერს გამართულ საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე მიღებული იმ რეზოლუციიდან, რომელიც ნოე ჟორდანიას მიერ იყო დაწერილი: „ქართველი ერი, როგორც ამ ასი წლის განმავლობაში, სდგას რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე.

ქართველ დემოკრატიამ დღიდან თავისი პოლიტიკური არსებობისა თავისი სვე-ბედი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის დემოკრატიას და მასთან ერთად მოქმედებით ფიქრობს თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და ნაციონალური მისწრაფებანი განახორციელოს...

რუსეთის დამფუძნებელ კრებას ჩვენ მოვთხოვთ შექმნას ისეთი ნაციონალური ნორმებისას ქართველი ერისათვის, რომელიც მას მისცემს საშვალებას თავისუფალ კულტურულ განვითარებისას. ასეთ ნორმად მიგვაჩნია საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ კითხვებზე“ (გურული, 1999: 203. ნ. ჟორდანიას პოლიტიკური მოღვაწეობის წარმომჩენი საარქივო დოკუმენტები დამოწმებულია ვახტანგ გურულის წიგნიდან „ნოე ჟორდანია. პოლიტიკური პორტრეტი. 1869-1953“).

როგორც ნოე ჟორდანიას პოლიტიკური ნააზრევიდან და პარტიულ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობიდან თვალნათლივ ჩანს, მისი მსოფლმხედველობრივი თვალთახედვა ერთგვაროვანი არ ყოფილა და არსებითად მნიშვნელოვან ცვლილებებსაც კი განიცდიდა დროთა განმავლობაში განვითარებულ დიდმნიშვნელოვან მოვლენათა ზეგავლენით. ამ პროცესმა ეროვნული პრობლემის მისეული გააზრების დროსაც აშკარად იჩინა თავი.

ყოველივე ზემოთქმულზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად ქვემოთ შევეცდები რამდენადმე მაინც წარმოვაჩინო მის ნა-

აზრევსა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში ამ მიმართულებით გამოვლენილი უმთავრესი ცვლილებანი.

1918 წელს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე ნოე ჟორდანიას ეროვნული მსოფლმხედველობის განმსაზღვრელ ფუნდამენტს წარმოადგენდა არა რუსეთის შემადგენლობიდან ჩვენი ქვეყნის გამოყოფა, არამედ მის სახელმწიფოებრივ სივრცეში ყოფნა ავტონომიური ერთეულის სტატუსით. დამოუკიდებლობის აღდგენისა და ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ კი მან პრორუსული თვალთახედვა შეიცვალა და თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად ევროპასთან საქართველოს დაახლოება დაისახა.

1922 წელს რუსეთის კომუნისტური პარტიისა (ბოლშევიკების) და კომუნისტური ინტერნაციონალის სექციის მიერ გამოცემული იმ წიგნისთვის თანდართულ წინასიტყვაობაში, რომელშიც ნ. ჟორდანიას მიერ ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით დაწერილი ნაწერები იყო გამოქვეყნებული, ხსენებული წინასიტყვაობის ავტორი ი. კაკაბაძე კრებულის ავტორის ეროვნულ-პოლიტიკური მსოფლმხედველობის ამგვარ რადიკალურ გარდაქმნას ასეთ შეფასებას აძლევდა: „ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ კულტურულ ავტონომიიდან ის გადახტა სრულს დამოუკიდებლობამდის, იგემა 26 მაისი, და ვითომც აქ არაფერი მომხთარიყოს, მთლად ერთიანათ წაშალა თავის ისტორიულ-ეკონომიური საბუთები, რომლების მეოხებითაც ის ასე მკაცრად ებრძოდა ნ-დემოკრატებს, ფედერალისტებს, ესერებს და სხვებს. ამნაირათ, თვით შეიქმნა თავის საბუთების მსხვერპლი. ე. ი. განაციონალისტდა... და ვხედავთ ნ. ჟორდანიას გადასროლილს მარქსიზმიდან ნაციონალიზმში“ (ჟორდანია, 1922: V).

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს ნ. ჟორდანიას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მრწამსის ამგვარ ცვლილებაზე, ერთმანეთთან შეპირისპირებული სახით დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტებს ორივე პერიოდის მისი ნააზრევიდან.

ამონარიდები 1918 წლამდე გამოქვეყნებული იმ ნაშრომებიდან, რომელთა მეშვეობითაც ნოე ჟორდანია საქართველოსა და რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი სხვა ქვეყნების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სტატუსის განსაზღვრის მისეულ პარტიულ გეგმას ამგვარად აყალიბებდა: „საქართველოს ეკონომიური განვითარება ყოვლად შეუძლებელია ამიერ-კავკასიის ჩარჩოების გარეშე. და თუ ეს ასეა, ეს გარემოება გვიკარნახებს ერთ საერთო თვითმმართველ ერ-

თეულს და არა ერთი კუთხის გამოყოფას და სხვების ძველებურ მდგომარეობაში ჩატოვებას“ (ჟორდანია, 1922: 227).

ან კიდევ: „მთლიანი ამიერ-კავკასია მთლიან რუსეთში“ (ჟორდანია, 1922: 259).

როგორც ცნობილია, სოციალ-დემოკრატიული პარტიის იდეოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარე, ნოე ჟორდანია აქტიურად აღმოჩნდა დაპირისპირებული ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრე ქართველი მამულიშვილების ეროვნულ მოძღვრებასთან. ამ დაპირისპირების თვალნათლივ და უკომპრომისო გამოვლინებას წარმოადგენდა ის მწვავე პოლემიკა, რომელსაც ხანგრძლივი დროის განმავლობათი აწარმოებდა იგი მათთან, პირველ ყოვლისა კი ილია ჭავჭავაძესთან. ამ დაპირისპირების განმაპირობებელ საფუძველს უპირველეს ყოვლისა ილიას ეროვნული მრწამსისაგან ნოე ჟორდანიას პარტიული პრინციპების რადიკალური განსხვავება წარმოადგენდა.

კერძოდ, რაგინდ უცნაური არ უნდა იყოს, ნ. ჟორდანია მკვეთრად მიჯნავდა ერთმანეთისაგან ქართველი ხალხისა და მისი წიაღის სისხლხორცეული ნაწილის - ქართული ინტელიგენციის ეროვნულ მისწრაფებებს და 1911 წელს გამოქვეყნებულ თავის ნარკვევში - „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ მათ ერთმანეთთან შეპირისპირებული ფორმით ამგვარ შეფასებას აძლევდა: „არც ერთ ხალხს ისე ნაკლებათ არ აინტერესებს ნაციონალური კითხვა, როგორათაც ქართველ ხალხს. არსად ისე სუსტი და გავლენას მოკლებული ნაციონალისტური პარტიები არ არიან, როგორიც არიან ჩვენში. ჩვენმა ინტელიგენციამ დიდი შრომა გასწია, დიდი ენერგია დახარჯა იმისთვის, რომ რამე გზით მიეგნო ხალხის გულისათვის და შიგ ნაციონალიზმი დაესადგურებია. მესამოცე წლების მოღვაწეები ამ მიზნით ნაციონალურ კითხვას აერთებდენ მაშინდელ სოციალურ კითხვასთან. მათ თავიანთ დროშას დააწერეს: ბატონ-ყმობის მოსპობა და ნაციონალური თვითარსებობა. ხალხმა სიამოვნებით მიიღო პირველი, მაგრამ მეორეს სანახევროთ ფრთა შეაკვეცა... ანტირუსული და ანტი-სომხური მიმდინარეობა ჩვენში ყოველთვის ინტელიგენციის გამოგონება იყო და ამიტომ არასოდეს ინტელიგენციას არ გაშორებია. მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა - ნაციონალური მოძრაობა არა ერთხელ ყოფილა, მაგრამ ყოველთვის ეს იყო მოძრაობა ან თავად-აზნაურობის, ან ინტელიგენციის, არასოდეს ხალხის... მისი ნაციონალური დროშა ხალხმა ერთი დაკ-

ვრით უარყო და მის ალაგას ააფრიალა ინტერნაციონალური დრო-შა“ (ჟორდანია, 1922: 56).

ქართველი ხალხის მიერ საკუთრი ნაციონალური (ეროვნული) ინტერესების ამგვარ უარყოფას ნოე ჟორდანია იმხანად ისე დიდ მასშტაბებსაც კი სძენდა, რომ პოლიტიკური ნიშნით აღბეჭდილ ავტონომიაზე კატეგორიულად ამბობდა უარს და მხოლოდ კულტურული ავტონომიის მოთხოვნით შემოიფარგლებოდა.

კერძოდ, ქართველი ხალხის სახელით გაკეთებულ განცხადება-ში თავისი პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე ამ იდეას იგი ამგვარი ფორმით აყალიბებდა: „ჩვენი ხალხი ნაციონალიზმს დღე-საც ისე უარყოფს, როგორც წინეთ, და რა მშვენიერი ხონჩითაც უნდა მიაწოდო - ის მას ხონჩიანა აგდებს. საქართველოს ავტონომიაში ხალხმა დაინახა იგივე ანტირუსული და ანტისომხური მიმდინარე-ობა, რომელიც წინეთ იყო ჩვენში და რაც მან კაი ხანია დაგმო... ის თავიდანვე ამ გზას ადგა და აქედან დღესაც არ უხვევს. ეს ქართვე-ლი ხალხის ისტორიული გზაა... ამიტომ, როცა ქართველი სოციალ-დემოკრატია თავის ერისთვის თხოულობს კულტურულ ავტონო-მიას და არა პოლიტიკურს - ამით ის ხატავს ცხოვრების ღრმა მიმ-დინარეობას. ამით ის წვდება ხალხის გულის ნადებს და მას თავის პროგრამაში შეუმცდარათ აღბეჭდავს“ (ჟორდანია, 1922: 58).

ნ. ჟორდანია ხაზგასმით, ქართველი ხალხის სახელით გამოთ-ქმული მისი ეს მოსაზრება, მართალია, ბევრს აღაშფოთებდა, „მარა ეს ასე იყო“ და ამ რეალობისთვის „აუცილებლად უნდა გაეწიათ ან-გარიში,“ რადგანაც ამას ვერც გულზე ხელის ბრაგუნი დაარღვევდა, ვერც ლანძღვა-გინება, ვერც უიმედობა და სასოწარკვეთილება“ (ჟორ-დანია, 1922: 59).

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ-დე გამოქვეყნებულ თავის წერილობით ნააზრევში რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას ნოე ჟორდანია რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინებით აძლევდა ხაზგასმულად პოზიტი-ურ შეფასებას. კერძოდ, იგი „გადაჭრით ამბობდა“ (მისი სიტყვებია), რომ რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის პერიოდში ქართვე-ლი ხალხი „ერთ სამოქალაქო სარბიელზე გამოსულ ნაციას არ წარ-მოადგენდა.“

აქედან გამომდინარე, ასეთ პირობებში, როცა ჩვენი ქვეყნის „თი-თოეული კუთხე, თითოეული მებატონე მხოლოთ თავის ინტერე-

სებზე ფიქრობდა“ და „საერთო, საერო საქმე არავის აწუხებდა,“ საქართველოს რუსეთის სახით სწორედ მაშინ გამოუჩნდა პატრონი (ჟორდანია, 1922: 63).

ასე რომ, ნ. ჟორდანიას მტკიცებით, „ჩვენში რუსეთის შემოსვლა მოასწავებდა მაღალი პოლიტიკური წყობილების შემოსვლას დაბლისაში. ამიტომ აქ რუსეთი გახდა წესიერების დამცველი“ (ჟორდანია, 1922: 64). ნ. ჟორდანიას მტკიცებით, პირველ ყოვლისა სწორედ „ამით აიხსნებოდა ანტირუსული მიმართულების უნიადაგობა ჩვენში“ (ჟორდანია, 1922: 70).

ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი ისტორიული რეალობის თუნდაც ზედაპირულად მცოდნე მკითხველიც კი უსათუოდ დამეთანხმება იმაში, რომ ნოე ჟორდანიას მიერ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ამგვარი შეფასება პრინციპულად მცდარია და სრულიად გაუმართლებელი.

როგორც უკვე ითქვა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდელ პერიოდში ნოე ჟორდანია ამიერკავკასიაში მცხოვრებ ხალხთა ყოფნას რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ავტონომიური სტრუქტურული ერთეულის სტატუსით მოითხოვდა. მისი ამგვარი გადაწყვეტილების განმაპირობებელ საფუძველს წარმოადგენდა დაუეჭვებელი რწმენა იმისა, რომ ამიერკავკასიელ ხალხთა ერთობის დაშლა და ამ ერთობიდან საქართველოს გამოყოფა ფაქტობრივად წარსულში დაბრუნებას ნიშნავდა და იმდროინდელი რეალობისათვის პრინციპულად შეუსაბამო მოვლენას წარმოადგენდა.

კერძოდ, აი, რას წერდა თავად ის ამასთან დაკავშირებით: „საქართველოს გამოყოფა ამიერკავკასიიდან და მისი ავტონომიურ ერთეულათ გამოცხადება ხატავს ძველ ისტორიულ საქართველოს ურთიერთობას და არა ახალს თანამედროვე მდგომარეობას“.

ნ. ჟორდანიას მიერ კატეგორიული ფორმით გამოხატული ამ თვალსაზრისის არსებითად განმაპირობებელ ფაქტორს წარმოადგენდა მკვეთრად ნეგატიური შეფასება იმ სეპარატისტული მოვლენებისა, რაც რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობამდელი პერიოდის საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა რეგიონებში არსებობდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით. კერძოდ, მისი ხაზგასმით, „მეთვრამეტე საუკუნის გასულს ამიერ კავკასია იყოფებოდა ოცამდინ დამოუკიდებელ ტერიტორიალურ ერთეულებათ... ეს ერთი მეორისაგან გაცალკევება და მტრობა ასუსტებდა მათ და

მძლავრი მეზობლების დაბალ ღობეთ ხდიდა. ამიტომ ასე ადვილათ მოიკალათა აქ რუსეთმა.

მაშასადამე, ამიერ კავკასიის ნაჭრებათ დანაწილება, თვითეული ერისთვის მის მისი ტერიტორიის მოზომვა - ეს ძველი ფეოდალური დროინდელი აზროვნებაა" (ჟორდანია, 1922 :198).

აქედან გამომდინარე, ნოე ჟორდანიასთვის პრინციპულად მიუღებელი იყო მის მიერ ნაციონალისტებად მონათლულ იმ ადამიანთა მოთხოვნა, რომელთა აზრითაც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს არსებობის ყველაზე მეტად მისაღებ ვარიანტს არა ამიერკავკასიის, ანდა მთელი კავკასიის ყოფნა იყო მისაღები ერთი ავტონომიური ერთეულის სტატუსით, არამედ ცალკე, მათგან დამოუკიდებელ ტერიტორიულ ერთეულად არსებობა. კერძოდ, აი, რას წერდა თავად ის ამასთან დაკავშირებით: „კავკასიის ავტონომიურ ერთეულებათ დაჭრა და ამ გზით აქ ნაციონალური თანხმობის ჩამოგდება ერთიანათ ძველი აზროვნებაა, ძველ ნივთიერ ურთიერთობაზე აგებული და შემუშავებული. ეს ასე იყო წინეთ, ისტორიულ წარსულში.

და აი, ეს დრო გადასული აზროვნება ჩვენმა ნაციონალისტებმა თავის დროშაზე დააწერეს, ისტორიული საქართველოს ავტონომია თავის პროგრამათ გამოაცხადეს... ეს ნიშნავს დღევანდელი საქართველოს წასულ საქართველოთ წარმოდგენას, ძველი ნივთიერი და სოციალური ურთიერთობის აწმყოში გადმოტანას" (ჟორდანია, 1922: 199).

კავკასიელ ხალხთა სახელმწიფოებრივი მომავლის სწორედ ამგვარი თვალთახედვით განსჯისა და შეფასების საფუძველზე გამოდიოდა ნ. ჟორდანია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიური სტატუსით არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი რეგიონის ერთ ტერიტორიულ ერთეულად ყოფნის მოთხოვნით და თავისი ამ მოსაზრების უალტერნატივობის დასაბუთებას ამგვარი არგუმენტების მოშველიებით ცდილობდა: „საქართველოს ავტონომია სრულიად არ შეესაბამება საქართველოს ეკონომიურ ინტერესებს. პირიქით, ავტონომია თავისი საკუთარი სავაჭრო პოლიტიკით დაარღვევდა უკვე შემუშავებულ ეკონომიურ ცენტრებს, დაწყვეტდა ეკონომიურ ძაფებს, განდევნიდა უცხო კაპიტალს, უცხო აღებ-მიცემობას და ჩაგვაყენებდა იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ვიყავით ამ ორმოცი წლის წინეთ. ავტონომია ნიშნავს ეკონომიურ რეაქციას...

ავტონომია ნიშნავს შოვინიზმის გაღვივებას და პოლიტიკურ რეაქციას" (ჟორდანია, 1922: 204).

მიუხედავად იმისა, რომ ნოე ჟორდანიას მიერ კატეგორიული ფორმით გამოთქმული ამ მოსაზრების ის ნაწილი, სადაც იგი ამიერკავკასიაში მცხოვრები ხალხების ეკონომიკურ ურთიერთობათა პოზიტიურ მხარეებზე საუბრობს, უთუოდ გასათვალისწინებელია, ხსენებული რეგიონის ერთ მთლიან ავტონომიურ ერთეულად წარმოსახვა და ამ სახით ყოფნა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში არა მარტო ისტორიულად წარმოადგენდა რეალურ საფუძველს მოკლებულ მოვლენას, არამედ მისი აბსურდულობა ამ რეგიონის მკვიდრთა შორის თანამედროვე ეტაპზე არსებული ეთნიკური კონფლიქტებითაც დასტურდება ცხადად და ერთმნიშვნელოვნად.

ნოე ჟორდანიას ეროვნულმა თვალთახედვამ ახალი მასშტაბები შეიძინა ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის შექმნის შემდგომ პერიოდში. როგორც ცნობილია, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ განვითარებულ მოვლენათა შედეგად რუსეთის დროებითმა მთავრობამ ახალი მმართველობითი სტრუქტურული ერთეული - ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი) შექმნა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კავკასიელი წარმომადგენლები აქტიურად შეეცადნენ ეს მოვლენა პირველ ყოვლისა თავიანთი პარტიული ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებინათ და ამ ადმინისტრაციული ერთეულის შემადგენლობაში მოქცეული საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი რუსეთის სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ავტონომიური სტრუქტურული ერთეულის სტატუსით ყოფილიყო შეყვანილი.

ამ იდეის აქტიურ მხარდამჭერად მაშინ ნოე ჟორდანიაც მოგვევლინა. აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა და ამიერკავკასიის მუშათა ორგანიზაციების საოლქო კომიტეტის ეგიდით თბილისში 1917 წელს გამოცემული მისი წიგნი „ნაციონალური კითხვა ამიერ-კავკასიაში. თეზისები და რეზოლიუცია.“ ავტორის განმარტებით, ხსენებული ნაშრომი, რომელიც მას რევოლუციამდე ჰქონდა დაწერილი, წაკითხული იყო „სხვადასხვა კრებაზე, ბოლოს კი ს.-დ. სიეზდზე, რომელმაც მოიწონა მისი ძირითადი დებულებანი და, სიეზდის თხოვნით, დაიბეჭდა ცალკე წიგნაკად“ (ჟორდანია, 1917: 1).

ნ. ჟორდანია შეეცადა, ხსენებული ნაშრომის მეშვეობით მკაფიოდ განესაზღვრა ის სტრუქტურა, რომლის საფუძველზეც უნდა შექმნილიყო ამიერკავკასიის ავტონომიური ტერიტორიული ერთეული

რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში. თავისი ამ ნაშრომით იგი მანამდელზე მეტი რადიკალიზმით მოგვევლინა ამიერკავკასიაში მცხოვრებ ხალხთა ეროვნული ინტერესების დამცველის როლში. მიუხედავად იმისა, რომ მისი ამგვარი რადიკალიზმი რუსეთის შემადგენლობიდან ამ რეგიონის გამოყოფისა და ცალკე სახელმწიფოებრივ ერთეულად (ანდა ერთეულებად) ჩამოყალიბების მოთხოვნამდე არ მისულა, ის აქტიურად გამოვიდა აქ მცხოვრებ ხალხთა ეროვნული ინტერესების დამცველის როლში.

ამ მიზნით ნ. ჟორდანია შეეცადა პირველ ყოვლისა შვეიცარიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით განესაზღვრა ის მმართველობითი სტრუქტურა, რომელიც კვლავაც რუსეთის სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცეული ამ რეგიონის მკვიდრ მოსახლეობას შესაძლებლობას მისცემდა, მტკიცედ დაეცვა საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობა.

ამ თვალსაზრისით იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას პირველ ყოვლისა ამიერკავკასიაში მცხოვრებ ხალხთა ენობრივი უფლებების დაცვას ანიჭებდა. მიუხედავად იმისა, რომ ნ. ჟორდანიას მსჯელობა პარტიული იდეოლოგიითაცაა აშკარად დაღდასმული, ხსენებული ნაშრომის მეშვეობით მან მანამდელ მის ეროვნულ თვალთახედვას აშკარად შესძინა კიდევ უფრო დიდი მასშტაბები.

ნათქვამისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ხსენებული ნაშრომიდან: „პროლეტარიატის ნაციონალური მოთხოვნილება მჭიდროთ დაკავშირებულია მის სამშობლო ენასთან. ის მისთვის უაღრესათ კულტურული კითხვაა. მას არ ძალუძს გამოიყენოს პოლიტიკური უფლებები და აწარმოვოს გამანთავისუფლებელი ბრძოლა გარეშე სამშობლო ენისა; ეს იმდენათ ცხადია, რომ არავითარ განმარტებას არ საჭიროებს... რანაირი პოლიტიკური შენობა მიანიჭებს პროლეტარიატს ამ საშუალებას? პასუხი ერთათ-ერთია: მისი სამშობლო ენის სახელმწიფო ენათ გადაქცევა“ (ჟორდანია, 1917: 1).

დამოწმებული ფრაგმენტი გამონაკლისი არ არის და იმის ნათელსაყოფად, ნ. ჟორდანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას არა მარტო ამ იდეის ხორცშესხმამდე რომ მიიჩნევდა არარეალურ მოვლენად, არამედ უშუალოდ იმ პერიოდშიც, როცა ეს ისტორიული გადაწყვეტილება უკვე იყო მიღებული, არაერთი არგუმენტი შეიძლება დავიმოწმოთ მისი ნააზრევიდან.

მაგალითად, აი, რას წერდა ის 1939 წელს დაწერილ თავის მოგონებათა წიგნში „ჩემი წარსული“ ამ საკითხთან დაკავშირებით: „დღის წესრიგში დაისვა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეს იყო სრულიად მოულოდნელი ამბავი, მისი გატარება ჩვენს რევოლუციონურ ორგანიზაციებში გახდა დიდ თავსამტვრევ ამოცანათ“ (ჟორდანია, 1990: 89).

ნოე ჟორდანიას ეროვნული მსოფლმხედველობის წარმოჩენის დროს განსაკუთრებული ყურადღება მისი ხელმძღვანელობით შემუშავებულ იმ დოკუმენტსაც უნდა მივაქციოთ, რომლითაც მან 1918 წლის 26 მაისს ოფიციალურად გამოაცხადა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. დღესდღეობით ფართო საზოგადოებისთვისაც კარგად ცნობილ ამ დოკუმენტში სწორედ მისი აქტიური ჩართულობით განისაზღვრა ის უმთავრესი პრინციპები, რაც საფუძვლად უნდა დასდებოდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ მომავალს. ამ პრინციპთაგან განსაკუთრებული ყურადღება ამჯერად იმ დამოკიდებულების განმსაზღვრელ პუნქტებს მინდა მივაქციო, რითაც ხელისუფლებას ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები არაქართველი ეროვნების წარმომადგენელთა უფლებების დასაცავად უნდა ეზრუნა აქტიურად.

კერძოდ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, 1918 წლის 26 მაისს, ეროვნული საბჭოს სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ნ. ჟორდანიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საუკუნეების განმავლობაში „თავისი სულიერი ვინაობისთვის, ნაციონალური ორგანიზმისა და ტერიტორიის შესანარჩუნებლად“ მებრძოლი ქართველი ერი იმავდროულად „იმ ერებისთვისაც იბრძოდა, რომელნიც მოსახლეობდნენ მის სახელმწიფოებრივ ფარგლებში...

ეს დიადი ისტორიული მაგალითი ცხოველმყოფელ ანდერძად დარჩა ქართველ ხალხს და ეს სრული გარანტიაა იმისა, რომ დღევანდელ ქართველ ერს შერჩენილი აქვს მისი ძირითადი ისტორიული მიდრეკილება - შეუსაბამოს თავისი ინტერესები სხვა ერთა ინტერესებს...

ვაცხადებთ, რომ ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისევე უფლებამოსილნი, როგორც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა - ქართველობა“ (გურული, 1999: 227).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ნოე ჟორდანიას ეროვნულ-პოლიტიკური ორიენტაცია და სახელმწიფოებრივი თვალთახედვა არსებითად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემ-

დგომ პერიოდში. კერძოდ, ამ დროიდან მოყოლებული მან საბოლოოდ თქვა უარი რუსულ ორიენტაციაზე და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მომავალი ევროპული პოლიტიკური სივრცის განუყოფელ ნაწილად მიიჩნია. ნათქვამის დასტურად არაერთი არგუმენტი შეიძლება დავიმოწმოთ მისი იმდროინდელი ნააზრევიდან.

მაგალითად, 1918 წლის 1 დეკემბერს, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ექვსი წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, წარმოთქმულ სიტყვაში მან ამგვარად განსაზღვრა საქართველოს სახელმწიფოებრივი მომავლის პერსპექტივა: „მთელი ჩვენი სულისკვეთება და ლტოლვილება, დაწყებული მეთერთმეტე საუკუნიდან იყო ის, რომ რამენაირად მოვშორებულიყავით აზიურ კულტურას და შევსულიყავით ევროპიულ კულტურაში...

დღეს ჩვენ შეგვიძლიან შევიდეთ ევროპიულ ხალხთა ოჯახში პირდაპირ, სრულიად უშუამავლოდ. დღეს ჩვენ ამ გზაზე ვართ და ჩვენის ნებით არ გადავუხვევთ“ (გურული, 1999: 250).

სამწუხაროდ, 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის შედეგად, მას, როგორც ქართული სახელმწიფოს სათავეში იმხანად მდგარ პოლიტიკურ ლიდერს, ამ იდეის ხორცშესხმა არ დასცალდა. კერძოდ, რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ გამართულ უთანასწორო ომში დამარცხებული ნოე თავისი მთავრობის წევრებთან და სხვა ქართველ მამულიშვილთა წარმომადგენლებთან ერთად იძულებული გახდა, სამშობლო დაეტოვებინა და ემიგრაციაში გახიზნულიყო.

მიუხედავად ამ საბედისწერო ნაბიჯის იძულებით გადადგმისა, ემიგრაციაში წასვლის წინ ნოე ჟორდანიამ პრინციპულად არ აღიარა ქართული სახელმწიფოს მარცხი და თავისი ხელმოწერით ოფიციალურად არ ცნო საბჭოთა რუსეთის მიერ დანიშნული ჩვენი ქვეყნის ახალი ხელისუფლება. კერძოდ, მისი მთავრობის წევრებთან ერთად მიღებულ გადაწყვეტილებას, მიზანმიმართულად არ მოეწერა ხელი ხსენებული ხელისუფლების კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტისათვის, 1922 წელს, ემიგრაციაში ყოფნის დროს, გამოქვეყნებულ თავის ერთ-ერთ პუბლიკაციაში მან ასეთი შეფასება მისცა:

„ჩვენი დადგენილება იყო - არავითარ შემთხვევაში არ ვიცნობთ რუსის ჯარის მიერ დაყენებულ მთავრობას საქართველოს კანონიერ მთავრობათ. ისინი იყვნენ და არიან საქართველოს ოკუპანტები. როგორც სჩანს, მთელი ეს ქუთაისის კონფერენცია ბოლშევიკების მიერ

იყო მოწყობილი ერთი მიზნით - ჩვენ არ გამოვეშვით ევროპაში და მით დაემტკიცებინათ ევროპისთვის ის ვერსია, რომელსაც აქ ავრცელებდენ - საქართველოში მოხდა შინაური აჯანყება, ხალხმა მთავრობა გადააგდო, რუსის ჯარი აქ არაფერ შუაში არ არისო. და რომ ჩვენ არ წამოვსულიყავით, საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ იქნებოდა გადაფუჩეჩებული და მით ჩვენი საქმე სამუდამოთ დამარხული“ (ჟორდანია, 1922: 1).

ვახტანგ გურულის მართებული შეფასებით, ნოე ჟორდანიასა და მისი მთავრობის წევრთა მიერ მიღებულმა ამ გადაწყვეტილებამ მყარი საფუძველი შექმნა საიმისოდ, ქართველ ხალხს მომავალში კვლავაც რომ გაეგრძელებინა აქტიური და ლეგიტიმური ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად.

კერძოდ, აი, რას წერს თავად ვახტანგ გურული ნოე ჟორდანიასა და მისი მთავრობის წევრთა ამგვარ ქმედებასთან დაკავშირებით: „ვ. ლენინის გეგმა ასეთი იყო: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების დაპატიმრების შემდეგ ნოე ჟორდანია უნდა აეძულებინათ მთავრობის სახელით ხელი მოეწერა კაპიტულაციის აქტზე და გამოეცხადებინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადადგომა. პარალელურად დამფუძნებელი კრება, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, მოიხსნიდა თავის უფლებამოსილებას. ამ ორი დოკუმენტის ძალით საქართველოს რევკომის მიერ ძალაუფლების აღება კანონიერ აქტად გამოცხადდებოდა, საბჭოთა აგრესიაც შეინიღბებოდა...

ნოე ჟორდანიამ ამოიცნო საბჭოთა რუსეთის ვერაგული გეგმები და ამის გაკეთებაზე კატეგორიული უარი განაცხადა... ბოლშევიკების გეგმები ჩაიშალა. საბჭოთა რუსეთი ისტორიაში შევიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპანტად.

ნოე ჟორდანიას მხრიდან ეს იყო არა უბრალოდ პატრიოტული ჟესტი, არამედ წინდახედული ნაბიჯი... **ნოე ჟორდანიამ საქართველოს დაუტოვა სამართლებრივი უფლება ებრძოლა დამოუკიდებლობისათვის**“ (გურული, 1999:112).

როგორც ყოველივე ზემოთქმულიდანაც თვალნათლივ ჩანს, საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციამ საბოლოოდ გამოაცალა საფუძველი რუსეთის პოლიტიკური ელიტისადმი ნოე ჟორდანიას მანამდელ ოპტიმისტურ დამოკიდებულებას.

გ) ფილიპე მახარაძე

ქართული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელი ბირთვის ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი, რევოლუციურ საქმეთა წარმმართველ-ორგანიზატორი და საბჭოთა ხელისუფლების მაღალჩინოსანი ფილიპე მახარაძე (1868-1941 წწ.) მთელი ცხოვრების განმავლობაში მიზანმიმართულად და გეზშეუცვლელად იბრძოდა თავისი პარტიის ანტიეროვნული პრინციპების ხორცშესასხმელად და განსახორციელებლად. ნათქვამის ნათელსაყოფად არა მარტო მისი პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობიდან შეიძლება უამრავი კონკრეტული მაგალითის გახსენება, არამედ იმ პუბლიცისტური წერილებიდანაც, რომლებსაც იგი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე წლებიდან მოყოლებული აქვეყნებდა ამ პრინციპების შემბოჭველ ჩარჩოებში ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის მოსაქცევად და შესაფასებლად.

ფ. მახარაძის რევოლუციური საქმიანობის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული და სუბიექტურად ტენდენციური რომ არაფერია, ამის დასტურად აქ თუნდაც მხოლოდ იმ აქტიური ბრძოლის გახსენებაც იქნება საკმარისი, რომელსაც წიწამურის ტრაგედიის ეს აქტიური ორგანიზატორი ეწეოდა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ მის მკვლელობამდეც და მკვლელობის შემდეგაც (ამასთან დაკავშირებით იხ: ნიკოლეიშვილი, 2002, 175-203).

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, შესაბამის არგუმენტებზე დაყრდნობით კონკრეტულად იქნეს წარმოჩენილი იმ დამოკიდებულების არსი, რასაც ფ. მახარაძე ზემოთ აღნიშნული პარტიულ-იდეოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარე ავლენდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში გამოქვეყნებული თავისი პუბლიცისტური წერილებითაც და პარტიული საქმიანობითაც.

ფ. მახარაძის ამგვარ იდეოლოგიურ თვალთახედვას რევოლუციურ ასპარეზზე გამოსვლის პირველივე წლებიდან ჩაეყარა საფუძველი და მის მსოფლმხედველობას ამ თვალსაზრისით ფაქტობრივად სიცოცხლის ბოლომდე არ განუცდია არსებითი ცვლილება. მაგალითად, "კვალის" 1901 წლის №24-ში დაბეჭდილ წერილში – "ძველი ქართული მწერლობის გამო," რომელიც ალ. ხახანაშვილის წიგნის – "ნარკვევები ქართული სიტყვიერების ისტორიიდან, XIII-XVIII სს."

რეცენზიას წარმოადგენს, ქართულ კლასიკურ ლიტერატურულ მემკვიდრეობას ფ. მახარაძე ამგვარ შეფასებას აძლევდა: "ჩვენ კარგად ვიცით, რომ ძველი ქართული მწერლობა, გარდა ორიოდე ნაწარმოებისა, დღევანდელი მკითხველისათვის არავითარ საზრდოს არ შეადგენს" (მახარაძე, 1924, 250).

ქართული კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი, კონკრეტულად კი "ვეფხისტყაოსნისადმი," თავისი პიროვნული დამოკიდებულება ფ. მახარაძემ ყველაზე მეტად 1904 წელს ქუთაისში გამოცემულ წიგნში – "დანიელ ჭონქაძე და მისი დრო" გამოხატა.

პარტიულ-რევოლუციური პრინციპების ჩარჩოებში მოქცეული ეს წიგნი ყველაზე მეტად ავლენს ფ. მახარაძის ეროვნულ ნიჰილისტურ თვალთახედვას. ავტორი ჩვენს ერს "ისტორიის მიერ დასჯილ და გაუბედურებულ" იმ ხალხად მიიჩნევდა, რომელსაც "არ ყოლიათ გენიოსი მწერლები თუ ხელოვნების წარმომადგენელნი და რომლებსაც თავის ისტორიულ ცხოვრებაში არ გამოუვლიათ არც ერთი ბრწყინვალე ხანა, როცა ხალხი ამოძრავებულიყოს რომელიმე მაღალი იდეის სახელით და მისი მოგონება ღირს-სახსოვარი გამხდარიყოს შთამომავლობისათვის."

მახარაძის შეფასებით, „თქმა არ უნდა, რომ ასეთი ხალხის ცხოვრება მეტად საბრალოა; მის წარსულ ცხოვრებას არ აცისკროვნებს და არ აბრწყინვებს არც ერთი შესანიშნავი პირი, რომლის ნაწარმოები ამაღლებდეს გრძნობა-გონებას და აღვიძებდეს ინტერესს წინსვლისადმი... ვინც ჩვენ ისტორიას გაეცნობა, იგი დარწმუნდება, რომ ასეთი ყოფილა ჩვენი ხალხის ცხოვრება წარსულში" (მახარაძე, 1926, 102).

ზემოთ აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, „იმ ხალხის ისტორიის შესწავლა, რომლის წარსული მოკლებულია ასეთ ცხოველმყოფელ ელემენტებს, რაღაც უაზრო ხდება და თვით მასალა უფერულია." ფ. მახარაძის კატეგორიული მტკიცებით, "ბევრი ჩვენი წარსული ცხოვრების სიტყვით მადიდებელი და ბრმად თაყვანისმცემელი ვაჟბატონი, რომელსაც ამ ისტორიის არაფერი არ გაეგება," მას ასეთი მოსაზრების გამოთქმის გამო "უეჭველათ დაძრახავდა" და გაოცებით გაახსენებდა ჩვენი ისტორიული წარსულის ისეთ ცნობილ გმირებს, როგორებიც იყვნენ: ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ მესამე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და სხვები.

მათგან განსხვავებით, ფ. მახარაძე ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ხსენებულ პირთა მოღვაწეობა ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაიბჭვლებოდა ჩვენი ისტორიის "ბრწყინვალე ხანად," რადგანაც

ერთადერთი რამ, რითაც მათ თავი ისახელეს, "მხოლოთ აუცილებელი სისხლის ღვრა, შეუწყვეტელი ომები და ადამიანთა ჟლეტა" იყო (მახარაძე, 1926, 103).

ჩვენი ერის ისტორიული წარსულისა და სულიერი მემკვიდრეობისადმი ფ. მახარაძის ამგვარი დამოკიდებულება, არსებითად განპირობებული ავტორის პარტიულ-იდეოლოგიური თვალთახედვით, შემთხვევით მოვლენას რომ არ წარმოადგენდა, ამას მისი შემდგომდროინდელი ნაწერებიც ადასტურებენ ნათლად და არაორაზროვნად.

წინამდებარე ნაშრომში ზემოთქმულ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება პირველ ყოვლისა იმიტომაც მინდა მივაქციო, რომ სოციალ-დემოკრატიული (შემდგომში კომუნისტური) პარტიის ანტიეროვნულ იდეოლოგიურ პრინციპებზე დამყარებული სწორედ ამგვარი ნიჰილისტური თვალთახედვა გახდა მკვიდრი საფუძველი იმ შეფასებებისა, რომელთაც ფ. მახარაძე გამოთქვამდა "ვეფხისტყაოსანთან" დაკავშირებით საკმაოდ კატეგორიული და მენტორული ფორმით.

განსხვავებით მისი დროისა და ადრინდელი ხანის ქართველი და უცხოელი რუსთველოლოგებისა და მწერალ-შემფასებლებისაგან, რომლებიც "ვეფხისტყაოსანს" ზოგადსაკაცობრიო საგანძურში ქართველი ხალხის მიერ შეტანილ ყველაზე მნიშვნელოვან წვლილად მიიჩნევდნენ, ფ. მახარაძე კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ "მონური წეს-წყობილებისა და მონური ცხოვრების" განმადიდებელი და "აღმოსავლეთის კილოზე შექმნილი" თავისი პოემით რუსთაველი "არ გადმოგვცემს ხალხის სულისკვეთებას და მის მისწრაფებათ; "ვეფხის-ტყაოსანში" თქვენ ვერ ხედავთ ჩვენი ხალხის ცხოვრებას." ავტორის მტკიცებით, ამნაირი შინაარსის მქონე პოემა მხოლოდ იმ ადამიანთა ინტერესის საგნად შეიძლებოდა ქცეულიყო, რომლებიც "უსაქმოთ და უდარდელათ ატარებდნენ დროს და სხვისი ნაოფლარით ცხოვრობდნენ." ამდენად, ფ. მახარაძე ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ისეთი ნაწარმოები, როგორიც "ვეფხისტყაოსანია," "არასოდეს არ შეიძლება გახდეს რომელიმე ნაყოფიერი მოძრაობის ან მოვლენის სათავეთ" (მახარაძე, 1926, 103). …

"ვეფხისტყაოსანი" გამონაკლისი არ ყოფილა და მსგავს ნიჰილისტურ შეხედულებებს ფ. მახარაძე კლასიკური ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის სხვა დიდმნიშვნელოვან ნიმუშებთან და მათ ავტორებთან დაკავშირებითაც ხშირად გამოთქვამდა ხოლმე. უფრო

მეტიც, ამ შემთხვევაში იგი იმდენად შორსაც კი მიდიოდა, რომ ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში D ხალხის ინტერესების გამომხატველ ნაწარმოებს დანიელ ჭონქაძის "სურამის ციხემდე" ფაქტობრივად საერთოდაც ვერ პოულობდა და კატეგორიულად აღნიშნავდა: "მწერლობა ჩვენშიც, როგორც ყველგან, დიდი ხნიდან არსებობდა, მაგრამ იგი უფრო ძალით გადმონერგილი მცენარე იყო, ვიდრე ჩვენი ცხოვრების ნიადაგზე აღმოცენებული. ამიტომ იგი დაბადებიდანვე მკვდარი იყო; ხალხის ცხოვრების გარეშე იდგა და მასთან არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდა" (მახარაძე, 1926, 140).

იმისათვის, რომ მკითხველისათვის უფრო გასაგები გახადოს მის მიერ გამოთქმული ამ მკრეხელური მსჯელობის არსი, ფ. მახარაძე იმდენად შორსაც კი მიდის, რომ იგი "ვეფხისტყაოსანსა" და "სურამის ციხეს" ერთამნეთთან შეპირისპირებული ფორმითაც აფასებს და ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში თვისებრივად სრულიად ახალი ეტაპისათვის სათავის დამდებ მოვლენად დანიელ ჭონქაძის მოთხრობას მიიჩნევს.

კერძოდ, ავტორის კატეგორიული მტკიცებით, ის ფაქტი, რომ "ვეფხისტყაოსანი" ყველა დროისა და ეპოქის საქართველოში ყველაზე მეტად პოპულარულ ნაწარმოებს წარმოადგენდა, სულაც არ ნიშნავდა იმას, თითქოს იგი თავისი მნიშვნელობითაც გამორჩეულ წიგნს წარმოადგენდა ჩვენს ლიტერატურაში. უფრო მეტიც, ფ. მახარაძე თავგამოდებით ამტკიცებდა, რომ რუსთველის პოემა სინამდვილეში ხალხისთვის უსარგებლო ნაწარმოებია, რომელსაც "დღევანდელი მშრომელი ხალხი ნაკლებათ ეტანება და რაც დრო მიდის, მისი ინტერესი კიდევ უფრო კლებულობს. "ვეფხისტყაოსანს" უფრო ეტანება და გასავალი აქვს საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც დაჩვეულია უსაქმობას და რომელსაც მოსწონს აღმოსავლეთის რაინდული ცხოვრება" (მახარაძე, 1926, 166).

როგორც ვხედავთ, ფ. მახარაძის მსჯელობა იმდენად კურიოზულია და გონივრულ საფუძველს მოკლებული, რომ ავტორის მიერ გამოთქმულ აბსურდულ შეხედულებათა უარსაყოფი არგუმენტების მოხმობა, ვფიქრობ, ყოველგვარ აზრს კარგავს. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ აქაც და საზოგადოდ ყველგანაც, ფ. მახარაძის ამგვარ შეხედულებათა და მტკიცებულებათა განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს პირველ ყოვლისა ავტორის კლასობრივ-პარტიული თვალთახედვა წარმოადგენდა, ის ანტიეროვნული იდეოლოგიური პოლიტიკა, რომელსაც მთელი ცხოვრების განმავლობაში ემსახურებოდნენ ის და მისი პარტიული თანამოაზრენი.

მართალია, "ვეფხისტყაოსნისადმი" ნეგატიური დამოკიდებულების გამომხატველი ზემოთ დამოწმებული ნაშრომები ფ. მახარაძემ პარტიულ-რევოლუციური მოღვაწეობის ადრეულ ხანაში დაბეჭდა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მათი ხელმეორედ და უცვლელი სახით გამოქვეყნებით მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ადრინდელი პოზიცია მას არც შემდგომში შეუცვლია და კვლავაც მტკიცედ და ურყევად რჩებოდა ძველ თვალსაზრისზე.

ფ. მახარაძის ანტიეროვნული თვალთახედვის წარმოჩენისა და შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება მეტად აგრესიულ იმ დამოკიდებულებასაც უნდა მივაქციოთ, რომელსაც თავისი პარტიულ-იდეოლოგიური თვალთახედვიდან გამომდინარე ავლენდა იგი ილია ჭავჭავაძის მიმართ მთელი ცხოვრების განმავლობაში. ილიასთან ფ. მახარაძის დაპირისპირების განმაპირობებელ უმთავრეს საფუძველს ამ შემთხვევაში მსოფლმხედველობათა დიამეტრალური განსხვავებულობა წარმოადგენდა, მოვლენათა შეფასება მკვეთრად გამოხატული კლასობრივი თვალთახედვით. ფ. მახარაძის პარტიული შეხედულებანი, ფაქტობრივად, ანტიეროვნულ პოზიციაზე ერთმნიშვნელოვნად მდგარი კაცის პოზიციას გამოხატავდა. აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით 1920 წელს გაზეთ "საქართველოს კომუნისტის" მე-7 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში: "ჩვენ ეროვნული იდეალების ნაცვლად კლასობრივ იდეალებს ვაყენებთ წინ... ჩვენი მოქმედების სახელმძღვანელოა არა ეროვნული თვით გამორკვევა, არამედ კლასობრივი თვით გამორკვევა".

ცხადია, ისეთი პიროვნებისაგან, ვინც თავადვე აღიარებდა, რომ ეროვნული იდეალები მისთვის უმნიშვნელო პრობლემას წარმოადგენდა, სრულებით არ შეიძლებოდა ყოფილიყო მოულოდნელი ილიას გამოცხადება რეაქციონერად. თუმცა ილია გამონაკლისი სულაც არ ყოფილა და იგი ასეთ შეფასებებს აძლევდა ყველას, ვინც მისეულ "ინტერნაციონალურ კლასობრივ მოძღვრებას" არ იზიარებდა. სწორედ ამგვარი ბრძოლა გაუმართა მან ფედერალისტ-ავტონომისტებს, საერთოდ, ეროვნულ პოზიციებზე მდგარ იმდროინდელ ბევრ ჭეშმარიტ მამულიშვილს.

1917 წელს იგი წერდა: "ჩვენი მიზანია სოციალიზმი და არა ნაციონალიზმი. სოციალ-პატრიოტები კი ყოველგან ნაციონალურს ხედავენ; იმათთვის ნაციონალურ კულტურას, ნაციონალურ ენას, ნაციონალურ ზნე-ჩვეულებათ თავისი დამოუკიდებელი ფასი და მნიშვნე-

ლობა აქვს. ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს. ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს; რაც შეეხება ნაციონალურ ზნე-ჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია" (მახარაძე, 1924: 128).

ამ ვრცელი ამონაწერების მოტანა, ვფიქრობ, აუცილებელი იყო ავტორის ანტიქართული თვალსაზრისის ნათელსაყოფად; და ამ შემთხვევაში და არსებითი ისაა, რომ ფ. მახარაძე გამონაკლისი არ ყოფილა და ამგვარად სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბევრი წარმომადგენელი აზროვნებდა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში.

ეკამათებოდა რა ქართველ "ნაციონალისტებს" (როგორც წესი, "ნაციონალისტებში" იგი გულისხმობდა ყველას, ვინც საქართველოს მომავალს ეროვნული თვალთახედვით სჯიდა), ფ. მახარაძეს არა თუ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა მიაჩნდა საბედისწერო შეცდომად, არამედ ავტონომიის მოთხოვნაც კი. "ჩვენ დღეს ვეწინააღმდეგებით, - წერდა იგი 1905 წელს, - იმ პარტიების მეცადინეობას, რომლებიც ცდილობენ ახლავე ეროვნული ავტონომიის მოპოვებას. ჩვენის აზრით, ასეთი მეცადინეობა მხოლოდ ხელს შეუწყობს რეაქციონურ ძალებს, კონტრ-რევოლუცია გააძლიერონ და მით რუსეთში შეაფერხონ ფართო დემოკრატიული წეს-წყობილების დაფუძნების საქმე" (მახარაძე, 1924: 62).

ფ. მახარაძის აზრით, საკითხის ამგვარად დასმაც კი არაგონივრული იყო, რადგანაც თვლიდა, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს საზღვრების დაწესება, მშრომელი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ, სახელმწიფოთა შორის "ზღუდეების ამართვას" გამოიწვევდა. ამიტომაც მიიჩნევდა იგი თავის უმთავრეს პარტიულ მიზანსწრაფვად ამ ზღუდეების დანგრევას და აღნიშნავდა: "მთელი ქვეყნის მუშა ხალხის მიზანს შეადგენს ამ ზღუდეების დანგრევა და ყველა ქვეყნის მშრომელი ხალხის შეერთება" (მახარაძე, 1924: 22).

ფილიპე მახარაძის ანტიქართულმა თვალთახედვამ და საკუთარი ქვეყნისა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიზანმიმართულად წარმართულმა ბრძოლამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა 1917 წლის თებრვლის რევოლუციის გამარჯვების შედეგად რუსეთის იმპერიაში შექმნილი რეალობისა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შედეგად. იმ დროისათვის გამოქვეყნებული თავისი პუბლიცისტური ოპუსებითაც და პრაქტიკული საქმიანობითაც იგი ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერი ხდება ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მებრძოლი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა.

ქართველთმოძულეობაში აშკარად გადაზრდილი თავისი ამგვარი ქმედებით იგი გააფთრებით უპირისპირდებოდა ეროვნული ინტერესების ყოველგვარ გამოვლინებას და ვერაფრით ეგუებოდა იმ გარემოებას, რომ რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღიდგინა და რეალურად გამოეყო რუსულ იმპერიულ სივრცეს. ამგვარი საქმის ყველა მომხრეს იგი თავისი პარტიის ფსევდოინტერნაციონალური პრინციპების მოღალატედ მიიჩნევდა და პრაქტიკული საქმიანობითაც და პუბლიცისტური ოპუსებითაც ყველაფერს აკეთებდა რუსეთის იმპერიის აღსადგენად და მის სახელმწიფოებრივ სივრცეში საქართველოს ისევ მოსაქცევად.

სამწუხაროდ, ამ ბრძოლაში ფ. მახარაძე მარტო არ ყოფილა და თავისი თანაპარტიელების სახით საკმაოდ ბევრი თანამოაზრე ჰყავდა. მიუხედავად იმისა, რომ მათი განაყოფი მენშევიკური პარტიის ლიდერებმა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ხელისუფლების სათავეში მოსვლის შედეგად პოზიცია შეიცვალეს და აქტიურად შეეცადნენ რუსული იმპერიული სივრციდან თავდახსნილი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მომავლის წარმართვას ევროპასთან კავშირ-ურთიერთობის დამყარებით, მათი ბრძოლა ფილიპე მახარაძესთან, მის თანამებრძოლ ქართველ ბოლშევიკებთან და საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებასთან მარცხით დამთავრდა და საქართველო ხელმეორედ მოექცა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

როგორც მკითხველი ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზეც ნათლად დაინახავს, ფილიპე მახარაძის ანტიქართული საქმიანობის არსებითად განმსაზღვრელ საფუძვლად პირველ ყოვლისა მისი პარტიული თვალთახედვა იქცა. კერძოდ, ანტიეროვნულ პრინციპებზე დაფუძნებული მისი პარტიის ლიდერები თავიანთი სამოქმედო პროგრამიდან ეროვნულ ინტერესებს ფაქტობრივად მთლიანად გამორიცხავდნენ, ინტერნაციონალურ ერთობას ქადაგებდნენ და მათი ბრძოლის უმთავრეს მიზნად მხოლოდ სოციალურ თანასწორობასა და ამ მიმართულებით არსებულ პრობლემათა მოსაგვარებლად ბრძოლას ისახავდნენ.

ამ საქმიანობაში ფ. მახარაძისა და მისი პარტიული კოლეგების აქტიური ჩართულობის არსებითად განმსაზღვრელ მოვლენად ეროვნული ინტერესების სრული უგულვებელყოფა იქცა. როგორც მათი ნაწერებითა და პარტიული საქმიანობით დაუეჭვებლად დასტურდე-

ბა, ქართველი ხალხის მომავალი მათ რუსულ იმპერიულ სივრცეში ცხოვრების გარეშე ვერ წარმოედგინათ და ფსევდოინტერნაციონალური იდეების ქადაგებითა და ამ მიმართულებით მიზანმიმართულად წარმართული საქმიანობის გააქტიურებით ისინი რეალურად მოგვევლინენ საკუთარი ერის მოღალატეებად და ანტიქართულ საქმეთა წარმმართველებად.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ფ. მახარაძის ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ თვალთახედვას საფუძველი პარტიულ ასპარეზზე მისი გამოსვლის პირველივე წლებიდან ჩაეყარა. ამ მოვლენის განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად ქართველ მამულიშვილთა მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ ეროვნულ იდეალად დასახული იმ მისწრაფების ხორცშესხმა იქცა, რომლის მიზანსაც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიის შექმნა წარმოადგენდა.

მაგრამ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებისა და რუსეთის იმპერიაში შექმნილი თვისებრივად სრულიად ახალი რეალობის შედეგად „ავტონომისტთა“ უდიდესი ნაწილის ეს მოთხოვნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სრულად აღდგენის მოთხოვნით შეიცვალა, რასაც ფ. მახარაძისა და მისი თანაპარტიელების მკვეთრად ნეგატიური გამოხმაურებანი მოჰყვა.

მაგალითად, აი, რა შეფასება მისცა აღნიშნულ მოვლენას ფ. მახარაძემ იმხანად გამოქვეყნებულ თავის ერთ-ერთ წერილში: „საკითხი საქართველოს ავტონომიის შესახებ ცოტად თუ ბევრად განსაზღვრული და კონკრეტული სახით დაისვა ჩვენში ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლიუციის დროს. მაგრამ გაცილებით უფრო მწვავედ ეს საკითხი ისმება დღევანდელ ისტორიულ მომენტში. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ ამ კითხვის 1905 წელში დაყენებასა და დღევანდელ მომენტს შორის მეტად ღრმა განსხვავებაა.

1905 წელში საქართველოს ავტონომიას, როგორც უებარ მალამოს, აყენებდენ განსაკუთრებით და მარტო სხვადასხვა ჯურის ქართველი ნაციონალისტები, რომელთა ფრთებს ქვეშ თავს იყრიდენ წარმომადგენლები თითქმის ყველა რეაქციონურ ელემენტებისა და საზოგადოებრივი ჯგუფების, როგორიცაა მაგალითად, ქართველი თავადაზნაურობა, ქართველი სამღვდელოება და ქართველი ბურჟუაზია... წარმომადგენლები პროლეტარიატისა და გლეხობის ყველაზე უფრო შეგნებული ნაწილისა და საერთოდ მთელი მშრომელი კლასი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეთაურობით მე-

ტის-მეტად გადაჭრით ილაშქრებდენ საქართველოს ავტონომიის მოთხოვნის წინააღმდეგ, ვინაიდან ამ მოთხოვნაში ხედავდენ საქართველოს მქონებელ კლასების მხოლოდ რეაქციონურ და შოვინისტურ მისწრაფებებს, რომლებსაც შეეძლო კიდევ უფრო გაეძლიერებია და გაემწვავებია ჩვენში, ე. ი. ამიერკავკასიაში, არსებული ნაციონალური დავა და შეხლა-შემოხლა" (მახარაძე, 1924: 118).

შექმნილი მდგომარეობით განპირობებულ ამ გულისწყრომას ფ. მახარაძეს კიდევ უფრო მეტად უძლიერებდა შეტყობა იმისა, რომ „საქართველოს ავტონომიას ახლა ქართველი სოციალ-დემოკრატების ნაწილიც" მოითხოვდა, რაც კიდევ უფრო მეტად „აძლიერებდა ნაციონალისტების და შოვინისტების გავლენას და ასუსტებდა, ერთის მხრივ, პროლეტარიატის გავლენას ამბების მსვლელობაზე და, მეორე მხრით, პროლეტარიატის კავშირს ჩვენში არსებულ წვრილ ერებთან" (მახარაძე, 1924: 120).

მიუხედავად იმისა, რომ ფ. მახარაძის ანტიქართულ საქმიანობას სიმძაფრე და აგრესია არც ადრე აკლდა, საკუთარი ერისა და სამშობლოს წინააღმდეგ მიზანმიმართულად წარმართულმა მისმა ბრძოლამ ამ დროიდან მოყოლებული, კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა. მაგალითად, 1917 წ. 12 ივნისს გაზეთ „ბრძოლაში" გამოქვეყნებულ სტატიაში - „ნაციონალური საკითხი რუსეთის სოციალ-დემოკრატების საერთო კონფერენციაზე" იგი წერდა: „ნაციონალური საკითხი წარმოადგენს შემაფერხებელ ზღუდეს, რომელიც დგას ინტერნაციონალიზმის და სოციალიზმის გზაზე. ამიტომ საჭიროა როგორმე მისი თავიდან მოშორება, რომ ინტერნაციონალიზმს და სოციალიზმს გზა გავუკაფოთ" (მახარაძე, 1924: 125).

1917 წელს გამოქვეყნებულ თავის წერილებში ფ. მახარაძე უკიდურეს აღშფოთებას გამოხატავდა იმის გამო, რომ იმდროინდელი პოლიტიკური პარტიების უმეტესობა, მათ შორის მენშევიკური პარტიის ლიდერთა ნაწილიც, უკვე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სრულად აღდგენისა და რუსეთთან ურთიერთობის შენარჩუნების ნაცვლად ევროპასთან დაახლოების მოთხოვნებით გამოდიოდა. მაგალითად, 1917 წლის 21 ნოემბერს გაზეთ „ბრძოლაში" გამოქვეყნებულ წერილში - „საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა" ამ მოვლენას იგი ასეთ შეფასებას აძლევდა: „ამ სახელწოდებით მონათლეს ქართველმა მენშევიკებმა და დანარჩენმა ნაციონალისტურმა პარტიებმა ის კრება, რომელიც 19 ნოემბერს გაიხსნა ტფილისში...

ვინ მოიწვია ეს კრება? ეგრეთ წოდებულმა ინტერპარტიულმა საბჭომ. ეს საბჭო შექმნეს ქართველმა რეაქციონერებმა და კონტრ-რევო-

ლუციონურმა ელემენტებმა. ამ საბჭოში დღიდან მისი დაარსებისა შევიდენ ქართველი მენშევიკები... ქართველი ხალხის სახელით ისინი ყოველგვარ კავშირს წყვეტენ რუსეთთან, რუსეთის ხალხთან, რუსეთის მუშებთან და გლეხებთან“ (მახარაძე, 1924: 131).

ყრილობის მონაწილეთა მიერ მიღებული ამ გადაწყვეტილებით აღშფოთებული ფილიპე, რომლისთვისაც რუსეთის სახელმწიფოებრივი შემადგენლობიდან ჩვენი ქვეყნის გამოსვლა პრინციპულად გაუმართლებელ მოვლენად მიაჩნდა, იქვე ისეთ რიტორიკულ კითხვებსაც სვამს, რომელთა მეშვეობით პასუხგაუცემლადაც გამოხატავს თავის მკვეთრად უარყოფით პოზიციას ამ მოვლენისადმი.

ნათქვამისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ კიდევ ერთ ფრაგმენტს ხსენებული პუბლიკაციიდან: „რაზე ეყრდნობიან ხალხის ეს არამკითხე ოპეკუნები? როდის შეეკითხენ ისინი ხალხს? ან შეიძლება ისინი ეყრდნობიან ქართველი კათალიკოზის ლოცვა-კურთხევაზე?.. მენშევიკებმა გასწყვიტეს კავშირი როგორც რუსეთთან, ისე საერთაშორისო პროლეტარიატთან. ისინი შეუერთდენ ქართველ ნაციონალისტებს და კონტრ-რევოლიუციონერებს“ (მახარაძე, 1924: 131).

ფ. მახარაძის განსაკუთრებულ აღშფოთებას ამ შემთხვევაში ის გარემოება იწვევდა, რომ ყრილობის მიერ მიღებულ ამ გადაწყვეტილებას მხარი სოციალ-დემოკრატიული პარტიის განაყოფმაც - მენშევიკური პარტიის გარკვეულმა ნაწილმაც დაუჭირა. ამ მოვლენისადმი მკვეთრად ნეგატიური თავისი დამოკიდებულება მან გაზეთ „ბრძოლის“ 1917 წლის 17 და 24 დეკემბერის ნომრებში გამოქვეყნებული წერილითაც გამოხატა - „ქართველი მენშევიკების ნამდვილი სულისკვეთება“.

კერძოდ, მისი შეფასებით, „ქართველი მენშევიკები, ეგრედ წოდებულ, ქართულ ეროვნულ საბჭოში, რომელიც ქართველი ხალხის დაუკითხავად შეხანხლეს, მჭიდროდ დაუკავშირდენ ნაციონალისტურ პარტიებს, ქართველ ბურჟუა-კაპიტალისტებს და მემამულეებს. ამით მათ უღალატეს როგორც მარქსიზმს, ისე ინტერნაციონალურ სოციალიზმს. მათ უარყვეს კლასობრივი თვალთახედვის წერტილი. იმათ სავსებით იცნეს ის, რასაც ერთ დროს სოციალისტ-ფედერალისტი არჩ. ჯორჯაძე ამბობდა და ქადაგებდა და რასაც მაშინ ჩვენი დღევანდელი სოციალ-პატრიოტები, ქართველი მენშევიკები, უარყოფდენ... მაშინ ნოე ჟორდანია ასეთ შეხედულებას თავგამოდებით ებრძოდა. დღეს კი იგი შეუდარებელი გულმოდგინებით სწორედ არჩილ ჯორჯაძის იდეალს ახორციელებს ცხოვრებაში“ (მახარაძე, 1924: 133).

მენშევიკური პარტიის ლიდერებისადმი ფ. მახარაძის მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულების განმაპირობებელ მოვლენად ის გარემოებაც იქცა, რომ „ქართველი მენშევიკები თითქმის სრულის თანაგრძნობით შეხვდენ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას, კათალიკოზობის აღდგენას. ყველა ამ ცერემონიებში ისინი მონაწილეობას იღებდენ და რეზოლუციები გამოქონდათ" (მახარაძე, 1924: 136).

მთავარი დასკვნა, რომლითაც ფ. მახარაძემ მენშევიკური პარტიის ლიდერთა ამგვარი „პროქართული" სახეცვლილება შეაფასა, ასეთი იყო: „ამ მოლიპულ გზაზე ქართველი მენშევიკები თანდათან დაბლა ეშვებიან" (მახარაძე, 1924: 137).

ფ. მახარაძის ანტიქართული თვალთახედვისა და პრაქტიკული საქმიანობის წარმოჩენისა და შეფასების დროს რამდენიმე სიტყვა საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს ხელმოწერილი საზავო ხელშეკრულების შესახებაც უნდა ითქვას. ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტში" 1920 წლის 8 ივნისს გამოქვეყნებულ წერილში „საზავო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთისა და საქართველოს შორის" მან კიდევ ერთხელ გამოხატა თავისი გულისწყრომა რუსეთის სახელმწიფოებრივი შემადგენლობიდან ჩვენი ქვეყნის გამოყოფის გამო და ამ დოკუმენტს ასეთი შეფასება მისცა: „ზოგიერთებისათვის ამ აქტის უდიდესი მნიშვნელობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა რუსეთმა სცნო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და თავისი ნებით აიღო ხელი მის სუვერენულ უფლებებზე. ისინი, ვინც მხოლოდ ასე აფასებენ საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულებას, პოლიტიკურ შორსმჭვრეტელობას სავსებით მოკლებულნი არიან, ან განზრახ გვიბრმავებენ თვალებს... ისინი ამ შემთხვევაში ივიწყებენ, თუ ვისგან ხდება საქართველო ამ ხელშეკრულების ძალით დამოუკიდებელი" (მახარაძე, 1924: 139).

ფ. მახარაძე აღშფოთებით საუბრობდა იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფლება, ნაცვლად რუსეთთან სიახლოვის შენარჩუნებისა, ევროპასთან კავშირ-ურთიერთობის განმტკიცებას ცდილობდა. კერძოდ, მისი ხაზგასმით, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როცა საქართველო „მოსწყდა საბჭოთა რუსეთს, მისი მმართველი წრეები დღემდის იმის ძიებაში იყვნენ, რომ სადმე, რომელსამე გარეშე ძალაში აღმოეჩინათ თავისთვის მკვიდრი ნავთსაყუდარი. ასეთ ნავთსაყუდარს ეძებდენ ისინი, რა თქმა უნდა, გარეშე საბჭოთა რუსეთისა. ეს უკანასკნელი იმათთვის ყოვლად მიუღებელი იყო. სა-

ნამ გერმანიის კოალიცია გამარჯვებული იყო, მანამ ისინი ასეთ ძალას გერმანიის იმპერიალიზმში ხედავდენ. როცა გერმანია დამარცხდა, ისინი ანტანტის სახელმწიფოებს ჩაუვარდენ კალთაში. იმათი ლოზუნგი იყო: რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, შორს ანარქისტულ, ბოლშევიკურ რუსეთისაგან, რომელიც ველურობის, ბარბაროსობის და საშინელების ქვეყანაა, რომელიც ანგრევს კულტურას, განათლებას, ცივილიზაციასო! სამაგიეროდ იწევდენ ევროპისაკენ, მოუწოდებდენ დასახმარებლად ანტანტის იმპერიალისტებს, იმათ თხოვდენ შველას, დამოუკიდებლობის ცნობას და ამას ჩადიოდენ ვითომც კულტურის, განათლებისა და ცივილიზაციის სახელით. თითქო საკმარისი ყოფილიყო ამის სურვილი, რომ ევროპის მთელი კულტურა აქ ერთბაშად გადმოტანილიყო. იმდენათ დიდი და წარმტაცი იყო ეს გატაცება დასავლეთი ევროპით, რომ ბ. ჩხენკელმა ისიც კი განაცხადა, რომ საქართველო არა თუ კულტურულად, არამედ გეოგრაფიულადაც კი უნდა დაუახლოვოთ ევროპასო... თუ ოქტომბრის რევოლიუციამდე ქართველი სოციალ-დემოკრატი-მენშევიკები რუსეთის კულტურას უარს არ ყოფდენ, როგორ შეიძლებოდა, რომ ეს კულტურა ერთ თვალის დახამხამებაში სადღაც გამქრალიყო ისე, რომ იმისი ადგილი ბარბაროსობას და ველურობას დაეჭირა“ (მახარაძე, 1924: 139).

ფილიპე მახარაძის ანტიქართულ ქმედებათა დამაგვირგვინებელ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ მისი და მისი პარტიული თანამზრახველების აქტიური ძალისხმევითა და წინამძღოლობით საბჭოთა ჯარის შემოყვანა საკუთარი სამშობლოს დასაპყრობად. ამ ქმედებას იგი თავისი ბიოგრაფიის უმნიშვნელოვანეს მოვლენად რომ მიიჩნევდა, ამის შესახებ თავად მასაც არაერთგზის განუცხადებია უდიდესი სიამაყითა და თავმოწონებით.

აღნიშნულის დასტურად აქ იმ სიტყვის ფრაგმენტები მინდა დავიმოწმო, რომლითაც მან თბილისის ნაძალადევის სახალხო სახლში ძალით შეკრებილ ხალხს მიმართა 1921 წლის 13 მარტს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციიდან მე-18 დღეს გამართულ მიტინგზე: „მე მინდა გულახდილად, გულწრფელად გითხრათ, თუ რისთვის შემოვიდა აქ წითელი ჯარი, რა იყო და რა არის მისი მიზანი. აქ მე გავიგე, რომ დამფუძნებელ კრების უკანასკნელ სხდომაზე განაცხადეს, თითქო მე მოღალატე ვიყო, თითქო მე ბოროტი მიზნებით მოვუძღოდი რუსის ჯარებს და სხვ. ასეთ პროვოკაციულ ხმებს მე დიდი ხანია შევეჩვიე. მე არასოდეს არ შევუშინებივარ არავითარ მუქარას, ცილის წამებას, ვინაიდან ღრმად მწამდა და მწამს, რომ ის

საქმე, რომელსაც მე ვემსახურები, არის უაღრესად მუშური და პროლეტარული...

ჩვენ დანაშაულად გვითვლიან იმას, რომ საქართველოში ფეხი შემოდგა წითელმა ჯარმა. და მერე ვინ არიან ეს ვაჟბატონები? ესენი არიან ორ სკამზე მჯდომი მენშევიკები, რომლებიც თავის ძალა-უფლების შენარჩუნებისათვის აქ ეპატიჟებოდენ იმპერიალისტურ სახელმწიფოების ჯარებს" (მახარაძე, 1924: 211).

ფ. მახარაძის განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევდა ის გარემოება, რომ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განვითარების პერსპექტიულ გზად, ნაცვლად რუსეთისა, ევროპის ქვეყნებთან აქტიური ურთიერთობის დამყარებას მიიჩნევდა და „საქართველოსა და რევოლიუციონურ რუსეთს შორის აღმართული იყო შავი რეაქციის, დენიკინის შავი კედელი," რის შედაგადაც „საქართველო გადაიქცა კონტრ-რევოლუციონურ ბუდეთ მთელი კავკასიისთვის."

ფ. მახარაძეს სწორედ ამ მოვლენის აღმაშფოთებელ გამოვლინებად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე იმხანად მომხდარი „ყოველგვარი შეთქმულებები აქედან იწყებოდა... აქ იყვენ შეჯგუფებული მსოფლიოს ყველა კონტრ-რევოლუციონერები და აქედან მზადდებოდა რევოლიუციისათვის საფრთხე... აქ, საქართველოს მიწა-წყალზე, მენშევიკების ლოცვა-კურთხევით სდგებოდა კონტრ-რევოლუციონური რაზმები, რომლების მიზანს შეადგენდა საბჭოთა ძალაუფლების დამხობა. ეს იყო მასხრათ აგდება დიდი რუსეთის მუშათა და გლეხთა მთავრობისა" (მახარაძე, 1924: 213).

დამოუკიდებლობა აღდგენილ საქართველოში არსებული რეალობის ამგვარი სახით წარმოსახვის შემდეგ ფ. მახარაძემ მიტინგზე ძალადობრივი გზით შეკრებილ ხალხს რამდენჯერმე განუცხადა სიამაყითა და თავმოწონებით, რომ მან შეძლო ამ პროცესს წინ აღდგომოდა და პირადად მისი და მისი თანამებრძოლების ძალისხმევით საქართველოში შემოიყვანა წითელი ჯარი, „რომელიც საუკეთესო დამცველი იყო მშრომელებისა და მუშების ინტერესების." მისი ხაზგასმით, ხსენებული ჯარი საქართველოში სწორედ მათი „ნება-სურვილითა და მათი წინამძღოლობით მოვიდა" და ისიც განაცხადა, **„ჩვენ რომ ვუთხრათ, ისინი დღესვე დატოვებენ საქართველოსო"** (მახარაძე, 1924: 213).

ჩვენი ქვეყნის დასაპყრობად მისი და მისი თანამოაზრე ქართველი ბოლშევიკების წინამძღოლობით შემოყვანილ რუსულ ჯარს ფ. მახა-

რაძე „აქ მოსახლე ერების განსათავისუფლებლათ“ (მისი სიტყვებია - ა. ნ.) მოწვეულ მებრძოლ ძალას უწოდებდა, მათ მიერ **„არა ჩვენი ქვეყნის დასაპყრობათ, არამედ ქართველი ხალხის და აქ მოსახლე ერების განსათავისუფლებლათ“** (ხაზგასმები ფ. მახარაძისაა - ა. ნ.) მოყვანილ მეომრებს (მახარაძე, 1924: 2114).

ნათქვამისთვის მეტი სიცხადისა და დამაჯერებლობის მისაცემად დავიმოწმებ კიდევ ერთ ფრაგმენტს ფ. მახარაძის მიერ ნაძალადევის თეატრში წარმოთქმული ზემოთ ხსენებული სიტყვიდან: „ჩვენ მოვედით აქ იმისათვის, რომ გავათავისუფლოთ საქართველო და აქ მცხოვრებნი მენშევიკური უღლისაგან... ამბობენ, თითქო აქ იმისთვის მოვსულიყვეთ, რომ მოვსპოთ საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ ეს მტკნარი სიცრუეა, ცილისწამებაა. დიახ, ჩვენ ვსპობთ მენშევიკური საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ ჩვენ მტკიცეთ ვიცავთ საქართველოს მუშებისა და ყველა მშრომელების დამოუკიდებლობას“ (მახარაძე, 1924: 214).

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში ფილიპე მახარაძის ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად იქცა მისი აგრესიული ბრძოლა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ არაქართველ ხალხთა ფსევდოუფლებების დასაცავად. კერძოდ, იმხანად გამოქვეყნებულ თავის წერილებსა და საჯარო გამოსვლებში იგი აგრესიულად დებდა ბრალს მაშინდელ ხელისუფლებას ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობისადმი დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაში, ძალადობრივი გზით მათი გაქართველების აქტიურ მცდელობასა და მოქალაქეობრივი უფლებების შელახვაში.

მაშინდელი ხელისუფლების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკისადმი ფ. მახარაძის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას 1920 წელს გამოქვეყნებული მისი წერილიც - „ეროვნული საკითხი“ ადასტურებს, სადაც საქართველოში მცხოვრებ არაქართველთა მიმართ ჩვენი ქვეყნის მაშინდელ მესვეურთა მიერ გატარებული მმართველობითი პოლიტიკისადმი აგრესიულმა დამოკიდებულებამ რამდენიმე უმთავრესი მიმართულებით პოვა გამოვლინება.

პირველი, ფ. მახარაძის ბრალდებით, ამ პოლიტიკის უმთავრეს და ყოვლად გაუმართლებელ გამოხატულებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მესვეურები აქტიურად ცდილობდნენ მეზობელი ქვეყნების ტერიტორიათა მითვისებას და ამ გზით ქართული სახელმწიფოს ტერიტორიულ გაფართოებას.

კერძოდ, აი, რას წერდა იგი ამ საკითხთან დაკავშირებით 1920 წელს გამოქვეყნებულ ზემოთ ნახსენებ წერილში: „ამიერკავკასიის სეიმის დაშლისა და ამიერკავკასიაში ცალკე რესპუბლიკების დამყარების შემდეგ მენშევიკების მთელი პოლიტიკა შემდეგი სიტყვებით გამოიხატება: **თავისკენ ზიდე და არ გაუშვა.** ისინი, ჯერ ერთი, **სცდილობენ გააფართოვონ საქართველოს ტერიტორია** მეზობელ რესპუბლიკების ტერიტორიათა ხარჯზე, ჩამოგლიჯონ ნაჭერი იქ, ნაჭერი აქ; მეორეთ, გახადონ ქართველი ხალხი, ან უფრო სწორათ, მისი ზედა წრეები, **დიდმპყრობელ ერად** ყველა დანარჩენი ხალხების მიმართ, რომლებიც ძველისძველიდანვე მოსახლეობდენ საქართველოს ტერიტორიაზე. **საქართველო ქართველებისათვის,** - აი, მენშევიკების პარტიის ძირითადი ლოზუნგი. ამ ლოზუნგმა გააერთიანა მენშევიკების გარშემო კლერიკალებიც, ნაციონალ-დემოკრატებიც... და დაიწყო **არა ქართველების მეტად აღვირახსნილი დევნა.** საქართველოს ყველა მოქალაქენი ორ კატეგორიათ აღმოჩდენ დაყოფილნი: **ქართველებად და არა ქართველებად.** ახლად შექმნილ „დემოკრატიულ“ სახელმწიფოში უკანასკნელი კატეგორიის მოქალქენი, ე. ი. არა ქართველები გერებად იყვნენ მიჩნეული... მათ ეძახიან მოსულებს, რომელნიც საქართველოში მოვიდნენ მაცდური, ავი განზრახვებით, მათ შესახებ ითხზვება ყოველგვარი ჭორები, მათ ამტყუნებენ საქართველოს ღალატში, ეძახიან მოსყიდულ აგენტებს. ერთი სიტყვით, ყოველნაირად ცდილობდენ პატივი აეხადათ, გაეშავებინათ ისინი ქართველი ხალხის თვალში“ (მახარაძე, 1924: 158).

მეორე, მაშინდელი ქართული სახელმწიფოს მესვეურთა და ღვთისმსახურთა მმართველობითი პოლიტიკისა და იმდროინდელ ქართველ მოღვაწეთა მიმართ აგრესიული ფორმით წაყენებულ ბრალდებას წარმოადგენდა ისიც, თითქოს ისინი ზღვარდაუდებელი აგრესიით ცდილობდნენ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები არაქართველების გაქართველებასა და მშობლიური ენობრივი სივრციდან მოწყვეტას.

კერძოდ, ფ. მახარაძის კატეგორიული მტკიცებით, აღნიშნული მიმართულებით მათი ზღვარდაუდებლად გააქტიურების შედეგად „სცენაზე გამოჩნდნენ ქართველ ვაჭრების, ქართველ მექარხნეების, ქართველ მიტროპოლიტების და სხვების ახალი დამპყრობლური ზრახვანი, ქართველი მენშევიკების მეთაურობით, რომელთაც აღმართეს ნამდვილი ჯვაროსნული ომი ყველა ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ, რომელნიც აწარმოებენ აშკარა **გაქართველების პოლიტიკას,** სისხლის და რკინის პოლიტიკას. ეროვნული შევიწროება-დევ-

ნა, ეროვნული დამონება საქართველოში არა-ქართველებისა, მენშევიკების გაბატონების შემდეგ არამც თუ არ შემცირებულა, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა. არ არის საქართველოში არც ერთი ხალხი, რომელიც მენშევიკების დროს არ ყოფილიყოს მიყვანილი სასოწარკვეთილებამდე, რომელიც უკანასკნელ ღონისძიებას არ ხმარობდეს ქართველ მენშევიკების უღლიდან თავის დასაღწევად და გასაქცევად" (მახარაძე, 1924: 174).

საქართველოში მცხოვრებ არაქართველ ხალხთა მიმართ ფ. მახარაძის ამგვარმა ფსევდოლიბერალურმა დამოკიდებულებამ ყველაზე მძაფრი გამოხატულება ოსური სეპარატიზმის მხარდაჭერაში ჰპოვა. კერძოდ, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში იგი ზღვარდაუდებელი აქტიურობით ესარჩლებოდა ოს სეპარატისტებს, რომლებიც შეიარაღებული აჯანყების გზით დაუპირისპირდნენ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას და ამ გზით ცდილობდნენ ქართული სახელმწიფოებრივი სივრციდან გამოყოფას.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, ფ. მახარაძისა და ჩვენი ქვეყნის სხვა მოღალატე ქართველთა მიერ ოსური სეპარატიზმისადმი ამგვარი მხარდაჭერის რეციდივები მაშინ იმდენად მასშტაბურ მოვლენად იქცა და ისე სიღრმისეულად აღიბეჭდა საქართველოში მცხოვრები ოსური ეთნოსის გარკვეული ნაწილის ცნობიერებაში, რომ მისი რეციდივები დღემდე რჩება ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემად.

იმისათვის, რომ ყოველივე ზემოთქმულმა მეტი სიცხადე შეიძინოს და მკითხველს ნათელი წარმოდგენა შეექმნეს ფ. მახარაძის ანტიქართული პოზიციის წარმომჩენი ამ პრობლემის არსზე, დავიმოწმებ რამდენიმე ფრაგმენტს ჩვენი ქვეყნის შემადგენლობიდან გამოყოფის მოთხოვნით აჯანყებულ ოს სეპარატისტთა აქტიურად მხარდამჭერი მისი იმდროინდელი პუბლიკაციებიდან.

ფ. მახარაძის მტკიცებით, „ჯავის ოსებს სრული უფლება ჰქონდათ, ჭეშმარიტი დემოკრატიზმის სახელით მოეთხოვათ, რომ ძალდატანებით არავის მოეხვია მათთვის თავს თავისი ნებისყოფა... შეიარაღებული ძალით ჯავის მოძრაობის ჩაქრობა საერთაშორისო სოლიდარობის პრინციპებით არ მართლდებოდა," რადგანაც იგი „ეწინააღმდეგებოდა მუშათა ინტერნაციონალის ყველა საუკეთესო იდეებსა" და იმ პარტიის პრინციპებს, „რომლის პროგრამაში ერთა თვითგამორკვევის უფლების დაცვა იყო აღიარებული" (მახარაძე, 1924: 148).

აქედან გამომდინარე, ფ. მახარაძე თვლიდა, რომ ოსებთან დაკავშირებით არსებული პრობლემის მოგვარება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ „საქართველოს დემოკრატია ოსების თვითგამორკვევას იცნობდა“ და ჩვენი ქვეყნის შემადგენლობიდან ამ რეგიონის გამოყოფას მხარს დაუჭერდა. მისი მტკიცებით, „თუ ასეთი ცნობა არ მოხდებოდა და ოსეთის აჯანყება ძალით იქნებოდა ჩაქრობილი, მაშინ მთელი პასუხისმგებლობა ამ ძმათა შორის სისხლის ღვრაში თავს დაატყდებოდა საქართველოს მენშევიკების პარტიას და სხვას არავის“ (მახარაძე, 1924: 148).

ოსი სეპარატისტებისადმი თავისი მხარდამჭერი დამოკიდებულება ასეთი აგრესიული ფორმით ფ. მახარაძემ გაზეთ „საქართველოს კომუნისტის“ 1920 წ. 18 ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილშიც - „ფედერალისტები ახმაურდენ“ გამოხატა. იგი კატეგორიული ფორმით ავალდებულებდა ხელისუფლებას, ოსებისთვის სრული შესაძლებლობა მიეცათ საიმისოდ, დაუყოვნებლივ და შეუზღუდველად აღესრულებინათ მათი სეპარატისტული და ანტიქართული მოთხოვნები, რაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობისთვის საფუძვლის გამომთხრელი მოვლენა იქნებოდა.

კერძოდ, აი, რას წერდა თავად ის ამასთან დაკავშირებით: „რათ ჩააჩემდენ ამ ერთ მუჭა ოსებს და აღარ ეშვებიან? ოსებს არ უნდათ არც თქვენი ფული, არც თქვენი წყალობა. ისინი გეუბნებიან: დაგვანებეთ თავი, ჩვენ თავს ჩვენ თვითონ მოვუვლითო. თქვენ კი თავს არ ანებებთ და მერე აყვედრით, რომ ამდენსა და ამდენს ხარჯავთ იმათზე. ეს კიდევ არაფერი: „სახალხო განადგურებით და გაქრობით ემუქრებით ოსებს ურჩობისათვის. „საუკუნოდ უნდა დაჰკარგოთ ღალატის ხალისიო,“ სწერს ის. „კმარა! საქართველოს აღარ შეუძლია ზურგს უკან გამუდმებით იყოლიოს შეიარაღებული მოღალატეო“ (მახარაძე, 1924: 150).

როგორც დამოწმებული ფრაგმენტებითაც ნათლად ჩანს, ოსური სეპარატისტიზმისადმი აშკარად მხარდამჭერი თავისი წერილებითა და აღნიშნულ მიმართულებით იმხანად მიმდინარე მოვლენებში აქტიური პიროვნული მონაწილეობით ფ. მახარაძე ქართული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ძირის გამომთხრელ ანტიქართველად გვევლინება.

სწორედ ამ სავალალო რეალობის თვალნათლივ გამოვლინებას წარმოადგენდა მაშინდელი ხელისუფლებისათვის მის მიერ წაყენე-

ბული ორი უმთავრესი ბრალდება. პირველი, ის, რომ „მენშევიკებმა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ხალხის უსანქციოდ, მისგან დასტურის მიუღებლად, გამოაცხადეს“ და, მეორე, მისთვის კატეგორიულად მიუღებელი ამ „სავალალო“ მოვლენის შედეგად, „პატარა ოსეთს მოუხდა უშუალოდ შეჯახებოდა ქართველ მენშევიკების დიდმპყრობელურ მისწრაფებებს“ (მახარაძე, 1924: 160).

ფ. მახარაძე არა მარტო ზოგადად საუბრობდა იმდროინდელი ხელისუფლების „დიდმპყრობელურ მისწრაფებებზე,“ არამედ ჰიპერპოლიზებული ფორმითაც „წარმოაჩენდა“ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები არაქართველებისადმი „დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას.“ კერძოდ, მისი „მტკიცებით,“ საქართველოში მცხოვრები „ყველა ოსები კანონს გარეშე არიან გამოცხადებული, აღიარებული არიან ქართველი ხალხის მტრებათ და მათ მიმართ სჩადიან ყოველგვარ ძალადობას, შეურაცხყოფას, თვით მშობლიურ კერიდან ძალდატანებით გადასახლებამდე. ოს ხალხთან ბრძოლის ისტორია ესაა საქართველოს მენშევიკური მთავრობის ყველაზე უფრო სამარცხვინო ფურცელთაგანი. ყველა ამის შემდეგ გასაკვირალი არ არის, რომ ოსი ხალხის სახით საქართველოს მენშევიკურმა პარტიამ შეიძინა ყველაზე უფრო მოსისხლე მტერი“ (მახარაძე, 1924: 162).

ფ. მახარაძის მტკიცებით, მენშევიკური ხელისუფლების მიერ ოსების დასამორჩილებლად გატარებული ამგვარი აგრესიული პოლიტიკის შედეგს წარმოადგენდა ის გარემოება, „სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებმა მაშინ გადასწყვიტეს თავისი ავტონომიის დაცვა... მაგრამ მენშევიკებმა იცოდენ, თუ რას ნიშნავდა სამხრეთ ოსეთის ავტონომია. მათ იცოდენ, რომ ოსები საბჭოთა ორიენტაციას იზიარებდენ, და ექნებოდათ რა ავტონომია, მის ფარგლებში საბჭოთა წყობილებას განახორციელებდენ. მაგრამ ამას ვერას გზით ვერ შეურიგდებოდა საქართველოს „დემოკრატიული“ რესპუბლიკა. და აი, „დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს“ გაჩენის თითქმის პირველი დღეებიდანვე მენშევიკებმა ოსეთის ხალხს აშკარა ომი გამოუცხადეს. მენშევიკებს გაგონებაც კი არ სურდათ ოსების ავტონომიის შესახებ. ოსებს უნდა დაეკიწყნათ ეს ავტონომია. ის უნდა შესულიყო ქართული სახელმწიფოებრივობის ჩარჩოებში, უნდა ეცნო ქართველი ხალხის უზენაესობა და დიდმპყრობელობა, ოსებს უარი უნდა ეთქვათ თავის ენის ხმარებაზე სკოლაში, საქმიან დამოკიდებულებაში და სხვა. ოსების დასარწმუნებლად მათ მისწრაფებათა უსაფუძვლობასა და უნიადაგობაში ოს ხალხთა ყრილობაზე იგზავნება თვით **ირ. წერეთელი,** მაგ-

რამ მთელ მის მჭევრ-მეტყველებას ამსხვრევს ოსების შეუდრეკელობა. მაშინ მენშევიკების მთავრობა ძალ-დატანებით ზომებს მიმართავს. იწყება უუსასტიკესი ბრძოლა რუსეთის დიდი რევოლიუციის მიერ ყველა ხალხებისადმი მინიჭებულ თვითგამორკვევის მაძიებელ პატარა ოს ხალხსა და მენშევიკებს შორის, რომელნიც არც ერთს ნაციონალურ უმცირესობას არ აძლევდენ ამ მონაპოვრით სარგებლობის უფლებას“ (მახარაძე, 1924: 160).

საქართველოში მცხოვრები ოსი სეპარატისტების შეიარაღებული აჯანყების აქტიურად მხარდამჭერის როლში ფილიპე მახარაძე 1920 წელს გაზეთ „კომუნისტის“ 13 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული იმ წერილითაც მოგვევლინა, რომელსაც ერქვა „ყველას გასაგონად (სამხრეთ ოსეთის აჯანყების გამო).“ თავისი ამ პუბლიკაციით მან კიდევ ერთხელ გამოუცხადა აქტიური თანადგომა ოს სეპარატისტებს და ჩვენი ქვეყნის მაშინდელ ხელისუფლებას ბრალი დასდო მათდამი დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაში.

როგორც განხილული პუბლიკაციიდანაც თვალნათლივ ჩანს, ჩვენს ქვეყანაში, ძირძველ ქართულ მიწაზე, მცხოვრები ოსებისადმი ფ. მახარაძის ხაზგასმულად მხარდამჭერი დამოკიდებულების განმაპირობებელ ფაქტორებად ორი უმთავრესი მოვლენა იქცა: პირველი ის, რომ, მისი მტკიცებით, მათი ბრძოლის უმთავრესი მიზანი საბჭოთა ხელისუფლების დამყარება და ამ გზით რუსეთის სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცევა იყო, და, მეორე, ისინი თავიანთი ამგვარი შეიარაღებული გამოსვლებით ეროვნული თვითგამორკვევისა და საქართველოსაგან გამოყოფისაკენ მიისწრაფოდნენ.

ავტორისეულ თვალთახედვაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად კვლავ დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ხსენებული წერილიდან: „სამხრეთ ოსეთი კვლავ აჯანყდა და თავის შინ მან საბჭოთა ხელისუფლება (მთავრობა) გამოაცხადა. ის ისწრაფვის ეროვნული თვითგამორკვევისაკენ. ასეთი აჯანყება იქ დაახლოვებით ამ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში მესამეჯერ ხდება. აქედან აშკარაა, თუ რანაირ სერიოზულ მოვლენასთან გვაქვს ჩვენ საქმე... საქართველოს სხვადასხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიების დამოკიდებულება იმ წვრილ ეროვნებათა ნაციონალური თვითგამორკვევის საკითხთან, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ, წინდაწინვე ყველასთვის აშკარაა: ეს პარტიები არავითარ თვითგამორკვევის უფლებას არ სცნობენ არა თუ საქმით, არამედ სიტყვითაც კი და მიტომ ისინი გადაჭრით ძალადობის მომხრენი არიან და

ითხოვენ, რომ სამხრეთ ოსეთის აჯანყება იარაღის საშუალებით იქნას ჩაქრობილი" (მახარაძე, 1924: 145).

ფ. მახარაძის მტკიცებით, იმჟამინდელი ხელისუფლებისაგან განსხვავებით, საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერთა დამოკიდებულება ოსი სეპარატისტების ანტიქართული შეიარაღებული აჯანყებებისადმი, რომელთა უმთავრეს მიზანსაც თითქოსდა „ეროვნული თვითგამორკვევა" წარმოადგენდა, ერთმნიშვნელოვნად ცხადი და ნათელი იყო: კომუნისტური პროგრამა ყველას გასაგონად ამბობდა, რომ ყველა ეროვნებას ჰქონდა უფლება **ნაციონალური თვითგამორკვევისა სრულ გამოყოფამდე და ცალკე სახელმწიფოს დაარსებამდე** (ხაზგასმა ავტორისაა - ა. ნ.). მაშასადამე, ამ უფლებას ჩვენ ვერც სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთ წავართმევდით, რამდენათაც მათ განსაზღვრული ტერიტორია უჭირავთ და რამდენათაც ისინი სხვა ეროვნებათა ტერიტორიას თავს არ ესხმიან. ამას თხოულობს ნამდვილი ჭეშმარიტი დემოკრატიზმის პრინციპი და ამიტომ ნაციონალური მოძრაობის ძალდატანებითი ჩაქრობა დაუშვებელი და დასაგმობია" (მახარაძე, 1924: 145).

ოსი სეპარტატისტების ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ შეიარაღებულ აჯანყებათა გასამართლებლად და მხარდასაჭერად ფ. მახარაძეს იქვე კონკრეტული „არგუმენტებიც" მოჰყავდა, რომელთა მეშვეობითაც უმკაცრესად გმობდა ქართული სახელმწიფოს იმდროინდელ მესვეურთა მიერ მათ მიმართ გატარებულ პოლიტიკას.

კერძოდ, აი, რას წერდა იგი ხსენებულ წერილში ამ პრობლემასთან დაკავშირებით: „თავის პოლიტიკას სამხრეთ ოსეთის შესახებ მენშევიკები ამართლებენ შემდეგი საბუთებით: 1) სამხრეთ ოსეთის თვითგამორკვევა ნიშნავს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ გალაშქრებას; 2) ოსეთის შეიარაღებული აჯანყება საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ რუსეთთან საზავო ხელშეკრულების დარღვევაა; 3) ოსეთის მოძრაობა ეს ჩამორჩენილი კუთხის მოძრაობაა, ისაა მოძრაობა საშუალო საუკონოების ახალი დროის დემოკრატიის წინააღმდეგ, რასაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა წარმოადგენს... ვერც ერთი ამ საბუთთაგანი კრიტიკას ვერ უძლებს. რით უნდა შეუშალოს ხელი პატარა ოსეთის თვითგამორკვევამ შედარებით დიდ საქართველოს დამოუკიდებლობას... პატარა ოსეთის არსებობა ხელს ვერ შეუშლის საქართველოს არსებობას, რომელიც სრულებით არ საჭიროებს პატარა ოსეთის ტერიტორიას" (მახარაძე, 1924: 146).

ოსური სეპარატიზმის ამგვარად მხარდამჭერ თავის წერილებში ფ. მახარაძე ქართული სახელმწიფოს იმდროინდელ ლიდერებს ბრალს იმაშიც დებდა, რომ ოსები გამონაკლისნი არ ყოფილან და ქართველ ნაციონალისტთა რეპრესიებისა და აკლების ობიექტად ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც იყვნენ ქცეულნი პერმანენტულად.

მაგალითად, აი, როგორ განზოგადებულ შეფასებას აძლევდა იგი ოსი სეპარატისტების შეიარაღებულ აჯანყებათა აღსაკვეთად ქართული სახელმწიფოს მესვეურთა მიერ გატარებულ ღონისძიებებს ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ სხვა არაქართველ ეთნოსთა მდგომარეობასთან მიმართებით: „ჩვენ ვხედავთ მენშევიკების მიერ განაპირა კუთხეების სისტემატიურ დაპყრობას, საქართველოსადმი მათ ძალდატანებით შემოერთებას, ავაზაკურ ომებს მეზობლებთან, სისხლის მღვრელ შეტაკებებს ნაციონალურ უმცირესობებთან. ოსი ხალხის სისხლიანი აკლება თითქო გათავებულია. ამ მხრივ მათ მეტად ცინიკურად გამოიყენეს ოსი ხალხის უკანასკნელი აჯანყება ჯავის ხეობაში 1920 წლის ივნისში, რათა იგი საბოლოოდ გაენადგურებინათ. გამხეცებული სახალხო გვარდიელები, ნ. ჟორდანიას და ნ. რამიშვილის მთავრობის დირექტივების თანახმად, სჩადიოდენ ისეთ საშინელებას, როგორიც ისტორიამ ძალიან ცოტა იცის. მცხოვრებლებს ხვრეტდენ განურჩევლად, ქონებას იტაცებდენ. ვინც მოასწრო, გაექცა ამ საშინელებას, ხოლო სოციალისტურმა მთავრობამ გადასწყვიტა ცოცხლად დარჩენილების სამხრეთ ოსეთიდან გადასახლება და მათ მაგივრად იქ ქართველების ჩასახლება. მთავრობას ეს ზომა უკვე მოყავს სისრულეში“ (მახარაძე, 1924: 161).

სამწუხაროდ, საქართველოში, ძირძველ ქართულ მიწაზე, მცხოვრები ოსების სეპარატისტული შეიარაღებული გამოსვლებისადმი ფ. მახარაძის ამგვარი დამოკიდებულება არა მარტო ისტორიული თვალსაზრისითაა დასაგმობი და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მთლიანობისთვის ძირის გამომთხრელი მოვლენა, არამედ იგი დღემდე რჩება ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ სხვა არაქართველ ეთნოსთა გარკვეული ნაწილისთვისაც სეპარატისტულ მისწრაფებათა გამაღვივებელ ფაქტორად.

თავად ოსური ეთნოსის მნიშვნელოვანი ნაწილის ცნობიერებაში ამ ტენდენციის გამოვლინება კი დღემდე რომ არ არის ქცეული მათი ისტორიის განვლილ ეტაპად და კვლავაც წარმოადგენს ქართული სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ ურთულეს და დღემდე გადაუჭრელ პრობ-

ლემას, ეს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომდროინელ პერიოდში ცხინვალის რეგიონში არსებული ურთულესი მდგომარეობითაც თვალნათლივ ჩანს.

აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით ფ. მახარაძის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციებისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ მათში ოსური სეპარატიზმისადმი საბჭოთა რუსეთის მხარდამჭერ დამოკიდებულებაზეცაა ყურადღება გამახვილებული. მიუხედავად იმისა, რომ თავად ის ამ მხარდაჭერას უარყოფს, მისეული მონათხრობიდან მაინც ჩანს, რომ საბჭოთა რუსეთის მესვეურები არა მარტო სიტყვიერად უჭერდნენ მხარს ოს სეპარატისტებს, არამედ მათ შეიარაღებულ გამოსვლებსაც უწევდნენ ორგანიზებას.

ფ. მახარაძის ანტიქართული თვალთახედვის შეფასების დროს რამდენიმე სიტყვა აფხაზებთან დაკავშირებით გამოთქმულ მისეულ მოსაზრებებზეც უნდა ითქვას. მიუხედავად იმისა, რომ საანალიზო პერიოდში გამოქვეყნებულ თავის წერილებში იგი მათ შესახებაც გამოთქვამს საკუთარი პარტიული ინტერესებით დაღდასმულ შეხედულებებს, მისეული მოსაზრებანი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ოსური პრობლემის შეფასებისთვის დამახასიათებელი ექსტრემიზმითა და ანტიქართული აგრესიით ნაკლებად ხასიათდება.

თავად ფ. მახარაძის თქმით, აფხაზური პრობლემისადმი მის ამგვარ დამოკიდებულებას არსებითად განაპირობებდა ის ფაქტი, რომ „აბხაზებს მენშევიკები საქართველოს ნაციონალისტური წრეების ტრადიციის მიხედვით ფორმალურად ცოტა სხვანაირად ექცეოდნენ, ვიდრე ყველა დანარჩენ ხალხებს; ისინი მათ ოფიციალურად ისე არ ამცირებდნენ, როგორც, მაგალითად, სომხებს, ოსებს, რუსებს და სხვებს."

თუმცა, აღნიშნულ პოზიტიურ შეფასებასთან ერთად, იგი იქვე იმასაც აღნიშნავდა, რომ მენშევიკური მთავრობის მესვეურებს არც აფხაზებთან ჰქონდათ საბჭოთა რუსეთის პარტიულ იდეოლოგიასთან შესატყვისი ურთიერთობა. კერძოდ, მისი შეფასებით, ჩვენი ქვეყნის იმჟამინდელი ხელისუფლების თავკაცებს „აბხაზებთან ისევე ჰქონდათ ურთიერთობა გამწვავებული, როგორც ყველა დანარჩენ ნაცინალურ უმცირესობებთან. მათი დიდმპყრობელური დაპყრობითი ზრახვები და მოქმედებანი საკმაოდ განიცადეს სოხუმის ოლქში მოსახლე ხალხებმაც და პირველ ყოვლისა თვით აბხაზებმაც" (მახარაძე, 1924: 162).

ფ. მახარაძე სწორედ ამ მოვლენის ერთ-ერთ სამწუხარო გამოვლინებად მიიჩნევდა იმ გარემოებას, რომ „ჯერ კიდევ 1918 წლის პირველ

ნახევარში, როდესაც თვითგამორკვეულმა აბხაზეთმა საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადა და განდევნა იქიდან ქართველი მენშევიკები, რომელნიც იქ ბატონობდნენ თებერვლის რევოლიუციის დღიდან, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „სოციალისტური“ მთავრობა იქ გზავნის ბურჟუაზიისა და თავადაზნაურობის შვილებისაგან შედგენილ ჯარებს აბხაზეთის მშრომელი მასების ხელისუფლების დასამხობად. და რას ვხედავთ? მენშევიკური ჯარები უერთდებიან აბხაზეთში ხალხის მტრებს, ყველა კონტრ-რევოლიუციონურ ელემენტებს, აბხაზეთის თავადებს, მიწის მფლობელებს, მეთამბაქოე-პლანტატორებს და ბობოლებს და იმორჩილებენ საბჭოთა აბხაზეთს. ამ დროიდან აბხაზეთი დაპყრობილია მენშევიკების ოფიცერთა ბანდების მიერ მეფის გენერალ თუხარელის მეთაურობით... მენშევიკები დაპირდნენ აბხაზეთის ხალხს ავტონომიას, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვით“ (მახარაძე, 1924: 162).

როგორც ფ. მახარაძის იმდროინდელი პუბლიკაციებიდან თვალნათლივ ჩანს, აფხაზი და ოსი სეპარტისტებისადმი ფილიპე მახარაძის ესოდენი ტენდენციურობით მხარდამჭერ დამოკიდებულებას არსებითად განსაზღვრავდა ის გარემოება, რომ ისინი საბჭოთა რუსეთთან შეერთებასა და მის სახელმწიფოებრივ სივრცეში ცხოვრებას მოითხოვდნენ უპირობოდ. მაგალითად, აი, რა შეფასებას აძლევდა იგი აფხაზთა ამგვარ მისწრაფებას 1920 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში: „აბხაზეთის მუშურ-გლეხური მასსები მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლებას და დიდ მუშურ-გლეხურ რუსეთთან მჭიდრო კავშირს“ (მახარაძე, 1924: 164).

ოსები და აფხაზები გამონაკლისნი არ ყოფილან და მსგავსი თანადგომა ფ. მახარაძემ თავისი იმდროინდელი პუბლიკაციებითაც და საჯარო გამოსვლებითაც საქართველოში მცხოვრებ სხვა არაქართველ ხალხებსაც გამოუცხადა, რითაც იგი რეალურად შეეცადა მათი ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი, მოღალატეობრივი სულისკვეთების გამძაფრებას.

ამ თვალსაზრისით იგი განსაკუთრებულ მიკერძოებას სომხების მიმართ ავლენდა და გამძაფრებული ფორმით გამოხატავდა გულისწყრომას იმის გამო, რომ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ არაქართველთაგან სომხებისადმი „საქართველოს მენშევიკური მთავრობის დამოკიდებულება ვერაგული“ იყო.

სწორედ ამ რეალობის გამოვლინებად მიაჩნდა მას ის ფაქტი, რომ „საქართველოში რაოდენობით ყველაზე უფრო სხვილი სომხური მო-

სახლეობა, როგორც ნაციონალური უმცირესობა, საქართველოს მთავრობის მიერ იდევნებოდა" და ეროვნულად და ენობრივად დისკრიმინაციულ პირობებში ცხოვრობდა (მახარაძე, 1924: 165).

ფ. მახარაძის აზრით, ამ დისკრიმინაციის ერთ-ერთ უმთავრეს გამოვლინებას წარმოადგენდა დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული ის კანონი, რომლითაც დეპუტატებს ამ კრებაზე რუსულად სიტყვით გამოსვლის უფლება არ ეძლეოდათ. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებით აღშფოთებული ფ. მახარაძე ამ მოთხოვნას „ბედის ირონიას" უწოდებდა, იმის შესახებ კი სიტყვასაც არ ძრავდა, საქართველოში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია ქართული ენის დაუფლებასაც რომ ავალდებულებდა (მახარაძე, 1924: 167).

სამწუხაროდ, ფილიპე მახარაძის ანტიქართული ეროვნული თვალთახედვა წინამდებარე ნარკვევში დაფიქსირებული მოვლენებით არ შემოიფარგლება და გაცილებით დიდ მასშტაბებს მოიცავს.

როგორც ჩვენს ქვეყანაში დღესდღეობით არსებული რეალობაც ადასტურებს, საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ ესოდენი აგრესიით ამხედრებული ამ პიროვნებისა და მისი თანამოაზრეების ანტიეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებათა რეციდივები არც ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ყოფიდანაა ამოძირკვული.

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მესვეურების მიერ გატარებული ეროვნული პოლიტიკისადმი ფ. მახარაძის მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულების გამოხატვამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა 1921 წელს ჯერ რუსულ ენაზე, შემდეგ კი, იმავე წელს, ქართულ ენაზე გამოცემულ წიგნში - „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში".

კერძოდ, საქართველოში მცხოვრები არაქართველი ხალხების მიმართ იმჟამინდელი ხელისუფლების მიერ გატარებული მმართველობითი პოლიტიკის მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულების განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად ფ. მახარაძე პირველ ყოვლისა იმ გარემოებას მიიჩნევდა, რომ მენშევიკები აშკარად გამოხატავდნენ საქართველოში მცხოვრები არაქართველი მოსახლეობისადმი ზღვარდაუდებლად აგრესიულ დამოკიდებულებას. კერძოდ, აი, რას წერდა თავად ის ამასთან დაკავშირებით:

„საქართველო ქართველებისათვის - აი, მენშევიკების პარტიის ძირითადი ლოზუნგი... და დაიწყო **არაქართველების მეტად ალვირ ახსნილი დევნა. საქართველოს ყველა მოქალაქენი ორ კატეგორიად აღ-**

მოჩნდნენ დაყოფილნი: ქართველებად და არა-ქართველებად. ახლად შექმნილ „დემოკრატიულ“ სახელმწიფოში უკანასკნელი კატეგორიის მოქალაქენი, ე. ი. არაქართველები გერებად იყვნენ მიჩნეულნი (ხაზგასმები ავტორისაა - ა. ნ.)... მათ შესახებ ითხზვებოდა ყოველგვარი ჭორები, მათ ამტყუნებდნენ საქართველოსადმი ღალატში, ეძახდნენ მოსყიდულ აგენტებს“ (მახარაძე, 1921: 84).

ყოველივე ზემოთქმულის „ნათელსაყოფად“ ფ. მახარაძე ზღვარდაუდებელი სიძულვილით საუბრობდა იმ „ძალადობრივ“ დამოკიდებულებაზე, რომელსაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება ავლენდა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები არაქართველებისადმი. მისი ამგვარი გამოქომაგების არეალში ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც პირველ ყოვლისა ოსები მოხვდნენ. კერძოდ, ოსთა სეპარატისტული და მკვეთრად გამოხატული ანტიქართული ქმედებებისადმი თავის ადრინდელ მხარდამჭერ დამოკიდებულებას ფ. მახარაძემ ხსენებულ პუბლიკაციაში კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შესძინა და ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას ბრალი დასდო იმაში, რომ „დამოუკიდებელი“ ქართული სახელმწიფოს გაჩენის თითქმის პირველ დღეებიდანვე მენშევიკებმა ოსეთის ხალხს აშკარა ომი გამოუცხადეს“ (მახარაძე, 1921: 85).

ამ მოვლენით აღშფოთებული ფილიპე ზღვარდაუდებელი აგრესიით გმობდა ქართული სახელმწიფოს მესვეურთა ამდაგვარ ეროვნულ პოლიტიკას და ამ სიტყვებით „ამხელდა“ მათ თითქოსდა „დისკრიმინაციულ“ დამოკიდებულებას არა მარტო ოსებისადმი, არამედ საქართველოში მცხოვრები სხვა არაქართველი ხალხებისადმიც: „ჩვენ ვხედავთ მენშევიკების მიერ განაპირების სისტემატიურ დაპყრობას, ავაზაკურ ომებს მეზობლებთან, სისხლის მღვრელ შეტაკებებს ნაციონალურ უმცირესობებთან... სოციალისტურმა მთავრობამ გადასწყვიტა ცოცხლად დარჩენილების სამხრეთ ოსეთიდან გადასახლება და მათ მაგივრად იქ ქართველების ჩასახლება... ოს ხალხთან ბრძოლის ისტორია ესაა საქართველოს მენშევიკური მთავრობის ყველაზე უფრო სამარცხვინო ფურცელთაგანი“ (მახარაძე, 1921: 87).

ვფიქრობ, ჩვენი ქვეყნის ისტორიის არა მარტო იმ პერიოდის, არამედ შემდგომი დროის რეალობის თუნდაც ზერელედ მცოდნეც კი ყოველგვარი ზედმეტი არგუმენტების მოშველიების გარეშე დამეთანხმება იმაში, რომ ფ. მახარაძის მიერ არა მარტო ოსი, არამედ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ სხვა არაქართველ ხალხთა მიმართ დამოკიდებულების ამგვარი შეფასება ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული

და ნაციონალური ნიშნით ისინი არასოდეს ყოფილან დევნილ-შევიწროებულნი.

გარდა ოსებისა, მენშევიკური ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის შეფასების დროს ფ. მახარაძე აფხაზთა ნაციონალური ინტერესების „დამცველის" როლშიც ცდილობდა გამოსულიყო და ანალოგიური აგრესიით დაეგმო იმდროინდელი ხელისუფლების ვითომცდა „აგრესიული პოლიტიკა" აფხაზთა მიმართ. კერძოდ, მისი ხაზგასმით, „ქართველ მენშევიკების მტარობის დამოკიდებულება აფხაზებთან ისევე გამწვავებული იყო, როგორც ყველა დანარჩენ ნაციონალურ უმცირესობებთან" (მახარაძე, 1921: 88).

საბოლოო დასკვნა, რომლის მეშვეობითაც ფ. მახარაძემ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ ეროვნულ უმცირესობათა მიმართ გატარებული ეროვნული პოლიტიკა შეაფასა, უკიდურესად ნეგატიური იყო და ასეთი სახით ფორმულირებული: ქართველმა მენშევიკებმა გამართეს „ნამდვილი ჯვაროსნული ომი ყველა ეროვნულ უმცირესობათა წინააღმდეგ და ატარებენ **აშკარა გაქართველების პოლიტიკას** (ხაზგასმა ავტორისაა - ა. ნ.), სისხლის და რკინის პოლიტიკას. ეროვნული შევიწროება-დევნა, ეროვნული დამონავება საქართველოში არა-ქართველების მიმართ, მენშევიკების გაბატონების შემდეგ არამც თუ არ შემცირებულა, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა. არ არის საქართველოში არც ერთი ხალხი, რომელიც მენშევიკების დროს არ ყოფილიყოს მიყვანილი სასოწარკვეთამდე, რომელიც უკანასკნელ ღონისძიებას არ ხმარობდეს ქართველ მენშევიკების უღლიდან თავის დასაღწევად და სადმე გასაქცევად" (მახარაძე, 1921: 101).

მოკლედ, ასეთია უმთავრესი შტრიხები მკვეთრად გამოხატული იმ ანტიქართული ეროვნული პოლიტიკისა, რომელსაც მთელი სიცოცხლის განმავლობაში არა მარტო მკვეთრად გამოხატული სიტყვიერი აგრესიით იცავდა ფ. მახარაძე, არამედ რეალურადაც გააკეთა ბევრი რამ თავისი მოღალატეობრივი იდეების განსახორციელებლად.

გარესამყაროსთან ურთიერთობის პრობლემა

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში არა მარტო პოლიტიკოსთა შორის იქცა მწვავე განხილვის საგნად, არამედ ქართველ მწერალთათვისაც, გარესამყაროსთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის გარკვევა იყო.

როგორც საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობის ხანგრძლივი ისტორია ადასტურებს, გარესამყაროსთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა ყოველთვის იყო ქცეული განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე პრობლემად. ამ გარემოებას არსებითად განსაზღვრავდა საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და ის ფაქტი, რომ იგი მისი ისტორიის თითქმის ყველა ეტაპზე იმჟამინდელი მსოფლიოს მძლავრი აგრესორი სახელმწიფოებით იყო გარშემორტყმული და მათი გამუდმებული თავდასხმების ობიექტად ქცეული.

ამ გარემოებიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის მესვეურები სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად იძულებული იყვნენ პერმანენტულად ეძებნათ ის ძალა, რომელიც დახმარებას გაგვიწევდა ხსენებული მიზნის მიღწევაში.

საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე ძიების ამ პროცესში, რომელიც ფაქტობრივად დღემდე გრძელდება, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გადარჩენის იმედს ჩვენი ქვეყნის მესვეურები და ქართველი მამულიშვილები სხვადასხვაგვარად განსაზღვრავდნენ ხოლმე. კერძოდ, იმ დროიდან მოყოლებული, როცა რამდენიმე სამეფოდ და სამთავროდ დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველო რეალურად დადგა ყოფნა-არყოფნის საფრთხის წინაშე, გარესამყაროში მძლავრი მოკავშირისა და დამხმარე ძალის მოძებნის მცდელობა განსაკუთრებით აქტუალურ პრობლემად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის იმჟამინდელ მესვეურთა ცალკეული წარმომადგენლები ეროვნულ გადარჩენასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას საქართველოს აგრესორ სახელმწიფოებთან (ირანთან და ოსმალეთთან) ლავირებული პოლიტიკის გატარებით ცდილობდნენ, მათ ამ მცდელობას სასურველი შედეგი არასოდეს მოჰყოლია.

ამიტომაც ბევრი მათგანი იძულებული გახდა, მოკავშირეთა მოძიების გეოგრაფიული არეალი გაეფართოვებინა და იმედის თვალი ევროპისათვის მიეპყრო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ევროპის ქვეყნებთან, პირველ ყოვლისა კი საბერძნეთთან და ბიზანტიასთან, ადრინდელ საუკუნეებშიც იყო აქტიურად დაკავშირებული არა მარტო რელიგიურად და კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობებით, არამედ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივადაც, XVI-XVIII საუკუნეებში ევროპისკენ სწრაფვა თვისებრივად ახალ სტადიაში შევიდა.

კერძოდ, ევროპის დიდი სახელმწიფოების დახმარების მიღწევას ჩვენი ქვეყნის მესვეურები არა მარტო მათთან აქტიურ პოლიტიკურ მოლაპარაკებათა გზით ცდილობდნენ, არამედ რელიგიური ერთმორწმუნეობის ხაზგასმითაც და ამ მიზნის მისაღწევად დახმარების თხოვნით კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლებსაც, მათ შორის რომის პაპებსაც, მიმართავდნენ. ქართველ დიდვაროვანთა ცალკეული წარმომადგენლები კი მათი ნდობის უფრო მეტად მოპოვების მიზნით კათოლიკურ აღმსარებლობასაც ღებულობდნენ ოფიციალურად.

სამწუხაროდ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარე ამგვარი მცდელობები მაშინ სიტყვიერი თანაგრძნობის ფარგლებს არ გასცილებია და ევროპასთან ჩვენი ურთიერთობა ქართულ რეალობაში იქაურ შემოქმედებით და ინტელექტუალურ მიღწევათა მეტნაკლები მასშტაბებით გადმოტანითა და დამკვიდრებით განისაზღვრა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო მაინც XVIII საუკუნის ჩვენი მწერლობაა, როცა იმხანად მოღვაწე ქართველ მწერალთა ცალკეული წარმომადგენლების შემოქმედებაში ხელშესახებად გამოვლინდა ევროპული მწერლობისათვის დამახასიათებელი ტენდენციები.

როგორც ცნობილია, 1801 წლამდე, რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე, დასავლურ, ანუ ევროპულ სამყაროსთან ჩვენი ქვეყნის დამაკავშირებელ გზათა ძიება უმთავრესად ორი მიმართულებით წარიმართა – პირველი, პოლიტიკური ურთიერთობის დამყარების აქტიური მცდელობებით, რაც პირველ ყოვლისა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნების მყარი საფუძველი უნდა გამხდარიყო და, მეორე, ქართულ რეალობაში ევროპული სულიერი ღირებულებების დამკვიდრებით.

სამწუხაროდ, ამ ორი დიდმნიშვნელოვანი მიზანსწრაფვიდან მაშინ მხოლოდ მეორე მათგანის რეალურად განხორციელება გახდა შესაძლებელი. რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის მესვეურთა მეორე სურვილს - ევროპის სახელმწიფოთა მოკავშირეობითა და აქტიური დახმარებით დაეხსნათ თავი აგრესორ სახელმწიფოთა პერმანენტული თავდასხმებისაგან და ამ გზით გადაერჩინათ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, მათი ამ მიზნის რეალობად ქცევა ვერ მოხერხდა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას რუსეთმა დაუსვა წერტილი.

ევროპულ სამყაროსთან ურთიერთობას ქართველ მოღვაწეთა დიდი ნაწილი იმდენად მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევდა, რომ ქართულ რეალობაში მის აღსანიშნად ცალკე, სპეციალური, ტერმინიც კი დამკვიდრდა ევროპეიზმის სახელით. მიუხედავად იმისა, რომ ამ სახელწოდების მიღმა ევროპასთან დაკავშირებით არსებული ფაქტობრივად ყველა სფერო და მიმართულება მოიაზრება, იგი პირველ ყოვლისა მაინც ლიტერატურულ ურთიერთობათა კონტექსტში იხმარება ხოლმე.

მართალია, ხსენებული ტერმინი ქართულ რეალობაში XIX საუკუნიდან გვხვდება, მაგრამ მის დამკვიდრებას წინ ევროპულ სამყაროსთან პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი ისტორია უძღოდა.

როგორც დავით ლაშქარაძემ გაარკვია, სიტყვა ევროპეიზმი ქართულ ენაში აღნიშნული მნიშვნელობით პირველად 1852 წელს გვხვდება. კერძოდ, თავდაპირველად იგი მიხეილ თუმანიშვილმა (1818-1875 წწ.) იხმარა გაზეთ „კავკაზის“ 1852 წლის XII ნომერში გამოქვეყნებულ იმ წერილში, რომელშიც თბილისში ახლად აგებული ოპერის თეატრის შენობით აღფრთოვანებულმა მწერალმა თავისი ემოცია ამ სიტყვებით გამოხატა: „თბილისსა და მის ახლანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას რომ ხედავ, შეიძლება თქვა, კავკასიის მთაგრეხილი უკვე აღარ მიჯნავს ევროპას აზიისაგან, რომ ახლა ევროპეიზმი მთელი თავისი გონებრივი გამოვლენით არხეინად მოკალათებულია და ინერგება აზიაში“ (ლაშქარაძე, 1988: 24).

დ. ლაშქარაძისავე ხაზგასმით, შემდეგი ავტორი, რომელსაც ეს ცნება მიზანმიმართულად აქვს გამოყენებული ქართულ მწერლობაში იმხანად გამოვლენილ ახალ ტენდენციათა დასახასიათებლად, კრიტიკოსი ნიკოლოზ ბერძნიშვილი (1829-1874 წწ.) იყო. კერძოდ,

მ. თუმანიშვილის ხსენებული წერილის გამოქვეყნებიდან ხუთი წლის შემდეგ დაბეჭდილ სტატიაში, რომელშიც იმდროინდელი ქართული მწერლობა იყო განხილული, კრიტიკოსი ევროპული ლიტერატურიდან ქართულად თარგმნილი ტექსტების შეფასების დროს წერს: „ჩვენში, სადაც ევროპეიზმს ჯერ კიდევ მცირე წარმატება აქვს, რაღაც უცნაურად გვეჩვენება ეს გრაფები და გრაფინიები თავიანთი მჟღერი სახელებით“ (ლაშქარაძე, 1988: 25).

ამ დროიდან მოყოლებული, აღნიშნული გამოთქმა მეტ-ნაკლები ინტენსივობით გვხვდება XIX საუკუნეში მოღვაწე არაერთი ქართველი მწერლის შემოქმედებაში. მისი დამკვიდრების საქმეში განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვის ილია ჭავჭავაძეს (1837-1907 წწ.), რომელმაც ეს ტერმინი პირველად იხმარა 1862 წელს დაწერილ წერილში - „ცისკარი“ 1857 წლიდამა 1862 წლამდინა.“ ხსენებული პუბლიკაციით ილიამ ფაქტობრივად პირველმა ცადა ქართული მწერლობის განვითარების ისტორიული გზის გააზრება ევროპულ ლიტერატურასთან მიმართებით და აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმული თავისი ჩანაწერით, თუმცა კონსპექტურად, მაგრამ მეტად საინტერესოდ და განზოგადებულად, წარმოაჩინა XVIII-XIX საუკუნეების ქართული მწერლობის რამდენიმე წარმომადგენლის შემოქმედების მიმართება ევროპულ ლიტერატურასთან.

ილიას აზრით, ქართულ ლიტერატურაში ევროპეიზმის შემომტანი პირველი მწერალი დავით გურამიშვილი იყო. მის მიერ დამკვიდრებული ამ ტრადიციის გაგრძელება და ახალ საფეხურზე აყვანა კი შემდგომში წილად ხვდათ ალექსანდრე ჭავჭავაძეს, გრიგოლ ორბელიანსა და ნიკოლოზ ბარათაშვილს. აი, რას წერს თავად ილია ამასთან დაკავშირებით: ქართველ მწერალთაგან დ. გურამიშვილმა „სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთგან რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ლექსის გამოთქმაში... ალ. ჭავჭავაძე უფრო ხშირად ცდილობდა მაგ ევროპეიზმის განვითარებას... გრ. ორბელიანი გამგრძელებელია ევროპეიზმისა... ნ. ბარათაშვილი ბრწყინვალე წარმომადგენელია ევროპეიზმისა“ (ჭავჭავაძე, 1986: 257).

თუმცა ევროპულ ლიტერატურულ სამყაროსთან ამგვარი დაახლოება ისე არამც და არამც არ უნდა გავიგოთ, თითქოს ჩვენი მწერლობა ამ გზით საკუთარ ფესვებსა და ეროვნულ წიაღს წყდებოდა და უცხოურის სუროგატად იქცეოდა. რა თქმა უნდა, არა. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ევროპული შემოქმედებითი სამყა-

რო იმხანად მოღვაწე ქართველ მწერალთა საუკეთესო წარმომადგენლებისათვის მძლავრი შინაგანი იმპულსის მიმცემ იმ ძალად იქცა, რომელმაც მეტად ფასეული ბევრი სიახლით გაამდიდრა ჩვენი ლიტერატურა.

რაც შეეხება რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდელ პერიოდში ქართული სამეფო კარის წარმომადგენლებისა და ქვეყნის ბედის წარმმართველი სხვა სახელმწიფო მოღვაწეების მიერ გატარებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს, მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, ევროპასთან ურთიერთობაში ხელის მოცარვითა და მისგან სასურველი თანადგომის ვერმიღებით გულგატეხილებმა და იმედგაცრუებულებმა, ასეთ უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი ქვეყნის გადასარჩენად იმედის თვალი რუსეთს მიაპყრო. რუსეთისადმი მათი ამგვარი ოპტიმისტური დამოკიდებულება ამ ქვეყნის სამხედრო ძლიერებასთან ერთად ჩვენი ხალხების რელიგიურმა ერთმორწმუნეობამაც განაპირობა არსებითად.

სამწუხაროდ, მათ ამ იმედიან მოლოდინს 1801 წელს რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობითა და საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვით დაესვა წერტილი.

ამ დროიდან მოყოლებული 1918 წლამდე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე, ევროპასთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობა ფაქტობრივად რუსეთის გავლით დამყარებული კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროებით იყო შემოფარგლული და ქართულ ინტელექტუალურ და შემოქმედებით სივრცეში ევროპული ფასეულობები მხოლოდ რუსეთიდან შემოდიოდა რამდენადმე ტრანსფორმირებული ფორმით.

1918-1921 წლებში, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ხანმოკლე პერიოდში, ვითარება არსებითად იცვლება და ევროპასთან საქართველოს დამაკავშირებელ გზათა ძიება მეტად აქტიურ ფაზაში შედის.

მიუხედავად იმისა, რომ 1921 წელს რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ხელმეორედ ოკუპაციის შემდეგ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოქცეულ და დამოუკიდებლობა დაკარგულ საქართველოში ევროპასთან სახელმწიფოებრივად დამაკავშირებელ გზათა ძიებას დიდი ხნით დაესვა წერტილი, ევროპული ორიენტაციის პრობლემა 1920-იანი წლების ბოლომდე მაინც რჩება იმდროინდელი ჩვენი მწერლობის ინტერესის საგნად.

სამწუხაროდ, 30-ანი წლებიდან მოყოლებული, საბჭოთა იდეოლოგიური პოლიტიკის მეტისმეტად გამკაცრებისა და მასობრივი რეპრესიების გატარების შედეგად, ამგვარ სიტყვიერ მსჯელობებსაც დაესვა წერტილი და ევროპასთან ურთიერთობა მხოლოდღა მკაცრად შეზღუდული ინტელექტუალური და შემოქმედებითი ურთიერთობებით შემოიფარგლა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, იმ გარემოებამ, რომ საქართველო გეოგრაფიულად აზიისა და ევროპის გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყანას წარმოადგენს, არსებითად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მთელი მისი ისტორიის განმავლობაში. გარდა იმისა, რომ ქართული კულტურის განვითარებისთვის იმპულსის მიმცემ ფაქტორებად ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ამ ორი კონტინენტის ყველაზე მეტად განვითარებულ ქვეყნებში აღნიშნული მიმართულებით მიმდინარე დიდმნიშვნელოვანი მოვლენები იყო ქცეული, საქართველო, რუსეთის იმპერიის მიერ მის დაპყრობამდე (გარდა ხანმოკლე პერიოდებისა) მეტ-ნაკლები მასშტაბებით ყოველთვის იმყოფებოდა ამ კონტინენტების აგრესორ სახელმწიფოთა პოლიტიკური ზეგავლენის ქვეშ.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მძლავრ და თითქმის პერმანენტულად მიმდინარე აგრესიას ჩვენი ქვეყანა პირველ ყოვლისა აზიის კონტინენტზე მდებარე სახელმწიფოებისაგან განიცდიდა. აღნიშნული მოვლენის გათვალისწინებით, შეიძლება ისიც ითქვას, რომ საქართველოსთან ამ სახელმწიფოთა დამოკიდებულებიდან გამომდინარე, აზია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლ ძალასთანაც ასოცირდება ხოლმე.

პირველ ყოვლისა სწორედ აღნიშნული ისტორიული რეალობით განპირობებულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლად არსებობის გზათა აქტიურ ძიებას ჩვენი ქვეყნის მესვეურთა უდიდესი ნაწილი ევროპის დახმარებით ცდილობდა.

ვფიქრობ, სადავოდ არავინ გახდის იმ ფაქტს, რომ ჩვენი ქვეყანა ევროპული ორიენტაციის ამ გზას, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობისა და კულტურული განვითარების მაგისტრალურ მიმართულებას, გეზშეუცვლელად და უალტერნატივოდ ადგა ისტორიის ავანსცენაზე რუსეთის გამოჩენამდე.

ევროპულ სამყაროსთან სახელმწიფოებრივადაც და კულტურულ-სარწმუნოებრივადაც განუყოფელად დამაკავშირებელ ყველაზე მძლავრ ფაქტორად ამ შემთხვევაში პირველ ყოვლისა ქრისტიანული რელიგია იქცა. ამ სარწმუნოების მიღებით ქართველმა ხალხმა ქვეყნის სამომავლო განვითარების უმთავრესი ვექტორი სწორედ ევროპული სივრცისკენ მიმართა და ჩვენი სახელმწიფოებრივი არსებობის გრძელ გზაზე თითქმის ყოველთვის უმწვავესი ფორმით მდგარ კითხვას – დასავლეთი თუ აღმოსავლეთი? – ერთმნიშვნელოვნად გამოხატული დასავლური ორიენტაციისადმი უღალატო ერთგულებით გასცა მკაფიოდ განსაზღვრული პასუხი.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული ისე არამც და არამც არ უნდა გავიგოთ, თითქოს დასავლური (ამ შემთხვევაში ბერძნულ-ბიზანტიური) ორიენტაციის ამგვარი გამოხატვა ცალმხრივად ბოჭავდა იმჟამინდელ ჩვენს ეროვნულ ცნობიერებას და ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას საფუძველს უსუსტებდა. რასაკვირველია, არა. ქართული ეკლესიისა და სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და სიძლიერის დასაცავად პერმანენტულად მიმდინარე ამ ბრძოლაში ჩვენი მწერლობაც აქტიურად იყო ჩართული. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ უმთავრეს იდეოლოგიურ მიმართულებას, მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში, სწორედ ამ სულიერ და რელიგიურ ღირებულებათა უკომპრომისოდ დაცვაც წარმოადგენდა.

კერძოდ, როცა ჩვენი მწერლები ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებულ ადამიანთა წამებასა და ცხოვრებას აღწერდნენ, ამით ისინი იმავდროულად ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასაც და სიძლიერესაც განადიდებდნენ.

ასე რომ, ქართველი ჰაგიოგრაფების მიერ იდეალიზებული გმირები არა მარტო ქრისტიანობისათვის ბრძოლას ეწირებოდნენ, არამედ „საბოლოო ჯამში, ქართველთა დამოუკიდებლობისათვის და ეროვნული თვითმყოფობისათვისაც იბრძოდნენ.“ მართალია, ჰაგიოგრაფიული მწერლობა ხაზს პირველ ყოვლისა მათ სარწმუნოებრივ თავგანწირვას უსვამდა, მაგრამ „ეს სარწმუნოებრივი მომენტი საბოლოო ჯამში მაინც ეროვნული თვითმყოფობისათვის ბრძოლის იდეას ექვემდებარებოდა. წმინდა ნინოს კულტის შექმნა, სომეხთაგან იდეური გამიჯვნა, ბერძენთა და სომეხთა უპირატესობის კატეგორიული უარყოფა, საკუთარი სარწმუნოებისა და ეროვნული

(ქართველი) წმინდანების შექმნა-წინწამოწევის იდეები, რაც ასე უხვადაა მოცემული ადრეფეოდალური ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში, სწორედ იმ ეროვნული თვითშეგნების გაძლიერება-განმტკიცების შედეგი შეიძლება იყოს, რაც ქვეყნის პოლიტიკური თუ კულტურული გაერთიანების ერთ-ერთი სტიმულიც იყო და იმავე დროს შედეგიც" (ლორთქიფანიძე, 1966: 117).

IV საუკუნეში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადებით ჩვენი ქვეყანა ევროპულ-ქრისტიანული გეოპოლიტიკური სივრცის ღვიძლი ნაწილი გახდა, რამაც არსებითად განსაზღვრა მისი არსებობისა და განვითარების მთელი შემდგომი ბედი. ეს მოვლენა ერის ცხოვრებაში ისტორიული გარდატეხის იმ მიჯნად იქცა, რომელმაც არა მარტო ჩვენი ხალხის რელიგიური რწმენა განსაზღვრა, არამედ მისი პოლიტიკური, ზნეობრივი და სულიერი კულტურის თვისებრივი ბუნებაცა და ხასიათის შეცვალა ძირფესვიანად.

„ნინოს ცხოვრება" ქართული სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი პირველი ლიტერატურული ქმნილებაა, რომელიც ქრისტიანული სარწმუნოების ეროვნული როლისა და მნიშვნელობის სწორედ ამგვარი გააზრების თვალსაზრისით იქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას. საქართველოში ღვთაებრივი მისიის აღსასრულებლად მოვლინებული წმინდა ნინოს ცხოვრებისეული ღვაწლის მოთხრობის პარალელურად ნაწარმოების უცნობი ავტორი მკითხველის ყურადღებას ამ როლისა და მნიშვნელობის მასშტაბურ წარმოჩენასაც მიაპყრობს და დაბეჯითებით ცდილობს იმ აზრის დამკვიდრებას, საქართველო, როგორც ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, ღვთაებრივი მადლით განსაკუთრებულად გაბრწყინებულ ქვეყანას რომ წარმოადგენს.

როგორც ითქვა, პოლიტიკურ ავანსცენაზე რუსეთის გამოჩენამდე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნების უალტერნატივო გზად ქართველ მამულიშვილთა და ხელისუფლების მესვეურთა უმეტესობა ევროპულ სამყაროსთან აქტიური კავშირ-ურთიერთობის დამყარებას მიიჩნევდა. ეს მიზანსწრაფვა არა მარტო სიტყვიერად ცხადდებოდა, როგორც უმთავრესი მიმართულება მათი პოლიტიკური მოღვაწეობისა, არამედ აქტიური მცდელობანიც არაერთგზის იყო სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი ამ იდეის განსახორციელებლად.

იქიდან გამომდინარე, რომ სპარსეთის, ოსმალეთისა და სხვა აგრესორ სახელმწიფოთა პერმანენტული დამპყრობლური პოლიტიკის ასპარეზად ქცეულ საქართველოში XVI-XVIII საუკუნეებში განსაკუთრებით რთული ვითარება შეიქმნა, მათმა ამგვარმა მიზანსწრაფვამ მაშინ განსაკუთრებით დიდი მასშტაბები შეიძინა; თუმცა მათ ამგვარ მცდელობებს სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

ამ გარემოებამ არსებითად განაპირობა ის ფაქტი, რომ ქართველ ხელისუფალთა და მამულიშვილთა ნაწილმა, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, პოლიტიკური ორიენტაცია შეიცვალა, იმედის თვალი რუსეთს მიაპყრო და სწორედ იგი მიიჩნია იმ მძლავრ ძალად, რომელიც ჩვენს ქვეყანას აგრესორ სახელმწიფოთა ძალადობისაგან დაიფარავდა.

მათ ამ მოლოდინს განსაკუთრებულ სიმტკიცეს ქართველი და რუსი ხალხების რელიგიური ერთმორწმუნეობაც სძენდა. სამწუხაროდ, როგორც მკითხველს კარგად მოეხსენება, მათი ამგვარი მოლოდინი ილუზია გამოდგა და 1801 წელს ქართული სახელმწიფოს ლიკვიდაციით დასრულდა.

ამ ტრაგიკულ მოვლენას ის გულსატკენი შედეგიც მოჰყვა, რომ ამ დროიდან მოყოლებული 1918 წლამდე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე, ევროპულ სამყაროსთან პოლიტიკურად და სახელმწიფოებრივად დამაკავშირებელ გზათა ძიებამ უკვე აზრი დაკარგა და ამგვარი ურთიერთობის არსებობა მხოლოდღა კულტურის სფეროში თუღა იყო შესაძლებელი.

ევროპულ სამყაროსთან დამაკავშირებელ გზათა ასეთი შეზღუდულობა არსებითად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობიდან დაწყებული XX საუკუნის დასაწყისამდე, მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში, ქართველ მოღვაწეთა თითქმის ყველა წარმომადგენელი (გარდა იშვიათი გამონაკლისებისა) საუნივერსიტეტო განათლების მისაღებად მხოლოდ რუსეთში ახერხებდა წასვლას და ძირითადად სწორედ ამ გზით ეზიარებოდა ევროპულ კულტურასა და სულიერ ღირებულებებს.

აღნიშნული მდგომარეობა არსებითად იწყებს შეცვლას XX საუკუნის დასაწყისში და ქართველ მოღვაწეთა დიდი ნაწილი საუნივერსიტეტო განათლების მისაღებად რუსეთის ნაცვლად უკვე ევროპის დიდ ქალაქებში მიემგზავრება. ამ გარემოებას ესოდენ განსაკუთრებულ ყურადღებას აქ იმიტომაც ვაქცევ, რომ ევროპული ღირებულებები საქართველოში იმ დროისათვის პირველ ყოვლისა

სწორედ ამ გზით, რუსული ფილტრაციის გარეშე, იწყებს შემოსვლასა და დამკვიდრებას.

სამწუხაროდ, ეს პროცესი მაშინ მეტად ხანმოკლე გამოდგა და მას 1921 წლის ტრაგიკულმა მოვლენებმა დაუსვა წერტილი.

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, განზოგადებული სახით კიდევ ერთხელ აღვნიშნავ იმ გარემოებას, რომ 1801 წლამდე, რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობამდე, დასავლურ, ანუ ევროპულ სამყაროსთან ჩვენი ქვეყნის დამაკავშირებელ გზათა ძიება უმთავრესად ორი მიმართულებით წარიმართა - პირველი, პოლიტიკური ურთიერთობის დამყარების აქტიური მცდელობებით, რაც პირველ ყოვლისა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნების მყარი საფუძველი უნდა გამხდარიყო და, მეორე, ქართულ რეალობაში ევროპული სულიერი ღირებულებების დამკვიდრებით.

სამწუხაროდ, ამ ორი დიდმნიშვნელოვანი მიზანსწრაფვიდან მაშინ მხოლოდ მეორე მათგანის რეალურად განხორციელება გახდა შესაძლებელი. რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის მესვეურთა მეორე სურვილს - ევროპის სახელმწიფოთა მოკავშირეობითა და აქტიური დახმარებით თავი დაეხსნათ აგრესორ სახელმწიფოთა პერმანენტული თავდასხმებისაგან და ამ გზით გადაერჩინათ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა, მათი ამ მიზნის რეალობად ქცევა ვერ მოხერხდა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას რუსეთმა დაუსვა წერტილი.

იქიდან გამომდინარე, რომ თანამედროვე ეტაპზე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში, ჩვენი ქვეყნის ევროპულმა ორიენტაციამ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა შეიძინა და არსებითად განსაზღვრა ქართული სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების პერსპექტივა, ქვემოთ შევეცდები რამდენადმე მაინც წარმოვაჩინო ქართველ მწერალთა დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი ჩვენი ქვეყნის პირველი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში.

• • •

როგორც ითქვა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში ქართველ პოლიტიკოსთა და მამულიშვილთა დიდი ნაწილი ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის ყველაზე პერსპექტიულ გზად ევროპასთან ინტეგრაციას მი-

იჩნევდა. ამ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივმა მიმართულებამ მაშინ იმდენად დიდი მასშტაბები შეიძინა, რომ იგი პრორუსულად განწყობილი არაერთი პიროვნებისთვის იქცა მსოფლმხედველობრივი თვალთახედვის არსებითად შეცვლის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად.

სწორედ ამის ერთ-ერთ ნათელ გამოვლინებას წარმოადგენს ის კარდინალური ცვლილება, ნოე ჟორდანიას (1868-1953 წწ.) პოლიტიკურმა თვალთახედვამ რომ განიცადა იმხანად. კერძოდ, ადრინდელ პერიოდში თავისი პარტიული პრინციპებიდან გამომდინარე, პრორუსული თვალთახედვით გამორჩეული ეს პიროვნება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში არსებითად შეცვლილ მის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ მრწამსს ამგვარი სახით განსაზღვრავდა: „დიდი ხანი არ არის, რაც გამოვედით ევროპის სავალ ხაზზე, ჩავდექით მის ფერხულში. ეს არ არის რაღაც უცაბედი, თვითნებური მოვლენა. ის აუცილებელია, ფატალურია. მას ვერ აცდება ვერც ერთი ხალხი. ევროპის გზა მსოფლიო გზაა. ახალ ისტორიას სხვა გზა ჯერ არ გამოუგონებია და თავისთავად მისახვედრია ჩვენი მასზე შედგომა. ევროპა მიდიოდა ამ ხაზზე სტიქიურათ, ვინაიდან მსგავსი ისტორიული მაგალითი თვალწინ არ ქონებია და სხვისი გამოცდილებით ვერ ისარგებლებდა. ის თვითონ ქმნიდა თავის ისტორიას, იკაფავდა წალდით ხელში ახალ ეკლიან გზას. მიდიოდა წინ, მუდამ წინ...

ჩვენ, მადლობა ღმერთს, არ ვიმყოფებით ამ უდაბნოში, არ მივდივართ უგზო-უკვლოდ. რაკი ჩავდექით ევროპის ფერხულში, ვიცით, რასაც ვაკეთებთ, საითკენ მივემართებით“ (ჟორდანია, 1990: 262).

პროევროპული ორიენტაციის მქონე პიროვნებათა აზრით, საქართველოს ევროპული მომავალი არა მარტო სახელმწიფოებრივად იქნებოდა მეტად მნიშვნელოვანი, არამედ იმ მხრივაც, რომ იგი ქართული კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების, საგანმანათლებლო სისტემის, საერთოდ, ჩვენი ინტელექტუალური შესაძლებლობების კიდევ უფრო განვითარებასა და მეტი მასშტაბებით წარმოჩენასაც განაპირობებდა არსებითად.

სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის განვითარების ამ პოლიტიკური კურსის მომხრეთა თვალთახედვას იმხანად მწვავედ დაუპირისპირდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლები, რომლებმაც რუსეთის მიერ საქართველოს ხელმეორედ დაპყრობის საქმეში გარეშე მტრებზე დიდი როლი შეასრულეს.

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს ხსენებულ პერიოდში მოღვაწე ქართველ მამულიშვილთა დიდი ნაწილის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალთახედვის არსზე, აქ დღევანდელი ჩვენი საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი ერთი ლექსი მინდა გავიხსენო, რომლის ავტორიცაა აკაკი შანიძე (1887-1987 წწ.).

მრავალმხრივი ინტერესების მქონე ეს დიდი ქართველი ენათმეცნიერი ახალგაზრდობაში ლექსებსაც წერდა და მათი მეშვეობით საკმაოდ შთამბეჭდავად გამოხატავდა თავის პატრიოტულ გრძნობებს. ხსენებული ლექსი, რომელსაც ავტორმა „ალიფაშას" ხმაზე დაწერილი „ქართული ეროვნული ჰიმნი უწოდა," მან ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე ექვსი თვით ადრე, 1917 წლის 5 დეკემბერს, დაწერა და გამოაქვეყნა ჟურნალ „პრომეთეს" 1918 წლის პირველ ნომერში.

როგორც ცნობილია, ეს ის დრო იყო, როცა რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან რეალურად თავდახსნილი საქართველო, რომელსაც სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად დროებითი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა - ამიერკავკასიის კომისარიატი ჰქონდა შექმნილი, აქტიურად ემზადებოდა დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად. ასეთ ვითარებაში ქართველ მამულიშვილთა აქტიური მსჯელობის საგნად სავსებით ბუნებრივად იქცა გარკვევა იმისა, როგორი უნდა ყოფილიყო ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მომავალი.

აკაკი შანიძის ხსენებული ლექსიც ამ სულისკვეთების გამომხატველი და საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის განმსაზღვრელი პოეტური ტექსტია, რომლის მიხედვითაც მისმა ავტორმა ნათლად და მკაფიოდ, ჩვენი ქვეყნის ხანგრძლივი ისტორიის კონტექსტიდან გამომდინარე, განსაზღვრა ის უმთავრესი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტირები, საითაც უპირობოდ უნდა წარმართულიყო მისი განვითარების პერსპექტიული გზა.

აკაკი შანიძის მიერ „ქართულ ეროვნულ ჰიმნად" სახელდებული ეს ლექსი არა მარტო იმხანად მოღვაწე ქართველ მამულიშვილთა ეროვნული მრწამსის საუკეთესოდ წარმომჩენი პოეტური ტექსტია, არამედ თავისი პატრიოტული სულისკვეთებითა და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი თვალთახედვით დღესაც უაღრესად საინტერესო ის ნაწარმოები, რომელიც უკორექტუროდ შეესაბამება საქართველოს ამჟამინდელ პოლიტიკურ კურსს. ნათქვამისათვის

მეტი დამაჯერებლობის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული ლექსიდან:

აბა, ფხიზლად, ქართველებო! მივჰყვეთ მამა-პაპათ კვალსა!
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ, ჩავუფიქრდეთ მომავალსა!
ცალი თვალი პონტოსაკენ, ნუ ვაშორებთ გურგანს ცალსა!
ყური უგდოთ გურჯი-ბოღაზს და ნუ ვაღებთ დარიალსა!
მოსწონდათ და ახლაც მოსწონთ ჩვენი ქვეყნის მთა და ველი,
მზით დამწვარი ჰიჯაზელი, გაყინული ჩრდილოელი,
სპარსი, თურქი, ლეკ-მონღოლი, ბერძენი თუ რომაელი,
ყველა ჩვენსკენ ისწრაფოდა, ყველა მაშრიყ-მაღრიბელი.

ჩვენი ქვეყნის ტრაგიკული ისტორიის ამგვარი ფორმით წარმოსახვის შემდგ ავტორი კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ ქართველმა ერმა, მიუხედავად ყველაფრისა, ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო და ახალი პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, მას უკვე დიდი სამომავლო პერსპექტივა გაუჩნდა.

სანამ იდენს ალაზანი, ჭოროხი და რიონ-მტკვარი,
სანამ თავზე მცველად გვადგას ცივ-გომბორი, ლიხ-მყინვარი,
არ მომკვდარა, არც მოკვდება საქართველო მოცინარი,
მეტად აღარ შემცირდება მისი სივრცე, მისი მზღვარი.

ლექსის ბოლოს ა. შანიძემ კიდევ ერთხელ გაიმეორა ნაწარმოების პირველი სტროფი, რითაც მეტი სიმკვეთრითა და მომწოდებლური ფორმით გამოკვეთა საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მომავლისადმი პირადად მისი და ქართველ პატრიოტთა უდიდესი ნაწილის თვალთახედვა ჩვენი ქვეყნის განვითარებასთან დაკავშირებით ამგვარად გამოხატა:

წინაპართა კვალზე უღალატო ერთგულებით მავალ ქართველთა უალტერნატივო მოვალეობა უნდა ყოფილიყო იმ მოვლენებისთვის აქტიური თვალის მიდევნება, რაც, ერთის მხრივ, ქართული სახელმწიფოს დასავლეთით, პონტოს ანუ შავი ზღვისა და გურჯი-ბოღაზის მიღმა, ევროპულ სამყაროში, მეორეს მხრივ კი აღმოსავლეთით, გურგანის ანუ კასპიის ზღვის მხარეს, ხდებოდა. ჩრდილოეთთან დამაკავშირებელი დარიალის კარიბჭე კი, როგორც ჩვენი ქვეყნისათვის მონობისა და უბედურების მომტანი გზა, უმტკიცესად უნდა ჩაგვეკეტა (აკად. დ. მუსხელიშვილის განმარტებით, გურჯი-ბოღაზი თურქული სახელწოდებაა და ქართულად საქართველოს ყელს ნიშნავს. ამ სახელით მოიხსენიებენ იმ ხეობასა და უღელტეხილს, რომელიც კვეთს მდინარე ყარასუს (ევფრატის) სათავისა და მდინარე ჭოროხის შენაკად თორთუმჩაის წყალგამყოფ

ქედს. გურჯი-ბოღაზზე გადიოდა არზრუმიდან საქართველოში მომავალი მაგისტრალური გზა).

როგორც ითქვა, ქართველ მწერალთა პროევროპული თვალთახედვის წარმომჩენ ტექსტებში განსაკუთრებული ყურადღების საგნად არა მარტო პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები იყო ქცეული, არამედ ლიტერატურული, კულტურული და ყოფით-ეთნიკური კონტაქტებიც. მოვლენათა ამგვარი თვალთახედვით განსჯა-გააზრებამ 1917-1921 წლებში იმდენად დიდი მასშტაბები შეიძინა, რომ მანამდელი თავიანთი ნააზრევის მიხედვით პრორუსულად განწყობილმა ზოგიერთმა მწერალმა რადიკალურადაც კი შეიცვალა პოზიცია და მკაფიოდ გამოხატული პროევროპული ორიენტაციის მხარდამჭერ პიროვნებად იქცა.

სწორედ ამის ერთ-ერთ თვალნათლივ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ქართველ სამოციანელთა დიდი თაობის გამოჩენილი წარმომადგენელის - ნიკო ნიკოლაძის (1843-1928 წწ.) მიერ იმხანად გამოქვეყნებული წერილები. კერძოდ, თუ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე იგი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნა მაშინდელ ვითარებაში ერთადერთ გონივრულ გამოსავალს წარმოადგენდა, ამ ისტორიული მოვლენის შემდგომ პერიოდში გამოქვეყნებულ წერილებში ის უკვე დაბეჯითებით აღნიშნავდა, რომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მომავალი უპირველეს ყოვლისა ევროპულ სამყაროსთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ შესაბამის ამონარიდებს ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტიკიდან. ფრაგმენტი 1918 წლამდე გამოქვეყნებულ ერთ-ერთი წერილიდან: „ჩვენის ღრმა რწმენით, ეროვნული მისწრაფება რომ გამარჯვებითაც დაგვირგვინდეს და საქართველომ საფრანგეთისა და ინგლისის მფარველობა მოიპოვოს (ჩვენთვის ერთიც და მეორეც სულ ერთია), საქართველო აშკარად და საკმაოდ დაჰკარგავს თავის იმედებს იმის შესახებ, რომ წარმატებით გადაიჭრა სამართლიანი და გონიერი საზოგადოებრივი წყობილების საკითხი, რომელიც მას აღელვებს. Eევროპის სახელმწიფოებმა, თუ საქმე გამარჯვებით დაგვირგვინდება, საქართველო რომ ევროპის შინა პროვინციების დონემდეც კი აამაღლონ, საქართველო მაშინაც წაგებული დარჩება და მხოლოდ პოლიტიკური წყობილების მხრით მოიგებს“ (ნიკოლაძე, 1962: 265).

როგორც ვხედავთ, საქართველოს სახელმწიფოებრივ მომავალზე მსჯელობის დროს ნ. ნიკოლაძე არაორაზროვნად უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ ევროპულ სივრცეში ჩვენი ქვეყნის მოხვედრა, იმჟამინდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ნაკლებად სასარგებლო საქმე იქმებოდა.

ამით იგი ფაქტობრივად პრინციპულად უპირისპირდებოდა XIX საუკუნეში მოღვაწე იმ ქართველ მამულიშვილთა ეროვნულ თვალთახედვას, რომელთაც ევროპის ქვეყნებთან საქართველოს დაახლოება ჩვენი სამომავლო განვითარების ყველაზე პერსპექტიულ გზად მიაჩნდათ.

ნ. ნიკოლაძის იმდროინდელ ამგვარ პოლიტიკურ მრწამსს კიდევ უფრო მეტ პარადოქსულობას სძენდა ის გარემოება, რომ ამ შეხედულებას ევროპული ცხოვრებისეული სინამდვილის ღრმად და საფუძვლიანად მცოდნე პიროვნება გამოთქვამდა, წლობით ევროპაში ნაცხოვრები დიდი მოაზროვნე.

ევროპასთან საქართველოს დაკავშირების მიზანშეუწონლობაზე საუბარს ნ. ნიკოლაძე რუსეთთან თანაცხოვრების პოზიტიურ მხარეთა დახასიათებით განაგრძობდა. მისი აზრით, „რუსეთის მფლობელობის უპირატესობას ევროპის მფლობელობასთან შედარებით“ უპირველეს ყოვლისა რუსეთში არსებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ის ფორმა წარმოადგენდა, რომელსაც შეეძლო ნამდვილი სარგებლობა მოეტანა საქართველოსთვის.

როგორც ითქვა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისადმი ნ. ნიკოლაძის ამგვარი დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერია დაინგრა და რეალურად მომზადდა საფუძველი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად. მის მსოფლმხედველობაში მომხდარი ამ გარდატეხის არსში გასარკვევად განსაკუთრებით საინტერესოა გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის 22, 24 და 27 მარტის ნომრებში რიონელის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი „რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი.“

განსხვავებით მანამდელი პუბლიკაციებისაგან, სადაც მწერალი აქტიურად ცდილობდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე მეტად მისაღები სახელმწიფოებრივი სტატუსის მოპოვებას, რადიკალურად შეცვლილი რეალობიდან გამომდინარე, მისმა პოლიტიკურმა თვალთახედვამ უკვე არსებითად

განსხვავებული სახე მიიღო და ნ. ნიკოლაძემ ამჯერად კატეგორიულად დასვა საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სრულად აღდგენის შესახებ.

ხსენებული პუბლიკაცია უაღრესად საინტერესო იმითაცაა, რომ მწერლის მანამდელი წერილებისაგან განსხვავებით, მასში უკვე ღიად და ბოლომდე ნიღაბახდილი სახითაა წარმოჩენილი ის ნეგატიური მხარეები, რაც რუსეთის კოლონიად გადაქცევამ მოუტანა ჩვენს ქვეყანას. თუ თავის ადრინდელ პუბლიკაციებში ნ. ნიკოლაძე ამ მოვლენაზე გარკვეული თავშეკავებით საუბრობდა, ახალ პოლიტიკურ ვითარებაში მან პოზიცია რადიკალურად შეიცვალა და იგი უკვე არა მარტო სიტყვიერად გამოდიოდა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მოთხოვნით, არამედ აქტიურ პრაქტიკულ მონაწილეობასაც ღებულობდა ამ საქმის რეალურად განხორციელებაში.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს ყოველივე ზემოთქმულის არსზე, მოკლედ განვიხილოთ ზემოთ მოხსენიებული წერილი, რომელიც ფაქტობრივად ბოლო დრომდე ყურადღებამიუქცეველ პუბლიკაციად დარჩა ნ. ნიკოლაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მკვლევართათვის.

წერილის დასაწყისში მწერალი უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ „ოდესღაც უზარმაზარი რუსეთი“ ისე „დაიმსხვრა, დაიგლიჯა და დანაწილდა, რომ მისი კვლავ აღდგენა და გამთელება შეუძლებელი იყო.“ ამ უდიდესი ისტორიული მოვლენის პოზიტიურ მხარედ ნ. ნიკოლაძე არა მარტო იმ ფაქტს მიიჩნევდა, რომ რუსეთის იმპერიის დამსხვრევას შედეგად რუსული კოლონიალიზმის კირთებისაგან ამ იმპერიის მიერ დაპყრობილ-დამონებული ხალხების განთავისუფლება მოჰყვებოდა, არამედ იმასაც, რომ „რუსეთის დამსხვრევით ქვეყნის პირიდან“ ფაქტობრივად „ევროპის ჟანდარმიც აღიგვებოდა.“

როგორც ითქვა, ხსენებულ სტატიაში ნ. ნიკოლაძემ მანამდელი მისი პუბლიკაციებისაგან განსხვავებული რადიკალიზმით წარმოაჩინა ის მანკიერებანი, რაც რუსეთის იმპერიის ნაწილად საქართველოს გადაქცევას მოჰყვა შედეგად. პუბლიცისტის შეფასებით, „მოყვრათ და მეგობრათ მოწვეული რუსი მალე გარდაიქცა ჩვენში ბატონათ და სასტიკ მტარვალათ. დიდი ზიანი ნახა ბედშავმა საქართველომ ამ შეუსაბამო კავშირით, ბევრი ჭირი და ვარამი, ტანჯვა, ვარამი და აწიოკება განიცადა მან რუსის მთავრობისაგან და სალ-

დათ-ჩინოვნიკებისაგან, ბევრი უმანკო სისხლი დაიღვარა საქართველოში, ბევრი ღირსეული შვილი კოლხეთ-ივერიისა დაიღუპა ციმბირის ტუნდრებში, აურაცხელი დამცირება გამოცადა ქართველმა ერმა, აუარება მიწა-მამული ჩამოერთვა მას და ზედ დაასახლეს უცხო ტომნი, განსაკუთრებით რუსები და სომხები.

არამც თუ საგაზეთო წერილით, მთელი ფორმებითაც კი ვერ ამოშრეტს კაცი იმ საშინელებას, რაც ხვდა წილად საქართველოს რუსის მთავრობის წყალობით ამ 120 წლის განმავლობაში. ეს იყო სატანური პოლიტიკა ერის გარუსების, გადაგვარების, მოსპობის, გაღატაკების და განადგურების. რუსის მთავრობამ მოსპო ჩვენში ქართული მართვა-გამგეობა, ეკლესია, შკოლა, სასამართლო და ნაცვლათ დაამყარა ყველაფერი რუსული. მან მოიწადინა ქართული სულის ამოგლეჯა, ე. ი. ჩაიდინა ის, რაც არ ჩაიდინეს ჩვენში აზიის უსაშინლესმა მტარვალებმა 2000 წლის განმავლობაში."

ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობაში მომხდარი ამგვარი რადიკალური გარდატეხა პირდაპირი შედეგი იყო 1917-1918 წლებში რუსეთსა და საქართველოში განვითრებული იმ უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა, რომელთაც არსებითად შეცვალეს ამ ქვეყნების იმჟამინდელი რეალობაცა და სახელმწიფოებრივი მომავალიც.

საანალიზო პერიოდში მკაფიოდ გამოხატული პროდასავლური ორიენტაციის მქონე ქართველ მწერალთა მსოფლმხედველობრივი თვალთახედვის წარმოჩენის დროს განსაკუთრებული ყურადღება მინდა გერონტი ქიქოძის (1886-1960 წწ.) იმ წერილსაც მინდა მივაქციო, რომელიც მან ამ საკითხთან დაკავშირებით გამოაქვეყნა 1916 წელს გაზეთ „საქართველოს" 279-ე ნომერში სათაურით - „დასავლეთის კარებები." ხსენებული პუბლიკაციის მიხედვით, ქართული მწერლობის განვითარების ერთადერთ პრიორიტეტულ და სასურველ შედეგთა მომტან გზად მან ევროპულ სივრცეში მისი უპირობოდ მოქცევა გამოაცხადა.

გ. ქიქოძის მტკიცებით, აღმოსავლური სამყარო ქართული სულიერი კულტურისთვის ამ თვალსაზრისით სასურველ როლს მხოლოდ წარსულში ასრულებდა, იმ დროს, როცა „აღმოსავლეთში სპარსული, არაბული, სირიული და ბიზანტიური კულტურა ყვაოდა; დასავლეთი ევროპა კი ნაკლებ დასახლებულ და ნაკლებ დამუშავებულ ქვეყანას წარმოადგენდა. მაგრამ კარგა ხანია, რაც მსოფლიო მნათობი დასავლეთისაკენ გადაიხარა და გამანათებელი თუ გამათბობელი კულტურული ენერგია დასავლეთ ევროპიდან ეხ-

ლევა კაცობრიობას. ამიტომ დასავლეთის კარების გაღება უდიდეს საკითხს წარმოადგენს ყოველი თვითშემეცნობი და მოქმედი ერისათვის. უამისოდ მის კერას გაციება და მის სახელს გაყინვა მოელის."

ამ თვალსაზრისს გ. ქიქოძეს ქართული რეალობის მისეული თვალთახედვით ინტერპრეტირებაც განუმტკიცებდა, რის შედეგადაც ჩვენს შემოქმედებით მემკვიდრეობას მეტისმეტად ტენდენციურ ასეთ შეფასებასაც აძლევდა: „თუ აქამდე კულტურული იდეები გვაკლდა, ეს იმით აიხსნებოდა, რომ ჩვენს ქვეყანასა და დასავლეთ ევროპას შორის გარდაუვალი ბუნებრივი და სოციალური ზღუდეები იყო ამართული."

დასავლეთ ევროპული კულტურული ღირებულებებისადმი ამგვარ დამოკიდებულებასთან და აღმოსავლური სამყაროს მიმართ გამოვლენილ მკვეთრად კრიტიკულ პოზიციასთან ერთად, გ. ქიქოძე სლავიანოფილური ორიენტაციის მქონე ავტორებსაც აკრიტიკებდა განსაკუთრებული სიმკაცრით და რუსულ სივრცეში ჩვენი კულტურის მოქცევას სამომავლო პერსპექტის არმქონე მოვლენად აფასებდა. ამ გარემოების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად იგი იმ ფაქტს მიიჩნევდა, რომ „სლავიანური კულტურა," როგორც დამოუკიდებელი და „ჩამოყალიბებული ტიპი," არ არსებობდა და სლავიანებმა „დიდი დასავლეთ-ევროპული კულტურის მხოლოდ ელემენტები აითვისეს მეტ-ნაკლებად."

რაც შეეხებათ თავად „სლავიანურ ტომებს," გ. ქიქოძის ინტერპრეტაციით, რუსებს არც მათ შორის ეჭირათ პრიორიტეტული ადგილი და მათზე წინ ამ თვალსაზრისით პოლონელები და ჩეხები იდგნენ, რუსეთი კი მხოლოდ „ნახევრად ევროპიული, ნახევრად აზიური ქვეყანა იყო და თავის არსებაში იმთავითვე გამთიშავ ძალებს ატარებდა."

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გ. ქიქოძე ქართული კულტურის განვითარების ერთადერთ პერსპექტიულ გზად დასავლურ სამყაროსთან კიდევ უფრო მეტად დაახლოებასა და იქაურ სულიერ ღირებულებათა შეთვისებას მიიჩნევდა და თავისი მოსაზრების მართებულობაში ღრმად დარწმუნებული, აცხადებდა: „საჭიროა, რომ დასავლეთის კარები ფართოდ გავაღოთ, რათა უხვად შემოვიდეს ევროპული იდეები და შეხედულებანი." გ. ქიქოძის რწმენით, სწორედ ეს იყო ის ერთადერთი შესაძლებლობა, რითაც ქართველი ერი „ფართო კულტურულ ასპარეზზე გამოვიდოდა და

თავს დააღწევდა იმ ვიწრო და ნესტიან სენაკს, სადაც ის დიდხანს იყო გამომწყვდეული.“

მიუხედავად იმისა, რომ გ. ქიქოძის მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება მოვლენათა ტენდენციური შეფასების ნაყოფს წარმოადგენს და არა რეალობის ობიექტურად განსჯა-გაანალიზების შედეგს, მისი წერილის უმთავრესი პათოსი - ჩვენი სულიერი კულტურის განვითარების პერსპექტიულ გზად პროდასავლური ორიენტაციის გამოცხადება - ნამდვილად შეესაბამება არა მარტო იმ პერიოდის, არამედ თანამედროვე ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის ეროვნულ თვალთახედვასაც.

საანალიზო პერიოდში მოღვაწე ქართველ მწერალთა დიდი ნაწილის პროევროპული ორიენტაცია კიდევ უფრო მძლავრად გამოვლინდა მათ მხატვრულ ტექსტებსა და პუბლიცისტურ ნააზრევში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა იმ ავტორთა შემოქმედება, რომლებიც აქტიურად ცდილობდნენ ქართულ რეალობაში იმდროინდელ ევროპულ მწერლობაში არსებული ლიტერატურული მიმდინარეობების შემოტანასა და დამკვიდრებას.

მაგალითად, ჩვენი მწერლობის განვითარების ისტორიული პროცესის შეფასებისას „ცისფერყანწელთა“ დაჯგუფების თავკაცი პაოლო იაშვილი (1892-1937 წწ.) ხაზგასმით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ სამოღვაწეო ასპარეზზე მათი გამოსვლით საფუძველი ეყრებოდა „ახალ გზას განათლებულ ევროპასთან დაახლოებისკენ,“ გზას, რომელიც მათ „მსოფლიო რეზონანსის მოლოდინს“ უჩენდათ (გაზ. „ბარრიკადი,“ 1920 წ. #1).

„ცისფერყანწელთა“ ამბიციური შემოქმედებითი გეგმების რეალიზების ამ გზად პ. იაშვილი უპირველეს ყოვლისა სწორედ მათ პროევროპულ ორიენტაციას მიიჩნევდა და სამოღვაწეო ასპარეზზე მათი გამოსვლით საფუძველჩაყრილ განახლების ამ პროცესს ასეთ შეფასებას აძლევდა: „ჩვენი ფიქრი ყოველთვის მიმართული იყო პოეზიის მსოფლიო არესაკენ... ჩვენ შესაძლებლობის ფარგლებში სინდისიერად ვსწავლობდით და ვამუშავებდით ყველა იმ პრობლემებს, რომელიც დღეს არსებობს მსოფლიოს პოეზიაში.“

ანალოგიურ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ ხსენებული ლიტერატურული დაჯგუფების სხვა წარმომადგენლებიც, რომელთაც თავიანთი შემოქმედებითი მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად „ქართული ლექსის ევროპული რადიუსით გამართვა“ (ტ. ტაბიძის სიტყვებია) დაისახეს, ქართული ლიტერატურის განვითარების ვექ-

ტორი ევროპისაკენ მიმართეს და ეროვნულ ლიტერატურულ ტრადიციებთან ერთად, იქ მიმდინარე შემოქმედებითი პროცესებიც აქციეს ჩვენი მწერლობისთვის უმთავრესი იმპულსის მიმცემ ფაქტორად.

მათი ამგვარი მსოფლმხედველობრივი თვალთახედვა მკაფიოდ ვლინდება როგორც პოეტურ ტექსტებში, ისე მხატვრულ-ესთეტიკური შეხედულებების წარმომჩენ ესეებსა და ლიტერატურულ წერილებში. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მიუხედავად იმ შინაგანი წინააღმდეგობებისა და გაორებული მიდგომებისა, რითაც „ცისფერყანწელთა" შემოქმედებითი მრწამსის გამომხატველი ნააზრევი ხასიათდება, მათი ესთეტიკური თვალთახედვის უმთავრეს მიმართულებას უწინარეს ყოვლისა სწორედ მკაფიოდ გამოხატული ევროპული ორიენტაცია წარმოადგენდა.

მაგალითად, ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიული პროცესის შეფასების დროს პაოლო იაშვილი სინანულით აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ განსხვავებით ადრინდელი საუკუნეებისაგან, როცა „მდგომარეობა უფრო ბედნიერი იყო, ჩვენი დავიწყებული წინაპრები პლატონს ქართულად კითხულობდნენ და ბერძენთა ფილოსოფიას ჩვენში... საკუთარი სკოლა ჰქონდა," ქართული მწერლობის ის პერიოდი, რომელიც „ბევრისათვის აღორძინების ხანად ითვლება, ცოდვილია ეთნოგრაფიულ საზღვრებში ჩაკეტვით და ევროპული კულტურის ჩამორჩენით" (რუბიკონი, 1923 წ. #1).

პ. იაშვილის აზრით, მდგომარეობა ამ მხრივ არც იმის შემდეგ შეცვლილა, რაც ჩვენი ქვეყანა რუსულ სივრცეში მოექცა. კერძოდ, დიდი ევროპული კულტურა ამჯერადაც დარჩა ქართველ შემოქმედთა ინტერესის მიღმა და იმხანად მოღვაწე „ჩვენი მგოსნები ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ კრილოვის იგავ-არაკების თარგმნაში."

გარესამყაროსთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის წარმომჩენ ფაქტორებზე მსჯელობის დროს ქართველ მწერალთა გარკვეული ნაწილი ხაზგასმით აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ ქართველი ხალხი საუკუნეთა განმავლობაში აზიურ სამყაროსთან არა მარტო ჩვენი ყოფა-ცხოვრებისთვის დამახასიათებელი არაერთი ნიშან-თვისებით იყო დაკავშირებული, არამედ სულიერი კულტურის განმსაზღვრელი ფაქტორებითაც. თუმცა აღნიშნული მოვლენის შესახებ საუბრისას მხედველობიდან შინაგანად წინააღმდეგობრივი და გაორებული ის დამოკიდებულებაც არ უნდა გამოგვრჩეს, რასაც

ცალკეული ავტორები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული მსჯელობის დროს ავლენდნენ.

კერძოდ, ზოგიერთი მათგანის მტკიცებით, აზიისა და ევროპის შემაერთებელ ხიდად ქცეული საქართველო ვერც ერთ ამ რეგიონთან ვერ გაწყვეტდა აქტიურ კავშირ-ურთიერთობას. მათი აზრით, ასე იყო ეს წარსულში და ამგვარადვე იქნებოდა მომავალშიც.

ამ თვალსაზრისის მომხრეთა ხაგასმით, სწორედ ამ მოვლენის ლოგიკურ გამოვლინებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ჩვენი ყოფა-ცხოვრებისა და კულტურისათვის დამახასიათებელი არაერთი ნიშან-თვისება აღმოსავლურ და დასავლურ ფასეულობათა ორიგინალური სინთეზის შედეგს წარმოადგენდა.

როგორც ითქვა, მათგან განსხვავებით, ქართველ მწერალთა დიდი ნაწილი საქართველოსა და ქართველი ხალხის კულტურულ მემკვიდრეობას უპირველეს ყოვლისა ევროპული სივრცის სისხლხორცეულ ნაწილად აღიარებდა და პრინციპულად მიუღებელ მოვლენად მიიჩნევდა აღმოსავლური კულტურისა და ყოფა-ცხოვრების არსებითად მნიშვნელოვან ზეგავლენას ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაზე.

ერთმანეთისაგან დიამეტრალურად გამიჯნული ამ ორი თვალსაზრისისაგან განსხვავებით, ქართველ მწერალთა მცირე ნაწილი კი ფიქრობდა, რომ ვინაიდან საქართველო თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობით აზიის განუყოფელ რეგიონს წარმოადგენდა, იგი მომავალშიც უსათუოდ უნდა დარჩენილიყო ამ ტერიტორიული სივრცის ორგანულ ნაწილად.

მაგალითად, აი, რა შეხედულება ჰქონდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ევროპული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის აქტიურად დამცველ თუნდაც ისეთ მწერალს, როგორიც გრიგოლ რობაქიძე (1880-1964 წწ.) იყო. მისი აზრით, მიუხედავად იმ დიდმნიშვნელოვანი როლისა, რომელსაც ევროპული კულტურა ყოველთვის ასრულებდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ჩვენი ქვეყანა თავისი ისტორიითა და შემოქმედებითი მემკვიდრეობით აღმოსავლურ სამყაროსთანაც იყო სისხლხორცეულად დაკავშირებული.

სწორედ ამის თვალნათლივ გამოვლინებად მიაჩნდა მას ის რეალობა, რომ ქართველი ერის მენტალიტეტი, ყოფა-ცხოვრების არსი და სულიერი კულტურა ჩვენს ეროვნულ წიაღთან ამ ორი დიდმნიშვნელოვანი ფენომენის - დასავლურ და აღმოსავლურ სამყარო-

თა სინთეზის შედეგად იყო შექმნილი. მიუხედავად იმისა, რომ თავად გრ. რობაქიძეს ევროპისადმი აშკარად მიკერძოებული დამოკიდებულება ჰქონდა, გარესამყაროსთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან პროცესში აღმოსავლურ ფაქტორს იგი გარკვეულწილად მაინც ანიჭებდა რამდენადმე პრიორიტეტულ როლს.

მაგალითად, 1917 წელს ჟურნალ „ლეილას" პირველ ნომერში გამოქვეყნებულ წერილში იგი ზემოთ აღნიშნულ მოვლენას ასეთ შეფასებას აძლევდა: „საქართველო... ნატეხია აღმოსავლეთის! და ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი აკვანი. ძვირფასია დასავლეთი ევროპა, მაგრამ ევროპისათვის აღმოსავლეთს ვერ დავთმობთ. უმჯობესი იქნება მათი ქორწილი ქართული ნადიმით გადავიხადოთ.

და საქართველოც თითქოს ამისთვისაა შობილი. აბა დააკვირდით რუსთაველს: განა მან არ შეჰკრა სინთეზი აღმოსავლეთის დაჩრდილული ფიქრისა და იტალიის აშადრევნებული რენესანსისა!..

გარნა: არც თუ ევროპას დაივიწყებს ქალწული „ლეილა:" მრავალი სატეხნიკო შეძენა ხელოვნებაში მოგვცა ევროპამ. ჩვენც მათ გამოვიყენებთ, როგორც ინსტრუმენტებს, ხოლო მათ აღმოსავლურ ჰანგებით ავამეტყველებთ."

ანალოგიური მოსაზრებანი გამოთქვა გრ. რობაქიძემ გაზეთ „საქართველოში" იმავე წელს გამოქვეყნებულ წერილშიც - „ქართველ მწერლებს." კერძოდ, მისი ინტერპრეტაციით, „საქართველო საიდუმლო უღელტეხილია აღმოსავლეთისა და დასავლეთის. ჩვენ ვიწვით აღმოსავლეთის ფიქრმორეული შუადღით... ჩვენ ვერთვით დასავლეთის საშიშარ სიცხადეს, საცა თვალღია ფანტასმაგორიებში „ძეობა" იკვეთება ძლევამოსილი. ჩვენ გვაფიქრებს ეგვიპტის სფინქსი და გვანცვიფრებს პარიზის ქიმერა.

ქართული ნადიმით ვიხდით აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქორწილს. და ნადიმი იგი მთავარი ჰანგია ჩვენი ნაჭედი სიტყვისა."

როგორც დამოწმებული ფრაგმენტებითაც თვალნათლივ ჩანს, გრ. რობაქიძეს ქართული კულტურა აღმოსავლურ და დასავლურ ფაქტორთა სინთეზირების შედეგად მიაჩნდა, სადაც აღმოსავლეთს გარკვეულწილად პრიორიტეტული ადგილიც კი ჰქონდა დამკვიდრებული.

ხსენებული წერილების გამოქვეყნებიდან სამიოდე წლის შემდეგ, 1920 წელს, გაზეთ „ბარრიკადის" პირველ ნომერში დასტამბულ იმ სიტყვაში, რომელიც მწერალმა ევროპის სოციალისტურ დელეგაციასთან შეხვედრის დროს წარმოთქვა ქართველ მწერალ-

თა სახელით, თავის წინანდელ პუბლიკაციებში ხაზგასმული სიმკვეთრით გამოხატული პროაღმოსავლური ორიენტაცია მან, მართალია, რამდენადმე შეარბილა, მაგრამ აღმოსავლური სამყაროს განსაკუთრებულ როლს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ამჯერადაც გაუსვა ხაზი.

ავტორისეული თვალთახედვისათვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტს ევროპელი სტუმრებისადმი მიმართული მისი ამ სიტყვიდან: „ჩვენი შეხვედრა არ არის შემთხვევითი მოვლენილი.

ორი ათასი წელი ქართველნი ბუნებით დაუდეგარნი გელოდებოდათ თქვენ: არჩეულ შვილებს დასავლეთისას.

ჩვენ ვცხოვრობდით მცირე აზიის გახურებულს შუაგულში და მზით მოთენთილნი ვგზნობდით ჩვენ მთვლემარე ღმერთებს გადურუჯულს ქვებში.

ჩვენში იყო ანთებული ხილვა აღმოსავლური.

მაგრამ ჩვენ ვერ გავუძელით აღმოსავლეთის დიდი შუადღის ავხორცობას და გამოვეშურეთ ჩრდილოეთისაკენ. ჩვენ გამოვიარეთ ცხელი ველები ქალდეასი და კავკასიონის მანელებელ კალთებს შევაფარეთ თავი.

იყო იმთავითვე რასსიულ ტემპერამენტში რაღაც უცნაური, რომელიც ვერ ეგუებოდა აღმოსავლურს მოდუნებას. ფიქრმორეულ თვლემასთან ერთად ჩვენს ხასიათში იწვოდა თესლი დასავლური ნების ამახვილებისა...

და: მოშვებულნი აღმოსავალს ჩვენ მივილტვოდით მუდამ დასავლეთისაკენ და ამ ლტოლვილობით არის დაღარული ყოველი მოქნევა ჩვენი შემოქმედების.“

გრ. რობაქიძის ხაზგასმით, ქართველი ხალხის ამგვარი გაორებული ორიენტაცია არსებითად აღმოჩნდა განპირობებული იმ გარემოებით, რომ „ჩვენ გვქონდა ტრაგედია გეოგრაფიის,“ რამაც საქართველო შუა გზაზე შეჩერებულ იმ ქვეყნად აქცია, რომელიც „აღმოსავალსაც მოსცილდა და ვერც დასავალს ეზიარა.“ გრ. რობაქიძის აზრით, ასეთ ყოფაში გატარებული მრავალსაუკუნოვანი ტანჯული ცხოვრების შემდეგ, უკვე არსებითად შეცვლილ იმჟამინდელ ვითარებაში, ქართველმა ხალხმა ჩვენი მომავალი არსებობის განმსაზღვრელი ვექტორი აღმოსავლური სამყაროს ნაცვლად ევროპისაკენ მიმართა.

ხსენებულ პრობლემასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება იოსებ გრიშაშვილის (1889-1965 წწ.) მიერ იმხანად გამოთქმულ მოსაზრებებსაც მინდა მივაქციო. კერძოდ, მისი აზრით, ევროპულ და აღმოსავლურ ტენდენციათა თანაარსებობა ქართული მწერლობისათვის დამახასიათებელ ბუნებრივ მოვლენას წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ პოეტურ მემკვიდრეობას აღმოსავლურ სამყაროსთან უფრო მეტი ჰქონდა საერთო, ვიდრე ევროპულთან, იგი იმ გარემოებასაც აღნიშნავდა ხაზგასმით, რომ ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიული გზა ევროპულ სამყაროსთანაც იყო ორგანულად დაკავშირებული. თუმცა, ამ გარემოების აღნიშვნასთან ერთად, პოეტი იმასაც მიაპყრობდა ყურადღებას, ევროპასთან დამაკავშირებელ გზაზე ქართულ მწერლობასა და კულტურას წინ არაერთი ძნელად დასაძლევი, თუ სულაც გადაულახავი წინააღმდეგობაც რომ ელობებოდა.

ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად განსკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციო ი. გრიშაშვილის ლექსს „მაჯამა“ (1920 წ), რომელშიც საკუთარი შემოქმედებითი ინდივიდუალობის მხატვრულ სპეციფიკას მკითხველის ყურადღება ავტორმა მისეული თვალთახედვით შეფასებულ იმჟამინდელ ქართულ პოეტურ რეალობასთან მიმართებით მიაპყრო.

აქ, პირველ ყოვლისა, აკაკის მიერ დამკვიდრებული ტრადიციებისადმი ი. გრიშაშვილის დამოკიდებულება მინდა გამოვყო. როგორც ცნობილია, აკაკი წერეთელმა მეტად მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა არა მარტო თავისი თაობის პოეტურ შემოქმედებაზე, არამედ შემდგომი პერიოდის ქართულ პოეზიაზეც. კერძოდ, როგორც ცნობილია, იმხანად მოღვაწე პოეტთა მნიშვნელოვანი ნაწილი აშკარად განიცდიდა ა. წერეთლის შემოქმედებით ზეგავლენას. უთუოდ ეს ჰქონდა მხედველობაში ი. გრიშაშვილს, როცა ა. წერეთლის მისამართით ასეთი მოსაზრება გამოთქვა:

> თუმც აკაკი ბევრს ჩხუბობდა, დაობდა –
> მაგრამ მაინც ძველი სიტყვა დაობდა.
> დავიღალეთ ძველი დროშის დაცვითა,
> ერთფერობამ გულის კოვზი დაცვითა.

როგორც დამოწმებული ფრაგმენტითაც თვალნათლივ ჩანს, ი. გრიშაშვილი იმ გარემოებას კი არ ხდიდა გულისწყრომის საგნად, რომ მისი შეფასებით, აკაკის პოეტური სიტყვა უკვე მოძველებული და გაუფასურებული რომ იყო, არამედ იმ ფაქტს, რომ მის მიმბაძ-

ველ ავტორთა ხელში აკაკის ლექსი დამდაბლდა, დაიშრიტა და პრიმიტივად გარდაიქმნა.

„მაჯამა“ საინტერესო პოეტურ ტექსტს იმ მხრივაც წარმოადგენს, რომ მისი მეშვეობით პოეტმა საკუთარი ლიტერატურული პროფილის შეფასებაც ცადა იმ შემოქმედებით ძიებებთან მიმართებით, რითაც ათიანი წლების ჩვენი მწერლობა ხასიათდებოდა. ამ თვითშეფასების ამოსავალი დებულება ამგვარად იყო ფორმულირებული: „მე ევროპამ სახლში არ შემიწვია...“ ამ პოეტურ აღიარებაში პირდაპირ იყო მითითებული იმ არსებით თავისებურებაზე, რითაც აღმოსავლური ლიტერატურული ტენდენციებით ნასაზრდოები ი. გრიშაშვილის პოეზია ხასიათდება.

„მაჯამაში“ გამოვლენილი ეს თვალსაზრისი კიდევ უფრო გაღრმავდა 1922 წელს შექმნილ ლექსში „მე და ევროპა,“ რომელშიც შემდეგნაირად დაკონკრეტდა ავტორის შეხედულება ევროპულ და აღმოსავლურ ლიტერატურულ ტრადიციებთან მისი დამოკიდებულების შესახებ.

მიყვარს ლექსის სიცხარე, – თემა აღმოსავლური,
მაგრამ მუდამ მაღელვებს მე ევროპა სწავლული.
ჩემში ორი გრძნობაა, ორი დაუდევრობა:
სინაზე და სიტლანქე, ტფილისი და ევროპა.

როგორც ვხედავთ, „მაჯამაში“ ავტორის მიერ კატეგორიული ფორმით გამოთქმული თვალსაზრისი – „მე ევროპამ სახლში არ შემიწვიაო“ ორიოდე წლის შემდეგ დაწერილ ამ ლექსში რამდენადმე დაკონკრეტდა და საკუთარი შემოქმედება ი. გრიშაშვილმა ამჯერად უკვე აღმოსავლურ და ევროპულ პოეტურ ნაკადთა სინთეზად მიიჩნია.

აი, როგორ შეფასებას აძლევდა ამ მოვლენას ივანე გომართელი (1875-1938 წწ.): „ი. გრიშაშვილმა, მართალია, კარგად „იცის ევროპის ფასი, მაგრამ... ევროპა მასში ტფილისს ვერა ჰკლავს. ევროპა ტფილისში, - აი, მისი სურვილი...

ზოგჯერ გრიშაშვილი გაუგებარია: მისი ლექსის ევროპიული სურნელება მიგიზიდავთ და უცებ თავს წაადგებით აზიელს ბებუთით ხელში იმიტომ, რომ გრიშაშვილში გაორებულია პიროვნება.“

მიუხედავად იმისა, რომ ი. გრიშაშვილი თბილისურ ყოფასა და სულიერ ცხოვრებაში ევროპული კულტურის მეტ-ნაკლებად პოზიტიურ როლსაც აღნიშნავდა ხოლმე, ქალაქ თბილისსა და მასთან დაკავშირებულ ტრადიციებს იგი უწინარეს ყოვლისა მაინც აღმო-

სავლური (იგივე აზიური) სამყაროს ნაწილად მიიჩნევდა და სწორედ ამ ფაქტორს ანიჭებდა განმსაზღვრელ როლს.

განხილული ლექსები გამონაკლისი არ არის და თბილისური ყოფისადმი ი. გრიშაშვილის ამგვარი დამოკიდებულება ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე ვლინდება არა მარტო მისი პოეტური შემოქმედებით, არამედ თბილისის ისტორიისადმი მიძღვნილი მეცნიერული ნაშრომებითაც.

აღმოსავლურ სამყაროსთან ქართული კულტურის ურთიერთობის შესახებ აშკარად გაორებული მოსაზრებები აქვს გამოთქმული ტიციან ტაბიძესაც. კერძოდ, თუ ერთ შემთხვევაში იგი ხაზგასმით აღნიშნავდა ქართულ ყოფასა და კულტურაზე, მათ შორის მწერლობაზეც, აზიურ ზეგავლენას, მეორე შემთხვევაში გაცილებით უფრო მნიშვნელოვან და აშკარად პრიორიტეტულ მოვლენად მიიჩნევდა ევროპულ სამყაროსთან ურთიერთობას და ერთმნიშვნელოვნად აღიარებდა მის კეთილისმყოფელ როლს ჩვენი სულიერი კულტურის განვითარების პროცესში.

მაგალითად, აი, რა შეფასებას აძლევდა იგი იმ როლს, რომელიც „ცისფერყანწელებმა“ შეასრულეს ჩვენს მწერლობაში თვისებრივ სიახლეთა დამკვიდრების პროცესში: „მიუხედავად იმისა, რომ მოწყვეტილი ვიყავით რეალურ სინამდვილეს და უუნარონი აღმოვჩნდით, სწორად გავრკვეულიყავით სოციალურ-პოლიტიკურ ამბებში, მაშინდელი გაღარიბებული ქართული ლექსის ფონზე პოეტების ახალმა სკოლამ მაინც დიდი როლი ითამაშა. პირველად ჩვენ შემოვიტანეთ ქართულ ლექსში სიტყვები, რომლებიც განდევნილი იყო ან სულ არ იხმარებოდა. პირველად დაიწერა ნამდვილი სონეტი, ტერცინები, ტრიოლეტები. რითმას ახალი გასაქანი მიეცა. ახლებურად ვიყენებდით ალიტერაციებს და ასონანსებს. ბოდლერის, ვერლენის, რემბოს, ლაფორგისა და სხვა ფრანგი და რუსი პოეტების თარგმანებმა გააფართოვეს პოეტური თემებისა და სახეების არე. ქართულმა ლექსმა ახლებური ჟღერადობა შეიძინა.“

როგორც ტიციანის ამ განაცხადიდანაც თვალნათლივ ჩანს, „ცისფერყანწელთა“ უმთავრეს დამსახურებად იგი ქართულ რეალობაში ევროპული მოდერნიზმისთვის ნიშანდობლივად დამახასიათებელ ტენდენციათა დამკვიდრების აქტიურ მცდელობას მიიჩნევდა. სწორედ ეს გარემოება გახდა უმთავრესი საფუძველი იმ უკომპრომისო ბრძოლისა, რომელიც ქართველმა სიმბოლისტებმა გამოუცხადეს ლიტერატურულ ტრაფარეტს და მათი შემოქმედებითი

მოღვაწეობის ძირითად მიმართულებად მიზანსწრაფულად აქციეს ეროვნული ლიტერატურული ტრადიციებისა და ევროპული მოდერნისტული ხელოვნების შერწყმა ერთმანეთთან.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ „ცისფერყანწელთა“ ამგვარი აქტიური სწრაფვა უცხოურ კულტურასთან ქართული მწერლობის დაახლოებისკენ კარგად გაცნობიერებული აქტი იყო, რაც სულაც არ ნიშნავდა ეროვნული ფესვებისაგან მის მოწყვეტას. „როცა ხალხი სხვისგან რამეს იღებს, – წერდა ამასთან დაკავშირებით ტ. ტაბიძე, – იმას თავის ბრძმედში ატარებს... ნაციონალური აპერცეპციის ძალით ერი ითვისებს იმას, რაც მის ეროვნულ თავისებურებებს ეგუება, რასაც იმასთან ახლობელი კავშირი აქვს.“

აქედან გამომდინარე, ტიციანი ხაზგასმით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ მის შემოქმედებას ორი მთავარი მასაზრდოებელი წყარო გააჩნდა: ეროვნული ლიტერატურული ტრადიცია და ევროპული პოეტური სიახლეები. ამ ორი მხარის ურთიერთგანუყოფელობისა და მთლიანობის აუცილებლობას იგი ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში გამოქვეყნებულ საპროგრამო წერილში, რომელშიც ქართული სიმბოლიზმის თეორიული პრინციპები ჰქონდა განსაზღვრული, ამგვარად აყალიბებდა: „მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმე. რუსთაველი მე მესმის როგორც ქართული სიტყვის შემკრები ერთეული და მალარმე ამავე აზრით ევროპის პრეზენტივიზმისა და ფუტურიზმის. ეს გზა აუცილებელია.“

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ტიციანის პოზიციის განსაზღვრის დროს აქ იმ გარემოებასაც უნდა გაესვას ხაზი, ამ ორი მხარის თანაფარდობაში იგი უპირატესობას ეროვნულ გენს რომ ანიჭებდა. „ამკარაა, - განაგრძობდა ის, - წინა აზიაში ევროპა შემოაღებს კარებს და ამ დროს ჩვენ უნდა დავხვდეთ შეჭურვილი ეროვნული შემეცნებით, ეროვნული კულტურის ყველა ფოლაქებშეკრული.“

პროევროპული ორიენტაცია ტ. ტაბიძის მხატვრულ-ესთეტიკური თვალთახედვის იმდენად მძლავრ საფუძველს წარმოადგენდა, რომ აზიურ სამყაროსა და იქიდან მომდინარე სულიერ ფასეულობებს იგი პრინციპულადაც კი უპირისპირდებოდა და უარყოფდა. ამ პოზიციას ის ყოველგვარი შენიღბვის გარეშე, მკვეთრად გამოხატული რადიკალიზმით, გამოხატავდა სიმბოლისტობის პერიოდის თავის წერილებშიცა და პოეტურ ტექსტებშიც.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაზეთ „ბარრიკადის“ 1920 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებული ტიციანის წერილი „მანიფესტი აზიას,“ რომელშიც თავისი ანტიაზიური თვალთახედვა მან სწორედ ასეთი რადიკალიზმით გამოავლინა. კერძოდ, ხსენებული „მანიფესტით“ იგი მკვეთრად ნეგატიურ შეფასებას აძლევდა იმ დამოკიდებულებას, რომელიც ქართულ ხელოვნებას ჰქონდა აზიასთან ისტორიულად, რის გამოც ჩვენი სულიერი ცხოვრების მომავალს პოეტი აზიური სამყაროსგან სრულ იზოლირებასა და დისტანციაში იაზრებდა.

ტ. ტაბიძის ხაზგასმით, ამ მოსაზრების გამოხატვით იგი არა მარტო პირადად თავის პოზიციას ავლენდა, არამედ მთელი მისი შემოქმედებითი დაჯგუფების სახელითაც საუბრობდა და ხსენებულ „მანიფესტს“ სწორედ ამ თვალსაზრისის გამომხატველი მოწოდებით იწყებდა და ამთავრებდა. კერძოდ, დასაწყისში აცხადებდა: „პირველი ტეზისი „ცისფერი ყანწების“ - უარი აზიას.“ მანიფესტის ბოლოს კი აცხადებდა: „პირველი ხმა - ხმაა მებრძოლი პოეტების - აზიის უარყოფისა.“

ტიციანის აზრით, აზიისადმი მის ამგვარ დამოკიდებულებას არსებითად განაპირობებდა ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყანა საუკუნეთა განმავლობაში სწორედ მის ფაქტობრივ ნაწილად იყო ქცეული, ევროპასთან დამაკავშირებელი კარები კი იმდენად მტკიცედ იყო ჩაკეტილი, რომ მრავალსაუკუნოვან მცდელობათა მიუხედავად, საქართველომ ამ ზღურბლის გადალახვა ვერაფრით შეძლო.

კერძოდ, აი, რა შეფასებას აძლევდა თავად ტიციანი ამ ისტორიულ მოვლენას ხსენებულ პუბლიკაციაში: „საქართველოს ისე არ ახსენებენ, თუ არა აზიასთან ერთად.

საქართველო არსებობს თავისთავათ.

– აზიის ტრადიციები მარტო კოშმარია...

ჩვენ დავტოვეთ ყველა წინა რელიგიები და მივადექით საჭურის ბიზანტიას.

ერი, რომლის ფეხი გამართული იყო ვეებერთელა აზიის გადარებით, ვერ ეტეოდა ბიზანტიის გაცვეთილ ზომაში.

მისი ისტორია ერთი მედიდური აჯანყებაა ბიზანტიის წინააღმდეგ, რომელიც იდგა ევროპის კარების შესავალთან. მონგოლების ზღვა, რომელიც ერტყა საქართველოს, სამხრეთით გადავიდა შავი ზღვის გადაღმა. კარებიც სამუდამოდ იკეტება.

და აზია - ეს ბებერი და გასუქებული კრეტინი დააწვა საქართველოს."

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ დამოწმებულ ფრაგმენტში ტიციანის მიერ ესოდენი რადიკალიზმით გამოხატული ანტიაზიური თვალთახედვა ისტორიული რეალობის სუბიექტური და უარგუმენტო შეფასების შედეგს წარმოადგენდა და ხელაღებით იმის მტკიცება, თითქოს ამ ფაქტორმა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მხოლოდ ნეგატიური როლი შეასრულა, პრინციპულად მცდარი თვალსაზრისი იყო.

ტიციანის მტკიცებით, იმხანად შექმნილი ახალი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და შემოქმედებითი რეალობის შედეგად, რაც ევროპულ სამყაროსთან დასაახლოებლად მყარ და რეალურ საფუძველს ქმნიდა, საქართველო აზიურ სივრცეს კი არ მოწყდებოდა, არამედ ისევ დაუბრუნდებოდა მას, მაგრამ დაუბრუნდებოდა „როგორც დამპყრობელი... და მანქანის პრინცები გოგი და მაგოგი დალეწავდნენ მკვდარ მხარეს."

ტიციან ტაბიძე გამონაკლისი არ ყოფილა და ქართულ რეალობასთან დაკავშირებით ამგვარ მოსაზრებებს სხვა ავტორებიც გამოთქვამდნენ იმხანად. მაგალითად, 1919 წელს ჟურნალ „მეოცნებე ნიამორების" პირველ ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ქართული პოეზიის პერსპექტივები" შალვა აფხაიძე წერდა: „ჩვენ გვწამს საქართველოს მესიანიზმი: შედუღება დასავლეთის და აღმოსავლეთის კულტურისა. მიმქრალი იყო ეს იდეია, დღეს კვლავ გაიზმორა იგი ჩვენს წინ. ეს მისია უნდა შეასრულოს ხელოვნებაში სიმბოლიზმმა გასალაშინებულ სიტყვის საშუალებით.

მართალია, სიმბოლიზმი, როგორც შკოლა, დასავლეთიდან მოვიდა ჩვენში, მაგრამ მის უმაღლეს განვითარებისთვის არსად არ არის ნიადაგი მზად ისე, როგორც ჩვენში. აქ უკვე გაჟღენთილია ჰაერი სიმბოლიური შემოქმედების ელემენტებით: აღმოსავლეთის თვალუწვდენი მისტიციზმი, ჰაერში გაფანტული სახეები, სპარსეთიდან მოტანილი ფერები და მეტყველი ხმები. დღეს ჩვენში არის უკვე ორი პოლიუსი ერთი დასაწყისის...

პაოლო იაშვილში ახმაურდა აღმოსავლეთი: გაბედულ მეტაფორებით, თვალმჭრელ კონტრასტებით... პაოლოს ტრიოლეტებში გამთბარ სიტყვებით იკივლა აღმოსავლეთმა. მეორე მხრით, დასავლეთიც გაიშმუშნა ვალერიან გაფრინდაშვილში... უნდა მოხდეს ამ ორი პოლიუსის შეხვედრა. ამ ორმა მსოფლმხედველობამ უნდა იქორწი-

ლოს ერთ ტაბარში. მეთორმეტე საუკუნემ ეს შეძლო. უნდა შეძლოს განახლებულმა საქართველომაც. ქართული ხელოვნება ნაცადი გზით წავა... და თუ მართლაც დაღლილ დასავლეთს ეჭივრება გადახალისება აღმოსავლეთის მისტიციზმით და მაგიურ ქვებით, ამას შესძლებს უეჭველად გამოცდილი დოსტაქარი – საქართველო."

აღნიშნული მოსაზრების ესოდენი სიმკვეთრით გამოხატვის შედეგად შ. აფხაიძემ არა მარტო ქართული მწერლობის მიერ განვლილი ისტორიული გზა შეაფასა ამგვარად, არამედ მისი განვითარების პერსპექტივაც განსაზღვრა მისეული თვალთახედვით და ამ მოვლენის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად დასავლურ და აღმოსავლურ ლიტერატურულ ღირებულებათა სინთეზი მიიჩნია. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი მხარის ერთმანეთთან შერწყმა-სინთეზირების პროცესში საკუთრივ ქართული ფაქტორის როლს შ. აფხაიძე გამოკვეთილად არ აღნიშნავდა, წერილის კონტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ ეროვნულ ფაქტორს ამ პროცესში განმსაზღვრელი როლი უნდა შეესრულებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქართული მწერლობა ეპიგონობის ფარგლებს ვერ გაცდებოდა და მხოლოდღა ევროპული და აღმოსავლური ლიტერატურის სუროგატად იქცეოდა.

გარესამყაროსთან ჩვენი ქვეყნის ორთიერთობასთან დაკავშირებით საგულისხმო მოსაზრებები აქვს გამოთქმული გიორგი ლეონიძესაც (1897-1966 წწ.). კერძოდ, როგორც საანალიზო პერიოდის მისი პუბლიკაციებიდან თვალნათლივ ჩანს, იგი აქტიურად ცდილობდა აღმოსავლური პოეზიის ზეგავლენისაგან ქართული ლექსის განთავისუფლებას და მის დამკვიდრებას ევროპული ლიტერატურის ორგანულ ნაწილად. სწორედ მისი ამ მიზანსწრაფვის ერთერთ თვალნათლივ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ის შეფასება, რომელსაც იგი საკუთარი შემოქმედებით მიზანსწრაფვას აძლევდა 1921 წელს დაწერილ ლექსში „ავტოპორტრეტი": „არტურ რემბოსთან ბოროტ ტყუპად ჩახუტებული, მადგამენ გვირგვინს თეიმურაზ და ჭავჭავაძე." არტურ რემბოს სახელში აქ განზოგადებულად იყო ასოცირებული სიმბოლისტური პოეტური პრინციპები და მათთვის დამახასიათებელი სიახლენი, თეიმურაზისა და ჭავჭავაძის სახით კი ეროვნული ლიტერატურული ტრადიციების უდიდეს მნიშვნელობას ესმებოდა ხაზი.

თუმცა, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ქართული მწერლობის განვითარების ისტორიულ გზას

გ. ლეონიძე განსხვავებული თვალთახედვითაც აფასებდა და ჩვენს კლასიკურ ლიტერატურას უმთავრესად აღმოსავლური მწერლობის ზეგავლენით შექმნილ მემკვიდრეობად მიიჩნევდა. მისი აზრით, ეს გავლენა საუკუნეთა განმავლობაში იმდენად მძლავრიც კი იყო, რომ ქართველ კლასიკოსთა არაერთი ცნობილი წარმომადგენელი აღმოსავლურ, პირველ ყოვლისა კი სპარსულ, ლიტერატურულ სივრცეში იყო მოქცეული და მშობლიურ წიაღს ფაქტობრივად თითქმის სრულიად მოწყვეტილი.

სწორედ ასეთი შემოქმედებითი ზეგავლენის ნიმუშად მიიჩნევდა გ. ლეონიძე თეიმურაზ პირველის, დავით გურამიშვილის, ბესიკისა და საიათნოვას ლიტერატურულ მემკვიდრეობას და მის ამ თვალსაზრისს გაზეთ „საქართველოს“ 1917 წლის 217-ე ნომერში გამოქვეყნებულ ესეში - „ჩაბნელებული არმაზი“ ამგვარი სახით აწვდიდა მკითხველს: „ქართული სულის თავისთავადობა გათავდა შოთასთან. რუსთაველის ღვთიური აგზნების შემდეგ მთელი ოთხასი წელიწადი მხოლოდ ბიზანტიურ-სქოლასტიკურ წიგნების და ერანის ეპოსის გადმოქართულებას მოვანდომეთ. ამ ხანობად საქართველოში არ განცხადებულა ქართული სულით შემოსილი მუსიკის მეფე... თეიმურაზ პირველი მოშორებულია საქართველოს, როგორც მისი სამეფო თავი ქართულ გვირგვინს. ამ დროს საქართველოს მგოსნები ეთაყვანებოდნენ ერანს და თეიმურაზსაც აკლია ქართული გრძნობიაროზა, ქართული ფორმები და საქართველოს კულტურის სახე.

თეიმურაზის კვალად სამფერ ზამბახივით გაივლიან: გურამიშვილი, ბესიკი და სავათნავა... სავათნავა ვერ გაერიდა სპარსულ ლირიზმს, რაიც მჭრელია ალმასის შუშასებრ და ფერადი ბეზირგნის ფარჩასავით... ბესიკიც გერია თავისი საუკუნის. მან კეთილშობილურად დაათავა სკოლა თეიმურაზის საყვარელი და სიტკბო სპარსული ოქრონექტარით.

ქართული ლექსი მან ათალა სპარსულად და ლექსიც მუსიკასთან გაათანასწორა.“

ვფიქრობ, მოვლენათა არსში ღრმად გარკვეული მკითხველი უსათუოდ დამეთანხმება იმაში, რომ გ. ლეონიძე აშკარად აჭარბებდა და ხსენებული პერიოდის ქართული მწერლობა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ცალკეული წარმომადგენლები მართლაც განიცდიდნენ სპარსული ლიტერატურის ზეგავლენას, მხოლოდ ამ გავლენის შედეგად არ შექმნილა და იმდროინდელ ჩვენს მწერლობაში ბევრ

შემოქმედებით სიახლეს, მათ შორის, როგორც ამას ი. ჭავჭავაძეც ამბობს, ევროპეიზმსაც მყარად ჩაეყარა საფუძველი. ამ თვალსაზრისით პირველ ყოვლისა დავით გურამიშვილი უნდა გამოვყოთ, რომელმაც რუსთველური ლექსი თვისებრივად სრულიად ახალ პოეტურ სიმაღლეზე აიყვანა.

გ. ლეონიძის აზრით, XIX საუკუნეში, რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს მოქცევის დროიდან, ქართული მწერლობა უკვე რუსული ლიტერატურის ზეგავლენის არეალში მოექცა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ცალკეული წარმომადგენლების შემოქმედებაში კვლავაც იგრძნობოდა სპარსული პოეზიის გამომახილი, ეს ტენდენცია თანდათანობით მაინც უკანა პლანზე ინაცვლებდა და მის ადგილს რუს მწერალთა შემოქმედებითი ზეგავლენა იკავებდა.

სწორედ ამ მოვლენის ნათელ გამოვლინებად მიაჩნდა გ. ლეონიძეს გრიგოლ ორბელიანის პოეზია, რომელსაც ამგვარ შეფასებას აძლევდა: „რჩეულთა შორის უმეტესად რჩეულობდა გრიგოლ ორბელიანი... მაგრამ მისი სულიც ორეულდება - ერთი ვერ გასცილებია ჩამჩი-მელქოს და სავათნავას მუხამბაზებს, მეორე კი ნათლად ემონება პუშკინ-ლერმონტოვის ვარსკვლავებს.

ამას ვერ აცდა ეთერბრწყინვალე ვაჟაც... უპირველესად მის გონს შემოესარა ლერმონტოვის სიტყვა. ლერმონტოვის ილეთი მოსჩანს მის პირველ ლექსებში და „მოხუცის ნაამბობში.“

სათანადო არგუმენტებს მოკლებულ და მეტად სუბიექტურ შეფასებებზე დამყარებულ ასეთივე შეფასებას აძლევდა გ. ლეონიძე თავისი დროის ქართულ მწერლობასაც და იმდროინდელ ავტორთა მხატვრულ ძიებებში ვერავითარ ფასეულსა და მნიშვნელოვან სიახლეს ვერ ხედავდა. კერძოდ, აშკარად ტენდენციური მისი მოსაზრებით, იმდროინდელი „ქართული მოლექსენი ვერ იჩენდნენ ორიგინალობას... მათ არ ებადათ „საკუთარი სიმღერა.“ მათთვის უცხო იყო ძიება: სახისა, ცეცხლისა თუ უხილავისა.“

გ. ლეონიძის აზრით, ამ სამწუხარო მოვლენის შედეგს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის დასაწყისის ქართულ მწერლობაში „შაბლონი თავადობდა.“

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქართულ მწერლობას სწორედ იმხანად მხატვრული სიტყვის არაერთი ისეთი დიდოსტატი შემოემატა, რომელთაც ჩვენი ლიტერატურა ბევრი თვისებრივი სიახლით გაამდიდრეს, ყოველგვარი არგუმენტების მოტანის გარეშეც ადვილად ვირწმუნებთ იმას, გ. ლეონიძის მიერ გამოთქმული

ეს თვალსაზრისი სათანდო საფუძველს რომ არის მოკლებული და მოვლენათა სუბიექტური შეფასების შედეგს წარმოადგენს.

ევროპულ და აღმოსავლურ ლიტერატურულ პროცესებთან ქართული მწერლობის მიმართების შესახებ საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული სანდრო ცირეკიძესაც (1894-1923 წწ.). მაგალითად, აი, რას წერდა იგი 1920 წელს ჟურნალ „შვილდოსნის" მეორე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში - „ორსახიანი იანუსი" ამასთან დაკავშირებით: „ლექსის წერაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს საქართველოს მეფეები და დიდებულები. ეს მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა. ქართული პოეზია ბოლომდი დარჩა მეფის კარზე. იყო პროზის ცდა, მაგრამ ვერ შეითვისა. ლექსის ფორმები დაობდა და სპარსელების მონობაში ღაფავდა სულს...

XIX საუკუნეში ჩვენი პოეზია რუსულს აძლევდა ხარაჯას. იქ დიდი ხანია პუშკინს პირველობას ეცილებიან გოგოლი, ტოლსტოი, დოსტოევსკი. მოსკოვიდან და პეტერბურგიდან წამოიღეს მათი სიყვარული ახალგაზრდა ქართველებმა და პოეტურმა პროზამ საქართველოშიდაც შეიძინა სახელები."

რაც შეეხებოდა მის თანამედროვე მწერლებს, მათ შემოქმედებაში გამოვლენილ სიახლეთა შეფასების დროს ს. ცირეკიძე განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მოვლენად მიიჩნევდა მათ სიახლოვეს ევროპულ ლიტერატურულ სამყაროსთან. ს. ცირეკიძის მტკიცებით, ეს მოვლენა პირველ ყოვლისა იმ გარემოების შედეგს წარმოადგენდა, რუსეთის კოლონიური უღლისაგან თავდახსნილი საქართველო ამჯერად უკვე „ევროპის კარებზე" რომ იმყოფებოდა, რაც საკმაოდ მყარ საფუძველს ქმნიდა საიმისოდ, ქართული მწერლობაც განთავისუფლებულიყო რუსული ზეგავლენისაგან და ქცეულიყო ევროპული ლიტერატურული სივრცის ორგანულ ნაწილად.

კერძოდ, აი, რას წერდა თავად ის ამასთან დაკავშირებით 1919 წელს ჟურნალ „მეოცნებე ნიამორების" პირველ ნომერში გამოქვეყნებულ ესეში - „მინიატურა:" „საქართველო ევროპის კარზეა. ჩვენ ევროპას სამხრეთის ლურჯ ჰაერში უნდა შევხედოთ პირდაპირ და არა ჩრდილოეთის გაყინულ სათვალეებით. ჩვენ უნდა დავივიწყოთ ეს როლი საქართველოსი."

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და კულტურულ-შემოქმედებითი ორიენტაციის განსაზღვრის დროს XX საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ქარ-

თველ მწერალთა ერთი ნაწილი აქტიურად იცავდა მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ აზიისა და ევროპის გზაჯვარედინზე მდებარე და ამ ორი კონტინენტის შემაერთებელ ხიდად ქცეული საქართველო ვერც ერთ მათგანთან ვერ გაწყვეტდა აქტიურ კავშირურთიერთობას. მათი აზრით, ასე იყო ეს წარსულში და ამგვარადვე იქნებოდა მომავალშიც.

გარესამყაროსთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის ოპტიმალურ გზათა ძიების დროს ზემოთ განხილული პუბლიკაციების ავტორთა შეხედულებებისაგან მკვეთრად გამოხატული რადიკალიზმით გამორჩეული თვალთახედვა ვლინდება ვახტანგ კოტეტიშვილის (1893-1937 წწ.) იმდროინდელ ნააზრევში. კერძოდ, მისი მტკიცებით, რადგანაც საქართველო თავისი ისტორიული ყოფით, ადათტრადიციებით, კულტურითა და ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი სხვა ნიშან-თვისებებით უპირველეს ყოვლისა აღმოსავლური სამყაროს (იმავე აზიის) ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა, ამ დიდი რეგიონისაგან მის ჩამოსაშორებლად არავითარი რეალური საფუძველი არ არსებობდა.

ეს თვალსაზრისი მან მკვეთრად რადიკალური ფორმით გამოხატა 1920 წელს ჟურნალ „ლეილაში“ გამოქვეყნებულ წერილში - „აზიისაკენ.“ კერძოდ, ევროპისადმი ხაზგასმულად ნეგატიური თავისი დამოკიდებულების წარმოჩენით იგი აქტიურად შეეცადა მკითხველის იმაში დარწმუნებას, რომ ისტორიული რეალობის გათვალისწინებით საქართველო მომავალშიც უსათუოდ უნდა დარჩენილიყო აზიური სამყაროს მკვიდრ და განუყოფელ ნაწილად.

ვ. კოტეტიშვილი უღრმეს გულისტკივილს გამოხატავდა იმის გამო, რომ იმდროინდელი ქართველი საზოგადოება „ევროპულობის ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი, თუმც ეს გაევროპელება გარუსებას უფრო ჰგავდა, რაც უარესი იყო.“ მისი აზრით, გარდა იმისა, რომ „მზისთვის ზურგის შემქცევი“ ამ მოვლენის შედეგად „ქართულ ხელოვნებას ქართულობა აღარაში ეტყობოდა,“ მას კიდევ უფრო საშიშს ის გარემოებაც ხდიდა, რომ მისი ნიღბით საქართველოს ფაქტობრივად „გარუსების“ საფრთხე ემუქრებოდა.

პუბლიკაციის ავტორის ხაზგასმით, ეროვნულად მომაკვდინებელი ეს სენი იმდენად „მძლავრი აღმოჩნდა, რომ გაგების უნარი დაგვიკარგა... და გაევროპელებამ პსიხოზის სახე ხასიათი მიიღო.“ ვ. კოტეტიშვილის ხსენებული წერილის დაწერის უმთავრესი მი-

ზანი ამ „პსიხოზიდან“ ჩვენი ერის გამოყვანის აქტიური მცდელობა იყო, მისთვის გონების თვალის ახელის მძაფრი სურვილი.

ამ მიზნის მისაღწევად და აზიისადმი ევროპელთა ნეგატიური დამოკიდებულების უსაფუძვლობაში ჩვენი საზოგადოების დასარწმუნებლად იგი იმ უდიდეს წვლილსაც აღნიშნავდა ხაზგასმით, რაც აზიურ სამყაროში მოღვაწე დიდ მოაზროვნეებს ჰქონდათ შეტანილი კაცობრიობის ისტორიაში. აზიისადმი მის ამგვარ დამოკიდებულებას ვ. კოტეტიშვილი მეტ რეზონანსს იმითაც სძენდა, რომ ქართულ კულტურასაც სწორედ ამ დიდი სულიერი საგანძურის ორგანულ ნაწილად მიიჩნევდა. მაგალითად: „აქეთ არის შოთას სასახლე. რუმის ლურჯი ბაღი და ჰაფიზის მინარეთი. აქ ისმის ჩვენი ძველი მონასტრების ზარის რეკა, დერვიშების მონოტონური გალობა და მუეზინების ყივილი მეჩეთის სიმაღლიდან.

აქ არის ქვეყანა მოგვებისა, მისნებისა, ბრამანებისა, მუტრიბებისა...

განა განგის ნაპირებიდან არ წამოვიდა ის მაგიური ბინდი, რომელშიც იმალებოდა საშინელი, ფანტასტიური მისტიკა? განა აღმოსავლეთში არ შეიქმნა ვნების თავადობა და შთაგონების ცეცხლი?..

ფილოსოფია, რელიგია, ხელოვნება - ყველა ეს აზიაში ღრმა იყო და თავისებური.“

პუბლიკაციის ავტორის ხაზგასმით, ეროვნულად მომაკვდინებელი ეს სენი იმდენად „მძლავრი აღმოჩნდა, რომ გაგების უნარი დაგვიკარგა... და გაევროპელებამ პსიხოზის სახე მიიღო.“ ვ. კოტეტიშვილის ხსენებული წერილის დაწერის უმთავრესი მიზანი ამ „პსიხოზიდან“ ჩვენი ერის გამოყვანის აქტიური მცდელობა იყო, მისთვის გონების თვალის ახელის მძაფრი სურვილი.

როგორც მკითხველი დამოწმებული ფრაგმენტითაც დარწმუნდება, პუბლიკაციის ავტორის მიერ აღმოსავლური სამყაროსადმი გამოხატული ამგვარი პოზიცია აშკარად ტენდენციურია და სუბიექტურად მიკერძოებული, რადგანაც იგი ერთი სიტყვითაც კი არ მოიხსენიებს იმ დიდმნიშვნელოვან წვლილს, რომელიც ევროპულმა სამყარომ შეიტანა კაცობრიობის კულტურულ და ინტელექტუალურ საგანძურში.

ქართველ მკვლევართა უმეტესობის მართებული ხაზგასმით, ჩვენი სულიერი კულტურისა და შემოქმედებითი მემკვიდრეობის თვითმყოფად ბუნებას არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ საქართველოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინა-

რე, ამ დიდი საგანძურის შემქმნელები ორივე სამყაროსთან იყვნენ დაკავშირებული ისტორიულად.

განსხვავებით იმ ქართველი ავტორებისაგან, რომლებიც სწორედ ამ თვალთახედვით აფასებდნენ და აანალიზებდნენ ქართულ კულტურასა და შემოქმედებით მემკვიდრეობას, ვ. კოტეტიშვილი პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა ევროპულ სამყაროსთან აღნიშნული მიმართულებით გამოვლენილ ყოველგვარ ურთიერთობას და თავის პუბლიკაციას ამ სიტყვებით ამთავრებდა: „აზიაში დაგვიღამდა და აზიაშივე უნდა ველოდეთ ჩვენი ხელოვნების დილას. დევიზი: უკან აზიისაკენ წინ წასასვლელად!

• • •

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოკლედ და განზოგადებულად, შეიძლება დავასკვნათ:

1917-1921 წლების დროინდელ ქართულ მწერლობაში საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასთან და შემოქმედებითი ცხოვრების მომავალთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებანი პირობითად სამ უმთავრეს მიმართულებად შეიძლება დავაჯგუფოთ:

პირველი, ყველაზე მეტად გავრცელებული, შეხედულების წარმომადგენლები აქტიურად უჭერდნენ მხარს პროევროპული პოლიტიკის გატარებას, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა ჩვენი ქვეყნის დამკვიდრება ევროპული სამყაროს ღვიძლ და განუყოფელ ნაწილად. მათი რწმენით, პირველ ყოვლისა სწორედ ამ გზით იქნებოდა შესაძლებელი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება და მტრული გარემოცვის დამარცხება. ქართველ მწერალთა უდიდესი ნაწილისთვის პროევროპული თვალთახედვის განმამტკიცებელ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს იმის რწმენაც წარმოადგენდა, რომ ევროპულ სულიერ ღირებულებებთან და შემოქმედებით პროცესებთან უფრო მეტად დაახლოება ქართული მწერლობისთვის მძლავრი შინაგანი იმპულსის მიმცემ ფაქტორად და ახალ ტენდენციათა დამამკვიდრებელ ძალად იქცეოდა.

რაც შეეხება დანარჩენი ორი თვალსაზრისის წარმომადგენლებს, მათეული მოსაზრებებიდან ამჯერად თითქმის მთლიანად იყო გამორიცხული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი რეალობა და აღმოსავლურ სამყაროსთან ჩვენი ურთიერთობის განმსაზღვრელ უმთავრეს ფაქტორად ისინი ამ სამყაროსთან მხოლოდ შემოქმედებით

სიახლოვეს მიიჩნევდნენ. კერძოდ, იმდროინდელი ჩვენი მწერლობის ცალკეულ წარმომადგენელთა აზრით, იქიდან გამომდინარე, რომ ქართული ლიტერატურის განვითარების მრავალსაუკუნოვანი პროცესისათვის შინაგანი იმპულსის მიმცემ ძალას არა მარტო ევროპული სამყარო წარმოადგენდა, არამედ აღმოსავლურიც, მისი განვითარების გზა მომავალშიც ამ მიმართულებით უნდა წარმართულიყო და იგი არც ევროპული სივრცისაგან უნდა ყოფილიყო მოწყვეტილი და არც აღმოსავლური სამყაროსაგან.

აღნიშნულ მოსაზრებათა წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, ქართველ მწერალთა მესამე ნაწილი კი კატეგორიული ფორმით ემიჯნებოდა ორივე ამ თვალსაზრისს და ჩვენი სულიერი კულტურის, მათ შორის მწერლობის, განვითარების ყველაზე მეტად პერსპექტიულ გზად აზიურ სამყაროსთან სიახლოვეს მიიჩნევდა.

ქართულ-ოსმალური საომარი კონფლიქტი და ქართველი მწერლები

როგორც ცნობილია, გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან 1918 წლის 3 მარტს ბრესტში გაფორმებული სეპარატისტული ზავის შედეგად საბჭოთა რუსეთმა ოსმალეთს საქართველოსთან და სომხეთთან ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე გადასცა ისტორიულად მათთვის კუთვნილი ისეთი რეგიონები, როგორებიცაა ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები. ეს მაშინ, როცა რუსეთში იმხანად განვითარებულ მოვლენათა შედეგად, ამიერკავკასია ამ იმპერიის იურისდიქციას უკვე აღარ ემორჩილებოდა, რაც 1918 წლის 10 თებერვალს ოფიციალურადაც გააფორმა ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ მოწვეულმა სეიმმა, რომლის შემადგენლობაში რუსეთის დამფუძნებელ კრებაში არჩეული ამიერკავკასიელი დეპუტატებიც შედიოდნენ.

სეიმის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ამიერკავკასია დამოუკიდებელ დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკად გამოცხადდა, რომელშიც გაერთიანდნენ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი.

ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებამ ბრესტის საზავო შეთანხმების გაფორმებიდან ერთი კვირის შემდეგ, 1918 წლის 10 მარტს, უკვე ოფიციალურად მოითხოვა ამ ზავით გათვალისწინებული პირობის სასწრაფოდ შესრულება და მისთვის ხსენებული რეგიონების გადაცემა. მაგრამ 11 მარტს მოწვეულმა ამიერკავკასიის სეიმმა თურქეთის ხელისუფლების ეს მოთხოვნა უარყო და დაადგინა, დიპლომატიური გზით ეცადა თურქეთთან წარმოქმნელი ამ კონფლიქტური სიტუაციის მოგვარება.

14 მარტს ოსმალეთისა და ამიერკავკასიის სახელისუფლებო დელეგაციებს შორის ტრაპიზონში მართლაც დაიწყო ამგვარი მოლაპარაკება, თუმცა ჩვენი წარმომადგენლობის აქტიურ მცდელობას, როგორმე მოეხერხებინათ სადავოდ ქცეული ტერიტორიების თუნდაც ნაწილობრივ მაინც შენარჩუნება, შედეგი არ მოჰყოლია.

ამიერკავკასიის სეიმის მიერ ბრესტის საზავო პირობებით გათვალისწინებული მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო თურქეთის არმიამ 1918 წლის 9 აპრილს საქართველოს საზღვრები გადმოლახა და 15-21 აპრილს ბათუმი, ოზურგეთი და თითქმის მთელი მესხე-

თი დაიკავა ბორჯომამდე. თურქეთის შეჩერება ქართულმა ჯარმა მხოლოდ მდინარე ჩოლოქზე შეძლო.

ამ ტრაგიკულ მოვლენას, რის შედეგადაც ჩვენი ქვეყანა კიდევ ერთხელ კარგავდა ისტორიულად კუთვნილ ქართულ რეგიონებს, ქართველი მოსახლეობის უმწვავესი რეაქცია და პატრიოტულ გრძნობათა გამძაფრება მოჰყვა. ჩვენი საზოგადოების განსაკუთრებული აღშფოთება მაინც ოსმალთა მიერ ბათუმის დაკავებამ გამოიწვია. აჭარისა და მისი მთავარი ქალაქის ხელმეორედ დაკარგვის რეალურმა საშიშროებამ მაშინ ქართველი ხალხის დიდი ნაწილი შეაკავშირა და აღანთო ამ ძირძველი ქართული მხარისადმი სიყვარულის უმძაფრესი გრძნობით.

ეროვნული შეკავშირების ეს უძლეველი სულისკვეთება ჩვენმა საზოგადოებამ არა მარტო მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართული მასობრივი დემონსტარციებით გამოხატა, არამედ მტრის წინააღმდეგ მებრძოლი სახალხო რაზმების ჩამოყალიბებითაც, რომლის შემადგენლობაში მრავალი პიროვნება ეწერებოდა საკუთარი ნებასურვილით.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული აქტიურობა მაშინ ქართველმა მწერლებმაც გამოიჩინეს. როგორც ბევრი მათგანის შემოქმედებითაც და ბიოგრაფიითაც ნათლად ჩანს, ქართული მწერლობის არაერთი წარმომადგენელი იმხანად არა მარტო თავისი ნაწერებით გამოეხმაურა ოსმალთა მიერ ბათუმის ხელმეორედ დაპყრობის ტრაგიკულ ფაქტს, არამედ პირადადაც ჩაეწერა ქალაქის განსათავისუფლებლად შექმნილ სახალხო ლაშქარში. ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად გავიხსენებ კონკრეტულ ეპიზოდებს მათი ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან. დავიწყებ დავით კლდიაშვილით (1862-1931 წწ.).

როგორც ცნობილია, დავით კლდიაშვილი პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდების მქონე ოფიცერი იყო. მიუხედავად იმისა, რომ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში იგი უკვე პენსიაში იმყოფებოდა, ამ ომში ის მაინც გაიწვიეს და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბათუმის დასაცავად გამართულ საბრძოლო ოპერაციებში. გარდა ფართოდ ცნობილი მისი მემუარებისა, ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო ცნობებს ვხვდებით 1920 წელს გამოქვეყნებულ კრებულში "დავით კლდიაშვილის საიუბილეოდ."

თავად მწერლის მონათხრობის მიხედვით, 1918 წლის 3 მარტს 600 ჯარისკაცის თანხლებით იგი ჯერ სოფელ აჭარისწყლის საგუ-

შაგოზე გაუმწესებიათ, შემდეგ ქედაში გაუგზავნიათ "აჭარლებთან მოსალაპარაკებლად," 31 მარტის ტრაგედიის პერიოდში კი ბათუმის დასაცავად გამართულ ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას და ბარცხანაში ყოფნისას კინაღამ ოსმალოს მიერ ნასროლი ტყვიის მსხვერპლი გამხდარა.

31 მარტის ბათუმის ტრაგედიასთან და დ. კლდიაშვილთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ამ ტრაგიკული მოვლენის ერთ-ერთი თვითმხილველი, ოფიცერი ი. ყიფიანი ზემოთ ხსენებულ კრებულში გამოქვეყნებულ წერილში – "ძველი ჭრილობა," რომელშიც ქალაქის იმდღევანდელი მდგომარეობა ასეა აღწერილი: "შეწყდა ზარბაზნების გრიალი და ტყვიის მფრქვეველთა სასიკვდილო ცეკვა. ქალაქმა ოდნავ დაისვენა. მხოლოდ სამების (ახალშენის) ფორტიდან კიდევ გაისმოდა დაგვიანებული ზარბაზნის ხმა. იქ ჩვენი ახალგაზრდობა იდგა და მტერს ებრძოდა. ანარიის (ურხის) ფორტზე დილიდანვე ჩვენ დახოცილ მოძმეთა თავზე ოსმალთა დროშა ფრიალებდა."

ნავსადგურიდან რკინიგზის სადგურისაკენ ავტომობილით მიმავალ ი. ყიფიანს ქუჩაში დ. კლდიაშვილი დაუნახავს, მანქანა გაუჩერებია, მისთვის შიგ ჩაჯდომა შეუთავაზებია და უთქვამს: "გადის უკანასკნელი მატარებელი, წამი წამზე ოსმალებს ველით, ბატონო დავით, უსათუოდ უნდა გაყვეთ ამ მატარებელს... ბათუმის ბედი გადაწყვეტილია. თქვენ მას ეხლა უკვე ვერ იხსნით. თუ საჭირო იქნება, აქ ჩვენ დავრჩებით, თქვენ კი იქიდან დაგვეხმარეთ!"

მაგრამ შექმნილი მდგომარეობით უაღრესად შეწუხებულ და აღშფოთებულ მწერალს ამ შეთავაზებაზე კატეგორიული უარი უთქვამს და თავისი ეროვნული გულისტკივილი ამ სიტყვებით გამოუხატავს: "სირცხვილი, სირცხვილი! განა მეტი საშინელება და დამცირება იქნება?" ი. ყიფიანს მაშინ იქ მყოფი სხვა ოფიცრებიცა და ჯარისკაცებიც მიშველებიან და ცრემლებმორეული მწერალი ძალით ჩაუსვამთ მატარებელში, რომელსაც ასკერთა რაზმების შემოჭრამდე რამდენიმე წუთით ადრე დაუტოვებია ქალაქი.

დიდი მწერლის ბიოგრაფიიდან ნაკლებად ცნობილ და უაღრესად მნიშვნელოვან ამ მონათხრობს მისი ავტორი საბოლოოდ ამ სიტყვებით ამთავრებს: "გული გაიყინა, ჰაერი დამძიმდა, სულში ათასი ყორანი ჩაფრინდა, და სასიკვდილო ჩხავილი დაიწყო. ვუყურებდი მხოლოდ ერთ ბრწყინვალე ვარსკვლავს, დავითის ცრემლს" (დავით კლდიაშვილის საიუბილეოდ, 1920: 13).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, თურქული აგრესიისაგან ბათუმის დაცვასა და საერთო-სახალხო პატრიოტულ მოძრაობაში იმდროინდელი ჩვენი მწერლობის ბევრი წარმომადგენელი იღებდა აქტიურ მონაწილეობას. „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული დაჯგუფების ერთ-ერთი წევრის – შალვა აფხაიძის გადმოცემით, როცა 1918 წელს თურქი ასკერების შემოტევის შედეგად ბათუმს დაკარგვის რეალური საფრთხე დაემუქრა, მაშინ მის დასაცავად გამართულ ბრძოლაში “ქუთაისში მცხოვრებმა პატრიოტულად განწყობილმა, მაგრამ სრულიად მოუმზადებელმა ახალგაზრდებმაც (იგულისხმებიან “ცისფერყანწელთა” ლიტერატურული დაჯგუფების წარმომადგენლები – ა. ნ.) მივიღეთ მონაწილეობა. ჩვენ რაზმს მეთაურობდა ჩვენი სასიქადულო მწერალი დავით კლდიაშვილი. რაზმი იდგა ხულოსთან. თუ მეხსიერება არ მღალატობს, სწორედ ეს მომენტი აქვს აღბეჭდილი მხატვარ კროტკოვს სურათზე (ის იყო ჩვენი ხატვის მასწავლებელი რეალურ სასწავლებელში, კაცი ფრიად განათლებული და ახალგაზრდობის მოყვარული), რომელიც ოფიცრობამ დ. კლდიაშვილს იუბილეს დროს მიუძღვნა. დავითი გახარებული იყო ახალგაზრდობის პატრიოტული აღგზნებით. მაგრამ, როგორც მხედარმა, ისიც კარგად იცოდა, თუ რისი მაქნისი ვიყავით. მალე ჩვენი რაზმი შეცვალა ჯარის პატარა ნაწილმა, მაგრამ ფაქტი იყო, რომ ბათუმი დაეცა” (აფხაიძე, 1988: 23).

როგორც სათანადო მასალებიდან თვალნათლივ ჩანს, ოსმალთა აგრესიისაგან ბათუმის, აჭარისა და ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონების დასაცავად გამართულ საბრძოლო ოპერაციებში, გარდა ზემოთ დასახელებული მწერლებისა, სხვებსაც მიუღიათ მონაწილეობა. მათ შორის ყოფილა კონსტანტინე გამსახურდიაც (1891-1975 წწ.). აი, რა ინფორმაციას გვაწვდის ამასთან დაკავშირებით სოსო სიგუა გაზეთ “სახალხო საქმის” 1918 წლის 1 (13), 5 (18) და 10 (23) აპრილის ნომრებში კ. გამსახურდიას მიერ გამოქვეყნებულ წერილების სერიაზე – “ტფილისიდან ბათომამდის” დაყრდნობით:

„მარტში კონსტანტინე ქართულ ლაშქარში მოხალისედ ჩაეწერა, რათა ებრძოლა თურქი ასკერების წინააღმდეგ, რომელთაც ბოლშევიკურმა რუსეთმა, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის თანახმად, გადასცა სამხრეთი საქართველო.

კონსტანტინემ აიღო კარაბინი, ჩაიცვა სამხედრო ფორმა და თბილისიდან ბათუმში მატარებელს გაჰყვა...

ბათუმში რომ შევიდა, ქალაქში ყუმბარები ცვიოდა. დამფრთხალი ხალხი აქეთ-იქით აწყდებოდა. არც თავად იცოდა, რა გაეკეთებინა. თავისი თავი ლევ ტოლსტოის დაბნეულ პიერ ბეზუხოვს აგონებდა. ბრძოლაში მონაწილეობა ვერ მიიღო – ბათუმის სწრაფი დაცემის გამო“ (სიგუა, 2011: 78).

როგორც მემუარული ლიტერატურიდან ჩანს, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის 1918 წელს გამართულ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა ტერენტი გრანელსაც (1898-1934 წწ.) მიუღია. კერძოდ, ტ. გრანელის თანამედროვე ალექსანდრე გაბესკირიასთვის მკვლევარ გივი ცქიტიშვილის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე ასეთი პასუხი გაუცია: „იყო ასეთი სამხედრო ნაწილი, ე. წ. მეშვიდე ათასეული, რომელსაც გენერალი ვაჩნაძე მეთაურობდა. მე კი კაპიტან გურამიშვილის ნაწილში ვირიცხებოდი. იქ შევიტყვე რომ ტერენტი ჯარში იყო გრიგოლ ცეცხლაძესთან, აკაკი ვასაძესთან, ჰერკულეს ყანჩელთან ერთად. ჩემს ნაწილში კი სიმონ ჩიქოვანი, კოლია ჩაჩავა და გრიშა ორაგველიძე იბრძოდნენ. მაშინ ყველა ახალგაზრდა, 16 წლის მოსწავლეებიც კი, ჯარში გაიწვიეს. ჯარი ორგვარი იყო – სახალხო, ანუ ეროვნული გვარდია, რომელსაც ვალიკო ჯუღელი მეთაურობდა და წვევამდელებისა, ანუ ჩვეულებრივი. მე და ტერენტი წვევამდელთა ჯარში ვირიცხებოდით. პირადად მას იქ არ შევხვედრივარ. გამიგონია კი, რომ ტერენტი აქტიურად მონაწილეობდა ბათუმიდან თურქი ასკერების განდევნაში“ (ცქიტიშვილი, 1990: 212).

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, საქართველოში იმხანად არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით არსებული დოკუმენტური მასალებით ისიც დასტურდება, იმჟამინდელი დიდმნიშვნელოვანი ეროვნული მოვლენებისადმი მაშინდელ ჩვენს საზოგადოებას ერთგვაროვანი დამოკიდებულება რომ არ ჰქონია და მისი გარკვეული ნაწილი იმდროინდელ რეალობას ადექვატურად არ აფასებდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა არსებობდა ჯარში, რომლის დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიაში იმხანად განვითარებულ მოვლენათა შედეგად სრულიად დემორალიზებული იყო და ფაქტობრივად არაფერს აკეთებდა მასზე დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად.

აი, რა ინფორმაციას გვაწვდის ამასთან დაკავშირებით გენერალი გიორგი მაზნიაშვილი (18971-1937 წწ.), რომელიც ერთ-ერთი უშუალო ხელმძღვანელი იყო თურქი ასკერების წინააღმდეგ იმხა-

ნად გამართული საომარი ბატალიებისა: "ქართული ჯარების შესადგენად პირობები ვერ იყო კარგი... არსებული სამხედრო ნაწილები ჯერ კიდევ წინად იყვნენ გახრწნილნი და, რომ დაინახეს ეროვნული ჯარების მოწყობა, კიდევ უფრო გაიხრწნენ. ჯარისკაცები სამსახურის მაგივრად დადიოდნენ მიტინგებზე, ქეიფობდნენ და პირად საქმეებს აწყობდნენ. ყაზარმებში დადიოდნენ მხოლოდ დასაძინებლად. ქალაქი გატენილი იყო მოხეტიალე ჯარისკაცებით...

ახლად შემდგარი ეროვნული ნაწილები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტ წილს იგდებდა ხელში სახელმწიფოს ქონებიდან. ოფიცერთა შემადგენლობაც ვერ იდგა სასურველ სიმაღლეზე" (მაზნიაშვილი, 1990: 4).

მთავარსარდლის ბრძანებით, სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში დაინიშნა გ. მაზნიაშვილი იმ სამხედრო რაზმის უფროსად, რომელიც სადგურ ჩაქვიდან ბათუმისაკენ უნდა გადაადგილებულიყო და "ყოველი ღონისძიებით შეეშალა ხელი ოსმალებისთვის, რომ მათ არ დაეჭირათ სამების ფორტი." თუმცა, გ. მაზნიაშვილის ინფორმაციით, რაზმი, რომლის უფროსობაც მას დაევალა და რომლის მიერაც განსახორციელებელი გეგმის სასწრაფოდ და წარმატებით შესრულებაზეც ბათუმის ბედი იყო დამოკიდებული, რეალურად არ არსებობდა, ქვეითი ჯარის დაუხმარებლად, მარტოოდენ არტილერიით, კი მტერზე იერიშის მიტანა შეუძლებელი იყო. "საქმის ვითარება საოცარი სისწრაფით ვითარდებოდა და რთულდებოდა. ყოველ საათში ერთი-ერთმანეთზე მოდიოდნენ მატარებლები, დატვირთული მოტაცებული ქონებით, და ეს მატარებელი გარედან და შიგნით მთლად გაჭედილი იყო ფრონტიდან გამოქცეული ქართველი ჯარისკაცებით...

სადგურ სამტრედიის კომენდანტი ბევრსა სცდილობდა შეეჩერებინა გამოქცეული ჯარისკაცები, მაგრამ ვერას აწყობდა, რადგან ამისთვის საკმაო ძალები არა ჰყავდა. გამოქცეულები გარბოდნენ თავიანთ სოფლებსა და სახლებში და თან მიჰქონდათ სახაზინო ტანისამოსი, იარაღი და მოკაზმულობა.

31 მარტს გათენებისას ნათლად გამოირკვა, რომ ბათუმი უნდა დაცემულიყო. მართლაც, პატარა ხანის უკან მოვიდა ცნობა, რომ ბათუმი ჩაბარდა ოსმალებს მთელი თავისი გარნიზონით" (მაზნიაშვილი, 1990: 24).

სამწუხაროდ, გ. მაზნიაშვილის მიერ მოწოდებული ეს ინფორმაცია სიმართლეს რომ წარმოადგენს და იმჟამინდელი ქართული ჯა-

რის მნიშვნელოვანი ნაწილი მართლაც არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, ამას სხვა ავტორებიც ადასტურებენ.

1918 წლის 31 მარტის ბათუმურ ტრაგედიას უაღრესად საგულისხმო შეფასება მისცა პოეტმა კოლაუ ნადირაძემაც (1895-1990 წწ.) თავის ერთ-ერთ გვიანდელ ბელეტრისტულ ჩანაწერში – „ნადირობის დროს მოყოლილი ამბები." ნათქვამის ნათელსაყოფად გავიხსენებ ფრაგმენტებს დასახელებული ტექსტიდან. სანადიროდ წასული სამი მეგობრიდან ერთ-ერთის თქმით, როცა ბრესტის ხელშეკრულების ძალით ოსმალებმა მათთვის ბათუმის გადაცემა მოითხოვეს, „ჩვენ იძულებული გავხდით, ბათუმი იარაღით დაგვეცვა... ყველას გახსოვთ ის წვიმიანი და უმხიარულო დღე ქუთაისში – ზარების რეკვა და მქუხარე სიტყვები ბაღში! გიმნაზიელით დაწყებული და გათავებული ჩვეულებრივი ვაჭრით, რომლის ყოველდღიურ ბედნიერებას სავსებით უზრუნველყოფდა მოგების ერთი მეათედის მწვანე ბაზარზე დახარჯვა, ყველა გაიძახოდა:

– ვუშველოთ ბათუმს!

– დავიხსნათ ბათუმი!

– დავეხმაროთ ბათუმს!

არ დარჩენილა არც ერთი ახალგაზრდა, რომელიც არ ჩაწერილიყო რაზმში, რომელსაც სურვილი არ განეცხადებინოს ბათუმის დასაცავად წასვლაზე. ყველა ხედავდა და დარწმუნებული იყო, რომ ბათუმის დაკარგვა საქართველოსთვის დიდი უბედურება იქნებოდა, რომ უბათუმოდ წარმოუდგენელი იყო მისი არსებობა.

ეს იყო საერთო ენთუზიაზმი, რომელმაც, მართალია, ვერ გადაარჩინა ბათუმი, მაგრამ შეაკავშირა მრავალი და ნათლად დაანახა ყველას, რომ მხოლოდ ენთუზიაზმით შესაძლებელია გამარჯვების მოპოვება...

მე მახსოვს ხალხით გაჭედილი ქუთაისის ბაღი, ქუთაისის ქუჩები. მეც ქუჩაში ვიყავი ხალხში გარეული. სხვებთან ერთად ჩავეწერე მოხალისეთა რაზმში და მოუთმენლად მოველოდი იმ წუთს, როცა წაგვიყვანდნენ ბათუმში მტრის წინააღმდეგ. მე ვერ წარმომედგინა ისეთი ქართველი ახალგაზრდა, რომელიც სახლში დარჩებოდა, რომელიც არ აენთებოდა ბრძოლის წყურვილით და ქვეყნის დაცვისათვის არ მიატოვებდა თავის სახლს, თავის ცოლ-შვილს და დედ-მამას" (ნადირაძე, 1984: 129).

სამწუხაროდ, ამ საერთო ეროვნულ ენთუზიაზმს მაშინ წარმატება არ მოჰყოლია და ამ სახალხო რაზმების მებრძოლებს მტერმა დაასწრო ბათუმის აღება. ასე რომ, ომში წასვლა მათ უკვე არა ქალა-

ქის დასაცავად და შესანარჩუნებლად მოუხდათ, არამედ მის უკან დასაბრუნებლად.

კ. ნადირაძის ხსენებული პუბლიკაციის პერსონაჟები გულისტკივილით იმაზეც საუბრობენ, რომ ოსმალთა ჯარი მაშინ მხოლოდ ბათუმის დაუფლებით არ დაკმაყოფილებულა და იგი ჩვენი ქვეყნის სხვა ადგილების დასაპყრობადაც აქტიურად მოიწევდა წინ. ქართველი მებრძოლები თუ უკვე გურიაში შემოჭრილ მტერს იქაური უღელტეხილებისა და ბუნებრივი სიმაგრეების გადმოლახვის შესაძლებლობას მისცემდნენ, მაშინ მისი შეჩერება უკვე შეუძლებელი გახდებოდა და ოსმალეთა ჯარი ორიოდე დღეში ქუთაისსაც დაეუფლებოდა.

კ. ნადირაძის დოკუმენტური ნოველის პერქსონაჟები უდიდესი გულისტკივილით უსვამენ ხაზს იმ გარემოებას, რომ ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში მყოფ ქვეყანას მაშინ „ისეთი მთავრობა, ან ისეთი პიროვნება არ ჰყავდა," რომელიც სამშობლოს დასაცავად გულანთებული საზოგადოების ზემოთ მოხსენიებული ნაწილის პატრიოტულ სულისკვეთებას, ინიციატივასა და ენთუზიაზმს „მტკიცე ხასიათს მისცემდა" და წინ წარუძღვებოდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ „ჩვენი ჯარი – თუკი მას შეიძლებოდა ეს სახელი წოდებოდა – შედგებოდა ცუდად გაწვრთნილი, ცუდად შეიარაღებული ახალგაზრდებისგან, რომელთაც აკლდათ საჭმელი, სასმელი და ყოველივე ის, რაც საჭიროებას წარმოადგენს ომში.

დისციპლინას ჩვენ თავად ვქმნიდით. ნამდვილად კი ის არ არსებობდა. ხელმძღვანელობის უმრავლესობა მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ რამე მოეპარა" (ნადირაძე, 1984: 133).

ოსმალეთის წინააღმდეგ გამართულ ამ ომში დამარცხების განმაპირობებელ მიზეზებზე საუბრის დროს კ. ნადირაძის ხსენებული ნოველის პერსონაჟები იმ გარემოებასაც უსვამენ ხაზს, ზემოთ აღნიშნული პატრიოტული სულისკვეთებით სინამდვილეში საზოგადოების მხოლოდ ნაწილი რომ იყო გულანთებული, ქვეყნის მართვა-განმგებლობის სათავეებთან მდგარი ელიტისა და დიდგვაროვნების უმეტესობა კი ამგვარ ტრაგიკულ ეროვნულ მოვლენებს გულგრილად და ინდიფერენტულად ადევნებდა თვალს.

მაგალითად, აი, რას ათქმევინებს მწერალი ხსენებული ნოველის ერთ-ერთ პერსონაჟს ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით: „ჩემის ღრმა რწმენით, ამ საშინელ მომენტში მთელი ჩვენი თავადაზნაურობა ფრონტზე იყო. ეს მე მჯეროდა აბსოლუტურად. არავითარ

ძალას არ შეეძლო ამ რწმენის შერყევა. ჩემი ოცნება ხედავდა მათ იარაღში ჩამსხდართ და ხმლით ხელში იარაღით გაქროლილთ მტრებზე."

თუმცა რეალურად არსებული მდგომარეობის უნებურმა ხილვამ კ. ნადირაძის პერსონაჟის ეს რომანტიკული პატრიოტული წარმოსახვა ერთბაშად დაამსხვრია, რითაც მწერალმა თავისი ნოველის პერსონაჟთა მიერ გამოხატულ ეროვნულ სკეპტიციზმს განზოგადების ფართო მასშტაბები შესძინა. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ნაწარმოებიდან:

ფრონტიდან მშობლიურ ქალაქ ქუთაისში დაბრუნებული ერთერთი პერსონაჟი, ღამით ქალაქში სეირნობის დროს, გასართობ კლუბში მოხვდა და, მისდა მოულოდნელად, სრულიად განსხვავებულ გარემოში აღმოჩნდა: მის წინა „მხიარული და უდარდელი სახეებით იდგნენ ჩვენი თავადები – ჩოხებში გამოწყობილნი და ჩვეულებრივად თამაშობდნენ კარტს, ზოგი მათგანი იჯდა, ზოგი ფეხზე იდგა. ისმოდა მათი ოხუნჯობა, სიცილი, დარბაისლური ლაპარაკი...

ჯარისკაცის დანახვაზე გაიკვირვეს, მათმა სახემ უსიამოვნო გამომეტყველება მიიღო... მე საჩქაროდ შემოვბრუნდი და ჩქარი ნაბიჯით გავეშურე კიბისაკენ. უკან დარჩა თავადების სიცილი, თამბაქოს კვამლი, მხიარული სახეები, კარტის შრიალი. არ მახსოვს, როგორ ჩამოვედი კიბეზე, როგორ მოვედი სახლში. ჩემში უეცრად რაღაც გაწყდა; თითქოს ვიღაცამ სილა გამაწნა, თითქოს ვიღაცამ გათელა ჩემი ბავშვური სიყვარული, ჩემი ბავშვური ოცნება" (ნადირაძე, 1984: 137).

დამოწმებული ეპიზოდისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მეტად საინტერესო ამ მხატვრულ-დოკუმენტური ოპუსის ავტორი მასში აღწერილი მოვლენის თანამედროვე და უშუალოდ თვითმხილველია, რაც მის მიერ მოთხრობილ ამბავს მეტ დამაჯერებლობას სძენს.

სამწუხაროდ, მწერლის მიერ ესოდენი ემოციური სიმძაფრით გამოხატული ეს პატრიოტული გულისტკივილი განზოგადებული ფორმითაც რომ წარმოაჩენს ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის ეროვნულ ინდიფერენტიზმსა და გულგრილ დამოკიდებულებას ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემებისადმი, აფხაზეთში განვითარებული ქართულ-რუსული სისხლიანი კონფლიქტის დროსაც ნათლად გამოჩნდა. ჩვენდა სავალალოდ, ქართული სახელმწიფოს გა-

დასარჩენად გამართული სისხლისმღვრელი ბრძოლების პერიოდში ქართველთა გარკვეული ნაწილი მაშინაც მხოლოდ პიროვნულ კეთილდღეობაზე ზრუნვით უფრო მეტად იყო დაკავებული და უცხო ქვეყნების გასართობ ცენტრებში დადიოდა დროის ფუქსავატურად გასატარებლად.

კოლაუ ნადირაძის მიერ იმხანად არსებული სინამდვილის ამგვარი რაკურსით წარმოსახვაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამის დასტურად აქ ქართველი ემიგრანტი მწერლის - ლადო არველაძის (1908-1975 წწ.) მემუარებიდანაც დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს. კერძოდ, აი, რა შეფასებას აძლევდა იგი იმ დამოკიდებულებას, რომელსაც იმდროინდელი ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი იჩენდა ზემოთ აღნიშნული მოვლენებისადმი: „იმის მესამედი მსხვერპლი რომ გაეღო საქართველოს 1921 წელს, როცა ლენინის არმია მოადგა ჩვენს საზღვრებს, რომელიც გაიღო მეორე მსოფლიო ომში, ვერ დაგვიპყრობდა წითელი ბანდა, ჩაუცმელი, მოუვლელი და შეუიარაღებელი".

ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილისადმი ავტორის ამგვარი დამოკიდებულების ნათელსაყოფად აქ ხსენებული მემუარებიდან ის ეპიზოდებიც მინდა გავიხსენო, სადაც მწერალი ქართველ დედათა პატრიოტული თვითშეგნების დეფორმირების შესახებაც საუბრობს. მაგალითად: ლ. არველაძის მტკიცებით, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არსებობის ხანმოკლე პერიოდში „ვერც ქართველი დედები აღმოჩნდნენ მთლად იმ დონეზე, რომელ დონეზედაც იდგნენ ძველი დედები: არავინ ისტუმრებდა შვილს ბრძოლის ველისაკენ, არავინ ულოცავდა გზას, არავინ მოუწოდებდა სამშობლოს დაცვის მოვალეობისადმი" (არველაძე, 1963: 61).

იმისათვის, რომ ქართველი დედებისადმი წაყენებული ამ უმძიმესი ბრალდებისათვის მეტი დამაჯერებლობა მიეცა, მწერალი მისი მახლობელი ადამიანების ცხოვრებიდანაც იშველიებდა კონკრეტულ ეპიზოდებს. მაგალითად: „ჩვენი ოჯახის განაყოფი ლავრენტია არველაძე მოკლეს აწყურთან; დედამ ასე დაიტირა: „შვილო ლავრენტია, ობლობაში გამოზრდილო, დეიქცეს და დეიმხოს ჟორდანიას მთავრობა, რა გინდოდა შენ აწყურთან, რა გინდოდა, რა გინდოდა!"

ასევე მოსთქვამდა სიმონა არველაძის დედა ნინო: „ღმერთო, ამოაგდე ჟორდანია-გეგეჭკორის ოჯახები! რა უნდოდა ჩემს სიმონას

ნატანებთან (სიმონა არველაძე მოკლეს ნატანებთან ომის დროს 1918 წელს), რა გვინდოდა ჩვენ იქინეო...“ ამისთანა სიტყვებით ამბობდნენ სხვა დედებიც ჟორდანიას მთავრობის მიმართ. რაში დებდნენ ჟორდანიას მთავრობას ბრალს ჩვენი დედები? იმაში, რომ მათი შვილები საქართველოს საზღვრების დაცვის დროს დაიხოცნენ.“

ქართველ დედათა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნების ამგვარი დეფორირების ტრაგიკული შედეგის არსში უფრო ღრმად გასარკვევად, მწერალს ზემოთ დამოწმებული მაგალითებისაგან არსებითად განსხვავებული ასეთი ეპიზოდებიც მოჰყავს სამამულო ომის დროინდელი ჩვენი ყოფიდან: „ეხლა, როცა საქართველოს მიწაზე ძალიან მცირე რიცხვი დარჩნენ ოჯახებში, რომელთაც არ განუცდიათ ყუმბარების და ჰაერიდან წამოსული ბომბების ჟრუანტელის მომგვრელი ძრწოლა და შიში, როცა ყოველი სამი ოჯახიდან ერთმა მაინც ჩაიცვა თალხი, როცა ზოგიერთი ოჯახიდან სულ გაწყდა მამაკაცის სახსენებელი, ცრემლის გადმოგდებასაც ვერავინ ბედავდა, არამც თუ სამდურავის გამოთქმას. ამისთანა საოცარი ცვლილება მოხდა სულ რაღაც ოცდასამიოდე წელიწადში...

რამ შეცვალა ეს გარემოება? შიშის გრძნობამ, რუსულმა ხიშტმა, მკერდში რომ აქვს მიბჯენილი ყოველ ქართველს სქესისა და ასაკის განურჩევლად. შიშმა დაბადა ერთგულება, სიყვარული, თავისდადების გრძნობა“.

ერთმანეთთან შეპირისპირებული ფორმით წარმოსახულ ამ ეპიზოდებს ავტორი, პირველ ყოვლისა, ქართველი საზოგადოების ეროვნულ თვითშეგნებაში საბჭოთა ხელისუფლების დიქტატორული იდეოლოგიური პოლიტიკის სავალალო შედეგად მიიჩნევდა და ამ სამწუხარო ჭეშმარიტების არსში მკითხველის კიდევ უფრო ღრმად გარკვევის მიზნით ასეთ პარალელსაც ავლებდა: „დამოუკიდებელი საქართველოს დასაცავად ასიოდე მოკვდა და ასი ათასი წყევლა და კრულვა გაეგზავნა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას. ეხლა კი დაპყრობილი საქართველოდან ასი ათასები კვდებოდნენ სხვისი მიწის დამპყრობელთაგან დასაცავად და არც ერთი სამდურავი, არც ერთი დეზერტირი. რა ძალა ჰქონია თურმე შიშს!“ (არველაძე, 1963: 63).

ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლების მიერ ქართული რეგიონების მისასაკუთრებლად განხორციელებულ საომარ ოპერაციებს მხატვრულ-პუბლიცისტური ტექსტებითაც აქტიურად გამოეხმა-

ურა იმდროინდელი ქართული მწერლობის არაერთი წარმომადგენელი. ამ გარემოებით განპირობებული გულისტკივილის გამოხატვასთან ერთად ისინი იმის რწმენასაც განუმტკიცებდნენ მკითხველს, თავისუფლების მადლს ნაზიარები ერი ამ საბედისწერო ბრძოლაში უკან რომ არ დაიხევდა და მტერს ქედს არ მოუხრიდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ის ნაწარმოებები, რომლებიც ჩვენმა მწერლებმა 1918 წელს თურქი ასკერების წინააღმდეგ ბათუმის შესანარჩუნებლად გამართულ ბრძოლას მიუძღვნეს.

მაგალითად, იოსებ გრიშაშვილმა ოსმალთა აგრესიისაგან დასაცავად მებრძოლი ქართველი მხედრებისადმი თავისი აქტიური თანადგომა ამგვარად გამოხატა იმხანად დაწერილი ლექსით „სიმღერა“:

გაირღვა შუქეთი! აწითლდა ცხოვლადა!
ჩამოდნა სხივები ვარდისფერ თოვლადა!
მებრძოლნი გამოჩნდნენ! დროშებით დგანან!
მეც ვყივი: ჰაბუკნო! რას უცდით!
მახვილით მახვილსა! შეერთდით... დაჯგუფდით...
თამარის სამშობლო არ გიყვართ განა?..
მივბაძოთ მთიელებს: ფშაველსა, ხევსურსა!
მოჰქრიან! მღერიან სიმღერას ზევსურსა -
დავიხსნათ სამშობლო! დავიხსნათ მამული!

როგორც ითქვა, იმდროინდელი ქართული მწერლობის ცნობილი წარმომადგენლები არა მარტო სიტყვიერი მოწოდებებითა და მხატვრულ-პუბლიცისტური ნაწარმოებებით იბრძოდნენ თურქული აგრესიისაგან ჩვენი ქვეყნის ზემოთ ხსენებული რეგიონების დასაცავად, არამედ იარაღითაც. სამწუხაროდ, ბათუმის დასაცავად გამართული ბრძოლის პირველი ეტაპი წარუმატებელი აღმოჩნდა და 1918 წლის პირველ აპრილს თურქმა ასკერებმა ქალაქის დაკავება შეძლეს. ტიციან ტაბიძემ ამ ტრაგიკული მოვლენით განპირობებული ემოცია უმძაფრესი ფორმით გამოხატა იმ დღეებში დაწერილ პოეტურ ელეგიაში - „ორი აპრილი“ (1918 წ.). ტიციანის შეფასებით, ბათუმის დაკარგვამ „ტანჯული ფიქრით სამუდამოდ მოქანცული“ მისი სული გაუქარვებელი ტკივილითა და ნაღველით აავსო:

ბათომი მისცეს და ორპირზე მოდის თათარი,
ატმის ყვავილით სისხლიანი სტირის აპრილი.
ყვითელ სატურნის უბედობით ავად გამხდარი,
პოეტის სულიც საქართველოს კუზად დახრილა...
საკუთარ თავის და სამშობლოს ახალ შერცხვენის
ტანჯული ფიქრით სამუდამოდ მოვიქანცები.

ახ, მეგობრებო, ჩემი სული ჰვარტლია სხვენის,
ცრემლით სავსეა ჩემი წილი „ჩვენი ყანწების.“

აღნიშნული მოვლენა ტ. ტაბიძემ 1927 წელსაც გაიხსენა ლექსში „...და გარი-ბალდის წითელი ქუდი.“ პოეტი დაუცხრომელი მწუხარებით იხსენებდა 1918 წლის აპრილს და თურქების მიერ ბათუმის დაპყრობის ფაქტს ჩვენს ეროვნულ სირცხვილად მიიჩნევდა. ტიციანის გულისტკივილს კიდევ უფრო ამძაფრებდა გახსენება იმისა, რომ ქართველ პატრიოტთა სურვილი მტერზე რევანშის აღებისა იმხანად წარუმატებელი ოცნება აღმოჩნდა:

ცხრაას თვრამეტის ვიგონებ აპრილს
და თათრებისგან დაქცეულ ბათომს.
ვხედავ ქართველ ჯარს იარაღაყრილს
და ეს სირცხვილი დღესაც ძვალს ათბობს.
გვიდუღდა სული შურისძიების,
ამ ცა და ქვეყნის გადარევაში.
ჩვენი წყურვილი იყო - ეგების
აგველო თათრის ერთი რევანში.

საბედნიეროდ, ოსმალების სამხედრო წარმატება მაშინ ხანმოკლე გამოდგა და 1920 წლის ივლისიდან მოყოლებული, ბათუმი უკვე სამუდამოდ დაუბრუნდა დედასამშობლოს, როგორც მისი ღვიძლი და განუყოფელი ნაწილი.

მომხდარი ამბით აღფრთოვანებული ტიციანი აღნიშნულ მოვლენასთან და-კავშირებით იმ დღეებში გამოქვეყნებულ წერილში წერდა: „ჩვენ ბევრნი ვართ ბათუმში: უბრალოებით გულში და ფოლადის სიმტკიცით ხერხემალში... მე მე-ლანდება დღეს ბათუმში, რომ ბათუმი გახდა ჩვენთვის პეტერბურგად; რომ გა-იშლება მზის მირაჟი და იქნება მზის მოვარდნა“ („საქართველო,“ 1920: # 93).

ბათუმთან ტ. ტაბიძის დამოკიდებულების შეფასების დროს მკითხველის ყურადღება ერთ მნიშვნელოვან ფაქტსაც მინდა მივაქციო: 1920 წლის სექტემბრის დასაწყისში ტიციანი ამ ქალაქში გაზეთსაც სცემდა „მთლიანი საქართველოს“ სახელწოდებით (პირველი ნომერი გამოიცა პირველ სექტემბერს). სამწუხაროდ, პოეტმა ამ პერიოდული ორგანოს მხოლოდ სამი ნომრის დაბეჭდვა შეძლო, რადგანაც ბათუმის ოლქის მაშინდელი თავკაცის - ბენია ჩხიკვიშვილის მიერ 2 სექტემბერს გამოცემული ბრძანებით, გაზეთის გამოცემა შეწყდა (ხსენებული გაზეთის შესახებ დამატებით იხ: მეძველია, „მნათობი,“ 1985: #12; ტაბიძე, „ჟურნალისტური ძიებანი“, 105-127).

„მთლიანი საქართველოს“ გამოცემის აკრძალვის უმთავრეს მიზეზად მის პირველ ნომერში გამოქვეყნებული ტ. ტაბიძის წერილი - «ირრედენტისათვის“ იქცა. აღნიშნული პუბლიკაციის უმთავრეს პათოსსა და სულისკვეთებას განსაზღვრავდა მოწოდება იმისა, საქართველოს სახელმწიფო კვლავ დაპატრონებოდა ისტორიულად კუთვნილ და ქართველებით დასახლებულ იმ ტერიტორიებს, რომლებიც იმხანად თურქეთს ჰქონდა მიტაცებული. როგორც ცნობილია, ირედენტიზმი (სახელწოდება წარმოდგება იტალიური სიტყვისაგან), როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა, ჩამოყალიბდა იტალიაში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში და მიზნად ისახავდა იტალიელებით დასახლებული სასაზღვრო რეგიონების შეერთებას იტალიასთან.

გ. ჩხიკვიშვილის ხაზგასმით, იმის გამო, რომ ტიციან ტაბიძის ხსენებული წე-რილი „მიმართული იყო ჩვენთან კეთილგანწყობილი ოსმალეთის წინააღმდეგ და თავისი შინაარსით დაუშვებელ პუბლიკაციას წარმოადგენდა,“ იგი, როგორც ბათუმის ოლქის ხელმძღვანელი, ოფიციალურად ადგენდა, გაზეთის გამოცემა შეჩერებულიყო ბათუმის ოლქში სამხედრო წესების მოხსნამდე.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს ტ. ტაბიძის წერილის „ანტიოსმალური მიზანსწრაფვის“ არსზე, დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული პუბლიკაციიდან: „სიტყვა ტრაპიზონი დღეს უნდა გაისმას ქართულ პოეზიაში და უნდა აღსდგეს უფრო მეტი ბრწყინვალებით.

რესპუბლიკური ჯარი ვერ გაჩერდება იმ საზღვარზე, რომლის იქითაც იქნება ლაზისტანი და ტრაპიზონი. ტრაპიზონი პირდაპირი გზაა საქართველოსი აზიის სიღრმეში და ამ გზას დაიპყრობს ქართული ჯარი. ქართულ ჯარს ახალი ომის საგანი აქვს. ქართველ პოეტებს ახალი ომის და სიმღერისა.“

მიუხედავად იმისა, რომ დამოწმებული ფრაგმენტით ტ. ტაბიძემ ფაქტობრივად ყველა პატრიოტი ქართველის ის ოცნება გამოხატა, რომელსაც საკმაოდ მყარი ისტორიული საფუძველი მოეპოვება, სამწუხაროდ, ამ ოცნების ხორცშესასხმელად საქართველოს იმხანად არც სათანადო სამხედრო ძლიერება გააჩნდა და არც საერთაშორისო მხარდაჭერა. უფრო მეტიც, იმჟამინდელ რთულ ვითარებაში არა თუ ტრაპიზონისა და ლაზისტანის შემოერთებაზე ოცნებას არ ჰქონდა რეალური პერსპექტივა, არამედ კომუნისტური რუსეთის თავკაცთა აქტიური მხარდაჭერითა და საერთაშორისო ასპარეზზე

იმხანად შექმნილი ჩვენთვის არასასურველი მდგომარეობით ძალმიცემულმა თურქეთმა 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად შემოერთებული ქართული ტერიტორიების დიდი ნაწილიც კი მიისაკუთრა ხელმეორედ.

ასე რომ, თუკი მოვლენებს რეალურად განვსჯით და შევაფასებთ, ასეთ რთულ ვითარებაში ბათუმის ოლქის თავკაცის მიერ მიღებული ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილება, ჩემი აზრით, იძულებით გადადგმულ პოლიტიკურ ნაბიჯად უფრო უნდა შევაფასოთ, ვიდრე ეროვნული ინტერესების ღალატად. ვფიქრობ, ამ დადგენილების მიღებით ბ. ჩხიკვიშვილმა რეალური ნაბიჯი გადადგა საიმისოდ, თურქეთთან იმხანად ისედაც გართულებული მდგომარეობა კიდევ უფრო მეტად რომ არ გაემწვავებინა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ბათუმის ოლქის ხელმძღვანელის მიერ გაზეთის გამოცემის აკრძალვასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას რედაქტორისა და ქართველ მწერალთა ნაწილის მწვავე რეაქცია მოჰყვა.

ხსენებული მოვლენის წინააღმდეგ მიმართული პირველი წერილი - „ერთობის" კლევრეტებს" (კლევრეტი ლათინური სიტყვაა და ქართულად ისეთ მხარდამჭერს ნიშნავს, რომელიც თავისი მფარველის საამებლად არაფერზე დაიხევს უკან) ტ. ტაბიძემ გამოაქვეყნა გაზეთ „საქართველოს" 1920 წლის 7 სექტემბრის ნომერში. როგორც წერილის სათაურიდანაც თვალნათლივ ჩანს, აღნიშნული სტატიის გამოქვეყნებით ტ. ტაბიძემ არა მარტო ბათუმის ოლქის თავკაცის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიმართ გამოხატა პროტესტი, არამედ ჩვენი ქვეყნის იმჟამინდელი ხელისუფლების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკაც გააკრიტიკა არაპირდაპირი ფორმით.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ხსენებული წერილიდან: „ბათომში ჩემი რედაქტორობით გამოცემულ გაზეთ „მთლიან საქართველოში" მე დავბეჭდე წერილი „ირრედენტისთვის." მე ვსწერდი საქართველოს შესაძლებელ ძლიერებაზე და ირრედენტის, რომელიც შექმნილია კიდეც, გაღვიძებაზე - ობიექტი, რასაკვირველია, იყო ლაზისტანი და ტრაპიზონი. ამ წერილმა მოსალოდნელი პროტესტი გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ წერილი გატარებული იყო სამხედრო ცენზურაში და ცენზურით ნებადართული, ბათომის და მისი ოლქის საგანგებო კომისარი ბ-ნი ბ. ჩხიკვიშვილი ამ წერილის გამო ჰკეტავს გაზეთს სამხედრო

წესების მოხსნამდე. ჩემთვის გასაკვირი არ ყოფილა ეს აქტი... მე ვიცოდი, ოფიციალური საქართველო არ მიიღებდა ჩემს ტეზისს, მაშინ მას დაეკარგებოდა თავის გამართლება."

ხსენებულ პუბლიკაციაში ტ. ტაბიძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, მის წინ კვლავაც „გვერდაუვლელი სიყვარულით იდგა დიდი საქართველო," რომლის „განმტკიცებისათვის ბრძოლაში მას „ერთობის" კლევრეტები ვერ შეაჩერებდნენ."

ხელისუფლების მიერ „მთლიანი საქართველოს" დახურვისადმი თავისი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ტ. ტაბიძემ 1920 წელს თბილისში მისივე რედაქტორობით გამოცემულ გაზეთ „ბარრიკადის" პირველ ნომერში გამოქვეყნებულ სარედაქციო წერილშიც გამოხატა. ტიციანის შეფასებით, „ქართული საზოგადოებრივი აზრი დაიმახსოვრებს იმ ძალადობას, რომელიც გამოიჩინა საქართველოს ოფიციალური მთავრობის წარმომადგენელმა ქალაქ ბათომში ტიციან ტაბიძის წერილისათვის „ირრედენტა." ამ წერილში იყო გალაშქრება ოსმალოს ნაციონალისტების წინააღმდეგ და ის აზრი იყო გატარებული, რომ ეფემერული ოსმალეთის იმპერია ვერ მოინელებს საქართველოსთვის უდავო ტერიტორიას, როგორც ლაზისტანი და ტრაპიზონია, რომ ქართული ჯარი დაუბრუნებს ჯვარზე გაკრულ ნახევარ მთვარეს ძველ ტანჯვას."

ტ. ტაბიძისა და მისი თანამოაზრეების მხრიდან ბ. ჩხიკვიშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების განახლება იმის შეტყობამ განაპირობა, რომ იმ სტამბაში, სადაც გაზეთი „მთლიანი საქართველო" იბეჭდებოდა, ოფიციალური ხელისუფლების დაფინანსებით ახლა „ბათუმის გაზეთი" გამოდიოდა. სარედაქციო წერილში აღშფოთებით ესმებოდა ხაზი იმ გარემოებას, რომ ამ გაზეთის დასაფინანსებლად მთავრობა ხაზინიდან 300 ათასი მანეთის სუბსიდიას სცემდა, იმ ოდენობის თანხას, რაც ადრე მის მიერ „სამუსლიმანო საქართველოს" გამოსაცემად იყო გამოყოფილი.

მიუხედავად იმ აღშფოთებისა, ყოველივე ამის გამო რომ გამოხატავდა „ბარრიკადის" რედაქტორი, სარედაქციო წერილის ბოლოს იგი კატეგორიული ფორმით კიდევ ერთხელ აყალიბებდა თავის ეროვნულ თვალთახედვას იმასთან დაკავშირებით, რომ „ეს ყველაფერი წარმავალი იყო, რჩებოდა მხოლოდ უდრეკი ნება მთლიანი

საქართველოსი თავისი სხეულის გამრთელებისთვის და გარდაუვალი ირრედენტა: ლაზისტანი და ტრაპიზონი.“

როგორც ითქვა, „მთლიანი საქართველოს“ აკრძალვის ფაქტს მწერალთა ერთი ნაწილის მწვავე რეაქციაც მოჰყვა. მაგალითად, დავით კასრაძემ გაზეთ „საქართველოს“ 1920 წლის 103-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში - „პოეტები და ირრედენტები“ „მთლიანი საქართველოს“ დახურვის ფაქტს ასეთი შეფასება მისცა: ამ გადაწყვეტილების მიღებით „ბათომის მესაჭე ბენია ჩხიკვიშვილმა ინკვიზიტორის როლი იკისრა... მერე რა იყო უჩვეულო ამ მანიფესტში? - აღშფოთებით კითხულობს დ. კასრაძე, - და თავადვე პასუხობს: - არაფერი, გარდა ერთი პატრიოტული აღმაფრენისა, რომელიც თავს დასტრიალებს სამშობლოს მთლიანობას, მის ფარგლებში ისეთი კუთხეების შემოსვლას, რომელნიც ისტო-რიულად გვეკუთვნოდნენ და თუ დღეს არ გვეკუთვნიან, მხოლოდ თვალბედითი ფორტუნას წყალობით.“

დ. კასრაძის შეფასებით, ტ. ტაბიძის ოცნება საქართველოსთვის ლაზისტანისა და ტრაპიზონის შემოერთებაზე სულ მალე „მთელი საქართველოს კოლექტიურ ზმანებადაც გარდაიქმნებოდა“ და ისტორიულად ჩვენი ქვეყნისთვის კუთვნილი ეს ტერიტორიები „ბათუმზე უფრო მეტის ბრწყინვალებით გახდებოდა ქართული პოეზიის ახალ დევიზათ.“

საბოლოოდ, ალბათ, სულაც არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ბათუმთან ტ. ტაბიძის დამოკიდებულებამ იდეალიზებული ფორმით გამოავლინა ჩვენი ქვეყნის მიერ საუკუნეთა განმავლობაში დაკარგული ტერიტორიების შემოერთებით ქართული სახელმწიფოს ისტორიულ საზღვრებში აღდგენისა და გაძლიერების რომანტიკული იდეა.

სამწუხაროდ, 1918 წლის 31 მარტის ტრაგედია გამონაკლისი არ ყოფილა და 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის შედეგად ბათუმს კიდევ ერთხელ დაემუქრა დედასამშობლოსგან ფიზიკურად მოწყვეტის საფრთხე.

როგორც ცნობილია, საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულ ძალთა მიერ 1921 წლის 25 თებერვალს თბილისის დაპყრობის შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა დედაქალაქი დაეტოვებინა და თავი ბათუმისთვის შეეფარებინა, ბოლოს კი ემიგრაციაში გახიზნულიყო. სამწუხაროდ, მტრის მრავალმხრივი შემოტევებისაგან ქვეყნის დასახსნელად და

დახმარების სათხოვნელად მთავრობის მესვეურთა აქტიურ მოლაპარაკებებს თურქეთთან და ევროპის სახელმწიფოებთან მაშინ რეალური შედეგი არ მოჰყოლია და საქართველო ხელმეორედ მოექცა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

ქვეყანაში იმხანად შექმნილი უმძიმესი მდგომარეობით დაიმედებულმა ოსმალეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ამ ვითარებით ესარგებლა და კიდევ ერთხელ ეცადა ბათუმისა და მისი ოლქის ოკუპაცია. კერძოდ, ვითომცდა დასახმარებლად, „თურქეთის მთავრობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას სთავაზობდა თურქეთის ჯარებით ბათუმის დაცვას რუსეთის მოულოდნელი აგრესიისაგან. **ფაქტობრივად ეს იყო თურქეთის აგრესიული გეგმების შენიღბული განხორციელების ცდა, რასაც რუსეთთან ომში ჩაბმული საქართველო წინ ვეღარ აღუდგა**" (საქართველოს ისტორია, 2003: 84).

ზემოთ აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იმჟამინდელი ხელისუფლებისთვის ვითომცდა დახმარების გასაწევად თურქულმა საჯარისო ნაწილებმა 1921 წლის 11 მარტიდან უკვე რეალურად დაიწყეს ბათუმში შემოსვლა. ბათუმის შესანარჩუნებლად იმხანად გამართული საომარი შერკინების მთავარი გმირისა და ხელმძღვანელის, გენერალ გიორგი მაზნიაშვილის (1871-1937 წწ.) ინფორმაციით, „ქიაზიმ-ბეი, როგორც ოსმალეთის მთავრობის წარმომადგენელი, ჩვენს მთავრობას არწმუნებდა, რომ ოსმალეთის ერთადერთი სურვილი იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობა, და, ალბათ, ამიტომ დაუთმო ოსმალეთს საქართველოს მთავრობამ ჯერ ახალციხის მაზრის ნაწილი და მთელი არდაგანისა და ართვინის ოლქები, ხოლო შემდეგ, როდესაც დაიწყო სამხედრო მოქმედება ბოლშევიკებთან, ქიაზიმ-ბეის და მის ტელეგრაფის მოხელეს მისცეს უფლება, ხელშეუშლელად მთელი დღ-ღამის განმავლობაში ესარგებლათ **მთავარი შტაბის სააპარატო ოთახით**, ისე რომ ქიაზიმ-ბეიმ იცოდა ჩვენი მოქმედების საიდუმლოებანი გაცილებით უკეთესად, ვიდრე ჩვენ ვიცოდით.

ჩვენს მთავრობასა და მთავარსარდალს თვალები აეხილათ მხოლოდ 17 მარტს და მხოლოდ მაშინ დაინახეს ქიაზიმ-ბეის ოინები, მაგრამ უკვე გვიანღა იყო" (მაზნიაშვილი, 1990: 193).

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს ბათუმში იმხანად შექმნილ ურთულეს მდგომარეობასა და საქართველოს

დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ თურქეთთან ურთიერთობაში დაშვებულ დამღუპველ შეცდომათა არსზე, მოვიშველიებ ფრაგმენტებს ბათუმის მაშინდელი კომენდანტის – ი. ფურცელაძის მოგონებიდან: „4 თუ 5 მარტს (ზუსტად არ მახსოვს) მე მიმიწვიეს გენერალ-გუბერნატორ გ. ტ. გიორგაძესთან, რომელმაც გამიცხადა, რომ ანგორის მთავრობის წარმომადგენელ ქიაზიმ-ბეისა და ჩვენი მთავრობის შეთანხმების თანახმად, ქემალ ფაშას ჯარები უნდა შემოვიდნენ ბათუმის ოლქში და დაიკავონ ბათუმის ოლქის საზღვრები ოზურგეთისა და ახალციხის მაზრებისაკენ, მაგრამ თვით ქალაქი ბათუმი დაკავებული არ იქნება. ძალაუფლება რჩება ჩვენს ხელში. ოსმალური ნაწილები ბათუმში არ შეჩერდებიან, ხოლო აქ თავს მოიყრიან, მოეწყობიან და წავლენ წინ საზღვრებისაკენო. იმ დღეებში ჩემთან შემოვიდა ოსმალური ჯარების შტაბის უფროსი ტალანკ-ბეკ და წინადადება მომცა შემესრულებინა შემდეგი: 1) მიმეცა ბინა 5 000 ოსმალო ჯარისკაცისათვის ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში; 2) ამგვარივე რიცხვის ჯარისკაცებისათვის ბინა აჭარისწყალზე; 3) ბინა შტაბისათვის.“

გარდა ამ და მეტად მნიშვნელოვანი სხვა საკითხების სასწრაფოდ მოგვარების მოთხოვნისა, ოსმალური მთავრობის წარმომადგენელი ასევე მთხოვდა, „გამეცა პასუხი: რა ვადაში შემიძლია მე გადავსცე ციხე ოსმალურ სარდლობას და გავიყვანო ქართული ჯარი ოლქიდან... 5 000 კაცისთვის ბინის მიცემა მოკლე ვადაში შეუძლებელი იყო. საინჟინერო მმართველობამ შესაფერი ბინის მოძებნა ვერ შეძლო და იძულებული ვიყავით ოსმალების ჯარებისათვის მიგვეცა ერთი კორპუსი ბარცხანის ყაზარმებისა, რომელიც ეჭირა სახალხო გვარდიას... საერთოდ მოთხოვნანი და კაპრიზები ოსმალურ სარდლობისა თავიდანვე მაიძულებდნენ ეჭვის თვალით მეცქირა მათთვის...

იმავე დღეს სახალხო გვარდიისაგან დაიწყო ჩივილი ოსმალების თვითნებობის შესახებ, და შეტაკების თავიდან ასაცდენად, იმის გარდა, რომ ამის შესახებ არაერთჯერ მივმართე ოსმალურ სარდლობას შტაბში, იძულებული ვიყავი, სახალხო გვარდია გამომეყვანა ბარცხანის ყაზარმებიდან აზიზიეს მოედანზე და ბარცხანის ყაზარმები კი მთლიანად ოსმალებისთვის დამეთმო.“

როგორც ი. ფურცელაძის მოგონების ამ ფრაგმენტითაც თვალნათლივ ჩანს, ბათუმში შემოსვლიდან რამდენიმე დღეში ოსმალებმა ნიღაბი ჩამოიხსნეს და რეალურად დაიწყეს მათი დამპყრობლუ-

რი გეგმის განხორციელება. კერძოდ, „17-ს საღამოს მათ დაიკავეს 40 ფოსტა, ტელეგრაფი და ტელეფონი; ნახევარი საათით გვიან – ქალაქის მილიციის სამმართველო და მილიციის საუბნო სამმართველო... სრულ 12 საათზე ღამით მივიღეთ ქიაზიმ-ბეის ბრძანება, რომელშიც მან გამოაცხადა ბათუმის ოლქი ოსმალეთთან შეერთებულად და თავისი თავი კი გენერალ-გუბერნატორად. ჩვენ ჯარებს წინადადება ეძლეოდა 24 საათში დაეტოვებინა ოლქის ფარგლები, დაეყარა იარაღი“ (ნოზაძე, 1989: 98-102).

ი. ფურცელაძის ამ მონათხრობზე დაყრდნობითა და იმჟამინდელ მოვლენათა საფუძვლიანი გაანალიზების შედეგად ვიქტორ ნოზაძე სავსებით მართებულად აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ის, რაც ბათუმსა და მის ოლქში მოხდა იმხანად, „საქართველოს მთავრობის, თუ მისი თავმჯდომარის, გულუბრყვილობა და უსუსურობა იყო,“ მათი „პოლიტიკური სიბეცე და დიპლომატიური მარცხი“ (ნოზაძე, 1989: 98-103).

მას შემდეგ, რაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მესვეურებმა ოსმალთა მზაკვრული გეგმის ნამდვილი მიზანი დაინახეს, ისინი ყველანაირად შეეცადნენ მათ მიერ დაშვებული საბედისწერო შეცდომის გამოსწორებას. კერძოდ, ემიგრაციაში გახიზვნის წინა ღამეს, 1921 წლის 20 მარტს, ნ. ჟორდანია პირადად შეხვდა მისი ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი კომუნისტების ერთ-ერთ ლიდერს და თავის დაქვემდებარებაში მყოფი საჯარისო ნაწილები ახალ მთავრობას გადააბარა. როგორც ცნობილია, ორივე მხარის გაერთიანებულმა სამხედრო ნაწილებმა, რომელთაც სათავეში გენერალი გიორგი მაზნიაშვილი ჩაუყენეს, მაშინ თურქები დაამარცხეს და ამ დროიდან მოყოლებული ბათუმიცა და მთელი აჭარაც უკვე სამუდამოდ იქცა საქართველოსგან განუყოფელ ნაწილად.

ნიკო ნიკოლაძის ეროვნული მრწამსის ევოლუცია

მსგავსად "თერგდალეულთა" დიდი ლიტერატურული თაობის ყოველი წარმომადგენლისა, საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემაზე მსჯელობამ ნიკო ნიკოლაძის (1843–1928 წწ.) პუბლიცისტიკაშიც მეტად მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა. ჩვენი ქვეყნის სამომავლო სახელმწიფოებრივი ბედის განსაზღვრა თავიდანვე იქცა მისი განსაკუთრებული ინტერესის საგნად და მსოფლმხედველობრივი მრწამსის საფუძველთა საფუძვლად.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ნიკოლაძის თვალთახედვის არე მეტისმეტად ფართო იყო და თანამედროვეობის პოლიტიკურ-ეკონომიკურ პრობლემათა მისეული განსჯა-გაანალიზება ლოკალური მასშტაბებით არასოდეს შებოჭილა, ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც, მისეული მსჯელობის მიზანსწრაფვას მუდამ და ყოველთვის უწინარეს ყოვლისა თავისი ქვეყნის სამომავლო პერსპექტივებზე ფიქრი განსაზღვრავდა.

ამთავითვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების ოპტიმალურ გზათა ძიებამ ნ. ნიკოლაძე, ბევრი მისი თანამედროვის მსგავსად, რუსეთთან თანაცხოვრების აუცილებლობის აღიარებამდე მიიყვანა. ისტორიული ვითარებისა და თანადროული სინამდვილის საფუძვლიანმა განსჯა-გაანალიზებამ მას თანდათანობით განუმტკიცა რწმენა იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება შორეული პერსპექტივა იყო, რის გამოც აუცილებლად თვლიდა სხვა ქვეყნის მფარველობის ქვეშ თავის შეფარებას და მისი ეროვნული პრობლემების გადაჭრას ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში თანაცხოვრებით.

თავისი მოღვაწეობის ადრინდელ ეტაპზე ნ. ნიკოლაძე ასეთ ქვეყნად რუსეთს მიიჩნევდა. მისი აზრით, ჩვენი წინაპრების დიდი ნაწილის მიერ გაკეთებული არჩევანი ამ თვალსაზრისით ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა და საქართველოს სამომავლო განვითარება ყველაზე მეტად პირველ ყოვლისა სწორედ ამ გზით იყო შესაძლებელი.

ნ. ნიკოლაძის ეს თვალსაზრისი არამც და არამც არ არის კონიუნქტურული განსჯის შედეგი. ამ დასკვნის გამოტანამდე იგი მოვლენათა საფუძვლიანმა გაანალიზებამ მიიყვანა. თუმცა ყოველივე ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ნ. ნიკოლაძე იმთავითვე მორჩილად და სიტყვის უთქმელად შეურიგდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას და ამ თვალსაზრისით ყოველგვარი პერსპექტივა ფუჭი ოცნების საგნად მიაჩნდა. რასაკვირველია, არა.

ეს რომ ასე არაა, ამას ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე ადასტურებს მისი შემოქმედებითი მოღვაწეობა. სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე წლებში, მისი დიდი თანამედროვეების მსგავსად, ნ. ნიკოლაძეც რომანტიკული გულანთებულობით ოცნებობდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე. Mმაგრამ ცხოვრებისეული სინამდვილის არსში ჩაღრმავებამ და რეალური სინამდვილის საფუძვლიანმა გაანალიზებამ იგი იმის აღიარებამდე მივიდა, რომ იმხანად ამის გაკეთება შეუძლებელი იყო.

რასაკვირველია, ამ აზრთან შეგუება მისთვის, როგორც თავის ქვეყანაზე უსაზღვროდ შეყვარებული პიროვნებისათვის, იოლი საქმე არ იქნებოდა. Aარც შეგუებია და ამიერიდან მისი ცხოვრების უმთავრეს მიზანსწრაფვად რუსეთის იმპერიაში საქართველოს თანაცხოვრების ყველაზე ოპტიმალური ფორმის ძიება იქცა. უმთავრესი შედეგი, რითაც ეს ძიება დაგვირგვინდა, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ავტონომიის მოთხოვნა იყო, იდეა, რომელსაც XIX-XX საუკუნეების სხვა დიდი ქართველი მამულიშვილებიც იწონებდნენ და უჭერდნენ მხარს.

1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისა და მის შემდგომ განვითარებულ მოვლენათა შემდგომ, რასაც რუსეთის იმპერიის დანგრევა მოჰყვა, საქართველოს სამომავლო სახელმწიფოებრივ სტატუსთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძემ აზრი მკვეთრად შეიცვალა და ის უკვე აქტიურად უჭერდა მხარს რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან ჩვენი ქვეყნის სრულად გამოყოფასა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას. ეს თვალსაზრისი ნათლად ვლინდება 1918 წლიდან გამოქვეყნებულ წერილებში; საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ კი მწერალი უკვე პრაქტიკულადაც ერთვება ჩვენი ქვეყნის წინაშე

მწვავედ მდგარი სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაჭრის პროცესში.

ასეთია, მოკლედ და ზოგადად, ნ. ნიკოლაძის ეროვნული მრწამსის განმსაზღვრელი უმთავრესი კონტურები ჩვენთვის ჯერჯერობით ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით. ჯერჯერობითო, – იმიტომ ვამბობ, რომ მისი შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავაც იმდროინდელ პერიოდიკაშია გაფანტული და საფუძვლიანად შეუსწავლელი.

Mწინამდებარე ნაშრომის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ნ. ნიკოლაძის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის წარმოჩენის დროს ამჯერად მხოლოდ იმ ნაშრომებს შევეხები, რომლებიც მან ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში გამოაქვეყნა აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით.

როგორც უკვე ითქვა, თავისი მოღვაწეობის ადრინდელ პერიოდში ნ. ნიკოლაძე რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნას იმხანად არსებული პოლიტიკური მდგომარეობიდან ერთადერთ რეალურ გამოსავლად მიიჩნევდა და, რაგინდ პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენოს, ქართველ ხალხში ანტირუსული სულისკვეთების მომძლავრების გამო შეშფოთებასაც კი გამოხატავდა, რადგანაც ფიქრობდა, რომ ამ იდეის განვითარებას ჩვენი ქვეყნისათვის საკმაოდ "დიდი ზიანის მოყენებაც შეეძლო" და საქართველოს "სასაკლაოზე მიყვანაც."

მკითხველს, ბუნებრივია, სავსებით მართებულად გაუჩნდება კითხვა, რა ედო საფუძვლად პუბლიცისტის ამგვარ შეშფოთებას და რატომ ჰგვრიდა ესოდენ შიშს ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების დონის ამაღლება, რასაც ლოგიკურ შედეგად ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის გაღვივება უნდა მოჰყოლოდა?

ერთ-ერთი პირველი სტატია, რომელშიც ნ. ნიკოლაძემ თავისი ეს თვალსაზრისი ნათლად და მკაფიოდ გამოხატა, 1865 წელს გაზეთ "კოლოკოლში" გამოქვეყნებული სტატია სტატია იყო - "გლეხთა განთავისუფლება საქართველოში" (იხ: ნიკოლაძე, 1962: 250–273). როგორც ხსენებული სტატიიდან ვგებულობთ, მისი შეშფოთების საფუძველს ამ შემთხვევაში ჩვენი ქვეყნის სამომავლო ეკონომიკური განვითარების ნაკლებად საიმედო პერსპექტივა წარმოადგენდა. Nნ. ნიკოლაძე იმ დროისათვის ღრმად იყო დარწმუნებუ-

ლი იმაში, რომ საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობა მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, როცა ქვეყანა ეკონომიკურად სიცოცხლის უნარიანი გახდებოდა. Mმისი რწმენით, ამის მიღწევას კი საქართველო ვერც მარტო შეძლებდა და ვერც ევროპის განვითარებულ ქვეყნებთან კავშირის დამყარებით. მისთვის ერთადერთი დამხმარე და პარტნიორი ამ შემთხვევაში მხოლოდ რუსეთი შეიძლებოდა ყოფილიყო.

იმისათვის, რომ უფრო ნათლად გავიაზროთ ნ. ნიკოლაძის თვალსაზრისი ამ საკითხთან დაკავშირებით, დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს დასახელებული წერილიდან. "ჩვენის ღრმა რწმენით, – წერდა იგი, – ეროვნული მისწრაფება რომ გამარჯვებითაც დაგვირგვინდეს და საქართველომ საფრანგეთისა და ინგლისის მფარველობა მოიპოვოს (ჩვენთვის ერთიც და მეორეც სულ ერთია), საქართველო აშკარად და საკმაოდ დაჰკარგავს თავის იმედებს იმის შესახებ, რომ წარმატებით გადაიჭრა სამართლიანი და გონიერი საზოგადოებრივი წყობილების საკითხი, რომელიც მას აღელვებს. ევროპის სახელმწიფოებმა, თუ საქმე გამარჯვებით დაგვირგვინდება, საქართველო რომ ევროპის შინა პროვინციების დონემდეც კი აამაღლონ, საქართველო მაშინაც წაგებული დარჩება და მხოლოდ პოლიტიკური წყობილების მხრით მოიგებს" (ნიკოლაძე, 1962: 265).

როგორც ვხედავთ, საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემაზე მსჯელობის დროს ნ. ნიკოლაძე აშკარად და არაორაზროვნად უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ ევროპულ სახელმწიფოებრივ სივრცეში ჩვენი ქვეყნის მოხვედრა აშკარად უპერსპექტივო და ნაკლებად სასარგებლო საქმე იქმებოდა.

ამით იგი ფაქტობრივად პრინციპულად დაუპირისპირდა XIX საუკუნის იმ დიდ მამულიშვილებს (ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ს. მესხს...), რომელთაც ევროპის ქვეყნებთან საქართველოს დაახლოება ჩვენი სამომავლო განვითარების ყველაზე პერსპექტიულ გზად მიაჩნდათ.

ნ. ნიკოლაძის თვალთახედვის ერთგვარ პარადოქსულობას კიდევ უფრო აძლიერებდა ის გარემოება, რომ ამ შეხედულებას ევროპული ცხოვრებისეული სინამდვილის ღრმად და საფუძვლიანად მცოდნე პიროვნება გამოთქვამდა, წლობით თავადაც ევროპაში ნაცხოვრები დიდი მოაზროვნე.

ევროპასთან საქართველოს დაკავშირების მიზანშეუწონლობაზე საუბარს ნ. ნიკოლაძე რუსეთთან თანაცხოვრების პოზიტიურ მხა-

რეთა დახასიათებით განაგრძობს. მისი აზრით, "რუსეთის მფლობელობის უპირატესობას ევროპის მფლობელობასთან შედარებით" უპირველეს ყოვლისა რუსეთში არსებული საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ის ფორმა წარმოადგენდა, რომელსაც შეეძლო ნამდვილი სარგებლობა მოეტანა საქართველოსთვის.

ნ. ნიკოლაძის თქმით, ეს იყო მიწისა და ყოველგვარი სხვა საკუთრების სათემო განაწილება, აგრეთვე ხალხის შრომისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სათემო ორგანიზაცია. საქართველოსთვის ასეთი წყობილების სარგებლიანობას ნ. ნიკოლაძე იმაში ხედავდა, რომ იგი ყველა სხვა წყობილებაზე მეტად შეუწყობდა ხელს ხალხის კეთილდღეობის რეალურად დამყარებას. მართალია, ნ. ნიკოლაძეს არც რუსეთის თემი მიაჩნდა იდეალად, მაგრამ თვლიდა, რომ იგი ბევრად უფრო მისაღები იქნებოდა ჩვენი საზოგადოებრივი წყობილებისათვის, ვიდრე ევროპაში გაბატონებული "ინდივიდუალიზმის ყოველნაირი პრინციპები."

ასეთია საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემის ნიკო ნიკოლაძისეული განსჯა ხსენებული სტატიის მიხედვით, დაფუძნებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე.

ერთ-ერთი უმთავრესი არგუმენტი, რითაც ნ. ნიკოლაძე რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნას ამართლებდა, იმაში მდგომარეობდა, რომ იგი რუსეთს, ამერიკასთან ერთად, XX საუკუნის ყველაზე პერსპექტიულ და მძლავრ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას უწინასწარმეტყველებდა. Mნ. ნიკოლაძის მტკიცებით, XX საუკუნეში სწორედ ეს სახელმწიფოები გახდებოდნენ კაცობრიობის მბრძანებლები.

ნ. ნიკოლაძის ნააზრევში მკვეთრად გამოხატული პრორუსული პოზიცია არა მარტო იმ უმძიმესი საგარეო-პოლიტიკური ვითარებით იყო დასაბუთებული, რომელიც XVIII საუკუნის საქართველოში შეიქმნა, არამედ წინარე საუკუნეების რთული მოვლენებითაც და ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობითაც. "ქვეყნის პოლიტიკას, – წერდა, მაგალითად, იგი 1913 წელს, – როგორც მისი ბუნების ნამდვილ ძალებს – ადამიანის, ხალხის სურვილი კი არა ამ ქვეყნის მდგომარეობა სჭედს. პოლიტიკა ახალი მოდური შლიაპკა კი არაა, რომლის ცვლა ჩვენს ქეიფზე ჰკიდია, ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამაპაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარ-

წმუნოება.... სანამ შავი ზღვიდან გასავალი სრუტე ოსმალოს ხელშია, სანამ სამხრეთით ოსმალეთი და სპარსეთი გვაკრავს, აღმოსავლეთით – ლეკი და თათარი, ჩრდილოეთით - რუსი, ბევრი რომ ვიწრიალოთ, იმ პოლიტიკას ვერ ავცდებით, რომელიც აურჩევიათ საქართველოს უაღრეს გმირებს, ბევრი ცდის, ძებნის და მსხვერპლის შემდეგ. უკეთესი რომ შესაძლო ყოფილიყო, განა მათ დაემალებოდა? ჩვენზე ცოტად სწყუროდათ ვითომ დამოუკიდებლობა, ჩვენზე ნაკლებ უყვარდათ საკუთარი გვირგვინი?.. სანამ საბოლოო გზას დაადგებოდნენ, სანამ გვირგვინს ერის არსებობას შეწირავდნენ, ყოველი საშუალება სინჯეს, ყოველი ღონისძიება იხმარეს, თვით სარწმუნოების შეცვლასაც შეჰპირდნენ რომის პაპს და ფრიდრიხ დიდს. Uუცრემლოდ ვერ გადაიკითხავს კაცი ამ სამი საუკუნის მეცადინეობის აღწერას მატიანეში. რაც ამდენს ამისთანა თაობას აუგია, აუცილებლად უცვნიათ, იმას ერთი ჯგუფი, გინდ ერთი თაობა ვერ შესცვლის. სანამ ოსმალოს, ან სპარსეთის ადგილს რომელიმე სხვა რასსა ან მეფობა არ დაიჭერს, საქართველოსათვის არავითარი სხვა პოლიტიკა არ იარსებებს, იმის გარდა, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ იძულებით საქართველოს უგონიერესი პატრონები..... რა ძალამ და აუცილებლობამ ეს მდევები გასტეხა, ის ახლაც უცვლელად არსებობს, მას ვერც ჩვენ მოვერევით..... ბუნების წინააღმდეგ ყოველი ცდა ამაოა და სასტიკად ისჯება."

დამოწმებულ ფრაგმენტში გამოხატული ამგვარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სკეპტიციზმი 1918 წლამდე მეტ-ნაკლები მასშტაბებით ვლინდება ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტურ ნააზრევში და ამ თვალსაზრისით ციტირებული სტრიქონები გამონაკლისი არ არის. Aასე რომ, როგორც თავადვე ამბობს ერთგან, იმხანად მას მაინცადამაინც "დიდი იმედი ჩვენი ქვეყნისა ფაქტობრივად არ ჰქონია."

ნ. ნიკოლაძე იმხანად ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთება "ერთი კაცის საქმე ან შეცდომა კი არ იყო, არამედ ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული და კულტურული განვითარების ნაყოფს" წარმოადგენდა. მისი მტკიცებით, მაშინსხვა გზა და საშველი არ არსებობდა და "ასე რომ არ მომხდარიყო, ქართველობა გადაგვარდებოდა, უმაღლესის კულტურის მწარმოებლის მაგიერ უმდაბლესს მწყემსურს დაადგებოდა" ("ახალი ივერია," 1914 წ. №20).

რუსეთთან საქართველოს შეერთების განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს არგუმენტად ნ. ნიკოლაძე იმ გარემოებას მიიჩნევდა, რომ

საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ბედი წარსულში ყოველთვის იქით იყო მიმართული, საიდანაც სინათლე და მოძრაობა მოდიოდა. პუბლიცისტის აზრით, "შემცდარი იყო ის, ვინც ფიქრობდა, ვითომც რომელიმე მეფეს, წოდებას ან თაობას თავის ნებაზე შეძლებოდეს საქართველოს აქეთ თუ იქით მობრუნება. სანამ განათლება და ცხოვრება ბიზანტიაში ენთო, საქართველოს მზესუმზირასავით თვალი იქითკენ ეკავა. როცა სპარსეთი აყვავდა ინდოეთის კულტურაზე დაწაფებით, ჩვენი აღორძინებაც მისკენ მიიმართა... პეტრე დიდის და ეკატერინე მეორის ამაგმა რუსეთი რომ გააჩაღა, საქართველოც ძალაუნებურად მან წარიტაცა" ("საქართველო," 1917 წ. №274).

Mმაგრამ, რუსეთთან თანაცხოვრების პოზიტიური მხარეების ამგვარი გაცნობიერების მიუხედავად, ნ. ნიკოლაძე იმასაც კარგად ხედავდა, რომ რუსული ყოფა და იმპერიის განაპირა მხარეებში არსებული არარუსული საზოგადოებრივი ცხოვრება ორი სრულიად განსხვავებული ელემენტისაგან შედგებოდა და ეს ორი ცივილიზაცია, ორი ეროვნული წარსული, ხშირად ძალზე მწვავედაც უპირისპირდებოდა ერთმანეთს. ნ. ნიკოლაძის აზრით, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ხელისუფლებას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა ამ დაპირისპირების მშვიდობიანად გადაწყვეტისათვის, რაც მას თანაბრად მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდა როგორც რუსეთისათვის, ისე ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის.

პრობლემის ამგვარი მოგვარების ერთადერთ გზად ნ. ნიკოლაძეს ერთმანეთის "ყურადღებიანი გაცნობა" ესახებოდა, ერთმანეთის ხასიათების შესწავლა, ერთმანეთის განსაკუთრებულობებთან და ნაკლოვანებებთან შეგუება. მისი აზრით, დროთა განმავლობაში მხოლოდ ამ გზით წარიშლებოდა უსწორობანი და ამოივსებოდა ის უფსკრული, რომელიც ამ ორ მხარეს თიშავდა ერთმანეთისაგან (ნიკოლაძე, 1964: 241).

სამწუხაროდ, პუბლიცისტის ასეთი თეორიული მსჯელობანი მხოლოდ გულუბრყვილო სიტყვიერ სურვილად დარჩა, ვინაიდან იმპერიის განაპირა მხარეებში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა პირველ ყოვლისა თავად ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგი იყო და არა ცალკეული "ცუდი მოხელეების" დამსახურება. ნ. ნიკოლაძის აზრით, უწინარესად სწორედ ამით იყო განპირობებული ის გარემოება, რომ ხალხთა საპყრობილედ სახელდებულ რუსეთის იმპერიაში ერთა შორის თანასწორობისა და ჰარ-

მონიული ურთიერთობების დასამყარებლად პრაქტიკულად არაფერი კეთდებოდა.

იმის გამო, რომ ქართველი ხალხის ბედი ისტორიული ბედისწერის გამო მტკიცედ აღმოჩნდა გადაჯაჭვული რუსეთთან და მის "საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას ნიადაგი გავლენა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის იღბალზე," ნ. ნიკოლაძე აუცილებლად მიიჩნევდა, ჩვენს საზოგადოებას უფრო მეტი დაინტერესება გამოეჩინა რუსეთში მიმდინარე მოვლენებისადმი. იგი თვლიდა, რომ ამ თვალსაზრისით ჩვენში არსებული ვითარება არადამაკმაყოფილებელი იყო და "ჩვენი საზოგადოება რუსეთს არ იცნობდა, მისი მდგომარეობის გაგებას არ ცდილობდა, მისი ხალხის ხასიათს და გარემოებას არ აკვირდებოდა და მის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებას ნიადაგ თვალს არ ადევნებდა," რასაც "დიდად სამწუხარო მოვლენად" მიიჩნევდა (ნიკოლაძე, 1963: 368).

როგორც ითქვა, მკაფიოდ გამოხატულ რუსოფილურ პოზიციას ნ. ნიკოლაძისათვის ოდნავადაც არ შეუშლია ხელი რუსული კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა ეროვნული თვითმყოფადობის აქტიურ დამცველ მამულიშვილად და უკომპრომისოდ იბრძოდა იმპერიული ხელისუფლების ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ. ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა 1865 წელს "კოლოკოლში" გამოქვეყნებული სტატია "საქართველოდან," რომელშიც იმ წლის თბილისში მომხდარი სახალხო აჯანყების შესახებაა საუბარი (ნიკოლაძე, 1962).

ხსენებულ აჯანყებას მძაფრი გამოხმაურება მოჰყვა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს იმპერიაშიც. განსაკუთრებით აქტიურობდა ცნობილი რუსი ქართველთმოძულე, გაზეთ "მოსკოვსკიე ვედომოსტის" რედაქტორი კატკოვი, რომელმაც ეს მოვლენა მოხერხებულად გამოიყენა თავისი რეაქციულ-შოვინისტური იდეების საქადაგებლად. სხვებთან ერთად, ამ აჯანყების მოხდენის საქმეში მან ბრალი დასდო მეფისნაცვალ ვორონცოვს, რომელმაც, მისი თქმით, "საქართველოში და ამიერკავკასიაში ვითომც შეასუსტა ცარიზმის ნაციონალური პოლიტიკა" (ნიკოლაძე, 1962: 533).

ნ. ნიკოლაძის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მრწამსის გააზრების დროს რამდენიმე სიტყვა მის ენობრივ პოზიციაზეც მინდა ვთქვა. მას კაცობრიობის განვითარების შემფერხებელ მოვლენად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ ყველა ერი ერთ ენაზე არ მეტყველებდა და ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ გარკვეული დროის გას-

ვლის შემდეგ ადამიანები უსათუოდ მივიდოდნენ ამ პრობლემის გადაწყვეტამდე (ნიკოლაძე, 1964: 346). მისი აზრით, ამ სანატრელი დროის დადგომამდე ქართველი კაცი, რომელსაც განგებამ რუსეთის სახელმწიფოში არგუნა ცხოვრება, მხოლოდ მშობლიური ენითა და შინ ჯდომით არ უნდა შემოფარგლულიყო და თავისი მოღვაწეობის ასპარეზად მთელი იმპერია უნდა გაეხადა. "მე იმ პირებს არ ვეკუთვნი, – წერდა, მაგალითად, 1876 წელს უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნებული ნიკო ქართველი მკითხველისადმი მიმართულ წერილში, – რომელნიც ფიქრობენ, რომ შენთვის სარგებლობის მოტანა მარტო შენს საკუთარ ენაზე შეიძლება, მარტო შენს საკუთარ სახლში, შენთან ჯდომით და ლაპარაკით" (ნიკოლაძე, 1964: 362).

ევროპაში ცხოვრებამ ნ. ნიკოლაძე ღრმად დაარწმუნა იმაში, რომ მთავარი ის კი არ იყო, კაცი სამშობლოში იცხოვრებდა თუ არა, არამედ ის, რეალურად რას გაუკეთებდა თავის ქვეყანას. ამიტომაც წერდა იგი იმავე წერილში: "მეც ისე მიმაჩნია, რომ გინდ ქართულ ენაზე გემსახუროს შენ კაცმა, გინდ თათრულზე, ოღონდ კი შენი უფლებები დაიცვას, შენი მდგომარეობა გააუმჯობესოს, შენი ძალა აღადგინოს და შენს მტერს მეხი დასცეს, სულ ერთია." აქ გამოთქმულ თვალსაზრისს ნ. ნიკოლაძე არა მარტო თეორიულად იცავდა, არამედ აქტიური პრაქტიკული საქმიანობითაც განამტკიცებდა.

რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ავტონომიური სახელმწიფოებრივი სტატუსის ძიებამ ნ. ნიკოლაძე, XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის არაერთი ქართველი მამულიშვილის მსგავსად, ფედერალიზმის პრინციპის აღიარებამდე მიიყვანა. იგი თვლიდა, რომ რეალურად არსებული ვითარების გათვალისწინებით, სწორედ ეს იყო ერთადერთი ყველაზე მეტად მისაღები და მართებული გზა "მრავალ-სჯულიანობით, მრავალ-ენიანობითა და მრავალ-მოდგმობით" გამორჩეული ჩვენი ქვეყნისათვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაკმაყოფილებისა.

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვა ავტონომიის მაგივრად ნ. ნიკოლაძე უპირატესწილად თვითმმართველობას ხმარობს, ამ ორი ცნების არსი მის ნააზრევში ფაქტობრივად ერთი და იგივეა და მათ შორის პრინციპული განსხვავება არ არსებობს. ეს რომ ნამდვილად ასეა, შემდეგი მაგალითითაც ნათლად ჩანს: საპასუხოდ სოციალ-ფედერალისტებისა, რომლებმაც ნ. ნიკოლაძეს ავტონომიის იდეის მოწინააღმდეგეობაში დასდეს ბრალი, იგი 1913 წელს გამოცემულ

წიგნში – "ჩემს პოლიტიკაზე" წერდა: "რად ვიქნებოდი ავტონომიის მტერი, როცა მთელი ჩემი მოღვაწეობა... თვითმმართველობას მოვანდომე? ავტონომიაზე ყოველთვის მარტო იმას ვამბობდი, რომ რასაც ჩვენში ამ სახელს არქმევენ, მეცნიერებაში "ფართო თვითმმართველობა" ჰქვია და ჩვენც ეს სახელი რომ ვიხმაროთ, უფრო ადვილად მივაღწევთ მიზანს-მეთქი."

ფედერალიზმის იდეამ ნ. ნიკოლაძის ნააზრევში საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე 1890-იან წლებში მიიღო. კერძოდ, 1895 წელს ჟურნალ "მოამბის" მესამე ნომერში იგი სახელმწიფოებრივი მმართველობის ამ ფორმას ამგვარ შეფასებას აძლევდა: "ჩვენი ქვეყნის წარმატებას წინ უდგას მრავალრჯულიანობა, მრავალენიანობა, მრავალმოდგმობა. ბევრი ვეძებეთ, ბევრი ვიფიქრეთ, ბევრი ვეცადეთ, მაგრამ სხვა გზა და იარაღი ვერა ვიშოვეთ-რა... საფედერაციო პრინციპის მეტი... ამ პრინციპის ძალის ქვეშ მოყოლებულნი იყვნენ ყველა ის ერნი, რომელნიც ჩვენს მხარეში სცხოვრობდნენ. ჩვენი პრობლემა საყოველთაო სიკეთისაკენ იყო მიმართული, რადგანაც უამისოდ ყოვლად შეუძლებელია ცალკე რომელიმე ერის განვითარება: მას ყველა სხვების ჯიბრი და მტრობა დაამხობს."

ისტორიულმა და თავისი დროის ევროპულმა გამოცდილებამ ნ. ნიკოლაძე ღრმად დაარწმუნა იმაში, რომ სახელმწიფოებრივი მმართველობის ეს ფორმა არა მარტო ქართველებისათვის იყო საუკეთესო საშუალება ეროვნული თვალსაზრისით, არამედ რუსეთის იმპერიაში შემავალი სხვა ხალხებისთვისაც. ნათქვამის ნათელსაყოფად ის პირველ ყოვლისა შვეიცარიის მაგალითს იშველიებდა. მისი აზრით, ფედერალიზმის პრინციპით შექმნილმა შვეიცარიის სახელმწიფომ ისე მტკიცედ და სისხლხორცეულად შეაკავშირა ერთმანეთთან მის შემადგენლობაში მცხოვრები ხალხები, რომ "შვეიცარიელ იტალიელს, ყელი რომ გამოსჭრათ, იტალიისაკენ ვერ გადიბირებთ, ვერც შვეიცარიელს ფრანგს – საფრანგეთის რესპუბლიკისაკენ, ვერც შვეიცარიელ გერმანელს – გერმანიის იმპერიისაკენ. აი რა თვისება ჰქონია თურმე ხეირიან განწყობილებას, რიგიან წესს და კანონმდებლობას: არა თუ მტრები დაამეზობლა და ძმებად გადააქცია, თვით საკუთარი გვარტომობაც კი დაავიწყებინა მათ და სამი გადამტერებული, სხვაგან ყოველგან ერთმანეთის მებრძოლი ხალხისაგან ერთი ახალი ეროვნება დაჰბადა" ("მოამბე," 1895, III: 166).

სამწუხაროდ, ნებსით თუ უნებლიედ, ნ. ნიკოლაძეს ამ შემთხვევაში მხედველობიდან რჩებოდა ის გარემოება, რომ რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ არარუს ხალხთა ეროვნული მდგომარეობა შვეიცარიაში ამ თვალსაზრისით არსებული რეალობისაგან იმდენად განსხვავდებოდა, რომ რუსულ სახელმწიფოებრივ სივრცეში მმართველობის შვეიცარიული მოდელის დამკვიდრება ვერაფრით მოხერხდებოდა. კერძოდ, ხალხთა საპყრობილედ სახელდებული რუსეთი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა არარუს ეროვნებათა თანასწორუფლებიანი და თავისუფალი გზით განვითარების შესაძლებლობას.

თავდაპირველად, ფედერალიზმის პრინციპის მთელი რუსეთის იმპერიაში დანერგვამდე, მმართველობის ამ ფორმის დამკვიდრებას ნ. ნიკოლაძე კავკასიაში თვლიდა მიზანშეწონილად, ვინაიდან ამ რეგიონში არსებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემების მშვიდობიანად მოგვარებას იგი მხოლოდ ამ გზით მიიჩნევდა შესაძლებლად.

კერძოდ, აი, რას წერდა თავად ის ამასთან დაკავშირებით ზემოთ დამოწმებულ წერილში: "კავკასიის მდგომარეობა მოითხოვს ამ ელემენტის (იგულისხმება შვეიცარიული ფედერალიზმი – ა. ნ.) ხმარებას. აქ ისტორიას სამოციოდე სხვადასხვა ფერის ხალხი მოუთავსებია ერთად. არც ერთი მათგანი იმდენად ძლიერი არ ყოფილა, რომ მთელს მხარეზე კიდით-კიდემდე საკუთარი ბეჭედი დაესვა, ან მტკიცე ერთობა დაედგინა. დღეს, გვინდა თუ არა, სულ ერთია, მეზობლები უნდა ვიყვნეთ ერთმანეთისა, ერთისა და იმავე ჭაპანის მწეველნი, ერთნაირ უფლებათა პატრონი, ერთისა და იმავე მოვალეობის მტვირთველნი. დროა მივხვდეთ ყველანი, რომ რაკი ამ მდგომარეობიდან არც ერთს ჩვენგანს არც გაქცევა შეუძლია, არც სხვების გადევნა, მეტი საშველი არავისა გვაქვს: უნდა ერთმანეთში მოვთავსდეთ და მოვრიგდეთ, თუ გვინდა, რომ ჩვენი ცხოვრება იყოს და არა სრულიად უსაგნო, უგუნური წეწვა-გლეჯა ერთმანეთისა, ვინ იცის ვის სასარგებლოდ" ("მოამბე," 1895, III: 167).

ფედერალიზმის პრინციპისადმი ინტერესმა ნ. ნიკოლაძის ნააზრევში XX საუკუნის დასაწყისშიც იჩინა თავი განახლებული ძალით. აი, რას წერდა, მაგალითად, იგი 1905 წელს ამასთან დაკავშირებით: "შეერთდით ყველა: რუსი, თათარი, ფრანგი, სომეხი, ქართველი, ურია, გლეხი, თავადი, აზნაური, ერი და მღვდელი, მდიდარი და ღარიბი, ნასწავლი და უმეცარი თვითმმართველობის

დროშის ქვეშ! მარტო ამ დროშას, ამ ერთობას შეუძლია იმ წესის დამყარება, რომელიც მოსპობს ყველაფერს, რაც ურიგო, უსამართლო ან სავნოა ჩვენს ცხოვრებაში და ურთიერთობაში. თუ კი ეს ერთობა ვიქონიეთ და დავიცავით, ვერავითარი ძალა ვერ წინაღუდგება ჩვენს წარმატებას, ჩვენში სრული თვითმმართველობის დაარსებას. ამას არც არეულობა სჭირია, არც მსხვერპლი, არც სისხლის დაღვრა. საჭიროა მხოლოდ რუსეთს და მთავრობას დავანახოთ, დავუმტკიცოთ, რომ მთელი ჩვენი მხარე, განურჩევლად ეროვნებისა, სჯულისა, წოდებისა და ქონებისა, იმასვე თხოულობს, რისთვისაც იბრძვის რუსეთის ინტელიგენცია. დღეს ყველა მოვალეა, დროებით მიწაში ჩამარხოს ყველაფერი ნაციონალური, სოციალური, რწმუნებრივი დროშა და მარტო ერთ საერთო რუსეთის თვითმმართველობის დროშას გულწრფელად და დაუზოგავად ემსახუროს. მარტო ეს დროშა დაუმკვიდრებს ჩვენს ქვეყანას და ყველა მის ერებს თავისუფლებას, თანასწორობას და ძმობას" ("კლდე," 1913, №38:. 4).

როგორც ვხედავთ, 1905 წლის რევოლუციის მღელვარე დღეებში, როცა ჩვენი ერის დიდი ნაწილი ღიად და აშკარად დაუპირისპირდა იმპერიულ ხელისუფლებას, ნ. ნიკოლაძეს პოზიცია არ შეუცვლია და ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარების ყველაზე მეტად მისაღებ პერსპექტივად კვლავ ფედერალიზმის საფუძველზე მოწყობილ რუსეთის იმპერიაში ცხოვრება მიაჩნდა მიზანშეწონილ ვარიანტად.

ფედერალიზმისადმი გამოვლენილმა ინტერესმა ნ. ნიკოლაძის ნააზრევში კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში. კერძოდ, რუსეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველაზე მეტად მისაღები ფორმის ძიებამ იგი იმის აღიარებამდე მიიყვანა, რომ არსებულ ვითარებაში ისეთი სახელმწიფოს შექმნა იყო მიზანშეწონილი, რომელიც მხოლოდ "გარეშე საკითხების" ცენტრალიზებულ მართვას მოახდენდა, დანარჩენი დარგები კი "შინაურ განმგებლობას" დარჩებოდა ("საქართველო," 1917, №156).

ასე რომ, მისი თქმით, "რაც უფრო მეტ დამოუკიდებლობას მისცემდა რუსეთი თავის შემადგენელ ელემენტებს, იმდენად ძლიერი იქნებოდა მათი ბუნებრივი მიდრეკა ველიკორუსული ძლიერი ცენტრისაკენ."

როგორც ცნობილია, ნ. ნიკოლაძის ამგვარი სურვილის მიუხედავად, მოვლენები სულ მალე იმგვარად განვითარდა, რომ რუსეთის იმპერიის რამენაირი ფორმით გადარჩენა, რა კეთილშობილური მიზნებითაც არ უნდა ყოფილიყო ეს მისწრაფება განპირობებული, შეუძლებელი შეიქმნა. საბედნიეროდ, ნ. ნიკოლაძე უსწრაფესად გაერკვა მოვლენათა არსში და ეროვნული ავტონომიზაციის ყოველგვარ ფორმაზე პრინციპულად უარის თქმით მან თავისი თეორიული წერილებითაც და პრაქტიკული მოღვაწეობითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და რეალობად ქცევის საქმეში.

• • •

რუსეთის-საქართველოს ურთიერთობისადმი ნ. ნიკოლაძის დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერია დაინგრა და რეალურად მომზადდა საფუძველი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად. ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობაში მომხდარი ამ გარდატეხის არსში გასარკვევად განსაკუთრებით საინტერესოა გაზეთ "საქართველოს" 1918 წლის 22, 24 და 27 მარტის ნომრებში რიონელის ფსევდონიმით გამოქვეყნებული მისი წერილი "რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი."

განსხვავებით მანამდელი პუბლიკაციებისაგან, სადაც მწერალი აქტიურად ცდილობდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე მეტად მისაღები და სასარგებლო სახელმწიფოებრივი სტატუსის მოპოვებასა და დამკვიდრებას, რადიკალურად შეცვლილი რეალობიდან გამომდინარე, მისმა პოლიტიკურმა თვალთახედვამ უკვე რადიკალურად განსხვავებული სახე მიიღო და ნ. ნიკოლაძემ ამჯერად კატეგორიულად დასვა საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სრულად აღდგენის შესახებ.

ხსენებული პუბლიკაცია უაღრესად საინტერესო იმითაცაა, რომ მწერლის მანამდელი წერილებისაგან განსხვავებით, მასში უკვე ღიად და ბოლომდე ნიღაბახდილი სახითაა წარმოჩენილი ის ნეგატიური მხარეები, რაც რუსეთის კოლონიად გადაქცევამ მოუტანა ჩვენს ქვეყანას. მკითხველისათვის ადვილად გასაგებ გარემოებათა გამო, თუ თავის ადრინდელ პუბლიკაციებში ნ. ნიკოლაძე ამ მოვლენაზე გარკვეული თავშეკავებით საუბრობდა, ახალ პოლიტიკურ ვითა-

რებაში მან პოზიცია რადიკალურად შეიცვალა და უკვე არა მარტო სიტყვიერად გამოდიოდა საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მოთხოვნით, არამედ აქტიურ პრაქტიკულ მონაწილეობასაც ღებულობდა ამ საქმის რეალურად განხორციელებაში.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს ყოველივე ზემოთქმულის არსზე, მოკლედ განვიხილოთ ზემოთ მოხსენიებული წერილი, რომელიც ფაქტობრივად დღემდე ყურადღებამიუქცეველ პუბლიკაციად დარჩა ნ. ნიკოლაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობის მკვლევართათვის.

წერილის დასაწყისში მწერალი უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ "ოდესღაც უზარმაზარი რუსეთი" ისე "დაიმსხვრა, დაიგლიჯა და დანაწილდა, რომ მისი კვლავ აღდგენა და გამთელება შეუძლებელია." ამ უდიდესი ისტორიული მოვლენის პოზიტიურ მხარედ ნ. ნიკოლაძე არა მარტო იმ ფაქტს მიიჩნევდა, რომ რუსეთის იმპერიის დამსხვრევას შედეგად რუსული კოლონიალიზმის კირთებისაგან ამ იმპერიის მიერ დაპყრობილ-დამონებული ხალხების განთავისუფლება მოჰყვებოდა, არამედ იმასაც, რომ "რუსეთის დამსხვრევით ქვეყნის პირიდან" ფაქტობრივად "ევროპის ჟანდარმიც აღიგვებოდა."

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ნიკოლაძე უდიდესი კმაყოფილებით შეხვდა ამ მოვლენას, იგი იქვე იმის გამოც გამოთქვამდა შეშფოთებას, რომ რუსეთის დამსხვრეულ იმპერიას სოციალისტების სახით ამჯერად უკვე "მოუმზადებელნი პირნი ჩაუდგნენ სათავეში" და სახელმწიფოში "სალდათის და პროლეტარის დიქტატურა დამყარდა."

როგორც ითქვა, ხსენებულ პუბლიკაციაში ნ. ნიკოლაძემ მანამდელი მისი წერილებისაგან განსხვავებული რადიკალიზმით წარმოაჩინა ის მანკიერებანი, რაც რუსეთის იმპერიის ნაწილად საქართველოს გადაქცევას მოჰყვა შედეგად. პუბლიცისტის შეფასებით, "მოყვრათ და მეგობრათ მოწვეული რუსი მალე გარდაიქცა ჩვენში ბატონათ და სასტიკ მტარვალათ. დიდი ზიანი ნახა ბედშავმა საქართველომ ამ შეუსაბამო კავშირით, ბევრი ჭირი და ვარამი, ტანჯვა, ვარამი და აწიოკება განიცადა მან რუსის მთავრობისაგან და სალდათ-ჩინოვნიკებისაგან, ბევრი უმანკო სისხლი დაიღვარა საქართველოში, ბევრი ღირსეული შვილი კოლხეთ-ივერიისა დაიღუპა ციმბირის ტუნდრებში, აურაცხელი დამცირება გამოცადა ქარ-

თველმა ერმა, აუარება მიწა-მამული ჩამოერთვა მას და ზედ დაასახლეს უცხო ტომნი, განსაკუთრებით რუსები და სომხები.

არამც თუ საგაზეთო წერილით, მთელი ფორმებითაც კი ვერ ამოშრეტს კაცი იმ საშინელებას, რაც ხვდა წილად საქართველოს რუსის მთავრობის წყალობით ამ 120 წლის განმავლობაში. ეს იყო სატანური პოლიტიკა ერის გარუსების, გადაგვარების, მოსპობის, გაღატაკების და განადგურების. რუსის მთავრობამ მოსპო ჩვენში ქართული მართვა-გამგეობა, ეკლესია, შკოლა, სასამართლო და ნაცვლათ დაამყარა ყველაფერი რუსული. მან მოიწადინა ქართული სულის ამოგლეჯა, ე. ი. ჩაიდინა ის, რაც არ ჩაიდინეს ჩვენში აზიის უსაშინლესმა მტარვალებმა 2000 წლის განმავლობაში."

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის კოლონიური პოლიტიკისადმი ნეგატიური დამოკიდებულება ნ. ნიკოლაძეს თავისი ცხოვრების ყველა ეტაპზე ჰქონდა, თავისი ანტირუსული თვალთახედვა ასეთი მკვეთრი რადიკალიზმით მას ფაქტობრივად მანამდე არასოდეს გამოუხატავს. მწერლის მსოფლმხედველობაში მომხდარი ამგვარი რადიკალური გარდატეხა პირდაპირი შედეგი იყო 1917-1918 წლებში რუსეთსა და საქართველოში განვითრებული იმ უმნიშვნელოვანესი მოვლენებისა, რომელთაც არსებითად შეცვალეს ამ ქვეყნების იმჟამინდელი რეალობაცა და სახელმწიფოებრივი მომავალიც.

ახალი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ნ. ნიკოლაძე, რომელსაც მანამდე საქართველოსთვის ყველაზე მეტად მისაღებ სახელმწიფოებრივ სტატუსად რუსეთის შემადგენლობაში ავტონომიის მოპოვება მიაჩნდა, ახლა უკვე პრინციპულად სხვა პოზიციაზე იდგა და მკაცრად აკრიტიკებდა ქართველ სოციალ-დემოკრატებს იმის გამო, რომ ისინი "დღემდე იყვნენ გახვეულნი რუსის ორიენტაციის დამღუპველ ბურანში და ვერ დამდგარიყვნენ იმ სწორ გზაზე, რასაც ისტორიული სინამდვილე და აუცილებლობა უკარნახებდათ."

როგორც ხსენებული პუბლიკაციიდან ნათლად ჩანს, ქართველი სოციალ-დემოკრატებისადმი ნ. ნიკოლაძის ნეგატიური დამოკიდებულება უპირველეს ყოვლისა მათი ნიჰილისტური ეროვნული პოზიციით იყო განპირობებული. პუბლიცისტი უკმაყოფილებას გამოხატავდა იმის გამო, რომ განსხვავებით სხვა ქვეყნების სოციალისტური პარტიების ლიდერებისაგან, რომელთაც საკუთარ პარტიებს "აშკარად დაარქვეს თავიანთი ერის სახელი," "კოსმოპოლიტური მრწამსით და ცენტრალისტური მისწრაფებით" გონებადაბინ-

დულმა ჩვენმა სოციალისტებმა (გარდა ფედერალისტებისა), იმის შიშით, რომ "რუსის მართლაც შოვინისტურ-სოციალისტურ პარტიებს შოვინისტობაში არ ჩამოერთმიათ," თავიანთი პარტიისთვის სახელის გადარქმევა რუსეთის იმპერიის დამხობის შემდეგაც კი "ვერ გაბედეს, ვერ მოინათლენ ქართველად, ვერ უწოდეს თავის თავს ქართველი."

უფრო მეტიც, ნ. ნიკოლაძის ხაზგასმით, ნაცვლად ამისა, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ბელადები იმას ცდილობდნენ, "როგორ აღედგინათ რუსეთის ძველი დიდება."

ნ. ნიკოლაძეს ქართველი სოციალ-დემოკრატების უდიდეს შეცდომად მიაჩნდა ამიერკავკასიის სეიმის დაარსებაც. ნაცვლად იმისა, რომ შექმნილი ვითარებით ესარგებლათ და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოეცხადებინათ, ჩვენმა სოციალისტებმა საქართველო "დამხობილი რუსეთის ორიენტაციაში ჩასტოვეს და თითქმის სრულებით დაავიწყდათ თავიანთი უბედური სამშობლო." ნ. ნიკოლაძის შეფასებით, ეს იყო ქართველ სოციალ-დემოკრატთა "უუდიდესი შეცდომა და დანაშაული ისტორიის წინაშე."

ქართველი სოციალ-დემოკრატების აქტიური ძალისხმევით შექმნილი ამიერკავკასიის სეიმისადმი ნ. ნიკოლაძის მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება პირველ ყოვლისა იმით იყო განპირობებული, რომ იგი მას "ნაძალადევად შექმნილ ორგანოდ" მიაჩნდა. პუბლიცისტის მტკიცებით, სეიმის შემქმნელებმა ფაქტობრივად ძალით "შეაბეს ერთ უღელში სხვა და სხვა რწმენის, კულტურისა და მისწრაფების ხალხები," რომელთაც არათუ არაფერი ჰქონდათ ერთმანეთთან საერთო, არამედ "მგლურად უცქეროდნენ ერთმანეთს." ნ. ნიკოლაძის აზრით, ამიერკავკასიის სეიმი, როგორც "ხელოვნურად შექმნილი ორგანო," უდღეურ გაერთიანებას წარმოადგენდა და მალე დაიშლებოდა.

განსახილველი წერილისადმი დღევანდელი მკითხველის ინტერესს მხოლოდ ის ფაქტი კი არ განაპირობებს, რომ ნ. ნიკოლაძის მიერ გამოთქმული ეს და მსგავსი წინასწარმეტყველებანი მოვლენათა ისტორიულმა განვითარებამ მართლაც აქცია რეალობად, არამედ პირველ ყოვლისა ის გარემოება, რომ იმჟამად შექმნილი ურთულესი ვითარების ღრმა და საფუძვლიანი განსჯა-შეფასების შედეგად სტატიის ავტორმა ერთ-ერთმა პირველმა დასვა საკითხი სეიმის სასწრაფოდ დაშლისა და მასში გაერთიანებული რესპუბლიკების

ცალკე, დამოუკიდებელ, სახელმწიფოებად ჩამოყალიბების შესახებ.

"ჩვენის ღრმა რწმენით, – წერდა პუბლიცისტი ამ ისტორიული გადაწყვეტილების მიღებამდე ჯერ კიდევ ორ თვეზე მეტი ხნით ადრე, – ამიერ-კავკასიაში შესაძლებელია დაარსდეს სამი სრულიად თავისუფალი და დამოუკიდებელი რესპუბლიკა და სახელმწიფო: 1) საქართველოს რესპუბლიკა, 2) სომხეთის რესპუბლიკა, 3) ადირბაიჯანელ თათრების სახელმწიფო. რამდენად ადრე დაარსდება და ჩამოყალიბდება ეს სამი პოლიტიკური ერთეული, მით უკეთესი. ამას მკაცრად თხოვილობს ამ სამ მეზობელ ეროვნებათა ინტერესები და ისტორიის ლოღიკა."

ნ. ნიკოლაძის მიერ გამოთქმული ეს წინასწარმეტყველება სულ მალე მართლაც იქცა რეალობად, თუმცა განახლებული რუსული იმპერიის მესვეურთა აქტიური ძალისხმევის შედეგად, რაშიც წარმმართველ როლს საკუთარი სამშობლოს მოღალატე ქართველი სოციალისტები ასრულებდნენ, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკათა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა სულ მალე დაემხო და ეს ქვეყნები კვლავაც იქცნენ რუსეთის განახლებული იმპერიის შემადგენელ ნაწილებად.

• • •

ნ. ნიკოლაძის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის გაანალიზების დროს რამდენიმე სიტყვა აფხაზეთის პრობლემისადმი მის დამოკიდებულებაზეც უსათუოდ უნდა ითქვას. აღნიშნული პრობლემის ნიკო ნიკოლაძისეული განსჯის საფუძვლად უპირველეს ყოვლისა ის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი თვალთახედვა იქცა, რითაც მწერალი ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარების ყველაზე პერსპექტიული გზების მოძებნას ცდილობდა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ნ. ნიკოლაძე გულწრფელად იყო დარწმუნებული იმაში, რომ საქართველოს რუსეთისაგან განცალკავებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობა არ შეეძლო და ჩვენი ქვეყნისათვის სახელმწიფოებრივი განვითარების ყველაზე მეტად მისაღები ფორმა რუსეთის შემადგენლობაში ავტონომიის მოპოვება იყო.

პირველ ყოვლისა სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ 1918 წლამდე გამოქვეყნებულ თავის წერილებში საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების ყველა მნიშ-

ვნელოვან საკითხს ნ. ნიკოლაძე რუსეთში მიმდინარე მოვლენებთან მიმართებით აანალიზებდა და არა მათგან იზოლირებულად. ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას აფხაზეთთან დაკავშირებული საკითხების მისეული შეფასებებიც ნათლად ადასტურებს.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ნიკოლაძე არც აფხაზეთში რუსული კოლონიური პოლიტიკის გატარების შედეგად შექმნილ ეროვნულ პრობლემებზე ხუჭავდა თვალს, ჩვენი ქვეყნის ამ ძირძველი რეგიონის სამომავლო ბედზე მსჯელობის დროს მისთვის მთავარი და არსებითი პირველ ყოვლისა მაინც იმ როლისა და ფუნქციის განსაზღვრა იყო, რომელიც აფხაზეთს უნდა შეესრულებინა რუსეთის სახელმწიფოებრივი ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

ნ. ნიკოლაძის აზრით, ამ საქმეში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მისია უწინარეს ყოვლისა სოხუმის პორტს უნდა დაკისრებოდა, რომელიც შავიზღვისპირეთის სხვა ნავსადგურებთან ერთად არსებითად შეუწყობდა ხელს მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებთან რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების დამყარებას.

ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია 1878 წელს გამოქვეყნებული წერილი "ბათუმი, ფოთი, სოხუმი," რომელშიც შავი ზღვისპირეთის ამ სამი სანავსადგურო ქალაქის სამომავლო პერსპექტივებია განსჯილ-შეფასებული. დასახელებული წერილის პათოსი და სულისკვეთება არსებითად განსაზღვრა იმ დიდმა გამარჯვებამ, რომელიც რუსეთმა მოიპოვა სწორედ იმხანად თურქეთთან გამართულ ომში, რასაც შედეგად ბათუმისა და აჭარის შემოერთება მოჰყვა.

ამ უმნიშვნელოვანესი მოვლენის შემდეგ რუსეთის შავი ზღვისპირეთში სანავსადგურო მშენებლობის პრობლემამ არა მარტო სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით შეიძინა განსაკუთრებული აქტუალობა, არამედ რეგიონის სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცების მხრივაც. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული პრობლემის განსჯა-გაანალიზება იმჟამინდელი რუსული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შემადგენელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილადაა ქცეული, მის მიმართ განსაკუთრებულ დაინტერესებას პირველ ყოვლისა მაინც ქართველი მამულიშვილები იჩენდნენ, რაშიც უჩვეულო და მოულოდნელი არაფერია.

ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად ნ. ნიკოლაძე აქტიურობდა, რომელიც სათანადო არგუმენტების მოშველიებით ცდილობდა იმის გარკვევას, რუსეთის შავი ზღვისპირა ნავსადგურებიდან რომელს რა როლის შესრულება შეეძლებოდა მომავალში საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების კიდევ უფრო მეტად გასაფართოებლად და განსავითარებლად. ნ. ნიკოლაძე ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ "ამ საკითხის სწორად გადაწყვეტაზე" არსებითად იქნებოდა დამოკიდებული როგორც "მთელი სანაპიროს საწარმოო ძალების სწრაფი და დაუყოვნებელი განვითარება," ისე "მთელი რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური განვითარებაც" (ნიკოლაძე, 1966: 386).

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ნიკოლაძეს ამ თვალსაზრისით ყველაზე პერსპექტიულ ნავსადგურად ფოთი მიაჩნდა, იგი არც შავი ზღვისპირეთის სხვა პორტების როლსა და მნიშვნელობას ტოვებდა უყურადღებოდ, ქვეყნის ხელისუფლებას მათი მშენებლობის კარგად გააზრებულ კონკრეტულ გეგმასაც სთავაზობდა და რუსეთის სამომავლო განვითარების მისეულ პროგრამაში განსაკუთრებულ ყურადღებას სოხუმის ნავსადგურსაც მიაპყრობდა.

ნ. ნიკოლაძის აზრით, ფოთთან შედარებით, სოხუმის პორტი მისი არახელსაყრელი რელიეფური ადგილმდებარეობის გამო ნაკლებად პერსპექტიულ ნავსადგურს წარმოადგენდა. უმთავრეს სირთულეს ამ თვალსაზრისით ის გარემოება ქმნიდა, რომ იქ რკინიგზის გაყვანა მეტად საძნელო საქმე იყო. იგივე სირთულე იჩენდა თავს ბათუმის პორტის მშენებლობასთან დაკავშირებითაც. ეს მაშინაც, როცა ნ. ნიკოლაძის მიერ "მთელი ამერკავკასიის ბუნებრივ ნავსადგურად" მიჩნეულ ფოთამდე იმხანად უკვე იყო მიყვანილი "ყველაზე ახლო მდებარე და მოკლე რკინიგზა." სოხუმისა და ბათუმისათვის კი იგივე მნიშვნელობა რომ მიგვენიჭებინა, "მოძრაობა რკინიგზის ხაზზე 100 ვერსით უნდა გაგვეზარდა, რაც ყოველი ფუთი ტვირთის გადაზიდვას 5 კაპიკით გააძვირებდა" (ნიკოლაძე, 1966: 395).

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ფოთის პორტის სავაჭრო-ეკონომიკური პერსპექტივა ნ. ნიკოლაძეს გაცილებით უფრო მასშტაბურად მიაჩნდა, ვიდრე სოხუმისა და ბათუმის ნავსადგურებისა. თუმცა, მწერლის აზრით, ამ გარემოებას სულაც არ უნდა შეეშალა ხელი იმისათვის, ხელისუფლებას "განსაკუთრებული მზრუნველობა" ამ პორტების კეთილმოსაწყობადაც რომ გამოეჩინა.

* * *

ნ. ნიკოლაძის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის გასააზრებლად უაღრესად მნიშვნელოვანია 1879 წელს დაწერილი ვრცელი პუბლიცისტური ნარკვევი "მამულის სიყვარული და მსახურება," რომელიც პირველად 1880 წელს დაიბეჭდა ალმანახში "საახალწლო," განმეორებით კი 1914 წელს გამოქვეყნდა ნ. ნიკოლაძის ნაწერების მეორე ტომში. ამ უკანასკნელი გამოცემისათვის თანდართულ წინასიტყვაობაში ავტორისეული მიზანსწრაფვის არსი ასე იყო განმარტებული: "თუმცა წიგნი დაწერილია ოცდათხუთმეტი წლის წინათ, მაგრამ ის დღესაც სრულიად შეეფერება ჩვენს მდგომარეობას. მართალია, მას აქეთ ქვეყნიერებაზე და ჩვენშიაც ბევრი ცვლილება მოხდა, მაგრამ ამ წიგნის შინაარსი დღესაც ახალია და არსებითად საჭიროა, მისი მნიშვნელობა ჩვენმა საზოგადოებამ გაითვალისწინოს" (ნიკოლაძე, 1985: 465).

ხსენებული წინასიტყვაობა აქ იმიტომაც გავიხსენე, რომ ნ. ნიკოლაძის ნაშრომის ასეთი შეფასება ამჟამადაც სავსებით მისაღებია და მასში გამოთქმულ ბევრ დებულებას არც დღეს დაუკარგავს სიმწვავე და აქტუალობა. დასახელებული ნაშრომით კიდევ ერთხელ დასტურდება ნ. ნიკოლაძის მიმართ ზოგიერთი ოპონენტის მიერ გამოთქმული ბრალდების სრული უსაფუძვლობა მისი კოსმოპოლიტობის შესახებ. პატრიოტული მგზნებარებით დაწერილ ამ ნარკვევში ნ. ნიკოლაძემ უმთავრესი ყურადღების საგნად ჩვენი ეროვნული თვისტომობის არსის გარკვევა დაისახა და ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესო პრობლემური საკითხები წამოჭრა.

მისი აზრით, საქართველოს სამომავლო ბედის განსასაზღვრად გადამწყვეტი მნიშვნელობა პირველ ყოვლისა იმის გარკვევას ჰქონდა, "ნამდვილად რაში მდგომარეობდა ჩვენი თვისტომობა... რა ზნე და წესი უნდა გვიყვარდეს, რა წყობილებისაკენ უნდა მივისწრაფოდეთ, რაში უნდა ვხედავდეთ ჩვენს იდეალს, რას უნდა ვსთვლიდეთ კარგად და ავად?" (ნიკოლაძე, 1985: 311).

ამ კითხვებზე სწორი და არგუმენტირებული პასუხის გაცემა ნ. ნიკოლაძეს მხოლოდ მაშინ მიაჩნდა შესაძლებლად, როცა "ხეირიანი ისტორიკოსები გამოგვიჩნდებოდნენ," რომლებიც საფუძვლიანად გამოიკვლევდნენ ჩვენი ხალხის ძველ ცხოვრებას და თავიდან მოგვაშორებდნენ იმ სიბნელეს, რომელიც "ჩვენს წარსულს გვიმალავდა." ამ სანატრელი დროის დადგომამდე კი ნ. ნიკოლაძემ თა-

ვად ცადა ამ თვალსაზრისით საინტერესო ბედის საკითხის დაკავშირებით მკითხველისათვის სათანადო გამარტებების მიცემა.

იგი კმაყოფილებას გამოხატავდა იმის გამო, რომ ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერება უკანასკნელ ხანს წელ-წელა გამოდიოდა მთვლემარების ბურუსიდან და ნათლად ხედავდა ჩვენი ქვეყნის წინაშე მწვავედ მდგარ პრობლემებს. ეს ყველაზე უფრო ნ. ნიკოლაძეს პირველ ყოვლისა თავისი თაობის დამსახურებად მიაჩნდა. მანამდელ დროს კი ის წყეულ და ბნელითმოსილ იმ პერიოდად ნათლავდა, როცა თითოეული კაცი მარტო თავისთვის მოქმედებდა და სხვა მიზანი არ ამოძრავებდა.

ხსენებული ნარკვევით ნ. ნიკოლაძემ კიდევ ერთხელ შეახსენა მტერსაც და მოყვარესაც, რომ ეროვნულობა ადამიანისათვის ყველაზე დიდი განძი და სიმდიდრეა და რამდენიც არ უნდა ეცადათ, კაცს ეროვნებას მაინც ვერ გამოუცვლიდნენ. ასე რომ, "რუსის ხალხის განემეცებისა და გაფრანცუზების" მსურველებს, ისევე როგორც ქართველთა გარუსების მნდომთ, ნ. ნიკოლაძის აზრით, ის ჭეშმარიტება ავიწყდებოდათ, ყოველ ხალხს თავისი განსაკუთრებული ხასიათი და ზნე რომ აქვს და ვერც რუსს "გაანემეცებს" ვინმე და ვერც ქართველს გაარუსებს ვერაკაცი. "შესაძლებელია ქართველს ჩოხის მაგიერ ზიპური ჩააცვა, ბოხოხის მაგიერ შაპკა დაახურო, მაგრამ ხასიათი და ზნე, სისხლი და ბუნება კი მაინც ქართველისა დარჩება."

ამ სტრიქონების დაწერის საფუძველი პირველ ყოვლისა ის კოლონიური პოლიტიკის მხილება იყო, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება ატარებდა მის დაქვემდებარებაში მყოფი ქართველი და სხვა არარუსი ხალხების მიმართ.

ნ. ნიკოლაძის მსოფლმხედველობრივი მრწამსის ფუძემდებლურ პრინციპებზე საუბრის დროს საგანგებო ყურადღება უნდა მივაქციოთ ეროვნული ერთობის გრძნობის მისეულ ქადაგებასაც, რაც მას ქვეყნის გადარჩენის ერთ-ერთ უმთავრეს პირობად მიაჩნდა. ნ. ნიკოლაძის რწმენით, ჩვენი სამშობლო მხოლოდ მაშინ გადაჭრიდა მის წინაშე მდგარ პრობლემებს, თუ ქვეყანაში ნამდვილი ერთობა და ეკონომიკური სამართლიანობა დამყარდებოდა.

წოდებათა ერთობის იდეამ ნ. ნიკოლაძის ნააზრევში განსაკუთრებული ძალით თავი XX საუკუნის დასაწყისში იჩინა, რითაც იგი მთელი თავისი მოქალაქეობრივი შეგნებით დაუპირისპირდა იმჟამინდელ საზოგადოებაში ფართოდ აღზევებულ კლასობრივი გან-

თიშულობის ტრაგიკულ გამოვლინებებს. ქვეყნის ძლიერებისათვის საფუძვლის გამომთხრელი ამ მოვლენის საპირისპიროდ, ქვეყნის ძლიერებისა და ზნეობრივი გადარჩენის განმაპირობებელ აუცილებელ პირობად ნ. ნიკოლაძეს ეროვნული ერთობა და თანამოაზრეობა მიაჩნდა. "ერმა საკუთარი ერთობისათვის, – წერდა იგი, – სრული წესიერება, სამართლიანობა, უნდა დაამყაროს მის შემადგენელ ელემენტებს შუა წოდებათა და პიროვნებათა შორის. თუ სხვისაგან პატივს ეძებს, თუ გარეშე ქვეყნებში სხვისი ტოლობა სურს, სამუდამოდ უნდა მოსპოს შინაობაში ერთი წოდების მეორისაგან ჯიბრობა ან გლეჯა. მათს ურთიერთობაში წესი და სამართალი უნდა გააბატონოს, რომ ხალხის ერთობა მართლა ძმობაზე, ნდობაზე და საზოგადო სარგებლობაზე ემყარებოდეს" ("ახალი ივერია," 1914 წ. №1).

მოახერხებს კი ახლანდელი ჩვენი თაობა მის წინაშე მწვავედ მდგარ ეროვნულ პრობლემათა წარმატებით გადაჭრას? – მრავალმნიშვნელოვნად სვამს კითხვას ნ. ნიკოლაძე ზემოთ განხილული სტატიის ბოლოს და რწმენაგაბზარული კაცის გულისტკივილით თავადვე უპასუხებს: "არა მგონია, ერთობ შეჩვეულია ის ზლუქუნსა და ტირილს, ერთობ ნაჩვევია სხვისი იმედით ყოფნას, ერთობ გადაჩვეულია სიარულს, საკუთარის ძალით სარგებლობას... დროა, დიდი ხანია დროა, რომ ახალმა თაობამ მიიხედ-მოიხედოს ამ ჩვენს მდგომარეობაზე და გარკვეულად შეუდგეს იმ შრომას, რომელსაც დღეს ჩვენის მამულის სარგებლობა მოითხოვს" (ნიკოლაძე, 1985: 339).

ნ. ნიკოლაძის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა პირველ ყოვლისა სწორედ ამ კეთილშობილური მიზნით იყო შთაგონებული, მამულის სიყვარულისა და მსახურების იმ წმინდა და ამაღლებული გრძნობის გაღვივების მძაფრი სურვილით, რომელიც ყოველი ჭეშმარიტი მამულიშვილისათვის უნდა ყოფილიყო ქცეული ამქვეყნიური ყოფის აზრად და იდეალად.

გიორგი შარვაშიძე

გიორგი შარვაშიძე (1846-1918 წწ.) - აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი - მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. თავისი მოღვაწეობითა და ლიტერატურული მემკვიდრეობით მან საგულისხმო ადგილი დაიმკვიდრა ჩვენი მწერლობის ისტორიაში. მის პიროვნებაში სამაგალითოდ გამოვლინდა ის საუკეთესო თვისებები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე განამტკიცებდნენ ქართველთა და აფხაზთა სახელმწიფოებრივ ერთობასა და განუყოფელ ისტორიულ ბედს. მთელი თავისი ტანჯული ცხოვრების მანძილზე იგი უღალატოდ ერთგულებდა ჩვენი ხალხების ერთობლივი თანაცხოვრების ფუძემდებლურ პრინციპს და ფიქრადაც კი არ მოსვლია, რომ ოდესმე დადგებოდა ისეთი დრო, როცა ამ ერთობას დაშლის საფრთხე დაემუქრებოდა.

ეს რწმენა გ. შარვაშიძემ ტრადიციად მიიღო ჩვენი წინაპრებისაგან. მე-19 საუკუნეში ჩვენს ხალხებს რუსული კოლონიალიზმის სახით ერთი დიდი საერთო უბედურება დაატყდათ თავს. როგორც გ. შარვაშიძის პირადი ცხოვრება ადასტურებს, მან პიროვნულადაც იწვნია ამ ეროვნული უბედურების მთელი სიმწარე. მისი შეგნებული ცხოვრება და მოღვაწეობა რუსულ კოლონიალიზმთან დაუცხრომელი ბრძოლის მაგალითია. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ უთანასწორო ბრძოლაში მტრის წინაშე მას ქედი არასოდეს მოუხრია და ეროვნული ღირსების გრძნობა არ შელახვია. პირველ ყოვლისა სწორედ ასეთ რაინდად და რწმენით გაუბზარავ მამულიშვილად დამკვიდრდა გ. შარვაშიძის სახელი ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიაში.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის 1868 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობის შემდეგ მთავრობამ ამბოხების თავკაცები დააპატიმრა და მკაცრად დასაჯა. გიორგი შარვაშიძე, რომელიც ამ აჯანყების ერთერთი აქტიური თავკაცი იყო, რუსეთში გადაასახლეს, მაგრამ ხელისუფლებამ მალე იგი შეიწყნარა და პეტერბურგში ცხოვრების უფლება მისცა. აქ მასთან ახლო მეგობრული კავშირი დაუმყარებია რუსეთის ტახტის იმჟამინდელ მემკვიდრეს ალექსანდრე მესამეს.

ასე რომ, როგორც სამართლიანად წერს ამ ფაქტთან დაკავშირებით აკად. სიმონ ჯანაშია, „ახალგაზრდა, ლამაზ, ჭკვიან გიორგის აქ ბრწყინვალე კარიერა ელოდა, ასეთი წარჩინებისათვის თავს დასდებდა მისი წრის უდიდესი ნაწილი. გიორგი მაინც სტოვებს სამეფო კარს და საქართველოში ბრუნდება. ეს იმ დროს ხდება, როცა გიორგი უკვე მომწიფებულია სულიერად. ჩვეულებრივად ის ქუთაისში ცხოვრობს. ებმება საზოგადოებრივ საქმიანობაში" (შარვაშიძე,1946: 17).

სწორედ აქ, ქუთაისში ყოფნის პერიოდში, მოხდა ერთი ფრიად საგულისხმო ფაქტი, რამაც ხელისუფლება საბოლოოდ დაარწმუნა იმაში, რომ გიორგი შარვაშიძეს ვერაფრით მოისყიდიდა და თავის სამსახურში ვერ ჩააყენებდა. ქალაქში იმპერატორ ალექსანდრე მესამის ჩამოსვლის დღისათვის გუბერნატორმა მას, ნიკო ნიკოლაძესა და სხვა საეჭვო პირებს წინადადება მისცა, გასცლოდნენ ქუთაისს. „საპასუხოდ გიორგიმ დემონსტრაციულად უარი განაცხადა ფლიგელ-ადიუტანტობაზე – უმაღლეს საკარისკაცო ტიტულზე, რომელიც მას მეფისგან ჰქონდა მინიჭებული. ეს მთავრობისათვის ომის გამოცხადებას უდრიდა, რაც რუსეთის ოლიგარხიასთან გიორგის ურთიერთობის სრული გაწყვეტით დამთავრდა" (შარვაშიძე,1946: 17).

ხელისუფლებასთან ამდაგვარი დამოკიდებულება სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა გ. შარვაშიძემ. იგი სიკვდილამდე დარჩა სამშობლოს თავისუფლებისათვის აქტიურად მებრძოლ რაინდად. აფხაზეთში ცხოვრებააკრძალულმა, მან ძირითად საცხოვრებელ ადგილად ქუთაისი აირჩია, აქ გაატარა სიცოცხლის მნიშვნელოვანი ნაწილი და მშობლიური მხარიდან გაძევებული, დროდადრო მხოლოდ ფარულად თუ ეწვეოდა მშობლიურ აფხაზეთს სათაყვანო ადგილების სანახავად.

გ. შარვაშიძეს ახალო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული იმ პერიოდის ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან, პირველ ყოვლისა კი ქართული მწერლობისა და თეატრალური ხელოვნების ცნობილ ოსტატებთან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აკაკი წერეთელთან მისი სიახლოვე, რაც ერთმანეთისადმი მიძღვნილი მათი ლექსებითაც დასტურდება.

გ. შარვაშიძის ეროვნული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა იმ კოლონიურმა პოლიტიკამ, რომელსაც რუსეთი ატარებდა კავკასიაში და რომლის მსხვერპლი მისი სათაყვანებელი სამშობლოც გახდა. იგი უშუალო თანამონაწილე იყო იმ ბრძოლებისა, რასაც ქართველი და აფხაზი ხალხები აწარმოებდნენ რუსი კოლონიზატორების წინააღმდეგ. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი 1866-68 წლების აფხაზეთის აჯანყება იყო.

სამწუხაროდ, ამბოხება დამარცხდა და მისი აქტიური მონაწილენი მკაცრად დასაჯეს, მათ შორის, გ. შარვაშიძეც; მაგრამ იგი სულიერად მაინც ვერ გატეხეს და ვერ დაიმორჩილეს. მან „მცირეოდნადაც არ დაიმცირა ღირსება თავის ერის მჩაგვრელ, თავის ხალხზედ ძალით გაბატონებულ ძლიერ სახელმწიფოებრივ მმართველობის წინაშე". იგი „ზიზღით უარყოფდა" ყველანაირ ჯილდოწარჩინებას, რომელსაც უხვად სთავაზობდა მთავრობა მოსასყიდად და მის მხარეზე გადასაბირებლად. მას „ყმაწვილობიდან ეზიზღებოდა ყოველივე ის სიკეთე, რომელიც რუსეთის ტახტიდან გამომდინარეობდა". ეს მაშინ, როცა მატერიალურად გაპარტახებულსა და განძარცვულს „ორი ქცევა მიწა ენატრებოდა თავის ქვეყანაში" („თეატრი და ცხოვრება", 1918 წ. №10).

გ. შარვაშიძის პიროვნების გასაცნობად ძალზე საინტერესოა 1918 წელს მის გარდაცვალებასთან დაკავშირებით პრესაში გამოქვეყნებული წერილები, რომლებშიც ხაზგასმული ფორმითაა წარმოჩენილი მისი მამულიშვილური თვისებები და ადამიანური ღირსებები. მაგალითად, გაზეთი „საქართველო" 1918 წლის მე-40 ნომერში წერდა: გ. შარვაშიძე იყო „შეურიგებელი მოწინააღმდეგე რუსეთის მეფეების და მთავრობის. რუსეთის მეფემ ფლიგელ-ადიუტანტობა შეაძლია მას, მაგრამ იმან არ მოისურვა და უარი განაცხადა. რუსის წინანდელმა მთავრობამ თითქმის ყველა მამული ჩამოართვა მას... ისეთ სიღარიბეში გარდაიცვალა ის ახლა, რომ დასასაფლავებელი შეძლებაც კი არა დარჩენია რა".

შალვა დადიანის შეფასებით, გ. შარვაშიძე „უხიწვო ზრდილობის" კაცი იყო, ქართული პატიოსნებისა და კეთილშობილების ცოცხალი განსახიერება, რასაც მისი გარეგნული მომხიბვლელობაცა და არისტოკრატიზმიც ემატებოდა. ყოველივე ზემოთქმულის-

თვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად მას ასეთი ფაქტი მოჰყავს: ცნობილ მხატვარ მიხაი ზიჩს ქუთაისში „ვეფხისტყაოსნის" სცენური სურათების დადგმის დროს გიორგიც მიუწვევია მონაწილეობის მისაღებად, რასაც იმით ხსნის, რომ უცხოელ მხატვარს მის „სახეში შინაგანი ქართული ზრდილობა და გარეგნული ჩვენებური პლასტიურობა უგრძვნია" (გაზ. „საქართველო", 1918 წ. #47).

გ. შარვაშიძის პიროვნულ ღირსებათა შეფასების დროს შ. დადიანი რომ არ აჭარბებს, ამას სხვა სტატიათა ავტორებიც ადასტურებენ. მაგალითად, გივი გოლდმანის (გრიგოლ რობაქიძის ფსევდონიმია) წერილში ნათქვამია: „მთელი საუკუნეებია საჭირო, რომ ბიოლოგიურმა შერჩევამ ასეთი სრული ტიპი წარმოშვას. უბრალო მიმოხრაც მოწმობს მისი, რომ მის გულში ასი წლობით ყოფილა შეუცნობელი ფიქრი ბიოლოგიური რჩეულობისა. არაფერში ეტყობა ძალდატანება" (გაზ. „საქართველო", 1918 წ. #45).

გ. შარვაშიძისადმი პატივისცემას განსაკუთრებით ზრდიდა ის გარემოება, რომ იგი გულმხურვალე მამულიშვილი იყო, სამშობლოს ჭირ-ვარამით შეჭირვებული კაცი. „ბაასის საგანი, - წერს დასახელებულ წერილში გრ. რობაქიძე, - ხშირად საქართველოა. გაბედულება მისი საკითხის გადაწყვეტაში, არავითარი კომპრომისი, სრული თავისუფლება - აი, მისი ფიქრის ხვეული". ამ გარემოებას ხაზგასმით აღნიშნავს შ. დადიანიც, რომელიც ზემოთ დამოწმებულ წერილში გ. შარვაშიძის პიროვნულ პორტრეტს შემდეგნაირად აღწერს: „შობილი სილამაზისა და სიტყვისათვის, მაგრამ ტანჯული თავისი ქვეყნის დიდი ტანჯვითა, დევნილი ცხოვრებაში და იდუმალის ჭმუნვით მოსილი, ხოლო ამ ჭმუნვაშიაც მშვენიერი.

უბრალო და მიმღები საყოველდღეო ცხოვრებაში, მაგრამ იმდენად მდიდარი თავისი ბუნების შინაარსით, რომ გაშინაურებას ამ კაცს ვერასდროს შეჰკადრებდით".

გ. ქიქოძე კი წერდა: „როგორც ნამდვილ აფხაზს შეეფერებოდა, გ. შარვაშიძეს ერთნაირი სიყვარულით უყვარდა ის დედა, რომელმაც შობა და ის დედაც, რომელმაც თავის რძით გამოკვება. მას მისთვის არ უღალატია სიღარიბისა და დამცირების დროს და ცხოვრების დასასრულამდე შეინარჩუნა რწმენა, რომ ორივეს ბედნიერი მომავალი ელოდა".

გიორგი შარვაშიძის სისხლხორცეულ სიყვარულს საქართველოსადმი, საერთოდ, ყოველივე ქართულისადმი, გარდა აფხაზ წინაპართა მიერ დამკვიდრებული ტრადიციისა, ისიც განაპირობებდა, რომ იგი დედის მხრივ ქართველი იყო. დედამისი - ალექსანდრა - ცნობილი მწიგნობრისა და პოლიტიკური მოღვაწის ნიკო დადიანის შვილიშვილი იყო. ქართველები იყვნენ მისი ბებიაცა და მეუღლეც. ასეთი სისხლისმიერი კავშირები აფხაზებსა და ქართველებს შორის ერთეული შემთხვევებით არ შემოიფარგლებოდა. აკად. სიმონ ჯანაშიას შეფასებით, „სამეგრელო, როგორც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ისე ამ ორი ტომის ეთნოგრაფიული სიახლოვის წყალობით, ხანგრძლივი ისტორიული თანაცხოვრების ნიადაგზე, წარმოადგენდა მთავარ არტერიას, რომლის საშუალებითაც ხდებოდა კულტურული ენერგიის მიმოქცევა აფხაზეთსა და საქართველოს ცენტრალურ პროვინციებს შორის" (შარვაშიძე, 1946: 34).

ყოველივე ზემოთქმულმა არსებითად განაპირობა ის გარემოება, რომ გიორგი შარვაშიძის ცნობიერებაში სამშობლოს ცნება სრულიად საქართველოს, მისი საყვარელი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მთელს ივერიას, მოიცავდა და მხოლოდ აფხაზეთით არ იყო ლოკალიზებული. ამის დასტურად უამრავი არგუმენტის მოტანა შეიძლება მწერლის შემოქმედებიდან. თავის მხატვრულ ნაწარმოებებსა და წერილებში იგი სიყვარულით საუბრობდა საქართველოს დიდ კულტურულ წარსულზე და იღბლის ავბედითობად თვლიდა იმას, რომ ბოლო საუკუნეებში უკუღმართად დატრიალებულმა ბედის ბორბალმა გადაგვარების პირამდე მიიყვანა ქვეყანა.

მაგალითად, 1917 წელს გაზეთ „საქართველოს" 137-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში - „სოციალიზმი საქართველოში" გ. შარვაშიძე წერდა: „მართალია, ჩვენს სამშობლო ივერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია, მაგრამ ჩვენი წარსული ისეთ ჟამს გაშენდა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ევოლუციის შარა და კანონი. დიაღ, ჩვენ შეგვიძლია თამამადაც ვთქვათ, რომ იღბალის უკუღმართობას რომ ხელი არ შეეშალა, ევროპის წინათაც ვიქნებოდით ჩვენ დღეს, ვინაიდან, როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, შუბებით ხელში ნადირობდნენ ტყეებში.

მას მერე, როგორც იყო, ომით, მუდამ დავიდარაბით, მოვიტანეთ ჩვენი კულტურის ცხოვრება თამარ დედოფლის დრომდი, რომელიც იყო ოქროს ხანა.

შემდეგ კი უკუღმართად დატრიალდა ერის არსებობა... ნელ-ნელა ჩაქრა დიდებული გონებრივი და ქონებრივი თანხა ქვეყნისა და დაიშალა ცხოვრება თვით-არსებობისა. ენა გაღარიბდა, ზნეობა წაგვიხდა, ღონე-შეძლება დავკარგეთ, რაინდობა და პატიოსნება განვაგდეთ და ბოლოს მოვაღწიეთ იმ ხანაში, როცა კეთილდღეობასა ვპოვებდით ჯაშუშობაში და სამშობლოს მტრობაში!.."

აქ გამოთქმულ თვალსაზრისს ორი ასპექტით მინდა მივაქციო ყურადღება: პირველი, იმას, რომ გ. შარვაშიძე ერთხელ კიდევ ავლენს ნათლად და მკაფიოდ თავის დამოკიდებულებას საქართველოსადმი, როგორც თავისი ერთადერთი სამშობლოსადმი. ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ მშობლიური აფხაზეთი მას სწორედ ამ მთლიანობის ღვიძლ ნაწილად მიაჩნია თავისი ისტორიითაც, დღევანდელობითაც და მომავლითაც.

გ. შარვაშიძე ამ შემთხვევაში გამონაკლისი სულაც რომ არ ყოფილა და ეს რწმენა იმავდროულად აფხაზეთის სამთავრო კარის ყველა პროგრესულად მოაზროვნე პიროვნების მსოფლმხედველობასაც რომ განსაზღვრავდა ისტორიულად, ამას მისი მამის - მიხეილის ეს სურვილიც ნათლად ადასტურებს: აფხაზეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ მან დაბეჯითებით თხოვა ხელისუფლებას რუსეთში მაინც არ გადაესახლებინათ და ქუთაისსა და რაჭაში მიეცათ ცხოვრების უფლება.

მეორე, ზემოთ ციტირებული სტრიქონებისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ მათში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ზღურბლთან მიახლოებული საქართველოს სამომავლო ბედისადმი გ. შარვაშიძის დამოკიდებულებაც ვლინდება ნათლად და არაორაზროვნად. მწერალი დიდი იმედითა და სიხარულით შეხვდა 1917-1918 წლების მოვლენებს და მკაფიოდ გამოხატა თავისი პოზიცია. მართალია, გ. შარვაშიძე 1918 წლის 26 მაისს ვერ მოესწრო (იგი 1918 წლის 19 თებერვალს გარდაიცვალა), მაგრამ წინასწარ იგრძნო ის სასიკეთო ძვრები, რომლებიც მის სამშობლოს კარზე ჰქონდა მომდგარი. „თავისი დავიწყებული დამარ-

ხული დიდების" საფლავთან „ხელთგულდაკრეფილ ივერთა" სმენას, მწერლის აზრით, გაბედულად მიწვდა „ხმა სიმართლისა და თავისუფლებისა! დაჰკრა საქართველომ ნაღარა, დაჰკივლა ვაშა, ვაშა!" მას ღრმად სწამდა, რომ ძველი, დახავსებული ქვეყნის დანგრევით აღმობრწყინდებოდა „მზე ერის განთავისუფლებისა და გამოცოცხლებისა".

გ. შარვაშიძის პატრიოტული სულისკვეთება მის იმ წერილებშიც ვლინდება მკაფიოდ, რომლებშიც ქართული ენის დაცვა-პატრონობაზეა საუბარი. აფხაზურ ენასთან ერთად, ქართული მისთვის დედის რძესავით შესისხლხორცებული მშობლიური ენა იყო, რაც იმითაც ნათლად ჩანს, რომ მთელი მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რუსულად დაწერილი რამდენიმე ლექსის გარდა, ქართულადაა შექმნილი. ამიტომაც იყო იგი ქართული ენის თავგამოდებული ქომაგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მისი წერილი „ქართული ენის გარშემო" (გაზ. „საქართველო", 1915 წ. №169). მასში ავტორი სიყვარულით საუბრობს ქართული ენის „ჯიშურ თვისებებზე", მის დახვეწილ მუსიკალურ ბუნებაზე და ყველას აფრთხილებს, რომ ასეთ ენას „დიდის მოწიწებით, ცოდნით და სიფაქიზით სჭირია მოპყრობა, ვინაიდან არ გაირყვნას მისი ჯიშური თვისება".

როგორც უკვე ითქვა, გიორგი შარვაშიძის გარდაცვალებას არა მარტო ზეპირსიტყვიერად გამოეხმაურა იმდროინდელ ქართველ და აფხაზ მამულიშვილთა არაერთი წარმომადგენელი, არამედ წერილებითი ფორმითაც. მათ პუბლიკაციებში ხაზგასმით იყო აღნიშნული აფხაზი მწერლის უმნიშვნელოვანესი როლი ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის აქტიური ბრძოლისა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად განმტკიცების საქმეში.

მაგალითად, გიორგი შარვაშიძის მიერ ამ ერთობის გაღრმავების პროცესში შეტანილი უმნიშვნელოვანესი წვლილის შეფასების დროს ნიკო თავდგირიძემ მის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებას მიაქცია, რომ აფხაზ მამულიშვილთაგან მან პირველმა აღიმაღლა ხმა რუსეთის მიერ დაპყრობილი თავისი სამშობლოს დასაცავად და უმნიშვნელოვანე-

სი როლი შეასრულა მისი თავისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში. მისი ხაზგასმით, სწორედ ამის თვალნათლივ გამოვლინებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ მან ზიზღით თქვა უარი იმ ჯილდოსა და წარჩინებაზე, რაც რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ შესთავაზე მის სამსახურში ჩადგომის სანაცვლოდ.

სწორედ მისი ამ რაინდული და გმირული გადაწყვეტილების ტრაგიკულ შედეგს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ მისი სამშობლოს დაპყრობის სანაცვლოდ შეთავაზებულ ამგვარ ჯილდოებსა და ფლიგელ-ადიუტანტის წოდებაზე კატეგორიული უარის თქმის გამო აფხაზეთიდან დევნილ აფხაზ მთავარს მშობლიურ აფხაზეთში არა თუ რაიმე ქონება აღარ შერჩა, არამედ იქ დროებით სტუმრობაც კი აღუსრულებელ ნატვრად და ოცნებად ჰქონდა გადაქცეული.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ გიორგი შარვაშიძის ღვაწლის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული არაფერია და ამ გულმხურვალე მამულიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა კვლავაც წარმოადგენს ქართველთა და აფხაზთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთობის წარმომჩენ თვალსაჩინო მაგალითს.

ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი და საქართველო

საკითხი საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის (ფსევდონიმი იუჟინი ხელოვანმა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე წლებიდან აირჩია და არაქართულ სამყაროში იგი უპირატესად სწორედ მისი სამხრეთული წარმომავლობის აღმნიშვნელი ამ ფსევდონიმითაა ცნობილი) დამოკიდებულების თაობაზე ახლად წამოჭრილი პრობლემა არ არის და მისი გარკვევა რუსული თეატრალური ხელოვნების ამ უდიდესი წარმომადგენლის მთელი შემოქმედებითი მოღვაწეობის განმავლობაში იყო ქართველთა შორის განსჯის საგნად ქცეული. აღნიშნული საკითხისადმი ინტერესს განსაკუთრებულ სიმძაფრესა და აქტუალობას სძენდა ის ფაქტი, რომ თავისი ეროვნული წარმომავლობითაც და ცხოვრება-მოღვაწეობის გარკვეული ეტაპებითაც იგი, მართალია, განუყოფელად იყო დაკავშირებული ჩვენს ქვეყანასთან, მაგრამ მისი შემოქმედებითი შესაძლებლობების წარმომჩენ უმთავრეს ასპარეზად პირველ ყოვლისა მაინც რუსული თეატრალური ხელოვნება და დრამატურგია იქცა.

იმის გამო, რომ ალ. სუმბათაშვილის (1857-1927) ცხოვრება და მოღვაწეობა ძალზე რეზონანსულ მოვლენას წარმოადგენდა XIX საუკუნის ბოლო ორი ათწლეულისა და XX საუკუნის პირველი მეოთხედის არა მარტო რუსული, არამედ მთელი იმჟამინდელი ევროპული თეატრალური ხელოვნების ისტორიაში, მისი ეროვნული თვითშეგნების გარკვევასთან დაკავშირებით იმხანად გამართულ პოლემიკაში ფაქტობრივად ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოჩნდა მეტ-ნაკლები აქტიურობით ჩართულნი.

მაშინდელი ქართული ინტელიგენციის უმეტესობის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ალ. სუმბათაშვილის, როგორც თეატრალური მოღვაწისა და დრამატურგის, მთელი შეგნებული ცხოვრება რუსულენოვან სამყაროში წარიმართა, იგი მაინც ქართულ საქმეთა სამსახურში ჩამდგარ მამულიშვილს წარმოადგენდა და არა მარტო რუსული კულტურის განვითარებაში შეიტანა მეტად ფასეული წვლილი, არამედ საქართველოსთვისაც ძალზე ბევრი რამ გააკეთა უაღრესად მნიშვნელოვანი.

ქართველი საზოგადოების მეორე, რადიკალურად განწყობილი, ნაწილი კი თვლიდა, რომ ალ. სუმბათაშვილს ფაქტობრივად მხოლოდ ეროვნული წარმომავლობა აკავშირებდა საქართველოსთან და მშობლიურ ენობრივ წიაღსა და ყოფით-სულიერ სამყაროს მოწყვეტილ ამ პიროვნებას არა მარტო სამშობლოსადმი გულგრილ დამოკიდებულებაში დებდა ბრალს, არამედ მშობელი ქვეყნის მოღალატედაც კი აცხადებდა.

ალ. სუმბათაშვილის მიმართ წაყენებული ამ უმძიმესი ბრალდების გამქარწყლებელ პირველ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტად 1903 წელს მის მიერ დაწერილი და მოსკოვის მცირე თეატრის სცენაზე ტრიუმფალური წარმატებით განხორციელებული პიესა „ღალატი“ იქცა. მასში გმირულ-ჰეროიკული ფორმითაა მოთხრობილი ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დასაცავად ქართველი ხალხის ბრძოლის ამბავი. აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე: „ამას წინად ჩვენმა ჟურნალ-გაზეთობამ სამართლიანი (იმ დროს) საყვედური გამოთქვა თ. ალ. სუმბათაშვილის შესახებ იმის გამო, რომ სამშობლო ხელოვნება და ქვეყანა მიტოვებული აქვს და თავისს ნიჭსა და მეცადინეობას იქა ჰხარჯავს, სადაც უიმისოდაც ბევრია ნიჭიერი მშრომელი. თ. ალ. სუმბათაშვილს ამის პასუხი დიდი არა უთქვამსრა. ან კი რა უნდა ეთქვა?

ხოლო საუკეთესო პასუხი და თავის გასამართლებელი უძლიერესი საბუთი მისცა ქართველ ერს მისის ახალი პიესით, რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა მთელი რუსეთის საზოგადოება. ამ ნაწარმოებით ბატონმა სუმბათაშვილმა ქართველ ერს გამოუცხადა და სავსებით დაუმტკიცა, რომ მართალია, იგი გარდახვეწილია სხვადა-სხვა გარემოების მიზეზით, მაგრამ ერთს წუთსაც არ დავიწყებია თავისი სამშობლო და თავისი ერი“ (გაზ. „ივერია,“ 1903 წ. 6 დეკემბერი).

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს ალ. სუმბათაშვილის ეროვნული მოღვაწეობის არსსა და მასშტაბებზე, მოკლედ გავიხსენოთ უმთავრესი შტრიხები მისი ცხოვრებიდან.

დაიბადა 1857 წელს ტულის გუბერნიის სოფ. კუკუევკაში. მამა – თავადი ივანე სუმბათაშვილი, კავალერიის ოფიცერი, ერეკლე მეორის შთამომავალი იყო დედის მხრიდან. 1855-1863 წლებში მსახურობდა რუსეთში, დრაგუნთა პოლკში. 1863 წელს ი. სუმბათაშ-

ვილმა სამხედრო სამსახურს თავი დაანება, ოჯახთან ერთად საცხოვრებლად საქართველოში გადმოვიდა და თბილისსა და თბილისთან ახლოს მდებარე სოფელ თელეთში დამკვიდრდა.

დედა – ვარვარა ნედზვეტსკაია ფართოდ განსწავლული და ადამიანური კეთილშობილებით გამორჩეული პიროვნება იყო, დედის მხრიდან ლერმონტოვისა და პუშკინის ნათესავი. ალ. სუმბათაშვილის გადმოცემით, პირველ ყოვლისა სწორედ იგი ყოფილა ის ადამიანი, ვინც მას არა მარტო უბრალოდ შეაყვარა ლიტერატურა, თეატრი და ხელოვნება, არამედ მთელი მისი შემდგომი ცხოვრების გზაც განსაზღვრა არსებითად.

ალ. სუმბათაშვილის გადმოცემით, მათი სახლი თბილისში ყოფილა ცენტრი, სადაც თავს იყრიდნენ როგორც იმ პერიოდის ქართული ინტელიგენციის ცნობილი წარმომადგენლები, ისე რუსეთის იმპერიის სხვადასხვა რეგიონებიდან საქართველოში გადმოსახლებული ადამიანები.

1877 წელს, თბილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ალ. სუმბათაშვილმა სწავლა განაგრძო პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სტუდენტობის პერიოდში მას თეატრალურ ასპარეზზე უკვე ჰქონდა პირველი წარმატებული ნაბიჯები გადადგმული.

ეს ის დრო იყო, როცა ჩვენი ერის დიდი შვილების აქტიური ძალისხმევის შედეგად ქართული თეატრი კრიზისული მდგომარეობიდან გამოდიოდა და განახლების გზაზე დგებოდა. ასეთ ვითარებაში თეატრალურ სამყაროში ყოველი ახალი სახელის გამოჩენას იმჟამინდელი ჩვენი საზოგადოება უდიდესი ინტერესით ხვდებოდა. ასე მოხდა ალ. სუმბათაშვილთან დაკავშირებითაც.

თუმცა, ამასთან ერთად, ქართველთა ერთი ნაწილი უკმაყოფილებას არ მალავდა იმის გამო, რომ ქართულ თეატრალურ ასპარეზზე გამოსულმა ამ ნიჭიერმა და დიდი იმედის მომცემმა ხელოვანმა მშობლიური ენა არ იცოდა, პიესებს რუსულად წერდა და მთელ თავის ძალასა და ენერგიას რუსულ სცენას ახმარდა, ქართულ თეატრში თამაშს კი ვერ ახერხებდა.

1882 წლიდან ალ. სუმბათაშვილი მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობი ხდება, 1909 წლიდან კი 18 წლის განმავლობაში იგი ამ თეატრის ხელმძღვანელიც იყო. მთელი რუსეთის მასშტაბით მას ერთერთს პირველს მიენიჭა ამ ქვეყნის სახალხო არტისტის საპატიო წოდება. ალ. სუმბათაშვილის დიდ შემოქმედებით მიღწევათა სა-

ერთაშორისო აღიარებაა ის ფაქტიც, რომ იგი იყო მსოფლიოს არაერთი ქვეყნის ორდენებისა და სხვადასხვა სახის ჯილდოთა მფლობელი.

გარდა მსახიობობისა, ალ. სუმბათაშვილი იყო დრამატურგი, პუბლიცისტი, თეატრის ისტორიკოსი და თეორეტიკოსი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

დაწერილი აქვს ოცამდე პიესა. მიუხედავად იმისა, რომ მათში (გარდა „ღალატისა") რუსული ცხოვრებისეული სინამდვილეა ასახული და ქართული ყოფის შესახებ არაფერია ნათქვამი, ბევრი მათგანი მაინც დიდი წარმატებით იდგმებოდა საქართველოში არსებული რუსული თეატრების სცენაზე, ექვსი პიესა კი ქართულადაც გადმოითარგმნა და დაიდგა („ღალატი," „ადიკო კაზაიანი," „ბორკილი," „ძველი წრთობა," „შევარდნები და ყვავები," „წინამძღოლნი").

ხანგრძლივი და მეტად წარმატებული აქტიორული მოღვაწეობის განმავლობაში ალ. სუმბათაშვილს რუსული თეატრის სცენაზე ნათამაშები აქვს 250-ზე მეტი როლი. მისი ბიოგრაფების ხაზგასმით, XIX საუკუნის 80-90-იან წლებში ალ. სუმბათაშვილის პიესები მარტო რუსულ სცენაზე 6 000-ჯერ დაიდგა, მეოცეში კი ორჯერ უფრო მეტად. ზოგიერთი მათგანი უცხო ენებზეც არის თარგმნილი და წარმატებით იდგმებოდა ბერლინის, პარიზის, ვენის, კრაკოვის, ბელგრადისა და ევროპის სხვა ქალაქების თეატრებში (ბუხნიკაშვილი, 1948: 32).

ასეთი მრავალმხრივი და წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობის გამო ალ. სუმბათაშვილისადმი უდიდეს პატივისცემას იჩენდნენ რუსული ინტელიგენციის ისეთი დიდი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ: ლ. ტოლსტოი, კ. სტანისლავსკი, პ. ჩაიკოვსკი, ვ. ბრიუსოვი, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ნ. რიმსკი-კორსაკოვი, მ. გორკი, თ. შალიაპინი, კ. ბალმონტი... აგრეთვე უცხოელები: სარა ბერნარი, როდენი, ანატოლ ფრანსი, ერნესტო როსი...

ალ. სუმბათაშვილისადმი ანალოგიურ დამოკიდებულებას ავლენდა ქართველ მამულიშვილთა დიდი ნაწილიც (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ნ. ნიკოლაძე, კ. მარჯანიშვილი, ლ. მესხიშვილი, ზ. ფალიაშვილი, დ. არაყიშვილი...).

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, იმჟამინდელი ჩვენი საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლები ალ. სუმბათაშვილს მკაცრად აკრიტიკებდნენ იმის გამო,

რომ იგი სამშობლოს გარეთ მოღვაწეობდა, ქართული ენა არ იცოდა და მთელ თავის ენერგიას რუსულ სცენას ახმარდა.

ამ ამბით უსაზღვროდ შეწუხებულ ხელოვანს არაერთხელ გამოუხატავს გულისტკივილი ყოველივე ზემოთქმულის გამო. მაგალითად, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 1916 წლის 26-ე ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში წერდა: „გაუგებარია ზოგიერთების საქციელი, ღალატს რომ მიკიჟინებენ!.. განა პავლე ტრუბეცკოი, ეს შესანიშნავი რუსი მოქანდაკე, რომელიც სიყრმიდანვე იტალიაში ცხოვრობს, შესანიშნავ ქანდაკებებს ჰქმნის და რუს მოქანდაკედ არის ცნობილი, სამშობლოს მოღალატეა? განა შექსპირი, ეს ინგლისის მშვენება, იმავე დროს ჩვენი სიამაყე არ არის და ინგლისის სახელი უფრო არ განადიდა?.. რაიცა შემეხება მე, მეც ჩემს სამშობლოს და საზოგადოდ ხელოვნებას ისე ვემსახურები, როგორც შემიძლია. მე ვტრიალებ რუსეთის უმაღლეს მოაზროვნე, ხელოვნება-მწერლობის მოყვარულთა საზოგადოებაში, სადაც ქართველად მცნობენ, მშვენიერ საქართველოს შვილად და ყოველთვის ვცდილობ, ჩემი სამშობლოს სახელი კიდევ უფრო განდიდდეს.“

რაც შეეხება ქართულ ენას, ამასთან დაკავშირებით კი იქვე წერდა: „9 წლიდან 19 წლამდე სამშობლოში ვცხოვრობდი, ქართლში. აქ გლეხებში და ნათესავებში ვტრიალებდი და რაც მაშინ ვისწავლე, ის შემრჩა. შემდეგ რუსეთში ვიზრდებოდი, მაგრამ დედა უმთავრესად ფრანგულს მასწავლიდა. რუსული ენა და ლიტერატურა მიყვარს, მაგრამ ეს როდი მიშლის ხელს ჩემი სამშობლოს ლიტერატურაც მიყვარდეს.“

ალ. სუმბათაშვილის მტკიცებით, „სამშობლოზედ წუხილი ის ავადმყოფობა არის, რომელსაც არავითარი წამალი არ მიეკარება. ყოველ პატიოსან კაცს აქვს ერთი რწმუნება და ეს რწმუნება არის მამულის სამსახური. არის განა ქვეყანაში ისეთი დამახინჯებული ვინმე, რომელსაც ეთქვა: მე არ მიყვარს ჩემი სამშობლო, მე არ მესმის მამულისათვის ჭმუნვა, მე არ მინდა მისი სამსახური?! მე შევწირავ მთლად ჩემს ღონეს სამშობლო ლიტერატურაზედ შრომასა“ („დროება,“ 1880 წ. №198).

როგორც ალ. სუმბათაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა ადასტურებს, თავისი ქართველობა და საქართველოსადმი სიყვარული მას მხოლოდ მაშინ კი არ ახსენდებოდა, როცა სამშობლოში სტუმრად ჩამოდიოდა, ანდა – საკუთარი ქვეყნისაგან განშორებით მცხოვრები – მის სისხლისმიერ თანამემამულეს შეხვდებოდა, არამედ ეს

გრძნობა მთელი მისი ცხოვრების განუყრელ ნაწილადაც იყო ქცეული. ნათქვამის დასტურად აქ თუნდაც იმ სიტყვების დამოწმებაც იქნება საკმარისი, რომელნიც მან 1908 წლის 24 იანვარს წარმოთქვა მოსკოვში მისი თეატრალური მოღვაწეობიდან 25 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე: „ვკოცნი ძვირფას სამშობლო მიწას. მე მზად ვარ ეს მიწა ჩემი სისხლით მოვრწყა. სისხლხორცეულად ვარ დაკავშირებული მის ყველა სიხარულთან და ტანჯვასთან... რა ბედნიერება და რა სიამაყე იყო, მეგრძნო ამ დღეებში, რომ მე ქართველი ვარ!“

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი ალ. სუმბათაშვილს სამშობლოს გარეთ ცხოვრებისა და მოღვაწეობის გამო მკაცრად აკრიტიკებდა, საქართველოში მას ბევრად მეტი დამფასებელი და პატივისმცემელი ჰყავდა. მის თანამედროვე ქართველ მამულიშვილთა უმეტესობა ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ მოსკოვში მოღვაწე ხელოვანი ქართულ საქმეს აკეთებდა და თავისი სამშობლოს ერთგული მსახური იყო. ალ. სუმბათაშვილის ეროვნული ცნობიერების ამგვარად შეფასების უმთავრეს საფუძვლად უპირველეს ყოვლისა მისი ცნობილი პიესა „ღალატი“ იყო ქცეული.

ალ. სუმბათაშვილის ერთი შეხედვით თითქოსდა გაორებული, მაგრამ სამშობლოსადმი დაუცხრომელი სიყვარულითა და ერთგულებით განმსჭვალული საქმიანობა კოტე მესხმა მოსკოვში გამართულ ზემოთ ხსენებულ საიუბილეო საღამოზე გამოსვლისას დიდი ხელოვანისათვის მიმართული ამ სიტყვებით შეაფასა: „ჩვენ, შენი უმცროსი ძმები, მსახიობები, ბედნიერები ვართ მით, რომ შენი ღვთიური ნიჭის საუკეთესო ქმნილება მიუძღვენი შენ სამშობლოსაქართველოს... მაშ, ნურავინ იტყვის, რომ შენ უღალატე სამშობლო სცენას. შენი ღალატი შენ „ღალატითვე“ გამოისყიდე“ (მესხი, 1953: 48).

კ. მესხი გამონაკლისი არ ყოფილა და ალ. სუმბათაშვილის მოღვაწეობას მსგავს შეფასებას იმჟამინდელი ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი აძლევდა. კერძოდ, გარდა იმისა, რომ იმდროინდელ პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა ხელოვანის ღვაწლის განმადიდებელი წერილები, ქართული თეატრების სცენაზე მისი პიესებიც იდგმებოდა დიდის წარმატებით. ამას ემატებოდა ისიც, რომ საქართველოში მისი სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართულ იუბილეებზეც და სხვა დროსაც ალ. სუმბათაშვილი ხან-

გრძლივი დროით რჩებოდა სამშობლოში და როგორც მსახიობი, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა თეატრების სცენაზე პირადადაც გამოდიოდა მაყურებლის წინაშე.

• • •

წინამდებარე წიგნის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ალ. სუმბათაშვილის ეროვნულ-პატრიოტული მრწამსის შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციო 1919 წელს პეტერბურგში გამოქვეყნებულ მის ვრცელ პუბლიცისტურ ნარკვევს „მძლავრის მარწუხებში“ (თარგმნა მაყვალა ომიაძემ. იხ: „ქართული მწერლობა,“ 2004: 394-554). სამწუხაროდ, მძაფრი პატრიოტული სულისკვეთებით განმსჭვალული ეს ნაწარმოები, რომელშიც ყოველგვარი შენიღბვის გარეშე ვლინდება ავტორის ეროვნულ-ქართული თვალთახედვა, თითქმის მთლიანად დარჩა არა თუ ფართო საზოგადოების, არამედ ალ. სუმბათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევართა ყურადღების მიღმაც კი.

ამ მოვლენის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს თუნდაც ის ფაქტიც, რომ ქართველ მკითხველს რუსულად დაწერილი ამ ნარკვევის მშობლიურ ენაზე გაცნობის შესაძლებლობა პირველად მხოლოდ ზემოთ ხსენებულ წიგნში გამოქვეყნებული მისი თარგმანის მეშვეობით მიეცა. მანანა კაკაბაძის მართებული ხაზგასმით, ეს გარემოება პირველ ყოვლისა მკვეთრად და ყოველგვარი შენიღბვის გარეშე გამოვლენილმა იმ „პატრიოტულმა ტონალობამ განსაზღვრა,“ რითაც „პოლიტიკურად არასასურველი ტენდენციის მქონე ეს თხზულება“ ხასიათდება. „რუს მკვლევარებს ნაკლებად აინტერესებდათ ის საკითხი, რაც თხზულების დედააზრს შეადგენდა, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი, ხოლო ქართველები ემორჩილებოდნენ სახელმწიფოს იმპერიულ ზრახვებს და ყოველგვარი არგუმენტაცია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ დუმილით იფარებოდა“ (ქართული მწერლობა, 2004: 644).

სამწუხაროდ, ვითარება არც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და ცენზურულ-იდეოლოგიურ შეზღუდვათა მოხსნის შემდეგ შეცვლილა და ალ. სუმბათაშვილის ხსენებული პუბლიცისტური ნარკვევი დღემდე არ ქცეულა საფუძვლიანი განხილვის საგნად. არადა, „მძლავრის მარწუხებში“ არა

მარტო მისი ავტორის ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვის შესაცნობად და გასააზრებლად წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან თხზულებას, არამედ რუსეთ-საქართველოს გარდასულ და სამომავლო ურთიერთობათა არსში სიღრმისეულად და ობიექტურად გასარკვევადაც.

აღნიშნულ პრობლემის ალ. სუმბათაშვილისეული ანალიზი განსაკუთრებულ მნიშვნელობას თუნდაც იმიტომაც იძენს, რომ ხსენებული ნარკვევის ავტორი რუსულ სინამდვილესთან სისხლხორცეულად შეზრდილ პიროვნებას წარმოადგენს.

რუსულ სამყაროსთან მწერლის ამგვარი სიახლოვე რეალურად ქმნიდა იმის საფუძველს, ხსენებული ნარკვევის განსჯა-ანალიზის უმთავრეს თემად ქცეული ქართულ-რუსულ ურთიერთობათა პრობლემური საკითხები ავტორს რამდენადმე ტენდენციურად და პრორუსული თვალთახედვით გაეაზრებინა და შეეფასებინა. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს არა თუ ასე არ მოხდა, არამედ პირიქით – ალ. სუმბათაშვილის ნარკვევი ფაქტობრივად იმ საბრალდებო დასკვნადაც კი მოგვევლინა, რომელშიც კონკრეტულ ფაქტებსა და არგუმენტებზე დაყრდნობითაა წარმოჩენილი ის ნეგატიური მხარეები, რაც რუსეთთან საქართველოს შეერთებას მოჰყვა შედეგად.

ქართველი საზოგადოების მიერ დაუცხრომელი ინტერესის საგნად ქცეული ამ ტრაგიკული მოვლენის ალ. სუმბათაშვილისეული შეფასება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმიტომაც იძენს, რომ ამას თავისი ქვეყნისაგან ფიზიკურად შორს მდგარი ის ადამიანი აკეთებდა, რომელიც „დასკვნების გამოტანისას არც არავის დაცვას ცდილობდა და არც არავის დადანაშაულებას.“ უმთავრესი და არსებითი, რაც მან, მისივე თქმით, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის პრობლემური საკითხების შეფასებას დაუდო მკვიდრ საფუძვლად, მოვლენებისადმი ობიექტური მიდგომა იყო და არა მათი გაანალიზება „მოჭარბებული პატრიოტიზმის ელფერით.“

აღნიშნული მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ალ. სუმბათაშვილის ნარკვევში საფუძვლიანადაა განხილული „ქართველი ტომის მიერ რუსეთის სახელმწიფოსთან ერთობლივად განვლილი ცხოვრება და ამ ისტორიული გზის მთავარი ეტაპები შეერთების დღიდან გამოყოფის დღემდე“ (სარეცენზიო ნაწარმოები 1919 წლის 1 იანვრით თარიღდება).

მოვლენათა ობიექტურად და მიუკერძოებლად შეფასების ზემოთ ხაზგასმული სურვილი ალ. სუმბათაშვილს ბუნებრივად ავ-

ალდებულებდა, მკითხველისთვის მისეული თვალთახედვით დაენახვებინა რუსეთთან საქართველოს შეერთების როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მხარეები. ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად ქვემოთ შევეცდები მოკლედ წარმოვაჩინო აღნიშნული მოვლენის ავტორისეული შეფასების ორივე მხარე. თავდაპირველად მკითხველის ყურადღება მინდა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის შემდეგ საქართველოში განვითარებულ უარყოფით მოვლენათა ალ. სუმბათაშვილისეულ ანალიზს მივაპყრო.

რუსეთთან საქართველოს მიერთების მეორე წელსვე კახელ თავადაზნაურთა მიერ რუსეთის იმპერატორისათვის გაგზავნილ საპროტესტო წერილზე დაყრდნობით, ალ. სუმბათაშვილი ხაზგასმით და დაბეჯითებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ რუსეთის იმპერია ჩვენი ქვეყნის მანამდელ აგრესორებზე გაცილებით უფრო ულმობელ და დაუნდობელ მტერს წარმოადგენდა. იმისათვის, რომ მის ამ თვალსაზრისს მეტი დამაჯერებლობა შესძინოს, ავტორი ხსენებული დოკუმენტიდან აღნიშნული დებულების დამადასტურებელ ციტატებსაც იმოწმებს. მაგალითად: „ქართველებს გვეომებოდა დიდი ხელმწიფე – სულთანი, გვეომებოდა შაჰი და მას ხელქვეით ვყავდით; გვეომებოდა დაღესტანიც... არც ერთ მათგანს ჩვენ, ქრისტიანი ერი, საბოლოოდ არ დავმორჩილებივართ... მათ არც დაპყრობისას და არც დაპყრობის შემდეგ ჩვენთვის მეფის წოდება არ გაუუქმებიათ, არც მღვდელმთავრობა, თავადიშვილობა და გლეხობა მოუშლიათ“ (ქართული მწერლობა, 2004: 506).

ხსენებული დოკუმენტიდან ამ და მსგავსი შინაარსის მქონე სხვა ფრაგმენტების ციტირებას ალ. სუმბათაშვილი უპირველეს ყოვლისა იმისთვის ახდენს, ნიღაბახდილი სახით რომ წარმოაჩინოს ქართველ მამულიშვილთა დიდი ნაწილის მიერ გარეშე მტრების მიერ აკლებულ-აწიოკებული საქართველოს მფარველად დასახული ქვეყნის დამპყრობლური პოლიტიკის ნამდვილი ბუნება. ალ. სუმბათაშვილის ნარკვევში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ, ჩვენი ქვეყნის ადრინდელი აგრესორებისაგან განსხვავებით, რუსეთის საიმპერატორო კარმა 1801 წლის მანიფესტით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა გაუუქმა და იგი რუსეთის იმპერიის რიგით გუბერნიად აქცია.

ალ. სუმბათაშვილის მტკიცებით, რუსეთთან შეერთება საქართველოს, მართალია, „ახალ დარბევათა საფრთხისაგან დაცვის სრულ გარანტიას აძლევდა და მის ბედს მაშინდელი ევროპის უძლიერესი

სახელმწიფოს ბედს უკავშირებდა, მაგრამ ისტორიული იერსახის დაკარგვას ესეც ვერ უნაზღაურებდა." 1801 წლის მანიფესტის შეფასების დროს მწერალი ერთმნიშვნელოვნად და დაბეჯითებით აღნიშნავდა, რომ საქართველოს სამეფოს გაუქმებით რუსეთმა ქართველ ერს ყველაზე დიდი ტკივილი მიაყენა. რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში ამ სამეფოს კვლავაც აღდგინებაზე ყოველგვარ ფიქრსაც კი ალ. სუმბათაშვილი „რეალური სინამდვილისაგან სრულად მოწყვეტილ და წმინდა ფანტასტიკური შეფერილობის" იმ ოცნებად მიიჩნევდა, რომელსაც „მატერიალიზაცია არ ეწერა" (ქართული მწერლობა, 2004: 517). მწერლის აზრით, მართალია, ქართველი ხალხი საკუთარი ნებით შეუერთდა რუსეთს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ამით იგი საბოლოოდ „იღებდა ხელს იმაზე, რისი გულისთვისაც ცხოვრობდა." რუსეთის მფარველობა და ქვეშევრდომობა ჩვენს ხალხს პირველ ყოვლისა საკუთარი სამეფოს შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად სჭირდებოდა და არა მის გასაუქმებლად.

მართალია, რუსეთთან საქართველოს შეერთებას ალ. სუმბათაშვილი ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორებით განპირობებულ აუცილებლობად და გარდაუვალ მოვლენად მიიჩნევდა, მაგრამ იქვე იმასაც აღნიშნავდა, რომ რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის შეერთების შემდეგ აქ გატარებული მანკიერი პოლიტიკა არსებითად ეწინააღმდეგებოდა იმ შეთანხმებას, რის საფუძველზეც ქართველმა ხალხმა ეს გადაწყვეტილება მიიღო. მწერლის აზრით, რუსეთი „მაშინვე ცბიერი გულქვაობით მიუდგა საქართველოს და მის საუკუნოვან სიწმინდეთაც შეეხო." ქართველები მიხვდნენ, რომ „მოტყუებულები იყვნენ... საქართველო აფორიაქდა, საგონებელში ჩავარდა, დარდმა და წუხილმა მოიცვა. ალერსიანი სიტყვების შემდეგ იგი ყველაზე ნაკლებად ელოდა თავისი მხსნელისაგან ასეთ გენერალურ გაკრეჭა-შეკვეცას რუსული დაფდაფების თანხლებით" (ქართული მწერლობა, 2004: 524-525).

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეუქმნას რუსეთის მიერ საქართველოში გატარებული დამპყრობლური პოლიტიკის არსზე, ალ. სუმბათაშვილი მხოლოდ ზოგადი მსჯელობით არ იფარგლება და კონკრეტულ არგუმენტებსაც მრავლად იშველიებს. მაგალითად, შეერთების დღიდან მოყოლებული, რუსეთმა საქართველოს „დაუყოვნებლივ დაუწყო საერთო იმპერიულ არტახებში მოქცევა – არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ადგი-

ლობრივ პირობებს, წარსულს, ყოფას, რწმენას, მსოფლმხედველობას, ენას, ნაციონალურ გრძნობას... ყველაზე უხამსი შოლტები უმრავლეს შემთხვევაში საქართველოსკენ იყო მიმართული" (ქართული მწერლობა, 2004: 401).

ალ. სუმბათაშვილის შეფასებით, რუსულ ხელისუფლებას საქართველო ამ გზით „ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად მიჰყავდა რუსიფიკაციისაკენ,... მეტი და მეტი სისასტიკითა და დაჟინებით ახორციელებდა ეროვნულ თვისებათა ყოველმხრივი ამოძირკვის, მეტროპოლიასთან ასიმილაციის, სრული გაუპიროვნების პოლიტიკას" (ქართული მწერლობა, 2004: 456).

მართალია, რუსეთთან შეერთების შემდეგ მრავალსაუკუნოვანი ბრძოლებით დაღლილ ქართველ ხალხს იმის შესაძლებლობა კი მიეცა, რუსეთის წყალობით „ევროპულ, ოღონდ რუსულ ბიუროკრატიულ საცერში გაცრილ აზრს მიახლოებოდა," მაგრამ მან ისიც თვალნათლივ დაინახა, რომ „ეს უდავო წყალობანი მას ნაციონალური სახის თანდათანობით დაკარგვის ფასად ეძლეოდა; რომ მისი ენა, ეკლესია, ზნე-ჩვეულებანი და მსოფლმხედველობა, მთელი სულიერი საგანძური, რისთვისაც იბრძოდა ოცი საუკუნე და რისი დაცვაც და შენარჩუნებაც ტანჯვითა და სისხლით შეძლო, მარჯვე და გამოცდილი ხელით ნელ-ნელა, მაგრამ აშკარად ნადგურდებოდა და სისტემატურად ქრებოდა ცხოვრებიდან... ასე რომ, რაც ვერ გაანადგურა ისლამის ძლიერმა მახვილმა, შესაძლებელი იყო საუკუნოდ წარხოცილიყო და სამუდამოდ, ძირფესვიანად ამოძირკვულიყო" (ქართული მწერლობა, 2004: 404).

ალ. სუმბათაშვილის განსაკუთრებულ გულისწყრომას იწვევდა ის ფაქტიც, რომ საქართველოში არსებული ყველა ტიპის სასწავლებლებიდან თითქმის მთლიანად იყო განდევნილი მშობლიური ქართული ენა. მაგალითად, მისი ინფორმაციით, თბილისის ერთადერთ გიმნაზიაში ქართულ ენას კვირაში მხოლოდ ერთი საათი ჰქონდა დათმობილი, ლათინურს – ექვსი, ბერძნულს კი ოთხი. მწერალი ასევე მკაცრად აკრიტიკებდა დაწყებით სკოლებიდან მშობლიური ენის განდევნის მიზნით იანოვსკისა და ზავადსკის მიერ შემოღებულ ე. წ. „თვალსაჩინო სწავლების" მეთოდს, რომლის მიხედვითაც მასწავლებელს რუსული სიტყვების ახსნის დროს მათი ქართული შესატყვისობების დასახელების უფლება არ ჰქონდა.

ალ. სუმბათაშვილის შეფასებით, ფაქტობრივად შეუძლებელი იყო, სხვა ერებისადმი სიძულვილი ამ „სასწავლო ფარსზე" შორს

რომ წასულიყო (გვ. 408). მშობლიური ენის ქომაგის როლში მწერლის ამგვარი გამოსვლა მეტად მნიშვნელოვანი იმითაც იყო, რომ ამას ამ ენობრივ სამყაროს მოწყვეტილი კაცი აკეთებდა, ადამიანი, რომელსაც არაერთხელ გამოუხატავს სინანული და გულისწყვეტა ქართული ენის სათანადოდ არცოდნის გამო.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მხილების დროს ალ. სუმბათაშვილი აღშფოთებით აღნიშნავდა იმ ფაქტსაც, რომ „საქართველომ, როგორც იმპერიის შემადგენელმა ნაწილმა და არა თავისთავადმა ერმა, ასწილ იწვნია სამოქალაქო წეს-ცხოვრების ის ჭირი და უბედურება, რაც მძიმედ აწვა მთელ რუსეთს“ (ქართული მწერლობა, 2004: 419). კერძოდ, ქართველების უმეტესობას ადგილობრივი მმართველობის ყველა სფეროდან აძევებდნენ, მათ ნაცვლად კი იმ რუს ჩინოვნიკებს ნიშნავდნენ, რომელთაც „საქართველოსთან არავითარი საერთო არ ჰქონდათ, აქ მხოლოდ ბედნიერებისა და ჩინების ხელში მოსაგდებად“ იყვნენ ჩამოსულნი და „ყოველგვარი უფლებით აღჭურვილნი, თავიანთი სურვილისამებრ ექცეოდნენ „არარუსებსა“ და „ადგილობრივებს“ (ქართული მწერლობა, 2004: 420).

მართალია, რუსული კოლონიური პოლიტიკის ალ. სუმბათაშვილისეულ დახასიათებაში ახალი და უჩვეულო არაფერია, მაგრამ ამ და მსგავსი მაგალითების დამოწმება ამჯერად იმიტომაც მიმაჩნია აუცილებლად, რომ ამგვარ შეფასებებს რუსეთში მცხოვრები და რუსული კულტურის სისხლხორცეულ ნაწილად ქცეული ადამიანი აკეთებს და არა საქართველოს მკვიდრი ის კაცი, რომელსაც პირადადაც ექნებოდა ნაწვნევი ამ პოლიტიკის საშინელებანი.

და მაინც, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ალ. სუმბათაშვილი იმაშიც ღრმად და დაუეჭვებლად იყო დარწმუნებული, რუსეთთან შეერთებამ ქართველ ხალხს ბევრი სიკეთეც რომ მოუტანა. მართალია, რუსული მმართველობის დამყარებამ ჩვენს ქვეყანას მრავალი ჭირი და უბედურება დაატეხა თავს, მაგრამ, ალ. სუმბათაშვილის მტკიცებით, ამ ნაბიჯის გადადგმა საქართველოსთვის მაინც თუნდაც იმიტომაც წარმოადგენდა დადებით მოვლენას, რომ „რუსეთმა მის ცხოვრებაში უფრო დახვეწილი წარმოდგენა შემოიტანა კანონსა და სამართალზე, აზიარა საქართველო ევროპული კულტურისა და განათლების უფრო მაღალ დონესა და საფეხურს, ვიდრე მისთვის რუსეთთან შეერთებამდე იყო მისაწვდომი“ (ქართული მწერლობა, 2004: 541).

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეუქმნას იმ სიკეთეებზე, რუსული მმართველობის დამკვიდრებამ რომ მოუტანა ჩვენს ქვეყანას, ალ. სუმბათაშვილი კონკრეტულადაც უდარებს ერთმანეთს საქართველოს ძველ და ახალ ცხოვრებას. კერძოდ, „თუ ძველ საქართველოში გარდა სავახშო კრედიტისა, სხვა არავითარი კრედიტი არ არსებობდა, ახალ საქართველოში ბანკები და უწყებები ჩამოყალიბდა; თუ ძველში სრული უგზოობა იყო, ახალში ჯერ გზატკეცილები და შემდეგ რკინიგზებიც გაიყვანეს... მაშასადამე, ყოველივე უწინდელსა და რუსეთისაგან ნაბოძებ ახალს შორის მთელი უფსკრული იდო. ოფიციალურმა რუსეთმა საქართველოს შეუქმნა ცივილიზებული ქვეყნების საერთო ცხოვრების ყველა ის პირობა, რაც შესაძლებლად მიაჩნდა, ანდა საზოგადოებრივი პროგრესის ზეწოლით იძულებული იყო, ყველა მისი ქვეშევრდომი სახელმწიფოსთვის შეექმნა“ (ქართული მწერლობა, 2004: 541).

მართალია, რუსეთთან შეერთების შემდეგ ქართველ ხალხს ადრინდელთან შედარებით ნამდვილად მიეცა ევროპულ სამყაროსთან უფრო მეტად დაახლოების შესაძლებლობა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამ სამყაროს ჩვენი ერის საუკეთესო შვილები არც მანამდე ყოფილან მოწყვეტილნი. ამასთან, მხედველობიდან არც ის გარემოება უნდა გამოგვრჩეს, რუსული მმართველობის პერიოდში ჩვენი ქვეყნის მიერ მოპოვებული წარმატებები მხოლოდ და მხოლოდ ამ მმართველობის შედეგს რომ არ წარმოადგენდა და საქართველოს ცხოვრება არც ურუსეთოდ დარჩებოდა ერთსა და იმავე ადგილზე გაყინული.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული ფაქტის მხოლოდ უარყოფითად შეფასება აშკარად შეცდომაა და ამ მოვლენამ ქართველი ხალხის ცხოვრებაში დადებითი როლიც ნამდვილად შეასრულა, ამ როლს ალ. სუმბათაშვილი დროდადრო თვალშისაცემად გაზვიადებულადაც წარმოაჩენს ხოლმე. მაგალითად: „გარკვევით და დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ურუსეთოდ საქართველოს შინა კულტურის დონე ევროპულ შეფერილობას იმ მეასედითაც ვერ მიიღებდა, რასაც ახლა ვხედავთ; რომ იგი მის გარშემო რკალად შემორტყმული აზიური ქვეყნებისა და ხალხების დონეზე მაღლა ვერ დადგებოდა; და რომ რუსული სამთავრობო ხელისუფლება, მიუხედავად ყველა მისი უარყოფითი მხარისა, მაინც საქართველოსთვის ცივილიზაციის საწყი-

სების ერთადერთ მეგზურად გვევლინება“ (ქართული მწერლობა, 2004: 542).

განსახილველ ნარკვევში მწერალი იმის თაობაზეც ამახვილებდა ყურადღებას, რამდენად რეალურად შეიძლებოდა დახმარებოდა ევროპა ჩვენს ქვეყანას სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის შენარჩუნების საქმეში. ალ. სუმბათაშვილის აზრით, ეს გზა მხოლოდ „აუხდენელი ფიქრისა და ნატვრის ნაყოფს“ წარმოადგენდა, რადგანაც ამგვარ თანადგომას ევროპა არა თუ საქართველოს მიმართ არ გამოავლენდა რეალურად, არამედ იგი მასთან გაცილებით უფრო ახლოს მდგომ პოლონეთსაც კი არ ეხმარებოდა აქტიურად. ასე რომ, „საქართველოსთვის, რომელზეც ევროპას ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, მის იმედად ყოფნა სასაცილო იყო“ (ქართული მწერლობა, 2004: 426).

სამწუხაროდ, როგორც საქართველოსა და ევროპის მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია ადასტურებს, ალ. სუმბათაშვილის ამგვარი სკეპტიციზმი რეალურად არსებულ სინამდვილეს წარმოადგენს და ევროპული ქვეყნების პრაქტიკული თანადგომა საქართველოსადმი სიტყვიერი მხარდაჭერის ფარგლებს იშვიათად თუ გასცილებია. ამაში ბოლოდროინდელი მოვლენებიც თვალნათლივ გვარწმუნებენ, როცა ევროპელ სახელმწიფო ლიდერთა და პოლიტიკოსთა პროტესტი რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის გამო უმეტესწილად სიტყვიერი ფორმით გამოხატული შეშფოთებებით შემოიფარგლება ხოლმე.

ალ. სუმბათაშვილის პუბლიცისტურ ნარკვევში იმ დიდმნიშვნელოვანი როლის წარმოჩენასაც აქვს განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული, რომელიც ქართველებმა შეასრულეს რუსეთის ისტორიაში. მწერლის ხაზგასმით, „მიუხედავად იმისა, რომ ქართველები რიცხობრივად რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომთა დაახლოებით ერთ მეოთხმოცედს შეადგენდნენ, საერთო-რუსული ინტელიგენციის საზოგადოებრივ, სალიტერატურო, სამეცნიერო, სამხატვრო, პროფესიულ თუ სხვა სფეროებში მოღვაწე ქართველთა პროცენტული შეფარდება ბევრად აღემატებოდა ყოფილი იმპერიის მთელი მოსახლეობის ერთ მეოთხმოცედს“ (ქართული მწერლობა, 2004: 429).

1914-1917 წლების პირველ მსოფლიო ომში რუსულ ჯარში მყოფი ქართველების რაოდენობრივი სიმრავლისა და გმირობის ხაზგასმით ალ. სუმბათაშვილი მკითხველს იქვე იმ ერთგულებაშიც

არწმუნებს არგუმენტირებულად, რასაც ჩვენი თანამემამულეები იჩენდნენ „რუსულ საომარ მოქმედებათა ყველა პერიპეტიაში.“ მწერალი ეროვნული სიამაყით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ იმ ურთულეს ვითარებაში, როცა რუსული არმიის უდიდესი ნაწილი დემორალიზებული და პარალიზებული იყო, „დეზერტირობას ჯარის ქართულ ელემენტში საერთოდ არ ჰქონია ადგილი“ (ქართული მწერლობა, 2004: 464).

მართალია, ალ. სუმბათაშვილი ქართველთა ამგვარ საქციელს მათი „უდრეკი მეომრული ფსიქიკით“ ხსნის, მაგრამ ობიექტურად სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, ნაცვლად იმისა, რომ უპატრონოდ მიტოვებული ოჯახებისა და სამშობლოს მისაშველებლად წამოსულიყვნენ და მათ დამცველებად ქცეულიყვნენ, რუსულ არმიაში მყოფი ქართველი მებრძოლები, მწერლის ინფორმაციით, დანგრევის პირას მისული იმპერიის გადასარჩენად წირავდნენ თავს. მეტი სიცხადისათვის გავიხსენოთ შესაბამისი ფრაგმენტი ნარკვევიდან.

ავტორის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ „სამშობლო მხარის საზღვრების დამცველი ჯარის სტიქიურად დაშლის გამო დღეს თუ არა ხვალ ბათუმსა და ახალციხეში, გორსა და თბილისში ქურთები და თურქები შეიჭრებოდნენ, შენს ქვეყანას დაარბევდნენ და შენს ცოლ-შვილს გააუპატიურებდნენ და ააწიოკებდნენ,“ რუსულ ჯარში მებრძოლი ქართველები, თვით რუსებისგან განსხვავებითაც კი, „მაინც ფეხმოუცვლელად იდგნენ ფსკერთან და კიევთან და იქიდან ფეხს არ იცვლიდნენ“ (ქართული მწერლობა, 2004: 464).

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, ალ. სუმბათაშვილს ჯარისკაცული მოვალეობისადმი ქართველი კაცის ამგვარი ერთგულება ჩვენს ეროვნულ ღირსებად მიაჩნია. მისი თქმით, „ყოველივე ამან, მართლაც, არ შეიძლება პატივისცემა არ გაგიღვივოს იმ ეროვნული თავისებურებებისადმი, რომელნიც, შესაძლოა, სასაცილო დონკიხოტობადაც კი მოეჩვენოს კაცს“.

სამწუხაროდ, ალ. სუმბათაშვილის მიერ ჩვენს ეროვნულ ღირსებად მიჩნეული ეს თვისება ეროვნული უპასუხისმგებლობისა თუ დეგრადირების რეალურ გამოვლინებად უფრო უნდა მივიჩნიოთ და ამგვარი ერთგულება და თავგანწირვა მხოლოდ მაშინაა გამართლებული, როცა ესოდენი თავგანწირვით შენი ქვეყნის დამპყრობ-დამმონებლის დასაცავად და გასაძლიერებლად კი არ იბრძვი, არამედ საკუთარ სამშობლოსთვის წირავ სიცოცხლეს. რაოდენ გულ-

სატკენიც არ უნდა იყოს, საქართველოს ისტორიიდან ცნობილ ასეთ გზაკვალარეულ ქართველთა რაოდენობა რუსული მმართველობის პერიოდში საკმაოდ გაიზარდა. გარდა იმისა, რომ ამ ადამიანთა ერთი ნაწილი ყველაფერ ამას ანგარებითა და კარიერისტული მისწრაფებებით აკეთებდა, მათ შორის მშობლიურ ეროვნულ ფესვებს თითქმის მთლიანად მოწყვეტილი და „ახალი სამშობლოს“ სამსახურში ჩამდგარი ნაქართველარებიც საკმაოდ იყვნენ.

მათგან აქ პირველ ყოვლისა რუსეთში გადასახლებულ ქართველ არისტოკრატთა ის წარმომადგენლები მინდა გავიხსენო, რომელთაც ეს ქვეყანა თავიანთ ახალ სამშობლოდ აღიარეს და მისთვის თავდადება სიცოცხლის უმთავრესი მიზანსწრაფვის საგნადაც კი აქციეს. ამ თვალსაზრისით მეტად დამაფიქრებელია ის სიტყვები, რომლებიც ბაგრატიონთა სამეფო გვარის ერთ-ერთ სახელგანთქმულ წარმომადგენელს – პეტრე ბაგრატიონს წარმოუთქვამს 1812 წელს, მოსკოვის დაცვის დროს, ნაპოლეონის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაჭრის შემდეგ: „მშვიდობით, ჩემო მეგობარო. მე ვეღარ მნახავ. ვკვდები არა ჭრილობისაგან, არამედ მოსკოვის დარდისაგან!“

რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენოს, ბაგრატიონთა გვარის ამ მამაც წარმომადგენელს, რომელმაც მთელი თავისი ძალა, ენერგია და მხედართმთავრული ნიჭი რუსეთის სახელმწიფოებრივი ძლიერების განმტკიცებას შეალია, დამოწმებული სიტყვები მშობელი ქვეყნის ტრაგიკულმა ბედმა კი არ წარმოათქმევინა, არამედ ახლად შეძენილი „დიდი სამშობლოს“ სიყვარულმა და მისთვის ერთგულების გრძნობამ.

იგივე უნდა ითქვას მეფე-პოეტ არჩილის მემკვიდრის – ალექსანდრე ბატონიშვილის შესახებაც. რუსეთის იმპერატორ პეტრე პირველის მიერ მისი არმიის გენერალ-ფელდცეიხმაისტერად დანიშნული ეს უმამაცესი არტილერისტი 1700 წელს ნარვასთან გამართულ ომში შვედებმა ტყვედ ჩაიგდეს. ერთ-ერთი ცნობის თანახმად, ალექსანდრეს განათვისუფლების სანაცვლოდ შვედებს ათი ტონა (კასრი) ოქრო მოუთხოვიათ. ამ მოთხოვნის პასუხად ქართველ უფლისწულს პეტრე პირველისათვის ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნია. „არა თუ სათქმელად, ფიქრადაც კი არ მომსვლია, რამე ზარალი მოუვიდეს სახელმწიფოს არა თუ ჩემი განთავისუფლებისა, არამედ იმათი განთავისუფლებისათვისაც კი, რომლებიც ჩემზე ათასკეცად მეტი არიან. ჩვენ ამისთვის ვართ მოწოდებულნი: ვითმინოთ და

მოვკვდეთ სახელმწიფოსა და მამულის ინტერესებისათვის" (ციტირებულია ვლ. ტატიშვილის წიგნიდან: ქართველები მოსკოვში, 1959: 215).

სამწუხაროდ, ბაგრატიონთა სამეფო გვარის ეს უნიჭიერესი წარმომადგენელი, რომლის ცხოვრების უმთავრეს მიზნად დამონებული სამშობლოს განთავისუფლებისა და აღორძინების გზათა ძიება უნდა ქცეულიყო, ჩვენი ქვეყნის ტრაგიკულმა ისტორიულმა ბედისწერამ იმდენად მოწყვიტა მშობლიურ ფესვებს, რომ იგი თავისი ცხოვრების უმთავრეს აზრად ახლად შეძენილი მამულის სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის სიკვდილს მიიჩნევდა და არა მტრების საჯიჯგნად მიტოვებული თავისი ნამდვილი სამშობლოსათვის თავგანწირვას.

როგორც უკვე ითქვა, ალ. სუმბათაშვილის სარეცენზიო პუბლიცისტური ნარკვევი 1918 წელს, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, დაიწერა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ისტორიულმა მოვლენამ რუსეთში მცხოვრები მწერალი მის სამშობლოს უკვე სახელმწიფოებრივადაც დააშორა და ფორმალურად იგი სხვა ქვეყნის მოქალაქეს წარმოადგენდა, ნარკვევის უმთავრეს პათოსსა და სულისკვეთებას ქართველი ხალხის მიერ მიღებული ამ გადაწყვეტილების მართებულობისთვის აშკარა და დაუეჭვებელი მხარდაჭერა განსაზღვრავს.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობიდან მოშველიებულ არგუმენტებზე დაყრდნობითა და თავად რუსეთის იმპერიაში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, რასაც შედეგად ამ იმპერიის რღვევა მოჰყვა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ალ. სუმბათაშვილს აუცილებელ მოვლენად მიაჩნდა. მისი აზრით, „ჩვენი ქვეყნის ჩამოშორება ჯერაც ღონიერი, მაგრამ დაქუცმაცებული, სისხლიან შინაომებში ჩაბმულ ნაწილებად დაშლილი რუსეთისაგან **აუცილებელი იყო თავად საქართველოსათვის**" (ქართული მწერლობა, 2004: 536. ხაზგასმა ავტორისაა – ა. ნ.).

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ალ. სუმბათაშვილი სრულიად კანონზომიერ და ისტორიული აუცილებლობით განპირობებულ ფაქტად რომ მიიჩნევდა, ამის დასტურად სარეცენზიო ნარკვევიდან სხვა ციტატებიც მრავლად შეგვიძლია დავიმოწმოთ. მაგალითად: „საქართველოს სრული უფლება და საფუძველი აქვს, იყოს დამოუკიდებელი და ნეიტრალური" (ქართული მწერლობა, 2004: 547). ან კიდევ: „რა ძალებმაც უნდა გა-

იმარჯვოს მსოფლიოს ბედ-იღბლის გადამწყვეტ მოახლოებულ ხალხთა კონგრესში, რა კუთხითაც უნდა გააშუქონ ნაციონალური უფლების საკითხი, საქართველოს სრული საფუძველი აქვს, თავისი სრული დამოუკიდებლობა დაჟინებით დაიცვას“ (ქართული მწერლობა, 2004: 552).

თუმცა, მწერლის აზრით, საქართველოს ცალკე, დამოუკიდებელ, სახელმწიფოდ არსებობა რუსეთისაგან მის სრულად ჩამოშორებას სულაც არ ნიშნავდა. ალ. სუმბათაშვილის პუბლიცისტურ ნარკვევში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ ცალკე სახელმწიფოდ არსებობის მიუხედავად, საქართველო არა თუ საბოლოოდ ჩამოშორდებოდა რუსეთს და მასთან ყოველგვარ კავშირს გაწყვეტდა, არამედ „უფრო მეტადაც დაუახლოვდებოდა მას, როგორც მოკავშირეს“ (ქართული მწერლობა, 2004: 552). მართალია, სარეცენზიო ნარკვევში ამ დაახლოების კონკრეტულ ფორმებსა და სახეებზე არაფერია ნათქვამი, მაგრამ მწერალი არაერთგზის აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ეს ამბავი გარდაუვალ მოვლენას წარმოადგენდა და „რუსეთთან უმჭიდროეს ურთიერთობას საქართველო ვერ ასცდებოდა.“ მისი აზრით, ამ გარემოებას არსებითად განაპირობებდა ის ვითარება, რომ მათ შორის „მეტისმეტად ბევრი ცხოვრებისეული ძაფი იყო გაბმული, მატერიალურიცა და სულიერიც“ (ქართული მწერლობა, 2004: 545).

ქართველი ხალხის დაუცხრომელ სწრაფვას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობისაკენ ალ. სუმბათაშვილი ჩვენი ქვეყნის ისტორიით მყარად განპირობებულ იმ მოვლენად მიიჩნევდა, რისთვისაც ჩვენს ხალხს საუკუნეების განმავლობაში უამრავი სისხლი დაუღვრია. ასე რომ, მწერლის შეფასებით, 1918 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ფაქტი არა მარტო იმჟამინდელი ვითარებით იყო განპირობებული, არამედ ჩვენი ისტორიის ლოგიკურ შედეგსაც წარმოადგენდა.

მისი აზრით, ქართველი ხალხის მიერ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე უარის თქმა ფაქტობრივად ყოველივე იმის ნებაყოფლობით უარყოფას ნიშნავდა, „რითაც და რისთვისაც იგი ცხოვრობდა უხსოვარი დროიდან მოყოლებული, რაც თავი ახსოვდა... არც მეფეს, არც ელჩებს, არც ხალხს მთლიანად – არავის მთელ საქართველოში – არ შეეძლო დაეთმო ის, რასაც საქართველოს არსებობის მთელ მანძილზე ამ „პატარა ქვეყნისთვის“ უთვალავჯერ მიუცია ძალა“ (ქართული მწერლობა, 2004: 527-528).

ზემოთ უკვე ითქვა და ამჯერადაც მინდა აღვნიშნო, რომ დამოწმებულ მოსაზრებებს, რომლებშიც პრინციპულად ახალი არაფერია ნათქვამი, ესოდენი ყურადღების საგნად მხოლოდ ორი გარემოების გათვალისწინებით ვაქცევ: პირველი, იმიტომ, ამ შეხედულებების ავტორი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში რუსეთში მცხოვრები და მშობლიურ ქართულ გარემოს მოწყვეტილი ჩვენი თვისტომი იყო და მეორეც, იმიტომ, რომ იმჟამად საქართველოშიცა და, საერთოდ, მთელი რუსეთის იმპერიაშიც არსებულ და ფართოდ პოპულარულ სოციალისტურ პარტიათა ბევრი ქართველი ლიდერიცა და რიგითი წარმომადგენელიც პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის იმპერიის დაშლასა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას.

როგორც ალექსანდრე სუმბათაშვილის მოღვაწეობისა და შემოქმედების წინამდებარე განხილვამაც ცხადყო, მკაფიოდ გამოხატული თავისი ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსით მშობლიურ ქართულ გარემოს მოწყვეტილი ხელოვანი სიცოცხლის ბოლომდე დარჩა საკუთარი სამშობლოს დიდ პატრიოტად და ჩვენი ქვეყნის სახელოვან შვილთა მამულიშვილური იდეალების ერთგულ პიროვნებად.

დავით კლდიაშვილი

რაგინდ უცნაურადაც არ უნდა გვეჩვენოს, თავისი დროის საჭირბოროტო ეროვნული პრობლემების მოსაგვარებლად აქტიურად მებრძოლი ისეთი დიდი მწერლისა და მამულიშვილის შემოქმედებაში, როგორიც დავით კლდიაშვილია (1862-1931 წწ.), აღნიშნული მოვლენის მხატვრული წარმოსახვა თითქმის მთლიანად დარჩა ყურადღების მიღმა და ამ თვალსაზრისით ერთადერთ გამონაკლისად მხოლოდ მისი მხატვრულ-დოკუმენტური წიგნი - „ჩემი ცხოვრების გზაზე“ იქცა. ხსენებული ნაწარმოებით მწერალმა ღრმად შთამბეჭდავი ფორმით წარმოაჩინა თავისი ეროვნული თვალთახედვა.

ეროვნული პრობლემებისადმი მწერლის მემუარებში გამოვლენილი ამგვარი ინტერესი შემთხვევით მოვლენას რომ არ წარმოადგენდა და მათ მოსაგვარებლად იგი პრაქტიკულადაც იღვწოდა ძალზე აქტიურად, ამის დასტურად გავიხსენებ ნაკლებად ცნობილ რამდენიმე ეპიზოდს პირველ მსოფლიო ომში დავით კლდიაშვილის მონაწილეობიდან.

როგორც ცნობილია, ხსენებული ომის დროს რუსეთსა და ოსმალეთს შორის აქტიური საომარი ოპერაციები სამხრეთ კავკასიაშიც, მათ შორის, ქართულ რეგიონებშიც, მიმდინარეობდა. 1914-1917 წლებში ამ ბატალიებში დავით კლდიაშვილიც იღებდა მონაწილეობას - თავდაპირველად ბორჩხა-ართვინის მიდამოებში, შემდეგ კი ისტორიულ ლაზეთში, კერძოდ, ხოფასა და მის მიმდებარე სოფლებში. აღნიშნულ მოვლენას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის ფაქტი სძენდა, რომ ამ პერიოდში იგი ახლო მეგობრული ურთიერთობით იყო დაკავშირებული იქ მცხოვრებ ჩვენს მუსლიმ თანამემამულეებთან და საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი ის უმძიმესი მდგომარეობა, რომელიც ომის შედეგად იყო შექმნილი ხსენებულ რეგიონებში.

მაგალითად, ბათუმიდან ართვინისკენ მიმავალ დავითსა და მის რაზმელებს ბორჩხაში, სადაც რუსეთის სამხედრო შტაბი იყო განთავსებული, ასეთი ვითარება დახვედრიათ: „მტერი ძლიერ შორს იყო, მაგრამ გენერალი (ავტორს მხედველობაში ჰყავს ბორჩხაში დისლოცირებული რუსეთის ჯარების უფროსი, გენერალი მილერი, რომელსაც იგი სამხედრო საქმის არსში სრულიად გაურკვეველ

პიროვნებად მიიჩნევს - ა. ნ.) ისე იქაჩებოდა, თითქოს გაცხარებულ ბრძოლაში ყოფილიყოს.

მან ზარბაზნებით ჩაიარა ბათუმიდან და გახიზნულ მცხოვრებთა მიტოვებულ სახლებს ამსხვრევდა და ანადგურებდა ყუმბარით. „ძლევამოსილმა“ ამ დაცარიელებულ მხარეში - მიაღწია ბორჩხას. ლიახოვს კი წარუდგინა ვრცელი მოხსენება თავისი მოქმედების შესახებ და ითხოვა, მისი გვარისათვის, როგორც ჯილდო, მიემატებინათ „ზაჩოროხსკი,“ მიეთვისებინა გვარად „მილერ-ზაჩოროხსკი,“ მსგავსად - პასკევიჩ-ერევანსკი... და ამგვარებისა. წმინდა მასხრობა იქნებოდა ასეთი თხოვნის დაკმაყოფილება და გენერალი მშრალზე დარჩა“ (კლდიაშვილი, 1961: 228).

დ. კლდიაშვილი ემოციური შთამბეჭდაობითა და უღრმესი ადამიანური თანაგრძნობით აღწერს იმ შემზარავ მდგომარეობას, რომლის თვითმხილველიც გახდა ის ომის შედეგად გაპარტახებულ ქართულ სოფლებში. მაგალითად: „საოცარ სანახაობას წარმოადგენდა ეს მხარე აჭარის წყლიდან დაწყებული. უკან დახევისას ოსმალებს თან გაერეკათ მცხოვრებნი და სრულიად დაეცარიელებინათ აქაური სოფლები. საზრელ სანახაობას წარმოადგენდნენ ეს ჩაყრუებული, ჩადუმებული, გადამწვარი სოფლები. შეიხედავდი დანგრევას და ცეცხლს გადარჩენილ სახლში: აყრილი იატაკი, მილეწილი კედლები, ყრია ძონძები, ტანისამოსის ნაფლეთები, ბევრგან დამტვრეული აკვნები, ეზოში კარებჩამოგლეჯილი ბეღლები, გარშემო მიბნეულ-მობნეული სიმინდის მარცვალი, ლობიო, იქვე თუთუნის საშრობები, გამოტანილი გასაშრობად თუთუნის ფოთლებით... არავითარი ჭაჭანება ადამიანის, ეგერ-აგერ ისმოდა მხოლოდ ძაღლის ღმუილი, გულის მომკვლელი. შეწუხებული ამ სანახაობით, უნებლიედ ეკითხებოდი შენს თავს: სადაა ეს ამოდენა გარეკილი ხალხი, სად ყრია“ (კლდიაშვილი, 1961: 228).

სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე ხსენებულ საომარ ოპერაციებში აქტიურ მონაწილეობას რუსულ სამხედრო შენაერთებში მყოფი ქართველი მებრძოლებიც იღებდნენ. კერძოდ, როგორც სტატისტიკური მონაცემებით დასტურდება, პირველ მსოფლიო ომში რუსეთის მხარეზე 300 ათასზე მეტი ქართველი იბრძოდა. ხსენებულ ომში ქართველთა ასეთი მასობრივი ჩაბმა იმ ფაქტმაც განაპირობა არსებითად, რომ ამ ომთან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიც იყო სისხლხორცეულად დაკავშირებული.

ყოველივე ზემოთქმულს ყურადღება ამჯერად ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოების გამოც უნდა მივაქციოთ: დაკავებული ტერიტორიებიდან უკან დახევის დროს ოსმალები დედაწულიანად ყრიდნენ და თან მიერეკებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, მათ სახლ-კარს კი ძარცვავდნენ, წვავდნენ და ანადგურებდნენ. თავის მხრივ, ადგილობრივ მცხოვრებთა ქონების მიტაცებისა და გაპარტახებისთვის ხელი არც რუს სამხედროებს დაუკლიათ. სწორედ ამ ვითარების შედეგს წარმოადგენდა ის გულსაკლავი სურათი, რომლის თვითმხილველიც გახდა დ. კლდიაშვილი ფრონტისპირა ქართულ რეგიონებში ყოფნის დროს.

მწერალმა ართვინში რამდენიმე თვე დაჰყო. შემდეგ, გენერალ მილერთან დაპირისპირების გამო, თვენახევრით ჯერ თბილისში გაამწეს, მერე კი ბათუმ-ტრაპიზონის სატრანსპორტო ხაზზე დანიშნეს კომენდანტად. დავითის ინფორმაციით, ადგილი, სადაც ის ახალი სამხედრო მოვალეობის შესასრულებლად დანიშნეს, ისტორიულად საქართველოს კუთვნილი, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში ოსმალეთის იმპერიის მიერ მისაკუთრებული ლაზეთის (იმავე ჭანეთის) ტერიტორიაზე მდებარეობდა.

კერძოდ, წელიწადნახევრის განმავლობაში მწერალს ყოფნა მოუწია ჩვენებურებით, ძირითადად ლაზებით, დასახლებულ ისეთ სოფლებში, როგორებიცაა: პირონიტი, სარფი, მაკრიალი, ხოფა, ორთახოფა, აბუისლა, ფალარგეთი, ლიმანა და სხვა. სამსახურებრივი მოვალეობის აღსრულების დროს მას ასევე ხშირად უწევდა ჩასვლა ქალაქ რიზეშიც. საომარ ოპერაციებში რუსეთის მიერ მოპოვებულ წარმატებათა შედეგად ხსენებულ რეგიონში იმხანად უკვე რუსული მმართველობა იყო დამყარებული.

1919 წელს გამოცემულ თავის წიგნში - „საქართველოს საზღვრები“ ივანე ჯავახიშვილი წერდა: ძველი დროისგან განსხვავებით, როცა საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მცხოვრები ლაზური მოსახლეობა „ტრაპიზონსაც სცილდებოდა და თვით ეს ქალაქი და ოლქიც მათ ქვეყანას ეკუთვნოდა, ამჟამად ლაზური ანუ ჭანური მოსახლეობა მხოლოდ რიზეს სანჯაყით განისაზღვრება, რომელსაც ლაზისტანის სანჯაყსაც უწოდებენ. მაგრამ ეს მიწა-წყალიც ორ მთავარ ნაწილად უნდა გაიყოს: რიზესა და ათინას (ახლანდელი ფაზარი. მდებარეობს თურქეთში, შავი ზღვის ნაპირას, ხოფასა და რიზეს შორის - ა. ნ.) ოლქებად. პირველში ხალხს დედაენა უკვე დავიწყებული აქვს და თურქული შეუთვისებია, მეორეში

კი მცხოვრებთა დედაენა ჭანური ანუ ლაზურია. ეს ათინას ოლქი საკუთრივ ათინისა და ხოფას ყაზებისაგან შედგება...

ლაზთა (ჭანთა) რაოდენობის შესახებ ზედმიწევნით ცნობები იმ გვარადვე, როგორც ოსმალეთში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა შესახებ, არ მოიპოვება. რუსეთის გენერ. შტაბის საიდუმლო გამოცემაში გენ. ავერიანოვს ლაზების რაოდენობა 200 000-ად აქვს აღრიცხული. როდესაც რუსეთის ჯარმა ლაზისტანი დაიჭირა, მცხოვრებთა უმრავლესობამ ოსმალთა ჯართან ერთად უკან დაიხია და ადგილობრივ მხოლოდ 35 000 ლაზიღა იყო დარჩენილი. უდროვოდ განსვენებული პროფეს. იოს. ყიფშიძის მიერ ადგილობრივ შეკრებილ ცნობების მიხედვით, ათინას ოლქში მკვიდრ ლაზთა რაოდენობა თუ მეტი არა, 80 000-მდე მაინც უნდა ყოფილიყო“ (ჯავახიშვილი, 1996: 41).

ხოფას, პირონიტისა და დ. კლდიაშვილის მიერ მოხსენიებული სხვა ლაზური სოფლების შესახებ მეტად საინტერესო ცნობები პირველად გიორგი ყაზბეგმა (1839-1921 წწ.) მოგვაწოდა. მან, როგორც გრენადერთა დივიზიის უფროსმა ადიუტანტმა, რუსეთის სამხედრო სარდლობის დავალებით, 1874 წელს კონსპირაციულად იმოგზაურა იმხანად ოსმალეთის სახელმწიფოებრივ შემადგენლობაში შემავალ ტაო-კლარჯეთში, შავშეთსა და ლაზეთში და ამ მოგზაურობის შთაბეჭდილებანი მეტად საინტერესოდ მოგვითხრო 1875 წელს გამოცემულ თავის წიგნში „სამი თვე თურქეთის საქართველოში.“

გ. ყაზბეგის აღწერით, მისი იქ ყოფნის დროს სოფელ პირონიტში, რომელიც ამავე სახელწოდების მქონე მდინარის ხეობაში შეყუჟულ მთიან სოფელს წარმოადგენდა, 40 კომლი ცხოვრობდა. პირონიტსა და მის მიმდებარე სხვა ლაზურ სოფლებში „ყველა სახლი ისეა მწვანეში ჩაფლული, რომ ერთი შენობიდან მეორეს ვერ დაინახავ. სახლიდან სახლამდე, ძირითადად მდინარეთა გასწვრივ, ვიწრო ბილიკები მიიკლაკნება. ყოველ სახლს აქვს თავისი კარ-მიდამო, რომელიც შედგება ბაღისა და მცირე სახნავი მიწისაგან... პირონიტში ჩვენ ღამე გავათიეთ ლაზ სოვდაგართან, რომელიც დიდხანს ვაჭრობდა გურიაში. ცხენების მოლოდინში ჩვენ დავათვალიერეთ გარეუბნები, სოფლები, პირონიტისა და კისეს (სოფლის სახელია - ა. ნ.) გამყოფ კლდოვან კონცხზე აშენებული ეკლესიის ნანგრევები. ეკლესია არაა დიდი. იგი დაფარულია სუროს სქელი ფენით. წარწერები არა აქვს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ პირონიტის ეკლესია, ძვე-

ლი შენობებით ძალზე ღარიბ ლაზეთში, ქრისტიანობის საუკეთესო ძეგლია“ (ყაზბეგი, 1995: 127).

გ. ყაზბეგის ინფორმაციით, „ქართველური განშტოების“ ტომად სახელდებულ ლაზთა გარკვეულმა ნაწილმა არა მარტო ქართული ენაც იცოდა საკმაოდ კარგად, არამედ „საქართველოს თავის მამულადაც თვლიდა“ (ყაზბეგი, 1995: 152).

რაც შეეხება დ. კლდიაშვილს, მან უაღრესად საინტერესო შტრიხებით წარმოაჩინა პირველი მსოფლიო ომის დროინდელ ლაზურ სოფლებში არსებული მდგომარეობა და იქ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ეროვნული ცნობიერება. მწერლის გადმოცემით, პირონიტში, სადაც მისი კომენდატურა იყო განთავსებული, იგი ცხენით გამგზავრებულა. „გადავიარეთ დანგრეული, მიყრუებული სოფელი სარფა, მაკრიალი, ლიმანა; გადავცილდით ჩვენს საზღვარს, ჩავედით მშვენიერ სოფელ აბუისლაში, რომელშიც აქა-იქ თავის ადგილს შერჩენილიყვნენ მცხოვრებლები. გავიარეთ ორთა ხოფა, ხოფა, სადაც ნაკლები ნგრევა ემჩნეოდა. მცხოვრებნიც, ეტყობოდა, ისე არ გარეკილიყვნენ თავიანთ საცხოვრებლიდან, როგორც ეს წინა სოფლებში იყო. ხოფაში - ბლომად დუქნები სხვადასხვა სავაჭროებით. ეს საბაზრო დაბაა იმ არემარეში“ (კლდიაშვილი, 1961: 232).

თავის მემუარებში მწერალი ზაქარია ჭიჭინაძის მიერ ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულ იმ ცნობასაც იხსენებს, რომლის მიხედვითაც სოფელ აბუისლაში მცხოვრებ ლაზებს მათი თანასოფლელის - ჰასან ჰუსეინ აშივ-ოღლის თავკაცობით ქართული სკოლის გახსნაც ჰქონიათ განზრახული.

ამ მოვლენით დაინტერესებულ დავითს ნაცნობი ლაზების დახმარებით ჰუსეინ აშივ-ოღლი მოუძიებია და პირადად შეხვედრია. აი, როგორ აღწერს თავად მწერალი ამ შეხვედრის ამბავს: „შემოვიდა შუახნის, ლაზურად გამოწყობილი, მოკლე წვერით, სასიამოვნო სახის კაცი. ეს კაცი იყო ჰასან ჰუსეინ აშივ-ოღლი.

- დაბრძანდით! ქართული თუ იცით?

არ ცოდნია.

ბედად ჩემთან იმ დროს იყო მეგრულის მცოდნე პირი და თარჯიმნად დავაყენე. ჩემმა სტუმარმა მიამბო, რომ მართლადაც მათ, აბუისლელებმა, გადასწყვიტეს ქართული სკოლის გახსნა, ქართულის სწავლა, რადგან ქართველები ვართო, ვიცითო. შეუგროვებიათ შვიდასი მანეთი და სტამბოლში გაუგზავნიათ კაცი, რომ ნებართვა

აეღო სკოლის გასახსნელად; საქმე ახლა შეფერხდა, რადგან ომი ატყდაო და ამისთვის აღარავის სცალიაო“ (კლდიაშვილი, 1961: 232).

როგორც დ. კლდიაშვილის მონათხრობიდან თვალნათლივ ჩანს, ისტორიული სამშობლოსაგან მრავალსაუკუნოვანი მოწყვეტის მიუხედავად, იმდროინდელ ლაზებს, გარდა მშობლიური ლაზურისა, ქართული ენაც საკმაოდ კარგად სცოდნიათ. კერძოდ, აი, რას წერს მწერალი ამასთან დაკავშირებით: „ქართული აქ საკმაოდ გავრცელებულია; შეხვდებით ქართული ენის ისეთ მცოდნეს, რომ პირდაპირ გაოცდებით. ჩემი ბინის მახლობლად ცხოვრობდა მოხუცებული ვინმე მუსტაფა ბექირ-ოღლი; იგი ამბობდა, რომ ნამდვილი მისი გვარი ბექირ-ოღლი კი არ არის, - ჩხეიძეაო. მუსტაფა ისეთნაირად ლაპარაკობდა ქართულს, ისეთი ლამაზი გამოთქმით, რომ ხშირად განგებ ავალაპარაკებდით, რომ მისი მშვენიერი ქართული მოგვესმინა“ (კლდიაშვილი, 1961: 233).

ლაზების მიერ ქართული ენის ცოდნის განმაპირობებელ ერთერთ მთავარ ფაქტორად დ. კლდიაშვილი იმ კავშირ-ურთიერთობას მიიჩნევდა, რომელიც მათ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან ჰქონდათ დამყარებული. მწერლის ინფორმაციით, ერთერთი მათგანი ყოფილა სოფელ ფალარგეთის მკვიდრი ჰასან დაირ-ოღლი, რომლის „ქართული ლაპარაკი გასაოცარი რამ იყო - ეს ნამდვილი მუსიკა იყო... იგი ნამყოფი იყო გურიაში... საზოგადოდ, აქაურებმა კარგად იციან ქართული, რადგან ხშირი მისვლა-მოსვლა აქვთ დასავლეთ საქართველოში როგორც მოვაჭრეებს, დურგლებს, მეფურნეებს. ენა მათი იგივე მეგრულია“ (კლდიაშვილი, 1961: 233).

ლაზეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების შესახებ მწერლის მიერ მოწოდებული ეს ინფორმაცია უაღრესად მნიშვნელოვანი იმ თვალსაზრისითაცაა, რომ მას ხსენებულ რეგიონში ხანმოკლე დროით ნამყოფი კაცი კი არ გვაწვდის, არამედ აღნიშნული მოვლენით ძალზე დაინტერესებული ის მამულიშვილი, რომელმაც იქ წელიწადნახევარი იცხოვრა. სამწუხაროდ, პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ კვლავაც თურქეთის შემადგენლობაში დარჩენილ ამ მხარეში ენობრივი თვალსაზრისით დღესდღეობით არსებითად განსხვავებული მდგომარეობაა და იქ მცხოვრები ლაზების უდიდეს ნაწილს არა თუ ქართული ენა აქვს დავიწყებული, არამედ მშობლიური ლაზურიც.

პირველი მსოფლიო ომის დროინდელ ლაზურ სოფლებში არსებული მდგომარეობის შესახებ საუბრის დროს აქ რამდენიმე სიტყვა

იმხანად იქ წითელი ჯვრის საზოგადოებაში სამუშაოდ წარგზავნილი ივანე არჯევანიძის მოგონების იმ ნაწილზეც მინდა ვთქვა, რომელშიც ისტორიული საქართველოს ამ რეგიონის მცხოვრებთა შესახებაა მოთხრობილი. ი. არჯევანიძის ცნობით, „პირონიტის მოსახლეობა უმეტესად ლაზებისგან შედგებოდა, შიგადაშიგ აჭარლებიც ცხოვრობდნენ; ამ უკანასკნელების ჩამოსახლება პირონიტში და საერთოდ შავიზღვისპირა ლაზეთის დაბა-სოფლებში და ქალაქებში ბერლინის ტრაქტატის თანახმად რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წწ. ომის შემდეგ საზავო პირობების დამტკიცებასთან დაკავშირებით მომხდარა“ (არჯევანიძე, 2013: 39).

მსგავსად დ. კლდიაშვილისა და ლაზეთის ამ რეგიონში ნამყოფი სხვა ქართველი მწიგნობრებისა, ი. არჯევანიძეც ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ „სალაპარაკო ენა პირონიტში ძირითადად ლაზური იყო, ხშირად ქართულიც ისმოდა აჭარულ-გურული გამოთქმებით... იშვიათად, ბერძნული და თურქულიც გაისმოდა“ (არჯევანიძე, 2013: 39).

ლაზეთში სამსახურის პერიოდში დ. კლდიაშვილი არა მარტო თავად ეცნობოდა და უახლოვდებოდა იქ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს, არამედ ცდილობდა ამ მიზნით საქართველოდანაც მოეწვია სპეციალისტები. მაგალითად, აი, რას წერს იგი ამასთან დაკავშირებით: „ბათუმში ჩასვლისას მოველაპარაკე საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენლებს, რომ მოევლოთ ლაზისტანის სოფლები და საზოგადოების თბილისელმა მთავარმა გამგეობამ კიდეც გამოგზავნა კონსტანტინე კობახიძე იმ დავალებით, რომ მიეარმოეარა სოფლები და გამოერკვია მცხოვრებთა მიმართულება. კობახიძე ჩემთან ჩამოვიდა პირონიტში და აქედან მიდი-მოდიოდა სოფლებში. დიდად კმაყოფილი ბრუნდებოდა იგი ხოლმე და აღტაცებით ჰყვებოდა ლაზებთან ნალაპარაკევის შესახებ... კობახიძე უყვებოდა, თუ ვინ იყვნენ ლაზები, აცნობდა მათ ისტორიულ ცხოვრებას და ამგვარებს. ყველგან დიდ ინტერესს იწვევდა ეს გაცნობიერება ხალხში“ (კლდიაშვილი, 1961: 233).

მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს, როცა ეს ყველაფერი ხდებოდა, ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული და ხსენებული რეგიონი რუსულ სამხედრო შენაერთებს მხოლოდ ახალი დაკავებული ჰქონდა, ქართველ მწერალთა და მეცნიერთა ცალკეული წარმომადგენლები მაინც ახერხებდნენ ლაზურ სოფლებში ჩასვლას და იქ მცხოვრები ჩვენებურებისგან ეროვნული თვალსაზრისით მეტად

მნიშვნელოვანი მასალების მოპოვებასა და რეგიონში არსებული ქართული ისტორიული ძეგლების მოძიება-შესწავლას.

ერთ-ერთი მათგანი იყო ცნობილი მეცნიერი იოსებ ყიფშიძე (1882-1919 წწ.), რომელიც 1917 წლის 13 ივლისიდან 27 აგვისტომდე სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა ლაზურ სოფლებში იქაური ჩვენი თანამემამულეების ფოლკლორული ტექსტების, ისტორიული გადმოცემებისა და ეთნოგრაფიული ცნობების შემცველი მასალების შესაგროვებლად. აი, როგორ აღწერს მწერალი მასთან შეხვედრის ამბავს: „ერთხელ მაცნობეს, ვიღაც თქვენ გკითხულობსო; გამოვედი ოთახიდან; ჩემს წინ იოსებ ყიფშიძეა - მოგზაურის ტანისამოსში; ზურგზე პატარა ჩანთა, ხელში კოლოფი.

- იოსებ! - მივაძახე გაკვირვებულმა. - იოსებ, საიდან, რამ გადმოგაგდო აქ?!

იგი მოვიდა სოფელ ვიწედან ფეხით... მოგზაურობდა ლაზისტანში ჭანურ-მეგრულის შესწავლის მიზნით. მთხოვა, მომეხმო ადგილობრივი მცხოვრებნი, რომ მათგან ჩაეწერა ხალხური ლექსები, ზღაპრები და თხზულებანი“ (კლდიაშვილი, 1961: 233).

ი. ყიფშიძის მიერ ჩაწერილი ეს მასალები 1937 წელს, „საანგარიშო მოხსენების“ სახით, ჯერ „ენიმკის (ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის) მოამბის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა, 1939 წელს კი ცალკე წიგნადაც გამოიცა „ჭანური ტექსტების“ სახელწოდებით. ა. ჩიქობავას შეფასებით, ი. ყოფშიძის მიერ ჩაწერილი მასალების სამეცნიერო მნიშვნელობას არსებითად ზრდის ის ფაქტი, რომ მეცნიერს ისინი ლაზურის სამივე კილოკავზე ჩაუწერია - ათინურზეც, ვიწურ-არქაბულზეც (არხავულზეც) და ხოფურზეც (ყიფშიძე, 1939: XIII).

პირველ მსოფლიო ომში დ. კლდიაშვილის მონაწილეობისა და ხსენებული რეგიონების მოსახლეობასთან მწერლის დამოკიდებულების შესახებ ახალ მასალებს ვხვდებით მხარეთმცოდნე ივანე არჯევანიძის მოგონებაში - „დავით კლდიაშვილის ახლოს“ (1965 წ. თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთში მდებარე დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმში დაცული და ჩვენ მიერ მოძიებული ეს ხელნაწერი 2013 წელს ცალკე წიგნად გამოცა გამომცემლობა „არტანუჯმა). როგორც ივანე არჯევანიძის მონათხრობიდან ვგებულობთ, 1916-1918 წლებში აჭარაში, ართვინის ოკრუგსა და ლაზეთში გახსნილ წითელი ჯვრის ორგანიზაციებში მუშაობის დროს იგი სის-

ტემატურად ხვდებოდა მწერალს და მასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული.

ი. არჯევანიძის მოგონებისადმი ინტერესს არა მარტო ის ფაქტი განსაზღვრავს არსებითად, რომ მასში დ. კლდიაშვილის ფრონტული ცხოვრებიდან დღემდე ნაკლებად ცნობილი არაერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდია ნაამბობი, არამედ ისიც, რომ ავტორი პირველი მსოფლიო ომის დროინდელი აჭარის, ართვინის ოკრუგისა და ლაზეთის სოფლებში არსებულ უმძიმეს მდგომარეობასაც აღწერს საკმაოდ ვრცლად და დეტალურად.

მაგალითად, ავტორის ინფორმაციით, ართვინიდან ბათუმში მგზავრობის დროს მას გავლა უწევდა „გაძვალტყავებულ, დარბეულ, დაქცეულ და გადამწვარ სოფლებზე. საშინელი აწიოკებისა და გაჩანაგების დაღი აშკარად ემჩნეოდა ამ მხარეს. ბოროტი ადამიანების მოულოდნელმა თავდასხმამ უიარაღო, მშვიდობიან მშრომელ ხალხზე თავზარი დასცა დიდ-პატარიან ყველას“ (არჯევანიძე, 2013: 38). ან კიდევ: „შევუყევით თუ არა ჭოროხის ულამაზეს ხეობას, თვალი მოვკარი უკაცრიელ სოფლებს, აწიოკებულ, გადამწვარ სახლებს, გაცარიელებულ და დაობლებულ კარ-მიდამოებს. ამ სურათმა თავზარი დამცა. შუაზამთარში ამ მხარის სოფლების ოჯახების ბუხრებიდან ბოლი რომ არსად არ ამოდის, ეს რაღაც უსაშინლესი უბედურების ნიშანი უნდა იყოს, - ვფიქრობდი“ (არჯევანიძე, 2013: 42).

ი. არჯევანიძის ცნობით, მასთან საუბრისას დ. კლდიაშვილი თურმე ხშირად ამბობდა, რომ ჭოროხის ხეობისა და ლაზეთის ქართულ სოფლებში იმხანად არსებული უმძიმესი მდგომარეობა არა მარტო ომით იყო განპირობებული, არამედ იმ უგუნური პოლიტიკითაც, რასაც რუსეთის ხელისუფლების მიერ ამ მხარეში წარმოგზავნილი ჩინოვნიკები და სამხედროები აკეთებდნენ თავიანთი კარიერისტული ამბიციების დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, დავითის თქმით, „მართალია, შემოსეულმა მტერმა მურღულის ხეობის, ართვინის, ბორჩხასა და ზოგიერთ სხვა ადგილის მახლობლად, ააწიოკა ხალხი, ბევრი მამაკაცი და ახალგაზრდა დახოცა, ზოგიც, მისი სურვილის წინააღმდეგ, ოსმალეთში გადაასახლა, მაგრამ იმ სოფლების დანგრევა-დაწვა და დარბევა მანამდე მოხდა. ამ შემთხვევაში ომი მხოლოდ საბაბი იყო. ორმა „რაინდმა გენერალმა“ (ი. არჯევანიძის განმარტებით, იგულისხმებოდნენ აჭარის ცნობილი დამრბევი და ამ საქმის ინიციატორი ლიახოვი და მილერი) წარჩი-

ნება მოინდომა, ამიტომ აჭარლების ამბოხება გამოიგონეს და მთელ აჭარის უიარაღო დაბა-სოფლებს ცეცხლით და მახვილით ჩამოუარეს. არავინ არ დაზოგეს ამ შავრაზმელ-კაციჭამიებმა, არც ძუძუმწოვარა ბავშვი, არც მოხუცი დედაბერი, არც ფეხმძიმე ქალი, არც მოზარდები" (არჯევანიძე, 2013: 43).

ი. არჯევანიძის მოგონებაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული იმ მზრუნველი და ხაზგასმულად კეთილგანწყობითი დამოკიდებულების დამადასტურებელი ეპიზოდების მოთხრობას, რასაც მწერალი ხსენებული რეგიონებში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მიმართ იჩენდა. ი. არჯევანიძის ინფორმაციით, მასთან, როგორც „ადგილობრივ მოსახლეობაში - აჭარლებსა და ლაზებში უაღრესად სამართლიანი, უმწიკვლო და სუფთა ადამიანის" სახელის მქონე პიროვნებასთან, თურმე „ძალიან ბევრნი მოდიოდნენ სხვადასხვა საჩივრებით რუს ჯარისკაცების, ან რუს ოფიცერგენერლების მტაცებლურ-მარადიორული დამოკიდებულების შესახებ და სთხოვდნენ დავითს მფარველობას. დავითი ყოველთვის დიდი ყურადღებით მოუსმენდა ხოლმე მათ გასაჭირს და სადაც ძალა შესწევდა, ყოველთვის ეხმარებოდა, ან სწორ გზას უჩვენებდა" (არჯევანიძე, 2013: 43).

როგორც ითქვა, ლაზებისადმი ამგვარმა გულშემატკივრულმა და თანამდგომმა დამოკიდებულებამ დ. კლდიაშვილი თურმე მთელს ლაზეთშიც აქცია ერთ-ერთ უაღრესად პოპულარულ პიროვნებად. ამის დასტურად ი. არჯევანიძე ერთ ასეთ ამბავსაც იხსენებს: სოფელ ვიწეში ყოფნისას მას და მის თანმხლებ პირებს იქაური მამასახლისის თანაშემწე სულეიმან-ეფენდი გაუცვნიათ, რომელიც ქართულადაც შესანიშნავად საუბრობდა. ჩვენი ლიტერატურის, განსაკუთრებით კი „ვეფხისტყაოსნის," კარგად მცოდნე ამ კაცს, რომელმაც თურმე უღრმესი გულისტკივილით აღნიშნა, რომ ომის გამო აკაკის დაკრძალვას ვერ დაესწრო და პირადად ვერ მიაგო მის ხსოვნას პატივი, დ. კლდიაშვილისადმი ლაზების დამოკიდებულება ასე შეუფასებია: „ლაზები დავით ეფენდის, როგორც ჩვენ ქომაგს და დამცველს ბოროტ ადამიანებისაგან, დიდ პატივს სცემენ. მის მოთხრობებს ჩემს ოჯახში ყველა კითხულობს, მისი წიგნები ბევრსა აქვს ოჯახში... ნეტავი, ეს ომი მალე გათავდეს, რომ მოგვეცეს საშუალება ჩვენ დედა-სამშობლოს მივაკითხოთ და იქ დარჩენილი ჩემ ნათესავების ნახვას მომასწროს. მაშინ პატივცემულ

დავით ეფენდისაც ვნახავ და ჩვენი ლაზების სახელით მის მუხლებს ვეამბორები“ (არჯევანიძე, 2013: 63).

მიუხედავად იმისა, რომ დ. კლდიაშვილთან ი. არჯევანიძის პიროვნული ურთიერთობა ძირითადად ლაზეთის სოფლებსა და ბათუმში მათი შეხვედრებით შემოიფარგლა, მოგონების ავტორი ართვინის რეგიონში დავითის ყოფნისა და იქ მცხოვრებ ჩვენებურებთან მისი დამოკიდებულების შესახებაც გვაწვდის საგულისხმო ცნობებს. მაგალითად, პირონიტიდან ართვინის რეგიონში სამუშაოდ წარგზავნის წინ მწერალს ი. არჯევანიძისათვის ასეთი რჩევა მიუცია: „თქვენ დიდ ყურადღებას მიიპყრობს, ალბათ, ართვინი, ეს თავისებური ეგზოტიკური ქალაქი, მისი ისტორიული ძეგლები.“ იქაც და მის მახლობლად არსებულ სოფლებშიც „ბევრ ძველებურ ქართულ ძეგლებს შეხვდებით და როგორმე დრო გამონახეთ და ეს ძეგლები ახლო დაათვალიერეთ - მომავალში გამოგადგებათ. სასურველია, აიღოთ ნებართვა ბათუმში ფოტოაპარატით სარგებლობისათვის ამ ძეგლების გადასაღებად; ეცადეთ, სადაც კი ნახამთ ძეგლს ქართული ასომთავრული წარწერით - გადმოიწერეთ იგი“ (არჯევანიძე, 203: 52).

ჩვენი ქვეყნის ამ ისტორიული მხარისადმი ასეთი პატრიოტული დამოკიდებულება დ. კლდიაშვილს კიდევ უფრო განუმტკიცა ხსენებულ რეგიონში გატარებულმა რამდენიმე თვემ. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში მწერალი ძირითადად საომარ ოპერაციებში მონაწილეობით იყო დაკავებული, ის მაინც ახერხებდა იქ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან შეხვედრებს და უდიდესი ინტერესით ათვალიერებდა ჟამთა სიავეს გადარჩენილ ქართულ ისტორიულ ძეგლებს.

ი. არჯევანიძის არაერთგზისი აღნიშნვით, დ. კლდიაშვილს მასთან საუბრებში ხშირად გაუსვამს ხაზი იმ გარემოებისთვის, რომ „აჭარელი და ლაზი ჩვენი მონათესავო ხალხია - ქართველებია... ძალიან თავაზიანი, პატიოსანი, ზრდილობიანი ხალხია. მათ ფაქიზი და ლმობიერი მოპყრობა ესაჭიროებათ. ჩვენ, ქართველებმა, უნდა დავარწმუნოთ ისინი, რომ ჩვენს შორის სარწმუნოების განსხვავებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს - ქართველი მუსლიმანი და ქართველი ქრისტიანი ერთია - ქართველია.

მათ ოსმალებმა ჩააგონეს, რომ აჭარლები და ლაზები ქართველობას აღარ ეკუთვნიან და ასეთი უკუღმართი შეხედულება საჭიროა, რაც შეიძლება მალე გავუფანტოთ“.

დღევანდელი მკითხველისათვის კარგად ცნობილ ამ ჭეშმარიტებას ესოდენი ყურადღება აქ იმიტომაც უნდა მივაქციოთ, რომ დედასამშობლოს საუკუნეების განმავლობაში მოწყვეტილ ზემოთ ხსენებულ რეგიონებში მცხოვრები ჩვენი გამუსლიმანებული თანამემამულეების უმეტესობას ამ ჭეშმარიტების არსი იმხანად ჯერ კიდევ არ ჰქონდა სიღრმისეულად გაცნობიერებული, რის გამოც მათი არც თუ მცირე ნაწილი თავს ქართველად აღარ თვლიდა და მშობლიურ მიწაზე ცხოვრებას ოსმალეთში გადახვეწას არჩევდა.

პირონიტში დ. კლდიაშვილი 1917 წლის გაზაფხულამდე დარჩა, შემდეგ კი უკან გაიწვიეს. მწერლის გაწვევის მიზეზი მასა და იქაურ სამხედრო ხელმძღვანელობას შორის წარმოქმნილი კონფლიქტი იყო. ლაზებისადმი აქტიური მხარდაჭერის გამო სამხედრო ხელმძღვანელობამ მწერალი პასუხისგებაში მისცა და რომ არა თებერვლის რევოლუცია, რომლის გამარჯვებასაც შედეგად რუსეთის მონარქიული რეჟიმის დამხობა მოჰყვა, დ. კლდიაშვილი სამხედრო ტრიბუნალს ვერ გადაურჩებოდა.

ამ ამბის შესახებ მწერლის მემუარებში, ფაქტობრივად, არაფერია ნათქვამი გარდა იმისა, რომ ის უდიდეს გულისწყრომას გამოხატავს ბათუმ-ტრაპიზონს შორის სარკინიგზო ხაზის მშენებლობასთან დაკავშირებით. დ. კლდიაშვილის მიერ „ბრიყვულ საქმედ“ შეფასებული ამ პროექტის ავტორი იყო ჩრდილოეთ რუსეთიდან კავკასიაში ახლად გადმოყვანილი სამხედრო ინჟინერი, პოლკოვნიკი ვერდერევსკი, რომელიც ხელისუფლების განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობდა. მწერლის აზრით, ნაჩქარევად და ყოველგვარი წინასწარი განხილვის გარეშე დამტკიცებული ეს პროექტი ბათუმსა და ტრაპიზონს შორის არსებული მეტად რთული რელიეფის გამო ვერავითარ შემთხვევაში ვერ განხორციელდებოდა.

დ. კლდიაშვილსა და ვერდერევსკის შორის წარმოქმნილი კონფლიქტის შესახებ ახალ, დამატებით ინფორმაციას გვაწვდის ი. არჯევანიძე. კერძოდ, აი, რა უამბნია მისთვის იმხანად მწერალთან ერთად პირონიტში მომუშავე ერთ-ერთ სამხედრო ექიმს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: სარკინიგზო ხაზის მშენებლობის დროს, ვერდერევსკი თურმე პირონიტში „ლაზების მიერ სამღვთოდ მიჩნეულ და საფუტკრედ დანიშნულ, მშვენივრად გაშლილ, ათასწლოვან ცაცხვებით შემკულ ქოჩორა ტყეს მიადგა და მისი გაკაფვა მოინდომა, მიუხედავად იმისა, რომ იგი წითელი ხაზის გარეშე იყო და სრულებით არ უშლიდა ტრასის გასაყვან სამუშაოებს... ამ ამბავს

საშინლად აუღელვებია და შეუწუხებია მოსახლეობა და მათ შორის ლაზები. უხუცესებს დავითისათვის მიუმართავთ და ტყის გადასარჩენად დახმარება უთხოვიათ.

დავითს მათი თხოვნა პირადად ვერდერევსკისათვის გადაუცია და თავის მხრივაც უთხოვია ტყის დატოვება, მით უფრო, რომ იგი არც გენერალური გეგმით იყო გათვალისწინებული გასაკაფად.

ვერდერევსკიმ უარი თქვა ლაზების თხოვნის დაკმაყოფილებაზე, მასთან, დავითისათვის უდიერი პასუხი მიუცია, რითაც შეურაცხყოფა მიუყენებია" (არჯევანიძე, 2013: 66).

ამ ამბავს დავითი იმდენად აუღელვებია, რომ მას ტყის დასაცავად ჯარისკაცები გაუგზავნია და უბრძანებია, ტყის გასაკაფად მისული მესანგრენი შიგ არ შეეშვათ. გაცოფებულ ვერდერევსკის იმავე დღეს „დაშიფრული სამხედრო დეპეშა გაუგზავნია გენერალ ლიახოვისთვის საჩივრით პოდპოლკოვნიკ დავით კლდიაშვილზე, რომ იგი სტრატეგიული გზის გაყვანაში ხელს სისტემატურად უშლის მესანგრეთა პოლკსო, რითაც სამუშაოები შეფერხდაო. ამის შემდეგ თითონაც წასულა თავის მეგობარ ლიახოვთან და კლდიაშვილის სასტიკი გასამართლება მოუთხოვია. გენერალ ლიახოვმა პოდპოლკოვნიკ დ. კლდიაშვილის მოქმედება თურმე მძიმე სამხედრო დანაშაულად სცნო და მაშინვე კლდიაშვილი პირონიტის ეტაპის კომენდანტობის თანამდებობიდან ჩამოუყენებია და ბათუმში გამოუძახია საველე სასამართლოს წესით გასასამართლებლად. ასეც მოხდებოდა, მაგრამ დავით სიმონის ძეს... ბედმა გაუღიმა: სწორედ იმ დღეებში თებერვლის რევოლუციამ მოუსწრო და დავით კლდიაშვილი სამხედრო-საველე გასამართლებას გადაურჩა, ხოლო შავრაზმელებ ლიახოვებს, ქურდბაცაცა ვერდერევსკებს და მათ მსგავსებს დიდი ტაროსი დაუდგათ; დავითის „საქმე" აღარ ახსოვდათ, ისინი უკვე დასამალი სოროების ძებნაში იყვნენ" (არჯევანიძე, 2013: 68).

რაც შეეხება ბათუმ-ტრაპიზონის სარკინიგზო ხაზს, უმძიმეს ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდნილმა დროებითმა მთავრობამ 1917 წლის 1 აპრილს თბილისში გამართულ სამხედრო და სამრეწველო წრეების წარმომადგენელთა თათბირზე გადაწყვიტა, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, ლაზეთის სანაპირო ზოლის ურთულეს მონაკვეთზე გასაყვანი ამ სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა „დაუყოვნებლივ შეჩერებულიყო" (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2008: 395).

როგორც ყოველივე ზემოთქმულიდანაც ნათლად ჩანს, დავით კლდიაშვილის საქვეყნო ღვაწლისა და დამსახურების შეფასების დროს მის ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან ერთად უყურადღებოდ არც ის აქტიური მამულიშვილური მოღვაწეობა უნდა დავტოვოთ, რასაც ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების დასაცავად და განსამტკიცებლად ეწეოდა მწერალი მთელი ცხოვრების განმავლობაში.

შიო არაგვისპირელი

ეროვნული პრობლემით შიო არაგვისპირელის (1867-1926 წწ.) განსაკუთრებულ დაინტერესებას საფუძველი ჯერ კიდევ მისი მოწაფეობის პერიოდში ჩაეყარა. იგი, როგორც თავისი ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტი, თბილისის სემინარიაში სწავლის დროიდანვე ჩაება ეროვნული ინტერესების დასაცავად იმხანად გამართულ ბრძოლაში. ვარშავის საბეითლო ინსტიტუტში სწავლის პერიოდში კი, 1893 წელს, მწერალმა არალეგალური პატრიოტული ორგანიზაციაც _ „საქართველოს განთავისუფლების ლიგა“ ჩამოაყალიბა თანამოაზრეებთან ერთად.

ვარშავაში იმხანად ქართველ სტუდენტთა საკმაო რაოდენობა სწავლობდა. ისინი ხსენებულ ორგანიზაციაში სისტემატურად მართავდნენ ფარულ შეხვედრებს და აქტიურად მსჯელობდნენ ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარებასთან და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებულ საჭირბოროტო საკითხებზე.

როგორც ცნობილია, პოლონეთში, რომელიც იმჟამად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დღითიდღე ძლიერდებოდა, რაც ქართველ სტუდენტთა პატრიოტული მისწრაფებების კიდევ უფრო მეტად გაძლიერებაზეც ახდენდა კეთილისმყოფელ ზეგავლენას.

„საქართველოს განთავისუფლების ლიგის“ არსებობა ჟანდარმერიას შეუმჩნეველი არ დარჩენია და 1894 წელს შიო და მისი თანამოაზრენი დააპატიმრეს. მწერალი თავდაპირველად ვარშავის ციხეში ჰყავდათ მოთავსებული, შემდეგ კი ქუთაისის ციხეში გადმოიყვანეს. აი, როგორ იგონებს ამ ფაქტს თავად შიო თავის „ავტობიოგრაფიაში:“ „ცხრა თვე ვიყავი მარტოობაში... მაშინ ბევრი ხელნაწერი წაიღეს. აუარებელი ჩონჩხი მქონდა. ყველა დამეკარგა. 1894 წელმა ჩანთქა 1880 წლიდან განზრახული და ჩონჩხად ჩამოსხმული მოთხრობები“ (ვარშავაში შ. არაგვისპირელის საქმიანობასთან დაკავშირებით უფრო ვრცლად იხ: ჩხეიძე, 2008: 111-120).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, არ შევცდებით, თუ ვივარაუდებთ, რომ მწერლის იმჟამინდელ შემოქმედებით საქმიანობაში ეროვნული პრობლემის წარმომჩენ ნაწარმოებთა შექმნასაც უსათუოდ ექნებოდა მიქცეული განსაკუთრებული ყურადღება, მაგ-

რამ ამ მიზნის რეალურად ხორცშესხმა შექმნილი მდგომარეობის გამო მან მაშინ ვერ შეძლო და მის მიერ ეროვნულ თემაზე იმხანად დაწერილ არც ერთ ნაწარმოებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

რაც შეეხება შემდგომი დროის ლიტერატურულ მოღვაწეობას, შ. არაგვისპირელის შემოქმედებითი თვალთახედვის არეში ამჯერად სხვა საკითხები უფრო მეტად მოექცა, საკუთრივ ეროვნულმა პრობლემამ კი მწერლის პროზაში შედარებით ნაკლები ადგილი დაიკავა.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ხსენებული პრობლემის გააზრებას შიო არაგვისპირელმა მაინც შესძინა საკმაო მასშტაბები და ახალი წახნაგებით წარმოაჩინა წინამორბედ მწერალთა შემოქმედების უმთავრეს თემად დამკვიდრებული იმ დიდი სიყვარულის გრძნობა, რითაც ქართველი ადამიანი სამშობლოსთანაა დაკავშირებული.

უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას შ. არაგვისპირელის ფართოდ პოპულარული ნოველა „მიწაა!“ (1901 წ.), რომელიც ამ სიყვარულის რომანტიკული ფორმით წარმოსახვის ერთ-ერთი მეტად შთამბეჭდავი მაგალითია ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. ამ შემთხვევაში მრავლისმთქმელი ისიცაა, რომ ნაწარმოების სიუჟეტურ საფუძვლად ქცეული ამბავი სამშობლოდან ციმბირში გადასახლებული ბერას მიერ სიკვდილის შემდეგ გულზე დასაყრელი ერთი მუჭა ქართული მიწის თან წაღებისა შემდგომი ხანის არაერთი ქართველი მწერლისათვის იქცა შემოქმედებითი შთაგონების წყაროდ.

შ. არაგვისპირელის ეროვნული თვალთახედვის შესაცნობად და გასააზრებლად ასევე უაღრესად მნიშვნელოვან ნაწარმოებს წარმოადგენს ნოველა „ჩემი სამშობლო ჩემი გულია!..“ (1901 წ.), რომელშიც უმწვავესი ფორმითაა გაკრიტიკებული მწერლის დროინდელი ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილის დეგრადირებული ეროვნული ცნობიერება. ავტორის ამგვარ კრიტიკულ პოზიციას მეტ სიმძაფრესა და შთამბეჭდაობას ისიც სძენს, რომ ჩვენი საზოგადოების ეროვნულ მანკიერებათა მამხილებლის როლში მას პოლონელი პშივალსკი ჰყავს გამოყვანილი, იმხანად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნის პატრიოტი შვილი.

თავისი ეროვნული მრწამსი შ. არაგვისპირელმა „მიჯაჭვულ ამირანშიც“ (1908 წ.) გამოხატა სიმბოლურ-ალეგორიული ფორმით.

შ. არაგვისპირელის ეროვნული თვალთახედვის გააზრების თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო ნაწარმოებია ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში დაწერილი რომანი „გაბზარული გული“ (1920 წ.). აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას უპირველეს ყოვლისა ნაწარმოების VI და VII კარები იქცევენ, რომლებშიც ჩრდილოეთის მეფის დამპყრობლური პოლიტიკის შესახებაა საუბარი. მართალია, რომანში არც ჩრდილოეთის სამეფოს სახელწოდებაა დაკონკრეტებული და არც იმ ქვეყნისა, სადაც მოქმედება მიმდინარეობს, მაგრამ მკითხველისათვის მაინც ხდება დაუეჭვებლად ცხადი, რომ ქართულ არაკად წოდებული ამ რომანის მიხედვით მოქმედება საქართველოში ხდება, ხოლო ჩრდილოეთის სამეფოში რუსეთი იგულისხმება. ამ თვალსაზრისს მწერალი ნაწარმოებში ამ ქვეყნებისათვის სპეციფიკურად დამახასიათებელი ყოფით-ეთნოგრაფიული დეტალების მიზანსწრაფული ხაზგასმითაც განგვიმტკიცებს. ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად გავიხსენოთ სათანადო ეპიზოდები რომანიდან.

მეფე ნადირას მოულოდნელად ჩრდილოეთის მეფისგან გამოგზავნილი დაუპატიჟებელი სტუმრები ეწვივნენ და მათი ხელმწიფისგან გამოტანებული საჩუქრები და ცეცხლისმფრქვეველი რაში გადასცეს ასეთი პირობით: „ეს რაში გამიხედნე და უკანვე გამომიგზავნე და, თუ ვერ გახედნით მანდ, მაშინ შენი ცოლიც მაგ გაუხედნავ რაშს უნდა გამოაყოლოო“.

ჩრდილოეთის მეფის შემონათვალით განრისხებულ-შეურაცხყოფილმა ნადირამ მამას უთხრა, რომ რაშს ააკაფვინებდა და თავხედ სტუმრებს უკანვე გაატანდა. მაგრამ მამამ, რომელსაც მეფობის დიდი გამოცდილებაც ჰქონდა და ჩრდილოელ მეზობლებსაც კარგად იცნობდა, ნადირას ასეთი რჩევა მისცა: „ნუ, შვილო, მაგას ნუ იზამ!.. არა, სჯობია მართლა შევეცადოთ გახედნვას. იქნება, გავხედნოთ და ბოროტება თავიდან ავიცილოთ. თორემ შენი გადაწყვეტილება უეჭველად თავს დაგვატეხს ხალხის უაზრო ჟლეტას... შარიანი და უკმეხები არიან ჩრდილოეთის მეფენი... სჯობია, შარს ერიდო...შენ გგონია, ეგ წინადადება შარის გულისთვის არაა მოგონილი?..“ (არაგვისპირელი, 1947: 438).

ნადირას შენიშვნაზე, თუ მაგრეა, შარის მიზეზი ყოველთვის მოიძებნებაო, დიდი მეფე მიუგებს: „არა შვილო, იმას მრავალრიცხოვანი სამეფო აქვს... კალიასავით შემოგვესევა. მაგრე უეცრად რომ

გამოვიწვიოთ... გგონია, მარტო შენ შემოგითვალა ეგეთი საშარო წინადადება?.. არა... ბოროტი ადამიანი ყველასთან ბოროტია... უეჭველია, ის სხვა მეზობლებსაც შარს უდებს".

მწერლის ხაზგასმით, დიდი მეფის ამგვარ შიშსა და სიფრთხილეს საფუძვლად ჩრდილოეთის მეფის მიერ მისთვის არაერთგზის მიყენებული შეურაცხყოფა და ბოროტება ედო. ამიტომაც შეიპყრო იგი დიდმა მწუხარებამ და როცა მარტო დარჩა, „თავი ვეღარ შეიმაგრა და თითქმის თვალი აუცრემლიანდა... ბევრი რამ ავი ახსოვდა ჩრდილოეთის მეფისა... ბევრი დამცირება, მაგრამ ამას არ ეუბნებოდა თავის შვილს... უმალავდა... ასე თუ ისე, თავიდან იცდენდა იმის შემოსევას. და აჰა, ახლა კიდევ ეს უკმეხი შეურაცხყოფა შვილისა" (არაგვისპირელი, 1947: 439).

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, მწერლის მიერ წარმოსახულ ამ შარიან მეფეში რუსეთის ხელმწიფე რომ იგულისხმება, რაც, პირველ ყოვლისა, მისი ჩრდილოელობისათვის დაბეჯითებითი ხაზგასმით დასტურდება.

სამწუხაროდ, დიდი მეფის წინასწარმეტყველება გამართლდა. ჩრდილოეთის მეფემ ნადირას ახალი შარი მოსდო და მის სამეფოს თავისი ჯარი შემოუსია ასაკლებად. ქუდზე კაცი დაირაზმა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ შიშით დამფრთხალმა ნადირამ ტყეს შეაფარა თავი. უმეთაუროდ დარჩენილმა ხალხმა მტერს თავდაპირველად წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია, მაგრამ შემდგომ ერთ მუშტად შეიკრა და გათავხედებული დამპყრობლები დაამარცხა, მოღალატე ნადირას კი ჩაქოლვით სიკვდილი არგუნა.

საბოლოოდ, სულაც არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ „გაბზარული გულით" შიო არაგვისპირელმა თავისი შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ თემად არსებული ეროვნული პრობლემის გააზრებასა და მხატვრულ წარმოსახვას კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შესძინა.

ია ეკალაძე (იაკობ ცინცაძე)

ია ეკალაძემ (იაკობ ცინცაძემ. 1872-1933 წწ.), როგორც XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის პირველ მესამედში მოღვაწე მწერალმა, პუბლიცისტმა და აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით გამორჩეულმა პიროვნებამ, საგულისხმო როლი შეასრულა შესაბამისი პერიოდის ქართული კულტურის ისტორიაში. კერძოდ, იგი, როგორც ქართველ „სამოციანელთა“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების უღალატოდ ერთგული მამულიშვილი, სიცოცხლის ბოლომდე აქტიურად იღვწოდა თავისი ეროვნული იდეალების იდეალების ხორცშესასხმელად. დღევანდელი მკითხველისთვის ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ფასეულია 1910-იან წლებში გამოქვეყნებული მისი პუბლიცისტური წერილები, რომლებშიც იმ პერიოდის ჩვენს ყოფასთან დაკავშირებული საჭირბოროტო პრობლემებია გაანალიზებული.

პუბლიცისტიკის ჟანრში ია ეკალაძის ამგვარი გააქტიურების განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად ის გარემოებაც იქცა, რომ მისი ორგანიზებითა და რედაქტორობით იმხანად ორი პერიოდული ორგანოც გამოიცა - 1912-1913 წლებში გაზეთი „ქართლი“ ქალაქ გორში, 1915-1917 წლებში კი ქუთაისში - ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“ და მისი ყოველკვირეული დამატება.

იქიდან გამომდინარე, რომ გაზეთი „სამშობლო“ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს წარმოადგენდა, ეროვნული პრობლემატიკისადმი გამოვლენილი განსაკუთრებული ინტერესის მხრივ იგი აშკარად გამოირჩეოდა იმხანად გამომავალ პერიოდულ გამოცემათა შორის. ია ეკალაძე ხსენებულ გაზეთს 1917 წლის 9 მარტამდე რედაქტორობდა, შემდეგ კი მისი რედაქტორები ნიკო ლორთქიფანიძე და ვასილ წერეთელი იყვნენ. სამწუხაროდ, გაზეთის გამოცემა 1917 წლის პირველი აპრილიდან შეწყდა.

როგორც გაზეთ „სამშობლოში“ ია ეკალაძის მიერ მრავლად გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილებითაც თვალნათლივ ჩანს, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად მებრძოლი მწერალი თავისი პუბლიკაციების მეშვეობით უკომპრომისოდ უპირისპირდებოდა სოციალ-დემოკრატთა ანტიეროვნულ პრინციპებს და ქართველ ხალხს აქტიურად მოუწოდებდა ეროვნული ერთობისა და შეკავშირებისაკენ.

მაგალითად, აი, რა შეფასებას აძლევდა იგი იმ დამოკიდებულებას, რომელსაც ქართველი სოციალ-დემოკრატები იჩენდნენ აღნიშნული საკითხისადმი: „ვსთქვა რამ? - ვაია, უთქმელობა - უბედურება. ჩვენ არ ვიზიარებთ ჩვენი დასელების მარქსისტულ მოძღვრებას, კლასთა ბრძოლაზე მაღლა ვაყენებთ კლასთა თანამშრომლობას, გვწამს თავისუფალი საქართველო, მისი ისტორიული უფლებანი და თავისუფალი მშრომელი ხალხი, რომელიც არ უნდა იყოს ერთი ჯგუფის ყურმოჭრილ ყმად, როგორც დღეს არის, რისთვისაც დიდი ხანია გამოცხადებული ვართ მშრომელი ხალხის მოღალატედ“ („სამშობლო,“ 1916 წ. #358).

ვფიქრობ, მესამე დასელების სახელითაც ცნობილ სოციალ-დემოკრატებთან ამგვარი უკომპრომისო დაპირისპირება იმხანად რამდენად სახიფათოც იქნებოდა, ამის შეხსენება მოვლენათა არსში თუნდაც ზედაპირულად გარკვეულ მკითხველსაც კი არ დასჭირდება. როგორც ცნობილია, ილია ჭავჭავაძის გზით მავალი ყოველი „საქართველოისტი“ მათ მიერ ხალხის მტრად იყო მიჩნეული და ამ ადამიანთა წინააღმდეგ ისინი მხოლოდ იდეური ბრძოლით არ შემოიფარგლებოდნენ და ფიზიკურადაც ცდილობდნენ მათ განადგურებასა და გზიდან ჩამოცილებას. სამწუხაროდ, წიწამურის ტრაგედიის სახით მათ უკვე ჰქონდათ გადადგმული ეს ნაბიჯი.

ამიტომაც წერდა ია ეკალაძე იმავე წერილში: „დღეს დღეობით არც ერთი ქართველი მოღვაწე არ არის უზრუნველყოფილი შეურაცხყოფისაგან, თუ კი ღმერთი გაუწყრა და დასელების გაწვრთნილ ჯარში არ მოჰყვა, ან ჩამოშორდა მათ და თავისი საკუთარი აზრი გაიჩინა საქართველოს და ქართველი მშრომელი ხალხის კეთილ დღეობაზე.“ ამიტომაც ნატრობდა პუბლიცისტი იმ დროის დადგომას, როცა მოტყუებულ ხალხს თვალი აეხილებოდა და ნათლად დაინახავდა, ვინ იყო ნამდვილი მოღალატე.

ამის რეალურად მიღწევა კი უძნელესი საქმე იყო, რადგანაც იმხანად ჩვენში „არსებული „მიმართულებანი“ ისე თავგზა არეულნი იყვნენ, რომ გულუბრყვილო მკითხველი ჩვენის გაზეთებისა მეტის-მეტ გაურკვეველსა და უბედურ მდგომარეობაში“ იმყოფებოდა.

სწორედ ამ რეალობის სიღრმისეულად შეცნობისა და გაცნობიერების სამწუხარო შედეგს წარმოადგენდა უაღრესად მტკივნეული ის კითხვები, რომელთაც აღნიშნული მდგომარეობის გაცნობიერების შედეგად სვამდა მწერალი: „მაშ, რა ჰქნას ნამდვილმა თავისი

ქვეყნისა და თავის კეთილდღეობის მოსურნე ქართველმა კაცმა? სად წავიდეს? ვის მიჰმართოს? ვის ენდოს? ვის გაუზიაროს თავის გულის პასუხი? როგორ დაიკმაყოფილოს თავის სულიერი და ხორციელი მოთხოვნილებანი?"

როგორც ია ეკალაძის იმდროინდელი პუბლიკაციებიდან თვალნათლივ ჩანს, ამ საჭირბოროტო კითხვებს იგი საკმაოდ პესიმისტურ პასუხს სცემდა და დამოწმებული წერილის ბოლოს თავის ნიჰილისტურ თვალსაზრისს ამგვარად გამოხატავდა: „სად არის სამართლიანობისა და ძმობა-ერთობის მოტრფიალე ეს ხალხი, თავისუფლებისა და თანასწორობის მღაღადებელი ხალხი?..

სად არის, სად მცნება: შენც იცხოვრე და მეც მაცოცხლე?

სად არის, სად მოძღვრება: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი?

სად არის, სად სწავლა: მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას?

სად არის, სად შეგნება-შებრალება, განკითხვა, შეწყნარება, სიყვარული, ქველობა, ვაჟკაცობა, ადამიანობა?

ნუ თუ ყველაფერი ესეც ფიქციაა, მოჩვენებაა?

ნუ თუ იმიტომ დნება კაცი სამშობლოს საკურთხეველზე, რომ მერე მოღალატე უწოდოს მას ამა თუ იმ გაბატონებულმა ჯგუფმა?" („სამშობლო," 1916 წ. 15 ივლისი).

ია ეკალაძის ხაზგასმით, მიუხედავად იმისა, რომ იმდროინდელ საქართველოში ქვეყნის პატრონობისა და მოყვასისადმი თანადგომის ამბიცია ბევრ ადამიანს ჰქონდა, მათ შორის დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძის, ვანო მაჩაბლისა და საქვეყნო ინტერესით მათებრ გულანთებული და თავდადებული მამულიშვილები აღარ იყვნენ. მისი შეფასებით, პარტიული და პიროვნული ამბიციებით დასნეულებულ საზოგადოებაში მოყვასზე ზრუნვისა და ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე დაფიქრების ნაცვლად „ფაცი-ფუცობა, ყოყლოჩინობა, თვალთმაქცობა, შენ-ჩემობია და ნათლიმამობა" იყო დასადგურებული, „ქართველი ხალხი კი უპატრონოდ და უხელმძღვანელოდ იყო დარჩენილი".

თავისი დროის პოლიტიკურ პარტიათაგან ია ეკალაძეს ყველაძე მეტი პოლიმიკა სოციალ-დემოკრატებთან (იმავე „დასელებთან") ჰქონდა, რაც არსებითად განაპირობა მათმა ანტიეროვნულმა თვალთახედვამ. კერძოდ, მწერლისთვის პრინციპულად მიუღებელი იყო ის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ნიჰილიზმი, რომელიც ქარ-

თველ მარქსისტთა პოლიტიკურ მოძღვრებას ედო საფუძვლად. ბუნებრივია, ქართველ სამოციანელთა იდეებზე აღზრდილი ია ეკალაძე ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიიღებდა „დასელთა“ მიერ ნაქადაგევ პრინციპებს, თანადგომას ვერ გამოხატავდა იმ „კაჭკაჭა დემოკრატებისადმი“ (მწერლის სიტყვებია), რომელთაც ურუსეთოდ ცხოვრება ვერ წარმოედგინათ (გაზ. „საქართველო,“ 1920 წ. 3 იანვარი).

სწორედ მათი ამგვარი ანტიეროვნული თვალთახედვის შედეგს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ თავიანთი პარტიული მსოფლმხედველობით ისინი საფუძველშივე ეწინააღმდეგებოდნენ რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან ჩვენი ქვეყნის გამოყოფას. როგორც ია ეკალაძის იმდროინდელი პუბლიცისტიკიდან თვალნათლივ ჩანს, მათი ანტიეროვნული და ანტისახელმწიფოებრივი პარტიული პოლიტიკა ხშირად იყო ქცეული „დასელთა“ მძაფრი და უკომპრომისო კრიტიკის საგნად. მაგალითად, „თავისუფლება პიროვნებისა, საზოგადოებისა და ერისათვის, - წერდა იგი გაზეთ „სამშობლოში“ 1916 წლის 21 აგვისტოს გამოქვეყნებულ წერილში, - იგივეა, რაც ჰაერი ფრინველისათვის და წყალი თევზისათვის.

როგორც რკინის გალიაში გამომწყვდეული არწივი ვერ გაშლის ფრთებს და ვერ გადაფრინდება იალბუზის მთას, ისე დაჩაგრული პიროვნება, ან უფლება აყრილი საზოგადოება, ან დამონებული ერი ვერ მიაღწევს უმაღლეს წერტილს თავის განვითარებისას და სულიერნი ძალნი მისნი ვერ ამაღლდებიან ღვათაებამდე.“

ია ეკალაძის აზრით, „დასელებს“ ძირითადი დასაყრდენი საზოგადოების დაბალ, სათანადოდ გაუცნობიერებელ, ფენებში ჰყავდა, იმ ადამიანებში, რომლებიც მხოლოდ „კუჭის მოთხოვნილებებითა და ფსიქოლოგიით ზომავდნენ“ სამშობლოს ცნებას. თავიანთი მაცდუნებელი ლოზუნგებით სოციალ-დემოკრატები ადვილად ახერხებდნენ ყოველდღიური ეკონომიკური პრობლემებით შეჭირვებულ ადამიანთა მიმხრობას, გონებას უმღვრევდნენ მათ თავიანთი ილუზიური ქადაგებებითა და დაპირებებით მომავალ სოციალურ თანასწორობასა და ბედნიერი ცხოვრების დადგომაზე და ეროვნულ საკითხს „მესამე-მეოთხე ხარისხოვან ღირებულებათა სთვლიდნენ“ („სამშობლო,“ 1916 წ. #361).

საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ბრმად ენდობოდა ამ ლოზუნგებს და ვითარების არსში სათანადოდ ვერ ერკვეოდა. ამ მდგომარეობით შეშფოთებული მწერალი გულისტკივილით წერ-

და: „მედუქნეების, ყასბებისა და სალახების უმრავლესობა დასელობს, ინტელიგენციის უმრავლესობა ეროვნული მიმართულებისაა, ყანაში მომუშავე გლეხი კი გაჭირვებით ურტყამს თოხს შავ მიწას და არც ერთისა არა გაეგება რა.“

ეროვნულ პრობლემათა ია ეკალაძისეულმა განსჯა-გააზრებამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა 1917-1921 წლებში გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილებში. კერძოდ, თავის იმდროინდელ პუბლიკაციებში მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა რუსეთის ბატონობის შედეგად ჩვენს ყოფაში დამკვიდრებულ მანკიერებებზე. მაგალითად, აი, რა შეფასებას აძლევდა იგი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოქცევის შედეგად ჩვენს ქვეყანაში შექმნილ რეალობას გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ 1917 წლის 32-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში: „მეცხრამეტე საუკუნიდან საქართველო აღარ არსებობდა, როგორც სწორი სწორთა წრეში... მისი სახელიც კი ამოშალეს თავისუფალ ქვეყანათა სიიდან - გეოგრაფიის ნომენკლატურიდან და ძველი ბუდე ფრთამაგარ არწივებისა კავკასიის უბრალო უბნად გადააქციეს.“

ია ეკალაძის მტკიცებით, საქართველოში ბატონობის ასი წლის განმავლობაში რუსეთმა ჩვენს ერს თავისუფლებასთან ერთად „წართვა მშობლიური აღზრდა, საკუთარი აზროვნება, საკუთარი მოფიქრება, წაგვართვა საკუთარი კულტურა და მეცნიერება, წაგვართვა საკუთარი სარწმუნოება, წაგვართვა ერთსულოვნება, გრძნობა მამულიშვილობისა, გრძნობა თავმოყვარეობისა და გადაგვაქცია სულით გლახაკ, ფიქრით კნინად, აზრით ორჭოფად, ხასიათით უკმეხად, უზრდელად, ბრიყვად.“

მიუხედავად იმისა, რომ რუსული მმართველობის შედეგად ჩვენს ქვეყანაში არსებული რეალობის შესაფასებლად ია ეკალაძის მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება გაზვიადებულია, მათი უმეტესობა უთუდ სარწმუნოა და მისაღები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხსენებული პუბლიკაციის დასკვნითი ნაწილი, სადაც მწერალი რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგად შექმნილ რეალობას განზოგადებული ფორმით ამგვარად აფასებს: რუსეთის შემადგენლობაში მოქცევის შედეგად „საქართველო ასცდა თავის მშობლიურ გზას, რადგან იძულებული გახდა დამორჩილებოდა უცხო კანონებს, უცხო წესს ცხოვრებისას.“ იგი „იძულებული შიქმნა ეცხოვრა სხვისი ჭკუითა და გონებით... გამოწაფებულიყო გადმორუსებულ ევროპულ აზროვნებით.“

ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით ია ეკალაძე არა მარტო ზოგადად გამოხატავდა თავის ნეგატიურ და მძაფრად კრიტიკულ დამოკიდებულებას, არამედ კონკრეტულ ეპიზოდებსაც იმოწმებდა იმდროინდელი ქართული რეალობიდან. კერძოდ, საანალიზო პერიოდის თავის პუბლიკაციებში იგი გულისტკივილით საუბრობდა მშობლიური ენისადმი იმ უპატივცემულო დამოკიდებულებაზე, რომელიც ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ვლინდებოდა ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონში.

მაგალითად, გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ 1917 წლის 9 ივნისს გამოქვეყნებულ წერილში „რამდენიმე დღე გურიაში“ ჩოხატაურის ქუჩებში მიმავალი მწერალი სინანულით ათვალიერებდა იქაურ გარემოს, სადაც მხოლოდ რუსული წარწერები ხვდებოდა თვალში. მიუხედავად იმისა, რომ პუბლიკაციის ავტორს, მისივე თქმით, რუსული ენის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მას ის გარემოება უკლავდა გულს, რომ ქართველ კაცს თავის სამშობლოში მშობლიური ენა უპატრონოდ ჰქონდა მიგდებული.

ხსენებულ პუბლიკაციაში ია ეკალაძემ ერთ, თითქოსდა უმნიშვნელო, დეტალსაც მიაპყრო მკითხველის ყურადღება - აღნიშნული მოვლენით გულნატკენმა მწერალმა მგზავრებს მიავლ-მოავლო თვალი და მზერა მის წინ „უკმეხად მჯდომარე ახალგაზრდა კაცზე“ შეაჩერა. „ეს უთუოდ გახურებული სოციალ-დემოკრატი იქნებაო,“ - გაიფიქრა გულში და ამ პატარა, თითქოსდა უმნიშვნელო დეტალით, მიუხედავად იმისა, რომ თავად ავტორი მას არავითარ კომენტარს არ ურთავს, ამ შენიშვნით კიდევ ერთხელ გამოხატა თავისი კრიტიკული პოზიცია იმხანად ყველაზე მრავალრიცხოვანი და აშკარად გამოხატული პრორუსული პოზიციის მქონე პოლიტიკური პარტიისადმი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მკითხველი ზედმეტი კომენტირების გარეშეც ადვილად მიხვდება, როგორი სიხარულითაც შეხვდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე მეოცნებე მწერალი 1917 წლის თებერვლის რევოლუციას, რომელმაც რუსეთის იმპერიის რღვევასა და ამ დიდი მიზნის რეალობად ქცევას დაუდო სათავე. 1917 წლის 10 მარტს გაზეთ „სამშობლოში“ გამოქვეყნებული წერილი „ძმანო ქართველნო“ სწორედ ამ მოვლენით განპირობებული ოპტიმისტური სულისკვეთების ერთ-ერთ პათეტიკურ გამოხატულებას წარმოადგენს.

კერძოდ, აი, როგორ შეფასებას აძლევდა თავად მწერალი ხსენებულ რევოლუციას მისი მოხდენიდან ორიოდე კვირის შემდეგ გამოქვეყნებულ ამ პუბლიკაციაში: „ძმანო ქართველნო! გათენდა! ასწლიან შავბნელ ღამეს გული გაუპო დიადი მზის სხივმა და საქართველოს ცის კაბადონზე გამოჩნდა ქართველების ცრემლსა და სისხლში ამოვლებული დროშა თავისუფლებისა, რომელსაც ცეცხლის ასოებით აწერია: „მტარვალთა ყოფნა ბედ-უკუღმა გადატრიალდა. ახსენე ღმერთი, ქართველო კაცო, და ძველებურის რაინდობით შეუდექ შენის დანგრეული ოჯახის აშენებასა!“

ეს სიხარული პირველ ყოვლისა დამონებული ერის მკვდრეთით აღდგომის მოლოდინით იყო განპირობებული. ასი წლის მონობით დაბეჩავებულ სამშობლოს მწერალი ლეჩაქმოხდილ ზეინაბს ადარებდა, ალექსანდრე სუმბათაშვილის ცნობილი ტრაგედიის - „ღალატის“ მთავარ პერსონაჟს, რომელიც „საბრალოდ, დამცირებულად ულოკავდა ხელებს იმას, ვინც ვერაგულად მოხადა მას გვირგვინი დიდებისა და უმანკოებისა, ვინც მოტყუებითა და ღალატით დაეუფლა მის კდემამოსილებას, მის ქალწულებრივ უმანკოებას! და ჩვენც, შვილნი გაუბედურებულის დედისა, მონურის ერთგულებით ვაქებდით მას, ვინც მოგვწყვიტა დედის ტკბილ ძუძუს და მგელ-ბაყაყი მოგვისია დასასუსხადა!..

ახლა კი?..

ჩაიღრჩო მტარვალი და მომაკვდავი დედა მოგვიწოდებს თავის ერთგულ შვილებს გამოსაბრუნებლად, განსაკურნებლად!“

ხსენებული წერილი ასეთი მომწოდებლური განწყობილების გამომხატველი სიტყვებით მთავრდება: „ძმანო ქართველნო! გათენდა! მზე ამოდის!

მომეცით ხელი!“

გარდა გაზეთ „სამშობლოსა,“ 1917 წლის თებერვლის რევოლუციისადმი მიძღვნილი წერილები ია ეკალაძემ იმხანად გამომავალ სხვა პერიოდულ გამოცემებშიც გამოაქვეყნა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა გაზეთ „ჩვენს ქვეყანაში“ დაბეჭდილი მისი წერილები. როგორც ცნობილია, ეს ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს წარმოადგენდა, „სამშობლოს“ დახურვის შემდეგ, 1917 წლის 9 აპრილიდან 1919 წლის ივლისამდე გამოდიოდა ქუთაისში.

„ჩვენს ქვეყანაში“ გამოქვეყნებულ წერილებში ია ეკალაძე ხაზგასმით აღნიშნავდა იმას, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუცია რეალურ საფუძველს ქმნიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან ჩვენი ქვეყნის განსათავისუფლებლად და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად. კერძოდ, აი, რა შეფასებას აძლევდა იგი ამ ისტორიულ მოვლენას 1917 წლის 30 აპრილის ნომერში დაბეჭდილ წერილში - „აღსრულდა!“ „დაიმსხვრა კერპი მონობისა და მის ნანგრევებზე აღიმართა ქანდაკება თავისუფლებისა, მოქალაქეობისა, კაცად-კაცობისა.“ ამ გამარჯვებას მწერალი საუკუნეების განმავლობაში ჩამოწოლილი შავბნელი ღამის გათენებას ადარებდა. მისი თქმით, რუსეთის იმპერიის კირთებჭვეშ მგმინავი და აწ უკვე თავისუფალი ერები „გაოგნებულნი, დარეტიანებულნი დღესაც თვალს ვერ უსწორებდნენ დიდებულ განთიადს და თავი სიზმარში ეგონათ.“

ხსენებულ პუბლიკაციებში ია ეკალაძე განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობდა ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციის პრობლემას და ძალასა და ენერგიას არ იშურებდა მკითხველთა იმაში დასარწმუნებლად, რომ „საქართველოს აღდგენისა“ და გადარჩენის ერთადერთ გზას „ყოველივე პირადულისა და პარტიული გატაცების“ დათმობა წარმოადგენდა. მისი აზრით, მხოლოდ ამგვარი ერთობით იქნებოდა შესაძლებელი „საქართველოს მკვნესარე გულის განკურნება.“

ია ეკალაძეს მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნისა და ფუნქციონირების პროცესში. კერძოდ, ჟურნალ „განთიადის“ ინფორმაციით (1915 წ. #6), იგი ყოფილა ერთ-ერთი აქტიური ინიციატორი ქუთაისში „ნაციონალური დემოკრატების ჯგუფის“ დაარსებისა. ამ დროიდან მოყოლებული, ის აქტიურად ზრუნავდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შესაქმნელად არა მარტო ქუთაისში, არამედ დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონებშიც. მაგალითად, 1917 წლის 29 ივნისს ის და ვასილ წერეთელი თერჯოლაში ჩასულან იქაური მოსახლეობისათვის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის გასაცნობად (გაზ. „ჩვენი ქვეყანა,“ 1917 წ. 2 ივნისი).

და მაინც, მიუხედავად აღნიშნული მიმართულებით გამოვლენილი ამგვარი აქტიურობისა, ია ეკალაძე არასოდეს შემოფარგლულა ვიწრო პარტიული ინტერესებით და პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა ქართველი ერის დანაწევრებას ჯგუფებად და პარტი-

ებად. მისი აზრით, ჩვენს ქვეყანაში არნახულად გავრცელებული „ჯგუფობანა ღრღნიდა საქართველოს სხეულს და აწყალებდა უიმისოდაც დასუსტებულ მის გულს.“ „ჩემთვის, - წერდა, მაგალითად, ამ მოვლენით შეწუხებული მწერალი ერთგან, - არავითარი სხვა საზომი, სხვა ავტორიტეტი არ არსებობს, გარდა საქართველოსი და ქართველი ერისა. საქართველო და ქართველი ერი თავისი წარსულით და აწმყოთი - აი, ის ნიადაგი, რომელსაც მე დავეყრდნობი.“

სამწუხაროდ, პარტიული ბრძოლებით განაწამებ იმდროინდელ საქართველოში საკმაოდ მრავლად იყვნენ ისეთი პოლიტიური ლიდერები, რომლებიც ერის სამომავლო გზათა ძიებას პარტიულ ინტერესებს უქვემდებარებდნენ და ამით, ნებსით თუ უნებლიეთ, ივიწყებდნენ იმ ჭეშმარიტებას, ქვეყნის ხვალინდელ დღეზე ზრუნვა ყოველგვარ პარტიულ ინტერესებზე მაღლა რომ უნდა იდგეს.

პარტიული ინტერესებით საზოგადოებრივი აზრის ამგვარ დაქუცმაცებასა და ურთიერთდაპირისპირებას კი მიზანმიმართულად უწყობდა ხელს რუსეთის იმპერიული ხელისუფლება. ია ეკალაძე ამის თაობაზეც არაერთგზის ამახვილებდა ყურადღებას და მრავალ ისეთ მოსაზრებას გამოთქვამდა, რომელნიც დღევანდელი ჩვენი რეალობის შესაფასებლადაც არაა ინტერესმოკლებული.

მაგალითად, ერთ-ერთ სწორედ ასეთ მანკიერებად მიიჩნევდა მწერალი იმ პოლიტიკას, რომელსაც რუსეთი და მისი კოლონიური პოლიტიკის გამტარებელი ქართველები ატარებდნენ შესაბამისი პერიოდის საქართველოში. კერძოდ, აი, როგორ შეფასებას აძლევდა იგი რუსეთის, როგორც მსოფლიოში ყველა დამპყრობლისაგან გამორჩეული კოლონიზატორი ქვეყნის, როლს აღნიშნული მანკიერების მიზანმიმართულად გავრცელების პროცესში: „ბევრი დამპყრობელი უნახავს საქართველოს, ბევრჯერ აოხრებულა იგი უზომო მტერთა ურდოებისაგან, მაგრამ იმპერიალისტური რუსეთისთანა ჭკვიანი და წინდახედული არც ერთი არ ყოფილა... ოსმალ-სპარსელები მოვიდოდნენ საქართველოში, მიანგრ-მოანგრევდნენ აქაურობას, მაგრამ საქართველო მაინც გარეკავდა მტერს და ფენიქსისებრ ახლდებოდა...

რუსეთის იმპერიალისტურმა გულისთქმამ კი სულ სხვა გეზი აიღო. მან მოინდომა ქართველი ერის სულით გარდაქმნა, დაძაბუნება და საკვირველის ოსტატობითაც შეასრულა ეს საქმე.“

თავისი დროის მოწინავე ქართველ მამულიშვილთა მსგავსად, ია ეკალაძე გულგრილი ვერ იქნებოდა იმ ფაქტისადმი, რომ „თავი-

სუფალი საქართველოს მზის ამოსვლას“ (მისი სიტყვებია) საქართველოში მომხრეებთან ერთად მოწინააღმდგეებიც ჰყავდნენ. ესენი პირველ ყოვლისა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები და მათი მხარდამჭერნი იყვნენ, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ „გატეხილი გობის გამთელებას“ და რუსეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი მთლიანობის გადარჩენას.

მაგალითად, აი, რას წერდა ამ მოვლენით გულნატკენი მწერალი ამასთან დაკავშირებით გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ 1917 წლის 27 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში: „რუსეთი დაღუპვის გზაზე დგას. სხვისი „მაზიარებელი“ ლამის თვითონ მოკვდეს უზიარებლად და ჩვენც თან გადაგვიტანოს. ტყვილა ცდილობენ ჩვენი ქვეყნის ღვიძლი შვილები - კარლო, აკაკი, კაკო (კარლო ჩხეიძე, აკაკი ჩხენკელი, კაკი წერეთელი - ა. ნ.) შეკოწიწებას იმისას, რაც ბუნებრივად შეუძლებელია, ტყუილად აკლავენ თავს „გატეხილი გობის გამთელებას.“

„საქართველოს დანგრეულ კერასთან თვალდახუჭულად მოქადაგე სოციალისტების“ (ია ეკალაძის სიტყვებია) მთავარ შეცდომად მწერალი მათი იდეალების უნიადაგობასა და არარეალურობას მიიჩნევდა. მისი შეფასებით, ამ ადამიანთა პარტიულ იდეალს საქართველოს ძალით გაპროლეტარება და გასოციალისტება წარმოადგენდა, რაც ქართველ „ერს კაცობრიობის წიაღში გათქვეფას“ უქადდა („ჩვენი ქვეყანა,“ 1917 წ. 7 ივნისი).

ქართველი მარქსისტებისადმი მკვეთრად ნეგატიურ თავის დამოკიდებულებას ია ეკალაძე მეტ დამაჯერებლობას იმითაც სძენდა, რომ მათ ჩვენს ქვეყანაში რუსეთის კოლონიური ინტერესების გამტარებელ მძალვრ ძალად მიიჩნევდა და ამის ნათელსაყოფად კონკრეტულ ფაქტებსაც იშველიებდა ჩვენი ქვეყნის ისტორიიდანაც და იმდროინდელი რეალობიდანაც.

სამწუხაროდ, ია ეკალაძისა და იმ პერიოდის სხვა ქართველი მამულიშვილების მოლოდინი გამართლდა და სოციალიზმის მოტრფიალე ქართველმა „ინტერნაციონალისტებმა“ იმდენი ქნეს, რომ მონობიდან დროებით თავდახსნილ საქართველოს მალე კვლავ დაადგეს ამჯერად უკვე საბჭოთა რუსეთის ბატონობის უღელი.

ია ეკალაძის ეროვნული თვალთახედვის წარმოჩენის დროს განსაკუთრებული ყურადღება გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ 1918 წლის 28 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ მის იმ პუბლიკაციასაც („ოსები საქართველოში“) მინდა მივაქციო, რომელშიც დიდი პატრიოტული

გულისტკივილითაა განსჯილ-შეფასებული საქართველოში დამკვიდრებულ ოსთა და სხვა ეროვნების წარმომადგენელთა სეპარატისული ქმედებანი და ბრძოლა ქართული მიწა-წყლის მისატაცებლად.

მიუხედავად იმისა, რომ თავად ია ეკალაძე დედით ოსი იყო, ამას მისთვის სულაც არ შეუშლია ხელი იმაში, ობიექტური პირუთვნელობით რომ შეეფასებინა ხსენებული მოვლენა და მკაცრად ემხილებინა ის მზაკვრული ქმედებანი, რითაც ჩვენს ქვეყანას შემოხიზნული უცხოტომელები ქართული მიწის მიტაცებასა და იქიდან მკვიდრი მოსახლეობის განდევნას ცდილობდნენ.

ია ეკალაძე გულისტკივილით საუბრობდა იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში „სამადლოდ ჩამოხიზნულ ოსებს“ (მწერლის სიტყვებია) რუსის სკოლებში გამოზრდილი „ოსური ინტელიგენციის“ ერთმა ნაწილმა და „რუსის მოხელეებმა ცნობილ ვოსტორგოვის მეთაურობით“ თავგზა აუბნიეს, „მოშხამეს“ და ქართველი ხალხის წინააღმდეგ აამხედრეს. ავტორის თქმით, ეს „არამც თუ უმადურობა, დიდი უსამართლობაც არის“ და „ამ შხამს ისინი იქამდე ვერ გადაირეცხავენ გულიდან, ვიდრე თავისუფალი საქართველო არ ალაგმავს ხალხის მტრებს და არ დაანახებს საქართველოს ოსებს მათ შეცდომას.“

ია ეკალაძის ხსენებულ წერილში, ოსებთან ერთად, საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებული სხვა ხიზანი ხალხებიც არიან დასახელებული. პუბლიცისტის ხაზგასმით, ჩვენი სამშობლოსათვის „თავში ხელის წამომკვრელი“ ეს გადამთიელნი - „სომხები, წალკის ბერძნები და რუსის სოციალისტები“ – „მზად არიან დამარხონ საქართველოს თავისუფლება“ და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ „ჩვენი სამშობლო მკვდრეთით არ აღსდგეს.“ ამ მიზნის მისაღწევად ისინი პირველ ყოვლისა „ინტერნაციონალურ ქადაგებათა“ მოდურ ლოზუნგებს იშველიებენ.

ასეთი ეროვნულ-მოქალაქეობრივი სულისკვეთების გამომხატველი თავისი პუბლიცისტური წერილებით ია ეკალაძემ გლობალური თვალთახედვით ცადა წარმოეჩინა თავისი დროის ქართულ რეალობაში არსებული არაერთი საჭირბოროტო პრობლემა.

მემედ აბაშიძე

1917-1921 წლებში მოღვაწე ქართველ მწერალთა ეროვნული მრწამსის წარმოჩენის დროს განსაკუთრებული ყურადღება მემედბეგ აბაშიძესაც (1873-1937 წწ.) უნდა მივაქციოთ. როგორც ცნობილია, უმთავრესად აჭარაში მოღვაწე ეს დიდი მამულიშვილი, რომელიც მრავალმხრივი და მეტად აქტიური ეროვნულ-საზოგადოებრივი საქმიანობით გამორჩეულ მამულიშვილს წარმოადგენდა, წარმატებულ შემოქმედებით მოღვაწეობასაც ეწეოდა და თავისი პუბლიცისტური წერილებით აქტიურად ეხმიანებოდა თავისი დროის საჭირბოროტო პრობლემებს. მის შემოქმედებით მოღვაწეობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ის გარემოება, რომ იგი ფაქტობრივად აჭარაში მოღვაწე პირველი პროფესიონალი მწერალი იყო, რომელმაც სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეს მოწყვეტილ ამ რეგიონში მყარი საფუძველი ჩაუყარა მხატვრული სიტყვის აღორძინებას.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ქართული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად „სამუსლიმანო საქართველოს“ დამკვიდრების საქმეში მისი პიროვნული ღვაწლი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამ მხრივ მას ფაქტობრივად ვერავინ შეედრება. საკუთარი დამსახურება ზემოთ აღნიშნული მიმართულებით 1921 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში თავად მან შემდეგნაირად შეაფასა: „ჩვენ დავისახეთ მიზნად ისტორიული საქართველოს ძმობისა და საზღვრების აღდგენა და კიდევაც შევძელით, ოთხას ოცი წლის განმავლობაში მშობლიურ მიმართულებას ამცდარ ისტორიისათვის მიგვეცა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მსვლელობა. ამას ჩვენ ვისიმეს დავალებით კი არა, არამედ ჩვენი წინანდელი თაობის მიერ ჩვენდა სამკვიდროდ შექმნილი და გადმოცემული ეროვნული მეტყველება გვიკარნახებდა, და რისთვისაც სინდისიერად ვმსახურებდით“ (აბაშიძე, 1998: 115-116).

სამწუხაროდ, მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა ეროვნული ერთობის მისაღწევად და დედასამშობლოსთან საუკუნეების განმავლობაში მისგან მოწყვეტილი და გაუცხოებული „სამუსლიმანო საქართველოს“ მარადიულად დასაკავშირებლად გაწეული ეს დიდი ღვაწლი მემედ აბაშიძეს კომუნისტებმა იმით „დაუფასეს“, რომ რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ხელმეორედ დაპყრობის შემდეგ იგი

ჯერ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის დიდ ასპარეზს ჩამოაშორეს, 1937 წელს კი დაიჭირეს და წამებით გამოასალმეს სიცოცხლეს.

მიუხედავად იმ გამუდმებული დევნა-შევიწროებისა, რასაც მემედ აბაშიძე მთელი ცხოვრების განმავლობაში განიცდიდა როგორც შინაური მტრებისაგან, ისე რუსი და თურქი ოკუპანტებისაგან, მას უკან მაინც არასოდეს დაუხევია და თავისი მამულიშვილური იდეალებისათვის არასოდეს უღალატია. საკუთარი ეროვნული პრინციპებისადმი მ. აბაშიძის ამგვარი ერთგულების დასტურად აქ თუნდაც იმ შეფასების გახსენებაც იქნება საკმარისი, რომელიც მან საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში მისი ცილისმწამებელი ოპონენტების მიერ მის წინააღმდეგ განახლებული ძალით წამოწყებულ ბრძოლას მისცა: მართალია, – წერდა იგი 1921 წელს, – „თავისუფლების ხანაში ყველას აქვს თავისუფალი ნავარდობის და ჯირითობის ნება, მაგრამ იმის ნებას კი არვის მივცემ, რომ გულზე ფეხი დამაბჯინოს და შემითითხნოს ის სიყვარული მამულისადმი, რომელიც მაფრთოვანებდა ბავშვობიდან, რომელმაც აღმზარდა, დამავაჟკაცა და თავდავიწყებამდე მიმიყვანა. მე მთელი გული და მთელი მეჯლისის გულიც სამშობლოს სამსხვერპლოზე დავწვი და მიხარის ერთი, რომ მიზანი მიღწეულია: სამუსლიმანოს საქართველოს ავტონომია და დედა სახელმწიფო საქართველოსთან მარადიული შესისხლხორცება“ (აბაშიძე,1998: 119).

უპირველესი პრინციპი, რომელიც თავიდანვე იქცა მემედ აბაშიძის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და პუბლიცისტურ-ლიტერატურული მოღვაწეობისთვის უმთავრესი მიმართულების მიმცემ მოვლენად, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისთვის უკომპრომისო ბრძოლა იყო. ნათლად და მკაფიოდ გამოკვეთილი თავისი ეროვნული მრწამსით მ. აბაშიძე ამ შემთხვევაში იმ დიდი ტრადიციების ღირსეულ მემკვიდრედ გვევლინება, რომელთაც მისი წინამორბედი ქართველი მამულიშვილები, პირველ ყოვლისა კი ილია ჭავჭავაძე, ამკვიდრებდნენ თავიანთი აქტიური მოღვაწეობის შედეგად.

მ. აბაშიძის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალთახედვისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ იგი მთელი ოთხი საუკუნის განმავლობაში დედასამშობლოს მოწყვეტილი „ოსმალოს საქართველოს“ წიაღიდან ამოზრდილი პირველი დიდი მოღვაწეა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ეროვნული იდეალი საქართვე-

ლოს სახელმწიფოებრივი მთლიანობისა და დამოუკიდებლობისთვის აქტიური ბრძოლა იყო, მ. აბაშიძის საზოგადოებრივ და შემოქმედებით მოღვაწეობას ამ გარემოებამ მკაფიოდ გამოკვეთილი მიმართულებაც მისცა – დამოუკიდებლობა აღდგენილ ჩვენს ქვეყანაში ე. წ. „სამუსლიმანო საქართველოს“ ადგილის განსაზღვრა და სარწმუნოებრივად განცალკევებულ ქართველებს შორის მყარი ეროვნული ერთობის დამკვიდრება.

ზემოთ აღნიშნული მიმართულებით მ. აბაშიძის უდიდეს პიროვნულ დამსახურებას ამ შემთხვევაში არა მარტო ის ფაქტი განსაზღვრავს არსებითად, რომ მან თეორიულად სავსებით სწორად და რეალისტურად გაიაზრა დედასამშობლოსა და „სამუსლიმანო საქართველოს“ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მთლიანობის განმაპირობებელი უმთავრესი პრინციპები, არამედ თავისი პრაქტიკული მოღვაწეობითაც შეასრულა მეტად მნიშვნელოვანი როლი ამ მიზნის რეალურად განხორციელების საქმეში.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მ. აბაშიძის უპირველეს ეროვნულ იდეალს „სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის უზრუნველყოფა“ (მისი სიტყვებია) შეადგენდა. ამ მიზნის პრაქტიკული ხორცშესხმისათვის ბრძოლის გზაზე მის მიერ მოპოვებულ უდიდეს წარმატებებს არსებითად განაპირობებს ის ფაქტი, რომ მ. აბაშიძემ ხსენებული მიზნის მისაღწევად აუცილებლად საჭირო „საყრდენი პრინციპებიც“ განსაზღვრა და ჩამოაყალიბა კონკრეტული ფორმით. ეს პრინციპებია: „1. ენის ერთიანობა; 2. განსხვავება ეროვნებასა და სარწმუნოებას შორის ეროვნების უპირატესობით; 3. პატივისცემა განსხვავებული რელიგიისადმი; 4. განათლება; 5. ავტონომიური მართვა-განმგებლობა სამუსლიმანო საქართველოსთვის“ (ბიბილეიშვილი, გვარიშვილი, 1999: 34).

მ. აბაშიძის მართებული ხაზგასმით, „სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს“ პოლიტიკური მთლიანობის რეალურად უზრუნველყოფის გზაზე ყველაზე დიდ სირთულეს სარწმუნოებრივი ფაქტორი წარმოადგენდა. უმთავრესი ბარიერი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში დედასამშობლოს მოწყვეტილ და სხვა სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცეულ ქართველებსა და მათ ქრისტიან მოძმეებს ერთმანეთთან დამაკავშირებელ გზაზე ეღობებოდათ წინ, მათი რელიგიური რწმენის განსხვავებულობა იყო. მართალია, მ. აბაშიძეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ქრისტიანული სარწმუნოების განსაკუთრებული როლი ქართველი ხალხის ისტორიაში,

მაგრამ, მისი ღრმა რწმენით, არც იმ ადამიანების ქართველობაში უნდა შეგვეტანა ეჭვი, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ გარემოებათა გამო მუსულმანები იყვნენ.

სამწუხაროდ, ჩვენი ერის სარწმუნოებრივი მთლიანობის რღვევის ამ პროცესმა XVI-XVII საუკუნეებში იმდენად დიდი მასშტაბები შეიძინა, რომ თურქეთის მიერ დაპყრობილი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა უდიდესი ნაწილი მართლმადიდებლურ ქრისტიანობას მოწყდა და სხვა რელიგიურ აღმსარებლობათა, პირველ ყოვლისა კი მაჰმადიანობის, მიმდევარი გახდა. „სამუსლიმანო საქართველოს“ ქართველთა შთამომავლობაში ეს რელიგია საუკუნეთა განმავლობაში იმდენად ფართოდ გავრცელდა, რომ დღეს საქართველოშიცა და მის ფარგლებს გარეთაც ამ აღმსარებლობის მიმდევარი მილიონობით ქართველი ცხოვრობს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩვენი ქვეყნის მუსულმანურ მოსახლეობაში ნებაყოფლობით მიმდინარეობს წინაპართა რელიგიური რწმენის აღდგენის პროცესი, ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში ის ქართველებიც აქტიურად არიან ჩართული, რომლებიც კვლავაც რჩებიან ისტორიული ავბედობის შედეგად მათი წინაპრების მიერ მიღებული მაჰმადიანური სარწმუნოების ერთგულნი. აქედან გამომდინარე, დღევანდელ ქართულ რეალობაზე დაყრდნობით, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება თქმა იმისა, რომ მ. აბაშიძის მიერ ეროვნულ იდეალად დასახული ეროვნული ერთობა ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველებისა უკვე რეალურად არის მიღწეული.

იმის გამო, რომ „სამუსლიმანო საქართველოს“ ნაწილის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ ამ რეგიონის მოსახლეობის შერწყმა-შესისხლხორცების პროცესი ქართულ ინტელექტუალურ და საგანმანათლებლო სამყაროსთან საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობდა, მათი ცნობიერების არსებითი გარდაქმნა ზემოთ აღნიშნული მიმართულებით ფაქტობრივად მხოლოდ მეოცე საუკუნეში ხდება. მიუხედავად იმისა, რომ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ამ პროცესის წარმართვის საქმეში იმ პერიოდის მთელი ჩვენი ინტელექტუალური ელიტა იყო აქტიურად ჩართული, ამ გარდატეხის უპირველეს და უმთავრეს შემოქმედად მაინც მემედ აბაშიძე იქცა, – ქრონოლოგიური თვალსაზრისითაც და თავისი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და ლიტერატურულ-პუბლიცისტური

მოღვაწეობის მასშტაბებითაც მკაფიოდ გამორჩეული პირველი მუსლიმანი ქართველი მამულიშვილი მთელი „სამაჰმადიანო საქართველოდან."

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, მემედ აბაშიძის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მრწამსის განმსაზღვრელი უმთავრესი პრინციპების შესწავლას არა მარტო ისტორიული თვალსაზრისით უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, არამედ თანამედროვეობის არსში გასარკვევადაც და სამომავლო განვითარების სწორი ორიენტირების დასადგენადაც.

მ. აბაშიძის ეროვნულ მოძღვრებაში ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით ყველაზე მეტად ფასეული და მნიშვნელოვანი იმ ფაქტორების აქტიური ძიებაა, რომელნიც სარწმუნოებრივად ერთმანეთისაგან გამიჯნული ქართველებისათვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთობის აღდგენის საფუძვლად უნდა ქცეულიყვნენ.

ამ ფაქტორთაგან მ. აბაშიძე უწინარეს ყოვლისა ჩვენს ენობრივ ერთობას გამოყოფს და თავის ამ მოსაზრებას ერთ-ერთ წერილში ამგვარი განზოგადებული ფორმით გამოთქვამდა: „როდესაც ესა თუ ის ერი დაკარგავს მშობლიურ ენას, შემდეგ დაურჩება განა მას რაიმე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სახე? რასაკვირველია, არა" (აბაშიძე, 1998: 137).

ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებაზე დაყრდნობით, „საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს" გამთლიანების პერსპექტივას 1919 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში მ. აბაშიძემ ასეთი შეფასება მისცა: „სიტყვა „საქართველოს" განმარტება არ ესაჭიროება. როცა „საქართველო" ითქმის, მაშინ, უპირველეს ყოვლისა, ამ სახელწოდების ენით მოლაპარაკე ერის მიწა-წყალი, სამშობლო თვალწინ წარმოგვიდგება, რასაც საქართველო და საქართველოს ენით მოლაპარაკე ერი – ქართველი ეწოდება.

და ამიტომაც არის, რომ სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს პოლიტიკური მთლიანობისთვის ვმუშაობთ" (აბაშიძე, 1998: 152).

როგორც დამოწმებული ფრაგმენტითაც თვალნათლივ ჩანს, ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველების ეროვნულად გამაერთიანებელ უმთავრეს ძალად მ. აბაშიძეს მათი ენობრივი ერთობა მიაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული ავბედობის გამო ისინი საუკუნეების განმავლობაში იყვნენ ერთმანეთისაგან განთიშული, ზემოთ ხაზგასმული ენობრივი ერთობა ყოველგვარი დაეჭვების გა-

რეშე ადასტურებდა ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველების ეროვნულ მთლიანობასა და განუყოფელობას.

მ. აბაშიძისავე განმარტებით, მის მიერ იდეალად დასახული მიზნის „ძირითადი აზრი, იდეია ორი მუხლისაგან შედგებოდა: პირველი ძირითადი აზრი იყო საქართველოს მთლიანობა და მეორე – სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია“ (აბაშიძე, 1998: 163).

იმის გათვალისწინებით, რომ დედასამშობლოსაგან ოთხსაუკუნოვანი განშორების მიუხედავად, „სამუსლიმანო საქართველოს“ ქართული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კვლავაც მშობლიური ენობრივი სამყაროს წიაღში ცხოვრობდა, მ. აბაშიძე ღრმად და დაუეჭვებლად იყო დარწმუნებული იმაში, რომ მის მიერ იდეალად დასახული ზემოთ აღნიშნული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთობის აღდგენა სულაც არ წარმოადგენდა უტოპიური ოცნების საგანს.

თუმცა, მ. აბაშიძის მტკიცებით, სხვადასხვა სახელმწიფოებრივ და ყოფით-სარწმუნოებრივ სივრცეში ხანგრძლივად ცხოვრებამ ქრისტიანი და მუსულმანი ქართველები, მათი ეროვნული ერთობის მიუხედავად, იმდენადაც დააშორა ერთმანეთს, რომ „სამუსლიმანო საქართველო“ ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში მხოლოდ და მხოლოდ ფართო ავტონომიის სტატუსით უნდა შესულიყო. „რაკი ჩვენი სარწმუნოება და სოციალური ცხოვრება მეორედგან განირჩევა, – წერდა იგი 1919 წელს გამოქვეყნებულ წერილში, – ჩვენი ქვეყნის მთავრობის სახეც სხვა იქნება, რასაც კი საქართველოს საზღვრებში სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომია უზრუნველყოფს. მართალია, ჩვენი ქვეყანა მთელ საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის, მაგრამ, ამავე დროს, იგი თავის შინაურ საქმეებში სრულიად დამოუკიდებელი არის. სწავლა-განათლება, სასამართლო, ადმინისტრაცია, ერობა, შარიეთი, კანონმდებლობა და სხვა ჩვენი იქნება. ერთი სიტყვით, ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონი ჩვენივე ქვეყნის ხალხი იქნება“ (აბაშიძე, 1998: 152).

ეროვნულ იდეალად დასახული ზემოთ აღნიშნული მიზნის მისაღწევად მ. აბაშიძე არა მარტო თავისი პუბლიცისტიკით იბრძოდა აქტიურად, არამედ პრაქტიკულადაც. კერძოდ, ამ თვალსაზრისით მან მეტად მნიშვნელოვანი მუშაობა გასწია მისივე ინიციატივით შექმნილი „ქართველ მუსლიმანთა კომიტეტისა“ და „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ თავმჯდომარე-

ობისა და ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა მეჯლისის ხელმძღვანელად ყოფნის პერიოდში.

მიუხედავად იმისა, რომ დედასამშობლოს შემადგენლობაში აჭარის ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრების პრობლემის გადაწყვეტად გამართულ უმწვავეს ბრძოლაში თანამოაზრეებიც მრავლად ედგნენ გვერდით, ლიდერის როლის შესრულება პირველ ყოვლისა მაინც მას უხდებოდა და „სამუსლიმანო საქართველოს“ მოსახლეობის სახელით ხსენებული ორგანოების მიერ მიღებული ყველა დადგენილება, რომელშიც ჩვენი ქვეყნისა და აჭარის რეგიონის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მთლიანობაა ერთმნიშვნელოვნად ხაზგასმული, მხოლოდ ფორმალურად არ ბოლოვდება მემედ-ბეგ აბაშიძის ხელმოწერით.

აღნიშნული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა მემედ აბაშიძისა და მისი თანამოაზრე მუსლიმანი ქართველების: ზია აბაშიძის, გულო აღა კაიკაციშვილის, ისკანდერ ცივაძის, ხასან ლორთქიფანიძის, სულეიმან ბეჟანიძისა და სხვათა ორგანიზებით ბათუმსა და მის ოლქში 1919 წელს გამართულ ხალხმრავალ მიტინგებთან დაკავშირებით იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციები (ხსენებული პუბლიკაციები იხ. წიგნში: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, III, 2002 წ.).

მაგალითად, 1919 წლის 18 ივლისს ქობულეთში გამართულ მიტინგზე გამოსვლისას მ. აბაშიძემ ერთხელ კიდევ განუმარტა ადგილობრივ მოსახლეობას, რომ მათი უმთავრესი „საზრუნავი საგანი უნდა ყოფილიყო ის, რომ ისინი ავტონომიურად შეერთებულიყვნენ ჩვენს სამშობლოსთან. თუ ეს ასე არ იქნებოდა, უბედურება დაატყდებოდათ თავს, დასუსტდებოდნენ, გადაგვარდებოდნენ, მოწყდებოდნენ დედას და უცხოელების სათარეშოდ გადაიქცეოდნენ.“

გაზეთ „სახალხო საქმის“ ინფორმაციით (1919 წლის 25 ივლისი), „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ თაოსნობით მსგავსი ხასიათის მიტინგი 20 ივლისს ბათუმშიც გამართულა, რომელსაც ბათუმის ოლქის სამომავლო ბედის გადაწყვეტასთან დაკავშირებით მემედ აბაშიძის ხელმოწერით ასეთი შინაარსის დეპეშა გაუგზავნია პარიზის სამშვიდობო კონფერენციისათვის: „ჩვენ, ბათუმის ოლქის მცხოვრები ქართველი მუსლიმანები,

საქვეყნოდ ვაცხადებთ, რომ ჩვენი მტკიცე სურვილია შემოვუერთდეთ ავტონომიურად ჩვენს დედა-სამშობლოს საქართველოს, ვინაიდან ჩვენ ეროვნებით ქართველები ვართ, რასაც ამტკიცებს ჩვენი წარსული, ჩვენი ენა, ჩვენი ზნე, ჩვეულება და ხასიათი.“

„სახალხო საქმის“ ზემოთხსენებულ ნომერში აჭარის სხვა რეგიონებში გასამართი კრებების გრაფიკიცაა დაბეჭდილი: „განზრახულია გაიმართოს კრებები შემდეგს ადგილას: აჭარისწყალზე – ივლისის 23-ს, ქედაში – 25-ს, ხიჭაურში – 29-ს, ხულოში – აგვისტოს 1-ს, ბორჩხაში – 8-ს. ბორჩხაში თავს მოიყრის ართვინის ოლქის მცხოვრებნი და სოფლების წარმომადგენელნი. Kკრებაზე მოხსენებით გამოვლენ განმათავისუფლებელი კომიტეტის წარმომადგენლები.“

სამწუხაროდ, მ. აბაშიძისა და მისი თანამებრძოლების მიერ დაგეგმილი ამგვარი კრებებისა და მიტინგების ჩატარება რეგიონში იმხანად არსებული ანტიქართული ძალების აქტიურობის გამო ყოველთვის ვერ ხერხდებოდა ხოლმე. მაგალითად, „სახალხო საქმის“ ინფორმაციით (1919 წლის 15 თებერვალი), „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ წარმომადგენლებს მიტინგის ჩატარების უფლება პრინციპულად არ მისცეს ბათუმის ოლქის იმჟამინდელი მმართველის, ინგლისელი გენერალ-გუბერნატორის – კუკ-კოლისის მიერ საგანგებოდ წარგზავნილმა ინგლისელმა ოფიცრებმა.

მათ მიტინგის ჩასატარებლად ქედაში მიმავალი მ. აბაშიძე დააკავეს და დასაკითხად გენერალ-გუბერნატორთან მიიყვანეს. გუბერნატორთან საუბრის დროს მ. აბაშიძეს შემდეგნაირად განუმარტავს იმ მიტინგების უმთავრეს მოთხოვნათა არსი, რომელთა გამართვაც მთელი ბათუმის ოლქის მასშტაბით ჰქონდათ დაგეგმილი მასა და მის თანამოაზრეებს. გუბერნატორის შეკითხვაზე, რა სურდა მას, მ. აბაშიძეს ასეთი პასუხი გაუცია: „მე მსურს ჩემი ხალხის კეთილდღეობა. მისი კეთილდღეობა კი მხოლოდ საქართველოსთან შეერთებით შეიძლება და კიდევაც ასე უნდა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში აჭარა დაიღუპება და მე ამას არ ვიზამ... დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩემი სიტყვები ჭეშმარიტებაა.“

მთელი აჭარის მასშტაბით გამართული მასობრივი მიტინგებისა და სახალხო კრებების დამაგვირგვინებელ მოვლენად იქცა მ. აბაშიძისა და მისი „კომიტეტის“ წევრების ორგანიზებით 1919 წლის 31 აგვისტოს ჩატარებული ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა

წარმომადგენლების ყრილობა, რომელმაც ერთსულოვნად დაადგინა: „ბათომის ოლქის მკვიდრნი, სარწმუნოებით მუსლიმანები, ისტორიით, სისხლითა და ხორცით, ენით, კულტურით და ადათებით ქართველები“ საქვეყნოდ აცხადებდნენ, რომ „ამიერიდან და სამარადისოდ ბათომი და ბათომის ოლქი უერთდებოდა თავის ბუნებრივ სამშობლოს საქართველოს რესპუბლიკას სამუსლიმანო ფართე ავტონომიის ნიადაგზე“ (აბაშიძე, 1998: 145-146). ყრილობამ აირჩია ბათუმის ოლქის წარმომადგენლობითი ორგანო – მეჯლისი (იგივე პარლამენტი) და მის თავმჯდომარედ ერთხმად დაამტკიცა მემედ აბაშიძე.

გაზეთ „სახალხო საქმის“ შეფასებით (1919 წლის 4 სექტემბერი), „აგვისტოს 31 ბრწყინვალე დღეა სამუსლიმანო საქართველოსთვის, ის საუკეთესო და სათაყვანებელი დღეა ყველა ქართველისათვის. ის არის უბრწყინვალესი ფურცელი საქართველოს ისტორიისა. ის იქნება სადღესასწაულო დღე, როგორც სადღესასწაულო დღეა მთელი საქართველოსთვის დღე მისი დამოუკიდებლობის გამოცხადებისა, დღე 26 მაისისა.“

თუ გავითვალისწინებთ იმ ურთულეს მდგომარეობას, რომელშიც ბათუმი და მთელი აჭარის რეგიონი იმყოფებოდა იმხანად (როგორც ცნობილია, ამ დროისათვის მის მისატაცებლად აქტიურად ეცილებოდნენ ერთმანეთს თურქეთი, რუსეთი, სომხეთი და Aაზერბაიჯანი), ხსენებული დადგენილების მიღება მართლაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ამ რეგიონის პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადასაწყვეტად და დედასამშობლოსთან მის შესაერთებლად.

როგორც ცნობილია, 1917-1921 წლებში, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში, დედასამშობლოსთან „სამუსლიმანო საქართველოს“ შეერთების საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. საზოგადოების ერთი ნაწილი აქტიურად უჭერდა მხარს ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში ამ რეგიონისათვის ფართო ავტონომიის მინიჭებას, ნაწილი კი ამ მოთხოვნის წინააღმდეგ გამოდიოდა.

პრობლემის აქტუალობიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში 1917 წლის ნოემბერში „სამაჰმადიანო საქართველოს სექციაც“ შეიქმნა. სექციის „პირველსავე სხდომაზე ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილმა წამოაყენა წინადადება, რომ სამაჰმადიანო საქართველოში აჭარის (ბათუმის

ოლქის) გარდა, ეგულისხმათ ყოფილი თბილისის გუბერნიის ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, 1878 წლის ბერლინის ტრაქტატით რუსეთის შემადგენლობაში გადასული მთელი ძირძველი ქართული ტერიტორია (ყარსისა და არტაანის ოლქები) და კიდევ მეტი – 1917 წლისათვის რუსეთის ჯარების მიერ დაკავებული თურქეთის ტერიტორია (ქ. ტრაპეზუნდი და სხვ.).

ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ვარაუდობდნენ, რომ ეს უზარმაზარი ტერიტორია აჭარის დახმარებით შემოეერთებინათ და მომავალში ქართული სახელმწიფოსათვის დაემკვიდრებინათ. მემედ-ბეგ აბაშიძემ იმთავითვე შენიშნა ამ გეგმის მთელი უტოპიურობა და საშიში ხასიათი – საქართველო ამ უზარმაზარ ტერიტორიას ვერ შემოიერთებდა. პირიქით, იქმნებოდა საფრთხე თვით აჭარის დაკარგვისა. არც თურქეთი და არც რუსეთი საქართველოს ტერიტორიის ამ მასშტაბებით ზრდას არ დაუშვებდნენ. მოსალოდნელი იყო დიდი საერთაშორისო გართულებები" (სილაგაძე, გურული, 1996: 11).

ეს ყველაფერი აქ იმიტომაც გავიხსენე, რომ მკითხველის ყურადღება კიდევ ერთხელ მიმექცია მ. აბაშიძის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი გეგმების რეალურობისათვის.

* * *

მემედ აბაშიძის აზრით, ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს შორის ისტორიული ავბედობის შედეგად დარღვეული სულიერი ერთობის აღდგენისთვის ბრძოლის გზაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა არ უნდა მიქცეოდა მათი რელიგიური რწმენის განსხვავებულობას. იგი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ რელიგიისა და ეროვნულობის ერთმანეთთან გაიგივება, რასაც იმხანად აკეთებდა ზოგიერთი მისი თანამედროვე, პრინციპული ხასიათის შეცდომა იყო. იმ ფაქტს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების უდიდესი ნაწილი მუსულმანური სარწმუნოების მიმევარი გახდა, მ. აბაშიძის მტკიცებით, მათთვის სულაც არ შეუშლია ხელი იმაში, ისინი იმავდროულად „წმინდა წყლის ქართველებიც" რომ ყოფილიყვნენ.

ასე რომ, მისი თქმით, ქრისტიანული სარწმუნოებისაგან განდგომის მიუხედავად, ჩვენი მუსლიმანი მოძმეებიც „ქართველები არიან, მათ ძარღვებშიც საქართველოს სისხლი სჩქეფს, მათი ზნე-

ჩვეულებებიც ქართულია და ჩვენი ეროვნული თვითშეგნებაც ერთია“ (აბაშიძე, 1998: 69).

იმის გათვალისწინებით, რომ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ეროვნული ერთობის აღსადგენ გზაზე ყველაზე დიდ ბარიერს მათ შორის არსებული რელიგიური რწმენის განსხვავებულობა წარმოადგენდა, აღნიშნულ პრობლემას მ. აბაშიძის პუბლიცისტიკაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული. მისი არაერთგზისი მტკიცებით, ისტორიული ავბედობის გამო რელიგიურად ორად გახლეჩილ ჩვენს ხალხს შორის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთობის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუ „ეროვნულ საკითხებს სარწმუნოებრივ საკითხებს ჩამოვაშორებდით და ეროვნებას და სარწმუნოებას ერთმანეთისაგან გავაცალკევებდით“ (აბაშიძე, 1998: 103).

მ. აბაშიძის აზრით, რელიგიური ერთმორწმუნეობა იმის საფუძველს სულაც არ წარმოადგენდა, ადამიანებს თავიანთ ეროვნულობაზე უარი რომ ეთქვათ და სარწმუნოებრივად თანამოაზრე სხვა ხალხთან ერთად ერჩიათ ცხოვრება. „ერების ერთმანეთის სიყვარული, – წერდა პუბლიცისტი ერთგან, – ბუნების მოვლენა ყოფილა და ადამიანს არ შესწევს ძალა, რომ ბუნებას ეწინააღმდეგოს და თავისი ეროვნული სახე დაჰკარგოს, ანდა თავი შეაფაროს რომელიმე ერთმორწმუნე სახელმწიფოს ბაირაღ-ქვეშ თავის ეროვნულ ინტერესების დასაცველად. ალბანელები და თურქები ერთმორწმუნენი იყვნენ, მაგრამ ალბანელებმა მათ ერთმორწმუნე თურქების ბაირაღ-ქვეშ ვერ ნახეს ეროვნული თავისუფლება“ (აბაშიძე, 1998: 104).

მ. აბაშიძის მიერ ესოდენი სიცხადით გამოთქმული ეს მოსაზრება პირველ ყოვლისა იმ ადამიანთა წინააღმდეგ იყო მიმართული, რომლებიც სწორედ რელიგიური ფაქტორის საფუძველზე მოითხოვდნენ, დედასამშობლოსთან გაერთიანების ნაცვლად „სამუსლიმანო საქართველო“ კვლავაც ერთმორწმუნე თურქეთის ნაწილად რომ ქცეულიყო.

ერთ-ერთი ყველაზე მკაფიოდ გამოკვეთილი თავისებურება, რითაც მემედ აბაშიძის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი თვალთახედვა ქართველ მწერალთა და პოლიტიკოსთა ეროვნულ მოძღვრებათაგან განირჩევა, მისი განსხვავებული სარწმუნოებრივი მრწამსია. ალბათ, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ იგი იმ ქართველ მამულიშვილთა შორის უპირველესია, ვინც პრინციპულად არ გა-

იზიარა ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილის ცნობიერებაში იმხანად დამკვიდრებული ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ქართველი კაცის მიერ მაჰმადიანური რელიგიის მიღება ეროვნულ გადაგვარებასთან იყო გაიგივებული.

მ. აბაშიძის თვალთახედვით, ამგვარი შეხედულება პრინციპულად მცდარ მოსაზრებას წარმოადგენდა და ის ფაქტი, რომ ქართველთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი მაჰმადიანური სარწმუნოების აღმსარებელი იყო, არამც და არამც არ უნდა მიგვეჩნია მათი ეროვნული ცნობიერებისთვის ძირის გამომთხრელ მოვლენად.

ასეთ თვალსაზრისს იგი გაუგებრობას უწოდებდა და 1917 წელს დაწერილ წერილში „სამაჰმადიანო საქართველოს" მოსახლეობის სახელით ასეთ განცხადებას აკეთებდა: „ჩვენ როგორც მაჰმადის რჯულით ვბედნიერდებით, ისე ქართული ეროვნებითა ვამაყობთ." მეორეგან კი წერს: „როგორც ზემოდ აღნიშნული ტერიტორიის მიწა-წყალი, ჰაერი, ბუნება, ენა ქართულია და ხალხი ქართველია, ისე სარწმუნოებით მკვიდრნი ჭეშმარიტი ისლამის ძენი არიან. ვერავითარი ძალა ვერ წარმომიდგენია, რომ მათი სარწმუნოებრივი სიმტკიცე შეარყიოს და აგრედვე ვერც იმისთანა მძლავრი გავლენა მომისაზრებია, რომ მათი ეროვნული გრძნობა ჩააქროს. არც რაიმე ძალის ზეგავლენით მიატოვებენ თურქულ ენას, რომელზედაც ოთხ საუკუნეზე მეტია მათი სოციალური და სარწმუნოებრივი ცხოვრება სწარმოებს და რომელიც სარწმუნოებრივ ენადაა მიჩნეული, და არც რომელიმე ფაქტორის ძალდატანებითა აიღებენ ხელს იმ მშობლიურ ქართულ ენაზე, რომელზედაც ისტორიის უხსოვარ დროიდან დღემდე ლაპარაკობენ და შეუნახავთ. როგორადაც მათი სარწმუნოებრივი დამოკიდებულება თურქებთან ძლიერია, ისე ქართველებთან მათი ეროვნული დამოკიდებულებაც მტკიცეა და შეურყეველი" (აბაშიძე, 1998: 106-107).

დამოწმებულ ციტატაში გამოთქმულ მოსაზრებას მ. აბაშიძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას რომ სძენდა, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ იგი მას სხვა დროსაც ხშირად იმეორებდა ხოლმე. მაგალითად, 1919 წელს „სამუსლიმანო საქართველოს" წარმომადგენელთა ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში მან განაცხადა: „ჩვენ თუ მუსლიმანები ვართ, ხათრისთვის კი არა ვართ, ჩვენ ვაღიარებთ მახმადის სარწმუნოებას, ვიწამეთ მისი დოგმატები და ამ გზას ვერავითარი ძალა ვერ ჩამოგვაშორებს. ამ რწმენას ვერ შეარყევს და ვერც ერთი მიმართულება წინ ვერ გადაგვეღობება. ჩვენთვის ძვირ-

ფასია ორი რამ: ერთი – სარწმუნოება და მეორე – ეროვნება. სარწმუნოებით მუსლიმანები ვართ, ეროვნებით კი ქართველები. რამდენადაც მტკიცედ ვადგევართ ჩვენ სარწმუნოებას, იმდენად მტკიცე და შეურყეველი ვართ ჩვენ ეროვნულ შეგნებაში. ვერავითარი ძალა ვერ გამოგვგლეჯს ჩვენ სარწმუნოებას, ისე ვერავითარი ძალა ვერ დაგვიბნელებს ეროვნულ შეგნებას" (აბაშიძე, 1998: 402).

ვფიქრობ, დამოწმებული მაგალითები სავსებით ნათლად და მკაფიოდ წარმოაჩენენ მემედ აბაშიძის რელიგიური თვალთახედვის არსს. როგორც მკითხველი მათი მეშვეობითაც ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე დაინახავს, მაჰმადიანური სარწმუნოებისადმი ქართველ მუსლიმანთა უღალატო ერთგულება მას არათუ მათი ეროვნული თვითმყოფადობისთვის რაიმე საშიშროების შემცველ მოვლენად არ მიაჩნდა, არამედ იგი ამ რელიგიური აღმსარებლობის დამცველის როლში გამოსვლისგანაც კი არ იკავებს თავს.

მ. აბაშიძის ასეთი პრომუსლიმანური პოზიცია ვინმემ შეიძლება იმჟამინდელი ვითარებით გაამართლოს და ავტორის ლავირებული პოლიტიკის შედეგად მიიჩნიოს. ჩემის აზრით, ამგვარი თვალსაზრისი ნაკლებად სარწმუნოა და რეალურად არ გამოხატავს ამ დიდი მამულიშვილის რელიგიური თვალთახედვის არსსს.

ვფიქრობ, მ. აბაშიძის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძღვრების მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არავითარი ჩრდილი არ მიადგება იმის თქმით, რომ მისი რელიგიური თვალთახედვა გარკვეულწილად პრომაჰმადიანური მიმართულებისაცაა, რითაც აშკარად განსხვავდება ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის სარწმუნოებრივი მრწამსისაგან.

ყოველივე ზემოთქმულს მ. აბაშიძე იმდენად დიდ მნიშვნელობასაც კი ანიჭებდა, რომ, მისი აზრით, უპირველეს ყოვლისა სწორედ ხსენებული რელიგიური ფაქტორი და მასზე დაყრდნობით დამკვიდრებული ყოფით-ცხოვრებისეული პრინციპების განსხვავებულობა უნდა გამხდარიყო მყარი საფუძველი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში „სამუსლიმანო საქართველოს" მკვიდრი ნაწილისთვის – აჭარისთვის ფართო ავტონომიის მინიჭებისა.

თუმცა მ. აბაშიძის ამგვარი რელიგიური თვალთახედვა და აშკარად გამოხატული პრომუსულმანური პოზიცია ვინმემ ისე არამც და არამც არ უნდა გაიგოს, თითქოს ამით იგი, თუნდაც ღრმად შენიღბული ფორმითაც კი, უპირისპირდებოდეს ქრისტიანულ სარ-

წმუნოებას და ამცირებდეს მის უდიდეს როლს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. რასაკვირველია, არა.

ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ეროვნული და სულიერი შეკავშირების გზათა აქტიურად მაძიებელი დიდი მამულიშვილის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ მოძღვრებაში ამ შემთხვევაში უმთავრესი და არსებითი იმის ქადაგება და ერთმნიშვნელოვნად აღიარება იყო, რომ სარწმუნოებრივი ნიშნით ჩვენი ერის დაყოფა და განცალკევება დამღუპველი მოვლენა იქნებოდა. მ. აბაშიძის ღრმა რწმენით, აგრესორი სახელმწიფოების დამარცხება და მძლავრი ქართული სახელმწიფო შექმნა მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი, თუ ქართველი ხალხის ცნობიერებაში ერთმანეთს არ დაუპირისპირდებოდა ეროვნული თვითშეგნება და სარწმუნოებრივი აღმსარებლობა. მ. აბაშიძის მტკიცებით, პირველ ყოვლისა სწორედ ქრისტიანულ და მაჰმადიანურ რელიგიათა აღმსარებელი ქართველების მხოლოდ ამგვარი მშვიდობიანი და ძმური თანაარსებობა დაამკვიდრებდა მათ შორის მტკიცე ეროვნულ ერთობას.

* * *

როგორც უკვე ითქვა, მემედ აბაშიძე არა მარტო სიტყვიერად ქადაგებდა მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და სულიერი ერთობის აუცილებლობას, არამედ აქტიური პრაქტიკული საქმიანობითაც ცდილობდა მის რეალურ განხორციელებას. ამ თვალსაზრისით მან განსაკუთრებით ბევრი რამ გააკეთა 1917 წელს აჭარის მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობის მიერ ქართველ მუსლიმანთა კომიტეტის თავჯდომარედ არჩევის შემდეგ. „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ (შეიქმნა 1918 წელს) თავმჯდომარეობისა და ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა მეჯლისის (1919-1921 წწ.) ხელმძღვანელობის პერიოდში კი მ. აბაშიძის ეროვნულ-სახელმწიფოებრივმა მოღვაწეობამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა.

იმხანად იგი არა მარტო აჭარის უპირველეს ლიდერად იქცა, არამედ ყველაზე ავტორიტეტულ პიროვნებადაც მთელს სამუსლიმანო საქართველოში.

როგორც მ. აბაშიძის ბიოგრაფიიდანაა ცნობილი, ასეთ აქტიურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას იგი სამოღვაწეო ას-

პარეზზე გამოსვლის პირველივე წლებიდან შეუდგა. კერძოდ, მისივე თქმით, XIX საუკუნის ბოლო წლებიდან მოყოლებული მთელი ცხოვრების განმავლობაში იგი „ურყევად იდგა საქართველოს მთლიანობის ნიადაგზე და ბრძოლის ამ ხაზზე არა ერთი და ორი სასტიკი იერიში მოუგერიებია როგორც პრესაში, ისე ყრილობებზე გამოსვლით“, რითაც „კვლავ გაამთელა სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს შორის ჩატეხილი ხიდი.“

1906 წლამდე მ. აბაშიძე სოციალ-ფედერალისტების პარტიის წევრი იყო. მისი თქმით, ამ პარტიასთან იდეურად მისი ამგვარი დაახლოება იმან გამოიწვია, რომ „სოციალ-ფედერალისტების პროგრამიდან მას გულწრფელად იზიდავდა ბრჭყვიალა იდეა ფედერაციისა“ (აბაშიძე, 1998: 371).

მაგრამ იმის გამო, რომ მხოლოდ ერთი „პოლიტიკური პარტიის პროგრამის ჩარჩოებში“ მოქცევა მისი მოღვაწეობის მასშტაბებს ზღუდავდა, 1906 წლიდან იგი ხსენებული პარტიის რიგებს ტოვებს და ყველა იმ პოლიტიკურ ძალასთან იწყებს თანამშრომლობას, რომელთა პრაქტიკული საქმიანობა მის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ პრინციპებს შეესაბამებოდა.

როგორც გურამ შარაძის მიერ მემედ აბაშიძის საოჯახო არქივში მიკვლეული დოკუმენტით ირკვევა, ასეთი აქტიური და წარმატებული საქმიანობისთვის იგი 1918 წლის 10 სექტემბერს „საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის უცხოეთში მოქმედმა კომიტეტმა“ თავისი უმაღლესი ჯილდოთი – თამარ მეფის ორდენით დააჯილდოვა (აბაშიძე, 1998: 30).

მაჰამდიანი ქართველების ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისა და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი გაერთიანებისათვის ბრძოლის საქმეში მ. აბაშიძის ერთ-ერთ უმთავრეს დასაყრდენად იქცა 1919-1921 წლებში მისი რედაქტორობით გამომავალი გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო,“ რომელიც „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ ორგანოს წარმოადგენდა და საკმაოდ პოპულარული პერიოდული ორგანო იყო (მისი ტირაჟი 1500 ცალს აჭარბებდა). Aარსებობის სამი წლის განმავლობაში სულ გამოიცა გაზეთის ხუთასამდე ნომერი. სამწუხაროდ, მათგან დღესდღეობით მხოლოდ სამოცამდე ნომერია მიკვლეული. გაზეთში გამოქვეყნებული მასალები უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის იმდროინდელ აჭარაში არსებული ვითარების შესახებ (გაზეთის გადარჩენილი ნომრები 2008 წელს

ცალკე კრებულად გამოსცეს ნარგიზ აბაშიძემ და თეიმურაზ კომახიძემ).

მ. აბაშიძის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას სძენდა ის ფაქტი, რომ ბათუმსა და მის ოლქში იმჟამად უაღრესად დაძაბული მდგომარეობა სუფევდა და ამ რეგიონის მისასაკუთრებლად აქტიურად ეცილებოდნენ ერთმანეთს თურქეთი, რუსეთი, ინგლისი, სომხეთი და აზერბაიჯანი. თავიანთი აგრესიული დამპყრობლური პოლიტიკის შესანიღბად ამ ქვეყნების მესვეურებმა „სამუსლიმანო საქართველოს“ ტერიტორიაზე იმხანად სხვადასხვა ფსევდოპატრიოტული და პრომუსლიმანური ორგანიზაციებიც შექმნეს, სადაც მათ მიერ მოსყიდული და საკუთარი ხალხის მოღალატე ადამიანები იყვნენ გაერთიანებულნი.

კერძოდ, გაზეთ „სახალხო საქმის“ ინფორმაციით (1920 წლის 4 აგვისტო), იმდროინდელ ბათუმის ოლქში ანტისახელმწიფოებრივ და ანტიქართულ საქმიანობას ექვსი სხვადასხვა ჯგუფის წევრები ეწეოდნენ: „1. Aახალგაზრდა თურქების კომიტეტი; 2. Aაზერბაიჯანის აგენტები; 3. ბოლშევიკები; 4. რუსი მოხალისეები; 5. Aადგილობრივი ადმინისტრაცია, რომელიც არაფრით არ იყო დაკავშირებული ოლქთან და 6. სხვა მოსული ელემენტები.“

თავიანთი აგრესიული საქმიანობით ამ ორგანიზაციათაგან ყველაზე მეტად „სედაი მილეთელები“ გამოირჩეოდნენ, რომლებიც ბათუმში 1919 წელს თურქულენოვან გაზეთსაც კი სცემდნენ. აჭარაში მოქმედი „სედაი მილეთის“ ორგანიზაციის შემადგენლობას „უმთავრესად შეადგენდნენ ოსმალო ოფიცრები, დენიკინელები, სომხეთისა და Aაზერბაიჯანის აგენტები, რომელთაც მხარს უბამდნენ ადგილობრივი და საქართველოს სხვა კუთხეებიდან გადმოხვეწილი საეჭვო წარსულის მქონე პირები და ყაჩაღური ბანდები. ამასთანავე, ადგილობრივ მოსახლეობაში იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ვერ გაერკვიათ თავიანთი პოლიტიკური ორიენტაცია. Aაქ მოქმედებდა რელიგიური ფაქტორიც. ისლამისადმი ფანატიკური ერთგულება და ღვთის სიყვარული ასეთ ადამიანებს ძალაუნებურად სედაი მილეთის გავლენის ქვეშ აქცევდა“ (ზოსიძე, 2002: 117).

ამ ორგანიზაციის უმთავრეს პოლიტიკურ მოთხოვნას ხან აჭარის რეგიონის თურქეთთან შეერთება წარმოადგენდა ცალკე ავტონომიის სტატუსით, ხანაც აჭარისტანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. ეს მოთხოვნები საერთაშორისო მოვლენათა რეალ-

ური განვითარების შესაბამისად იცვლებოდა. A„სედაი მილეთელებს“ იმხანად აქტიურად აუბა მხარი ახლადდაარსებულმა „ბათუმის ისლამურმა საზოგადოებამაც“, რომლის უმთავრეს მოთხოვნას წარმოადგენდა „თურქეთის ტერიტორიულ საზღვრებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ავტონომიურად გაერთიანების იდეა“ (ზოსიძე, 2002: 117).

როგორც მ. აბაშიძის პუბლიცისტიკითა და პრაქტიკული საქმიანობით დასტურდება, გასული საუკუნის ათიანი წლების მეორე ნახევარში მისი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად „სედაი მილეთისა“ და მისი მსგავსი ფსევდოპატრიოტული ორგანიზაციების მესვეურთა მოღალატეობრივი საქმიანობის გამოაშკარავება იქცა. პრესაში გამოქვეყნებულ წერილებსა და სხვადასხვა სახის თავყრილობებზე წარმოთქმულ სიტყვებში მ. აბაშიძე კონკრეტულ არგუმენტებზე დაყრდნობით არწმუნებდა თავის მუსლიმან თანამემამულეებს, რომ „თუ არ გვსურდა ჩვენი ქვეყნის დაღუპვა, თუ არ გვსურდა, ჩვენი მხარე კვლავ რუსეთის ფარგლებში მოქცეულიყო, თუ არ გვსურდა კვლავ მონობის კლანჭებში ჩვენი არსებობის ჩახრჩობა, – „სედაი მილეთელებს“ არ უნდა ავყოლოდით“ (აბაშიძე, 1998: 214).

სამწუხაროდ, „სედაი მილეთი“ გამონაკლისი არ ყოფილა და ვითარების არსში სათანადოდ გაუთვითცნობიერებელ ჩვენს მაჰმადიან მოძმეებში სეპარატისტული და ანტიქართული სულისკვეთების გასაღვივებლად ძირგამომთხრელ საქმიანობას იმხანად რუსი, სომეხი და აზერბაიჯანელი აგრესორებიც ეწეოდნენ აქტიურად. მ. აბაშიძის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და პუბლიცისტური ღვაწლის შეფასების დროს ჩვენი ქვეყნის ამ დაუნდობელი მტრების წინააღმდეგ მის უკომპრომისო ბრძოლასაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

მაგალითად, გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ 1920 წლის 30 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში – „ადერბაიჯანის ხალხის საყურადღებოდ“ მ. აბაშიძემ მკაცრად ამხილა ის ავანტიურისტული პოლიტიკა, რომლის გატარებასაც აზერბაიჯანის იმჟამინდელი ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები ცდილობდნენ აჭარის რეგიონში მათი ქვეყნის უფლებამოსილების გასაძლიერებლად. მ. აბაშიძის თქმით, თავიანთი ავანტიურისტული ანტიქართული გეგმების განსახორციელებლად „საქართველოს მოკავშირე“ აზერბაიჯანის აგენტები: „ეფენდიევები, ჰამდი ეფენდი და

სხვები დაუკავშირდნენ ბნელ პიროვნებებს, დაურიგეს მათ, ამ ბნელ პირებს, ფულები და გაუშვეს ოლქში სუვერენულ აჭარისტანის საქადაგებლად.“

საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ანალოგიურ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ სომხებიც, რომელთა მიზანიც ბათუმის ოლქის მისაკუთრების გზით შავ ზღვაზე პირდაპირი სახმელეთო გასასვლელის ხელში ჩაგდება იყო.

სამწუხაროდ, ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთობის წინააღმდეგ მიზანმიმართულად მებრძოლმა პანისლამისტურმა ძალებმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში მოვლენათა არსში გაუთვითცნობიერებელი ჩვენი მუსლიმანი თანამემამულეების ერთი ნაწილის არა მარტო უბრალოდ გადაბირება შეძლეს თავიანთ მხარეზე, არამედ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მათი შეიარაღებული გამოსვლების ორგანიზებაც.

მხედველობაში მაქვს ქობულეთსა და მაღალმთიანი აჭარის სხვადასხვა რეგიონებში 1920 წელს მომხდარი ანტიქართული აჯანყებები, რომელთა რეაქციული მიზანდასახულობის გამოაშკარავება და რეალურად არსებული ვითარების არსში თანამემამულეთა გარკვევა იმხანად მ. აბაშიძის პრაქტიკული საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად იქცა.

მაგალითად, 1920 წელს გამოქვეყნებულ თავის ერთ-ერთ წერილში ქობულეთში, ჭვანასა და ხულოში განვითარებულ ზემოთ აღნიშნულ მოვლენებს მ. აბაშიძე „უცხოელების მიერ დაწერილ იმ კომედიას“ უწოდებდა, რომელიც „ჩვენთვის საშინელ ტრაგედიად“ იქცა. მისი შეფასებით, საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული ამ შეიარაღებული გამოსვლებით მათი ორგანიზატორები ევროპის იმაში დარწმუნებას ცდილობდნენ, „თითქოს ბათუმის ოლქის მცხოვრებნი ახლოსაც არ იკარებდნენ საქართველოს, თითქოს თვით ხალხი ბათუმის ოლქისა ამდგარიყოს საქართველოს წინააღმდეგ“ (აბაშიძე, 1998: 262).

საბედნიეროდ, მ. აბაშიძისა და მისი თანამებრძოლი ქართველი მამულიშვილების აქტიურ მცდელობათა შედეგად ჩვენი ქვეყნის მტრებმა სასურველი მიზნის მიღწევა ვერ შეძლეს და ხელოვნურად წარმოქმნილი ეს ანტიქართული კონფლიქტები ადვილად იქნა ლიკვიდირებული.

• • •

ქართველი ხალხის ეროვნული და სახელმწიფოებრივი ერთობის მოწინააღმდეგე ქვეყნებიდან მ. აბაშიძე ყველაზე მკაცრ და უკომპრომისო დამოკიდებულებას რუსეთისადმი ავლენდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა 1918-1921 წლებში დაწერილი მისი წერილები და საჯარო გამოსვლები, რომელთა ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი რუსული იმპერიული პოლიტიკის მხილება და ამ პოლიტიკის მსხვერპლად ქცეული მისი მოტყუებული თანამემამულეებისთვის თვალის ახელის აქტიური მცდელობა იყო.

მაგალითად, „ძმებო! – მიმართავდა იგი 1920 წელს დაწერილ ერთ-ერთ წერილში მუსლიმან ქართველებს, – ნუ თუ ვინმე მართლა ფიქრობთ, რომ რუსებს ჩვენი კარგი სურთ? მათ სურთ ჩვენი დაპყრობა, მათ სურთ ჩვენზე ბატონობა ისე, როგორც წინათ ბატონობდენ. მათ სურთ, რომ ჩვენ არ შევუერთდეთ საქართველოს. და ეს სურთ მიტომ, რომ არ უნდათ ჩვენთვის თავისუფლება, არ უნდათ ჩვენი გაძლიერება. მათ უნდათ ჩვენ მარტონი ვიყოთ, ვიყოთ სუსტნი, რომ შემდეგ, როცა დროს იხელთებენ, მოგვდგენ და თოფის კონდახებითა და ხიშტებით დაგვიმონონ. მათ უნდათ წაგვკიდონ საქართველოს. მათ უნდათ, რომ ისეთი საქმე ჩაგვადენინონ, რაც შემდეგ ჩვენ ძმებთან – ქართველ ქრისტიანებთან – ვერ შეგვარიგებს. მათ სურთ, რომ ორ ძმას შუა მუდამ დუშმანობა იყოს დათესილი“ (აბაშიძე, 1998: 172).

რუსული იმპერიული პოლიტიკის ამგვარი მხილებისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად, მ. აბაშიძეს მრავალი კონკრეტული მაგალითიც მოჰყავდა როგორც ისტორიიდან, ისე თანადროული ვითარებიდან. იგი დაბეჯითებით არწმუნებდა მის თანამემამულეებს, რომ 1918-1921 წლებში ბათუმსა და მის ოლქში რუსი ავანტიურისტების განსაკუთრებული გააქტიურების უმთავრესი მიზანი ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონის მისაკუთრების მცდელობა იყო და ამ თვალსაზრისით დენიკინელებისა და ბოლშევიკების გეგმები არაფრით განირჩეოდა ერთმანეთისაგან.

მ. აბაშიძის თქმით, „შავ ქურქში ჩამჯდარი“ დენიკინელებისა და „წითელ კომუნისტურ მანტიაში გამოხვეული“ ბოლშევიკების საბოლოო მიზანი ამ კონკრეტულ შემთხვევაში ერთადერთი იყო – „ჩვენი ქვეყნის რუსეთზე მიწებება “ (აბაშიძე, 1998: 195).

1920 წელს დაწერილ წერილში „ჩვენში შემოხიზნული რუსების თავხედობა“ რუსი ოკუპანტების ამდაგვარად გააქტიურებული საქმიანობა ბათუმსა და მის ოლქში კი შემდეგნაირადაა მხილებული: „ეს ვაჟბატონები ისე გრძნობენ აქ თავს, თითქო ქალაქი ბათუმი და მისი ოლქი მათი სათარეშო მოედანი იყოს; თითქო აქ სტუმრები ჩვენ ვიყოთ და ისინი კი მასპინძლები ბრძანდებოდენ. ჩვენ არც კი გვეკითხებიან, გვინდა თუ არა, ჩვენი ქვეყანა ისე ააოხრონ რუსეთის ამ „გმირებმა“, როგორც მათ ააოხრეს და გაანადგურეს რუსეთი“ (აბაშიძე, 1998: 172).

მ. აბაშიძის ხსენებული ციკლის წერილები უაღრესად საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ მათში ბოლომდეა გამოაშკარავებული და ნიღაბახდილი ის ილუზიები, რომელთა მეშვეობითაც ბოლშევიკები მილიონობით ადამიანს უბნევდნენ თავგზას. სამწუხაროდ, ქართველი კომუნისტების აქტიურობის შედეგად, ამ ილუზიების ტყვეობაში იმხანად ჩვენი ხალხის გარკვეული ნაწილიც იმყოფებოდა.

მ. აბაშიძის ღვაწლის შეფასების დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მან ამ ილუზიების გასაფანტადაც გააკეთა ძალზე ბევრი რამ. მაგალითად, ზემოთ დამოწმებულ წერილში იგი თავის მუსლიმან თანამემამულეებს შემდეგნაირად უხასიათებდა იმ მდგომარეობას, რომელიც რუსული ბოლშევიზმის გაბატონების შემთხვევაში შეიქმნებოდა ბათუმის ოლქში: „რას ნიშნავს ჩვენში ბალშევიკების გამეფება? ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ქვეყანა სამოქალაქო ცეცხლის ალში გაეხვიოს; ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ქვეყანა ისე დაინგრეს, როგორც დაანგრიეს და გაანიავეს ლენინ-დენიკინის ურდოებმა მთელი რუსეთი; ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ქუჩები სახრჩობელებით მოიფინოს და ზედ ყოველდღე „ჩრეზვიჩაიკების“ გადაწყვეტილებით ჩვენი ქვეყნის შვილები ჩამოჰკიდონ; ეს ნიშნავს იმას, რომ შედარებით ჩვენი მყუდრო ცხოვრება ლენინის დელიყანდებმა ააფორიაქონ, გათხარონ თხრილები, გაამეფონ ხოცვა-ჟლეტა, მოშალონ რკინის გზა, მოიტანონ შიმშილი და სიცივე, ათასგვარი ავათმყოფობა და სხვა უბედურებანი“ (აბაშიძე, 1998: 173).

როგორც ვხედავთ, მ. აბაშიძემ იმთავითვე სავსებით სწორად დაინახა და უცდომელი სიზუსტით შეაფასა ის მოვლენა, რომ ლენინისა და დენიკინის იმპერიალისტური მიზნები არაფრით განირჩეოდნენ ერთმანეთისაგან და „დიდი, მთლიანი და განუყოფელი რუსეთისთვის“ აქტიურად მებრძოლი ამ ავანტიურისტების იმპე-

რიული პოლიტიკა მხოლოდ იმით განსხვავდებოდა ერთიმეორისგან, რომ „დენიკინი მატუშკა როსსიას“ სახელით აერთიანებდა რუსეთს, ლენინი კი იმავეს „სოციალიზმის“ ხელით ლამობდა.“ სინამდვილეში „სოციალიზმი აქ მხოლოდ შირმა იყო, ნამდვილათ კი ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ იმპერიალიზმი“ (აბაშიძე, 1998: 206).

ასე რომ, მ. აბაშიძის თქმით, „რუსეთის იმპერიალისტები, წითლები არიან ისინი თუ შავები, ორივე ერთი მადითაა შეპყრობილი. ეს ძალაა თავისუფალ ერთა დაპყრობა და დიდი რუსეთის აღდგენა ბველ საზღვრებში.“ ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, თავისი მუსლიმანი თანამემამულეების სახელით, მ. აბაშიძე კატეგორიული სიცხადით ასკვნიდა, რომ ჩვენს ხალხს „არც მათი ლენინი სურდა და არც დენიკინი.“

რუსული იმპერიალიზმი მემედ აბაშიძეს უაღრესად საშიშ მოვლენად იმიტომაც მიაჩნდა, რომ რუსი კოლონიზატორები არა მარტო უბრალოდ იპყრობდნენ და იმორჩილებდნენ სხვა ხალხებს, არამედ მათი ეროვნული თვითშეგნების გაქრობა-ამოძირკვისთვისაც იბრძოდნენ აქტიურად. ამ თვალსაზრისით ისინი გაცილებით უფრო მკაცრნი და დაუნდობელნი იყვნენ, ვიდრე მათი თურქი კოლეგები. მიუხედავად აშკარად გამოხატული იმ ანტითურქული ტენდენციისა, რომელიც მ. აბაშიძის მთელს ცხოვრებასა და მოღვაწეობას გასდევდა გამჭოლ მიმართულებად, თურქულ აგრესიასთან შედარებით, რუსული კოლონიალიზმი მას გაცილებით უფრო საშიშ მოვლენად მიაჩნდა.

ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად გავიხსენოთ 1920 წლის 16 აპრილს გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოში“ გამოქვეყნებული წერილი – „განუყოფელი გურჯისტანი,“ რომელშიც ზემოთ მოხსენიებული ორი დამპყრობლის მიერ ჩვენი მუსლიმანი თანამემამულეებისათვის თავსდატეხილი უბედურება რუსულ-თურქულ აგრესიათა ერთმანეთთან შეპირისპირების ფორმით შემდეგნაირადაა წარმოჩენილი: „გურჯების ქვეყანას საუკუნოებით ებრძოდენ, იპყრობდენ, ატყვევებდენ, მაგრამ ვერ იმონებდენ. ბველთაგან ამაყ და რაინდ გურჯისტანს ოსმალეთმა ჩამოაშორა მისი საუკეთესო ნაწილი ბათუმი და მთელი მისი ოლქი, მაგრამ ამ კუთხეში მცხოვრებ გურჯებს კი გურჯის სახელი ვერ წაართვა.

რუსეთის გაბატონების შემდეგ ბათუმიდან და მთელი გურჯისტანიდან ჩვენი ზოგიერთი ძმები ოსმალეთში გადასახლდენ, დასტოვეს სახლ-კარი, ყველაფერი, მხოლოდ მარტო გურჯის სახელი

წაიღეს... თვით ოსმალეთიც მათ ეძახის „მოჰაჯირ გურჯს“ და არა თურქს. ძველმა რუსეთმა კი დატყვევებულ გურჯისტანს გურჯის სახელიც კი წაართვა და რუსებს ეძახდა, სდევნიდა და აქუცმაცებდა, ჰკლავდა ერთობას და თავისუფლებას. ასევე სჩადის ბოლშევიკური რუსეთი დღეს. რა განსხვავება არის ძველსა და ახალ რუსეთს შორის? ძველი რუსეთიც იპყრობდა და ავიწროვებდა პატარა ერებს, ანთხევდა შურსა და მტრობას მოძმეთა შორის; იმერელს ანსხვავებდა გურულისაგან, გურულს – აჭარელისაგან. ამავეს სჩადიან ბალშევიკ-დენიკინელები დღეს.“

ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთობის მიღწევის გზაზე ერთ-ერთ უდიდეს დაბრკოლებად მ. აბაშიძეს, ბუნებრივია, ის კოლონიზატორული პოლიტიკაც მიაჩნდა, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში ატარებდა თურქეთი ჩვენი ქვეყნის მიმართ. მიუხედავად თურქებისა და ჩვენი მუსლიმანი თანამემამულეების სარწმუნოებრივი თანამოაზრეობისა, მ. აბაშიძეს შეუმცდარი სიზუსტით ჰქონდა გაცნობიერებული ამ დამპყრობლური პოლიტიკის არსი და არა მარტო თურქი კოლონიზატორების წინააღმდეგ იბრძოდა შეუვალი სიმტკიცით, არამედ იმ ქართველი მაჰმადიანებისთვის გონების თვალის ასახელადაც, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ ჩვენს ქვეყანასთან ე. წ. „ოსმალოს საქართველოს“ შეერთების.

როგორც ცნობილია, თურქი კოლონიზატორებისა და, საერთოდ, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთობის სხვა მოწინააღმდეგეების მიერ გატარებული მზაკვრული პოლიტიკის შედეგად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ მუსლიმან ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი მშობლიური მიწიდან აიყარა და ოსმალეთში გადასახლდა. ამ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმის უმთავრეს საფუძვლად ზემოთ მოხსენიებულ პიროვნებათა მიერ იმის ქადაგება იქცა, თითქოს რუსეთის იმპერიის ნაწილად ქცეულ საქართველოსთან შეერთებით ამ რეგიონის მოსახლეობას ძალით მოწყვეტდნენ მუსლიმანურ რელიგიას და გააქრისტიანებდნენ.

ადგილობრივი მოსახლეობის დამაშანტაჟებელი ამ ხმების გავრცელებას თურქებზე არანაკლები ძალით რუსი კოლონიზატორებიც მიზანმიმართულად უწყობდნენ ხელს. ამით ისინი ცდილობდნენ ქართული შავიზღვისპირეთის რეგიონი მკვიდრი მოსახლეობისაგან დაეცალათ, რათა მათს ადგილზე შემდგომში რუსები ჩამოესახლებინათ.

ბათუმსა და მის ოლქში მოქმედი ზემოთ უკვე მოხსენიებული ანტიქართული ძალების ბრძოლამ ხსენებული რეგიონის მოსაწყვეტად ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი სივრციდან განსაკუთრებული სიმძაფრე მას შემდეგ შეიძინა, რაც ამიერკავკასიის ფედერაციის სამხედრო სისუსტითა და შინაგანი წინააღმდეგობებით იმედმიცემულმა ოსმალეთმა შექმნილი ვითარებით ისარგებლა და 1918 წლის მარტ-აპრილში ზემოთ ხსენებული ქართული ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, თურქი ოკუპანტებისაგან ბათუმისა და მისი ოლქის განთავისუფლებისა და დედასამშობლოსთან მიერთების მიზნით მ. აბაშიძემ სწორედ ამ ტრაგიკული მოვლენის გამო ჩამოაყალიბა იმავე წლის მაისში „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“, რომელსაც ახალციხეში, ოზურგეთსა და ჭანეთ-ლაზეთშიც ჰქონდა განყოფილებები.

მაგალითად, 1919 წლის 21 იანვარს გაზეთ „საქართველოს“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში მ. აბაშიძეს განუცხადებია: „ლაზისტანში მალე დაარსდება სამაჰმადიანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ოფიციალური განყოფილება, რადგან ლაზებში დიდი მოძრაობაა მთლიანი სამაჰმადიანო საქართველოს შეკრებისათვის – საქართველოს რესპუბლიკაში ავტონომიურად შესასვლელად. ამ მოძრაობას (ქალაქი) რიზეც კი უჭერს მხარს“. 4 მარტის ნომერში გამოქვეყნებული ინფორმაციით კი იგივე გაზეთი უკვე იმის შესახებაც იუწყებოდა, რომ „დაარსდა და მოქმედება დაიწყო ჭანეთ-ლაზისტანის განმათავისუფლებელმა მთავარმა კომიტეტმა. ამ დღეებში მან გამოუშვა მოწოდება ლაზებისადმი“ (სიორიძე, 2002: 91).

„სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტს“ ჰქონდა საკუთარი შეიარაღებული რაზმიც „მუსლიმან ქართველთა ბატალიონის“ სახელწოდებით, რომელსაც მემედის უმცროსი ძმა, გენერალი ასლან აბაშიძე ხელმძღვანელობდა.

1918 წლის 30 ოქტომბერს გაფორმებული მუდროსის საზავო ხელშეკრულებით ანტანტის სახელმწიფოებმა ოსმალეთი, როგორც პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული ქვეყანა, აიძულეს ბათუმის ოლქიდან ჯარები გაეყვანა. თურქი ოკუპანტების ადგილი ინგლისელებმა დაიკავეს. სამწუხაროდ, რეგიონში მანამდე არსებული არასახარბიელო მდგომარეობა ამ მოვლენის შემდეგ არა თუ სასიკეთოდ არ შეცვლილა, არამედ კიდევ უფრო დაიძაბა. შექმნილი

ვითარების გამოსასწორებლად და დაძაბულობის განსამუხტად იტალიის მთავრობამ ბათუმის თავისუფალ ქალაქ-ნავსადგურად გამოცხადება მოითხოვა. თუმცა მოკავშირე სახელმწიფოთა სამთავრობო წრეებში უმჯობესად მიიჩნიეს, ბათუმისა და მისი ოლქის საფუძველზე ცალკე, დამოუკიდებელი სახელმწიფო შექმნილიყო.

აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებამ ადგილობრივი მოსახლეობის უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია. „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისა“ და ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა მეჯლისის სახელით მ. აბაშიძემ 1920 წლის 18 მარტს სპეციალური წერილით მიმართა საქართველოს დამფუძნებელ კრებას. მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაგმობის შემდეგ, ქართველ მუსლიმანთა ლიდერი დამფუძნებელი კრების წევრებს კიდევ ერთხელ შეახსენებდა გასული წლის 31 აგვისტოს ქართველი მაჰმადიანების ყრილობის დადგენილებას ფართო ავტონომიის სტატუსით საქართველოსთან ბათუმისა და მისი ოლქის შეერთების შესახებ და დაბეჯითებით მოითხოვდა ამ გადაწყვეტილების სასწრაფოდ შესრულებას.

იმავდროულად, ანალოგიური მოთხოვნით, ბათუმში ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგიც გაიმართა.

საბენიეროდ, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მთლიანობისთვის საფუძვლის გამომთხრელი ამ მზაკვრული გეგმის ჩასაშლელად მ. აბაშიძისა და ქართველი ერის სხვა სახელოვანი შვილების მიერ გამართულმა აქტიურმა და უკომპრომისო ბრძოლამ სასურველი ნაყოფი გამოიღო და „1920 წლის 11 ივნისს დიდი ბრიტანეთის მთავრობამ მიიღო ბათუმიდან ჯარების ევაკუაციისა და საქართველოსთვის გადაცემის გადაწყვეტილება. 28 ივნისს საქართველოს მთავრობასთან გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებაც, ხოლო 7 ივლისს პრაქტიკულად განხორციელდა რესპუბლიკისათვის ბათუმის ჩაბარება. 9 ივლისს კი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სამხედრო ძალებმა დატოვეს ბათუმი“ (სურგულაძე, სიორიძე, 1996: 68).

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის მტრების მიერ აქტიურად გატარებული ანტიქართული პოლიტიკის შედეგად თითქმის მილიონამდე (დასახელებული რიცხვი პირობითია და ქართველ მუჰაჯირთა ზუსტი რაოდენობის დადგენა ფაქტობრივად შეუძლებელია) ქართველმა მუჰაჯირმა დატოვა თავისი ისტორიული სამშობლო და ყალბი დაპირებებით თავგზააბნეულმა ე. წ. „ოსმალურ მაჰმადიანურ სამოთხეს“ მიაშურა. სამწუხაროდ, გასული საუკუნის

ათიან წლებში კავკასიის რეგიონში იმხანად განვითარებულ გლობალურ მოვლენათა შედეგად, ზემოთ ხსენებულმა მოვლენამ იმდენად დიდი მასშტაბები შეიძინა, რომ შექმნილი მდგომარეობით შეშინებულმა არაერთმა ჩვენმა თანამემამულემ ქართულ სახელმწიფოში მათს ქრისტიან მომმეებთან ცხოვრებას თურქეთში გადასახლება არჩია.

მ. აბაშიძის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღვაწლის შეფასების დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ მას არც ეს ტრაგიკული მოვლენა დაუტოვებია უყურადღებოდ. მაგალითად, 1920 წლის 20 თებერვალს გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში – „სიფრთხილე, სიფრთხილე“ აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით იგი წერს: ყალბი დაპირებებით მოტყუებულ ქართველ მუჰაჯირთა დიდ ნაწილს „გზაში ამოხდა სული, ბევრი გაწყდა სიცივისა და სიმშილისაგან, ბევრი ვერ დაუბრუნდა თავის სახლ-კარს. უცხო მხარეში გაიჭრა მათი სამარე... ბევრია ასეთი საფლავები ჩვენი გაწამებული მომმეებისა ოსმალეთში.

და აღარ იკითხავთ, თუ როგორ გვეპყრობოდენ ოსმალეთში ის ვაჟბატონები, ვინც იყვნენ მიზეზი ესოდენ ჩვენი წამებისა? ეს კარგად იციან იმ ჩვენმა მოძმეებმა, ვისაც წილად ხვდა თავის სამშობლო ქვეყნიდან გაქცევა და უცხოეთში წანწალი. არავითარი დახმარება, არავითარი ნუგეში. დახმარებას ვიღან ჩიოდა, სასაცილოდაც კი გვიგდებდენ: ვერ დაეტიეთ თქვენს ალაგასო?“

მიუხედავად იმისა, რომ მ. აბაშიძე მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში იბრძოდა თურქული კოლონიალიზმის წინააღმდეგ, ამ ბრძოლამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები მაინც 1918-1921 წლებში – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში – შეიძინა. სარგებლობდა რა კომუნისტური რუსეთის მიერ საქართველოსადმი გატარებული იმპერიული პოლიტიკითა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი სისუსტით, თურქეთი ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად დაკარგული და საქართველოსთვის მიერთებული ტერიტორიები კვლავაც უკან რომ დაებრუნებინა.

უმთავრესი პრეტენზიის საგნად ამ შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა ბათუმი და მისი ოლქი იქცა. მ. აბაშიძე, როგორც „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ თავმჯდომარე და ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა მეჯლისის თავკაცი, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, თურქულ აგრესიას წინ

რომ აღდგომოდა და ოდითგანვე ჩვენი ქვეყნის სისხლხორცეულ ნაწილად ქცეული ეს ძირძველი რეგიონი ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებულიყო ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ნათქვამის ნათელსაყოფად მ. აბაშიძის ცხოვრებიდან აქ თუნდაც ამ ეპიზოდის გახსენებაც იქნება საკმარისი: 1918 წელს ბათუმის ოლქს ოსმალეთის საოკუპაციო ჯარი შემოესია. აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით თავად მ. აბაშიძე: „ბათუმის ქალაქის საბჭომ დამავალა, მისასალმებელი სიტყვა მეთქვა ოსმალეთის მხედრობის, საზავო დელეგატებისა და პარლამენტის წევრებისათვის, აგრეთვე თურქი მინისტრებისათვის. მე ამის თანახმა არ ვიყავი, მაგრამ წინასწარ გაზეთში გამოაცხადეს ეს გადაწყვეტილება და იძულებული გავხდი მივსალმებოდი.

ოსმალო იმპერიალისტების ჯარები უკვე უტევდნენ ნატანებს და ოზურგეთს და ზარბაზნების ღრიალი ყურთა სმენას ახშობდა. გამარჯვებით დამთვრალ და ზვიად მთავარსარდალ ვეხიბ ფაშას შემეცნებაში იხაზებოდა ახალი გეგმები აზერბაიჯანის შეერთებისა ბრწყინვალე პორტასთან. მე მივესალმე მათ, როგორც სტუმრებს და ხალხის სახელით ვთხოვე სისხლის ღვრის შეწყვეტა. ამით დავიმსახურე მათი გულისწყრომა, რის შემდეგაც... დამატუსაღეს და გამაგზავნეს ტრაპიზონში“ (აბაშიძე, 1998: 375).

მსგავსი შემთხვევა განმეორდა 1921 წლის მარტშიც. კომუნისტების მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის დღეებში მ. აბაშიძესთან, როგორც აჭარის მეჯლისის თავმჯდომარესთან, ანგორიდან (ახლანდელი ანკარიდან) ჩამოსული სამთავრობო დელეგაცია გამოცხადებულა და წინადადება მიუცია, ბრესტის საზავო ხელშეკრულების საფუძველზე მეჯლისის სახელით სასწრაფოდ მიეღო გადაწყვეტილება თურქეთისთვის ავტონომიური სტატუსით ბათუმის ოლქის გადაცემის თაობაზე.

თავად მ. აბაშიძე აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით 1933 წელს წერდა: „ანგორის დელეგაცია თავისთავად ჩემთვის, მეჯლისისათვის, სახუმარო საქმე როდი იყო. საჭირო იყო მათთვის იურიდიული და რიგიანი პასუხის გაცემა, ამასთან ერთნაირი დიპლომატიური მიდგომაც. საქმე იმაში იყო, რომ ბრესტ-ლიტვის საზავო პირობები დელეგაციას აძლევდა ერთნაირ იურიდიულ საფუძველს ელაპარაკა ბათუმის ოლქის შესახებ“ (აბაშიძე, 1998: 388).

უაღრესად რთული ამ სიტუაციიდან თავის დასახსნელად, მ. აბაშიძემ სასწრაფოდ შეკრიბა მასთან მყოფი მეჯლისის წევრები,

რომელთაც კარგად „ჰქონდათ შეგნებული მეჯლისის ისტორიული მოწოდებაც და დანიშნულებაც.“ თათბირის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ ანგორის დელეგაციის მიერ შეთავაზებული წინადადების არა თუ მიღება, არამედ განხილვაც კი მეჯლისის უფლებამოსილების აშკარა გადამეტება იქნებოდა.

ანგორის სამთავრობო დელეგაციის წევრები მ. აბაშიძის მიერ მათთვის ხსენებული გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ იძულებულნი გახდნენ სამუდამოდ გამოთხოვებოდნენ ერთმანეთს.

• • •

მემედ აბაშიძის აზრით, ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა, რომელიც მუსლიმან ქართველებს მათ ქრისტიან მოძმეებთან ეროვნული ერთობის გზაზე უსათუოდ უნა დაეძლიათ, მათი გაუნათლებლობა იყო. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული ავბედობის შედეგად ერთმანეთისაგან დაშორიშორებული ჩვენი თანამემამულეების შემდუღაბებელი უმთავრესი ძალა – მშობლიური ენა „ოსმალოს საქართველოს“ მკვიდრ მოსახლეობასაც ჰქონდა შენარჩუნებული, მათი ერთი ნაწილის ეროვნული თვითშეგნება აშკარად იდგა დეგრადაციის საშიშროების წინაშე.

როგორც მ. აბაშიძის მრავალმხრივი მოღვაწეობით დასტურდება, მან თავისი ცხოვრებისა და საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ქცეული ამ პრობლემის გადასაჭრელადაც გააკეთა ძალზე ბევრი რამ. საამისო ტრადიცია მ. აბაშიძემ პირველ ყოვლისა მამისაგან – ბათუმის სანჯაყის ბეგისა და სადროშოს მმართველის – იბრაიმისაგან მიიღო. 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად დედასამშობლოსთან აჭარის შემოერთების შემდეგ იბრაიმ აბაშიძე აქტიურად დადგა იმ ქართველი მამულიშვილების გვერდით, რომლებმაც აქტიურად ზრუნავდნენ ხსენებული რეგიონის მოსახლეობაში საუკუნეების განმავლობაში დათრგუნული ეროვნული თვითშეგნების ასაღორძინებლად და განსამტკიცებლად.

ამ საქმეში ი. აბაშიძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების შემოღებას და თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერს აკეთებდა საამისოდ. მაგალითად, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ ბათუმში ქართული სკოლის დასაარსებლად საჭირო მიწის ნაკვეთის გამოყოფის თაობაზე მას 1883 წლის 19 თე-

ბერვალს ხსენებული საზოგადოების ხელმძღვანელობისათვის თბილისში ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნია: „ჩვენ ძმები ვართ ისტორიული უკუღმართობით თურქეთის ხელში ჩავარდნილი და ახლა გამოხსნილი. ჩვენ წინათ გვქონდა საკუთარი სკოლა. იგი დაანგრიეს და ვიღაც ჩინოვნიკმა ხელი მოითბო. მიწის ფართობის დაბრუნებას ვეცადეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. ამ საქმის დაბოლოვება თქვენ უფრო შეგიძლიათ. ჩემი წერილი არ ჩაითვლება კერძო წერილად, არამედ იგი შეიცავს მთელი ბათუმის მაჰმადიან ქართველების აზრს და შეხედულებას“ (ნიორაძე, 1958: 85).

მიუხედავად ი. აბაშიძისა და იმ პერიოდის სხვა ქართველ მამულიშვილთა ამგვარი მცდელობებისა, ზემოთ აღნიშნული პრობლემის მოგვარება საკმაოდ ნელი ტემპით მიმდინარეობდა და საამისოდ აუცილებელი უმთავრესი სამუშაო მაინც სამომავლოდ იყო შესასრულებელი. ეს ყველაფერი მ. აბაშიძეს სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე წლებში რომ ჰქონდა კარგად გაცნობიერებული, ამას ყოველგვარი დაეჭვების გარეშე ადასტურებს მისი პუბლიცისტური შემოქმედება.

მაგალითად, გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ 1919 წლის 29 ივნისის მოწინავეში იგი, როგორც ამ გაზეთის რედაქტორი, ზემოთ ხსენებულ პრობლემასთან დაკავშირებით წერდა: „სკოლები, რაც შეიძლება მეტი სკოლები! აი, რა უნდა იყოს ჩვენი საზრუნავი საგანი. და როცა ჩვენ შვილებს მივცემთ სწავლა-განათლებას, როცა სწავლის შუქით გავუნათებთ მათ ცხოვრების გზას, მაშინ მოღალატეებს ჩვენში ალაგი არ ექნებათ, მაშინ მოსყიდულებს ჩვენი ქვეყანა ვერ იხილავს... მაშ, სწავლა, სწავლა და სწავლა... სკოლები, სკოლები, სკოლები! აი, უპირველესი საჭიროება ჩვენი ხალხისათვის. უმისოდ ჩვენ დავიღუპებით, ბნელეთის ჯურღმულში გადავიჩეხებით“.

მ. აბაშიძის საგანმანათლებლო თვალთახედვა უაღრესად საინტერესო იმითაცაა, რომ ხსენებულ პრობლემაზე მსჯელობის დროს პუბლიცისტი მხოლოდ აჭარის რეგიონით არ შემოიფარგლებოდა და ფაქტობრივად მშობლიურ წიაღს მოწყვეტილი ჩვენი თანამემამულეების ბედზეც ზრუნავდა აქტიურად.

მისი აზრით, იმ უდიდესი „ტანჯვის ატანა, პირუტყვული მოთმინება და მორჩილება“, რაც მისი მუსლიმანი თანამემამულეების ცხოვრებისეულ ხვედრს წარმოადგენდა, „უწინარეს ყოვლისა მხოლოდ მათი უვიცობისა და უმეცრების ბრალი იყო.“ მისი ღრმა რწმე-

ნით, ერთადერთი რეალური გზა, რითაც ეს ადამიანები ამ მდგომარეობიდან თავს დაიხსნიდნენ და ეროვნულ ცნობიერებას განიმტკიცებდნენ, მშობლიურ ენაზე განათლების მიღება იყო.

ეს რწმენა მას ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ დაარსებულ ბათუმის ქართულ დაწყებით სკოლაში სწავლის პერიოდში, განუმტკიცდა. მიუხედავად იმისა, რომ მამამისის – ბათუმის სანჯაყ ბეგ (მმართველ) იბრაჰიმის უშუალო ხელმძღვანელობით მ. აბაშიძეს არაბული, თურქული, სპარსული და რუსული ენებიც შესანიშნავად ჰქონდა შესწავლილი, მისი ლიტერატურულ-პუბლიცისტური და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის უმთავრეს ასპარეზს უპირველეს ყოვლისა მაინც ქართულ საქმეთა კეთება წარმოადგენდა.

თავად მ. აბაშიძის თქმით, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღეებიდანვე მოყოლებული, იგი „ურყევად იდგა საქართველოს მთლიანობის ნიადაგზე“ და ძალასა და ენერგიას არ იშურებდა „სამუსლიმანო და საქრისტიანო საქართველოს შორის ჩატეხილი ხიდის გასამრთელებლად“ (აბაშიძე, 1998: 370).

მ. აბაშიძე უღრმეს კმაყოფილებას გამოხატავდა იმის გამო, რომ ერთმანეთისაგან სარწმუნოებრივად და ისტორიულად გათიშულ მაჰმადიან და ქრისტიან მოძმეებს შორის რეალურად მყარდებოდა ეროვნულ-სულიერი და სახელმწიფოებრივი ერთობა. მის ამ სიხარულს კიდევ უფრო აძლიერებდა და ოპტიმისტურს ხდიდა ის ფაქტი, რომ ამ ერთობის დასამკვიდრებლად საერო პირებთან ერთად სასულიერო პირებიც იბრძოდნენ აქტიურად.

* * *

ასეთ აქტიურ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და შემოქმედებით საქმიანობაში განვლო მემედ აბაშიძის მთელმა ცხოვრებამ. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის გარეშე თუ შინაური მტრებისაგან, მისი ამგვარი საქვეყნო ღვაწლისა და დამსახურების გამო, იგი ფაქტობრივად მთელი სიცოცხლის განმავლობაში იყო დევნილ-რეპრესირებული. Aამ დევნა-შევიწროებას განსაკუთრებით საშიშს ხდიდა ის ფაქტი, რომ დიდი მამულიშვილის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორები მხოლოდ მის მიმართ მტრულად განწყობილი ცალკეული პიროვნებანი კი არ იყვნენ, არამედ თურქეთისა და რუსეთის იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების მესვეურებიც.

თავად მ. აბაშიძე საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის თავმჯდომარისათვის გაგზავნილ წერილში მის წინააღმდეგ მიმდინარე ამ პერმანენტულ ბრძოლას ასეთ შეფასებას აძლევდა: „არც ერთ საგვარეულოს იმდენი დევნა და ვაება-სიდუხჭირე არ გამოუვლია – რაც ჩვენმა გვარმა. გვიჭერდნენ და გვამწყვევდნენ თურქები ტრაპეზუნდის ციხეში და სიკვდილით რომ არ დავესაჯეთ მხოლოდ იმიტომ, რომ თავს უშველეთ გაქცევით. ცგვდევნიდა და ფაქტიურად დატუსაღებულიც ვიყავით გენერალ კუკკოლისის მიერ ინგლისელთა ბათომის ოლქის ოკუპაციის დროს, მაგრამ არც პირველ შემთხვევაში და არც მეორეში – ჩვენ ქედი არ მოგვიხრია იმ მუქარის წინაშე, რომელთაც მოქრთამვა ეწოდება. ყვითელმა ლითონმა, რასაც უხვად გვპირდებოდნენ ყველანი, ვისაც ჩვენი საგვარეულოს მომხრობა უნდოდა საკუთარი პოლიტიკის გასაძლიერებლად, ვერ გაგვაბრიყვა. არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვის ჩვენ გვარს დენიკინელთა ბატონობის დროს... ჩვენ ვაძლევდით იმათაც სათანადო პასუხს და ჩვენი პატარა კუთხე ასე თუ ისე უვნებლად მოვიყვანეთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე“ (კომახიძე, 1993: 74).

როგორც დამოწმებული მასალებიდანაც თვალნათლივ ჩანს, მ. აბაშიძის წინააღმდეგ ბრძოლას საფუძვლად უპირველეს ყოვლისა მისი ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვა ედო, აქტიური და თავდადებული მოღვაწეობა ქართველი ხალხის სახელმწიფოებრივი ერთობის მისაღწევად და დასამკვიდრებლად. მკითხველისათვის ადვილად გასაგებ გარემოებათა გამო, საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში დიდი მამულიშვილის დევნა-რეპრესირებამ კიდევ უფრო მასშტაბური ფორმა მიიღო.

მაგალითად, „საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, ნაციონალ-უკლონისტებმა მიზნად დაისახეს აჭარის ავტონომიის შეზღუდვა. მათი მისწრაფება იყო დაენაწილებინათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია, ჩამოაშორებინათ მისგან ზღვისპირა ზოლი ბათუმის ჩათვლით. ასეთ გადაწყვეტილებას მემედ აბაშიძემ უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადა. ამას მოჰყვა რევკომიდან მისი გაძევება და აჭარის მეჯლისის (პარლამენტის) თავმჯდომარეობიდან უკანონო განთავისუფლება, მაგრამ მემედი პოზიციებს არ თმობდა და აჭარამაც შეინარჩუნა თავისი ტერიტორიული მთლიანობა“ (კომახიძე, 1993: 33).

საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გაჩაღებული აგიტაცია-პროპაგანდის ბრალდების საფუძველზე მემედ აბაშიძე 1923 წლის 24 იანვარს დააპატიმრეს, საქართველოდან გადაასახლეს და სამშობლოში დაბრუნების უფლება მხოლოდ 1928 წელს მისცეს.

საქართველოს საგანგებო კომისიის თავმჯდომარისათვის 1925 წელს გაგზავნილ წერილში აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით იგი წერდა: „1923 წლის დასაწყისში, ქ. ბათუმში მე ვიყავი ადმინისტრატიულად დაპატიმრებული ცხრა თვე: ვიყავი პატიმრობაში ბათუმში და თბილისში. Aამის შემდეგ საქართველოს საგანგებო კომისიის დადგენილებით ვარ გაგზავნილი ქ. ბაქოში.

ამნაირად, ორ წელიწადზე მეტია, რაც მე ჩემს სამშობლოს და ოჯახს მოშორებული განვიცდი საშინელ მორალურ და მატერიალურ უბედურებას. Oოჯახი ჩემი (ავადმყოფი ცოლი და სამი მცირეწლოვანი ბავშვი) იმყოფება მეტად მძიმე მატერიალურ პირობებში, რადგანაც უცხო ქვეყანაში ვერ ვშოულობ საცხოვრებელ სახსარს“ (კომახიძე, 1993: 78).

ყოველივე ზემოთქმულისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით მისთვის წაყენებული ბრალდების უარყოფის შემდეგ, მ. აბაშიძე მოითხოვს, მიეცეს მას საქართველოში დაბრუნების უფლება თუნდაც იმის პირობით, რომ „არ ჩავიდეს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სანამ ამის ნებას არ დართავდნენ სათანადო ორგანოები.“

სამწუხაროდ, მ. აბაშიძის წინააღმდეგ დაუსრულებლად გამართულ ამგვარ უსამართლო ბრძოლებს ის შედეგი მოჰყვა, რომ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში იგი ფაქტობრივად მთლიანად ჩამოშორდა აქტიურ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საქმიანობას.

მემედ აბაშიძის დევნილობისა და რეპრესირების პროცესი საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ 1937 წელს ის და მისი ორი შვილი (მესამემ თურქეთში გაქცევით უშველა თავს) სახელმწიფო უშიშროებამ დააპატიმრა. შვილები ციმბირში გადაასახლეს, მემედ აბაშიძე კი თბილიში დახვრიტეს საქმის გამოძიების გარეშე.

შალვა დადიანი

მიუხედავად იმისა, რომ შალვა დადიანის (1874-1959 წწ.) ეროვნული თვალთახედვა მის მიერ შექმნილ არაერთ მხატვრულ ნაწარმოებში გამოვლინდა, ამ თვალსაზრისით ერთ-ერთ ყველაზე მეტად გამორჩეულ ტექსტად პირველ ყოვლისა მისი ისტორიული რომანი „უბედური რუსი“ უნდა მივიჩნიოთ. ამ ნაწარმოების შესაქმნელად და სრულსაყოფად იგი ათი წლის განმავლობაში (1916-1926 წწ.) მუშაობდა. ნაწარმოების ფრაგმენტები თავდაპირველად 1916-17 წლებში დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოში“, 1924 წელს კი რომანი ცალკე წიგნად გამოიცა. თუმცა მწერალს არც ამის შემდეგ შეუწყვეტია ნაწარმოებზე მუშაობა.

საბჭოთა იდეოლოგიური პოლიტიკიდან გამომდინარე, საბჭოთა პერიოდში რომანი „გიორგი რუსის“ სახელწოდებით იყო ცნობილი და პირვანდელი სახელწოდება მას ამ სისტემის დანგრევის შემდეგ აღუდგა.

„უბედურ რუსზე“ მუშაობის დაწყებას წინ უძღოდა მეტად შრომატევადი მოსამზადებელი სამუშაო, რაზეც საგულისხმო ცნობებს გვაწვდის თვით ავტორი თავის მემუარებში. კერძოდ, რომანზე მუშაობის დაწყებამდე მან გულდაგულ შეისწავლა სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურა, გაეცნო თამარის დროინდელი ეპოქის შესახებ არსებულ როგორც ქართულ, ისე ბიზანტიურ, არაბულ, სომხურ, რუსულ და სხვა ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებს, მოიძია და საგანგებოდ დაამუშავა საარქივო მასალებიც. ამასთან, რომანში აღწერილ ეპოქასთან დაკავშირებით იგი სისტემატურ კონსულტაციებს იღებდა ჩვენი დიდი ისტორიკოსებისაგან.

მწერლის ამგვარ მცდელობას უშედეგოდ არ ჩაუვლია, რის შედეგადაც დაიწერა უაღრესად საგულისხმო რომანი, საგულისხმო არა მარტო თავისი მაღალი მხატვრული დონით, არამედ ისტორიულ-მეცნიერული სიმართლითაც. ნაწარმოებში მეტწილად ობიექტური კეთილსინდისიერებით გაცოცხლდა თამარისდროინდელი საქართველოს ყოფის მრავალი მნიშვნელოვანი ეპიზოდი, განზოგადებული ფორმით აისახა და შეფასდა ისტორიული მოვლენები და იმხანად ჩვენში მიმდინარე პროცესები.

რომანში ასახული ეპოქის გააზრება რომ მეცნიერულ საფუძველს ემყარება და უნიადაგო ფანტაზიის შედეგს არ წარმოადგენს,

ამის დასტურად მეტად მნიშვნელოვანია ივანე ჯავახიშვილის პირადი წერილი, რომელიც მას ნაწარმოების გაცნობის შემდეგ გაუგზავნია შალვა დადიანისათვის 1927 წლის 29 მარტს. რომანის წაკითხვით კმაყოფილი დიდი მეცნიერი თავის სიხარულს გამოხატავს იმის გამო, რომ მწერალმა „საისტორიო თემას მოჰკიდა ხელი". ეს სიხარული იმით იყო გამოწვეული, რომ „მხატვრული მწერლობა საზოგადოებაზე... ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს" (წერილის სრული ტექსტი იხ: ციციშვილი, 1974: 237).

მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, „უბედურმა რუსმა" ოფიციალური ლიტერატურული კრიტიკის გულისწყრომა გამოიწვია. კერძოდ, მწერალს, პირველ ყოვლისა, იდეოლოგიური პოზიციებიდან აკრიტიკებდნენ და ბრალს დებდნენ იმაში, რომ მან ცალმხრივად, გაიდეალებულად წარმოსახა თამარის ეპოქა, მხოლოდ მეფეთა და დიდებულთა ცხოვრებით დაინტერესდა და იმდენად გაიტაცა წარსულის რომანტიკამ, რომ მაშინდელი მწვავე კლასობრივი და სოციალური წინააღმდეგობანი მიაფუჩეჩა და უყურადღებოდ დატოვა.

კიდევ უფრო მკაცრად აკრიტიკებდნენ ავტორს იმის გამო, რომ მან რომანში სათანადოდ არ ასახა „რუსეთის სასიკეთო გავლენა საქართველოზე" და ფაქტობრივად, გიორგი რუსის მხატვრული სახის შექმნით, ანტირუსული განწყობილება გამოხატა. მკითხველისათვის, ვფიქრობ, ადვილი წარმოსადგენი იქნება, რამდენ უსიამოვნებას შეახვედრებდა მწერალს ასეთი კრიტიკა საბჭოური იდეოლოგიის აღზევების წლებში.

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს ყოველივე ზემოთქმულზე, დავიმოწმებ რამდენიმე ამონაწერს რომანის იმდროინდელ შემფასებელთა პუბლიკაციებიდან.

1928 წელს ჟურნალ „მნათობის" მესამე ნომერში დაიბეჭდა პლატონ ქიქოძის წერილი „ქართული მწერლობის ერთი წელი", რომელშიც სხვა ნაწარმოებთან ერთად შ. დადიანის რომანიც იყო განხილული. კრიტიკოსის შეფასებით, „უბედური რუსი" „ობიექტურად რეაქციონური ნაწარმოებია," რომელიც „მარქსისტული ლიტერატურული კრიტიკის ელემენტარული პრინციპების სრულ დამახინჯებას" წარმოადგენს. ეს რომანი კრიტიკოსს იმის უტყუარ საბუთად მიაჩნია, რომ „საქართველოში ჯერ კიდევ ძლიერი იყო წმინდა ფეოდალური მწერლობის რეციდივები და რომ ამ მწერლებს საკმაოდ მკითხველი ჰყავდა". პ. ქიქოძის შეშფოთებას განსაკუთრე-

ბით ზრდიდა ის გარემოება, რომ, შ. დადიანის აზრით, თამარის ეპოქა ეს იყო „იდეალი საქართველოსი", რომ „თამარის ეპოქისებური ლაღი, მშვენიერი, დიდებული და ბრწყინვალე ეპოქა საქართველოს არც ჰქონია და არც ექნება... რომ მაშინდელსავით თავისუფლად არასოდეს უცხოვრია ქართველ ერს".

როგორც მკითხველი ზედმეტი განმარტებების გარეშეც მიხვდება, საბჭოთა იდეოლოგიის მონურად მორჩილი კრიტიკოსი რომანის ავტორის მიერ თამარისა და მისი ეპოქის ამგვარ შეფასებას სოციალიზმის იდეებთან მის დაპირისპირებად მიიჩნევდა. აქედან გამომდინარე, პ. ქიქოძე არა მარტო შ. დადიანის ამ ნაწარმოებს მიიჩნევდა „კომიკურ და დღევანდელი თვალსაზრისით სასაცილო" ქმნილებად, არამედ იმ მკითხველსაც, რომელიც მეოცე საუკუნეში, როდესაც „კომუნიზმის აჩრდილი დაჰქროდა" საქართველოში, სერიოზულად არ ანებებდა თავს ფიქრს იმის შესახებ, რომ საქართველოს დიდ იმპერიად, ბიზანტიად გადაქცევის ბედი მოელოდა... ამიტომ საქართველოში საჭირო იყო ახალი სერვანტესი, რომელიც „უბედური რუსის" პაროდიის სახით დასწერდა ამ ხალხზე ახალ „დონკიხოტს", სადაც გმირი გულუბრყვილო და ქარის წისქვილზე მონადირე დონ-კიხოტი კი არ იქნებოდა, არამედ... „თვით"... თამარ მეფე პლიუს თანამედროვე მეოცნებე, პატრიოტი რომანტიკოსი, რომელიც საბჭოთა საქართველოში თამარ მეფის სასახლის ილუზიებით ცხოვრობდა".

პ. ქიქოძე რომ გამონაკლისი არ ყოფილა და მის ამგვარ თვალსაზრისს სხვა პროლეტარული კრიტიკოსებიც იზიარებდნენ, ეს ნათლად ჩანს მაშინდელი ჩვენი პრესის გაცნობით. მაგალითად, შალვა რადიანმა „მნათობში" 1931 წელს დასტამბულ წერილში - „ქართული მწერლობის ათი წელი" შ. დადიანის „უბედური რუსი" ისეთ ნაწარმოებად მიიჩნია, რომლის სახითაც „მწერალი წარსულის სიმაღლეებიდან გადმოჰყურებდა ახალ ქვეყანას და არქეოლოგიის სამყაროდან ებრძოდა თანამედროვეობას".

„უბედური რუსისადმი" ამგვარი დამოკიდებულების სამწუხარო გამოვლინებას წარმოადგენდა გ. ნატროშვილის წერილიც „მანკიერი რომანი და რედაქტორის უპრინციპო ბოლოსიტყვაობა" („კომუნისტი", 8 ივნისი, 1952 წ.). კრიტიკოსის შეფასებით, შ. დადიანის ნაწარმოები „მავნე იდეების ზეგავლენით" შექმნილი რომანი იყო, რომელშიც ისტორია გაყალბებული, ფალსიფიცირებული სახითაა მოცემული. კრიტიკოსის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევდა ის

ფაქტი, რომ რომანში „რუს-ქართველთა ურთიერთობა მრუდე სარკეში იყო ნაჩვენები". ამდენად, გ. ნატროშვილის დასკვნით, „ფეოდალიზმის გამაიდეალებელ და ხალხთა ურთიერთობის წარსულის არასწორად გამაშუქებელ" ამ წიგნს, როგორც „აშკარა ხარკს ნაციონალიზმის წინაშე", „მხოლოდ ზიანის მოტანა შეეუძლო ხალხთა მეგობრობის საქმისათვის".

წერილში კრიტიკოსის გულისწყრომის ობიექტად წიგნის რედაქტორებიცა და რომანისათვის დართული მათი წერილებიც იყვნენ ქცეულნი (ქართული გამოცემისა - გ. ჯიბლაძე და რუსულისა - ბ. ჟღენტი). გ. ნატროშვილის აზრით, მათ „თვალი დახუჭეს" ყველა იმ შეცდომა-მანკიერებაზე, რითაც ნაწარმოები ხასიათდებოდა.

ისმის კითხვა: რა იწვევდა პროლეტარული კრიტიკის ასეთ მკაცრ აღშფოთებას, რატომ უტევდნენ ასე მძაფრად მწერალს? პროლეტარული კრიტიკა გარკვევით ასახელებდა ამ აღშფოთების განმაპირობებელ ორ მიზეზს - წარსულის იდეალიზაციასა და ანტირუსული განწყობილების გამოხატვას და თვლიდა, რომ ერთ შემთხვევაშიცა და მეორეშიც შ. დადიანი არაპირდაპირი გზით, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა ეპოქას უცხადებდა ბრძოლას.

ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ნაწილობრივ ეს მართლაც ასეა. ჩემი აზრით, შ. დადიანის რომანი მხოლოდ წარსულის განსადიდებლად დაწერილი წიგნი არ არის და იგი ნათლად ავლენს მწერლის პატრიოტულ განწყობილებას, მის არაპირდაპირ კრიტიკულ დამოკიდებულებას საბჭოთა ეპოქისადმი. ეს ყველაფერი, როგორც ქვემოთ შევეცდები ამის ჩვენებას, ნაწარმოებში საკმაოდ მძაფრადაა გამოხატული. ამიტომაც არაფერი იყო მოულოდნელი იმაში, საბჭოური იდეოლოგიის დოგმებით შებოჭილ კრიტიკოსებს ქოქოლა რომ დაეყარათ მწერლისათვის „მავნე რეაქციული" იდეების ქადაგების გამო.

ხალხთა „ინტერნაციონალური ძმობა-მეგობრობის გაფურჩქვნის ხანაში" შ. დადიანმა ქართველი მკითხველის გულში მძლავრი ემოციური შთამბეჭდაობით გააცოცხლა ეროვნული თვითშეგნებისა და სიამაყის მინავლული გრძნობა, გაახსენა მას თამარისდროინდელი საქართველოს დიდება, ის დრო, როცა ჩვენი სამშობლო მთელს წინა აზიაში იმ სახელმწიფოს წარმოადგენდა, რომელიც ახალ ბიზანტიად იყო გამზადებული და ყოველივე ამის ხელყოფისა და გაბედითების მცდელობა ამ რომანტიკულ, იდეალურად ბედნიერ ეპოქაში რუსი უფლისწულის სახელთან აღმოჩნდა დაკავშირებული.

არც ერთი და არც მეორე მხარე არ შეიძლებოდა მისაღები ყოფილიყო საბჭოთა იდეოლოგიისთვის. იმ დროს, როცა საქართველო უზარმაზარი იმპერიის უუფლებო ნაწილს წარმოადგენდა, ჩვენი სამშობლოს ძლევამოსილი სახელმწიფოებრივი წარსულის გახსენება ჩამოღრჩობილის ოჯახში თოკზე საუბარს ნიშნავდა. მეორეც, „დიდ" რუს ხალხთან „ლენინური დაძმობილებისა და დამეგობრების" ხანაში, როცა საბჭოთა იდეოლოგები ყველაფერს აკეთებდნენ ხალხთა ერთმანეთისაგან „გამმიჯნავ" ეროვნულ ინდივიდუალობათა განმსაზღვრელი ნიშან-თვისებების ამოსაძირკვად, წარსულშიც კი ისეთი რუსების „გამოძებნა", რომლებიც კაცს უარყოფით ემოციებს აღუძრავდნენ მათ მიმართ, იდეოლოგიური პოზიციებიდან უკვე იყო უპატიებელი დანაშაული.

ნაწარმოების შეფარული ქვეტექსტის გასააზრებლად, ჩემი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე ერთი პატარა ეპიზოდი, რომელიც თითქოს ორგანულად არცაა დაკავშირებული რომანის ძირითად ამბავთან და, ერთი შეხედვით, უფუნქციო, ზედმეტი დეტალის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებს. ესაა თამარის ჩიტის - გარიელას ამბავი.

ბაღში, აუზთან, განმარტოებული თამარი საყვარელი ჩიტის თამაშს უცქეროდა დაფიქრებული. გარიელა ნებიერად ჭყუმპალაობდა აუზში და ეტყობოდა, რომ კმაყოფილი იყო. მაგრამ უცებ ჩიტი გაშეშდა, მხრები ჩამოუშვა და თვალი ცის უფსკრულს მიაპრყო. თამარს მხედველობიდან არ გამოპარვია გარიელას შეკრთომა და იმ მიზეზის ძებნა დაიწყო, რამაც საყვარელი ფრთოსანი დააფრთხო. მეფემ ცის შორეულ ლაჟვარდში ჯერ წეროების გუნდი დაინახა, შემდეგ გედები და ბატები, ბოლოს კი გარიელებმაც გადაიფრინეს ფრთების შხუილით. ცისკენ უძრავად თვალმიპყრობილი „გარიელა უცებ გაცოცხლდა, მხრები ერთი გაუტყლაშუნა წყალს და ჰაერში აფრინდა. გაშალა ფრთები, ორჯერ თუ სამჯერ კამარა გააკეთა და ეტყობა უნდოდა თავის მოძმეებს გაჰყოლოდა, მაგრამ თითქოს მოაგონდა რაღაცაო და ისარ-ნაკრავივით თამარის ფეხებთან ჩამოეშვა.

აღარც სიცოცხლე, აღარც სიხარული იმას აღარ ემჩნეოდა. მხოლოდ თამარსღა შესცქეროდა, თითქოს იმის სიცოცხლე თამარს ჰკიდიაო".

მეფე ერთბაშად მიხვდა საყვარელი ჩიტის საწადელს და შეძრა იმ მძაფრმა შინაგანმა ტკივილმა, რომელსაც თავისუფლების და-

კარგვა ბადებს ყოველი ცოცხალი არსების გულში. მან ალერსით აიყვანა ხელში ფრთოსანი, თითები ნაზად გადაუსვა და უთხრა: „წყეულიც იყოს და შეჩვენებული, ვინც სხვას თავისუფლება მოუსპოს, იხარე შენც როგორც ერთი ვინმე ხარობს თავისუფლებით!"

ეს უთხრა და ააფრინა ჰაერში.

გარიელამ მხრებ-გაშლილმა ერთი შეინავარდა, შემდეგ, თითქო მადლობის ნიშნად, თამარს სამჯერ თავს შემოუარა, ბოლოს ერთი შეითამაშა და ისარივით აიტყორცნა ცის ეთერში თავისი მოძმეებისაკენ".

ასეთია ამ პატარა ეპიზოდის შინაარსი. მიუხედავად იმისა, რომ აქ მოთხრობილი ამბის ქვეტექსტში შეიძლება თვით თამარის, როგორც პიროვნების, ადამიანურ უფლებათა შეზღუდულობით გამოწვეული ტკივილი დავინახოთ, ვფიქრობ, მას მწერალმა შინაგანად მეორე, უფრო მნიშვნელოვანი დატვირთვაც მიანიჭა. ეს არის, ერთის მხრივ, განდიდება თავისუფლებისა, როგორც უზენაესი ამქვეყნიური ბედნიერებისა, მეორეს მხრივ კი გამოხატვა მისი დაკარგვით გაჩენილი დამრთგუნველი ნაღველისა.

ღრმად მწამს, რომ თავისუფლებაზე მეოცნებე ამ პაწია ჩიტის მეტაფორული სახე-სიმბოლოს შექმნის დროს შ. დადიანს, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა იმპერიის უკიდეგანო სივრცეებით კარდახშული საქართველო ედგა თვალწინ და სწორედ ამ ფაქტმა შთააგონა მას დასახელებული ეპიზოდი.

ნაწარმოებს ისტორიულად ცნობილი ფაქტი უდევს საფუძვლად - თამარ მეფის უიღბლო ქორწინება რუს უფლისწულ იურიზე. როგორც ითქვა, შ. დადიანმა საფუძვლიანად შეისწავლა ქართულ და უცხოურ წყაროებში ამასთან დაკავშირებით არსებული მასალები და სიღრმისეულად გაიაზრა ისტორიული სინამდვილე. რომანში ბუნებრივი ძალდაუტანებლობით თანაარსებობენ ერთმანეთის გვერდიგვერდ ისტორიულად ცნობილი და ფანტაზიით შეთხზული პიროვნებანი. ამ საკმაოდ მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან პერსონაჟთა მეშვეობით შ. დადიანმა შთამბეჭდავად გააცოცხლა თამარის ეპოქა, გვიჩვენა ჩვენი ქვეყნის ამ რომანტიკული და იდეალური ხანის ბრწყინვალე ცხოვრებაცა და ის ფარული შინაგანი წინააღმდეგობანიც, რომლებიც საფუძველს უთხრიდნენ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ მთლიანობას.

მაგრამ რომანი მხოლოდ წარსულის რომანტიკული იდეალიზაციის მიზნით არ დაწერილა და მას სხვა სასიცოცხლო განზომილე-

ბაც აქვს. მასში განზოგადებული ფორმითა და ისტორიულ პერიპეტიებზე დაყრდნობით გამოვლინდა ქართული ბუნების, ქართული ხასიათის როგორც დადებითი, ისე ნაკლოვანი მხარეები. შ. დადიანი ცდილობს სიღრმისეულად წარმოაჩინოს ქართველი კაცის სულიერი სამყარო და, წარსული დიდების რომანტიკულ განცდასთან ერთად, მტკივნეულად დაგვაფიქროს ჩვენი ეროვნული სულისთვის მარად თანმდევ მანკიერებებზეც.

რომანის კითხვის დროს გამოკვეთილად ვგრძნობთ ეროვნული სიამაყისა და თავმოწონების ხაზგასმულად წინა პლანზე წამოწეულ თვითშეგნებას. მწერალი ზეაწეული, პათეტიკური ტონით გვესაუბრება ქართველი ხალხის დიდ საკაცობრიო მისიაზე და ჰიპერბოლურად ახასიათებს ჩვენი ქვეყნის როლს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების თვალსაზრისით. წარსულის ამგვარი რომანტიკული იდეალიზაცია შალვა დადიანის „უბედურ რუსს" მსოფლმხედველობრივად, პირველ ყოვლისა, აკაკი წერეთლის ისტორიული ჟანრის ნაწარმოებებთან ანათესავებს.

„უბედური რუსი" ჩვენი ეროვნული ბუნებისთვის მარადიულად თანამდევი ნაკლოვანებების მამხილებელი რომანიცაა. ერთერთი მათგანია მეტისმეტი მიმნდობელობა სხვათადმი, რაც ხშირად ურთიერთშუღლით, შინაგანი ამბიციურობით, პატივმოყვარეობითა და სხვა თვისებებითაცაა განმტკიცებული. ბედისწერის მწარე ირონიად აღიქმება, თუნდაც, ის ფაქტი, რომ ისეთი უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის მოგვარება, როგორიც თამარის დაქორწინება იყო, დიდებულების გადაწყვეტილებით, სომეხ დიდვაჭარ ზანქან ზორაბაბელს მიენდო. შ. დადიანის რომანში ისტორიულად ცნობილი ეს ფაქტი მძაფრი შინაგანი ცინიზმითაა გააზრებული და მწვავედ წარმოაჩენს ჩვენი ეროვნული უბედურების ერთ უაღრესად საგულისხმო მომენტს - სხვა ერების წარმომადგენელთა საბედისწერო როლს ჩვენი სახელმწიფოებრიობის ისტორიაში.

ეს რომ ნამდვილად ასეა, ამის დასტურად მინდა რომანიდან მკითხველს შევახსენო ერთი მრავალმხრივ საგულისხმო საუბარი, ზანქანსა და მის ნოქარს, სომეხ ვაჭარ გევორქ ჩესტუზიანცს შორის რომ იმართება. ორივე მათგანს ფეხებზე ჰკიდია საქართველოს ბედიღბალი. რუს უფლისწულზე თამარის დაქორწინებას ისინი, პირველ ყოვლისა, პირადი სარგებლიანობით ზომავენ. ეს სარგებელი, ამ გადამთიელთა როლი სახელმწიფოებრივ საქმეთა მოგვარებაში,

სამწუხაროდ, ხშირად როდი იყო უმნიშვნელო. გავიხსენოთ რას ათქმევინებს მწერალი ზანქან ზორაბაბელს ჩესტუზიანთან საუბარში თამარის დაწინდვის შემდეგ: „განა მე ეხლა მძლავრად არ წავავლე ხელი საქართველოს ბედის ჩარხს?! ჰეი, გიდი?.. ისე დავატრიალე, მე მგონი, რომ საუკუნეები, აქ შეჩერდა ზანქანი. რაც ენის წვერზედ ადგა, ის არც მის მესაიდუმლეს გაუზიარა. წარმოსთქვა:

საუკუნეები მიმადლოდნენ. ჩემი ხელი არსადა სჩანს, ვინ წარმოიდგენს, რომ იყო წუთი, როდესაც ხელთ მეჭირა საქართველოს ჩარხი და მე იგი დავატრიალე. ის უკვე ეხლა სრბოლავს ჩემს მიერ წარმართული და ამ სრბოლაში ჰმ! მათდა უნებურად გამოვჭედე ბედი ამ მარგალიტებში და ოქრო-ქსოვილში გახვეულ ქართველთ მზეთუნახავის თამარისა და ბევრი, ბევრი სხვისაც ჰა, ჰა! სულელები! მაგათ კი, ქართველებს, მეფიდან დაწყებული, ყველას ჰგონია, თვით მართავენ თავიანთ საქმეს ის კი არა, მე ვსწვდი ყურში და ჰაიდა! გრიალი მოიღო ბედის ბორბალმა".

ასეთია სამეფო კართან დაახლოებული ამ გადამთიელის აღსარება, მისი ნამდვილი გულისთქმა, რომელიც მრავალმხრივ დამაფიქრებელია და ჭკუის სასწავლი. საქართველო ზანქანისათვის (და მისი სახით სხვა უამრავი გადამთიელისათვის, არასოდეს რომ არ ყოფილან საძებარნი ჩვენში) „ძალიან ტკბილი ლუკმაა. იგი კი არ უნდა დაღუპო, „არც მოკლა და არც აცოცხლო" მეფეებს კი ჰგონიათ, ეგენი მართავენ ქვეყანას ბიზანტია ამაზე ფიქრობდა, მე განვაგებ საქართველოსაო, წინეთ არაბეთი, ეხლა ეს სასულტნოები, ათაბეგები, ხალიფები და სხვა ჯანდაბა ის კი არა ზანქან ზორაბაბელი, სოვდაგარი ტფილ ქალაქისა ის არის ამჟამად ერთ-ერთი და მორჭმული ხელმწიფე საქართველოსი".

რომანში საქართველოს სამეფო კარზე აღზევებული სხვა არაქართველნიც მრავლად დაგვიხატა მწერალმა. მათგან, უწინარესად, უნდა გამოვყოთ დავით აღმაშენებლის მიერ ჩამოსახლებულ ყივჩაღთა შთამომავალნი (ტფილისის ამირა აბულ-ასანი, მისი ვაჟი - სამცხის ბატონი გუზანი, შარაგანი და სხვა). მათ უმეტესობას კარგად აუღია ალღო ქართველთა პატივმოყვარე ბუნებისათვის, მოხერხებულად სარგებლობს სასახლის კარზე არსებული ფარული თუ აშკარად გამოვლენილი დაპირისპირებით და თავის სასარგებლოდ ცდილობს მოვლენათა წარმართვას. ყივჩაღთა 40 ათასიანი ოჯახის ჩამოსახლება საქართველოში დავით აღმაშენებლის მიერ, როგორც ცნობილია, პირველ ყოვლისა, სახელმწიფოებრივი უსაფ-

რთხოების მისაღწევად და შინაური თუ გარეშე მტრების დასათრგუნად საჭირო ჯარის შესაქმნელად გახდა აუცილებელი. ეს ფუნქცია ყივჩაღებმა წარმატებით შეასრულეს, ბევრი მათგანი სამუდამოდ დარჩა აქ და გაქართველდა კიდეც. მაგრამ როგორც რომანიდან ჩანს, თამარის ეპოქაში მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ კავშირი გაწყვეტილი თავიანთ ეროვნულ ფესვებთან.

რუსი უფლისწულის გამზრდელ კუზმასთან საუბრის დროს ყივჩაღი შარაგანი, დაწვრილებით ყვება რა საქართველოში ყივჩაღთა ჩამოსახლების ისტორიას, ამბობს: „მე ეხლა მივხვდი, რათაც მოგვიწვია დავითმა. ქართველები ფრიად შემკული ხალხია, მხოლოდ მათ წარჩინებულებს ერთი დიდი ნაკლი ჰქონიათ: თავისი თავის ღალატი. უკეთუ მათგანი ვინმე ზე წამოიწია და გაღონიერდა, შემდეგ თავს მაღლა იღებს და ურჩობას იწყებს. თვით მეფესაც აღარ ეპუება, საზოგადოს ივიწყებს, საპირადოზე გადადის". შარაგანის ამ სიტყვებში სამწუხარო ჭეშმარიტებაა გაცხადებული და შ. დადიანის რომანში ასეთი საპირადო ზრახვებით გულამღვრეული მრავალი წარჩინებული პიროვნების სახეა დახატული.

მათგან, უწინარეს ყოვლისა, მინდა მოვიხსენიო მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი, თამარის კარზე აღზევებული დიდებული. სიმართლის, ისტორიული ჭეშმარიტების ობიექტურად გამოხატვის პრინციპისადმი ერთგულებამ შ. დადიანს თავისი გვარის ეს შორეული წინაპარიც კი არ დაანდობინა და მთელი სიმკვეთრით წარმოაჩენინა მისი მზაკვრული და ბოროტი ადამიანური ბუნება. ვარდან დადიანმა ერთმა პირველთაგანმა შეასრულა გადამწყვეტი როლი რუსი უფლისწულის საქართველოში ჩამოყვანისა და მასზე თამარის დაქორწინების საქმეში. მის ამ მცდელობას, უპირველეს ყოვლისა, პიროვნული ინტერესები განსაზღვრვდა. იგი ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, კიდევ უფრო აღემაღლებინა თავისი როლი სამეფო კარზე და ფაქტობრივი საჭეთმპყრობელი გამხდარიყო მთელი საქართველოსი. რომანში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ვარდანის ამ ქვენა გრძნობათა და ზრახვათა გამოვლინებას.

მისი მხატვრული სახის შექმნით მწერალმა დახატა განზოგადებული ტიპი სამეფო კართან და სახელმწიფოებრივ მთლიანობასთან დაპირისპირებული იმ ძლიერი დიდებულებისა, რომელთა მსგავსნი, სამწუხაროდ, არასოდეს ყოფილან საძებარნი საქართველოში. ვარდანის ჭეშმარიტი ადამიანური ბუნების შესაცნობად და

წარმოსაჩენად უაღრესად მნიშვნელოვანია რომანის ის ფრაგმენტი, სადაც ამგვარადაა დახასიათებული დადიანის მზაკვრული ზრახვები: „აი, მოდის თამარ, მოდის ზეიმით, მოდის როგორც მეფე, მოდის მის საუკუნოებით სამემკვიდრო ქალაქში! ეს ასეა გარეგან, მაგრამ ნამდვილად კი მოდის, როგორც ტყვე ხელ-ფეხ შეკრული, დაპყრობილი დადიანისაგან, გასაქანი არსაითა აქვს და ამიერიდან აეხადა მეფის უფლება, ის თვით დაქირავებულ ჯარსაც ვეღარ განაგებს, ჯარს, რომელიც სწორედ მეფის ერთგული, მეფის ტახტის დამცველი უნდა იყოს მაშ, ვინ იქნება ამ ჯარის და მაშასადამე მთელი სამეფოს გამგე? იური ხომ არა, ეს უსუსური ღლაპი, ლოთი და გარყვნილი?! თავს რად უნდა ეცრუოს რასაკვირველია დადიანი! იური მხოლოდ თოჯინა იქნება მის ხელში, ეგეც დროებით და შემდეგ დაემხობა ბაგრატიონი! სულ სხვა მოდგმა ვარდანის-ძე დადიანი ამობრწყინდება საქართველოს ტახტზე".

ვარდან დადიანის ამ მზაკვრულ ფიქრებში განზოგადებულად ირეკლება არა მარტო თვით ამ წარჩინებული ფეოდალის, არამედ ბევრი სხვა დიდებულის ზრახვანი და მისწრაფებანი. ასე რომ, ვარდან დადიანი, როგორც პიროვნება, გამონაკლისი არ ყოფილა და იგი ტიპური მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ისტორიისა. ამიტომაც გაამახვილა მასზე მწერალმა ესოდენი ყურადღება და საკმაოდ დრამატულად წარმოაჩინა მისი თანამზრახველების ავბედითი როლი სამეფო კარის ცხოვრებაში.

როგორც ითქვა, ერთ-ერთი მთავარი ბრალდება, რომელიც შ. დადიანს რომანის გამოქვეყნების შემდგომ არაერთგზის წაუყენეს, რუსი ხალხისადმი უპატივცემულობა და უარყოფითი დამოკიდებულება იყო. ამ ბრალდების ავტორები ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის - რუსი უფლისწულის მხატვრულ სახეში გამოვლენილ ადამიანურ მანკიერებებს გულისხმობდნენ. მაგრამ, შ. დადიანის ხაზგასმით, ეს ბრალდება ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული და ერთი პიროვნების მანკიერება მთელ ხალხს არამც და არამც არ უნდა მიეწეროს.

რუსი ხალხისადმი მწერლის რეალური დამოკიდებულება სინამდვილეში ნათლად გამოჩნდა ფანტაზიით შეთხზული პერსონაჟის - კუზმას მხატვრული სახის მეშვეობით. თავისი ადამიანური კეთილშობილებით ავტორმა კუზმა რუსი უფლისწულის სრულ ანტიპოდად დაგვიხატა და ამით არაორაზროვნად გამოავლინა ამ ერისადმი თავისი კეთილგანწყობითი დამოკიდებულება.

რაც შეეხება გიორგი რუსს, მისი ადამიანური მანკიერებანი ობიექტური ასახვაა იმ ვითარებისა, რომლის თაობაზეც საკმაოდ გამოკვეთილადაა საუბარი როგორც რუსულ, ისე ქართულ დოკუმენტურ წყაროებში. უფლისწულის თანამედროვენი არაორაზროვნად გვამცნობენ მისთვის დამახასიათებელ უარყოფით თვისებებს. შ. დადიანი საფუძვლიანად იცნობდა ამ მასალებს და ისტორიულ ჭეშმარიტებას შეულამაზებლად აწვდიდა მკითხველს. ერთადერთი „შესწორება", რომელიც მას ამ ჭეშმარიტების მხატვრულ ხორცშესხმაში შეაქვს, ესაა უფლისწულისადმი გამოვლენილი ადამიანური თანაგრძნობა. მწერალი არსად, რომანის არც ერთ ეპიზოდში, არ ხატავს გიორგი რუსს ტენდენციურად გამოვლენილი არაკეთილგანწყობილებით, თუმცა, სავსებით ბუნებრივად, როგორც ქართველ მამულიშვილს, მას მყარი საფუძველი ჰქონდა საამისოდ.

გიორგი რუსის მხატვრული სახე მწერლის მიერ მოაზრებულია, როგორც ქვეყნისთვის თავს დატეხილი ბედისწერის მკაცრი განაჩენი, სასჯელი ჩვენი ადამიანური სულმოკლეობისა და საქვეყნო ინტერესებზე მაღლა პირადულ ზრახვათა დგომის გამო. ეს გადამთიელი და საკუთარი ქვეყნიდან გამოძევებული კაცი, რომლის ასავალ-დასავალი და ვინაობა მხოლოდ ყურმოკვრით იცოდნენ საქართველოში, სამეფო კარზე ლიქნითა და პატივით მოიწვიეს და თამარის საქმროდ გამოაცხადეს. და ეს ხდება არა იმიტომ, რომ მოხიბლული არიან მისით, როგორც სახელმწიფოს მომავალი ღირსეული მესაჭით, არამედ იმის გამო, რომ ამ უნებისყოფო, გარყვნილ და ლოთ გადამთიელს მოხერხებულად ჩაიგდებენ ხელში, თავის ჭკუაზე ატარებენ და სამეფო ხელისუფლების დამცრობით თავიანთ უფლებებს კიდევ უფრო განიმტკიცებენ. რომანში მრავალი შემზარავი ეპიზოდია აღწერილი სოდომის სენით დაავადებული ამ უზნეო პიროვნების ნამდვილი სახის წარმოსაჩენად.

თამარისა და გიორგი რუსის დაწინდვამ კიდევ უფრო მძაფრად წარმოაჩინა სამეფო კარზე შენიღბულად არსებული წინააღმდეგობანი. ყველა ნათლად ხედავდა, რომ ამ მოვლენამ „კი არ შეჰკრა და შეადუღა საქართველოს ბედის მესაჭენი და ხელმძღვანელნი, არამედ გათიშა და სამტრო ფეხზე დააყენა". ქვეყანა ორ მტრულ ბანაკად გაიყო. მოწინააღმდეგე ბანაკში თავი მოიყარეს თამარის, საერთოდ, ერთიანი საქართველოს, მტრებმა, რომელთა ხელშიც რუსის უფლისწული სათამაშო თოჯინად იყო გადაქცეული. ამ მოვლენით მოხერხებულად სარგებლობდნენ არა მარტო შინაური მტრები, არა-

მედ გარეშენიც, პირველ ყოვლისა კი ბიზანტია, რომელიც მეამბოხე დიდებულებთან დაახლოებით ესწრაფოდა თავისი პოზიციების განმტკიცებას საქართველოში.

ცინიზმის, სულმოკლეობის, ამბიციურობისა და თავხედობის შემზარავ გამოვლინებადაა ქცეული რომანში გიორგი რუსის ბილწ ზრახვათა წარმოჩენა. მწარედ გეღიმება კაცს, როცა კითხულობ, როგორი გააფთრებით ცდილობს საკუთარი ქვეყნიდან გამოძევებული უფლისწული საქართველოს სამეფო ტახტის მისაკუთრებას ქართველ მოღალატეთა მხარდაჭერითა და ჩაგონებით. აი, ამ უტიფარი და თავხედური განსჯის ერთი კონკრეტული გამოვლინება ნაწარმოებში - დიდებულთაგან წაქეზებული ახლადდაწინდული რუსის ფიქრები:

„მართლა ვინ არის მეფე საქართველოში?

აკი მეფედ მე ვარ აღიარებული. მომილოცეს, შემომფიცეს, მეფედ მახსენს... მაგრამ ეს იქ... იმერეთს. აქ კი? აქ მეფეს არ მეძახიან თითქო, რათა? მე ხომ ვაჟი ვარ, ქმარი ქართველთა დედოფლისა... დიაღი, ქმარი!

... არა, ხვალ შევკრებ თათბირს და დადიანს ვეტყვი, რაღას აყოვნებს, გამოაცხადოს, რომ ამიერით მეფე მე ვარ და თამარი კი მხოლოდ დედოფალი".

ამგვარი თავხედური ფიქრები ხშირად ეწვეოდა ხოლმე ბედის ირონიით აღზევებულ უფლისწულს. ამ თავხედობის ერთ-ერთ ამაზრზენ გამოვლინებად იქცა გონებაარეული გიორგის ღამეული სტუმრობა თამარის საძილე დარბაზში დედოფლის დაუფლების მიზნით. მაგრამ პირუტყვად ქცეული უფლისწულის ბილწ ვნებებს რკინის ლაგამი ამოსდო თამარის მტკიცე ნებამ და ნაცემი მხეცივით დარეტიანებული საქმრო ბურტყუნ-ბურტყუნით გამოძუნძულდა დედოფლის სამყოფელიდან.

რაც დრო გადიოდა, გიორგი რუსის უზნეო ადამიანური ბუნება უფრო და უფრო აშკარავდებოდა. შესაბამისად იზრდებოდა დაპირისპირება თამარსა და მის მოწინააღმდეგე ბანაკს შორის. და აი, ჩვენი ისტორიის მარად სამარცხვინო ფაქტად დამკვიდრებული ბრძოლაც – სისხლიანი შეტაკება რუსი უფლისწულის მომხრეებსა და თამარ მეფის ერთგულ ბანაკს შორის. რომანში დაწვრილებითაა აღწერილი ამ ბრძოლის განმაპირობებელი მიზეზები და საომარი ბატალიები, გაშიშვლებულია ამ ორთაბრძოლაში მონაწილე მხარეთა, პირველ ყოვლისა კი მოღალატე დიდგვაროვანთა სულიერი ვნებანი.

როგორც ცნობილია, დამარცხებული და უფლება აყრილი უფლისწულის მიმართ სამეფო კარმა მეტისმეტი ლმობიერება გამოიჩინა და მისი დასჯის დროს იმით დაკმაყოფილდა, რომ გიორგი რუსი საქართველოდან გააძევს ჯერ ბიზანტიაში, შემდეგ კი სპარსეთში. მაგრამ ერთხელაც და მეორეჯერაც პატივაყრილმა უფლისწულმა დაკარგული დიდების დასაბრუნებლად სისხლისმღვრელი ბრძოლები გაუმართა ქართველობას. ისტორიულად ცნობილი ამ ფაქტის გახსენებას რომანში მკაფიოდ გამოვლენილი აზრობრივი უკუფენაც აქვს: ბოროტების მიმართ გამოვლენილი ამგვარი ლმობიერება და მეტისმეტი შემწყნარებლობა მიუტევებელი დანაშაულია. ასეთმა გულჩვილმა პოლიტიკამ ბევრი ვნება მოუტანა საქართველოს და, მწერლის აზრით, მას არავითარი გამართლება არა აქვს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად აქ გიორგი რუსის აღსასრულიც უნდა გავიხსენოთ, რომელიც - ლაშქარშემოფანტული, მარტოშთენელი და სასიკვდილოდ დაჭრილი - „ლიყიან უფსკრულში" გადაჩეხილი და „საზიზღარ ჭაობში" ჩავრდნილი ასრულებს თავის ბედკრულ სიცოცხლეს. რამდენი არ ეცადა იგი უფსკრულიდან ამოფორთხებას, მაგრამ ამაოდ. ტალახში ჩაფლულმა ტანმა კიდევ უფრო ქვევით მოახდინა ზღართანი. „რად მაგონებს ჩემი ცხოვრების ბედს ეს ეხლანდელი ქვეჩამოვარდნა? რა მაღლა ვიყავ და რა დაბლა ვარ ეხლა!" - სასოწარკვეთილი ფიქრობს აწ უკვე კვლავ იურიდ გარდაქმნილი, ყველასაგან მიტოვებული და ქვედანარცხებული გიორგი და ბასრი მახვილით ძარღვებგადაჭრილი თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს.

რუსი უფლისწულისაგან განსხვავებით, შ. დადიანი თამარს ხორცშესხმულ ღვთაებად სახავს, სრულქმნილების იდეალად, ქვეყნის შეუმცდარ მესაჭედ, ღარიბთა და უპოვართა შემწედ და შემწყალედ. ერთი სიტყვით, ყველა საუკეთესო ნიშან-თვისება, რითაც ჩვენს წარმოსახვაში შეიძლება იყოს დამკვიდრებული იდეალი მეფისა და პიროვნებისა, მწერლის აზრით, თამარისათვის უხვად ჰქონდა მიმადლებული განგებას.

მაგრამ შ. დადიანის რომანის ღირსება ისაა, რომ მან ამ ნიშან-თვისებათა ინდივიდუალიზაცია, პერსონიფიცირება მოახდინა და თამარის სახის დახატვით იდეალური ადამიანის უსიცოცხლო სქემა კი არ შექმნა, არამედ ღრმად შთამბეჭდავი გრძნობებითა და საღიერებით გამოკვეთილი ცოცხალი პიროვნება წარმოსახა.

რომანს ღირსებას სძენს ის გარემოებაც, რომ მწერალმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თამარის, როგორც პიროვნების, კონკრეტული ადამიანის, სულიერ მისწრაფებათა დახასიათებას. ასე რომ, მკითხველის ცნობიერებაში თამარის სახე ღრმად აღიბეჭდება თავისი მეფური ღირსებებითაც და პიროვნული კეთილშობილებითაც. ეს ფაქტორი ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი იმითაცაა, რომ თამარის მხატვრული სახის შექმნის დროს მწერალმა ორივე ამ მხარის წარმოჩენა აქცია განსაკუთრებული ყურადღების საგნად. კერძოდ, მისი წარმოსახვით, რამდენადაც მორჭმული, შეუვალი, ბრძენი და უკომპრომისო იყო თამარი, როგორც მეფე, იმდენად ტრაგიკულ და „გულმკვდარ" პიროვნებად წარმოგვიდგება იგი, როგორც ადამიანი.

ამ ორი მხარის ესოდენ მკვეთრი გამიჯვნა ერთმანეთისაგან ყველაზე მეტად მაშინ გამოჩნდა, როცა მეფის პიროვნული ცხოვრების ყველაზე ფაქიზი საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო - მისი გათხოვება. არც ამ შემთხვევაში იყო თამარ დედოფალი თავისუფალი და არჩევანში შეუზღუდველი. ეს არჩევანიც ქვეყნის ინტერესებს უნდა დაქვემდებარებოდა და არა საკუთარი გულისხმის კარნახს. თამარს, როგორც ბრძენ პოლიტიკოსს, ამის ახსნა, მართალია, არ ჭირდებოდა, მაგრამ იგი წინასწარვე ხედავდა, რომ მისი ქმრის არჩევის საკითხს ყველა საქვეყნო ინტერესების გათვალისწინებით როდი სჯიდა. ამ შემთხვევაში ხშირად საპირადო, ქვენა გრძნობები უფრო ძლიერი იყო, ვიდრე საზოგადო საქმისათვის თავდადება. თამარი წინასწარ გრძნობდა, რომ დიდებულთა დაძალებით გადადგმული ნაბიჯი რუს უფლისწულზე მისი დაწინდვისა, გამოუსწორებელი, საშვილიშვილო ცოდვა იყო, უმძიმესი შეცდომა; მაგრამ მოვლენები იმგვარად ვითარდებოდა, რომ იგი უძლური იყო წინ აღდგომოდა ამ უგუნურ არჩევანს.

მწერალი დიდ ადგილს უთმობს თამარის სულიერი დრამატიზმის ფსიქოლოგიურ აღწერა-დახასიათებას, უღრმესი ემოციური მშთამბეჭდაობით განგვაცდევინებს დედოფლის ტრაგიკულ განცდებს, მის მგლოვიარე პიროვნულ განწყობილებას. ეს ნათლად ჩანს მეფის არსებაში ამ გადამწყვეტ მომენტში ერთმანეთის პირისპირ დამდგარი თამარ-ქალისა და თამარ-მეფის შეხედულებათა ურთიერთ ჭიდილის ჩვენების შედეგად. როგორც ქალი, კერძო პიროვნება, ადამიანი, თამარი გრძნობდა, რომ რუს უფლისწულზე გათხოვება ქვეყანას დაღუპვას უქადდა, რადგანაც იურის ამღვრეული

თვალები ამხელდა სასიძოს სულის უწმინდურებასა და ენერგიადაშრეტილობას. მაგრამ ვინ უსმენდა მის ამ გულისთქმას. თამარ ქალს მტკიცედ შეახსენებდა თამარ-მეფე, რომ მას აღარ ჰქონდა პირად გრძნობებზე საუბრის უფლება.

აღნიშნული ეპიზოდის მეშვეობით გამოხატულ ავტორისეულ თვალსაზრისზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს რომანიდან: რადგანაც ქვეყანას ტახტის მემკვიდრედ უნდა, „მას მდუმარება მართებს... მხოლოდ ვინ? ვინ?... ეს ჭაბუკური რუსი? აი, აქ კი, თამარ-ქალო, მე, თამარ მეფეც, შენი აზრის მოზიარე ვარ: ღირსი კი არის ეს უცხო და სრულიად უცნობი ახალგაზრდა ადამიანი საქართველოს მეფობისა?... შეძლებს ამ დიდად საპატიო მოვალეობის ტვირთვას?... დიდი დავით აღმაშენებლის ტახტს, მამა ჩემის გიორგი ლომ-გულის სკიპტრას ღირსებით შეიფერებს?... აქ ხომ არ ცდებიან ქართველები? ვინ არის ეს რუსი, საიდან იცნობენ... იციან მისი ასავალ-დასავალი?... მაკვირვებს ესოდენ ნაჩქარევი გადაწყვეტა საკითხისა"...

რომანის უმთავრესი სათქმელის შესაცნობად ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ნაწარმოების ერთ-ერთ, არცთუ მთავარ, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან პერსონაჟზე - გოდერძი ჩორჩანელზეც, რომელიც, ვფიქრობ, ყველაზე მკაფიოდ და ნათლად გამოხატავს თვით შალვა დადიანის თვალსაზრისს. გოდერძი ჩორჩანელის მხატვრული სახის უმთავრესი ღირსება, ჩემის აზრით, ის არის, რომ მისი მეშვეობით ავტორი თამარის სამეფო კარზე დატრიალებულ მოვლენათა შემფასებლად მოგვევლინა. როგორც მწერალი და მაშინდელი საქართველოს მემატიანე, ჩორჩანელი და მისი კოლეგები ბევრს მსჯელობდნენ იმდროინდელ მოვლენებზე, აანალიზებდნენ ვითარებას და წარსულთან და მომავალთან მიმართებაში აფასებდნენ მათ.

ამ შემთხვევაში ბევრი რამ ვლინდება განზოგადებული ფორმით. მათში მკაფიოდ მჟღავნდება არა მარტო იმჟამინდელი ვითარების მანკიერებანი და საბედისწერო შეცდომები, არამედ ზოგადად ქართული ბუნებისათვის, ჩვენი ხასიათისა და ყოფისათვის დამახასიათებელი მანკიერებანიც. და, რაც ასევე მნიშვნელოვანია, მწერალმა ჩორჩანელი მხოლოდ მოვლენათა გარედან მჭვრეტელის, დიდაქტიკოსისა და სიტყვიერი მქადაგებლის როლში კი არ დატოვა, არამედ ამ მოვლენათა შუაგულში მოაქცია და სამეფო კარზე

დატრიალებული ტრაგედიის ერთ-ერთ უმწეო მსხვერპლადაც დაგვიხატა.

გოდერძი ჩორჩანელისა და მისი თანამოაზრეების მსჯელობის საფუძველი ერის სამომავლო ცხოვრებაზე, პირველ ყოვლისა, ის გახლავთ, რომ გავათავისუფლოთ ჩვენი ცნობიერება „მონური აზროვნებისა" და ყოველივე უცხოურისადმი ბრმად ქედმოდრეკისაგან. მუდამ უნდა გვახსოვდეს ის რომ „იმ უცხოში ბევრი სივაგლახეც, გამოუსადეგიც, ჩვენი სულის შეუფერებელიცაა", რომ უნდა მოვეშვათ დღენიადაგ უცხოეთისაკენ ცქერას და „ეს სიტყვა უნდა ამოვარდეს ძირფესვიანად ჩვენის ენიდგან, ჩვენის გონებიდან, ჩვენი გონების საძრაობიდან... ეგა გვღუპავს ჩვენ... გვიხშობს თავის რწმენას"...

ვფიქრობ, არაა ძნელი დასანახი, რომ გოდერძი ჩორჩანელის ეს მსჯელობა მხოლოდ მისი დროის ქართული ცნობიერების ნაკლს კი არ ამხელს, არამედ დღევანდელი ჩვენი აზროვნების ზადის სამხილებლადაცაა რომანში განსაკუთრებულად აქცენტირებული.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რომანში მძლავრად გამოვლენილი ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთება ზოგ შემთხვევაში ჰიპერბოლური ხასიათისაა და ავტორისეული მსჯელობა ქართველი ერის მსოფლიო ისტორიულ მისიაზე გაზვიადებულ სახესაც ღებულობს. ეს ტენდენცია უმეტესწილად გოდერძი ჩორჩანელისა და სხვა მამულიშვილთა შეფასებებში ვლინდება. ასეთებია, მაგალითად, ჩორჩანელის აღფრთოვანებული საუბრები იმაზე, რომ „ჩვენ აღვზარდეთ კაცობრიობა: მისრეთი, ელადა, რომი. ასურასტანმა და სპარსეთმა ჩვენგან ისწავლეს თუ ვით უნდა შემკრებლობითი ცხოვრება, სახელმწიფოს შექმნა. პირველი ფიქრი ღმერთზე ჩვენ ჩამოვიტანეთ შორეულ მთების კალთიდან სპარსეთის ზღვის ყურეში, დავაარსეთ პირველი ქალაქი ური... ვარსკვლავთ-მრიცხველობა პირველ ჩვენ ვამცნეთ კაცობრიობას... მე არას ვამბობ სპილენძზე, თუთბერზე, ბრინჯაოზე, რომლის ხელოვნებაც ჩვენ ვასწავლეთ სხვებს"...

რახან რომანის ნაკლზე ჩამოვარდა სიტყვა, აქვე იმასაც შევნიშნავ, რომ ნაწარმოები ზოგჯერ მეტისმტადაა გადატვირთული ფართოდ ცნობილი ვრცელი ისტორიული წიაღსვლებითა და ქრონიკულ-ინფორმაციული მასალით. ასეთია, მაგალითად, საქართველოში ახალწვეულ კუზმა რუსთან შარაგანის საუბარი, რომელიც, ფაქტობრივად, თამარისა და მის წინამორბედთა დროინდელი სა-

ქართველოს ისტორიული ვითარების ვრცელ საცნობარო დახასიათებას წარმოადგენს და ზედმეტად ტვირთავს ძირითადი ამბის თხრობას.

• • •

საანალიზო პერიოდში შ. დადიანის ეროვნული თვალთახედვის წარმოჩენის დროს განსაკუთრებული ყურადღება ასევე უნდა მივაქციოთ მის კომედიას - „გუშინდელნი", რომელიც ავტორმა 1917 წელს დაწერა ბაქოში. ამ პიესამ ავტორს იმდენად დიდი შემოქმედებითი წარმატება მოუტანა, რომ მისადმი ინტერესი დღემდე არ განელებულა. გასული საუკუნის დასაწყისის ქართული ყოფის სატირულ-კომიკური ფორმით წარმოსახვის შედეგად შ. დადიანმა ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა მაშინდელი ქართული ყოფის ჭირვარამზე.

ნაწარმოებში მკაფიოდ და არაორაზროვნად იკვეთება ავტორისეული მიზანსწრაფვა - ეფექტური მხატვრული ფორმების გამოყენებით დაუხატოს მკითხველს იმჟამინდელი ჩვენი ყოფის ნაკლოვანი მხარეები და ღრმად დაგვარწმუნოს იმაში, რომ ამგვარად ცხოვრების გაგრძელება დამღუპველია ქვეყნისათვის. შ. დადიანის კომედიის საფუძველთა საფუძველი, ნაწარმოების მამხილებლური პათოსის განმსაზღვრელი უმთავრესი ფაქტორი, სწორედ ეს მამულიშვილური პოზიციაა, რაც პიესაში, ერთი შეხედვით, ცალმხრივადაც კია გამოხატული.

მახვილგონივრულად მოძებნილი ხედვის კუთხე მწერალს შესაძლებლობას აძლევს გაშიშვლებულად, მთელი თავისი მრავალფეროვნებით, დაგვანახოს სოფლის დუხჭირი ყოფა. ასეთი ხედვის წერტილად პიესაში ქცეულია სოფელში იმ კუთხის უმაღლესი ხელისუფალის - გარუსებული გერმანელი მაზრის უფროსის - სტუმრად ჩამოსვლა. მისი სტუმრობის შედეგად ცხოვრებით გაწამებული ხალხის გულში იმედი გაჩნდა, იქნებ ახლა მაინც გვეშველოს რამეო და ისინი ერთხელ კიდევ იხსენებენ იმ გასაჭირს, რომელიც მაზრის უფროსს უნდა მოახსენონ და დახმარება თხოვონ მის მოსაგვარებლად.

ვინ არის სოფლად წვეული მაღალი რანგის სტუმარი? მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ძალზე ძუნწ ინფორმაციას გვაწვდის მის წარსულ ცხოვრებაზე, ავტორისეული მონათხრობის შედეგად მა-

ინც გვექმნება ნათელი წარმოდგენა ამ პიროვნების საქმიანობაზე. იგი გარუსებული გერმანელია, ვინმე გრენგოლმი, რომელსაც გადაუწყვეტია თავისი მაზრის გასაცნობად „სასიამოვნო მოგზაურობა" გამართოს სოფელში. ბედის რა მწარე ირონიად და ცინიზმად აღიქმება ის ფაქტი, რომ, ჯერ ერთი, შენი კუთხის განმგებლად და ჭირისუფლად ხელისუფლებას ვიღაც გადამთიელი მოუვლენია და, მეორეც, იმ გაწამებულ და გაბედითებულ ყოფაში, რომელშიც სოფელს უხდება ცხოვრება, მაზრის უფროსს მხოლოდ „სასიამოვნო მოგზაურობა" გაუმართავს მისი საბრძანებლის გასაცნობად.

კერძოდ, აი, რა სიტყვებით ამცნობს სოფლის მამასახლისი მოსახლეობას მაზრის უფროსის მათთან სტუმრობის ამბავს: „ამჟამად აქ იგი საქმეებისათვის არ ჩამოსულა, მაგრამ აი, სხვა დროს ჩამოვა და მაშინ კი მათ საჭიროებასაც გაეცნობა". შიშით დამფრთხალ-დაბეჩავებული ხალხი სიტყვის თქმას ვერ ბედავს. ბოქაულის მორიდებულ შენიშვნაზე - სოფელს უნდოდა თავის გაჭირვებაზე თქვენთვის მოეხსენებია, მაგრამ ვერ გაბედესო, მაზრის უფროსი კმაყოფილებით ამბობს: „ვერც უნდა გაბედონ, ციც! ზომები მიიღეთ, რომ ჩემთან არავინ კრინტი არ დასძრას სოფლის გაჭირვების შესახებ. მე აქ საქმეზე არ ვარ ჩამოსული ისე, საქეიფოდ".

ასეთ ღრეობასა და დროსტარებაში ჩაივლის მაზრის უფროსის ეს პირველი და უკანასკნელი სტუმრობა სოფელში, რადგანაც სწორედ ნადიმის დროს მაზრის უფროსმა ახალ ადგილზე სამუშაოდ მისი გადაყვანის შესახებ მიიღო ბრძანება. აქ კი, მის მაგივრად, როგორც ნაწარმოების საერთო განწყობილებიდან ნათლად ჩანს, ალბათ ვინმე ახალი გრენგოლმი მოევლინება სოფელს და ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება.

ტრაგედია ისიცაა, რომ მთელ სოფელში ერთი კაციც კი არ მოიძებნა ისეთი, რომელიც მაზრის უფროსს ხალხის გასაჭირს მოახსენებდა.

ნაწარმოებში მკაფიოდ იგრძნობა ეროვნული ჩაგვრით გამოწვეული ტკივილიც, რის თვალნათლივ გამოვლინებასაც წარმოადგენს პიესის ის ეპიზოდი, სადაც მაზრის უფროსი ქართველებისა და საქართველოსადმი თავის ნამდვილ დამოკიდებულებას ამ სიტყვებით გამოხატავს: „აბა, რას წარმოადგენთ ახლა? დაჩიავებული, დაგლახავებული ხართ!.. ეს რატომ მოხდა?.. იმიტომ, რომ მუდამ მონე-

ბი იყავით ქართველები. მონას კი რა ჯიშის შექმნა შეუძლიან! ერთი ბატონიდან მეორე ბატონის ხელში გადადიოდით. ყველა თქვენ გირტყამდათ, ვისაც კი არ ეზარებოდა. თქვენ კი ამბობთ კულტურული ხალხი ვართო. რის კულტურა? რა გაგაჩნიათ, რა გქონდათ? ჩვენ, რუსებმა მოგანიჭეთ ყოველივე. ახლა, ახლა მაინც უნდა მოეგოთ გონს ახლა ჩვენ უნდა შეგვიერთდეთ სულით, სისხლით, სხეულით".

აი, როგორი ხელისუფალნი განაგებდნენ საქართველოს ბედ-იღბალს რუსული მმართველობის პერიოდში და ვის ხელში იყო მოქცეული ჩვენი ხალხის აწმყო და მომავალი. შ. დადიანის კომედიაში ეროვნული ღირსების დამამცირებელი და ფეხქვეშ გამქელავი ეს ამპარტავნული და დიდმპყრობელური დამოკიდებულება, როგორც ვხედავთ, მძაფრი სატირული მხილების საგნადაა ქცეული.

პიესის მრავალრიცხოვან პერსონაჟთაგან ერთადერთი პიროვნება, რომელიც რამდენადმე მაინც ცდილობს არსებული რეალობისადმი თავისი პროტესტანტული დამოკიდებულების გამოხატვას, მამასახლისის ქალიშვილი აგრაფინაა. ნათქვამისთვის მეტი სიცხადის მისაცემად გავიხსენებ შესაბამის ეპიზოდს ნაწარმოებიდან: დამთავრდა ღრეობა, მასპინძლებმა ზარზეიმით გაისტუმრეს მაზრის უფროსი და მისი თანმხლები სტუმრები. ერთბაშად დაყრუვდა ყველაფერი და დარჩა ნაოხარი სუფრა. საპნის ბუშტივით გაქრა იმედი იმისა, რომ სოფლის გასაჭირს რაიმე ეშველებოდა. მხსნელი, მშველელი არსაითაა. „ყოველივე ისე დარჩა, როგორც იყო. ციხე-ბურჯი ისევ უპატრონოდ მიტოვებული, ეკლესია გუმბათგადამტვრეული, სასწავლებელი კარგამოკეტილი, ბაღი გავერანებული, ბოგირი ჩაცვენილი, გზები გაფუჭებული - (თავს ჩაჰკიდებს, ცრემლები ერევა)".

ამ სიტყვებს აგრაფინა წარმოთქვამს, ცრემლებიც მას მოერევა ყოველივე ამის გაცნობიერებაზე. როგორც ითქვა, ტრაგედია ის არის, რომ კომედიის მრავალრიცხოვან პერსონაჟთა შორის სხვა არავინაა ისეთი, რომელსაც თავისი მოქმედებით ამ სიტყვების წარმოთქმის უფლება ჰქონდეს. როგორც ითქვა, შ. დადიანის საანალიზო პიესის მრავალრიცხოვან პერსონაჟთაგან აგრაფინა აღნიშნული თვალსაზრისით ერთადერთი გამონაკლისია. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ნაწარმოების ძირითად სათქმელს მწერალი

სწორედ იმ რამდენიმე სიტყვიანი დიალოგით უსვამს ლოგიკურ წერტილს, რომელიც აგრაფინასა და დედამისს შორის იმართება პიესის ბოლოს. გავიხსენოთ ეს ადგილი: ცრემლმორეულ შვილს დედა კეკელა შეწუხებული ეკითხება:

„კ ე კ ე ლ ა: რა იყო? რა მოგსვლია?

ა გ რ ა ფ ი ნ ა: (ჩუმად არის).

კ ე კ ე ლ ა: (მოდის მასთან) ღმერთო, მომკალი! ცრემლები! რა გატირებს, შვილო?

ა გ რ ა ფ ი ნ ა: არაფერი, დედა სიცარიელესა ვგრძნობ".

„სიცარიელესა ვგრძნობ" - აი, ღრმააზროვანი ქვეტექსტის წარმომჩენი ის სიტყვები, რომელთა მეშვეობითაც შთამბეჭდავი ფორმით ვლინდება უმთავრესი არსი ხსენებული პიესის მეშვეობით გამოხატული ავტორისეული სათქმელისა.

კონსტანტინე ოდიშარია (მარტვილელი) – ქართული რეალიების კვალდაკვალ არტაანის მხარეში

სამწუხაროდ, კონსტანტინე ოდიშარია, რომელიც თავის ნაწერებს ძირითადად მარტვილელის ფსევდონიმით აქვეყნებდა, ჩვენი მწერლობის ისტორიაში ნაკლებად ცნობილ პიროვნებას წარმოადგენს და მისი ლიტერატურული ღვაწლი ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. კერძოდ, გარდა იმისა, რომ მწერლის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან ცალკე წიგნად დღემდე არაფერია გამოცემული, მისი ნაწერებიდან ბევრი რამ სამომავლოდაა მოსაძიებელი. გულსატკენი ამ შემთხვევაში ისიც არის, რომ ამ გულმხურვალე მამულიშვილის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი დეტალებიც უცნობია და ქართველოლოგიური მეცნიერების ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად მხოლოდ რამდენიმე საგულისხმო ნაბიჯია გადადგმული.

ამ თვალსაზრისით პირველ ყოვლისა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლების: პროფ. როინ მალაყმაძის, პროფ. შუშანა ფუტკარაძის, პროფ. ელზა ფუტკარაძისა და დოქტორანტ შორენა ფუტკარაძის მიერ 2020 წელს გამოცემული წიგნი „წერილები სტამბოლის სავანიდან, II“ მინდა გავიხსენო. როგორც ხსენებულ წიგნში გამოქვეყნებული მასალებით ვგებულობთ, უცხოეთში არსებული ქართული კულტურის ამ დიდმნიშვნელოვანი კერის უმდიდრეს არქივში კონსტანტინე ოდიშარიას (მარტვილელის) მოგზაურული ჟანრის დოკუმენტური ნარკვევის - „არტაანის მხარე (ისტორიულ-გეოგრაფიული და სტატისტიკური მასალები)“ (1915 წ.) ხელნაწერიცა და 1917-1920 წლების ქართულ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული მოგზაურული ჟანრის მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტებიცაა დაცული.

კონსტანტინე ოდიშარიამ არტაანის მხარის სოფლებში 1913-1918 წლებში იმოგზაურა და 1878 წლიდან ჩვენს ქვეყანასთან შემოერთებული ამ რეგიონის ფაქტობრივად ყველა დასახლებული პუნქტი მოინახულა და ამ მოგზაურობასთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებათა ამსახველი რამდენიმე წერილი სახელწოდებებით:

„არტაანის ქართველი მაჰმადიანებები“ და „არტაანის მხარეში“ 1917 წელს გამოაქვეყნა გაზეთებში: „საქართველო“ და „სამშობლო.“

კ. ოდიშარიას განმარტებით, არტაანისა და ჩილდირის საპოლიციო ნაწილში მდებარე ამ მხარის სოფლებში სამოგზაუროდ იგი ქართული საქველმოქმედო საზოგადოების არტაანის განყოფილებას გაუგზავნია იქ მცხოვრები ქართველი მაჰმადიანებისთვის მსოფლიო ომის შედეგად მიყენებულ ზარალთან დაკავშირებით ცნობების შესაგროვებლად.

როგორც „არტაანის მხარის“ ხელნაწერის ბოლოს არსებული ავტორისეული მინაწერით ირკვევა („დასასრული პირველი რვეულისა“), ხსენებული მასალა კ. ოდიშარიას მოგზაურულ შთაბეჭდილებათა მხოლოდ ნაწილი ყოფილა. სამწუხაროდ, არც სტამბოლის ქართული სავანის არქივში და არც რომელიმე სხვა სიძველეთსაცავში ვერც აღნიშნული ტესტის გაგრძელებას მივაკვლიეთ და ვერც იმ რომანის ხელნაწერს, რომელიც, ი. იმედაშვილის ინფორმაციით, კ. ოდიშარიას უნდა ჰქონდა დაწერილი.

გარდა ზემოთ აღნიშნული მასალებისა, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ ზემოთ ხსენებულ კრებულში პროფ. შუშანა ფუტკარაძის სამეცნიერო ნარკვევიცაა გამოქვეყნებული, რომელშიც კონსტანტინე ოდიშარიას (მარტვილელის) ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ არის საუბარი. ქალბატონ შუშანას მართებული შეფასებით, კონსტანტინე ოდიშარია, როგორც „დიდებული წინაპარი და გულანთებული მამულიშვილი, დღევანდელი ყოველი შეგნებული ქართველისგან ჭეშმარიტად იმსახურებს სამადლობელ სიტყვებს, რადგან მის მიერ იმ ომის (იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი - ა. ნ.) ქარცეცხლში მოპოვებული მასალები **ერთადერთი ისტორიული წყაროა არტაანის მხარის იმდროინდელი ყოფა-ცხოვრების, ისტორიულ-გეოგრაფიული პირობების შესახებ**“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 220).

პროფ, შუშანა ფუტკარაძე გამონაკლისი არ არის და კონსტანტინე ოდიშარიას მოგზაურული ჟანრის ტექსტებს ანალოგიური შეფასება პროფ. ფრიდონ სიხარულიძემაც მისცა. კერძოდ, მისი აზრით, „კ. ოდიშარიასეული აღწერა ძვირფასი წყაროა სამხრეთ საქართველოში სწრაფად ცვლადი დემოგრაფიული პროცესების გასარკვევად“ (სიხარულიძე, 1998: 234).

რაც შეეხება თავად კონსტანტინე ოდიშარიას, იგი მოგზაური ჟანრის მის ტექსტებს საკმაოდ მოკრძალებულ შეფასებას აძლევდა და მას მხოლოდ იმ მასალად მიიჩნევდა, რომელიც აღნიშნული საკითხების შესწავლით დაინტერესებულ მკვლევრებს მათი მიზნის მიღწევაში „მცირეოდენად მაინც შეუწყობდა ხელს“.

როგორც ითქვა, კონსტანტინე ოდიშარიას ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ კონკრეტული ცნობების მოძიება საკმაოდ დიდ სირთულესთან აღმოჩნდა დაკავშირებული და ბევრი რამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე დაზუსტებული. ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად მნიშვნელოვან წყაროს ჯერ-ჯერობით ორი წერილობითი მასალა წარმოადგენს - ცენტრალურ საისტორიო არქივში (ფონდი 489, ანაწერი 33, საქმე 12, ფურცელი 6) დაცული დოკუმენტი, რომლითაც კონკრეტულად დგინდება კ. ოდიშარიას დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები (ხსენებული მასალა მომაწოდა ბატონმა მერაბ კეზევაძემ) და იოსებ იმედაშვილის მიერ შედგენილი ქართველ მოღვაწეთა ხელნაწერი ლექსიკონი, რომელშიც შედარებით ვრცლად არის დაფიქსირებული ცნობები ხსენებული პიროვნების ცხოვრებასთან და საქმიანობასთან დაკავშირებით (საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ამ ლექსიკონიდან შესაბამისი მასალა მომაწოდა ამ ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ, ბატონმა ლევან თაქთაქიშვილმა). წინამდებარე ნარკვევში კონსტანტინე ოდიშარიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მონაცემები სწორედ აღნიშნულ დოკუმენტებზე დაყრდნობითაა დაფიქსირებული.

დაიბადა 1875 წლის 15 თებერვალს სენაკის მაზრის სოფელ მარტვილში ღარიბი გლეხის - ნიკო ოდიშარიას ოჯახში. როგორც გაზეთ „ალიონის“ 1918 წლის 8 თებერვლისა და გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის 16 თებერვლის ნომრებში გამოქვეყნებული სამგლოვიარო განცხადებებით ვგებულობთ, კ. ოდიშარიას მშობლები ცხოვრების ბოლო წლებში ხონში ცხოვრობდნენ. 1918 წელს ამ ქალაქში გარდაცვლილი ნიკო შვილებმა მშობლიურ მარტვილში გადაასვენეს და იქ დაასაფლავეს.

მარტვილის ერთკლასიანი სკოლის დამთავრების შემდეგ კ. ოდიშარიამ სწავლა განაგრძო თბილისის სახელოსნო სასწავლებელში. სწავლის პარალელურად იგი სტამბაშიც მუშაობდა ჩარხის დამტრიალებლად. 1895 წელს თბილისის მეორე გიმნაზიაში ექსტერნად ჩააბარა ექვსი კლასის დამამთავრებელი გამოცდები. იყო „ქარ-

თელთა შორის წერა-კითხვის გამნავრცელებელი საზოგადოების“ წევრი.

1898 წელს დაინიშნა კავკასიის მსროლელთა რაზმის სკოლაში ქართული ენის მასწავლებლად, სადაც ქართველ ჯარისკაცებს ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას, ლიტერატურასა და საქართველოს ისტორიას. ამ საქმის განხორციელების პროცესში მას დიდ დახმარებას უწევდნენ ზაქარია ჭიჭინაძე, იაკობ გოგებაშვილი, იოსებ იმედაშვილი და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამნავრცელებელი საზოგადოების“ სხვა წევრები, რომლებიც სისტემატურად აწვდიდნენ საამისოდ საჭირო წიგნებს.

სამწუხაროდ, კონსტანტინე ოდიშარიას მშვიდობიანი ცხოვრებისა და აქტიური პოლიტიკური საქმიანობის შესაძლებლობა დიდხანს არ მისცემია. იოსებ იმედაშვილის ინფორმაციით, კავკასიის მსროლელთა რაზმში მუშაობის პერიოდში იგი ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის ბრალდებით დააპატიმრეს, მაგრამ ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, გენერალ ივანე ორბელიანის, ხსენებული რაზმის უფროსის, პოლკოვნიკ როსტომ საგინაშვილისა და სხვა ქართველ მამულიშვილთა აქტიური დახმარებით, მოსალოდნელი მძიმე განაჩენი მას ჯერ ჯარისკაცის ღირსების აყრითა და სამი წლით სადისციპლინო რაზმში განმწესებით შეუცვალეს, შემდეგ კი მეტეხის ციხეში მოათავსეს ერთი წლით.

მიუხედავად ამგვარი დევნა-შევიწროებისა, კ. ოდიშარია სასჯელის მოხდის შემდეგაც განაგრძობდა არსებული რეჟიმის საწინააღმდეგო პოლიტიკურ საქმიანობას, რის გამოც 1901 წელს განმეორებით დააპატიმრეს და ერევნის გუბერნიაში გადაასახლეს. სამშობლოდან გაძევების მიუხედავად, იქ ცხოვრების პერიოდში მან აქტიურად განაგრძო საზოგადოებრივი და საქველმოქმედო საქმიანობა. კერძოდ, ი. იმედაშვილის ინფორმაციით, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოსაქვეყნებლად სისტემატურად აგზავნიდა მასალებს, „კრებდა ფულს უღარიბეს ქართველ მოწაფეთა და რუსეთში გადასახლებულ პოლიტიკურ პატიმართა დასახმარებლად. 1904 წელს კირილე ჭყონიას თანამშრომლობით მოაწყო პოლიტიკური ფარული კურსები თავის სახლში და ქართველ მზარეულ-მოსამსახურეებს რევოლუციური აგიტაცია-პროპაგანდით ამზადებდა“.

გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მოსაკლავად დაგეგმილ ტერაქტში ბრალის დადების გამო კონსტანტინე ოდიშარია 1906 წლის სექტემბერში იგი ჯერ განჯაში გადაასახლეს, სადაც იქაურმა ქართველებ-

მა მისი ინიციატივით 1907 წლის ოქტომბერში „ილია ჭავჭავაძის ფონდი“ დააარსეს, შემდეგ კი ბაქოში გადააგზავნეს.

1914-1918 წლებში კ. ოდიშარია ყარსისა და არტაანის რეგიონებში იმყოფებოდა, სადაც „შემოიარა: ყარსის, აღზევანის, არტაანისა და ოლთისის ოლქები.“ იქ ყოფნის დროს იგი საფუძვლიანად „გაეცნო საქართველოს ძველ ციხე-სიმაგრეებსა და ისტორიულ მასალას... დაწერა ოთხი დიდტომიანი ისტორიული მასალები შიდა ოსმალეთის საქართველოს ყოველი კუთხე-ადგილის გამორკვევით, სოფლების, ციხე-ქალაქებისა და ეკლესიების ძველი ქართული სახელების აღდგენით, ზნე-ჩვეულებების, წესისა და 7 000-მდე სოფელში მცხოვრებ ქართველ მუსლიმთა ჩვენსკენ (დედა საქართველოსკენ) ეროვნული მისწრაფების აღწერით. ამ მასალების ნაწილი იბეჭდებოდა ოთხ-ოთხ სვეტად ყოველდღე გაზ. „საქართველოში,“ 1917 წლის იანვარ-თებერვლის თვეებში, „არტაანის მხარის“ სახელწოდებით; ამავე ხანში აქვეყნებდა შიდა ოსმალეთის საქართველოში თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს „არტაანიდან თორთუმამდე. დანახული და გაგონილი“-ს სათაურით,... რამაც დააინტერესა არა თუ ქართული, არამედ სხვა ერთა პრესაც. ქ. არტაანში გ. სალარიძის (ახალციხელის) თანამშრომლობით დააფუძნა „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ განყოფილება, ქართველ მუსლიმთა უღარიბესი და ომში დაზარალებულთა შვილებისათვის გახსნა ქართული სკოლა, რომელშიც 42 ბავშვი სწავლობდა; პირადად ქართველ ოფიცრებს, ინჟინრებსა და სხვა ეროვნების ათასობით ადამიანს უწევდა ფულად დახმარებას და სრულ პანსიონში ზრდიდა ზემოხსენებულ 42 ბავშვს, რის შესახებაც საყურადღებო მოხსენება გააკეთა თბილისის „ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებაში“,... რის გამოც კავკასიის I და II კორპუსის გენერლებმა კალატინმა და პრჟევალსკიმ კ. ოდიშარიას დევნა დაუწყეს. 1918 წლის მარტის 11, თორთუმის ოლქიდან დაბრუნებულ კ. ოდიშარიას ადგილობრივმა ქართველმა მაჰმადიანებმა წარმომადგენლების პირით აცნობეს: ზეგ, შიდა ოსმალეთის საქართველოში, არტაანითურთ, სომეხთა მოსახლეობის აკლებას ვაპირებთ და ქართველი მოსახლეობა გააფრთხილეთ, რომ ან გავიდნენ, ანდა თავ-თავის ბინის კარებზე ჯვარი დახაზონ, ბინებში ჩაიკეტონ და გარეთ არ გამოვიდნენო, რაც კ. ოდიშარიამ სასწრაფოდ განუცხადა ქართველ მოსახლეობას, ხოლო თვით, მამის სიკვდილის გამო, სასწრაფოდ წამოვიდა. 1918 წლის მარტის 13-ს მართლაც დაიწყო სომხების ხოცვა-ჟლეტა. უვნებლად

დარჩენილი ქართველები ჯარმა ბათუმს გადმოასახლა. ამის გამო სომეხმა ინტელიგენციამ კ. ოდიშარია „პროვოკატორად“ მონათლა...

1918 წელს ხონში დააარსა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომლის კომიტეტის თავმჯდომარედ საზოგადოებამ თავად ის აირჩია. იმავე წლის აგვისტოს 1-ს საქართველოს ფინანსთა მინისტრმა მიიწვია თბილისში აქციზის ინსპექტორის თანაშემწედ, რომელ თანამდებობაზეც მუშაობითაც დიდი სარგებლობა მოუტანა სამშობლო ქვეყანას... 1919 წელს, აქციზის მოსამსახურეთა დანაშაულებების (ქურდობა, მექრთამეობა და სხვ.) გამო ფინანსთა მინისტრ კ. კანდელაკთან შეტაკება მოუვიდა, რისთვისაც დათხოვნილი, გაზ. „საქართველოს“ რედაქციაში მიიწვიეს თანამშრომლად, მაგრამ ხელისუფლება რომ ვერ შეურიგდა მის წერილებს, 1920 წლის აგვისტოს 1-ს, მისი სურვილის წინააღმდეგ, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა საზღვაო მინისტრის დადგენილებით, გაიგზავნა ქ. ფოთს სადგურის სამმართველოს საქმეთა უფროსად... ფოთის ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩია. უსამართლობას არც აქ ინდობდა და გაზეთის ფურცლებზე აქვეყნებდა ადგილობრივი ხელისუფლებისა და მისი აგენტების უკანონო მოქმედებას. ამის გამო შეტაკება მოუხდა საქართველოს ზღვათა მთავარ ინჟინერთან (რომელიც შემდეგში ბოლშევიკებმა დახვრიტეს ფულის მითვისებისათვის) და მისი მსხვერპლი შეიქმნა: შინაგან საქმეთა მინისტრმა კუთვნილი ხელფასი არ მისცა, არც სალიკვიდაციო, რაც კანონით ეკუთვნოდა. ამის შემდეგ კვლავ ბევრი დევნა განიცადა. 1924 წლიდან, „დედათა და ბავშვთა“ სახლში საქმის მწარმოებელ-ბუღალტრად და ადგილკომის თავმჯდომარედ მუშაობის დროს, გამოამჟღავნა ქართველი ეროვნების დევნა და სხვა უმსგავსობანი, რის გამოც სხვა ეროვნების 36 პარტიული სამსახურიდან გადააყენეს, ანუ სხვა ადგილზე გადაიყვანეს, ხოლო კ. ოდიშარია სრულიად სამსახურიდან დაითხოვეს. 1925-1930 წლებში უმუშევრობის დროს მთელ საქართველოში ქართულ ლიტერატურას ავრცელებდა.

1928 წლის დეკემბრის 20, თბილისის საბჭოს არჩევნების დროს, მედსანშრომის კავშირის უმუშევარ წევრთა ინტერესების აშკარა და გაბედული დაცვის გამო, კ. ოდიშარია 5000-მა კაცმა საბჭოს წევრად აირჩია. აქ მამასისხლური აშკარა ბრძოლა გამოუცხადა იმ დიდ ბოლშევიკებს, რომლებიც ნთქავდნენ საქართველოს სახელმწიფო ქონე-

ბას და რესპუბლიკის საზიანოდ მრავალ საზიზღრობას ჩადიოდნენ. მუშაობდა სხვადასხვა სექციაში საზოგადოებრივი ინტერესებით განმსჭვალული, თუმცა ნივთიერად პირადად მუდამ შევიწროებული, უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა.

ზემოხსენებულ ნაწარმოებთა გარდა, დაწერა ორტომიანი დიდი რომანი „უსამართლობის მორევი.“

განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის წერილები, ნაწილობრივ ჟურნალ-გაზეთებში გაბნეული.“

გარდა ქართველ მოღვაწეთა ზემოთ ნახსენები ლექსიკონისა, კონსტანტინე ოდიშარიას აქტიურ საზოგადოებრივ და სამსახურებრივ მოღვაწეობასთან დაკავშირებით იოსებ იმედაშვილი საინტერესო ცნობებს ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 1919 წლის მეოთხე ნომერში ი. ი-ის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილითაც („ერთგული მოხელე“) გვაწვდის. კერძოდ, აი, რას წერდა იგი აღნიშნულ პუბლიკაციაში მისი საქმიანობის შესახებ: „აქციზის მოხელე და მწიგნობარი თითქმის 18 წელი სააქციო უწყებას ემსახურება და ამავე დროს სამშობლო მწიგნობრობაში მონაწილეობს. მან დაბეჭდა ბევრი საყურადღებო კორესპონდენცია სამუსლიმანო საქართველოზე, განსაკუთრებით ჩვენი ისტორიული ნაშთების შესახებ, რაიცა თვალსაჩინო საისტორიო მასალას წარმოადგენს.

კ. ოდიშარია კიდევ უფრო ცნობილია როგორც დაუცხრომელი მამულიშვილი და რესპუბლიკის ერთგული მოხელე, მისი ინტერესების ფხიზელი დარაჯი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნიადაგზე ბევრი უსიამოვნება შეხვედრია.

მისი მუყაითი მუშაობით აღმოჩენილი იქნა მრავალი სათამბაქო თუ მაგარ სასმელთა საიდუმლო სავაჭრო ქარხანა, უმეტესათ უცხო ტომთა, რომელნიც ჩვენს ხაზინას სრულიად არავითარ შემოსავალს არ აძლევდენ, პირიქით, აზიანებდენ. ამ მხრივ კ. ოდიშარიამ ჩვენს ხაზინას რაოდენიმე მილიონი შემოსავალი მისცა.

იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, ჯანღონით სავსე და მამულის ერთგული სამსახურით გატაცებული. ვუსურვოთ დღეგრძელობა და მრავალ მიმბაძველთა გაჩენა ჩვენის რესპუბლიკის საბედნიეროდ, ვინაიდან დღეს ასეთები გვჭირია.“

კონსტანტინე ოდიშარია გარდაიცვალა 1939 წელს.

იგი სამწერლო ასპარეზზე 1894 წელს გამოვიდა და ამ დროიდან მოყოლებული აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ პერიოდულ

გამოცემებში, სადაც აქვეყნებდა ლექსებს, მოთხრობებს, მოგზაურული ჟანრის ნაწარმოებებს, ჟურნალისტურ კორესპონდენციებსა და პუბლიცისტურ წერილებს.

კონსტანტინე ოდიშარიას შემოქმედებითი მემკვიდრეობის შეფასების დროს ხაზგასმით უნდა აღინიშნოს მეტად მნიშვნელოვანი ის დამსახურება, რომელიც მას ე. წ. თურქეთის საქართველოში არსებული ქართული ისტორიული ძეგლების მოძიებისა და მათთან დაკავშირებით უაღრესად ფასეული ცნობების მოწოდების მიმართულებით მიუძღვის. ეს რომ მართლაც ასეა, ამის დასტურად აქ იმ ფაქტის აღნიშვნაც იქნება საკმარისი, რომ 2014 წელს რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ფონდის კონკურსში გამარჯვებული პროექტის მონაწილენი თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში მოქცეულ საქართველოს ისტორიულ მხარეებში არსებული უძველესი ქართული სოფლებისა და ნასოფლარების სიძველეთა შესწავლის დროს სწორედ ხსენებულ მასალებს იყენებდნენ მნიშვნელოვანწილად.

კერძოდ, როგორც ჟურნალ „ისტორიანის“ 2015 წლის მეშვიდე ნომერში გამოქვეყნებული მათი მუშაობის ამსახველი პუბლიკაციით ირკვევა, ხსენებული საგრანტო პროექტის მონაწილეებმა მათ მიერ მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციების შედეგად რეალურად მოახდინეს კონსტანტინე ოდიშარიას მიერ დასახელებულ სოფელთა დიდი ნაწილის იდენტიფიკაცია გურჯისტანის ვილაიეთის სოფლებთან და დაადგინეს მათი თანამედროვე თურქული სახელწოდებები.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არტაანის მხარის სოფლებში კონსტანტინე ოდიშარიას მოგზაურობის ამსახველ შთაბეჭდილებათაგან დღემდე რჩება განსაკუთრებული ინტერესის საგნად, იქ მიკვლეულ „ვეფხისტყაოსნის“ უძველეს ხელნაწერთან დაკავშირებული ეპიზოდია.

სამწუხაროდ, ხსენებული ხელნაწერის მიგნება დღემდე ვერ მოხერხდა და იგი კვლავაც სამომავლოდაა საძიებელი. მიუხედავად იმისა, რომ მის მოძიებასთან დაკავშირებით კ. ოდიშარიამ სხვადასხვა დროს რამდენჯერმე მიმართა როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისე შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლისთავის აღსანიშნავად 1934 წელს შექმნილი საიუბილეო კომისიის ხელმძღვანელებს, მის ამგვარ მცდელობებს რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი მისი პირველი წერილის ხელნაწერი, რომელიც სტამბოლის ქართული სავანის არქივში ინახება, 1934 წლის 15 ოქტომბით თარიღდება. გარდა იმისა, რომ აღნიშნული წერილით მან კრიტიკული შენიშვნები გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული მწერლობისა და მეცნიერების ცალკეული წარმომადგენლები ნაკლებ აქტიურობას იჩენდნენ უცხოელებისთვის „ვეფხისტყაოსნის“ გასაცნობად და ამ თვალსაზრისით პოზიტიურად შეაფასა მოსკოვში 1934 წლის ზაფხულში გამართულ მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე საქართველოს სამწერლო ორგანიზაციის მაშინდელი ხელმძღვანელის მალაქია ტოროშელიძის გამოსვლა, მან კიდევ ერთხელ გამოხატა გულისტკივილი იმის გამო, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებიცა და მეცნიერებიც სათანადოდ არ ინტერესდებოდნენ რუსთაველთან დაკავშირებით მის მიერ მოპოვებული ცნობებით.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ხსენებული წერილიდან: „სოფ. **მაღაროს,** რომელიც სდევს მტკვრის პირად, **გოხი ვარძიას** (გოხი ისეთი მთაა, რომელზედაც გარეული თხაც ვერ ადის) მსგავსად, 66 მღვიმეებია იქ გამოჭრილი... ეს უნდა იყოს ტარიელის და ასმათის საცხოვრებელი ბინა და ავთანდილის საჭვრეტ-საფარი. ხოლო სოფ. **ველი,** თავის შამბნარიან მდებარეობის მიხედვით, უნდა იყოს ის ადგილი, სადაც ნახა სამშობლოდან გამოპარულმა ავთანდილმა გულ-შემოყრილი ტარიელი. რაც შეეხება **ქაჯეთის ციხეს,** შოთას მიერ ნაგულისხმევი უნდა იყოს ზემოხსენებული **რაბათის ციხე,** რომელიც სდგას კარკარი (პირდაპირ აღმართული მთა, რომლის ფერდობზე არწივიც კი ვერ ბუდობს) სალი კლდეზე, რომელსაც მისავალი აქვს მხოლოდ რაბათის საშიშო საცალფეხო გზით და ისიც საიდუმლო კარებით“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 217).

კ. ოდიშარიას ხაზგასმით, იმ შემთხვევაში, თუ „ვეფხისტყაოსნის“ „ხალხური თქმულებების მაძიებელნი“ თუ იქით იფიქრებდნენ წაბრძანებას,“ საჭირო იქნებოდა თან ჰქონოდათ მისი ისტორიული მასალები, რომლებიც ნამდვილი უტყუარი გზის მაჩვენებელი იქნებოდა მათი. ეს ისტორიული მასალები **შუქურა ვარსკვლავივით** გაუნათებდათ მათ კვლევა-ძიების საქმეს“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 217).

აღნიშნული საკითხით დაინტერესების მოთხოვნით კ. ოდიშარიამ 1935 წელს შოთა რუსთაველის იუბილეს აღსანიშნავად შექ-

მნილ სამთავრობო კომისიასაც მიმართა. კერძოდ, კომისიას მან წერილობითი ფორმით აუწყა პოემის უძველეს ხელნაწერთან დაკავშირებული ზემოთ ნახსენები ამბავი და ოფიციალურად დასვა საკითხი მის მოსაძიებლად და საქართველოში ჩამოსატანად სპეციალური ჯგუფის შექმნის თაობაზე. საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდებში დაცული ეს განცხადება მოიძია და გაზეთ „კომუნისტის" 1990 წლის 22 აპრილის ნომერში გამოაქვეყნა ვახტანგ გურგენიძემ შემდეგი კომენტარის თანდართვით:

„ამ წერილში... აღნიშნულია დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებ შარვაშიძეების ოჯახში, ეტრატზე გადაწერილი 1436 წლის „ვეფხისტყაოსნის" არსებობა... თუ არ მივიღებთ მხედველობაში ვაჰანის ქვაბებში ადრინდელ, კედელზე მინაწერ სტროფებს და ახალციხეში შემორჩენილ ფრაგმენტს, „ვეფხისტყაოსნის" უძველესი ხელნაწერი ნუსხა თარიღდება XVII საუკუნით (1646 წლით).

სამწუხაროა, რომ არც იუბილეების დღეებში და არც შემდგომ ამ ამბით არავინ დაინტერესებულა."

როგორც ითქვა, აღნიშნული კომენტარის შემდგომ ბატონმა ვახტანგმა მკითხველს კონსტანტინე ოდიშარიას მიერ „ვეფხისტყაოსნის" საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარისთვის გაგზავნილი ზემოთ ხსენებული მიმართვის ტექსტიც მიაწოდა, სადაც ნათქვამია:

„შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს.

თანახმად თქვენი პირადი ბრძანებისა, აქვე გაახლებთ სიას, ამოწერილს ჩემს მიერ 1914-15 წლებში შედგენილ „შიდა ოსმალეთის საქართველოს" ისტორიული და გეოგრაფიული მასალებიდან" იმ სიძველეთა, რომლებიც ლეგენდების და კითხვის დროს მაჩვენეს ადგილობრივმა ქართველ მაჰმადიანებმა. სახელდობრ:

1. სოფ. ორ-კიზში ოთარ-ბეგ შარვაშიძემ (მისი თათრული გვარი არ მახსოვს) მაჩვენა „ვეფხისტყაოსანი", დაწერილი პერგამენტზე ჩულვ (1436) წელს.

2. მარშრუტი: ქალ. არტაანი, ნასოფლარები: კარგი სოფელი, ქვაბის ციხე, ოქროს-ქოთანი და სოფლები: ვარდ-ციხე (სომხების მიერ თარგმნილია „გიულა-ბერდა"-თ, ოჯახი, დუდუნა, თამამი, ერჩი და თვით ორ-კიზი.

3. სოფ. გუგუბა, თემურ ყადირ-ოღლი წითლანაძემ დედანი ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ისტორიისა. მარშრუტი: ქალ.

არტაანიდან აქეთ, მდინარე მტკვრის გასწვრივ. ს. ს. მაღარო, ველის-ციხე და თვით გუგუბა.

4. მტკვრის გაღმა, ქ. არტაანში, მარჯვნით, სომეხ-კათოლიკეთა ეკლესიის ეზოში აწყვია მაღალი ხარისხის თეთრი, ძველი ქართველთა სასაფლაოს ქვები ქართული წარწერებით და სხვათა სახეებით: ანგელოზებისა, ცხენებისა, ლომებისა, ხარებისა და ერთიც შეიარაღებული ქართველი მეომრისა, ხოლო ეკლესიის დერეფანში აწყვია ქართულ-ხუცური წარწერებით შემკული ძვირფასი მარმარილოს ქვები სხვა და სხვა ზომისა და სახისა. სახელდობრ: დაფები ძვირფასი ჩუქურთმებით შემკული და ზოგიც მწიფე ყურძენ შესხმული თავისი ფოთლებით შეხლართული სვეტები სხვა და სხვა ზომისა, აგრეთვე ჯვრები, წმინდანების სახეები და ერთი დაფაც ქართველთ ლაშქართა გამოქანდაკება ზომით 2X1 (1/2 კვ. ფართობის) მარმარილოს დაფა. ეკლესიის შიგნით, კედელზე, შესავალ კართან, მარცხნივ ჰკიდია ვერცხლის ღვთისმშობლის ხატი, შეწირული 1225 წელს ორბელიანის მიერ არტაანის ტაძარს წარწერით ქართულ-მხედრულის ასოების, ხოლო მარჯვენით ორ დიდ ლურსმნებთა შუა ჩადებულია ფერადი მარმარილოს ქვის ჯვარი, ზომით 31/2+2 გოჯი, რომელზედაც ამობურთულია მაცხოვარი, რომლის ყოველი სხეული და კუნთებიც კი ისეთი ძვირფასი და დაკვირვებულის ხელოვნურათაა შესრულებული, ჰგონიათ ცოცხალი არსებააო, ხოლო თმა და წვერ-ულვაშებს რომ უყურებთ, თუ სიო დაიქროლებს, დაირხევაო. ლურსმნების დანაკრავიდან ქვეშ წითლად ჩამოსული ხაზი ემჩნევა. მასზე ქართულ-ხუცური ასოები ისეა ამოჭრილი, როგორც ქაღალდზე.

ის იყო უკანასკნელ წარწერა ვწერდი უბის წიგნაკში, რომ მღვდელმა თვალი მოჰკრა, შესწყვიტა წირვა, მოვიდა ჩემთან, ფანქარი და წიგნაკი ჩამომართვა და ფანქარი ჯიბეში ჩაიდო, ხოლო წიგნაკიდან ამოხია დაწერილი ფურცლები და ცარიელი წიგნაკი უკან დამიბრუნა შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ არავის ნებას არ ვაძლევთ აქედან ცნობები წაიღოს და თუ თქვენ გნებავთ წირვა მოისმინოთ, შეგიძლიათ დარჩეთ და თუ არა, გთხოვთ წაბრძანდეთ!"

მე მგონია, ყველა ეს ქვები იქვე იქნება და კარგს იზამთ გადმოატანინებდეთ ტფილისში. ისინი საუკეთესო ნიმუშია ქართული ხელოვნებისა.

1914 წელს, როგორც ქართველმა ფრანგმა იოსებ ივანეს ძე ხარიშჩაროვმა მიამბო, სომხის მღვდლებს არტაანის ტაძრის ნანგრევების

ქვეშ გაუთხრიათ მიწა და უპოვნიათ ჩამარხული ზანდუკი უძველესი ხელნაწერი ქართული სახარება ძვირფას ოქროს ყდაში და სხვა განძეულობა, რომლებიც გადაუგზავნიათ ეჩმიაძინის მონასტერში, მაგრამ ამის დამტკიცების პასუხისმგებლობას მე აღარ ვკისრულობ, ვინაიდან ჩემ მიერ გაგონილია და არა ნანახი.

ხარიშჩაროვი მგონია ტფილისში ცხოვრობს და კარგია ვინმე გამოკითხავდეს ამის შესახებ მას.

5. სოფ. სარძევე მდებარეობს აღმოსავლეთიდან ათ ვერსზე ქალაქ არტაანიდან და როგორც ქართველ მაჰმადიანებმა დაჟინებით მითხრეს, 1882 წელს პიატიგორსკის ჯრისკაცები სთხრიდნენ ამ რაზმის საჭიროებისათვის სოფელ სარძევეს მოშორებით მტკვრის პირას, ასე წოდებულ „მდევთა საჭურჭლეს" გვირაბის თავზე. ორმოს მეორე საჟენზე მიწა ჩანგრეულა, ჩაცვენილან ჯარისკაცები და მათ ამოსაყვანად რომ ჩასულან ამხანაგები, უპოვნიათ დიდი მუხის ზანდუკი ხელნაწერებითა და საეკლესიო განძით სავსე შენახული მიწაში, სპარსალარს ეს განძები პეტერბურგში გადაუგზავნია. კარგი იქნება, იქაც მოახდენდნენ ცნობას.

კ. მარტვილელი (კ. ოდიშარია). 14/XII-35 წ. ქ. ტფილისი."

ხსენებული პუბლიკაციის ბოლოს სარედაქციო მინაწერიცაა გამოქვეყნებული, რომელშიც ნათქვამია: „ავტორის წინადადება, ვფიქრობთ, საინტერესოა და მისაღები. მართლაც, დღეს, როცა ასე გაახლდა თურქეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა, ამ სასიკეთო მისიით რამდენიმე კაცის იქ ჩასვლა და ფაქტების შესწავლა-გადამოწმება საძნელო საქმე არ იქნება. საინტერესოა, რას იტყვიან ჩვენი მეცნიერები, საზოგადოება."

სამწუხაროდ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კ. ოდიშარიას მიერ შოთა რუსთაველის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად შექმნილი სამთავრობო კომისიის თავმჯდომარისთვის გაგზავნილ ამ განცხადებას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, კონსტანტინე ოდიშარიამ მის მიერ ნანახი „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერის შესახებ კიდევ უფრო დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდა არტაანის მხარის სოფლებში მის მოგზაურობასთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებათა მოთხრობის დროს. კერძოდ, აღნიშნულ ტექსტში იგი კიდევ უფრო მეტად აზუსტებს იმ სოფელთან მისასვლელ მარშრუტს, სადაც მან შოთა რუსთაველის პოემის ხელნაწერს მიაკვლია.

ხსენებული ხელნაწერისთვის წამძღვარებულ შესავალში, რომელიც ავტორს 1937 წლის 10 ივლისს დაუწერია, არტაანის მხარის

სოფლებში მოგზაურობასთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებათაგან კ. ოდიშარია განსაკუთრებულ მნიშვნელობას პირველ ყოვლისა სწორედ აღნიშნულ მოვლენას ანიჭებს და წერს: „არტაანის ყოფილი ოლქი, როგორც ჩვენი უძველესი კულტურის აკვანი, მე დიდად მაინტერესებდა და ვფიქრობდი მეპოვნა **„ვეფხისტყაოსნის“** უძველესი ხელნაწერები, ვინაიდგან, როგორც ცნობილია, ისტორიულ საქართველოს ეს მიდამოები იყო **დიდი შოთას სამშობლო** და ჩვენი კულტურის მაჯისცემის ერთი მთავარი ცენტრთაგანი. მე მართლაც წავაწყდი ასეთ ხელნაწერს, თუმცა, სამწუხაროდ, მისმა მფლობელმა მე ის არ დამითმო“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 110).

კონსტანტინე ოდიშარიას ინფორმაციით, მართალია, არტაანის მხარის სოფლებში მის მოგზაურობასთან დაკავშირებულ შთაბეჭდილებათა ამსახველი წერილები მას გაზეთ „საქართველოშიც“ ჰქონდა გამოქვეყნებული, მაგრამ, მისივე თქმით, ცენზურის უხეში ჩარევის გამო ისინი შემოკლებულიც იყო და „რიგ შემთხვევებში დამახინჯებულიც.“

აქედან გამომდინარე, კ. ოდიშარიას მოგზაურულ შთაბეჭდილებათა გაანალიზების დროს უპირველეს ყოვლისა ზემოთ ხსენებულ მის ხელნაწერ ვარიანტს უნდა დავეყრდნოთ, რომელშიც მან კიდევ უფრო მეტად დააზუსტა იმ სოფლის ადგილმდებარეობა და იქ მისასვლელი მარშრუტი, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერს მიაკვლია.

კერძოდ, აი, რა გზა გაუვლია მას იმ სოფელში მისვლამდე, სადაც ეს ძვირფასი საუნჯე უნახავს:

არტაანის სოფლებში სამოგზაუროდ კ. ოდიშარია 1913 წლის მიწურულს გამგზავრებულა ერევნიდან. თავდაპირველად იგი არტაანიდან ერთი ვერსით დაშორებულ იმ ნასოფლარს წვევია, რომელსაც სახელად **კარგი** რქმევია, აქედან ასევე **ნასოფლარ ქვაბის** ციხისკენ გაუწევია, შემდეგ კი **სოფელ ვარდციხისკენ** გადგომია გზას. კ. ოდიშარიას ინფორმაციით, არტაანიდან 12 ვერსით დაშორებულ სწორედ ამ სოფელში მოემართებოდა ერზრუმიდან მომავალი **თამარისეული დიდი შარაგზა**, რომელიც აქ ორად იყოფოდა - ერთი მათგანი **ახალქალაქისკენ** მიდიოდა, მეორე კი **ყარსისაკენ**.

ვარდციხიდან კ. ოდიშარია ჯერ მისგან ორი ვერსით დაშორებულ **სოფელ ოჯახში** (იქაურთა სახელდებით - **ოლჩაგში**) გამგზავრებულა, შემდეგ მისგან ხუთი ვერსით დაცილებულ **სოფელ დუ-**

დუნაში, მერე მტკვრის გასწვრივ მდებარე სოფელ თამამს წვევია, იქიდან - სოფელ ურჩს და ამ დასახლებული პუნქტიდან გადასულა სოფელ ორ-ყიზში (რაც, მისი განმარტებით, ორ ასულს ნიშნავს). სწორედ ამ სოფელში მცხოვრები ოთარ-ბეგ შარვაშიძის ოჯახში უნახავს მას შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ის ხელნაწერი, რომელიც, მისი ინფორმაციით, დღემდე ცნობილ ყველა ხელნაწერზე ადრინდელი ყოფილა.

ვიდრე ამ ამბავთან დაკავშირებით ვიტყოდე რამეს, აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ, კ. ოდიშარიას არაერთგზისი ხაზგასმით, მის მიერ დასახელებული ამ სოფლების მკვიდრთა უმეტესობას იმხანად ქართველი მუსლიმანები შეადგენდნენ, დღესდღეობით კი მათი დიდი ნაწილი სხვაგანაა გადასახლებული, რის გამოც იქაური მოსახლეობის უდიდეს ნაწილს უკვე არაქართველები წარმოადგენენ.

და კიდევ ერთიც: კონსტანტინე ოდიშარიას მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის ადგილსამყოფელ სოფლამდე მისასვლელ საგზაო მარშრუტს აქ უპირველეს ყოვლისა იმ პიროვნებათა დასახმარებლად ვაფიქსირებ, რომელნიც მომავალში ამ ხელნაწერის ბედით დაინტერესდებიან და მის მოსაძებნად გაუდგებიან გზას. ამ დიდმნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად მიმავალთ კი ბევრ სხვა სირთულესთან კ. ოდიშარიას მიერ ნახსენები სოფლების სახელთა შესატყვის დღევანდელ თურქულ სახელწოდებათა დადგენაც მოუწევთ.

იმის გათვალისწინებით, რომ კ. ოდიშარიას მიერ ნაპოვნ „ვეფხისტყაოსნის“ უძველეს ხელნაწერთან დაკავშირებით მოწოდებული ცნობები დღემდე რჩება უაღრესად მნიშვნელოვან საკითხად, დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტებს აღნიშნული წერილიდან: „ჩემ მიერ ნაპოვნი უძველესი - **ჩ.უ.ლ.ვ.** წელს პერგამენტზე გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“, ციხე-ეკლესიების და სხვა მრავალი ფრიად აღსანიშნავი ადგილების აღწერა უტყუარ საბუთებს იძლევა შოთა რუსთაველის მესხობაზე. მაგალითად, ციხე რაბათს (არტაანის ოლქშია)) ქართველი მაჰმადიანები მზექალას ციხეს უწოდებენ, მზე-ქალას კი ნესტან-დარეჯანს; ხოლო სოფელ ჭალის მხრიდან ტბა პალაკაციოს (ჩილდირის ნაწილშია) კუნძულიდან 16 1|2 ვერსს წყლის ქვეშ მიმავალ გვირაბს, რომელიც ამოდის სოფ. ფიქრაშენის დიდებულ ტაძართან ახლოს, უწოდებენ ქაჯთა სამფლობელოს. ამასთან ერთად, დამახასიათებელია და საინტერესო გამოქვაბულები მაღაროსი, რომლის ქვედა დიდი მღვიმე „ვეფხისტყაოსანშია“ აღწერი-

ლი. ყოველივე ეს ცხადად ამტკიცებს, რომ ის მღვიმე (გამოქვაბული) გადასვეწილი ტარიელის ყოფილი საცხოვრებელი ბინა იყო, ხოლო ადგილი, წოდებული „მდევთა საჭურჭლე“-თ, სადაც ტარიელმა მოჰკლა მდევი და მის სალაროში ნახა ალმასის ხმლები, მუზარადები, აბჯრები და სხვა მრავალი ოქრო და მარგალიტი, მდებარეობს სოფ. **სარძევედან** ორი ვერსის დაშორებით, მტკვრის პირად“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 211).

არტაანის მხარის სოფლებში მოგზაურობის დროს მოგროვებულ ამ და მსგავს ცნობებზე დაყრდნობით, კ. ოდიშარია ზემოთ ხსენებულ წერილში კიდევ ერთხელ აღნიშნავდა ხაზგასმით და დაბეჯითებით, რომ „ადგილმდებარეობისა და შოთას გმირების სარბიელ ასპარეზის გამომხატველი არტაანის მხარეა.“

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის პოვნასთან და შოთა რუსთაველის პოემასთან დაკავშირებული ეს და სხვა საკითხები კ. ოდიშარიამ არაერთგზის დასვა როგორც პოეტის იუბილეს აღსანიშნავად შექმნილი კომისიის თავმჯდომარის, ისე ხელისუფლების წარმომადგენელთა წინაშე და აქტიურად შეეცადა, რეალურად გადადგმულიყო პრაქტიკული ნაბიჯები აღნიშნული მიმართულებით, სამწუხაროდ, მის ამ მცდელობებს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

აი, რას წერდა ამგვარი უყურადღებობით გულნატკენი მწერალი ხსენებული წერილის ადრესატს ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით: „ადგილმდებარეობისა და შოთას გმირების სარბიელ ასპარეზის გამომხატველი არტაანის მხარეა, რომლის შესახებ 1935 წლის სექტემბერში, დაკავშირებით მოსკოვში გამართულ მწერალთა თათბირისა პასუხად ისტორიკოსი ამხ. სვანიძეს წერილისა, ვრცელი წერილი დავწერე, სადაც მარტივად მივუთითებდი იმ ადგილებზე, სადაც ტარიელს ბრძოლის ველი ჰქონდა გამართული და როს ეს წერილი თქვენმა **გაზ. „კომუნისტმა“** არ დაბეჭდა, გადავეცი „ჩვენი ლიტერატურის მემკვიდრეობის ხელმძღვანელს, **დოც. ასათიანს,** რომელიც დამპირდა: „სიამოვნებით მოვათავსებ პირველ რიგშიო;“ მაგრამ არ ვიცი ამხ. **გოგლა ლეონიძის** მეშვეობით, თუ პირადად **ამხ. ასათიანის** მოსაზრებით, არ დაიბეჭდა.

ბოლოს ეს საკითხი საქართველოს სახალხო კომისართა **საბჭოს თავმჯდომარე ამხ. მგალობლიშვილის** ყურამდეც მისულა, რის გამო **1935 წლის 14 დეკემბერს** მიწვეულ ვიყავი მათს სენაკში, სადაც, ამხ. მგალობლიშვილთან ერთად, შოთა რუსთაველის იუბილეს გამ-

გეობის წევრები და სხვა მაღალ გავლენიანი პირები ბრძანდებოდნენ. წავიკითხე ჩემი ისტორიული მასალების ის ადგილები, რომლებიც ეხებოდნენ შოთა რუსთაველისა და ჩემ მიერ აღმოჩენილ სოფ. ორყიზში ოთარ ბეგ შარვაშიძის სახლში ჩულვ წელს პერგამენტზე გადაწერილ „ვეფხის ტყაოსანს“, რომელსაც დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ და გადაწყვიტეს შედგენილ ექსპედიციასთან ერთად მეც გავეგზავნეთ ხსენებულ „ვეფხის ტყაოსნის“ ჩამოსატანად“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 211).

როგორც კონსტანტინე ოდიშარიას მოგზაურული შთაბეჭდილებებიდანაც თვალნათლივ ჩანს, არტაანის ოლქში მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობას იმხანად ქართველები და სომხები წარმოადგენდნენ. გარდა იმისა, რომ იქაური მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობასთან დაკავშირებით კონკრეტულ სტატისტიკურ მონაცემებს იგი მის მიერ ნანახი სოფლების მიხედვითაც გვაწვდის, თავისი ნარკვევის ბოლოს ამ ინფორმაციას ის შეჯამებული ფორმითაც გვთავაზობს. მიუხედავად იმისა, რომ მწერლის მიერ დაფიქსირებული რაოდენობა მთლად ზუსტი და უცდომელი არ ჩანს, ავტორისეული სტატისტიკა მაინც გვიქმნის მეტ-ნაკლებად ნათელ წარმოდგენას არტაანის მხარის მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე.

კერძოდ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კ. ოდიშარიას მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით, ქალაქ არტაანისა და მისი მხარის მოსახლეობა ეთნიკური შემადგენლობით 1915 წლისათვის საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. მათგან ქალაქ არტაანში ყველაზე დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ: „სომეხი და სომეხ-ფრანგები 805 სული, ბერძნები 717, მალაკნები 208, ქართველი მაჰმადიანები 779, ქართველი ქრისტიანები (გარდა ქართველი მეომრებისა და მოსამსახურეებისა) 55 სული და ქურთები 152 სული.“

რაც შეეხება არტაანის ოლქს, კ. ოდიშარიას ინფორმაციით, 1914 წლისთვის იქ მცხოვრებ ქართველ მაჰმადიანთა რიცხვი 64 157 სულით განისაზღვრებოდა; პირველი მსოფლიო ომის შედეგად კი მათი რაოდენობა 1915 წლისთვის 36 585 სულამდე შემცირებულა. მწერლის ინფორმაციით, აღნიშნულ სტატისტიკურ მონაცემებს იგი არტაანის ოლქის სამმართველოს ცნობებზე დაყრდნობით აფიქსირებდა (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 141).

მიუხედავად იმისა, რომ არტაანის მხარეში მცხოვრები მოსახლეობა, მათ შორის იქაურ ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობაც, გამუსლიმანებული იყო, ქრისტიანული ეკლესიები მეტ-ნაკ-

ლები რაოდენობით ყველა სოფელში მაინც იყო გადარჩენილი - იშვიათად თავდაპირველი სახით, უმეტესწილად კი სანახევროდ ან მთლიანად დანგრეული. კ. ოდიშარიას არაერთგზისი ხაზგასმით, ხშირ შემთხვევაში ქართული წარწერებით დამშვენებული ეს ეკლესიები და ნაეკლესიარი ადგილები არა მარტო იქაურ ქართველთა წინაპრებისათვის წარმოადგენდა საღვთისმსახურებლო და სალოცავ სიწმინდეებს, არამედ ისტორიული ავბედობის გამო ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოწყვეტილი და გამუსლიმანებული ჩვენი მოძმეების გარკვეულ ნაწილს ისინი იმხანადაც მიაჩნდა მათი ეროვნული იდენტობის განუყოფელ ნაწილად.

ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არც მდინარე მტკვრის ნაპირას მდებარე სოფელი ორ-ყიზი წარმოადგენდა. იქაურთა თქმით, „ეს სოფელი საქართველოს რომელიღაც მეფის ორ ასულს დაუარსებია, როგორც დედ-მამისაგან განდევნილებს და ამიტომ დაურქმევიათ ორი ყიზი“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 113).

სწორედ ქართველი მაჰმადიანებით დასახლებულ ამ სოფელში შეხვედრია კ. ოდიშარია იქ მცხოვრებ ღრმად მოხუცებულ ადგილობრივ ქართველს - ოთარ-ბეგ შარვაშიძეს. „ვეფხისტყაოსნის“ კილოზე წმინდა ქართულით მოლაპარაკე“ ამ კაცს იგი, როგორც იქაური ქართველების შესახებ ცნობების შესაგროვებლად თბილისიდან ჩასული საპატიო სტუმარი, შინ მიუწვევია და უნახვებია რუსთაველის პოემის ხელნაწერი.

აი, რას წერს თავად კ. ოდიშარია ამასთან დაკავშირებით: „ვეფხისტყაოსანი“ თავიდან ბოლომდე ზეპირად იცის. სახლში რომ შევედით, იატაკზე დაგებულ დიდ ხალიჩაზე მუთაქა დასდო და დამსვა; თითონ ამოიღო ჯიბიდან საკმაოდ დიდი გასაღები, გააღო ზანდუკი და აბრეშუმის დიდ ბაღდადში რაღაც გრძლად გახვეული ამოიღო და რომ გახსნა, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა: პერგამენტზე სპარსული ტიპის სურათებით შემკული ხელთნაწერი „ვეფხისტყაოსანი“ იყო. მასზე ქორონიკონი 1436 წ. ესვა. სულმა წამძლია, მყისვე გამოვართვი და გაკვირვებით და თანაც სიხარულით დავუწყე კითხვა. იგი წვრილისა და მეტად ლამაზის ხელით არის დაწერილი; ადგილ-ადგილ წითელი ასოები ამკობს მას“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 113).

ნანახით გაოგნებულ და აღფრთოვანებულ მწერალს ამ უნიკალური ხელნაწერის მფლობელისთვის უთხოვია, ეს „დიდი განძი“ სა-

ქართველოს მუზეუმისთვის მიეყიდა, მაგრამ ოთარ-ბეგს ამაზე კატეგორიული უარი განუცხადებია და მისი უარი ამგვარად დაუსაბუთებია: „ეფენდი, ეს რა მითხარი! თქვენ იცით, რომ ეს მე პაპის პაპის პაპისაგან მაქვს გადმოცემული, როგორც უფროს შვილს და მეც ფიცის მიხედვით, ჩემს უფროს შვილს უნდა გადავცე, როგორც მამა-პაპეული განძი და არ მაქვს უფლება, გავყიდო, გავასაჩუქრო, ან გავათხოვო; მოპარვითაც კი არავინ ხელს არ ახლებს, რადგანაც ყველამ იცის, რომ წყევლა-კრულვითაა ხსენებული, ვინც მას მოპარვის განძრახვით ხელს ახლებს და ერს დაუკარგავს“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 113).

ამგვარად არგუმენტირებული კატეგორიული უარის თქმის შემდეგ ოთარ-ბეგს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი აბრეშუმის ქაღალდში გაუხვევია, ფერადი თუნუქით მოჭედილ ზანდუკში ჩაუკეტია და დიდი საქართველოდან წვეულ სტუმარს ამ სიტყვებით დამშვიდობებია: „მე ძალიან მოხარული ვარ, რომ ჩვენმა უფროსმა ძმებმა - ქართველმა ქრისტიანებმა გაიხსენეს თავიანთ დაკარგულ სამშობლოში მცხოვრები უმცროსი ძმები - ქართველი მაჰმადიანები და გვნახეს. კარგია, განათლებულო, რომ მოგვინახულეთ და გაიფიქრეთ ჩვენს შორის გაწყვეტილი კავშირის აღდგენა... ჩვენ სისხლით და ხორცით ქართველები ვართ“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 114).

როგორც კ. ოდიაშარიას მონათხრობიდან თვალნათლივ ჩანს, ოთარ-ბეგ შარვაშიძე გამონაკლისი არ ყოფილა და არტაანის ოლქის სოფლებში მცხოვრებ მუსლიმან ქართველთა შორის მკაფიოდ გამოხატული ეროვნულ-ქართული ცნობიერების მქონე ჩვენი მოძმეები საკმაოდ მრავლად იყვნენ. მათ ცნობიერებაში თუმცა ფრაგმენტულად და ბუნდოვნად, მაგრამ წარუშლელად იყო აღბეჭდილი ისტორიულ სამშობლოსთან და მათი წინაპრების ქრისტიანულ რწმენასთან დამაკავშირებელი ცალკეული ეპიზოდები.

ამ თვალსაზრისით არც „ვეფხისტყაოსანი“ ყოფილა გამონაკლისი და მისი ცალკეული ეპიზოდები ლეგანდარულ ამბებად გარდასახული სახით ყოფილა გავრცელებული იქაურ მოსახლეობაში. მაგალითად, კ. ოდიშარიას ინფორმაციით, არტაანის ოლქში მდებარე სოფლებში მცხოვრებ ქართველ მუსლიმანთა ლეგენდარული გადმოცემების მიხედვით, ტარიელს ცხოვრების გარკვეული პერიოდი მათ მხარეში მდებარე სოფლების: მაღაროსა და ველისციხის მღვიმეებში გაუტარებია.

კერძოდ, აი, რას წერს თავად მწერალი ამასთან დაკავშირებით: „სოფ. **მაღარო** თავისი შესედულებით **პატარა ვარძიას** მოგვაგონებს... აქ ერთი-მეორის მიყოლებით 58 მღვიმეა, რომლებიც ზევით მიჰყვება მიუვალ ხევის კედელს. უჩინრად, გვირაბის საშუალებით, მიდის ეს გზა და გვირაბითვე გამოდის განზე, ჩადის დაბლა და მტკვრის ნაპირის გასწვრივ მიემართება გვირაბით, ხოლო 10-12 ვერსის დაშორებით მიდის ქვედა მაღაროში. აქედან კი მიდის მეტად შესანიშნავ **ველისციხეში**. როგორც ლეგენდა გადმოგვცემს, **ტარიელ ბეგს („ვეფხისტყაოსნის" გმირს)** ამ ქვედა მაღაროს დარბაზში უცხოვრია" (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 116).

დამოწმებულ ფრაგმენტსა და მსგავსი ინფორმაციების მომცველ ეპიზოდებს განსაკუთრებული ყურადღება ამჯერად იმიტომაც მინდა მივაპყრო, რომ მათი მეშვეობით თვალნათლივ ჩანს ადგილობრივ მოსახლეობაში „ვეფხისტყაოსნის" საკმაოდ დიდი პოპულარობა. კერძოდ, არტაანის ოლქში მცხოვრებ ქართველებში გავრცელებული ლეგენდების მიხედვით, რუსთაველის პოემის გმირთა სამოქმედო ასპარეზად სწორედ მათი მხარე იყო მიჩნეული.

კ. ოდიშარიას მონათხრობის საფუძველზე შეიძლება ისიც დავასკვნათ, რომ „ვეფხისტყაოსნისადმი" არტაანის ოლქში მდებარე ქართული სოფლების იმდროინდელ მკვიდრთა დამოკიდებულების ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული არაფერია. ეს რომ მართლაც ასეა, ამის დასტურად აქ ავტორისეული ნარატივის იმ ეპიზოდს გავიხსენებ, რომელშიც საკმაოდ ვრცლად, თამარ მეფის დროინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივ ძლიერებასთან და არტაანის ოლქის ქართული სოფლების გეოგრაფიულ გარემოსთან მისადაგებული ფორმით, არის მოთხრობილი რუსთაველის პოემის სიუჟეტზე დაყრდნობით შეთხზული და ხალხში ფართოდ გავრცელებულ ლეგენდარული ამბები.

მხედველობაში მაქვს მზე-ქალად წოდებულ იმ ციხე-სიმაგრესთან დაკავშირებული ეპიზოდი, რომელიც, კ. ოდიშარიას ინფორმაციით, სოფელ რაბათის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობდა. როგორც ხსენებული ეპიზოდით აშკარად ვრწმუნდებით, იქაურ ქართველებში ფართოდ გავრცელებულ ზეპირსიტყვიერ ტექსტებში თუმცა მნიშვნელოვნად ტრანსფორმირებული, მაგრამ აშკარად შესაცნობი ფორმით იყო მოთხრობილი „ვეფხისტყაოსნის" პერსონაჟთა დრამატული თავგადასავალი. ამ აზრს ისიც ერთმნიშვნელოვნად განგვიმტკიცებს, რომ ხსენებული ლეგენდარული ეპიზ-

ოდის მოქმედ პერსონაჟებად სწორედ რუსთაველის პოემის მთავარი მოქმედი გმირები: ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, ასმათი, ავთანდილი, თინათინი, ფრიდონი და თამარ მეფე არიან გამოყვანილი (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 124-130).

სამწუხაროდ, კონსტანტინე ოდიშარიას (მარტვილელის) მიერ ამ უნიკალური ხელნაწერის მიკვლევასთან დაკავშირებული ეს სენსაციური ინფორმაცია გაზეთ „კომუნისტის" 1990 წლის 22 აპრილის ნომერში ვახტანგ გურგენიძის მიერ გამოქვეყნებულ ზემოთ უკვე ნახსენებ წერილამდე დარჩა ყურადღების მიღმა.

შემდეგი მკვლევარი, რომელიც არა მარტო უბრალოდ დაინტერესდა კონსტანტინე ოდიშარიას მიერ მოწოდებული სენსაციური ინფორმაციით, არამედ რეალური ნაბიჯებიც გადადგა „ვეფხისტყაოსნის" ხსენებული ხელნაწერის მოსაძიებლად, კავკასიისა და ანატოლიის კვლევის ცენტრის დამაარსებელი გიორგი ქავთარაძე იყო. კერძოდ, იგი აქტიურად შეეცადა „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერის მფლობელ შარვაშიძეთა მშობლიური სოფლის - ორ-კიზის ადგილმდებარეობის დადგენას და მათი შთამომავლების მოსაძებნად საგანგებოდ გაემგზავრა აღნიშნულ რეგიონში. აი, რას ამბობს თავად ის ამასთან დაკავშირებით:

„ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობის შეუმოწმებლობა არ შეიძლებოდა და მეც გავემართე სოფელ ორ-კიზისკენ. კონსტანტინე მარტვილელი შემდეგ მარშრუტს იძლევა: ქალაქი არტაანი (თურქულად არდაჰანი), ნასოფლარები: კარგი სოფელი, ქვაბის ციხე, ოქროს ქოთანი და სოფლები: ვარდციხე (სომხების მიერ თარგმნილი გულაბერთად), ოჯახი, დუდუნა, თამამი, ურჩი და თვით 32 კომლიანი სოფელი ორ-კიზი. არტაანიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით ადვილად მივაგენი კონსტანტინე მარტვილელის მიერ მოხსენიებულ ვარდციხეს, მისი სომხური სახელწოდების გულთაბერის მეშვეობით (თურქული სახელწოდებაა ჩამლი-ჩათაქი)... ვიპოვე დუდუნაც, ორი-სამი მიწურის შემცველი სოფელი. ურჩი ური ყოფილა. ძველ ქართულ წყაროებში არტაანის ჰურად მოხსენიებული. აქ ყველაზე უფრო ხანგრძლივად ყოფილან შემორჩენილი მაჰმადიანი ქართველები. აქ ერთი, ადრე ჩასიძებული ართვინელი ქართველი ცხოვრობდა. ორ-კიზი არსად ჩანდა. კ. მარტვილელის აღწერით, იგი მდებარეობდა ურჩისაგან თავქვე, მტკვრის პირას, ხოლო მტკვრის გადაღმა იყო ნასოფლარი ყიზილ-ქილისა. ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, ორ-კიზში უნდა იგულისხმებო-

დეს იქვე ახლოს მდებარე სოფელი ორაღაზი, ქურთებითა და თურქებით დასახლებული და ამ მხარისათვის დამახასიათებელი მიწურსახლებიანი ორაღაზი გულღიად შემსვდა. მთელმა სოფელმა მოიყარა თავი ჩემ გარშემო, მაგრამ ოთარ-ბეგ შარვაშიძე ან მისი შთამომავლობა ვერავინ გაიხსენა. თვით კ. მარტვილელი იძლევა ოთარ-ბეგის ერთ-ერთი, ალბათ უფროსი შვილის სახელს ჯაჰამალბეგს, რომელიც მის ხელნაწერში ჯამალად არის ჩასწორებული“ (გაზ. „საქართველო XXI,” 2009, #0031).

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, გ. ქავთარაძე იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ორ-კიზში უშედეგო ძიების შემდეგ, ამ სოფლის მკვიდრთა რჩევით, იგი მეზობელ სოფელ იოლჯექში (ძველი სახელწოდებით სარძევეში) გამგზავრებულა და აღნიშნული საკითხის გასარკვევად იქაურ მოსახლეობასაც და მოლასაც შეხვედრია, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ამ მცდელობას მოჰყოლია სასურველი შედეგი.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის საძიებლად ბატონი გიორგი ქავთარაძე მეორეჯერაც გამგზავრებულა არტაანის მხარეში და ამ მიზნით საგანგებოდ მოუვლია იქაური სოფლები, სადაც უამრავი ადამიანი გამოუკითხავს. სამწუხაროდ, მას ვერც ამ მოგზაურობის შედეგად უნახავს სასურველი ხელნაწერი. ერთადერთი და რამდენადმე იმედისმომცემი რამ, რაც მას ამ მოგზაურობის დროს შეუტყვია, იქაურებთან გამართული შეხვედრების დროს მისთვის მიწოდებული მხოლოდ ეს ინფორმაცია ყოფილა: „ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გვითხრეს, რომ მათ ახსოვთ ყურანის ხელნაწერი, რომლის ტექსტის ქვეშ ძველთურქულად რაღაც ეწერა. უნდა ვიცოდეთ, რომ ძველთურქულად ადგილობრივი მოსახლეობა ქართულ და სომხურ წარწერებს მოიხსენიებს ხოლმე. ჩვენი ვარაუდით, საქმე გვაქვს პალიმსესტთან, როდესაც პერგამენტზე ნაწერი ძველი ტექსტის გადაფარვა ხდება ახლით. შესაძლოა მოხდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ყურანის არაბული ტექსტით გადაფარვა. ძველი ტექსტის ამოკითხვა თანამედროვე ტექნოლოგიებით აბსოლუტურად შესაძლებელია. სად არის დღეს ეს ხელნაწერი, სამწუხაროდ არავინ იცის. შესაძლებელია, სადმე არქივში ან მუზეუმში ინახებოდეს“ (გაზ. „საქართველო XXI,” 2009 წ. #0031).

თავისი მოგზაურული შთაბეჭდილებების მოთხრობის დროს კ. ოდიშარია განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს წარმოუდგენლად მძიმე იმ სიდუხჭირეზე, რაშიც მის მიერ მონახულებულ სოფლებში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს უწევდათ ცხოვრება იმხანად მიმდინარე ომის დროს.

მაგალითად, აი, როგორ აღწერს მწერალი იმ მდგომარეობას, რომელიც ერთ-ერთ ოჯახში სტუმრობის დროს უნახავს: „ამ ღარიბ-ღატაკთა სახლი შედგება ქვების ყორისაგან აყვანილი ოთხი კედლისაგან. ზევიდან დახურულია მიწით. ბევრ სახლს კარებიც არა აქვს, რადგანაც არტაანში თათრის ჯარის შემოსვლის დროს უკან წამოსულ რუსის ჯარს, შეშის უქონლობის გამო სახლები დაუნგრევიათ და ზოგისაც კარები ჩამოუღიათ და დაუწვავთ... ერთ სრულიად ბნელ და მიწურ ოთახში, სადაც ფანჯრის უქონლობის გამო სინათლე საკომლედან შემოდიოდა, კუთხეში ნესტიან კედელზე პატარ-პატარა ბოძებით მიკრული იყო... ჯოხებისაგან გაკეთებული მოკლე ტახტი, რომელზედაც ეყარა სქლად თივა და სახლში მყოფთა საგებ-სახურავი ეს იყო. სახლის კედელზე აყოლებულ ღია ბუხარში თუმცა წივის მყრალი და ბოლიანი ცეცხლი ენთო, მაგრამ მაინც შესამჩნევად ციოდა. სახლში მყოფნი, ნამეტნავად ბალღები, თითქმის სრულიად ტიტველ-შიშველნი, შემოსხდომოდნენ ბუხარს... მათთან ახლოს დაძონძილ-დაკონკილ ტანისამოსში გახვეული ცოლ-ქმარი ისხდნენ და დაღონებულნი რაღაცაზე ლაპარაკობდნენ“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 157).

ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელთა თქმით, უკიდურესად მძიმე ასეთ მდგომარეობაში ისინი მათ მხარეში რუსული მმართველობის დამყარების შედეგად აღმოჩნდნენ. მაგალითად, მწერლის შეკითხვაზე, - ომამდეც ასეთ სიღარიბეში ცხოვრობდნენ, თუ ეს სიდუხჭირე ომის შედეგად იყო გამოწვეული? - ისინი ასეთ პასუხს სცემდნენ: „წინეთ კარგად ვიყავით. 30-40 სული მსხვილფეხა საქონელი გვყავდა, 200-300 სულიც წვრილფეხა. 15-20 წყვილი საგებ-სახურავი გვქონდა, 10-15 - ხალიჩები, სახლის მოწყობილობაც კარგა ბლომადა გვქონდა, მაგრამ წაგვართვეს.

- როგორ თუ წაგართვეს? აქ ხომ თათრის ჯარი არ მოსულა? - გავიკვირვე მე.

- მართალია, აქ თათრის ჯარი არ ყოფილა და რომ შემოსულიყვნენ, გარდა საჭმელებისა, არას წაიღებდნენ. რაც გვიყო, ახალქალაქელ და არტაანელ სომხებმა და ადგილობრივმა ბერძნებმა გვიყვეს. თუ რამ გვებადა კარგი სახლში, ჩვენს თვალწინ იტაცებდნენ... რაც გადარჩათ, მათ მიერ მოყვანილ ყაზახებმა წაგვართვეს და მას მერე ვართ ასე ტანჯულ-წამებულნი. ვწვალობთ, შრომით წელზე ფეხს ვიდგამთ, მაგრამ თუ რამ ვიშოვეთ, ისიც ჯარსა და პოლიციელებს მიაქვთ“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 158).

კონსტანტინე ოდიშარიას **არტაანული მოგზაურული შთაბეჭდილებანი პირობითად მინიენციკლოპედიადაც შეიძლება მივიჩნიოთ,** შესაბამისი რეგიონის „ისტორიულ-გეოგრაფიული და სტატისტიკური მასალების“ მომცველ იმ წერილობით დოკუმენტად, რომლის მეშვეობითაც ავტორი დაწვრილებით გვაწვდის იქ არსებულ თითქმის ყველა სოფელსა და კუთხე-კუნჭულში მისი მოგზაურობის შედეგად დაგროვებულ მდიდარ ინფორმაციულ მასალებს.

თავისი მოგზაურული შთაბეჭდილებების ტექსტისთვის წამძღვარებულ შესავალში თავად კ. ოდიშარიამ ამგვარად განმარტა აღნიშნული ნაშრომის დაწერის უმთავრესი მიზანი: „არტაანის ყოფილი ოლქი, როგორც ჩვენი უძველესი კულტურის აკვანი, მე დიდად მაინტერესებდა და ვფიქრობდი მეპოვნა **„ვეფხისტყაოსნის“** უძველესი ხელნაწერები, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ისტორიული საქართველოს ეს მიდამოები **იყო დიდი შოთას სამშობლო** და ჩვენი კულტურის მაჯისცემის ერთი მთავარი ცენტრთაგანი. მე მართლაც წავაწყდი ასეთ ხელნაწერს, თუმცა, სამწუხაროდ, მისმა მფლობელმა მე ის არ დამითმო. „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერის გარდა, მე აქ მოვინახულე ჩვენი წარსულის დიადი, ჭაღარა ძეგლები, რღვეული ტაძრები, ციხე-სიმაგრეები, ნაქალაქევები, გავიცანი იქაური გადმოცემები, ლეგენდები. **თითოეული მათგანი წარმტაცი მარგალიტია ჩვენი წარსულის საგანძურიდან**... ძნელი იყო ერთი კაცისთვის შემოვლა ამ ძვირფასი და ფრიად საინტერესო მხარისა, შესწავლა და ფოტოგრაფირება ხუროთმოძღვრების ძეგლებისა, ზუსტი აღწერა მოსახლეობისა.

მაგრამ მე მაინც მოვახერხე, რკინის ჯოხი ხელში ამეღო და იმ ცეცხლსა და ორომტრიალში (იგულისხმება პირველი მსოფლიო ომი - ა. ნ.) შემომეარა არტაანის ოლქი, დამეთვალიერებინა ეს ღირსშესანიშნავი ადგილები“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 110).

მიუხედავად იმისა, რომ კ. ოდიშარიას მიერ მოწოდებული ცნობები ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა სიზუსტესაც იყოს მოკლებული და არასწორად ინტერპრეტირებულიც, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ხსენებული რეგიონში იმხანად არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით დაფიქსირებული ეს მონაცემები მაინც უნდა შეფასდეს უაღრესად ფასეულ და ამ მიმართულებით უპრეცედენტოდ უნიკალურ დოკუმენტურ მასალად.

ჩემი აზრით, აღნიშნული ნარატივისთვის ამგვარი შეფასების მისაცემად მეტად მნიშვნელოვანი რამდენიმე გარემოება ქმნის საკმაოდ მყარ საფუძველს. მათგან პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს კ. ოდიშარიას მოგზაურობის შემდგომ პერიოდში ხსენებულ რეგიონში დემოგრაფიული, ეთნიკური და მენტალური თვალსაზრისით არსებითად შეცვლილი მდგომარეობა. კერძოდ, გასული საუკუნის ათიან წლებში ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ შემადგენლობაში შემომავალი ამ რეგიონის მკვიდრთა მნიშვნელოვან ნაწილს კვლავაც ქართველები წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს ღვიძლ ნაწილად არსებული ამ მხარის დიდი შვილებისაგან განსხვავებით, რომელთაც არსებითად მნიშვნელოვანი როლი აქვთ შესრულებული ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, არტაანის მხარის იმჟამინდელი ქართული მოსახლეობა ამ დიდ ეროვნულ მისიას უკვე ვეღარ ასრულებდა, კ. ოდიშარიას მონათხრობიდან თვალნათლივ ჩანს, რომ მათი მნიშვნელოვანი ნაწილის ცნობიერება ქართულ ისტორიულ ფესვებს მაინც არ იყო ბოლომდე მოწყვეტილი.

ამის დასტურად მწერალი არაერთ ეპიზოდს გვიამბობს არტაანის მხარეში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან მისი ურთიერობიდან. მაგალითად, აი, რა უთქვამს მისთვის ერთ-ერთ იქაურ ქართველს იმ ეროვნული ერთობის შესახებ, რითაც ქართული სახელმწიფოებრივი სივრცისგან მათი მხარის მოწყვეტის მიუხედავად ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ჩვენი მოძმეები თავიანთ თავს კვლავაც მიიჩნევდნენ ისტორიული სამშობლოს განუყოფელ ნაწილად:

„არტაანი კი არა, მთელი ყარსის, აღზევანის, ოლთისის, ისპირის, კისკისის, თორთუმის, ბაიბურთის ოლქები, არზრუმის, ტრაპეზუნდის ვილაეტები (გუბერნიები) სულ საქართველოს ეკუთვნოდა ოდესღაც; ყველგან ჩვენი ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ, ყველგან ჩვენი დიდებაა, თამარ ყიზილ ფადიშაჰის აშენებული მეჩეთები და ციხეებია; ყველა სოფლებს დღესაც ქართული სახელები ჰქვია“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 126).

კონსტანტინე ოდიშარიას მონათხრობიდან ნათლად ჩანს, რომ ამგვარი ეროვნული ცნობიერების მქონე ქართველები არტაანსა და ე. წ. თურქეთის საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებს შორის მრავლად იყვნენ. ნათქვამის დასტურად აქ მწერალსა და არტაანის ოლქში მდებარე სოფელ ველში მცხოვ-

რებ ქართველებს შორის გამართული საუბრის ერთ ფრაგმენტსაც დავიმოწმებ:

„სოფელში ხმა გავარდა, ქართველი მოხელე ჩამოვიდაო. ყველას უხაროდა ჩემი მისვლა. დიდი, პატარა, ქალი, კაცი - ყველა ხელს მართმევდა და თანაც მეკითხებოდა:

- როდის გადმოსახლდებიან თქვენები აქეთო, - მე უარი ვითხარი.

- არა, ქართველები აქეთ არ გადმოსახლდებიან, მხოლოდ გვინდა, არტაანი და ოლთისის ოლქები საქართველოს საზღვრებში შემოვიტანოთ-მეთქი.

- ჰმ, გაიკვირვეს მათ, **რაღა საქართველოს საზღვრებში უნდა შეტანა, ისედაც საქართველოა, არტაანი, ოლთისი, თორთუმი და სხვა სულ საქართველო იყო და არის კიდეც. ყველგან თამარ მეფის მიერ აშენებული ციხე და საყდრებია, ყველა სოფელსაც ქართული სახელები ჰქვიან**... თუ არა გჯერა, წამოდი, გაჩვენო თამარ მეფის აშენებული ეკლესია და ციხე ქართული წარწერით, ქართველებისავე სურათებით. ეკლესიაში ჩვენ ბინძურ ხალხს არ ვუშვებთ“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 170).

ამ საუბრის შემდეგ იქაურებს მწერალი მართლაც წაუყვანიათ მათ მიერ ნახსენები ციხე-სიმაგრისა და ეკლესიის სანახავად, სადაც ასეთი რამ უნახავს: „პატარა ველზე მშვენიერი ციხეა აგებული. ციხეს გვერდით მხარს უმსვენებს ლამაზი, წითელი, სუფთათ გათლილი ქვის ეკლესია... სურათები თითქმის მთლად შენახულია. კედელზე აშკარად ჩანს... **იესო ქრისტე, ღვთისმშობელი, ბასილი დიდი, ვგონებ - დავით აღმაშენებელი,** რომელსაც თავი წაშლია, მაგრამ ტანი მთლად დარჩენია და ხელში პატარა საყდარი უჭირავს... იქვე დახატულია ვიღაც ქალის ტანი, **რომელსაც გრძელი თმის ნაწნავი ჩამოშვებული აქვს წინ და მუხლდადრეკით დგას. ტანზე სამეფო ტანისამოსი ემჩნევა... მე მგონია თამარ მეფე უნდა იყოს**“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 171).

სამწუხაროდ, კ. ოდიშარიას მიერ ხსენებულ რეგიონებში პირადად ნანახი ამ ისტორიული ძეგლების უდიდესი ნაწილი დღეს-დღეობით მთლიანადაა განადგურებული, რაც ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა შეფასდეს ჩვენი მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ფასდაუდებელ დანაკარგად.

კონსტანტინე ოდიშარიას მოგზაურული შთაბეჭდილებებისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ მისე-

ული მონათხრობი ფაქტობრივად ერთადერთი წერილობითი დოკუმენტია, რომელშიც ფართო სპექტრითაა წარმოჩენილი 1910-იანი წლების არტაანის ოლქის სოფლებში არსებული მდგომარეობის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მხარე. ხსენებული ნაშრომის მნიშვნელობას კიდევ უფრო მეტად ფასეულს ხდის ის ფაქტი, რომ ავტორის მიერ საკმაოდ დეტალურად აღწერილი იქაური რეალობა დღეისათვის უკვე რადიკალურადაა შეცვლილი.

ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება პირველ ყოვლისა იმ გარემოებას უნდა მივაქციოთ, რომ ისტორიულად ქართველი ეთნოსით დასახლებულ ამ რეგიონში ამჟამად არსებული რეალობა არა მარტო იმის გამოა არსებითად შეცვლილი, რომ იქ მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა მკვეთრადაა შემცირებული, არამედ იმის გამოც, რომ მათ უმეტესობას უკვე ენობრივადაც და მენტალურადაც აქვს გაწყვეტილი, ანდა ძალზე შესუსტებული, ცნობიერი კავშირი ისტორიულ სამშობლოსთან.

კ. ოდიშარიას მოგზაურობის დროინდელ არტაანის სოფლებში კი აღნიშნული თვალსაზრისით გაცილებით უკეთესი მდგომარეობა არსებობდა.

ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი სიცხადისა და დამაჯერებლობის მისაცემად, ქვემოთ შევეცდები, განზოგადებული ფორმით წარმოვაჩინო ის უმთავრესი მხარეები, რომლებიც არსებითად განსაზღვრავს კონსტანტინე ოდიშარიას მოგზაურულ შთაბეჭდილებათა მნიშვნელობას.

1. ავტორისეული მონათხრობის მიხედვით, ნათელი წარმოდგენა გვექმნება არტაანის მხარეში არსებული ფაქტობრივად ყველა სოფლის მოსახლეობის რაოდენობაზე, ეთნიკურ კუთვნილებაზე, რელიგიურ აღმსარებლობასა და ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების სპეციფიკურ მხარეებზე.

2. კ. ოდიშარიას ინფორმაციით, ხსენებული რეგიონის მცხოვრებთა უმეტესობას იმხანად მუსლიმანი ქართველები წარმოადგენდნენ და მათ უმთავრეს საკომუნიკაციო ენას ქართული წარმოადგენდა. ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად ავტორი კონკრეტულად ასახელებს აღნიშნულ მხარეში მდებარე სოფლების სახელწოდებებს, რომელთა უდიდესი ნაწილი ქართული ანდა მეგრული წარმომავლობისა იყო. მაგალითად: ყვირილა, ვარდოსანი, თიკანი, ნაქალაქევი, მაღარო, წყაროსანი, ოქროს ქოთანი, ველისციხე, თეთრი ციხე, ახალშენი, ჯვარის ხევი, ზემო და ქვემო

თამარი, მგლის ციხე, წყაროსთავი,სათლელი, სტეფანწმინდა, კოდის წყარო, სათიბი, მარცვალეთი, საიხვე, ჩრდილეთი, ყორე-ველი, ფიქრაშენი, ჭალა, კაკაბეთი, ჩადუნა, ვაშლობი, საღორეთი, კოდისწყარო, სარძევე, ბაღდათი, ჭინჭრობი, კოდისწყარო, ჭანჭახი, ღეჯი, ყანარბილი...

სამწუხაროდ, ამ და არტაანის მხარეში მდებარე სოფლებისა და სხვა ტოპონიმების ქართული სახელები დღეს თურქული სახელწოდებებითაა შეცვლილი, რაც საკმაოდ რთულს ხდის მათ იდენტიფიცირებას თავდაპირველ სახელწოდებებთან.

მკითხველის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ავტორისეული მონათხრობის ის ეპიზოდებიც, სადაც არტაანის მხარეში მცხოვრებ ქართველთა გვარებია დასახელებული. მათი არასრული ჩამონათვალი ასეთია: ხიმშიაშვილები, ირემაძეები, შარვაშიძეები, მიქელაძეები, ფაღავები, გულიაშვილები, წიქარიძეები, წითლანაძეები, ბერიძეები, ორბელიანები, თარხნიშვილები, თარხან-მოურავები, სულხანიშვილები, ფალავანდიშვილები...

3. მიუხედავად იმისა, რომ არტაანსა და მის ოლქში მცხოვრები თითქმის ყველა ქართველი გამუსლიმანებული იყო, მათი არც თუ მცირე ნაწილი არა მარტო შინაგან კრძალვას ავლენდა ქრისტიანული ეკლესიებისა და სიწმინდეებისადმი, არამედ სხვადასხვა სადღესასწაულო დღეებში თავადაც მიდიოდა ამ ადგილებში გარკვეული რელიგიური რიტუალის აღსასრულებლად და ამ ფორმით გამოხატავდა თავის ქვეცნობიერ კავშირს თავისი წინაპრების ქრისტიანულ აღმსარებლობასთან.

მაგალითად, აი, რა ინფორმაციას გვაწვდის მწერალი სოფელ ხანახში აღნიშნული თვალსაზრისით არსებულ ტრადიციასთან დაკავშირებით: „ხანახში სამი ეკლესიის ნანგრევია. ესენი ადგილობრივად მცხოვრებ ბერძნებს დაუნგრევიათ და მათის ლამაზი ქვებით ეკლესია აუშენებიათ. მათ ეკლესიაში ტილოზე **დახატული ღვთისმსობლის უძველესი დროის ხატი ასვენია ქართული ქარწერით.** ეს ხატი ბერძნებს ამ ასი წლის წინათ აზრუმის წმინდა გიორგის ეკლესიაში უპოვნიათ. ეს ხატი, როგორც ბერძნების, ისე ქართველი მაჰმადიანების მიერ ცნობილია სასწაულმოქმედად და მის დღესასწაულს წელიწადში ორჯერ უქმობენ - აპრილში და მარიამობისთვეში“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 122).

4. ქართული სახელმწიფოებრივი შემადგენლობიდან მათი მხარის ხანგრძლივი დროით მოწყვეტისა და რელიგიური გაუცხოების

მიუხედავად, იქაური ჩვენი მოძმეების ცნობიერებაში მაინც იყო წარუშლელად აღბეჭდილი, რომ საქართველო მათ ისტორიულ სამშობლოს წარმოადგენდა. საამისო ცოდნას ისინი არა მარტო გაუცნობიერებლად ავლენდნენ, არამედ ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულიდან მათ მეხსიერებაში მეტ-ნაკლები სიცხადით აღბეჭდილი ლეგენდარული ეპიზოდებითაც. ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტ სიყვარულსა და მოკრძალებას ისინი თამარ მეფისადმი ავლენდნენ. მათი დიდი ნაწილის რწმენით, თამარი განსაკუთრებული სიყვარულით იყო დაკავშირებული მათ მხარესთან, ხშირად სტუმრობდა ამ რეგიონს და დიდმნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული მისი აღმშენებლობის საქმეში.

სწორედ ამის თვალნათლივ გამოხატულებად მიიჩნევენ ისინი მათ რეგიონში მრავლად არსებული ეკლესია-მონასტრების უდიდეს ნაწილს, ციხე-სიმაგრეებს, ხიდებსა და მატერიალური კულტურის სხვადასხვა ძეგლებს. ამ რწმენის ფუნდამენტურ გამოვლინებას წარმოადგენდა ის ფაქტიც, რომ თურქეთის სხვა რეგიონებთან და საქართველოსთან არტაანის მხარის დამაკავშირებელ მთავარ საგზაო არტერიას იქაურები თამარისეული შარაგზის სახელით მოიხსენიებდნენ.

თამარ მეფისადმი განსაკუთრებული სიყვარულის წარმომჩენ მოვლენას წარმოადგენდა ისიც, რომ ამ რეგიონში მდებარე ბევრი ეკლესია კვლავაც იყო დამშვენებული მისი ფრესკებითა და განმადიდებელი სიტყვებით.

არტაანის ოლქში მცხოვრები ჩვენი მოძმეების მტკიცებით, თამარ მეფე მათ მხარეზე განსაკუთრებულად ყოფილა შეყვარებული, ხშირად სტუმრობდა მას და იქ არსებული ბევრი ეკლესია და ციხე-სიმაგრე სწორედ მის მიერ იყო აგებული. აქედან გამომდინარე, ქართველი ერის დიდი შვილებიდან ისინი ყველაზე მეტ სიყვარულსა და მოკრძალებას უპირველეს ყოვლისა სწორედ თამარის მიმართ გამოხატავდნენ.

ამის ერთ-ერთ თვალნათლივ დადასტურებას წარმოადგენს კ. ოდიშარიას ნარატივის ის ეპიზოდები, საიდანაც ვგებულობთ, რომ იქაური ქართველები განსაზღვრულ დღეებში ქრისტიანულ სალოცავებსაც სტუმრობდნენ თამარ მეფის ხსოვნისთვის პატივის მისაგებად. ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ ასეთ სიყვარულსა და პატივისცემას ჩვენი დედოფლისადმი არა მარტო ქართველები იჩენდნენ, არამედ არაქართველებიც.

მაგალითად, აი, რა უთქვამთ სოფლების - ზემო და ქვემო თამარის ქურთ მცხოვრებლებს მათთან სტუმრად მყოფი და წასასვლელად გამზადებული მწერლისთვის: „დღეს ჩვენ სალოცავი გვაქვს, მოიცადეთ, ილოცეთ ჩვენთან ერთად...

1 მაისს დილიდანვე ხალხმა ჯალაბობით იწყო დენა ამ სალოცავისაკენ. აქაურებს აჰყავთ ამ სალოცავისაკენ ცხვრები, კლავენ, ამზადებენ საღმრთოს, ლოცულობენ **თამარ ყიზილ ფადიშაჰის საფლავზე,** მოუწოდებენ **თამარ ყიზილ ფადიშაჰს.** უკითხავენ, ნიშნად სიყვარულისა, ერთმანეთს საღმრთოს და სხდებიან ჭამად. ხოლო მზის ჩასვლისას მათ კვლავ მოილოცეს საფლავი და სახლისკენ გაუდგნენ გზას.

- ვინ არის აქ დამარხული? - შევეკითხე მასპინძელს.

- თამარ ყიზილ ფადი შაჰი, - მიპასუხა მან“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 122).

როგორც კ. ოდიშარიას მონათხრობიდან თვალნათლივ ჩანს, თამარ მეფე გამონაკლისი არ ყოფილა და ჩვენი ქვეყნის დიდი შვილებიდან არტაანის მხარეში მცხოვრებ ქართველთა ხსოვნაში ასეთივე სიყვარულით იყვნენ აღბეჭდილი ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, ლაშა გიორგის... სახელები.

არტაანის მხარეში მცხოვრებ ქართველთა ცალკეული წარმომადგენლები ისტორიული სამშობლოსადმი სიყვარულს იმითაც გამოხატავდნენ, რომ განსაკუთრებული სიყვარულით უფრთხილდებოდნენ საქართველოს წარსულთან დამაკავშირებელ და მათთვის უძვირფასეს რელიქვიად ქცეულ სიძველეებს. მაგალითად, სოფელ გუგუბაში კ. ოდიშარია პირადად შეხვედრია იქ მცხოვრებ თეიმურაზ ყადირ ოღლი წითლანაძეს, რომელსაც ასე ახასიათებს: „იგი წმინდად ლაპარაკობს ქართულს, უყვარს საქართველო და ამაყობს, რომ ქართველია. წითლანაძემ კარგად იცის საქართველოს ისტორია, იცის წერა-კითხვაც. მან ზანდუკიდან ამოიღო **დიდი ფორმის ტყავის ყდიანი ხელნაწერი, ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ისტორია.** ის მას წითელს ფარჩაში ჰქონდა გახვეული. წიგნი ლამაზის ხელითაა დაწერილი და ქაღალდი სქელი რუხი ფერისაა“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 120).

სამწუხაროდ, მსგავსად „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერისა, ხსენებული ტექსტიც დაკარგულია და სამომავლოდაა საძიებელი.

კონსტანტინე ოდიშარიას მიერ ნაპოვნ უცნობ ქართულ ხელნაწერებზე საუბრის დროს რამდენიმე სიტყვა ოლთისში, ბანას ცნო-

ბილი ტაძრის მახლობლად, მდებარე სოფელ კალკოტის ქართულ ეკლესიაში ნაპოვნ უძველეს ქართულ სახარებაზეც უსათუოდ უნდა ითქვას. ამ ამბის შეტყობით გახარებული მწერალი ხსენებული სახარების სანახავად დაუყოვნებლივ გამგზავრებულა იმხანად სომხებით დასახლებულ ამ სოფელში, სადაც ასეთი სურათის მხილველი გამხდარა: „სუფთათ გათლილი ქვის სახლების კედლებზე ხშირად ნახავთ **ხუცურ წარწერებს**. ეტყობა, სომხებს ეკლესია დაურღვევიათ და მისი ქვებით თავიანთვის სახლები აუშენებიათ“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 200).

რაც შეეხება სოფელში მდებარე სომხურ ეკლესიას, მის შესახებ მწერალი ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: „ეკლესიის ქვები, ეტყობა, ქართული ეკლესიიდან არის წამოღებული. მათზე აქა-იქ **ქართული ხუცური ასოებია ამოჭრილი**. ერთ ქვაზე წმინდა გიორგი აწერია“. ეკლესიის სომეხ მღვდელმსახურს, რომელსაც კ. ოდიშარია ქუთაისელ სომხად გაცნობია, სტუმარი პატივისცემის ნიშნად შინ მიუწვევია და სწორედ იქ უნახავებია „ძვირფას აბრეშუმის ბაღდადში შეხვეული“ და ზანდუკში საიმედოდ შენახული ქართული სახარების ხელნაწერი.

ტერტერას თქმით, მათ მიერ დანგრეული ქართული ეკლესიის ტრაპეზის ქვეშ მიწაში ჩამარხული ეს ხელნაწერი „ძვირფას სქელ ოქროს ყდაში იყო ჩამჯდარი და ზედ ქრისტე და მოწაფეები ეხატა, მაგრამ ოქროს სიყვარულისათვის რომ არ მოეპარათ, ავაგლიჯეთ, ოქრო გავყიდეთ და წიგნი შევინახეთო.“

კ. ოდიშარიას აღწერით, „სახარება დიდი ფორმატისაა, ლამაზი ხელით ნაწერი, ყველა ახალი თავები წითელი მელნითაა დაწერილი. თვით პერგამენტის ფურცლები, გარდა წინა ათი გვერდისა, სუფთაა, ხოლო წინა 10 გვერდი ხშირად ჭუჭყიანი ხელის კიდებით ტყვიის ფერი ჭუჭყითაა შემურვილი და აქა-იქ წმინდა სანთლის წვეთებია დაღვენთებული. სახარების ზოგიერთი გვერდის მინდორზე (აბზაცებზე) ქართული მხედრული ასოებით წარწერებია წვრილი, ლამაზი ხელით; ჩემგან უცნობი ქართული ისტორიიდან ამოღებული ღირსშესანიშნავი ცნობები საქართველოს ძველი ცხოვრებიდან (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 201).

კ. ოდიშარიას გადმოცემით, პერგამენტზე დაწერილი ეს სახარება დავით კურაპალატს შეუწირავს ბანას ტაძრისთვის. სამწუხაროდ, მიუხედავად დიდი მცდელობისა, მწერალს ამ უნიკალური ხელნაწერის წამოღება ვერაფრით მოუხერხებია, რადგანაც იგი სო-

მეხ ტერტერას შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდაც ჰქონია გამოყენებული.

დამოწმებული ეპიზოდი გამონაკლისი არ არის და არტაანის მხარეში მცხოვრებ სომეხთა ცალკეული წარმომადგენლების მიერ ქართულ ისტორიულ ფასეულობათა ხელყოფასა და მითვისებაზე კ. ოდიშარია სხვა დროსაც საუბრობს უდიდესი გულისტკივილით.

მაგალითად, აი, რას წერს იგი არტაანის ციხე-სიმაგრეში ამ მიმართულებით განხორციელებულ ერთ-ერთ ასეთ ვანდალურ ქმედებასთან დაკავშირებით: „ციხეში შესავალ დიდ რკინის კარებს ზევით ჩასმულია მარმარილოს ქვები **ხუცურის წარწერებით.** მაღლა ორი ქვაა მიკრული, ერთი - **არაბული დამწერლობით,** მეორე - **სომხური წარწერით,** რომელიც ახალს ჰგავს. ადგილობრივმა მცხოვრებმა ქართველმა კათოლიკემ ი. ხარიშარაშვილმა მიამბო, რომ... ეს სომხური წარწერა (1915 წელს - ა. ნ.) ამოაჭრევინეს ქვის მთლელს სავა სამანაპულოს სოფ. ბაღდადიდანო. მეორე ქართულ წარწერიან ქვაზე ვიღაცის **ქართული ხუცური წარწერები საღებავით გაუშავებია და ქვეშ თავისი გვარიც მიუწერია რუსულად**“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 140).

არტაანელ სომეხთა ანტიქართული ქმედების ნათელსაყოფად კ. ოდიშარია ერთ ასეთ ეპიზოდსაც გვიამბობს: წირვის მოსასმენად არტაანის კათოლიკურ ეკლესიაში მისულს ეკლესიის კედელზე დაკიდებული ვერცხლის ღვთისმშობლის ხატი უნახავს. მწერლის მიერ ხელოვნების მშვენიერ ნიმუშად მიჩნეული ამ ხატის ქვემოთ არსებული ქართული წარწერა თურმე იუწყებოდა, რომ იგი ვიღაც ორბელიანს შეუწირავს არტაანის ეკლესიისათვის. ნანახით გახარებულ კონსტანტინეს რვეული და ფანქარი მოუმარჯვებია და ჩანაწერის გაკეთება დაუპირებია, მაგრამ სომეხ პატრს ეს ყველაფერი დაუნახავს, წირვა შეუწყვეტია, მასთან მისულა, რვეული გამოურთმევია, ჩანაწერი ამოუხევია და უთქვამს: „გადაწერა ეკლესიის სამკაულებიდან შეუძლებელიაო“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 141).

5. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მიუხედავად იმისა, რომ არტაანის მხარეში მცხოვრებ ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობა გამუსლიმანებული იყო, 1910-იან წლებში, როცა კ. ოდიშარიამ ამ მხარეში იმოგზაურა, მის ყველა სოფელში კვლავაც არსებობდა ქრისტიანული ეკლესიები. მართალია, მათი ნაწილი დანგრეული და გაპარტახებული იყო, მაგრამ მათთან ერთად ხელყოფას გადარჩენი-

ლი და ქრისტიანული ფრესკებითა და ქართული წარწერებით შემკობილი ტაძრებიც არსებობდა.

მაგალითად, აი, რა ინფორმაციას გვაწვდის იგი სოფელ წყაროსთავში მდებარე ეკლესიასთან დაკავშირებით: „სუფრასავით გაშლილს მოედანზე ეკლესიაა გაშენებული მეტეხის ციხის ეკლესიის მსგავსად, სუფთად გათლილი, დიდრონი ყვითელი ქვების ფიცრებისაგან. **ამ ეკლესიაში ებრაულ ენიდან ქართულად უთარგმნიათ სახარება.** ეკლესია შედარებით დაუზიანებელია... ეკლესიის კედლები მშვენიერის ხუროთმოძრვრების ხელოვნებითაა აშენებული და ხშირად ამშვენებს მის კარებსა და კედელ-სარკმლებს სუფთად ამოჭრილი **ჩუქურთმები...** ეკლესია შიგნით სუფთადაა შენახული. იატაკი მორთულია ძვირფასი ხალიჩებით. **შიგნით მხატვრობა ძალზე კარგადაა დაცული. არსად დაფხაჭნილი და წაშლილი არ არის. შესავალ კართან გამოსახულია მეფე ვახტანგ გორგასლანი... აქ ქართველ მეფეებისა და წმინდანების სურათები თავდება ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლებზე დაჩოქებული თამარ მეფეთი, რომელიც ბრილიანტით მორთულ საყურეს დებს ღვთისმშობლის ხატის წინ“** (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 123).

არტაანის მხარის სოფლებში მრავლად არსებულ ეკლესიებსა და ადრინდელი საუკუნეებიდან შემორჩენილ სხვადასხვა სახის მატერიალური კულტურის ძეგლებზე კ. ოდიშარია ხშირად პოულობდა ქართულ წარწერებს. მაგალითად, სოფელ საღორეთში არსებული „ლამაზი და ჩუქურთმებით შემკული, სრულიად მთელი და დიდებული მხატვრობით“ დამშვენებული ეკლესიის შესასვლელი კარის ზემოთ მდებარე მარმარილოს ქვაზე ხუცური წარწერა ყოფილა ამოკვეთილი (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 138).

ანდა: სოფელ ჭალაში არსებულ „მაღალი ხუროთმოძღვრული ხელოვნების უგუმბათო ეკლესიას, რომლის სილამაზე და სუფთად გათლილ თეთრ ქვაზე ფაქიზად ამოჭრილი ჩუქურთმები აოცებს მნახველს... შესავალ კარს ზევით, კედელში, ჩაყოლებული აქვს... წმინდა მარმარილოს ქვა **ხუცურის წარწერით**“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 122). ველისციხეში ნანახი გუმბათიანი ეკლესია კი „წითელი, მარმარილოს მსგავსი ფერის ქვისაგანაა არაჩვეულებრივი ლამაზი ხელოვნებით ნაგები... ეკლესია დაუზიანებელია... **შიგნით მხატვრობა ისე ბრწყინავს,** თითქოს ამ 10-15 წლის წინათ დაუხატიათო. შიგნით, ჩრდილოეთის მხრისაკენ,

კედელზე დახატულია სრული სახით **იესო ქრისტე, ღვთისმშობელი, დიდი ბასილი, დავით აღმაშენებელი...** შესავალი კარის გარედან **ქართული ხუცური წარწერებია** ამოჭრილი“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 118).

7. კონსტანტინე ოდიშარიას მოგზაურული დღიურებისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის კრიტიკული დამოკიდებულებაც, რასაც იგი არტაანის მსარის მოსახლეობისადმი რუსეთის ხელისუფლების აგრესიული პოლიტიკის მიმართ ავლენს. კერძოდ, მწერალი არაერთ კონკრეტულ ეპიზოდს გვაწვდის იმ აგრესიის ნათელსაყოფად, რასაც პირველი მსოფლიო ომის დროს იჩენდნენ რუსი სამხედროები და სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლები ამ რეგიონის მცხოვრებლებისადმი. ისინი არა მარტო სამართლებლივად და ეკონომიკურად ავიწროებდნენ იქაურებს, არამედ მათ გარკვეულ ნაწილს ციმბირში გადასახლებითაც სჯიდნენ.

ნათქვამისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად დავიმოწმებ რამდენიმე ფრაგმენტს ავტორისეული მონათხრობიდან. „ქვემო ხანახთან ახლოს სამი ნასოფლარია. სამივეში ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ თურმე, მაგრამ 1877-78 წლების უმის დროს ზოგი ამოუხოციათ და ზოგიც სამხედრო ტყვეებად გამოცხადებულები ციმბირში გადაუსახლებიათ“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 116). ან კიდევ: სოფელ ზემოხელოვანში 19 ქართველი მაჰმადიანი ცხოვრობს, ხოლო ქვემო ხელოვანი ნასოფლარია. როგორც იქაურმა მოხუცმა უსუფ წიქარაძემ მიამბო, „1877-78 წლების ომის დროს, რუსის მეფის ჯარის სარდლობის განკარგულებით, სოფლის მცხოვრებლები **ზოგი ამოუხოციათ და ზოგიც, სამხედრო ტყვეებად გამოცხადებულები, ციმბირში გადაუსახლებიათ**“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 120). ანდა: „1877-78 წლებამდე არტაანის ოლქი ქართველი მაჰმადიანებით მჭიდროდ ყოფილა დასახლებული, მაგრამ რუსის მეფის მხედრობას ამოუწყვეტია და ზოგან ქურთები და ზოგანაც თურქმენები დაუსახლებია“ (წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან, 2020: 122).

არტაანისა და ე. წ. თურქეთის საქართველოს სხვა რეგიონების სოფლებში მოგზაურობასთან დაკავშირებით კონსტანტინე ოდიშარიას მიერ 1910-იანი წლების ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ ტექსტებს ცხოველი გამოხმაურება მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ

იმ პერიოდის ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი ხსენებულ პუბლიკაციებს აღნიშნულ ადგილებში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ისტორიისა და იმჟამინდელი ყოფის შესასწავლად უაღრესად მნიშვნელოვან მასალად მიიჩნევდა, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ავტორისეული მონათხრობისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას გამოხატავდნენ. აი, რას წერდა თავად კონსტანტინე ოდიშარია დუტუ მეგრელს ამასთან დაკავშირებით:

„ღრმად პატივცემულო დიმისტრი თომას ძევ!

ქუთაისში ჩემმა წერილმა „არტაანიდან თორთუმამდე" დიდი კამათი ასტეხა ეროვნულ დემოკრატებთა და ფედერალისტებთა შორის. ვასილი წერეთელი „ჩვენი ქვეყანას" №81-ში, 18 ივლისს ვრცელი წერილით ეკამათება აკაკი ფაღავას არტაან-ოლთისი-თორთუმში და სხვა სათათრეთის ოლქებში მცხოვრები ქართველი მაჰმადიანების შესახებ და სხვათა შორის ეუბნება: „კვლავ ვეომებით არტაანსა და ოლთისში, სადაც ქართველი მაჰმადიანები აქა-იქ არიან გაბნეული. წაიკითხეთ ექვთიმე თაყაიშვილის გამოკვლევა „საქართველოს სიძველეები". ის ამბობს, იქაურ მცხოვრებთ ქართული ტიპი აქვთო. ამასვე ამბობს ფრონელი. „მარტვილელი" კი, რომელსაც შემთხვევა ჰქონდა ზედ-მიწევნით შეესწავლა ხსენებული ქვეყნების ეთნოგრაფია, ამბობს: ორ-მესამედს იქაურ მცხოვრებთა ქართველი მაჰმადიანები შეადგენენ. მართალია, მათ დავიწყნიათ დედაენა, მაგრამ შერჩენიათ ქართული ტიპი, შთამომავლობის ხსოვნა, ზნე-ჩვეულებანი, ქართველებისადმი სიყვარული და სხ. ალაგებსა და მდინარეებს ქართული სახელები შერჩენიათ. ეკლესიების ნაშთებს პატივსა სცემენ და სხ. მხოლოდ ნაფიცი ვექილი ილარიონი ჟღენტი ამავე №81 გაზეთში უთითებს პრივადოცენტი შ. ნუცუბიძე ჩემს ნაწერზე და ეუბნება: „ბ. ლექტორო! წაიკითხეთ გაზეთ „საქართველოში" №147 მოთავსებული წერილი „არტაანიდან თორთუმამდე". ამ წერილიდან თქვენ ბევრ რამე საყურადღებოს გაიგებთ, გაიგებთ, ვინ ცხოვრობს არტაანში და თორთუმში და შესაძლებელია თქვენ სულ სხვა ჰანგზე ამღერდეთ". გუშინ ქუთაისის ეროვნულ დემოკრატთა ინტელიგენციამ მადლობა გამომიცხადეს „ჩვენი ქვეყნის" რედაქციაში, სადაც ვიყავი მიწვეული და სთხოვენ ეგენი თფილისში ეთნოგრაფიულ საზოგადოებას, მომცენ ქაღალდი თავისუფლად ყველგან სიარულისა და საქართველოს სიძველეების ნახვა აღწერისა. მე აღვუთქვი, რამდენადაც სამსახური ნებას მომცემს, ვიმუშავო სამშობლოს საკეთილდღეოთ მეთქი, მაგრამ ამ-

ისათვის საჭიროა ჩემი უფროსის თანაგრძნობა, რომელიც იმედი მაქვს... თანაგრძნობით შესვდება ამ საქმეს, მაგრამ მისი რუსი თანაშემწე კი არ ვიცი თანამიგრძნობს თუ არა ამ საქმეში. გაზეთ „საქართველოზე" მე ძრიელ გულმოსული ვარ. მან დამიმახინჯა ჩემი უკანასკნელი წერილი, რომელსაც მე სათაურათ მივეცი „გზა-და-გზა. არტაანიდან თორთუმამდე. ნახული და განცდილი", რომლის პირის წერილი მარკოზ მაქსიმეს ძე ბ-ნ სულხანიშვილს გაუგზავნე წასაკითხათ. თუ შეხვდეთ, გამოართვით და გადაიკითხეთ. ნახამთ, რა საჭირო ადგილებია შესასწე სომხების სიმხეცისა... წერილის სილამაზეზე არა ვსთქვათ რა. ხელ-ნაწერის წანაკითხთან გაზეთში დაბეჭდილი არა მოგეწონებათ რა. ნამეტნავად ... ეკლესიის აღწერა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეხლა, თან ქართველები გამოტოვებულია.

მალე ართვინში გავემგზავრები და შევუდგები წერას.

მშვიდობით! იყავით დღე-გრძელი და ჯანმრთელი!

მარადის თქვენი უერთგულესი, ღრმათ პატივისმცემელი თქვენი კ. ოდიშარია.

12 მარიამობისთვე, 1917 წ. დ. ხონი.

უკაცრავად ასეთ ქაღალდზე გწერთ წერილს, მაგრამ ხონში ფოსტის ქაღალდი ვერ ვიშოვნე.

კ. ოდიშარია" (გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილება, დოკუმენტის ნომერი 6256-ბ).

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ იმ ფაქტს, რომ კონსტანტინე ოდიშარიას მოგზაურული შთაბეჭდილებები ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება მივიჩნიოთ უაღრესად ფასეულ დოკუმენტურ მასალად აღნიშნულ რეგიონებში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ისტორიისა და იმდროინდელი ყოფის შესასწავლად.

იოსებ იმედაშვილი

საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში მოღვაწე იმ ქართველ მწერალთა შორის, რომელთაც არა მარტო თავიანთი მხატვრულ-პუბლიცისტური ნააზრევით წარმოაჩინეს საკუთარი ეროვნული თვალთახედვა, არამედ იმდროინდელ საზოგადოებრივ საქმიანობაშიც იღებდნენ აქტიურ მონაწილეობას, იოსებ იმედაშვილიც უნდა დავასახელოთ (დაიბადა 1876 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმში. გარდაიცვალა 1952 წელს). სამწუხაროდ, თავისი დროისათვის საკმაოდ პოპულარული და მრავალმხრივი მოღვაწეობით გამორჩეული ამ უპრეტენზიო მამულიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობა და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი და სათანადოდ პატივდებული.

იმ ლიტერატურათმცოდნეთაგან, რომელთაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვით ქართველოლოგიური მეცნიერების ამ ხარვეზის შესავსებად, უსათუოდ უნდა დავასახელოთ თავად იოსების შთამომავლები: გაიოზ და კობა იმედაშვილები. კერძოდ, გაიოზმა 1984 წელს დასტამბული თავისი მონოგრაფიით - „იოსებ იმედაშვილის ცხოვრების გზებზე“ და კობა იმედაშვილმა 1978 წელს გამოცემული იოსების წერილებითა და 2016 წელს დაბეჭდილი წიგნით - „ჩემი საუკუნე“ მნიშვნელოვანი მასალები მოგვაწოდეს იოსებ იმედაშვილის საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან და შემოქმედებით მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. ხსენებული წიგნებისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ იოსებ იმედაშვილის ღვაწლს მათი ავტორები არა მარტო იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით წარმოაჩენენ, არამედ თავად მწერლის პირად არქივში დაცული მასალების გამოყენებითაც.

მრავალმხრივი შემოქმედებითი, ჟურნალისტური, საგამომცემლო და საზოგადოებრივი საქმიანობით გამორჩეული ამ გულმხურვალე მამულიშვილის ღვაწლის გაანალიზების შედეგად ხსენებული ნაშრომების ავტორებმა დამაჯერებლად ნათელყვეს, რომ იგი „იმ მრავალმხრივი და ხალხისთვის თავშეწირული მოღვაწის ტიპი გახლდათ, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დემოსმა დაუბადა საქართველოს.“ კობა იმედაშვილის ხაზგასმით, იოსებ იმედაშვილის

მოღვაწეობისთვის ამგვარი შეფასების მისაცემად მყარ საფუძველს წარმოადგენს მისი საქმიანობის არასრულად წარმომჩენი შემდეგი ფაქტები:

- შეადგინა ქართველ მოღვაწეთა უნიკალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, რომლის მეშვეობითაც მკითხველს უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები მიაწოდა თავიანთი საქმიანობით გამორჩეულ მამულიშვილთა საქმიანობასთან დაკავშირებით. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ უნიკალურად მნიშვნელოვანი ამ ნაშრომით ი. იმედაშვილმა არა მარტო ცნობილ მოღვაწეთა ბიოგრაფია გაამდიდრა ახალი ფაქტებითა და ეპიზოდებით, არამედ არაერთი უცნობი და ნაკლებად ცნობილი ქართველი მამულიშვილის ღვაწლიც წარმოაჩინა კონკრეტულ ფაქტებსა და არგუმენტებზე დაყრდნობით;

- 1895 წლიდან საკუთარი დაფინანსებით ცემდა და მთელ საქართველოში ავრცელებდა ე. წ. სახალხო წიგნებს, რითაც მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული ქართული მწერლობის წარმომადგენელთა შემოქმედების პოპულარიზაციის საქმეში;

- იყო მუშათა თეატრის დამაარსებელი და მისი პირველი რეჟისორი, გარე კახეთის რევოლუციური ერთობის ხელმძღვანელი;

- 1903-1904 წლებში გაზეთ „ივერიაში" გამოაქვეყნა ვრცელი მოცულობის მქონე სატირული რომანი - „აახ-ვაახ!" კობა იმედაშვილის შეფასებით, ხსენებული ნაწარმოები ქართული ლიტერატურის ისტორიაში ამ ჟანრის პირველი მხატვრული ტექსტია, რომლის „მთავარი გმირი კინკიბაძე მიხეილ ჯავახიშვილის კვაჭი კვაჭანტირაძის წინამორბედია" (იმედაშვილი, 2016: 12).

- 1910-1926 წლებში სცემდა მრავალმხრივი შემოქმედებითი მიმართულების მქონე ჟურნალს - „თეატრი და ცხოვრება," რომლის ფურცლებზეც არა მარტო ქართულ თეატრალურ ხელოვნებასთან დაკავშირებით აქვეყნებდა წერილებს, არამედ ჩვენი მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა (აკაკის, ვაჟას, იაკობ გოგებაშვილის, გალაკტიონის, გიორგი ქუჩიშვილის, იროდიონ ევდოშვილის...) შემოქმედების ნიმუშებსაც;

- ანტისახელისუფლებო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისთვის 1910 წელს დაიჭირეს და ოთხი წლით იხდიდა სასჯელს მეტეხის ციხეში;

- თავის ძმასთან და უფროს შვილთან ერთად 1918 წლის დეკემბერში მოხალისედ წავიდა ქართველ-სომეხთა ომში მონაწილეობის

მისაღებად. ამ მოვლენის დამადასტურებელი რამდენიმე ფოტოსურათი დაცულია მის პირად არქივში. ამ ფოტოსურათებზე იგი გამოსახულია მკერდზე მიბნეული თეთრი გიორგის ორდენით, რითაც დაჯილდოებულ იქნა ხსენებულ ომში მონაწილეობისთვის. ეს ომი შემდეგ მთავარ თემად იქცა მისი დაუმთავრებელი დოკუმენტური რომანისა - „განახლებული სიცოცხლე," რომლის მხოლოდ რამდენიმე თავია გამოქვეყნებული ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების" 1919 წლის #1-14-სა და 1920 წლის #2-4 ნომრებში(იმედაშვილი, ჩემი საუკუნე, 2016: 56 (იმედაშვილი, 1984: 263).

მკითხველისათვის ადვილი წარმოსადგენი იქნება, ასეთი ეროვნული სულისკვეთების მქონე მამულიშვილს როგორი დამოკიდებულებაც ექნებოდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შედეგად ჩვენს ქვეყანაში შექმნილი რეალობისადმი, რამაც რეალურად შექმნა საფუძველი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამ ისტორიული მოვლენისადმი თავისი დამოკიდებულება იოსებ იმედაშვილმა ემოციური აღტკინებით გამოხატა როგორც იმხანად გამოქვეყნებულ თავის პუბლიცისტურ წერილებში, ისე მისი რედაქტორობითა და დაფინანსებით გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალებითა და ქართველ მწრალთა წიგნებით.

ნათქვამისათვის მეტი სიცხადისა და დამაჯერებლობის მისაცემად დავიმოწმებ რამდენიმე ფრაგმენტს მისი იმდროინდელი პუბლიკაციებიდან:

„მოქალაქენო, ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა მონობის მძიმე უღელქვეშ სულშეხუთულო, დღემდე ყურმოჭრილ ყმად მიჩნეულო ქვეშემრდომო, აწ თავისუფალო მოქალაქევ!

თებერვლის 27-ს გაიყარა ძველი და ახალი რუსეთი. ძველმა განისვენა, ახალმა განანათლა ყოველი კუთხე-კუნჭული რუსეთის წამებულ ქვეშემრდომთა გულისა. ბაგეთაც ჩვენთაც აღეხსნა მძიმე ბოქლომი" („თეატრი და ცხოვრება," 1917 წ. #11).

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ თავისი ეროვნული თვალთახედვა იოსებ იმედაშვილმა უპირველეს ყოვლისა ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების" მეშვეობით გამოხატა. სწორედ ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამომავალი ამ პერიოდული ორგანოს ფურცლებზე გამოქვეყნებული არა მარტო საკუთრივ მისი პუბლიცისტური წერილები და მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტები, არამედ ქართველ მწერალ-

თა შემოქმედების ნიმუშებიც. კერძოდ, გაიოზ იმედაშვილის შეფასებით, ხსენებული ჟურნალის ფურცლებზე დაბეჭდილ ამ მასალებში „არა იშვიათად შუქდებოდა ეროვნული კონსოლიდაციის საკითხები“ და „განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჩვენი ისტორიის ძნელბედობის შედეგად საქართველოს დაკარგული მიწების შემოკრებას. ამ მიზნით იგი საგანგებოდ აწერინებდა პოპულარულ წერილებს ცნობილ ისტორიკოსებს, მკვლევარებს, რომ დაინტერესებული მკითხველისათვის ჩვენი დარღვეული საზღვრების მდგომარეობაზე საჭირო ცნობები მიეწოდებინა“ (იმედაშვილი, 1984: 223).

სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ჟურნალის გამოცემა აშკარად დადგა რეალური საფრთხის წინაშე. კერძოდ, აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ტრიბუნა“ 1921 წლის 15 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში: „როგორც გვაცნობეს, „თეატრი და ცხოვრების“ და „უცხოთ სიტყვათა ლექსიკონის“ ასოთ საწყობი ა. წ. ენკენისთვის 7 გახსნეს და წაიღეს სხვადასხვა ჯურის ასო და სასტამბო მასალა-იარაღები. მასთან ერთად წაღებულია სვეტებად აწყობილი, უქაღალდობის გამო დაუბეჭდავი იოსებ იმედაშვილის რომანის „განახლებული სიცოცხლის“ გაგრძელება. ამგვარად, „თეატრი და ცხოვრების“ გამოცემის საქმეს მოესპო ყოველგვარი სახსარი. მისი რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი მძიმე ავადმყოფი შეიქმნა და ამ ჟამად წევს თავის ბინაზე.“

საბჭოთა ხელისუფლების მესვეურთა ამგვარმა დამოკიდებულებამ არსებითად განაპირობა ის გარემოება, რომ 1921-22 წლებში ჟურნალის გამოცემა შეწყდა. თუმცა 1923 წლიდან მისი გამოცემის აღდგენა მოხერხდა და 1926 წლამდე გაგრძელდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში თავის სარედაქციო-საგამომცემლო და შემოქმედებით საქმიანობას იოსებ იმედაშვილმა კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შესძინა. ამის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ „თეატრისა და ცხოვრების“ პარალელურად, 1917 წელს, მან კიდევ ერთი ახალი პერიოდული ორგანოც გამოსცა - „სამდღიური გაზეთი „ხალხის ერთობა“. თავად ი. იმედაშვილის განმარტებით, მისი გამოცემის უმთავრეს მიზანს „მუშა-მშრომელ ხალხში, პროლეტარიატში, ეროვნული აზრების გავრცელება და სამშობლოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ხელის შეწყობა“ წარმოადგენდა. ამ მი-

მართულებით საქმიანობის გააქტიურებას კი იგი იმიტომაც მიიჩნევდა აუცილებლად, რომ „ეს ის ხანა იყო, როცა ქართველი საზოგადოების ნაწილს, რომელსაც რსდმპ ხელმძღვანელობდა, ერიდებოდა „სამშობლოსა“ და „საქართველოს“ ხსენება“ (იმედაშვილი, 1978: 354).

ხსენებული სახელწოდებით აღნიშნული გაზეთის სამი ნომრის გამოცემის შემდეგ მწერალმა მას სახელი გადაარქვა და „ხალხის ერთობის“ ნაცვლად „ხალხის თავისუფლება“ უწოდა. მისივე განმარტებით, სახელწოდების შეცვლის განმაპირობებელ ფაქტორად შინაგან საქმეთა სამინისტროსგან მიღებული ის ბარათი იქცა, რომლითაც მინისტრი წერდა, რომ რადგანაც იმხანად უკვე არსებობდა ამ დასახელების მქონე ოფიციალური ორგანო, „ხალხის ერთობის“ გამოცემა გაუგებრობას გამოიწვევდა და თხოვდა, გაზეთისთვის სხვა სახელი შეერჩია. იოსებმა გაითვალისწინა მინისტრის მოთხოვნა და ამის შემდეგ ხსენებული გაზეთი „ხალხის თავისუფლების“ სახელწოდებით გამოდიოდა (იმედაშვილი, 1984: 258).

„ხალხის თავისუფლება“ „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის“ სახელით იბეჭდებოდა. ქართველ მამულიშვილთა გარკვეული ნაწილის მსგავსად, იოსებ იმედაშვილის უმთავრეს პოლიტიკურ მიზანს იმ დროისათვის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიური დამოუკიდებლობის მოპოვება წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, „ხალხის ერთობისა“ და „ხალხის თავისუფლების“ გამოცემის უმთავრესი მიზანიც სწორედ ავტონომიის იდეის პროპაგანდა წარმოადგენდა, რაც მისი პირველივე ნომრის (1917 წ. 2 აპრილი) მეთაურ წერილში ასე იყო განმარტებული: „ამხანაგებო, დამფუძნებელ კრებას უნდა მოსთხოვოთ საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია... სალამი რუსეთის რევოლუციას, მონობის ბორკილები რომ დაამსხვრია.“

ამ დროიდან მოყოლებული, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ავტონომიის ეს მოთხოვნა, როგორც გაზეთის რედაქტორ-გამომცემლისა და მისი თანამოაზრეების უმთავრესი ეროვნულ-პოლიტიკური მოთხოვნა, გამჭოლ ხაზად გასდევს როგორც ე. წ. მეთაურ წერილებს, ისე ცალკეულ ავტორთა მიერ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიებსაც.

მაგალითად, გაზეთის მეორე ნომერში დაბეჭდილ მეთაურ წერილში ხსენებული პერიოდული ორგანოს რედაქტორ-გამომცემელი მისი გაზეთის დაარსების უმთავრეს მიზანს მკითხველებს შემ-

დეგნაირად განუმარტავდა: „ჩვენ ის გვინდა, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი გახდეს ნამდვილი თავისუფალი, თავის თავის ნამდვილი პატრონი თავის სამშობლოში... თუ მიწა-წყალი დავკარგეთ და თვითმმართველობა - ავტონომია ვერ მოვიპოვეთ, საქართველოს დღევანდელი მკვიდრი დიდ საფრთხეში ჩავარდება, გადაშენდება, გავერანდება... რუსეთის რევოლუციით მოპოვებული თავისუფლებით საქართველომაც უნდა შეძლოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა“ (1917 წ. #2).

იმდროინდელი ისტორიული რეალობისადმი იოსებ იმედაშვილის დამოკიდებულების შესაფასებლად ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია ის პლაკატიც, რომელიც მან 1919 წელს დაბეჭდა საკმაოდ დიდი ტირაჟით, ცარცის სქელ ქაღალდზე, ასეთი წარწერის წამძღვარებით: „ძღვნად თავისუფალ სამშობლოს - 26 მაისის სახსოვრად:“ „მოქალაქენო, სამშობლო აღსდგა მკვდრეთით. მოგილოცავთ 26 მაისს“ (იმედაშვილი, ჩემი საუკუნე, 2016: 57).

მიუხედავად იმისა, რომ აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობის თავდაპირველ ეტაპზე იოსებ იმედაშვილი „მესამედასელებს“, კერძოდ კი მარქსისტებს, ემხრობოდა, ეროვნულ საკითხში ის „ქართველ ავტონომისტთა“ შეხედულებებს იზიარებდა და მის მიერ დაარსებულ პერიოდულ გამოცემებში სისტემატურად ბეჭდავდა ამ პრობლემასთან დაკავშირებულ წერილებს.

იოსებ იმედაშვილის მიერ საანალიზო პერიოდში გამოქვეყნებული მხატვრულ-პუბლიცისტური ტექსტებისადმი დღევანდელი მკითხველის ინტერესს არსებითად განაპირობებს ის გარემოება, რომ მათი მეშვეობით ნათელი წარმოდგენა გვექმნება შესაბამისი პერიოდის საქართველოში არსებულ იმ საჭირბოროტო ეროვნულ პრობლემებზე, რომლებიც არა მარტო ისტორიული თვალსაზრისითაა საინტერესო, არამედ ჩვენს დღევანდელ ყოფასთან მიმართებითაც.

ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციო მეტად კრიტიკულ იმ დამოკიდებულებას, რითაც პუბლიცისტი იმხანად ჩვენში არსებული პარტიების ლიდერთა პიროვნულ ამბიციებს ამხელდა. კერძოდ, თავისი ამ პუბლიკაციებით იოსებ იმედაშვილი უკომპრომისოდ წარმოაჩენდა იმ სავალალო მდგომარეობას, რომელიც მათ შორის პერმანენტულად მიმდინარე ამ დაპირისპირებათა შედეგად იყო ქვეყანაში შექმნილი და გულისტკივილით საუბრობდა იმის შესახებ, რომ „საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი

მხოლოდ საპარტიო-საჩუმათო საქმეს არ წარმოადგენდა“ და იგი „მთელ ქართველ ხალხს ეკითხებოდა“ („თეატრი და ცხოვრება,“ 1917 წ. #14).

1917 წელს ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების“ XII ნომერში გამოქვეყნებულ წერილში კი წერდა: „სხვისთვის თავგადამკვდარებს თავისი თავი დაგვივიწყებია, თვის უფლებისა და მოვალეობის უვიცთ. სხვათა უფლებისა და მოვალეობის გარკვევა-დაცვა მიზნად დაგვისახნია. ჩვენში პარტიულმა ჟინიანობამ კიდევ ერთხელ წამოჰყო თავი და გაშიშვლდა. დასაგმობია ასეთი გათიშვა დიდებულ ისტორიულ ხანაში. საჭიროა შეთანხმება ისეთ საკითხებზე მაინც, როგორც ჩვენი სამშობლო ქვეყნის ყოფნა-არყოფნაა. ყოველგვარი საკაცობრიო მიზნებისა და ლოზუნგების გარეშე საჭიროა საკუთარი მიწა-წყლის შენარჩუნება, სამშობლო ენა, სამშობლო ენაზე სწავლა, მოსამართლეობა, ეკლესია და სხვ.“ („თეატრი და ცხოვრება,“ 1917 წ. #12, გვ. 4-7. წერილი „იცან თავი შენი“).

ხსენებული პრობლემებისადმი იოსებ იმედაშვილის დამოკიდებულების არსზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად აქ „თეატრისა და ცხოვრების,“ 1917 წ. 38-ე ნომერში გამოქვეყნებული მისი წერილის ის ფრაგმენტიც მინდა დავიმოწმო, რომელშიც ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა შედეგად ქვეყანაში შექმნილ სავალალო მდგომარეობას მწერალი ამგვარ შეფასებას აძლევდა:

„სულიერად სხვისი მონები, ნივთიერად სხვისი ყმები, აზრით და რწმენით კი სხვისი ტიკინები, ტინგიცნი, ტიტლიკანანი და მშიერნი! - აი, ვინა ვართ!

თითქმის სამი ათას წელს ოფლით და სისხლით მორწმულ სამშობლოში სამშობლო დაკარგულნი, - აი, სახელი ჩვენი...

გარეთ, უცხოეთში, მრავალი განწირული სიცოცხლე ქართველისა, შინ გუმბათ-ჭერ ჩამონგრეული ტაძრები მამა-პაპათა, მდაბიო ხალხი - გონებრივ წყვდიადში ჩაფლული, თავის შეუგნებლობით სხვის ბრმა იარაღად გადაქცეული სამშობლოსვე საზიანოდ, - აი, ჩვენი მდგომარეობა...

შეპილწულია ტაძარი ჩვენი, ძირს განრთხმულია წმიდათა-წმიდა დროშა ჩვენის ერისა!.. ეს მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილნი სხვათა კერას აღვივებენ, სხვათა ჭირს ახარებენ, სხვათა სამსხვერპლოზე სწირავენ...

სად არის სამართალი?! ნუთუ სამშობლო ჩემი აღარ აღსდგება ყოვლითა დიდებითა თვისითა?!“

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საზოგადოებრივი მოღვაწეობის პირველ წლებში იოსებ იმედაშვილი „მესამე დასელებს“ ემხრობოდა და მათ იდეოლოგიას იზიარებდა, მაგრამ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის წინარე ხანასა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში მწერალმა პარტიული მრწამსი შეიცვალა და მისი მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად ეროვნული ინტერესების დასაცავად აქტიური ბრძოლა იქცა. ი. იმედაშვილისათვის პრინციპულად მიუღებელი იყო ჩვენი საზოგადოების განცალკევება პარტიული ინტერესების საფუძველზე, რასაც ეროვნული ერთობისათვის მკვიდრი საფუძვლის გამომთხრელ მომაკვდინებელ მოვლენად მიიჩნევდა.

მაგალითად, აი, რა შეფასებას აძლევდა იგი იმხანად ფართოდ აღზევებულ ამ ტრაგიკულ მოვლენას 1917 წლის 19 ნოემბერს ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ გამოქვეყნებულ წერილში „ეროვნული კრება:“ „ჩვენში იმდენი პარტიაა, იმდენი აზრთა სხვადასხვაობა, რომ ერთი უკან იყურება, მეორე წინ, მესამე გვერდზე, ერთი გეზი კი არ ჩანსაა... შევძლებთ თუ არა საკუთარი თავის პატრონობას?“ („თეატრი და ცხოვრება,“ 1917 წ. #43).

ეს მოვლენა იოსებ იმედაშვილს ჩვენი ეროვნული ერთობისათვის საფუძვლის გამომთხრელ იმ მოვლენად მიაჩნდა, რომელიც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ზღურბლთან მიახლოებულ ქვეყანას ამ მიზნისაკენ მიმავალ გზაზე წინ ეღობებოდა და მომაკვდინებელ სირთულეებს უქმნიდა. როგორც მისი იმდროინდელი პუბლიკაციებიდან თვალნათლივ ჩანს, სწორედ ამ ტრაგიკული ვითარების სიღრმისეული ანალიზი იქცა იმდროინდელი მისი შემოქმედების უმთავრეს თემად. მაგალითად: „ჩვენი უდიდესი პარტია, - წერდა 1918 წლის 5 მაისს, დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე სამი კვირით ადრე გამოქვეყნებულ წერილში, - ჩვენი წამებული სამშობლოა; ჩვენი მომავალი საქართველოს გაერთიანებაა. კმარა, რაც თავში გვიფაჩუნებდნენ, ფეხქვეშ გვთელავდნენ და უცხო ქვეყნებში უცხოთა წინააღმდეგ გვაბრძოლებდნენ. ჩვენი სამშობლო, ჩვენი კერა, ჩვენი ხალხი თვითვე საჭიროებს ყოველი ქართველის ძალ-ღონეს“ („თეატრი და ცხოვრება,“ 1918 წ. #7).

იოსებ იმედაშვილის გულისწყრომას იწვევდა ის გარემოება, რომ „ჩვენი ხალხის ცხოვრებაში უცხო ნააზრევით გატაცების გამო სიტყვა და საქმე ერთმანეთს ვერ ეგუებოდა“ და პარტიულ ლიდერთა უმეტესობა, რომელნიც ქვეყნის სამომავლო ბედის განსაზღვრისა და

წარმართვის ამბიციებით იყვნენ შეპყრობილნი, არსებული რეალობის გამოსწორებას სხვისი დახმარებით აპირებდნენ.

რეალურ საფუძველს მოკლებული მათი ამგვარი ქმედებებისადმი თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას თავის ერთ-ერთ პუბლიკაციაში ი. იმედაშვილი ამგვარად გამოხატავდა: ვაი, თუ, ამგვარ მცდელობათა შედეგად „ჩვენმა ხალხმა თავისი მონობის ახალი ბორკილები გამოსჭედოს. საკუთარ წყლულთა უცნობნი სხვათა მკვიდრობის აღდგენაზე ვფიქრობთ. შინაგან ძალას მოკლებულნი, საკუთარ ურწმუნოებაში დაღუპვა გველის. საკუთარ თავს უნდა დავუბრუნდეთ. სხვების იმედი ნუ გვაქვს. ჩვენი სატკივარი ჩვენვე უნდა ვიმკურნალოთ. ჩვენი ეროვნული ცხოვრების კანონები ჩვენ თვითონვე უნდა შევიმუშავოთ. უცხოთა მალამოთი მშობელი ერის წყლულები ვერ განიკურნება“ („თეატრი და ცხოვრება,“ 1917 წ. #42).

უმთავრესი დასკვნა, რომელიც იოსებ იმედაშვილს არსებული რეალობის ამგვარი სახით გაანალიზების საფუძველზე გამოჰქონდა, ასეთი იყო: „დროა, ჩვენც, სხვათა მსგავსად საკუთარი ქვეყნის მართალი მმართველ-პატრონი შევიქმნეთ. საქართველომ თავისი თვითარსებობა, თავისუფლება გამოაცხადოს. საქართველო უნდა აღსდგეს სრულის თავისის უფლება-მოსილებით და თანასწორი ძმა შეიქმნეს ყველა ერთა“ („თეატრი და ცხოვრება,“ 1918 წ. #3).

იოსებ იმედაშვილის ეროვნული ღვაწლის წარმოჩენის დროს მეტად მნიშვნელოვან იმ როლსაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომელიც მას ე. წ. სამუსლიმანო საქართველოსთან დაკავშირებულ პრობლემათა მოგვარების პროცესში აქტიური პიროვნული მონაწილეობითაც აქვს შესრულებული. მაგალითად, აი რას წერს კობა იმედაშვილი ამასთან დაკავშირებით იოსებ იმედაშვილის პირად არქივში დაცულ მასალებზე დაყრდნობით:

„იოსებ იმედაშვილი 1920 წელს განცხადებით მიმართავს ფრონტის დამხმარე კომიტეტს, როგორც ამ კომიტეტის წევრ-რწმუნებული და მოახსენებს, რომ 9-19 იანვარს მოიარა ბათუმის, აჭარის წყლის, ბორჩხასა და ართვინის მიდამოებში დაბანაკებული ჯარის ნაწილები. „ჩემს საღმრთო მოვალეობად მიმაჩნია, - აღნიშნავს იგი, - მოგახსენოთ ის ნაკლი, რაც ჯარის ნაწილებში შევნიშნე: 1. ფეხსაცმელების ნაკლებობა. ზოგ ნაწილში ვნახე ფეხშიშველა ჯარისკაცები; 2. საცვლები და პერანგის ამხანაგი თითქმის ყველას აკლია; 3. აბანო თითქმის არსად აქვთ მოწყობილი; 4. კვება. ბათომი თუ ასე, თუ ისე აკმაყოფილებს, შორეულ ნაწილებში თითქმის შიმშილო-

ბენ. ჯარისკაცს დღეში ეძლევა ორი გირვანქა პური. ხორცი თითქმის არსად ეძლევათ, არც ცხიმი; 5. საჯარისკაცო ბინები სავალალო მდგომარეობაშია. ჯარისკაცებს ზოგან ტახტები სულ არა აქვთ და არც საფენი. ჯარისკაცები ძირს წვანან. ჩვენ შეიძლება ჯარისკაცებს მოვთხოვოთ, რომ სამშობლო დაიცვან, მაგრამ მშიერ-ტიტველს ვერ ვამყოფებთ“ (იმედაშვილი, 2016: 58).

საანალიზო პერიოდში გამოქვეყნებულ თავის წერილებში იოსებ იმედაშვილი ანალოგიურ პოზიციას ავლენდა ქართველთა და აფხაზთა ისტორიულ და იმდროინდელ ურთიერთობებთან დაკავშირებითაც. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ის დამოკიდებულება, რომელიც მან ჩვენს ხალხებს შორის ისტორიულად არსებული სახელმწიფოებრივი ერთობის შესანარჩუნებლად და უფრო მეტად განსამტკიცებლად გამოხატა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდსა და მის წინარე ხანაში.

მაგალითად, აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით მწერლის შვილი გაიოზ იმედაშვილი იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებზე დაყრდნობით: იოსები „დიდი სიხარულით შეეგება 1916 წლის აპრილის ბოლო რიცხვებში აფხაზების ჩამოსვლას თბილისში მ. შერვაშიძის, ა. შერვაშიძის, მელიტონ ემუხვარის, ასტამურ ინალიჩას, პეტრე ანჩაბაძის და გლეხების: ეზუხბაიას, ანტონ ჩუკბარის შემადგენლობით. მათ აფხაზი ხალხის სახელით მეფის ნაცვალს უმთავრესად მოთხოვეს სკოლების გახსნა, ახალი გზების გაყვანა და განსაკუთრებით ის, რომ სკოლებში სწავლა სწარმოებდეს მშობლიურ ენაზე (აფხაზურად და ქართულად), სოხუმის ოლქი გამოყოფილ იქნას ცალკე გუბერნიად და არას გზით არ იქნეს შეერთებულ-მიწერილი სხვა, უცხო გუბერნიასთან (მაგ. შავი ზღვის). თუ შეუძლებელი იქნება სოხუმის ოლქის გარდაქმნა ცალკე გუბერნიად და იგი რომელიმე გუბერნიას უნდა შეუერთდეს, მაშინ სოხუმის ოლქი შეერთებულ უნდა იქნეს ქუთაისის გუბერნიასთან. სოხუმის ეპარქია, რადგან ის მთელი თავისი წარსულით და აწმყოთი შესისხლხორცებულია საქართველოს ეკლესიასთან, არა გზით არ უნდა იქმნეს გამოყოფილი საქართველოს საექსარხოსოდან“ (იმედაშვილი, 1984: 212).

გაიოზ იმედაშვილის ხაზგასმით, აფხაზთა დელეგაციის წარმომადგენელთა მიერ ოფიციალურად დაფიქსირებული ეს მოთხოვნები იოსებ იმედაშვილმა 1916 წელს გამოქვეყნებულ თავის ერთ-

ერთ წერილში შეაფასა, როგორც „გაბედული ხმა ძველი საქართველოს შვენებისა - აფხაზეთისა, რომელმაც თავის წარმომადგენელთა ბაგით განაცხადა - მოგვეცით გზა განათლებული ცხოვრებისა და ნუ გვწყვეტავთ დედა საქართველოს მკერდსაო“ (იმედაშვილი, 1984: 213).

როგორც აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული წერილებიდან თვალნათლივ ჩანს, აღნიშნულ პრობლემათა მოსაგვარებლად და ქართულ-აფხაზური ერთობის განსამტკიცებლად აფხაზური დელაგაციის თბილისში ჩამოსვლას იმდენად დიდი რეზონანსი მოჰყვა, რომ ამ მოვლენამ ამ მიმართულებით საქმიანობის განმტკიცებას კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შესძინა. აღნიშნული თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა როგორც იმხანად, ისე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში იოსებ იმედაშვილისა და სხვა ქართველ მოღვაწეთა მიერ გამოქვეყნებული წერილები.

მაგალითად, აი, რას წერდა მწერალი 1916 წელს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაბეჭდილ თავის ერთ-ერთ წერილში: „დიდი ხნიდან დაქსაქსულნი ძმანი ძლივს ერის კერის ირგვლივ – დედა ქართლის გარშემო ვიკრიბებით... გვეყო უერთმანეთოდ, ერთი-მეორესაგან განთიშული ცხოვრება - ქართლ-კახეთი, იმერ-ამერეთი, გურია-სამეგრელო-აფხაზეთ-აჭარა, ჭანეთ-სვანეთი რომ ერთი დედ-მამის შვილნი ვართ, განა ამას მტკიცება უნდა?.. შავ დროთაგან გაგარევებულნი ქართველი მაჰმადიანნი უკვე გვიბრუნდებიან... ახლახან გაბედული ხმა ამოიღო ძველი საქართველოს მშვენებამ აფხაზეთმა და თავისი წარმომადგენლების ბაგით განაცხადა: მომეცით გზა განათლებული ცხოვრებისა და ნუ მწყვიტავთ დედა საქართველოს მკერდს. მე მისი ძუძუ მიწოვნია, იგი ჩემით საზრდოებულა: მასთან სიცოცხლე, მასთან სიკვდილი, - ასე იყო ძველად, ასევე უნდა იყოს ახლაც“ (იმედაშვილი, 1984: 214).

თბილისში ოფიციალური ვიზიტით მყოფი აფხაზთა დელაგაციის წევრები ზემოთ დაფიქსირებულ მოთხოვნებს აქტიურად რომ უჭერდნენ მხარს, ეს იმდროინდელ და დამოუკიდებლობის პერიოდში მათი ცალკეული წარმომადგენლების მიერ გამოქვეყნებული წერილებითაც თვალნათლივ გამოვლინდა. მაგალითად, გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის 99-ე ნომერში დასტამბულ სტატიაში - „მცირე განმარტება აფხაზთა მოთხოვნილებათა შესახებ“ მელიტონ ემუხვარი და პეტრე ანჩაბაძე წერდნენ: „ჩვენ დარწმუნებული ვართ,

რომ ისტორიულად და გარემოებით შეკავშირებული მოძმე ქართველები ყოველნაირად შეგვიწყობენ ხელს შევინახოთ ჩვენი ეროვნული თავისებურება. ჩვენ ძლიერ კარგად გვესმის, რომ ერთობა საქართველოსთან გვიხსნის მრავალნაირ განსაცდელისაგან და ამიტომ ყოველ საქმეში ჩვენ ერთად ვართ და ვიქნებით ქართველ მოღვაწეებთან."

იოსებ იმედაშვილის ეროვნული მრწამსის წარმოჩენის დროს რამდენიმე სიტყვა იმ დამოკიდებულების შესახებაც მინდა ვთქვა, რომელსაც იგი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მიმართ ავლენდა იმხანად. მიუხედავად იმისა, რომ თავად ის სასულიერო პირთა უმეტესობისადმი ნეგატიურად განწყობილ პიროვნებას წარმოადგენდა და თავის პუბლიცისტურ წერილებში ხშირად აკრიტიკებდა მათ მომხვეჭელურ და ანტიქრისტიანულ ქმედებებს, მისი პუბლიკაციებიდან ისიც თვალნათლივ ჩანს, იგი იმ დიდმნიშვნელოვან როლსაც რომ აძლევდა მეტად მაღალ შეფასებას, რომელიც ქრისტიანულ რელიგიას ჰქონდა შესრულებული ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

კერძოდ, აი, რას წერდა ამასთან დაკავშირებით მწერლის შვილი გაიოზ იმედაშვილი: მართალია, იოსებ იმედაშვილი თავის პუბლიკაციებში „კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდა სამღვდელოების რეაქციონურ ფრთას, რომელიც მღვდლობის პატივს ხალხის საყვლეფად იყენებდა და რუსის მთავრობის ყურმოჭრილ მონად ქცეულიყო, მაგრამ იგი ქართულ ეკლესიას და მის ისტორიას უყურებდა როგორც ერის დამოუკიდებლობისათვის საუკუნეთა განმავლობაში თავდადებული ბრძოლის დიდად ვალმოხდილ ჭირისუფალს, რომელიც ოდესღაც დარაჯად ედგა ქართველი ხალხის მეობას და მეთაურობდა მისი კულტურის დაცვა-აღორძინების საქმეს... მას ყოველთვის ახსოვდა, რომ წარმართობის შემდეგ ქართველი ერი ქრისტეს ემბაზში იშვა, აღორძინდა და აღიზარდა ახალი ცხოვრებისათვის. აქ ჩაისახა მისი მწერლობა, მწიგნობრობა, ფრთა გაშალა ხუროთმოძღვრებამ და საზოგადოდ ქართულმა ხელოვნებამ" (იმედაშვილი, 1984: 248-249).

იოსებ იმედაშვილის მიერ ქრისტიანული რელიგიის ეროვნულ-ქართული როლის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ეს ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე დასტურდება საანალიზო პერიოდში გამოქვეყნებული მისი პუბლიცისტური წერილებითაც. კერძოდ, იგი ხაზგასმით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ „განათ-

ლებული კაცობრიობა საქართველოს“ პირველ ყოვლისა იმ „ქრისტიანული სიმველეებით იცნობდა, რომლებითაც ჩვენს წინაპართ შინ თუ გარეთ მოუფენიათ მთა-ბორცვები თუ მინდორ-ველნი, ან დაცულან საკუთარ თუ უცხოთა მუზეუმ-წიგნთსაცავებში. ვერც ერთი ისტორიკოსი და მასწავლებელი ვერ დასწერს და ვერ იტყვის იმას, რასაც ჩვენი კულტურის ეს ნაშთები უსიტყვოდ ღაღადებენ. ესენი მოგვითხრობენ, რომ ჩვენს ერს აქვს მდიდარი წარსული“ („თეატრი და ცხოვრება,“ 1919 წ. #6).

ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ეროვნული როლის ამგვარად შემფასებელი პუბლიცისტი, ბუნებრივია, უდიდესი ენთუზიაზმით მიესალმებოდა რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ მისთვის წართმეული ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას და საქართველოს ეკლესიის მესვეურთა მიერ ამ ისტორიული მოვლენის გზაზე გადადგმულ პირველ ნაბიჯებს ამგვარად მიესალმა: „1917 წლის 12 მარტს საქართველოს ეკლესიამ გადადგა პირველი ნაბიჯი თავისი ავტოკეფალური უფლების მოსაპოვებლად. ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის ოქმს ხელი მოაწერეს ქართველმა მღვდელმთავრებმა და დამსწრე საზოგადოებამ 12 მარტს მცხეთაში ლეონიდე ეპისკოპოსი სასულიერო და საერო წარმომადგენელთაგან არჩეულია სრულიად საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ და საქართველოს ეკლესიის დროებითი გამგეობის თავმჯდომარედ“ („თეატრი და ცხოვრება,“ 1917 წ. #12).

როგორც ცნობილია, ავტოკეფალია აღდგენილი ქართული ეკლესიის პირველ კათოლიკოს-პატრიარქად 1917 წლის 17 სექტემბერს არჩეულ იქნა კირიონი (ერისკაცობაში გიორგი საძაგლიშვილი). პატრიარქად მისი კურთხევის ცერემონიალი კი შედგა იმავე წლის 1 ოქტომბერს მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში. აი, რა შეფასება მისცა ამ მოვლენას იოსებ იმედაშვილმა: „გადაგვარებულ ქართველ სამღვდელოებაში ერთადერთი ყოველმხრივ ღირსეული პიროვნება იყო კირიონი, რომელიც საეკლესიო მოღვაწეობასთან ერთად ფხიზლად იდგა ხალხისა და მისი კულტურის სამსახურში. დღეს ქართველმა ერმა და სამღვდელოებამ აღადგინა საქართველოში ეკლესიის ავტოკეფალია და კათალიკოსად მრავალწამებული კირიონ მღვდელმთავარი აირჩია. დაე, თავისუფალმა, განახლებულმა ეკლესიამ ერის ნამდვილ საჭიროებას ანგარიში გაუწიოს და აღაყვაოს უცხო სასულიერო ხელისუფალთა ხელით დამხობი-

ლი ჩვენი საეკლესიო მწერლობა და ეროვნული თვითმმართველობა“ („თეატრი და ცხოვრება,“ 1917 წ. #37).

თავისი ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვა იოსებ იმედაშვილმა მხატვრული ტექსტებითაც წარმოაჩინა. სამწუხაროდ, მათი დიდი ნაწილი დღემდე არაა გამოქვეყნებული და არა მარტო ფართო მკითხველი საზოგადოებისთვისაა უცნობი, არამედ ლიტერატურათმცოდნეთა თვალთახედვის მიღმაცაა დარჩენილი. მწერლის მემკვიდრეთა ინფორმაციით, მის არქივში დაცულ ამ ნაწარმოებთა არასრული ჩამონათვალი ასეთია: პროზაული ტექსტები: „განახლებული სიცოცხლე,“ „ბედუკუღმართი,“ „დაშხამულნი,“ „ციხის კედლებში,“ „სარჩობელის წინ,“ „საზღვარზე,“ „უენო ზარი,“ პიესები: „ჩემი სჯული სიყვარულია“, „გზა უვალზე,“ „ცეცხლის რკალში,“ პოემები: „რკინის კარი,“ „პირიმზე...“

აი, რა ჩანაწერი გაუკეთებია თავად მწერალს თავის შემოქმედებით მემკვიდრეობასთან დაკავშირებით 1941 წელს: „მთელი ღამეები ფიქრები მაწამებენ - რა ბევრი ვიშრომე და რა უკვალოდ ვქრები... უმეტესობა ჩემი ნაწერებისა თავის დროზე არ დავბეჭდე წიგნებად... ახლა კი ვინ დამაბეჭდვინებს, როცა, როგორც ვატყობ, წინასწარ შედგენილი სიით იბეჭდებიან სასურველი ავტორები... მის დაუბეჭდავ თხზულებებში უნდა ჩავთვალოთ (იმედაშვილი, 1984: 263).

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდგომ პერიოდში, როცა ჩვენი ქვეყნის ოკუპანტი ხელისუფლების მესვეურებმა მასობრივად დაიწყეს მათი მოწინააღმდეგეების დევნა და რეპრესირება, ამ საშიშროების წინაშე იოსებ იმედაშვილიც აღმოჩნდა. მაგრამ მან თავი სოფელ წერაქვში გახიზვნით გადაირჩინა (იმედაშვილი, 2016: 64).

იოსებ იმედაშვილის საზოგადოებრივი ღვაწლის შეფასების დროს მკითხველის ყურადღება იმ გარემოებასაც მინდა მივაპყრო, რომ მისი ბევრი თანამედროვე მას ეროვნულ-განმათავისუფლებელი საქმის ერთ-ერთ ლიდერადაც კი მიიჩნევდა. მაგალითად, ფილტვების ანთებით საავადმყოფოში მყოფმა ზაქარია ჭიჭინაძემ, რომელმაც მთელი თავისი ძალა და ენერგია სწორედ ჩვენი ქვეყნის სამსახურს შეალია, თავის უმცროს მეგობარს სიკვდილის წინ (1931 წელს) ეს ანდერძი დაუტოვა: „ჩემო იოსებ, ეს სათხოვარი უნდა შემისრულო: სანდრო ეულს (მთავლიტის თავმჯდომარე იყო) უთხარი, ქართულ მწერლობას სიყვარულით მიხედოს... მგონი, ეგა ყო-

ფილა ლუკა ისარლოვის მაგიერი... მეორე, აჭარელ აბაშიძეებს და სხვა მუსლიმან ქართველებს ეტყვი, რომ ისინი ქართველები არიან და დედასამშობლო საქართველოს არ უღალატონ. უთხარი, რომ აჭარაში 1600 სოფელი იყო, თურქობამ დაამხო და მოსპო... დროა, გონს მოვიდნენ, თავისი ვინაობა შეიგნონ და საქართველოს კალთა მაგრად დაიჭიროს, რომ ჩვენი სამშობლო ისევ აღორძინდეს... ჩემი სახლი კერძო მდგმურებისგან გაწმინდონ და შიგ ჩაასახლონ აჭარაქობულეთელი უბინაო სტუდენტები, ქართველი მუსლიმანები... მუსლიმან აბაშიძეებს უთხარი, - საქართველოს ერთგული იყვნენ... საითაც აბაშიძეები იქნებიან, სხვანიც იქით“ (იმედაშვილი, 1978: 298).

როგორც წინამდებარე ანალიზითაც თვალნათლივ ჩანს, 1917-1921 წლებში შექმნილი თავისი მხატვრულ-პუბლიცისტური ტექსტებითაც და აქტიური საზოგადოებრივ-საგამომცემლო საქმიანობითაც იოსებ იმედაშვილმა საგულისხმო წვლილი შეიტანა შესაბამისი პერიოდის ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

კოტე მაყაშვილი

კოტე მაყაშვილი (1876-1927 წწ.) მეოცე საუკუნის პირველი მეოთხედის ქართველ მწერალთა და მამულიშვილთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ამდაგვარად გამორჩეულ მის როლს ჩვენი კულტურის ისტორიაში, გარდა მხატვრული შემოქმედებისა, ის აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობაც განსაზღვრავს, რასაც მთელი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდა იგი ძალისა და ენერგიის დაუზოგველად.

ქართველ მწერალთა კავშირის დამაარსებელი და პირველი უცვლელი თავმჯდომარე თითქმის მთელი ათი წლის მანძილზე, ქართული სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე, ხელოვანთა ცენტრის დამფუძნებელი, ხელოვანთა კულტურული კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოებისა და დრამატული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი... ასეთია კოტე მაყაშვილის თაოსნობითა და აქტიური თანამონაწილეობით განხორციელებული ეროვნული საქმეების არასრული ნუსხა.

ამას უნდა დაემატოს ის ადამიანური ღირსებებიც, რითაც იგი ხასიათდებოდა. ამ ღირსებათა შესახებ უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით წერდნენ პოეტის თანამედროვენი. ისინი მოწიწებით იხსენებდნენ მის საოცარ თავმდაბლობას, უანგარობას, კეთილშობილებას, პატიოსნებას... შალვა დადიანის შეფასებით, იგი ყოფილა სულიერი სიფაქიზითა და უმწიკვლო ზნეობით სავსე ადამიანი; იოსებ გრიშაშვილის თქმით, „პოეტთა თავადი", ლეო ქიაჩელის დახასიათებით, „ჩვენი კავშირის დიდი ფიგურა, ერთადერთი, რომელიც განსაკუთრებული თავისებურებით განიცდიდა საქართველოს", ნიკოლო მიწიშვილის სიტყვებით კი „ქართული ლიტერატურის სინდისი" და „უნაზესი ლირიკოსი".

ვფიქრობ, ამ ფრაგმენტული შეფასებებითაც ნათლად დაინახავს მკითხველი გამორჩეულად თბილ იმ დამოკიდებულებას, რომელსაც პოეტის თანამედროვენი იჩენდნენ მის მიმართ. ამ დამოკიდებულების გულწრფელობა ერთხელ კიდევ მკაფიოდ გამოჩნდა 1927 წლის აგვისტოში, კოტე მაყაშვილის დაკრძალვის დღეებში, როცა გაწეული ღვაწლისადმი მადლიერების ნიშნად ლიტერატურულმა საზოგადოებამ პოეტის დასაფლავება მწერალთა სასახლის ეზოში

გადაწყვიტა, მაგრამ დაკრძალვის წინა დღეს განზრახვა შეცვალეს და მწერალი დიდუბის პანთეონში დაასაფლავეს.

კ. მაყაშვილის პოეზიის მაგისტრალურ მიმართულებად სამწერლო ასპარეზზე მისი გამოსვლიდანვე დამკვიდრდა ეროვნულ-პატრიოტული პრობლემით განსაკუთრებული დაინტერესება. კერძოდ, იგი მწვავედ განიცდიდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვას და სწორედ ამ ტრაგიკული მოვლენით გამოწვეულ ტკივილს სახავდა თავისი შემოქმედების უმთავრეს თემად. ამ ტკივილით შემოვიდა იგი ქართულ პოეზიაში და მას სიმწვავე არ მოკლებია მწერლის მთელი სიცოცხლის მანძილზე. ამ ტკივილს, არცთუ იშვიათად, გულწრფელი ცრემლიც ახლავს ხოლმე თან.

თუმცა ეს ცრემლი, მწარე სინამდვილით გაჩენილი ნაღველი, მის ლირიკაში ყოველთვის როდია ქცეული უიმედო გოდებისა და სასოწარკვეთის გამოხატულებად. ზოგჯერ იგი ბედის უკუღმართობასთან ბრძოლის თავისებური ფორმაცაა, აქტიური ღვწა და ზრუნვა მონური ფსიქოლოგიის ტყვეობაში მყოფი და თავისი ეროვნული ცნობიერებით გადაგვარების გზაზე მდგარი მოძმის გამოსაფხიზებლად.

კოტე მაყაშვილის ლირიკაში ეროვნული და სოციალური ბოროტების დათრგუნვის უმთავრეს საშუალებად ძირითადად მხილების, დაგმობის, თვითგანსჯის გზაა დასახული და უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლო მოწოდებანი შედარებით სუსტ გამოვლენას პოულობენ. მართალია, აქვს პოეტს ისეთი ლექსებიც, რომლებშიც იგი პირდაპირ მოუწოდებს თანამედროვეთ ბოროტებასთან ბრძოლისაკენ, მაგრამ ამგვარი განწყობილება მის პოეზიაში უფრო ეპიზოდურად ვლინდება და იმ სიმძაფრეს ვერ იძენს, რასაც იმავე პერიოდის რევოლუციონერ-დემოკრატი მწერლების ნაწარმოებებში.

კ. მაყაშვილის საბრძოლო მოწოდებანი შედარებით მწვავედ მხოლოდ 1905 და 1917 წლების რევოლუციების ჟამს გამოიხატა. ფართო მასშტაბით აღზევებულმა საერთო სახალხო მოძრაობამ პოეტს გაუღვიძა იმედი ეროვნული თავისუფლების მოპოვებისა და ისიც შეეცადა თავისი ლექსებით კიდევ უფრო გაემძაფრებინა ამბოხებულთა საბრძოლო განწყობილება. მაგალითად, აი, როგორი მომწოდებლური პათოსით გამოხატა მან თავისი იმდროინდელი საბრძოლო სულისკვეთება ერთგან:

წინ! ბრძოლის ველზე ქართველო, პირმშოო ლამაზ მთებისა,
ჭირიმე შენი ფრანგულის და მძლე არწივის ფრთებისა!
მტერსა დაატყდი მეხადა, დაეც. ლომგულო, თავზარი,
გასწმინდე ურჯულოთაგან სამშობლოს წმინდა ტაძარი.
წინ! მტერს ეკვეთე ლომივით, გაჰგმირე სასომიხდილი!
ან გამარჯვება გმირული, ანდა გმირული სიკვდილი!

ეკატერინე გაბაშვილისადმი გაგზავნილ წერილში კოტე მაყაშვილი წერდა: „ჩემი აზრით, საცოდავია ის კაცი, რომელსაც თვალი სულ ჯიბისაკენ უჭირავს. და თუ იმ კაცს ასულდგმულებს მხოლოდ წუთიერი, მიწიერი რამ.., თუ იმ კაცს არა აქვს იდეალი, იგი პირუტყვია". ასეთ მკაცრ შეფასებას აძლევდა პოეტი უიდეალო ადამიანის ცხოვრებას. მას ძალზე აწუხებდა ის გარემოება, რომ მონურმა ყოფამ ბევრი ქართველი გადააგვარა ეროვნულად და ზნეობრივად, მოუკლა მას იდეალი და, ფაქტობრივად, პირუტყვად აქცია.

მაგრამ კოტე მაყაშვილი ქართველი კაცის უიდეალოდ დარჩენის მეორე მიზეზსაც ასახელებდა. ეს იყო სასოწარკვეთა იმ ადამიანისა, რომელსაც დაკარგული ჰქონდა რწმენა ეროვნული თავისუფლების მოპოვებისა და ახლა მხოლოდ წარსულის ბედნიერ დღეთა რომანტიკული მოგონებებით იოხებდა გულს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა ლექსი „იდეალის საფლავთან", სადაც უკვე სათაურშივეა განცხადებული პოეტის პოზიცია. იმის გასარკვევად, თუ რა იდეალის დასამარებაზეა დაწერილი ეს პოეტური ელეგია, უაღრესად მნიშვნელოვანია შემდეგი სტრიქონები:

შთანთქა უფსკრულმა ის დრო ნეტარი,
შესწყდნენ შვებისა და ლხენის ხმანი!
და შენს საფლავთან ვდგევარ გულმკვდარი,
გარს მეხვევიან საფლავის ქვანი.
„რისთვის და რადა?" - ცას ვეკითხები,
თვალები სიტყვებს თან მისტირიან,
აჰ, ვერ სწვდებიან ღვთის ტახტს კითხვები,
ვით ასროლილი შურდულით ქვები,
ისევ მიწაზე მძიმედ სცვივიან!

პოეტის რწმენით, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ ჩვენი მოძმეები რეალურად გაიცნობიერებდნენ ეროვნული თვითშეგნების გადაგვარების განმაპირობებელ მიზეზებს და აღიდგენდნენ მაღალზნეობრივ იდეალებს. ეს კი მეტად ძნელი საქმე იყო, რადგანაც რუსეთის მონობაში ყოფნამ ბევრი მათაგნის ეროვ-

ნულ ფსიქიკას შეურყია საფუძველი. კ. მაყაშვილის პოეზიაში რამდენადმე ჰიპერბლური ფორმითაც კი წარმოჩინდა ამ გადაგვარების განმაპირობებელი ფაქტორები. კერძოდ, პოეტის შეფასებით, რუსეთის იმპერიის კირთებქვეშ მოქცეული ქვეყანა მყრალ წუმპეგუბეში ცურავდა, „სპეტაკი ძალა" პირქვე იყო დამხობილი, „წყვდიადის დამრღვევი სანთელი" - ჩამქრალი, ქვეყანა - სიბილწით მოცული, „წმინდა ტაძარი" - შეგინებული, დამწვარ-დადაგულ სულს კი მონობის ბორკილი ჰქონდა დადებული. ასეთია კოტე მაყაშვილის თვალით დანახული სინამდვილე (ლექსი „ჭეშმარიტება და გენიოსი").

ერის დაცემა-დამდაბლების ამგვარ აღწერას უშუალოდ მოსდევს რიტრიკულად დასმული კითხვა: „ვხედავ... ბევრ რასმეს ვხედავ... გული მიკვდება! ყველა ეს ვის ვაუწყო? ვინ მიმიხვდება!" ალბათ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს სიტყვები შორეული გამოხმაურებაა ილია ჭავჭავაძის ცნობილი სტრიქონებისა: „მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არის, ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო, რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში, კაცი არ არი, რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!"... მართალია, კოტე მაყაშვილის ამ პოეტურ გულისთქმას ილიასეული მასშტაბები არ შეუძენია, მაგრამ ძირი, საფუძველი, რომელზეც ეს ტკივილია აღმოცენებული, ორივე პოეტისთვის საერთოა.

კოტე მაყაშვილის ხსენებულ ლექსში პირდაპირ შემოდის ილიასეული სახე-სიმბოლოს ამგვარი გაგება და სახალხო ბრძოლების აზვირთებით იმედმოცემული პოეტი აღფრთოვანებული საუბრობს ტყვეობისაგან ამირანის თავდახსნაზე. იგი გახარებულია იმით, რომ ბოროტების დასამხობად შეთქმულ გმირებს დაუმსხვრევიათ მონობის ჯაჭვები და „მოდის, მოგრგვინავს მთა კაცი, ამირან უძლეველიო, ხელში უჭირავს ალმასის მახვილი თვისი მჭრელიო". ქვეყნის მაოხრებელი დევები უფსკრულში ცვივიან, რის შედეგადაც სრულდება ხალხის სანუკვარი ოცნება:

ინგრევა ტახტი მაგარი
წყვდიადის დროშის მჭერისო,
ამირან მოდის, ამირან,
მოდის და მოიმღერისო:
„აღსდექით, წელში გამაგრდით,
უმწენო, უბედურებო,
ობლებო, მშიერ-მწყურვალნო,
დატანჯულ-დაჩაგრულებო".

პოეტის აღფრთოვანება საბრძოლო მოწოდებაში გადაიზრდება. იგი ბრძოლისაკენ მოუწოდებს ხალხს და შთააგონებს, რომ ბედმა მოგვხედა და „აწ გამარჯვება ჩვენია“.

კოტე მაყაშვილის ეროვნული მრწამსის შესაცნობად მეტად მნიშვნელოვანია ლექსი „დაკარგული სამშობლო“, რომელშიც პოეტი ჩვენი ქვეყნის გაპარტახებისა და დაცემის საჩვენებლად სამი უმთავრესი დედაბოძის - ტაძრის, სასწავლებლისა და ოჯახის განადგურებას წარმოგვიდგენს. პირველად იგი ტაძარს, ღვთის სახლს, მიმართავს ნატკენი გულის მოსარჩენად, ტაძარს, სადაც გარეგნულად თითქოს ყველაფერი რიგზეა, სანთლებიც იწვიან და მრევლიც ლოცულობს, მაგრამ სინამდვილეში იქ უცხო სამყაროა გამეფებული და სამშობლო, მშობლიური მადლი, განდევნილია მისი კედლებიდან.

ამის შემდეგ იგი გონების ტაძარს ესტუმრება - ყრმათა აღსაზრდელ ადგილს, მაგრამ იქაც „სხვის სული“ გამეფებულა, იქაც დაგმობილია და განდევნილი სამშობლო. ბოლოს დამაშვრალი პოეტი ქართველის კერას ეწვია იმ იმედით, იქნებ, ის მაინც გადაურჩა „შავბედის წერას“ და იქ მაინც „სცემდეს სამშობლოს მაჯაო“, მაგრამ ამაოდ:

ვაჰ, ქართვლის ოჯახსა, ვაი მის შერცხვენას!
სხვა კერპი ჩაუდგამს შიგ!
სხვის ზნესა ემონვის... სხვის რჯულსა ენას,
უარყვეს სამშობლო იქ!..

ასე გაწბილდა პოეტი და დარჩა სამშობლოშივე სამშობლოდაკარგული, შეძრწუნებული იმის გამო, რომ ქართველივე კაცის ხელით დასამარებულს ხედავს თავის ქვეყანას. ესაა სავალალო შედეგი მონობისა, უიდეალოდ და უგმიროდ ცხოვრებისა, რამაც ძირი გამოუთხარა ეროვნულ თვითმყოფადობას და დაღუპვის პირამდე მიიყვანა ქვეყანა.

ეს იყო ჭეშმარიტი მამულიშვილის, ჩვენი ინტელეგენციის მოწინავე წარმომადგენლის, გულისთქმა, მის მიერ დარისხებული განგაშის ზარი, რომელიც მიზნად ისახავდა ერის მოდუნებული ყურადღების გამოფხიზლებას. ამ სტრიქონებში შთამბეჭდავადაა გაცხადებული კოტე მაყაშვილის ეროვნული მრწამსი, სულისკვეთება იმ მამულიშვილისა, რომელიც ანდერძად უბარებდა თავის ხალხს: სიკვდილის შემდეგ მისი ფერფლი კიდით-კიდემდე მიმოებნიათ ტანჯულ მხარეში, რომ თავისი ფერფლითაც დაჰფენოდა მშობლი-

ურ მიწას ჯავშნად და ფარად და მალამოდ დადებოდა მის „ახსნილ იარებს“:

დამწვით მე კოცონზე ზვიად მთათ არეში,
დე, კვამლი ავარდეს ვარსკვლავთა რიდემდე,
აიღეთ ფერფლი და ჩემს ტანჯულ მხარეში
ის მიმოაბნიეთ კიდითი კიდემდე:
რომ ჩემი სამშობლო შევიგრძნო მთლიანად,
ფერფლითაც დედის მკერდს ვეჯავშნო, ვეფარო,
მის ახსნილ იარებს, რომ ალერსიანად,
განმკურნავ მალამოდ ზედ გადავეფარო...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, ამგვარი ეროვნული თავლთახედვის მქონე მამულიშვილი როგორი აღფრთოვანებითაც შეხვდებოდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებას. სევდითა და ნაღველით დაბნედილ მის მანამდელ პოეზიაში ამ მოვლენის შედეგად ეროვნულ ოცნებათა აღსრულების იმედი გაჩნდა. სწორედ ამ მოლოდინის რეალურ გამოვლინებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ მისი იმდროინდელი ლექსებიდან ცხადად ისმის ერის დამმონებელ ბორკილთა მტვრევის ხმა. გავიხსენოთ, მაგალითად, ლექსი „ახლა, ანდა არასოდეს“, რომელიც თავისი ამაღლებული პათეტიკური განწყობილებითა და ეროვნული თავისუფლებისადმი ხოტბით მთლიანად შეესაბამება იმ პერიოდის ჩვენი საზოგადოების მოწინავე ნაწილის ოპტიმისტურ სულისკვეთებას:

დე, დაინგრეს!.. ალი ქროდეს!
ლაჩართ გული შემოჰყროდეს!
დე! მსოფლიო შიშით თრთოდეს!
ახლა, ანდა არასოდეს!..
... კაცთ ბორკილი, დე, დნებოდეს!
ცეცხლში ცეცხლით ახლდებოდეს!
ჩემი მხარე გაწმენდილი,
ახლა, ანდა არასოდეს!..

იგივე განწყობილებაა გამოხატული მეორე ლექსშიც („მთის ღვარივით ხალხის ჯარი“...), რომელშიც პოეტი აღტაცებას გამოთქვამს იმის გამო, რომ „დავანგრიეთ შავი ზღუდე, მიმოვფანტეთ ძალა ბნელი, ალს მივეცით მტარვალთ ბუდე, დავამსხვრიეთ კერპი ძველი. მოვხსნათ მალე ბორკილები ჩვენს სამშობლოს გამწარებულს, ვერაგულად მოტყუებულს, გაძარცვულს და გაწამებულს! მჭიდროდ! ერთად!.. მხართან მხარი! ჩვენი ბედი ჩვენ ხელთ არი! მშობელ დედას დროზე, დროზე მივაშველოთ მხსნელი ფარი!“

კოტე მაყაშვილის იმდროინდელ ლირიკაში გამოვლენილი ამგვარი პათეტიკურ-მომწოდებლური პათოსის გამომხატველი ლექსები 1905 წლის რევოლუციის შემდგომ მას, ფაქტობრივად, თითქმის აღარ დაუწერია. რევოლუციის დამარცხებამ მის პოეზიაში სამშობლოს მძიმე მდგომარეობის გამო სევდიანი, ნაღვლიანი პოეტური განწყობილება გააბატონა. 1917 წლის თებერვლის მოვლენების შედეგად გაჩენილი სიხარული მონობის კირთებისაგან ქვეყნის დახსნის რეალური პერსპექტივისა კი ამგვარი პათეტიზმით გამოხატა:

გაუმარჯოს უძლეველ ერს!
ხალხის დიად სამმართველოს,
გაუმარჯოს სულით ძლიერს
თავისუფალ საქართველოს!

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში კოტე მაყაშვილის პოეზიის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად თანამემამულეთა პატრიოტული თვითშეგნების კიდევ უფრო მეტად განმტკიცებისა და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვისაკენ აქტიური მოწოდება რომ იქცა, ამას 1918 წელს დაწერილი მისი ერთ-ერთი ლექსიდან ციტირებული ეს სტრიქონებიც ადასტურებს:

სამშობლოს გულსა დასცეს მახვილი
და თუ ლაჩრებად, ძმებო, არ გახდით,
ისმინეთ ჩემი მკვეთრი ძახილი:
შეიარაღდით! შეიარაღდით!
ფუ, ჩვენსა ყოფნას ჩაბალახახდილს,
საქართველოს თვალს მტერს თუ გადავცემთ,
ჩვენ წინაპართა მრისხანე აჩრდილს
საფლავში მკვნესავს რა პასუხს გავცემთ?!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მკითხველისთვის ადვილი წარმოსადგენი იქნება, როგორ შეხვდებოდა კოტე მაყაშვილი 1921 წლის თებერვლის ტრაგედიას. მაგალითად, აი, როგორ გამოხატა მან თავისი იმდროინდელი სულიერი სასოწარკვეთა სწორედ იმხანად დაწერილ ერთ-ერთ ლექსში:

გამიშრნენ ცრემლები, გაქვავდნენ ფიქრები,
ნამქერში ვმარხავ მე სულს!
კაეშნის ლოდის ქვეშ კუბომდინ ვიხრები,
არც მიყვარს, აღარცა მძულს!
უფსკრული, იქიდან ვიღაცა მეძახის,
ვიღაცა ჩემთვისა სტირს

და უკანასკნელი იმედი მესახვის:
მივდივარ ცისაკენ... ძირს!

იმავე განწყობილებითაა შთაგონებული მეორე ლექსიც, სადაც მზის სიკდვილსა და შავი ნისლით მკერდდაბურულ სივრცეებზეა საუბარი.

გაჰქრა კვალი! ბნელა, ცივა... მოკვდა მზე!
გულში გაწყრა რაღაც... მტკივა! მოკვდა მზე!
შავი ნისლი ბურავს არეს, მიწის მკერდს!
სევდის ფიქრი გულზე მცივა... მოკვდა მზე.

ამავე მოვლენებით უნდა იყოს შთაგონებული 1922 წელს დაწერილი ეს პოეტური სტრიქონებიც: „მირაჟთა სინათლე თავში რა დიდია, ბოლოში წყვდიადი... არც გზა, არც ხიდია!"

საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციით განპირობებული ტრაგედიის ავტორისეულ წარმოსახვას განსაკუთრებულ სიმძაფრეს სძენდა ის ფაქტი, რომ ამ მოვლენას მსხვერპლად მისი ქალიშვილი მარო მაყაშვილიც შეეწირა. ამ ტრაგედიით თავზარდაცემულმა ერთმანეთთან სისხლხორცეულად შერწყმული ფორმით გამოხატა შვილის თავგანწირვით განპირობებული სასოწარკვეთა და სამშობლოს ხელახალი დამონებით გამოწვეული ტკივილი:

არც სიცოცხლის, არც სიკვდილის აღარა მაქვს ხალისი,
თებერვალმა დამიზამთრა სამუდამოდ მაისი!
გულზე სევდა შემომაწვა თავის მძიმე ლოდებით...
საქართველო გაიჟღინთა მაყაშვილთა გოდებით...
დავიღალე... დავიჩაგრე... და შენი ვარ მხმობელი,
ჩემო გმირო და წმინდანო, გამამხნევე მშობელი!
სამშობლო თუ შენ - რომელი, ახ, ვიტირო რომელი!
დავდნი ცრემლად ორივესთვის სხვათა ცრემლთა მშრობელი!

ლექსის ბოლო სტრიქონებში აღნიშნული მოვლენებით განპირობებული ავტორისეული გოდება სამშობლოსათვის თავგანწირული შვილის ხსოვნის წინაშე მამის მიერ დადებულ ერთგულების ფიცად აღიქმება.

როს იღვიძებ, შვილო, ჩემში მფეთქავ ალად ვიგზნები,
შენ ღირსი ხარ ჩემი და მეც შენი ღირსი ვიქნები!
შემომხედე! მუხასავით ვდგევარ მაგრად, წყნარადა,
სადარაჯოს არა ვსტოვებ, ავდარს ვაგდებ არადა!
და თუ ბედმა წამაქცია, მეხით, ცეცხლით მკვესავით, -
წავიქცევი უდრეკელი, რაინდულად, შენსავით!

საკუთარი ლიტერატურული ღვაწლის შეფასების დროს, როგორც წესი, კოტე მაყაშვილი მეტისმეტ მოკრძალებასაც კი იჩენდა,

რაც მისი ადამიანური ბუნების რეალურ გამოვლინებას წარმოადგენდა. მაგალითად, აი, რა შეფასებას აძლევდა იგი თავის მწერლურ ნააზრევს ერთგან: „გამიწიეთ ანგარიში იმდენად, რამდენადაც ეს შეესაბამება ჩემს მდგომარეობას ქართულ ლიტერატურაში. გეტყვით ახლავე, რომ ეს მდგომარეობა არ არის მაინცა და მაინც სახარბიელო: არ ვარ დადაღული ავტორიტეტის სახელით. ჩემი რაიმე სენტენცია თუთიყუშსაც კი არ გაუმეორებია საქართველოში. ჩემი ლიტერატურული აუდიტორია იმედანად მცირეა, რომ მე მას ხშირად უსათვალებოდ ვერც კი ვხედავ ხოლმე... სრულიად თავისუფალი ვარ კრიტიკისაგან, კარგი თუ ავი ჩემის შემოქმედებისა მხოლოდ ჩემი ზურგის ტვირთია. მე არავის ვბაძავდი. საბედნიეროდ პოეზიისათვის, მიმბაძველიც არავინა მყავს“.

დრომ დაადასტურა, რომ პოეტის მიერ საკუთარი შემოქმედებისადმი გამოტანილი ეს განაჩენი მეტისმეტად მკაცრი გამოდგა და თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობით კოტე მაყაშვილმა მყარად დაიმკვიდრა კუთვნილი ადგილი შესაბამისი პერიოდის ქართული მწერლობის ისტორიაში.

ვასილ ბარნოვი

ვასილ ბარნოვის (1856-1934 წწ.) შემოქმედების უმთავრეს თემად მყარად დამკვიდრებულმა ეროვნულმა პრობლემამ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში კიდევ უფრო დიდი მასშტაბები რომ შეიძინა, ამის ერთ-ერთ თვალნათლივ გამოვლინებას წარმოადგენს ფართოდ ცნობილი მისი რომანი „ტრფობა წამებულისა“ (1918 წ.). ხსენებული ნაწარმოებისადმი ინტერესს არსებითად განაპირობებს ის გარემოება, რომ მასში მთელი ძალით წარმოჩინდა ავტორის როგორც მწერლური შესაძლებლობები, ისე მსოფლმხედველობრივი თვალთახედვის არსებითად განმსაზღვრელი პრინციპები. ასე რომ, მწერლის ეს რომანი არა მარტო viii-ix საუკუნეთა საქართველოში დამკვიდრებულ ისტორიულ სინამდვილეს აცოცხლებს, არამედ ავტორის ფილოსოფიური, თეოლოგიური, ეროვნულ-პატრიოტული, ზნეობრივი და მოქალაქეობრივი მრწამსის განმსაზღვრელ ფუძემდებლურ მხარეებსაც წარმოსახავს ფართო მასშტაბებით.

რომანის სიუჟეტური ქარგა ძირითადად გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ შინაარსს ემყარება და მისი შემდგომი განვრცობა-გაღრმავების საფუძველზეა შექმნილი. ეს მომენტი ნაწარმოებში იმდენად მიზანსწრაფულად და აშკარადაა ხაზგასმული, რომ ქართული აგიოგრაფიული მწერლობის ეს ბრწყინვალე ნიმუში ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება მივიჩნიოთ „ტრფობა წამებულისას“ ლიტერატურულ პირველწყაროდ. კერძოდ, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ბევრი ეპიზოდი ზუსტი შესატყვისობითაც კი მეორდება ვ. ბარნოვის რომანში და არაორაზროვნად ადასტურებს ამ ორი ნაწარმოების ლიტერატურულ სიახლოვეს.

მაგრამ, ამისდა მიუხედავად, გ. მერჩულესა და ვ. ბარნოვის ქმნილებანი ერთიმეორისაგან იმავდროულად პრინციპულად განსხვავებული ნაწარმოებებიცაა. ამ განსხვავების საფუძველს მათი ავტორების მსოფლმხედველობრივ პოზიციათა არსებითი სხვადასხვაობა წარმოადგენს. კერძოდ, როგორც ცნობილია, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ აგიოგრაფიული მწერლობის ნიმუშია, სასულიერო პირის მიერ შექმნილი ლიტერატურული ძეგლი, რომელსაც საფუძვლად ავტორის რელიგიურ-სარწმუნოებრივი თვალთახედვა უდ-

ევს. აქედან გამომდინარე, გიორგი მერჩულე მოვლენებს, უწინარეს ყოვლისა, ქრისტიანული რელიგიის ფუძემდებლური პრინციპებით სჯის და სასულიერო და საერო ცხოვრების წარმომადგენლებს მკვეთრი კონტრასტულობით მიჯნავს ერთმანეთისაგან.

ვასილ ბარნოვის რომანის მსოფლმხედველობრივი თვალთახედვა კი პრინციპულად შორს დგას ამგვარი დოგმატიზმისაგან და არათუ ქრისტიანული რელიგიის კანონიკურ ჩარჩოებში ვერ ეტევა, არამედ ავტორის პოლემიკურ დამოკიდებულებასაც აშკარად გამოხატავს გიორგი მერჩულეს მოთხრობის ფუძემდებლური რელიგიური პრინციპებისადმი. ეს ყველაფერი „ტრფობა წამებულისაში“ იმდენად მასშტაბურად და ხელშესახებადაა გამოვლენილი, რომ ვ. ბარნოვის რომანი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასთან“ არსებითად დაპირისპირებულ ნაწარმოებადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

როგორც სასულიერო პირი, გ. მერჩულე, მაგალითად, აღფრთოვანებულია იმ განუსაზღვრელი უფლებრივი მდგომარეობით, რითაც სარწმუნოების მსახურნი სარგებლობენ საერო წოდების წარმომადგენლებთან შედარებით. ვ. ბარნოვის დამოკიდებულება სასულიერო პირთა მიმართ კი საკმაოდ მწვავეა და კრიტიკული. მისთვის პრინციპულად მიუღებელია ის ასკეტიზმი, სისასტიკე და ულმობლობა, რაც ბევრი მათგანისათვის არის დამახასიათებელი. იგი არა თუ არ აიდეალებს მათ ცხოვრებას, არამედ რელიგიურ სიწმინდეებთან ყველაზე მეტად ზიარებულ ზოგიერთ ბერ-მონოზონს ბიწიერი ცოდვებითა და მდაბალი ადამიანური გრძნობებით სულდამძიმებულ პიროვნებებადაც კი წარმოსახავს.

რომანში აღწერილ სასულიერო პირთა ეს ადამიანური სისუსტეები ყველაზე მეტად აშოტ კურაპალატის სამიჯნურო თავგადასავალთან დაკავშირებით გამოვლინდა. როგორც ცნობილია, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ფრაგმენტულად ჩართული ეს ეპიზოდი ვ. ბარნოვმა ფართოდ განავრცო და ნაწარმოების მთავარ სიუჟეტურ ღერძად აქცია. ეს ყველაფერი კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმიტომაც იძენს, რომ ავტორის მსოფლმხედველობრივი მრწამსის წარმოჩენა-გამოვლინება, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ რომანულ ამბავთანაა დაკავშირებული.

„ტრფობა წამებულისას“ მთავარი პერსონაჟი აშოტ კურაპალატია, საქართველოს გაერთიანებისა და გარეშე თუ შინაურ მტერთა დასამარცხებლად აქტიურად მებრძოლი გვირგვინოსანი. რომანის

მიხედვით, იგი, როგორც მეფე, ბრძენი, გონიერი, ქვეყნის სახელმწიფოებრივი ძლიერებისათვის აქტიურად და წარმატებულად მებრძოლი დიდი მამულიშვილია. მაგრამ როგორც კერძო ადამიანი, მწერალმა ის ტრაგიკული ბედის ადამიანად წარმოადგინა, სიყვარულს, ოჯახურ სითბოსა და ბედნიერებას მონატრებულ წამებულ პიროვნებად. აშოტის ცხოვრებისეული ხვედრის ეს ორი მხარე ვ. ბარნოვმა მკვეთრი კონტრასტულობით დაუპირისპირა ერთმანეთს და ღრმა ფსიქოლოგიური მოტივირებით გვიჩვენა ის მძაფრი შინაგანი სულიერი ბრძოლა, რომელიც რომანის მთავარი გმირის ცნობიერებაში ამ მხარეთა შორის მიმდინარეობს.

ნაწარმოები იწყება სარკინოზებთან ბრძოლაში დამარცხებული მეფის სასოწარკვეთილი მდგომარეობის აღწერით. მტრისგან ძლეული აშოტი დედაწულიანად აყრილ ხალხთან ერთად სამშვიდობო თავშესაფარს ეძებს. იმედგაცრუებულ გვირგვინოსანს თითქოს დავიწყებია, რომ იგი მხოლოდ საკუთარი ოჯახის მამა კი არ იყო, არამედ მთელი ქვეყნის ბედზე მზრუნველი ხელმწიფე, რომელსაც ამ უმძიმესი განსაცდელისაგან „ქართველთ სამშობლოს“ თავდახსნის საქმეში მთელი ერი ისე შეჰყურებდა, როგორც „ერთადერთს იმედს ძალებით მოსილს, ერთადერთ მხსნელს“.

ვერაგი და ძლიერი მტრის წინააღმდეგ უთანასწორო ომში მარცხითა და შინაურ მოღალატეთა მზაკვრობით სასოწარკვეთილი და იმედგაცრუებული მეფის „მიმქრალ სულში ყოველივე ეს წაშლილიყო და აღმოჩენილიყო მხოლოდ კერძო ადამიანი, რომლის მოწოდება იყო მარტო კერძო ცხოვრების მოწყობა, საკუთარი კერის დარაჯობა და მფარველობა“. ვ. ბარნოვი ისტორიული სიმართლით აცოცხლებს იმ მძიმე ვითარებას, რომელიც ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულ ქვეყანაში სუფევდა იმხანად. მაგრამ აშოტი მალე გამოდის ამგვარი სულიერი სასოწარკვეთიდან და მისი წინამძღოლობით საქართველო მძლავრ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა.

რომანში ეს ყველაფერი, როგორც ითქვა, ისტორიული სიმართლითაა მოთხრობილი. ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ ვ. ბარნოვი მოვლენათა უბრალო აღმწერლის როლში კი არ გამოდის, არამედ მათ შემფასებლადაც გვევლინება. საქართველოს ისტორიის არაერთი პრობლემური საკითხი ნაწარმოებში ფართო განზოგადებულობითა და მახვილგონივრულობითაა გააზრებულ-შეფასებული.

ასე რომ, „ტრფობა წამებულისა“, როგორც ჩვენი ისტორიული წარსულის რეალისტურად ამსახველი წიგნი, მდიდარი ფაქტოლოგიური მასილის მეცნიერული კეთილსინდისიერებით გააზრების საფუძველზე შექმნილი ის ნაწარმოებია, რომელიც არა მხოლოდ მხატვრული თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას, არამედ მოვლენათა ობიექტური გააზრების მხრივაც. ეს ყველაფერი მარტო საქართველოს იმჟამინდელი ისტორიული მდგომარეობის ავტორისეული დახასიათების შესახებ კი არ ითქმის, არამედ საქართველოს მისატაცებლად ერთმანეთთან დაპირსპირებული ორი დიდი დამპყრობელი ქვეყნის - არაბთა ხალიფატისა და ბიზანტიის პოლიტიკურ-დიპლომატიური ზრახვების ავტორისეულ წარმოსახვაზეც.

ვ. ბარნოვის მიერ ხორცშესხმული აშოტი საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობისათვის თავდადებით მებრძოლი გვირგვინოსანია. მისი რწმენით, „საქართველო განუყოფელი უნდა იყოს და მას ერთი მეფე, ერთი განმგებელი უნდა ჰყავდეს“.

განგების მიერ დადგენილ ასეთ პიროვნებად აშოტი თავის თავს თვლის, სხვა ყველა კი, „კახთ ბატონი იქნება ის თუ აფხაზი მთავარი, მისი ხელქვეითი უნდა იყოს და ქვეშევრდომი“. აშოტის ეს მიზანსწრაფვა უწინარესად მისი ეროვნულ-მამულიშვილური თვითშეგნების ნაყოფი იყო და არა პატივმოყვარე ზრახვათა შედეგი.

როგორც გონიერი პოლიტიკოსი, ამ მიზნის მისაღწევად იგი მოხერხებულად იყენებდა იმ მწვავე წინააღმდეგობას, რომელიც საქართველოს გამო ჰქონდათ ერთმანეთთან არაბთა ხალიფასა და ბიზანტიას. სწორედ ამ გზით, პირველ ყოვლისა კი ბიზანტიელთა დახმარებით, ესწრაფვოდა მეფე არა მარტო გარეშე მტერთა დამარცხებას, არამედ „განდიდებულ შინაურ მტერთა მოსპობასაც“. ამ ამბების აღწერა რომანში, როგორც ითქვა, ისტორიული პროცესების საფუძვლიან ცოდნასა და მახვილგონივრულ ანალიზს ეფუძნება.

საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შექმნის იდეას აშოტთან ერთად დედოფალი გურანდუხტიც აქტიურად უჭერდა მხარს, მაგრამ, მეუღლისაგან განსხვავებით, მის ამ მისწრაფებას პიროვნული პატივმოყვარეობის მდაბალი გრძნობა ედო საფუძვლად და არა საქვეყნო ინტერესები. გურანდურტს საქართველოს გაერთიანება, პირველ ყოვლისა, იმიტომ უნდოდა, რომ გამთლიანებული ქვეყნის სადედოფლო ტახტზე თავად ამაღლებულიყო და თავისი საძალაუფლებო ფრთები მთელ საქართველოში გაეშალა. სწორედ ამ მიზნით

უკიჟინებდა იგი აშოტს, ძალა და ენერგია არ დაეშურებინა ერთიანი და მძლავრი სახელმწიფოს შესაქმნელად.

რაც შეეხება აშოტს, მისი ცხოვრებისეული ბედი მსხვერპლად შეწირული ადამიანის ხვედრია. როგორც მეფე, იგი ვალდებული იყო უსიტყვოდ და უყოყმანოდ დამორჩილებოდა საქვეყნო ინტერესებს და თავისი ყოველი პიროვნული მისწრაფება სახელმწიფოებრივი იდეალებისათვის დაექვემდებარებინა. სწორედ საქვეყნო ინტერესების კარნახით მოხდა მისი დაოჯახება გურანდუხტ დედოფალზეც. „ბაღლობიდანვე საზოგადო ზრუნვისთვის“ განწირული აშოტი მუდამ უყოყმანოდ ასრულებდა მამის დარიგებას იმის შესახებ, რომ, როგორც ქვეყნის მეფე, იგი ვალდებული იყო, თავისი სიცოცხლე სახელმწიფოს ძლიერებისთვის შეეწირა მსხვერპლად. მიუხედავად იმისა, რომ ამ მამულიშვილურმა თვითშეგნებამ მისი ადამიანური ბუნებიდან ვერც „საპირადო ლტოლვილებანი აღმოფხვრა“ ბოლომდე, აშოტის ცხოვრების უმთავრეს მიზანსწრაფვად ბაღლობიდანვე მაინც „საზოგადო სწრაფება“ იქცა.

და ბოლოს, აშოტის ლიტერატურული სახის გააზრების დროს განსაკუთრებული ყურადღების საგნად ის ფაქტიც უნდა იქცეს, იგი სიყვარულის დიად და ამაღლებულ გრძნობას ზვარაკად შეწირული პიროვნება რომ არის. ეს მხარე ყველაზე მეტად ავლენს მისი ადამიანური ბუნების არსს. მიუხედავად იმისა, რომ შუქურისადმი მეფის თავდავიწყებული სიყვარული ზნეობრივადაც გაუმართლებელი იყო და სარწმუნოებრივადაც, მკითხველი მაინც უღრმესი ადამიანური თანაგრძნობით იმსჭვალება ამ საბედისწერო ტრფიალების ტრაგიკული გმირებისადმი.

მართალია, აშოტს, როგორც მეფე-გვირგვინოსანს, ერთი შეხედვით, ხელთ უდიდესი ძალაუფლება ეპყრა და მის ხელმწიფურ ნება-სურვილს მთელი ერი ემორჩილებოდა, მაგრამ, ამასთან ერთად, რომანში ისიც ხაზგასმითაა ნაჩვენები, რომ იგი პიროვნულ თავისუფლებას მოკლებული ადამიანია. აშოტი მძაფრად განიცდის იმას, რომ „ყოველი მისი ქვეშევრდომი“ თავის მოქმედებაში მასზე მეტად შეუბოჭველი ადამიანი იყო. მან მხოლოდ ერთხელ სცადა პიროვნული შებოჭილობის ამ ხუნდებს გაქცეოდა, როცა „გარდარეული სიყვარულით“ თავდავიწყებულმა შუქურთან სამიჯნურო ურთიერთობის დამყარება მოინდომა, მაგრამ მისი ეს მცდელობაც ტრაგიკული ფინალით დასრულდა.

ვ. ბარნოვის რომანში ხაზგასმული კონტრასტულობით წარმოჩინდა ის უფლებრივი გამიჯვნა-დაპირისპირებულობა, რომელიც viii-ix საუკუნეების საქართველოში საერო და სასულიერო წოდებათა შორის არსებობდა. ამ დაპირისპირების კონტრასტულ მხარეებს უწინარესად აშოტ კურაპალატი და გრიგოლ ხანძთელი წარმოადგენენ. განსხვავებით გ. მერჩულეს მოთხრობისაგან, რომლის შექმნის უმთავრესი მიზანი გრიგოლ ხანძთელის სარწმუნოებრივი ღვაწლის განდიდება იყო, ვ. ბარნოვის რომანის მთავარი გმირი მეფე აშოტია და ყველა სხვა მოქმედი პირი სწორედ მისი მხატვრული სახის წარმოსახვას უკავშირდება. ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არც გრიგოლ ხანძთელია - ერთგვარი ანტითეზა აშოტ კურაპალატის ამქვეყნიური ცხოვრებისეული მრწამსისა.

ვ. ბარნოვის მიერ დახატული გრიგოლი დიდი საეკლესიო და საერო ავტორიტეტის მქონე ბერია. კურაპალატების „სახლში სამოწყალოდ აღზრდილმა ამ ობოლმა“ ეს დიდი ავტორიტეტი აქტიური საეკლესიო და მამულიშვილური მოღვაწეობით მოიპოვა. მისი ეს ავტორიტეტი და პოპულარობა ხალხში დღითი დღე იმდენად იზრდებოდა, რომ „გრიგოლის სახელი უკვე გვერდით ედგა“ აშოტის სამეფო დიდებას და გვირგვინოსან მეფეს ხშირად „თითქოს შიშიც კი იპყრობდა“ იმის გამო, „ძლიერს მოღვაწეობას ბერისას, მის შეუდრკომელ წინსვლას სარწმუნოებისა და ზნეობის შარაზედ არ დაეჩრდილნა აშოტის სახელი მორწმუნეთა თვალში; ვინმე მწირი უგვირგვინო მეფედ არ მოჰვლენოდა ერს, დიდების შარავანდედით შუბლშემკობილად ცხებულის გვერდზედ“.

„ტრფობა წამებულისაში“ დახატული გრიგოლ ხანძთელი საქვეყნო საქმეებში აქტიურად ჩართული მამულიშვილია, ჯვარით ხელში მებრძოლი აგარიანთა წინააღმდეგ. მწერლის თქმით, „აშოტის ხმალი და ხანძთელის ჯვარი სწორად შეჰგებებოდნენ მოზღვავებულ მტერს“. ასე მოიპოვა მან თავისი ხალხის „სულიერი სარდლის“ უფლება და მეფესთან ერთად „თითქო ერთის ხარისხით წარმდგარა ერის წინაშე“ და მასთან ერთად იბრძვის „ერის სადღეგრძელოდ და საღორძინებლად“.

ასეთია უმთავრესი კონტურები ვ. ბარნოვის მიერ წარმოსახული „ამიერ ქვეყნით გაბიჯებული და საიქიოსკენ თვალმიპყრობილი“ ამ წმინდა ბერის მხატვრული სახისა. მართალია, „ხორციელი ბუნების უკუმგდებ და სოფლისა და მის საქმეთა უარმყოფელ“ გრიგოლს უკვე „გაებიჯნა ნივთიერი ქვეყნიერების გაღმა და შაეღო კა-

რი სულიერ განცდათა სამფლობელოსი", მაგრამ, როგორც ითქვა, მწერალმა იგი ზეცისაკენ მიმსწრაფი ინტერესების გარდა მამულიშვილური მიწსრაფებებით გულსავსე პიროვნებადაც დაგვიხატა, რომელიც „მედგრად იბრძოდა" საიმისად, „საქართველოს ნიადაგში ისლამს ფესვები რომ ვერ გაედგა". აშოტისგან გასხვავებით, ამ ბრძოლაში ბერს „ხმლის ნაცვლად ჰაზრი ეპყრა ხელთ განმახვილი, სარწმუნოებით ფხაასხმული რწმენის ძალით აელვარებული".

მაგრამ, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე ისიც უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ვ. ბარნოვის მიერ დახატული გრიგოლ ხანძთელი მიწიერი პატივმოყვარეობით შეპყრობილი პიროვნებაცაა. მართალია, ბერად შედგომის შემდეგ ფორმალურად მან ყველანაირ ხორციელ განცხრომასა და პატივ-დიდებაზე თქვა უარი, მაგრამ თავისი ცხოვრების უმთავერს მიზნად მას მაინც ის ჰქონდა დასახული, „სამშობლოს ცაზედ იმ ვარსკვლავად აღმობრწინებულიყო", რომელიც „დიდბრწყინვალე აშოტის გვერდზედ იმის თანაბრად" იკიაფებდა. უფრო მეტიც, მას ღრმად სწამდა, რომ „გვირგვინი მისი სხიოსანი უფრო ბრწყინვალე იქნებოდა წელთა დაუსრულებელ მსოფლიოში, ვიდრე გვირგვინი თვით აშოტისა. ეს ოცნება ღრმად ჰქონდა მწირს დაფარულ-დამარხული: იცოდა, მისი გამოფენა და გახუნება ერთსავ წამ მოხდებოდა".

ასე რომ, გრიგოლ ხანძთელის საეკლესიო მოღვაწეობას არა მარტო მისი „სამღვთო გულისთქმა და ღვთისადმი სწრაფვა" ედო მკვიდრ საფუძვლად, არამედ, მწერლის სიტყვებით თუ ვიტყვით, „თავმოყვარეობაც თვისი ზვიადი".

ვ. ბარნოვის მრწამსის შესაცნობად ამ შემთხვევაში ის კომენტარიც უსათუოდ უნდა გავიხსენოთ, რომელსაც მწერალი გრიგოლ ხანძთელის ამ ოცნებასთან დაკავშირებით აკეთებს: „ეჰ, მიწიერია ადამიანი და ქვეყნიერი გრძნობა არ განშორდება მის გულს არცროდის. შეუძლიან შეზღუდოს ამის სურვილება, წარმავალი სიტკბოებანი; ვერ უარყოფს თვის ლტოლვილებას დიდებისადმი, ვერ უკუაგდებს სურვილს უკვდავებისას, ვერ შეურიგდება განქარვებას თვის სახელისას".

რომანში საეკლესიო პირთა უდიდესი ძალა და ავტორიტეტი ყველაზე მეტად აშოტის სამიჯნურო გატაცებასთან დაკავშირებით გამოჩნდა. ისინი აქტიურად აღუდგნენ წინ მეფის სურვილს და „მთელი საქართველოს ცოდვად მიჩნეული მისი ბოროტების" აღსაკვეთად და „ქართველთა კერისა და ზნეობის შებღალვისაგან"

დასაცავად შუქური მონაზვნად აღკვეცეს. ერთი შეხედვით, სასულიერო პირთა ეს სურვილი კეთილშობილური განზრახვით იყო ნაკარნახევი და მეფისა და ერის ზნეობირვ სიწმინდეზე ზრუნვაში, რა თქმა უნდა, ცუდი არაფერია, მაგრამ ვ. ბარნოვი ასე მარტივად არ სვამს საკითხს და აშოტის სასიყვარულო ურთიერთობის ამ ტრაგიკულ ფინალს უდიდესი ადამიანური თანაგრძნობით წარმოაჩენს. ეს თანაგრძნობა რომანში იმგვარი კონტრასტულობითაა გამოვლენილი, რომ მკითხველი აშკარად გრძნობს მწერლის მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას მის მიერ დახატული საეკლესიო პირებისადმი.

ნათქვამის ნათელსაყოფად თუნდაც რომანის ეს ეპიზოდი გავიხსენოთ: გრიგოლ ხანძთელმა მარჯვე დრო შეარჩია და აშოტის სასახლეში არყოფნისას ქალი მონასტერში წაიყვანა მონაზვნად აღსაკვეცად. „საწყალობელო, რისთვის ჩაჭრილხარ ცოლ-ქმართა შორის ბოროტითა მათ ცოდვითა, რომლითა დამონებულ ხარ ეშმაკის მიერ?“ – მიმართავს იგი შუქურს, რომელიც, მისი სიტყვით, „საფრთხედ ქმნილა სახელმწიფოსათვის“. ქალი ცრემლიანი სიტყვებით უპასუხებს ბერს, რომ მეფეს „გარდარეული სიყვარულ აქვს მისი“. მაგრამ გრიგოლის გადაწყვეტილება უცვლელია და მან „კრავივით მსხვერპლად განწირული“ ქალი თებრონიას მონასტრისაკენ წაიყვანა. ამ ფაქტით გულნატკენი მწერალი, თითქოს პირადადაც იყოს ამ სცენის თვითმხილველი, უღრმესი ადამიანური თანაგრძნობით შესძახებს:

„- ნუ მიხვალ, შუქურ! შესდექ, იყოვნე! გაიხსენე, ბედშავო, მიჯნურის სახე, აშოტის ხვეწნა. ნუ მიხვალ, შუქურ!

ახ, ვერ გავაგონე, ვერ შევასმინე! ძლიერ შორს ვიყავ, მრავალ საუკუნეთა მანძილით დაშორებული...“

საეკლესიო პირნი არა თუ გულგრილნი არიან მეფის წრფელი ადამიანური გრძნობის მიმართ, არამედ შურისმაძიებლური გააფთრებითაც კი ცდილობენ მის დათრგუნვასა და ძირფესვიანად ამოძირკვას. ამ მცდელობის დროს ერთნაირად გულქვანი და სასტიკნი არიან გრიგოლ ხანძთელიც, თებრონიაცა და დედათა მონასტრის სხვა ბინადარნიც.

ნათქვამის დასტურად გავიხსენოთ რამდენიმე ფრაგმენტი ნაწარმოებიდან: დედათა მონასტრისაკენ ქალთან ერთად მიმავალი გრიგოლი „მსხვერპლად განწირული შუქურის სიმშვენიერეში სრულებით ვეღარ არჩევდა სილამაზეს ღვთის ქმნილებისას“. მასში იგი

მხოლოდ „თვის წინ მიმავალ ეშმაკეულს ჰხედავდა, ცოდვათაგან შეთხზილ მრუშობის ჭურჭელს. თვით სატანას ჰხედავდა მწირი სიმშვენიერედ განსახებულსა და მისდევდა მას ფეხდაფეხ, როგორც მხედარი ძლევამოსილ მტერს ტყვედ აყვანილს“.

კიდევ უფრო მეტ სისასტიკეს იჩენდა თებრონია, რომელიც ყველანაირად ცდილობდა „აღმოეფხვრა სამეფო ოჯახში ნასახიც ტრფობისა“. იმის გამო, რომ „თითონ ვერ ეწია ოდესღაც ამ სიამეს, მის სულში ამოიშრიტა წყარო იგი მაგრილებელი“ და მონასტრის კედლებს თავშეფარებული გასასტიკებული „ქალი გააფთრებით „ჩაუდგა მტრად ტრფობისაგან ნაშობ სიამეს“. ეს „გულსასტიკი მონაზონი“ ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, ქვეყანაზე საერთოდაც რომ მოსპობილიყო „ბედნიერება საოცნებო“ და „დათრგუნულიყო ხორცი, ჭური ცოდვისა აუვსებელი“, „მოდგმათა განსაგრძელებლად კი დარჩენილიყო მხოლოდ სიძვა ცხოველური“.

თებრონიასგან არც მისი მონასტრის მკვიდრნი განირჩეოდნენ. მაგალითად, აი, როგორ ახასიათებს მწერალი ერთ-ერთ მათგანს: „ეს ივდითი მონაზონი მარჯვენა ხელი იყო დედა თებრონიასი, მაჯა მსახვრელი, უხილავი რამ შოლტის მჭერელი... შესაზარი იყო მის ჩაღრმავებულ თვალთაგან ნატყორცი ისარი გესლიანი, მწველი იყო მუნით ნაკვესი ცეცხლი სიძულვილისა, საზარელის რაღაც ზიზღის. შუქურის სახიერებამ სულიერმა, მისმა სიმშვენიერემ ხორციელმა ვერ მოალბეს გამხმარი გული ბოროტის. უფროც გააავეს ის: ყოველივე სილამაზე ეშმაკის მახედ დაესახნა უსახურს, კაცთა საცთუნებლად დაგებულ ხაფანგად... თებრონიას ხელში ივდითი კვერთხი იყო რკინისა, რომლით მწყსიდა წინამძღვარი ურჩთა შემცოდეთ“.

ერთადერთი საეკლესიო პირი, რომელიც შინაგანად ეწინააღმდეგებოდა შუქურისადმი ამგვარ გულქვა და სასტიკ მოპყრობას, მონაზონი თემისტო იყო. იგი ქალის „კავშირს მეფესთან მსუბუქ თუ ლამაზ ცოდვადა სთვლიდა, რომელს უთუოდ აპატიებდა ღმერთი სახიერი“. და ამას ის იმისთვის კი არ აკეთებდა, რომ მრუშობა არ მიაჩნდა მძიმე ცოდვად, არამედ იმიტომ, რომ „მოხიბლულ იყო შუქურის სიმშვენიერით თუ სათნო ბუნებით; მიხვედრილიყო კიდეც, ალღოთი შეეგნო, რომ იგი კავშირი მხოლოდ გარეგანი სახით ემსგავსებოდა მრუშობას, ეკლესიისგან დასტურდაურთავი ტრფობა კი იყო ნამდვილი მზიური, რომელი თავისთავად არის დალოცვილი, რომელს არ ესაჭიროება კურთხევა სხვისი.“

ღვთისმსახურთა ამგვარმა სისასტიკემ და გულქვაობამ აშოტ კურაპალიტი ერთ მომენტში ისეთ მკრეხელობამდეც კი მიიყვანა, რომ ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულ ქომაგად მდგარი მეფე შინაგანმა გაორებამაც შეიპყრო. „რად არის ესე სასტიკი ქრისტიანობა და მისი სამწყსო? - სინანულიანი გულისტკივილით ფიქრობს მეფე. - აგარიანთ უსჯულო სჯული უფრო ლმობიერია, ისმაილელნი უფრო კაცთმოყვარენი არიან. სარკინოზთა მფლობელი რომ ვიყო ისლამის მჭერი, ნება მექნებოდა დღესვე დიდებით და ზეიმით მომეყვანა სასახლეში ჩემი ვარსკვლავი, სჯულის თავი აკურთხებდა ჩემს მოქმედებას, ხალხი თვალ-მარგალიტს გადააბნევდა ახალ დედოფალს... ეხლა კი... ჭეშმარიტად იგი ახალი სჯული უფრო ლმობიერია და კაცმოყვარე...“

თუმცა ქრისტიანული რელიგიის კანონიკური დოგმატური ნორმებისადმი ვ. ბარნოვის ამგვარი კრიტიკული დამოკიდებულება სულაც არ ნიშნავს იმის აღიარებას, თითქოს იგი ათეისტი იყოს.

ვასილ ბარნოვის ეროვნული თვალთახედვის გაანალიზების დროს განსაკუთრებული ყურადღება 1919 წელს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ რომანს - „ხაზართა სასძლოსაც“ მინდა მივაქციო (ნაწარმოების გადამუშავებული ვერსია ცალკე წიგნად პირველად გამოიცა 1922 წელს). მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების სიუჟეტურ საფუძვლად მწერალმა ხაზართა ხაკანის მიერ ქართლის მეფის - არჩილის ქალიშვილის - შუშანის მოტაცების დრამატული ამბავი აქცია, მან ის რთული ეპოქალური სინამდვილეც წარმოსახა ფართოდ და მასშტაბურად, რომელიც საქართველოსა და მის მეზობელ სახელმწიფოებში სუფევდა viii-ix საუკუნეებში.

ჩემი აზრით, „ხაზართა სასძლოსადმი“ დღევანდელი მკითხველის ინტერესს უწინარეს ყოვლისა ის გარემოება განსაზღვრავს, რომ მწერალმა მასში უაღრესად საინტერესოდ წარმოაჩინა საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციისა და ქვეყნის სამომავლო განვითარების პრობლემა. კერძოდ, ვ. ბარნოვი ღრმად შთამბეჭდავი სახით წარმოსახავს იმ რთულ ვითარებას, რომელიც არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის მეზობელ სახელმწიფოებშიც არსებობდა იმ ხანად.

ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოში სარკინოზები ბატონობდნენ და სახელმწიფოებრივ მთლიანობასა და თავისუფლებას მოკლებული ქვეყანა თავგანწირვით იბრძოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად და ქრისტიანული სარწმუნოების

შესანარჩუნებლად. არაბთა წინააღმდეგ მიმართულ ამ ბრძოლაში ქართველი ხალხი მაშინ მარტოდმარტო აღმოჩნდა და სასურველი დახმარება მას ვერც ბიზანტიამ აღმოუჩინა და ვერც სპარსეთმა. მართალია, არაბთა წინააღმდეგ „საშინელ ომს“ იმხანად ხაზართა მძლავრი სახელმწიფოც აწარმოებდა, მაგრამ საქართველოს მოკავშირედ ვერც იგი გამოდგებოდა, ვინაიდან ხაზართა ხაკანი „ფრიად ნაწყენი და გარისხებული იყო“ ქართველებზე იმის გამო, რომ არჩილ მეფის ასულმა შუშანმა მას ცოლობაზე უარი უთხრა. „ეს პირადი სიმწარე გარდუვალ ზღუდედ იყო აღმართული“ ორ ქვეყანას შორის, რის გამოც „ქართველთა მპყრობელნი ჩრდილოეთისაკენ იმედის თვალით ვეღარ გაიხედავდნენ“.

ხაზართა ხაკანისადმი უარის თქმა რომანში ორი მთავარი ფაქტორითაა მოტივირებული: სარწმუნოებრივი სხვადასხვაობითა და იმ გარემოებით, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები მუდამ დასაპყრობად მოილტვოდნენ საქართველოსაკენ. მართალია, ჩრდილოელ მეზობლებში ამჯერად ხაზარები იგულისხმებოდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა გამოგვჩეს ის ფაქტი, რომ იმ ხანად ჯერ არც რუსეთის სახელმწიფო არსებობდა და რუსეთის ტერიტორიაზე არც ქრისტიანობა იყო გავრცელებული. ამის მიუხედავად, მწერალი მაინც თვლის, რომ ჩრდილოეთისადმი მინდობა ჩვენი ქვეყნისათვის დამღუპველი მოვლენა იქნებოდა. აი, როგორ გამოახატვინებს იგი ამ თვალსაზრისს სამეფო კარის წარმომადგენელთ ერთგან: „ჩრდილოეთს მაინც ვერ მივენდობით, თუნდაც დავმოყვრდეთ... ის მარად მოილტვის ჩვენ ქვეყნისაკენ.

- არც როდის არ შეიძლება მინდობა! შესაძლოა მხოლოდ განსაზღვრული ჯარის დაქირავება და გადმოყვანა იქიდან.

- მაშ, უარი უნდა ეთქვას ხაკანს: სჯული ეწინააღმდეგება ამ კავშირს; თვით სახელმწიფოს სარგებელიც ამასვე მოითხოვს, რომ ჩრდილოეთის საზღვრები მტკიცედა გვქონდეს დაცული“.

საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის განსაზღვრის დროს ეს ანტიჩრდილოური (იგივე ანტირუსული) პოზიცია ვ. ბარნოვის შემოქმედებაში არაერთგზის გამოიხატა ნათლად და არა ორაზროვნად და ამ თვალსაზრისით „ხაზართა სასძლო“ სულაც არ არის გამონაკლისი.

აქვე, ამასთან ერთად, მეტად მნიშვნელოვანი იმის ავტორისეული ხაზგასმაცაა, ქართველის ცნობიერებაში ეროვნულობა და სარ-

წმუნოებრიობა ფაქტობრივად ერთმანეთთან რომ იყო გაიგივებული. მაგალითად: „იმ ძნელ დროს, როდესაც საქართველოზედ ძალა მოჰქონდა აგარიანთა ახალ სჯულს, რომელიც იქამდინ გაძლიერებულიყო, რომ ჰნთქამდა ყველა სხვა სარწმუნოების მოწინააღმდეგეს, თვით ხალხსაც სხვა სჯულის მატარებელს; ქართველებმა მთელი სიდიადით იგრძნეს მოსპობის საშიშროება და თავიანთი ხალხოსნობა უხსნელად შეუერთეს სჯულს: მთელ კავკასიონში მართლმადიდებელი და ქართველი ერთ და იმავე ცნებად გარდაიქცა მტრისა და მოკეთის თვალში; ქართველნი ისევე უფრთხილდებოდნენ სჯულს, როგორც თავიანთ თავს, როგორც თვით ხალხოსნობას... მათ მთელი თვისი სასოება დაამყარეს საკუთარ ძალაზედ და ღვთის შეწევნაზედ, რასაც უნდა განემტკიცებინა იგი ძალა საკუთარი.“

„ხაზართა სასძლო“ იმ თვალსაზრისითაც უაღრესად საინტერესო რომანია, რომ მასში მწერალმა საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერებისთვის საფუძვლის გამომთხრელი შინაური ძალების მხილებასაც მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება. ამ კუთხით უპირველეს ყოვლისა აფხაზთა მეფეების მიერ გატარებული მზაკვრული პოლიტიკის ავტორისეულ დახასიათება მინდა გავიხსენო. დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით ამ დახასიათებამ კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა და მთელი სიმწვავით წარმოაჩინა ის შენიღბული წინააღმდეგობა, რომელიც მეტ-ნაკლები ძალით თითქმის მუდამ არსებობდა საქართველოს სახელმწიფოებრივ მთლიანობასთან შინაგანად დაპირისპირებულ აფხაზურ სეპარატიზმსა და ქართულ ცნობიერებას შორის.

ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად გავიხსენოთ სათანადო ფრაგმენტები რომანიდან. არაბთა მიერ არჩილ მეფის სიკვდილით დასჯის შემდგომ ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებული იოანე ბატონიშვილი დასავლეთ საქართველოში გადავიდა იმ იმედით, რომ აქედან დაიწყებდა ქვეყნის სიძლიერის აღდგენას. მაგრამ, სამწუხაროდ, „იქაც ვერა ჰპოვა ტახტის მემკვიდრემ ისეთი ძალები, რომლებზედაც შესაძლო ყოფილიყო სამეფო ტახტის დამყარება“. შინაური შუღლისა და განთიშულობის გაღრმავებას მოხერხებულად უწყობდნენ ხელს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები. ამ თვალსაზრისით მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას იმ მზაკვრულ ურთიერთობაზე ამახვილებს, რომელიც ხაზარებსა და აფხაზებს შორის არსებობდა.

პირველ ყოვლისა, სწორედ „ხაზარნი აღელვებდნენ და აქეზებდნენ აფხაზებს, რომ გასდგომოდნენ იგინი ქართველებს და დაეარსებინათ ცალკე სახელმწიფო თვით ხაზართა მფარველობის ქვეშ. ძალიანა სცდილობდნენ ხაზარნი ამ საშუალებებით მაინც დაეჭირნათ კავკასიონის კარებები, რადგან იცოდნენ, ვის ხელშიც იქნებოდა იგი გადმოსავალნი, იმისი შეიქმნებოდა გამარჯვება იმ სასტიკ და შეურიგებელ ბრძოლაში, რომელიც უკვე დაწყებული იყო ჩრდილოეთის მბრძანებელ ხაზართა და სამხრეთის მფლობელ აგარიანთა შორის.

ხაზართა შთაგონებით ლეონ აფხაზი აღარ დაემორჩილა იოანეს, არ აღიარა იგი მეფედ მთელი საქართველოსი და ისე ეჭირა თავი, როგორც მფლობელს ვინმე დამოუკიდებელს. იოანეს არ ძალუძდა განემტკიცებინა ამ კუთხეშიც ხელმწიფობა საქართველოსი: ხაზართა ხაკანი ზურგს უმაგრებდა აფხაზს, მარად მზად იყო შესაფერ დროს ჯარით დაჰხმარებოდა განდგომილს. იოანე ყოველ წუთს ელოდა ამ მხრიდან ღალატს. შემდგომში აკი კიდეც აისრულეს ხაზართ წადილი: ლეონ მეორემ, ძმისწულმა ამ პირველი ლეონისა, ხაზართა მეფის ასულის ძემ, დაიპყრო ხაკანის დახმარებით მთელი აფხაზეთი და ეგრისი, უარჰყო ქვეშევრდომობა საქართველოს მფლობელისა და გამოაცხადა თავისი თავი მეფედ აფხაზეთისა“.

როგორი სიზუსტით მიესადაგება ვ. ბარნოვის მიერ წარმოსახული ეს ვითარება დღევანდელ აფხაზეთში არსებულ მდგომარეობას! საკმარისია ხაზართა მაგივრად ციტირებულ ფრაგმენტში რუსი ჩავსვათ, რომ მთელი სიცხადით დავინახოთ, მწერლის მიერ აღწერილი მოვლენა როგორი წინასწარმეტყველური სისწორით წარმოაჩენს იმ მზაკვრული პოლიტიკის არსს, რასაც სადღეისოდაც ატარებს რუსეთი აფხაზეთში.

იგივე უნდა ითქვას ლეკთა შესახებაც, რომელთა მზაკვრული და მოღალატური ბუნება მწერალმა შემდეგნაირად დაახასიათებინა ხაზართა სარდალ ბდუჩანს: „ლეკეთზე დაბრუნება შეუძლებელი სჩანდა. ბდუჩანმა გაიცნო იქაური ხალხი, ქვეყანა, საცალფეხო მთის ბილიკები და ვეღარ ენდობოდა ლეკებს: შესაძლო იყო ეღალატნათ მისთვისაც, როგორც უღალატეს თავიანთ მოკავშირე ქართველებს.“

ასეთი მახვილგონივრული წინასწარმეტყველებანი და შეფასებანი ვ. ბარნოვის შემოქმედებაში სხვაგანაც რომ საკმაოდ ხშირად გვხვდება, ეს „შურისგებიდანაც“ (1928 წ.) ნათლად ჩანს, რომელშიც

ალექსანდრე მაკედონელის დროინდელ საქართველოში არსებული ვითარებაა აღწერილი.

ქართველთა ჯარი ღვაჟაგის სარდლობით კავკასიონის გადაღმა მცხოვრებ ერებთან საბრძოლველად გაემართა. ამ გადაწყვეტილების მიღება იმანაც განაპირობა, რომ ბოლო დროს ისინი „ბოროტად მოისწრაფოდნენ გადმოღმისაკენ და ჯგუფ-ჯგუფად იწყეს გადმოსვლა ხალხის საძარცვად“. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების ასალაგმად წასულმა ლაშქარმა აფხაზეთს მიაღწია. მწერლის თქმით, აფხაზებიც „იბერთა ტომნი არიან, მაგრამ შორეულნი. ვერა გრძნობენ ჩვენთან ერთობას.“ ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხთა მსგავსად, ისინიც „ხშირად გადმოდიან სამეკობროდ ჩვენს მხარეს... იმედი აქვსთ გადაღმელელების: ჯიქეთში მალავენ ნადავლს, ნატაცები იმათაც ხომ აქეთ გადმოაქვსთ.“

აფხაზები საომრად მომზადებული შეხვდნენ იბერიელებს, მაგრამ ბრძოლა ვერ გაბედეს, რადგანაც „მიმავალი ჯარი არც დიდ საბაბს აძლევდა ბრძოლისას: არ ალაფობდნენ, არც არვის ეტანებოდნენ.

- გზად მივდივართ თქვენს ქვეყანაზედ. სამტრო არრა გვაქვს. თუ არ დაიშლით და დაგვესხმით, ძვირად დაგისვამთ.

ამაში აფხაზნი დარწმუნდნენ, როდესაც სცადეს რამდენჯერმე და დაზიანდნენ.“

ქართველთა სიძლიერით შეფიქრიანებულმა აფხაზთა მთავარმა მთავარსარდალი ღვაჟაგი სტუმრად მიიწვია. მიუხადავად იმისა, რომ გარეგნულად სტუმარ-მასპინძელი ურთიეთისადმი უდიდეს პატივისცემას გამოხატავდა, ერთიმეორეს მაინც არ ენდობოდნენ და „მზირი თვალი ეჭირათ ერთმანეთზედ“. ნასადილევს აფხაზთა მთავარმა ღვაჟაგს თხოვა მათ ჯარში, რომელშიც „იბერთა ყველა თემებიდან იყვნენ მებრძოლნი“, რამდენიმე რჩეული აფხაზიც ჩაერიცხა. ღვაჟაგი მთავრის ამ წინადადებას გარეგნულად სიხარულით კი შეხვდა, მაგრამ „გულში იმას ფიქრობდა, მოშორებით ჩაეყენებინა იგინი ჯარში სხვადასხვა ადგილას.

- შესაძლოა, განზრახ მომიჩემა, რომ გზაში ან ბრძოლის ჟამს რაიმე ვნება მოგვაყენონ.

- საფიქრო არის! ჯაშუშობასაც გასწევენ ეგენი. ეცდებიან, ყველა ჩვენი ნაბიჯი აცნობონ თავიანთ მთავარს.“

ქართველთა ჯარმა წარმატებით დალაშქრა მეზობელ ხალხთა სამთავროები. მათი პირველი რისხვა ჯიქეთს დაატყდა თავს. შემ-

დეგ ბრუხოელნი დალაშქრეს. ბრუხოელებმა დახმარებისთვის ალანელებს მიმართეს, მაგრამ ღვაჟაგმა დაასწრო, ოსეთში გადავიდა და ისინიც მკაცრად დასაჯა ორგულობისა და მზაკვრობისათვის.

საბოლოოდ, გამარჯვებული ქართველთა ჯარის მთავარსარდალი ამსეთი გამაფრთხილებელი სიტყვებით მიმართავს დატყვევებულ მოწინააღმდეგეთ: „გადმოვიარე ჩემი ჯარით თქვენი ქვეყნები. ჩაიხოცა ხალხი მრავალი, განადგურდა ბევრი სოფელი. სამტროდ თითონ თქვენ გამოგვიწვიეთ: მტერს დაუჯერეთ, ამხედრდით ჩვენზედ, შეგვირყიეთ მკვიდრი საზღვრები... შორეული მტერი წავა, მეზობლები ერთადვე ვიცხოვრებთ. ხმლით გაგახსენეთ მე ეს მართალი!.. ბედისწერას დაჰმორჩილდით, ძმებად დაგიჭერთ; თუ არადა უცილებლად სიკვდილი თქვენი!“

დატყვევებულნი იძულებული არიან აღიარონ, რომ ღვაჟაგი „სიმართლეს უბნობს“. მათი თქმით, „ხალხს არ უნდოდა იბერთან ბრძოლა, იარაღი თავკაცებმა ააღებინეს“.

განხილული ნაწარმოებისადმი დღევანდელი მკითხველის ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მწერლის მიერ აღწერილი ვითარება დღევანდელ ვითარებასაც აშკარად მიესადაგება წინასწარმეტყველურად.

მიხეილ ჯავახიშვილი

1917-1921 წლებში მოღვაწე ქართველ მწერალთაგან იმდროინდელ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან მიმართებით ჩვენი ქვეყნის სამომავლო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ბედის გასარკვევად და სწორი მმართველობითი ორიენტირების დასადგენად ძალზე ცოტას თუ უფიქრია და უმოღვაწია ისეთი შემართებით, როგორც მიხეილ ჯავახიშვილს (1880-1937 წწ.).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლისთანავე იქცა მ. ჯავახიშვილის შემოქმედებისა და პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად აქტიური ბრძოლა და გარესამყაროსთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის განსაზღვრა წარმოადგენდა. იმჟამინდელ მსოფლიოში გლობალურად მიმდინარე მოვლენათა არსში საფუძვლიანად გარკვეული მწერალი თავის პუბლიკაციებში ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ უნდა ეთქვა უარი ჩრდილოურ ორიენტაციაზე და სახელმწიფოებრივი განვითარების უმთავრეს ორიენტირად დასავლეთ ევროპა გაეხადა.

მისი მტკიცებით, წინანდელი ეპოქისაგან განსხვავებით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩვენი ქვეყნის სამომავლო არსებობის გზა უკვე „მოსკოვსა და პეტროგრადზე კი აღარ მიდიოდა, არამედ შავ ზღვასა სჭრიდა და დუნაის ხეობაზე გადადიოდა." ქვემოთ კი ჩვენი ქვეყნის პროევროპული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის უალტერნატივობას იგი ასეთ შეფასებას აძლევდა: „გვეყო მოსკოვ-პეტროგრადში გაცხრილულ ევროპიულ კულტურით კვება, რომელსაც უფრო მეტი მონღოლური შხამი ურევია, ვიდრე დასავლეთის წმინდა სასმელი" (ჯავახიშვილი, 2001: 570).

მიუხედავად იმისა, რომ 1918 წლის 11 იანვარს, როცა ეს სიტყვები იწერებოდა, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ბევრი რამ ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ გარკვეული და მოვლენები შემდგომში მწერლის მიერ ნავარაუდევი მიმართულებით არ წარიმართა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის იმჟამინდელ პროცესს მ. ჯავახიშვილი განზე მაინც არ განდგომია და ამ მიზნის მისაღწევად ძალა და ენერგია არ დაუშურებია.

რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ, 1917-21 წლებში, დაწერილ წერილებში მ. ჯავახიშვილი ყოველგვარი კომპრომისის გარეშე უპირისპირდებოდა ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილის, პირველ ყოვლისა კი ქართველი სოციალისტ-დემოკრატების, რუსოფილურ პოზიციას და მკაცრად ამხელდა „სხვის პატრონობას შეჩვეულ“ იმ ადამიანებს, რომლებიც პოლიტიკურად შეცვლილ ახალ ვითარებაშიც ისევ ჩრდილოეთიდან ელოდებოდნენ ხსნასა და შველას. მათი ამგვარი პოზიციით აშკარად უკმაყოფილო მწერალი ერთგან გაოცებანარევი აღშფოთებით წერდა: „ვერ შევითვისეთ ის ცხადი სიმართლე, რომ „პატრონი“ აღარა გვყავს, რომ ჩრდილოეთიდან, ნაცვლად დახმარებისა და წესრიგისა, აუცილებლად გვეწვევა ღვთის რისხვა – რეაქცია და ანარქია“ (ჯავახიშვილი, 2001: 570).

როგორც ცნობილია, 1910-1920-იანი წლების ქართულ მწერლობაში ცხოველი განსჯის საგნად იქცა იმის გარკვევა, თავისი სულიერი კულტურითა და განვითარების ისტორიული პროცესით საქართველოს ევროპასთან უფრო მეტი სიახლოვე ჰქონდა თუ აზიასთან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მაშინ ბევრმა მწერალმა გამოთქვა საკუთარი მოსაზრება. ერთმანეთისაგან არსებითადაც განსხვავებულ ამ შეხედულებათა ავტორები მეტად საინტერესოდ და ორიგინალური თვალთახედვით აფასებდნენ როგორც ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და სულიერი მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, ისე განვითარების სამომავლო გზებსა და პერსპექტივებს.

ნათქვამის დასტურად აღნიშნული საკითხით დაინტერესებული მკითხველი ბევრ საგულისხმო მასალას იპოვის ი. გრიშაშვილის, კ. გამსახურდიას, გრ. რობაქიძის, პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, გ. ლეონიძის, გ. ქიქოძის, ვ. კოტეტიშვილის, ნ. მიწიშვილის, ი. გომართელისა და იმხანად მოღვაწე სხვა ქართველი მწერლების შემოქმედებაში.

ყოველივე ამას ყურადღება აქ იმიტომაც მივაქციე, რომ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით მეტად საგულისხმო მოსაზრებანი მ. ჯავახიშვილსაც აქვს გამოთქმული მის პუბლიკაციებშიცა და საარქივო ჩანაწერებშიც. მაგალითად, მისი შეფასებით, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ ჩვენს ქვეყანას ის სიკეთეც მოუტანა, რომ რადიკალურად შეიცვალა მისი განვითარების გზა გარესამყაროსთან მიმართებით. კერძოდ, თუ

„უწინ დასავლეთისაკენ ბილიკიც არ მიდიოდა, ხოლო ჩრდილოეთით ერთი გზა გვქონდა," დამოუკიდებლობლობის აღდგენის შემდეგ უკვე „დასავლეთის კარებიც ღია იყო და ჩრდილოეთთანაც, ზღვის გარდა, ერთის ნაცვლად ოთხი გზა მიდიოდა" (ჯავახიშვილი, 2001: 583).

მ. ჯავახიშვილის ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაფუძნებაში და, როგორც ამ პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების მუდმივი წევრი, რეალურ მონაწილეობას იღებდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სრულად აღდგენისა და რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან მისი გამოსვლისათვის გამართულ ბრძოლებში. ეს ბრძოლა მას არც საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში შეუწყვეტია და 1923 წლამდე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საბოლოო ლიკვიდაციამდე, როგორც ამ პარტიის მმართველობითი ორგანოების წევრი, აქტიურად იღვწოდა უმაღლეს ეროვნულ იდეალად დასახული ამ მიზნის მისაღწევად.

1923 წელს, ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიკვიდაციის შემდეგ, პარტიის სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად მ. ჯავახიშვილიც დააპატიმრეს, ორთაჭალის ციხეში ჩასვეს და ანტისახელისუფლებო საქმიანობის გამო მას სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს, მაგრამ პავლე ინგოროყვასა და ქართული ინტელიგენციის სხვა ცნობილ წარმომადგენელთა აქტიური გამოსარჩლების შედეგად „დანაშაული" აპატიეს და ციხიდან გაათავისუფლეს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის წინარე პერიოდში გამოქვეყნებულ თავის პუბლიკაციებში მ. ჯავახიშვილი მძაფრი ემოციით გამოხატავდა სახელმწიფოებრივი თავისუფლების ნანატრი დროის დადგომით მოგვრილ სიხარულს, იგი იმ გარემოებასაც მიაპყრობდა მკითხველის ყურადღებას, პარტიებად დაქუცმაცებულ ქართველებში ისტორიული გარდატეხის ამ „დიად მომენტშიც" (მწერლის სიტყვებია) რომ არ იყო ეროვნული ერთობა.

კერძოდ, აი, რა შეფასებას აძლევდა იგი ამ მოვლენას 1917 წლის 29 მარტს გაზეთ „საქართველოში" დაბეჭდილ სტატიაში „ჩვენი ბედი": „რუსეთის ყველა ეროვნებანი დაირაზმა, გაერთიანდა, ყველგან მოისპო პარტიული ბრძოლა და უთანხმოება. ყველგან დაივიწყეს ამ დიად მომენტში ჯგუფური შუღლი და მტრობა. ყველგან

და ყველა ამაღლდა პირადულ და ჯგუფურ სულისკვეთებით და უმაღლეს ეროვნულ მისწრაფებებს დაუმორჩილა თავისი ნება და ზრახვანი.

ძნელია იმის დაჯერება, რომ ჩვენი სამშობლო შეადგენს ამის გამონაკლისს. შეუძლებელია იმის შერიგება, რომ დიადი რევოლუციონური ტალღები ვერ გაახალისებს ქართველის გულს, საუბედუროდ ჩვენდა, დაკნინებულს, დაწვრილმანებულს.

ისევ წვრილმანი ჯგუფური შეხლა-შემოხლა, ისევ პირადული მტრობა და ანგარიშები? და ეს დღეს, როდესაც ყოველივე ახლად იბადება, როდესაც შესაძლოა ყოველივეს აღდგენა, მოპოება, ანდა დაკარგვა, დასამარება?“ (ჯავახიშვილი, 2001: 541).

მ. ჯავახიშვილის პუბლიცისტური წერილებისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შედეგად წამოჭრილ პრობლემათა გადასაჭრელ გზებზე მსჯელობის დროს მწერალი არა მარტო ქართულ რეალობას ითვალისწინებდა, არამედ საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებასაც და მეზობელ სახელმწიფოებთან (რუსეთთან, თურქეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან) ისტორიულ და იმჟამინდელ ურთიერთობებსაც. იგი ამ შემთხვევაში ემოციებს არ ჰყვებოდა და მდგომარეობას რეალურად არსებული ვითარების გათვალისწინებით, ყველა სირთულისა და წინააღმდეგობის გათვალისწინებით, აფასებდა.

მაგალითად, გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის 16 იანვრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ზავი ოსმალეთთან“ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე საუბარი მწერალმა ორგანულად დაუკავშირა რუსეთის დანგრეულ იმპერიაში მიმდინარე მოვლენებს და მკითხველის ყურადღება კიდევ ერთხელ მიაპყრო იმ ფაქტს, რომ რუსეთი, როგორც მთლიანი სახელმწიფო, უკვე დაშლილი იყო. აქედან გამომდინარე, აღარც მისი მთავრობა არსებობდა, „ხოლო დამფუძნებელი კრება მხოლოდ ხავსი იყო წყალწაღებული რუსეთისა: იგი ვერ აღადგენდა დანგრეულ სახელმწიფოს“. ეს კი ისტორიულ მნიშვნელობას იძენდა იმპერიაში დამონებული ხალხების მომავალი ცხოვრების გასარკვევად: „დამფუძნებელი კრების დაშლას ლოღიკურის ძალით მისდევდა დაარსება რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფოსი“ (ჯავახიშვილი, 2001: 571).

მწერლის აზრით, ასეთ ვითარებაში ქართველი ხალხისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ფაქტად უნდა ქცეულიყო სეპარა-

ტისტული ზავის დადება თურქეთთან. მ. ჯავახიშვილი კარგად ხედავდა, რომ თუ ეს ასე არ მოხდებოდა, რუსეთსა და თურქეთს შორის გაფორმებული საზავო ხელშეკრულების შედეგად საქართველო მომაკვდინებელი მოთხოვნების წინაშე აღმოჩნდებოდა. ამ მდგომარეობიდან ერთადერთი გონივრული გამოსავალი კი თურქეთთან სეპარატისტული ზავის გაფორმება იყო, რითაც რამდენადმე მაინც ავიცილებდით თავიდან საბჭოთა რუსეთის ახალ კაბალურ ვალდებულებებს. ამიტომაც აფრთხილებდა მ. ჯავახიშვილი მაშინდელ ხელისუფლებას: „თუ დღეს ოსმალეთი ზავს გვთხოვს, ორი თვის შემდეგ, როცა ფრონტზე გზები გაიხსნება, იგი ზავის პირობებს შეცვლის და გვიკარნახებს“.

ასე ოპერატიულად აფასებდა პუბლიცისტი სიტუაციებს. სამწუხაროდ, მოვლენები ისე სწრაფად და იმგვარად განვითარდა, რომ სეპარატისტული შეთანხმების დადების ეს ხელსაყრელი შანსი ხელიდან იქნა გაშვებული და საქართველოსადმი თურქეთის მიერ წაყენებული ტერიტორიული პრეტენზიების საკითხი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკების შემადგენელ ნაწილად იქცა.

ამიერკავკასიის კომისარიატმა და სეიმმა, რომელნიც იმხანად საქართველოს ბედს განაგებდნენ, ვერაფერი გააკეთეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. ბრესტის საზავო მოლაპარაკების შედეგად თურქეთმა საწადელს მიაღწია და ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქები დაისაკუთრა და 1918 წლის 10 მარტიდან ჯარების შემოყვანა დაიწყო აჭარაში. ვერც მოლაპარაკებითა და, მით უმეტეს, ვერც ძალით ხელისუფლებამ ვერაფერი გააწყო თურქული აგრესიის შესაჩერებლად და 15 აპრილს მტერმა უკვე ბათუმის აღებაც მოახერხა.

ამ ვითარებაში, ბუნებრივია, ქართველმა ხალხმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას. მ. ჯავახიშვილმა ამ საკითხს რამდენიმე წერილი მიუძღვნა. ესენია: „კარებები ჩავკეტოთ! (გადამიჯვნის საფუძველი)“, „საქართველოს კარებები“, „საქართველოს საზღვრები“, „ისევ საქართველოს საზღვრებისათვის“, „ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობისათვის“, „შეერთებული ძალღონით“ და სხვა.

ერთ-ერთი უპირველესი პრობლემა, რომლის მოწესრიგებას საქართველოს სახელმწიფოებრივი მომავლისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, თურქეთთან ტერიტორიული უთანხმოების მოგვარება იყო. „ფუჭია ლაპარაკი და ყალბია მეგობრული ხვევნა იმ

დრომდის, - წერდა მ. ჯავახიშვილი 1918 წელს, - სანამ არ გადაწყდება ორივესათვის საბედისწერო საკითხი საზღვრების შესახებ. ქართველმა შეიძლება დაივიწყოს ყველაფერი, მაგრამ იგი ვერასოდეს და ვერასგზით ვერ დაივიწყებს და ვერ მოინელებს ოსმალთა მიერ საქართველოს დაშლა-დაქუცმაცებას, მის განახევრებას და მის სამხრეთ ზღუდე-კართა აყრას. ბათომი და ქობულეთი, აჭარა და არტაანი, ჯავახეთი და ახალციხე – ჩვენი სხეულიდან ამოჭრილი ასოებია, რომელნიც აუცილებლად უნდა დაგვიბრუნდეს“ (ჯავახიშვილი, 2001: 582).

როგორც ცნობილია, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ფორმირების პერიოდში ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკას შორის ტერიტორიული გამიჯვნის გამო საკმაოდ მწვავე უთანხმოებამ იჩინა თავი. სწორედ ამის დადასტურებაა სომხეთ-საქართველოს ომი, რომელიც 1918 წლის დეკემბერში გაიმართა.

მ. ჯავახიშვილის მიერ 1917-20 წლებში გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილების გაცნობით ვრწმუნდებით, რომ ჩვენი სამშობლოს სასაზღვრო მიჯნების დადგენისა და დაცვის პრობლემა ამ დროისათვის მისი განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა. ისტორიული, ეროვნულ-ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული არგუმენტების მოშველიებით მწერალი აქტიურად ცდილობდა მონაწილეობა მიეღო ამ მიმართულებით არსებული პრობლემის მოგვარების პროცესში.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში მეზობელ ქვეყნებთან საქართველოს საზღვრების დადგენა მრავალ სიძნელესთან აღმოჩნდა დაკავშირებული. ამ გარემოების განმაპირობებელ ფაქტორად არა მარტო ისტორიულ წარსულში არსებული სირთულენი იყო ქცეული, არამედ რუსული კოლონიალიზმის შედეგად დატოვებული მძიმე მემკვიდრეობაც - სახელდობრ, იმ მზაკვრული პოლიტიკის შედეგები, რაც ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-ტერიტორიული მთლიანობის დანგრევისაკენ იყო მიმართული.

კერძოდ, რუსეთის ხელისუფლებამ გუბერნიებად და მაზრებად დაყოფილ ჩვენს სამშობლოში მაქსიმალურად ცადა ისტორიულად დამკვიდრებული მიჯნების მოშლა. ასე აღმოჩნდა ქართული მიწების გარკვეული ნაწილი ადმინისტრაციულად უცხო რეგიონებს მიკუთვნებული. ამ პოლიტიკის გატარებით იმპერიული ხელისუფლება ცდილობდა ერთიანი ეროვნული ცნობიერების მოშლას და

ქართული ტერიტორიების ქცევას რუსული იმპერიის შემადგენელ ნაწილებად.

ამას შედეგად კი ისიც მოყვა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ტერიტორიული საკითხების გამო არსებული უთანხმოება დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მათი ფორმირების პერიოდში კიდევ უფრო გაიზარდა. დაკარგვის რეალური საფრთხე დაემუქრა ისტორიულად საქართველოსთვის კუთვნილ ზოგიერთ კუთხეს. დაირღვა ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული საზღვრები. მ. ჯავახიშვილის წერილების ძირითადი პათოსი იქეთკენ იყო მიმართული, როგორ შეგვენარჩუნებინა საუკუნეების მანძილზე ეროვნულადაც და სახელმწიფოებრივადაც ჩვენთვის კუთვნილი რეგიონები.

ასეთი საზღვრები კი, პუბლიცისტის აზრით, საქართველოს გამოკვეთილად ჰქონდა. კერძოდ, აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით 1918 წელს გამოქვეყნებულ წერილში „კარებები ჩავკეტოთ!“ „ბევრი სახელმწიფო ინატრებს ასეთს მთლიანობას და მკაფიოდ გამოჭრილ-გამოკვეთილ ჩარჩოს. უდიდესი ბოროტება იქნება წინაშე ჩვენის ერისა და მისი მომავლისა ამ ბუნებრივ ჩარჩოს დარღვევა მხოლოდ იმიტომ, რომ მის ამა თუ იმ მცირე კუთხეში ქართველი უმცირესობას შეადგენს. ამ მთლიან ჩარჩო-საზღვრების შესაქმნელად ჩვენს წინაპრებს ზღვა სისხლი დაუღვრიათ და მრავალი თაობა მისთვის შეულევიათ“ (ჯავახიშვილი, 2001: 574).

მწერლის ხაზგასმით, ამ საზღვრების დაცვა იმჟამად მათი ისტორიული მოვალეობა იყო, რომლის აღსასრულებლად სიცოცხლეც კი არ უნდა დაგვეშურებინა, „ათასი წლობით გაკაფული გზიდან“ არ გადაგვეხვია და „საკუთარის ხელით არ მოგვეკლა ჩვენივე თავი“. ისტორიულად დამკვიდრებული მიჯნების მოშლა, მ. ჯავახიშვილის სიტყვით, „ალაყაფის კარებს გაუხსნიდა ყველას, ვინც კი მოისურვებდა ჩვენს მამულში შემოსვლას. მოსურნე ჩვენს სახლში შემოსვლისა კი ათასი იყო. ყველას უნდოდა ხრიოკი მთებიდან მდიდარ ბარში ჩამოსვლა. ეს უბრალო სურვილი კი არ უყო, არამედ უძლეველი კანონი მიმზიდველობისა, რომლის გაქარწყლება და შეჩერება შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ მეორე კანონით: უხეში ძალითა და იარაღით“ (ჯავახიშვილი, 2001: 574).

მ. ჯავახიშვილის აზრით, ვითარებას კიდევ უფრო ართულებდა ის გარემოება, რომ პარტიებად დაქსაქსულ ქვეყანაში საოცრად იყვნენ გამრავლებული შინაური მტრები, პირველ ყოვლისა - სოციალისტები, რომლებიც ხელგაშლილად არიგებდნენ ქართულ მი-

წებს. მწერლის ხაზგასმით, ხელისუფლების სათავეში მათი მოსვლის დროიდან ამ მოვლენამ საბედისწერო მასშტაბები შეიძინა. კერძოდ, თუ „ჩვენი წინაპრები სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ შეენახათ საქართველოს ბუნებრივი სტრატეგიული საზღვრები და ჩაეკეტათ მისი კარებები და გზები,... ჩვენი უბედურება და ღვთის რისხვა ახლა ის გახლდათ, რომ რაც მაშინ მტრებმა ძალად წაგვართვეს, ასი წლის ომით წაიღეს, ცეცხლითა და მახვილით მოიპოვეს, ამას ჩვენი სოციალისტები ნებაყოფლობით უთმობდნენ“ (ჯავახიშვილი, 2001: 575).

ასე ამხელდა მწერალი სოციალისტების ეროვნულ ნიჰილიზმსა და პოლიტიკურ სიბეცეს, რამაც დამღუპველი შედეგები მოუტანა ქვეყანას. მ. ჯავახიშვილი ცდილობდა, ამგვარი მხილების შედეგად როგორმე გონს მოეყვანა საკუთარი სამშობლოსათვის „ყელის გამომჭრელი“ ეს მოღალატე პოლიტიკოსები და დაერწმუნებინა იმაში, რომ ვინც საქართველოს ისტორიულად დამკვიდრებულ ტერიტორიულ მთლიანობას ხელყოფდა, „ის სამშობლოს მახვილს დასცემდა გულში“. მწერლის თქმით, ამ თვალსაზრისით, ყოველი დეპუტატის, ყოველი ჭეშმარიტი პატრიოტი ქართველის, პასუხისმგებლობა საკუთარი მამულის წინაშე „ისე მძიმე და დიდი იყო, რომ მის ტარებას ვერავითარი სინდისი და კისერი ვერ შეძლებდა“.

საქართველოში იმხანად შექმნილ მდგომარეობას ზოგიერთები ერეკლე მეორის დროინდელ ვითარებას ადარებედნენ. ერთ-ერთ სტატიაში („საქართველოს კარებები“, გაზ. „საქართველო“, 1918 წ. 21 იანვარი) მ. ჯავახიშვილმა საგანგებოდ მიაქცია ყურადღება ამ საკითხს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს პარალელი ზუსტი არ იყო. ამ შემთხვევაში სიტუაციათა მსგავსება-არმსგავსების გარკვევაზე მეტად მას სხვა რამ აინტერესებდა. კერძოდ, ამ გზით იგი კიდევ ერთხელ შეეცადა, ნათლად დაენახვებინა მკითხველისათვის ის ანარქია და უპასუხისმგებლობა, რომელიც მაშინდელი ხელისუფლების უნიათობის გამო იყო გაბატონებული ქვეყანაში.

პუბლიცისტის აზრით, იმდროინდელი საქართველო გაცილებით უარეს დღეში იყო ჩავარდნილი. ერეკლე მეორის მეფობის დროს, „ავი იყო თუ კარგი, სუსტი თუ ძლიერი – ერთი მთავრობა მაინც გვყავდა, რომელმაც ამოწურა და გამოიყენა ერის ნებისყოფა და ძალა. ეხლა კი ქვეყანა უპატრონოდ გახლავთ მიგდებული. ძაღლი პატრონს ვერ იცნობსო – სწორედ დღევანდელ დღეზეა ნათქვამი. საქართველოში იმდენი ძალაა დაბუდებული, რომ ორს ეყოფა,

მაგრამ იგი შინაურ ბრძოლას უნდება, ერთმანეთს ასკდება და ბათილდება“ (ჯავახიშვილი, 2001: 575).

ასეთი ვითარება სუფევდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ზღრუბლთან მიახლოებულ საქართველოში. ისტორიული განვითარების გზაბოძალთან დამდგარ ქვეყანაში მომრავლებული იყვნენ პარტიები, რომელთა შორის გამძაფრებული ბრძოლა და კინკლაობა იყო გაჩაღებული ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ყველა თავისი ადლით ზომავდა ქვეყნის სვე-ბედს. ერის მოწინავე შვილები გულისტკივილით ამხელდნენ ამ განთიშულობასა და შინაომებს, ერს კონსოლიდაციისაკენ მოუწოდებდნენ და დაჟინებით შეახსენებდნენ ქართველ კაცს თავის წილ პასუხისმგებლობას ისტორიული გარდატეხის ამ ურთულეს მომენტში.

ეს სულისკვეთება მსჭვალავს მ. ჯავახიშვილის პუბლიცისტიკასაც, მათ შორის, დასახელებულ წერილსაც, სადაც ნათქვამია: „თუ ერი ერობს, თუ იგი არ გადიაცებულა და არ დალაჩრებულა, თუ მას შერჩენია უნარი სიცოცხლისა, განვითარებისა და მედგარი ნებისყოფა თავის უცილობელ უფლების შენარჩუნებისა, იგი თავისას გაიტანს და თავის მოდუნებულ ბელადებს თავის სოროში არ შეჰყვება, მაგრამ თუ იმედი გაგვიცრუვდა და ჩვენი რწმენა ფუჭი ოცნება გამოდგა, მაშინ ისღა დაგვრჩენია, რომ ეხლავე ვიგლოვოთ ჩვენი მომავალი მწარე ბედი“ (ჯავახიშვილი, 2001: 575).

თავის იმდროინდელ პუბლიკაციებში მ. ჯავახიშვილი უღრმეს გულისტკივილს გამოხატავდა იმის გამო, რომ კავკასიაში შექმნილი ახალი გლობალური რეალობის შედეგად საქართველოს ცალკეულ რეგიონებში იქაურ მკვიდრთა ეთნიკური შემადგენლობაც შეიცვალა არსებითად. მაგალითად, აი, რას წერდა მწერალი ამასთან დაკავშირებით 1917 წლის ივნისში გამოქვეყნებულ წერილში „საქართველოს საზღვრები:“ „სანამ არსებობდნენ დამოუკიდებელი და ძლიერი სომხეთი, ბიზანტია და ტრაპეზუნდი (ძველი პონტი), საქართველო დამოუკიდებელი, ძლიერი იყო, რადგან მისი სამხრეთის კარები დაკეტილი იყო. სომხეთის, ბიზანტიისა და ტრაპეზუნდის დაშლის შემდეგ ეს კარებებიც გაიღო, ზღუდენიც მოიშალნენ და ოსმალთა ტალღებმა წალეკეს და ჩამოგვაცილეს ნახევარი საქართველო, ხოლო მეორე ნახევარი დანარჩენ საქართველოსი იმდენად გაივსო მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სამუსლიმანო ქვეყნებიდან მომდინარე სომხებით, რომ მათ ფაქტიურად დაიმკვიდრეს დიდი ნაწილი აღმოსავლეთ

საქართველოსი და მისი ერთი ნაწილი შიერთეს კიდევაც“ (ჯავახიშვილი, 2001: 551).

მ. ჯავახიშვილის აზრით, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით შექმნილ ასეთ არასასურველ რეალობას ჩვენი ქვეყანა თავს იმ შემთხვევაში დააღწევდა, თუ „მოკავშირეთა წყალობით, თითქმის ათასი წლის წინათ დაშლილი სომხეთისა და თითქმის ხუთი საუკუნის წინათ დანგრეული ტრაპეზუნდის“ სახელმწიფოები აღდგებოდა. მწერლის ხაზგასმით, ეს მოვლენა „ყოველი შეგნებული ქართველისათვის საქართველოს აღდგენასა და მისი დამოუკიდებლობის განმტკიცება-დამკვიდრებას უდრიდა.“

ამ მოვლენისათვის ამგვარი შეფასების მიცემის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორებად მ. ჯავახიშვილს შემდეგი არგუმენტები მოჰყავდა: პირველი, საქართველო ტერიტორიულად გაემიჯნებოდა ოსმალეთს და მეორე, „სომხეთისა და ტრაპეზუნდის აღდგენის შემდეგ წინააზიაში და კავკასიონის სამხრეთით დამყარდებოდა ძალთა დაახლოებითი სწორ-წონობა და მშვიდობა“ (ჯავახიშვილი, 2001: 551).

უტოპიურ ოცნებად დარჩენილი ამ მიზნის რეალურად ხორცშესხმას მიხეილ ჯავახიშვილი უპირველეს ყოვლისა იმდროინდელ მსოფლიოში განვითარებულ გლობალურ მოვლენებს უკავშირებდა, სახელდობრ, პირველი მსოფლიო ომის შედეგად შექმნილ რეალობას. კერძოდ, აი, რას წერდა თავად ის ამასთან დაკავშირებით: „თუ ახალი რღვევა არ მოხდა ქვეყნისა, ეს გეგმა ადვილად შეიძლება განხორციელდეს, რადგან ამას მოითხოვს სახელმწიფო ინტერესები ინგლის-საფრანგეთისა, იტალიისა და შავი ზღვის ირგვლივ მდებარე სახელმწიფოებისა.“ ამ ოცნების ხორცშესხმის განმაპირობებელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად მწერალი ხსენებულ ქვეყნებში მცხოვრებ მუსულმან მოსახლეობას მიიჩნევდა, რომელიც მათი ხელისუფლების მორჩილ ძალას წარმოადგენდა.

მ. ჯავახიშვილის აზრით, აღნიშნული პოლიტიკური გეგმის განხორციელების შედეგად მის მიერ დასახელებულ ევროპის ქვეყნებსა და ოსმალეთს შორის „შეიქმნებოდა ახალი ერთი, ორი და სამი საქრისტიანო სახელმწიფო - სომხეთი, ტრაპეზუნდი და სირია,“ რომლებიც „რომელიმე ევროპიული სახელმწიფოს კოლონია იქნებოდა“ (ჯავახიშვილი, 2001: 551).

რეგიონის სახელმწიფოებრივი კონფიგურაციის ამგვარი ცვლილებებით მ. ჯავახიშვილის დაინტერესება უპირველეს ყოვლისა ეროვნულ-პატრიოტული ფაქტორებით იყო განპირობებული. კერ-

ძოდ, აღნიშნული მოვლენები საქართველოს რეალურად შეუქმნიდა იმის შესაძლებლობას, ისტორიული რეალობისა და მისთვის არსებითად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის შესაბამისად რომ განესაზღვრა მეზობელი ქვეყნებისაგან გამმიჯნავი სახელმწიფოებრივი საზღვრები.

აი, როგორი განზოგადებული სახით წარმოსახავს თავად მწერალი აღნიშნული თვალსაზრისით არსებულ ქართულ ისტორიულ რეალობას: „ჩვენი წინაპრები სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ შეენახათ საქართველოს ბუნებრივი სტრატეგიული საზღვრები და ჩაეკეტათ მისი კარებები და გზები მომავალნი არტაანიდან, ახალქალაქიდან, ყაზახიდან, დარიალიდან და საინგილო-დაღესტნიდან. საქართველოს ტრაგედია მაშინ დაიწყო, როცა მტრებმა ეს კარებები შემოანგრიეს და შემოსასვლელი გზები გაკაფეს. ოსმალები ქართლში შემოვიდნენ, სპარსელი და თარაქამა თათრები თბილისს, ყაზახსა და ბორჩალოს იკლებდნენ, ხოლო ლეკები კახეთს აწიოკებდნენ“ (ჯავახიშვილი, 2001: 574).

ციტირებული ფრაგმენტი მ. ჯავახიშვილის იმ წერილიდანაა დამოწმებული („კარებები ჩავკეტოთ!“), რომელიც მან ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე ოთხი თვით ადრე, 1918 წლის 24 იანვარს, გამოაქვეყნა. ხსენებული პუბლიკაციისადმი ინტერესს არა მარტო ჩვენი ქვეყნის წარსულიდან გახსენებული ეს ტრაგიკული ეპიზოდები განსაზღვრავს, არამედ მწვავედ კრიტიკული ის შეფასებაც, რითაც მწერალი ქართული სახელმწიფოს იმდროინდელ მესვეურებად მოვლენილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერთა ანტიეროვნულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას ამხელდა და აკრიტიკებდა.

ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ხსენებული წერილიდან: „ჩვენი უბედურება და ღვთის რისხვა ის გახლავთ, რომ რაც მტრებმა ძალით წაგვართვეს, ამას ახლა ჩვენი სოციალისტები ნებაყოფლობით უთმობენ... ნაცვლად იმისა, რომ ეხლავე, დღესვე ჩავკეტოთ საქართველოში მომავალი გზები და კარებები, ჩვენ ჩვენი დეპუტატების ხელით ვაღებთ ამ კარებს და მტრებს გზებს ვუხსნით. თუ ჩვენს სოციალისტებს არ სჯერათ, რომ ისინი შეგნებით თუ შეუგნებლად ყელსა სჭრიან თავიანთ სამშობლოს, ჰკითხონ თავიანთ ამხანაგებს, სამხედრო საქმის სპეციალისტებს და ესენი უჩვენებენ ამ დეპუტატებს ჩვენს ნამდვილ საზღვრებს. და ვინც ამ საზღვრებს აქეთ ერთ ნაბიჯს გად-

მოდგამს, ის სამშობლოს მახვილს დასცემს გულში“ (ჯავახიშვილი, 2001: 575).

მ. ჯავახიშვილი არა მარტო ზოგადად საუბრობდა გარესამყაროსაგან ჩვენი ქვეყნის გამმიჯნავი საზღვრების ლოკალიზაციასთან დაკავშირებით, არამედ იგი კონკრეტულადაც ასახელებდა აღნიშნულ გეოგრაფიულ მიჯნებს. მიუხედავად იმისა, რომ მწერლის მიერ აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით გამოთქმულ სურვილთა უდიდესი ნაწილის რეალობად ქცევა ვერ განხორციელდა და მწერლის მიერ საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ტერიტორიებად მიჩნეული არაერთი რეგიონი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი საზღვრების მიღმა დარჩა, მისი ეროვნული თვალთახედვის შესაცნობად ამ მიმართულებით მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე ამჯერად მაინც უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა.

კერძოდ, საქართველოს სახელმწიფოებრივ საზღვრებთან დაკავშირებით მ. ჯავახიშვილის მიერ 1917-1921 წლებში გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილებში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული სომხეთთან და აზერბაიჯანთან გამმიჯნავი ტერიტორიების ლოკალიზაციას. იმ დროისათვის ამ ქვეყნებს შორის საკმაოდ გამწვავებული დაპირისპირების საგნად ქცეულ ამ პრობლემაზე მსჯელობის დროს მწერალი იმ ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკასაც მკაცრად აკრიტიკებდა, რომელსაც აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ავლენდნენ იმხანად ჩვენი ქვეყნის მმართველობის სათავეში მყოფი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მესვეურები. ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ რამდენიმე ფრაგმენტს მ. ჯავახიშვილის იმდროინდელი პუბლიცისტური ნააზრევიდან.

ამონარიდები 1918 წლის 28 იანვარს გამოქვეყნებული წერილიდან „საქართველოს კარებები:“ „ჩვენი ბრმა და ყრუ მთავრობა ხელზე იხვევს ყოვლად უაზრო და ხალხის დამღუპველ რეალ შესაძლებლობას და აპირებს უცხოელებს დაუთმოს საქართველოს ყელი და მთავარი ძარღვები. ყარაიაზის ამბები, დავით გარეჯი, აბასთუმანი და დარიალი მხოლოდ ცდა იყო ჩვენი ძალისა.

დანარჩენ გზების გასაღებებიც დავთმეთ და საცაა ამ დათმობას დააკანონებს ჩვენში გამეფებული პარტია... მათი დათმობა და თავდასაცავი ხაზის გადმოტანა გაშლილ ველებზე ჩვენს დედაქალაქსა და მთელ საქართველოს მომავალში ჩვენი მტრების ლუკმად გახდის... ჩვენ მოვალენი ვართ წინაშე ჩვენი ერისა და ჩვენის მომავლი-

სა, მედგრად და დაჟინებით მოვითხოვოთ ისეთი საზღვრები, რომელნიც გაგვიადვილებენ ქვეყნის დაცვას ხარბი მეზობლებისაგან... თუ ჩვენ მოგველის სრული თავისუფლება, მხოლოდ გიჟს შეუძლიან სისხლის დაუღვრელად დაუთმოს სომხეთს ბორჩალო მდინარე ხრამამდე, მთელი ჯავახეთი და მიაყოლოს ერთი ნაჭერი გორის მაზრისა“ (ჯავახიშვილი, 2001: 576-577).

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით იმხანად გამოქვეყნებულ წერილებში მ. ჯავახიშვილი არა მარტო მოსალოდნელ საფრთხეებზე მსჯელობდა ესოდენი სიმშაფრითა და გულისტკივილით, არამედ იმ პერსპექტივებსაც წარმოაჩენდა ოპტიმისტურად, რაც იმხანად მიმდინარე გლობალურ პოლიტიკურ მოვლენებს შეიძლებოდა მოჰყოლოდა პოზიტიურ შედეგად ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ მომავალთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მწერლის მიერ ამ მიმართულებით გამოთქმული იმდროინდელი პროგნოზები უტოპიურ ნაოცნებარად დარჩა, მის მაშინდელ ეროვნულ თვალთახედვაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად ქვემოთ 1918-1919 წლებში ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდანაც დავიმოწმებ ამონარიდებს.

მაგალითად, მ. ჯავახიშვილის აზრით, საერთაშორისო მასშტაბით შექმნილი ხელსაყრელი რეალობიდან გამომდინარე და ინგლისის აქტიური დახმარების შედეგად, საკმაოდ ოპტიმისტური მოლოდინი არსებობდა „დიდი საქართველოს“ შესაქმნელად. კერძოდ, მწერალი არა მარტო ზოგად მოსაზრებას გამოთქვამდა იმედისმომცემ ამ მოლოდინთთან დაკავშირებით, არამედ მკითხველს ამ მოვლენის შედეგად შექმნილი „დიდი საქართველოს“ საზღვრებში შემავალ რეგიონებსაც უსახელებდა კონკრეტულად.

კერძოდ, მწერლის ვარაუდით, ამ გზით ფორმირებული საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში, გარდა თბილისის, ქუთაისისა და სოხუმის გუბერნიებისა, ასევე შევიდოდა ბათუმის ოლქი, საინგილო, არტაანი, ოლთისი, ყაზახი, ყარსი, ყაღიზმანი, გუმბრი (შურაველი), ლაზისტანი, თორთუმი და ისპირი (ჯავახიშვილი, 2001: 599).

მიუხედავად იმისა, რომ მწერლის პატრიოტული ინტერესებით განპირობებულ ამ ილუზიურ გეგმას მართლაც გააჩნდა ისტორიული საფუძველი, იმ დროისათვის მისი ხორცშესხმა არარეალური ოცნების საგანს წარმოადგენდა. როგორც მ. ჯავახიშვილის პუბლიცისტიკიდან თვალნათლივ ჩანს, ეს გარემოება არც მას რომ დაუტ-

ოვებია ყურადღების მიღმა, ამას ჩვენი მეზობელი ქვეყნების მიერ საქართველოს მიმართ წაყენებულ ტერიტორიულ პრეტენზიათა მისეული მხილებაც ადასტურებს.

ამ თვალსაზრისით მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობდა საქართველო-სომხეთის ურთიერთობას, ისტორიული სამართლიანობის პოზიციებიდან განიხილავდა ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ სადავო საკითხებს და არაორაზროვნად გამოხატავდა ქართველი ხალხის ერთმნიშვნელოვნად მხარდამჭერ დამოკიდებულებას სომხეთის სახელმწიფოს შექმნასთან დაკავშირებით.

კერძოდ, მისი ხაზგასმით, „ყოველი შეგნებული ქართველისათვის სომხეთის... აღდგენა საქართველოს აღდგენასაც და მისი დამოუკიდებლობის განმტკიცება-დამკვიდრებასაც უდრიდა" (ჯავახიშვილი, 2001: 595); რომ „მთელი საქართველო ერთხმად ემხრობოდა სომხეთის აღდგენას და ამისათვის, თუ საჭირო იქნებოდა, სისხლსაც დაღვრიდა" (ჯავახიშვილი, 2001: 575).

მაგრამ, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, იგი იქვე იმასაც აღნიშნავდა, რომ ეს ყველაფერი „საქართველოს ზურგზე" არ უნდა მომხდარიყო. მწერლის ხაზგასმით, თუ ეს ასე იქნებოდა და სომხეთი თავისი სახელმწიფოს შექმნას ქართული მიწების მიტაცების ხარჯზე მოინდომებდა, მაშინ სისხლი დაიღვრებოდა. როგორც ცნობილია, მ. ჯავახიშვილის მიერ გამოხატულ ამ შეშფოთებას მართლაც რომ ჰქონდა სათანადო საფუძველი, ეს საქართველო-სომხეთს შორის 1918 წლის დეკემბერში მომხდარი საომარი კონფლიქტითაც დადასტურდა.

მეზობელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით დაძაბა იმან, რომ ე. წ. „დიდი სომხეთის" შექმნის სურვილით გონებადაბრმავებულმა სომეხმა ნაციონალისტებმა ნახევარი საქართველოს მიტაცება დააპირეს. ამ ამბით აღშფოთებული მ. ჯავახიშვილი მრავალი არგუმენტის მოშველიებით ასაბუთებდა სომეხ ნაციონალისტთა მტაცებლური სურვილის სრულ უსაფუძვლობას და ჩვენი ქვეყნის ხელისუფალთ აქტიურად მოუწოდებდა, გაბედულად აღდგომოდნენ წინ მათ ამგვარ აგრესიულ პოლიტიკას.

მაგალითად, აი, რას წერდა თავად მწერალი ამასთან დაკავშირებით 1919 წლის 15 აპრილს გამოქვეყნებულ წერილში „ისევ საქართველოს საზღვრებისათვის:" „სომხეთი გვედავება ბორჩალოს დიდ ნაწილს, არტაანსა და ოლთისს, თორთუმ-ისპირსა და ლაზისტანს. ოთხი თვის წინათ მან იარაღით მოინდომა ჯავახეთ-ბორჩალოს წაგ-

ლეჯა და ნაწილობრივ მიაღწია მიზანს. ლორე გამოგგვლიჯა და უცხო ძალას გადასცა. ამავე დროს იგი გამალებული მუშაობს უცხოეთში და იქ ცდილობს სომხეთის აღდგენას საქართველოს ზურგზე. მათში გამოქნილმა დიპლომატიამ აქ ადვილად მოიგო ჩვილი გული ჩვენის მთავრობისა, დააძინა მისი გულისყური და ხელთ იგდო დიდი ავანსი 3 მარტის ხელშეკრულებისა" (ჯავახიშვილი, 2001: 601).

ასეთი „მადისა და შავის გულის ხალხია სომხებიო", - გულისტკივილით დაასკვნიდა მწერალი და ერთხელ კიდევ შეახსენებდა საზოგადოებას, როგორ გვესხმოდნენ ისინი თავს სოჭში, მესხეთში კი ოსმალებს ევაჭრებოდნენ ჯავახეთს.

მაგრამ მ. ჯავახიშვილი საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში მხოლოდ ამგვარ ტრაგიკულ ეპიზოდებს არ ხედავდა და მხედველობიდან არც ჩვენი ხალხების ისტორიული მეგობრობა რჩებოდა. კერძოდ, თავის იმდროინდელ პუბლიკაციებში იგი მკაცრად აკრიტიკებდა სომეხ ნაციონალისტებს იმის გამო, რომ ისინი „საერთო და უკიდურესი ხიფათის ჟამს" მხოლოდ იმას ხედავდნენ, რაც ჩვენს ქვეყნებს ერთმანეთისაგან აშორებდა. მწერლის შეფასებით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში „მათ მხოლოდ წარსული ანგარიშები და ძველი უსიამოვნებანი აგონდებოდათ და იმ ბოროტ სულს მისდევდნენ, რომელიც ყოველთვის და ყველას მხოლოდ ერთ სიტყვას ჩასძახოდა ყურსა და გულში: „ჰკა მაგას!"

არსებული რეალობის ამგვარი ინტერპრეტირებით შეშფოთებული პუბლიცისტი იქვე გულისტკივილით იმასაც აღნიშნავდა, რომ „ავი სულის მქონე ამგვარ პოლიტიკას მრავალი ქვეყანა დაუღუპავს და იგი ჩვენც გვემუქრებოდა" იმხანად; თუმცა იქვე იმის იმედსაც გამოთქვამდა, რომ საქართველო ამ საფრთხეს თავიდან აიცილებდა (ჯავახიშვილი, 2001: 612).

როგორც ვნახეთ, მ. ჯავახიშვილის მიერ 1917-21 წლებში გამოქვეყნებულ პუბლიცისტურ წერილებში იმ პერიოდის ქართულ რეალობასთან დაკავშირებული მრავალი საჭირბოროტო საკითხია დასმული და საფუძვლიანად გაანალიზებული. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მწერლის ეს პუბლიკაციები არა მარტო იმდროინდელი ვითარების არსში გასარკვევად წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან ნააზრევს, არამედ ჩვენს დღევანდელ ყოფაში არსებულ პრობლემათა გადასაჭრელი გზის მისაგნებადაც.

ნიკო ლორთქიფანიძე

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული პრობლემა ნიკო ლორთქიფანიძის (1880-1944 წწ.) შემოქმედებაში მისი მოღვაწეობის ყოველ ეტაპზე იყო დამკვიდრებული ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად, ამ საკითხის განსჯა-გააზრებამ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წინარე ხანასა და ამ ისტორიული მოვლენის შემდგომ პერიოდში შექმნილ მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწარმოებებში კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა.

იგი რეალურად პირველი ქართველი მწერალი იყო, რომელიც 1917 წლის 5 მარტს გაზეთ „სამშობლოში“ გამოქვეყნებული თავისი პუბლიცისტური წერილით - „უფლება გვავალებს“ მგზნებარედ გამოეხმაურა რამდენიმე დღის წინათ მომხდარ თებერვლის რევოლუციას, რამაც მყარი საფუძველი შექმნა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად. ამ ისტორიული მოვლენისადმი ავტორისეულ დამოკიდებულებაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული პუბლიკაციიდან:

„რუსეთში ახალი მთავრობა დამყარდა. ასი წლის ბრძოლა კონსტიტუციისათვის გამარჯვებით დამთავრდა...

გაიმარჯვა არა პარტიამ, არამედ იმ დედა-აზრმა, რომელიც საერთოა ყველა პარტიისათვის.

გუშინ მცხოვრებნი ვიყავით. დღეს მოქალაქეთ გავხდით.

ეს დიდი უფლებაა.

ამ უფლებისათვის მრავალი სპეტაკი მსხვერპლი შეეწირა ძალმომრეობითს ღმერთს და ბევრი სისხლი დაიღვარა.

დიდი უფლება დიდ მოვალეობასაც გვაკისრებს. ჩვენ უნდა გარდავქმნათ ჩვენი სული, პოლიტიკური სული.“

რუსეთის იმპერიაში მომხდარი ამ უდიდესი მოვლენის ამგვარ შეფასებასთან ერთად, მწერალი იმავე წერილში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გააქტიურებაზეც საუბრობდა და მოუწოდებდა თანამემამულეებს, გონივრულად გამოეყენებინათ ეს ნანატრი შემთხვევა და ისე მოქცეულიყნენ, „როგორც ეს უფლებამოსილ მოქალაქეს შეჰფეროდა და არა მოსასვენებლად ბორკილებისაგან დროებით განთავისუფლებულ პატიმარს.“

ნ. ლორთიფანიძის შეფასებით, ხსენებულმა რევოლუციამ ქართველ კაცს იმის შესაძლებლობა მისცა, თავი უკვე არა რუსეთი მოქალაქედ მიეჩნია, არამედ იმ ქართველად, რომელსაც „თავისი განსაკუთრებული მოთხოვნილებები, ინტერესები და ტკივილები“ ჰქონდა. პირველი შეკითხვა, რომლითაც რევოლუციის ამგვარი შედეგით აღფრთოვანებული მწერალი მკითხველს საჯაროდ მიმართავდა, ასეთი იყო: „როგორ მოვეწყოთ, როგორც ქართველები?“ და თავადვე პასუხობდა: „ყოველ ჩვენს გამოსვლაში, ყოველ ჩვენს მიმართვაში უმაღლესი მთავრობისადმი, უნდა მოვითხოვდეთ ჩვენი დარღვეული პირობების აღდგენას.

წამიც არ დავკარგოთ და სადაც საჭიროება იქნება, წარვადგინოთ.“

ბუნებრივია, მკითხველისათვის ძნელი მისახვედრი არ იქნება, რა დარღვეული პირობების აღსრულებაზეცაა საუბარი. ეს იყო მოთხოვნა რუსეთის კოლონიური უღლისაგან საქართველოს განთავისუფლებისა და მისთვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა.

აღნიშნულ საკითხს ნიკო ლორთქიფანიძე ხსენებული წერილის გამოქვეყნებიდან ხუთი დღის შემდეგ, 10 მარტს, იმავე გაზეთში დაბეჭდილი იმ სტატიითაც გამოეხმაურა, რომლითაც იგი რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან ფინეთის გამოყოფას მიესალმა და ამ მოვლენას თავისი სამშობლოს განთავისუფლების მოლოდინიც დაუკავშირა. „ახალმა მთავრობამ, - წერდა იგი, - უდიდესი მნიშვნელობის აქტი გამოსცა - მანიფესტი ფინლანდიისადმი.

ფინლანდია აღსდგა!

ჩვენ მოვითხოვთ ყველა ქართველისაგან, წარუდგინონ ახალს მთავრობას მოხსენება ჩვენ უფლებათა დაუყოვნებლივ აღდგენის შესახებ.

უმაღლესი ბედნიერების მოლოდინით აღფრთოვანებულნი ჯერ კიდევ ბურუსით მოსილ სამხრეთიდან – საქართველოდან სალამს უძღვნით მზის პირველი სხივებით გაბრწყინებულ ჩრდილოეთის პატარა ერს – ფინებს.“

ეროვნული თავისუფლების ამ დიდი მოლოდინის გამოხატვასთან ერთად, ნ. ლორთქიფანიძის იმდროინდელ წერილებში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს მოწოდება წესრიგის დაცვისა და გონივრული მოქმედებისაკენ. მწერლის აზრით, ეს მით უფრო იყო აუცილებელი, რომ ქვეყნად ანარქიისა და განუკითხაობის წარმოქ-

მნის რეალური პირობები არსებობდა. აი, რას წერდა თავად იგი ამასთან დაკავშირებით სტატიაში „გარდამავალი დროის კანონები“ (გაზ. „სამშობლო,“ 1917 წ. 12 მარტი):

„ძველი წაქცეულია, მაგრამ სულს მაინც ღაფავს...

ახალმა გაიმარჯვა, მაგრამ ფეხები არ გაუმაგრებია, ვერ მოუსწრია ხალხის ყველა შემხუთველი პირობების მოსპობა...

ჩვენ ახლავე უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომელნიც არ იწვევენ ცხოვრების აღრევას და ხელს უწყობენ ხალხის ბორკილების აყრას...

მართვა-გამგეობას ერთი წუთითაც ვერ შევაჩერებთ, თუ არ გვსურს გამოვიწვიოთ ანარქია, დამღუპველი როგორც კერძო პირისა, ისე საზოგადოებისა და სახელმწიფოისა.“

ნ. ლორთქიფანიძის აზრით, უპირველესი საქმე, რომელიც ქართველ ხალხს შექმნილ ვითარებაში უნდა გაეკეთებინა, რუსული ეკლესიის მეურვეობისგან ქართული ეკლესიის განთავისუფლება და „დაქვრივებული ქართული საკათალიკოსოს აღდგენა“ იყო.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შედეგად შექმნილი ახალი რეალობისადმი თავისი ოპტიმისტური დამოკიდებულება ნიკო ლორთქიფანიძემ ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან ათი წლისთავის აღსანიშნავად გაზეთ „ჩვენს ქვეყანაში“ ხსენებული წლის 27 ივლისს გამოქვეყნებული მინიატურითაც გამოხატა. პუბლიცისტური პათოსით აღბეჭდილი ამ მინიატურით მწერალი იმდროინდელ საზოგადოებას ემოციური აღტკინებით აუწყებდა, რომ შორს არ იყო ის დღე, როცა მთაწმინდიდან გადმომდგარი ჩვენი დიდი მამულიშვილი სიხარულით აუწყებდა მთელ საქართველოს, რომ „ჩვენი თავი უკვე ჩვენვე გვეკუთვნოდა!“

ამ უბრწყინვალესი ესეისტური ჩანახატის მთავარი მიზანსწრაფვა ისაა, მკითხველს წიწამურის ტრაგედიასთან შეპირისპირებული სახით დაანახოს ერის სულიერი მოძღვრის მამულიშვილური ღვაწლის სიდიადე.

ნ. ლორთქიფანიძის შეფასებით, ი. ჭავჭავაძის მამულიშვილურ ღვაწლს კიდევ უფრო მეტი სიმაღლე შესძინა წიწამურმა, რაც, ნ. ლორთქიფანიძის ხაზგასმით, ილიასათვის გოლგოთად იქცა, იმ ბიბლიურ მთად, სადაც ქრისტე აცვეს ჯვარს. ქართველი ერის მტრების მიერ ერის სინდისად და მოძღვართ-მოძღვრად აღიარებული მამულიშვილის მოწამეობრივი სიკვდილი თუ, ერთის მხრივ, ილიასათვის ღვთაებრივი ამაღლების უწმინდეს გზად იქცა, მეორეს

მხრივ, იგი სამარადისოდ შემარცხვენელ გზად დამკვიდრდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რადგანაც წიწამურში „უმაღლეს წერტილს მიაღწია ქართველთა დაქსაქსვამ, ეროვნული სულის გათახსირებამ, უბედურებამ, ისტორიის უარყოფამ.“

ნ. ლორთქიფანიძის შეფასებით, თუ „ქრისტეს სარწმუნოება გოლგოთამ დააგვირგვინა,“ ილიას დიდი ცხოვრებისეული გზის მოწამეობრივ გვირგვინად წიწამური იქცა, რომელმაც „ბრმებსაც კი თვალი აუხილა.“ ისევე როგორც გოლგოთაზე „სიკვდილითა სიკვდილი დაითრგუნა,“ „წიწამურში ეროვნულმა დაცემამ ეროვნული სული აამოძრავა, ჩააფიქრა, აღდგენის გზაზე დააყენა.“

ნ. ლორთქიფანიძის აზრით, ამ ტრაგიკულმა მოვლენამ ახალი სასიცოცხლო ენერგია შესძინა ქართველობას. ხალხი გამოაფხიზლა და მის მოდუნებულ შეგნებაში თვითგანსჯისა და ზნეობრივი სიწმინდის გრძნობამ გაიღვიძა. განსაცდელის წინაშე მდგარმა ერმა ერთბაშად იგრძნო და ირწმუნა, რომ თუ ასე გაგრძელდებოდა ცხოვრება, თუ ილიას სისხლით შეღებილი ქართველი კაცი მონანიების მადლით არ განიბანებოდა, მაშინ „პირისაგან ქვეყნისა აღმოფხვრა გველოდა.“

ამ საბედისწერო უფსკრულის პირას მდგარმა ერმა, ილიას ტრაგიკული მკვლელობის შედეგად მეტ-ნაკლებად გამოფხიზლებულმა, ძალა მოიკრიბა და „სამშობლოს სულის მებაირახტრე თბილისის დარაჯად მაღლა, მთაწმინდის ფერდზე, დაასვენა.“

კაცობრიობისათვის ქრისტესაგან ნაქადაგევ სიბრძნეს ადარებს ნ. ლორთქიფანიძე ილიას სიტყვებს: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო.“ ეს სიტყვები „ნელ-ნელა, მაგრამ შეუჩერებლივ ერთმანეთში ღობავს ყოველ ქართველს და თლის, პწნის, სანთლავს კიდობანს ერის ბედნიერებისას.“

ამ ოპტიმისტურ სულისკვეთებას მწერალს თებერვლის რევოლუციაც უღვივებდა. როგორც ცნობილია, ილიასადმი მიძღვნილი ეს ესე თებერვლის რევოლუციის შემდგეგ დაიწერა, იმ დროს, როცა რეალურად დადგა საკითხი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა. ამ იმედით ფრთაშეხმული მწერალი სადღესასწაულო პათეტიკით მიმართავდა ქართველ ხალხს: „შორს არ არის ის დღე, მთაწმინდიდან გავიგონოთ:

გიხაროდეთ, ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნის...

და მართლ-მორწმუნეთათვის წმინდა მთა მთელი ერის სათაყვანოდ გადაიქცევა, როგორც სავანე ილიასი.“

შექმნილი მდგომარეობით გახარებული მწერალი არა მარტო პუბლიცისტური წერილებით ეხმიანებოდა შესაბამისი პერიოდის საჭირბოროტო პრობლემებს, არამედ სხვადასხვა სახის მასობრივ ღონისძიებებშიც იღებდა აქტიურ მონაწილეობას.

სწორედ ამგვარი საზოგადოებრივი აქტიურობის შედეგს წარმოადგენს ნ. ლორთიფანიძის მაშინდელი პუბლიცისტური წერილები, რომელთა განსჯის უმთავრეს საგანს იმხანად არსებული საჭირბოროტო საკითხების განსჯა-ანალიზი წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა „ჩვენს ქვეყანაში“ გამოქვეყნებული სტატიები. ხსენებული ყოველდღიური გაზეთი, რომელიც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო იყო, 1917 წელს დაარსდა ქუთაისში. მის პირველივე ნომერში დასტამბული ნიკო ლორთქიფანიძის სტატია „მრწამსი“ ფაქტობრივად გაზეთის საპროგრამო მანიფესტადაც შეიძლება მივიჩნიოთ. მისი მეშვეობით ნათელი წარმოდგენა გვექმნება როგორც ხსენებული გაზეთის, ისე თავად მისი ავტორის ეროვნულ მრწამსზე.

„ჩვენს ქვეყანაში“ ნ. ლორთქიფანიძის მიერ გამოქვეყნებული წერილებით კიდევ უფრო ნათლად გამოვლინდა მწერლის დამოკიდებულება იმდროინდელი საჭირბოროტო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოვლენებისადმი. ნ. ლორთქიფანიძე მათი მეშვეობით კიდევ ერთხელ განუმარტავდა თავისი დროის ქართველ საზოგადოებას იმ უბედურებას, რომელიც რუსეთის იმპერიული ხელისუფლების უღელქვეშ ცხოვრებამ დაატეხა თავს ჩვენს ქვეყანას და სიხარულით იუწყებოდა, რომ რეალურად დგებოდა ეროვნული თავისუფლების ნანატრი დრო.

ამ თვალსაზრისის ერთ-ერთ ნათელ დადასტურებას წარმოადგენს გაზეთის მეოთხე ნომერში გამოქვეყნებული წერილი - „სამშობლოს მივაშუროთ,“ რომლითაც მწერალი კიდევ ერთხელ შეახსენებდა მკითხველს რუსეთის იმპერიის „უკვე დასამარებული წესწყობილების“ მიერ ქართველი ხალხის მიმართ ჩადენილ ბოროტებას და გულისტკივილით იხსენებდა, როგორ აიძულებდა ხელისუფლება ჩვენი ერის საუკეთესო შვილებს, „შორეულ ჩრდილოეთში ეძებნათ ცხოვრების სახსარი და მოქმედების ასპარეზი.“

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ნ. ლორთქიფანიძის მაშინდელი პუბლიცისტიკა არა მარტო იმდროინდელი ვითარების შესაცნობადაა საინტერესო, არამედ დღევანდელი ჩვენი რეალობისთვის დამახასიათებელ საჭირბოროტო პრობლემებთან მიმართე-

ბითაც, რადგანაც ხსენებულ პუბლიკაციებში დასმული არაერთი საჭირბოროტო საკითხი დღესაც მწვავედ დგას ჩვენს წინაშე.

ნ. ლორთქიფანიძე, როგორც ქვეყნის საჭირბოროტო პრობლემებზე ღრმად დაფიქრებული მამულიშვილი, თავის უმთავრეს მამულიშვილურ მოვალეობად მიიჩნევდა, პუბლიცისტური სიტყვითაც ეღვაწა დამოუკიდებლობა აღდგენილი, მაგრამ „დანგრეული ქვეყნის“ წინაშე მდგარი საჭირბოროტო პრობლემების მოსაგვარებლად. „დანგრეული, - წერდა ერთგან იგი, - მილაგ-მოლაგებას თხოულობს; ძველის ნანგრევებზე ახლის აშენებაა საჭირო. აშენებით კი მშვიდი, წყნარი შრომა აშენებს. თორემ მარტო მიტინგები, სიტყვები, წერა და მით უმეტეს ერთმანეთის განქიქება უვარგისი საშუალებაა.“

თავისი დროის საჭირბოროტო საკითხთა განსჯის დროს ნ. ლორთქიფანიძე წარსულის გამოცდილებასაც ხშირად იხსენებდა და ჩვენი ქვეყნის დიდი შვილების ეროვნული ღვაწლის განდიდების გზითაც ცდილობდა თანამედროვეთა ცნობიერებაში საზოგადოებრივი აქტიურობის განმტკიცებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ 1917 წლის მე-19 ნომერში გამოქვეყნებული მისი წერილი, რომელშიც თამარ მეფე წარმოსახულია, როგორც „სრულიად საქართველოს ეროვნული მთლიანობის სიმბოლო,“ „სამართლიანობისა და სილამაზის მარადიული იდეალი,“ ხატი „ეროვნული შეკავშირებისა, შეერთებისა და მთლიანობისა.“

ნათქვამისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული პუბლიკაციიდან: „რა მოიმოქმედა თამარმა ასე დაუვიწყარი? ის, რაც მის წინ და მის მერე არ ყოფილა? განათავისუფლა თამარმა ერი თვისი უცხო ტომის მონობისაგან? არა!.. უცხო ტომის მონობისაგან განთავისუფლებას ისეა შეჩვეული ქართველი ერი, რომ ასეთს დიდს ისტორიულ ნაბიჯს სამარადისო ხალხურად აღარ ხდის...

შემოიტანა ახალი რჯული?

არა, საქართველო თამარის დაბადებამდე რვა საუკუნის წინ ეზიარა ქრისტეს მცნებას.

დაიპყრო ქვეყნები?

არც ამისთვის ჩაიბეჭდა ხალხმა თამარის სახე ხატათ...

არა, მან ის მოიმოქმედა, რაც დღესაც სანუკვარია საქართველოსთვის... მან შექმნა ერთი შედუღებული სულიერი განწყობილება სრულიად საქართველოისა... გამთიშველი ძალები ალაგმა და სა-

ქართველოს მუდმივი სენი - კუთხებრივ-სარწმუნოებრივი წოდებრივი დაყოფა განკურნა, სახელმწიფოებრივ კალაპოტში მოაქცია."

ასე განმარტავს მწერალი იმ დიდი სიყვარულის განმაპირობებელ გარემოებებს, რითაც თამარ მეფემ ესოდენ გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა ქართველი ხალხის ცნობიერებაში. როგორც ხსენებული პუბლიკაციიდან თვალნათლივ ჩანს, თამარ დედოფლის ღვაწლის ამგვარი განდიდების უმთავრესი მიზანი ეროვნული ერთობის დამკვიდრებისაკენ მოწოდება იყო, აქტიური შებრძოლება იმ სენთან, რომელსაც ფესვები ჩვენს ცნობიერებაში იმდენად მძლავრად ჰქონდა განრთხმული, რომ იგი არა მარტო წარსულში „ღუპავდა საქართველოს," არამედ იმხანადაც „ღუპავდა მას." პირველ ყოვლისა სწორედ ამ სამწუხარო რეალობისთვის ყურადღების მისაპყრობად გამოიხმო მან საუკუნეთა წიაღიდან თამარის იდეალიზებული სახე და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ზღურბლთან მდგარი ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს კიდევ ერთხელ მოუწოდა ეროვნული ერთობის დამკვიდრებისაკენ.

ხსენებული წერილი ფაქტობრივად იმის ნატვრას წარმოადგენდა, „მრავალ სარწმუნოებას მიმდევარი და მრავალ პარტიებად დაყოფილი საქართველო" კვლავაც რომ ქცეულიყო „ერთს განუყოფელ ქვეყნად."

როგორც უკვე ითქვა, ნ. ლორთქიფანიძე 1917-1921 წლებში გამოქვეყნებული თავისი პუბლიცისტური წერილებით მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის იმდროინდელ საქართველოში ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემათა მოსაგვარებელ არაერთ ღონისძიებასათან დაკავშირებით. კერძოდ, ავტორის თვალთახედვის არეში ამ თვალსაზრისით მოქცეულ საკითხთა არასრული ჩამონათვალი ასეთია: სახელმწიფო დაწესებულებებში ქართული ენის დამკვიდრების აუცილებლობის მოთხოვნა, აქტიური ზრუნვა ეროვნული კულტურის ასაღორძინებლად, სასამართლოს, ადმინისტრაციული ორგანოებისა და ფოსტის გაქართულება, ეროვნული ჯარის შექმნა და ა. შ.

ავიღოთ, მაგალითად, ეროვნული ჯარის შექმნის საკითხი, რომელსაც ნ. ლორთქიფანიძემ რამდენიმე წერილი მიუძღვნა. ამ წერილებში იმდროინდელ რეალობასთან მისადაგებული სახითაა საუბარი ეროვნული არმიის შექმნასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. მწერალი ეროვნული არმიის შექმნის აუცილებლობასა და მასთან დაკავშირებულ სირთულეებზე მსჯელობასთან ერთად რუსეთის იმპერიის ჯარში მყოფი ქართველების მძიმე მდგომარეობაზეც ამ-

ახვილებს ყურადღებას, რაც ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად მათი დიდი ნაწილის მიერ რუსული ენის უცოდინაროზითაც მნიშვნელოვანწილად იყო განპირობებული.

და როცა ახალი ვითარების შედეგად ეროვნული ჯარის შექმნის საკითხიც გახდა აქტუალური, ნ. ლორთქიფანიძემ აქტიურად დაუჭირა მხარი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ამ მოვლენას და პრინციპულად დაუპირისპირდა იმ პარტიულ ლიდერებს, რომლებმაც ქართული არმიის შექმნა „რევოლუციის საწინააღმდეგო“ მოვლენად მიიჩნიეს.

ნ. ლორთქიფანიძის შეფასებით, ეს ადამიანები გარეშე მტრებზე არანაკლებ საშიშ შინაურ მტრებსა და ეროვნულად გადაგვარებულ ადამიანებს წარმოადგენდნენ. როგორც მწერლის იმდროინდელი პუბლიცისტიკიდანაც თვალნათლივ ჩანს, თავისი მაშინდელი მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად მან ამ ადამიანთა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებაც დაისახა და აქტიურად შეეცადა მათ „გაქართველებას.“

ამ პროცესის ერთ-ერთ თვალნათლივ გამოვლინებას წარმოადგენდა ნ. ლორთქიფანიძის აქტიური ზრუნვა ქართული ენის კანონიერ უფლებებში. კერძოდ, მშობლიური ენის უფლებათა დასაცავად გამართული ეს უკომპრომისო ბრძოლა მწერალმა მიზანსწრაფულად დაუკავშირა აქტიურ მცდელობას ჩვენი ქალაქებისთვის ეროვნული იერსახის დასაბრუნებლად. მაგალითად, აი, რა შეფასებას აძლევდა იგი ქუთაისში აღნიშნული მიმართულებით არსებულ მდგომარეობას: „ქალაქის ქუჩების სახელები ყოველ წარმოდგენას ქართულ ქალაქზე აქარწყლებს. თითქოს სადმე ტულაში იყო, ანდა რიაზანში, ისე მიჰყვება ერთი ქუჩა მეორეს: ოლდენბურგის, ივანოვის, გაგარინის, ლევაშოვის, მიხაილოვის, ვორონცოვის... ვინ არიან ეს პირები, რომელთა სახელი უკვდავათ გაუხდიათ?.. იმედი გვაქვს, გაგვათავისუფლებს პირველ კრებაზედვე ქალაქის ახალი საბჭო“ (გაზ. „ჩვენი ქვეყანა,“ 1917 წ. # 109).

აღნიშნული პრობლემის მოგვარების პროცესში ნ. ლორთქიფანიძე მთავარ დასაყრდენ ძალად პირველ ყოვლისა უბრალო, მშრომელ მოქალაქეებს მიიჩნევდა და სწორედ მათ მიმართავდა იქვე: „თუ წარჩინებულნი და დიდებულნი ვერ იცლიან ამ მათის აზრით მცირე საქმისათვის, შენ აიღე შენი მადლიანი ხელი, ღარიბო ხელოსანო, პატარა დუქნის პატრონო, მეეტლევ, დალაქო, თერძო, მეფურნეო და ამოხატე შენ დარბაზზე, სახლის კარებზე, ეტლის კო-

ფოზე ასოები, რომელიც 2200 წლის წინათ გამოიგონა საქართველოს გენიამ.“

თავის იმდროინდელ წერილებში ესოდენი სიმძაფრით გამოხატულ ეროვნულ თვალთახედვას ნ. ლორთქიფანიძე მეტ სიმწვავეს იმ ადამიანთა ანტიქართული საქმიანობის მიზანმიმართულ ქმედებათა მხილებითაც სძენდა, რომლებიც რუსეთის იმპერიის დანგრევასა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას ტრაგიკულ მოვლენად მიიჩნევდნენ. მაგალითად, აი, რა შეფასებას აძლევდა იგი ამგვარი თვალთახედვის მქონე ადამიანთა ქმედებას გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ 1917 წლის 122-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „რუსეთი იღუპება:“ „რუსეთს მოუარეთ,“ „დაიცავით რუსეთი“ – გაისმის ყოველი მხრიდან...

ჩვენ, ქართველები, ხომ არა თუ სახელმწიფოებრივ იდეას მოკლებული გამოვედით, არამედ ეროვნული იდეაც სუსტი, ლაჩრული შეგვრჩენია. აბა, თუ ვისმე დაუძახნია, ერი იღუპება, მას შველა უნდა, შემოკრბით და ერთად მოვნახოთ ხსნის საშუალებაო...

აბა, თუ ვისმე გულში ვიწრო პარტიული პროგრამისთვის უჯობნია საერო, საქვეყნო იდეას? აბა, თუ ვისმე მიუტოვებია თავისი პაწია მრწამსი, რომ საქართველოს სახარება აეღოს ხელში.“

ნ. ლორთქიფანიძის ხაზგასმით, იმდროინდელ საქართველოში ასეთები ცოტანი იყვნენ, რადგან „ყველა დიდმა ადამიანმა რუსეთს მიაშურა.“ ამ მდგომარეობით შეშფოთებული მწერალი შექმნილი მდგომარეობიდან ქვეყნის გამოსაყვანად თანამემამულეებს ამ სიტყვებით მიმართავდა: „ქუდზე კაცი! მივხედოთ დაკარგულ სამშობლოს, გადავარჩინოთ, დავიცვათ, შევერთდეთ ისე, რომ მტერთა მიერ გარემოცულთ შინ მაინც არ გვღრღნიდეს უთანხმოება...

ცოტანი ვართ, ცოტანი და ერთი ძლიერი შეხლა-შემოხლა მოსპობს მთელს ერს.

სუსტია, სუსტი ჩვენი დღევანდელი კულტურა და ჩანასახიც გაქრება, თუ ერთმანეთს ხელი არ შეუწყვეთ ჟამსა განკითხვისას.“

როგორც ცნობილია, იმ პერიოდში ნიკო ლორთქიფანიძე აქტიურად თანამშრომლობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებთან, რაც არსებითად იყო განპირობებული მათი ეროვნული შეხედულებების თანამოაზრეობით. ამ ურთიერთობის ერთ-ერთ თვალნათლივ გამოვლინებას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ 1917 წელს ქუთაისში მისი რედაქტორობით ამ პარტიის ორგანო - ყოველდღიური გაზეთი „სამშობლოც“ გამოდიოდა.

ამ გაზეთსა და იმხანად გამომავალ სხვა პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებულ თავის წერილებში ნ. ლორთქიფანიძე აქტიურად იცავდა და პოპულარიზაციას უწევდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ფუძემდებლურ შეხედულებებს. თუმცა ამას იგი ვიწრო პარტიულ ინტერესთა კარნახით კი არ აკეთებდა, არამედ იმის ღრმა რწმენით, მათი პარტიული იდეების რეალიზება ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის განმაპირობებელ მოვლენად რომ იქცეოდა.

მაგალითად, 1917 წელს გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ 170-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ დამფუძნებელი კრების წევრებად წარგზავნილ პირებს მოუწოდებდა, საჯაროდ განეცხადებინათ, რომ ისინი ქართველ ხალხს „წარმოადგენდნენ განსაკუთრებული უფლებით, ენით, ზნე-ჩვეულებით, მაღალი კულტურით და ისტორიული დამსახურებით; რომ ამ ერს სურს სხვისი მზრუნველობისაგან განთავისუფლება, რათა თვით მოაწყოს თავისი საქმეები საკუთარი ჭკუისა და გამჭრიახობის მიხედვით.“

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან დამფუძნებელი კრების წევრებად არჩეული დელეგატები გამონაკლისნი არ ყოფილან და ანალოგიური მოთხოვნით მწერალი სხვა პარტიების წარმომადგენლებსაც მიმართავდა. კერძოდ, მისი ხაზგასმით, ისინი ვალდებულნი იყვნენ, მათაც ასეთივე სიცხადით გამოეკვეთათ თავიანთი ეროვნული პოზიცია, რათა ხალხს შესაძლებლობა ჰქონოდა, სწორი და უტყუარი არჩევანი გაეკეთებინა. ეს იმიტომაც იყო აუცილებელი, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი სათანადოდ არ იყო გარკვეული შექმნილი ვითარების არსში.

იმხანად არსებულ პარტიათაგან ნიკო ლორთქიფანიძეს ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდა სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი. მისი არაერთგზისი ხაზგასმით, თუ ხალხი ანტიეროვნული თვალთახედვის მქონე და პრორუსული იდეების მქადაგებელი ამ პარტიის მესვეურთა „ნამდვილ გულის თქმას“ შეიტყობდა, ისინი „საზოგადოებისაგან გარიყული დარჩებოდნენ.“ მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა დიდი როლი შეასრულეს რომანოვების ტახტის დამხობის პროცესში, „განთავისუფლებული ქვეყნისათვის საუკეთესო ახალი სახელმწიფო წყობილების გამონახვა და მყუდრო ცხოვრების პირობების შექმნა სოციალისტურ პარტიას არ შეეძლო,“ რად-

განაც მისი მესვეურები „მხოლოდ და მარტო კლასობრივ ბრძოლას ემყარებოდნენ.“

ეს სტრიქონები ნ. ლორთქიფანიძემ 1917 წელს დაწერა. სამწუხაროდ, ისტორიის ბორბალი ბედისწერამ ისე დააბრუნა, რომ დამოუკიდებლობა აღდგენილი ჩვენი ქვეყნის სათავეში სულ მალე სწორედ სოციალისტური პარტიის მესვეურები მოვიდნენ და თავიანთი მმართველობითი პოლიტიკის შედეგად თვალნათლივ დაადასტურეს მწერლისეული მოსაზრების სიმართლე. ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად კვლავ დავიმოწმებ ფრაგმენტს ნ. ლორთქიფანიძის ხსენებული პუბლიკაციიდან: „გზის გასაყვანად კლდეს ანგრევს მელაღუმე, ხოლო ლიანდაგის დაგება და ორთქლმავლის ხელმძღვანელობა უნდა მიენდოს მემანქანეს!

ვაი, იმ ხალხს, რომელიც მოინდომებს ლაღუმის მოწყობა მემანქანეს მიანდოს და ორთქლმავალზე დასვას მელაღუმე!

დავუკვირდეთ ამას!..“ („ჩვენი ქვეყანა,“ 1917 წ. #170).

როგორც უკვე ითქვა, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩვენი ქვეყნის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში ნიკო ლორთქიფანიძე ყველაზე დიდ ნდობას ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას უცხადებდა. მისი შეფასებით, ეს ნდობა იმით იყო განპირობებული, რომ იგი სოციალისტურ პარტიას არ წარმოადგენდა და „მომხრე იყო ყველა კლასთა შეთანხმებისა და თანამშრომლობის, რათა ქართველ ერს გაერთიანებული ძალით დაეცვა თავისი თავი და მიეღწია თავისუფლებისთვის.“ არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ თავისი ამგვარი ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვით ნიკო ლორთქიფანიძე ილია ჭავჭავაძის თანამოაზრედ და თანამებრძოლად გვევლინება.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესში ნიკო ლორთქიფანიძე განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევდა ქართული ენის პრიორიტეტული უფლების მყარად დამკვიდრებას როგორც მმართველობით ორგანოებში, ისე ჯარში, ფოსტაში, საერთოდ, ყველგან - მთელი ქვეყნის მასშტაბით. იმ პერიოდში გამოქვეყნებული თავისი პუბლიცისტური წერილების ერთ-ერთ მთავარ თემად ქცეულ ამ მოთხოვნას მწერალმა აქტიურად დაუკავშირა ჩვენი ქალაქებისათვის ეროვნული იერსახის დაბრუნებისა და ქუჩების სახელწოდებათა გაქართულების აუცილებლობაც.

მაგალითად, აი, როგორ შეფასებას აძლევდა იგი იმდროინდელ ქუთაისში ამ თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას: „ქუჩების

სახელწოდებები ყოველ წარმოდგენას ქართულ ქალაქზე აქარწყლებს. თითქოს სადმე ტულაში იყო, ან რიაზანში, ისე მიჰყვება ერთი ქუჩა მეორეს: ოლდენბურგის, ივანოვის, გაგარინის, ლევაშოვის, მიხაილოვის, ვორონცოვის... ვინ არიან ეს პირები, რომელთა სახელები უკვდავათ გაუხდიათ?..

სულ ისეთი ხალხია, რომელთა მოგონება მწარეთ თუ ჩაგვაფიქრებს, თორემ საიმედოს ვერაფერს ეტყვის სულსა და გულს.

სიამოვნებით მოვიგონებთ პუშკინს, გოგოლს, ისე როგორც გეტეს, დანტეს და მათ სახელებს კიდეც დავარქმევთ ქუჩებს, ან სხვაგვარად გავავრცელებთ მათ სახელს საქართველოში, მაგრამ ვორონცოვის, გაგარინის და სხვა ათასის მოგონებისაგან, იმედი გვაქვს, გაგვათავისუფლებს პირველ კრებაზედვე ქალაქის ახალი საბჭო“ („ჩვენი ქვეყანა,“ 1917 წ. #109).

ამ პრობლემის სასწრაფოდ და გადაუდებლად მოგვარების საქმეში მთავრობაზე მეტად საიმედო დასაყრდენად ნიკო ლორთქიფანიძე რიგით მოქალაქეებს მიიჩნევდა და იმავე პუბლიკაციაში სწორედ ამ იმედით მიმართავდა მათ: „თუ წარჩინებულნი და დიდებულნი ვერ იცლიან ამ მათის აზრით მცირე საქმისთვის, შენ აიღე შენი მაღალი ხელი, ღარიბო ხელოსანო, პატარა დუქნის პატრონო, მეეტლევ, დალაქო, თერძო, მეფურნე და ამოხატე შენს დარბაზზე, სახლის კარებზე, ეტლის კოფოზე ასოები, რომელიც 2200 წლის წინათ გამოიგონა საქართველოს გენიამ.“

ნ. ლორთქიფანიძემ თავის იმდროინდელ პუბლიცისტიკაში იმის გამოც გამოხატა მძაფრი გულისტკივილი, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ გარდამტეხ და დიდი ხნის განმავლობაში ნაოცნებარი დროის დადგომის ჟამსაც კი ჩვენს მოქალაქეთა შორის არც რუსოფილი ადამიანები იყვნენ საძებარნი. ე. წ. „რევოლუციური მოძრაობის“ აქტიურად მხარდამჭერი ეს პიროვნებანი შეშფოთებით გოდებდნენ იმის გამო, რომ მათ მიერ „ჩვენი ქვეყნის დიდ მფარველად“ მიჩნეული „რუსეთი იღუპებოდა“ და თავგამოდებით ეძებდნენ მისი გადარჩენის გზებს.

მაგალითად, აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ 1917 წლის 122-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში: „რუსეთი იღუპება,“ „რუსეთს მოუარეთ!“ „დაიცავით რუსეთი!“ - გაისმის ყოველი მხრიდან.“

ჩვენ, ქართველები, არა თუ სახელმწიფოებრივ იდეას მოკლებული გამოვედით, არამედ ეროვნული იდეაც სუსტი, ლაჩრული შეგ-

ვრჩენია. აბა, თუ ვინმეს დაუძახნია, ერი იღუპება, მას უნდა შველა, შემოკრბით და ერთად მოვნახოთ ხსნის საშუალებაო...

აბა, თუ ვისმე გულში ვიწრო პარტიულ პროგრამისათვის უჯობნია საერო, საქვეყნო იდეას? აბა, თუ ვისმე მიუტოვებია თავისი პაწია მრწამსი, რომ საქართველოს სახარება აეღოთ ხელში.“ ნ. ლორთქიფანიძის აზრით, ასეთი ადამიანები იმდროინდელ საქართველოში ძალიან ცოტა იყვნენ, რადგანაც „უკუღმართი დროის წყალობით ყველა დიდმა ადამიანმა რუსეთს მიაშურა.“

ამ მდგომარეობით გულნატკენი მწერალი ქვეყნის ხსნისა და გადარჩენი ერთადერთ გზად ქართველთა ეროვნულ ერთობასა და შეკავშირებას მიიჩნევდა და ზემოთ ხსენებულ პუბლიკაციაში ამასთან დაკავშირებით წერდა: „შევერთდეთ სამშობლოს ხსნისათვის! ქუდზე კაცი! მივხედოთ დაკარგულ სამშობლოს! გადავარჩინოთ დავიცვათ, შევერთდეთ ისე, რომ მტერთა მიერ გარემოცულთ შინ მაინც არ გვღრღნიდეს უთანხმოება...

სუსტია, სუსტი ჩვენი დღევანდელი კულტურა და ჩანასახიც გაქრება, თუ ერთმანეთს ხელი არ შევუწყვეთ ჟამსა განკითხვისას.“

როგორც ითქვა, ნიკო ლორთქიფანიძე აქტიური ურთიერთობებით იყო დაკავშირებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებთან, რაც არსებითად აღმოჩნდა განპირობებული ეროვნულ საკითხში მათი შეხედულებების სიახლოვით. სწორედ ამ თანამოაზრეობის თვალნათლივ გამოვლინებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საანალიზო პერიოდში გამოქვეყნებული თავისი პუბლიცისტური წერილებით იგი აქტიურად უწევდა პროპაგანდას ამ პარტიის ეროვნულ პრინციპებსა და შეხედულებებს. ყველაფერ ამას ნ. ლორთქიფანიძე პარტიული ინტერესების კარნახით კი არ აკეთებდა, არამედ იმის რწმენით, რომ მათი მოთხოვნების რეალობად ქცევა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად.

ამ მიზნის ხორცშესასხმელად ნ. ლორთქიფანიძე დიდ იმედებს ამყარებდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ დამფუძნებულ კრებაში წარგზავნილ დელეგატებზე, რომელთაც იქ საჯაროდ უნდა განეცხადებინათ, რომ ისინი ჩვენს ერს წარმოადგენდნენ „განსაკუთრებული უფლებით, ენით, ზნე-ჩვეულებით, მაღალი კულტურით და ისტორიული დამსახურებით; რომ ამ ერს სურდა სხვისი მზრუნველობისაგან განთავისუფლება, რათა თვითონ მოეწყო

თავისი საქმეები საკუთარი ჭკუისა და გამჭრიახობის მიხედვით“ (გაზ. „ჩვენი ქვეყანა,“ 1917 წ. #170).

არსებითად განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა ნ. ლორთქიფანიძეს სოციალ-დემოკრატიული პარტიისადმი. ამ გარემოების განმაპირობებელ მოვლენას პირველ ყოვლისა ის ფაქტი წარმოადგენდა, რომ მისთვის პრინციპულად მიუღებელი იყო ამ პარტიის რუსოფლილური პოზიცია და ანტიეროვნული პროგრამა. მწერლის შეფასებით, თუ ხალხი სოციალ-დემოკრატთა „ნამდვილ გულისთქმას შეიტყობდა, ისინი საზოგადოებისაგან გარიყული აღმოჩნდებოდნენ.“

როგორც დამოწმებული ფრაგმენტებითაც თვალნათლივ ჩანს, ნ. ლორთქიფანიძის იმდროინდელ პუბლიცისტურ წერილებში ერთმანეთთან შერწყმული სახით იყო წარმოჩენილი მწერლის ეროვნული და პოლიტიკური შეხედულებანი. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის გამიზნულ ამ წერილებს მკაფიოდ გამოხატული საგანმანათლებლო მიზანდასახულობაც ჰქონდა და ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მოსახლეობის სწორად ინფორმირების საქმეში. თავისი ამ პუბლიკაციებით მწერალი აქტიურად ცდილობდა, თავისი დროის ქართველი საზოგადოებისათვის ნათლად დაენახვებინა, რომ „სხვა დრო დადგა.“

ნ. ლორთქიფანიძის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ რომანოვების ტახტის დამხობაში სოციალისტურმა პარტიებმა მართლაც შეასრულეს მნიშვნელოვანი როლი, მათ არ შეეძლოთ „განთავისუფლებული ქვეყნისათვის საუკეთესო ახალი სახელმწიფო წყობილების გამონახვა და მყუდრო ცხოვრების პირობების შექმნა,“ რადგანაც ამ პარტიის იდეოლოგია „მხოლოდ და მარტო კლასობრივ ბრძოლას ემყარებოდა.“

ნიკო ლორთქიფანიძის პუბლიცისტური წერილებისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მათი დაწერის უმთავრეს მიზანს უპირველეს ყოვლისა იმდროინდელი ჩვენი ყოფისთვის ფართოდ დამახასიათებელ მანკიერებათა მხილება და მათი გამოსწორების გზათა აქტიური ძიება წარმოადგენდა. ქართული ბუნების სწორედ ერთ-ერთ ასეთ არასასურველ გამოვლინებად მიაჩნდა მწერალს ურთიერთგაუტანლობა, შუღლი და სხვისი ამაგის დაუფასებლობა, რასაც გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ 1917 წლის მეშვიდე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ამგვარად აფასებდა: „ენა-

დაცულს, გულჩახურულ მოწინააღმდეგეს ცრუპენტელას დავარქმევთ, რაც უნდა ლამაზი იყოს მტერი - მახინჯს უმახით.

დარწმუნებული რომ ვიყოთ, ჩვენი მოკამათე გენიოსია, ჩურჩუტათ მოვნათლავთ."

განსხვავებით მწერლის მანამდელი წერილებისაგან, მის იმდროინდელ პუბლიცისტიკაში ნაკლებად ვლინდება სიტყვიერი ფერადოვნებისა და აზრის ხატოვანი ფორმით გამოხატვის ტენდენცია. რეალობის ამგვარი ფორმით წარმოსახვა არსებული სიტუაციით ნაკარნახევ მოვლენას წარმოადგენდა. კერძოდ, ხსენებულ პუბლიკაციათა ავტორი თავის მოქალაქეობრივ ვალდებულებად მიიჩნევდა, სათქმელი ყოველგვარი ზედმეტსიტყვაობისა და შელამაზების გარეშე, ადვილად შესაცნობი ფორმით, ეთქვა მკითხველისათვის. „ცივი რაციონალიზმისკენ" მის ამგვარ მისწრაფებას პირველ ყოვლისა იმის შეუვალი რწმენა ედო საფუძვლად, რომ დამოუკიდებლობა აღდგენილ და ნანგრევებად ქცეულ ქვეყანას აღდგენა და განვითარება სჭირდებოდა. „დანგრეული, - წერდა კიდეც იგი თავის ერთერთ იმდროინდელ წერილში, - მიღაგ-მოლაგებას თხოულობს, ძველის ნანგრევებზე ახალის აშენებაა საჭირო. აშენებით კი მშვიდი, წყნარი შრომა თუ ააშენებს. თორემ მიტინგები, სიტყვები, წერა და მით უმეტეს ერთმანეთის განქიქება უვარგისი საშუალებაა."

• • •

გარდა პუბლიცისტური წერილებისა, ეროვნული პრობლემის განსჯა-გააზრებამ ნიკო ლორთქიფანიძის მიერ 1917-1921 წლებში შექმნილ მხატვრულ შემოქმედებაშიც დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი. კერძოდ, თავისი იმდროინდელი ნაწარმოებებით მწერალი აქტიურად შეეცადა მკითხველის ცნობიერებაში ემოციური სიმძაფრით გაეღვივებინა სამშობლოს მოვლისა და პატრონობის სულისკვეთება. პირველ ყოვლისა სწორედ ამ თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას 1917 წელს დაწერილი მინიატურა „ლიტერატურული საღამო," რომლის შექმნის უმთავრესი მიზანი ეროვნული უსასოობის სასოწარმკვეთი გრძნობის დათრგუნვა და საქვეყნო ინტერესების აქტიურად დაცვისაკენ მოწოდებაა. ავტორისეული სათქმელის არსზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული მინიატურიდან: „მთვარიან ღამეში ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, თალხით მოსილ ჭირისუფალივით რომ დასცქერიან ქუთაისს, უხმოდ მეტყველებენ: მოუარეთ საქართველოს!

ზოგჯერ ქუჩაში წინ გადამეღობება სულის მესაიდუმლე შოთა და ბრძანების კილოთი ამბობს:

მოუარეთ საქართველოს!

ღამის წყვდიადში ყურს მოვკრავ მდინარეთა გალობა-სიმღერას; იწყებს მკვირცხლი რიონი; შემოსძახებს გიჟმაჟი თერგი და ბანს აძლევს დინჯი მტკვარი;

მოუარეთ საქართველოს!

ნუთუ, ბატონო ჩემო, გუშინწინ რომ კოკისპირულმა წვიმამ დაასხა, არ გაგიგონიათ გაუთავებელი, გაბმული ძახილი ყოველი წვეთის: მოუარეთ საქართველოს!"

– მოუარეთ საქართველოს! – აი, ნიკო ლორთქიფანიძის მიერ ამ მინიატურის მეშვეობით ესოდენი ემოციური სიმძაფრით გამოხატული უმთავრესი არსი იმ ეროვნული იდეისა, რომელიც მისი მოღვაწეობისა და შემოქმედების ფუნდამენტურ საფუძვლად იყო ქცეული.

ნიკო ლორთქიფანიძის ეროვნული მრწამსის წარმოჩენის დროს რამდენიმე სიტყვა საანალიზო პერიოდში მის მიერ ისტორიულ თემაზე შექმნილ მხატვრულ ტექსტებზეც უნდა ითქვას. მათში ხაზგასმული სიმძაფრითაა ასახული ავბედითი ხანა საქართველოს შუასაუკუნეობრივი ისტორიისა, როცა ჩვენი სამშობლო არა მარტო ფიზიკური განადგურებამდე იყო მისული, არამედ ზნეობრივი დაცემის უფსკრულამდეც.

ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის ამგვარი რაკურსით წარმოსახვის მიზანი იყო, მწერალს მკითხველისათვის რეტუშირებული ფორმით დაენახვებინა ჩვენი ქვეყნის წარსული და მისეული თვალთახედვით შეეფასებინა, რა წინააღმდეგობებთან ჭიდილში იწრთობოდა და ყალიბდებოდა ჩვენი ეროვნული ხასიათი, და ფსიქიკა, რა დავთმეთ და რა შევინარჩუნეთ, რა დაკნინდა ჩვენს სულში და რა გადაგვარდა, საით მივდივართ და რა გველის...

ამ ურთულეს პრობლემებზე საუბრის დროს ნიკო ლორთქიფანიძე ზედმიწევნით უკომპრომისოა და უშეღავათო, მკაცრი მემატიანე გარდასული დროისა, რითაც არსებითად უპირისპირდება ისტორიული წარსულის ასახვის დროს ჩვენი მწერლობის ძირითად მსოფლმხედველობრივ კრედოდ ქცეულ პრინციპებს – წარსულის გმირულ-ჰეროიკულ აღქმას, რომანტიზებასა და იდეალიზებას. კერძოდ, თუ მანამდელი ქართული მწერლობის ბევრი წარმომადგენელი ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულს გმირულ-ჰეროიკული

თვალთახედვით წარმოსახავდა, ნიკო ლორთქიფანიძემ ეს მოვლენები ხშირ შემთხვევებში არსებითად განსხვავებული სახით წარმოაჩინა. კერძოდ, ისტორიულ თემაზე შექმნილი თავისი მხატვრული ტექსტებით იგი დაუნდობლად ამხელდა ქვეყნის ზნეობრივ დაცემასა და გადაგვარებას, ურთიერთშუღლსა და გაუტანლობას.

თუმცა მან ისიც კარგად იცოდა, ჩვენი წარსული მარტო მზაკვრობისა და ზნეობრივი დაცემის ისტორია რომ არ არის. ეს რომ ასე ყოფილიყო, ერი ბოროტებისა და დაღუპვის უფსკრულში გადაიჩეხებოდა. ამ ცხოვრებისეულ წინააღმდეგობათა წიაღში მუდამ ღვიოდა სიკეთისა და სიმართლის თესლი. როგორ არ ებრძოდნენ ჩვენი მტრები მას, როგორ არ ცდილობდნენ ამ ფესვის ამოძირკვას, მაგრამ მწერლის შემოქმედების მთავარი პათოსი იმის აღიარებაა, რომ ამ ფესვის სიკვდილი არ შეიძლება, რადგანაც მასშია ჩამარხული ერის სული და გული, მისი რწმენა და იმედი. ამ ჭეშმარიტების დამადასტურებელ მაგალითებს, მიუხედავად ზემოთ ხაზგასმული სირთულეებისა, მრავლად გვაწვდის ისტორიაცა და თანამედროვეობაც.

ნ. ლორთქიფანიძისათვის ისტორია და თანამედროვეობა ერთმანეთისაგან გამიჯნულად არ არსებობს. ისინი განუყოფელად ერწყმიან ერთმანეთს და მწერლის შემოქმედებაში მძაფრი კრიტიკული პათოსით გამოვლენილი უარყოფითი ცხოვრებისეული ტენდენციები საზოგადოების ზნეობრივი გაჯანსაღების მიზანსწრაფვითაა ნასაზრდოები.

აღნიშნული თვალსაზრისის ერთ-ერთ ნათელ დადასტურებას წარმოადგენს მოთხრობა „ჟამთა სიავე“ (1920 წ.). მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიის ის „წყეული და ავბედითი დრო,“ რომელსაც მწერალი მოთხრობის სათაურად გამოტანილი ამ სიტყვებით აფასებდა, ჩვენი ცხოვრების ტრაგიკულ პერიოდს წარმოადგენდა, ზნეობრივად და ეროვნულად დეგრადირებულ მაშინდელ საზოგადოებაში ქვეყნის ჭირ-ვარამით გულდაკოდილი მამულიშვილებიც გვხვდებოდნენ.

„ამ წყეულ დროში ვირის ამტანობაა საჭირო და გველის მოხერხება“... „ხომ იცი, რა დროა ეხლა“.., „შე დალოცვილო, რა დროს სტუმართმოყვარეობაზე და ამპარტავნობაზეა ლაპარაკი, როცა წარღვნის დრო მოდის“... ეს და მსგავსი სიტყვები, რომლებშიც ცხოვრების უსამართლობაა დაგმობილი, განსაკუთრებით ხშირად ისმის ნ. ლორთქიფანიძის ისტორიულ მოთხრობებში. ამ თვალსაზრისით

გამონაკლისს არც „ჟამთა სიავე“ წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც მწერალი მრავალ შემაძრწუნებელ ეპიზოდს გვაწვდის ჩვენი ისტორიიდან. ზნეობრივი დაცემა, შური, ორპირობა, ქვემძრომობა, გაუტანლობა, ურთიერთშუღლი, მრუშობა – ერთი სიტყვით, ყოველგვარი ადამიანური სიმდაბლე და სიბილწე ნ. ლორთქიფანიძეს დაუნდობელი სიმკაცრით აქვს მხილებული ისტორიული წარსულის ამსახველ თავის ტექსტებში.

ერთადერთი გრძნობა, რომელსაც ემორჩილება და ცხოვრების უმთავრეს კანონად მიიჩნევს მათი პერსონაჟების უმეტესი ნაწილი, საკუთარ თავსა და ოჯახზე ზრუნვაა. ეს ეგოისტური ბიოლოგიური ინსტინქტი ხშირად თრგუნავს ეროვნულ-პატრიოტულ ინტერესებსაც და ამაღლებულ ზნეობრივ პრინციპებსაც. თითქმის ყოველი მათგანი იმის მიხედვით სჯის და აფასებს მოვლენებს, პირადად რა სარგებელს ნახავს.

ასე იქცევა მეფეც, თავადიც, აზნაურიც, ხუცესიც, გლეხიც – ერთი სიტყვით, საზოგადოების ყოველი ფენისა თუ კლასის წარმომადგენელი. ყველა ერთხმად, თითქოს პირი შეუკრავთო, წარამარა იმას გაიძახის, „ხომ იცი, რა დროა ეხლაო“ და ამით თითქოს ზნეობრივი პასუხისმგებლობისაგან ითავისუფლებს თავს, რაღაცით ამართლებს თავის ადამიანურ სიმდაბლეს.

ხოლო თუ რა იგულისხმება „ამ დროში“, როგორია მისი შეულამაზებელი და ნამდვილი სახე, ამის დამადასტურებელი მაგალითები საძებარი როდია მწერლის მიერ ისტორიული წარსულის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებში. ამ ავბედით ხანას, ჩვენი ეროვნული და საზოგადოებრივი ცხოვრების ამ სისხლში, ცრემლსა და ლაფში მოთხვრილ პერიოდს, ნ. ლორთქიფანიძემ ერთი განზოგადებული სათაური მოუძებნა – „ჟამთა სიავე“.

ავტორი წუხს, რომ, ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ დაცემა-გაჩანაგებასთან ერთად, დაიკარგა სიკეთის რწმენა და ადამიანთა შორის ურთიერთნდობა. ცარიელ სიტყვებზე აღარავინ არის სანდო, – ამბობს „ჟამთა სიავის“ ერთ-ერთი გმირი. ამაღლებული ზნეობრივი პრინციპების ადგილი მაბეზღარობას, შურს, ორპირობას, ფლიდობას, ათასგვარ სხვა ადამიანურ მანკიერებას დაუკავებია და ქვეყანას მომაკვდინებელ სენად მოსდებია.

„ჟამთა სიავის“ პერსონაჟთაგან ერთადერთი კაცი, რომელიც ყველაზე საღად და გონივრულად აფასებს ქვეყანაში შექმნილ ვითარებას და სწორ გზას სახავს ამ მდგომარეობიდან თავდასახსნელად,

მოხუცი მწიგნობარი ოტიაა, საქართველოს ისტორიისა და დღევანდელობის უებროდ მცოდნე მემატიანე. მეფის სასახლეს ჩამოშორებული მწიგნობრის ცხოვრებას სხვა აზრი და მიზანი არა აქვს, გარდა იმისა, მომავალ თაობებს შემოუნახოს მატიანე თავისი დროის აოხრებულ-გაჩანაგებული საქართველოსი.

ერთადერთი გრძნობა, რაც აცოცხლებს და ასულდგმულებს ოტიას, მამულზე, უკეთეს საქართველოზე ფიქრი და ოცნებაა. ამ თვალსაზრისით ნ. ლორთქიფანიძემ მოხუცი სწავლულის სახეში იმ უსახელო მწიგნობართა და მემატიანეთა საუკეთესო ნიშან-თვისებები განაზოგადა, რომელთაც შემოგვინახეს და ფოლიანტებად აკინძეს ჩვენი ხალხის ისტორიული ყოფის უმნიშვნელოვანესი მომენტები.

მიუხედავად იმისა, რომ თავისი ცხოვრების მანძილზე ოტიას ბევრი სიბილწე და გაიძვერობა უნახავს, იგი შინაგანად მაინც დარჩა ოპტიმისტ წმინდანად. შეიძლება ითქვას, რომ ნ. ლორთქიფანიძის ისტორიული მოთხრობების პერსონაჟთაგან ოტია ყველაზე საღად მოაზროვნე გმირია, კაცი, რომელიც „ვერ გატეხა ჟამთა სიავემ, ვერც ომში ცალი ხელის დაკარგვამ, ვერც სიღარიბემ და წმინდა ოცნებით გამსჭვალული თავის დარჩენილ ხელს ამოქმედებდა, რათა შთამომავლობისათვის „ერთობილ საქართველოს" სადიდებლად გადაეცა ნაფიქრი და ნაგრძნობი".

ოტიას ეს ოპტიმისტური სულისკვეთება არა მარტო ამ მოთხრობის ნათელ დედააზრად და მიზანდასახულობად იკითხება, არამედ ნ. ლორთქიფანიძის მთელი შემოქმედების ძირითად ლაიტმოტივად, ძირითად ეროვნულ სათქმელად ყალიბდება.

ნიკო ლორთქიფანიძის ეროვნული თვალთახედვის წარმოჩენის დროს რამდენიმე სიტყვა მის დაუსრულებელ რომან „დავით აღმაშენებელზეც" მინდა ვთქვა. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ნაწარმოებზე მწერალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში - 1912-1919 წლებში - მუშაობდა, რომანის ბოლომდე სრულყოფა მან ვერ შეძლო და, როგორც დაუმთავრებელი თხზულება, ისეა შეტანილი 1981 წელს გამოცემული მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის მეოთხე ტომში.

როგორც ნაწარმოების სათაურიდანაც თვალნათლივ ჩანს, ხსენებული რომანის დაწერის უმთავრესი მიზანი დავით აღმაშენებლის პიროვნული ღვაწლის წარმოსახვა იყო. სამწუხაროდ, მწერლის ეს სურვილი ავტორისეულ მონათხრობში მხოლოდ ფრაგმენტულად წარმოჩინდა და განსაკუთრებული ყურადღების საგნად

მეფის სიკვდილთან დაკავშირებული ამბისა და იმდროინდელ საქართველოში არსებული მდგომარეობის წარმომჩენი ეპიზოდების მოთხრობა იქცა.

აღნიშნულ გარემოებასთან ერთად, აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ დავით აღმაშენებლის პერიოდში ჩვენი ქვეყნის მდგომარეობასთან დაკავშირებულ ამბავთა ავტორისეული მონათხრობი იმდროინდელ რეალობას ნაკლებად შეესაბამება. მსედველობაში მაქვს ნაწარმოების ის ეპიზოდები, რომლებშიც ძლევამოსილი ქართული სახელმწიფოს ამ ბრძენი და ძლევამოსილი საჭეთმპრობელის მმართველობის პერიოდში ჩვენი ქვეყნის ორგულ დიდგვაროვან ფეოდალთა ზღვარდაუდებელ მზაკვრობებზეა საუბარი. როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებლის მმართველობითი პოლიტიკის ერთერთ უმთავრეს მიღწევად ის გარემოებაც იქცა, რომ თავისი მეფობის პერიოდში მან სეპარატისტ დიდებულთა ორგულობას ლაგამი ამოსდო და იმდენად მძლავრი სახელმწიფო შექმნა, რომ მათ მზაკვრულ ქმედებებს საფუძველი გამოაცალა.

აქედან გამომდინარე, ნაწარმოების ის ეპიზოდები, სადაც მწერალი დავითის დროინდელი საქართველოს ფაქტობრივად ყველა რეგიონში არსებულ უმძიმეს მდგომარეობაზე საუბრობს, ისტორიულ რეალობას ნაკლებად შეესაბამება. მაგალითად: „შორს გზაზე მიმავალნი, სანამ დაადგებოდნენ ბალახით გაზრდილს, კვალდაკარგულ იშვიათ საცალფეხო გზებს, დიდხანს ემზადებოდნენ. ნადირნი, ყაჩაღნი და ტყის კაცნი - ყველაფერი იყო საშიში.“ ანდა: „ყაჩაღები იმდენად არ იყვნენ საშიშნი. დიდ ქარავნებს, ვინმე დიდებულის ოჯახს ვერ უბედავდნენ შებრძოლებას, რადგან თითქმის სრულიად უიარაღონი იყვნენ. ღატაკები ხომ მათთვისაც არ იყო საყურადღებო... მხოლოდ საშუალო მცირერიცხოვანი ჯგუფები ხდებოდენ მათი მსხვერპლი. მაგრამ რა მსხვერპლი: წაართმევდნენ ორიოდე პურს, ქათამს, კვერცხს... ეს უფრო თავისებური საბაჟო იყო.“ ან კიდევ: „ბავშვები რვა-ცხრა წლისა გამიხდენ და ჭიშკარზე ვერ გადამიშვია, - არავინ მომპაროს, არავინ მომიწამლოს.“

ანდა: „- არაფერია, შვილო, უარესი დროც ყოფილა...

- ამაზე უარესი დრო, ბატონო, შეუძლებელია. ვერც ფიცხელ ბრძოლაში გამარჯვებით დავტკბით და ვერც დამონების უღელმა აგვაკვნესა - თქვენ ცხოვრობდით მაინც, თქვენ ბედზე ეკიდეთ და ხან გადარჩენას მადლობდით უფალს, ხან უფსკრულში გადაჩეხილნი კვნესოდით.“

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ დავით აღმაშენებლის დროინდელი ქართული რეალობის ამგვარი სახით წარმოსახვა ისტორიულ სინამდვილეს ნამდვილად არ შეესაბამება. თუმცა, აღნიშნულ გარემოებასთან ერთად, აქვე ისიც უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ მწერლისეულ მონათხრობში ისეთი ეპიზოდებიც გვხვდება, სადაც დავით აღმაშენებლის სახელმწიფოებრივ ღვაწლს ნაწარმოების პერსონაჟები დამოწმებული ეპიზოდებისაგან არსებითად განსხვავებული სახით წარმოაჩენენ. მაგალითად: „ჩვენი მეფის საყვედური ენას როგორ არ გწვავთ? მაგი არ იყო, ურჯულოთაგან რომ გაგვათავისუფლა? მაგი არ არის დღე-ღამე ჩვენთვის მოსვენება რომ არ აქვს?.. ეჰ, უმადური ხართ, უმადური!"

დავით აღმაშენებლის ამგვარად შემფასებელნი შეძრწუნებულნი არიან სასიკვდილო სარეცელზე მყოფი მეფის მდგომარეობით და ამ ტრაგიკული მოვლენით განპირობებულ თავიანთ მწუხარებას ამ სიტყვებით გამოხატავენ: „შეუძლებელია, შეუძლებელი დავითის სიკვდილი... იგი აღმაშენებელია საქართველოსი... ჯერ მას არ დაუმთავრებია თავისი ღვაწლი უფლისა და სოფლის წინაშე. მაშ, ვინღა დარჩეს, თუ იგი მოკვდეს, იგი - უკვდავი."

საყვარელი მეფის სიკვდილით განპირობებულ მწუხარებას კი მწერალი ამ სიტყვებით გამოხატავს: „იცრემლებოდა მთელი ერი. ეთხოვებოდნენ სიმშვიდეს, სიწყნარეს, კაცთ განკითხვას, მომავალ ბედნიერებას, აღდგომას ქვეყნისას."

დავით აღმაშენებლის ღვაწლის ამგვარი სახით წარმოსახვასთან ერთად ნ. ლორთქიფანიძე მისი მმართველობითი პოლიტიკის მოწინააღმდეგე დიდგვაროვანთა მოღალატეობრივი საქმიანობის წარმომჩენ ეპიზოდებსაც გვაწვდის, რითაც იმ გარემოებისთვისაც მიგვაპყრობინებს ყურადღებას, რომ ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთობისთვის მკვიდრი საფუძვლის გამომთხრელი ამ ტრაგიკული მოვლენის ბოლომდე აღმოფხვრა ამ ძლევამოსილმა მეფემაც ვერ შეძლო.

მწერლის ეროვნული მრწამსის ბოლომდე შესაცნობად განსაკუთრებული ყურადღება ნაწარმოების იმ ეპიზოდსაც უნდა მივაქციოთ, რომლის მეშვეობითაც სასიკვდილო სარეცელზე მყოფი მეფე ასეთ ანდერძს უტოვებს მშობელ ხალხს: „ემორჩილეთ მეფესა, ნუ დააგდებთ სჯულსა, გახსოვდეთ, რომ ყოვლისა მხრით მტერი არს მოზღვავებული და ერთმბრძანებლობა ხამს საქართველოსა. მეფე ერთი და არა ოცი მოუვლის ჯარსა და ქვეყანას."

ამ ანდერძის დატოვებას დავითი იმიტომაც მიიჩნევდა აუცილებლად, რომ მან კარგად იცოდა: შიშით დათრგუნული დიდებულების გულში ბოლომდე არ იყო ამოძირკვული პარტიკულარიზმისაკენ მათი ზღვარდაუდებელი სწრაფვა. ისინი მხოლოდ მიყუჩებულნი იყვნენ და მათი მზაკვრული გეგმების ხორცშესახმელად ხელსაყრელი დროის დადგომას ელოდნენ. დავითის სიკვდილი მათთვის სწორედ ასეთ სასურველ პირობებს რომ ქმნიდა, ნაწარმოებში ეს გარემოება ამგვარი ფორმითაა მინიშნებული: „- საქართველოს მზე ბნელდება! - დაცინვით ჩაუჩურჩულა ერთმა დიდებულმა მის გვერდით მდგომს.

- და შენც ასისინდი, გველის წიწილო! - ზიზღით უპასუხა ჭარმაგმა კაცმა და დარბაზის კარები შეაღო."

ავტორის ეროვნული მრწამსის სიღრმისეულად გააზრებისა და შეფასების დროს აქ ნაწარმოების შემდეგ ეპიზოდსაც მინდა მივაქციო განსაკუთრებული ყურადღება: პატარა დავითს ძიძა უამბობს ზღაპარს იმაზე, როგორ დაეპატრონა მტერი ჩვენი ეროვნული სიძლიერისა და ქრისტიანული რწმენის სიმბოლოდ ქცეულ სიონის ტაძარს, საიდანაც აღარ ისმოდა ზარების გუგუნი და ლოცვა-გალობა. მაშინ წამოვიდა ტაძარში დაყუდებული წმინდა ბერი და მთაში გადახვეწილმა და ქადაგად დავარდნილმა „ილოცა ქვეყნისთვის, მეფისთვის, მოყვასისთვის და როცა მტერთან მოსახსენებლად მივიდა, ვეღარ მოითმინა, აღაპყრო ხელნი და შეჰღაღადა უფალს: - ვინც დაადუმა მგალობელნი, აღკრძალა ლიტანიად სვლა, შემუსრა წმინდა მამები და აღკვეთა ზარების რეკვა-ანთება!.. იგრიალა ცამ... მტერი დაიღუპა მოზღვავებულ მდინარეთა შორის, ხოლო ბერი, თვით ბერიც გაიყინა ხელებაწვდილი - იმ ადგილს ჩვენი ხალხი მყინვარს უწოდებს...

- მერე, მერე, ძიძა!..

- როცა სიონი ისევ შეიმოსება სახელით, ხალხი შემოივლის ლიტანიას, მაშინ მყინვარი გადნება, მოიშლება მყინვარი, მდელოთი და ტყეებით მოიფინება და მკვდრეთით აღსდგება ის ბერიც...

- ძიძა, მე ვიზამ ამას!.. მე ავხსნი სალტეებს!"

ნაწარმოების დასაწყისში მოთხრობილი ამ სიმბოლური ეპიზოდით მწერალი თავიდანვე მიგვანიშნებს იმაზე, რომ სწორედ დავით მეფე იქცა იმ ეროვნულ გმირად, რომელმაც რწმენის სიმბოლოდ დასახული ტაძარი ურჯულოთა მძლავრობისაგან გაათავისუფლა.

დავით აღმაშენებლის გამორჩეულად მნიშვნელოვანი ეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღვაწლი ნ. ლორთქიფანიძემ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ნაწარმოების ბოლო ეპიზოდში, სადაც მეფის გარდაცვალების ამბავია მოთხრობილი. მიუხედავად იმისა, რომ დავითის გარდაცვალება ხალხმა ქვეყნისთვის თავსდატეხილ უდიდეს ტრაგედიად მიიჩნია, მისეული მონათხრობის ფინალურ ეპიზოდში მწერალი მკითხველს იმის რწმენასაც განუმტკიცებს, რომ საყვარელი მეფის გარდაცვალებით ჩვენს ერსა და სახელმწიფოს დედაბოძი არ გამოცლია და წინ კვლავაც ელოდა დიდი მომავალი. პირველ ყოვლისა სწორედ ამ რწმენის გამომხატველ სიმბოლოდ უნდა მივიჩნიოთ აღნიშნულ ეპიზოდში ხსენება თამარ მეფისა, რომლის მეფობის დროს კიდევ ერთხელ გაიბრწინა დავით აღმაშენებლის დროინდელი ქართული სახელმწიფოს ძლიერებამ.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ნაწარმოებიდან: დავით მეფის გარდაცვალების ამბავმა მთელი ქვეყანა შეძრა. „ეკლესია უძახდა ეკლესიას; სოფელი სოფელს. სტიროდა ზარი, ბღაოდა ბუკი და სამგლოვიარო ცნობა დილის მზის სხივებთან ერთად სერავდა საქართველოს გულმკერდს...

ლსაქართველოს ცაი სტიროდა, დედამიწა გოდებდა.

ხალხი ძაძით იმოსებოდა.

იმედი ჯერ არავის ჩასძახოდა, რომ სადღაც ბუნების წიაღში ქანდაკდებოდა სულმნათი თამარ.“

• • •

როგორც წინამდებარე წერილში დამოწმებული ფრაგმენტებითაც თვალნათლივ ჩანს, საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ანექსიამდე დაწერილ თავის პუბლიცისტურ წერილებსა და მხატვრულ ტექსტებში ნიკო ლორთქიფანიძე უდიდეს ადგილს უთმობდა ეროვნულ პრობლემატიკას და აქტიურად ეძებდა მათი დაძლევის რეალურ გზებს, რითაც წარმატებით განაგრძო წინამორბედ ქართველ მამულიშვილთა მიერ აღნიშნული მიმართულებით დამკვიდრებული ტრადიცია.

გრიგოლ რობაქიძე

ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის წარმომჩენი თემატიკა გრიგოლ რობაქიძის (1880-1962 წწ.) ჟანრობრივად მრავალფეროვან შემოქმედებაში სამოღვაწეო ასპარეზზე მისი გამოსვლის პირველივე წლებიდან დამკვიდრდა ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად. მიუხედავად იმისა, რომ ამ თვალსაზრისით გამონაკლის ხანას არც 1917-1921 წლები წარმოადგენდა, აღნიშნული პრობლემატიკისადმი განსაკუთრებული ინტერესი ამ პერიოდში მან ფაქტობრივად მხოლოდ პუბლიცისტური ტექსტებით გამოავლინა, მხატვრულ ნაწარმოებებში კი ეს მოვლენა ფრაგმენტულად იქცა მისი მწერლური წარმოსახვის საგნად.

კერძოდ, იმდროინდელ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემათა განსჯა-გააზრებას იმ დროს შექმნილ მის მხატვრულ ტექსტებში საგულისხმოდ მნიშვნელოვანი ადგილი არ დაუკავებია.

ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად, ქვემოთ შევეცდები, მკითხველის ყურადღება მიზანმიმართულად მივაპყრო გრ. რობაქიძის შემოქმედების იმ ნიმუშებს, რომელთა მეშვეობითაც ნათელი წარმოდგენა გვექმნება საანალიზო პერიოდის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემათა მისეულ შეფასებებზე, იმხანად მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით მწერლის აქტიურ დაინტერესებსა და ამ პროცესებში მის პიროვნულ მონაწილეობაზე.

როგორც გრ. რობაქიძის იმდროინდელი მხატვრულ-პუბლიცისტური ნააზრევიდან ნათლად ჩანს, ეროვნული პრობლემის გააზრება მან ხაზგასმულად დაუკავშირა იმ უმნიშვნელოვანესი მისიის წარმოჩენას, რომელიც ქრისტიანულმა რელიგიამ შეასრულა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამ ტენდენციის ერთ-ერთ ნათელ გამოვლინებას წარმოადგენს წმინდა ნინოს განსადიდებლად დაწერილი მისი სახოტბო ლექსები, რომლებშიც სიტყვიერი პათეტიზმითაა განდიდებული საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების საქადაგებლად ნინოს შემობრძანება.

პოეტის წარმოსახვით, ნინოს მიერ ქრისტიანობის სიმბოლოდ ქცეული ვაზის ჯვარი სასწარმკვეთი მდგომარეობიდან არა მარტო პიროვნების, არამედ მთელი ჩვენი ერის დამხსნელი ღვთაებრივი ძალაცაა, რომლის არსი მას არა მარტო ეროვნული, არამედ ფილო-

სოფიური თვალთახედვითაც აქვს გააზრებული და წარმოსახული. ყოველივე ზემოთქმულზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ ფრაგმენტს 1920 წლის 7 მაისს გაზეთ „პოეზიის დღეში“ გამოქვეყნებული ლექსიდან „ჯვარი თმებით.“ წმინდა ნინოს ქრისტიანული ღვაწლის განსადიდებლად შეთხზულ ამ ლექსში ჩვენი ერის ქრისტიანულ რწმენაზე მომქცევ მოციქულთა სწორ ამ წმინდანს გრ. რობაქიძე სრულქმნილების „უნივერსალურ სიმბოლოსა“ და „მარად ნუგეშს“ უწოდებს და მისადმი თავის ხოტბით დამოკიდებულებას ამ სიტყვებით გამოხატავს:

მიახლოვდები შენ სასურველი, ჩემთვის წუთხეა ჯვარის ამბოხი,
მაგრამ მაბრმავებს თმების სურნელი, შენი სიწბილე ტკბილი ოცნებით.
და ვკოცნი ხელებს ჩუმი ლოცვებით, ჰო, ნინო, ნინო მასალბუნებო,
შენი სიწბილე ტკბილი ოცნებით, ვხედავ, არ არის მჭლე და უვნებო.
გრძელი თითები ქარვის ქრებიან, ლერწმებს აესხმის მძიმე მტევანი
და შენს თვალებში შთაინთქმებიან ჩემი უძირო ღამის თევანი.

როგორც ითქვა, წმინდა ნინოს ღვაწლის უმთავრესად წარმომჩენ მოვლენად გრიგოლ რობაქიძე უპირველეს ყოვლისა იმ დამსახურებას მიიჩნევდა, რომელიც მას ქართველი ერის გაქრისტიანების პროცესში ჰქონდა შესრულებული და ამიტომაც მიიჩნევდა მას ჩვენი ქვეყნის ბედნიერი მომავლისთვის მარადიულად მლოცველ ღმერთქალად. ავტორისეულ თვალთახედვაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული ლექსიდან:

ნათელო ნინო! ვით მიწის ხნულები
შენ წინ გადახსნილან აწ ჩვენი გულები.
მო, გადაგვიარე, ბედს გადავურჩებით
და ტერფებს დაგიკოცნით მაგარი ტუჩებით.
დაო და დედაო, ღვთისმშობლის დობილო,
ვართ შენზე დანდობილი და შენი დედობით
არ გადავშენდებით!

საანალიზო პერიოდში გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკის ერთ-ერთ მთავარ თემად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებულ პრობლემათა ანალიზიც იქცა. აღნიშნული პუბლიკაციებისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ხსენებულ პრობლემათა განსჯის დროს მწერალი განსაკუთრებულ ინტერესს პირველ ყოვლისა იმ საჭირბოროტო საკითხებისადმი იჩენდა, რომელთა მოგვარებაც საკმაოდ დიდ სირთულეთა დაძლევასთან იყო დაკავშირებული.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ პრობლემას წარმოადგენდა ისტორიულად ჩვენი ქვეყნის კუთვნილი იმ ტერიტორიების მოქცევა სახელმწიფოებრივ საზღვრებში, რომელთა მოსახლეობის უმეტეს ნაწილს იმხანად უკვე არაქართველი მოსახლეობა წარმოადგენდა. პირველ ყოვლისა სწორედ ამ თვალსაზრისითაა საინტერესო გრ. რობაქიძის მიერ გაზეთ „საქართველოს“ 1917 წლის 232-ე, 21 ოქტომბრის, ნომერში გამოქვეყნებული წერილი „პატრონები და მოქალაქენი. ოსმალეთის სომხეთის გარშემო.“

აღნიშნული სტატიის დაწერის საფუძვლად ამ კონკრეტულ შემთხვევაში ის გადაწყვეტილება იქცა, რომლითაც „სტოკჰოლმის კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა“ ოფიციალურად დაუჭირა მხარი „ოსმალეთის სომხეთის დამოუკიდებლობას.“ თავისი ამ პუბლიკაციით გრ. რობაქიძე გულმხურვალედ მიესალმა სომხეთის სახელმწიფოს შექმნას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ „უთუოდ საჭირო“ იყო, ასეთი „სამართლიანი ფორმულა საქართველოზეც გაევრცელებინათ“ და ისიც „ყოფილიყო აღდგენილი როგორც მთლიანი სახელმწიფო ერთეული: მას ამისთვის ტერიტორიალური სიმთელეც ხელს უწყობდა. მხოლოდ იქ, საცა საქართველოს ტერიტორია დასახლებული იყო არა მარტო ქართველი ერით, არამედ სხვა ხალხთა ელემენტებითაც, იქ ქართველი ერი უნდა ყოფილიყო პატრონი და დანარჩენნი კი მხოლოდ „მოქალაქენი.“ უკანასკნელნი დაცულ იქნებოდნენ სათანადო კანონებით“ (რობაქიძე, 2012: 208).

საანალიზო პერიოდში გამოქვეყნებული თავისი პუბლიცისტური წერილებით გრ. რობაქიძემ ერთმნიშვნელოვნად გამიჯნა ერთმანეთისაგან ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მომავალი რუსეთში მიმდინარე რევოლუციური მოვლენებისაგან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა გაზეთ „საქართველოს“ 1917 წლის 237-ე, 27 ოქტომბრის, ნომერში გამოქვეყნებული მისი სტატია „ბოლშევიკების აჯანყება.“ აანალიზებს რა რუსეთში აზვირთებული ამ მოვლენის შედეგად შექმნილ ანარქიულ ვითარებას, მწერალს ერთმნიშვნელოვნად და ყოველგვარი კომპრომისული მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გამოაქვს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი საზოგადოება ერთხელ და სამუდამოდ უნდა დარწმუნებულიყო იმაში, რომ საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოებრივი მომავალი საბოლოოდ იყო ერთმანეთისაგან გამიჯნული.

მწერლისეულ თვალსაზრისზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ხსენებული პუბლი-

კაციიდან: „კავკასიისათვის და განსაკუთრებით საქართველოსათვის ერთი რამ არის საჭირო: ნუ ვიქნებით უბრალო მორჩილნი იმ ფანტაზიებისა, რაიც პეტროგრადის ნისლში მოელანდებათ. ჩვენ ჩვენი საკუთარი გზა გვაქვს, - და ვეცადოთ ყველა ძალების შემოკრებას, რომ რევოლუციაში შობილი ეროვნული განთავისუფლების გზა ანარქიით არ მოვსპოთ“ (რობაქიძე, 2012: 211).

ხსენებული პუბლიკაცია გამონაკლისი არ ყოფილა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან და მომავალთან დაკავშირებულ საკითხებს გრ. რობაქიძე იმხანად გამოქვეყნებულ სხვა პუბლიცისტურ წერილებშიც აანალიზებდა. მაგალითად, აი, როგორ შეფასებას აძლევდა იგი პეტერბურგში რევოლუციის შედეგად შექმნილ ქაოსურ მდგომარეობას გაზეთ „საქართველოს“ 1917 წლის 239-ე, 29 ოქტომბრის, ნომერში დაბეჭდილ სტატიაში - „ფანტასმების ქალაქი“: „უბედურება ის არის, რასაც ეს ფანტასმების ქალაქი იტყვის, იმას მთელი რუსეთი იმეორებს. და მერე რა დროს? რევოლუციის დროს, როცა თავისუფლება მყარდება. და განა ეს არის თავისუფლება?! თავისუფლება პირველ ყოვლისა თავის-თავადობაა, - ზერელედ აყოლება კი ნამდვილი მონობა. შესაძლოა, ამგვარი „აყოლა“ რუსის ხალხისათავის მართებულიც იყოს, - მაგრამ სხვებისთვის, ჩვენთვის?! თავის თავის დამარხვა. ნაკლები ცქერა პეტერბურგისაკენ, - მეტი ყურადღება თავის თავისა, - აი, სადღეისო დევიზი“ (რობაქიძე, 2012: 213.).

გრიგოლ რობაქიძე არა მარტო თავისი პუბლიკაციებით ეხმაურებოდა საქართველოსა და რუსეთის იმპერიაში იმხანად მიმდინარე პროცესებს, არამედ ამ პროცესებში პიროვნულადაც იყო აქტიურად ჩართული. სწორედ ამის ერთ-ერთ ნათელ დადასტურებას წარმოადგენს გაზეთ „საქართველოს“ 1917 წლის 25 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული მისი წერილი „ისტორიულ წამები,“ რომლის მეშვეობითაც რუსეთის იმპერიაში განვითარებულ მოვლენებთან მიმართებით შეაფასა საქართველოში იმხანად არსებული მდგომარეობა და ხსენებული წლის 19-24 ნოემბერს გამართული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

კერძოდ, შექმნილი ვითარების შედეგად ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის მოლოდინთან დაკავშირებული ემოციის გამოხატვა გრ. რობაქიძემ პირველ ყოვლისა ორ უმნიშვნელოვანეს მოვლენას დაუკავშირა: ერთის მხრივ, იმას, რომ „რევოლიუციის

ქარიშხალით“ ატორტმანებული და „საუკუნეობით ნაჭედი“ რუსეთი შეუქცევადად ირღვეოდა, რის შედეგადაც ირგვლივ ყოველი იმსხვრეოდა... ყოველის მხრით უფსკრული იყო გათხრილი.“ მწერლის შეფასებით, „ამ „განკითხვის ჟამს,“ როცა საქართველოს დაუდგა ბედისწერითი საშინელებით კითხვა „ყოფნა-არ-ყოფნისა,“ იგი იჩენდა ნამდვილს ვაჟკურს ძლიერებას“ (რობაქიძე, 2012: 249).

გრ. რობაქიძეს სწორედ ამ დიდი ოპტიმისტური მოლოდინის საფუძველს უქმნიდა არა მარტო რუსეთის იმპერიაში იმხანად მიმდინარე მოვლენები, არამედ ის გადაწყვეტილებებიც, რომლებიც შექმნილი რეალობის შესაფასებლად და ჩვენი ქვეყნის სამომავლო ბედის განსასაზღვრად იქნა მიღებული 1917 წლის 19-24 ნოემბერს სხვადასხვა პარტიებისა და პოლიტიკური ძალების ერთობლივი მონაწილეობით გამართულ საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე. მწერლის შეფასებით, „ამ ყრილობით დაიწყო ჩვენი ახალი უღელტეხილი. ეს ყრილობა „ისტორიულია“ უაღრესად“ (რობაქიძე, 2012: 249).

ხსენებული ყრილობისთვის ამგვარი შეფასების მიცემის განმაპირობებელ ფაქტორად გრ. რობაქიძემ უპირველეს ყოვლისა ის გარემოება მიიჩნია, რომ პარტიული განთიშულობისა და დაპირისპირებულობის მიუხედავად, „მთელი ყრილობა ერთს მაგარ რაზმს წარმოადგენდა. აღარსად სჩანდა ჩვეული ჯგუფური დაყოფა, აღარ ისმოდა საშინელი „შენჩემობა,“ აღარ იყო: შუღლი, შური, ღვარძლი, უნდობლობა, გაუტანლობა. ამ ყრილობაზე მოისპო საქართველოს ისტორიის პირვანდელი ცოდვა: არწამება მთელისა და ნაწილთა შორის ერთი მეორის მანადგურებელი განხეთქილება. აქ ვიგრძენით პირველად ნამდვილი ეროვნული ქმედითი ეროსი: სიყვარული არა რაღაც განყენებულისა, არამედ ჭეშმარიტი ცოცხალი არსისა... საქართველო აღიმართა როგორც დიადი მთელი: იგი დადგა ყოველის განსაზღვრულის მაღლა: იგი გამოცხადდა როგორც დაუშრეტელი უზენაესი არსი. სად იყო პოლიტიკური „ბოღმა“? სად გაქრა პარტიული „პროგრამა“? საით გაფრინდა ვიწრო ჯგუფური ლოზუნგი?! ამ ყრილობაზე ჩვენ შევიცნეთ უკანასკნელ წვეთამდე, რომ საქართველო უფრო დიდი ყოფილა, ვიდრე „პროგრამა,“ „ლოზუნგი“ (რობაქიძე, 2012: 250).

ერთადერთი საკითხი, რომლის გამოც გრ. რობაქიძე ხსენებული ყრილობის მონაწილეებს პრინციპულად გაემიჯნა, დელეგატთა დიდი ნაწილის მიერ გამოთქმული ის მოსაზრება იყო, თითქოს „სა-

ქართველოს თავისუფლება რუსეთის რევოლუციის ნაყოფს" წარმოადგენდა. მწერლის ხაზგასმით, „ბევრი, შესაძლოა, ამ ფორმულას ისე გაიგებდა, თითქო ჩვენ ჩვენი ძალებით კი არა, გარეშე ძალებით მოგვეპოვოს თავისუფლება. არას გზით ეს გაგება მისაღები არ არის. ჯერ ერთი, რუსეთის რევოლუციის ავანგარდი იყო და არის საქართველო... რუსეთის რევოლუციის ისტორია საქართველოს გამორიცხვით არას გზით არ დაიწერება... მაშასადამე, „სხვისით" არ არის ნაშობი მისი თავისუფლება" (რობაქიძე, 2012: 250).

არ შევცდებით, აქვე იმასაც თუ ვიტყვით, რომ ხსენებული ყრილობისადმი გრ. რობაქიძის ამგვარი კრიტიკული პოზიციის გამოვლინება პირველ ყოვლისა ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებული და ყრილობის დადგენილებაში დაფიქსირებული იმ დადგენილებით აღმოჩნდა განპირობებული, რომლითაც, შექმნილი რეალობის შედეგად რუსეთთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის რადიკალურად შეცვლის მიუხედავად, ამ ურთიერთობის სამომავლო პერსპექტივის განსაზღვრის დროს ყრილობის მონაწილენი კვლავაც ხაზგასმულად აღიარებდნენ ქართველი ერის რუსულ ორიენტაციას. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ შესაბამის ამონარიდს აღნიშნული დადგენილებიდან:

„1.ქართველი ერი, როგორც ამ ასი წლის წინ განმავლობაში, სდგას რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე.

2. ქართველ დემოკრატიამ დღიდან თავისი პოლიტიკური არსებობისა, თავისი სვებედი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის დემოკრატიას და მასთან ერთად მოქმედებით ფიქრობს თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და ნაციონალური მისწრაფებანი განახორციელოს" (გურული, 1999: 80).

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში მომხდარ ამ გარდამტეხ მოვლენას გრ. რობაქიძე მაინც აძლევდა ძალიან მაღალ შეფასებას.

გრ. რობაქიძის იმდროინდელ პუბლიცისტიკაში განსაკუთრებული ყურადღების საგნად გარესამყაროსთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობასთან დაკავშირებული პრობლემის მისეული თვალთახედვის განსაზღვრაც იქცა. როგორც ცნობილია, დამოუკიდებლობა აღდგენილი საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის გარკვევასთან დაკავშირებით მაშინ არა მარტო პოლიტიკოსთა, არამედ შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორისაც მიმდინარეობდა უაღრესად მწვავე დისკუსია.

გრ. რობაქიძე იმთავითვე იქცა ამ დისკუსიის ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურად. კერძოდ, იმხანად გამოქვეყნებული თავისი წერილებით მწერალი გარესამყაროსთან ჩვენი ქვეყნის სამომავლო ურთიერთობის პრობლემას არა მარტო პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი თვალთახედვით სჯიდა და აანალიზებდა, არამედ ისტორიული და გეოგრაფიული ფაქტორების გათვალისწინებითაც.

მიუხედავად იმისა, რომ თავად გრ. რობაქიძე ევროპაში განსწავლული და იქაურ სულიერ და კულტურულ ფასეულობებს საფუძვლიანად გაცნობილი პიროვნება იყო, მას არც ის გარემოება დაუტოვებია განსაკუთრებული ყურადღების მიღმა, ჩვენი ქვეყანა პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივადაც და სულიერი კულტურითაც აღმოსავლურ (აზიურ) სამყაროსთანაც რომ იყო საუკუნეების განმავლობაში სისხლხორცეულად დაკავშირებული.

მაგალითად, აი, რა შეფასებას აძლევდა ის აღნიშნულ მოვლენას 1917 წელს ჟურნალ „ლეილას“ პირველ ნომერში გამოქვეყნებულ წერილში: „საქართველო... ნატეხია აღმოსავლეთის! და ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ჩვენი აკვანი. ძვირფასია დასავლეთი ევროპა, მაგრამ ევროპისათვის აღმოსავლეთს ვერ დავთმობთ. უმჯობესი იქნება მათი ქორწილი ქართული ნადიმით გადავიხადოთ.

და საქართველოც თითქოს ამისთვისაა შობილი. აბა დააკვირდით რუსთაველს: განა მან არ შეჰკრა სინთეზი აღმოსავლეთის დაჩრდილული ფიქრისა და იტალიის აშადრევნებული რენესანსისა!..

გარნა: არც თუ ევროპას დაივიწყებს ქალწული „ლეილა:“ მრავალი სატეხნიკო შეძენა ხელოვნებაში მოგვცა ევროპამ. ჩვენც მათ გამოვიყენებთ, როგორც ინსტრუმენტებს, ხოლო მათ აღმოსავლურ ჰანგებით ავამეტყველებთ.“ (რობაქიძე, 2012: 201).

ანალოგიური მოსაზრებანი გრ. რობაქიძემ გაზეთ „საქართველოში“ იმავე წელს გამოქვეყნებულ მეორე წერილშიც - „ქართველ მწერლებს“ გამოთქვა. კერძოდ, მისი ინტერპრეტაციით, „საქართველო საიდუმლო უღელტეხილია აღმოსავლეთისა და დასავლეთის. ჩვენ ვიწვით აღმოსავლეთის ფიქრმორეული შუადღით... ჩვენ ვერთვით დასავლეთის საშიშარ სიცხადეს, საცა თვალღია ფანტასმაგორიებში „ძეობა“ იკვეთება ძლევამოსილი. ჩვენ გვაფიქრებს ეგვიპტის სფინქსი და გვანცვიფრებს პარიზის ქიმერა.

ქართული ნადიმით ვიხდით აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქორწილს. და ნადიმი იგი მთავარი ჰანგია ჩვენი ნაჭედი სიტყვისა“ (რობაქიძე, 2012: 206).

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან და მის მომავალთან დაკავშირებულ პრობლემათა გაანალიზების დროს გრ. რობაქიძე იმ არასასურველ დამოკიდებულებაზეც ამახვილებდა ყურადღებას, რასაც მსოფლიოს დიდი ქვეყნების მესვეურები ავლენდნენ ან მიმართულებით. კერძოდ, მწერლის ხაზგასმით, ამ თვალსაზრისით არსებული უმთავრესი პრობლემა, რომლის დაძლევის გარეშე ჩვენს ქვეყანას სახელმწიფოებრივი მომავალი ვერ ექნებოდა, საერთაშორისო საზოგადოების იმაში დარწმუნება იყო, რომ საქართველო „უბრალო გეოგრაფიულ ნაგლეჯს" არ წარმოადგენდა და „იგი ერთგვარი სხეული იყო მსოფლიო შემოქმედი სულის ცნაურებისა."

კერძოდ, აი, რას წერდა თავად მწერალი ამასთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოს" 1917 წლის #241, 243, 244, 246, 247 და 250 ნომრებში გამოქვეყნებულ წერილში „დიონისოს კულტი და საქართველო:" „საეჭვო აღარ არის დღეს, რომ საქართველო ერთიანდება: გატეხილი მთელი ისევ მთელდება. ერთობილი და მთლიანი საქართველო ეხლა უკვე ერთგვარი ფსიხიური სინამდვილეა. ამ სინამდვილეს ხელმწიფებითი ყალიბი ეჭირვება, - და ქართველობის ენერგია ამ ჟამად ამ მიზნის მიღწევისათვის უნდა იყოს ამუშავებული.

ხოლო არის საკითხი სხვაგვარიც: საქართველო, - თუ გინდ ერთობილი და მთლიანი, - უბრალო გეოგრაფიულ ნაგლეჯს წარმოადგენს, თუ იგი ერთგვარი სხეულია მსოფლიო შემოქმედი სულის ცნაურებისა? საქართველოს იდეოლოგიამ ეს საკითხი არც კი იცის: მას ბოლოს და ბოლოს ემპირიული საქართველო ჰქონდა ყოველთვის განხილვის საგნად. ეს კი საკმაო არ არის თავის-თავადობისთვის" (რობაქიძე, 2012: 214).

საანალიზო პერიოდში დაწერილი თავისი პუბლიცისტური წერილებით გრიგოლ რობაქიძემ აქტიურად გაილაშქრა ისტორიულად ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთობისთვის ძირის გამომთხრელი ისეთი მოვლენის წინააღმდეგ, როგორიცაა „თემური პარტიკულიარიზმი." ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა გაზეთ „საქართველოს" 1917 წლის 21 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული სტატია „ქართული რენესანსი". კერძოდ, მწერლის შეფასებით, ქართველი ერის ისტორიისათვის მუდმივად თანამდევი ეს ტრაგიკულ მოვლენა ჩვენს ყოფაში „საშინელი სიმძაფრით ჰყოფს თავს: იმერელი, ქართლელი, კახელი, გურული, მეგრე-

ლი და სხვა - ერთი ხის შტოა ყოველი მათგანი. ეს ერთგვარი მრავალფეროვნებაა: მდიდარი სხვა-და-სხვაობა. მაგრამ მეორე მხრივ ეს „სხვაობა“ იმ ზომამდე მიდის ხანდახან, რომ უნებლიედ ფიქრი იბადება: შესაძლოა ისინი სხვა და სხვა ხის დგამს წარმოადგენდნენ, ნათესავურს რკალში მოქცეულს. ყოველ შემთხვევაში ჩვენში არსებულ პარტიკულიარიზმი დამაფიქრებელია მეტად“ (რობაქიძე, 2012: 238).

გრ. რობაქიძე სწორედ ამ მოვლენის სამწუხარო გამოვლინებად მიიჩნევდა ქართული ყოფისთვის ისტორიულად თანამდევ „ეროვნულ დაქსაქსულობას“ და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ჩვენი ქვეყნის ყოფნის ერთადერთ სიკეთედ იმ ფაქტს მიიჩნევდა, რომ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთობისთვის საფუძვლის გამომთხრელი ამ სენის დაძლევა ქართველმა ხალხმა სწორედ იმ პერიოდში შეძლო.

კერძოდ, აი, რას წერს თავად ის ამასთან დაკავშირებით: „არის კიდევ ერთი უცნაურობა ჩვენს ისტორიაში... მართალ არიან ჩვენი მარქსისტები, როცა ამტკიცებენ, რომ საქართველოს ერთიანობა რუსების ხელმწიფების ქვეშ განმტკიცდა. **გაერთიანება მონობით** - ეს ხომ საშინელი უცნაურობაა!

ერთი სიტყვით, რომელი მხრითაც უნდა შემოვუაროთ ამ საკითხს, ერთი რამ ნათელყოფილია: პოლიტიკურს ცხოვრებაში ჩვენ ვერ შევქმენით მტკიცე და მძალვრი ხელმწიფება. ამან ხელი შეუწყო ჩვენი „ანარქიული“ ბუნების განვითარებას“ (რობაქიძე, 2012: 239).

საანალიზო პერიოდში გამოქვეყნებულ თავის წერილებში გრ. რობაქიძე იმდროინდელი ჩვენი ყოფისთვის ფართოდ დამახასიათებელ პრობლემებზეც მსჯელობდა საკმაოდ მწვავედ და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე. პირველ ყოვლისა სწორედ ამ თვალსაზრისით იქცევს ყურადღებას გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის 2 თებერვლის ნომერში დაბეჭდილი მისი წერილი „ფული და კომისარიატი“. კერძოდ, ხსენებულ პუბლიკაციაში გრ. რობაქიძის მწვავე კრიტიკის საგნად იქცა იმ დროისათვის ერთ სახელმწიფოებრივ ორგანიზმად ხელოვნურად შეკოწიწებული ამიერკავკასიის კომისარიატის ფულად-ეკონომიკური პოლიტიკა.

მწერლის შეფასებით, ამ პოლიტიკის შედეგად ერთ სახელმწიფოებრივ სივრცეში ხელოვნურად მოქცეულ ამ რეგიონში იმხანად იმდენად მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი, რომ რომ „ფაქტიურ-

ად რუსეთს გამოყოფილი ამიერ-კავკასია... ისევ რუსეთისკენ იყურებოდა“ (რობაქიძე, 2012: 303).

გრ. რობაქიძის ხაზგასმით, ამიერკავკასიის ფედერაციის მმართველი ორგანოს - კომისარიატის მიერ გატარებული არაგონივრული მმართველობითი პოლიტიკა „ყველაზე უფრო ფულის კრიზისის დროს გამოიხატა.“ იმის გამო, რომ „ოქრო და ვერცხლი უკვე აღარსად იყო, ნიკოლოზ მეორისა და ალექსანდრე კერენსკის ფული კი დღითი დღე ილეოდა, საბანკო ოპერაციები თანდათან სუსტდებოდა.“

ასეთი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსასვლელად ფედერაციის მმართველმა ორგანომ „ბონების“ გამოცემა გადაწყვიტა, რის შედეგადაც „ამიერ-კავკასიაში უკვე ორი ფული იქნებოდა მიმოქცევაში: ერთი სრულიად რუსეთის და მეორე მარტო ამიერ-კავკასიის. უკანასკნელს მხოლოდ ამიერ-კავკასიაში ექნებოდა გასავალი.“ გრ. რობაქიძის წინასწარმეტყველებით, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სახელმწიფო უკვე დანგრეული იყო და ამიერკავკასია თავისუფალი, ამ რეგიონის „მცხოვრებთა მასსა“ ბონების ნაცვლად მაინც რუსულ ფულს „აირჩევდა სანდობლად“ (რობაქიძე, 2012: 304).

საანალიზო პერიოდში გრ. რობაქიძის მიერ გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილების გაანალიზების დროს განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციო გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის 15 თებერვლის ნომერში დაბეჭდილ სტატიას „კლასსიური და ეროვნული.“ აღნიშნული პუბლიკაციით გრ. რობაქიძე შეეცადა საქართველოში ეროვნულ-კლასობრივი თვალსაზრისით იმხანად არსებული მდგომარეობა კრიტიკულად შეეფასებინა საერთაშორისო მასშტაბით განვითარებულ მოვლენებთან მიმართებით.

კერძოდ, მისი ხაზგასმით, საქართველოში იმხანად გამძაფრებული ფორმით მიმდინარე „კლასსიურისა და ეროვნულის დაპირისპირებაში უპირატესობა პირველს ეძლეოდა სოციალისტური სწავლებით.“ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ აქტიურობას „მარქსისტული მიმდინარეობის“ წარმომადგენლები იჩენდნენ, რადგანაც ისინი „სოციალურს ცხოვრებაში მხოლოდ კლასიურ დაყოფას სცნობდნენ. ყველა სხვა დაყოფა კი - რასსიული, ეროვნული, რელიგიური და სხვა, მათთვის ან სულ არ წარმოადგენდა რაიმე მნიშვნელობას, ან თუ წარმოადგენდა, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამგვარი დაყოფა მხოლოდ უბრალო ვარიაცია იყო კლასსიური დაყოფისა“ (რობაქიძე, 2012: 314).

გრ. რობაქიძის ხაზგასმით, აქედან გამომდინარე, „მარქსელებს ყოველთვის ავიწყდებოდათ ერთი რამ: სახელდობრ, ის, რომ კლასებად დაყოფის გარდა არსებობს სხვადასხვა ეროვნებად დაყოფა... მათ თითქმის მისტიურად სწამდათ საერთაშორისო პროლეტარიატის რეალობა მისი სოციალური ინტერესებით. მის სხვა ინტერესებს (თუ გინდ ეროვნულს) კი ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ“ (რობაქიძე, 2012: 315).

გრ. რობაქიძის მტკიცებით, ქართველი მარქსისტების აქტიურობის შედეგად იმდროინდელი ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის ცნობიერებაში ფართოდ დამკვიდრებული ეს თვალთახედვა აშკარად დაამდაბლა იმხანად მიმდინარე ომმა. ამ ომის უმნიშვნელოვანეს პოზიტიურ შედეგად პუბლიკაციის ავტორმა პირველ ყოვლისა ის გარემოება მიიჩნია, რომ მარქსისტული მოძღვრების უპირველესი მოწოდება - „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ არსებითად შეიცვალა მისგან განსხვავებული მოწოდებით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, იბრძოლეთ სამშობლოსათვის.“ გრ. რობაქიძის შეფასებით, ამ ცვლილების შედეგად თვალნათლივ გამოჩნდა, რომ „პროლეტარიატის ნამდვილ განცდაში... ეროვნული მომენტი ბევრად უფრო ღრმა და რთული ყოფილა, ვიდრე სოციალური მომენტი.“ (რობაქიძე, 2012: 314).

საერთაშორისო მასშტაბით მიმდინარე მოვლენათა ამგვარი თვალთახედვით გაანალიზების საფუძველზე გრ. რობაქიძე იმის აღიარებამდე მივიდა, რომ „თანადროული სახელმწიფონი ეროვნული ტიპის სახელმწიფოს უახლოვდებოდნენ“. მწერლის თქმით, „ამ სინამდვილის მართებული ათვისება“ იმდროინდელი ქართველი საზოგადოებისთვის „განსაკუთრებით საჭირო“ იმიტომაც იყო, რომ მაშინდელ „სოფელში ხშირად გაისმოდა ასეთი თქმა: ჩემთვის სულ ერთია, ვინ იქნება საქართველოს ბატონი, რუსი თუ თათარი, - ეკონომიური მომრეობა სულ ერთია ვისგანაც უნდა იყოს იგი გამოწვეული, სომხისაგან თუ ქართველისაგან.“ გრ. რობაქიძის შეფასებით, ეს მოვლენა „უთუოდ ეროვნული დეკადანსის“ წარმომჩენ „ნიშანს“ წარმოადგენდა (რობაქიძე, 2012: 314).

მაშინდელი ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის ეროვნული ცნობიერების ამგვარი დეგრადირების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად გრ. რობაქიძე შემდეგ გარემოებას მიიჩნევდა: „ჩვენს ისტორიაში არსებობს უფრო მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა, ვიდრე კლასობრივი ბრძოლა: - ეს არის ეროვნება. ყველასთვის ნათელი

უნდა იყოს შემდეგი: არსებობს ერი, - შემდგომ: არსებობს ერში კლასთა ბრძოლა... ყოველმა ქართველმა უშიშრად უნდა აითვისოს ის მოვლენა, რომ საქართველოს სხეული ისტორიულად დაავადებულია: მასში უთუოდ ცნაურდება ეროვნული დეკადანსი. ქართველს თავის ეროვნულს ფსიქიკაში ნაწილის წარმოდგენა და განცდა უფრო შეუძლია, ვიდრე მთელისა. ეს მოვლენა თავსა ჰყოფს საქართველოს ყოველი დარგის შემოქმედებაში. აქედან თავის თავად ცხადია, რომ ქართველის აზრისათვის უფრო მისახვედრი იყო კლასთა ბრძოლა, ვიდრე ეროვნული მთელობა". მწერლის აზრით, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, „საქართველოს ბედი იმაზე იყო დამოკიდებული, მისი პოლიტიკოსები რომელ მომენტს ანაცვალებდნენ ერთმანეთს: კლასიურს ანაცვალებდნენ ეროვნულს, თუ ეროვნულს - კლასიურს" (გრ. რობაქიძე, 2012: 316).

თავის იმდროინდელ პუბლიკაციებში გრ. რობაქიძემ ქართული ბუნებისთვის ნიშანდობლივად დამახასიათებელი სპეციფიკური მხარების წარმოჩენაც ცადა განზოგადებული ფორმით. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა გაზეთ „ბარრიკადის" 1920 წლის 18 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული მისი წერილი „საქანელა და სახრჩობელა." არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მწვავედ კრიტიკული თავისი პათოსითა და პირუთვნელობით ხსენებული პუბლიკაცია იმ პოლემიკური ოპუსის („ფიქრები საქართველოზე") შესაქმნელად შემოქმედებითი იმპულისის მიმცემ ფაქტორადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც ნიკოლო მიწიშვილმა 1922 წელს, სტამბოლში ყოფნის დროს, დაწერა და 1927 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ „ქართულ მწერლობის" პირველ ნომერში.

ნათქვამისთვის მეტი სიცხადისა და დამაჯერებლობის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტს გრ. რობაქიძის ხსენებული ოპუსიდან: საქართველო „სამყაროს ტორტმანში მხოლოდ ქანაობს. არაოდეს ისე არ გამოცხადებულა ჩვენი რასსიული ხასიათი, როგორც დღეს... ჩვენ „მეწვრილმანენიცა" ვართ და „რაინდებიც". უცნაურია საქართველო: ქართველში „ლაქიაც" ზის და „მეფეც." მასში „ჟულიკიც" არის და „არისტოკრატიც." ქართველი თავის თავს ატყუებს, რომ სხვა მოატყუოს: ქართველნი თვალთმაქცები არიან. ბოლოს და ბოლოს ქართული ყოფა ფუნკციანალური უფროა. საქართველოს გაქანება საქანელაა და ქართველი ქანაობს კიდეც. იგი არც არის და კიდეც არის. მას არ სჯერა თავის თავის და ჰსურს სხვა იყოს. „მაძიებელი აზნაური" ბოლოს და ბოლოს საქართველოს მისტიკაა და ყალ-

ბი ღერბების მაესტრო აშორდია ისტორიულ ფიგურად გამოდის. ქართველი გაურბის თავის თავს (ცუდს), რომ ნახოს თავის თავი (უკეთესი). წმიდა მამა იოანე საქართველოს გაექცა და მთაწმინდას შეაფარა თავი. შემდგომ ვერც იქ გაუძლო „შუღლიანობასა და შფოთს“ ქართულსა: მაგრამ გაემართა ესპანიისაკენ, საცა მაინც ქართველები ეგულებოდა. კიდევ უმძაფრესი: ქართველს სძულს თავის თავი (ახლობელი): ალბათ მისთვის ეტრფის თავის თავს (შორეულს). გიორგი სააკაძე ორჯერ გადავარდა საქართველოთგან და ორჯერვე შემოუტია მან ხმალით მშობელ ერს. იყო მასში შორეთის სიყვარული და ტანჯვა უკანასკნელი“ (რობაქიძე, 2012:. 450).

ან კიდევ: „ქვეყანა ინგრევა და საქართველო კი ქანაობს: ქანაობს როგორც ყვითელი ჭინკა საქანელაზე... მაგრამ საქანელა უფსკრულებზეა გამართული და ადვილად შესაძლოა საქანელა სახრჩობელად გადაიქცეს... იხსნებიან უფსკრულები და გვეფეთებიან უცნაურნი მზერანი. საქართველო ქანაობს უდარდელი: მაგრამ სახრჩობელას ჩვენება სტანჯავს მას. ან თავის თავის მონახვა უკანასკნელი: ან სრული დაღუპვა თავის თავისა. გზახსნილი არ არის სხვა. ხანდახან აქ სახრჩობელა სისხლიან ჯვრად იქცევა. ჯვარი უფრო ძნელია, ვიდრე სახრჩობელა: მაგრამ ჯვარცმაში კათარზისია ნათელი და ჩახრჩობაში კი უკანასკნელი დაღუპვა. ჯვარცმა უცდის საქართველოს და ჩვენც ლოცვით ველით მის მოახლოვებას. ვიცით: იქნება გამართლებული საქართველო. ვიცით: იქნება ათავადებული ქართული სიტყვა“ (რობაქიძე, 2012: 451).

რაც შეეხება ნიკოლო მიწიშვილის მიერ ჰიპერბოლიზებული ფორმით გამოხატულ ეროვნულ სკეპტიციზმს, გრ. რობაქიძის იმდროინდელ თვალთახედვასთან მისეული პოზიციის სიახლოვის დასტურად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტებს ზემოთ ხსენებული მისი სტატიიდან. ნ. მიწიშვილის აზრით, ჩვენი ქვეყანა მხოლოდღა „გადაგვარებაში გადასულ ეთნოგრაფიულ მოვლენას“ წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, „ჩვენი არსებობა დაცინვა იყო განგებისა ჩვენს თავზე.“ უმთავრესი დასკვნა, რომელიც მწერალს უკიდურესი ნიჰილიზმით სავსე ამ მსჯელობის შედეგად გამოჰქონდა, ასეთი იყო: „ხერხემალს ქართულის იდეისა მე ვერ ვპოულობ და ვერც აზრს საქართველოს წარსულში...

საქართველო პასიური მოვლენაა.

მისი ენერგია გამოწვეული იყო სხვა, მის გარეშე მყოფი მოვლენისაგან (ენერგია ჭიის, როცა მას ფეხს აჭირებენ).

საკუთარ შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო და მოკლებული იყო, მაშასადამე, შემოქმედების გენიასაც.

მოკლებულია აქედან გამართლებას, მსოფლიო გამართლებას, საკუთარ რელიგიას, მოწოდებას, აზრს, შინაარსს.

ამითაა, რომ მშრალია და ფუყე საქართველო. აქედანაა მისი „უშვილოსნობა," თუ ბერწობა.

ამის შედეგია, ჩემის ფიქრით, სიმჩატე ქართველი არსებისა, ქართული ჯკუისა...

მე მგონია, ესაა მიზეზი იმისა, რომ ყველაფერი ქართული უდღეოა, რომ ქართული ბედი სწყდება და ტყდება ყოველთვის შუა გზაზე, დაუმთავრებელი, მიუღწეველი" (მიწიშვილი, 1926: 20-22).

გრიგოლ რობაქიძის პუბლიცისტიკის გაანალიზების დროს განსაკუთრებული ყურადღება აჭარის პრობლემასთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოს" 1918 წლის 31 მარტის (#70) ნომერში გამოქვეყნებულ მის წერილსაც - „დამაფიქრებელი. აჭარის გარშემო" მინდა მივაქციო. როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში თურქეთის ხელისუფლებამ კატეგორიული ფორმით გამოხატა პრეტენზია ამ რეგიონის მისასაკუთრებლად და აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა არა მარტო დიპლომატიის გზით მოინდომა, არამედ სამხედრო ესკალაციითაც.

გრ. რობაქიძე შეეცადა ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში აჭარის დამკვიდრებასთან დაკავშირებით არსებული პრობლემა, პირველ ყოვლისა, ისტორიული რეალობის გათვალისწინებით გაეანალიზებინა და შეეფასებინა.

სამწუხაროდ, ხსენებულ პუბლიკაციაში აღნიშნულ მოვლენის შესახებ გამოთქმულ ავტორისეულ მოსაზრებათა ის ნაწილი, სადაც მწერალი აჭარის მკვიდრთა რელიგიურ ფანატიზმსა და ამ მოვლენის შედეგად მათი ეროვნული ცნობიერების გადაგვარებაზე საუბრობდა, ნამდვილად არ შეესაბამებოდა რეალურად არსებულ მდგომარეობას. მიუხედავად იმისა, რომ მუსულმანურმა რელიგიამ ჩვენი აჭარელი თანამემამულეების ყოფა-ცხოვრებაზე მართლაც მოახდინა ზეგავლენა, ეს გარემოება ნამდვილად არ ქცეულა ქართული ფესვებისა და ადათ-ტრადიციებისაგან მათი მოწყვეტის განმაპირობებელ ფაქტორად.

როგორც ხსენებული პუბლიკაციიდან ნათლად ჩანს, ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში აჭარის საბოლოოდ დამკვიდრების

პროცესში უმთავრეს სირთულედ გრ. რობაქიძე იმ გარემოებას მიიჩნევდა, რომ ამ რეგიონში მცხოვრები „ჩვენი ღვიძლი ძმა ჩვენ ვერა გვცვნობდა“ და „ჩვენ შორის რაღაც უფსკრული იყო გათხრილი.“ მწერლის ხაზგასმით, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ერთმანეთისაგან „სხვადასხვა სარწმუნოებით დაყოფილი“ ერებიც მრავლად იყვნენ და ამით „მათი ეროვნული სიმთელე ოდნავადაც არ ირღვეოდა,“ იმდროინდელ აჭარაში ამ თვალსაზრისით არსებითად განსხვავებული მდგომარეობა არსებობდა.

კერძოდ, გრ. რობაქიძის შეფასებით, მართალია, აჭარა „ენით, ადათით, ზნით, ჩვეულებით სრულად ჩვენი“ იყო, მაგრამ ამ რეგიონის იმდროინდელი მკვიდრნი ისტორიული სამშობლოსაგან უკვე გაუცხოებული იყვნენ, რაც პირველ ყოვლისა „ისტორიული უკუღმართობის“ შედეგად მიღებული „ისლამის რწმენით“ აღმოჩნდა განპირობებული. და ეს მაშინ, როცა, მწერლის ხაზგასმით, „რელიგია რწმენის საკითხია, ეროვნება კი - სისხლის, ისტორიის, ფსიხიკის.“

აღნიშნული გარემოებით გულნატკენმა მწერალმა აჭარის მკვიდრი ჩვენი თანამემამულეების მიმართ გამოხატულ გულისტკივილს ხსენებულ პუბლიკაციაში მრავალმნიშვნელოვნად დასმული ამ პათეტიკური შეკითხვითაც შესძინა კიდევ უფრო მეტი სიმძაფრე: „როგორ დაგვანაწილა ასე სჯულმა, რომ ერთი მეორისთვის მტრები გამოვედით?“ (რობაქიძე, 2012: 336).

გრ. რობაქიძე არა მარტო ზოგადად სვამს ამ შეკითხვას, არამედ შესაბამის პასუხსაც სცემს მას. კერძოდ, მისი აზრით, აღნიშნული კითხვის „პასუხი შესაძლოა ორნაირი იყოს.

პირველი, ისლამი არ არის სჯული მარტო: მასში ბევრი რამ არის იმ ელემენტებიდან, რომელნიც ეროვნების საკავშირო მასალად ითვლებიან. სწორედ ისე - როგორც ებრაელობა: უკანასკნელი არ არის მარტო სჯული: კიდევ მეტი: იგი თვითონ ეროვნებაა. და აი: ისლამში გადასული სული ეროვნულად გვარდება. ასე მოხდა ალბათ აჭარლების გადაგვარებაც. მათ ისტორიულად მიიღეს ისლამი და ისლამმა მათი ეროვნული (ამ შემთხვევაში - ქართული) ფსიხიკა შესცვალა, გადახარა „თათროზისაკენ“.

მეორე. შესაძლოა, იმ ხანებში, როცა აჭარა ოსმალეთში მოექცა, ქართული ეროვნული სული მისუსტებული იყო ძალზე: დაავადებული, ღონე მიხდილი, მოქანცული. სუსტმა ეროვნულმა სულმა აჭარელში ვერ გაუძლო ძლიერს ისლამურს რელიგიურს ნებას და

კიდეც გადაგვარდა იგი: მასში სჯულმა სძლია ეროვნებას. ალბათ ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ აჭარელი თავის თავს „თათარს“ უწოდებს...

ასეთია შესაძლო ორი ახსნა. ჩვენ სიმართლეს ორივეში ვპოულობთ. კიდევ მეტი: ჩვენ ორივე შეხედულების შეერთება მიგვაჩნია სიმართლედ... ამ ორმა ფაქტორმა წარმოშვეს დღევანდელი აჭარა - ჩვენი გადაგვარებული ძმა, რომელსაც აღარ ესმის ინტერესი ერთიანი მთლიანი „საქართველოისა“ (რობაქიძე, 2012: 337).

როგორც დამოწმებული ფრაგმენტიდან ნათლად ჩანს, აჭარის მკვიდრთა ეროვნული ცნობიერების გრიგოლ რობაქიძისეული შეფასებანი ამ კონკრეტულ შემთხვევაში აშკარადაა მოწყვეტილი რეალობას. ისტორიული ავბედობის გამო წინაპართა რელიგიური რწმენისაგან იძულებითი მოწყვეტის მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის ამ რეგიონში მცხოვრებმა ჩვენმა მოძმეებმა მაინც შეძლეს თავიანთი ეროვნული იდენტობის მტკიცედ დაცვა და მყარად შენარჩუნება.

ასე რომ, ავტორისეული შეფასება იმასთან დაკავშირებით, თითქოს მუსლიმანური სარწმუნოების მიღების შედეგად აჭარის ქართველობა „ჩვენს გადაგვარებულ იმ ძმად“ იქცა, რომელსაც „უკვე არც აღარაფერი ესმოდა ერთიანი მთლიანი საქართველოისა“და აღარც რაიმე ინტერესი აკავშირებდა მასთან, აშკარად არ მცდარია და პრინციპულად არ შეესაბამება რეალობას.

გრ. რობაქიძის პუბლიცისტური წერილების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად იმდროინდელ მოღვაწეთა პიროვნული ღვაწლის შეფასებაც იქცა. ამ პუბლიკაციების მეშვეობით მან მისეული თვალთახედვით ცადა შეეფასებინა როგორც ცნობილ ხელოვანთა შემოქმედებითი მემკვიდრეობის ცალკეული მხარეები, ისე ქართველ და უცხოელ პოლიტიკოსთა ნააზრევიცა და პრაქტიკული მოღვაწეობაც.

ხსენებული პუბლიკაციებისთვის ფართოდ დამახასიათებელ ერთ-ერთ ტენდენციას ისიც წარმოადგენს, რომ შესაბამისი დროისათვის ფართოდ აღიარებულ ამ პიროვნებათა ღვაწლის შეფასების დროს მწერალი მხოლოდ პოზიტიურ მხარეთა წარმომჩენის როლში კი არ გვევლინება, არამედ მისთვის არსებითად მიუღებელ მხარეებზეც მსჯელობს ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვისა და შენიღბვის გარეშე. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამგვარი კრიტიკული მოსაზრებების გამოთქმის დროს იგი ხშირად საკმაოდ ხისტია და პირდაპირი.

მაგალითად, გაზეთ „ბარრიკადის“ 1920 წლის 25 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში - „ნოე ჟორდანია“ გრ. რობაქიძემ მისი სტილისათვის ფართოდ დამახასიათებელი სიტყვიერი ორნამენტულობითა და პათეტიზმით ცადა წარმოეჩინა ამ პოლიტიკური მოღვაწის პიროვნული პორტრეტის უმთავრესი შტრიხები. მიუხედავად იმისა, რომ ნ. ჟორდანიას ეროვნულ-პოლიტიკური ღვაწლის გრ. რობაქიძისეული შეფასება ამ შემთხვევაში აშკარად პოზიტიურია, იგი არც კრიტიკული შენიშვნების გამოთქმისგან იკავებს თავს.

მაგალითად: „ჟორდანიას პროფილი ძველი ღერბია სურნელოვან პერგამენტზე. მისი სახე თეთრი მედალიონია მოხუცი ბიბლიის. მასში მოჩანს კეთილშობილი რასსა: ქალდეას ველებში გამოხურვებული და კავკასიონის კალთებით განელებული. ქურუმები ძველად ღმერთებს ალბად ასეთი სახით ელაპარაკებოდენ... მე მიყვარს ჟორდანიას აცეცხლება: მაგრამ მის ანთებაში ტემპერამენტია სათნოების და არა ცეცხლი სიავის“ (რობაქიძე, 2012: 458).

ნოე ჟორდანიას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღვაწლის განმსაზღვრელ უმთავრეს ფაქტორად გრ. რობაქიძეს პირველ ყოვლისა ის გარემოება მიაჩნია, რომ მან რეალისტურად და ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეაფასა ჩვენი, როგორც „პატარა ერის ბიოლოგიური ენერგია.“ კერძოდ, მისი ხაზგასმით, ეს „ენერგია განსაზღვრულია და მისი ცხოვრების განვითარება შესაძლოა მხოლოდ გარეშე ძალების დახმარებით... ამ ძალების წარმომშობი კი ინტერნაციონალური დემოკრატიაა.“ გრ. რობაქიძის მტკიცებით, სწორედ ამიტომ „შემოიტანა ჟორდანიამ საქართველოში ინტერნაციონალიზმის იდეოლოგია. იგი ყოველთვის ხაზს უსვამდა ინტერნაციონალიზმს საქართველოს პოლიტიკაში.“

თუმცა ნ. ჟორდანიას პოლიტიკური მოღვაწეობის მაგისტრალურ მიმართულებად ქცეული ამ მოვლენის შეფასების დროს გრ. რობაქიძე მისი ამ პოლიტიკის ნეგატიურ მხარესაც აღნიშნავს და მას ასეთ შეფასებას აძლევს: „მაგრამ მის ხელში ჯოხი მეორე მხარეს იხრებოდა: ინტერნაციონალიზმი ანაციონალიზმში გადადიოდა. აქ არის სათავე ჟორდანიას ნაწერების წინააღმდეგობათა“ (რობაქიძე, 2012:459).

მიუხედავად ნ. ჟორდანიას მოღვაწეობისადმი გრ. რობაქიძის რამდენადმე გაორებული დამოკიდებულებისა, მის ამდაგვარ პოლიტიკას, როგორც ჩვენი ქვეყნის ევროპული ორიენტაციის არსე-

ბითად განმსაზღვრელ ფაქტორს, იგი ხაზგასმულად მაღალ შეფასებას აძლევს და წერს: „კიდევ უფრო მძაფრია მეორე ხაზი ჟორდანიას პოლიტიკური აზრის: საქართველოს ხსნა მხოლოდ დასავლეთშია. ჟორდანიამ დასტური დასდო საქართველოს რუსეთთან შეერთებას მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთის საშვალებით ევროპას ვეზიარებოდით. ხოლო იგივე ჟორდანია იყო პირველი მომხრე საქართველოს რუსეთიდან გამოცალკევებისა მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთი აზიაში საბოლოოდ ჩატოვებას გვპირდებოდა. აქაც, როგორც სხვაგან, მახვილია მისი ინტუიცია“ (რობაქიძე, 2012: 459).

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის პირველ ოცწლეულში რევოლუციურ ბრძოლათა ავანგარდში მყოფი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე მიმართულების (ბოლშევიკებისაც და მენშევიკებისაც) ქართველ ლიდერთა უმეტესობა თავისი პარტიული საქმიანობითაც და პიროვნული ცხოვრებითაც იმდენად აქტიურად იყო დაკავშირებული რუსეთთან, რომ ეს ქვეყანა მათი ნამდვილი სამშობლოს ნაცვალ ქვეყნად მიაჩნდათ. ასე რომ, ბევრი მათგანი თავის სამშობლოსთან მხოლოდ თავისი წარმომავლობით იყო დაკავშირებული და მის სამსახურში დგომას სასხვათაშორისო საქმედ მიიჩნევდა.

მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი წერეთელი ასეთ შეფასებას ნაკლებად იმსახურებს და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წარმართვის პროცესში, გრ. რობაქიძე მას სწორედ ამგვარ პიროვნებად რომ მიიჩნევდა, ეს გაზეთ „საქართველოს“ 1917 წლის 222-ე ნომერში გამოქვეყნებული მისი წერილითაც თვალნათლივ გამოჩნდა. კერძოდ, თბილისში ირაკლი წერეთლის იმდროინდელი სტუმრობა მან მის „დროებით სამშობლოში“ ჩამოსვლად შეაფასა, რითაც თვალნათლივ გამოხატა უკმაყოფილება იმის გამო, რომ თავისი აქტიური პარტიული საქმიანობით იგი იმხანად პირველ ყოვლისა რუსეთთან იყო დაკავშირებული და არა არა საკუთარ სამშობლოსთან.

ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად, დავიმოწმებ შესაბამის ამონარიდს ხსენებული წერილიდან: „ირაკლი წერეთელი დღევანდელ რუსეთში ალექსანდრე კერენსკის დიდსახელობას ეჯიბრება. თუ უკანასკნელი რევოლუციის „ნერვად“ არის მონათლული, პირველი რევოლუციის „ტვინად“ არის დასახელებული...

და აი, იგი ეწვია **დროებით სამშობლოს** (ხაზგასმა ჩემია - ა. ნ.) და როცა მისი ლექცია „ომი და რევოლუცია“ გამოცხადდა, გულის ფანცქალით სახელმწიფო თეატრს მივაშურე. მსურდა მენახა და მომესმინა ქართველი ვაჟი, რომლის სახელი მთელს დემოკრატიაში ჯადოსნურია და რომლის სიტყვა ნებაქცეული ფოლადია“ (რობაქიძე, 2012:. 202).

გრიგოლ რობაქიძის მიერ საანალიზო პერიოდში გამოქვეყნებულ წერილებს ერთი კუთხითაც მინდა მივაქციო ყურადღება - აფხაზებისადმი მისი დამოკიდებულების გამოვლინებით. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხს მის იმდროინდელ პუბლიცისტიკაში მხოლოდ ერთი წერილი მიეძღვნა - გაზეთ „საქართველოს“ 1918 წლის 1 მარტის ნომერში დაბეჭდილი სტატია გიორგი შარვაშიძეზე, ამ პუბლიკაციითაც თვალნათლივ გამოჩნდა აფხაზებისადმი ღრმად პატივისმცემლური მისი დამოკიდებულება.

პირველ ყოვლისა სწორედ ამ დამოკიდებულების აშკარა გამოხატულებას წარმოადგენს ის შეფასება, რომელსაც მწერალი იმხანად გარდაცვლილი აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მემკვიდრის - გიორგი შარვაშიძის ღვაწლისადმი ავლენს მისი სტილისათვის საზოგადოდ დამახასიათებელი სიტყვიერი არტისტიზმით.

როგორც ცნობილია, აფხაზი ხალხის ეს სახელოვანი შვილი რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის გამო მშობლიური აფხაზეთიდან ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო გამოძევებული. დევნილობის პერიოდში ძირითად საცხოვრებელ ადგილად მან ქუთაისი აირჩია. აფხაზეთში ცხოვრების დროსაც და დევნილობის ხანაშიც გ. შარვაშიძე რაინდული შემართებით იბრძოდა როგორც აფხაზთა, ისე ქართველთა ეროვნული ინტერესების დასაცავად.

თავისი პუბლიკაციით გრ. რობაქიძე შეეცადა, აფხაზი ერის ამ სახელოვანი შვილის ცხოვრებიდან აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რამდენიმე ეპიზოდის გახსენებით მასაც მიეგო სათანადო პატივი მისი ხსოვნისათვის.

გიორგი შარვაშიძის ეროვნული ღვაწლისადმი გრიგოლ რობაქიძის ამგვარ დამოკიდებულებაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ მცირე ამონარიდს ხსენებული პუბლიკაციიდან: „მთავარ ქუჩაზე მოდის ვინმე ცხენოსანი.

უკან მცველი მოჰყვება, იგიც ცხენზე მჯდარი. ცხენოსანი ნამდვილი მხედარი: მოხდენილი ჯდომა - თითქო მბრძანებელია მგრძნობიარე ცხოველის...

გავიცანი: გიორგი შარვაშიძე, შვილი აბხაზეთის უკანსაკნელი მთავრისა... იცის ევროპიული ენები: ფრანგული, ინგლისური, გერმანული, - განსაკუთრებით ფრანგული. ზედმიწევნით იცის რუსული... იცის ძვირფასად ქართული, აფხაზური, მეგრული... იგი თვითონ მწიგნობარია: რუსთაველი ზედმიწევნით იცის. თვითონაც სწერს: ლექსებს, პოემებს, დრამებს...

ბაასის საგანი ხშირად საქართველოა. გაბედულება მისი საკითხის გადაწყვეტაში, არავითარი კომპრომისი, სრული თავისუფლება - აი, მისი ფიქრის ხვეული... ამ დღეებში ამბავი მოვიდა მისი სიკვდილის: - მოგვშორდა ქართული რასის ნამდვილი ვაჟი" (რობაქიძე, 2012: 322).

საანალიზო პერიოდი გამონაკლისი არ ყოფილა და ეროვნული პრობლემატიკა გრიგოლ რობაქიძის მთელი შემდგომდროინდელი შემოქმედებისთვისაც იქცა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებად. ამის თვალნათლივ დადასტურებას წარმოადგენს როგორც მწერლის მხატვრული და პუბლიცისტური მემკვიდრეობის არაერთი ნიმუში, ისე იმდროინდელ ეროვნულ და პოლიტიკურ პროცესებში თავად მისი აქტიური მონაწილეობაც.

ალექსანდრე აბაშელი

მეოცე საუკუნის ქართული ლირიკის ცნობილი წარმომადგენელი ალექსანდრე აბაშელი (ჩოჩია. 1884-1954 წწ.) 1900-იანი წლების მიწურულს გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე და იმთავითვე მიიქცია ყურადღება, როგორც პოეტური სიტყვის ნიჭიერმა ოსტატმა. ახალგაზრდა პოეტის წარმატებული შემოქმედებითი დებიუტის დადასტურებაა ის დიდი გამოხმაურებანი, რაც გამოქვეყნებისთანავე ხვდა წილად მის პირველ ნაწარმოებებს ლიტერატურული საზოგადოებისა და კრიტიკოსების მხრიდან.

როგორც ალ. აბაშელის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან თვალნათლივ ჩანს, მისი პოეტური მემკვიდრეობის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად თავიდანვე დამკვიდრდა ეროვნული პრობლემისადმი ავტორის მიერ გამოვლენილი უდიდესი ინტერესი. მკითხველისათვის ადვილად გასაგები გარემოებებიდან გამომდინარე, ხსენებულმა თემამ პოეტის შემოქმედებაში კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა 1917-1918 წლებში რუსეთის იმპერიაში განვითარებულ დიდმნიშვნელოვან მოვლენათა შედეგად, რასაც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მოჰყვა.

კერძოდ, ალ. აბაშელი უდიდესი აღფრთოვანებით გამოეხმაურა 1917 წლის თებერვლის რევოლუციას, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე ოცნების აღმსრულებელ რეალურ შესაძლებლობად მიიჩნია. ეს თვალთახედვა ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე, დიდი ემოციური აღფრთოვანებითაა გამოხატული პოეტის იმდროინდელ ლექსებში. გავიხსენოთ, მაგალითად, „სიხარულის ცრემლი" (1917 წ. მარტი), რომელშიც რევოლუციის გამარჯვებით მოგვრილი აღტაცება ამგვარადაა გამოვლენილი:

ენა როგორ არ დამუნჯდეს? თვალი როგორ არ გაგიჟდეს -
მზეს დილითაც არ ელოდე - შუაღამით აგაზგიზდეს?!
ათასი წლის შავი ღამე ერთმა წამმა გააშუქოს!
სასწაული უფრო დიდი ზეცამ მიწას არ აჩუქოს?..

პოეტის ეს აღფრთოვანება ღრმად ემოციური გამოხატვა იყო იმ საყოველთაო სიხარულისა, რომლითაც იმდროინდელი ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი იყო მოცული. „შვების ცრემლით ანათრთოლი" თავისი იმდროინდელი გულისხმა და „ნეტარების

ლხენის წამით" მოგვრილი ეს დიდი სიხარული ალ. აბაშელმა იმხანად შექმნილ თავის სხვა ლექსებშიც გამოხატა. ერთ-ერთი მათგანი იყო „კვლავ აენთო ჩემი დილა" (1917 წ. 12 მარტი), რომელშიც „ფრთალაღი სურვილებით" აღფრთოვანებული პოეტი გრძნობამორეული შეხაროდა „შუქნაფეთქ დედამიწას" და არაორაზროვნად გვიმჟღავნებდა ამ უჩვეულო აღტაცების განმაპირობებელ მიზეზს:

ბნელ წარსულში განაჭედი ცვივა ჯაჭვი დამსხვრეული,
ტირის ჰანგი ძველი ქვეყნის, ახალ ჰიმნით დაძლეული.
გულში ბოღმად დანაგები სულის სწრაფვა ამსხვრევს საკანს
და მზის შუქი დასთამაშებს ახალ ქვეყნის მზიურ აკვანს
და იცვლება ბრძოლის ცეცხლში უკუღმართი მონის ბედი,
ბნელ წარსულში განაჭედი.

ალ. აბაშელის ამ დიდი სიხარულის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს უპირველეს ყოვლისა, იმის რწმენა წარმოადგენდა, რევოლუციის გამარჯვებას საქართველოს განთავისუფლება და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა რომ მოჰყვებოდა. მართალია, იგი ამ გამარჯვებას, როგორც 1905 წლის რევოლუციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, სოციალური უსამართლობის დათრგუნვის გზაზე წინგადადგმულ ნაბიჯადაც თვლიდა და მას „ბნელ წარსულში განაჭედი უკუღმართი მონის ბედის" დამამსხვრეველ ძლევამოსილ ძალადაც მიიჩნევდა, მაგრამ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის უმთავრეს მონაპოვრად ის უწინარესად მაინც ეროვნული იდეალის აღსრულებას მიიჩნევდა.

ამ თვალსაზრისის ერთ-ერთ ნათელ დადასტურებას წარმოადგენს „ცეცხლის მახვილი" (1917 წ.), რომელშიც ავტორი აღტკინებით საუბრობს თავისი სამშობლოსთვის ნანატრი თავისუფლების მომტან ძლევამოსილ ბრძოლებზე. იმპერიის დასამხობად ამბოხებულ იმდროინდელ სახალხო ამბოხებას ალ. აბაშელი ხან ქარიშხალს ადარებს, ხან მოვარდნილ გრიგალს, ხანაც გამძვინვარებულ ხანძარს. „იშვა გრიგალი ალისფერი და ფრთამრავალი. კოშკი დაინგრა და გამოჩნდა დროშა სხვა სახის. ელვამ აჰკვეთა შავი ლანდი ჩრდილთა ცახცახის და წითელ მთაზე მზე აენთო ამომავალი", - ამბობს პოეტი და აღტაცებით აღწერს „მტირალი სასახლის კვნესასა" და „ცად მიმავალი ცეცხლის სიმღერას". ასე გაუხსნა „რისხვის მახვილმა" გზა „ახალი ქვეყნის ეტლს" და „ორი ქვეყნის შუა სისხლის ხაზმა დასდო საზღვარი". ამ ბრძოლათა უმთავრეს მონაპოვრად ალ. აბაშელს ის მიაჩნია, რომ „ბედის სასწორი სინათლისკენ გადაიხარა და უფსკრულიდან მზე ანათებს ამომავალი".

ხსენებული ლექსების მეშვეობით მკითხველი ნათლად შეიგრძნობს იმ დიდი სიხარულის არსს, რითაც ალ. აბაშელი 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებას გამოეხმაურა.

ალ. აბაშელის პოეტურ ბიოგრაფიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მონაპოვარია ის ლექსები, რომლებშიც მან საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციითა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვით განპირობებული თავისი დეპრესიული სულიერი განცდები გამოხატა. ჩემი აზრით, შემოქმედებითი მოღვაწეობის ეს პერიოდი პოეტური ოსტატობის მხრივაც ყველაზე მეტად ავლენს მის ლიტერატურულ შესაძლებლობებს. კერძოდ, ალ. აბაშელმა სწორედ ამ დროს შექმნა თავისი ლირიკის ის ნიმუშები, რომელთაც არსებითად განსაზღვრეს მისი როლი და ადგილი მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ისტორიაში. ეს ლექსები 1929 წელს ალ. აბაშელმა ცალკე კრებულად გამოსცა „გაბზარული სარკის" სახელწოდებით და იმთავითვე მოექცა ლიტერატურული კრიტიკის ყურადღების ცენტრში.

თუმცა „გაბზარული სარკისადმი," საერთოდ, პოეტის შემოქმედებითი მოღვაწეობისადმი, იმჟამინდელი კრიტიკის მიერ იმხანად გამოვლენილი ამგვარი ინტერესის შეფასების დროს, გულისტკივილით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს დამოკიდებულება ფაქტობრივად თითქმის მთლიანად მკვეთრად ნეგატიური იყო და ალ. აბაშელის პოეზიას, თავისი ყველა გამოვლინებით - სათქმელითაც, პოეტური ოსტატობითაც, ავტორის მოქალაქეობრივი პოზიციითაც - ჩვენი მწერლობისათვის, საერთოდ, საბჭოთა იდეოლოგიისა და ყოფისათვის სრულიად მიუღებელ მოვლენად მიიჩნევდნენ.

ეს გარემოება შემთხვევითი არ ყოფილა და, უპირველეს ყოვლისა, იმით იყო განპირობებული, რომ ალ. აბაშელის ეროვნულ-მოქალაქეობრივი თვალთახედვა მკვეთრად ემიჯნებოდა და უპირისპირდებოდა სოციალისტურ იდეოლოგიას. „გაბზარულ სარკეში" თავმოყრილი ლექსების უდიდესი ნაწილი სწორედ ამ კუთხით იქცევს ყურადღებას და ნათლად ავლენს ავტორის ნეგატიურ დამოკიდებულებას ახალი ეპოქისადმი. ამ თვალსაზრისით ალ. აბაშელის წიგნი მეტად გაბედულ სიტყვას წარმოადგენდა იმჟამინდელ ქართულ მწერლობაში. კერძოდ, ხსენებული კრებულის ავტორი ფაქტობრივად ყოველგვარი შენიღბვის გარეშე გამოხატავდა იმ მამულიშვილთა პატრიოტულ გულისთქმასა და მისწრაფებებს, რომლებიც სოციალისტური იდეოლოგიისადმი ნეგატიურად იყვნენ

განწყობილი და მყარ ეროვნულ პოზიციებზე იდგნენ. ამ შემთხვევაში მხედველობიდან არამც და არამც არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოებაც, რომ ყოველივე ამის საქვეყნო დეკლარირება იმ დროს მოხდა, როცა ქვეყნად უკვე დამყარებული იყო იდეოლოგიური დიქტატურის სისხლიანი რეჟიმი და საბჭოთა ეპოქის ყოველ მოწინააღმდეგეს ხელისუფლება უმკაცრესად უსწორებდა ანგარიშს.

ამისდა მიუხედავად, ალ. აბაშელს ეყო პიროვნულ-მოქალაქეობრივი გაბედულება და თავისი პოეტური სიტყვით მკვეთრად დაუპირისპირდა გაბატონებულ იდეოლოგიას. მის ამ გაბედულებაში რომ არაფერი იყო მოულოდნელი, ამას მისი ბიოგრაფიის დღეს უკვე ფართოდ გახმაურებული ერთი ძალზე შთამბეჭდავი ფაქტიც ადასტურებს - ოციან წლებში კონსტანტინე გამსახურდიასთან, პავლე ინგოროყვასთან და ვახტანგ კოტეტიშვილთან ერთად გადაღებული ის ფოტოსურათი, რომელზეც სამშობლოს თავისუფლების დაკარგვით დამწუხრებული ეს ოთხი მამულიშვილი, ნიშნად ეროვნული გლოვისა და არსებული ხელისუფლებისადმი პროტესტის გამოხატვისა, შავ ჩოხებშია გამოწყობილი.

„შავჩოხიანთა" ეს ფოტოსურათი უბრალო პოზიორობა რომ არ ყოფილა, ამას მათი მაშინდელი მოღვაწეობაც ნათლად ადასტურებს. კერძოდ, საქართველოს გასაბჭოების პირველი დღეებიდანვე მათ აქტიურად დაიწყეს ბრძოლა ხელისუფლების წინააღმდეგ და შექმნეს ე. წ. აკადემიურ მწერალთა ასოციაცია, რომელშიც, მათთან ერთად, შექმნილი მდგომარეობით უკმაყოფილო სხვა მწერლებიც გაერთიანდნენ. ალ. აბაშელი აქტიურად იდგა ამ მოვლენათა ცენტრში. იგი იყო რედაქტორ-გამომცემელი აკადემიურ მწერალთა ასოციაციის ერთერთი პერიოდული ორგანოსი - ჟურნალ „ხომალდისა", რომელიც ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გამოხატავდა ქართველ მამულიშვილთა იმდროინდელ ანტისახელმწიფოებრივ თვალთახედვას.

ალ. აბაშელის ეროვნული მრწამსის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამის ნათელსაყოფად მისი იმდროინდელი პოეტური შემოქმედებიდანაც დავიმოწმებ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს. მაგალითად, აი, როგორი შეფასება მისცა მან 1921 წლის თებერვალ-მარტში ჩვენი ქვეყნისათვის თავსდატეხილ ტრაგედიას იმხანად დაწერილ ლექსში „ჩამქრალი სანთელი":

> უცებ მოვარდა ქარიშხალი ზღაპრულ დევებით
> და ატორტმანდა მწვანე სივრცე ცეცხლის რკალებში.
> აივსო ჩემი ბრძოლის კოშკი ცის ნანგრევებით

და ქარმა სილა მომაყარა ღია თვალებში...
გუგუნებს ქარი და ოცნება თვალს ველარ ახელს,
გაბზარულ მიწას ხშირად უვლის ტანს ჟრუანტელი.
შარავანდედი ეკარგება პოეტის სახელს,
ვაიმე, ჰქრება პოეზიის წმინდა ნათელი!..

1921 წლის ტრაგიკულ მოვლენათა პოეტური ანარეკლია აგრეთვე „შორეული ნაპირიც" (1921 წ.), სადაც შემაძრწუნებელი ფორმითაა საუბარი იმაზე, როგორ „მოვარდა ქარი ცეცხლის ფაფარით" და „ტყვიისმფრქვეველების კაკანით" დათრგუნულ ქვეყანაში „სივრცე დაეთმო შავ-ფრთიან გველებს, რომელთაც „სხვა ბორკილითა და სხვა არტახებით შეცვალეს აწყვეტილი მერიდიანები". აი, როგორ გამოხატავს „დროთა საზღვარზე შემოღამებით" გულდაკოდილი პოეტი თავის ამ უმძიმეს სულიერ განწყობილებას:

დაჰკრავს საათი კერპთა დასეტყვის,
მიწას მოივლის ცეცხლის გოდება
და ძველ ქვეყანას რექვიემს ეტყვის
ჩემი ნაღვლიან სულის გოდება.
ოხ, ჩემთვის ძნელი მისაღებია
შურისძიება ახალ მეტოქის,
ცეცხლის ეკრანზე ისახებიან
ძვირფასნი ჩრდილნი წარსულ ეპოქის.
ცეცხლში უეცრად გადასხვაფერდა
ძველი ფიქრები და იმედები
და ილეწება ბორკილთან ერთად
წარსულ დიდების თეთრი სვეტები.
და ერის ტანჯვის გამომხატველი
იზრდება გულში ორი მწვერვალი,
ერთი ნაღველის ორი სახელი:
კრწანისის ველი და თებერვალი.
და ჩემს ფიქრებში ცრემლი გროვდება,
ვიღაც ჩურჩულებს: არ არის მკვდარი,
დროთა მიჯნაზე საღამოვდება,
სადღაც ჰქვითინებს მწუხარე თარი...

მრავლისმთქმელია ის ფაქტი, რომ ლექსის ამდაგვარი ვარიანტი მხოლოდ ჟურნალ „ხომალდის" პირველ ნომერში დაიბეჭდა 1921 წელს, „გაბზარულ სარკეში" კი იგი რამდენადმე შერბილებული სახითაა დასტამბული. კერძოდ, კრებულში გამოქვეყნებული მისი ვარიანტიდან ამოღებულია ის სტროფი, რომელშიც თებერვალში ჩვენი ქვეყნისთვის თავსდატეხილი უბედურება კრწანისის ტრაგედიასთანაა გაიგივებული.

გასაბჭოების შედეგად ჩვენი ქვეყნისთვის თავს დატეხილი უბედურების განცდა კიდევ უფრო მძაფრდება მომდევნო წლებში შექმნილ ნაწარმოებებში. მაგალითად, 1922 წელს დაწერილ „ტანჯვის ბარძიმში“ პოეტი გულისტკივილით საუბრობს იმაზე, როგორ „დაუხშეს და მოუშხამეს მას ფიქრთა სურნელება“. „ყოველი მხრიდან გამოკეტილ ქვეყანაში“ მისი „დაბმული სული ვერ პოულობს ვერსად გასაქანს“. ახალი ეპოქის მიერ ქვეყნად დამკვიდრებული ცხოვრებისეული სინამდვილე კი ნაწარმოებში ამგვარადაა შეფასებული: „ასპიდ გველივით იკბინება ყოველი წუთი და თავს ბალიშად ენატრება სისხლის ლანგარი“.

„გაბზარულ სარკეში“ თუმცა ძალზე სუსტად და მკრთალად, მაგრამ მაინც, იმის შორეული იმედიც გამოკრთის, რომ ქვეყნისთვის თავსდატეხილი ეს ახალი უბედურება ოდესმე აილაგმება, „შემოღამების გათავდება ფერისცვალება“ „და საქართველო კვლავ მოისხამს ნათელ შარავანდს“ („თეთრი კოშკი“, 1922 წ.).

„ძველი კოლხეთის ამაყ ღერძის კვლავ გაბრწყინებისა“ და ნინოს ჯვრის „სათნოების აყვავების“ მოლოდინი, რაც ალ. აბაშელის ლექსში სიზმარეული ოცნების სახითაა გამოხატული, სისხლხორცეულად უკავშირდება „თამარის დარკინულ ციხესა“ და „ბრძოლის ჯაჭვით გადახაზულ დარიალზე“ საუბარს.

ვფიქრობ, მკითხველი ადვილად გაიცნობიერებს ამ მხატვრულ სახეთა მიღმა ნაგულისხმევ აზრობრივ ქვეტექსტს და დიდი ახსნა-განმარტება არ დასჭირდება იმის გარკვევას, რისთვის უკავშირდება საქართველოს კვლავ გაბრწყინებისა და მკვდრეთით აღდგომის ავტორისეული სურვილი თამარის ეპოქის გახსენებასა და დარიალის კარების ჩაკეტვას. თუმცა ლექსიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ ავტორის ეს ოცნება მხოლოდ რეალურ საფუძველს მოკლებული წარმოსახვის ნაყოფია და ბედნიერი სიზმრიდან გამორკვეულ პოეტს სულ სხვა სინამდვილე უკლავს გულს.

სიზმრით დაბინდულს მოგონებას შეეშინდება,
როცა დასცვივა დანგრეული კედლის თაღები,
ციხეს დასწვავენ მძარცველები და ყაჩაღები
და დათალხული თეთრი კოშკი აქვითინდება.

საბჭოთა ეპოქისადმი ალ. აბაშელის ოპოზიციურმა დამოკიდებულებამ და ეროვნული პრობლემის განცდა-გააზრებამ კიდევ უფრო მეტი სიმძაფრე შეიძინა 1924 წლის სისხლიანი ტრაგედიის შემდეგ. სწორედ ამ მოვლენის პოეტური გამოძახილია ლექსი „სიცხე

ქალაქში“ (1924 წ.), რომელშიც ქვეყნად დამკვიდრებული ვითარება ამგვარადაა დახასიათებული:

ქალაქის მტვერში ყოველთვის მარცხვენს
ქვიშიან თვალთა უღონო ცქერა:
ხიფათი მარჯვნივ, ხიფათი მარცხნივ,
არ ვიცი გული რამ დამისერა.
არ ვიცი ქარმა სად გამაქროლა.
მბეზრდება მუდამ შიში და ძრწოლა
და მოლოდინი ყოველ წუთს მარცხის.

ახალ ხელისუფლებასთან ალ. აბაშელის ოპოზიციური დამოკიდებულება იმითაც იყო განპირობებული, რომ სოციალისტური იდეოლოგია მხოლოდ პარტიული თვალთახედვით აფასებდა სულიერი კულტურის მთელ მონაპოვარს და ყველა შემოქმედს, ვინც მის სამსახურში ფანატიკური ერთგულებით არ იყო ჩამდგარი, ხალხისა და ქვეყნის მტრად აცხადებდა. ამ გარემოებამ თუ, ერთის მხრივ, უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო ჩვენი მწერლობის უდიდესი და საუკეთესო ნაწილი, მეორეს მხრივ, ფართო ასპარეზი შეუქმნა ლიტერატურულ მედროვეებს. მათგან, პირველ ყოვლისა, ე. წ. პროლეტარული მწერლები უნდა დავასახელოთ, რომლებიც ახალი ხელოვნების შექმნის პრეტენზიით ცდილობდნენ აღზევებას და მკვეთრად იდეოლოგიზებული თავიანთი მდარე შემოქმედებით აგრესიულად უპირისპირდებდნენ ჭეშმარიტ ლიტერატურულ ღირებულებებს.

როგორც ალ. აბაშელის თანამედროვეთა მოგონებებიდანაც და თავად პოეტის შემოქმედების ცალკეული ნიმუშებიდანაც ნათლად ჩანს, ბოლო ხანს იგი თურმე მწვავედ განიცდიდა იმ გარემოებას, რომ შექმნილი რეალობის შედეგად იძულებით კომპრომისზე წასვლის გამო ისიც იქცა არაერთი კონიუნქტურული პოეტური ტექსტის ავტორად. პირველ ყოვლისა, სწორედ ამ სინანულის მძაფრი თვითგანცდის ანარეკლია ეს სულის შემძვრელი ლექსიც, რითაც მისი დიდი პოეტური წიგნი დაიხურა:

ხანდახან ფიქრი დამბურავს, ვწევარ და არ მეძინება.
ვიტყვი ცხოვრების სამდურავს და ცრემლი დამედინება.
გზას რომ გავხედავ ნისლიანს, ჩავქრები, ჩავიშრიტები:
გზაზე რომ ყრია - ვისია ფრთამოტეხილი ჩიტები?
ნუთუ ეს ჩემი ლექსების მწარე ხვედრია ასეთი?
ამაოდ ვეალერსები, - არ აფრინდება არც ერთი.
მე ამ გზას რისთვის გავყევი ჯადოქარ ხმათა მძებნელი?
დავალ და ლექსებს გავყივი, - არვინ მყავს ყურის მგდებელი...

ან ვყოფილიყავ მეურმე, ან შავი მიწის მბარველი,
მე არ მყოლია მეურვე, არც ანგელოზი მფარველი,
ვერაფერს გავხდი მზისაკენ მუდამ ხელების აშვერით.
რაც გულს უნდოდა, ისა ვქმენ, მაგრამ ამაოდ დავშვერი...

მართალია, დროის მკაცრმა განაჩენმა ალ. აბაშელის შემოქმედებასაც შეახო თავისი მსახვრალი ხელი და მის პოეტურ მემკვიდრეობაშიც მოახდინა ჭეშმარიტ სულიერ ღირებულებათა გადაფასება, მაგრამ ციტირებულ ლექსში ესოდენი სიმძაფრით გამოხატული ავტორისეული სინანული, მისი უკიდურესი გულწრფელობის მიუხედავად, ბოლომდე გასაზიარებელი მაინც არ არის, ვინაიდან პოეტის საგულისხმო ლიტერატურული ღვაწლის გაუთვალისწინებლად მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის სრულყოფილი ისტორია ვერ დაიწერება.

გიორგი ქუჩიშვილი

იმ ქართველ მწერალთა შორის, რომელთა შემოქმედებაშიც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით განპირობებული ემოციის გამოხატვამ გამორჩეულად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა, უსათუოდ უნდა მოვიხსენიოთ გიორგი ქუჩიშვილი (ჩხეიძე). არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ იმხანად გამოქვეყნებული თავისი ლექსებით ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას ღრმად შთამბეჭდავი ემოციით ერთ-ერთი პირველი სწორედ იგი გამოეხმაურა ყველაზე მეტად. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმდროინდელ პრესაში დაბეჭდილი ამ ლექსების ნაწილი დღევანდელი მკითხველისათვის უცნობია, რადგანაც საბჭოთა პერიოდში მრავლად გამოცემულ მის წიგნებში ისინი, იმდროინდელი იდეოლოგიური პოლიტიკიდან გამომდინარე, შეტანილი არ ყოფილა.

გასული საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში გ. ქუჩიშვილის შემოქმედებითი წვლილის წარმოჩენის დროს აქ ის შეფასებებიც მინდა გავიხსენო, რასაც მწერლის თანამედროვე კოლეგები აძლევდნენ მის მხატვრულ ნააზრევს. მაგალითად, გ. ქუჩიშვილისადმი მიმართულ თავის ერთ-ერთ ჩანაწერში გალაკტიონ ტაბიძე წერდა: „მე კი არა, ვის არ უყვარხარ, გიორგი, ვინ არ სცემს პატივს შენს არაჩვეულებრივ თავმდაბლობას, შენს იშვიათ პატიოსნებას, შენს გულწრფელობას, შენს პირდაპირობას.

შენა ხარ იშვიათი მაგალითი იმისა, თუ როგორ არ უნდა გადაუხვიოს პატიოსანმა პოეტმა ერთხელ არჩეულ გზას...

შენი ლექსებით გაჭედილია სახელმძღვანელოები“ (ტაბიძე, 1975: 550).

კიდევ უფრო მაღალი შეფასება მისცა გიორგი ქუჩიშვილის პოეტურ შემოქმედებას იოსებ გრიშაშვილმა. კერძოდ, მისი აღიარებით, „გიორგი, როგორც პოეტი, ქართული პოეზიის მოვარდნილ ჩანჩქერს“ წარმოადგენდა (გრიშაშვილი, 1985: 77).

გ. ქუჩიშვილის პოეტურ ღვაწლს ანალოგიურ შეფასებას აძლევდნენ ისეთი მაღალინტელექტუალური ლიტერატურათმცოდნენიც, როგორებიც იყვნენ გერონტი ქიქოძე და აკაკი გაწერელია. მაგალითად, გ. ქიქოძის აზრით, „პოეტმა, რომელმაც თავისი ცხოვრების პირველი ნაწილი შიმშილში გაატარა, ხოლო მეორე - ბრძოლაში,

მაინც ამდენი პატარა ლირიკული შედევრი დაგვიტოვა“ (ქიქოძე, 1958: 340).

აკაკი გაწერელიას ხაზგასმით კი „გიორგი ქუჩიშვილი თხემით ტერფამდე ქართველი რაინდი იყო... მისი საუკეთესო ლექსები უფრო მეტად შეიცავენ პოეზიას, ვიდრე ნაირნაირი ჩიქორთული ზაუმები და სხვა მისთანა „ტვინის ჭყლეტანი.“ მას აკლია მაღალ რანგში აყვანის ნიშნები, რის გამოც წმინდა ესთეტიკური კრიტერიუმით მისი შეფასება შეუძლებელია, მაგრამ იგი დარჩა, როგორც ეპოქის დოკუმენტი, ფუტურისტული აბრაკადაბრადან კი არაფერი დარჩენილა“ (გაწერელია, 1988: 258).

გიორგი ქუჩიშვილის შემოქმედებით ნააზრევს ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან შენაკადად მიიჩნევდა ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების“ რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილიც, რომელსაც უაღრესად მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული მისი პოეტური ქმნილებების გამოქვეყნების საქმეში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია 1917-1918 წლებში, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში, ხსენებულ ჟურნალში გამოქვეყნებული მისი ლექსები, რომელთა მეშვეობითაც პოეტი არა მარტო თავის პიროვნულ ემოციას გამოხატავდა ღრმად შთამბეჭდავი ფორმით, არამედ მთელი ქართველი საზოგადოების ეროვნულ აღტკინებასაც.

ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ი. იმედაშვილის მოგონებათა წიგნიდან „ჩემი ცხოვრების გზაზე:“ „თვითმპყრობელობის რეაქციის სასტიკ ხანაში გ. ქუჩიშვილის ჩანგის ჟღერა“ იყო „როგორც საყვირი, როგორც უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მომწოდებელი ხმა: ნათელი, გარკვეული, მზიანი სხივებით ჩამოგვირისტებული. ანკარა წყაროსავით მომდინარე მისი ბრძოლის ყიჟინა ყველას სწვდებოდა, განსაკუთრებით მშრომელ, ტანჯულ-წამებულ ხალხს ხომ გულზე მალამოდ ედებოდა...

იგი იყო ნამდვილი პოლიტიკური ტრიბუნი, რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგაც ყოველ მოვლენას გამოეხმაურებოდა ხოლმე მოკლედ, მაგრამ მკვეთრად და მკაფიოდ, რისი დასტურიცაა „თეატრსა და ცხოვრებაში“ თუნდაც 1917 წელს გამოქვეყნებული მისი ლექსები... მის ლექსებს ყოველთვის პირველ გვერდზე ვათავსებდი როგორც ბუკ-ნაღარას, როგორც მოწოდებას, როგორც

ლოზუნგს, - დიდი, ღრმა აზრის სხარტულად, მკაფიო და ნათელ გამოხატულებად“ (იმედაშვილი, 1978: 354).

ქართული ლიტერატურის ისტორიაში გიორგი ქუჩიშვილის გვარ-სახელით დამკვიდრებული მწერალი, რომლის ნამდვილი გვარიც ჩხეიძე იყო, დაიბადა 1886 წელს თელავის მაზრის სოფელ ვარდისუბანში. მამის ნაადრევად გარდაცვალების გამო იგი იმდენად მძიმე ყოფით გარემოში აღიზარდა, რომ დაწყებითი განათლების სრულყოფილად მიღებაც კი ვერ შეძლო და ბავშვობიდანვე ჩაება უმძიმეს შრომით საქმიანობაში. ამ გარემოებამ არსებითად განაპირობა ის ფაქტი, რომ გიორგი ქუჩიშვილი სიყმაწვილის დროიდანვე აღმოჩნდა დაკავშირებული სოციალური სამართლიანობისთვის აქტიურად მებრძოლ ანტისახელმწიფოებრივ რევოლუციურ ძალებთან. სახელისუფლებო რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული მისი ამ საპროტესტო დამოკიდებულების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ის დისკრიმინაციული ეროვნული პოლიტიკაც იქცა, რომელსაც რუსეთის იმპერიული ხელისუფლება ატარებდა ქართველი ხალხის მიმართ.

გ. ქუჩიშვილი არა მარტო პიროვნულ მონაწილეობას ღებულობდა 1900-1910-იან წლებში სოციალური სამართლიანობის დასამკვიდრებლად და ეროვნული ინტერესების დასაცავად გამართულ მასობრივ საპროტესტო გამოსვლებში, არამედ აღნიშნული პრობლემა მისი იმდროინდელი შემოქმედების უმთავრეს თემადაც იყო დამკვიდრებული.

ანტისახელისუფლებო საქმიანობაში ამგვარი აქტიური მონაწილეობის გამო იგი 1914 წელს დააპატიმრეს და რამდენიმე თვით სასჯელს იხდიდა ქუთაისის საგუბერნიო ციხეში.

გ. ქუჩიშვილი სამწერლო ასპარეზზე 1900-იან წლებში გამოვიდა და ამ დროიდან მოყოლებული, აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ჟანრობრივად მრავალფეროვანი მისი შემოქმედება თავიდანვე იქცა საყოველთაო ინტერესის საგნად. სწორედ ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მისი ნაწარმოებები არა მარტო იმდრინდელ პრესაში ქვეყნდებოდა, არამედ მისი პირველი და მეორე წიგნებიც კი საკმაოდ დიდი - 6 000-იანი ტირაჟითაც გამოიცა 1914 წელს.

გ. ქუჩიშვილის შემოქმედებითი დებიუტისადმი ლიტერატურული საზოგადოების ხაზგასმულად პოზიტიურ დამოკიდებულებაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად აქ პოეტის პირ-

ველ წიგნისათვის თანდართული პეტრე გელეიშვილის ბოლოთქმაც მინდა გავიხსენო, სადაც ხსენებული პუბლიკაციის ავტორი ახალგაზრდა პოეტის შემოქმედებით სიახლეებს საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა და მის მოქალაქეობრივ თვალთახედვას XIX საუკუნის ქართული მწერლობის ისეთი კორიფეების მსოფლმხედველობასთან მიმართებით აანალიზებდა, როგორებიც გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე იყვნენ.

კერძოდ, პ. გელეიშვილის შეფასებით, „ქუჩიშვილი სწერს იმ თემაზე, რაც თვითონ უშუამავლოთა და უმოციქულოთ განუცდია. ამიტომ არის, რომ ქუჩიშვილის ყოველი ლექსი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველებზე“ (ქუჩიშვილი, 1914: XIX). ამ თვალსაზრისის დასტურად იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა გ. ქუჩიშვილის მიერ წარმოსახული მუშის სოციალურ თვალთახედვაზე და მის აქტიურ საბრძოლო სულისკვეთებას ხაზგასმული ფორმით უპირისპირებდა გრ. ორბელიანისა და ი. ჭავჭავაძის მიერ ამავე თემაზე შექმნილი ლექსების მეშვეობით გამოხატულ მოქალაქეობრივ თვალთახედვას, რის შედეგადაც ასეთ დასკვნას აყალიბებდა: გრ. ორბელიანისა და ი. ჭავჭავაძის მიერ წარმოსახული მუშა „უძლური, უღონო და პასიური ძალაა... სულ სხვაა გ. ქუჩიშვილის მუშა. ეს გუშინდელი პასიური, უსულო მანქანა, უსიტყვო და უიმედო მუშა დღეს აქტიურ ძალათ გადაქცეულა... იგი მებრძოლია და თვითონ სჭედს თავის მომავალს“ (ქუჩიშვილი, 1914: XX).

წინამდებარე ნაშრომის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, გიორგი ქუჩიშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობის გაანალიზებისა და შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება პირველ ყოვლისა მის მიერ შექმნილ იმ ტექსტებზე მინდა გავამახვილო, რომელთა მეშვეობითაც მან ღრმად შთამბეჭდავი ფორმით გამოხატა თავისი ნამდვილი ეროვნული გულისთქმა. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა 1921 წლის თებერვლამდე დაწერილი მისი ლექსები, რომელთა მეშვეობითაც პოეტი აქტიურად ეხმიანებოდა ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ ცხოვრებაში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მომხდარ დიდმნიშვნელოვან მოვლენებს.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული პრობლემატიკა გ. ქუჩიშვილის საბჭოთა პერიოდის დროინდელი შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს თემადაც იყო დამკვიდრებული, იმდროინდელი ცენზურულ-იდეოლოგიური პოლიტიკიდან გამომდინარე, ამ თემაზე მაშინ შექმნილი მისი ნაწარმოებები კონიუნქტურული აზროვნები-

თაცაა დაღდასმული და ნაკლებად შეესაბამება ავტორის ნამდვილ ეროვნულ და პოლიტიკურ თვალთახედვას.

გიორგი ქუჩიშვილი გარდაიცვალა 1947 წელს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში შექმნილ თავის ლექსებში გიორგი ქუჩიშვილმა ემოციური აღტკინებით გამოხატა აღფრთოვანება ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის გამო. ეს ამბავი შემთხვევითი მოვლენა რომ არ ყოფილა და გ. ქუჩიშვილის იმდროინდელ შემოქმედებაში გამოვლენილი ამგვარი ეროვნული თვალთახედვა მანამდელი მისი მოქალაქეობრივი თვალთახედვის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა, ეს 1917 წლამდე დაწერილი მისი მხატვრული ნააზრევისთვის თვალის ერთი გადავლებიდანაც ნათლად ჩანს.

კერძოდ, დაწყებული 1900-იანი წლებიდან, სამწერლო ასპარეზზე მისი გამოსვლის პირველივე წლებიდან, გ. ქუჩიშვილის შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს თემად მყარად დამკვიდრდა ეროვნული პრობლემა. პოეტის მიერ ამ თემაზე იმხანად შექმნილი ლექსების მეშვეობით იგი არა მარტო იდეურად მოგვევლინა მისი წინამორბედი დიდი ქართველი მწერლების მემკვიდრედ, არამედ მათ შემოქმედებასთან თავისი ლექსების ტექსტოლოგიური მიმართებებითაც. კერძოდ, მის პოეტურ შემოქმედებაში ზოგჯერ აშკარად თვალხილული ფორმითაც კი იგრძნობა მათი ეროვნული და მოქალაქეობრივი მრწამსის ზეგავლენა. ამას ემატება ისიც, რომ მისი ლექსების გარკვეული ნაწილი მათი (პირველ ყოვლისა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის) სახე-სიმბოლოებითაცა და პოეტური ინტონაციებითაცაა აღბეჭდილი.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული პრობლემის გააზრება გ. ქუჩიშვილის 1921 წლამდელ შემოქმედებაში განუყოფელად აღმოჩნდა დაკავშირებული იმდროინდელ რევოლუციურ მოძრაობასთან. ეს გარემოება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ იგი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე წლებიდან მოყოლებული არა მარტო თავისი მოქალაქეობრივი მრწამსით იყო ამ მოძრაობასთან დაკავშირებული, არამედ პიროვნულადაც მონაწილეობდა იმდროინდელ რევოლუციურ გამოსვლებში, რისთვისაც ცხოვრების გარკვეული პერიოდი პატიმრობაშიც აქვს გატარებული.

გ. ქუჩიშვილის 1917 წლამდელ მოქალაქეობრივ თვალთახედვაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ რამდენიმე მაგალითს მისი მაშინდელი შემოქმედებიდან. ფრაგმენტი ქართლისადმი მიძღვნილი ლექსიდან (ქუჩიშვილი, 1914: 19):

მყუდროებაა... გარინდულ ზეცას სარღვევად მხოლოდ კვნესა შთენია
და ღამის ბინდი ნიშნად გლოვისა ხრიოკ მიდამოს გადაჰფენია!..
ჩემო ქვეყანავ! შენს უბედურ შვილს შენივე კვნესა სცემს გულში მახვილს
და უნუგეშო ოხვრა-გმინვად სცვლის ჩემს მხნე სიმღერას, ჩემს შემოძახილს...
მყუდროებაა... სატრფო გარემოს სდარაჯობს მწუხრი, სდარაჯობს ღამე;
გული ქვითინებს, გული მიტირის, - ო, ქართლო! ქართლო! მითხარი რამე!..

ან კიდევ (ქუჩიშვილი, 1916: 20):

ვინ გაჰბედა, ვინ იშიშვლა სასიკვდილოდ ერზე ხმალი?
ვინ აღმართა სისხლის დროშა, ვის მიუძღვის ცოდვა, ბრალი?
ღმერთო! ღმერთო! შენს წინაშე ვსდგავარ ლოცვად გულმწუხარე...
დაიფარე ჩემი ერი, დაიფარე ჩემი მხარე...

ფრაგმენტი ლექსიდან „შავ ფიქრებს“ (ქუჩიშვილი, 1916: 21):

კმარა, რაც სასომიხდილი ვიდექ სამარის კარადა!
უკვე გაისმა ქუხილი ყრუდ ქცეულ მთათ და ბარადა!
დასჭექე, ცაო, დასჭექე! ჩამოიქეცი ღვარადა!
წალეკე ძველი ცხოვრება ახალის დასამყარადა!

1917 წლის თებერვლის რევოლუციის წინანდელ პერიოდში გ. ქუჩიშვილის შემოქმედებაში გამოვლენილმა ამგვარმა ეროვნულ-პატრიოტულმა შემართებამ განსაკუთრებით დიდი მასშტაბები შეიძინა უშუალოდ ამ რევოლუციის წინარე ხანაში რუსეთის იმპერიაში განვითარებულ მოვლენათა შედეგად. როგორც ამ ლექსებიდან თვალნათლივ ჩანს, პოეტი აშკარად გრძნობდა, რომ რუსულ იმპერიულ სივრცეში არსებული რეალობა სასიკეთოდ იცვლებოდა, რაც ქართველ მამულიშვილთა ოცნებას ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით მყარ საფუძველს უქმნიდა.

გ. ქუჩიშვილის იმდროინდელი მრწამსის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ეს იმხანად დაბეჭდილი მისი ლექსებიდანაც თვალნათლივ ჩანს. კერძოდ, მის იმდროინდელ შემოქმედებაში პათეტიკური ფორმით გამოვლენილ საბრძოლო სულისკვეთებას ორი უმთავრესი ფაქტორი განსაზღვრავდა არსებითად - ერთის მხრივ, რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან ჩვენი ქვეყნის განსათავისუფლებლად მებრძოლ მამულიშვილთა ეროვნული იდეალებისთვის აქტიური მხარდაჭერა, მეორეს მხრივ კი არა მარ-

ტო სიტყვიერი თანადგომა სოციალური სამართლიანობის დასამყარებლად აღზევებულ ადამიანთა რევოლუციური მოთხოვნებისდმი, არამედ პიროვნული მონაწილეობის მიღებაც მათ მიერ გამართულ საპროტესტო გამოსვლებში.

ნათქვამისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტს 1917 წელს დაწერილი ლირიკული პოემიდან „შავი სამეფო“ (ქუჩიშვილი, 1963: 73):

> ძირს ბორკილები! - გრიალებდა ხალხი მრისხანე, -
> სიკვდილი ყველა პირსისხლიან ხალხის ჯალათებს!
> ჩვენ გავიმარჯვებთ! გაუმარჯოს თავისუფლებას!
> აწ ჩვენს კისერზე ვეღარავინ მოიკალათებს!
> და გაიმარჯვეს! ძირს დაემხო ქვეყანა ბველი,
> მის ნანგრევებზე დაიმარხა კაცთმოძულება,
> მაღლა ჰაერში აფრიალდა დროშა წითელი,
> სისხლით სწერია: „სისხლში იშვა თავისუფლება!“

ხსენებული პოემა გამონაკლისი არ არის და მაშინდელ დიდმნიშვნელოვან მოვლენათა ამგვარი თვალთახედვით წარმოსახვა და ქვეყნად შექმნილი ახალი რეალობის განდიდება გ. ქუჩიშვილის იმდროინდელი შემოქმედების უმთავრეს თემად იყო დამკვიდრებული. მაგალითად (ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება,“ 1917 წლის 1 იანვარი):

> ერო ჩემო, გვემულო, გენაცვალე გულითა,
> ხუნდებით დაცემულო, აღსდექ მტკიცე სულითა!
> შენის სენით სნეული ვკვნესი შენივ წყლულითა;
> შენ გიგალობ, გადიდებ ციურ სიყვარულითა!

როგორც ითქვა, საქართველოს გასაბჭოებამდე შექმნილი იმ პოეტური ტექსტების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა მეშვეობითაც გ. ქუჩიშვილი ღრმად შთამბეჭდავი ფორმით გამოხატავდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით განპირობებულ პატრიოტულ გრძნობებსა და ემოციებს, საბჭოთა პერიოდში გამოცემულ მის არც ერთ წიგნში აღარ დაბეჭდილა, რამდენიმე მათგანი კი 1921 წლით აღმოჩნდა დათარიღებული იმის ხაზგასასმელად, თითქოს მათი მეშვეობით გამოხატული ავტორისეული ეროვნული აღფრთოვანება ჩვენი ქვეყნის გასაბჭოებით იყო განპირობებული.

მაგალითად, ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების“ 1917 წლის 2 აპრილის ნომერში პირველივე გვერდზე გამოქვეყნებულ ლექსის - „აღდგომა“ დაწერის თარიღად სწორედ 1921 წელია დაფიქსირებუ-

ლი, რითაც ეს ნაწარმოები მკითხველს საქართველოს გასაბჭოებით განპირობებული ემოციის გამომხატველ პოეტურ ტექსტად წარუდგინეს. ლექსის თავდაპირველი ვარიანტისაგან განსხვავებით, გ. ქუჩიშვილის თხზულებათა პირველ, 1940 წელს გამოცემულ, ტომში გამოქვეყნებული ამ ლექსის ტექსტში მხოლოდ ორი ცვლილება იყო შეტანილი - ლექსს „აღდგომის" ნაცვლად საქართველო ერქვა, ხოლო მისი პირველი სიტყვა -„საქართველო" შეცვლილი იყო სიტყვით -„ერი" (თევზაძე, 1994: 223). ხსენებული ლექსის მეშვეობით გამოხატულ ავტორისეულ ეროვნულ სულისკვეთებაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ მის თავდაპირველ ვარიანტს:

ერი ჩემი აღსდგა მკვდრეთით, გზა მიეცით, ჩამოდექით!
გმირთა გმირი ამირანიც მოიმღერის გრგვინვა-ჭექით!
სანეტარო დახსნის ხმები ეფინება ზურმუხტ მდელოს,
გაუმარჯოს ბორკილაყრილ თავისუფალ საქართველოს!

ასევე მოხდა ჟურნალ „თეატრისა და ცხოვრების" 1917 წლის 2 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ ფართოდ ცნობილ ლექსთან - „ჩემი მხარე" დაკავშირებითაც. კერძოდ, გ. ქუჩიშვილის ლექსების 1940 წლის გამოცემაში ამ ნაწარმოების დაწერის თარიღად ნაცვლად 1917 წლისა 1925 წელია მითითებული.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წინარე ხანისა და ამ ისტორიული მოვლენის მოხდენით განპირობებული საყოველთაო ემოცია სწორედ იმხანად შექმნილი და გამოქვეყნებული თავისი პოეტური ტექსტებით ყველაზე მძაფრი ფორმით ერთ-ერთმა პირველმა გიორგი ქუჩიშვილმა გამოხატა. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ რამდენიმე მათგანს, რომლებიც საბჭოთა პერიოდში გამოცემულ მის არც ერთ წიგნში აღარ გამოქვეყნებულა: „ხალხის ბელადებს" (ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება," 1917 წ. 9 აპრილი):

აღმართეთ დროშა! გაშალეთ ფრთები; წინ, არწივებო ახალ ქვეყნისა!
დაე, თქვენი ხმა, - ერის გულისთქმა, - ისმოდეს როგორც ქუხილი ცისა!
ერის ტრიბუნნო! აღანთეთ ცეცხლი! დარეკეთ ზარი მოწოდებისა, -
რომ თქვენს ძახილზე, ბრძოლის დაფდაფზე, აღზდგეს ბანაკი მეომრებისა!

„თეატრი და ცხოვრება," 1917 წ. 29 აპრილი:

წალკოტი კეკლუც ივერიისა დღეს ჩვენგან ითხოვს ხსნასა და შველას,
და მეც, მებუკე, მისი მგოსანი, აქეთკენ გიწვევთ, ერთგულნო, ყველას!
ვისაც ჯერ კიდევ არ ჩაქრობია სამშობლოს ტრფობა და სიყვარული, -
ჩემსკენ ისწრაფოს! - დიდია ვალი! - ჩვენ უნდა ვიხსნათ ჩვენი მამული!

„თეატრი და ცხოვრება," 1917 წ. 5 მაისი:

ჰაუ, სადა ხარ, სად ბანაკობ, ჩემო ლაშქარო,
ველად გაჭრილი შენ გიყივის შენი მხედარი!
რად არ იღვიძებ, ერო ჩემო, ერო მძინარო,
რით ვერ გაფხიზლებს მტერთა შენთა რისხვა და ზარი!
წარმოძეხ წინა, ატეხილო გრიგალო, ქარო!
თან წარიტაცე სული ჩემი დაუდეგარი!
დაიჭიხვინე, არაბულო სწორუპოვარო!
ჰერი! გაჰკურცხლე! გადაჰქუსლე უდაბნო მკვდარი!

„თეატრი და ცხოვრება," 1917 წ. 12 მაისი:

ისე არ მოვკვდე, არ დავხუჭო სამიწე თვალი,
რომ არ გიხილო, სატრფოვ ჩემო, თავისუფალი!
ისე არ მოვკვდე, არ ჩავიდე ოხერ კუბოში,
რომ ძლევის დროშა არ აღვმართო ჩემს სამშობლოში!

„თეატრი და ცხოვრება," 1917 წ. 3 ოქტომბერი:

დაირაზმენით! თოფქვეშ დადგეს ყოველი კაცი!
ხმალ-ამოწვდილი სდარაჯობდეს თვის სადარაჯოს!
სიკვდილი მუხთალთ! გაუმარჯოთ დროშის ერთგულებს!
დაფნის გვირგვინი მტერთა ზედა ვინც გაიმარჯვებს!
ვაი შეთქმულებს! და ვაი მას, ვინც კი გაბედავს
და რესპუბლიკის წინააღმდეგ აღმართავს მახვილს!
ფხიზლად ბანაკო! მზად იყავი! ახლოა ჟამი!
ყური დაუგდე მთავარ-სარდლის მტერზე დაძახილს!

როგორც გ. ქუჩიშვილის შემოქმედებიდან ჩემ მიერ დამოწმებული ამ ლექსებითაც თვალნათლივ ჩანს, თებერვლის რევოლუციის უმთავრეს სიკეთედ მათი ავტორი უპირველეს ყოვლისა იმ გარემოებას მიიჩნევდა, რომ რუსეთის იმპერიის დანგრევა რეალურად ქმნიდა საფუძველს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით ქართველ მამულიშვილთა დიადი ოცნების ასახდენად.

გარდა ზემოთ განხილული ლექსებისა, იმდროინდელი მოვლენებისადმი გიორგი ქუჩიშვილის დამოკიდებულებაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად აქ პოეტის მიერ 1917 და 1920 წლებში გამოცემული პოეტური კრებულებიც - „ნანგრევებზე" და „ლექსები" მინდა გავიხსენო. მათში წარმოდგენილი პოეტური ტექსტების უმთავრესი მიზანსწრაფვის საგნადაც ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში სწორედ იმხანად მომხდარი დიდმნიშვნელოვანი მოვლენები იქცა. ამ მოვლენათა შედეგად იმხანად შექმნილი რეალობისადმი თავისი დამოკიდებულება პოეტმა იმითაც გამოხატა, რომ 1917 წლის თე-

გერვლის რევოლუციისადმი მიძღვნილი თავისი ერთ-ერთი ლექსის სათაური - „ნანგრევებზე“ იმხანად გამოცემული მისი წიგნის სახელწოდებადაც აქცია.

ხსენებული ლექსისა და, საერთოდ, აღნიშნულ კრებულში წარმდგენილი პოეტური ტექსტების პათოსსა და რუსეთის იმპერიაში იმხანად შექმნილი რეალობისადმი ავტორის დამოკიდებულებაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ ფრაგმენტებს აღნიშნულ კრებულში გამოქვეყნებული ლექსებიდან:

1. დაემხო ძველი სამეფო მტარვალთა ბატონობისა
და მის ნანგრევზე აშენდა ტაძარი კაცთა ძმობისა!
განთავისუფლდა ქვეყანა, გმინვა აღმოხდა შვებისა
და კიდით-კიდეს მოედო ამბავი გამარჯვებისა!
2. მოვდივართ, მოვაფრიალებთ თავისუფლების ალამსა!
გახარებული გიგზავნით ძმობა-ერთობის სალამსა!
სალამი ჯარს და მშრომელ ხალხს, სალამი მამაცთ გულებსა
და საუკუნო ხსენება ბრძოლაში დაცემულებსა!
3. გამოფხიზლდი, შრომის შვილო, გაიღვიძე, გეყო ძილი!
თავისუფლად შემოსძახე ვაჟკაცური მოძახილი!
აღსდექ, აღსდექ, ქვეყნის ბურჯო! გაახილე ორივ თვალი!
შენს ხელთაა მთელი ძალა, შენ გეკუთვნის მომავალი!

გ. ქუჩიშვილის იმდროინდელი ეროვნული და სოციალური თვალთახედვის წარმოჩენის დროს რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა 1918 წელს დაწერილ მის მოთხრობაზეც - „წითელი დროშის ქვეშ.“ კერძოდ, ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის - გენო მენაღარაშვილის საბრძოლო თავგადასავლის მოთხრობის საფუძველზე მასში რომანტიზებული ფორმითაა ნაამბობი რუსეთის იმპერიაში 1900-1910-იან წლებში აზვირთებულ იმ რევოლუციურ მოვლენებზე, რომელთაც შედეგად ამ იმპერიის დანგრევა მოჰყვა.

მწერალმა აღნიშნულ ბრძოლათა აქტიურ მონაწილეებად არა მარტო მოთხრობის მთავარი პერსონაჟი გამოიყვანა, არამედ ის ქართველი რევოლუციონერებიც, რომლებმაც ციმბირში სასჯელის მოხდის დროს გაიცვნეს ერთმანეთი. იმპერიაში შექმნილი ქაოსური მდგომარეობის შედეგად სასჯელს თავდაღწეული ამ ადამიანებისაგან შექმნილი საბრძოლო რაზმი პეტერბურგში ჩადის, რევოლუციონერთა მრავალათასიან ტალღას უერთდება და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს რუსეთის სამეფო ხელისუფლების დამხობის პროცესში.

როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს ძალადობრივი გზით მოქცევის პერიოდში იმპერიული ხელისუფლების მიერ გატარებულ იდეოლოგიურ და კოლონიურ პოლიტიკას მსხვერპლად უამრავი ადამიანი შეეწირა, ცოცხლად გადარჩენილი ჩვენი მოქალაქეების ცხოვრება კი ამ პოლიტიკის შედეგად დამკვიდრებული დოგმატური აზროვნების ტყვეობაში მოექცა. სწორედ ამ ტრაგიკული მოვლენის ერთ-ერთ გულსატკენ გამოვლინებას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემები იმხანად მოღვაწე ჩვენი მწერლების შემოქმედებაში უმთავრესად საბჭოთა იდეოლოგიის მიერ დაწესებული პრინციპების შესაბამისად იყო გააზრებული.

სამწუხაროდ, ამ ტრაგიკული რეალობის მსხვერპლად მაშინ გიორგი ქუჩიშვილიც იქცა, რის გამოც საბჭოთა პერიოდის იდეოლოგიური პოლიტიკით დაღდასმულ მის მაშინდელ შემოქმედებაში გამოხატული ეროვნული თვალთახედვა არსებითად განსხვავდება მანამდელი მისი ეროვნული მრწამსისაგან.

შალვა ამირეჯიბი

შალვა ამირეჯიბს (1887-1943 წწ.) კუთვნილი ადგილი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიაში ორ უმნიშვნელოვანეს სფეროში მისმა აქტიურმა მოღვაწეობამ დაუმკვიდრა – მწერლობასა და პოლიტიკაში. მან, როგორც ქართული ემიგრანტული მწერლობის ერთ-ერთმა საინტერესო წარმომადგენელმა, თავის პუბლიცისტურ წერილებში დოკუმენტური სიზუსტითა და ემოციური შთამბეჭდაობით ასახა ის მოვლენები, რომლებიც მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიის სისხლხორცეულ ნაწილადაა დამკვიდრებული. ეს პროცესები მწერლის პუბლიცისტიკაში იმდენად ღრმად და საფუძვლიანად არის წარმოსახული, რომ მის წერილებს კაცმა გარკვეულწილად ისტორიული დოკუმენტების მნიშვნელობაც თავისუფლად შეიძლება დააკისროს. მიუხედავად იმისა, რომ შ. ამირეჯიბი პოეტურ ჟანრშიც ცდიდა ძალებს, მისი ადგილი ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში უპირველეს ყოვლისა მაინც პუბლიცისტიკის სფეროში მიღწეულმა წარმატებებმა განსაზღვრეს.

გარდა შემოქმედებითი საქმიანობისა, შ. ამირეჯიბი მეტად აქტიურ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა. მან, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და მისი მმართველი ორგანოების მუდმივმა წევრმა, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მეოცე საუკუნის ათიანი და ოციანი წლების საქართველოს ისტორიაში. ამ თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა ის უდიდესი როლი უნდა აღინიშნოს, რომელიც თანამოაზრეებთან ერთად მას 1924 წლის აჯანყების ორგანიზების საქმეში მიუძღვის.

• • •

შალვა ამირეჯიბი დაიბადა 1887 წელს გორის მაზრის სოფელ ხურვალეთში დედის – სოფიო მაღალაშვილის ოჯახში. მამამისი – თავადი გიორგი დარისპანის ძე ამირეჯიბი მაღალაშვილების ოჯახში ზედსიძედ იყო შესული. გარდა შალვასი, გიორგისა და სოფიოს სამი შვილი ჰყოლიათ: ანასტასია (1885-1968 წწ.) - გერონტი ქიქოძის მეღუღე, ცაცა (1889-1975 წწ.) - ქართული თეატრისა და კი-

ნოს ცნობილი მსახიობი და ირაკლი (1891-1938 წწ.) - მამა ჭაბუა, ნათია და როდამ ამირეჯიბებისა (შარაძე, 1991: 215).

განათლება მწერალმა თბილისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში მიიღო. მოსწავლეობის პერიოდში მან არა მარტო სწავლისადმი გამოავლინა დიდი ინტერესი, არამედ რევოლუციურ-საზოგადოებრივი საქმიანობისადმიც. რომანტიკული მისწრაფებებით გულანთებულ გიმნაზიელს 1905 წელს აქტიური მონაწილეობა მიუღია ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ რევოლუციურ გამოსვლებში და მხოლოდ შემთხვევით გადარჩენია დაპატიმრებას.

1907 წლის სექტემბერში შ. ამირეჯიბი უმაღლესი განათლების მისაღებად ქალაქ ვენაში მიემგზავრება. სამწუხაროდ, მძიმე მატერიალურმა მდგომარეობამ მას საშუალება არ მისცა საწადელი აღესრულებინა და უნივერსიტეტის სტუდენტი გამხდარიყო. მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო, 1909 წლის ბოლოს, იგი იძულებული გამხდარა სამშობლოში დაბრუნებულიყო.

საქართველოში დაბრუნებული შ. ამირეჯიბი ენერგიულად ებმება ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ ცხოვრებაში. იმპერიული ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისა და მკვეთრად გამოხატული ეროვნულ-დემოკრატიული იდეების გამო შ. ამირეჯიბი 1910 წელს დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს.

პატიმრობიდან განთავისუფლებულ მწერალს განახლებული ძალით გაუგრძელებია ბრძოლა რუსეთის კოლონიური უღლისაგან ჩვენი ქვეყნის გასათავისუფლებლად. გარდა აქტიური რევოლუციური საქმიანობისა, შ. ამირეჯიბი ამ დროისათვის ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობასაც ეწეოდა. კერძოდ, ათიან წლებში მისი პუბლიცისტური წერილები სისტემატურად იბეჭდებოდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების მქონე ისეთ პერიოდულ გამოცემებში, როგორებიც იყო ჟურნალი „კლდე" და გაზეთები: „სამშობლო" და „საქართველო".

შალვა ამირეჯიბმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნის საქმეში. იგი იყო სპირიდონ კედიას, რევაზ გაბაშვილის, გიორგი გვაზავას, ალექსანდრე ასათიანისა და ამ პარტიის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლების აქტიური თანამებრძოლი და თავისი დროისთვის ფრიად ავტორიტეტული პოლიტიკოსი. ამის დადასტურებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ შ. ამირეჯიბი ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო 1917 წლის 4-16 ივნისს

თბილისში გამართული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობისა.

გარდა იმისა, რომ იგი აქტიურად მონაწილეობდა ყრილობის ორგანიზაციულ საქმეთა მოწესრიგებაში, საქართველოს პოლიტიკური პარტიების შესახებ მოხსენებითაც გამოვიდა, რის საფუძველზეც „მიღებულ დადგენილებაში აღინიშნა, რომ იმჟამინდელ მომენტში შესაძლებელი და აუცილებელიც იყო საქართველოს პარტიების შეთანხმება პოლიტიკური თავისუფლების დასამყარებლად და ეროვნული საბჭოს დასაარსებლად" (გრძელიძე, 1998: 105).

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ამ დადგენილებას, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მხარი სხვა პარტიებმაც დაუჭირეს, რის შედეგადაც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა 1917 წლის 3 აგვისტოს შეკრებაზე დაარსდა „ეროვნული ინტერპარტიული საბჭო", რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს ა. ჩხენკელი, მოადგილედ გ. ლასხიშვილი, ხოლო მდივნად პ. საყვარელიძე. ამავე სხდომაზე ინტერპარტიულმა საბჭომ პეტროგრადში 12 სექტემბრისთვის მოწვეულ დემოკრატიულ თათბირში მონაწილეობის მისაღებად აირჩია სპეციალური დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში ნ. ჟორდანიასთან, ა. ჩხენკელთან და ს. მდივანთან ერთად შ. ამირეჯიბიც შედიოდა (გრძელიძე, 1998: 110).

შ. ამირეჯიბი იყო 1917 წლის 19-22 ნოემბერს გამართული საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის დელეგატი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიდან. როგორც ეროვნული საბჭოს წევრს, მას კანონიერი უფლება ჰქონდა 1918 წლის 26 მაისის აქტზე ოფიციალური ხელმოწერისა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ამ გარემოებას მწერალი პოლიტიკური მოსაზრებით ხსნის და მოგვიანებით ამასთან დაკავშირებით ასეთ განმარტებას აკეთებს: „როდესაც საქართველოს ეროვნულ საბჭოს მდივანმა ი. ზურაბიშვილმა უკანასკნელად დაიძახა: ბ. ეროვნულ საბჭოს წევრნო, ვის არ მოგიწერიათ კიდევ აქტისთვის ხელიო, მე იქ ვიდექი, მაგრამ არ მივედი მასთან და საქართველოს რესპუბლიკად გამოცხადების აქტს ხელი არ მოვაწერე. მე არა მწამს, რომ რესპუბლიკა საქართველოს მართლა მიანიჭებს დამოუკიდებლობას. საქართველო ორჯერ იყო რესპუბლიკა. ერთი – მენშევიკური – დაიღუპა. მეორემ - ბოლშევიკურმა – საქართველო რუსეთს შეუერთა (ამირეჯიბი, წიგნი მეორე, 1998: 163).

შ. ამირეჯიბი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენი ქვეყნისათვის სახელმწიფოებრივი არსებობის ყველაზე მეტად მისაღე-

ბი და ისტორიულად აპრობირებული ფორმა მხოლოდ სამეფო დინასტიის აღდგენა იყო. მისი თქმით, სწორედ „საქართველოს სამეფო იყო ის ისტორიული ინსტიტუტი, რომელმაც ოცი საუკუნე ერი დამოუკიდებლად ამყოფა. ვიდრე ირაკლი მეფე ცოცხალი იყო, რუსეთმა საქართველო ვერ შეიერთა, თუმცა მისი შეერთება უკვე ირაკლის სიცოცხლეში ჰქონდა განზრახული. კიდევ მეტი: რუსეთმა საქართველო ვერ შეიერთა მაშინაც, როცა ცოცხალი იყო სნეული გიორგი მეფე. რუსეთმა საქართველო შეიერთა იმ წუთში, როცა მეფე გიორგი მოკვდა, ხოლო ტახტის მემკვიდრე დავითმა, უცნაურის გაუგებრობით, მაშინვე თავი მეფედ არ გამოაცხადა და ერი უმეფოდ არ დარჩა".

ასე რომ, შ. ამირეჯიბის მტკიცებით, „მხოლოდ სამეფოს აღდგენას შეუძლიან საქართველოს რუსეთისაგან ჩამოშორება. სწორედ სამეფო ინსტიტუტს შეუძლიან მათი დამოუკიდებლობის დაცვა, როგორც ეს ოცი საუკუნის განმავლობაში იყო" (ამირეჯიბი, წიგნი მეორე, 1998: 163).

საქართველოს სამეფოს აღდგენის იდეას იმხანადაც და მოგვიანებითაც არა მარტო შ. ამირეჯიბი იცავდა ასე დაბეჯითებით, არამედ ქართველ პოლიტიკოსთა და მამულიშვილთა სხვა წარმომადგენლებიც. მათ შორის იყო ქაქუცა ჩოლოყაშვილიც, რომელსაც ინგლისური გაზეთი „ტაიმსი" შამილის შემდეგ კავკასიაში ყველაზე პოპულარულ პიროვნებად აღიარებდა.

შ. ამირეჯიბის ცხოვრებისეული ბედის წარმართვის საქმეში განმსაზღვრელი როლი შეასრულა 1921 წლის თებერვალ-მარტის ტრაგიკულმა მოვლენებმა, რომელთაც შედეგად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვა მოჰყვა. თავად მწერალს რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ იმხანად გამართულ ბრძოლებში ავადმყოფობის გამო უშუალო მონაწილეობა არ მიუღია. აი, რას წერდა ემიგრაციაში მყოფი შ. ამირეჯიბი იმჟამინდელ ამბებთან დაკავშირებით: „მე რომ ავადმყოფობის შემდეგ ქუჩაში პირველად გამოვედი, ბოლშევიკები უკვე ერთი კვირის შემოსულები იყვნენ ტფილისში. ხელისუფლებაში ახალი ხალხი ჩადგა, წინ წამოდგნენ სომხები, ოსები, ურიები და საზოგადოთ ყველა, ვისაც არ ეზარებოდა" (ამირეჯიბი, წიგნი მეორე, 1998: 151).

შ. ამირეჯიბის ბიოგრაფიაზე საუბრის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ 1924 წლის აჯანყებაში მის აქტიურ მონაწილეობას. როგორც დოკუმენტური მასალებით ეჭვმიუტან-

ლად დასტურდება, მან უდიდესი როლი შეასრულა ამ აჯანყების ორგანიზების საქმეში. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ შ. ამირეჯიბი იყო აჯანყების მომმზადებელი პარიტეტული კომიტეტისა და ინტერპარტიული ანუ დამოუკიდებლობის კომიტეტის (დამკომის) წევრი, რომელიც წყვეტდა აჯანყებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს. კერძოდ, 1924 წლის 22 აგვისტოს სხდომაზე კ. ანდრონიკაშვილთან და მ. ჯავახიშვილთან ერთად სწორედ მისი ინიციატივით დანიშნულა შეიარაღებული აჯანყების დაწყების დღე (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1976: 199).

1922 წლის მაისში შექმნილი დამოუკიდებლობის კომიტეტის შემადგენლობაში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებთან ერთად იმხანად მოქმედ სხვა პარტიათა წევრებიც, მათ შორის სოციალ-დემოკრატებიც, შედიოდნენ. კერძოდ, აღნიშნული „ზეპარტიული" ორგანიზაციის დამფუძნებელ ხელშეკრულებაში ამ ორგანიზაციის შექმნის მიზანი შემდეგნაირად იყო განმარტებული: „საქართველოს განთავისუფლებისა და მისი დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით, საქართველოს პოლიტიკური პარტიები: სოციალ-დემოკრატიული, გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტთა, სოციალისტ-რევოლუციონერთა და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული – ვდებთ შემდეგ ხელშეკრულებას:

1. დაარსდეს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი" აღნიშნულ პარტიათა თითო წარმომადგენლისაგან. კომიტეტს დაევალოს გაერთიანება და საერთო ხელმძღვანელობა საქართველოს გასათავისუფლებლად მიმართული მთელი მუშაობისა" (კირთაძე, 1996: 85).

ამის შემდეგ 11 მუხლისაგან შემდგარ ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტში კონკრეტულადაა განსაზღვრული დამოუკიდებლობის კომიტეტის სამოქმედო პროგრამა. ყველაფერი ეს აქ იმიტომ გავიხსენე, რომ მინდა მკითხველს უფრო ნათლად დავანახო ის განსაკუთრებული როლი, რომელიც 1924 წლის აჯანყების მომზადების საქმეში შეასრულა შ. ამირეჯიბმა, როგორც ამ აჯანყების საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთმა აქტიურმა წევრმა.

იდეა ანტიბოლშევიკური აჯანყების მოწყობისა, რასაც შედეგად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა მოჰყოლოდა, შ. ამირეჯიბის ინფორმაციით, 1921 წელსვე გაჩენილა. ამ საქმის ერთ-ერთ აქტიურ და მთავარ ორგანიზატორად

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია მოგვევლინა, რომელმაც ადრე ოცდათხუთმეტი წევრისაგან შემდგარი მთავარი კომიტეტის ნაცვლად ხუთწევრიანი პარტიული ცენტრი აირჩია. „ასეთი „ცენტრები" გამოაჩნდათ სხვა პარტიებსაც, ყველა ამათ გაიგეს, რომ არსებობდა სამხედრო ცენტრიც და როდესაც პარტიებმა მათთან კავშირის გაბმა მოინდომეს, აი, ამ სამხედრო ცენტრისაგან გაიგონეს პირველად, რომ მხედრებს ცალკე პარტიებთან საქმე არა სურდათ და მოითხოვდნენ, რომ მათ ერთი საერთო პოლიტიკური „ცენტრი" შეექმნათ" (კირთაძე, 1996: 151-152).

სამწუხაროდ, პარტიებს შორის ამგვარი შეთანხმების მიღწევა საკმაოდ გაძნელდა. ისინი ერთმანეთში ვერ რიგდებოდნენ იმაზე, რომელი პარტია რამდენი კაცით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ხსენებულ „ცენტრში". მიუხედავად იმისა, რომ შ. ამირეჯიბი ამ ეტაპზე აჯანყების ორგანიზების საქმეში უშუალოდ ჩართული არ ყოფილა, იგი ანტიბოლშევიკურ საქმიანობაში იმდენად აქტიურ მონაწილეობას იღებდა, რომ 1922 წლის 10 თებერვალს ხელისუფლებამ მისი დაპატიმრების ორდერი გასცა და მწერალმა დაჭერას თავი დამალვით დააღწია.

ამ ამბიდან ორი კვირის შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით შ. ამირეჯიბი ამ ჯგუფის ხუთკაციანი „ცენტრის" შემადგენლობაში იქნა შეყვანილი. მასთან ერთად „ცენტრის" ერთ-ერთი წევრი მიხეილ ჯავახიშვილიც ყოფილა.

ამასობაში ხელისუფლებამ მომავალი აჯანყების ორგანიზატორთა დევნა იმდენად გააძლიერა, რომ შ. ამირეჯიბი იძულებული გახდა თბილისიდან წასულიყო და თავი უფრო უსაფრთხო ადგილისთვის შეეფარებინა. აი, რას წერს თავად მწერალი ამასთან დაკავშირებით: საქმის ინტერესებიდან გამომდინარე და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, „ჩემი ტფილისში დარჩენა არ სურდა კ. აფხაზს, რომელიც ამ დროს ჩვენ ცენტრსაც ხელმძღვანელობდა და სამხედრო ცენტრთანაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა. იმისი აზრი იყო, რომ მე სულ გავცლოდი საქართველოს. მე გავეცალე მხოლოდ ტფილისს და ჩავრჩი იმერეთში და ისიც მთელი წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში მე ვიყავი ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, ზესტაფონში, სამეგრელოში, ბაღდათის მხარეზედ, ქობულეთში" (კირთაძე, 1996: 153).

საბოლოოდ, 1922 წლის მაისსა თუ ივნისში, შ. ამირეჯიბის ინფორმაციით, პარტიათა შორის შეთანხმების მიღწევა მოხერხდა, რის შედეგადაც შეიქმნა „დამოუკიდებლობის კომიტეტის" სახელით ცნობილი საორგანიზაციო ჯგუფი, რომლის საქმიანობის უმთავრესი მიზანი აჯანყების მოწყობასთან დაკავშირებული საქმეების პრაქტიკული ხელმძღვანელობა იქნებოდა.

კონსპირაციაში მყოფი ამირეჯიბი თბილისში 1923 წლის ივნისში დაბრუნდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის „ცენტრის" გადაწყვეტილებით, ამჯერად მას უკვე ამ „ცენტრის" თავმჯდომარეობა დაეკისრა, ხოლო იმავე წლის ივლისში „დამკომის" წევრადაც იქნა არჩეული.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები აქტიურად ცდილობდნენ ყოველი სადავო საკითხი ერთმანეთთან შეთანხმებით გადაეწყვიტათ, ცალკეულ შემთხვევებში მათ შორის აზრთა სხვადასხვაობაც ხშირად იჩენდა ხოლმე თავს. მაგალითად, შ. ამირეჯიბი პრინციპულად არ იზიარებდა ნოე ჟორდანიას თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ ქართველ აჯანყებულებს აქტიური კავშირი დაემყარებინათ ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხებთან და მათთან ერთად ებრძოლათ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად.

აი, რა განუცხადებია ამასთან დაკავშირებით მას 1924 წლის მარტში გამართულ პარიტეტული კომიტეტის სხდომაზე: „ნოე ჟორდანია დიდი კაცია, მაგრამ მგონია და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იგი ძალიან ცდება, როცა მხარს უჭერს ჩრდილო-კავკასიასთან ერთად აჯანყებას, რადგან რაც არ უნდა დიდი სიმპათიებით სარგებლობდნენ მთიელები, მათს დამოუკიდებლობის საკითხს ევროპაში პოპულარობა და საიმედო პერსპექტივები არა აქვს" (კირთაძე, 1996: 157).

სამწუხაროდ, 1924 წლის აჯანყება წინასწარ შემუშავებული გეგმით არ წარიმართა და 29 აგვისტოს 2 საათის ნაცვლად 28 აგვისტოს 2 საათზე, ე. ი. ზუსტად ერთი დღე-ღამით ადრე, დაწყებული „ეს ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო გამოსვლა", რომელიც „ერთიან წინამძღოლობას მოკლებული და, ამდენად, ცალკეულ კუთხეებად ლოკალიზებული აღმოჩნდა", „30 აგვისტოს მიწურულს უკვე ჩახშობილი იყო უსასტიკესი („კომუნისტური") რეპრესიებით და ტერორით" (კირთაძე, 1996: 172).

მართალია, 1924 წლის აჯანყება ტრაგიკულად დასრულდა, მაგრამ, შ. ამირეჯიბის აზრით, მან მაინც ითამაშა გარდამტეხი როლი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. მწერლის სიტყვებით თუ ვიტყვით, „აგვისტოს აჯანყებაში გაცოცხლდა საქართველო ქართული, საქართველო ტრადიციული და გრ. ორბელიანის სიტყვით რომ ვთქვათ, საქართველო – „მებრძოლი თავის ბედისა" (ამირეჯიბი, წიგნი მეორე, 1998: 150).

1924 წლის ბოლოს (და არა 1925 წელს, როგორც ეს შ. ამირეჯიბის ბიოგრაფიებშია აღნიშნული) ხელისუფლების დევნისაგან თავის დასაღწევად მწერალი იძულებული გახდა სამშობლო დაეტოვებინა და ემიგრაციაში წასულიყო. უცხოეთში იგი ცხრა ქართველ ემიგრანტთან ერთად თურქეთის ქალაქ ხოფადან გამგზავრებულა გემით.

გარდა საკუთარი გვარ-სახელისა, შ. ამირეჯიბი ნაწარმოებებს ფსევდონიმებითაც აქვეყნებდა. კერძოდ, მისი ფსევდონიმები იყო: ფარსმან-ფარუხი, ჩორჩანელი, შ. ა. და ა.-ი.

შ. ამირეჯიბი გარდაიცვალა 1943 წელს. დაკრძალულია პარიზში, სენტ-უენის სასაფლაოზე.

* * *

შალვა ამირეჯიბის ლიტერატურული და პოლიტიკური მოღვაწეობის გაანალიზების დროს რამდენიმე სიტყვა იმ შეფასებებზეც მინდა ვთქვა, რომელთაც ამ პიროვნების შესახებ მისი ძმიშვილი, მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი აკეთებს. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა როგორც მურმან ლებანიძისთვის მიცემული მისი ინტერვიუ, ისე რომან „გორა მბორგალში" მოთხრობილი ის ამბები, რომლებიც შ. ამირეჯიბის ბიოგრაფიასთანაა დაკავშირებული. ნათქვამის ნათელსაყოფად გავიხსენოთ ხსენებული ეპიზოდები.

ვიდრე ბიძის შესახებ დაუსვამდეს შეკითხვას, მ. ლებანიძე თავად გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას მის საქვეყნო დამსახურებაზე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჭაბუას მამის ძმა – შალვა ამირეჯიბი „საინტერესო კაცი და საინტერესო პოეტი იყო". მისი პოეტური ნიჭიერების დასტურად მ. ლებანიძე იმ ფაქტსაც იშველიებს, რომ მან მის მიერ შედგენილი ქართული პოეტური შედევრების დიდ წიგნში შ. ამირეჯიბის ლექსიც შეიტანა (ამირეჯიბი, 2001: 320).

ჭ. ამირეჯიბი არა მარტო უბრალოდ ეთანხმება მ. ლებანიძის ამ შეფასებას, არამედ შ. ამირეჯიბის შემოქმედებითი და პოლიტიკუ-

რი ღვაწლის კიდევ უფრო მეტად წარმოჩენის მიზნით მისი ცხოვრების რამდენიმე მნიშვნელოვან ეპიზოდსაც იხსენებს. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ხსენებული ინტერვიუდან: „რაც შეეხება ბიძაჩემს, შალვა ამირეჯიბს, იმას სიცოცხლეშივე ქრისტეს ეძახდნენ – ძალიან პატიოსანი კაცი იყო, უმშვენიერესი პოეტი და პუბლიცისტი, ჯენტლმენი და დახვეწილი იუმორის პატრონი... შალვა ამირეჯიბი, თავისი პოეზიით, ათვალწუნებული ჰყავდათ კომუნისტებს... მან თავისი ცხოვრების ბოლო თვრამეტი წელიწადი ემიგრაციაში გაატარა და ბერლინში კიბოთი გარდაიცვალა. საფრანგეთშიც იცხოვრა და გერმანიაშიც. ცოლი აღარ შეურთავს იმიტომ, რომ მისი ერთადერთი სიყვარული ვერიკო ანჯაფარიძე იყო. შვილიც ჰყავდათ მაგათ, ბავშვობაშივე მოუკვდათ. სხვათა შორის, „გორა მბორგალში" ვწერ მე მაგათ უიღბლო სიყვარულზე, როგორც ტრაგედიაზე, გასაბჭოების შემდეგ მომხდარ ერთერთ უბედურებაზე" (ამირეჯიბი,2001: 324).

ჭ. ამირეჯიბისა და მ. ლებანიძის ეს ტკივილიანი საუბარი შ. ამირეჯიბზე საბოლოოდ იმის აღნიშვნით მთავრდება, „არც მისი პიროვნება და არც მისი პოეზია ჯერ-ჯერობით წესიერად რომ არ არის შესწავლილი და ქართული მწერლობა მოვალეა, შეავსოს ეს ხარვეზი".

იმის გამო, რომ ჭ. ამირეჯიბის „გორა მბორგალში" ეპოქალური მოვლენების მხატვრული ასახვა ხშირ შემთხვევაში რეალურად არსებულ სინამდვილესთან ადექვატური შესაბამისობით ხდება, მის ცალკეულ ეპიზოდებს ისტორიული რეალობის დოკუმენტური სიზუსტით წარმოჩენის თვალსაზრისითაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

როგორც ითქვა, შალვა ამირეჯიბის შემოქმედებითი შესაძლებლობები ყველაზე მეტად მის პუბლიცისტურ წერილებში გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ჟანრობრივად მრავალფეროვანი მწერალი იყო, მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის ისტორიაში კუთვნილი ადგილი მან უწინარეს ყოვლისა თავისი პუბლიცისტიკით დაიმკვიდრა. საქართველოში ცხოვრების პერიოდში მისი პუბლიცისტური წერილები უმთავრესად ჟურნალ „კლდესა" და გაზეთებში: „სამშობლოსა" და „საქართველოში" იბეჭდებოდა, ემიგრაციაში ყოფნის დროს კი ქართულ ემიგრანტულ გამოცემებში.

შ. ამირეჯიბის პუბლიცისტურ ტექსტებში მეტად საინტერესოდ, ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვითაა გაანალიზებული და შეფასებული ის რთული მოვლენები, რომლებიც არსებითად განსაზღვრავდა მწერლის დროინდელი ეპოქალური სინამდვილის რეალურ ბუნებას. როგორც ცნობილია, იმდროინდელი ქართული საზოგადოება საკმაოდ პოლიტიზებული იყო და აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმ პარტიულ ბრძოლებსა და დაპირისპირებებში, რომლებსაც მანამდელი ჩვენი ყოფისათვის უჩვეულოდ დიდი მასშტაბები ჰქონდა შეძენილი. ერთმანეთისგან არსებითად განსხვავებულ პარტიულ-იდეოლოგიურ შეხედულებათა და მოძღვრებათა ამ მძაფრ ჭიდილში 1900-იანი წლების მეორე ნახევრიდან შ. ამირეჯიბიც აქტიურად იყო ჩართული. ამ ბრძოლაში იგი თავიდანვე დადგა იმ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალების დამცველთა შორის, რომელნიც მე-19 საუკუნის ჩვენმა დიდმა მამულიშვილებმა თავიანთი მოღვაწეობის უმთავრეს მიზანსწრაფვად დაისახეს.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ცხოვრების ასპარეზზე ფართოდ აღზევებულმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, სამწუხაროდ, აქტიურად დაიწყო ბრძოლა ამ იდეალებისათვის ძირის გამოსათხრელად და კლასობრივი თანასწორობისა და სამართლიანობის პოპულისტური იდეების ქადაგებით საზოგადოების დიდი ნაწილი ყალბი ილუზიების ტყვეობაში მოაქცია. როგორც საყოველთაოდ ცნობილია, ეროვნულ ნიჰილიზმზე დაფუძნებულმა ამ პარტიულმა მოძღვრებამ უდიდესი ვნება მოუტანა ჩვენს ქვეყანას და მის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას საბედისწეროდ გამოუთხარა ძირი.

ეს ყველაფერი აქ იმიტომაც გავიხსენე, რომ თავისი ეროვნულ-პატრიოტული და პარტიული თვალთახედვით შ. ამირეჯიბი თავიდანვე მყარად დადგა იმ ადამიანთა გვერდით, რომლებიც ამ ანტიქართული პარტიული იდეოლოგიის წინააღმდეგ პრინციპულ ბრძოლას ეწეოდნენ. იგი, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი აქტიური მესვეური, ყოველთვის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა ამ ბრძოლაში.

შ. ამირეჯიბის პუბლიცისტური წერილები არა მარტო მწერლის დროინდელი ეპოქალური მოვლენებისადმი ავტორის დამოკიდებულების შესაცნობად და გასააზრებლადაა მეტად მნიშვნელოვანი, არამედ მისი პარტიულ-პოლიტიკური მრწამსის გასარკვევადაც. მათში ღრმად და მასშტაბურად იყო წარმოჩენილი იმჟამინ-

დელი ჩვენი ცხოვრების წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით დასმული ბევრი დიდმნიშვნელოვანი პრობლემა. ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ ამ პრობლემათა სპექტრი იმდენად მრავალფეროვანია და ყოვლისმომცველი, რომ მწერალს ფაქტობრივად მაშინდელი ჩვენი ცხოვრების არც ერთი სფერო არ რჩებოდა ყურადღებამიუქცეველი. იგი თანაბარი ინტერესით წერდა როგორც საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, ისე საერთაშორისო ვითარების აქტუალურ საკითხებზეც. თუმცა, გასაგები მიზეზების გამო, მისი პუბლიცისტიკის უმთავრეს თემად მაინც ქართული ყოფის საჭირბოროტო პრობლემათა განსჯა-გაანალიზება იყო ქცეული.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას შ. ამირეჯიბის პუბლიცისტური წერილების არსსა და მიზანდასახულობაზე, მათგან მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ ისეთ ნიმუშებს, რომელთა პრობლემატიკა და მსოფლმხედველობრივი მრწამსი დღესაც აქტუალურია და თანადროული თვალთახედვითაც განსაკუთრებით საინტერესო.

ერთ-ერთი მთავარი საჭირბოროტო საკითხი, რომელსაც შ. ამირეჯიბი თავის პუბლიცისტურ წერილებში თავიდანვე ხდიდა განსაკუთრებული ყურადღების საგნად, ქართველებსა და საქართველოში მცხოვრებ სხვა ხალხებს შორის ურთიერთობათა გონივრულად და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით მოწესრიგების პრობლემა იყო. ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად იგი პირველ ყოვლისა ქართულ-სომხური ურთიერთობების დროს თავჩენილ წინააღმდეგობათა აღმოფხვრით იყო დაინტერესებული.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით გამოთქმული მისეული მოსაზრებანი და შეფასებანი არა მარტო იმდროინდელი ვითარების არსში გასარკვევადაა უაღრესად საინტერესო, არამედ დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას. პუბლიცისტის მართებული მტკიცებით, ქართველებსა და საქართველოში მცხოვრებ სომხებს შორის კეთილმეზობლური და მშვიდობიანი თანაცხოვრება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ისინი ნათლად შეიგნებენ ერთმანეთის უფლებებს. კერძოდ, „საქართველოში მცხოვრებმა სომხებმა უნდა ირწმუნონ ის აზრი, რომ საქართველოში პირველობა ქართველებს ეკუთვნით". თუმცა ავტორი იქვე იმასაც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოში ქართველების პირველობაზე საუბარი

სულაც არ ნიშნავს „სომხების უკანა რიგში ჩაყენებას". ამ შემთხვევაში მას მხედველობაში „ინტერესების პირველობა აქვს".

ამ პირველობას საფუძვლად ის ფაქტი უდევს, რომ „ჩვენ, ქართველები, ჩვენს მიწა-წყალზედ ვსცხოვრობთ" და აქ მცხოვრებმა ყველა სხვა ხალხმა უნდა კარგად გაიცნობიეროს ის გარემოება, რომ „საქართველოში გაბატონებული ინტერესი უპირველეს ყოვლისა ქართული ინტერესი უნდა იყოს". შ. ამირეჯიბის აზრით, „ეს ისეთი მარტივი ფორმულაა, რომ მას არავითარი ქართული სპეციფიური თვისება არა აქვს და თვით უკეთილშობილესი თეორია ერთა თანასწორობისა მას წუნს ვერ უპოვის" (ამირეჯიბი, წიგნი პირველი, 1998: 50).

ქართველებსა და საქართველოში მცხოვრებ სომხებს შორის დროდადრო წარმოქმნილი დაპირისპირების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად შ. ამირეჯიბი იმ გარემოებას მიიჩნევდა, რომ სომხებს სწორედ ეს ჭეშმარიტება აქვთ დავიწყებული და „ჰგონიათ, რომ მათაც ისეთივე, მაგრამ სომხური ინტერესი აქვთ აქა, როგორც ჩვენ". შ. ამირეჯიბის მტკიცებით, ეს პრინციპულად „შემცდარი აზრია" და „საქართველოში სომხეთის საკითხი ვერ გადაწყდება".

თუმცა, პუბლიცისტის მართებული ხაზგასმით, ყოველივე ზემოთქმული არამც და არამც არ ნიშნავდა იმას, რომ ამით საქართველოში მცხოვრები სომხობის, როგორც ეროვნული უმცირესობის, ინტერესები შეიბღალებოდა და ქართველთა უმრავლესობა მათ დაჩაგრავდა.

შ. ამირეჯიბის ეროვნულ გულისტკივილს არსებითად ზრდიდა ის გარემოება, რომ რეალურ ვითარებაში მოვლენები სულ სხვაგვარად ვითარდებოდა და ჩვენს ქვეყანას შემოხიზნული უცხოტომელები არათუ ზემოთ ხაზგასმული პრინციპების გათვალისწინებით არ ცხოვრობდნენ, არამედ ქართველებს საკუთარი მამულებიდანაც კი ერეკებოდნენ. ამ თვალსაზრისით ყველაზე დიდ აგერსიას, მწერლის მტკიცებით, სომხები იჩენდნენ. „მათ შეისყიდეს ჩვენი ტერიტორიის ნაწილები და ზედ „არმენიზმს" ამკვიდრებდნენ. მათ დაიპყრეს ეკონომიურად ჩვენი ქალაქები და ზედ იმავ „არმენიზმის" დროშას აფრიალებდნენ!... შეიძლება განა ამის შემდეგ „მეზობლობაზედ" ლაპარაკი?!" – აღშფოთებით სვამს კითხვას შ. ამირეჯიბი და ქართველ საზოგადოებას კიდევ ერთხელ მოუწოდებს, სიღრმისეულად გაიცნობიერონ და სათანადოდ შეაფასონ ის აგრესია, რო-

მელსაც ყოველივე ზემოთქმულის შედეგად საქართველოში მცხოვრები სომხები იჩენდნენ ქართველი ხალხის მიმართ.

შ. ამირეჯიბისა და სხვა ქართველი მამულიშვილების იმჟამინდელ აღშფოთებას არსებითად ზრდიდა ის გარემოებაც, რომ სომეხთა ამგვარ ანტიქართულ ქმედებებს საფუძველს რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკაც უმაგრებდა.

სწორედ ამ პოლიტიკის ერთ-ერთ მკაფიო გამოვლინებას წარმოადგენდა კავკასიის ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად გადამიჯვნის ის პროექტი, რომლის მიხედვითაც ისტორიულად საქართველოსთვის კუთვნილი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი მეზობელი ქვეყნების, პირველ ყოვლისა კი სომხეთის, კუთვნილებად უნდა ქცეულიყო. კერძოდ, ამ პროექტის მიხედვით, ბორჩალოს, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, ნაცვლად თბილისის გუბერნიისა, ერევნის გუბერნიას უნდა მიკუთვნებოდა. ამგვარი გადაწყვეტილების მიღებით პროექტის ავტორები ფაქტობრივად „ახალი გეოგრაფიის დაწერას" ცდილობდნენ, რომლის უმთავრესი მიზანი „კავკასიაში სომხური ტერიტორიის შექმნა იყო" (ამირეჯიბი, წიგნი პირველი, 1998: 150). პუბლიცისტის აზრით, ხელისუფლების მიერ გატარებული „ასეთი კურსი მავნებელი იყო", რადგანაც კავკასიის ამგვარი „ახალი გადამიჯვნა ფაქტიურად საქართველოს ხარჯზე ხდებოდა".

ქართულ-სომხური პრობლემებით შ. ამირეჯიბის დაინტერესებამ განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი 1917-1918 წლებში დაწერილ წერილებში. თუ მანამდე მწერლის შეშფოთების საგნად საკუთრივ საქართველოში მცხოვრებ სომეხთა ანტიქართული საქმიანობა იყო ქცეული, ამჯერად იგი იმჟამინდელი სომხეთის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალას – დაშნაკცუტუნის პარტიას დაუპირისპირდა. ამ პარტიის ავანტიურისტი ლიდერები, რომლებიც „დიდი სომხეთის" შექმნის ილუზიით შეპყრობილი ნაციონალისტები იყვნენ, თავიანთი იდეოლოგიითა და პრაქტიკული საქმიანობით ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნულ დაახლოებას საბედისწეროდ უთხრიდნენ ძირს.

როგორც ცნობილია, 1917-1918 წლებში, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ცალკე სახელმწიფოებად ჩამოყალიბებამდე, ამ ქვეყნების პოლიტიკურ ძალთა მნიშვნელოვანი ნაწილი აქტიურად უჭერდა მხარს ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს

შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ ამ იდეის განსახორციელებლად მათ პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგეს, ამ ქვეყნების ერთ სახელმწიფოებრივ ორგანიზმად შეკავშირების მცდელობა მაინც მარცხით დამთავრდა, რაც ბევრ სხვა გარემოებასთან ერთად მასში გაერთიანებულ ხალხთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების მკვეთრი ურთიერთგანსხვავებულობით იყო განპირობებული.

ამ თვალსაზრისით შ. ამირეჯიბი განსაკუთრებულ ყურადღებას პირველ ყოვლისა სომხების ეროვნულ ამბიციებს მიაპყრობდა. მისი შეფასებით, „ამიერ-კავკასიის მთავარ ერებს" – ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს ინტერესთა ის სოლიდარობა, რომელსაც მათი სახელმწიფოებრივი ერთობა უნდა დამყარებოდა, არ გააჩნდათ. ამ ერთობას საფუძველს უპირველეს ყოვლისა ის აგრესიული დამოკიდებულება უსუსტებდა, რომელსაც სომხეთის იმჟამინდელი ხელისუფლების მესვეურები იჩენდნენ მეზობელი ქვეყნების მიმართ. შ. ამირეჯიბის აზრით, მათ „საერთოდ არ ჰქონდათ არავითარი მტკიცე პოლიტიკა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ამ ერის სოლიდარობას საქართველოსთან და აზერბაიჯანთან. დაშნაკცუტიუნის როლმა ბაქოს ამბებში აშკარად უნდა დაგვანახოს, რომ ამ პარტიის აზროვნებიდან სრულად გამოდევნილია „ამიერკავკასია", როგორც სახელმწიფოებრივი მცნება და მისი ადგილი მთლად და მარტო „სომხეთს" უკავია" (ამირეჯიბი, წიგნი პირველი, 1998: 299).

როგორც ცნობილია, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების ამგვარ შეუთავსებლობასა და ურთიერთდაპირისპირებას საბოლოოდ ის შედეგი მოყვა, რომ რამდენიმე თვიანი არსებობის შემდეგ ამიერკავკასიის ხალხთა ფედერაციული სახელმწიფო სამ დამოუკიდებელ რესპუბლიკად დაიშალა.

შ. ამირეჯიბის პუბლიცისტიკის გაანალიზების დროს რამდენიმე სიტყვა გაზეთ „საქართველოში" 1918 წლის 23 მარტს გამოქვეყნებულ წერილზეც („ცხინვალის ფრონტი") მინდა ვთქვა. ოსური სეპარატიზმის წინააღმდეგ მიმართული ეს წერილი არა მარტო იმჟამინდელი ვითარების შესახებ გვაწვდის მეტად საინტერესო ინფორმაციას, არამედ დღევანდელი საქართველოს წინაშეც უმწვავესად მდგარი იმავე პრობლემის ისტორიულ ფესვებსაც წარმოაჩენს ყოველგვარი შელამაზებისა და შენიღბვის გარეშე.

ქართველ ხალხთან ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსების აგრესიულმა საომარმა დაპირისპირებამ, რასაც სწორედ იმხანად ჰქონ-

და ადგილი, შ. ამირეჯიბი ასეთი წინასწარმეტყველური დასკვნის გამოტანამდე მიიყვანა: „ცხინვალი, შესაძლებელია, საქართველოს საბედისწერო ფრონტად იქცეს. იქ საწარმოებს ნამდვილი ომი ყველანაირ ჯურის იარაღის საშუალებითა და ჩვენ ცნობები გვაქვს, რომელიც მოწმობენ, რომ ეს ომი ადვილათ არ გათავდება, რადგანაც ოსების მხრივ ბრძოლა მასიურ ხასიათს ღებულობს" (შ. ამირეჯიბი, წიგნი პირველი, 1998: 297).

შ. ამირეჯიბის ხსენებული წერილიდან ნათლად ჩანს ნამდვილი არსი იმ სამწუხარო მოვლენისა, რასაც სახელად ოსური სეპარატიზმი ჰქვია. მიუხედავად იმისა, რომ მწერლის მიერ მოთხრობილი ამბიდან საუკუნეზე მეტი გავიდა, ცხინვალის რეგიონში დღეს-დღეობით არსებული მდგომარეობა თვალნათლივ ადასტურებს, რომ ამ მოვლენის არსი ოდნავადაც კი არ შეცვლილა და ოსური სეპარატიზმი კვლავაც რჩება ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად ჩვენი ქვეყნისათვის.

შ. ამირეჯიბის წერილში ეს ყველაფერი ისეა აღწერილ-წარმოსახული, მკითხველს ეგონება, ავტორი 1918 წლის ამბებს კი არა თითქოს დღევანდელ სამაჩაბლოში მიმდინარე მოვლენებზე მსჯელობდეს. ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული პუბლიკაციიდან: „შეეძლო განა ოსობას, მომწყვდეულს საქართველოს ჩრდილოეთ მაღლობზე, ადრე თუ გვიან არ გაეზიარებინა ის გეზი პოლიტიკისა, რომელსაც იზიარებენ დღეს ყველა ერები ჩვენში, გარდა ქართველებისა. პოლიტიკა წაგლეჯისა, აი, რა არის დღევანდელი ლოზუნგი და ოსებმაც აშკარად განაცხადეს: ცხინვალი ჩვენია... იმ ანარქიისა და ნგრევის დროს, რომელიც მეფობს დღეს ჩვენში და ისეთ პატარა და უკულტურო ერისთვის, როგორიც არის ოსობა, არაფერია იმაზე ადვილი, რომ განუხორციელებელ ოცნებებით იკვებებოდეს და მათ პატრიოტულ თავში საქართველოს გულში დამოუკიდებელ ან ავტონომიურ ოსეთის შექმნის იდეა აღმოცენდა... თვით ჩვენ დროშიც, რევოლუციისა და ერთა თვითგამორკვევის ხანაში, ეს იდეა ავაზაკურ იდეათ დარჩება... ჩვენ გვსმენია მრავალი პოლიტიკური ფანტაზია, მაგრამ ოსეთის სახელმწიფო საქართველოში - არა. მაგრამ ჩვენ არავითარი საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი სულისკვეთება ძირიანად შეცვლილი არ არის დღეს ოსებში და ისინი საფუძვლიანად ისწრაფიან თავის „იდეალების" განხორციელებას".

დამოწმებულ ფრაგმენტში აღწერილი მოვლენები კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმ სამწუხარო ჭეშმარიტებაში, ოსებისა და ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები სხვა არაქართველი ხალხების აგრესიული სეპარატიზმი ახალი მოვლენა რომ არ არის და მას ფესვები ჩვენი ქვეყნის ისტორიაშიც აქვს ღრმად გართმხული. ამ საბედისწერო მოვლენის მზაკვრულ ბუნებაზე მსჯელობის დროს შ. ამირეჯიბი იმ გარემოებასაც მახვილგონივრულად უსვამდა ხაზს, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ გამიზნულად მიმართულ ამგვარ აგრესიათა წამქეზებელნი და უშუალო შემოქმედნი ხშირ შემთხვევაში გარეშე ძალები რომ იყვნენ. მისი აზრით, საქართველოსაგან გამოყოფის ავანტიურისტული და „ავაზაკური იდეალის ტვირთი" ოსობას სწორედ ამ „გარეშე ძალამ აჰკიდა" და ისეთ „უკულტურო და პატარა ერს", როგორიც ოსები არიან, „ადვილად მოეჩვენა ამ ტვირთის ზიდვა და ჩაება ავანტიურაში".

შ. ამირეჯიბის შეფასებით, „ცხინვალის ამბები საშიში მოჩვენება იყო საქართველოს მომავლისათვის და საჭირო იყო არა მარტო მისი სახელმწიფო ლიკვიდაცია, არამედ სიმკაცრეც, რომ იგი არ განმეორებულიყო".

სამწუხაროდ, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში ოსურმა სეპარატიზმმა გაცილებით მეტი მასშტაბები შეიძინა და მისი რეალური დაძლევის გზა კვლავაც მომავალშია საძიებელი.

1917-18 წლებში რუსეთის იმპერიასა და საქართველოში განვითარებული დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების შედეგად შ. ამირეჯიბმა კიდევ უფრო მეტად გააქტიურა პარტიულ-საზოგადოებრივი და პუბლიცისტური საქმიანობა. ამ წლებში დაწერილი მისი წერილების უმთავრეს თემას სწორედ ამ მოვლენათა განსჯა-შეფასება წარმოადგენდა.

მაგალითად, 1917 წლის 15 დეკემბერს გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნებულ წერილში „ქართული ჯარი" შ. ამირეჯიბმა უღრმესი კმაყოფილება გამოხატა იმ საქმიანობის გამო, რასაც საქართველოს ეროვნული საბჭო ქართული ჯარის შესაქმნელად აკეთებდა. მისი აზრით, „მომავალი საქართველოს თვითმმართველობისათვის" ქართული ჯარის არსებობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ქართველი ხალხი უპირველეს ყოვლისა სწორედ მასში „ხედავდა ნიშანს თავის ძლიერებისას და იმედს თავის იდეალების განხორციელებისას".

სამწუხაროდ, საქართველოში იმხანად ისეთი პოლიტიკური ძალებიც არსებობდნენ, რომლებიც ქართული ჯარის შექმნისა და გაძლიერების საქმეს ძირს უთხრიდნენ და თავიანთი პარტიული მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად ჩვენი ქვეყნის კვლავაც რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში დარჩენას ისახავდნენ. მათ შორის უპირველესი ადგილი ბოლშევიკებს ეჭირათ, რომლებსაც თავიანთი „გამხრწნელი და ავაზაკური საქმიანობის" შედეგად „შხამი და სამსალა შეჰქონდათ ისეთ დიდ საქმეში, როგორიც იყო ქართული ჯარი და საქართველოს ეროვნულ საბჭოს მოწოდება ამ ჯარებისადმი". შ. ამირეჯიბის შეფასებით, იმჟამინდელ საქართველოში „იმაზედ უსაზიზღრესი, როგორსაც ბოლშევიკების დემაგოგია და ბოლშევიკების პროვოკაცია" წარმოადგენდა, სხვა არაფერი იყო („საქართველო", 1917 წ. 17 დეკ.)

მიუხედავად იმისა, რომ შ. ამირეჯიბის პუბლიცისტიკაში ანტისოციალისტური თვალთახედვა ადრეც აშკარად იყო გამოხატული, 1917 წლიდან ამ იდეოლოგიის მქადაგებელთა წინააღმდეგ ბრძოლა მან კიდევ უფრო მეტად გააააქტიურა. ქართველი სოციალ-დემოკრატების ორივე ფრთისადმი - ბოლშევიკებისადმიც და მენშევიკებისადმიც - მის მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას უპირველეს ყოვლისა ის ფაქტი განაპირობებდა, რომ ისინი ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის რეალური მოწინააღმდეგენი და აშკარად გამოხატული პრორუსული პოზიციის მქადაგებელი პოლიტიკოსები იყვნენ. ამ თვალსაზრისით მათი იდეოლოგია არაფრით განსხვავდებოდა იმ არაქართველ (უპირველეს ყოვლისა რუს) პოლიტიკოსთა და სახელმწიფო მოხელეთა თვალთახედვისაგან, რომელთა მზაკვრულ მიზანს ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა.

ერთ-ერთი მათგანი ცნობილი ბოლშევიკი შაუმიანიც იყო, რომელსაც შ. ამირეჯიბი „დიდ პროვოკატორსა და ქართველების სასტიკად მოძულე" იმ კაცად მიიჩნევდა, ვინც „წელებზე ფეხს იდგამდა, არაფერს არ ზოგავდა და სურდა რუსის ჯარში სახელი გაუტეხა საქართველოსთვის" („საქართველო", 1917 წ. 19 დეკ.). შ. ამირეჯიბის შეფასებით, „შაუმიანის სახით აქ, თფილისში, საქართველოს დედაქალაქში, საქართველოს ეროვნულ ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებდა პირი, აშკარად პროვოკატორი და აშკარად ავაზაკი, რომელიც თავის ავაზაკურ მოღვაწეობით შიგ ძირში სწვდებოდა

ერისა და საქართველოს თვითმმართველობის ინტერესებს". ამიტომაც მას, როგორც ჩვენი ქვეყნის მტერს, დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინა საქართველო.

შ. ამირეჯიბის აღშფოთებას განსაკუთრებით ამძაფრებდა ის ფაქტი, შაუმიანსა და ჩვენი ქვეყნისადმი მტრულად განწყობილ სხვა უცხოელ პოლიტიკოსებს აქტიური თანამოაზრენი თავად ქართველებს შორისაც რომ ჰყავდნენ როგორც ბოლშევიკების, ისე მენშევიკების სახით. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საშიშ ძალას იმხანად ქართული მენშევიზმი წარმოადგენდა, რომელსაც მაშინდელ საქართველოში საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა. თავისი პუბლიცისტური წერილებით შ. ამირეჯიბი აქტიურად ცდილობდა ქართველი საზოგადოებისათვის ნათლად დაენახვებინა ნამდვილი არსი მენშევიკების პარტიული და პოლიტიკური საქმიანობისა.

მისი მტკიცებით, „ქართველი მენშევიკები რუსეთის ხსნაზე და ერთ არს რესპუბლიკაზე ოცნებობდნენ". მაგრამ როცა „დამფუძნებელი კრების გარეკვით მოკვდა უკანასკნელი იმედი რუსეთის მთლიანობისა, ქართველი მენშევიკები მოულოდნელობის განცვიფრებამ მოიცვა და ვეღარ არჩევდნენ, მოკვდა რევოლიუცია, თუ ის, რასაც ძალდატანებით განმტკიცებული რუსეთის ტერიტორია ერქვა. რევოლიუციონური დემოკრატიის გაერთიანება იმისთვის, რომ აღდგენილ იქნას ეს ტერიტორიული მთლიანობა რუსეთისა, ჩვენ მიგვაჩნია ურეაქციონერეს ლოზუნგათ" (ამირეჯიბი, წიგნი პირველი, 1998: 218).

როგორც ცნობილია, მეოცე საუკუნის დასაწყისის საქართველოში ქართველ მამულიშვილთა მნიშვნელოვანი ნაწილი აქტიურად უჭერდა მხარს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ავტონომიას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. მათი აზრით, იმჟამინდელ ვითარებაში სწორედ ეს იქნებოდა ყველაზე კარგი გამოსავალი არსებული მდგომარეობიდან. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დიდ ქართველ მოღვაწეთა ნააზრევში გაჩენილ ამ იდეას მეოცე საუკუნის დასაწყისში საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდა, რაც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის შექმნის ერთ-ერთ მყარ საფუძვლად იქცა. ამ პარტიის შემადგენლობაში თავდაპირველად ისეთი მამულიშვილებიც შევიდნენ, რომლებიც მოგვიანებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელნი და აქტიური მოღვაწენი გახდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ შ. ამირეჯიბი სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წევრი არასოდეს ყოფილა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნამდე ისიც იზიარებდა საქართველოს ავტონომიზაციის იმ იდეას, რომელსაც ეს პარტია ქადაგებდა. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოსთვის ცალკე ავტონომიური სახელმწიფოებრივი სტატუსის მოპოვებას შ. ამირეჯიბი იმჟამინდელ ვითარებაში ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის ყველაზე მეტად მისაღებ ვარიანტად მიიჩნევდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შექმნის დროდან მოყოლებული (1917 წ.) კი მან ეს თვალსაზრისი შეიცვალა და იგი ჩვენი ქვეყნის სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეისათვის მებრძოლ მამულიშვილთა ერთ-ერთი აქტიური წარმომადგენელი გახდა.

ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარების გზათა აქტიურად მაძიებელი მწერალი, რომლისთვისაც საქართველო უპირველეს ყოვლისა „პოლიტიკურ ცნებას" (მისი სიტყვებია) წარმოადგენდა, მისი სახელმწიფოებრივი ძლიერების ერთ-ერთ უმთავრეს პირობად ტერიტორიულ მთლიანობასა და დაუნაწევრებლობას მიიჩნევდა. ამ მთლიანობის განმაპირობებელი ფაქტორების განსაზღვრის დროს შ. ამირეჯიბი განსაკუთრებულ ყურადღებას იმ რეგიონებს მიაპყრობდა, რომელთაც ცხოვრებამ მძიმე ისტორიული ხვედრი არგუნა. ერთ-ერთი მათგანი იყო აჭარა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში დედასამშობლოს იძულებით მოწყვეტილი უძველესი ქართული მიწა.

აჭარისადმი მიძღვნილ წერილებში შ. ამირეჯიბი არა მარტო იმხანად იქ არსებულ მდგომარეობას აღუწერდა მკითხველს, არამედ ამ მხარის ისტორიულ ავბედობებზეც ამახვილებდა ყურადღებას. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა გაზეთ „სამშობლოს" 1915 წლის 30 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „აჭარის მთებში". შ. ამირეჯიბი პატრიოტული გულისტკივილით იხსენებდა იმ დროს, როცა საქართველოს „პოლიტიკურ სხეულს" მოწყვეტილი აჭარა ქართველებისათვის „ცხრა მთის იქითა ქვეყანას" წარმოადგენდა. თუმცა, ამგვარი მდგომარეობის მიუხედავად, შ. ამირეჯიბის ხაზგასმით, აჭარაში ქართული სული და ცნობიერება არასოდეს ჩამკვდარა.

სწორედ ამის ნათელ დადასტურებად მიიჩნევდა იგი იმ ფაქტს, რომ „დაწყებული ბათომიდან ართვინამდე, მარჯვნივ ჭოროხის წყლისა, თქვენ ხედავთ ერთ კულტურას, ერთ ენას, ერთ ტიპს. მხო-

ლოდ სარწმუნოება გამცნევთ, რომ ამ ქვეყანას რაღაც სასტიკი უბედურება გადახდენია თავის ცხოვრებაში და მუსულმანური ჯამე და მინარეტებია, რომ არღვევენ მთლიან ილუზიას იმისას, რომ თქვენ ღვიძლ საქართველოში იმყოფებით. მაგრამ სარწმუნოებამაც კი ვერ შესძლო სრული გადაგვარება მის ქართველურ სულისა" (ამირეჯიბი, წიგნი პირველი, 1998: 184).

დედასამშობლოს მოწყვეტილ და მტრისაგან დამონებულ აჭარაში ქართული სულისა და ცნობიერების გადარჩენის საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი, შ. ამირეჯიბის შეფასებით, იქაურმა ქალებმა ითამაშეს. მართალია, „მაჰმადიანიზმმა მათ ჩადრი წამოასხა, მაგრამ რა ოსტატურად დამალეს ამ ჩადრქვეშ თავიანთ სახესთან ერთად სიყვარული საქართველოსი, თავისი ენისა, თავის ძველი აღთქმებისა. მათ თავის ჩადრს ქვეშ და თავის კალთით ატარეს ყველაფერი, რაც კი ქართველური იყო აჭარაში და დღევანდლამდე მოიტანეს. მაგრამ რამდენი ტანჯვა გამოიარეს ამ ხნის განმავლობაში!" მწერლის ხატოვანი შედარებით, ასე იქცა აჭარელი ქალი ჩვენი ქვეყნის ამ მრავალტანჯული მხარის მწუხარებისა და სევდის ემბლემად.

როგორც წინამდებარე მიმოხილვითაც ჩანს, შ. ამირეჯიბის წერილები იმდროინდელი მოვლენების უშუალოდ თვითმხილველი პოლიტიკოსის მიერ მოწოდებულ იმ დოკუმენტურ მასალებს წარმოადგენს, რომელთა მეშვეობითაც მკითხველს შესაძლებლობა ეძლევა თანმიმდევრულად აღადგინოს და გაიცნობიეროს რთულად და წინააღმდეგობრივად მიმდინარე ის პროცესი, რაც საბოლოოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით დაგვირგვინდა. ამ თვალსაზრისით მწერლის იმდროინდელ პუბლიკაციებს პირობითად ისტორიული დოკუმენტების მნიშვნელობაც შეიძლება მივანიჭოთ.

შ. ამირეჯიბის პუბლიცისტიკის გაანალიზების დროს განსაკუთრებული ყურადღება მის იმ წერილებსაც მინდა მივაქციო, რომლებშიც ავტორი უშუალოდ თვითმხილველი და თანამონაწილე ადამიანის თვალთახედვით მოგვითხრობს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებულ ამბებს. ამ თვალსაზრისით 1918 წლის 26 მაისის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების შ. ამირეჯიბისეულ შეფასებას არა მარტო თავად მწერლის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის გასააზრებლად აქვს უდიდესი მნიშვნელობა, არამედ წმინდა ისტო-

რიულ-დოკუმენტური პოზიციიდანაც. როგორც მისი წერილებიდან გარკვევით ჩანს, იგი ამ ისტორიული პროცესის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო.

მაგალითად, ზემოთ აღნიშნული მოვლენის შესახებ საუბარს შ. ამირეჯიბი ერთგან შემდეგნაირად იწყებს: „26 მაისის დილას, 1918 წელს, მეც ისე ვღელავდი, როგორც ალბათ ბევრი სხვა ქართველიც და ადრე ავდექი. ხუმრობა საქმე არ იყო. ას ჩვიდმეტი წლის მონობის შემდეგ საქართველო თავის დამოუკიდებლობას აცხადებდა" (ამირეჯიბი, წიგნი მეორე, 1998: 118).

შ. ამირეჯიბის მონათხრობი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ამ ერთერთი ყველაზე მეტად გამორჩეული დღის შესახებ არა მარტო იმითაა საინტერესო, რომ მისი მეშვეობით შესაძლებლობა გვეძლევა იმდროინდელი მოვლენების თანმიმდევრული სიზუსტით გააზრებისა, არამედ იმითაც, რომ მწერალი ამ მოვლენათა უშუალო მონაწილე პოლიტიკურ ძალთა შემფასებლის როლშიც გამოდის და ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გამოთქვამს მათ მიმართ საკუთარ დამოკიდებულებას.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა უკომპრომისოდ კრიტიკული ის დამოკიდებულება, რომელსაც იგი ქართველი სოციალ-დემოკრატებისადმი ავლენს. მწერალი აღშფოთებას ვერ მალავს იმის გამო, რომ ზემოთ აღნიშნული ისტორიული მოვლენის წარმმართველის როლში ბედის ირონიით სწორედ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პრინციპულად მოწინააღმდეგე მათი პარტია მოგვევლინა.

აი, რას წერს იგი ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით ერთგან: „წინა დღეებში სოციალ-დემოკრატიულ პარტიას კრება ჰქონდა, რომელზედაც დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი სწყდებოდა. საზოგადოებაში ხმა დადიოდა, რომ კრებაზედ ბევრს დრამატიულ სცენას ჰქონდა ადგილი. ლაპარაკობდნენ, რომ ვიღაცას გული შეუწუხდა, ვიღაცამ თავისი აზრის პროტოკოლში შეტანა მოითხოვა. „აზრი" კი დამოუკიდებლობის საწინაღმდეგო იყო. ასახელებდნენ პირებსაც. საზოგადოებას ეს ხმები მოსდიოდა და ღელავდა. ოდესმე ისტორია იტყვის, რა მოხდა ამ კრებაზედ და ვინ იყო დანამდვილებით ის ხალხი, რომელიც ასე მისტიროდა რუსეთს. ერთი კი მაშინაც ვიცოდით: საქართველოს დამოუკიდებლობის აზრი ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ მიიღო არა ერთხმად, არამედ ხმის უმეტესობით".

ასე იყო თუ ისე, დადგა თაობათა მიერ ნაოცნებარი დრო, როცა ოფიციალურად უნდა გამოცხადებულიყო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ ისტორიულ მომენტს წინ უძღოდა სეიმის სხდომა, რომელსაც ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა უნდა ემცნო საზოგადოებისათვის. ორივე ეს მოვლენა შ. ამირეჯიბის ხსენებულ წერილში უმძაფრესი შთამბეჭდაობითაა აღწერილი. ეს მონათხრობი იმდენად მნიშვნელოვანია და საინტერესო, რომ ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად კვლავ დავიმოწმებ ფრაგმენტებს ავტორისეული ნაამბობიდან:

„ამ დღეს, როგორც შემდგომ პარლამენტის პირველ სხდომაზედ, ჟორდანიამაც აღნიშნა, ჩვენ ვიყავით მოწმე, როგორ მოკვდა ერთსა და იმავე დარბაზში ერთი სახელმწიფო და დაიბადა მეორე. პირველი ამიერკავკასიის რესპუბლიკა იყო, მეორე - საქართველოს!

სეიმის უკანასკნელი კრება დაღვრემილი, უხალისო და უფერული იყო. პირველად ვნახე ჩემ სიცოცხლეში სახელმწიფოს „სიკვდილი" და ისიც ასე დრამატიზმს მოკლებული. სახელმწიფონი კვდებიან ომში, ან რევოლუციაში. ჩვენი ამიერკავკასიის რესპუბლიკა ტრიბუნაზედ მოკვდა. ტრიბუნაზედ გამოდიოდა ხალხი, ან უკეთ თავის მკვლელები, რომელიც ნაბალადევი სიტყვით და საკმაოდ ცრუ ჟესტით ბოდიშს ხდილობდა, რომ საკუთარის ხელით იჭრიდა ყელს. სეიმი იშლებოდა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა კვდებოდა ისე, რომ არავისში სინანულს არ იწვევდა".

ერთი სახელმწიფოს „სიკვდილის" აღიარების ამ ისტორიულ მომენტს იქვე მასზე გაცილებით მნიშვნელოვანი მეორე მომენტის დადგომა მოჰყვა - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ოფიციალური და უკვე საზეიმო გამოცხადება. აი, როგორ აღწერს ამ მოვლენას შ. ამირეჯიბი, როგორც არა მარტო უბრალო თვითმხილველი ამ ფაქტისა, არამედ მისი ერთ-ერთი აქტიური თანამონაწილეც: „სეიმი დაიშალა და ამიერკავკასიის რესპუბლიკა ისე მოკვდა, რომ სხდომის დარბაზი ცარიელი არ დარჩენილა მაშინაც, როცა სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა დარბაზი დასტოვეს. სეიმის ქართველი წევრები თავის ადგილებზედ დარჩნენ. ქართული პარლამენტის დანარჩენი წევრები ლოჟებიდგან სხდომის დარბაზში გადავლაგდით და პირველი ქართული პარლამენტი ასე შესდგა".

ხალხით გადაჭედილ დარბაზში ერთადერთი მთავრობის ლოჟა ყოფილა ცარიელი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ქვეყანას ჯერჯერობით მთავრობა არჩეული არ ჰყავდა.

და აი, დგება წუთი, როცა საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანია დამოუკიდებლობის აქტს კითხულობს. ამ ისტორიული მოვლენის შესახებ იმდენი დაწერილა, კაცმა ახალი თითქოს რაღა უნდა თქვას, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, შ. ამირეჯიბის ამ მონათხრობს განსაკუთრებული ინტერესით მკითხველი დღეს თუნდაც იმიტომაც წაიკითხავს, რომ მწერალი თავად ამ პროცესის უშუალო მონაწილე კაცის მღელვარებით ყვება იმჟამინდელ ამბებს.

ნათქვამისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად კიდევ მივმართოთ ციტირებას: „ჟორდანიამ, საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარემ, „დამოუკიდებლობის აქტი" წაიკითხა. ვერ ვიტყვი, რომ აქტისათვის მაშინ დიდი ყურადღება მიმექციოს. ყველა ის, ვინც ამ თექვსმეტი თვის განმავლობაში დამოუკიდებლობას ითხოვდა, ისე იყო გაწვალებული რევოლუციონურ-დემოკრატიის ეროვნული ნიღილიზმით, რომ ყოველი სიტყვა მისგან საქართველოზედ და საქართველოსთვის თქმული, დიდ ღვთის წყალობათ მიაჩნდა. ყველაფერს ნაჩუქარი ცხენის ფასი ჰქონდა, რომელსაც კბილებს აღარავინ უშინჯავდა. ფეხზე ავდექით და ტაში დავუკარით, ჰიმნი ვერ ვიმღერებთ, რადგან არცა გვქონდა".

ამ საზეიმო განწყობილების აღწერასთან ერთად შ. ამირეჯიბი ქვემოთ გულისტკივილით კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ „სხდომის ოვაციებსა და დამსწრე საზოგადოების ენტუზიაზმს" იმავდროულად „რაღაცა ელდაც" ახლდა თან, „რომელსაც განზრახ ყველა მალავდა ამ დღეს", ელდა იმისა, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის მთავარ შემოქმედ ძალად ქცეული პარტია და მის მიერ არჩეული მთავრობა „ეროვნული ბრძოლის მოედნიდგან არ იყო მოსული. ეს იყო ხალხი, რომელმაც დიდხანს აბრეცინა თვალი საქართველოს, ვიდრე „მუშათა და გლეხთა საბჭოდგან", მერე, „ამიერ-კავკასიის „კომისარიატიდგან", შემდეგ „ამიერკავკასიის რესპუბლიკიდგან" საქართველოს მთავრობაში მოვიდოდა... „ამიერ-კავკასიის რესპუბლიკიდგან" საქართველოს მთავრობაში მოსული... ქართველი სოციალ-დემოკრატები თითონ შეძვრენ ოდესღაც იმ ხვრელში, რომელსაც კავკასიის და სრულიად რუსეთის დემოკრატია ერქვა და იქიდგან გამოძრომის დროს საქართველოს სახე დააკაწრეს.. ამ დღეს ჩვენს პარლამენტზეც სოციალიზმის დროშა ფრიალებდა და ეროვნული დროშა, მგონია, მხოლოდ ნახევარ წლის შემდეგ გაჩნდა იქ".

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი შ. ამირეჯიბის კრიტიკულ-ოპოზიციურ დამოკიდებულებას არა მარტო ამ მთავრობის საქმიანობის არსებითად წარმმართველი ძალის - სოციალ-დემოკრატიული პარტიის მესვეურთა ადრინდელი ანტიეროვნული და აშკარად პრორუსული მოღვაწეობა განაპირობებდა, არამედ ქვეყნის მმართველობის პერიოდში გატარებული მათი სახელმწიფოებრივი პოლიტიკაც.

ნათქვამისათის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად აქ ერთ ასეთ კონკრეტულ მაგალითს მოვიშველიებ: შ. ამირეჯიბი გულისტკივილით იხსენებს იმ ფაქტს, როგორ მოხსნა „ტფილისის გაქართულებულმა ქალაქის საბჭომ, როგორც დემოკრატიისათვის შეუფერებელი", თბილისში არსებულ ერეკლე მეფის სახელობის სკოლას მისთვის „ჯერ კიდევ რუსების დროს ტფილისის ქალაქის სომხური საბჭოსა და რუსის ადმინისტრაციის" ნებართვით მინიჭებული ეს სახელი და „როგორც „ქართული დემოკრატისათვის" ფრიად შესაფერი, რუსული სახელი მიაკერა" (ამირეჯიბი, წიგნი მეორე, 1998: 126).

შ. ამირეჯიბის ინფორმაციით, „ეროვნული გრძნობის ასეთი შელახვა და ეროვნული წესრიგის ასეთი დარღვევა დამოუკიდებელ საქართველოში ფეხის ყოველ ნაბიჯზედ ხდებოდა. განა ვისთვის იყო საჭირო, რომ ტფილისის ერთ უმთავრეს ქუჩას „პლეხანოვის პროსპექტი" დაარქვეს? მხოლოდ რამდენიმე თუთიყუშისათვის, რომელიც პლეხანოვს საქართველოში ჰყავდა! მაგრამ ეს მოხდა და მრავალი სხვაც. არ იყო სამინისტრო, სადაც თითო რუსი მაინც არ მჯდარიყოს - ჩვენი ეროვნული მთავრობის „პარტიული" ამხანაგი. გვარდიის შტაბი, პროფესიონალური კავშირები, პარტიული პრესა არაქართველი ხალხით იყო სავსე. ასეთი იყო „საქართველოს" სოციალ-დემოკრატიული პარტია" (ამირეჯიბი, წიგნი მეორე, 1998: 127).

მართალია, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ხელისუფლებაში მოსვლამდე მათი პარტიული მოღვაწეობის არსებითად განმსაზღვრელი ანტიეროვნული პრინციპები შემდგომში მნიშვნელოვანწილად შეცვალეს, მაგრამ რუსოფილური პოზიცია კვლავაც დარჩა მათი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად.

საქართველოში ცხოვრების პერიოდში შ. ამირეჯიბმა პუბლიცისტიკის ჟანრში აქტიური და ინტენსიური მოღვაწეობა 1918 წლის ბოლომდე გააგრძელა. როგორც მისი პუბლიცისტური წერილების დაწერისა და გამოქვეყნების თარიღებით ხდება ცხადი, ამის შემდგომ, ემიგრაციაში წასვლამდე, იგი თითქმის მთლიანად წყვეტს ამ მიმართულებით მუშაობას და მხოლოდ რამდენიმე წერილს აქვეყნებს. შ. ამირეჯიბის შემოქმედებითი ენერგიის გამომვლენ უმთავრეს ჟანრად ამ დროისათვის ლირიკული პოეზია იქცა.

რაგინდ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, ეროვნულ-განმათავისუფლებელ საქმიანობაში ესოდენ აქტიურად ჩაბმული ამ პიროვნების პოეზიაში საკმაოდ მკრთალად და ზედაპირულად აირეკლა ის დიდმნიშვნელოვანი მოვლენები, რომელთა აქტიური თანამონაწილე იმხანად თავად ისიც იყო. შ. ამირეჯიბის ლექსების უდიდესი ნაწილის უმთავრესი მიზანსწრაფვის საგანი ინტიმურ გრძნობათა წარმოსახვა, პიროვნების სულიერ განწყობილებათა და ლირიკულ ემოციათა გამოხატვა იქცა; თუმცა მის იმდროინდელ პოეტურ შემოქმედებაში მათი ავტორის ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვის წარმომჩენი ლექსებიც გვხვდება.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის აქტიურად მებრძოლი პოეტი თავის მაშინდელ ლექსებში ნიღაბახდილი ფორმით წარმოსახავდა იმ აგრესიულ პოლიტიკას, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მიმართ ატარებდნენ ვითომცდა მსხნელად და მფარველად მოვლენილი რუსი კოლონიზატორები:

ასე მგონია საქართველო არ გამოცვლილა!
ვზივართ ჩვენ ორნი და შევყურებთ ძველ მონასტერსა,
იქ ბრძლის ველზე ჩვენი ჯარი უკვე დაღლილა
და გამარჯვება წილ ხდომია მოსისხლე მტერსა!
მე მეშინიან! ტურფავ, გახსენ შენი მარაო...
მაგრამ ნუ ფიქრობ, მტერთან ბრძოლა მიმაჩნდეს ძნელად!
მე ის მაშინებს, რომ დადგება ჟამი ამაო
და საცა არის მოვლენ რუსნი ჩვენ დასახსნელად!..

როგორც ითქვა, სამშობლოდან იძულებით ემიგრაციაში გადახვეწილი შალვა ამირეჯიბი 1943 წელს გარდაიცვალა პარიზში. მისი გარდაცვალებით სამშობლოს ბედით დამწუხრებულ ქართველ ემიგრანტთა რიგებს მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის დრამატულ მოვლენათა ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ის პიროვნება გამოაკლდა, რომლის სიცოცხლის უმთავრეს მიზანს მშობელი ქვეყნის თავისუფლებისთვის უკომპრომისო ბრძოლა წარმოადგენდა.

შალვა ამირეჯიბის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილში ქართული ემიგრაციის ცნობილმა წარმომადგენელმა ვიქტორ ნოზაძემ მწერლის ცხოვრებას თავისი თაობის ისტორია უწოდა, „მისი აზრი და ფიქრი, მისი ნატვრა, მისი ღვაწლი და ბრძოლა.“ სახელოვანი მეცნიერის თქმით, „შ. ამირეჯიბი ნაზი ბუნების კაცი იყო, მძიმედ დატვირთული საქართველოზე ფიქრით,“ პიროვნება, რომლის საუბრის უმთავრეს „საგანს კრებაზე თუ სუფრაზე, სახლში თუ ქუჩაში - ქართული საკითხები წარმოადგენდა.“

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საბჭოთა პერიოდში მწერლის სამშობლოში ტაბუდადებული ამ გულმხურვალე პატრიოტის მამულიშვილური მოღვაწეობა და შემოქმედებითი მემკვიდრეობა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში ისევ იქცა ინტერესის საგნად და სამართლიანად იმკვიდრებს კუთვნილ ადგილს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.

გერონტი ქიქოძე

სამწუხაროდ, გერონტი ქიქოძის (1888-1960 წწ.) მიერ ჩვენი ქვეყნის გასაბჭოებამდელ პერიოდში მრავლად გამოქვეყნებული ის ნაშრომები, რომელთა ანალიზის უმთავრეს მიზანს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემათა სიღრმისეული ანალიზი წარმოადგენს, დღემდე არაა შესწავლილი საფუძვლიანად. მართალია, ამ მიმართულებით ბოლო წლებში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ მისი, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პროცესში აქტიურად ჩართული დიდი მამულიშვილის, მოღვაწეობა და ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი სათანადოდ წარმოჩენილი ჯერ კიდევ არ არის.

როგორც გ. ქიქოძის ბიოგრაფიიდან ცნობილია, იგი 1917 წლიდან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ამ პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი იყო. სწორედ ამ პარტიიდან გახდა ის საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი და მონაწილეობა მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებული აქტის მიღების პროცესში, რაც აღნიშნულ დოკუმენტზე ხელმოწერითაც დაადასტურა.

გ. ქიქოძე 1919 წელს, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიიის წარმომადგენელი, დამფუძნებელი საბჭოს წევრადაც აირჩიეს. თუმცა პარტიული მოღვაწეობა მან იმავე წელს შეწყვიტა და საზოგადოებრივი საქმიანობა უპარტიო და დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით განაგრძო. აი, რას წერდა თავად ის ამასთან დაკავშირებით: „დამფუძნებელ კრებაში მე არჩეული ვიყავი ნაციონალ-დემოკრატიის სიით, მაგრამ ჩქარა გამოვედი პარტიიდან. ასე რომ, ერთადერთი უპარტიო დეპუტატი მე ვიყავი“ (ქიქოძე, 2003: 17).

სამწუხაროდ, საქართველოს გასაბჭოებამდელი პერიოდის პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩართული ეს დიდი მამულიშვილი საბჭოთა ეპოქაში მთლიანად ჩამოშორდა ამ საქმიანობას და თავისი მოღვაწეობის უმთავრეს მიმართულებად მწერლობა აირჩია.

სამწუხაროდ, საქართველოს გასაბჭოებამდელი პერიოდის პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩართული ეს დიდი მამულიშვილი საბჭოთა ეპოქაში მთლიანად ჩამოშორდა ამ საქმიანობას და

თავისი მოღვაწეობის უმთავრეს მიმართულებად მწერლობა აირჩია. გ. ქიქოძის მიერ მიღებული ამ გადაწყვეტილების განმაპირობებელ ფაქტორად უპირველეს ყოვლისა საბჭოთა რეჟიმისადმი მკვეთრად ნეგატიური ის დამოკიდებულება იქცა, რომელმაც არსებითად განსაზღვრა ამ ტრაგიკული მოვლენის შემდგომდროინდელი მთელი მისი ცხოვრება.

გ. ქიქოძის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას 1956 წელს - თბილისში გამართული მასობრივი ეროვნულ-პოლიტიკური მიტინგის ასობით მონაწილის დახვრეტისა და რეპრესირების პერიოდში - დაწერილი მისი მოგონების ის ფრაგმენტიც ადასტურებს, სადაც იგი ჩვენი ქვეყნის გასაბჭოების შედეგად შექმნილ ტრაგიკულ მდგომარეობასთან დაკავშირებით ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: „თბილისის დაკავებისთანავე წითელი ჯარის ნაწილებმა პარადი გამართეს ქალაქის მთავარ მოედანზე. მეორე დღეს თბილისის მოსახლეობამ დიდი სამგლოვიარო პროცესია მოაწყო რუსთაველის პროსპექტზე. წინ მოჰქონდათ შავი კუბოები, რომლებშიც სანგრებიდან ჩამოტანილი ქართველ ჭაბუკთა გვამები ესვენენ, ხოლო უკან, ნელი ნაბიჯით, მდუმარე და თავჩაქინდრული ხალხი მოაბიჯებდა. ეს სანახაობა იმდენად ტრაგიკული იყო, რომ გაოცებასთან შეერთებული მოკრძალების გრძნობას იწვევდა კომუნისტებისა და წითელარმიელების რიგებში. და ახალ ადმინისტრაციას აზრადაც არ მოსვლია ამ პროცესიისთვის ხელი შეესალა. დახოცილი ქართველი მეომრები დასაფლავებულ იქნენ დიდი საკრებულო ტაძრის ეზოში, სადაც ამჟამად მთავრობის ახალი სასახლის შენობაა ამართული“ (ქიქოძე, 2003: 52).

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, გერონტი ქიქოძის საბჭოთა პერიოდამდელ პუბლიკაციებზე დაყრდნობით რამდენადმე მაინც წარმოვაჩინო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის განმსაზღვრელი ის უმთავრესი პრინციპები, რომლებიც არა მარტო იმდროინდელი მოვლენებისადმი მწერლის დამოკიდებულების გასააზრებლადაა უაღრესად საინტერესო, არამედ ჩვენს ქვეყანაში დღესდღეობით არსებული პოლიტიკური რეალობის შესაფასებლადაც.

გერონტი ქიქოძის ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვის წარმოჩენისა და შეფასების დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის გარემოება, რომ მან საქართველოს სახელმწიფოებრივი და-

მოუკიდებლობის აღდგენამდელ პერიოდში გამოქვეყნებულ თავის ნაშრომებში ძირითადად მართებულად განსაზღვრა ის უმთავრესი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უნდა დასდებოდა ჩვენი ქვეყნის სამომავლო პერსპექტივას.

თუმცა ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არსებულ პოლიტიკურ რეალობასთან დაკავშირებით გერონტი ქიქოძის მიერ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება მოვლენათა სასურველი ფორმით წარმოჩენის მცდელობა უფროა და ისტორიულ კონტექსტთან შეუსაბამო. მაგალითად, 1916 წლის 15 მაისს გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნებულ წერილში „ბრძოლა თუ შეთანხმება?" იგი ხაზგასმულად რომანტიზებული სახით წარმოაჩენდა თათრების სახელით მოხსენიებულ თურქეთის სახელმწიფოსთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის პერსპექტივას და დაიმედებით აცხადებდა, რომ ახალ პოლიტიკურ რეალობაში ამ თვალსაზრისით ბევრი რამ უკვე სასიკეთოდ იყო შეცვლილი.

კერძოდ, განსხვავებით წარსული საუკუნეებისაგან, როცა „გადამწყვეტი მნიშვნელობა რელიგიურ მომენტს ჰქონდა," რის გამოც „ქართველებსა და თათრებს შორის სოლიდარობა კი არა, უნდობლობა, შუღლი და ბრძოლა იყო," ახალ რეალობაში უკვე „უმთავრესი მნიშვნელობა სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს" ენიჭებოდა. აქედან გამომდინარე კი „ჩვენსა და თათრებს შორის მეტი თანხმობა აღმოჩნდა, ვიდრე წინააღმდეგობა."

სწორედ ამ მოვლენის გამოვლინებად მიიჩნევდა გ. ქიქოძე იმ გარემოებას, რომ „საქართველოს ტერიტორიის შესახებ არც თათრები აცხადებდნენ არავითარ პრეტენზიებს და არც ჩვენ ვედავებოდით მიწა-წყალს. ჩვენ გვსურდა ქართველი მაჰმადიანების დაბრუნება სამშობლოს წიაღში: ლაზისტანში, აჭარაში, სამცხეში, ეროვნული შეგნების შეტანა და ქართული ენის აღდგენა. თათრები სცნობდნენ ამ სურვილის კანონიერებას. ჯერჯერობით არც ჩვენი პოლიტიკური იდეალები ეწინააღმდეგებოდნენ ერთი მეორეს" (ქიქოძე, 2018: 15).

სამწუხაროდ, როგორც გ. ქიქოძის მიერ გამოთქმული ამ რომანტიზებული მოსაზრების გამოქვეყნებიდან ორიოდე წლის შემდეგ განვითარებული მოვლენებით დადასტურდა, თათრების სახელით მოხსენიებულ თურქეთთან ურთიერთობის ამგვარი შეფასება რეალობას რომ არ შეესაბამებოდა და ამ ქვეყნის მაშინდელმა ხელისუფლებამ არა მარტო პოლიტიკურად ცადა ჩვენი ქვეყნის ტერი-

ტორიების გარკვეული ნაწილის მიტაცება, არამედ საომარი ოპერაციების განხორციელების შედეგად ნაწილობრივ შეძლო კიდეც ამის გაკეთება.

საანალიზო პერიოდში გამოქვეყნებულ წერილებში გ. ქიქოძემ ქართულ-სომხურ ურთიერთობათა საკითხებსაც მიაპყრო ყურადღება და ყოველგვარი შენიღბვის გარეშე გამოხატა მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება სომეხ ნაციონალისტთა გააქტიურებულ ანტიქართულ ქმედებათა გამო. თავის იმდროინდელ პუბლიკაციებში იგი ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ამხელდა იმ აგრესიულ დამოკიდებულებას, რასაც სომეხი ნაციონალისტები ავლენდნენ ქართული ტერიტორიების მისასაკუთრებლად. თავისი ამ პუბლიკაციებით გ. ქიქოძე არა მარტო სომეხ ექსტრემისტებს უპირისპირდებოდა საკმაოდ მწვავედ, არამედ ქართველ სოციალისტთა იმ ნაწილსაც, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სომეხ ნაცინალისტთა ამგვარი აგრესიის შესახებ საუბარი „რამდენიმე ინტრიგანი პოლიტიკოსის მიერ მოგონილი ამბავი“ იყო და სინამდვილეს არ შეესაბამებოდა (ქიქოძე, 2018: 152).

გ. ქიქოძე არა მარტო ზოგადად უპირისპირდებოდა ამგვარი მოსაზრების მქონე სოციალისტებს, არამედ ისტორიული წარსულიდანაც და იმდროინდელი რეალობიდანაც დამოწმებული კონკრეტული ფაქტების მოშველიებით ცდილობდა მათი მოღალატეობრივი საქმიანობის ნათელყოფას. აღნიშნულ გარემოებასთან ერთად, იგი იმ გარემოებასაც აღნიშნავდა ხაზგასმით, ქართველები გამონაკლისნი რომ არ ყოფილან და სომეხი ნაციონალისტები ამგვარ აგრესიას სხვა მეზობელი ქვეყნების ტერიტორიათა მისატაცებლადაც ავლენდნენ ისტორიულადაც და იმხანადაც. კერძოდ, აი, რას წერდა თავად ის ამასთან დაკავშირებით 1918 წლის 23 ივლისს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში: „სომხის ერს მე-13 საუკუნის შემდეგ არ ჰქონია თავისი საკუთარი ტერიტორია. იგი კუნძულებივით, სოლებივით შეჭრილია სხვა ერების ტერიტორიაში...

ვის ხარჯზე შეუძლიანთ სომხებს შეჰქმნას თავიანთი სახელმწიფო?

რასაკვირველია, იმ სახელმწიფოების, იმ ერების ხარჯზე, რომელშიაც არიან გაბნეულნი სომხები: ერთის მხრივ ოსმალეთში, მეორე მხრივ საქართველოში და მესამე მხრივ ადერბეიჯანსა და სპარსეთში...

ისინი წინააღმდეგობას ეწევიან და ცდილობენ დაამხონ ის სახელმწიფონი, რომელშიაც ისინი იმყოფებიან“ (ქიქოძე, 2018: 152).

გერონტი ქიქოძე სომეხ ნაციონალისტთა აგრესიას იმის გამოც მიიჩნევდა განსაკუთრებით საშიშ მოვლენად, რომ საქართველოსადმი მათ ამგვარ დამოკიდებულებას იმხანად საკმაოდ დიდი მასშტაბები ჰქონდა შეძენილი. მაგალითად, 1916 წელს გამოქვეყნებულ ზემოთ ხსენებულ წერილში სომეხ ნაციონალისტთა ამგვარ ანტიქართულ ზრახვებს თათრების სახელით მოხსენიებულ თურქებთან მიმართებით იგი ასეთ შეფასებას აძლევდა: „ბევრად უფრო რთული და მრავალმხრივია ჩვენი ურთიერთობა სომხობასთან. შემაერთებელი ძაფი ცოტა-ღა დარჩა ჩვენს შორის, ანტაგონიზმი კი დღითი დღე ძლიერდება და ღრმავდება. უაზრობა იქნებოდა ამის უარყოფა“ (ქიქოძე, 2018: 16).

თუმცა სომხური აგრესიის ამგვარი შეფასების მიუხედავად, გ. ქიქოძე იქვე იმასაც აღნიშნავდა, რომ სომეხი ნაციონალისტების ანტიქართულ ქმედებათა ამგვარი მხილებით ის იმის მოწოდებით კი არ გამოდიოდა, მათ წინააღმდეგ საბრძოლველად „ხელში წვეტიანი შუბები რომ დავიჭიროთ, ცხვირში სადგისები გავიყაროთ და ერთი მეორეს დავერიოთ ავსტრალიელი კაცის მჭამელებივით.“

სომხებისადმი გ. ქიქოძის ზემოთ აღნიშნული დამოკიდებულების განმსაზღვრელ ფაქტორად პირველ ყოვლისა ის პრეტენზიები იქცა, რითაც ისინი აქტიურად ცდილობდნენ ქართული მიწების მისაკუთრებას. სწორედ ამ სამწუხარო მოვლენის გულსატკენ შედეგად მიიჩნევდა პუბლიცისტი იმ გარემოებას, რომ მათ მართლაც შეძლეს ჩვენი ტერიტორიების გარკვეული ნაწილის მითვისება. აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით: „უდიდესი ნაწილი ჩვენი ტერიტორიისა - ჯავახეთი და აღმოსავლეთი სამცხე სომხობამ მეცხრამეტე საუკუნეში დაიპყრო...

მეორე მხრით აღმოსავლეთ საქართველოში დღითი დღე იზრდება სომეხთა რიცხვი. ასეთ პირობებში აუცილებელია შეურიგებელ წინააღმდეგობათა წარმოშობა“ (ქიქოძე, 1919: 196).

საანალიზო პერიოდში გერონტი ქიქოძის მიერ გამოქვეყნებული წერილების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად იმ შეუსაბამობათა კრიტიკული თვალთახედვით წარმოჩენაც იქცა, რაც, მისი აზრით, ადრინდელი და იმჟამინდელი პერიოდების ქართულ ცნობიერებასა და კულტურულ მემკვიდრეობას შორის არსებობდა. ამ შემთხვევაში იგი არა მარტო ზოგადად მსჯელობდა ამ საკითხზე, არ-

ამედ აღნიშნული მოსაზრების დასტურად ერთმანეთთან შეპირისპირებული ფორმით კონკრეტული მაგალითებიც მოჰყავდა ჩვენი ქვეყნის წარსულიდან და თანადროული ყოფიდან.

პირველ ყოვლისა სწორედ აღნიშნული თვალსაზრისით მინდა მივაპყრო მკითხველის ყურადღება 1917 წელს გამოქვეყნებულ მის წერილს „ქართული ხუროთმოძღვრებისათვის," სადაც პუბლიცისტი შეეცადა ადრინდელი დროის თბილისური ხუროთმოძღვრება კონტრასტულად გაემიჯნა ამ ქალაქის ბოლოდროინდელი იერსახისაგან. კერძოდ, გ. ქიქოძის შეფასებით, მისი დროის თბილისი უკვე აღარ იყო „ქართული ქალაქი." ამ გარემოების განმაპირობებელ უმთავრეს მოვლენად იგი პირველ ყოვლისა მისი მცხოვრებლების ეთნიკურ მრავალფეროვნებასა და ქართული ეთნოსის მკვეთრად შემცირებას მიიჩნევდა.

ავტორისეულ თვალსაზრისზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ხსენებული პუბლიკაციიდან: „მრავალ ტომების შემოსევამ ჩვენს დედა-ქალაქში ქვებისა მასასაც დააჩნია თავისი ბეჭედი. იგი ნამდვილ ბაბილონის გოდოლად იქცა, სადაც ხუროთმოძღვრები და კალატოზები სხვა და სხვა ენას ლაპარაკობენ. მართალია, აქა იქ ქართული ტაძარი სდგას და აქა-იქ წახნაგოვანი გუმბათი ამაყად აპობს ჰორიზონტს, მაგრამ ორიოდე გუმბათიან ტაძარს დღეს აღარ ძალუძს დიდ სამრეწველო და სააღებმიმცემო ცენტრისთვის განსაზღვრულ არქიტექტურულ ელფერის მიცემა" (ქიქოძე, 1919: 168).

თავისი დროინდელი თბილისის არქიტექტურული იერსახისადმი ესოდენ ნეგატიურ ამ დამოკიდებულებას გ. ქიქოძე მეტ სიმძაფრეს იმითაც სძენდა, რომ აღნიშნულ რეალობას კონტრასტულად მიჯნავდა ჩვენს დედაქალაქში ამ თვალსაზრისით ადრე არსებული მდგომარეობისაგან. კერძოდ, მისი ხაზგასმით, „წინათ ასე როდი ყოფილა. ჩვენ გვქონია არა მარტო დამთავრებული ეკლესიები, არამედ დამთავრებული საერო ხასიათის შენობებიც. ქართველი მემატიანეები და უცხოელი მოგზაურები იმასაც მოწმობენ, რომ ჩვენს ძველებს სცოდნიათ განსხვავება საზაფხულო და საზამთრო ბინებს შორის. როგორც შარდენის მიერ დატოვებული ნახატიდან სჩანს, ჩვენს დედა-ქალაქს მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში ბევრად უფრო გამოკვეთილი და მთლიანი ხასიათი ჰქონია, ვიდრე დღეს აქვს" (ქიქოძე, 2019: 168).

გარდა ხსენებული პუბლიკაციისა, თბილისში იმხანად არსებული რეალობა გერონტი ქიქოძემ 1917 წელს გამოქვეყნებულ თავის მეორე სტატიაშიც - „თბილისი“ წარმოაჩინა მძაფრად კრიტიკული თვალთახედვით. კერძოდ, ხსენებული პუბლიკაციის სულისკვეთებას არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ თბილისის იმდროინდელ რეალობას პუბლიცისტი ამჯერად უკვე პარტიულ-პოლიტიკური თვალთახედვითა და ხსენებული წლის ნოემბერში ჩასატარებელი არჩევნების წინ არსებულ მდგომარეობასთან მიმართებით აფასებდა.

როგორც ავტორისეული განმარტებიდან თვალნათლივ ჩანს, აღნიშნული სტატიის გამოქვეყნების უმთავრეს მიზანს თბილისელებისათვის იმის არგუმენტირებულად განმარტება წარმოადგენდა, რა მნიშვნელობა ჰქონდა აღნიშნულ არჩევნებში მათი მონაწილეობის მიღებასა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივად სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას. კერძოდ, გ. ქიქოძის ხაზგასმით, ამ არჩევნების შედეგებს შესაძლოა, „არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონოდა, ვიდრე ზოგიერთ სისხლისმღვრელ ომს, რომელიც წინათ თბილისის დასაპყრობად მომხდარა“ (ქიქოძე, 1919: 181).

ხსენებულ არჩევნებთან დაკავშირებით არსებულ სირთულეებზე საუბრის დროს გ. ქიქოძე თავიდანვე ამახვილებდა განსაკუთრებულ ყურადღებას იმაზე, რომ იმდროინდელი თბილისის მოსახლეობაში ქართველთა ხვედრითი წილი მკვეთრად იყო შემცირებული და პრიორიტეტული მდგომარეობის მოსაპოვებლად „რამდენიმე ერი ეჯიბრებოდა ერთმანეთს.“ მისი აზრით, მათგან ყველაზე მეტ აქტიურობას სომხები იჩენდნენ და ხშირად იმარჯვებდნენ კიდეც.

პუბლიცისტს სწორედ ამ აქტიურობის შედეგად მიაჩნდა ის გარემოება, რომ არა მარტო ამ ქალაქის მეურნეობა და მართვა-გამგეობა იყო მათ ხელში მოქცეული, არამედ „მის საერთო კულტურულ სტილსაც სომხური ელფერი ეძლეოდა. ეს იმდენად საგრძნობი გახდა, რომ ზოგიერთმა ქართველმა პოლიტიკოსმა ჩვენი დედა ქალაქი საერთაშორისო კანტონათ წარმოიდგინა და მომავალ თავისუფალ საქართველოს საზღვრებიდანაც კი გამოჰყო თავის პროექტებში“ (ქიქოძე, 1919: 182).

ამ ფაქტით აღშფოთებული გერონტი ქიქოძე უთბილისო საქართველოს იმ ცხედარს ადარებდა, რომელსაც დოსტაქარმა გული ამოაცალა. მისი წარმოსახვით, ასეთ ვითარებაში არსებული თბი-

ლისი, როგორც „საკულტურო და საგანმანათლებლო ცენტრი, იმდენად დაბეჩავდებოდა“, რომ „მის შენობებს სურო და ხავსი დაეპატრონებოდა, მისი მოედნები კი საქონლის ჯოგით გაივსებოდა.“ გერონტი ქიქოძის ხაზგასმით, რეალურად მოსალოდნელ ამ ტრაგიკული მოვლენის თავიდან ასაცილებლად ქართველ ერს „შეურყევლად უნდა დაემტკიცებინა, რომ თბილისი მის საკუთრებას წარმოადგენდა.“

იმხანად არსებულ ასეთ ტრაგიკულ ვითარებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი როლი სწორედ ზემოთ ხსენებულ საქალაქო არჩევნებს უნდა შეესრულებინა, როგორც „პირველ შემთხვევას, როცა საარჩევნო ბრძოლაში ფართო დემოკრატია იღებდა მონაწილეობას.“ გ. ქიქოძის ინფორმაციით, ამ არჩევნების მნიშვნელობას განსაკუთრებულ ღირსებას ისიც სძენდა, რომ „საარჩევნო უფლება თვით ქალებსაც კი ეძლეოდა, რაც ევროპაშიც იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა.“

ამ ოპტიმისტურ მოლოდინს გ. ქიქოძეს ისიც უძლიერებდა, რომ ბოლო წლებში აქტიურად მიმდინარეობდა თბილისის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის გაქართველების პროცესი. კერძოდ, თუ წინარე საუკუნეებში ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის მცხოვრებთა უმეტესობას არაქართველები, პირველ ყოვლისა კი სომხები, შეადგენდნენ, მათ რიცხვს იმხანად უკვე ქართველები აჭარბებდნენ, რის შედეგადაც იმდროინდელ ამომრჩეველთა ეთნიკურ შემადგენლობაში უმრავლესობას ჩვენი თანამემამულენი წარმოადგენდნენ.

ცხოვრებისეული რეალობის ამგვარი დინამიკა გერონტი ქიქოძეს მყარ საფუძველს აძლევდა იმის სათქმელად, რომ თბილისს „ახლო მომავალში განსაკუთრებული ქართული ხასიათი მიეცემოდა“ და „ქართველობა არა მარტო რიცხვით გაიმარჯვებდა, არამედ იდეალებითაც“ (ქიქოძე, 1919: 185).

გერონტი ქიქოძის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის წარმოჩენის დროს განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებასაც მინდა მივაქციო, რომ მან ჯერ კიდევ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე გამოქვეყნებული თავისი წერილებითაც სცადა განესაზღვრა მისი განვითარების უმთავრესი ორიენტირები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა 1916 წლის 14 დეკემბერს გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული წერილი „დასავლეთის კარებები.“

ხსენებული პუბლიკაციით გ. ქიქოძემ თავის მხრივაც შესძინა საკმაოდ დიდი რეზონანსი ქართველ მწერალთა შორის 1910-

1920-იან წლებში გამართულ მასშტაბურ დისკუსიას, დაკავშირებულს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ და კულტურულ ორიენტაციასთან. წლების განმავლობაში ევროპაში ნაცხოვრები და იქაურ ღირებულებათა არსში საფუძვლიანად გარკვეული გერონტი ქიქოძე ამ პუბლიკაციით აქტიურად გამოვიდა ევროპულ ღირებულებათა პროპაგანდისტის როლში და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივადაც და კულტურულ-ლიტერატურულადაც სწორედ ამ ღირებულებებისადმი უღალატო ერთგულება გამოაცხადა ჩვენი ქვეყნის განვითარების ერთადერთ პერსპექტიულ გზად.

გ. ქიქოძის აზრით, განსხვავებით ადრინდელი საუკუნეებისაგან, როცა საქართველო აზიურ სამყაროსთან არა მარტო სახელმწიფოებრივად იყო აქტიურად დაკავშირებული, არამედ სულიერი კულტურითაც, აღნიშნული რეალობა იმხანად უკვე რადიკალურად იყო შეცვლილი ევროპის სასრგებლოდ. კერძოდ, მწერლის თქმით, თუ ადრინდელ საუკუნეებში, როცა „სპარსული, არაბული და სირიული კულტურა ყვაოდა“ და „სინათლე აღმოსავლეთიდან მოდიოდა, დასავლეთ ევროპა კი ნაკლებ დასახლებულ და ნაკლებ დამუშავებულ ქვეყანას წარმოადგენდა,“ იმჟამინდელი რეალობა უკვე არსებითად იყო შეცვლილი, რადგანაც „მსოფლიო მნათობი დასავლეთისაკენ გადაიხარა და კულტურული ენერგია დასავლეთ ევროპიდან ეძლეოდა კაცობრიობას. ამიტომ დასავლეთის კარების გაღება უდიდეს საკითხს წარმოადგენდა ყოველი თვითშემცნობი და მომქმედი ერისათვის. უამისოდ მის კარს გაციება მოელოდა და მის სხეულს გაყინვა“ (ქიქოძე, 2018: 64).

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარესამყაროსთან ჩვენი ქვეყნის ისტორიულ და თანადროულ ურთიერთობათა შეფასების დროს გ. ქიქოძე ამ მიმართულებით არსებულ ნეგატიურ ფაქტორებსაც მიაპყრობდა მკითხველის ყურადღებას და აღნიშნავდა: „თუ აქამდე კულტურული იდეები გვაკლდა, ეს იმით აიხსნებოდა, რომ ჩვენს ქვეყანასა და დასავლეთ ევროპას შორის გარდაუვალი ბუნებრივი და სოციალური ზღუდეები იყო აღმართული - გაუნათლებელი ოსმალეთი და ნაკლებ სტუმართმოყვარე შავი ზღვა. მაგრამ რაც გუშინ დაუძლეველი ზღუდე იყო, ხვალ შიძლება შემაერთებელ ხიდად იქცეს. შავი ზღვა უკვე ჰკარგავს დახურულ აუზის ხასიათს და გაშლილი მსოფლიო გზების სისტემაში ებმება“ (ქიქოძე, 2018: 67).

გ. ქიქოძის მიერ გამოთქმულ ამ მოსაზრებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენდა ის გარემოება, რომ მწერლის მიერ ესოდენი ხაზგასმით აღნიშნული მოლოდინი თურქეთთან ადრინდელი ურთიერთობის რადიკალურად შეცვლისა და შავი ზღვის, როგორც ევროპულ სამყაროსთან დამაკავშირებელი სანაოსნო გზის, აქტიურად გამოყენებისა, რაც ევროპასთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის პერსექტივას თვისებრივად სრულიად ახალ მასშტაბებს შესძენდა, დღეს უკვე რეალობადაა ქცეული. მწერლის ხაზგასმით, ევროპულ სამყაროსთან ურთიერთობის ამგვარი განმტკიცებით „ქართველი ერი თავს დააღწევდა ვიწრო და ნესტიან სენაკს, სადაც ის დიდხანს იყო მომწყვდეული და ფართო კულტურულ ასპარეზზე გავიდოდა“ (ქიქოძე, 2018: 68).

საბოლოო დასკვნა, რომელიც მოვლენათა ამგვარი შეფასების შედეგად გამოჰქონდა გ. ქიქოძეს, ასეთი იყო: „საჭიროა, რომ დასავლეთის კარები ფართოთ გავაღოთ, რათა უხვად შემოვიდეს ევროპიული იდეები და შეხედულებები“ (ქიქოძე, 2018: 66).

გ. ქიქოძის პროევროპული თვალთახედვის წარმოჩენასთან ერთად აქ იმ შეფასებასაც მინდა მივქციო განსაკუთრებული ყურადღება, რითაც მწერალი გარესამყაროსთან საქართველოს დამოკიდებულების განსაზღვრის დროს ხაზგასმით აღნიშნავდა რუსეთთან ჩვენი ქვეყნის სამომავლო ურთიერთობის სრულ უპერსპექტივობას. ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი სიცხადის მისაცემად, დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ხსენებული პუბლიკაციიდან: „არ არსებობს ჩამოყალიბებული ტიპი სლავიანური კულტურისა. არსებობს მხოლოდ დიდი დასავლურ-ევროპიული კულტურა, რომელიც ძლიერმა ლათინურმა და გერმანულმა ტომებმა შეჰქმნეს. სლავიანებმა მხოლოდ მეტნაკლებად ამ კულტურის ელემენტები შეითვისეს...

ევროპიულმა კულტურამ უცილობლად დაამტკიცა თავისი უპირატესობა...

რუსული კულტურა მცირეწლოვანია... მას უკვე აშკარად ეტყობა სიბერისა და გადაგვარების ნიშნები. რაღაც დამბლის მსგავსი სნეულება დასჩემებია და ამ სნეულების შედეგი არის უმოქმედობა და უნაყოფობა“ (ქიქოძე, 2018: 65).

რუსული კულტურისადმი გ. ქიქოძის მკვეთრად ნეგატიური ამ დამოკიდებულების წარმოჩენის დროს მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ მწერალი ამ მოსაზრებას იმ დროს

გამოთქვამდა, როცა ჩვენი ქვეყანა რუსეთის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა და ნაკლებად ჩანდა მისი კირთებისაგან განთავისუფლების პერსპექტივა.

რუსეთისადმი გერონტი ქიქოძის ამგვარი დამოკიდებულების განმაპირობებელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს ის ვანდალიზმიც წარმოადგენდა, რითაც რუსი ხელისუფალნი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების არქიტექტურულ იერსახეს მიზანმიმართულად გარდაქმნიდნენ რუსულ ყაიდაზე და ქართველ მღვდელმსახურებსა და მრევლს კატეგორიულად უკრაძალავდნენ მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარებას.

მაგალითად, აი, რას წერდა პუბლიცისტი 1917 წელს გამოქვეყნებულ თავის ერთ-ერთ წერილში აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით: „უსახელო ივანოვებმა, რომელთა რიცხვი ლეგიონია, ფრესკები დაჯღაბნეს ან შეათეთრეს, როგორც მაგალითად სვეტიცხოველში, ჩუქურთმებიანი კედლები შელესეს, როგორც კაბენის ეკლესიაში, ქართული სტილის ტაძრებს ხახვისთავიანი გუმბათები დაადგეს, შემდეგ უკულტურო ხალხად გამოგვაცხადეს“ (ქიქოძე, 1919: 143).

რუსეთის მიერ საქართველოში გატარებული ამ ბარბაროსული პოლიტიკის მხილებას გ. ქიქოძემ იმდენად დიდი მასშტაბებიც შესძინა, რომ ცალკეულ შემთხვევებში მან შესაბამისი პერიოდის დიდ ქართველ მამულიშვილებსაც კი დასდო ბრალი რუს ხელისუფალთადმი სათანადო წინააღმდეგობის გაუწევლობაში. კერძოდ, ზემოთ ხსენებულ პუბლიკაციაში იგი არა მარტო ზოგადი ფორმით გამოხატავდა საყვედურს იმის გამო, რომ ისინი რუს ხელისუფალთა ამგვარ ვანდალურ ქმედებებს სათანადო წინააღმდეგობა არ უწევდნენ, არამედ კონკრეტულადაც ასახელებდა რამდენიმე მათგანს.

მაგალითად: „ჩვენი უკულტურობა იმაში გამოჩნდა, რომ ჩვენმა ბუნებამ სათანადო წინააღმდეგობა არ გაუწია ასეთ ძალმომრეობას. იმდენად მოდრეკილი და მოდუნებული იყო ჩვენი შინაგანი ძალა, სტილის გრძნობის დაკარგვა, გემოვნების დამახინჯება საქართველოს საუკეთესო შვილებსაც დაეტყო. ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ჩვენი სულიერი წინამძღოლები იყვნენ მეცხრამეტე საუკუნეში. ამას გარდა ისინი ნიჭიერი მგოსნებიც იყვნენ. მაგრამ პირველმა მათგანმა დიდი დრო დიდტანიანი საბულვარო რომანის „იზას“ თარგმნას მოანდომა, ხოლო მეორემ უცნობი რუსი ხელოს-

ნის „ვიდრე ხვალ, უფალოს“ გადმოქართულებას“ (ქიქოძე, 1919: 143).

ვფიქრობ, მოვლენათა არსში თუნდაც ზედაპირულად გარკვეულ მკითხველსაც კი არ დაჭირდებება იმის არგუმენტირებულად მტკიცება, გ. ქიქოძის მიერ ილიასა და აკაკის მიმართ წაყენებული ეს ბრალდებები ყოველგვარ საფუძველს რომაა მოკლებული და ამ დიდ მამულიშვილთა შემოქმედებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის უმთავრეს მიზანს პირველ ყოვლისა ჩვენი ეროვნული ინტერესების დასაცავად რუსული კოლონიალიზმის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლა წარმოადგენდა.

როგორც გერონტი ქიქოძის მოღვაწეობიდან თვალნათლივ ჩანს, თავის ეროვნულ-პოლიტიკურ თვალთახედვას იგი არა მარტო პრესაში გამოქვეყნებული წერილებითა და ცალკე წიგნებად მათი გამოცემით ახდენდა, არამედ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში წაკითხული საჯარო ლექციებითაც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა 1918 წელს მის მიერ წაკითხული ლექციათა ციკლი „რევოლუცია და საქართველო,“ რომლის ტექსტური ვარიანტი 1918 წელს მან გაზეთ „საქართველოს“ 2 და 3 მარტის ნომრებშიც გამოაქვეყნა.

საკმაოდ ვრცელი მოცულობის მქონე ამ პუბლიკაციაში გ. ქიქოძემ საერთაშორისო მოვლენებთან მიმართებით შეაფასა საქართველოში იმხანად არსებული მდგომარეობა და ბევრი ისეთი მოსაზრება გამოთქვა, რომლებიც დღევანდელი თვალსაზრისითაც უაღრესად საინტერესოა. ერთ-ერთ ასეთ საკითხს წარმოადგენდა ამიერკავკასიაში მცხოვრებ ხალხთა გაერთიანება ერთი ფედერაციული რესპუბლიკის სტატუსის მქონე სახელმწიფოდ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამგვარი „ახირებული კონგლომერატის მქონე სახელმწიფოს დიდი ხნით შენარჩუნება“ შეუძლებელი იყო. პუბლიცისტის ხაზგასმით, ასეთი სახელმწიფოს შექმნას არავითარი „ისტორიული ტრადიციები არ ჰქონდა,“ რადგანაც „ქართველობა, სომხობა და თათრობა სულ სხვა და სხვა რასსიულ და კულტურულ წრეებს ეკუთვნიან და მათ შორის ღრმა ეკონომიური წინააღმდეგობებია“ (ქიქოძე, 2018: 120).

გერონტი ქიქოძის ეროვნული მრწამსის შეფასების დროს რამდენიმე სიტყვა ნოე ჟორდანიასთან მისი შესახებაც მინდა ვთქვა. მიუხედავად აშკარად გამოხატული იმ კრიტიკულ-ოპოზიციური დამოკიდებულებისა, რომელიც მას მისი, როგორც მენშევიკური

პარტიის ლიდერის, პარტიული პრინციპებისადმი ჰქონდა, იმხანადაც და შემდგომ პერიოდშიც გამოქვეყნებულ წერილებში იგი ნოე ჟორდანიას ეროვნულ ღვაწლს საკმაოდ მაღალ შეფასებას აძლევდა. მაგალითად, 1917 წელს დაბეჭდილ სტატიაში - „ნოე ჟორდანია და სოციალიზმის ნაციონალიზაცია“ წერდა: „საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე ქართველმა საზოგადოებამ თითქო ხელახლა აღმოაჩინა თავისი პუბლიცისტი და ტაში დაუკრა მის სხარტულ ფორმულებს. ამ დღეს ნოე ჟორდანია მართლაც მთელი ქართველი ერის მეთაური გახდა... 1917 წლის ნოემბრის დღეებში ის ავიდა იმ სიმაღლეზე, რომელზედაც საქართველოში არავინ ასულა ჩვენი თაობის მახსოვრობაში“ (ქიქოძე, 1919: 116).

ნოე ჟორდანიას პიროვნული ავტორიტეტის ამგვარი შეფასება აფექტური ემოციის გამოვლინებას რომ არ წარმოადგენდა, ამას 1954 წელს დაწერილი მისი მემუარული თხზულებიდან დამოწმებული ეს ფრაგმენტებიც ადასტურებს: „საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავარი ხუროთმოძღვარი ნოე ჟორდანია იყო“ (ქიქოძე, 2003: 16).

ანდა: „როგორ უნდა შეფასდეს საბოლოოდ ნოე ჟორდანიას მმართველობა? უცილობელია, რომ მან ხელი შეუწყო ეროვნული მთლიანობის და თავისუფლების იდეების აღორძინებას. ეს იდეები კი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მიჩქმალული იყო ქართველი ერის შეგნებაში. შემოფარგლულ იქმნა საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრები, რომლებიც დღემდე არსებითად აღარ შეცვლილან. ქართველობას განუმტკიცდა რწმენა, რომ მას საკუთარი სახელმწიფოს შექმნა შეუძლია ურთულეს საერთაშორისო პირობებში“ (ქიქოძე, 2003: 61).

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე თითქმის სამი თვით ადრე, 1918 წლის 2 და 3 მარტს, გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული ზემოთ ხსენებული წერილით („რევოლუცია და საქართველო“) გერონტი ქიქოძე შეეცადა ის სირთულეებიც შეეფასებინა, რომლებიც ამ იდეის რეალობად ქცევის გზაზე უსათუოდ უნდა ყოფილიყო დაძლეული.

მისი აზრით, სწორედ ერთ-ერთ ასეთ „უძლიერეს მტერს“ (მისი სიტყვებია) წარმოადგენდა „არა შეიარაღებული ჯარი, არამედ მეტის მეტად უმანკო ის საგანი, რომელსაც რუსული ხორბალი ჰქვია.“ გ. ქიქოძის ხაზგასმით, „საქართველოს რომ საკუთარი პური საკმაოდ ჰქონოდა, მაშინ იგი ასე ფრთხილი და გაუბედავი არ იქნებოდა

ავტონომიისა და სეპარაციის საკითხში... პურის ბეღლების დაკეტვამ და რკინის გზების გადაჭრამ შეიძლება დიდი როლი შეასრულოს ჩვენი პოლიტიკური თვითგამორკვევის და განთავისუფლების საქმეში. პოპულიარული შეგნებისათვის რუსეთის ჩამოშორება შიმშილსა და გაღატაკებას ნიშნავს. ეს კი დიდი არგუმენტია ეროვნული დამოუკიდებლობის წინააღმდეგ" (ქიქოძე, 2018: 124).

საბედნიეროდ, იმდროინდელი ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ეროვნული ცნობიერების დამთრგუნველ ძალად ქცეული ეს ჰიპერბოლიზებული შიში მაშინ წარმატებით იქნა დაძლეული და გ. ქიქოძის ხსენებული წერილის გამოქვეყნებიდან თითქმის სამი თვის შემდეგ უკვე ოფიციალურად გამოცხადდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის გამოცხადებამდე სამიოდე თვით ადრე გამოქვეყნებულ ზემოთ ნახსენებ სტატიაში გერონტი ქიქოძემ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მომავლის ორი პერსპექტიული გზაც იწინასწარმეტყველა - პირველი, რომელიც, მისი თქმით, ქართველი ხალხისთვის ბედნიერების მომტანი ვერ იქნებოდა, მას ასე აქვს დახასიათებული: „თუ ქართველ ერში ცენტრალისტურმა მიდრეკილებამ სძლია, ჩვენ იძულებული გავხდებით რუსულ ბოლშევიზმს ხელი გავუწოდოთ და პეტროგრადის სახალხო კომისარიატი ვცნოთ. ამ შემთხვევაში საქართველო... რუსული მონარქიის ნავთსაყუდარში შეჩერდება. მაგრამ ეს ნავთსაყუდარი საქართველოს ვერ დაიცავს საშინელი ქარიშხლისაგან" (ქიქოძე, 2018: 130).

როგორც დამოწმებული ფრაგმენტითაც თვალნათლივ ჩანს, გ. ქიქოძე რუსული ბოლშევიზმის სივრცეში ჩვენი ქვეყნის მოხვედრას უბედურების მომტან იმ მოვლენად მიიჩნევდა, რომლის „იმპერიალისტური ენერგია ადვილად წალეკავდა საქართველოს." სამწუხაროდ, მწერლის ეს წინასწარმეტყველება 1921 წლის თებერვლის ტრაგედიის შედეგად მართლაც იქცა რეალობად.

თუმცა, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის იმპერიის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას გერონტი ქიქოძე მხოლოდ ნეგატიურ შეფასებას არ აძლევდა და ცალკეულ შემთხვევებში ამ ტრაგიკული მოვლენის პოზიტიურ მხარეებსაც მიაპყრობდა მკითხველის ყურადღებას. ამ შემთხვევაში საგულისხმო ისიცაა, რომ ასეთი მოსაზრებები მას იმ დროს გამოქვეყნებულ წერილებში აქვს გამოთქმული, როცა საქართველო რუსე-

თის შემადგენელ ნაწილს უკვე აღარ წარმოადგენდა და აღდგენილი ჰქონდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

მაგალითად, აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით 1920 წლის 6 მარტს გაზეთ „ერთობაში“ გამოქვეყნებულ წერილში „აღმოსავლეთი თუ დასავლეთი? ღია წერილი სეით დევდარიანისადმი:“ „ჩვენ, როგორც პატარა ჩაგრულმა ერმა განსაკუთრებული მადლობით უნდა მოვიხსენიოთ რუსეთის დიდი რევოლუცია. ამ რევოლუციამ მოგვანიჭა თავისუფლება... და ეროვნული მთლიანობა, რომელიც არ გვქონია მეთოთხმეტე საუკუნის შემდეგ. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა მხოლოდ მის შემდეგ გვიცვნეს, როცა წითელმა არმიამ ტაგანროგი და როსტოვი აიღო. და დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ სამაჰმადიანო ნაწილსაც იმავე წითელი არმიის წინსვლა დაგვიბრუნებს“ (ქიქოძე, 1920: 19).

თუმცა საქართველოსთან მიმართებით რუსეთის როლის ამგვარი შეფასების მიუხედავად, გ. ქიქოძე ამ ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობასა და იქაურ მმართველობით სისტემას მკვეთრად ნეგატიურ შეფასებას აძლევდა და ამ ქვეყანასთან საქართველოს სამომავლო ურთიერთობას არასასურველ მოვლენად მიიჩნევდა. მაგალითად, აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით 1918 წლის 5 აპრილს გამოქვეყნებულ წერილში: „რუსეთი ჩვენთვის საშიშია არა მარტო ეკონომიურად და რასიულად, არამედ პოლიტიკურადაც. აქ ბევრს ლაპარაკობენ რუსის დემოკრატიაზე. მაგრამ ნამდვილად რუსეთში დღეს ხულიგნური ანარქიაა გაბატონებული და არა დემოკრატია... მოწესრიგებული კანონმდებლობა რუსეთში არ არის, არც პარლამენტი, არც სიტყვისა და პრესის თავისუფლება, არც პიროვნების ხელ-უხლებლობა“ (ქიქოძე, 2018: 145).

გერონტი ქიქოძის ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვის გაანალიზების დროს იმ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ იგი ჩვენი ქვეყნისადმი უცხო ქვეყნების დამოკიდებულებასაც აფასებდა მკაფიოდ გამოხატული რეალისტური პოზიციებიდან, რითაც მკვეთრად უპირისპირდებოდა იმ პოლიტიკოსთა პოზიციას, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და საერთაშორისო ასპარეზზე მყარად დამკვიდრების გარანტად სწორედ მათ, პირველ ყოვლისა კი ევროპის დიდი სახელმწიფოების აქტიურ თანადგომას, მიიჩნევდნენ.

მისი აზრით, ამგვარი პოლიტიკური პოზიცია ყალბ იმედებზე იყო დაფუძნებული და მას რეალური საფუძველი არ გააჩნდა, რად-

განაც ხსენებული ქვეყნები პირველ ყოვლისა საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად მოქმედებდნენ და არა ჩვენი დამოუკიდებლობის დასაცავად და განსამტკიცებლად. მაგალითად, აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოს“ 1919 წლის 12 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში: „გვინდა ვიწამოთ, რომ უცხო ძლიერი ძალა დაიცავს ჩვენი საზღვრების ხელუხლებლობას და დაჰფატრავს ჩვენ ქრონიკულ დეფიციტს. მაგრამ იმას კი არავინ ჰკითხულობს, რისთვის უნდა იბრძოლოს ინგლისელმა ჯარმა სოჭის და ახალციხის ფრონტებზე და შესწევს თუ არა მას ძალა, რომ თანამედროვე სტიქიონური და ანარქიული მოძრაობანი შეაჩეროს?“ (ქიქოძე, 2018: 160).

მოვლენათა სწორედ ამგვარი განსჯა-შეფასების შედეგად გამოჰქონდა გ. ქიქოძეს არსებული რეალობის განზოგადებულად შესაფასებელი დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ ასეთი ილუზიებით შეპყრობილ ქართველ პოლიტიკოსებს ამ შემთხვევაში „ბევრი იმედის გაცრუება მოელოდათ“ იმის გამო, რომ ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების რეალურად დაცვა სრულებით არ წარმოადგენდა ევროპის სახელმწიფოთა მესვეურების დაინტერესების საგანს და საქართველოს პოლიტიკური მომავალი პირველ ყოვლისა ჩვენსავე „ორგანიზატორულ ნიჭზე“ იყო დამოკიდებული. ასე რომ, „თუ ამ ნიჭს არ გამოვიჩენდით, ვერც დიდი ინგლისი გვიშველიდა და ვერც სხვა რაიმე საერთაშორისო ძალა“ (ქიქოძე, 2018: 161).

ქიქოძე გ. ეროვნული ენერგია, თბ. 1919 წ.
ქიქოძე გ. პოლიტიკური წერილები, თბ. 1920 წ.
ქიქოძე გ. თანამედროვის ჩანაწერები, თბ. 2003 წ.
ქიქოძე გ. პატარა ერის ხვედრი, თბ. 2003 წ.
ქიქოძე გ. „დაკვირვებული მეთვალყურე.“ 1916-1919 წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური პუბლიცისტიკა. იდეის ავტორი და კრებულის შემდგენელი ირაკლი იაკობაშვილი, თბ. 2018 წ.

იოსებ გრიშაშვილი

როგორც ცნობილია, იოსებ გრიშაშვილი პოეტურ ასპარეზზე 1900-იანი წლების მეორე ნახევარში გამოვიდა და ლიტერატურული საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება თავისი სასიყვარულო ლექსებით მიიპყრო. ინტიმური თემა პოეტის იმდროინდელ შემოქმედებაში იმდენად პრიორიტეტულ მიმართულებადაც კი იქცა, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი ახალგაზრდა პოეტს ეროვნული პრობლემისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებაშიც სდებდა ბრალს, რაც ნამდვილად არ შეესაბამება სინამდვილეს.

კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ ინტიმურ გრძნობათა გამოხატვა მართლაც იყო დამკვიდებული მთელი მისი პოეტური შემოქმედების უმთავრეს მიმართულებად, 1910-იანი წლების შუა ხანებიდან მოყოლებული, ი. გრიშაშვილის პოეზიაში პოეტის ეროვნულ მისწრაფებათა ემოციური სიმძაფრით წარმომჩენი ლექსებიც იჭერს მნიშვნელოვან ადგილს. ეროვნული პრობლემატიკით ი. გრიშაშვილის განსაკუთრებული დაინტერესება არსებითად განაპირობა იმჟამად განვითრებულმა იმ დიდმნიშვნელოვანმა მოვლენებმა, რაც 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით, 1921 წლის თებერვალში კი საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციით დაგვირგვინდა.

როგორც მკითხველი იოსებ გრიშაშვილის ბიოგრაფიის იმდროინდელი ეპიზოდების გაცნობითაც დარწმუნდება, განსხვავებით საბჭოთა პერიოდისაგან, როცა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლების დასაცავად და განსადიდებლად დაწერილი ლექსების შექმნის გამო პოეტი არაერთგზის იქცა რეპრესიული დევნისა და კრიტიკული განქიქების ობიექტად, 1910-იან წლებში მას ეროვნული პრობლემებისადმი ინდიფერენტულ დამოკიდებულებაშიც კი სდებდნენ ბრალს.

რეალურ საფუძველს მოკლებულ ამ ბრალდებას ი. გრიშაშვილი იმდენად გაუღიზიანებია, რომ თავის კრიტიკოსებს მან 1915 წელს დაწერილი ლექსით ასეთი პასუხი გასცა:

ვის შეუძლიან ცილი დამწამოს,
ვის შეუძლიან მითხრას ართქმული:
რომ არ მიყვარდეს ჩემი სამშობლო,
ჩემი ერი და ჩემი მამული.

როგორც ითქვა, ეროვნული პრობლემატიკით იოსებ გრიშაშვილის დაინტერესებამ განსაკუთრებით დიდი მასშტაბები 1917 წლიდან შეიძინა, რაც არსებითად აღმოჩნდა განპირობებული იმჟამად განვითარებული დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით. მიუხედავად იმისა, რომ ეს გარემოება არც საბჭოთა პერიოდის ლიტერატურულ კრიტიკას გამორჩენია მხედველობიდან, იმდროინდელ ლიტერატურათმცოდნეთა არაერთი წარმომადგენელი იმასაც აღნიშნავდა, რომ ეროვნულ-პატრიოტულ თემაზე დაწერილი თავისი ამ ლექსებით პოეტი „ცალმხრივ განწყობილებას“ გამოხატავდა.

მაგალითად, იოსებ ლორთქიფანიძე იოსებ გრიშაშვილის შემოქმედებაზე დაწერილ მონოგრაფიაში, რომელშიც პოეტის ცხოვრებასთან და ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით არაერთი საგულისხმო მოსაზრებაა გამოთქმული, ხსენებულ პერიოდში ეროვნულ-პატრიოტული თემატიკით ავტორის განსაკუთრებულ დაინტერესებას იმით ხსნიდა, რომ ეს ყველაფერი „გამოწვეული იყო იმ პირადი განწყობილების გამომჟღავნებით, რომელმაც მასში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში იჩინა თავი: გულჩათხრობილობა, გრძნობის გაუხეშება, გულგატეხილობა თუ გულგამეხებულობა, ბოღმა და დარდი, რაც მასში მცდარ წარმოდგენებს უყრიდა თავს. 1922 წელს „ლომისში“ (#1, გვ. 5) გამოქვეყნებული ლექსი „ჩემი ლოცვა“ აშკარად ამჟღავნებს ახალი დროის გაუგებრობას. მას ვიწრო პატრიოტული თვალთახედვის ბეჭედი აზის“ (ლორთქიფანიძე, 1990: 120).

მკითხველის იმაში დასარწმუნებლად, ი. გრიშაშვილის ამ ლექსის ასეთი შეფასება სინამდვილეში ყოველგვარ საფუძველს რომაა მოკლებული და ეს პოეტური ლოცვა რეალურად უფლისადმი აღვლენილ პატრიოტულ ვედრებას წარმოადგენდა, დავიმოწმებ მის ფრაგმენტს:

მეუფეო, ჩემი ლოცვა დღეს იქნება სულ სხვაგვარი,
მე არ მინდა სასწაულად მომივლინო ნინოს ჯვარი,
დღეს ჩემ გულში, მეუფეო, სულ სხვა ლოცვა ჩაისახა,
მე მინდა, რომ საქართველო - ეს სამოთხის შვების წყარო, -
მტრებს არ მივცე საჯირითოდ, შევიტკბო და შევიყვარო.
მეუფეო! ყოველ მხრიდან გვეხვეოდა მტერი გველად,
ჩვენი სულის ჩასაქრობად, ჩვენი ნიჭის ასაგველად,
სელჯუკები, მონღოლები გვეცემოდნენ ურდო-ურდოდ,
მაგრამ კმარა, მეუფეო, აღარ გვსურს გავიქურდოთ,

გვეყო, გვეყო ეს სასჯელი, ესოდენი ჭირი, სენი...
საქართველო, მეუფეო, დაიხსენი, დაიხსენი...

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ეროვნულმა პრობლემამ ი. გრიშაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი 1917 წლიდან დაიკავა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ათწლეულში კი მან იმდენად დიდი მასშტაბები შეიძინა, რომ ყოველგვარი შენიღბვის გარეშე, ღრმად შთამბეჭდავი ფორმით, წარმოაჩინა პოეტის ანტისაბჭოთა თვალთახედვა.

თუმცა ეს თემა მანამდელი მისი პოეტური შთაგონებისთვისაც რომ წარმოადგენდა მძლავრი შემოქმედებითი იმპულსის მიმცემ წყაროს, ამის დასტურად აქ 1912 წელს დაწერილი მისი ლექსის - „სამშობლოს ნანგრევებში“ გახსენებაც იკმარებდა; ლექსისა, რომლის ეროვნული სულისკვეთება აშკარად ენათესავება ნიკო ლორთქიფანიძის ცნობილ მინიატურებს: „საქართველო იყიდება“ (1910 წ.) და „ლიტერატურული საღამო“ (1917 წ.).

სისხლის ზღვაში მობანავე სამშობლოს ხილვა, ქარის ფრთებზე დაფლეთილი დროშის ფრიალი, მამულისათვის მკერდგაპობილ მებრძოლ გმირთა სახეები, ჩვენი წარსული დიდების მაცნე ძველი მონასტრები და წინაპართა აკლდამები – ეს ყველაფერი, თუ, ერთის მხრივ, პოეტის გულში ეროვნული სიამაყის გრძნობას ბადებდა, მეორეს მხრივ, იმის ტრაგიკულ განცდასაც ამძაფრებდა, რომ ყოველივე ისე იყო დამჭკნარი და დაკნინებული, სხვას მიჰქონდა „ჩვენი სულის სიამაყე, წმიდათ წმიდა...“

სწორედ აქ, წარსულისა და თანამედროვეობის ასეთ შეუსაბამობაში, ჩნდებოდა საბრძოლო სულისკვეთება, რომელიც ძველი დიდებისა და ეროვნული თვითმყოფადობის აღდგენის რომანტიკული პათოსით იყო განპირობებული. შემთხვევითი არ არის, რომ ამ ჰეროიკული ოცნების მასაზრდოებელ წყაროდ ალექსანდრე სუმბათაშვილის ცნობილი პიესა „ღალატი“ იყო ქცეული. პოეტი ემოციური მგზნებარებით გამოხატავდა მზადყოფნას, მახვილით ხელში დამდგარიყო ერის ისტორიული თავისთავადობის გადასარჩენად:

...ხოლო როცა საქართველოს, ისეც დამწვარ-დატანჯულსა,
უყიდიან მიწა-წყალსა, უგინებენ ენას, რჯულსა, -
მაშინ მყისვე მაგონდება ანანია თავის ფიცით
და მსურს მეც ვთქვა: ხანჯლის დაკვრა ქართველებმა
გულში ვიცით.

ეს მოტივი, ქართველობის ჩაწიხვლისა და დაკნინების წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლისა და სამშობლოს დამოუკიდებლობის აღ-

დგენის ეს იდეა, ი. გრიშაშვილის ათიანი წლების პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა იყო. მაგალითად, აი, რას წერდა პოეტი 1917 წელს გამოქვეყნებულ ლექსში „ჩვენი დროშა“ ამასთან დაკავშირებით („წითელი დროშა,“ 1917: 3): „ჩვენი დროშა ხალხის სისხლს ჰგავს, წითელია, მზის ფერია, ჩვენი დროშა ჩვენ გვეკუთვნის და ზედ ასე გვიწერია: „არ შევდრკებით, რაგინდ მტერი ჩვენს წინაღმდეგ მახეს ქსოვდეს, - უნდა აღსდგეს საქართველო – ეხლა, ანდა არასოდეს!“

როგორც უკვე ითქვა, ეროვნული პრობლემის გააზრებამ ი. გრიშაშვილის შემოქმედებაში ახალი მასშტაბები შეიძინა რუსეთის იმპერიაში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში განვითარებულ იმ მოვლენათა შედეგად, რომელთაც პოეტმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შესაძლებლობა დაუკავშირა. ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო ლექსია 1917 წელს დაწერილი „ახალი „მარსელიეზა,“ რომელშიც რუსეთის იმპერიაში განვითარებული მოვლენებით აღფრთოვანებული პოეტი პათეტიკური ფორმით ამცნობს თანამედროვეთ, რომ მეფის რუსეთის „ორთავიანი ბილწი არწივი“ დაემხო, რომ „აღსდგა, აზავთდა ტანჯული ერი“ და ახალ, თავისუფალ ცხოვრებას დაედო სათავე, რომ „ფერხთ განვიბერტყეთ მონობის მტვერი“. მისი აზრით, ეს რევოლუცია (იგულისხმება 1917 წლის თებერვლის რევოლუცია), რომელმაც „მილეწ-მოლეწა კერპთა ბომონი“, ქვეყნად სამართლიანობას დაამყარებდა („წითელი დროშა,“ 1917: 4):

ასი წლის ნატვრა ერთ წუთს ასრულდა,
ფერხთ განვიბერტყეთ მონობის მტვერი;
თუ წინეთ მეფე მთელ ხალხსა მტრობდა,
დღეს ხალხი გახდა თვით მეფის მტერი.
მივლეწ-მოვლეწეთ კერპთა ბომონი,
ავისხით ძალა სამართლიანი
და ძირს დავამხეთ საერთო ბრძოლით
ბილწი არწივი ორთავიანი.

ხოლო 1917 წლის 29 აპრილს დაწერილ ლექსში - „დათოვლილი მედროშე,“ რომელიც პოეტმა ვალერიან გუნიას მიუძღვნა, რუსეთის კოლონიური უღლისაგან ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების რეალურ მოლოდინს ამ სტრიქონებით შეასხა ხოტბა: „ამირანმა დაფქვა ჯაჭვი, ცხრა მთას იქით გადიარა, შენ შეთოვლდი! და შენს ერსაც გაუმთელდა კვლავ იარა. ხომ აღსრულდა შენი ფიქრი! და ქართველებს სხვა რა გვინდა! - ჰა: ასი წლის ნაინატრი სულ ერთ წამში დაგვირგვინდა!“

1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებისა და მეფის ხელისუფლების დამხობის შედეგად რუსეთის იმპერიაში შექმნილი ახალი რეალობა, რაც მკვიდრ საფუძველს ქმნიდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად, ი. გრიშაშვილის იმდროინდელი ლირიკის უმთავრეს თემად რომ იქცა, ნათლად ჩანს 1917 წელს „წითელი დროშის“ სახელწოდებით გამოცემული პოეტური კრებულიდან. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ხსენებულ კრებულში წარმოდგენილი ლექსებით ეროვნული პრობლემის პოეტურმა ხორცშესხმამ გაცილებით მეტი პათეტიზმი და საბრძოლო სულისკვეთება შეიძინა. მაგალითად, აი, როგორ განუმარტავს ი. გრიშაშვილი მკითხველს თავისი პოეტური შთაგონების საფუძვლად ქცეულ ამ ახალ რეალობას აკაკი წერეთლის პოეტური ზეგავლენით შექმნილ ლექსში - „ბელადის სიმღერა“ („წითელი დროშა,“ 1917: 15):

> განთიადისას ვიღვიძებ და მამალივით ვყვირი მე:
> თავისუფლება გვეღირსა! - მუშებო! თქვენი ჭირიმე!
> ქედს აღარ ვიხრი მონურად, ვხარობ და აღარ ვსტირი მე,
> ზიზღი და ფურთხი ძველ რეჟიმს, მუშებო, თქვენი ჭირიმე!

ხსენებული მოვლენებით აღფრთოვანებული პოეტი მკითხველს პათეტიკური ფორმით ამცნობდა, რომ ქვეყნად შექმნილი ეს ახალი რეალობა არსებითად ცვლიდა მისი პოეტური შთაგონების განმსაზღვრელ საფუძველს. კერძოდ, თუ მისი მანამდელი ლექსების უმთავრესი ხოტბის საგანს ინტიმურ გრძნობათა გამოხატვა წარმოადგენდა, ამჯერად იგი აკაკი წერეთლის პოეტური ინტონაციით დაწერილი ერთ-ერთი ლექსის („მგოსანს“) მეშვეობით მკითხველს პათეტიკური ფორმით აუწყებდა, რომ ახალი რეალობიდან გამომდინარე უკვე არსებითად იცვლებოდა მისი პოეტური შთაგონების საგანი და ამ რეალობის შედეგად ისიც დგებოდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლებისათვის მებრძოლი მამულიშვილების გვერდით („წითელი დროშა,“ 1917: 16):

> მგოსანო! კმარა რაც წერე ქალის ბროლ-ღაბაბ ყელზედა,
> დღეს სულ სხვა ხანა დაგვიდგა, გამოდი ბრძოლის ველზედა.
> თუ წინად შენი თითები ჩანგზე უკრავდა ტკბილ ხმასა,
> ეხლა ეგ შენი თითები უნდა შეეხოს ჩახმახსა.

მკითხველისათვის ადვილი წარმოსადგენი იქნება, ამგვარი ეროვნული სულისკვეთების მქონე პოეტი როგორი აღფრთოვანებითაც შეხვდებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. 1918 წელს დაწერილ ლექსში „სიმღერა“ ის მოწო-

დებით მიმართავდა ხალხს, თავდადებით ებრძოლათ მტრის წინააღმდეგ. თურქთა შემოტევისაგან მამულის დახსნის იდეა, რამაც იმდროინდელ ქართულ პოეზიაში მძაფრი გამოხატულება ჰპოვა, ი. გრიშაშვილის შემოქმედებაშიც საკმაო სიმწვავით დაისვა:

გაირღვა შუქეთი! აწითლდა ცხოვლადა!
ჩამოდნა სხივები ვარდისფერ თოვლადა!
მებრძოლნი გამოჩნდნენ! დროშებით დგანან!
მეც ვყივი ჭაბუკნო! რას უცდით!
მახვილით მახვილსა! შეერთდით... დაჯგუფდით...
თამარის სამშობლო არ გიყვართ განა?..
მივბაძოთ მთიელებს: ფშაველსა, ხევსურსა!
მოჰქრიან! მღერიან სიმღერას ზევსურსა -
დავიხსნათ სამშობლო! დავიხსნათ მამული!

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე ხაზგამსით ისიც უსათუოდ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლებისადმი იოსებ გრიშაშვილის ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური დამოკიდებულება საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის წინარე ხანაშიც გამოვლინდა მკვეთრი რადიკალიზმით, რაც უპირველეს ყოვლისა ჩვენი ქვეყნის დასაპყრობად განხორციელებული აგრესიული პოლიტიკით აღმოჩნდა განპირობებული.

კერძოდ, ი. გრიშაშვილის იმდროინდელ პოეზიაში მძლავრად გამოხატულ ანტიკომუნისტურ და ანტირუსულ სულისკვეთებას უმტკიცეს საფუძვლად დაედო განახლებული რუსული იმპერიის მესვეურთა პერმანენტული ბრძოლა ჩვენი ქვეყნის ხელმეორედ დასაპყრობად. მის საბრძოლო სულისკვეთებას ამ შემთხვევაში კიდევ უფრო მეტ სიმძაფრეს სძენდა ის ფაქტი, რომ რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გატარების საქმეში რუს ოკუპანტებზე უფრო მეტად საკუთარი სამშობლოს მოღალატე ქართველი კომუნისტები აქტიურობდნენ და სწორედ ისინი მოუძღოდნენ ამ ქვეყნის ჯარს მის დასაპყრობად. პოეტის შეფასებით, ეს ადამიანები - საკუთარი სამშობლოს „მოღალატენი, მსტოვრები და გამცემლები“ - იმ საბედისწერო პერიოდში მუმლივით ჰყავდა შემოხვეული საქართველოს.

ამ თვალსაზრისით საინტერესო ერთ-ერთი პირველი ლექსი - „საქართველოს მტრებს“ ი. გრიშაშვილმა 1919 წელს დაწერა. ამ ლექსის მეშვეობით მან უდიდესი გულისწყრომა გამოხატა იმ ადამიანთა მიმართ, რომელთაც სწორედ იმხანად განახლებული ენერგიით ჰქონდათ გაჩაღებული გააფთრებული ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზაზე ახლად ფეხშედგმული ჩვენი ქვეყ-

ნის წინააღმდეგ. იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს ი. გრიშაშვილის ეროვნული მრწამსის ამ მხარეზე, დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული ლექსიდან:

დღეს ჩვენს ირგვლივ ბნელმა ძალამ დარაზმა და დაამზადა
ყველა ჯურის მოღალატე, ვერაგი და ჰარამზადა...
და უნდათ, რომ საქართველო - ეს პატარა ნატვრის თვალი
კვლავ გახადონ სხვისი მონა, მორჩილი და შენამკრთალი...
ვიდრე ერთი ქართველიც კი სამშობლოსთვის ასე ზრუნავს,
არ მოჰკვდება საქართველო, მაინც ბრუნავს... მაინც ბრუნავს.

პოეტის შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა განსაკუთრებით გააქტიურდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წლებში. იგი განახლებული ენერგიით ჩადგა მონობისგან თავდახსნილი სამშობლოს სამსახურში. მაგრამ პოეტი იმასაც კარგად ხედავდა, შინაური თუ გარეშე მტრები როგორი მონდომებითაც ემზადებოდნენ ჩვენი ქვეყნის ახალი დაპყრობისთვის და შეშფოთებული წყევლიდა ყველას, „ვინც ჩრდილოეთის ველურ ყაჩაღებს გაუღო კარი თერგდალეულ დარიალისა“ („ავლაბარი,“ 1920 წ.).

ადვილი წარმოსადგენია, ასეთი მამულიშვილური მრწამსის მქონე პიროვნება რა შეფასებასაც მისცემდა 1921 წლის თებერვალში საქართველოში დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებს. ამ საბედისწერო ფაქტს ი. გრიშაშვილი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა იმ დღეებშივე დაწერილი ლექსით – „ახალ ხელისუფლებას“ (ლექსს სხვადასხვა ვარიანტებში „რუსული ჩექმაც“ და „ქართველ ბოლშევიკებსაც“ ჰქვია), რომელშიც შემდეგნაირად გამოხატა თავისი ანტიბოლშევიკური და ანტირუსული სულისკვეთება:

მართალია, დღეს ეს ლექსი ბევრ კომუნისტს გააჯავრებს,
მაგრამ მაინც თამამ სიტყვას მოვახსენებ ახალ მთავრებს:
თქვენ ამბობდით: საქართველომ, რაც გინდ ბევრი გაიბრძოლოს,
დიდ რუსეთის კომუნისტად გადიქცევა მაინც ბოლოს!
ჰა, აღსრულდა! თქვენ მოხვედით, ჩვენც მიგიღეთ ცრემლით ცხელით,
მაგრამ ხალხი არ შეგინდობთ, რომ სხვის ხიშტით შემოხვედით!..
ო, ჩვენ ისე შევეჩვიეთ ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს ფერს, ჩვენს ხმას,
რომ ვერასდროს ვერ ავიტანთ გამარჯვებულ რუსულ ჩექმას.

აი, რას იგონებს ამ ლექსთან დაკავშირებით თავადაც საბჭოთა პერიოდის პოლიტიკურ რეპრესიათა მსხვერპლი პოეტი მარი აბრამიშვილი: „აპრილის ბოლო რიცხვებია.. თეატრში ვარ, ამჯერად გრიშაშვილის შემოქმედებით საღამოზე. ეს საღამოც დემონსტრაციებით იყო სავსე.

გრიშაშვილმა წაიკითხა სულ ახალი, ცხელ-ცხელი ლექსი „ქართველ ბოლშევიკებს," მიუბრუნდა მთავრობის ლოჟას და დაიწყო (მოგონების ავტორს სრულად აქვს დამოწმებული ხსენებული ლექსი - ა. ნ.).

შეძახილები დარბაზიდან - „მოღალატენო... წაეთრიეთ ჩვენგან, სისხლიანებო!" და სხვა... დარბაზი ფეხზე იდგა და ყველას მუქარა მიმართული იყო ლოჟაში მჯდომ მახარაძეზე და კიდევ 2-3 კაცზე. ფარდა დაუშვეს, სინათლე ჩააქრეს, რასაც მოჰყვა ასჯერ მეტი ყიჟინა, ტაში და გრგვინვა: გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

ეს საღამო მიდიოდა ოპერის თეატრში, რომლის ფარდაზეც წინა წლებში გამოსახული ყოფილა საქართველოს სახელმწიფო გერბი, წმინდა გიორგი, ძალიან დიდი მხატვრის შესრულებული. ახლა კი მახარაძის განკარგულებით ეს დიდი ფარდა შეუღებიათ. და აი, ახლა დარბაზი რომ ჩააბნელეს, ხოლო სცენაზე ისევ სინათლე იყო და ეს უზარმაზარი ფარდა დაუშვეს, მოხდა ის, რომ წმინდა გიორგი უფრო მკაფიოდ, მთლიანად აღმართული მაყურებლის წინ, შუბს ხალხს უმიზნებდა. ზანზარებდა მთელი თეატრი და თხოულობდა საღამოს გაგრძელებას, თორემ ქუჩაში აპირებდა ხალხი გასვლას დემონსტრაციით. ის-ის იყო, ეწყობოდა კოლონები და დარბაზიც განათდა, კონცერტი გაგრძელდა. ლოჟა ცარიელი იყო. სიბნელეში გასულიყვნენ. ბევრი პოეტი გამოვიდა...

ყველაფერი აირია - სიტყვები, ლექსები სცენიდან და დარბაზიდან. აქვე ხელზე დაგვირიგეს გრიშაშვილის მეორე ლექსის ხელნაწერი, რომელიც შემზარავი იყო თავისი შინაარსით, ანთებული შურისძიების ცეცხლით. სათაური ჰქონდა „ფილმახს," ე. ი. ფილიპე მახარაძეს. ლექსი აღარ მახსოვს. აზრი ასეთი იყო: პოეტი წყევლიდა „ფილმახს," უსურვებდა, რომ, რაც მის ტანზე ბეწვი და ბუსუსია, მის ადგილას გამოსვლოდეს დიდი, გრძელი მახათები, ცოცხლად ჩაეკეტათ დიდ ყუთში და ეგორავებინათ მანამდის, სანამ ხორცი და ძვალი ყუთში არ გაქრებოდა...

იოსებ გრიშაშვილი დააპატიმრეს" (გაზ. „კომუნისტი," 1990 წ. 22 აპრილი).

რამდენადმე განსხვავებულ ცნობას გვაწვდის ი. გრიშაშვილის დაპატიმრებასთან და განთავისუფლებასთან დაკავშირებით რევაზ კვერენჩხილაძე. კერძოდ, მისი ინფორმაციით, ეს ამბავი 1922 წლის 3 დეკემბერს მომხდარა რუსთაველის თეატრში კოტე მარჯანიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლის - „ცხვრის წყაროს" წარმოდგე-

ნის დროს. სპექტაკლის მიმდინარეობისას რეჟისორ ალექსანდრე წუწუნავას საზოგადოებისთვის გამოუცხადებია, რომ დარბაზში მოსკოვიდან საქართველოში სტუმრად ჩამოსული სახელოვანი ქართველი რეჟისორი და მსახიობი, პოპულარული პატრიოტული პიესის - „ღალატის“ ავტორი ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინიც იმჯოფებოდა. დარბაზს მისთვის მქუხარე ოვაცია გაუმართავს, ი. გრიშაშვილს კი მისადმი მიძღვნილი ის ლექსი წაუკითხავს, „რომლის პატრიოტული სულისკვეთება იმჟამად უფრო მკვეთრად გაისმა და „ღალატის“ ავტორისადმი მიმართული გულმხურვალე მისალმება ახალი ხელისუფლების საწინააღმდეგო დემონსტრაციაში გადაიზარდა...

ერთი დღის შემდეგ, 5 დეკემბერს, ი. გრიშაშვილს აპატიმრებენ. ჩეკაში ზეპირად გავრცელებული მრისხანე ლექსი „რუსული ჩექმაც“ გაუხსენეს“ (კვერენჩხილაძე, 2014: 78).

რ. კვერენჩხილაძისავე მტკიცებით, საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნომ პატიმრობიდან ი. გრიშაშვილის განთავისუფლების თხოვნით საგანგებო კომისიასთან მოსალაპარაკებლად გააგზავნა კონსტანტინე გამსახურდია. საბოლოოდ, კ. მაყაშვილის, კ. გამსახურდიას, შ. დადიანისა და, საერთოდ, სამწერლო ორგანიზაციის თხოვნამ დადებითი შედეგი გამოიღო და ი. გრიშაშვილი პატიმრობიდან გაათავისუფლეს (კვერენჩხილაძე, 2014: 79).

ი. გრიშაშვილის დაპატიმრებასთან და განთავისუფლებასთან დაკავშირებით აქ ის ვერსიაც მინდა გავიხსენო, რომელსაც პოეტი ნინო თარიშვილი გვთავაზობს გაზეთ „თბილისის“ 1988 წლის 56-ე ნომერში ი. კუკავას მიერ გამოქვეყნებული წერილის მეშვეობით. მისი მონათხრობის მიხედვით, თბილისში სტუმრად მყოფი ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის პატივსაცემად ქართველ საზოგადოებას თეატრში დიდი შემოქმედებითი საღამო გაუმართავს. საღამოს მსვლელობის დროს ი. გრიშაშვილს საპატიო სტუმრისთვის მისადმი მიძღვნილი ლექსით მიუმართავს, რასაც დიდი ოვაციები მოჰყოლია. საღამოს დასრულების შემდეგ პოეტი დაუპატიმრებიათ.

ნ. თარიშვილის ინფორმაციით, ამ ამბავმა თურმე ყველა იმდენად დააბნია, რომ პოეტის გამოქომაგება ვერავინ გაბედა. მაშინ მას და ვასილ ბარნოვის ქალიშვილს, რომლებიც ი. გრიშაშვილის პოეზიის დიდი თაყვანისმცემლები ყოფილან, მორცხვობა დაუძლევიათ და პატიმრობიდან პოეტის განთავისუფლების თხოვნით ალ.

სუმბათაშვილს შინ ხლებიან. მათ თხოვნას სასურველი შედეგი მოჰყოლია და გრიშაშვილი მართლაც გამოუშვიათ ციხიდან.

პატიმრობიდან ი. გრიშაშვილის განთავისუფლების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის შალვა დადიანიც. კერძოდ, აი, რას წერს იგი ამასთან დაკავშირებით თავის მოგონებებში: დაპატიმრებული პოეტის ციხიდან განსათავისუფლებლად ის და მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი შინსახკომის უფროსს კოტე ციცაძეს წვევიან. იოსებ გრიშაშვილის უდანაშაულობაში დასარწმუნებლად სტუმრებს ციცაძისთვის უთქვამთ, რომ მას არავითარი პოლიტიკური ბრალი არ მიუძღოდა და პატიმრობიდან მისი განთავისუფლება უთხოვიათ. სტუმართა თხოვნის საპასუხოდ, ციცაძეს მათთვის უკითხავს, იმის თავმდები ვინ იქნება, მომავალში ისევ რომ არ ჩაიდენს რაიმე დანაშაულსო. კოტე მაყაშვილს რიხიანად უთქვამს, თავმდები მე და შალვა ვიქნებითო. ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ ციცაძემ სტუმრებს თურმე ირონიულად გადახედა და ასეთი კითხვით მიმართა: თქვენ კი გენდობითო?

შალვა დადიანის თქმით, შინსახკომის თავმჯდომარის მიერ ნათქვამი ამ სიტყვების მოსმენაზე მაყაშვილი თურმე გადაფითრდა, მას კი „გაეღიმა, მაგრამ ეს ღმეჭა უფრო ყოფილა, ვიდრე ღიმილი.“ თუმცა ამ ვიზიტს სასურველი შედეგი მაინც მოუტანია და გრიშაშვილი კ. ციცაძის ბრძანებით პატიმრობიდან გაუთავისუფლებიათ (დადიანი, 1962: 165).

იმ ინფორმაციულ სხვადასხვაობათა მიუხედავად, რაც ი. გრიშაშვილის დაპატიმრებასთან დაკავშირებული ამბის მოთხრობის დროს დამოწმებულ მოგონებათა ავტორების მონათხრობში ვლინდება, ერთი რამ აშკარად ცხადია - ხსენებული ინციდენტი ნამდვილად რომ დამთავრდა პოეტის დაპატიმრებითა და მეტეხის ციხეში გარკვეული დროის განმავლობაში ჩასმით. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ი. გრიშაშვილს თავისი რამდენიმე ლექსი სწორედ იქ ყოფნის დროს აქვს დაწერილი, რასაც თავადვე აღნიშნავს ამ ლექსებისთვის გაკეთებული მინაწერებით.

რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართული თავისი ანტიუტოპიური ლექსებით იოსებ გრიშაშვილმა მიზანმიმართულად გააგრძელა XIX საუკუნის ქართული მწერლობის დიდოსტატთა შემოქმედებაში მყარად საფუძველჩაყრილი ტრადიცია რუსული კოლონიალიზმის მხილებისა და კრიტიკისა. მაგალითად, 1920 წლის 20

ივნისს, საბჭოთა რუსეთის მიერ დამოუკიდებელ საქართველოსთან ვითომცდა სამშვიდობო და მეგობრული ხელშეკრულების გაფორმებიდან სულ რაღაც თვენახევრის შემდეგ, დაწერილ ლექსში - „რა გიჭირთ...“ რუსეთისადმი, როგორც ჩვენი ქვეყნის აგრესორი სახელმწიფოსადმი, თავისი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძის პოეტური სტრიქონების პერიფრაზის მოშველიებით მან ასეთი ფორმით გამოხატა:

რა გიჭირთ! ყველგან კარი გელებათ,
ხომ გაიმარჯვეთ ღალატით ჩვენზე!
წაიღებთ ეხლა, რაც წაგელებათ,
რომ კრამიტს არც კი დასტოვებთ სხვენზე.
თქვენ ჯარს ვერ შეჰქმნით ამგვარ ბანდიდან,
უმეთაუროდ, უწინამძღოლოდ.
დღეს ყაზბეგიდან დარუბანდამდე
თქვენდამი ზიზღი გუგუნებს მხოლოდ...
მაგრამ არ ვაქებ ხანას სასტიკსა,
ვიტყვი ილიას ამ სიტყვებს მეცა:
„რაც კარგი სურდეს რუსისა შტიკსა,
ღმერთმა იმ რუსსვე მისცეს ასკეცად.“

მიუხედავად იმისა, რომ ი. გრიშაშვილის მიერ 1910-იან წლებში ეროვნულ თემატიკაზე შექმნილი ლექსები პირველ ყოვლისა შესაბამისი პერიოდის საქართველოში არსებული ვითარების შესაცნობადაა საინტერესო, თავიანთი მებრძოლი სულისკვეთებითა და მკვეთრად გამოხატული ანტიკოლონიური პათოსით ისინი ჩვენი ქვეყნის წინაშე დღესაც უმწვავესი ფორმით მდგარი სახელმწიფოებრივი პრობლემებიდან გამომდინარეც იძენენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ვლადიმერ ემუხვარი

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რითაც პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი მართვა-გამგებლობის სისტემა ხასიათდება, ამ პროცესში ჩვენი ქვეყნის არაქართველ მოქალაქეთა მონაწილეობა იყო. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა აფხაზ მამულიშვილთა აქტიურობა აღნიშნული მიმართულებით.

ერთ-ერთი მათგანი იყო ცნობილი აფხაზი პოლიტიკური მოღვაწე და პუბლიცისტი ვლადიმერ ემუხვარი (1890-1961 წწ. დაკრძალულია საფრანგეთში, აბონდანის სასაფლაოზე), რომელსაც უაღრესად ფასეული წვლილი აქვს შეტანილი გასული საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში. სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის თავდადებით მებრძოლი ამ გულმხურვალე პატრიოტის ცხოვრება და მოღვაწეობა დღემდე არ არის საფუძვლიანად შესწავლილი და სათანადოდ დაფასებული (ვ. ემუხვარის შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ ჩემი ნაშრომი „ვლადიმერ ემუხვარი – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი აფხაზი პუბლიცისტი და პოლიტიკოსი.“ ნიკოლეიშვილი, 2010: 366–405).

აღნიშნული ხარვეზის შესავსებად უაღრესად საინტერესოა ვლადიმერ ემუხვარის პირადი წერილები, რომლებიც ქართული ემიგრაციის მუზეუმშია დაცული. ეს წერილები უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტებს წარმოადგენს ამ თვალსაჩინო პიროვნების ბიოგრაფიისა და ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის შესასწავლად. მუზეუმში დაცული ყველა წერილის ადრესატი ცნობილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე აკაკი ჩხენკელი იყო. როგორც ამ წერილებიდან ნათლად ჩანს, მიუხედავად სხვადასხვა პარტიებში ყოფნისა (ა. ჩხენკელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო, ვ. ემუხვარმა კი 1917 წელს პარტიული მრწამსი შეიცვალა, სოციალ-დემოკრატიული პარტია დატოვა და ეროვნულ-დემოკრატი გახდა) და მსოფლმხედველობრივი პრინციპების განსხვავებულობისა, ვ. ემუხვარსა და ა. ჩხენკელს საქართველოში ცხოვრების დროსაც და

ემიგრანტობის პერიოდშიც ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ ერთმანეთთან.

როგორც ხსენებული წერილებიდან ირკვევა, ვ. ემუხვარი თბილისის ახლად გახსნილი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ყოფილა. 1920 წელს, რამდენიმე წარჩინებულ სტუდენტთან ერთად, უნივერსიტეტს, ხელისუფლების დაფინანსებით, იგი ორი წლით სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში, კერძოდ კი ქალაქ ბერლინის უნივერსიტეტში, გაუგზავნია. სამწუხაროდ, 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შედეგად გართულებული ვითარების გამო უცხოეთში მყოფი ვ. ემუხვარი და მისი მეგობრები უმძიმეს ეკონომიკურ გაჭირვებაში ჩავარდნენ. ისინი თბილისიდან არათუ სწავლის გასაგრძელებლად საჭირო თანხას ვეღარ ღებულობდნენ, არამედ სამშობლოში დასაბრუნებელი ფულის მოძიებასაც კი ვეღარ ახერხებდნენ.

გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა ვ. ემუხვარმა დასახმარებლად ა. ჩხენკელს მიმართა. გარდა იმისა, რომ იგი მისი უფროსი მეგობარი იყო, მან ეს ნაბიჯი იმიტომაც გადადგა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, მიუხედავად ემიგრაციაში გახიზვნისა, უფლებამოსილება ოფიციალურად ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეწყვეტილი. როგორც ჩვენი ქვეყნის სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში, ა. ჩხენკელი ამ დროისათვის პარიზში იმყოფებოდა. ვ. ემუხვარიც წერილებს თავის მეგობარს სწორედ იქ უგზავნიდა და დაბეჯითებით თხოვდა, ასეთ რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილი სტუდენტებისათვის მას გაეწია დახმარება.

„უნივერსიტეტმა, – წერდა ვ. ემუხვარი თავის უფროს მეგობარს 1921 წლის 28 ივნისს გაგზავნილ წერილში, – ჩვენ ორი წლით გამოგვგზავნა (ბერლინში უმაღლესი განათლების მისაღებად – ა. ნ.), ვიმეორებ, ორი წლით. თანაც დაგვპირდა, უკიდურეს შემთხვევაში „კამანდიროვკა“ ერთი წლით კიდევ გაგვიგრძელოს, მაგრამ ამაზე ზედმეტია ლაპარაკი. ჩვენ არა ვართ პროფესორები. მხოლოდ დავალებული გვაქვს საამისოდ მომზადება. შენ იწერები – ბოლშევიკები უნივერსიტეტის პერსონალებს არ ერჩიანო. ვთქვათ, რომ ეს დებულება რასმე ამტკიცებს. მაგრამ ჩვენ ხომ ერთი წელიწადიც არ ვართ აქა. მაშასადამე, ჩვენი პროგრამა, რომლისთვისაც ორი წელიწადიც თითქმის ცოტა არ შეგვისრულებია, უნივერსიტეტს რათ უნდა ვართ. თუ მენშევიკების დროს უნივერსიტეტს შეუძლებლათ მიაჩ-

ნდა თბილისში საპროფესოროდ მზადება, ბოლშევიკების დროს ხომ არ მოხდებოდა ასეთი სასწაული?

უნდა გეცადათ, რომ მოცემულ ორ წლის ფარგლებში რაც შეიძლება მეტ ხანს დავყოთ უცხოეთში. მთავრობას კი ისიც არ სურვებია, რომ მიმდინარე საზაფხულო სემესტრიც, რომელიც აგვისტოს პირველ რიცხვებში თავდება, გავათავოთ...

თქვენი მოვალეობაა, უნივერსიტეტის მაგივრობა გაგვიწიოთ, თქვენ არ შეგიძლიათ სთქვათ, რომ საშუალება არა გვაქვსო" (ქართული ემიგრაციის მუზეუმი (შემდგომში – ქემ), გ. შარაძის პირადი ფონდი, ფ. E–ა. 2–6.5. **აქაც და ქვემოთაც ვ. ემუხვარის წერილების სტილი ზუსტადაა დაცული – ა. ნ.**).

ა. ჩხენკელს ასეთი შინაარსის წერილებს ვ. ემუხვარი პირველ ყოვლისა იმიტომაც უგზავნიდა, რომ იგი იმხანად ჯერ კიდევ ითვლებოდა საქართველოს სრულუფლებიან ელჩად საფრანგეთში, გერმანიაში არსებულ ქართულ საელჩოსთან კი მას და მის მეგობრებს არანაირი ურთიერთობა არ ჰქონდათ. მისივე თქმით, მათთვის ეს საელჩო საერთოდ „არ არსებობდა" და მალე არც „არავისთვის არ იარსებებდა", ვინაიდან მის „წრეს გადასულ გათახსირებას ბოლო არ ჰქონდა" (ქემ ფ. E–ა. 2–6.4).

ემიგრაციაში დარჩენილმა ვლადიმერ ემუხვარმა მუდმივ საცხოვრებელ ადგილად საფრანგეთი აირჩია და 30-იანი წლების დასაწყისში ოფიციალურადაც გახდა ამ ქვეყნის მოქალაქე. მოგვიანებით, 1934 წლის 22 აპრილს, ა. ჩხენკელისადმი გაგზავნილ წერილში ემიგრაციაში დარჩენასთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ვ. ემუხვარმა შემდეგნაირად დაასაბუთა:

„უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება არ წარმოადგენს თავის ერის წინაშე დანაშაულს, ასეთ დანაშაულს წარმოადგენს მხოლოდ მოქმედება თავის ერის წინააღმდეგ... რომ არსებობდეს დღეს ქართული ლეგაცია, როგორც დამოუკიდებელ საქართველოს იურიდიული წარმომადგენლობა, მაშინ ჩემ მიერ საფრანგეთის მოქალაქეობის მიღება ენიშნებოდა საქართველოს მოქალაქეობის დატოვებას. რამდენად ემიგრაცია წარმოადგენს შეკავშირებულ ორგანიზაციას, ამ ორგანიზაციას აქვს სრულებით კერძო ხასიათი და მე ვდგავარ გარეშე ყოველგვარ ემიგრანტულ შეკავშირების... ჩემთვის საფრანგეთის მოქალაქეობის მიღება არის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ჩემი ბრალი არ არის, რომ მე ასეთ მდგომარეობაში ჩავვარდი... ჩემი ბრალი არ არის, რომ ქართველი ერის ისტორია წაგებულ იქნა. მი-

ზეზი ამისა არის სწორედ ის, რასაც შენ „ცხოვრების დუღილს“, რასაც მე „სიგიჟეს“ ვუწოდებ. ჩემის აზრით, შეუძლებელიც არის, რომ ერმა არ წააგოს თავის ბედ-იღბალი, როდესაც მაგალითად „ცხოვრების დუღილის“ მიერ ერის სათავეში წამოსკუპულნი არაფერს ეკითხებიან ისეთ პირს, როგორიც იყო ივანე ჯავახიშვილი, რომლის თავი უფრო დიდი იყო, ვინემ ყველა ჩვენი პარლამენტის წევრთა თავების საერთოდ აღებულის. ის გზა, რომელსაც ჩემი თეორია უჩვენებს ქართველ ერს, შეუძლებელს ყოფს ასეთ ნაირ ცხოვრების დუღილის ბატონობას. თუ ჩვენმა ახალგაზრდობამ მიიღო ეს ჩემი თეორია, მაშინ მისი გამარჯვება შესაძლებელია. ამით კი შეიძლება მომავალში მაინც ქართველ ერს ასცდეს წარსულის მსგავსი ხიფათნი...

ჩემს წინაშე საფრანგეთის მოქალაქეობის მიღება შეიქმნა როგორც აუცილებელი საჭიროება იმ აბსოლუტურ იზოლიაციის შემდეგ, რომელშიც მე ქართულმა ემიგრაციამ ჩამაყენა. მე მომივიდა კონფლიქტი აქაურ ქართულ ასოციაციისგან“ (ქემ, ფ. E–ა. 2–6.8).

როგორც დამოწმებული ფრაგმენტიდანაც თვალნათლივ ჩანს, უცხო ქვეყანაში საბოლოოდ დამკვიდრების მიუხედავად, ვ. ემუხვარი თავისი პოლიტიკური საქმიანობის უმთავრეს მიზნად კვლავაც ქართული სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად აქტიურ ბრძოლას ისახავდა. კერძოდ, მისივე ხაზგასმით, საფრანგეთის მოქალაქეობის მიღება არამც და არამც არ ნიშნავდა იმას, რომ ამ ნაბიჯის გადადგმით იგი „უარს ამბობდა თავის ვალზე ქართველი ერის წინაშე.“ პირიქით, საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების სადარაჯოზე უღალატო ერთგულებით მდგარი აფხაზი მამულიშვილი, რომელიც, მისივე თქმით, „ჯგუფურ ინტერესებზე მაღლა მუდამ ერის ინტერესებს აყენებდა“, დაბეჯითებით უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ იგი გამუდმებით მხოლოდ „იმისთვის ლესავდა იარაღს, რომ ქართველი ერის სამსახურში მდგარიყო“ (ქემ, ფ. E–ა. 2–6.8).

ვ. ემუხვარის ასეთ გულმტკივნეულ საუბარს იმდროინდელი საქართველოს საჭირბოროტო პრობლემებზე განსაკუთრებულ ფასსა და მნიშვნელობას პირველ ყოვლისა ის ფაქტი სძენდა, რომ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ ინტერესებს აფხაზი პუბლიცისტი და პოლიტიკოსი მხოლოდ სიტყვით კი არ იცავდა ასე აქტიურად, არამედ პრაქტიკული საქმიანობითაც. იგი უდიდესი აღშფოთებითა და სინანულით ხშირად წერდა ხოლმე იმ ტრაგედიაზე, რომელიც

ბოლშევიკური აგრესიის შედეგად დაატყდა თავს ჩვენს ქვეყანას. მისი შეფასებით, ამ ტრაგედიის შედეგად „ქართველი ერის ისტორია წაგებულ იქნა.“

ვ. ემუხვარის აზრით, ეს უდიდესი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტრაგედია საქართველოს არა მარტო გარედან დაატყდა თავს, არამედ თავად ჩვენი პოლიტიკოსების უგუნურებითაც; კერძოდ, იმით, რომ „ერის სათავეში წამოსკუპებულნი“ ქვეყნის ბედის გადაწყვეტის დროს ისეთ დიდ პიროვნებას, როგორსაც ივანე ჯავახიშვილი წარმოადგენდა და „რომლის თავიც უფრო დიდი იყო, ვინემ ყველა ჩვენი პარლამენტის წევრთა თავების საერთოდ აღებულის“, არაფერს ეკითხებოდნენ.

ვ. ემუხვარის მთელი საზოგადოებრივი მოღვაწეობა და პუბლიცისტური მემკვიდრეობა ნათლად და დაუეჭვებლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მისი საქმიანობის უმთავრეს პრინციპად ქცეული მსოფლმხედველობრივი თვალთახედვა – ჯგუფურ და ტომობრივ ინტერესებთან შედარებით ხალხის ინტერესების პრიმატი – უპირველეს ყოვლისა ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისადმი უღალატოდ მსახურებაზე იყო დაფუძნებული.

ნათქვამის დასტურად აქ მინდა ის წერილიც დავიმოწმო, რომელიც ვ. ემუხვარს 1938 წლის 17 იანვარს გაუგზავნია ა. ჩხენკელისათვის.

„ძვირფასო აკაკი.

იმ ღიას (იგულისხმება ღია ბარათი – ა. ნ.), რომელიც მე გუშინ გამოგიგზავნე, (მინდა) ზოგიერთი განმარტება გავუკეთო: მე მინდოდა, რომ ის ორი ბლოკი, რომელიც ჩვენს შორის არსებობდა და რომელმანაც ბევრი კარგი საქმე გააკეთა, დარჩეს. შენ უნდა იმოქმედო შენებურად, დიპლომატიურად, მე კი ჩემებურად, ე. ი. ჩაქუჩით. მე ქართულ საზოგადოებას ვკარი წიხლი. მე ეს ჩავიდინე სრულიად მოფიქრებულად. თუ ამან მღელვარება გამოიწვია, მით უკეთესი საქმისათვის. მხოლოდ შენ უნდა იცოდე საქმის ნამდვილი მიზანი და იმოქმედო და დიპლომატიურად უნდა დამიჭირო მხარი. შენ არა ხარ ვალდებული, რომ მე დამეთანხმო, მხოლოდ უნდა აუხსნა ხოლმე იქაურ ვირებს, რომ რასაც მე ვშობი, ვშობი პატრიოტულის განზრახვით. პატრიოტობა კი ფეხების ფხანას არ ნიშნავს და აგრესიული გამოსვლანი ჩემს წინააღმდეგ მოკლებულია ყოველ მნიშვნელობას. სიმართლე ჩემსკენ არის, და მე ამას ყოველთვის დავამტკიცებ. აქ სპეციალურად ჩემს გამო ჩამოვიდა ა.

ასათიანი (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი – ა. ნ.). მე იგი სამარცხვინო ბოძზე მივაკარი. მხოლოდ, აკაკი, ჩვენს შორის უნდა მოხდეს შეთანხმება ერთ კარდინალურ საკითხზე. უამისოდ ჩვენი თანამშრომლობა შეუძლებელია. ეს შეთანხმება ჩვენს შორის უნდა მოხდეს. შენ არა ხარ ვალდებული ამის საჯარო მანიფესტაცია მოახდინო. შენ შეგიძლია მხოლოდ ეცადო, რომ გაიგონ ჩემ მიერ აღებული პოზიცია. ეს არის საკითხი აბხაზ ინტელიგენტების ვალდებულებაზე. ასეთ ინტელიგენტად მე შენ მიმაჩნიხარ. შენ არ უნდა დაგავიწყდეს, რომ აბხაზეთის მიწაწყალმა გამოგზარდა შენ და აბხაზეთმა გაგიკეთა შენ შენი პოლიტიკური კარიერა (აქ ვ. ემუხვარი, ეტყობა, ა. ჩხენკელის ცხოვრებასთან დაკავშირებულ ორ მთავარ ეპიზოდს გულისხმობს: პირველი, იმას, რომ მამამისი, როგორც სასულიერო პირი, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში აფხაზეთში იყო მღვდლად განმწესებული და მეორე, 1912 წელს, მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს წევრად, იგი სწორედ აფხაზეთიდან იქნა არჩეული – ა. ნ.). მაშასადამე, რა არის ვალდებულება აბხაზ ინტელიგენტების: მე ვშიშობ, რომ ეს შენ ცალმხრივად გესმის. საქმე მარტო იმაში არ არის, რომ მოგებულ იქმნას ქართული საქმე აბხაზეთში; არამედ იმაშიც, რომ მოგებულ იქმნას აბხაზური საქმე საქართველოში. მაშასადამე, ვალდებულობა აბხაზ ინტელიგენტის არის, რომ ორ ფრონტზე ურტყას ჩაქუჩი. ჩემი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ 1918 წელს მე მხოლოდ პირველ ფრონტზე ვურტყამდი ჩაქუჩს, მეორე ფრონტზე კი მხოლოდ დიპლომატიურის გზით, პირადი მოლაპარაკებით ვმუშაობდი. ნამდვილად კი უნდა გამოვსულიყავი საჯაროთ. საჯაროთ უნდა დამერტყა ჩაქუჩი. სამწუხაროდ, მე ნაკლებათ ვიყავი მომზადებული პოლიტიკურ ბრძოლისათვის საერთო ქართულ ფრონტზე. მე ჩემი მისია აბხაზეთში გავათავე 1918 წლის მიწურულში, როცა დამარცხებულ იქმნა მეორე შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ, შეთქმულება ძალიან მაგარი, აბხაზეთის საბჭო დახურული და საერთო საარჩევნო უფლების ნიადაგზე ნამდვილი აბხაზეთის საბჭოს არჩევნები გამოცხადებული. ამავე დროს, საქართველოში მზადდებოდა არჩევნები დამფუძნებელ კრებისათვის. ამა დროს ჩემმა სუხუმელმა ქართველ მეგობრებმაც მითხრეს მე, რომ მე სამოქმედო ასპარეზი გადამეტანა საქართველოში. აი, აქ მე მოვითხოვდი იმას, რასაც დღეს აქ ევროპაში ეძახიან (პირველად ჩრდილო ამერიკაში იქმნა ის თქმული) ტვინის ტრესტს და რასაც

მე 1918 წელს ცოდნისა და გამოცდილების კონცენტრაციას ვუწოდებდი. ორჯერ მივიტანე მე ამ საკითხის გამო სპირიდონ კედიაზე (ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერზე – ა. ნ.), რომლისგანაც იყო საქმე დამოკიდებული, ვინაიდან ის იყო ლიდერი ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ერთხელ სიტყვიერად. მე მასთან რანდევუ მომიწყო ერთმა გვალიამ, რომელმანაც იცოდა ჩემი ბრძოლები აბხაზეთში, მეორე ჯერ წერილი მივწერე ქალაქ ქუთაისიდან. როცა მოხდა გაერთიანება კონსტრუქციულ ძალების თბილისის ქალაქის არჩევნების გამო, მე ვეველდრებოდი წერილში, რომ მოეხდინა ისეთივე გაერთიანება დამფუძნებელ კრებისათვის და სიაში მეც ჩავეტანე როგორც უპარტიო აზრის ინტელიგენტი: მე მინდოდა თანამშრომლობა გამოცდილ ქართველ ინტელიგენტებთან ოპოზიციურ სფეროში და თანაც აბხაზეთის ფრონტზე არა როგორც აბხაზთა საბჭოს წევრი, არამედ როგორც დამფუძნებელ კრების წევრი. არზაყანს (იგულისხმება არზაყან ემუხვარი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების თავმჯდომარე – ა. ნ.) ზოგიერთი უსაყვედურებს, ცოდნა არ ქონდაო და ვერ მოუარა საქმესო. მაგრამ ეს საყვედური უსამართლოა. როცა ის იქმნა სათავეში არჩეული, მან მაშინვე ტელეგრამა გამომიგზავნა, მომცა იურისკონსულტობა. მაშასადამე, ის სცდილობდა, რომ უცოდინარობით საქმე არ გაფუჭებულიყო. მან ამ გზას მიმართა. სხვა გზა არ ქონდა. მე ვუპასუხე დეპეშით მოკლედ: **сожалею что не могу**. ის ყოველთვის ამას მაგონებს. ემიგრაციაში რომ მოხდა, პირველი მისი წერილი საშინელის საყვედურით იყო სავსე ამ ჩემს პასუხისადმი. მაგრამ მე მართალი ვიყავი. საქმეს მე ქართულ ფრონტზე წაგებულად ვთვლიდი. თითქოს არ მოხერხდა ეს ტვინის ტრესტის შექმნა, ვინაიდან ეს იყო ისეთ უტვინო ადამიანებზე დამოკიდებული, როგორც არიან სპირიდონ კედია და ასათიანი. და ეს აშკარად დამტკიცდა დღეს იმ ყოვლად უმსგავსო განგაშით, რომელიც მათ ასტეხეს დემაგოგიით წასისინებული, ერთი კი – ასათიანით მოსყიდული. ასეთი მეთაურები როცა ყავს ერს, იქ სახელმწიფო კი არა საქათმე არ აშენდება და მე სულით და გულით მებრალება სწორედ ქართველი ერი. დღეს მე ეს საკითხი კონსტრუქტიული ცენტრის მკაფიოდ დავაყენე და საბოლოოდ უნდა მოხდეს უმძიმეს სახელმწიფოებრივ და საგარეო უფლებრივ საკითხების მიტინგურ მეთოდით გარჩევა. ის უპასუხისმგებლობა, რომელიც ქართველ მეთაურებს ახ-

ასიათებს, თან და თან ღრმავდება, თან და თან საქმე უკან მიდის. მე ჩემს მოვალეობად ვრაცხ ამას შევებრძოლო ჩემებრ, ჩაქუჩით. შენ დიპლომატიურად მხარი უნდა დამიჭირო. ერთმა შესანიშნავმა კონსტიტუციონალისტმა Eსმეირ გამოსთქვა ერთი დებულება: ყველაზედ დიდი უბედურება სახელმწიფოსთვის არის ოპოზიციის უარსებობაო. ეს არის ერთი შეიძლება მთავარი მიზეზი საქართველოს დაღუპვის. აი ასეთი ოპოზიციისათვის, გაერთიანებულ კონსტრუქტიულ ფრონტისათვის ვიბრძოდი მე, ქართველმა მოღვაწეებმა უნდა დამაკმაყოფილონ მე ამ საკითხში, თუ მათ სურთ, რომ მე დავიცვა აბხაზეთში საქართველოს ინტერესებიც. ამ საკითხს მე კატეგორიულად ვსვამ. მიიღე ჩემგან მეგობრული სალამი. იმედი მაქვს, რომ გაიგებ ჩემს პოზიციას" (ქემ, ფ. E–ა. 2–6.9).

მრავალმხრივ საინტერესო ეს წერილი განსაკუთრებულ ყურადღებას პირველ ყოვლისა იმით იმსახურებს, რომ მასში ქართველებსა და აფხაზებს შორის იმხანად არსებულ სირთულეებზეც არის ყურადღება გამახვილებული. დღევანდელი ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ აფხაზი პუბლიცისტი ამ პრობლემებზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით მსჯელობს და პრინციპულად შორს დგას ყოველგვარი სეპარატიზმისგან.

ყოველივე ზემოთქმული რომ სიმართლეა და ვ. ემუხვარის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მრწამსის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული არაფერია, ამის დასტურად აქ ხსენებული წერილის ის ფრაგმენტები მინდა გავიხსენო, სადაც აფხაზი პუბლიცისტის პოლიტიკური თვალთახედვის განმსაზღვრელი პრინციპებია წარმოჩენილი.

ვ. ემუხვარის ხაზგასმით, მისი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის უმთავრესი მიზანი „აბხაზეთში საქართველოს ინტერესების დაცვა" იყო, „ქართული საქმის მოგება აბხაზეთში". თუმცა ყოველივე ზემოთქმული იმას არამც და არამც არ ნიშნავდა, თითქოს ქართული ინტერესების ამგვარი ქომაგობით ვ. ემუხვარი საკუთარ ხალხს ღალატობდა. რასაკვირველია, არა. როგორც დამოწმებულ წერილშიც არაერთგზის არის აღნიშნული, თავისი ამდაგვარი პოლიტიკური მოღვაწეობით ვ. ემუხვარი მიზნად ისახავდა არა მარტო „ქართული საქმე ყოფილიყო მოგებული აბხაზეთში, არამედ აბხაზური საქმეც საქართველოში."

ვ. ემუხვარი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ აფხაზეთი საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა და მისგან განშორებულად ვერ იარსებებდა. ამ იდეას იგი მარტო სიტყვით კი არა საქმითაც რომ ემსახურებოდა, ეს იმითაც დადასტურდა, რომ ვ. ემუხვარმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს წინააღმდეგ მიმართული იმ აჯანყების ჩახშობაში, რომელიც აფხაზმა სეპარატისტებმა მოაწყვეს 1918 წელს რუსი ბოლშევიკების ორგანიზებითა და ხელშეწყობით. ვ. ემუხვარის შეფასებით, ამ ფაქტით მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა საქვეყნოდ, რომ იგი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, „ორ ფრონტზე ურტყამდა ჩაქუჩს“ და ერთნაირი ერთგულებით ემსახურებოდა მის მშობელ ხალხსაც და ქართველ ერსაც.

იმისათვის, რომ მის ამ საქმიანობას მეტი მასშტაბები შეეძინა, ვ. ემუხვარს საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის მიღებაც ჰქონია გადაწყვეტილი და ამ საქმეში დახმარებისათვის ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერ სპირიდონ კედიასთვის მიუმართავს. მისივე თქმით, დამფუძნებელი კრების წევრად არჩევის შემთხვევაში იგი უფრო აქტიურად იბრძოლებდა „აბხაზეთში საქართველოს ინტერესების დასაცავად“. მაგრამ შიგაპარტიულ ინტრიგათა და დაპირისპირებათა გამო ამის გაკეთება ვერ მოხერხდა.

მიუხედავად ამისა, ვ. ემუხვარს ენერგიული ქართული საქმიანობა არც ამის შემდეგ შეუწყვეტია და იგი „ორ ფრონტზე“ წარმოებულ თავის ადრინდელ პოლიტიკურ მოღვაწეობას ემიგრაციაში ცხოვრების პერიოდშიც განაგრძობდა ძველებური აქტიურობით.

თავისი აქტიური პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობით ვლადიმერ ემუხვარმა წარმატებით განაგრძო ქართველებისა და აფხაზების ერთობლივი თანაცხოვრების ის დიდი ტრადიცია, რაც საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა ერთ სახელმწიფოში ჩვენი ხალხების უკონფლიქტოდ მკვიდრობის შედეგად. სწორედ ამ ტრადიციის ნათელ გამოხატულებად იქცა ის ფაქტი, რომ აფხაზი ხალხის ეს სახელოვანი შვილი, მთელი თავისი პარტიულ-პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში, აქტიურად იდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად მებრძოლი ქართველი მამულიშვილების გვერდით და თავდადებით იღვწოდა ამ მიზნის რეალურად მისაღწევად.

განახლებული რუსული იმპერიის მიერ ჩვენი ქვეყნის ხელმეორედ ოკუპაციის შემდეგ იგი იძულებული გახდა სამუდამოდ დაეტოვებინა საქართველო და მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილი ადამიანის ტრაგიკული ცხოვრებით ეცხოვრა.

ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ საქართველოში ბოლშევიკური აგრესიის შედეგად შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის გამო უცხოეთში გადახვეწილი აფხაზი პატრიოტი იქაც უმთავრესად ქართველების გვერდით განაგრძობდა აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას საბჭოთა რუსეთის კოლონიური უღლისაგან ჩვენი ქვეყნის განსათავისუფლებლად და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის კვლავ აღსადგენად.

საქართველოშიცა და ემიგრაციაში ყოფნის დროსაც, ვლადიმერ ემუხვარის პოლიტიკურ მოღვაწეობას ძალასა და ენერგიას უპირველეს ყოვლისა იმის დაუეჭვებელი რწმენა სძენდა, რომ ქართული სახელმწიფოს აღსადგენად და განსამტკიცებლად გამართულ ბრძოლაში თავისი აქტიური მონაწილეობით იგი იმავდროულად აფხაზეთის გასაძლიერებლადაც იბრძოდა. როგორც ვ. ემუხვარის ცხოვრება და მოღვაწეობა ნათლად და დაუეჭვებლად ადასტურებს, აფხაზი ხალხის ეს სახელოვანი შვილი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ დასაბამიდან ქართული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად ქცეულ აფხაზეთს არსებობისა და განვითარების სხვა გზა ვერც მომავალში ექნებოდა.

საბედნიეროდ, აფხაზი ხალხის სახელმწიფოებრივი ბედის ასეთ შეფასებაში ვლადიმერ ემუხვარი გამონაკლისი არ ყოფილა და საქართველოსთან აფხაზეთის სამომავლო განვითარების პერსპექტივას ასე სისხლხორცეულად და განუთიშველად აფხაზი ხალხის პროგრესულად მოაზროვნე სხვა შვილებიც აკავშირებდნენ ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე.

როგორც ითქვა, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველ წლებში ვ. ემუხვარი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იყო, მაგრამ შემდგომში მსოფლმხედველობრივი თვალთახედვა შეიცვალა და 1918 წლიდან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი გახდა. ახალ პარტიაში მისი გადასვლის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად უპირველეს ყოვლისა ის ფაქტი იქცა, რომ მისთვის პრინციპულად მიუღებელი აღმოჩნდა ის ნიჰილისტური ეროვნული თვალთახედვა, რაც სოციალ-დემოკრატების პარტიული საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად იყო ქცეული.

ამ საფუძველზე თავის ძველ პარტიულ მეგობრებთან უთანხმოება მას ჯერ კიდევ ხსენებულ პარტიაში ყოფნის პერიოდშიც ჰქონია. აი, რას წერს თავად ვ. ემუხვარი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ქართულ ემიგრანტულ ჟურნალ „სამშობლოში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში (1937 წლის №21-22): „ჯერ კიდევ 1916 წელს, როცა მე სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი ვიყავი, დავიწყე თანამშრომლობა ქუთაისის ეროვნულ-დემოკრატიულ ორგანო „სამშობლო“-ში და ამ ორგანოს ფურცლებზე ვაკრიტიკებდი სოც.-დემ. პარტიის ოფიციალურ ხელმძღვანელთა პოზიციას ეროვნულ საკითხში. რასაკვირველია, ჩემი პოზიცია ეროვნულ საკითხში ბევრად უფრო ზომიერი იყო, ვინემ ეროვნულ-დემოკრატების... ვინაიდან სოციალ-დემოკრატიული პარტია არ ურიგდებოდა თვითკრიტიკას და ამ თვითკრიტიკისათვის პარტიის ორგანოს ფურცლები ჩემთვის დახურული იყო, ამიტომ ეროვნულ-დემოკრატიული ორგანო მე მიწევდა რაინდულ სტუმართმოყვარეობას.

1918 წელს, როცა გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ჩემთვის ზნეობრივად შეუძლებელი გახდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მუშაობა, ვინაიდან პარტია არ იწყნარებდა იმ კონსტრუქციულ ამოცანებს, რომელიც პარტიის წინაშე დაისვა. ერთადერთ კონსტრუქციულ ძალას მაშინ მხოლოდ და მხოლოდ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია წარმოადგენდა. მაშასადამე, ჩემი ალაგი იყო სწორედ ეროვნულ-დემოკრატიულ ბანაკში და არა ანტისახელმწიფოებრივ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს სათავეში მოექცა და მის გონებრივ არსენალში კი გარდა მარქსის ფორმულირებისა, არაფერი მოიპოვებოდა.“

როგორც დამოწმებული ფრაგმენტითაც ნათლად ჩანს, ვლადიმერ ემუხვარი, ეროვნულ საკითხში პრინციპული უთანხმოების გამო, მის ძველ თანაპარტიელებს იმ დროს გამიჯვნია, როცა ისინი დამოუკიდებლობა აღდგენილი ქვეყნის სათავეში მოვიდნენ. ეს მოვლენა აშკარა დადასტურებაა იმისა, ვ. ემუხვარის საზოგადოებრივ მოღვაწეობას საფუძვლად უპირველეს ყოვლისა ეროვნული თვალთახედვა რომ ედო და არა კარიერისტულ-კონიუნქტურული მისწრაფებანი. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ქვეყნის მმართველი პარტიის რიგებს იმ დროს, როცა ამ პარტიასთან მიტმასნებას, მისი უფლებრივი მდგომარეობის გამო, კარიერისტული ამბიციებით შეპყრობილი ბევრი ადამიანი ცდილობდა, იგი კი არ დატოვებდა,

არამედ უფრო მეტად შეეცდებოდა თავისი პარტიული პოზიციების განმტკიცებას.

ემიგრაციაში ცხოვრების პერიოდში ვლადიმერ ემუხვარის პოლიტიკური მოღვაწეობის უმთავრეს ასპარეზად პუბლიცისტური საქმიანობა იქცა. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, იგი პოლიტიკურ საქმიანობაშიც იღებდა აქტიურ პრაქტიკულ მონაწილეობას, ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით, ვ. ემუხვარის ინტელექტუალური შესაძლებლობები იმხანად პირველ ყოვლისა მაინც სწორედ მის პუბლიცისტურ შემოქმედებაში წარმოჩინდა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ქართულ ემიგრანტულ პრესაში გამოქვეყნებული მისი ის წერილები, რომლებშიც საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი ჩვენი ეროვნულ-პოლიტიკური ყოფის პრობლემური საკითხებია დასმული და გაანალიზებული. ამ წერილებისადმი ინტერესს არსებითად ზრდის ის გარემოება, რომ ხსენებული საკითხები მათში უშუალოდ ავტორის მიერ სამსჯელოდ ქცეულ მოვლენათა თვითმხილველი და თანამონაწილე პიროვნების მიერაა შეფასებული. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული მოვლენები ავტორს ცალკეულ შემთხვევებში პარტიულ-სუბიექტური თვალთახედვითაც აქვს გააზრებული, ვ. ემუხვარის პუბლიცისტურ წერილებში მაინც ბევრი რამაა უაღრესად საინტერესო იმჟამინდელი პოლიტიკური ვითარების გასარკვევად და გასაანალიზებლად.

ვ. ემუხვარის შეფასებით, გასული საუკუნის ათიან წლებში ფაქტობრივად „ორი საქართველო არსებობდა – საქართველო სოციალ-დემოკრატიული, რომელსაც ქართულ კულტურა-ისტორიასთან და ტრადიციასთან საერთო არაფერი ჰქონდა და მეორე საქართველო, სადაც სჩქეფდა ნაციონალური სული, საქართველო, რომელიც სცდილობდა შეენახა ქართული კულტურა, საუკუნოებით გარდმოცემული წარსულ მოქმედების ნაშთები“ (შარაძე, 2001: 501).

ვ. ემუხვარის პოლიტიკურ-პუბლიცისტური მოღვაწეობის შეფასების დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ აფხაზი ხალხის ეს დიდი წარმომადგენელი ამ „ორი საქართველოდან“ მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში უღალატო ერთგულებით იყო ჩამდგარი „იმ საქართველოს“ სამსახურში, რომელიც ეროვნული სულის, კულტურისა და ტრადიციების უმტკიცესად დაცვასა და შენარჩუნებას ცდილობდა.

ვ. ემხვარის იმ პუბლიკაციათაგან, რომლებიც სიღრმისეულად წარმოაჩენს მის ეროვნულ-მსოფლმხედველობრივ თვალთახედვას, უაღრესად საინტერესოა ემიგრაციაში ცხოვრების პერიოდში საქართველოს პატრიოტული ახალგაზრდობის ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ამავე სახელწოდების გაზეთის (გამოდიოდა 1926-1939 წლებში პარიზსა და ბერლინში) 1928 წლის XII და XIII, 1929 წლის XVII და XXI და 1930 წლის XXIV ნომრებში გამოქვეყნებული წერილი „ნაწყვეტი მოგონებიდან“ (ხსენებული პუბლიკაცია იხ. აგრეთვე გ. შარაძე, 2001: 500-524).

დასახელებული წერილი პირადად ჩემთვის უწინარეს ყოვლისა ორი უმთავრესი თვალსაზრისითაა განსაკუთრებით საინტერესო: პირველი იმით, რომ იგი ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე გამოხატავს ავტორის ქართულ თვალთახედვას და მეორე, ხსენებული პუბლიკაციით ვ. ემუხვარმა კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ქართველი სოციალ-დემოკრატების ანტიეროვნული პარტიული პრინციპებისადმი. ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტებს დასახელებული წერილიდან.

1917 წლის შემოდგომაზე საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების იმჟამინდელ თავმჯდომარეს, გენერალ გიორგი ყაზბეგს ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე ხარლამოვისთვის თბილისის ცენტრში მდებარე ალექსანდრეს ბაღში საქველმოქმედო სეირნობის გასამართად ნებართვა უთხოვია. სეირნობის გამართვის ორგანიზატორები ფიქრობდნენ, რომ ამ გზით მათი საზოგადოების მძიმე ფინანსური მდგომარეობა რამდენადმე მაინც გაუმჯობესდებოდა.

ამ ნაბიჯის გადასადგმელად მათთვის სტიმული იმასაც მიუცია, რომ მანამდე მსგავსი სახის საქველმოქმედო სეირნობები თურმე რუსულ და სომხურ საზოგადოებებსაც გაუმართავთ და საკმაოდ კარგი შემოსავალიც მიუღიათ. ხსენებული სეირნობის ჩასატარებლად ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარესთან მისვლა იმით ყოფილა განპირობებული, რომ მსგავსი საქველმოქმედო ღონისძიებების გამართვა მისი ნებართვის გარეშე აკრძალული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ხარლამოვს ყაზბეგის თხოვნა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაუკმაყოფილებია, საქველმოქმედო სეირნობა მაინც ვერ გამართულა. ვ. ემუხვარის ინფორმაციით, ამის მიზეზი გამხდარა ის ფაქტი, რომ „საქმეში მუშათა, გლეხ-

თა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ჩაერია და ბაღს ვეტო დაადვა. კომიტეტის ხელმძღვანელნი კი ქართველები იყვნენ და მათში პირველი ალაგი ნ. ჟორდანიას ეჭირა. კომიტეტმა გადასწყვიტა, რომ არც ერთ კერძო საზოგადოებას უფლება არ უნდა მიეცეს, ბაღით ისარგებლოს და იგი მხოლოდ რევოლიუციონურ მიზნებისთვის უნდა იქმნეს გამოყენებულიო. ამ გადაწყვეტილების მიღებით ნ. ჟორდანიამ და მისმა თანამოაზრე ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა უყოყმანოდ გააუქმეს არაქართველი ხარლამოვის მიერ იმ ქართული საზოგადოებისათვის მიცემული ნებართვა, რომელიც, ვ. ემუხვარის შეფასებით, „ქართული კულტურის მთავარ ცენტრსა და მის უძვირფასეს ლამპარს“ წარმოადგენდა.“

ვ. ემუხვარის შეფასებით, სხვა გარემოებებთან ერთად, მთელს ამ ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისიც იყო, რომ ზემოთ აღნიშნულ ვითარებაში „ქართველების ინტერესს ქართველების წინააღმდეგ რუსი ხარლამოვი იცავდა.“

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, მიღებული გადაწყვეტილებით შეურაცხყოფილმა ხარლამოვმა თურმე უკან მაინც არ დაიხია და ამიერკავკასიის შინაგან საქმეთა კომისარს – აკაკი ჩხენკელს საქველმოქმედო აქციის მონაწილეთა დასაცავად ბაღთან შეიარაღებული მცველების დაყენება დაავალა. თუმცა, ვ. ემუხვარის ინფორმაციით, ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარის ეს მცდელობაც უშედეგოდ დამთავრებულა, რადგანაც ჩხენკელი, როგორც თავადაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, მისი თანაპარტიელების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას უჭერდა მხარს და „ხარლამოვის თანახმა არ იყო.“

ქართველი სოციალ-დემოკრატები თავიანთ ამგვარ ქმედებას პირველ ყოვლისა „საქართველოში არსებული განსაკუთრებული პირობებით“ ხსნიდნენ. „ასეთი განსაკუთრებული მდგომარეობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოში ქართველების გარდა სხვანიც ცხოვრობდნენ, მაგ., სომხები, რომელნიც უმცირესობაში იმყოფებოდნენ“. მათი აზრით, ამგვარი „პატრიოტული პოლიტიკის“ გატარება უმცირესობის დაჩაგვრას გამოიწვევდა. ვ. ემუხვარის შეფასებით, პირველ ყოვლისა სწორედ საქართველოში მცხოვრები უმცირესობებისადმი სოციალ-დემოკრატების ასეთი ლოიალური დამოკიდებულებით იყო განპირობებული ის პოლიტიკა, რასაც ისინი მათ საამებლად ატარებდნენ.

ვ. ემუხვარის ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვის გასააზრებლად მეტად საინტერესოა ის შეფასება, რომელსაც იგი ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას მოღვაწეობას აძლევდა ერთმანეთთან შეპირისპირებული ფორმით. მისი აზრით, ამ ორი პიროვნების ეროვნულ-მსოფლმხედველობრივი მრწამსი არსებითად განსხვავდებოდა ერთიმეორისაგან. კერძოდ, განსხვავებით ი. ჭავჭავაძისაგან, რომელიც „საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის იდეოლოგი იყო“ და მთელი თავისი მოღვაწეობის უმთავრეს მიზანს „ამ სახელმწიფოებრიობისთვის ნიადაგის მომზადება“ წარმოადგენდა, ნ. ჟორდანია „ქართველი ერის ნაციონალური გადაგვარების იდეოლოგი იყო“, პიროვნება, რომელიც თავისი „მოღვაწეობის განმავლობაში ნიადაგს უთხრიდა საქართველოს პოლიტიკურ თავისუფლების შესაძლებლობას და მისი პარტიის ბატონობა დამოუკიდებელ საქართველოს არსებობის დროს იყო თავგასული ფლანგვა და განადგურება იმისა, რაც ილია ჭავჭავაძის საქართველოს მიერ იყო შექმნილი“ (შარაძე, 2001: 508).

ნ. ჟორდანიას პარტიულ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისადმი ვ. ემუხვარის ამგვარ ნეგატიურ დამოკიდებულებას არსებითად განაპირობებდა ის ფაქტი, რომ თაობათა პერმანენტული, 117 წლოვანი, ბრძოლის შემდეგ, სწორედ ილიას საწინააღმდეგო გზით მავალი ის და მისი თანაპარტიელები აღმოჩნდნენ მოქცეული სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობა აღდგენილი ქვეყნის სათავეში.

ბუნებრივია, ვ. ემუხვარისათვის, როგორც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეების ერთგული მამულიშვილისათვის, ნაციონალურ ნიჰილიზმზე დამყარებული ის პარტიული პრინციპები, რომელნიც ნ. ჟორდანიასა და მისი თანაპარტიელების მოღვაწეობას ედო საფუძვლად, არსებითად იქნებოდა მიუღებელი. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქ ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, **რომ ყველაფერს ამას აფხაზი ეროვნების კაცი წერს, ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში აქტიურად მდგარი პიროვნება.**

იმის გამო, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ ქვეყნის მმართველ უმთავრეს ძალად სოციალ-დემოკრატიული პარტია იქცა, ეროვნულ-დემოკრატები კი უმცირესობაში აღმოჩნდნენ, ვ. ემუხვარი, მსგავსად მისი პარტიელი მეგობრებისა, ოპოზიციონერის როლში გამოდიოდა და თავის წერილებში ყურადღებას პირველ ყოვლისა იმ ნაკლოვან მხარეებზე ამახვილებდა,

რასაც, მისი აზრით, სოციალ-დემოკრატები უშვებდნენ ქვეყნის მართვა-გამგებლობის პროცესში.

ერთ-ერთი ასეთი დიდი შეცდომა, რაც, პუბლიცისტის აზრით, „სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა – საქართველოს დაპატრონებულმა ამ ბოროტმა სულმა" (მისი სიტყვებია) – ქვეყნის სათავეში მოსვლის დროს დაუშვა, იმაში მდგომარეობდა, რომ სახელმწიფოებრივი მმართველობის დროს ნ. ჟორდანია და მისი თანაპარტიელები კადრებს ფაქტობრივად მხოლოდ პარტიული ნიშნის მიხედვით არჩევდნენ. ასე რომ, ვ. ემუხვარის შეფასებით, „ჩვენს სახელმწიფო მეთაურებს ნატამალიც კი არ გააჩნდათ" სახელმწიფო მოღვაწისათვის აუცილებლად საჭირო ისეთი თვისებებისა, როგორებიცაა „მეცნიერებთან საერთო ენის გამონახვა, მისი გამოყენება სახელმწიფო აღმშენებლობითი მუშაობისათვის, საზოგადოთ, შეგროვება ერის საუკეთესო გონებრივი ძალების" (შარაძე, 2001: 512).

ვ. ემუხვარს საჯაროდაც არაერთგზის მოუნანიებია ის ფაქტი, რომ გარკვეული დროის განმავლობაში ისიც იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მის საქმიანობაში. მაგალითად, საკუთარი მოღვაწეობის ამ მხარეს განსახილველ წერილში იგი ასეთ შეფასებას აძლევდა: „ვისაც სურს ქართველ მკითხველ საზოგადოებას და მეტადრე ახალგაზრდობას ესა თუ ის ჭეშმარიტება ჩაუნერგოს, მას შეუძლია, საილუსტრაციოდ ჩემი შეცოდებანი მოიყვანოს, მე მზათა ვარ მასალები თვითონ მივაწოდო. არა მარტო ის მიკლავს გულს, რომ ქართველი ერი სისხლისა და ცრემლის ზღვაში სცურავს, არამედ ისიც, რომ მის წინაშე მეც მრავალი ცოდვა მიმიძღვის და ეს არა მარტო იმიტომ, რომ მრავალ ხნის განმავლობაში სოციალ-დემოკრატიულ ბანაკში ვიმყოფებოდი, თვით გამოფხიზლების ხანა მორალურად უკან დამხევი იყო."

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ვ. ემუხვარი იქვე იმასაც დაბეჯითებით უსვამს ხაზს, რომ მისი ყოფილი თანაპარტიელების, საერთოდ, „ამა თუ იმ პიროვნებათა წინააღმდეგ გალაშქრებაში" მას „პირადი ანგარიში კი არ ამოძრავებდა, არამედ ღრმა რწმენა იმისა, რომ რაც უნდა საშინელი იყოს ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა, უფრო მეტი საშინელება მას მომავალში ელის, თუ ქართველმა პოლიტიკოსებმა უკან არ აგდეს თავიანთი უდარდელობა, ფუქსავატობა, უპასუხისმგებლობა; თუ მათ არ ისწავლეს ერის ინ-

ტერესებისათვის თავიანთი ამბიციების ზვარაკად მიტანა“ (შარაძე, 2001: 523).

ვფიქრობ, მკითხველი უსათუოდ დამეთანხმება იმაში, რომ როგორც დამოწმებული ფრაგმენტი, ისე, საზოგადოდ, ვ. ემუხვარის მთელი პუბლიცისტური შემოქმედება არა მარტო ავტორის დროინდელ საქართველოში არსებული რთული ვითარების გასააზრებლადაა უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი, არამედ დღევანდელი თვალთახედვითაც ღრმად დამაფიქრებელია.

ვ. ემუხვარის ემიგრანტული პერიოდის პუბლიცისტიკა უაღრესად საინტერესო იმ თვალსაზრისითაცაა, რომ ავტორი ცალკეულ პოლიტიკურ პარტიებად და დაჯგუფებებად დანაწილებულ თავის თანამემამულეებს ეროვნული კონსოლიდაციისკენაც მოუწოდებდა აქტიურად. მაგალითად, „საქართველოს, – წერდა ის ერთგან, – ამჟამად აქვს ორი ფრონტი. მთავარია საგარეო ფრონტი, ბრძოლა მოსკოვის წინააღმდეგ საქართველოს განთავისუფლებისათვის. ამ ფრონტზე იბრძვის მთელი ერი და ყველა მისი პარტიები. საჭიროა ყველა ამ ფრონტის კიდევ მეტად განმტკიცება და არა მისი შეზღუდვა... კიდევაც რომ მოვისურვოთ ემიგრაციაში, ვის შეუძლიან ამ ფრონტიდან გარიცხვა რომელიმე პარტიის ან ძალის, რომელიც ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლის ველზე იბრძვის და სისხლს ღვრის. ეს ფრონტია, რასაკვირველია, მთავარი და რეალური“ („სამშობლო“, 1938 წ. №25-26, გვ. 36).

1937 წლიდან, ჩრდილოეთ კავკასიელი პოლიტიკოსისა და ჟურნალისტის, ერთ დროს კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის მოხელის – ჰაიდარ ბამატის მიერ პარიზში მისივე რედაქტორობით რუსულ ენაზე გამომავალ ჟურნალ „კავკაზშიც“ (გამოდიოდა 1934-1938 წლებში) სათანამშრომლოდ გადასვლის შემდეგ, ვ. ემუხვარსა და ქართველი ეროვნულ-დემოკრატების ერთ ნაწილს (ა. ასათიანს, ა. ცომაიას, ე. პატარიძეს...) შორის პიროვნული ურთიერთობა გართულდა და საკმაოდ მწვავე პაექრობაში გადაიზარდა.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემებისადმი განსხვავებული პარტიულ-მსოფლმხედველობრივი მიდგომის საფუძველზე წარმოქმნილი ეს პაექრობა წლების განმავლობაში გაგრძელდა, რის შედეგადაც ადრინდელი მეგობრები პრინციპულად აღმოჩნდნენ ერთმანეთთან დაპირისპირებული. ვ. ემუხვარსა და მის თანაპარტიელებს შორის მძაფრი იდეოლოგიური დაპირისპირების საწყის ქრონოლოგიურ მიჯნად 1937 წლის 21-22 აგვისტოს საქართველოს

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოცი წლის იუბილეს აღსანიშნავად პარიზში გამართული ყრილობა იქცა.

როგორც წარმოდგენილი მასალებითაც ყოველგვარი დაეჭვების გარეშე ჩანს, თავისი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მრწამსითა და მოქალაქეობრივი ცნობიერებით, ვ. ემუხვარი ქართულ ყოფასთან განუყოფელად შესისხლხორცებული ის პიროვნება იყო, რომელსაც აფხაზი ხალხის მომავალი მხოლოდ ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში ჰქონდა წარმოდგენილი. მისი არაერთგზისი ხაზგასმით, თავის „პოლიტიკურ კონცეპციებს იგი ქართველი ერის სიყვარულზე აგებდა და არა მიწიერ ვნებათა ღელვაზე ან ღვარძლიანობაზე.“

მართალია, ვ. ემუხვარი ეთნიკური წარმომავლობით ქართველი არ ყოფილა, მაგრამ თავისი ცნობიერებითა და ყოველდღიური ყოფით ისე განუყოფელად იყო შესისხლხორცებული ქართულ ისტორიულ და თანადროულ რეალობას, რომ იგი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა მივიჩნიოთ ამ რეალობის ღვიძლ ნაწილად. ასე რომ, ეთნიკურ არაქართველობას მისთვის სულაც არ შეუშლია ხელი, თავი ქართული სამყაროს განუყოფელ ელემენტად რომ მიეჩნია და მთელი ცხოვრების განმავლობაში ებრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

თუმცა ამ გარემოების ხაზგასმა ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ამით ვ. ემუხვარი თავის აფხაზურ ინტერესებს ივიწყებდა. რასაკვირველია, არა. აფხაზი ხალხის დიდი შვილების მსგავსად, იგი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ქართული სახელმწიფოს აღსადგენად და გასაძლიერებლად ბრძოლა იმავდროულად აფხაზთა თავისუფლებისა და ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლასაც ნიშნავდა.

ქართულ ისტორიულ რეალობასთან ამგვარი სისხლხორცეული სიახლოვე ვ. ემუხვარს კარგად რომ ჰქონდა გააზრებულ-გაცნობიერებული, ამის ნათელსაყოფად აქ თუნდაც მისი ამ სიტყვების გახსენებაც იქნება საკმარისი: „როდესაც ჩვენ უკეთებთ წარსულ საუკუნეების ისტორიას ინტერპრეტაციას, ერთ დოკუმენტს ვეყრდნობით, რომელიც ჩვენის აზრით ძალიან მჭევრმეტყველურად ღაღადებს იმას, თუ რა ტრაღიკული როლი ითამაშა ჩვენს წარსულში იმან, რასაც ერთხელ ბატონმა ივანე ჯავახიშვილმა... „უკაცობა“ უწოდა. ეს დოკუმენტი არის 1783 წელს ირაკლის მიერ რუსეთთან დადებულ ხელშეკრულების დამატება. იქიდან ჩანს, რომ ირაკლი რუ-

სეთს სთხოვდა **ექვს ზარბაზანსა და ორ ბატალიონ ჯარს.** გული მიკვდება, როდესაც ამ დოკუმენტს ვკითხულობ ხოლმე. რამდენად სუსტი უნდა ყოფილიყო საქართველო, რომ მას თავის სუვერენიტეტზე ექვსი ზარბაზნისა და ორი ბატალიონი ჯარისათვის ეთქვა უარი!“ (ჟურნ. „კავკასია“, 1938 წ. №6-13, გვ. 18).

დამოწმებულ ფრაგმენტში ჩემთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას პირველ ყოვლისა ის უდიდესი გულისტკივილი იძენს, რითაც აფხაზი ერის ეს ერთ-ერთი გულმხურვალე შვილი აფასებს გარეშე მტრებისაგან აკლებულ-აწიოკებული საქართველოს სახელმწიფოებრივ უმწეობას. გული მიკვდება, როცა ამ უძლურების გამო მიღებულ დოკუმენტს ვკითხულობო, – ამბობს ვ. ემუხვარი გეორგიევსკის ტრაქტატის შესახებ და ამ სიტყვების გახსენებაზე, მასთან ერთად, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ დაუმცხრალი გაბოროტებით მებრძოლი ის აფხაზებიც მახსენდებიან, რომელნიც ქართველებს მათ ყველაზე დიდ ეროვნულ მტრებად მიიჩნევენ.

განსხვავებით თავისი დღევანდელი თანამემამულეების დიდი ნაწილისაგან, ვ. ემუხვარი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ აფხაზი ხალხის სახელმწიფოებრივი მომავალი, მსგავსად გარდასული საუკუნეებისა, განუყოფელად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული საქართველოსთან. სწორედ ამ რწმენითა და თვითშეგნებით სჯიდა და აფასებდა იგი ისტორიულ მოვლენებსაც და სამომავლო განვითარების პერსპექტივებსაც.

ნათქვამის ნათელსაყოფად აქ იმ შეფასებათა გახსენებაც იქნება საკმარისი, რასაც აფხაზი ხალხის ეს თვალსაჩინო წარმომადგენელი აძლევდა რუსეთთან ქართველებისა და სხვა კავკასიელ ხალხთა ურთიერთობას. მისი აზრით, „კავკასიის ერთა შეკავშირება... წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას, თუ მათ სერიოზულად სურთ დამოუკიდებლობის პოლიტიკის გაგრძელება. ორში ერთი, ან მათ საკუთარი ძალებით უნდა შეძლონ კავკასიონის დაკეტვა, სამუდამოდ უნდა უზრუნველყონ კავკასიის საზღვრები ჩრდილოეთის ტალღისაგან, ან უნდა აღიარონ, რომ ისინი მომწიფებულნი არიან მხოლოდ მონობისთვის“ (ჟურნ. „კავკასია“, 1938 წ. №6-13, გვ. 18).

ვფიქრობ, მკითხველი ყოველგვარი კომენტარების გარეშეც ადვილად მიხვდება იმას, რომ მისი თანამემამულე აფხაზებისაგან განსხვავებით, ვ. ემუხვარი კავკასიონის კარების გაღებასა და აქ

მცხოვრები ხალხების მოქცევას რუსეთის სახელმწიფოებრივ სივრცეში ეროვნული მონობის ტოლფას მოვლენად მიიჩნევდა.

თუ ადრინდელ საუკუნეებში ამგვარი საფრთხე კავკასიელ ხალხებს უმთავრესად მათი სამხრეთით მდებარე დამპყრობელი სახელმწიფოებისაგან მოელოდათ, ვ. ემუხვარის შეფასებით, ახლა მდგომარეობა უკვე რადიკალურად იყო შეცვლილი და ეს საშიშროება „ჩრდილოეთიდან მოდიოდა“.

მოკლედ, ასეთია უმთავრესი შტრიხები ვლადიმერ ემუხვარის ეროვნულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მრწამსისა. სამწუხაროდ, აფხაზი ხალხის ამ თვალსაჩინო წარმომადგენლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის თავდადებით მებრძოლი პოლიტიკოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტების დიდი ნაწილი ჯერჯერობით გამომზეურებული არ არის და თვით სპეციალისტებისთვისაც კი უცნობია.

მიუხედავად ამისა, ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების საფუძველზე მაინც შეიძლება იმის დაუეჭვებლად თქმა, რომ თავისი აქტიური პრაქტიკული მოღვაწეობითა და პუბლიცისტური შემოქმედებით ვლადიმერ ემუხვარმა უთუოდ შეძლო საგულისხმო ადგილის დამკვიდრება მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი აზროვნების ისტორიაში.

გალაკტიონ ტაბიძე

წინამდებარე ნარკვევის საშუალებით მინდა მკითხველს მყარად არგუმენტებული ფორმით დავანახო ის დამოკიდებულება, რომელსაც გალაკტიონ ტაბიძე (1891-1959 წწ.) გამოხატავდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემებისადმი 1917 წლის თებერვლის რევოლუციიდან 1921 წლის თებერვალში - საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებამდელ პერიოდში - შექმნილი თავისი ნაწარმოებებით.

გალაკტიონის მიერ აღნიშნულ თემაზე დაწერილი ნაწარმოებების შექმნის დროს ესოდენი სიმკვეთრით იმიტომაც ვუსვამ ხაზს, რომ საბჭოთა ხელისუფლების მესვეურთა რეალურმა დამოკიდებულებამ განახლებული რუსული იმპერიის შემადგენლობაში მოქცეული ე. წ. მომმე რესპუბლიკების მკვიდრთა ეროვნული პრობლემებისადმი იმხანად მოღვაწე მწერალთა თვალთახედვაზეც მოახდინა ნეგატიური ზეგავლენა, რის შედეგადაც ამ თვალსაზრისით არსებული რეალობა ან საერთოდ დარჩა ყურადღების მიღმა, ანდა საბჭოთა იდეოლოგიით დაღდასმული სახით იქნა შეფასებული.

როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ნანატრი დროის დადგომა არსებითად აღმოჩნდა დაკავშირებული რუსეთში 1917 წლის თებერვალში მომხდარ რევოლუციასთან. ქართველ მწერალთაგან გალაკტიონ ტაბიძე ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ეს მოვლენა სწორედ ამ თვალთახედვით შეაფასა სწორედ იმ დღეებში შექმნილ თავის ლექსებში. კერძოდ, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერსპექტივა გალაკტიონ ტაბიძის იმდროინდელ პოეზიაში ორგანულად აღმოჩნდა დაკავშირებული რუსეთის იმპერიაში იმხანად აზვირთებულ რევოლუციურ გამოსვლებთან და ამ მოვლენის რომანტიკულ განდიდებასთან.

ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ გალაკტიონის მიერ განდიდებული რევოლუციის საასპარეზო სივრცეს, მისი მაშინდელი ლექსების მიხედვით, პირველ ყოვლისა პეტროგრადი და მოსკოვი წარმოადგენდა. იმდროინდელი მისი შემოქმედების მიხედვით, პოეტი არა მარტო ზოგადად გამოდიოდა ამ ქალაქებში იმხანად მიმდინარე რევოლუციურ მოვლენათა რომანტიკუ-

ლად განმადიდებლის როლში, არამედ იმაზეც ოცნებობდა, ანალოგიური პროცესის არეალად ჩვენი ქვეყანაც რომ ქცეულიყო.

მაგალითად, 1918 წელს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, დაწერილ ლექსში „წერილი მეგობრისადმი" რევოლუციასთან ჩვენი ქვეყნის სამომავლო პერსპექტივის დაკავშირების ნატვრა პოეტმა ამგვარად გამოხატა (ტაბიძე, 1966: 31):

ო, როგორ მინდა, მეგობრებო, თუნდაც ერთი დღით
ჩვენთვისაც იყოს უმაღლესი თავისუფლება.
ო, როგორ მინდა უფრო მძლავრად გავშალოთ ფრთები,
განა არ არის საშინელი საცოდაობა,
ისეთ ქვეყანას, როგორც ჩვენი საქართველოა -
რევოლუცია არ აძლევდეს სიმშვენიერეს?

აღნიშნული მოვლენის შესახებ საუბრის დროს აქ იმ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, რომ 1918-1920 წლებში აღნიშნულ თემაზე შექმნილ ლექსებში რევოლუცია პოეტს არა მარტო აშკარად გამოხატული რომანტიკული თვალთახედვით აქვს წარმოსახული, არამედ გარკვეული დროის განმავლობაში რუსეთში მყოფს თავისი თავიც გამოჰყავს ამ მოვლენის თანამონაწილედ.

კერძოდ, როგორც გალაკტიონის ბიოგრაფიიდან ცნობილია, ეს გარემოება მნიშვნელოვანწილად აღმოჩნდა განპირობებული, ერთის მხრივ, ოკუჯავების რევოლუციური ოჯახის წევრებთან, პირველ ყოვლისა კი რევოლუციურ მოძრაობასა და შემდგომში საბჭოთა რუსეთის აღმშენებლობით საქმიანობაში აქტიურად ჩართული მისი მეუღლის - ოლია ოკუჯავას პარტიული ფანატიზმით, მეორეს მხრივ კი იმით, რომ 1916-1918 წლებში რამდენიმე თვე პოეტმა მოსკოვსა და პეტროგრადში გაატარა, სადაც არა მარტო უბრალო თვითმხილველი გახდა იმხანად იქ მიმდინარე რევოლუციური ბრძოლებისა, არამედ, მისეულ ჩანაწერებს თუ ვენდობით, მას გარკვეული მონაწილეობაც კი მიუღია ამ პროცესში.

როგორც გალაკტიონის ძმისშვილმა, პროფესორმა ნოდარ ტაბიძემ არგუმენტირებულად დაადგინა, რუსეთში გალაკტიონი 1916 წლის სექტემბერში გამგზავრებულა და იქ ნოემბრის ბოლომდე დარჩენილა. მოსკოვში გალაკტიონის გამგზავრების განმაპირობებელ გარემოებათა ნათელსაყოფად ნ. ტაბიძე მრავალ არგუმენტს იმოწმებს როგორც პოეტის მიერ მისი ძმისთვის - აბესალომისთვის გაგზავნილი წერილებიდან, ისე სხვა წერილობითი დოკუმენტებიდანაც.

კერძოდ, მისი ხაზგასმით, რუსეთში გალაკტიონის გამგზავრების განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს სავალდებულო სამსახურის მოსახდელად ჯარში გაწვევისაგან თავის დახსნა და სწავლის გაგრძელება წარმოადგენდა. მაგალითად, 1916 წლის 9 ოქტომბერს ის აბესალომს წერდა: „სალდათობამ ძალიან შემიშალა ხელი ყველაფერზე. მანამდე აქ ვრჩები და ვმეცადინეობ ხან შინიავსკის უნივერსიტეტში და ხან სხვაგან. ოჰ, როგორ არ მინდა დაბრუნება... რამდენი დრო დამიკარგავს ტყუილად. აქ, მხოლოდ აქ, შეიძლება მეცადინეობა“ (ტაბიძე, 2000: 419).

როგორც ცნობილია, გალაკტიონის ოცნება მოსკოვში სწავლის გაგრძელებაზე ფინანსურ საფუძველს მოკლებული სურვილი გამოდგა და იმავე წლის ნოემბრის ბოლოს იგი სამშობლოში დაბრუნდა.

რუსეთში მეორედ ის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, აპრილში, გამგზავრებულა და იქ 1918 წლის ივლისამდე დარჩენილა. გალაკტიონის ცხოვრების ეს მონაკვეთი განსაკუთრებით საინტერესო იმითაც არის, რომ პოეტი არა მარტო მსოფლმხედველობრივად უჭერდა მხარს მოსკოვსა და პეტროგრადში იმხანად აღზევებულ რევოლუციურ პროცესებს, არამედ ფიზიკურადაც მონაწილეობდა ხსენებულ მოვლენებში და „ზოგჯერ შაშხანით ხელშიც კი იდგა სადარაჯოზე“ (ტაბიძე, 2000: 431).

როგორც გალაკტიონის იმდროინდელი შემოქმედებიდან თვალნათლივ ჩანს, რევოლუციისადმი პოეტის კეთილგანწყობითი დამოკიდებულების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს იმის რწმენა წარმოადგენდა, რომ ამ მოვლენის შედეგად მის სამშობლოს რეალურად ეძლეოდა შესაძლებლობა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლების მოპოვებისა.

საქართველოში იმხანად მიმდინარე საჭირბოროტო პრობლემებზე გამუდმებული ფიქრი და წუხილი რუსეთში მყოფი გალაკტიონისათვის ცხოვრების სისხლხორცეულ ნაწილად რომ იყო ქცეული, ეს თვალნათლივ ჩანს როგორც მისი იმდროინდელი შემოქმედებიდან, ისე ეპისტოლარული მემკვიდრეობიდანაც და სხვა სახის ჩანაწერებითაც. მაგალითად, 1918 წლის 14 იანვარს მოსკოვიდან გამოგზავნილ წერილში იგი უდიდეს შეშფოთებას გამოხატავდა ჩვენი ქვეყნის მიმართ ოსმალეთის მიერ განხორციელებული აგრესიის გამო: „ყოველდღე ვათვალიერებ გაზეთებს. საქართველოდან აქ არავითარი ცნობები არ მოდის, და რაც მოდის, რაღაც არ არის დასაჯერებელი...

წერენ ოსმალეთის გამარჯვებაზე... და ვწუხვარ... ვაი, თუ ჩემს მშობლიურ ბუდესაც მიუახლოვდნენ" (ტაბიძე, 2000: 439).

ხანგრძლივი დროით განშორების შემდეგ, სავარაუდოდ, 1918 წლის ივლისში, სამშობლოში დაბრუნებით გამოწვეული სიხარული კი პოეტმა ერთ-ერთ დაუმთავრებელ ლექსში ამ სიტყვებით გამოხატა (ტაბიძე, 1972: 135):

რა ბედნიერი ვარ, მამულო, რა ბედნიერი,
რომ შენი ცის ქვეშ და მიწაზე ისევ დავბრუნდი.

ეროვნული პრობლემის გააზრებამ გალაკტიონის შემოქმედებაში კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში. ამის ერთ-ერთ თვალნათლივ გამოვლინებად ნოდარ ტაბიძე საქართველოს მთავრობის მაშინდელ ხელმძღვანელთან - ნოე ჟორდანიასთან პოეტის ურთიერთობასაც მიიჩნევს, რის დასტურადაც მისი არქივიდან ასეთ უცნობ წერილობით დოკუმენტს იმოწმებს სათანადო კომენტარის თანდართვით: „შემთხვევითი არ არის, რომ იაკობ ნიკოლაძე ნოე ჟორდანიას ბიუსტს ძერწავს, სანდრო შანშიაშვილი ლექსით ადიდებს, გაზეთ „ერთობის" პუბლიცისტი ბელადს უწოდებს, ხოლო ჟურნალისტი საქართველოს წმინდა სიმბოლოდ სახავს. მკვიდრდება წესი: ოფიციალური და არა მხოლოდ ოფიციალური შეკრებების, ლხინის ჟამს პირველი სადღეგრძელო მთავრობის მეთაურს მიუძღვნან.

აქ ერთ უცნობ მასალას დავესესხები.

ვფიქრობთ, მრავლისმთქმელია ზემოთ მოტანილი დოკუმენტი. ფურცელზე გარკვევით იკითხება: „ძღვნად ნოე ჟორდანიას." აშკარაა გალაკტიონის განზრახვა - ლექსით შეეხმიანოს დიდ ნოეს.

გალაკტიონი გულწრფელად ინტერესდება ჟორდანიას ხასიათითა და მოღვაწეობით" (ტაბიძე, 2000: 455).

დამოუკიდებლობა აღდგენილი ქვეყნის სამსახურში გალაკტიონის ყოფნას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ იგი 1920 წელს გამოცემული სამხედრო ჟურნალის - „სახალხო გვარდიელის" პასუხისმგებელ მდივნადაც მუშაობდა (ამასთან დაკავშირებით იხ: ტაბიძე, 2000: 475-482).

აღნიშნული მოვლენის ერთ-ერთ თვალნათლივ პოეტურ გამოვლინებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ფართოდ ცნობილი მისი პოეტური შედევრის - „პოეზია - უპირველეს ყოვლისა!" იმ ვარიანტში, რომელიც გაზეთ „ერთობის" 1920 წლის 284-ე ნომერშია გამოქვეყ-

ნებული, გვარდიასთან ასოცირებული თავისი პატრიოტული სულისკვეთება პოეტმა ამგვარი ფორმით გამოხატა:

და გვარდია მიყვარს, მასთან ნახევარ
გზად დაღლილი არვის არ ვუნახივარ,
ერთი გვმართებს შუქი სვეტიცხოვლისა:
საქართველო - უპირველეს ყოვლისა!

ნოდარ ტაბიძის მართებული შეფასებით, ჟურნალ „სახალხო გვარდიელის“ პასუხისმგებელ მდივნად გალაკტიონის მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა იმიტომაც უნდა მივანიჭოთ, რომ ამ ნაბიჯის გადადგმით „პოეტი მაშინ დგება ქვეყნის სადარაჯოზე, როცა სამშობლოს ძლიერ უჭირს, როცა მავანნი და მავანნი აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გარბიან. „სახალხო გვარდიელის“ ბოლო, მეხუთე ნომერი 15 თებერვალს გამოვიდა. ამ დროს თბილისს უკვე აზანზარებს ქვემეხთა გუგუნი, გვარდია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაშია ჩაბმული.

არავითარი მერყეობა, არავითარი დაეჭვება. სწორედ ეს იდეური სიმტკიცე იყო იმის მიზეზი, რომ ემიგრაციაში წასაყვან მწერალთა სიაში გალაკტიონიც მოხვდა.

გალაკტიონ ტაბიძის თანამშრომლობა „სახალხო გვარდიელში“ იმის დასტურია, რომ მგოსანი დამოუკიდებელი საქართველოს ერთგული ჯარისკაცია“ (ტაბიძე, 2000: 482).

გალაკტიონის მიერ 1917-1921 წლებში რევოლუციის თემაზე დაწერილი ლექსების შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ, რომ რევოლუციურ მოვლენათა განდიდებასთან ერთად იგი იმის გამოც გამოხატავდა შეშფოთებას, კრემლის დაცემისა და სამეფო ხელისუფლების დამხობის მიუხედავად, ახალი ავდრის მოახლოების საშიშროებაც რომ იგრძნობოდა რეალურად. მაგალითად, აი, როგორ ვლინდება ამ „ავი დროის“ დადგომის ეს მოლოდინი 1918 წელს დაწერილ ლექსში: „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარები“ (ტაბიძე, 1966: 29):

დაეცა კრემლი! და ნაფოტებად
იქცა წარსულთა ტანჯვით მიზეზი.
მე ვალმოხდილი ისევე ველი,
როგორ მოჰყვება ავდარს ავდარი.

გალაკტიონის ინფორმაციით, რუსეთიდან 1918 წელს სამშობლოში დაბრუნებულს, მას მაშინდელი ხელისუფლებისაგან უსიამოვნებაც შეხვედრია და გარკვეული პერიოდის განმავლობაში იგი საეჭვო პიროვნებად ყოფილა მიჩნეული. მაგალითად, აი, რას იგონ-

ებს თავად ის ამასთან დაკავშირებით მემუარული ხასიათის ჩანაწერში „შემთხვევები 1918 წელს“: „როდესაც გემი შემოვიდა ფოთის ნავსადგურში და პორტში გაჩერდა, ხელისუფლება გემიდან ჩამოსვლის ნებას დიდხანს არ აძლევდა პოეტს. ასეთმა მდგომარეობამ რამდენიმე საათს გასტანა. ბოლოს ნება დამრთეს ჩამოსვლისა და ბოდიშიც მოიხადეს, მაგრამ რა...

ჩამოვედი ტფილისში. არ გასულა რამდენიმე დღე, დილაადრიან სასტუმროში, სადაც დავბინავდი, მოვიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს აგენტები. მათ ეხლაც, სრულიად უმიზეზოდ, მაგრამ მაინც დაიწყეს ჩემი ბინის ჩხრეკა, განსაკუთრებით წიგნებისა და ხელნაწერების. ჩხრეკდნენ დიდხანს და როცა ვერაფერი იპოვეს,... ბოდიში მოიხადეს და დამანებეს თავი“ (ტაბიძე, 1975: 252).

თავად გალაკტიონის ინფორმაციით, ხელისუფლების მხრიდან მის მიმართ იმხანად განხორციელებული ამგვარი „რეპრესიული“ ღონისძიებანი იმით იყო განპირობებული, რომ მას თურმე ბოლშევიკების მხარდამჭერ პიროვნებად მიიჩნევდნენ. მაგალითად, აი, რა უთქვამს მისთვის ზემოთ აღნიშნული შემოწმების დროს ერთ-ერთ პოლიციელს: „დავალებული მაქვს, თქვენი ბინა გავჩხრიკო. მე კარგად ვიცი, ვინცა ხართ, პოეტი ბრძანდებით, მაგრამ მთელი ქალაქი ამბობს „ბოლშევიკი“ ჩამოვიდაო. რა გაეწყობა. მართალი გითხრათ, მეც არ მომწონსო ბევრი რამ, რაც საქართველოში ხდება, მაგრამ ჩემი სამსახურის საქმე ისეთიაო“ (ტაბიძე, 1975: 253).

მიუხედავად იმისა, რომ პოეტს აღნიშნული მემუარული ტექსტის დაწერის დრო მითითებული არ აქვს, მისი მონათხრობის სულისკვეთებიდან გამომდინარე, ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ იგი მოგვიანებით, საბჭოთა პერიოდში, შექმნილ კონიუნქტურულ ჩანაწერს წარმოადგენს.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, გალაკტიონის იმდროინდელ შემოქმედებასა და მისი ბიოგრაფიიდან ჩვენთვის ცნობილ ეპიზოდებზე დაყრდნობით რეალურად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოს გასაბჭოების წინარე წლებში იგი რამდენადმე რომანტიზებული ფორმით მართლაც გამოხატავდა რუსეთში იმხანად მიმდინარე რევოლუციური მოვლენებისადმი თავის აშკარად მხარდამჭერ დამოკიდებულებას, რადგანაც ეს მოვლენები ჩვენი ქვეყნისთვისაც მიაჩნდა სამომავლო განვითარების პერსპექტიულ გზად.

ჩემი აზრით, პირველ ყოვლისა სწორედ ამგვარი დასკვნის გამოტანის საფუძველს გვაძლევს ის რომანტიკული აღტკინება, რითაც

პოეტი საქართველოს გასაბჭოების წინარე ხანაში აღმოჩნდა დაკავშირებული ხსენებულ რევოლუციურ მოვლენებთან. ამ თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა მკაფიოდ გამოხატული ის ოპტიმისტური მოლოდინი უნდა აღინიშნოს, რომელსაც პოეტი 1917 წლის თებერვლის რევოლუციისადმი ავლენდა ყოველგვარი შენიღბვის გარეშე.

სწორედ ამის ერთ-ერთ თვალნათლივ გამოვლინებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ამ რევოლუციის მოხდენიდან ერთი კვირის თავზე, 13 მარტს, დაწერილ ფართოდ ცნობილ ლექსში - „დროშები ჩქარა“ რუსეთის იმპერიის დამანგრეველი ამ რევოლუციის უმთავრეს მონაპოვრად პოეტი იმ გარემოებას მიიჩნევდა, რომ ამ იმპერიაში მცხოვრები ჩაგრული ხალხებისთვის, მათ შორის, რასაკვირველია, ქართველებისთვისაც, რეალურად დგებოდა ეროვნული თავისუფლების ნანატრი დრო. ეროვნული თავისუფლების რომანტიკულად განმადიდებელი ეს აზრი ხსენებულ ლექსში ყოველგვარი შენიღბვის გარეშე ასეა გამოხატული (ტაბიძე, 1966: 7):

> გათენდა. ცეცხლის მზე აენთო, აცურდა...
> დროშები ჩქარა!
> თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
> ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა...
> დროშები ჩქარა!
> დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,
> ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა.
> მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს...
> დროშები ჩქარა!

ხსენებული რევოლუციის შედეგად შექმნილი ახალი რეალობისადმი გალაკტიონის ამგვარი დამოკიდებულება ემოციური აღტკინების გამოვლინებას რომ არ წარმოადგენდა და პოეტის მიერ ამ მოვლენის განდიდების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად უპირველეს ყოვლისა ეროვნული თავისუფლების რეალური მოლოდინი რომ იყო ქცეული, ამას ამ რევოლუციის მოხდენიდან ერთი თვის შემდეგ დაწერილი ლექსისიდან - „ათრობდა ხალხთა მწუხარება“ დამოწმებული ეს ფრაგმენტიც ადასტურებს (ტაბიძე, 1966: 8):

> ამხანაგებო! განახლების ზარმა დარეკა,
> ტახტი დაეცა და იმედად ქაოსზე დგება:
> თანსწორობა, რესპუბლიკა, თავისუფლება!

რუსეთის იმპერიაში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შედეგად შექმნილი ახალი რეალობა გალაკტიონის ერ-

ოვნული ოპტიმიზმისთვის იმდენად მძლავრი იმპულსის მიმცემ ძალად იქცა, რომ იგი იმხანად აღზევებულ რევოლუციურ პროცესებში აქტიური მონაწილეობის მიღებას მის მოქალაქეობრივ მოვალეობადაც მიიჩნევდა. ამ მოვლენის შეფასების დროს აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოეტის იმდროინდელ ნააზრევში ეროვნული და რევოლუციური ინტერესები ერთმანეთთან სინთეზირებული ფორმითაა წარმოსახული.

მაგალითად, აი, როგორ გამოეხმაურა პოეტი რუსეთში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შედეგად შექმნილ ახალ რეალობას სწორედ იმხანად დაწერილი ერთ-ერთი დაუმთავრებელი ლექსით (ტაბიძე, ტომი VII, 1975: 172):

გამოვედი, თებერვალმა დახსნა ციხის კარები,
ო, ახალი ცხოვრებისკენ ისევ მივეჩქარები.
გზაზე მხვდება მიტინგები მუშების და ჯარების,
ეს პირველი მერცხალია უკვე გამოდარების.
გული არ მაქვს საგულეში, სოფლად წასვლას ვაპირობ,
ჩემი მხოლოდ ჯარებშია საქმე საპირდაპირო.

გალაკტიონის იმდროინდელი ეროვნული და რევოლუციური მრწამსის განუყოფელობის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას პოეტის მიერ დედისთვის სწორედ იმხანად გაგზავნილი წერილიდან ციტირებული ეს ფრაგმენტიც ადასტურებს: „ძვირფასო დედა!

შენთან ძალიან დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ ამდენ ხანს ვერ ჩამოვედი... აქ იმდენი საქმეები მაქვს და ისე დიდი საქმეები, რომ ნებას არ მაძლევს ასე ადვილად მივატოვო ქუთაისი...

ეხლა გამაგრდი, დედა! მთელი ქვეყანა გახარებულია თავისუფლებით. შენც უნდა იყო მხიარულად“ (ტაბიძე, ტ. XII, 1975: 492).

იმის დასტურად, ჩვენი ქვეყნის მომავალს გალაკტიონი აქტიურად რომ აკავშირებდა რუსეთში მიმდინარე რევოლუციურ პროცესებთან, აქ მისი ცნობილი ლექსი - „გემი „დალანდიც“ მინდა გავიხსენო. ხსენებული ლექსის გაანალიზების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ იმ ფაქტს, რომ რუსეთიდან სამშობლოში მომავალი გალაკტიონი სამშობლოში დაბრუნებით განპირობებულ ემოციას მოსკოვსა და პეტროგრადში იმხანად მიმდინარე რევოლუციურ მოვლენებსა და ლენინის სახელს უკავშირებდა.

ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ ამგვარი მსოფლმხედველობრივი თვალთახედვის გამომხატველი ეს ლექსი 1918 წლით თარიღდება. მიუხედავად იმისა, რომ დაზუსტებით არ

ვიცით, ხსენებული პოეტური ტექსტი როდისაა დაწერილი - ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე თუ ამ ისტორიული მოვლენის შემდეგ, ამას ამ კონკრეტულ შემთხვევაში თუნდაც იმიტომაც არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომ საამისო საფუძველი საქართველოს სახელმწიფოებრივი სტატუსის აღდგენის ოფიციალურად დამადასტურებელი დოკუმენტის ხელმოწერამდეც იყო მომზადებული.

რაგინდ მოულოდნელიც არ უნდა გვეჩვენოს, ხანგრძლივი განშორების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებული პოეტი ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას მხოლოდ იმის აღნიშვნით გამოეხმაურა, რომ „სამშობლოს ძველი გზებით ველარ მოაგნო“ და რევოლუციურ რუსეთთან დაკავშირებული თავისი ემოცია ამ სტრიქონებით გამოხატა (ტაბიძე, 1966: 36):

> გახსენებების მომძახოდა მტანჯველი ლანდი:
> შენ და მოსკოვი, პეტროგრადი, ლენინი, კრემლი!
> შავი ზღვის ზვირთებს მიაპობდა გემი „დალანდი“
> და თვალზე მადგა განშორების მსუბუქი ცრემლი.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ციტირებულ ფრაგმენტში ნახსენებ სიტყვაში - „შენ“ მოსკოვში დარჩენილი მეუღლე - ოლია ოკუჯავა იგულისხმება - რევოლუციის სამსახურში ფანატიკური ერთგულებით ჩამდგარი ქალბატონი. პირველ ყოვლისა სწორედ მისადმი მიმართვა სძენს ბობოქარი რევოლუციური მოვლენებით შთაგონებულ ამ ლექსს ლირიკულ მგზნებარებასა და ადამიანური სევდის სიმართლეს.

როგორც უკვე ითქვა, რევოლუციისადმი გალაკტიონის კეთილგანწყობითი დამოკიდებულება მნიშვნელოვანწილად განაპირობა, ერთის მხრივ, მეუღლის - ოლია ოკუჯავასა და მისი დიდი ოჯახის წევრთა რევოლუციურმა ენთუზიაზმმა და იმხანად მიმდინარე პროცესებში მათმა აქტიურმა მონაწილეობამ, მეორეს მხრივ კი იმ გარემოებამ, რომ 1917 აპრილიდან 1918 წლის ივლისამდე მოსკოვსა და პეტროგრადში მყოფი პოეტი თავადაც გახდა იმდროინდელ რევოლუციურ მოვლენათა არა მარტო თვითმხილველი, არამედ გარკვეულწილად თანამონაწილეც კი. ამ გარემოებას თვითონ გალაკტიონიც აფიქსირებს წერილობითი ფორმით არაერთხელ.

მიუხედავად იმისა, რომ პოეტის იმდროინდელ შემოქმედებაში გამოვლენილი რევოლუციური აღტკინების გამოხატვა უპირველეს ყოვლისა რუსეთის იმპერიაში ამ რევოლუციის გამარჯვების შედე-

გად შექმნილი ახალი რეალობით იყო განპირობებული და საკუთრივ საქართველოს ეროვნულ და სახელმწიფოებრივ მომავალთან დეკლარირებული ფორმით ნაკლებად დაკავშირებული, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მისი ამგვარი მოქალაქეობრივი თვალთახედვა არსებითად განსაზღვრა ხსენებულ მოვლენებთან ჩვენი ქვეყნის სამომავლო ბედის ორგანულმა დაკავშირებამ.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქ ერთ, პირადად ჩემთვის ძნელად ასახსნელ (უფრო ზუსტად, აუხსნელ), გარემოებასაც მინდა მივაქციო მკითხველის ყურადღება - 1918 წელს ცარსკოე სელოში დაწერილი ლექსის - „ოფორტის" ბოლო, დასკვნითი, სტრიქონების მეშვეობით გამოთქმულ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ პოეტის ხაზგასმით, მას, გარდა ამ თოვლისა (ამ თოვლიანი მხარისა?), სხვა სამშობლო არ გააჩნდა. მეტი სიცხადისათვის დავიმოწმებ შესაბამის სტროფს ხსენებული ლექსიდან:

რა სიჩუმეა! როგორ აჩნია
გზებს ნაკვალევი არ საამსოფლო,
რომ სხვა სამშობლო არ გამაჩნია...
რომ ეს თოვლია ჩემი სამშობლო.

ლექსის ბოლო სტრიქონებში გამოხატული ავტორისეული სათქმელის შემაჯამებელ ამ თვალსაზრისთან დაკავშირებით მათ წინარე სტროფებში არაფერია ნათქვამი. აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივად შეიძლება გაგვიჩნდეს კითხვა იმასთან დაკავშირებით, რით უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ 1918 წელს, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წელიწადს, რუსეთში მყოფმა პოეტმა, რომელსაც ამ იმპერიის კოლონიური უღლისაგან საკუთარი სამშობლოს განთავისუფლებით განპირობებული სიხარული არაერთი ლექსით აქვს გამოხატული, რუსეთთან და რუსულ ყოფასთან ასოცირებული თოვლი ამ კონკრეტულ შემთხვევაში რატომ მიიჩნია თავის ერთადერთ სამშობლოდ.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, რევოლუციისადმი გალაკტიონის იმდროინდელი დამოკიდებულება რამდენადმე რომანტიკულია და ემოციური ფაქტორებით განსაზღვრული, რის შედეგადაც იგი შინაგანი წინააღმდეგობრიობითაც და შეხედულებათა გაორებითაც ხასიათდება. სწორედ ამის თვალნათლივ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ პოეტი თითქმის ერთსა და იმავე დროს ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განსხვავებული მსოფლმხედველობის გამომხატველ ნაწარმოებებსაც ქმნიდა ხოლმე.

რევოლუციისადმი ამგვარი მიდგომა თავიდანვე რომ გამოვლინდა გალაკტიონის შემოქმედებაში, ამის ნათელსაყოფად აქ 1918 წელს დაწერილი მისი ის ლექსებიც მინდა გავიხსენო, რომლებშიც რევოლუცია, ამ მოვლენის რომანტიზებულად წარმომსახველი ნაწარმოებებისაგან განსხვავებით, ქვეყნისთვის თავსდატეხილ ძალადობად და ქაოსადაა მიჩნეული. მაგალითად,, ლექსში - „რამდენიმე დღე პეტროგრადში» გალაკტიონი მძაფრი ემოციური ექსპრესიით ხატავს იმ ქაოსურ მდგომარეობას, რომელიც რევოლუციური ბრძოლების შედეგად დამყარდა ნევისპირა ქალაქში.

კერძოდ, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პეტროგრადში ჩასული პოეტი უშუალო თვითმხილველი ხდება იქ გამეფებული არეულობისა და ძალადობისა. უკვალოდ გამქრალან ის ლიდერებიც, რომლებიც ხალხს ოცნების ილუზიურ კოშკებს უგებდნენ („მაინც სად გაქრა ეს წერეთელი, ჩხეიძეც გაქრა, როგორც ასეთი!»). იმის ნათელსაყოფად, როგორ აღიბეჭდა „უდაბური პეტროგრადის» ეს ქაოსური ყოფა პოეტის ცნობიერებაში, დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული ლექსიდან: „ქუჩა სიავის გრძნობამ შეფიფქა, თან მეფიცება ძმობას და დობას და ყორანივით უცნობის სკრიპკა ჩემს მხართან ტირის უამინდობას... და როგორც ყორანს დააქვს ბრჭყალებით ჰაერში ნაზი ხელები ქალის - სიმები წეწენ შეუწყალებით ამ გაგიჟებას, ვედრებას, ხალისს... ათოვს გამვლელებს და გულცივ ბაღებს. სად უნდა ნახო აქ თავის თავი? ვიღაცა დაჰქრის და ცეცხლს აჩაღებს, მეც ყაჩაღივით ვარ გამბედავი».

„ნისლის ბარიკადებით» გზაკვალარეული და სულაფორიაქებული პოეტი საბოლოოდ ასეთ დასკვნას აკეთებს: „და როცა ცეცხლში ქანაობს ლავრა, ბრმების თუნუქებს ტეხენ ლოთები, ლავრაში ლოცვა ვერ დავამთავრე და კალუგისკენ გზებს ველოდები. თან ასე ვფიქრობ: ეს ბავშვი ტირის! მე კი, რადგანაც გამმარცვეს გუშინ, გავყიდი გაზეთს, გავყიდი ირისს, ანდა რევოლვერს დავიცლი გულში!»

ასეთია ერთი კონკრეტული გამოვლინება იმ „უნდობარი ხანის» შედეგად დამკვიდრებული ქაოსისა და ანარქიისა, რომელმაც „უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები».

რევოლუციისადმი გალაკტიონის ამგვარი დამოკიდებულება რომ შემთხვევითი არ ყოფილა, ამას „როგორ ებრძოდნენ ზარებს ზარებიც» (1918 წ.) ადასტურებს. „დიდი საშინელებით» შეძრწუნებული პოეტისათვის „ნათელივით არის აშკარა», როგორ აღაზევა რევოლუციამ ცხოვრების ასპარეზზე „იუდას სახე, კაენის ლანდი

და ღამეების შავი გუგუნი». რევოლუციური ბრძოლების შედეგად ქეყნად დამკვიდრებული ძალადობის ეს შემზარავი სურათი ხსენებულ ლექსში ამგვარადაა წარმოსახული:

სისხლის, ტალახის, ცეცხლის და წყალის ზვირთი,
ყველაფერს ნაზიარები,
იდუმალ ფიქრთა ჯაჭვაწყვეტილი, აღელვებული მორევის ქაფი,
არეულ ჯურღმულთ აღმოჩენებით, სავსე საზარლად მცურავი
მკვდრებით -
მოედო ქალაქს, მოედო სოფლებს, ისევ მონახა ზნელი სარდაფი.

ასე დაეცა კრემლი, რის შედეგადაც „ნაფოტებად იქცა წარსული, ტანჯვათ მიზეზი». ამ გარემოებასთან ერთად, გალაკტიონი იქვე იმაზეც მიგვანიშნებს, რომ მას ამ მდგომარეობის სასიკეთოდ შეცვლის იმედიც არ ჰქონდა, რადგანაც ავდარს კვლავაც ავდარი მოჰყებოდა და ერთი ძალადობის ადგილს ახლა სხვა ძალადობა დაიჭერდა. ჩემი აზრით, სწორედ ეს დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ლექსის შემდეგი სტრიქონებიდან: „მე ვალმოხდილი ისევე ველი, როგორ მოჰყვება ავდარს ავდარი.

«როგორც ითქვა, 1918 წელს დაწერილი ე. წ. რევოლუციური ლექსების ოპტიმისტურ სულისკვეთებას რუსეთის იმპერიის დამხობით გამოწვეული აღფრთოვანება განსაზღვრავდა. პოეტი გრძნობებს ვერ იოკებდა იმის გამო, რომ რევოლუციის ქუხილმა მოსპო ათასწლოვანი სიმაგრეები და „თოვლით დაფენილ რუსეთის ველებს» ჯერ არნახული ცისკრის ნათელი გადაჰფინა.

შენ პეტერბურგის ტრაგიზმის მარში გიყვარდა,
როგორც წარღვნების ბედი
და არ იცოდი, ცეცხლში თუ ქარში დაინგრეოდა შენი რუსეთი.
აჰა, აღსრულდა! ბედმა მოზიდა ახალი ქარი, ცვალებად მქროლი,
ცხოვრების წრიდან, დღიურ პროზიდან ეფემერებში ვართ ანასროლი.
გემის ქუხილი - ათასწლოვანი სიმაგრეები ჩაინგრა, გაქრა,
თოვლით დაფენილ რუსეთის ველებს ჯერ არნახულმა
ცისკარმა დაჰკრა.

როგორც ვხედავთ, ლექსში ნათლად და არაორაზნოვნად ჩანს იმპერიის დანგრევით გაჩენილი აღფრთოვანება. პოეტი სიხარულით ხვდება რევოლუციას, რადგანაც სწორედ მის გამარჯვებასთან აკავშირებს ეროვნული თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობის მიღწევის შესაძლებლობას. ამგვარი შეფასების საფუძველს იმხანად მას ბევრი რამ აძლევდა; პირველ ყოვლისა, ის, რომ იმპერიის ნანგრევებზე მონობისგან თავდახსნილ ხალხთა თავისუფალი სახელმწიფოები ყალიბდებოდა.

ახალი რუსეთის სათავეში მოქცეული ხელისუფლება საქვეყნოდ ქადაგებდა ძმობას, ერთობასა და თანასწორობას. ამ მაცდუნებელი ლოზუნგებითა და დაპირებებით თვალთმაქცურად ინიღბებოდა მკაცრი ცხოვრებისეული სინამდვილე და იქმნებოდა ბედნიერი ხვალინდელი დღის ილუზია. ვფიქრობ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ გ. ტაბიძის ამდროინდელი რევოლუციური ლექსები გარკვეულწილად ამ ილუზიური რწმენის თავისებური პოეტური გამოძახილიცაა.

რევოლუციისადმი ამგვარი დამოკიდებულება პოეტის ცნობიერებაში აღვიძებდა სიჭაბუკის რომანტიკულ მოგონებებს. და ისიც სიყვარულით იხსენებდა სემინარიაში სწავლის პერიოდს, როცა ისა და მისი მეგობრები ფარულ კრებებს იწვევდნენ და თავისუფლების მოსაპოვებელი გზების პოვნაზე ოცნებობდნენ.

მხრებს აიწევენ კვლავ არაგვის მთის მწვერვალები,
აქ ცხრაას რვაში ფარულ კრებებს ვიწვევდით ხშირად,
როგორ ბრწყინავდნენ ის ცოცხალი, დიდი თვალები,
თავისუფლებას რომ ეძებდნენ არაგვის პირას.

მკითხველი ადვილად შეამჩნევს იმ გარემოებას, რომ ამ პერიოდში დაწერილ ყოველ ლექსში რევოლუციის შედეგად დამკვიდრებულ თუ დასამკვიდრებელ უმთავრეს სიკეთედ პოეტს თავისუფლების დიადი ოცნების აღსრულება მიაჩნდა. სწორედ ამიტომაა გალაკტიონისათვის რევოლუცია პოეტური ხოტბის საგნად ქცეული, რევოლუცია, რომელსაც მისი ხალხისათვის ნანატრი ეროვნული თავისუფლება, სოციალური თანასწორობა და სამართლიანობა უნდა მოეტანა. ამ რწმენით შეხვდა იგი 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციას და ეს რწმენა კიდევ უფრო მეტად განუმტკიცა 1917-1918 წლებში მოსკოვსა და პეტროგრადში უშუალოდ თვალხილულმა რევოლუციურმა მოვლენებმა.

როგორც ითქვა, ეს აღფრთოვანება და ოპტიმისტური სულისკვეთება გალაკტიონს დიდხანს არ გაჰყოლია და მალე გაუნელდა, რაც იდეალად დასახული სინამდვილის ცხოვრებისეულ რეალობასთან შეუსაბამობით იყო განპირობებული. ამაზე მეტყველებს 1919-20 წლებში დაწერილი ნაწარმოებები. ამ პერიოდში მას რევოლუციის თემაზე რაიმე მნიშვნელოვანი აღარაფერი დაუწერია.

ასე მოვიდა პოეტი 1921 წლის 25 თებერვლის ტრაგიკულ მოვლენამდე. ახლა მოკლედ იმაზეც, როგორ აისახა ეს ტრაგედია გალაკტიონის იმდროინდელ შემოქმედებაში.

თავის ერთ-ერთ მაშინდელ ჩანაწერში ხსენებულ მოვლენას პოეტმა ამგვარი შეფასება მისცა: „25 მარტიდან 2 აპრილამდე ტფილისი ცოტათი გამოიცვალა. კომუნისტები რეპრესიებს არ ხმარობენ. ჩვენთვის მოუციათ დიდებული „ხელოვნების სასახლე»... მთავრობა ხელოვნებას დიდი ყურადღებით ეპყრობა. უთუოდ არც მე დავიჩაგრები. რანაირი იქნება ჩემი მომავალი მუშაობა, ჯერჯერობით არ ვიცი. სალამი ჩემს ბრწყინვალე მომავალს. მე მასში ოდნავი ეჭვიც არ მეპარება».

მიუხედავად იმისა, რომ ამ ჩანაწერში ახალი ხელისუფლებისადმი თავისი პოზიცია ავტორს მკაფიოდ არ გამოუხატავს, კეთილგანწყობითი დამოკიდებულება მაინც ჩანს. ყოველ შემთხვევაში, გალაკტიონი იმედით უცქერდა მომავალს და ამ იმედს, გარკვეულწილად, მთავრობის მიერ ხელოვნების სფეროში წამოწყებულ პოლიტიკას უკავშირებდა. აქვე აღსანიშნავია იმის საგანგებო ხაზგასმაც, რომ კომუნისტები რეპრესიებს არ მიმართავენო.

ქვეყნის სათავეში მოსული ახალი ხელისუფლების პირველი რეფორმები მოჩვენებითად მართლაც ლოიალური იყო. პოზიციების განსამტკიცებლად მთავრობამ თავდაპირველად კომპრომისული ნაბიჯებიც გადადგა. იგი ყოველნაირად ცდილობდა ინტელიგენციის მიმხრობას და თავის მხარეზე გადაბირებას. ქვეყნის უკეთეს მომავალზე მეოცნებე გალაკტიონი, ეტყობა, იმედს არ კარგავდა და ფიქრობდა, რომ ახალი ხელისუფლება ხალხის სამსახურში ჩადგებოდა. მის ამ მოლოდინს ისიც განაპირობებდა, რომ მთავრობა ეროვნული ინტერესების განუხრელი დაცვისა და განვითარების აუცილებლობის შესახებაც აკეთებდა განცხადებებს.

მაგალითად, 1921 წელს, თბილისში, ხელოვანთა სასახლის დაარსების ფაქტთან დაკავშირებით, გაზეთ „კომუნისტში» (№12) გამოქვეყნებულ სარედაქციო წერილში, სადაც ახალი ხელისუფლებს პრინციპებზე იყო საუბარი, პირდაპირ ეწერა: „არც ერთი ჩვენი ნაბიჯი არ უნდა განხორციელდეს ეროვნული ნიადაგის გარეშეო». მაგრამ, სამწუხაროდ, ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. 1922 წლიდან, საბჭოთა კავშირის შექმნის დროიდან, იმპერიის უმთავრეს ლოზუნგად ინტერნაციონალიზმი გამოცხადდა და გააფთრებული ბრძოლა გაჩაღდა ეროვნული ცნობიერების დასათრგუნად.

როგორც ცნობილია, 1922 წელს ჟურნალ „ლომისის» პირველ ნომერში დაიბეჭდა გ. ტაბიძის წერილი „პოეზია, უპირველეს ყოვლისა». პოეტის ინფორმაციით, ეს სტატია მას 1921 წლის დამდეგს წაუ-

კითხავს მწერალთა კავშირის კრებაზე და დიდი მოწონებაც დაუმსახურებია. წერილის დაწერისა და დაბეჭდვის დროზე ყურადღება შემთხვევით არ გამიმახვილებია. მკითხველისთვის უთუოდ საინტერესო უნდა იყოს, როგორ აფასებს გალაკტიონი 1921 წლის ტრაგიკულ მოვლენებს, როგორც თვითონ აღნიშნავს, ამ „სახელმძღვანელო წერილში», რომელიც მისი ინიციატივით დაარსებული და გამოცემული ჟურნალის პირველ ნომერში დაისტამბა.

პოეტის შეფასებით, 1921 წელი ეს იყო „ფანტასტიკური კიბე მრავალი საბედისწერო და საშიშარი საფეხურებით». მაგრამ იქვე იმასაც ამბობს, რომ ეს წელიწადი „არც იმდენად მწარე იყო, რომ მისი მოახლოებისთანავე ტკივილებით გაბრუებულიყავით». როგორც ჩანს, პოეტს, საერთოდ, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა ბოლომდე გაცნობიერებული იმ ტრაგედიის არსი, რომელიც ქვეყანას დაატყდა თავს. თუმცა გალაკტიონი 1921 წლის შეფასების დროს აქ არ სვამს წერტილს და მის „საკაცობრიო დემონიურ» მასშტაბებზე ქვემოთ იმასაც ამბობს, რომ „გასული წელიწადი დემონიურად მიუძღოდა წინ მრავალ სამგლოვიარო პროცესიებს და აქ, დიდი მწუხარების გამო, ხშირად ივიწყებდა პოეზიას - საკუთარ თვალს მომავლისაკენ. 1921 წელს აკლდა ეს დიდი თვალი».

მიუხედავად იმისა, რომ წერილის ავტორს არ დაუკონკრეტებია, რაში გამოიხატებოდა იმ „დემონიური» წლის საშინელებანი, „მთელმა კაცობრიობამ» რომ განიცადა, გალაკტიონი აშკარად ამჟღავნებდა თავის უკმაყოფილებას მომხდარი მოვლენებისადმი. მაგალითად, იგი უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ „შეუბრალებელი მოსამართლე ვიყავით წარსულისა და სასჯელისთვის ვქმნიდით სრულიად ახალ კანონებს».

როგორც ჩანს, პოეტი, ისევე როგორც საზოგადოების გარკვეული ნაწილი, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე დარწმუნებული იმაში, რომ საბედისწეროდ იყო გადაწყვეტილი საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არარსებობის პრობლემა. ამიტომაც შეცქეროდა იგი იმედის თვალით ვერსალის კონფერენციას, სადაც საქართველოს რესპუბლიკის ცნობის საკითხიც განიხილებოდა; კერძოდ, წერილში საგანგებოდ იყო აღნიშნული, რომ „საკითხი, რომელიც ეხლა ირჩევა ვერსალში, სამკვდრო-სასიცოცხლოა საქართველოსთვისაც». წერილის მომდევნო ნაწილში პოეტი თავის ესთეტიკურ თვალსაზრისსაც აყალიბებდა და საუბრობდა პოეზიის დანიშნულებაზე, მისი განახლების გზებზე.

ზოგიერთი კრიტიკოსი ამ საუბარს ახალი ეპოქის ინტერესებთან აკავშირებდა და აღნიშნავდა, რომ გალაკტიონის დაპირისპირება ლიტერატურულ კონსერვატიზმთან, „კაფეშანტანების პოეზიასა და დეკადანსთან» საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიური პრინციპებით იყო ნაკარნახევი, რომ პოეტი ამით თანადგომას უცხადებდა ახალ ეპოქას და სხვებსაც მოუწოდებდა აქეთკენ.

მაგრამ წერილის გულდასმით გაცნობის შედეგად, ვფიქრობ, ადვილად დავრწმუნდებით იმაში, რომ ეს ასე არ არის და გალაკტიონის ამ ესთეტიკურ თვალსაზრისს საქართველოს გასაბჭოების ფაქტთან არავითარი საერთო არა აქვს.

როგორც ცნობილია, 1922-23 წლებში გამოდიოდა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალი» (გამოვიდა სულ ათი ნომერი). გალაკტიონის მსოფლმხედველობრივი პოზიციის გასათვალისწინებლად ამ ჟურნალსაც უნდა მიექცეს ყურადღება. მის პირველ ნომერში დაბეჭდილ „წინათქმაში» პოეტმა ცადა, მკაფიოდ განესაზღვრა ჟურნალის დანიშნულება, მრწამსი და მიმართულება. აქედან გამომდინარე, იგი მკითხველის ყურადღებას იმასაც მიაპყრობს, როგორ „ახრჩობს თანამედროვეობა ძველს შეუბრალებელ კლანჭებში»: „შეხედეთ, როგორი სისწრაფით ეცემიან ტახტები, რამდენი მონარხი მოყვა ქვეშ სასახლეების ნანგრევებს, შფოთით და გრგვინვით მოანგრევენ კლდე-ღრეებს რევოლუციის ნიავრები. ისინი მარხავენ ძველ ფორმებს. ისინი მღერიან ჰიმნს მარადი სიახლისას».

ეს ყველაფერი იმხანად უკვე რეალობა იყო - რევოლუციამ რუსეთშიც და საქართველოშიც ძველი ცხოვრება თავდაყირა დააყენა. გალაკტიონი მისებურად აღიქვამს და ახასიათებს ამ მოვლენებს. თუმცა დასკვნების გაკეთებას ერიდება, ფრთხილობს და 1917-18 წლებში დაწერილ ნაწარმოებებისთვის დამახასიათებელი აღფრთოანებით აღარ საუბრობს მათზე. მისი იმდროინდელი შემოქმედებიდან აშკარად ჩანს, რომ ადრინდელი რომანტიკა მას უკვე საკმაოდ განელებული აქვს და მსჯელობის უმთავრეს საგნად არა რეალურად დამკვიდრებულ სინამდვილეა ქცეული, არამედ ის, რა მიმართულებით უნდა წარიმართოს განვითარების სახვალიო გზა.

ამიტომაცაა, რომ ეს წერილები უკეთესი მომავლის ნატვრად უფრო აღიქმება, ხვალინდელი დღის პერსპექტივებზე ოცნებად, ვიდრე ახალი ხელისუფლების გამარჯვებით აღფრთოვანებული ხელოვანის გრძნობათა გამოხატულებად. ვფიქრობ, ამ შემთხვევა-

ში არც იმის დაბეჯითებით მტკიცება შეიძლება, პოეტის მიერ მოხსენიებულ ახალ საქართველოში მაინცა და მაინც გასაბჭოებული, სოციალიზმის გზაზე ძალით დამდგარი, საქართველო რომ უნდა ვიგულისხმოთ.

ნუ გამოვრიცხავთ იმ ვარაუდსაც, რომ აქ ზოგადი საუბარი უფროა ქვეყნის კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განახლებასა და აღორძინებაზე და რომ განახლების ცნების გალაკტიონისეული შინაარსი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დამკვიდრებულ ახალ ცხოვრებას არ გულისხმობს მხოლოდ. ეს ცხოვრება ხომ იმხანად ის-ის იყო იდგამდა ფეხს და მისი ნამდვილი ბუნება, ნამდვილი სახე, უცნობი იყო საზოგადოებისათვის. იქნებ, ამ ახალ საქართველოში ის საქართველო უფრო უნდა ვიგულისხმოთ, 1917-18 წლების ისტორიულ გარდატეხათა შედეგად რომ დაიბადა; გალაკტიონისავე სიტყვებით თუ ვიტყვით, ქვეყანა, რომელიც „მსხვრევის გრიალსა» და „პლანეტების კივილში» იშვა.

ალბათ არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ გ. ტაბიძის ხსენებული წერილები უფრო ემოციური ხასიათის ჩანაწერებია, რომლებშიც მოვლენათა სიღრმისეულ განსჯას ფაქტების სუბიექტური თვალთახედვით შეფასება სჭარობობს.

გალაკტიონის პირველ ილექსი, რომელიც 1921 წლის თებერვალ-მარტის ტრაგიკულ მოვლენებს შეიძლება დავუკავშიროთ, ესაა „სამშობლო შავი ლიუციფერის» (1922 წ. ივლისი). მასში საუბარია მსხვერპლითა და ცხედრებით დაფენილ სისხლიან გზაზე, სამშობლოზე, რომელსაც შავი ლიუციფერი დაჰპატრონებია. მართალია, ლექსში გამოხატული კოშმარული განწყობილების განმაპირობებელი საფუძველი დაკონკრეტებული არ არის, მაგრამ საფიქრებელია, რომ პოეტის მწუხარება საქართველოში იმ ბოლო ხანს დატრიალებული ტრაგიკული მოვლენებით იყო გამოწვეული:

გზა, დაფენილი მსხვერპლით, ცხედრებით და სისხლით სველი.
გზა, სასიკვდილო გადათეთრებით, სამშობლო შავი ლიუციფერის.
ჩვენ მწუხარებამ დაგვიძმობილა ღამის ტყე-ველი,
არასდროს ჩვენთან იქ არ ყოფილა ნაზარეველი.

ასეთია უნაზარეველოდ, უღმერთოდ გავლილი გზის სავალალო და თავზარდამცემი შედეგი. ციტირებული სტრიქონების თავისებურ გაგრძელებად აღიქმება ლექსი „ალაზანთან» (1922 წ. აგვისტო), რომელიც რაღაც სამუდამოდ დაკარგულის გამოსაგლოვებლად დაწერილი ელეგიაა.

დამშვიდდი, ტალღებს მიანდე ნავი. რაც დაიკარგა, ის აღარ მოვა.
აქვითინების დრო მერე მოვა. დამშვიდდი. ტალღებს მიანდე ნავი.
განწირულებას არ მისცე თავი, არ მოიზიდო ცრემლების თოვა.
დამშვიდდი, ტალღებს მიანდე ნავი. ის - დაიღუპა, ის აღარ მოვა.

დასახელებული ლექსების ელეგიური განწყობილებისაგან მკვეთრად განირჩევა „რევოლუციონერის ხსოვნას» (1922 წ.). მასში პოეტი ხატავს ფრაგმენტულ სახეს რევოლუციურ იდეალებს შეწირული ფანატიკოსი მებრძოლისას. სასიკვდილო აგონიაში ჩავარდნილი რევოლუციონერი კმაყოფილია თავისი ცხოვრებით. იგი ვაჟკაცურად ეგებება სიკვდილს და არ ნანობს, რომ აქამდე მიიყვანა ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლამ. მის მიერ აღსასრულის წინ წყნარად წარმოთქმულ უკანასკნელ სიტყვებში - „იყოს, არაფერია!» - ბედის სამდურავზე მეტად მიზნის უღალატო ერთგულებით მოგვრილი კმაყოფილების ხმა ისმის.

ასე მიიყვანა ეს რევოლუციონერი „ქაოსის ნაპირამდე» რწმენის ერთგულებამ, რწმენამ იმისამ, რევოლუციის სამსახურში ფანატიკური ერთგულებით მისი დგომა შვებასა და ბედნიერებას რომ მოუტანდა ბედით ჩაგრულ ადამიანებს. რევოლუციისადმი ამ მებრძოლის ფანატიკურ ქველმოქმედებას პოეტი იმის საგანგებო აღნიშვნითაც უსვამს ხაზს, ყველა ჰანგზე ძვირფასი ჰანგი მისთვის მხოლოდ „მარსელიეზა» რომ იყო.

მათთან, ვისიც ცხოვრება იყო ბედით გმობილი,
შენ ხალისით მიგქნდა სული კეთილშობილი.
და ცხოვრება გიყვარდა, როგორც ბრძოლის პიესა,
და გათრობდა ჰანგებში მხოლოდ მარსელიეზა.

გალაკტიონის იმდროინდელი ეროვნული მრწამსის შესაცნობად და გასაცნობიერებლად უაღრესად მნიშვნელოვანია „მშობლიური ეფემერა» (1923 წ). ლექსი, რომელშიც შემაძრწუნებლად ისმის კავკასიონის ყინულოვან ქედზე მიჯაჭვული ამირანის კვნესა. ამირანის ლეგენდარულ სახეში კონდენსირებული კარგად ცნობილი აზრობრივი ქვეტექსტი ადვილად შეგვაგრძნობინებს ლექსში გამოხატული ტკივილის არსს. პოეტი წუხილით საუბრობს მის სამშობლოში ჩამოწოლილი ზამთრის მრისხანებაზე, იმაზე, რომ „ყაზბეგის შუბლი შემოსეს ღრუბლით», რომ „დარიალიდან ზარავდა ზარა»...

ჩემი აზრით, დამოწმებულ ფრაგმენტში დარიალიდან მოვარდნილი ზარისთვის ხაზგასმა შემთხვევით მოვლენას რომ არ წარმოადგენს, ამ თვალსაზრისს პოეტი კავკასიონის ქედზე მიჯაჭვუ-

ლი ამირანის იმ თავზარდამცემი კვნესისთვის ხაზგასმითაც განგვიმტკიცებს, რომელიც მას სიცოცხლის უწამლავს და წუხილით მოაგონებს სამუდამოდ დაკარგულ რაღაც ძვირფასსა და საოცნებოს:

შეხავსებია კლდეები კლდეებს, იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია,
„ამირანია»? - მივმართავ ტყეებს, და ტყე გუგუნებს: ამირანია!..
ეს მძაფრი კვნესა მიწამლავს დღეებს, ის გული ისევ ჩემი გულია...
„დაკარგულია?» - მივმართავ ტყეებს, და ტყე გუგუნებს:
დაკარგულია...

ეს ტენდენცია - სასოწარკვეთამდე მისული კაცის სულიერი განწყობილების გამოხატვა - საერთოდ დიდ ადგილს იჭერს გ. ტაბიძის მიერ 1921-24 წლებში შექმნილ იმ პოეტურ ტექსტებში, რომლებშიც მძაფრად იგრძნობა მარტოობის ტკივილი და იმედებდამცხრალი კაცის სევდა-კაეშანი. ეს ლექსები, რომელთა ელეგიურ განწყობილებას ბევრი ხილული თუ უხილავი საწუხარი ასაზრდოებდა და მრავალმხრივი მსოფლმხედველობრივი საფუძველი ჰქონდა, მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი (ნათქვამის დასტურად გავიხსენოთ იმხანად დაწერილი მისი ლექსები: „შავით შემოსილხარ როგორც ელეგია», „რა დროს რომანსეროა», „ეს მშობლიური ქარია», „ელეგია», „მარტოობა»...).

დასახელებული ლექსების განწყობილებას არსებითად ემიჯნება 1923 წლით დათარიღებული ლექსი „გრიგალი». მასში პოეტი მძაფრი ექსპრესიულობით ხატავს აგრიგალებული ქვეყნის პანორამულ სურათს. გიჟურად მქროლი ამ ქარის სახე-სიმბოლოში კი, როგორც პოეტი მიგვანიშნებს, „თავისუფალი, ლაღი, ძლიერი ბედისთვის ომი» იგულისხმება. ხოლო ის ასპარეზი, სადაც ეს გრიგალი დათარეშობს და დახავსებულ ქვეყანას აზანზარებს, საქართველოა. ქვემოთ, ლექსში, კიდევ უფრო კონკრეტდება თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების დამკვიდრებისთვის საქართველოს მთასა და ბარს მოდებული ამ გრიგალის სიმბოლიკა. ამის დადასტურებაა, თუნდაც, შემდეგი სტრიქონები:

ესაა მძაფრი და მშფოთვარე რევოლუცია -
ადამიანურ ძლიერების აღიარება.
ესაა თამამ ქვეყნიერების გულში ტარება.

ასეთია გალაკტიონის იმდროინდელი შემოქმედების ეს ორი, ურთიერთსაპირისპირო პოლუსი, ორი განსხვავებული მსოფლმხედველობრივი პოზიცია, რისი დანახვაც, ვფიქრობ, ციტირებული მაგალითებითაც არ უნდა იყოს ძნელი. როგორც მკითხველი ნათ-

ლად შეამჩნევს, „რევოლუციონერის ხსოვნასა» და „გრიგალში» პოეტი აშკარა თანაგრძნობას იჩენს რევოლუციისადმი. რევოლუცია აქ გაიგივებულია ხალხის ბედნიერებისა და თავისუფლებისთვის ბრძოლასთან.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ რევოლუციასთან გ. ტაბიძის კეთილგანწყობითი დამოკიდებულება ყოველთვის არ შეიძლება კონიუნქტურის, ძალადობისა და მსოფლმხედველობრივი კომპრომისის შედეგად მივიჩნიოთ. ამ დამოკიდებულებაში, რევოლუციისადმი გამჟღავნებულ თანაგრძნობაში, გალაკტიონის მიერ ოციანი წლების შუა ხანებამდე შექმნილ ნაწარმოებებში რომ იჩენდა ხოლმე თავს, ახალი, თავისუფალი და ბედნიერი ქვეყნის აშენების მძლავრი სურვილი და მოლოდინი იგრძნობა.

პაოლო იაშვილი

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული პრობლემა პაოლო იაშვილის (1892-1937 წწ.) შემოქმედების ერთ-ერთ უმთავრეს თემად მთელი მისი მოღვაწეობის განმავლობაში იყო დამკვიდრებული, ამ პობლემისადმი გამოვლენილმა მისმა ინტერესმა განსაკუთრებით დიდი მასშტაბები მაინც 1917-1921 წლებში, რუსეთის იმპერიის დანგრევისა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში, შეიძინა. როგორც პაოლოს ბიოგრაფიიდან თვალნათლივ ჩანს, იგი იმხანად არა მარტო თავისი პოეტური სიტყვით ეხმიანებოდა იმჟამინდელ რეალობას, არამედ აქტიურ პრაქტიკულ მონაწილეობასაც იღებდა იმ დროს მიმდინარე პროცესებში.

ამ თვალსაზრისით საინტერესო პირველი ლექსი პაოლომ რუსეთის იმპერიისთვის საფუძვლის გამომცლელი რევოლუციის მოხდენიდან რამდენიმე დღის შემდგომ დაწერილი იმ ლექსით („ქუჩების ბედნიერება“) გამოხატა, რომელიც ქუთაისში გამომავალ გაზეთ „ჩვენი მეგობრის“ 1917 წლის 2 აპრილის ნომერში გამოაქვეყნა ასტამურ შერვაშიძის ფსევდონიმით.

ხსენებული ლექსის შედეგად გამოვლენილ ავტორისეულ სულისკვეთებას არსებითად განსაზღვრავს ის მძლავრი სულიერი ოპტიმიზმი და ეროვნული თავისუფლების მოპოვების მოლოდინი, რომელიც სწორედ ზემოთ ხსენებული რევოლუციის გამარჯვებამ დაბადა ქართველ მამულიშვილთა ცნობიერებაში. კერძოდ, პაოლო აღფრთოვანებით ასხამს ხოტბას წითელ დროშას, რომელიც მას ეროვნული თავისუფლების სიმბოლოდ მიაჩნია და ამ მოვლენით განპირობებულ სიხარულს ამგვარი პათეტიზმით გამოხატავს:

წითელი ფერი! წითელი ფერი!
შევხარი უხვად დაფანტულ ლალებს!
ბედნიერია დღეს ყველაფერი -
მიტომ, რომ დროშა წითლად ფრიალებს.
გამოდით ყველა სიმღერით ქარში,
მღელვარე ქუჩებს მზე ალამაზებს!
მუსიკა მარში! მუსიკა მარში!
მიეცით გზები მოხარულ რაზმებს!
გაშალეთ ფრთები! გაბედულ დროში

წარსული ხალხმა დასწვას და სთელოს;
მივესალმები უკვდავი დროშით
ჩვენს უკვდავ ერსა და საქართველოს!
დროშები ზევით! დროშები გვერდით!
ვივიწყებთ ყველა წარსულ შეცდომებს,
მამულის კვალი ერთგული მკერდით
დაუცავს ახალ, უშიშარ ლომებს.
მოგლიჯეთ გვირგვინს მწუხარე თალხი!
დღეს ყველა ერთად და შეთანხმებით!
დაჰკარით საყვირს! მზად არის ხალხი,
ახალ დროს ვხვდებით ახალი ხმებით.
ბრძანება გვესმის!.. გაბედულ დროში
წარსული ხალხმა დასწვას და სთელოს!
მივესალმებით ამაყი დროშით
ჩვენს უკვდავ ერსა და საქართველოს!

ხსენებულ ლექსთან ერთად, გაზეთ „ჩვენი მეგობრის“ იმავე ნომერში პაოლომ მეორე ლექსიც გამოაქვეყნა - „მდუმარე ვედრება,“ რომელშიც უფალს შეთხოვს, მისი მფარველობის გარეშე არ დატოვოს საქართველო და კვლავაც გადმოხედოს მას წყალობის თვალით. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული ლექსიდან, რომელიც ზემოთ ციტირებული პოეტური ხოტბის მსგავსად თებერვლის რევოლოციის გამარჯვებით შთაგონებულ ნაწარმოებს წარმოადგენს:

ღმერთო! შენ დაამშვიდე ჩემი მამული,
ის არის სისხლით დანამული.
მან არ იცის, სიხარული როგორია!
უფალო! ჩემი ხვეწნა ამბორია!
წინათ მას სდარაჯობდა ქალწული ნინო,
დღეს კი ქართველი სამშობლოში არის ულხინო!
ღმერთო! სად არის ჩვენი ბედი, ჩვენი იღბალი!
სუსტი ვარ, მაგრამ მე მენატრება გმირების ხმალი!
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი და წმინდა,
როცა მხურვალედ მომინდება მამულზე ლოცვა.
მაგრამ მე ვიცი, არ დაგვტოვებ, უფალო, ისე,
რომ კიდევ ერთხელ არ მოვიდეს ახალი ქრისტე;
რომ კიდევ ერთხელ არ ვიხილოთ მტრის მორჩილება
და სიხარულით არ შევიხვიოთ მკერდის ჭრილობა.
ღმერთო! გვისმინე! ნუ დაგვტოვებ ქართველებს მარტო!
მე აღარ ვიცი, როგორ გითხრა, როგორ მოგმართო!
ქვეყნიერების სიხარული როცა იწყება,
მე მეშინია საქართველოს გადავიწყება!

როგორც დამოწმებული ლექსებიდანაც თვალნათლივ ჩანს, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებით განპირობებული სიხარულის გამოხატვას პაოლო უპირველეს ყოვლისა იმის მოლოდინს უკავშირებდა, ამ მოვლენის შედეგად ჩვენი ქვეყანა რეალურად რომ შეძლებდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლების მოპოვებას.

პაოლოს ეროვნული თვალთახედვის წარმოჩენის დროს რამდენიმე სიტყვა მის ლექსზეც - „წერილი დედას“ მინდა ვთქვა. პოეტის ეს ლექსი მისი პოეტური ტექსტების სხვადასხვა გამოცემებში ორი განსხვავებული თარიღითაა დაბეჭდილი - 1916 და 1917 წლებით. კერძოდ, 1975 წელს გამოცემულ ერთტომეულში მითითებულია, რომ ხსენებული ლექსი პოეტმა 1916 წელს დაწერა, პირველად კი იგი 1917 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ხალხის მეგობრის“ სურათებიანი დამატების 1917 წლის პირველ ნომერში.

მკვლევარმა ზაურ მეძველიამ სპეციალურად შეისწავლა ეს საკითხი და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არც ერთი ეს მონაცემი სწორი არ არის (იხ: „ცისკარი,“ 1985 წ. #11, გვ. 136). მისი აზრით, პაოლოს ხსენებული ლექსი დაწერილია არა 1916-1917 წლებში, არამედ 1918 წელს, პირველად კი დაიბეჭდა ამავე წლის 1 დეკემბერს. ამ დასკვნის გამოტანის საფუძველს მკვლევარს ის გარემოება აძლევს, რომ პოეტმა ამ ლექსით თბილისში მისი დამკვიდრების შემდგომდროინდელი მდგომარეობა გამოხატა. ამ მოსაზრების გამოთქმის დროს ზ. მეძველია განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს ლექსის იმ სტრიქონს, რომელშიც ნათქვამია: „იქნებ ჩვენ თბილისი ხვალ ყველამ დავტოვოთ!“

მკვლევრის აზრით, თბილისის ასე სასწრაფოდ დატოვების მიზეზი „უეცრად შეცვლილი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ვითარება იყო. ასეთ მომენტებს მძაფრი ისტორიული მოვლენები ქმნიდნენ. როგორც ცნობილია, რუსეთის თებერვლის რევოლუციის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე მოულოდნელად არაერთხელ შემოიჭრნენ გათამამებული უცხო ჯარები, რის გამოც პატრიოტი ახალგაზრდა მგოსნები რამდენჯერმე გაემგზავრნენ ბრძოლის ველისაკენ. შ. აფხაიძე გვაუწყებს ასეთ ფაქტს: „პაოლო და ტიციანი ცხენოსანთა რაზმში იყვნენ და მონაწილეობდნენ აწყურთან ბრძოლაში.“ ეს ცხოვრებისეული ფაქტი პ. იაშვილმა ალი არსენიშვილისადმი მიძღვნილ ლექსში აახმიანა.“

მართლაც, როგორც ცნობილია, პაოლო და ტიციანი ნამდვილად იყვნენ დაკავშირებული იმ ბრძოლებთან, რომლებიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად მიმდინარეობდა 1918 წელს. ეს მოვლენები სათანადოდ აისახა კიდეც მათ შემოქმედებაში. ისიც არ უნდა იყოს საეჭვო, რომ „წერილი დედას“ პაოლომ მართლაც თბილისში დამკვიდრების შემდეგ დაწერა. მაგრამ, არა მგონია, ნაწარმოებში გამოხატული სულისკვეთება ამჯერად ხსენებული პოლიტიკურ მოვლენებით იყოს შთაგონებული.

ჩემი აზრით, ლექსის შექმნის საფუძველს სულ სხვა მოვლენა წარმოადგენს - ურბანისტული ცხოვრების შედეგად შექმნილ რეალობასთან და მის შედეგად დეფორმირებულ ზნეობრივ პრინციპებთან ავტორის დაპირისპირება, რაც ლექსში იმდენად ცხადად და აშკარად არის გამოხატული, რომ ამ მოსაზრებაში ეჭვის შესატანად ფაქტობრივად არავითარი საფუძველი არ არსებობს.

კერძოდ: ერთის მხრივ - პოეტის მიერ რომანტიკული ფორმით წარმოსახული სოფლის პატიოსნება, რომანტიკული იდილია და საუკუნეთა განმავლობაში დამკვიდრებული კოლორიტული ქართული ყოფის განდიდება, მეორეს მხრივ და მის საპირისპიროდ კი ქალაქურ გარემოში მოქცეული პოეტის შეჯახება მისგან არსებითად განსხვავებულ ისეთ ყოფით-ცხოვრებისეულ გარემოსთან, რომლისთვისაც ფართოდ დამახასიათებელ მოვლენებად ქცეულა ადამიანურ სიმდაბლეთა წარმომჩენი ისეთი გამოვლინებანი, როგორებიცაა: ზნეობრივი უკეთურობანი, ქურდობა, გაუტანლობა, ავაზაკობა... პაოლოს წარმოსახვით, სწორედ ასეთია ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული ამ ორი კონტრასტული გარემოს წარმომჩენი ნიშან-თვისებები. ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული ლექსიდან:

დავტოვე სოფელი - მყუდრო სამყოფელი,
ქვიტკირის მარნები და კატის კნუტები, სიმინდის ყანა!
ჰა! კინტოს პროფილი, საეჭვო ტარნები,
და დავიკუნტები ქალაქის ქუჩებში მე - სალახანა!
ტირილი, ტირილი, ტირილი ბევრი!
ბზის განიავება, კალო და კევრი;
და სოფლის სიწმინდე, მართალი ბათმანი,
როცა მე ქალაქში მაწუხებს, მახელებს
ყველა ყელსახვევი, შავი ხელთათმანი.

ჩემი აზრით, ლექსში ნათლად და არაორაზროვნად იგრძნობა სოფლის რომანტიკული ყოფისა და ურბანისტული ცხოვრების შე-

დეგად გადაგვარებული ზნეობის მკვეთრი და რადიკალური გამიჯვნა ერთმანეთისაგან. კერძოდ, სოფლის სიწმინდესა და მართალ ბათმანს პოეტი ხაზგასმული ფორმით უპირისპირებს ქალაქური ყოფისათვის ფართოდ დამახასიათებელ ორპირობას,, სიფლიდესა და გაიძვერობას. პირველ ყოვლისა სწორედ ამ დაპირისპირების შედეგს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ავტორი აღნიშნული მოვლენის მამხილებელ აღმსარებლურ წერილს უგზავნის სოფელში დარჩენილ დედას და, თავადაც ამ ცხოვრებისეული გარემოს მკვიდრად ქცეული, ამ პოეტური წერილით ცდილობს მოინანიოს და გამოისყიდოს ქალაქურ გარემოში მკვიდრობით განპირობებული ზნეობრივი და ყოფითი შეცოდებანი.

იმისათვის, რომ ამგვარი ფორმით გამოხატულ მისეულ მონანიებას მეტი შთამბეჭდაობა მიანიჭოს, პოეტს ეს ყველაფერი მას მძაფრად კონტრასტული და რამდენადმე გაზვიადებული ფორმითაც კი აქვს გამოხატული. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ლექსის ბოლო სტრიქონებს, სადაც ლირიკული გმირის მიერ დედისადმი აღვლენილი ვედრება, როგორმე დაიხსნას მისი სული ცოდვათაგან, ამგვარი სახითაა გადმოცემული:

დედა! ინახულე შენ წმინდა ხახული!
წადი ფეხშიშველი,
ქალაქში დაკარგულ შვილისთვის ღამე გაათიე,
ღმერთო! აპატიე, მე თუ ვერ მიშველი -
დედას, რომ დაგინთო ჩემ სიგრძე სანთელი,
მისთვის, რომ ჩემს გულში
დაყუჩდეს გრიგალი და კორიანტელი.

ჩემი აზრით, პოეტმა პირველ ყოვლისა სწორედ ამ სტრიქონებით გამოხატა ლექსის უმთავრესი სულისკვეთება. აქედან გამომდინარე, ხაზგასმა იმისა, თითქოს ხსენებულ ლექსში ავტორისეული სათქმელის წარმომჩენ უმთავრეს ფაქტორად ის სისხლიანი მოვლენებია ქცეული, რომლებიც იმხანად დაატყდა თავს ჩვენს ქვეყანას, საფუძველს მოკლებულ განცხადებას წარმოადგენს. ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო, პოეტი ამ მოვლენებს მხოლოდ ქარაგმულად და ერთადერთი სტრიქონით კი არ გამოხატავდა, არამედ ჩვეული სიმძაფრითა და ემოციური შთამბეჭდაობით შეაგრძნობინებდა მკითხველს.

რაც შეეხება იმის ხაზგასმას, რომ პაოლომ და მისმა მეგობარმა მწერლებმა მონაწილეობა მიიღეს ქართული ტერიტორიების მისაკუთრებლად თურქეთის მიერ განხორციელებულ საომარ ბატალიებში, ეს ამბავი სიმართლეს რომ წარმოადგენს, თვალნათლივ

ჩანს როგორც მათი შემოქმედებიდან, ისე თანამედროვეთა მოგონებიდან.

როგორც ცნობილია, 1918 წელს, როდესაც საბჭოთა რუსეთის მხარდაჭერით წაქეზებულმა თურქეთის ხელისუფლებამ ტერიტორიული პრეტენზიები წამოუყენა საქართველოს და შეტევაზე გადმოვიდა აჭარისა და მესხეთის რეგიონების მისატაცებლად, პაოლო და იმდროინდელი ჩვენი მწერლობის სხვა წარმომადგენლები იარაღით ხელში ჩადგნენ ჩვენი ქვეყნის ხსენებული ტერიტორიების დამცველთა რიგებში და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საომარ ბატალიებში. კერძოდ, ცხენოსანთა რაზმში მყოფი პაოლო ჯერ აწყურთან იბრძოდა, შემდეგ კი, როცა ანალოგიური საფრთხე ბათუმს დაემუქრა, იქ გადაინაცვლა და ქალაქის დამცველთა იმ რაზმს შეუერთდა, რომელსაც დავით კლდიაშვილი მეთაურობდა.

აწყურთან გამართულ ბრძოლებში პაოლოს მონაწილეობას არა მარტო მისი თანამედროვენი აღნიშნავენ თავიანთ მემუარებში, არამედ ეს ფაქტი თავად პოეტის შემოქმედებითაც დასტურდება. მაგალითად, ალი არსენიშვილისადმი მიძღვნილ ლექსს პაოლომ ასეთი ქვესათაურიც წარუმძღვარა: „ვაგონი. ცხენებით. ხუთი გუსარი. აწყურისაკენ.“ ხსენებული ლექსისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მისი მეშვეობით თვალნათლივ ჩანს მებრძოლი სულისკვეთება სამშობლოს დასაცავად აწყურისაკენ მიმავალი სამი „დაუდგომელი“ (ავტორის სიტყვებია) მეგობრისა - პაოლოსი, ტიციანისა და ალი არსენიშვილისა, რომელთაც ქვეყნისთვის თავსდატეხილიი საბედისწერო ვითარების გამო იარაღი აუსხამთ და მტრის წინააღმდეგ მებრძოლ ჯარისკაცებად ქცეულან.

როგორც ცნობილია, ბათუმის დასაცავად გამართული ბრძოლის პირველ ეტაპზე ქართველმა მებრძოლებმა უკან დაიხიეს და ქალაქს თურქი ასკერები დაეპატრონენ. ამ ტრაგიკული მოვლენით განპირობებული უდიდესი გულისტკივილი პაოლომ უმძაფრესი ემოციით გამოხატა იმ დღეებში დაწერილი ლექსით „დაცემულ ბათომს,“ რომელშიც ამ გარემოებით გამოწვეული მწუხარების გამოხატვასთან ერთად მტერზე შურისძიებისა და საბოლოო გამარჯვების რწმენაც გამოავლინა ღრმად შთამბეჭდავი ფორმით:

უკვე იწყება მრისხანე წამი,
წამი, რომელიც ძვლებს დაახვავებს,
უკვე შეირხა ზღვასთან ლერწამი, -
ბათომის ცაზე მე ვუმზერ ყვავებს...

ბრძანება ისმის და სმენა ჩქარა,
გაშალეთ მზეზე კრიალა სმლები,
ან დავიბრუნოთ ჩვენი აჭარა,
ანდა ბათომთან დავტოვოთ ძვლები.
ადრე სულთანი ნუ გაიხარებს,
აღმოსავლეთის ადრეა ტაში, -
ჩვენ დავიბრუნებთ ბათომის კარებს,
მწარე იქნება ჩვენი რევანში.

თურქული აგრესია იმხანად გამონაკლისი არ ყოფილა და 1918 წლის დეკემბერში ტერიტორიული პრეტენზიების გამო ჩვენს ქვეყანას სომხეთიც დაესხა თავს. ამ ტრაგიკულმა მოვლენამ ქართველი ხალხის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია და თბილისისაკენ დაძრული მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ქართველ პატრიოტთა მრავალრიცხოვანი წარმომადგენლობა დაირაზმა.

პაოლო ომის დაწყებისთანავე ქუთაისში წავიდა და ქართველ მამულიშვილთა სხვა წარმომადგენლებთან ერთად აქტიური პროპაგანდა გააჩაღა სომეხ ნაციონალისტთა წინააღმდეგ საბრძოლო რაზმის შესაქმნელად. ამ მიზნით იგი ორგანიზებას უწევდა სახალხო მიტინგების გამართვას, სადაც მგზნებარე სიტყვით მოუწოდებდა ხალხს სომხური აგრესიასთან საბრძოლველად წასვლისაკენ. ამ საქმეში პაოლოს პირველ ყოვლისა მისი „ცისფერყანწელი“ მეგობრებიც ედგნენ გვერდით ძალზე აქტიურად (ამასთან დაკავშირებით იხ: ზაურ მეძველიას წერილი ჟურნალ „ცისკრის“ 1985 წლის მე-11 ნომერში).

ხალხის ამდაგვარმა ერთსულოვნებამ და საბრძოლო პატრიოტულმა შემართებამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. სულ მალე ქართული ლაშქარი შეტევაზე გადავიდა, მტერი უკუაგდო და სომეხ აგრესორთა შემოტევა მათივე მარცხით დამთავრდა.

პაოლოს იმდროინდელი ეროვნული მრწამსის გაანალიზების დროს რამდენიმე სიტყვა 1917 წელს დაწერილ მის იმ ლექსზეც უნდა ითქვას, რომელიც მან პოლონეთს მიუძღვნა. ხსენებული პოეტური ქმნილებით პოეტი აღფრთოვანებით გამოეხმაურა პოლონელი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას რუსული კოლონიალიზმის უღლისაგან განსათავისუფლებლად და „ძველი ვარშავის ამ დიდი დღესასწაულის“ თანამონაწილედ ქართველი ერიც გამოაცხადა.

როგორც მკითხველი ამ დეტალითაც ადვილად მიხვდება, პოლონელი ხალხის ამგვარი ქმედებით პაოლოს ესოდენ აღფრთოვანებას არსებითად განაპირობებდა ის გარემოება, რომ ამით იგი ქარ-

თველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლასაც ასხამდა ხოტბას არაპირდაპირი ფორმით. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული ლექსიდან:

ქართველი ერი და პოლონეთი -
ორი გვირგვინი და ორი კვნესა!
ჩვენ გვაწვალებდა ოცნება ერთი
და ჩვენ მოველით ერთნაირ მზესა.
ჩვენ ერთად ველით და მალე გვინდა
ახალი მორთვა მზით მთა-ველისა!
ამაყო ძმებო! სალამი წმინდა!
სალამი გრძნეულ რუსთაველისა!

როგორც ცნობილია, პაოლო ისე გარდაიცვალა, რომ წიგნი არ გამოუცია. მისი პირველი პოეტური კრებული1955 წელს, რეაბილიტაციის შემდეგ, დაიბეჭდა. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ამ დროიდან მოყოლებული, მისი ლექსები რამდენჯერმე გამოიცა, ზოგიერთ მათგანში თვითნებური ტექსტოლოგიური შესწორებანიც არის შეტანილი. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამგვარ სწორებათა დიდი ნაწილი არაავტორისეულია, გვიანდელი პაერიოდისაა და მიზნად ისახავდა ავტორისეული ტექსტების „იდეოლოგიურ გაჯანსაღებას“. აქვე ვიტყვით იმასაც, რომ ზოგიერთი ამგვარი შესწორება თავად პოეტმაც მოახდინა თავისი დროის პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე.

ყოველივე ზემოთქმულზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად ერთმანეთს შევუდარებ რამდენიმე ლექსს 1965 და 1975 წლებში გამოცემული კრებულებიდან. ხსენებულ სწორებათა დიდი ნაწილი პაოლოს შემოქმედებითი მოღვაწეობის ე. წ. სიმბოლისტური პერიოდის იმ ლექსებს შეეხება, რომლებშიც პოეტის ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებაა გამოხატული. მაგალითად, 1918 წელს დაწერილი ლექსი - „დაცემულ ბათომს“ 1958 წელს გამოცემულ კრებულში არსებითი მნიშვნელობის მქონე ორი ტექსტოლოგიური შესწორებითაა დაბეჭდილი. პირველი, სტრიქონში - „სძინავს ზარბაზანს რუსული ძილით“ სიტყვა - რუსული შეცვლილია სიტყვით – სასტიკი; და მეორე, ლექსიდან მთლიანადაა ამოღებული შემდეგი სტროფი:

ამხანაგებო, ნუ ხართ დარდულად,
დღეს საქართველო მე ვეღარ ვცანი,
დროა, აყვავდეს უკვე ქართულად
მრისხანე თოფი და ზარბაზანი.

როგორც იმჟამინდელ მოვლენათა არსში გარკვეული მკითხველი ადვილად მიხვდება, ამგვარი ტექსტოლოგიური შესწორება ორი უმთავრესი ფაქტორით იყო განპირობებული: პირველი, იმის შიშით, რუსული ძილის ხაზგასმა „ჩვენი დიდი ძმების“ განაწყენების უნებური საფუძველი რომ არ გამხდარიყო და მეორე, ოფიციალური ცენზურისთვისაც რომ თავი დაენებებინათ, იმ პერიოდის ბევრი საბჭოთა მოქალაქის ცნობიერებაში ჩასახლებული მკაცრი შინაგანი იდეოლოგიური ცენზორი შენგან დამოუკიდებლადაც გაიძულებდა, უდიდესი სიფრთხილით აგეწონა ყოველი სიტყვა. როგორც ჩანს, ამჯერადაც ასე მოხდა და ყოველგვარი რისკის გამოსარიცხად, მიზანშეწონილად ჩათვალეს, დამოწმებული სტროფი მთლიანად ამოეღოთ ლექსიდან, რადგანაც მოწოდება იმისა, მტარვალთა ბატონობისაგან ჩვენი მიწის განსათავისუფლებლად დროა, თოფ-ზარბაზანი ისევ ქართულად აგრგვინდესო, იდეოლოგიურად საშიშ და არსებული რეჟიმისთვის მიუღებელ ლოზუნგად იქნა მიჩნეული.

მართალია, ამ მტარვალში ამჯერად რუსი არ იგულისხმებოდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ხსენებული სტრიქონების წაკითხვით აღძრული ემოცია მკითხველს განევრცო და ეს გრძნობა რუსული კოლონიალიზმისაგან საქართველოს განთავისუფლებისთვის საბრძოლველად შინაგანი იმპულსის მიმცემ ფაქტორადაც ქცეულიყო!

• • •

მოგონებებსა და საბჭოთა პერიოდის ლიტერატურატურათმცდოდნეთა ნაშრომებში არაერთგზის ყოფილა მკითხველის ყურადღება მიპყრობილი იმ გარემოებისთვის, რომ პაოლო იაშვილი კმაყოფილებით შეხვდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და აღტაცებით შეეგება 1921 წლის 25 თებერვალს თბილისში საბჭოთა ჯარის შემოსვლას. ამ მოვლენის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს არგუმენტად ის ფაქტიცაა მიჩნეული, რომ სწორედ ამ დღეს დაწერა მან ხსენებული მოვლენისადმი მიძღვნილი ლექსი „ახალ საქართველოს.“ აღნიშნული მასალების გაცნობით კაცს მართლაც შეიძლება შეექმნეს ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს პაოლო იმ დღეებში აქტიურად იბრძოდა ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად და არა მარტო სიტყვით შეასხა ხოტბა თებერვლის სისხლიან მოვლენებს, არამედ პრაქტიკული თანადგომაც გამოხატა თბილისში ბოლშევიკური ხელისუფლების დასამყარებლად გამართული ბრძოლისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ პაოლოსა და მის მეგობარ „ცისფერყანწელებს" საბჭოთა ხელისუფლებისადმი მკვეთრად ანტაგონისტური დამოკიდებულება იმხანად არ გამოუმჟღავნებიათ, დაბეჯითებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სინამდვილეში ისინი, მათ შორის, პაოლოც, საქართველოს გასაბჭოებისა და რუსული ოკუპაციის ღიად და აქტიურად მხარდამჭერნი არც იმხანად და, მით უფრო არც შემდგომ დროს, ნამდვილად არ ყოფილან.

მართალია, რევოლუციის შემოქმედთა მიერ სიტყვიერად ნაქადაგევი ეროვნული და სოციალური იდეებისადმი თავისი ოპტიმისტური დამოკიდებულება პ. იაშვილმა თავიდან გარკვეულწილად მართლაც გამოხატა, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ დროებითი მოვლენა იყო, მოვლენათა არსში სიღრმისეულად გაუცნობიერებელი პიროვნების მიერ ახალი სახელისუფლებო რეჟიმისადმი სიმპატიის დროებითი გამოხატულება და არა მყარ პოლიტიკურ კრედოდ ჩამოყალიბებული თვალსაზრისი.

სამშობლოს თავისუფლებაზე ფანატიკურად მეოცნებე მამულიშვილი, ბუნებრივია, იმათ ბანაკში ვერავითარ შემთხვევაში ვერ აღმოჩნდებოდა, ვინც ქვეყნის დამოუკიდებლობას ძირს უთხრიდა და მისი თავისუფლების ხელსაყოფად იბრძოდა. ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ იმხანად განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენათა არსში სიღრმისეულად გაუცნობიერებლობამ და ბოლშევიკური იდეების მქადაგებელთა ლოზუნგურმა პროპაგანდამ პაოლო გარკვეულწილად მართლაც მოაქცია ახალი სახელისუფლები რეჟიმის მესვეურთა ყალბი იდეებისა და სიტყვიერი დაპირებების დროებითი ზეგავლენის ქვეშ.

სწორედ ამ მოვლენის თვალნათლივ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ პოეტის თანამედროვეთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ 1921 წლის 25 თებერვლის სუსხიან დღეს პაოლო და მისი თანამხლები პირები თბილისის ქუჩებში იარაღასხმულნი დადიოდნენ წესრიგის დასამყარებლად და პანიკური შიშით აფორიაქებული მოსახლეობის დასაშოშმინებლად.

მაგალითად, აი, რა ინფორმაციას გვაწვდის ამასთან დაკავშირებით წითელი არმიის წინააღმდეგ იმხანად გამართული საბრძოლო ოპერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გენერალი გიორგი მაზნიაშვილი: „როდესაც ჩემი რაზმით რკინიგზის სადგურს დავუპირისპირდი, სადგურის შესავალთან შევამჩნიე მრავალი ავტომობილი. იმ ფიქრით, რომ შეიძლებოდა მენახა მთავარსარდალი, ან

მთავრობის რომელიმე წევრი და გამეგო დაწვრილებით უკან დახევის მიზეზი, გავუხვიე სადგურისაკენ. დარბაზი გაჭედილი იყო ქალაქის მცხოვრებლებით. ყველა ჩქარობდა წასულიყო მატარებლით, რომლებიც ერთი მეორეზე მიდიოდნენ მცხეთისაკენ. მგზავრთა შორის შევამჩნიე პოეტების ჯგუფი, რომელთა შორის იყვნენ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე და ვგონებ, ლევან მეტრეველი. ესენი მოვიდნენ ჩემთან და რჩევა მთხოვეს, როგორ მოქცეულიყვნენ და მთხოვდნენ ამეხსნა გარშემო დამყარებული მდგომარეობა. იმათ მე ვუპასუხე: - ყმაწვილებო, არ ვიცი, რად აიღეს ხელი ტფილისის დაცვაზე და რად წავიდნენ მთავრობა და მთავარსარდალი, ალბათ მათ ჰქონდათ სერიოზული მიზეზები, მაგრამ არ მესმის, თქვენ რად სტოვებთ დედაქალაქს! რამდენადაც გიცნობთ, თქვენ არც მეომარი ხალხი ხართ და არც პოლიტიკოსები. მოქალაქის მოვალეობა გავალებთ, დარჩეთ ტფილისში, მიიღოთ ენერგიული ზომები მცხოვრებლების დასამშვიდებლად. ჩემის აზრით, თქვენ დაუყოვნებლივ უნდა წახვიდეთ მოწინააღმდეგესთან, უნდა უთხრათ, რომ საქართველოს მთავრობამ და მისმა ჯარებმა ტფილისი დატოვეს და თხოვოთ, მიიღონ ზომები, რომ ხალხის ნაძირალა ელემენტებმა არ ისარგებლონ არეულობით ბოლშევიკური ჯარების შემოსვლის დროს და ძალადობასა და ძარცვა-გლეჯას არ მიჰყონ ხელი. ამით თქვენ მოუტანთ ჩვენს დედაქალაქს დიდ სარგებლობას. ეს ვუთხარი და საჩქაროდ გავშორდი, რადგან უნდა დავწეოდი ჩვენს რაზმს.

შემდგომში გავიგე, რომ ზოგიერთმა მათგანმა მიიღო ჩემი რჩევა. ბოლშევიკური ჯარების შემოსვლის დროს ტფილისში რომ არ ჰქონდა ადგილი ძალმომრეობასა და ძარცვას, ეს გარემოება, ჩემის აზრით, უნდა მიეწეროს ჩვენი პოეტების ზემოთ ხსენებული ჯგუფის უნარიანობასაც“ (მაზნიაშვილი, 1990: 177).

თუ გ. მაზნიაშვილის ამ მონათხრობს ვერწმუნებით, 25 თებერვლის თბილისურ ტრაგედიაში პაოლოს მონაწილეობა შექმნილი მდგომარეობის გამო პანიკაში მყოფ მოსახლეობაში წესრიგის დამყარების მცდელობით განისაზღვრებოდა და მას პოლიტიკური დატვირთვა არ ჰქონია.

ამას ადასტურებს აღნიშნული მოვლენის მეორე თანამედროვის - თამარ წულუკიძის მონათხრობიც. კერძოდ, აი, წერდა იგი აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით 1973 წელს ჟურნალ „დროშის“ მეოთხე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „იყო ერთი პოეტი:“

ქალაქში განუკითხაობა და არეულობა სუფევდა. ხალხი პანიკას მოეცვა. შიშით დამფრთხალი ადამიანები თბილისიდან გარბოდნენ. ქალბატონი თამარის დედასაც, რომლის მეუღლეც იმხანად ქალაქში არ იმყოფებოდა, ფოთში გახიზვნა გადაეწყვიტა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა და შვილებიანად ნათესავთან დარჩენილიყო. 25 თებერვალს, შინ მიმავალნი, პლეხანოვის პროსპექტზე თურმე შეიარაღებული ცხენოსნების რაზმს გადაეყარნენ. „რაზმს წინ მოუძღოდა ფიცხ შავრა ცხენზე ამხედრებული გოლიათური გარეგნობის ქართველი ვაჟკაცი. შავი ნაბადი უდარდელად გვერდზე მოეგდო. მისი სახე ნაცნობი მეჩვენა. მას მოჰყვებოდა თორმეტამდე ცხენოსანი. ყველას მხარზე თოფი ჰქონდა გადადებული და მკლავზე წითელი ნაჭერი ეკეთა.

ძნელი არ იყო მიხვედრა, რომ ჩვენ გადავეყარეთ ნებაყოფლობით პატრულს, რომელიც ქუჩაში წესრიგს იცავდა. მაგრამ ვინ იყო ეს კაცი, რაზმის უფროსი? მე ხომ სადღაც მინახავს. ვცდილობ, მოვიგონო და უცებ დედაჩემის ხმა მესმის:

ღმერთო ჩემო! უყურეთ, ეს ხომ პაოლო იაშვილია! - და დედა გაექანა ნაბდიანი მხედრისაკენ...

პაოლოს ეცვა ნახევრად სამხედრო, ნახევრად სამოქალაქო ტანსაცმელი: გალიფე, ჩექმები, მხრებზე ნაბადი, თავზე სვანური ნაბდის ქუდი, ზურგზე შაშხანა, ხოლო სახე - ძლიერი ნებისყოფით სავსე, მკაცრად გამოკვეთილი ნიკაპი, პატარა ულვაშები, გამჭრიახი, არწივისებური თავლები, მსხვილი ცხვირის ნესტოებით."

თებერვლის მოვლენებთან პ. იაშვილის დამოკიდებულების გასარკვევად ასევე უაღრესად საინტერესოა ოთარ ჩხეიძის მოგონებაც იპოლიტე ვართაგავაზე (გაზ. „ლიტ. საქართველო," 1988 წ. 18 მარტი). კერძოდ, აი, რას ყვება ბატონი ოთარი იპოლიტე ვართაგავას მონათხრობზე დაყრდნობით: 1925 წლის 25 თებერვალია. ირგვლივ გაურკვევლობის საშინელი სიჩუმე მეფობს. მეხივით გავარდა ხმა, მენშევიკები გაიქცნენო. სასტუმროში, სადაც მე ვცხოვრობდი, „ჩაკეტილია ყველაფერი, კარები, ფანჯრები, ჩამოშვებულია ფარდებიო. ახლოსაც არ ვეკარებიო, რაღაცას ველოდები, მეც არ ვიცი, რასო." უეცრად გარედან შემოსულმა მჭექარე ხმამ მდუმარება დაარღვია. შეშინებულმა აშკარად გავიგონე, ქუჩიდან ჩემს აივანს ვიღაცა შემოსძახოდა და მე მიხმობდაო. „გავედი და რას ვხედავ: ეტლი დგას ჩემი აივნის წინაო. ეტლში პაოლო იაშვილიაო, წითელი დროშა აღუმართიაო და შემომძახისო: - მე ბოლშევიკებს უნდა შევეგე-

ბოო, შენ წადი და სარაჯიშვილისეული სახლი დაიკავე მწერალთა კავშირისთვისო."

ახლა ძნელი სათქმელია, რამდენად ზუსტია და უცდომელი იპოლიტე ვართაგავას ნაამბობზე დაფუძნებული ეს მონათხრობი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემ მიერ დამოწმებულ სამივე ნაამბობში 1921 წლის 25 თებერვლის მოვლენებში პაოლოს მონაწილეობასთან დაკავშირებით ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებული ინფორმაციაა მოწოდებული, ერთი რამ მათში ხაზგასმულად საერთოა - ის, რომ იმ საბედისწერო დღეს პაოლო მართლაც დადიოდა თბილისის ქუჩებში წესრიგის დასამყარებლად და შექმნილი მდგომარეობით აფორიაქებული და შეშინებული მოსახლეობის დასაშოშმინებლად.

რაც შეეხება საბჭოთა პერიოდის მემუარულ ლიტერატურაში დაფიქსირებულ ცნობას იმასთან დაკავშირებით, თითქოს პაოლოს ამგვარი მოქმედება თბილისში ბოლშევიკების შემოსვლისადმი მხარდაჭერით იყო განპირობებული, ეს ფაქტი, შესაძლოა, იმდროინდელი იდეოლოგიის ზეგავლენის შედეგს წარმოადგენდა, საბჭოური თვალთახედვით მოვლენათა წარმოსახვას, და ნაკლებად შეესაბამებოდა რეალურ მდგომარეობას.

მივუბრუნდეთ ი. ვართაგავას მოგონებას. შიშიდან და გაოგნებიდან მალე გამოვედი და სარაჯიშვილის სასახლისკენ გავემართეო, - განაგრძობს იპოლიტეს ნაუბრის მოთხრობას ოთარ ჩხეიძე. - ვხედავ, შენობას უამრავი ხალხი მისევია და არის ერთი ტაციაობა; აკრავენ რაღაც წარწერებს. „ერთი რო გააკრავს, მეორე ჩამოჰხევსო, მესამე რო გააკრავს, მეოთხე ჩამოჰხევსო. ყველას რაღაც კომიტეტი ეწერა, ყველა კომიტეტი შიგ მიიწევდაო. ავდექი და მეც ავყევიო. დავწერე და გავაკარიო: „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი." გავაკარი და გავიქეცი კოტე მაყაშვილთანო (იმხანად მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან - ა. ნ.). - არიქა, წამოდი, დავიკავოთო, - ვუთხარი." კოტემ პავლე ინგოროყვაც თან გამოიყოლა და სამივემ მართლაც დავიკავეთ, მალე პაოლოც შემოგვეშველაო."

1921 წლის მოვლენებთან პაოლოს დამოკიდებულების გარკვევის დროს უთუოდ უნდა გავიხსენთ მისი ლექსიც - „ახალ საქართველოს," რომელიც პირველად იმავე წლის ივლისში დაიბეჭდა თბილისში გამოცემული ჟურნალის - „კავკასიის ხალხებისა და ენების" პირველ ნომერში (ამასთან დაკავშირებით იხ: ზაურ მეძველიას წერილი ჟურნალ „ცისკრის" 1985 წლის მე-11 ნომერში).

ხსენებული ლექსის ტექსტოლოგიური ისტორიის შესასწავლად ასევე საინტერესოა პროფ. იოსებ მეგრელიძის მიერ ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის რუსული ლიტერატურის ინსტიტუტის (პუშკინის სახლის) არქივში 1970 წელს მიკვლეული პაოლოს უცნობი ლექსი, რომელიც პირველი მაისის დღესასწაულისადმია მიძღვნილი (აღნიშნული ტექსტი იხ: გაზ. „თბილისი," 1976 წ. 16 დეკემბერი). ი. მეგრელიძეცა და ზ. მეძველიაც ამ ლექსს „ახალი საქართველოს" პოეტურ ვარიანტად თვლიან.

ხსენებული ლექსების მიჩნევა ერთი პოეტური ნაწარმოების ორ ვარიანტად, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული აქსესუარების გამოკვეთილმა მსგავსებამ (ცალკეულ შემთხვევებში იდენტურობამაც) და რიტმულ-მუსიკალური ინტონაციის იგივეობამ განაპირობა. საამისო საფუძველს თითქოს ისიც იძლევა, რომ ლირიკული გმირის ემოციური აღტკინება ორივეგან პირველი მაისის დღესასწაულთანაა დაკავშირებული.

მაგრამ, თუ კარგად დავაკვირდებით ხსენებული ლექსების შინაარსსა და იდეურ მიზანდასახულობას, მსგავსებასთან ერთად, მათ შორის არსებულ მსოფლმხედველობრივ განსხვავებასაც აშკარად დავინახავთ. კერძოდ, „ახალი საქართველოს" ძირითადი სულისკვეთების წარმოჩენა პოეტმა პირველ ყოვლისა „ახალი ნაღმებით" „ძველი, დახავსებული ქვეყნის აფეთქების" მძაფრ სურვილს დაუკავშირა და საქართველოს სამომავლო განვითარების პერსპექტივად „წითელ რუსეთთან დაძმობილების" გზა მიიჩნია. პაოლოს ხაზგასმით, სწორედ ეს მოგვცემდა რეალურ შესაძლებლობას საიმისოდ, ჩვენი „ლეგენდარული წარსული" რომ გაგვეცოცხლებინა და კვლავ დაგვებრუნებინა ძველი ეროვნული დიდება. ავტორისეული სათქმელის არსში უკეთ გასარკვევად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს თავად პოეტური ტექსტიდან:

> აზიის კარო! ფერად ბაღებით, ლურჯი ცის თაღით ხარ დაფარული!
> ხარობს გმირული ბაირაღებით შენი წარსული ლეგენდარული!
> შენს ჯვაროსნობას ჩვენ ვეთანხმებით, შენი გმირობით
> ვართ ავსებული, -
> მაშ, ავაფეთქოთ ახალ ნაღმებით ძველი ქვეყანა დახავსებული...
> მზად არის თოფი! მზად არის ხმალი! მტრებს ჩვენ ვეყოფით
> მარტო კბილებით,
> დავაგვირგვინოთ ჩვენ მომავალი წითელ რუსეთთან დაძმობილებით.

ახლა მოკლედ შევეხოთ ამ ლექსის ვარიანტად მიჩნეულ პირს, რომელიც, როგორც ითქვა, პირველი მაისისადმია მიძღვნილი (ლექ-

სის ეს ვარიანტი იხ: გაზ. „თბილისი," 1976 წ. 16 დეკემბერი). ხსენებული ვარიანტის უმთავრეს სულისკვეთებას ამჯერად პირველი მაისის სადღესასწაულო განწყობილების ემოციური ფორმით გამოხატვა წარმოადგენს. მართალია, მასშიც, მსგავსად პირველი ვარიანტისა, წარსულის სიკვდილზეცა და ბედნიერი მომავლის დამკვიდრებაზეცაა საუბარი, მაგრამ ძველი ყოფის დანგრევის პერსპექტივა პოეტმა ამჯერად „წითელ რუსეთთან დაძმობილებას" კი არ დაუკავშირა, არამედ პირველი მაისის სახალხო აღტკინებას. აი, ეს ლექსიც:

ცეცხლი მოედო ქვეყნიერებას, წითელი დროშა გვაქვს სამკაულად,
ჩვენ გადავაქცევთ ბედნიერებას პირველ მაისის დღესასწაულად!
კვდება წარსული, მოდის ახალი, იღვიძებს ხალხი, ხაროზს მშრომელი,
იმარჯვებს აზრი, მუდამ მაღალი და ჩვენი ბრძოლა დაუდგრომელი!
დაინგრა ძველი ციხის კედელი და ჯალათების მოკვდა თარეში,
და ხალხი, თავის ბედის მჭედელი, მოდის სიმღერით შვების მხარეში.
და ხმა, რომელიც ახლა გაისმა, მარად იქნება და იმღერება!
ჩვენ მოგვიტანა პირველ მაისმა ეს სამუდამო ბედნიერება.
ჩვენი ვარსკვლავი ხუთკუთხიანი, ბრძოლის ღერძია და სამკაული,
იყოს ნათელი, იყოს ხმიანი პირველ მაისის დღესასწაული.

საბოლოოდ, რა უნდა ითქვას განხილულ ლექსებში ავტორის მიერ ესოდენ მკაფიოდ და არაორაზროვნად გამოხატული იდეურ-მსოფლმხედველობრივი თვალთახედვის შესახებ? რით შეიძლება აიხსნეს მათ ერთ-ერთ ვარიანტში პოეტის მიერ გამოხატული დაუოკებელი სწრაფვა „წითელ რუსეთთან" საქართველოს დაძმობილებისაკენ?

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ საკმაოდ რთულ ამ კითხვებზე ზუსტი და ერთმნიშვნელოვნად ნათელი პასუხის გაცემა დღეს ალბათ შეუძლებელი იქნება. დაბეჯითებით ვერც იმას ვიტყვით, ამ ორი ვარიანტიდან უფრო ადრინდელი რომელია. ერთი რამ, რაც შეიძლება მათი შეფასების დროს ხაზგასმით აღვნიშნოთ, მხოლოდ ისაა, რევოლუციისა და „წითელი რუსეთისადმი" „ცისფერყანწელებს" იმხანად მართლაც რომ ჰქონდათ რამდენადმე პოზიტიური დამოკიდებულება.

ეს არა მარტო პაოლოს ამ ლექსიდან ჩანს, არამედ ტიციან ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის მიერ 1921 წელს გამოცემული პოეტური კრებულითაც - „რევოლუციის პოეტები," რომელშიც წარმოდგენილია ქართველი, რუსი და მსოფლიოს სხვა მრავალი ქვეყნის პოეტთა მიერ სხვადასხვა დროსა და ეპოქაში რევოლუციის თემაზე და-

წერილი ლექსები. წიგნისთვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში აღნიშნულია: „ქართული პოეზია რომ აგრძელებს ტრადიციას ბრძოლისას, ეს აშკარაა ამ წიგნიდანაც. ქართველი პოეტები ასე ფიქრობენ: ეროვნული თავისუფლება დამოკიდებულია სოციალურ განთავისუფლებაზე და რევოლუციის დაცვა ეს არის ეროვნების იდეის დაცვა, რადგან შრომის განთავისუფლებასთან განთავისუფლდება ერიც.“

როგორც აქედანაც ნათლად ჩანს, რევოლუციასთან კრებულის შემდგენელთა დამოკიდებულებას არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ისინი ამ მოვლენას ეროვნულ პრობლემათა გადაწყვეტის დიდ მოლოდინსაც უკავშირებდნენ აქტიურად. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ კრებულის შემდგენელთა და მათ თანამოზრეთა იმდროინდელ კეთილგანწყობით დამოკიდებულებას რევოლუციისადმი სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავდა არსებითად.

აღნიშნული თვალთახედვის დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ ხსენებულ კრებულში მათმა შემდგენლებმა თავი მოუყარეს ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული ქვეყნებისა და ეპოქების წარმომადგენელი ისეთი ავტორების პოეტურ ტექსტებს, როგორებიც არიან: მიცკევიჩი, ჰიუგო, რემბო, ვერჰარნი, პუშკინი, ნეკრასოვი, გორკი...

ხსენებული კრებულის შეფასების დროს ხაზგასმით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი შემდგენლების მიერ რევოლუციის გაგება პრინციპულად არ ემთხვევა ამ სიტყვის საბჭოურ მნიშვნელობას. რევოლუცია მათ მიერ პირველ ყოვლისა ყოველივე ძველის, დახავსებულის, პროგრესულ მოვლენათა ხელმყოფ და გამანადგურებელ ძალასთან იყო გაიგივებული და სწორედ ეს გარემოება განაპირობებდა მათ აქტიურ თანადგომას აღნიშნული მოვლენისადმი.

რაც შეეხება იმას, იმხანად განვითარებულმა რევოლუციურმა მოვლენებმა რამდენად გაამართლა მათი ამგვარი თვალთახედვა, ეს უკვე სულ სხვა საკითხია. თუმცა, როგორც ეს პაოლოს საანალიზო ლექსებიდანაც თვალნათლივ ჩანს, ის (და არა მარტო ის) იმჟამინდელ პოლიტიკურ რეალობას მაშინ სწორედ ამგვარი ილუზიური და რომანტიზებული თვალთახედვით აღიქვამდა.

აქედან გამომდინარე, ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ პაოლოს ლექსებში გამოვლენილი პოზიტიური დამოკიდებულება რევოლუციისა და „წითელი რუსეთისადმი“ პოეტის იმჟამინდელი

ილუზიური რომანტიზმის ეფემერულ გამოვლინებას წარმოადგენდა, იმდროინდელ მოვლენათა არსში სათანადოდ გაურკვეველი პიროვნების ემოციურ ოპტიმიზმს, რაც მას მისი ეროვნული და სოციალური იდეალების რეალობად ქცევის მოლოდინს უჩენდა.

საბოლოოდ, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ იმ გარემოებას, რომ პაოლოს დამოწმებულ ლექსებში რომანტიზებული ფორმით გამოვლენილი პრორუსული ეროვნული თვალთახედვა მათი ავტორის ილუზიური წარმოსახვის შედეგი იყო, ვითარების არსში სათანადოდ გაურკვეველი პიროვნების ემოციის სამწუხარო გამოვლინება.

კონსტანტინე გამსახურდია

მეოცე საუკუნეში მოღვაწე იმ ქართველ მწერალთა შორის, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებითი მოღვაწეობით ბევრი რამ გააკეთეს ჩვენს რეალობაში ევროპულ ფასეულობათა კიდევ უფრო მეტად დასამკვიდრებლად, განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის კონსტანტინე გამსახურდიას (1893-1975 წწ.). ევროპაში განსწავლული და იქ მიმდინარე მოვლენათა არსში საფუძვლიანად გარკვეული მწერალი არა მარტო თავისი მხატვრული შემოქმედებით იყო აქტიურად დაკავშირებული იმდროინდელ ევროპულ ლიტერატურულ პროცესებთან, არამედ მან შესაბამისი პერიოდის პრესაში მრავლად გამოქვეყნებული წერილებითაც და პრაქტიკული მოღვაწეობითაც ბევრი რამ გააკეთა საიმისოდ, იმდროინდელი საქართველო უფრო მეტად რომ ქცეულიყო ევროპული სამყაროს ორგანულ ნაწილად.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის შესასწავლად მის მხატვრულ შემოქმედებაზე არანაკლებად მნიშვნელოვანია მისი პუბლიცისტური წერილები. ამ თვალსაზრისთი განსაკუთრებით საინტერესოა 1917-1921 წლებში გამოქვეყნებული მისი ის პუბლიკაციები, რომელთა მეშვეობითაც იგი აქტიურად ეხმაურებოდა და კრიტიკული თვალთახედვით აანალიზებდა იმხანად მიმდინარე დიდმნიშვნელოვან მოვლენებს. სამწუხაროდ, ამ პუბლიკაციათა დიდი ნაწილი იმდროინდელ პერიოდულ გამოცემებშია გაბნეული და ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებადაა ხელმისაწვდომი.

თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალთახედვის მკაფიოდ წარმომჩენი ამ წერილებით კონსტანტინე გამსახურდია იმთავითვე მოგვევლინა მისი დიდი წინამორბედების გზის გამგრძელებლად და თანამოაზრედ. ნათქვამის ნათელსაყოფად არაერთი დებულება შეიძლება დავიმოწმოთ მწერლის იმდროინდელი პუბლიკაციებიდან. ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი სიცხადისა და დამაჯერებლობის მისაცემად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტებს 1917-1921 წლების ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მისი წერილებიდან.

1917 წელს გაზეთ „სახალხო ფურცლის" 28 აპრილის ნომერში დაბეჭდილ სტატიაში „ქართული აკადემია" კ. გამსახურდიამ კი-

დევ ერთხელ გამოხატა პროტესტი ჩვენი ეროვნული მთლიანობისთვის ძირის გამომთხრელი იმ მმართველობითი პოლიტიკის გამო, რომელსაც რუსეთის იმპერიული ხელისუფლება ატარებდა ჩვენი ქვეყნის მიმართ. კერძოდ, აი, რას წერდა თავად ის ამასთან დაკავშირებით: „ხშირად შეხვდებით რუსის გეოგრაფიულ საზოგადოების ბიულეტენებში იმ უსაფუძვლო და ტენდენციურ დეფინიციას ქართველობისას, სადაც „ქართველი," „იმერელი", „მეგრელი" და „სვანი" სხვა და სხვა ეროვნებადაა წარმოდგენილი."

როგორც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამდე გამოქვეყნებულ თავის პუბლიცისტურ წერილებში კ. გამსახურდია აქტიურად ცდილობდა დაეცვა ამ პარტიის ეროვნულ-პოლიტიკური პრინციპები, რომელთა მეშვეობითაც იგი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ მომავალს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ფედერალიზმის სტატუსის მოპოვებით განსაზღვრავდა. კერძოდ, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გამოქვეყნებულ წერილში „კულტურულ-ნაციონალური ავტონომია" კ. გამსახურდია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „ყველა არარუსი, რუსეთში მოსახლე ყველა მცირე ერი, პოლონელების გარდა, მზადაა ფედერაციულ პრინციპზე აგებული სახელმწიფოებრივი თანამშრომლობა იკისროს ველიკოროსებთან ერთად."

სოსო სიგუას შეფასებით, დამოწმებული ფრაგმენტიდან თვალნათლივ ჩანს, რომ მწერალი იმხანად ჯერ კიდევ არ მოითხოვდა ჩვენი ქვეყნის სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და რუსეთის შემადგენლობაში ფედერალიზმის საფუძველზე საქართველოს გაერთიანების მოთხოვნით ფაქტობრივად სოციალ-ფედერალისტური პარტიის თვალსაზრისს გამოხატავდა. ასე რომ, 1917 წელს კ. გამსახურდია ჯერ კიდევ ფედერალიზმის პრინციპების მომხრე იყო (სიგუა, 2011 (2): 69).

ავტონომიისა და ფედერალიზმის ეს მოთხოვნა, რაც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენლებისათვის უმთავრეს პარტიულ მიზანდასახულობას წარმოადგენდა, 1917 წლის „თებერვლის რევოლუციამდე ჟღერდა რადიკალურ და რევოლუციურ მოთხოვნად, შემდეგ კი რეგრესულიც გამოდგა... ამდენად, პარტიის პროგრამა დრომ მოაძველა." ამ გარემოებიდან გამომდინარე, კ. გამსახურდია 1918 წელს ხსენებული პარტიიდან გავიდა, თუმცა მათ პრესაში თანამშრომლობას კვლავაც აქტიურად აგრძელებდა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, „კ. გამსახურდია არ ყოფილა წმინდა პარტიული მუშაკი. მას არც სოციალიზმისა და არც ფედერალიზმის პრინციპები არ უქადაგია და არ დაუმუშავებია... იგი რჩებოდა თავისუფალ მოაზროვნედ, რომლის შეხედულებანი სცილდებოდა ვიწრო პარტიულ ინტერესებს, პარტიის ტაქტიკურ ამოცანებს. შეიძლება ითქვას, რომ მისი შეხედულებანი უფრო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაზრისს შეესაბამებოდა“ (სიგუა, 2011 (2): 75).

როგორც ცნობილია, რუსეთის იმპერიაში 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ განვითარებულ დიდმნიშვნელოვან მოვლენათა შედეგად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ზღურბლთან მდგარი ჩვენი ქვეყანა აქტიურად მოექცა დიდი ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკური თვალთახედვის არეალში. კ. გამსახურდიას იმდროინდელი პუბლიკაციები იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ მწერალი აქტიურად გამოეხმაურა ამ მოვლენას და მისეული თვალთახედვით ცადა შეეფასებინა ამ პროცესის როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მხარეები.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა გაზეთ „სახალხო ფურცლის“ 1917 წლის 4 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული მისი წერილი „მწერლის დღიური.“ ხსენებული პუბლიკაციით კ. გამსახურდიამ მისეული თვალთახედვით ცადა შეეფასებინა ის ინტერესი, რაც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის განმაპირობებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. კერძოდ, აი, რას წერდა თავად მწერალი ამასთან დაკავშირებით: „ევროპიულ საზოგადოებას ჩვენი ქვეყნის საკითხის ერთად ერთ გამოსავალ გზად საქართველოს სრული დამოუკიდებლობა მიაჩნია. ბაღდად-ბერლინის გზამ და გერმანულ „დრანგ ნახ ოსტენის“ პოლიტიკამ კიდევ ერთხელ მიაქცია ევროპის ყურადღება მცირე აზიისა და კავკასიონისკენ.

გერმანელთა აღმოსავლეთის პოლიტიკით, ერთ-ერთ პლატფორმად კავკასიაც გახდა, რადგან ავსტრო-გერმანიას კავკასია წარმოდგენილი ჰქონდათ არა მარტო მომავალ სტრატეგიულ ოპერაციათა ბაზისად და ეკონომიურ ასპარეზად, არამედ უძლიერეს პოლიტიკურ სოლად, რომელიც შეზღუდავდა ინგლისელ-რუსთა მისწრაფებას ირანის მიდამოებისაკენ... გერმანიაში გაჩნდა იდეა:“ „ერთად ერთი გზა საქართველოს საკითხის გადასაჭრელად ეს საქართველოს „პუფერ შტატია.“

იმის ხაგასმით, რომ „პუფერ სახელმწიფოს არც ერთი ერისთვის არ მიუზღავს პოლიტიკური მშვიდობიანობა“ და ამგავრ რეალობაში მოქცეული „მცირე ერები მუდამ ორ ცეცხლს შუა ვარდებოდნენ,“ კ. გამსახურდია ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მომავლის ამ პერსპექტივას ნეგატიურად შეფასებას აძლევდა და ხაზგასმით აღნიშნავდა: „პუფერობა ქართველი ერისათვის სახელმწიფოებრივი წყობილების იდეალური ფორმა ვერ იქნება,“ რადგანაც „პუფერ სახელმწიფოს არც ერთი ერისთვის არ მიუზღავს პოლიტიკური მშვიდობიანობა. წინააღმდეგობათა ამგვარი გადაჭრით მუდამ ორ ცეცხლს შუა ვარდებოდნენ მცირე ერები. დიდ სახელმწიფოთა შორის მყოფ პუფერების ბედი ერთია. რომელიმე უძლიერეს მეზობელთაგან გადალახავს მას ადრე თუ გვიან... მომავალმა ინტერნაციონალურმა კონგრესმა საქართველოს პუფერობა კიდევაც რომ აღიაროს, ეს ვერ იქნება ქართველი ერისთვის იდეალური ფორმა სახელმწიფოებრივი წყობილებისა.“

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, კ. გამსახურდია ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ მომავალს პირველ ყოვლისა მაინც ევროპასთან აკავშირებდა და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ევროპული სახელმწიფოების აქტიური მხარდაჭერის გარეშე საქართველოს დამოუკიდებლობას მყარი საფუძველი ვერ ექნებოდა. თუმცა ევროპასთან ამგვარი ურთიერთობა არამც და არამც არ უნდა ქცეულიყო ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დამცრობის განმაპირობებელ ფაქტორად.

კერძოდ, აი, რას წერდა თავად მწერალი ხსენებულ პუბლიკაციაში ამასთან დაკავშირებით: „იმისათვის, რომ ქართველი ერის პოლიტიკური სატკივარი ჯეროვნად იქნეს მოვლილი, საჭიროა არა მარტო რუსის დამფუძნებელი კრების დასტური, არამედ ერთგვარი ინტერნაციონალური გარანტია... სანამდის ევროპა კაცობრიობის ავანგარდში დგას, მუდამ და მარად უნდა ვაფასებდეთ ევროპის საზოგადოებრივ აზრს. ხოლო ამისთვის საჭიროა ჩვენ თვითვე ჩავუდგეთ სათავეში ჩვენი საკითხის ჯეროვნად გაშუქებას საზღვარგარეთ.“

საანალიზო პერიოდში ეროვნული და პოლიტიკური საქმიანობით კ. გამსახურდიას განსაკუთრებული გააქტიურება არსებითად განაპირობა იმ დროისათვის რუსეთის იმპერიასა და, შესაბამისად, ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე დიდმნიშვნელოვანმა მოვლენებმა. კერძოდ, მწერლის თქმით, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შედე-

გად აზვირთებულმა „მეცხრე ტალღამ, რომელმაც რუსეთის მონარქია დაამხო, მცირერიცხოვან ერებს იმედი ჩაუსახათ გულში ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა. საოცარი სისწრაფით წარიმართნენ მოვლენები. ნოე ჟორდანიამ, კაკი წერეთელმა, ევგენი გეგეჭკორმა და მათმა მიმყოლებმა „ამიერკავკასიის ფედერაცია» მოაცოდვილეს. ჩვენ, ახალგაზრდებს, ძლივს გვაოკებდნენ ხანდაზმული მეგობრები, რადგან დამოუკიდებელი საქართველო გვენატრებოდა და არა ხელოვნურად შეხოხოლებული ფედერაცია».

1918 წელს, როცა ოსმალეთმა საქართველოს საზღვრები გადმოლახა, კ. გამსახურდიამ, მისივე თქმით, „კალმის ნაცვლად ხელში ხმალი აიღო და ეს იყო მისი სიცოცხლის უბედნიერესი წუთები». კერძოდ, ხსენებული წლის მარტში მწერალი „მოხალისედ ჩაეწერა ქართულ ლაშქარში, რათა ებრძოლა თურქი ასკერების წინააღმდეგ, რომელთაც ბოლშევიკურმა რუსეთმა, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის თანახმად, გადასცა სამხრეთ საქართველო.

კონსტანტინემ აიღო კარაბინი, ჩაიცვა სამხედრო ფორმა და თბილისიდან ბათუმში მატარებელს გაჰყვა." მაგრამ ბათუმის სწრაფი დაცემის გამო ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია (სიგუა, 2011(1):78).

აღნიშნულ ტრაგიკულ მოვლენას კონსტანტინე გამსახურდია მაშინ გაზეთ „სახალხო საქმის" 1918 წლის 22 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული ლექსითაც („ქართულ არტილერიას") გამოეხმაურა, რომლის მეშვეობითაც შემდეგნაირად გამოხატა თავისი პატრიოტული გრძნობები:

საბედისწერო დღე გვაუწყა სიონის ზარმა,
ო, ჰამლეტ, ჰამლეტ, გადააგდე ხმალი სასწორში.
მუზების პარნასს მე ვარჩიე ბნელი ყაზარმა,
გუშაგად მივალთ, ერო ჩემო, შენს ველ-მინდორში.
...მივდივართ ბრძოლად განწირული ყორნისფერ რაშით
და მელანდება მე ასპინძა, კრწანისის ველი,
„ჰაუ," მივჰყივი მამა-პაპათ უკვდავ აჩრდილებს:
„დიდო ბატონო," მოგვაშველე ეგ მკვდარი ხელი.
ნუთუ დასტოვებ უპატრონოდ შენ ერთგულ შვილებს?!
მინდა მოვუხმო ამერ-იმერთ, ერთგულ ხევსურებს,
ამიშვით, ძმებო, ჩამოვრეკო მეტეხზე ზარი,
დღეს ჩვენთან მოვა, ქართლის დაცვას ვინც მოისურვებს...
ჰხამს მომაკვდავი მამულისთვის ცეცხლს ეზიაროს,
ქართველო ერო! გარეწართა გრიშზე გაგყიდეს!
სჯობს მტრად მოსულმა ჩვენ ცხედრებზე გადაიაროს,
ვიდრე სამშობლოს ვერაგულად თვალებს დასთხრიდეს...

საანალიზო პერიოდში კ. გამსახურდიას ეროვნული მრწამსის წარმომჩენ ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად ის უკომპრომისო ბრძოლაც იქცა, რომელიც მან 1917 წელს გაუმართა ნიკო მარს საქართველოში ე. წ. ინტერნაციონალური უნივერსიტეტის გახსნასთან დაკავშირებით. მსოფლიოს მრავალი დიდი უნივერსიტეტის მეცნიერულ მიღწევებს ნაზიარებ მწერალს სწავლა-განათლების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ერის ინტელექტუალური დონის ამაღლების საქმეში ვინ ასწავლიდა. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მან კატეგორიული სიმკაცრით დაგმო ნ. მარისა და მისი მომხრეების იდეა თბილისში ხსენებული უნივერსიტეტის დაარსების შესახებ. ამ გულისწყრომის განმაპირობებელ უმთავრეს მიზეზად პირველ ყოვლისა ის გარემოება იქცა, რომ ეს უნივერსიტეტი "არაეროვნული დაწესებულება" იქნებოდა, რომელშიც "არა ქართული ენა იბატონებდა" და "სახელმწიფოს კოლონიური ინტერესი დაჩრდილავდა ყოველგვარ ინდივიდუალურ ეროვნულ სულსა და შემოქმედებას". "ინტერნაციონალური უნივერსიტეტის" გახსნა, კ. გამსახურდიას შეფასებით, "ისეთი საშიში კულტურული კონტრაბანდის შემოტანას ნიშნავდა ტფილისში, რომელიც ბერძნის ჯარისკაცებზე მეტ საფრთხეს გაუმზადებდა როგორც ქართველ ერს, ისე მის მეზობლად მოსახლე ერებს კავკასიაში" (გამსახურდია, 1983: 292).

ისეთი მკვეთრად გამოვლენილი ეროვნულ-პატრიოტული მრწამისის მამულიშვილისათვის, როგორიც კ. გამსახურდია იყო, ბუნებრივია, ყოვლად მიუღებელი იქნებოდა მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩვენში ფართოდ აღზევებული რევოლუციური მოძრაობა, რომლის მიმდევარნი ადამიანური მიზანსწრაფვის უმთავრეს საგნად მხოლოდ სოციალურ თანასწორობას ქადაგებდნენ და ეროვნული ნიჰილიზმით იყვნენ შეპყრობილი. თავისი ნეგატიური დამოკიდებულება ამ მოვლენებისადმი მწერალმა თავიდანვე, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველი წლებიდანვე, გამოხატა, რაც ნათლად ვლინდება მის იმდროინდელ წერილებში.

მიუხედავად მშობელი ქვეყნისადმი ფანატიკური სიყვარულისა, კ. გამსახურდია არც კრიტიკული განსჯისა და მოვლენათა რეალისტური შეფასების უნარს კარგავდა და საქართველოს ისტორიული მისიის გააზრების დროს არასოდეს მიმართავდა წარსულის ყალბ და უსაფუძვლო იდეალიზაციას. მსოფლიოს დიდ ცივილიზებულ ერთა ისტორიის შესანიშნავად მცოდნე მწერალი ყოველ-

გვარი გადაჭარბების გარეშე აფასებდა ქართველი ხალხის როლსა და ადგილს ცივილიზაციათა მთლიან სისტემაში.

მიუხედავად იმისა, რომ, მისი აზრით, "დიდი ერის ნატეხი ვართ", ჩვენი ქვეყანა არასოდეს ყოფილა "ახალ იდეათა და მიმდინარეობათა ისეთი ბაზისი, როგორიც ძველი ინდოეთი, სპარსეთი, ახალი საფრანგეთი, გერმანია და ინგლისი" იყო. ჩვენთვის არც "ახალ იდეათა ჯვაროსნობა და არც რეფორმატორული მისსია დაუკისრებია ისტორიას. ჩვენი ეროვნული ცხოვრების დუღილი ჩვენივე ქვეყნის ზღუდეებს არ გასცილებია" (გამსახურდია, 1983: 292).

ამ მოსაზრებას მწერალი 1917 წელს გამოთქვამდა, იმ დროს, როცა ჩვენი ერის უდიდესი ნაწილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური მოლოდინით იყო აღტაცებული. მაგრამ კ. გამსახურდია თვით ამ პერიოდშიც კი არ ჩავარდნილა ეიფორიაში და არ დაუკარგავს მოვლენათა ობიექტური შეფასების უნარი. მართალია, ჩვენი წარსულისადმი მისი დამოკიდებულება უღრმესი მოწიწებითა და ფანატიკური სიყვარულით იყო გაბრწყინებული, მაგრამ ისტორიის ამგვარი იდეალიზაცია, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, "ისტორიის ფალსიფიკაციად" არასოდეს გარდაქმნილა.

კ. გამსახურდიამ თავისი ეროვნული თვალთახედვა საანალიზო პერიოდში შექმნილი ლექსებითაც გამოხატა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა 1917 წელს დაწერილი "ტფილისური საღამო", რომელშიც თავისი ქვეყნის იმდროინდელი მდგომარეობით განპირობებული "შავნაღვლიანი" განწყობილება ავტორმა ამგვარი ფორმით გამოხატა (გამსახურდია, 1980:528):

დაეხატა მტკვარს მკერდზე საფირონის ციონი.
"მოკვდა ბაგრატიონი, მოკვდა ბაგრატიონი", -
აგუგუნდნენ ზარები, აქვითინდა სიონი.

მშობელი ქვეყნის აწმყოსა და მომავალზე ამგვარი "შავნაღვლიანი ფიქრი" კ. გამსახურდიას ევროპის ქვეყნებში განსწავლის წლებშიც განუშორებლად სდევდა თან და მისი უმთავრესი მისწრაფების საგნად ყოველთვის რჩებოდა საქართველოსთვის თავდადება.

როგორც კ. გამსახურდიას ბიოგრაფიიდან ცნობილია, გერმანიაში მყოფი მწერალი 1920 წლის ბოლოს სამშობლოში ბრუნდება და ენერგიულად ებმება ლიტერატურულ, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა მწერალმა სავსებით ლოგიკურად დაიკავა მკვეთრად უარყოფითი პოზიცია 1921 წლის თებერვლის

მოვლენებისადმი. იგი იმთავითვე დაუპირისპირდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას და ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლ მამულიშვილთა ერთ-ერთ აქტიურ ლიდერად მოგვევლინა. კ. გამსახურდიას ბრძოლა რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ წლების განმავლობაში რომ გაგრძელდა, ამას თვალნათლივ ადასტურებს როგორც მისი მხატვრულ-პუბლიცისტური შემოქმედება, ისე საზოგადოებრივი მოღვაწეობაც.

სწორედ ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა 1921 წლის 7 მაისს გაზეთ "სოციალისტ-ფედერალისტში" გამოქვეყნებული მისი "ღია წერილი ულიანოვ-ლენინისადმი". როგორც ცნობილია, ამგვარი აქტიური ანტისაბჭოთა მოღვაწეობის გამო მწერალი 1922 წლის თებერვალში დააპატიმრეს და რამდენიმე დღით მეტეხის ციხეში ჩასვეს.

კ. გამსახურდიას ხსენებული პუბლიკაცია არა მარტო იმ მხრივაა უაღრესად საინტერესო, რომ იგი მკვეთრად რეტუშირებული ფორმით ავლენს ავტორის ანტირუსულ თვალთახედვას, არამედ იმ თვალსაზრისითაც, რომ მწერალმა მისი მეშვეობით ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და სამომავლო განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებითაც გამოხატა მისეული თვალთახედვა. ყოველივე ზემოთქმულის დასტურად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტებს აღნიშნული წერილიდან.

პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში უაღრესად ნეგატიური იმ როლის შეფასებაა, რომელიც კიდევ ერთხელ გამოხატა კ. გამსახურდიამ რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას იგი იმ ტრაგედიის ლოგიკურ გაგრძელებად მიიჩნევდა, რომელიც 1801 წელს განახორციელა ამ იმპერიის იმჟამინდელმა ხელისუფლებამ საქართველოს დასაპყრობად.

კ. გამსახურდიას ხაზგასმით, წითელი არმიისა და რუსეთის იმდროინდელი იმპერატორის - ალექსანდრე პირველის მიერ ჩვენი ქვეყნის დასაპყრობად განხორციელებული დამპყრობლური პოლიტიკა ამ თვალსაზრისით არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. კერძოდ, აი, რას წერდა თავად მწერალი ლენინს ამასთან დაკავშირებით: „რუსეთ-საქართველოს დამოკიდებულება ისე გამწვავებული არა ყოფილა, როგორც დღეს. თუმცა თქვენი წითელი არმია განმათავისუფლებლის ლოზუნგებით მოვიდა ამ წელს საქართველოში.

ასი წლის წინათაც ალექსანდრე პირველის ჯარისკაცებიც განმათავისუფლებლის როლში დაინახა საქართველომ."

ხსენებული წერილის მეშვეობით მწერალმა ლენინს იმის შესახებაც მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გატარებულმა დამპყრობლურმა პოლიტიკამ პრორუსულად განწყობილ პოლიტიკოსთა მნიშვნელოვანი ნაწილის, მათ შორის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იმჟამინდელი თავკაცის - ნოე ჟორდანიას, პოლიტიკური თვალთახედვაც რომ შეცვალა რადიკალურად.

კერძოდ, აი, რას წერდა თავად მწერალი ამასთან დაკავშირებით: „1783 წლის ტრაქტატი გულისხმობდა, რომ საქართველო რუსეთის დიდი პოლიტიკის ორბიტაში მოექცეოდა... მაგრამ საქმე ორბიტაში შესვლით არ გათავებულა... ასი წელიწადი დიდი რუსეთის პოლიტიკამ იმდენი ბოროტება დათესა საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობით, თვით ისეთმა დიდმა ქართველმა კოსმოპოლიტმა, რომელიც თავისი მოღვაწეობის ოცდაათი წლის განმავლობაში ერთ-ერთ ფაქტორს უარყოფდა, თავისი მოხუცობის სიდინჯე დაარღვია და მთელი ქვეყნის წინაშე აღიარა, რომ საქართველოს ერთადერთი და შესაძლებელი ორიენტაცია ეს ევროპის ორიენტაციაა.

ეს იყო ნოე ჟორდანია, რომელიც როგორც პოლიტიკური ფიგურა სრული ანტიპოდია მეორე დიდი ქართველი პოლიტიკოსისა ირაკლი მეორის.

ფეოდალურმა საქართველომ ირაკლი მეორის პირით აღიარა რუსული ორიენტაციის საჭიროება და აუცილებლობა. ასი წლის შემდეგ ჩვენმა ყოფილმა პარტიულმა კოლეგამ და ჭაღარა რევოლუციონერმა ნოე ჟორდანიამ კი საქვეყნოდ აღიარა, რომ რუსული ორიენტაცია ჩვენთვის მიუღებელიაო."

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, კ. გამსახურდია ლენინს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გატარებული კოლონიური პოლიტიკის კონკრეტულ შედეგებზეც აწვდიდა სათანადო ინფორმაციას. კერძოდ, მისი ხაზგასმით, სწორედ აღნიშნული მოვლენის ლოგიკურ შედეგს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ „ასი წლის განმავლობაში რუსეთის მიერ საქართველოში დათესილმა ბოროტებამ, ქართული სახელმწიფოს აპარატის განადგურებამ, ქართული ენის სისტემატურმა დევნამ საქართველო აიძულა რუსული პოლიტიკის ორბიტიდან გამოერიცხა თავი...

ეს პოლიტიკა უტიფრად და მოურიდებლად აგებდა რუსული

სტილის ტაძრებს, აშენებდა რუსულ შკოლებს, აგზვნიდა ასიათას მუშხამულ რუსიფიკატორებს „განაპირებში," რათა არასლავიანური შტრიხებიც წაეშალა გეოგრაფიული კარტიდან."

კ. გამსახურდია სწორედ ამ რეალობის ლოგიკურ შედეგად მიიჩნევდა იმ დამოკიდებულებას, რითაც საბჭოთა რუსეთთან ჩვენი ქვეყნის სამომავლო სახელმწიფოებრივ ურთიერთობას ლენინსთვის გაგზავნილ წერილში ასეთ განზოგადებულ შეფასებას აძლევდა: ქართველი კომუნისტები, „როგორც ქართველი პატრიოტები, ვერ ითანამშრომლებენ წითელ რუსეთთან, ვიდრე საქართველოს სუვერენობა მხოლოდ დეკლარაციებში იქნება აღნიშნული...

უთხარით და მოსწერეთ იმ პოლიტიკოსებს, რომელნიც ტფილისში ცუდ მეგობრობას უწევენ კომუნისტურ რუსეთს:

ყველაფერი შეიძლება წაართვან პიროვნებას და ეროვნებას, მხოლოდ თავისუფლების შეგნებას ვერავინ წაართმევს მას."

საანალიზო პერიოდში კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის გაანალიზების დროს რამდენიმე სიტყვა ქრისტიანული რელიგიისადმი მის დამოკიდებულებაზეც უნდა ითქვას. თავად მწერლის ხაზგასმით, ამ მოვლენისადმი გამოვლენილი მისი უდიდესი ინტერესი არსებითად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ „ყოველი კულტურული ერი რელიგიური იყო და ყოველ მაღალხარისხოვან კულტურას რელიგიურ ფუძეზე ჰქონდა საძირკველი" (გამსახურდია, 1983: 295). ამ მოსაზრებას მწერალი 1917 წელს დაწერილ წერილში („ქართველობა და უცხოეთის გენია") გამოთქვამდა და რელიგიისადმი მისი ასეთი დამოკიდებულება მთელ მის შემოქმედებით მოღვაწეობას უდევს მკვიდრ საფუძვლად.

თუმცა, აღნიშნულ გარემოებასთან ერთად, კ. გამსახურდია იმასაც ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ქართული ქრისტიანიზმისთვის ყოველთვის პრინციპულად უცხო მოვლენას წარმოადგენდა „ესპანური ფანატიზმი, რომაულ-კათოლიკური ასკეტიზმი და დოგმატიზმი". სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ქართული ქრისტიანობის ისტორიას „არც ბართლომეს ღამის საშინელებანი ახსოვს, არც ჰუგენოტები და არც აუტოდაფე" (გამსახურდია, 1983: 295).

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ქრისტიანული რელიგიის როლის შეფასების დროს კ. გამსახურდია იმ გარემოებასაც სძენდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ქართველი საეკლესიო მოღვაწენი „მონასტრის კედლებშიც ერის კაცებად რომ რჩებოდნენ" და იქაც პირველ ყოვლისა „ერისთვის, „სოფლისთვის" ზრუნავდნენ".

თუმცა, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, იგი იქაც და სხვაგანაც დაბეჯითებით უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ ქართველი ხალხის ცნობიერებაში ქრისტიანული სარწმუნოება იმავდროულად წარმართული რელიგიის ელემენტებითაც იყო გამდიდრებული. აი, როგორ გამოხატავდა მწერალი ამ თვალსაზრისს ზემოთ დამოწმებულ წერილში: „ქართველობა ისე ვიდოდა იესოს სისხლიან კვალზე, რომ იმავე დროს დიონისეს ყვავილოვან შუბლს თვალს არ აშორებდა“.

კ. გამსახურდიას აზრით, პირველ ყოვლისა სწორედ ეს მხარე განასხვავებს ქართულ ქრისტიანიზმს სხვა ქვეყნებში დამკვიდრებული ამ სარწმუნოებისაგან. კერძოდ, სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, „არსებითად კოსმოპოლიტურ პრინციპებზე დაფუძნებული ეს რელიგია გახდა მკვიდრი საფუძველი ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად“. ქართული ქრისტიანიზმის ეს დიდი ეროვნული მისია, მწერლის განმარტებით, ასეთი იყო: „ქრისტიანიზმი – ეს მცხუნვარე აზიის უდაბნოდან წამოქროლილი ქარი, მთელ ინდო-გერმანელ ერების კულტურას განადგურებას უქადდა. არსებითად კოსმოპოლიტურ პრინციპებზე დაფუძნებული სარწმუნოება სემიტურ ნათესავისა, მოსისხლე მტერი ყოველგვარ თავისებურობის, კუკურშივე აჭკნობდა ყოველ ჭეშმარიტ ნაციონალურ კულტურის ყლორტებს. ერთა ქაოსის ეპოქაში კათოლიციზმმა დიდი რომის საკეისრო შეიწირა. როგორც რომაელთა, ისე გერმანელ ტომის ხალხებს დიდი და თავგამოდებით ბრძოლა დასჭირდათ, ვიდრე ამ სარწმუნოებას ნაციონალურ დარჯაკში გაატარებდნენ და თავისებურ სახეს მისცემდნენ.

ჩვენს ეროვნულ სხეულში კი საკმაოდ ძლიერი აღმოჩნდა ელლინური კავშირი. ჩვენში დიონისე დიონისეს სიკვდილის შემდეგაც ცოცხლობდა.

ჩვენი ეროვნება სწორედ დიონისესა, ქრისტე-ნაზარეველსა და ზარატუშტრას შორის დგომამ იხსნა. ეგ გასაოცარი დუალიზმი ჩვენი სულისა და ჩვენი ბუნებისა, უებრო მალამოდ ეწამლა ჩვენსავ ეროვნულ არსებობას“ (გამსახურდია,1983: 295).

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ქრისტიანული რელიგიის პოზიტიური ეროვნულ-სახელმწიფოებრივი როლის წარმოჩენის დროს კ. გამსახურდია ხაზგასმით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ საუკუნეთა მანძილზე პირველ ყოვლისა სწორედ ეს სარწმუნოება იქცა ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად დაშლილ-დაქუცმაცებული ჩვე-

ნი ქვეყნის ეროვნულად და სახელმწიფოებრივად გამაერთიანებელ მძლავრ ძალად. ასე რომ, განსხვავებით წარმართული რელიგიისაგან, რომელიც თავისი არსით „პარტიკულარისტულია და ეწინააღმდეგება საქართველოს მთლიანობასა და აბსოლუტურ მონარქიას", „ქრისტეს ჯვარი არის გამაერთიანებელი კოლხ-იბერთა ტომებისა" (სიგუა, 2003: 244).

კ. გამსახურდიას შეფასებით, ქართული ეკლესია, რომელიც „ჯერ კიდევ V-VI საუკუნეებში დაადგა ნაციონალიზაციის გზას", იყო ის უმთავრესი ძალა, რომელიც აქტიურად იბრძოდა ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მთლიანობის დასამკვიდრებლად და განსამტკიცებლად. ასე რომ, ქრისტიანული სარწმუნოება ქართველი ხალხისათვის ფაქტობრივად იყო „ფარი ეროვნული სახის შესანარჩუნებლად და ამ მხრივ არც პოლიტიკურ წყობილებას, არც გეოგრაფიულ, ბუნებრივ ზღუდეებს იმდენი მფარველობა არ გაუწევია ჩვენთვის, მცირე აზიიდან ტრანსკავკასიაში შემოფარებულ ქართულ რასისათვის, როგორც სჯულს" (გაზ. „სახალხო ფურცელი", 1917 წ. 7 თებ. №789).

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ქრისტიანული რელიგიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი როლი კ. გამსახურდიამ სხვა სახელმწიფოებთან ანალოგიური თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობასთან შედარება-შეპირისპირების გზითაც ცადა წარმოეჩინა. მისი აზრით, ბევრი ქრისტიანული ქვეყნისაგან განსხვავებით, სადაც ამ „კოსმოპოლიტურმა და ანტინაციონალურმა სარწმუნოებამ არა ერთსა და ორ ერს გაუთხარა საფლავი", ქართველ ხალხს ქრისტიანული რელიგია „უებარ მალამოდ მოევლინა" და კიდევ უფრო მძლავრად გამოავლინა „ჩვენი ეროვნული სულის მძლითი ძალა".

ასე რომ, „საშუალო საუკუნეების ინტერნაციონალური ცხოვრების მექანიზმის უძლიერეს ბერკეტად" ქცეული ეს სარწმუნოება, რომელიც „კოსმოპოლიტურ ფუძეზე აღმოცენებული ანტი-ნაციონალური მოვლენა იყო", კ. გამსახურდიას აზრით, ქართველი ხალხისათვის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის დამკვიდრებისა და განმტკიცების უმთავრეს ძალად იქცა (გაზ. „სახალხო ფურცელი", 1917 წ. 22 მარტი, №825).

როგორც დამოწმებული ფრაგმენტებითაც თვალნათლივ ჩანს, ქრისტიანულ რელიგიისადმი კ. გამსახურდიას დამოკიდებულების განმსაზღვრელ უმთავრეს პრინციპს ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის განმტკიცების საქმეში ამ

სარწმუნოების უმნიშვნელოვანესი როლის ხაზგასმა წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მწერალი მის ამ მისიას შიგადაშიგ საკმაოდ კრიტიკულადაც სჯიდა და აფასებდა (მაგალითად, მისი ერთერთი შეფასების მიხედვით, „ნაზარეველი მარქსზე უფრო ძლევაუხვი და ძალოვანი კოსმოპოლიტი“ იყო), მისი აზრით, ქრისტიანულმა რელიგიამ ქართველი ხალხის ისტორიაში ზემოთქმული თვალსაზრისით მაინც შეასრულა მეტად მნიშვნელოვანი როლი.

კერძოდ, კ. გამსახურდიას შეფასებით, „თუმცა ქრისტიანული რელიგია ჩვენთვის სრულიად არა ნათესავ და უცხო ძალის შექმნილი იყო, მაგრამ ქართველი ერის შემოქმედებითი ძალის თავისებურება და მისი სიძლიერე აქაც გამოიხატა. არც ერთ ერს ქრისტიანიზმი ისე არ გაუგია, როგორც ჩვენ. ჩვენთვის ქრისტიანიზმი პოეზია იყო“ (იქვე).

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ქრისტიანული რელიგიის ეროვნულსახელმწიფოებრივი როლის უფრო მეტი სიმკვეთრით წარმოჩენას კ. გამსახურდია სხვა სახელმწიფოებთან ანალოგიური თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობასთან შედარება-შეპირისპირების გზითაც ცდილობდა. მაგალითად, მისი აზრით, ბევრი ქრისტიანული ქვეყნისაგან განსხვავებით, სადაც ამ „კოსმოპოლიტურმა და ანტინაციონალურმა სარწმუნოებამ არა ერთსა და ორ ერს გაუთხარა საფლავი“, ქართველ ხალხს ქრისტიანული რელიგია „უებარ მალამოდ მოევლინა“ და კიდევ უფრო მძლავრად წარმოაჩინა „ჩვენი ეროვნული სულის მძლითი ძალა“.

რელიგიურ ფაქტორთან ერთად, ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის განმამტკიცებელ უმთავრეს ძალად კ. გამსახურდია ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელ „რასიული იზოლაციის იმ ინსტინქტსაც“ მიიჩნევდა, რაც მას საუკუნეთა განმავლობაში ეროვნული მეობის შესანარჩუნებლად და გადასარჩენად გამართული ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად ჩამოუყალიბდა. პირველ ყოვლისა სწორედ ეროვნული თავისთავადობის შემნარჩუნებელი „რასიული იზოლაციის ამ ინსტინქტის“ მკაფიო გამოხატულებად მიაჩნდა მას ის ფაქტი, რომ „თუმცა საქართველოს სამხრეთმა პროვინციებმა მაჰმადის სჯული მიიღეს XVI და XVII საუკუნეებში და ოსმალეთს დაუახლოვდნენ, მაინც იშვიათად ხდებოდა, რომ მაჰმადიან ქართველს თავისი ქალი არაქართველი მაჰმადიანისათვის მიეთხოვებია, ან თავის ოჯახში უცხო თესლის შვილი შემოეყვანა“ (გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917 წ. 7 თებ. №789).

როგორც დამოწმებული მაგალითებითაც ჩანს, კ. გამსახურდიასთვის ქრისტიანული რელიგია ჩვენი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითარსებობისა და „რასსიული იზოლიაციის“ დაცვის ერთ-ერთ უმთავრეს ძალას წარმოადგენდა. ასე რომ, მწერლის რწმენით, ეს სარწმუნოება თავიდანვე ისე ორგანულად შეესისხლხორცა ქართველი ერის ყოველდღიურ ყოფას, რომ ჩვენს ცნობიერებაში ეროვნულობა და ქრისტიანული რწმენა ფაქტობრივად ერთმანეთთან გაიგივებულ ცნებებად დამკვიდრდა.

პირველ ყოვლისა სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ „აღმოსავლეთის კარებთან დასავლეთის ცივილიზაციის სახელით დარაჯად მდგარი ქართველი რასსა თავის საუკეთესო სისხლს სწირავდა ამ ცივილიზაციის დიდი ანდერძის, ქრისტიანული სარწმუნოების და კულტურის დაცვის საქმეს“ (გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ. 25 მაისი, №70).

მაგრამ კ. გამსახურდიას შემოქმედებიდან ისიც თვალნათლივ ჩანს, რომ ქრისტიანული რელიგიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი როლის შეფასების დროს იგი ყოველთვის არ იდგა ერთ პოზიციაზე და ამ რელიგიისა და მისი მსახურებისადმი მწერლის დამოკიდებულება ზოგჯერ საკმაოდ კრიტიკულიც იყო და მკვეთრად ნეგატიურიც. ეს ტენდენცია განსაკუთრებული ძალით პირველ ყოვლისა მის რომანებში გამოვლინდა.

ხსენებული ტენდენციის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს ამ შემთხვევაში ქრისტიანული სარწმუნოების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი როლის რადიკალურად განსხვავებული პოზიციებიდან გააზრება და შეფასება წარმოადგენდა. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მწერლის ამგვარი თვალთახედვის ჩამოყალიბებას, სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად, იმ მზაკვრულმა კოლონიურმა პოლიტიკამაც არსებითად შეუწყო ხელი, რომელსაც ბიზანტია და რუსეთი ატარებდნენ საქართველოს მიმართ.

პირველ ყოვლისა სწორედ ამ ტრაგიკული მოვლენის სიღრმისეულმა გაცნობიერებამ მიიყვანა კ. გამსახურდია იმ დასკვნის გამოტანამდე, რომლის მეშვეობითაც იგი ქრისტიანული რელიგიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ როლს ცალკეულ შემთხვევებში ზემოთ გამოთქმული მოსაზრებებისაგან არსებითად განსხვავებულ შეფასებას აძლევდა. მაგალითად: „სავალალოდ, ქრისტიანული სარწმუნოება ჩვენთვის ის ფონი გახდა, რომელიც თავში კარგია და ბოლოში ახრჩობს...

თუ იგი 17 საუკუნის განმავლობაში იფარავდა ჩვენს ხალხს უცხო თესლში არევისაგან, 1801 წლიდან პირიქით, ხელს უწყობს კიდეც მას. ეს წელი, როგორც მრავალ გზით, ისე ამ მხრითაც ბედითი იყო ჩვენი ერის არსებობისათვის" (გაზ. „სახალხო ფურცელი", 1917 წ. 7 თებ. №789).

ქრისტიანული რელიგიისადმი კ. გამსახურდიას ამგვარ დამოკიდებულებას უპირველეს ყოვლისა ის ტრაგიკული შედეგები განაპირობებდა, რომლებიც ამ სარწმუნოებასთან დაკავშირებულმა „ყალბმა იღლუზიებმა" მოუტანეს ჩვენს ქვეყანას. მწერალი უდიდესი სინანულითა და გულისტკივილით საუბრობდა ქართველი მეფეებისა და პოლიტიკოსების ცალკეულ წარმომადგენლებზე. კერძოდ, მისი შეფასებით, „ყალბ ქრისტიანობაზე" დამყარებულმა მათმა უგუნურმა პოლიტიკამ და ილუზიურმა იმედებმა ჩვენი ქვეყანა დაღუპვის პირამდე მიიყვანეს (გამსახურდია, 1983: 194).

„ამ ყალბ იღლუზიებში" მწერალი პირველ ყოვლისა იმ იმედებს გულისხმობდა, რითაც ჩვენი ქვეყნის ბედის წარმმართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი რუსეთის მფარველობის გზით იმედოვნებდა საქართველოსა და ქართველი ერის გადარჩენას. სამწუხაროდ, როგორც დრომ და ისტორიამ დაადასტურა, ერთმორწმუნეობაზე დამყარებული ეს იმედი მართლაც გამოდგა „ყალბი იღლუზია" და სარწმუნოებრივი ერთობის მიუხედავად, რუსეთმა ჩვენს ქვეყანას მაჰმადიანურ აგრესორ სახელმწიფოებზე არანაკლები ვნება და უბედურება მოუტანა.

კ. გამსახურდიას, როგორც რუსეთის ქრისტიანული ეკლესიის ამგვარი იმპერიული პოლიტიკის მსხვერპლად ქცეული ქვეყნის შვილის, დამოკიდებულება რუსული ეკლესიის მიმართ სავსებით ლოგიკურად აღუძრავდა შინაგანი პროტესტის მძაფრ გრძნობას. მისი უკომპრომისო შეფასებით, რუსულმა „ორტოდოქსულმა ქრისტეანობამ" „ძველ რუსეთში გაცილებით მეტი სიბნელე დაანთხია", ვიდრე კათოლიკურმა ეკლესიამ მთელს ევროპაში. ასე რომ, „ისეთი დიდი იმპერიალისტური პერსპექტივები, როგორიც ორტოდოქსულ ქრისტეანობას ჰქონდა", ევროპულ კათოლიციზმსაც კი არ ჰქონია, მიუხედავად იმისა, რომ „იგი რკინის ლაგამი იყო ადამიანის თავისუფალი აზროვნებისა".

თავის ადრინდელ წერილებში კ. გამსახურდია იმის გამოც გამოთქვამდა შეშფოთებას, მეოცე საუკუნეში პრინციპულად რომ იცვლებოდა რელიგიისადმი დამოკიდებულება და მის ნაცვლად გა-

მეფებას იწყებდა „პრაქტიკული რელიგია სოციალიზმის“. „ჩვენმა საუკუნემ, – წერდა, მაგალითად, იგი ამასთან დაკავშირებით 1921 წელს გამოქვეყნებულ წერილში „მოზაიკები“, – უარჰყო ყოველივე რელიგია, ვითარცა ფაქტორი და სათავე კულტურისა და მის სანაცვლოდ გაამეფა პრაქტიკული რელიგია სოციალიზმისა“ (გამსახურდია, 1983: 352).

ამ მოვლენით შეშფოთებული მწერალი თავისი დროის საზოგადოებას იქვე იმის გამოც აფრთხილებდა წინასწარმეტყველურად, რომ ყოველივე ამას შეიძლებოდა კაცობრიობისთვის საბედისწერო შედეგი მოეტანა, ვინაიდან „არც მატერიაში, არც ჩვენი დროის კოლოსალურ მანქანებში, არც თანამედროვე მსოფლიო კაპიტალიზმში და არც მის სულისჩამდგმელ მატერიალისტურ-პრაქტიკულ რელიგიაში ხსნა აღარ იყო“ (გამსახურდია, 1983: 352).

კ. გამსახურდიას აზრით, ამ მდგომარეობიდან მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი არსებობდა: „უკუვიქცეთ ღვთაებრივ გულუბრყვილობისაკენ, უკუვიქცეთ იმ უცნობ ღმერთისაკენ, რომელიც იჭვნეულის ღიმილით გვიცდის ჩვენ ჩვენი სულის სიღრმეში“. მწერალი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ „მეოცე საუკუნის ბოროტი გენიის – სკეპტიციზმის ბაგის შეხებით“ რწმენადაკარგული ადამიანის გადარჩენა და დახსნა სასოწარმკვეთი ნიჰილიზმისაგან მხოლოდ და მხოლოდ ამ გზით იყო შესაძლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ კ. გამსახურდიას ამ სიტყვების დაწერიდან საუკუნეზე მეტია გასული, ავტორისეულ მოწოდებას სიმწვავე და აქტუალობა არც დღეს დაუკარგავს და ღვთაებრივი რწმენისაკენ მიბრუნება კვლავინდებურად რჩება თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემად.

ასეთია ქრისტიანული რელიგიისადმი კ. გამსახურდიას დამოკიდებულების ზოგიერთი არსებითი ასპექტი 1917-1921 წლებში გამოქვეყნებული მისი პუბლიცისტური წერილების მიხედვით.

მიუხედავად მშობელი ქვეყნისადმი ფანატიკური სიყვარულისა, კ. გამსახურდია არც კრიტიკული განსჯისა და მოვლენათა რეალისტური შეფასების უნარს კარგავდა და საქართველოს ისტორიული მისიის გააზრების დროს წარსულის ყალბ და უსაფუძვლო იდეალიზაციას არასოდეს მიმართავდა. მსოფლიოს დიდ ცივილიზებულ ერთა ისტორიის შესანიშნავად მცოდნე მწერალი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე აფასებდა ქართველი ხალხის როლსა და ადგილს ცივილიზაციათა მთლიან სისტემაში. კერძოდ, მისი აზრით,

მიუხედავად იმისა, რომ, „დიდი ერის ნატეხი ვართ», ჩვენი ქვეყანა არასოდეს ყოფილა „ახალ იდეათა და მიმდინარეობათა ისეთი ბაზისი, როგორიც ძველი ინდოეთი, სპარსეთი, ახალი საფრანგეთი, გერმანია და ინგლისი» იყო. აქედან გამომდინარე, იგი თვლიდა, რომ ჩვენთვის არც „ახალ იდეათა ჯვაროსნობა დაუკისრებია ისტორიას და არც რეფორმატორული მისსია," რის გამოც „ჩვენი ეროვნული ცხოვრების დუღილი ჩვენივე ქვეყნის ზღუდეებს არ გასცილებია» (გამსახურდია, 1983: 293).

ჩვენი ერის ზოგადსაკაცობრიო მისიას კ. გამსახურდია ამგვარად 1917 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში აფასებდა, იმ დროს, როცა ჩვენი ერის უდიდესი ნაწილი კარს მომდგარი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის მოლოდინით იყო აღტაცებული. მაგრამ მწერალი ასეთ ვითარებაშიც არ ვარდებოდა ეიფორიაში, "წარსულის ფალსიფიკაციას" (მისი სიტყვებია) არ მიმართავდა და მოვლენათა ობიექტურად შეფასების უნარს არ კარგავდა.

კ. გამსახურდია კატეგორიულად წინააღმდეგი იყო საქართველოში ავტონომიების შექმნისა, რასაც საფუძველი ჯერ კიდევ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში ჩაეყარა. მწერალი სავსებით მართებულად აცხადებდა, რომ ეს იყო დამღუპველი მოვლენა, რომელიც საფუძველს უთხრიდა ქვეყნის სახელმწიფოებრივ არსებობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. კ. გამსახურდიას შეფასებით, „ჩვენი იდეალი" პირველ ყოვლისა „მთლიანი და ძლიერი საქართველო" უნდა ყოფილიყო, „ფეოდალური საქართველოს კვალობაზე დაუქუცმაცებელი ქვეყანა" და არა ავტონომიებად დანაწევრებული სახელმწიფო.

კ. გამსახურდიას ეროვნულ გულისტკივილს არსებითად განაპირობებდა ის ფაქტი, რომ საკუთარი სამშობლოს სახელმწიფოებრივი ინტერესების მოღალატე საბჭოთა ხელისუფალნი სწორედ ამ გზით წავიდნენ და ავტონომიების შექმნით ქვეყანას უმძიმესი პრობლემები შეუქმნეს. მათგან პირველი და უმთავრესი მაინც ის იყო, რომ აღნიშნული ავტონომიების დაკანონებით იქ მცხოვრებ „ჩვენი სისხლისა და ხორცის თანაზიარ ადამიანებსა" (მწერლის სიტყვებია) და დანარჩენ საქართველოს შორის ფაქტობრივად „ხელოვნური საზღვრები" დაწესდა.

საქართველოში არსებულ ავტონომიათაგან მწერლის განსაკუთრებული გულისტკივილის ობიექტად პირველ ყოვლისა აფხაზეთი იყო ქცეული. კ. გამსახურდიას მართებული შეფასებით, ჩვენი ქვეყ-

ნისაგან მის ღვიძლ ნაწილად დამკვიდრებული ამ რეგიონის მოწყვეტის მიზანმიმართულ პოლიტიკას სათავე რუსეთმა დაუდო. საქართველოში რუსული კოლონიალიზმის დამყარების დროიდან ჩვენს ქვეყანასა და აფხაზეთს შორის „საზღვრების გავლებას ბევრს ეცადნენ ნიკოლოზ პირველის რუსიფიკატორები, ხან ანბანები მოუგონეს აფხაზებს, ხან ჩერნომორიის გუბერნიებს მიაწერეს სოხუმის ოლქი, მაგრამ აფხაზები 2000 წელზე მეტს ეწეოდნენ ჩვენთან საერთო ისტორიულ ჭაპანს და არ ჩამოგვცილდებიან და ვერც ჩამოგვცილდებიან» (გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი», 1921 წ. №62).

როგორც ცნობილია, 1921 წლის 21 მაისს საქართველოს რევკომმა მიიღო დეკლარაცია აფხაზეთის დამოუკიდებელ სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ. იმავე წლის 16 დეკემბერს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას შორის თბილისში გაფორმებული სამოკავშირეო ხელშეკრულებით აფხაზეთი ჯერ საქართველოს შემადგენლობაში შევიდა, 1922 წლის 13 დეკემბერს კი, როგორც საბჭოთა საქართველოს ნაწილი, ამიერკავკასიის ფედერაციის წევრიც გახდა. დამოუკიდებელი რესპუბლიკის ზემოთ მითითებული სტატუსი აფხაზეთმა 1931 წლამდე შეინარჩუნა. 1931 წლის თებერვალში კი მას ეს სტატუსი შეეცვალა და იგი საქართველოს შემადგენლობაში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკა გახდა.

რუსეთისადმი, როგორც ჩვენი ქვეყნის ოკუპანტი სახელმწიფოსადმი, კ. გამსახურდიას მკვეთრად ნეგატიურმა დამოკიდებულებამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა 1921 წლის თებერვლის ტრაგედიის შემდგომ პერიოდში. რაგინდ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, ამ მოვლენასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ თავის წერილებში იგი არა მარტო რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას აძლევდა მკვეთრად ნეგატიურ შეფასებას, არამედ ჩვენი ერის დიდ მამულიშვილთა მნიშვნელოვან ნაწილსაც დებდა ბრალს რუსეთისადმი კომპრომისული და ლოიალური დამოკიდებულების გამო. რაგინდ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, სწორედ ამგვარად შეაფასა მან 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა და „თერგდალეულთა“ დიდი თაობის წარმომადგენელთა (მათ შორის ილია ჭავჭავაძისაც) ეროვნულ-პოლიტიკური ღვაწლი გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტის“ 1921 წლის 25 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს.“

ავტორისეული შეხედულების არსზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ხსენებული პუბლიკაციიდან: „მეოცდაათე წლებში (იგულისხმება 1830-იანი წლები - ა. ნ.) იწყება ახალი პატრიოტიზმი, რომელიც ისევე ჭკუა მჩატე იყო პოლიტიკაში,როგორც ჩვენი თავადაზნაურობა. ამ პატრიოტიზმმა თავისი არსებობის უდღეური დეკლარაცია 1832 წლის აჯანყებით გამოხატა.

ორიოდე ათეული წლების შემდეგ რუსეთიდან მობრუნებული „თერგდალეულები“ აჩქარებენ ქართველი ხალხის სულიერად გარუსების პროცესს. ერთადერთი ძლიერი და სერიოზული პიროვნება მათ შორის ილია ჭავჭავაძე იყო და ისიც როგორც პოლიტიკოსი ფრიად სუსტი. მან უფრო გარკვეული დიაგნოზები დასდო ჩვენი ცხოვრების შინაგან განწყობას, ხოლო საგარეო პოლიტიკაში იგი თავის ღიპიან თათქარიძეებზე უფრო შორს არ წასულა.

შემდეგ ქართველი ახალგაზრდობა გამოვიდა პირველად კოსმოპოლიტურ პრობლემებით ხელში და ამას მოჰყვა ის ეროვნული ნიჰილიზმის ეპოპეია, რომელმაც ჩვენი საუკუნის კარებამდის მოაღწია.“

ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ ხსენებულ პუბლიკაციაში კ. გამსახურდიამ სწორედ აღნიშნულ რეალობასთან მიმართებით შეაფასა 1918 წლის 26 მაისს ხელმოწერილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი და ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საქართველოს ისტორიაში იგი არ ცნობდა უფრო დიდმნიშვნელოვან დღეს.“

ხსენებული პუბლიკაციის შეფასების დროს იმ გაორებულ დამოკიდებულებასაც უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, რომელსაც მწერალი ამ მოვლენის შემდგომ პერიოდში შექმნილი რეალობისადმი ავლენდა. კერძოდ, კ. გამსახურდიას შეფასებით, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს ისტორიაში დაწყებული ახალი ეპოქის სამწლიანი პერიოდი „უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ჩვენი მონობის ასი წელი.

მონობის ხუნდებში ქართველი ერი გადაეჩვია სახელმწიფოს ერთგულებას, რადგან ჩვენი წინაპრები მუდამ გრძნობდნენ ამ ხნის განმავლობაში, რომ ისინი რუსეთის გერები იყვნენ.“

თუმცა, ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, კ. გამსახურდია იქვე იმასაც აღნიშნავდა, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია მხოლოდ ამ აგრესორი

ქვეყნის დამპყრობლური პოლიტიკით არ ყოფილა განპირობებული და ამ ტრაგიკული მოვლენის განმაპირობებელი ფაქტორები „ქართველი ერის არსებაშიც იყო საძიებელი.“ ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ხსენებული პუბლიკაციიდან: „ჩვენ ამ სამი წლის (იგულისხმება 1918- 1921 წლები - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდი - ა. ნ.) დიდ ეგზამენში ჩავიჭერით. ნურავინ დააბრალებს ამ კატასტროფას ნურც მარტოოდენ მეზობლებს, ნურც რომელიმე განსაზღვრულ პარტიას. ქართველმა ინტელიგენციამ ვერ მოახერხა ქართველი ხალხის ეროვნული ძალების სრული და მწყობრი მობილიზაცია ეროვნული ძალების ასაშენებლად. ქართულმა ინტელიგენციამ ვერ მოახერხა სწორი ორიენტაცია ჩვენ თანამედროვე პოლიტიკურ გარემოში.

ჩვენ გადავაჭარბეთ ჩვენი რეალური ძალების შეფასებაში, ჩვენ გადავაჭარბეთ იმ ფაქტორების შეფასებაშიც, რომელნიც ამოძრავებენ დღევანდელ ევროპის პოლიტიკურ ცხოვრებას...

ქართველობის უკანასკნელ პოლიტიკურ ეგზამენებში ჩვენ დავინახეთ, რომ ქართველი ხალხი, როგორც სახელმწიფოს ამშენებლის მასალა, ძლიერ კარგია, მაგრამ მისი მეთაური - ინტელიგენცია ბევრ შემთხვევაში უღირსი აღმოჩნდა ერის ბელადობისა.“

მოკლედ, ასეთია უმთავრესი შტრიხები კონსტანტინე გამსახურდიას ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვისა მის მიერ ჩვენი ქვეყნის ეროვნული პრობლემატიკის განსასჯელად 1917-1921 წლებში დაწერილი პუბლიცისტური წერილების მიხედვით. როგორც ვხედავთ, ხსენებული პუბლიკაციები არა მარტო ისტორიული თვალსაზრისით წარმოადგენს უაღრესად საინტერესო მასალას, არამედ ავტორისეულ მოსაზრებათაგან ბევრი რამ დღესაც უსათუოდ გასათვალისწინებელია ჩვენი ქვეყნის წარსულის შესაფასებლადაც და სამომავლო განვითარების პერსპექტიულ გზათა განსასაზღვრადაც.

პოლიკარპე კაკაბაძე

საანალიზო პერიოდის ქართულ მწერლობაში ეროვნული პრობლემის წარმოსახვამ პოლიკარპე კაკაბაძის (1893-1972 წწ.) დრამატურგიაშიც დაიკავა საგულისხმო ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ იმხანად შექმნილი მისი პიესების ლიტერატურული ოსტატობის დონე ნაკლებად შეესაბამება ავტორისეულ შესაძლებლობებს, ისინი მაინც უნდა მივიჩნიოთ დრამატურგის შემოქმედებითი მემკვიდრეობის საგულისხმო ნიმუშებად.

კერძოდ, პ. კაკაბაძის ადრინდელ პიესებში მძლავრად იკვეთება სათქმელის სიმბოლურ-ალეგორიული ფორმით გამოხატვისაკენ სწრაფვის ტენდენცია. ახალგაზრდა დრამატურგი ცდილობს ორიგინალური სახით წარმოსახოს მოვლენები და გაბედულად ეძებოს საკუთარი თვალთახედვის ინდივიდუალური ფორმით წარმოსახვის ხერხები და საშუალებები. ამ გაბედულ ძიებებში დიდ ადგილს იჭერს სინამდვილის რომანტიკული აღქმა, სათქმელის ქვეტექსტური მინიშნებებით გამოხატვა, თხრობის პროცესში არარეალური, წარმოსახვითი ეპიზოდების შემოტანის აქტიური მცდელობა, ნააზრევის შეკუმშული ფორმით გადმოცემა, სიუჟეტის მაქსიმალურად განტვირთვა არაძირითადი დეტალებისაგან და ა. შ.

როგორც პ. კაკაბაძის იმდროინდელი პიესებისაგან თვალნათლივ ჩანს, ეროვნული პრობლემატიკით მათი ავტორის დაინტერესება არსებითად განაპირობა რუსეთის იმპერიაში იმხანად განვითარებულ მოვლენათა შედეგად შექმნილმა რეალობამ. სწორედ ამის ერთ-ერთ ნათელ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ პიესა «გზაჯვარედინზე» (1917 წ.), რომელიც 1917 წლის თებერვლის რევოლუციით შთაგონებულ ნაწარმოებს წარმოადგენს. პიესის მიხედვით, მოქმედება მიმდინარეობს პეტროგრადში. მძიმედ დაჭრილ რევოლუციონერ ბორისს თავს ადგანან მოხუცი დედა და და ოლია. ავტორისეული ჩანაფიქრის უმთავრესი არსი მკითხველისათვის ცხადი პირველ ყოვლისა მათ შორის გამართული საუბრიდან ხდება.

კერძოდ, როგორც მათი დიალოგიდან ვგებულობთ, რევოლუციური იდეალების ხორცშესახმელად თავგანწირვით მებრძოლ ბორისს არაერთხელ უგემნია ციხისა და კატორღის სიმწარენი, მაგრამ უსამართლობას იგი მაინც არ შერიგებია და თავგანწირვით გაუგრძელებია ბრძოლა მის წინააღმდეგ. და აი, სწორედ ამ

ბრძოლაში მიღებული ჭრილობებით დაუძლურებული წევს ბორისი სასიკვდილო სარეცელზე. მის ამ მძიმე მდგომარეობას იმედის სხივს ჰფენს შეტყობა იმისა, რომ მისმა თანამებრძოლებმა ხელისუფლებას ძლიეს და გაიმარჯვეს. სწორედ ამ გამარჯვებას შესწირა ბორისმა ყველაფერი საუკეთესო, რაც კი გააჩნდა. ამას იგი პირველ ყოვლისა იმის ღრმა რწმენით აკეთებდა, რომ ხალხს, ქვეყანას, არსებული ხელისუფლების დამხობის შედეგად ბედნიერება ეღირსებოდა.

პიესაში რომანტიკული გზნებითაა გამოხატული ამ ფანატიკოსი რევოლუციონერის მსოფლმხედველობრივი მრწამსი. კერძოდ, მომაკვდავი ბორისი გრძნობამორეული სიხარულით ეუბნება თავისიანებს, რომ ამ გამარჯვებით ქვეყანაზე «ძმობა-ერთობა დამყარდება და წვეთი სისხლი არ დაიღვრება. აწი კაცი კაცისაგან არ დაიღუპება, კაცის ხელიდან არავინ დაისჯება.» ბორისი, რომელიც ეროვნებით რუსია, მათ იმასაც აუწყებს, რომ რევოლუცია ჩაგრულ ხალხებს ეროვნულ დამოუკიდებლობასაც მოუტანს და რომ «აწი ყველა ერი და პიროვნება მიიღებს თავისუფლებას და ღირსებას.»

ასეთი იყო ბორისის რევოლუციური მრწამსი, რომელსაც იგი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა და ბოლოს შეეწირა კიდეც. პ. კაკაბაძე სიყვარულით ხატავს რომანტიკული იდეებით გულანთებული ამ ფანატიკოსი გმირის პიროვნულ სახეს. როგორც მკითხველი ყოველივე ზემოთქმულითაც თვალნათლივ დარწმუნდება, რევოლუციის ამგვარ გაგებაში მიუღებელი არაფერია.

თუმცა ბორისის რევოლუციურ იდეალებს დრამატურგი ცალმხრივად და მხოლოდ ამგვარად იდეალიზებული ფორმით არ წარმოსახავს და პიესის ბოლოს, მის მიერ მოგვიანებით შექმნილი ყვარყარე თუთაბერის პიროვნული სახისთვის განზოგადებულად დამახასიათებელ თვისებათა შემოტანით, აღნიშნული მოვლენებისადმი თავის იჭვნეულ დამოკიდებულებასაც გამოხატავს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა პირველ ყოვლისა თავად შალინთან დაკავშირებულ ეპიზოდს უნდა მივანიჭოთ. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ შალინი ყვარყვარე თუთაბერის წინამორბედი ლიტერატურული პერსონაჟია, რომელიც მოხერხებულად უღებს ალღოს ახალ რეალობას და ხმამაღლა გაიძახის: «მე ახლა უკვე თავადი კი არა მოქალაქე ვარო» და დაბეჯითებით ამბობს: «რევოლუციის გამარჯვებით დაგვირგვინება» იმიტომ გახდა

შესაძლებელი, რომ მასში შეძლებულებმაც მიიღეს მონაწილეობა და «დაბალ ხალხს დაუჭირეს მხარი.»

შალინის მოქმედებით გულნატკენი ბორისის და დაეჭვებით ეკითხება მას: «ნუთუ კიდევ თქვენ იქნებით ძლიერნი ამა ქვეყნისა?.. ნუთუ ისევ შენი წყეული ქისაა ყველაფრის შემძლებელი? შენ ამ ქისით მოდიოდი ღარიბთა უბანში და ართმევდი უმანკოს ნამუსს, მშრომელს – ჯანს. შენ იდექ მაღლა, ათასი სული და გული შემოგყურებდა, შენ კი უსულგულო იყავ... და ახლა, ამ სხვა დღესაც, მოდიხარ ჩემთან, როგორც გავიგე, ჩემი ძმის დამღუპველი და წილს იდებ მის გამარჯვებაში... ჰო, თავისუფლების ზეიმში ისევ გამარჯვებულად მოგაქვს თავი.»

როგორც პიესის ფინალიდან ირკვევა, თავადი შალინი გამონაკლისი არ არის და ამ გამარჯვებას ბევრი სხვაც მიტმასნია მასავით. ეს ნათლად ჩანს ბორისის დის იმ სიტყვებით, რითაც ნაწარმოები მთავრდება: "ის გამარჯვების დღეს მოკვდა, მაგრამ რომ ეცოცხლა, ისეთი უანგარო იყო, ეგებ ისევ დაეჩაგრათ. ფანჯრიდან დავინახე მისი ძველი მტრები, რომელნიც ახლაც თავის გამოსაჩენად ყვავილების გვირგვინით რთავენ მის გვამს."

ასეთ გაურკვეველ ვითარებაში მთავრდება პიესა, მთავრდება საკმაოდ დამაეჭვებელი პერსპექტივით და ნაწარმოების მთავარი პერსონაჟები – ბორისის დედა და და, ამ სახალხო ზეიმისაგან გარიყულნი, მრავალმნიშვნელოვნად კითხულობენ: "ხალხი ზეიმით ჰქუხს და ნუთუ ჩვენ ისევ გზაჯვარედინზე ვრჩებით... თუ ბორისმა გაიმარჯვა, ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ ისევ გზაჯვარედინზე?"

როგორც ნაწარმოებიდან თვალნათლივ ჩანს, ბორისის დედა და და გამონაკლისნი არ არიან და სიმბოლური მნიშვნელობის მქონე ამ გზაჯვარედინთან ფაქტობრივად მთელი ქვეყანა დგას. საით წავა იგი და ამ უკომპრომისო ბრძოლაში საბოლოოდ ვინ აღმოჩნდება გამარჯვებული – რევოლუციური იდეალების ხორცშესასხმელად ფანატიკური თავგანწირვით მებრძოლი ბორისი თუ ქვენა ზრახვებით შეპყრობილი თავადი შალინი? სინამდვილეში რა ბედი ელის ხალხსა და ქვეყანას და რეალურად რამდენად აღსრულდება ის იმედიანი მოლოდინი, რითაც ჩაგრული ადამიანები ესოდენი აღტკინებით ზეიმობენ ამ გამარჯვებას? – აი, ის კითხვები, რომლებსაც პ. კაკაბაძე ამ პიესის მიხედვით ნაკლებად ოპტიმისტურ პასუხს სცემს.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ პ. კაკაბაძის ადრეული შემოქმედებისთვის დამახასიათებელი მხატვრული სპეციფიკა ყველაზე მეტად „სამ ასულში" (1918 წ.) გამოვლინდა. ამ პატარა პიესაში ემოციური შთამბეჭდაობით წარმოჩინდა მოვლენათა რომანტიკული თვალთახედვით აღქმისა და ნააზრევის სიმბოლურ-ალეგორიული ფორმით გამოხატვის ტენდენცია. მძაფრი შინაგანი დრამატიზმით დამუხტული ამ ნაწარმოებით მწერალი ემოციური დაბაბულობით წარმოაჩენს პიესის პერსონაჟთა ადამიანურ ბუნებასა და მათ პიროვნულ მისწრაფებებს. მოქმედ გმირთა ხასიათების ინდივიდუალიზაციის პროცესსა და ნააზრევის გამოხატვის მხატვრულ-შემოქმედებით სპეციფიკას ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს თხრობის პროცესში ჭარბად ჩართული პოეტური ელემენტები.

უდაბურ ტყეში აგებულ პირქუშ კოშკში, რომელიც პიესის მიხედვით სიბნელისა და ადამიანის თავისუფალი ნების დათრგუნვილობის სიმბოლოდაა დასახული, სამი მშვენიერი ასული გამოუკეტავს ბოროტ ჯაჯოს. მონური შრომითა და სასტიკი მოპყრობით დაბეჩავებული ასულები მთლიანად არიან მოწყვეტილი გარესამყაროს. ერთადერთი ძალა, რომელიც მათ ტანჯულ ცხოვრებას იმედის მკრთალი სხივით აცისკროვნებს, კოშკის მიღმა დარჩენილ ადამიანურ ბედნიერებაზე ჩუმი ოცნებაა.

და აი, ერთ ქარიან ღამეს მონური შრომით მოქანცულ ასულებს კარებზე ბრახუნის ხმა შემოესმათ – ვიღაც იდუმალი სტუმარი კოშკში შესვლას ითხოვდა. ხსენებული პიესის შედეგად გამოხატული ავტორისეული მიზანსწრაფვის უმთავრესი არსი პირველ ყოვლისა იმ იმედიანი მოლოდინის წარმოჩენას უკავშირდება, რაც ამ მოვლენამ დაბადა კოშკში გამოკეტილი ასულების გულში. თითოეული მათგანი მისთვის საოცნებო იდეალის აღსრულების შესაძლებლობას სწორედ მათი კოშკის კარებთან ამ უცნობი მგზავრის მოულოდნელ მოსვლას უკავშირებს.

ერთ-ერთი მათგანის წარმოსახვით, "ეგებ ის მეფის მშვენიერი ვაჟია," რომელსაც მთელი სამეფო მოუვლია მის ძებნაში, ბოლოს მაინც უპოვია საოცნებო სატრფოს სამყოფელი და ახლა, ზამთრის ამ საშინელ გრიგალში, კოშკის კარს მომდგარი მუდარით ითხოვს კარის კაღებას, რათა საყვარელი ასული თავის სასახლეში წაიყვანოს და დედოფლად დასვას.

მეორე ასულის ფიქრით, ღამეული სტუმარი იქნებ მისი ძმაა, წლების წინათ ურჯულოებისაგან იერუსალიმის განსათავისუფლებლად წასული. მესამეს აზრით კი კოშკის კარებთან მდგარი მგზავრი "ეგებ ქრისტე-მაცხოვარია, გლახაკის სახით მოსული და გვცდის ჩვენ და ელოდება, გავუღებთ ამ ყინვა-ქარში კარს და მივიღებთ დავრდომილს თუ არა."

სწორედ ასეთი წარმოსახვებით მოცულნი ემზადებიან ასულები კოშკის კარების გასაღებად. მათი რწმენით, "ზოგი დიდი ტაძარიც კი არ გაღებულა ქვეყანაზე ისეთი დიდი სასწაულისთვის, როგორც ამ კოშკის კარი." მაგრამ ჯაჯოს მრისხანებისაგან დათრგუნულ-დაშინებული ასულები ამ ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავენ. თუმცა ბოლოს, დიდი ყოყმანისა და სულიერ ძალთა მოკრების შემდეგ, ისინი კარს მაინც გააღებენ და ნახავენ, რომ მათი ოცნების იდეალად დასახული სტუმარი უკვე გაყინული იყო.

პიესაში ღრმა ფსიქოლოგიური წიაღსვლებითაა წარმოსახული სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ასულების სულიერი განცდები. თუმცა ნაწარმოები ასეთი ტრაგიკული და სამომავლო პერსპექტივას მოკლებული ფინალით არ მთავრდება. პირიქით, იდუმალი სტუმრის დაღუპვით გამოწვეულმა სასოწარკვეთამ ასულთა გულში შურისძიებისა და ამბოხების ცეცხლი აღაგზნო, რასაც კიდევ უფრო მეტად აძლიერებს კოშკთან მოახლოებული ლაშქრის საყვირის ხმა, იმედის ნათელ სხივად რომ იჭრება პიესის ფინალურ ეპიზოდში. ლაშქრის გამოჩენით დამფრთხალი ჯაჯო კოშკიდან გადახტება და სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს.

ასეთია ღრმააზროვანი სიმბოლური პასაჟებით დატვირთული ამ პიესის ფინალი, რითაც დრამატურგმა რომანტიკული ფორმით წარმოსახა მოვლენათა შემდგომი განვითარების სასურველი პერსპექტივა.

პ. კაკაბაძის ადრინდელ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება აგრეთვე პიესა „გათენების წინ", რომლის პირველი ვარიანტი 1919 წელს დაისტამბა სათაურით „სისხლი სინათლემდე". ნაწარმოები ფრაგმენტული სახით მოგვითხრობს პირველ მსოფლიო ომში სასიკვდილოდ დაჭრილი ერთ-ერთი ჯარისკაცის – ანდრიას ტრაგიკულ თავგადასავალს. საბჭოური პერიოდის სალიტერატურო კრიტიკას პ. კაკაბაძის ამ ნაწარმოების შეფასების დროს მხედველობიდან გამორჩა მწერლის უმთავრესი მიზანსწრაფვა – ზნეობრივი თვალთახედვით დაინახოს და განსაჯოს ნაწარმოების პერსონაჟთა ქმედება-

ნი და პიროვნული სამყარო. თვით ყველაზე მძიმე და ტრაგიკულ სიტუაციებშიც კი ადამიანმა ზნეობას არ უნდა უღალატოს და ისეთი ცოდვა არ ჩაიდინოს, რომელიც საბედისწერო დაღად აღიბეჭდება პიროვნების სულში – მოკლედ, ვფიქრობ, ესაა პიესის მთავარი სათქმელის არსი, რომლის გამოსახატავ სიუჟეტურ ფონად დრამატურგმა პირველი მსოფლიო ომის მსხვერპლად ქცეული ერთერთი პიროვნების ტრაგიკული ცხოვრებისეული თავგადასავლის მოთხრობა აირჩია.

პავლე ინგოროყვა

იქიდან გამომდინარე, რომ პავლე ინგოროყვას (1893-1983 წწ.) მოღვაწეობიდან ამჯერად ჩემთვის საინტერესო პერიოდი, ისევე როგორც ამ დიდი მამულიშვილის მთელი ცხოვრება და საქმიანობა, საფუძვლიანადაა განხილული როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანში „ბედი პავლე ინგოროყვასი," 1917-1921 წლებში გამოქვეყნებული მისი ნაშრომებიდან და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობის წარმომჩენი ცხოვრებისეული ეპიზოდებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მხოლოდ იმ საკითხებზე გავამახვილებ, რომელთა მეშვეობითაც კიდევ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნება მის ეროვნულ მრწამსსა და პიროვნულ მონაწილეობაზე იმდროინდელ პოლიტიკურ პროცესებში.

როგორც როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიული რომანიდან თვალნათლივ ჩანს, პავლე ინგოროყვა არა მარტო თავისი მეცნიერული და პუბლიცისტური ნააზრევით იბრძოდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად, არამედ მაშინდელ მოვლენებში აქტიური პრაქტიკული მონაწილეობითაც.

ამ თვალსაზრისით პავლე ინგოროყვას ბიოგრაფიის ერთ-ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ეპიზოდს წარმოადგენს რ. ჩხეიძის მიერ მიკვლეული ამ დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან აქამდე უცნობი ის ეპიზოდი, რომლითაც დაუეჭვებლად დასტურდება მისი ხელმოწერა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მიღების აქტზე.

აი, რას წერს თავად ბატონი როსტომი ამასთან დაკავშირებით: „ის დამოუკიდებლობის აქტი (იგულისხმება 1918 წლის 26 მაისს მიღებული დოკუმენტი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით - ა. ნ.), რომელსაც ამდენი წელი ვიცნობდით და ერთადერთ დოკუმენტად მიგვაჩნდა ეროვნული სახელმწიფოს შექმნისა,... მეორეული იყო, რადგანაც არსებობდა მანამდე უკვე მიღებული დამოუკიდებლობის აქტი - დამტკიცებული უშუალოდ 26 მაისს 1918 წლისა, ოღონდ რაკიღა ის დაამტკიცა ეროვნულმა საბჭომ, რომელსაც სათანადო რწმუნება კი ჰქონდა როგორც არჩეულს საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ 1917 წლის 22 ნოემბერს, მაგრამ სახალხო არჩევნების გზით არ ყოფილა შექმნილი, ხელახლა მიიღებდნენ მას შემდეგ, რაც არჩევნები გაიმართება და მთავრობა-

ში მოვა სახალხო კენჭისყრით გამარჯვებული დამფუძნებელი კრება.

და, აი: დამფუძნებელ კრებაზე 1919 წლის 12 მარტს მოხდება ეს ხელახალი მიღება ამ ისტორიული დოკუმენტისა," რომელსაც უკვე პავლე ინგოროყვაც აწერს ხელს (ჩხეიძე, 2003: 182).

იმდროინდელ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ პროცესებში პავლე ინგოროყვას აქტიური მონაწილეობის დამადასტურებელ ფაქტს წარმოადგენს 1918 წლის გაზაფხულზე ტრაპიზონში წასვლაც თურქეთსა და საქართველოს შორის არსებულ სასაზღვრო პრობლემათა მოსაგვარებლად.

ასე რომ, პავლე ინგოროყვა არა მარტო თავისი მეცნიერულ-პუბლიცისტური ნაშრომებით იღვწოდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად, არამედ იმდროინდელ პროცესებში აქტიური პრაქტიკული მონაწილეობითაც.

ამ თვალსაზრისით უპირველეს ყოვლისა ის უმნიშვნელოვანესი როლი უნდა აღინიშნოს, რომელსაც იგი საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღსადგენად და მისი ისტორიული საზღვრების დასადგენად ასრულებდა. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ამ მიმართულებით შექმნილი მისი მაშინდელი ნაშრომები, რომლებიც ისტორიული დოკუმენტების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის შედეგადაა შექმნილი, თვალნათლივ წარმოდგენას გვიქმნის ისტორიულ ავბედობათა გამო ჩვენი ქვეყნის უდიდეს ტერიტორიულ დანაკარგებზე.

აღნიშნული მიმართულებით მის მიერ იმხანად გამოქვეყნებულ პირველ პუბლიკაციას წარმოადგენდა ჟურნალ „პრომეთეს" 1918 წლის მეორე ნომერში დაბეჭდილი ნარკვევი - „კავკასიის ქვეყნების ტერიტორიული გამიჯვნის გამო." მასში შესაბამის გეოგრაფიულ ადგილ-მდებარეობათა ზუსტი განსაზღვრითა და დაკონკრეტებითაა დასახელებული ყველა ის ტერიტორიული რეგიონი, რომლებიც აუცილებლად უნდა შესულიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღდგენილი საქართველოს შემადგენლობაში.

ხსენებული ნაშრომი იმ მოხსენების ტექსტს წარმოადგენდა, რომელიც პ. ინგოროყვას წაუკითხავს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე 1918 წლის 7 თებერვალს. როგორც მკითხველი ამ მოხსენებიდან ქვემოთ დამოწმებული ფრაგმენტებითაც დაინახავს, აღნიშნული პუბლიკაცია არა მარტო იმდროინდელ მოვლენათა არსში გასარკვევად წარმოადგენს

უაღრესად საინტერესო ნაშრომს, არამედ დღევანდელი თვალსაზრისითაც.

კერძოდ, ისტორიულ დოკუმენტებზე დაფუძნებული თავისი ამ გამოკვლევით პავლე ინგოროყვამ გეოგრაფიული სიზუსტით აღნუსხა როგორც ჩვენი ქვეყნის შემადგენლობაში იმხანად შემავალი რეგიონების ადგილმდებარეობა და საზღვრები, ისე ისტორიულ ავბედობათა გამო სხვა სახელმწიფოების მიერ მისაკუთრებული ქართული ტერიტორიებიც და მწვავედ დასვა საკითხი ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეში მათ დაბრუნებასთან და ამ გზით ისტორიული სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით.

თავისი ამ ნაშრომით პ. ინგოროყვამ მწვავედ გაილაშქრა იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის უმთავრეს მიზანსაც ამიერკავკასიის (ზოგიერთთა სურვილით - მთელი კავკასიის) რესპუბლიკის შექმნა წარმოადგენდა. რუსეთის იმპერიის მიერ დაპყრობილი და ამ იმპერიის დანგრევის შედეგად თავისუფლების ზღურბლთან მყოფი ამ ქვეყნების ერთ სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცევა მას ყოვლად გაუმართლებელ მოვლენად მიაჩნდა. პავლე ინგოროყვა არა მარტო ზოგადად უარყოფდა ამ იდეას, არამედ მისი სრული უსაფუძვლობისა და უპერსპექტივობის დასტურად არაერთი მყარი არგუმენტიც მოჰქონდა ხსენებული რეგიონის მკვიდრთა წარსულიდანაც და იმდროინდელი რეალობიდანაც.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არც ამიერკავკასია და არც კავკასია, როგორც ერთი ქვეყანა, არც წარსულში არსებობდა და ვერც მომავალში იარსებებდა და გაოცებას გამოხატავდა იმის გამო, რომ „ეს ცხადლივი მოვლენა ასე ადვილი დასანახი აღარ დარჩა.“ მისი თქმით, ერთ სახელმწიფოებრივ სივრცეში ამ რეგიონებში მცხოვრებ ხალხთა ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება „ფიქცია იყო,“ რადგანაც „ეგრეთ წოდებული კავკასია ნამდვილად ოთხი სხვადასხვა კულტურულ-ისტორიული კოლექტივია, ოთხი ქვეყანა: საქართველო, სომხეთი, ადერბაჯანი და კავკასიის მთიულეთი“ („პრომეთე,“ 1918, #2: 78).

აქედან გამომდინარე, პავლე ინგოროყვამ პრინციპულად გაილაშქრა ამ იდეის წინააღმდეგ და ისტორიულ და იმდროინდელ მოვლენათა საფუძვლიანი გაანალიზების შედეგად თვალნათლივ წარმოაჩინა მისი სრული უპერსპექტივობა. ხსენებული იდეის საპირისპიროდ, იგი აქტიურად გამოვიდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღდგენის იდეით და გეოგრაფიული პარამეტრების

ზუსტი დაფიქსირებით დააკონკრეტა იმ რეგიონების საზღვრები, რომლებიც მის შემადგენლობაში უნდა შესულიყო.

ქართული სახელმწიფოს საზღვართა გეოგრაფიული სიზუსტით განსაზღვის დროს პ. ინგოროყვა იმ სირთულეებზეც ამახვილებდა ყურადღებას, რაც ამ პრობლემის გადაწყვეტის დროს უსათუოდ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებელი. ამ თვალსაზრისით იგი პირველ ყოვლისა ორ უმტკივნეულეს და რეალურად ძნელად დასაძლევ პრობლემას გამოჰყოფდა: პირველი, იმას, რომ ჩვენი ქვეყნის არაერთი რეგიონი სხვა სახელმწიფოებს ჰქონდა მისაკუთრებული, და მეორე, საქართველოს ცალკეულ კუთხეებში მოსახლეობის უმეტესობას უკვე არაქართველები წარმოადგენდნენ. ამას ემატებოდა ისიც, რომ ტერიტორიული გამიჯვნის დროს სომხეთთანაც და აზერბაიჯანთანაც იყო მოსალოდნელი საკმაოდ მწვავე დაპირისპირება.

აქედან გამომდინარე, პ. ინგოროყვას მიერ აღნიშნულ სირთულეთა შეფასების შედეგად გამოტანილი დასკვნა ასეთი იყო: „ადვილი შესაძლებელია ჩვენ შემოგვერტყას ის საბედისწერო რკალი, რომლისგან თავის დაღწევას ჩვენი წინაპრები სცდილობდნენ, რკალი დაწყებული ბათომიდან და იქნებ გათავებული აფხაზეთით (ბორჩალოს და საინგილოს მიჯნებზე შემოვლებული). ეს იგეთივე ფატალური რკალია, რომელშიც მოექცა სომეხთა ერი წინა საუკონოებში“ („პრომეთე,“ 1918, #2: 78).

როგორც უკვე აღინიშნა, ხსენებული ნაშრომის მეშვეობით პ. ინგოროყვამ გეოგრაფიული სიზუსტით განსაზღვრა გარესამყაროსაგან საქართველოს გამმიჯვნელი საზღვრები და კონკრეტულად დაასახელა ყველა ის რეგიონი, რომლებიც მის შემადგენლობაში უნდა შესულიყო. ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად, ხსენებული პუბლიკაციიდან დავიმოწმებ შესაბამის ამონარიდებს: დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ფარგლებში უნდა მოექცეს **„ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათომის მხარე, სოხუმის, ზაქათალის, არტაანის და ოლთისის ოლქები.** ამათ გარდა, ოთხი ჩამონაჭერი მიწერილი არა ქართულ ადმინისტრატიულ ერთეულებზე: **გაგრის უბანი, ქვემო-ყარაიას ველები, ბამბაკი და აზოცი.**

ეს რუსეთის საქართველო. ოსმალეთის საქართველოს ტერიტორიას შეიცავს: **კისკიმის, თორთუმის და ისპირის ყოფილი კაზები და ლაზისტანის ყოფილი სანჯახი.**

ასეთია საქართველოს ტერიტორიის ფარგლები. ეს არის საქართველო ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ქართველი ერის მიწა-წყალი, სადაც მას უწარმოებია თავისი ისტორია და რომლის ყოველი მიდამო მოფენილია ქართული მრავალფეროვანი კულტურის მონუმენტებით. აქ არ არის მითვლილი არც ერთი ნაჭერი მიწა, რომელიც დაპყრობით ან სხვა რაიმე გზით ყოფილიყვეს შემოერთებული... აქ შემოფარგლულია მარტოოდენ ძირეული ქართული ქვეყნები" („პრომეთე," 1918, #2: 81).

პავლე ინგოროყვას პუბლიკაციისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ისიც, რომ მასში ის ტერიტორიებიცაა კონკრეტულად დასახელებული და შესაბამისი საზღვრების მითითებით დაფიქსირებული, რომლებიც ისტორიულად ჩვენი ქვეყნის კუთვნილებას წარმოადგენდა, მაგრამ XIX საუკუნეში მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებული ადმინისტრაციული მმართველობითი პოლიტიკის შედეგად ხელოვნურად ჩამოაცილეს მას. აღნიშნული რეგიონებია: „გაგრის უბანი - ეს არის აფხაზეთის ჩრდილოეთი სექტორი, მიწერილი დღეს სოჭის ოლქზე; ქვემო-ყარაია - კახეთის ნაწილია,... რომელიც მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეში ადმინისტრაციული გადამიჯვნის დროს მიაწერეს ადერბეჯანის მაზრებს (ყაზახსა და განჯას); ბამბაკი და აბოცი ქართლის სამხრეთი ოლქებია, რომლებიც აგრეთვე მეცხრამეტე საუკუნეში შეუერთეს სომხეთის მაზრებს (ალექსანდრეპოლს და ყარსს).

ამათ გარდა საჭიროა კიდევ ორგან შესწორდეს დღევანდელი ადმინისტრატიული საზღვრები. სახელდობრ, ხევის განაპირა ნაწილი მიწერილია დღეს თერგის მხარეზე (სოფელ ლარსის რაიონი), ხოლო ქ. სტეთის რამდენიმე სოფელი შემოერთებულია ჩვენს ხევსურეთზე" („პრომეთე," 1918, #2: 81).

პავლე ინგოროყვას ხაზგასმით, „მთელი ეს ტერიტორია, საქართველო, სულ უკანასკნელ დრომდე დასახლებული იყო ერთიან ქართველობით. ბოლო დროებში, საქართველოს პოლიტიკური დასუსტების ხანაში, ზოგ განაპირა ოლქში უცხო ელემენტი გაძლიერდა... რუსეთის პოლიტიკა აშკარად იყო მიმართული იქითკენ, რომ საქართველოს ტერიტორია... ერთიანად აეჭრელებია და ამით გამოეწვია დასუსტება ქართველობის, როგორც ყველაზე კულტურული და სახელმწიფოებრივი ერისა ტრანს-კავკასიაში" („პრომეთე," 1918, #2: 82).

პავლე ინგოროყვა მეფის რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს მიმართ გატარებული სწორედ ამგვარი კოლონიური პოლიტიკის ტრაგიკულ შედეგად მიიჩნევდა იმ ფაქტს, რომ „პოლიტიკურად უფლება-ახდილობის ამ ხანაში" „ქართველი ერისათვის ჩამორთმეულ ძირეულ ქართულ ქვეყნებში გაძლიერდა უცხო ელემენტი, - ქვეყნებისა, რომელიც მორწყულია მისი ოფლითა და სისხლით, რომელთანაც გადაბმულია იგი თანამედროვე და სამერმისო რეალური საჭიროებით." ეს კი, მისი თქმით, „ყოველგვარი სამართლიანობის დათრგუნვასა და ქართველი ერის უფლებათა აბუჩად აგდებას" წარმოადგენდა („პრომეთე," 1918, #2: 83).

საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრების განსაზღვრისა და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის პრობლემა პავლე ინგოროყვამ კიდევ უფრო ვრცლად და დეტალურად გააანალიზა სტამბოლში 1918 წელს გამოცემულ წიგნში „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ."

სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანის საბეჭდავის მიერ გამოცემული ამ წიგნის ბოლოს დართული მინაწერის მიხედვით "სამახსოვრო ცნობარად" მიჩნეული ეს ნაშრომი ავტორს კონსტანტინეპოლში 1918 წლის 4-6 ივლისს დაუწერია იქ გასამართი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეთათვის დასარიგებლად. სტამბოლში პ. ინგოროყვას იმხანად ყოფნა არსებითად განაპირობა იმან, რომ იგი იმდროისათვის იქ ჩასატარებელ საერთაშორისო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან წარგზავნილი კომისიის წევრი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს რეგიონულ ნაწილებთან და ტერიტორიულ საზღვრებთან დაკავშირებით უამრავი ინფორმაციის მომცემი ეს წიგნი მის ავტორს ესოდენ ხანმოკლე დროის განმავლობაში დაუწერია, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგანაც სამისოდ საჭირო ყველა მასალა პ. ინგოროყვას წინასწარ ჰქონდა საფუძვლიანად მომზადებული და საგანგებო განხილვის საგნად ქცეული მის არაერთი საჯარო გამოსვლასა და პუბლიკაციაში.

მართალია, ხსენებული კონფერენცია, რომლის მიზანიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებულ პრობლემათა განხილვა უნდა ყოფილიყო, მაშინ არ გამართულა, მაგრამ სტამბოლის ქართულ კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულმა სტამბა-გამომცემლობამ პ. ინგოროყვას ნაშრომი ცალკე წიგნად მაინც გამოსცა, რითაც ქართველ საზოგადოებას შესაძლებლობა მისცა სა-

თანადოდ გარკვეულიყო ტერიტორიული მთლიანობის დაცვასთან დაკავშირებულ იმ ურთულეს პრობლემათა არსში, რომელთა წინაშეც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პირველივე დღეებში დადგა ჩვენი ქვეყანა.

როგორც ცნობილია, 1918 წლის 3 მარტს საბჭოთა რუსეთმა გერმანიასთან და მის მოკავშირე ქვეყნებთან ბრესტ-ლიტოვსკში გაფორმებული სეპარატისტული საზავო შეთანხმების საფუძველზე თურქეთს გადასცა ბათუმის, არტაანისა და ყარსის ოლქები. ეს ის პერიოდი იყო, როცა ამიერკავკასია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში უკვე აღარ შედიოდა და ერთ სახელმწიფოებრივ ერთეულად ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ამ რეგიონს ამიერკავკასიის კომისარიატი ედგა სათავეში. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ სეპარატისტულად მიღებული ეს გადაწყვეტილება ამიერკავკასიის კომისარიატმა მკაცრად დაგმო და გააპროტესტა, ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია და თურქეთის ხელისუფლებამ სასწრაფოდ მოითხოვა ხსენებული რეგიონების მისთვის გადაცემა.

ამიერკავკასიის ხელისუფლება შეეცადა მტრის აგრესიული შემოტევა დიპლომატიური მოლაპარაკების გზით შეეჩერებინა, მაგრამ სასურველ მიზანს ვერ მიაღწია. ზემოთ ხსენებული საზავო შეთანხმებით წაქეზებულმა თურქეთმა 1918 წლის 8-9 აპრილს დასახელებული რეგიონების მისასაკუთრებლად აქტიური საომარი ოპერაციები გააჩაღა და დაახლოებით ათდღიანი ბრძოლების შემდეგ ბათუმი, ოზურგეთი და სამცხე-ჯავახეთის დიდი ნაწილი დაიკავა.

ჩვენი ქვეყნის ისტორიის ეს ტრაგიკული ეპიზოდი აქ იმიტომაც გავიხსენე, რომ უკიდურესად რთული ამ მდგომარეობიდან გამოსავლის მოძებნის ურთულეს პროცესში პავლე ინგოროყვაც იყო აქტიურად ჩართული.

პ. ინგოროყვას ხსენებული წიგნისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ მასში მკაფიოდ და არგუმენტირებულად, ისტორიული და თანადროული რეალიების გათვალისწინებით, ზუსტად და ზედმიწევნითი სიცხადითაა განსაზღვრული როგორც საქართველოს ტერიტორიული საზღვრები, ისე ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობაცა და ეთნიკური შემადგენლობაც.

ამ თვალსაზრისით მკითხველის განსაკუთრებულ ინტერესს პირველ ყოვლისა წიგნის ის ეპიზოდები იქცევს, სადაც ავტორი თურქეთის მიერ დავის საგნად ქცეულ რეგიონებთან დაკავშირებით

გვაწვდის სათანადო ცნობებს. მყარ მეცნიერულ არგუმენტებზე დაფუძნებული ეს მონაცემები არა მარტო იმხანად არსებული ვითარების არსში გასარკვევადაა უაღრესად საინტერესო, არამედ დღევანდელი თვალსაზრისითაც.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქ ერთ მნიშვნელოვან გარემოებასაც უსათუოდ უნდა გაესვას ხაზი: კონსტანტინეპოლის კონფერენციის მონაწილეთათვის დასარიგებლად გამიზნული ეს ნაშრომი, რომელსაც, როგორც უკვე ითქვა, თავად ავტორი "სამახსოვრო ცნობის" სახელით მოიხსენიებდა, ცალკე წიგნად გამოცემის შედეგად სტამბოლის ქართული სავანის გამომცემლობამ ფაქტობრივად ფართო საზოგადოების კუთვნილებადაც აქცია.

ამ შემთხვევაში ხაზგასმით აღსანიშნავი ისიცაა, რომ ეს ყველაფერი იმ ქვეყნის დედაქალაქში მოხდა, რომლის ხელისუფლება იმხანად არა მარტო პოლიტიკურ-დიპლომატიური გზებით ცდილობდა ქართული სახელმწიფოს დიდი ნაწილის მისაკუთრებას, არამედ სამხედრო ძალის გამოყენებითაც. მართალია, პ. ინგოროყვას წიგნი ქართულ ენაზე იყო გამოცემული, მაგრამ გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი მისი შინაარსიდან და გამოცემის ადგილიდან გამომდინარე, თურქულ (და არა მარტო თურქულ) წრეებში მაინც გახდებოდა მეტ-ნაკლებად რეზონანსული მოვლენა.

მიუხედავად იმისა, რომ წიგნის სახელწოდებიდან გამომდინარე, პ. ინგოროყვა მკითხველის ყურადღებას პირველ ყოვლისა საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებს მიაპყრობს და უზუსტესი სახით განსაზღვრავს ისტორიულად, საუკუნეების განმავლობაში, ჩამოყალიბებულ მის კოორდინანტებს, ავტორი ჩვენი ქვეყნის ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობის, ეთნიკური შემადგენლობისა და ენობრივი სიტუაციის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის შესახებაც გვაწვდის სათანადო მონაცემებს. წიგნს განსაკუთრებულ ღირსებას სძენს ის ფაქტი, რომ თავად ავტორის ხაზგასმით, ეს მონაცემები მას შედგენილი ჰქონდა "ადმინისტრაციის ოფიციალურ ცნობებსა" და "ამ საგანზე საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სპეციალურ გამოკვლევაზე" დაყრდნობით (ინგოროყვა, 1918: 12).

ასე რომ, აღნიშნული ნაშრომის შექმნითა და გამოქვეყნებით პ. ინგოროყვა ისტორიულ დოკუმენტებსა და მყარ სტატისტიკურ მონაცემებზე დამყარებით აცლიდა საფუძველს ყველა იმ ტერიტორიულ პრეტენზიას, რომელსაც საქართველოს უყენებდნენ იმხანად

მისი მოწინააღმდეგე ქვეყნები. მისი მტკიცებით, "საქართველოს ტერიტორია კლასიკურად დამთავრებულს იმ მთლიანს ერთეულს" წარმოადგენდა, რომლის "საზღვრები ამოხაზა ოცი საუკუნის ისტორიამ; საქართველო არის ერთი ისტორიული სხეული, შეკავშირებული მრავალ-საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და კულტურული ერთობით" (ინგოროყვა, 1918: 1).

იმხანადაც და ამჟამადაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ ათასწლეულობით დამკვიდრებული ამ ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი ერთობისა და მთლიანობის სისხლხორცეულ ნაწილად პ. ინგოროყვა ჩვენი ქვეყნის იმ რეგიონებსაც მიიჩნევდა, რომლებიც ისტორიული ავბედობის გამო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა მოქცეული.

არადა, ისინი არა მარტო ტერიტორიულად, არამედ მოსახლეობის დიდი ნაწილის ეთნიკური შემადგენლობითაც საქართველოს სისხლხორცეულ შემადგენელ ნაწილებს რომ წარმოადგენდა, ამის ნათელსაყოფად პ. ინგოროყვა ცალკე, გამოყოფილი სახით, გვთავაზობს მეტად მნიშვნელოვან მონაცემებს ბრესტის ზავის საფუძველზე თურქეთსა და საქართველოს შორის იმხანად უმწვავესი კონფლიქტის საფუძვლად ქცეულ ზემოთ ხსენებულ რეგიონებში რეალურად არსებული ვითარების შესახებ. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ამ საზავო ხელშეკრულების მიხედვით, ბათუმის, სამცხე-ჯავახეთისა და არტაანის მხარეები საქართველოს უნდა ჩამორთმეოდა და თურქეთს გადასცემოდა.

პ. ინგოროყვას ხაზგასმით, ბრესტის ზავის ამ პუნქტს არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა. კერძოდ, "რუსეთი არ იყო უფლება-მოსილი დაეთმო საქართველოს მიწა-წყალი," რადგან მან "ვიდრე ბრესტის ხელშეკრულება დაიდებოდა, ფაქტიურად დასტოვა საქართველო, გაიყვანა რა თავისი ჯარები საქართველოს საზღვრებიდან და ამით დაჰკარგა ყოველგვარი უფლება საქართველოზე" (ინგოროყვა, 1918: 10).

ამგვარი გადაწყვეტილების უსაფუძვლობის ნათელსაყოფად და მკითხველის იმაში დასარწმუნებლად, ხსენებული რეგიონები ისტორიულადაც და იმჟამინდელი რეალობის გათვალისწინებითაც ქართული სახელმწიფოს სისხლხორცეულ ნაწილებს რომ წარმოადგენდა, პ. ინგოროყვას ოფიციალური ცნობარებიდან ამოკრებილი საკმაოდ დამაჯერებელი სტატისტიკური მონაცემებიც მოაქვს.

ამ მონაცემების მიხედვით, ხსენებული რეგიონების მოსახლეობის უმეტესობას ქართველები წარმოადგენდნენ. პ. ინგოროყვას თქმით, მათი დიდი ნაწილი, მართალია, მუსულმანია, მაგრამ მათში „წმიდად არის დაცული ქართული რასსა, დიდ ნაწილს შეუნახავს ქართული დედა-ენა და მთელი ხალხი დღემდე თავისთავს გურჯს (ე. ი. ქართველს) ეძახის" (ინგოროყვა, 1918: 10).

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, პ. ინგოროყვას ნარკვევში იმ გარემოებასაც ესმება ხაზი, რომ "მთელი ქართველი მუსულმანობისთვის ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის კარებამდე, და მეცხრამეტე საუკუნეშიაც, დედა-ენა ქართული იყო. ბოლო დროებში – წარსული საუკუნის მანძილზე – ქართული ენის ცოდნა ზოგ ადგილას შემცირდა. ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსულ რეჟიმს. რუსეთის მმართველობა, რომლის პოლიტიკა მიმართული იყო ქართველობის დასუსტებისაკენ, ყოველნაირად ხელს უშლიდა მუსულმანი ქართველების დაახლოებას მათ ქრისტიან მოძმეებთან. თუ სადამდე მიდიოდა კერძოთ ქართული ენის შევიწროება ამ მხარეში – ადვილად წარმოასადგენია მარტო იმ ფაქტიდან, რომ აქ თურქების მფლობელობის დროს სოფლის სამმართველოსა და სამსაჯულოში ქართული ენა იხმარებოდა, რუსეთის მმართველობამ კი რუსული და თურქული ენები შემოიღო. რუსულ-თურქული ენა შემოღებულ იქმნა აგრეთვე სკოლებში."

პ. ინგოროყვას თქმით, რუსული ხელისუფლების მიერ გატარებულ ასეთ პოლიტიკას ის სავალალო შედეგი მოჰყვა, რომ "ახალციხე-ახალქალაქის მხარეში, სადაც მთელი მუსულმანი ქართველობა მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდე ქართულ დედა-ენაზე ლაპარაკობდა, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ენა აქ ზოგ კუთხეში დავიწყებას მიეცა. ასეთ რაიონებში ძველ თაობას დღემდე ახსოვს ქართული, ახალგაზრდობა კი ვეღარ ლაპარაკობს დედა-ენას. ასევეა არტაანის კუთხეებში – ფოცხოვის და ტაოს-კარის რაიონებში" (ინგოროყვა, 1918: 11).

იმის გათვალისწინებით, რომ ტერიტორიული დავის საგნად ქცეულ ზემოთ ხსენებულ რეგიონებში ეთნიკური თვალსაზრისით დღესდღეობით რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა, მკითხველს შევახსენებ იქ არსებული მდგომარეობის შესახებ პ. ინგოროყვას მიერ მოტანილ იმჟამინდელ მონაცემებს.

ახალციხის მაზრაში მცხოვრები 72 000 სულიდან მუსულმანი ქართველი იყო 52 000, მართლმადიდებელი – 8 000, კათოლიკე – 6

000. სულ ქართველთა რაოდენობა შეადგენდა 66 000 სულს. დანარჩენი 6 000 სული მოსახლიდან 4 000 იყო სომეხი, 2 000 კი ქურთი. ქართველ მუსულმანთაგან ქართულ ენაზე საუბრობდა 50-60%.

ახალქალაქის მაზრაში მცხოვრები 101 000 სულიდან მუსულმანი ქართველი იყო 7 000, მართლმადიდებელი ქართველი – 7 000, კათოლიკე ქართველი – 14 000. სულ ქართველთა რაოდენობა შეადგენდა 22 000 სულს. დანარჩენი 79 000 სული მოსახლიდან 74 000 იყო სომეხი, 1 000 – თურქი, 1 000 – ქურთი, სხვა ეროვნების ქრისტიანები კი 7 000. ქართველ მუსულმანთაგან ქართულ ენაზე საუბრობდა 50-60%.

ბათუმის ოლქში მცხოვრები 82 000 სულიდან მუსულმანი ქართველი იყო 73 000, მართლმადიდებელი ქართველი კი 1 000. სულ ქართველთა რაოდენობა შეადგენდა 74 000 სულს. დანარჩენი 8 000 სული მოსახლიდან თურქი იყო 1 000, ქურთი – 2 000, აფხაზი – 1 000, სხვა ეროვნების ქრისტიანები კი 4 000. ქართველ მუსულმანთაგან ქართულ ენაზე საუბრობდა 100%.

ართვინის ოლქში მცხოვრები 61 000 სულიდან ქართველი იყო 56 000, უკლებლივ ყველა მათგანი – მუსულმანი, მართლმადიდებელი და კათოლიკე კი არცერთი. დანარჩენი 5 000 სული მოსახლიდან სომეხი იყო 4 000, სხვა ეროვნების ქრისტიანები კი 1 000. ქართველ მუსულმანთაგან ქართულ ენაზე საუბრობდა 60%-მდე.

არტაანის მხარის ფოცხოვის უბანში მცხოვრები 15 000 სულიდან ყველა მუსულმანი ქართველი იყო. მათგან ქართულ ენაზე საუბრობდა 5-10%. არტაანის ოლქში მცხოვრები 56 000 სულიდან მუსულმანი ქართველი იყო 15 000, თურქი – 16 000, ქურთი – 12 000, სხვა ეროვნების ქრისტიანები კი 13 000. ქართველ მუსულმანთაგან ქართულ ენაზე საუბრობდა მხოლოდ 1-5%. ოლთისის ოლქში მცხოვრები 32 000 სულიდან მუსულმანი ქართველი იყო 20 000, სომეხი – 2 000, თურქი – 3 000, ქურთი – 4 000, სხვა ეროვნების ქრისტიანები კი 3 000. ქართველ მუსულმანთაგან ქართულად აქაც საუბრობდა მხოლოდ 1-5%.

სულ სამივე მხარეში მცხოვრები 419 000 სულიდან მუსულმანი ქართველი იყო 238 000, მართლმადიდებელი ქართველი – 16 000, კათოლიკე ქართველი – 14 000, სულ ქართველთა რაოდენობა შეადგენდა 268 000; ე. ი. მოსახლეობის საერთო რაოდენობის 64%-ს, სომხების რაოდენობა იყო 80 000, თურქებისა – 21 000, ქურთებისა – 21 000, სხვა ეროვნების ქრისტიანებისა კი 1 000. მუსულმან ქართველ-

თაგან ქართულ ენაზე საუბრობდა 141 000 კაცი (ინგოროყვა, 1918: 12).

როგორც ვხედავთ, დასახელებული რეგიონების მცხოვრებთა ეთნიკური შემადგენლობის განსაზღვრის დროს პ. ინგოროყვას მიერ წარმოდგენილი ინფორმაციული მასალის შედეგად ცხადად და აშკარად იკვეთება იმდროინდელი ვითარების რეალურად წარმომჩენი რამდენიმე მნიშვნელოვანი ტენდენცია:

1. ახალქალაქის მაზრაში სომეხთა რაოდენობის მკვეთრი მატება, რაც არსებითად აღმოჩნდა განპირობებული რუსეთის იმპერიული ხელისუფლების მიერ ხსენებულ რეგიონში თურქეთიდან ამ ეროვნების წარმომადგენელთა მასობრივი ჩამოსახლებით;

2. გარდა არტაანის ოლქისა, საუკუნეების განმავლობაში თურქეთის სახელმწიფოებრივ დაქვემდებარებაში შემავალ ყველა სხვა რეგიონში თურქი მოსახლეობის რაოდენობრივი სიმცირე ანდა საერთოდ არარსებობა;

3. მიუხედავად იმისა, რომ პ. ინგოროყვა ზემოთ ხსენებულ რეგიონებში მცხოვრებ სხვა ეროვნების ქრისტიანთა ეთნიკურ შემადგენლობას არ აკონკრეტებს, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მათ უმეტესობას რუსები წარმოადგენდნენ.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამ კატეგორიის ადამიანთა რაოდენობა სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შედარებით ხშირ შემთხვევაში საკმაოდ დიდია, შეიძლება ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე დავასკვნათ, რომ რუსეთი თურქეთთან შედარებით გაცილებით უფრო მკაცრი აგრესორი იყო და ხსენებულ რეგიონებში ხანმოკლე ბატონობის მიუხედავად უფრო აქტიურად და მასშტაბურად ატარებდა ამ მხარეთა კოლონიზაციისა და რუსიფიკაციის პოლიტიკას;

4. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ რეგიონებში მცხოვრებ ქართველთა უდიდესი ნაწილი მუსულმანი იყო, მათი უმეტესობა, გარდა არტაანის მხარეში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისა, ქართულ ენაზე საუბრობდა, რაც ამ ადამიანთა ეროვნული იდენტობის არსებითად განმსაზღვრელ უმთავრეს საფუძვლადაც უნდა მივიჩნიოთ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე.

ამდენად, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, კიდევ ერთხელ დაბეჯითებით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ პ. ინგოროყვას მიერ ხსენებული რეგიონების ქართული სახელმწიფოს სისხლხორცეულ ნაწილად მიჩნევასთან დაკავშირებით მოხმობილი

არგუმენტები სავსებით დამაჯერებელია და როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული, ისე ეროვნულ-ეთნიკური მონაცემებითაც მყარად დასაბუთებული.

სამწუხაროდ, პ. ინგოროყვას მიერ ზემოთ მოხსენიებულ იმ რეგიონებში, რომლებიც მოვლენათა შემდგომი განვითარების შედეგად საქართველოს სახელმწიფოებრივი იურისდიქციის მიღმა დარჩა და კვლავაც თურქეთის შემადგენლობაში მოექცა, ეთნიკური თვალსაზრისით დღესდღეობით არსებითად განსხვავებული მდგომარეობაა და არა მარტო იქ მცხოვრებ ქართველთა რაოდენობაა მკვეთრად შემცირებული, არამედ ხსენებულ მხარეებს შემორჩენილი ჩვენი თანამემამულეების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა, საერთოდ ვეღარ მეტყველებს ქართულად.

საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრების დაფიქსირების დროს პავლე ინგოროყვამ განსაკუთრებული ყურადღება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ტერიტორიული არეალის განსაზღვრასაც მიაქცა და მისი საზღვრებიც დაადგინა შესაბამის ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით. კერძოდ, მისი მტკიცებით, „საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის იურისდიქციას ექვემდებარება მართლმადიდებელი მოსახლეობა შემდეგის ტერიტორიისა:

ჩრდილოეთით - კავკასიონის ქედი გაგრის-თავიდან (საცა თავდება აფხაზეთი) ვიდრე გიშის-თავამდე; **აღმოსავლეთით** - გიშის-წყალი და ხაზი მტკარ-არაქსის შესართავამდე. **სამხრეთით** - მტკვარი ალაზნის შესართავიდან ქციის შესართავამდე, აქედან მთები, რომელნიც მისდევენ მდ. ბორჩალოს აუზის მარჯვნით და მიადგებიან მტკვარ-არაქსის წყალგამყოფ ქედს და შემდეგ თვით ეს წყალგამყოფი ქედი ვიდრე აბოცამდე; აქედან საზღვარი გადაჰკვეთს ართვა-ჩაისა და ჩილდირ-ჩაის სათავეებს, მიჰყვება ხელახლა მტკვარ-არაქსის წყალგამყოფ ქედს, შემდეგ ირაჯლუს ქედს, დაჰკვეთს ჭოროხის აუზს გურჯი-ბოღაზთან და ლაზისტანის ქედით მიადგება შავ-ზღვას გონიოსთან; **დასავლეთით** შავი ზღვა გონიოდან გაგრამდე.

დღევანდელი საადმინისტრაციო ტერმინოლოგიით საქართველოს საკათალიკოსოს ტერიტორიას შეადგენს: თფილისის (ის) გუბერნია ზაქათალის ოლქითურთ, ქუთაისის გუბერნია სოხუმის ოლქითურთ, სრულიად ბათუმის მხარე,.. ყარსის მხარის ორი ოლქი: არტაანისა და ოლთისისა, ალექსანდროპოლის მაზრის ჩრდილო-

ეთი სექტორი (შამშაკი და აბოცი), ნუხის მაზრის პირველი უბანი (საინგილოდან გიშის თავამდე), მტკვრისპირა მარცხენა კახეთი, მიწერილი განჯის გუბერნიაზე, ბზიფის აფხაზეთი ბიჭვინთიდან გაგრამდე - მიწერილი სოჩის ოლქზე და ახლად დაპყრობილს ოსმალეთის საქართველოში - ყოფილის არზრუმის ვილაიეთის სამი ყაზა: თათრთოში, კისკიში და ისპირი“ (ჩხეიძე, 2003: 144).

დამოუკიდებლობა აღდგენილი საქართველოს სახელმწიფოებრივი საზღვრების დადგენის პროცესში პავლე ინგოროყვას ღვაწლის წარმოჩენის დროს ყურადღება აქ ჩვენი ისტორიოგრაფიიდან კარგად ცნობილ იმ საკითხსაც მინდა მივაქციო, რომელიც თურქულ მხარესთან მწვავე დაპირისპირების საგნად იქცა, მაგრამ საბოლოოდ ქართული კომისიის წარმომადგენელთა გამარჯვებით დამთავრდა.

როგორც ცნობილია, პ. ინგოროყვასა და ამ კომისიის შემადგენლობაში შემავალი სხვა ქართველი მამულიშვილების აქტიურობის შედეგად, დამაჯერებლად იქნა უარყოფილი თურქული მხარის მტკიცება იმისა, თითქოს 1828 წელს თურქეთსა და რუსეთს შორის გაფორმებული საზავო შეთანხმების მიხედვით, აჭარის რეგიონში ამ ორი სახელმწიფოს ერთმანეთისაგან გამმიჯვნელ საზღვარს ჭოროხზე კი არა მდინარე ჩოლოქზე უნდა გაევლო.

ამ საკითხის განხილვის დროს დელეგაციის წევრებს შორის მწვავე დაპირისპირების საგნად იქცა ხსენებულ დოკუმენტში დაფიქსირებული მდინარის სახელის წაკითხვა. კერძოდ, პავლე ინგოროყვასა და ქართული დელეგაციის სხვა წევრების მტკიცებით, საზავო შეთანხმების დოკუმენტში დაფიქსირებულ სიტყვაში -Чорох მდინარე ჭოროხი იგულისხმებოდა და არა მდინარე ჩოლოქი, თურქული მხარის მტკიცებით კი მდინარე ჩოლოქი. აქედან გამომდინარე, თურქული კომისიის წევრები დაჟინებით მოითხოვდნენ, რუსეთსა და თურქეთს შორის საზღვრად ამ რეგიონში სწორედ ჩოლოქი უნდა ქცეულიყო და არა ჭოროხი.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ პავლე ინგოროყვასა და ქართული კომისიის სხვა წევრების უკომპრომისო ძალისხმევით გახდა შესაძლებელი, თურქეთსა და საქართველოს (რუსეთს) შორის სახელმწიფოებრივ საზღვრად მაშინ ჩოლოქის ნაცვლად მდინარე ჭოროხი რომ იქნა დადგენილი.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, მკითხველისათვის ადვილი წარმოსადგენი იქნება, ასეთი ეროვნული მრწამსის მქონე ეს

დიდი სწავლული და მამულიშვილი როგორ დამოკიდებულებასაც გამოავლენდა 1921 წლის თებერვლის ტრაგედიისადმი. კერძოდ, აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით როსტომ ჩხეიძე: „სოღანლუღსა და კოჯორ-ტაბახმელას მიდამოებში ქართულ ლაშქარს მოხალისეებიც შეერთებოდნენ. ვისაც ხელში იარაღის აღება შეეძლო და გულიც ერჩოდა, თბილისში, აბა, რა გააჩერებდა: და მათ შორის, პავლე ინგოროყვასაც.

ლეგენდარული გადმოცემის მიხედვით, კიდეც დაჭრილა და დაბეჯითებით ძნელია იმის თქმა, ეს ნამდვილად ასე მოხდა, თუ მისი ცხოვრების სხვა ეპიზოდთა თავისებურად გადასხვაფერებული ვერსიაა. ყოველ შემთხვევაში, მებრძოლთა შორის მართლა რომ იყო და საბოლოოდ მათთან ერთად მოუწია უკან დახევა, ამას ალექსანდრე ქუთათელის რომანის ერთ-ერთი სცენაც გვიდასტურებს“ (ჩხეიძე, 2003: 196).

მოკლედ, ასეთია პავლე იგოროყვას ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის წარმომჩენი უმთავრესი შტრიხები საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი მისი მეცნიერულ-პუბლიცისტური ნააზრევისა და იმდროინდელ მოვლენებში აქტიური მონაწილეობის მიხედვით. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქ ისიც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს დიდი ერისკაცი, მის მიმართ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში პერმანენტულად გატარებული დევნისა და შევიწროების მიუხედავად, სიცოცხლის ბოლომდე დარჩა იმ მამულიშვილად, რომელიც იძულებითი კომპრომისის გზას არ დადგომია და თავისი ეროვნული პრინციპებისთვის არასოდეს უღალატია.

ტიციან ტაბიძე

1917 წელს, მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ტიციან ტაბიძე (1893-1937 წწ.) თბილისში ჩამოვიდა და ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში მუშაობდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ორგანოს - გაზეთ „საქართველოს“ რედაქციაში. როგორც ხსენებული პერიოდული გამოცემის ფურცლებზე იმხანად მის მიერ გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილებიდან თვალნათლივ ჩანს, იმ დროისათვის იგი აქტიურად უჭერდა მხარს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მესვეურთა ეროვნულ მრწამსს და სისტემატურად ეხმიანებოდა იმჟამინდელ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მოვლენებს.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით აღსანიშნავია ხაზგასმულად ოპტიმისტური დამოკიდებულება 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შედეგად შექმნილი იმ რეალობისადმი, რომელიც პოეტს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის იმედს უჩენდა. მართალია, რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების მოლოდინი ტიციანის იმდროინდელ პუბლიკაციებში ერთმნიშვნელოვანი სიცხადით არ იყო გამოხატული, მაგრამ მათი წაკითხვის დროს მაინც იგრძნობა პოეტის აშკარა დაინტერესება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პრობლემებით.

მაგალითად, 1917 წლის 30 მარტს გამოქვეყნებულ წერილში - „რუსეთის რევოლუცია“ ხსენებული რევოლუციისა და მისი შედეგებისადმი თავის ოპტიმისტურ დამოკიდებულებას ტიციანი მკითხველს ამგვარი პათეტიზმით აუწყებდა: „დღეს იწყება რუსეთის განკითხვა, მისი ყველაზე დიდი გამოცდა. ისე არასოდეს არ ყოფილა დატვირთული და დაჭიმული მისი ბედის სასწორი, როგორც დღეს... თითქოს იბადება ტანჯვაში ახალი რუსეთი.“

როგორც დამოწმებული ფრაგმენტითაც თვალნათლივ ჩანს, ტიციანი ყურადღებით ადევნებდა თვალს იმ ძვრებსა და გარდაქმნებს, რომელთა დამკვიდრებასაც თებერვლის რევოლუციის გამარჯვების შედეგად ეყრებოდა საფუძველი ჩვენს ქვეყანაში.

სწორედ იმდროინდელ მოვლენათა ამგვარი თვალთახედვით შეფასების მნიშვნელოვან გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ტიციანის მაშინდელ შემოქმედებაში განსაკუთრებუ-

ლი ყურადღების საგნად იქცა ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის განმსაზღვრელ ნიშან-თვისებათა აქტიური დაცვა და პროტესტანტული დამოკიდებულება ქართულ ყოფაში შემოჭრილი უცხოური წეს-ჩვეულებებისადმი.

მაგალითად, იგი განსაკუთრებულ გულისტკივილს გამოხატავდა თბილისში ამ თვალსაზრისით არსებული რეალობისადმი და გაზეთ „საქართველოს“ 1917 წლის 139-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ამ მოვლენას ასეთ შეფასებას აძლევდა: „თბილისი კეთროვანი ქალაქია, სადაც ქართველები თითქოს სტუმრებად და უცხოელებად გრძნობენ თავს.“

პოეტს სწორედ ამ გულსატკენი მოვლენის სამწუხარო შედეგად მიაჩნდა ის გარემოება, რომ იმჟამინდელ თბილისში ქართული კულტურა სულს ღაფავდა და ქალაქს დაკარგული ჰქონდა ეროვნული ცხოვრების წინამძღოლობის ის ფუნქცია, რომლის შესრულებაც ისტორიულად ჰქონდა დაკისრებული.

„ბევრ ისტორიულ საბუთებს რომ თავი დავანებოთ, - გულისტკივილით აღნიშნავდა იგი, - საკმაო არის ბესიკის ლექსები, შემდეგ ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის და ნიკოლოზ ბარათაშვილის, რომ ვიგრძნოთ, რომ თბილისმა ჩვენს დღეებშიც დაკარგა თავისი სახე.“ ტიციანის ხაზგასმით, „ჩვენი დაუდევრობის შედეგად გაფუჭებული ამ საქმის“ გამოსწორების ისტორიული მისია თავისი დროის ქართველობის უმთავრეს მოვალეობას წარმოადგენდა. „ჩვენმა მოდგმამ, - წერდა იგი, - უნდა გამოასწოროს დაუდევრობისაგან გაფუჭებული საქმე. თბილისში ჩვენ უნდა მოვნახოთ ჩვენი თბილისი... თბილისის ბედი საქართველოს ბედია.“

ტიციან ტაბიძის იმდროინდელი ეროვნული მრწამსის შეფასების დროს რამდენიმე სიტყვა რევოლუციასთან მისი დამოკიდებულების შესახებაც უნდა ითქვას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა 1921 წელს გამოქვეყნებული მისი წერილი „რევოლუცია და პოეტები.“ როგორც ამ პუბლიკაციიდანაც თვალნათლივ ჩანს, რევოლუციაში იგი ხედავდა იმ ძალას, რომელსაც იმჟამინდელი დახავსებული ყოფა უნდა დაემსხვრია.

რევოლუციის ამგვარ გაგებას ტიციანი ღებულობდა როგორც ტრადიციას, რადგანაც ისტორიული გამოცდილება არწმუნებდა იმაში, რომ „ყოველი დროისა და ყველა ქვეყნის პოეტები ყოველთვის იყვნენ რევოლუციის მხარეზე და ბევრი პოეტიც სამუდამოდ ყოფილა შთაგონებული რევოლუციის ცეცხლით;“ და რომ რევოლუციის

ქარიშხალი მათი „პოეტური სტიქიისთვის დიდი სტიმული ყოფილა.“

ეს აზრი იმითაც იყო შთაგონებული, რომ ტიციანი პოეტის ცნებაში „თანამედროვე საზოგადოებასთან და მთავრობასთან“ მუდმივად ოპოზიციაში მყოფ პიროვნებას ხედავდა, კაცს, რომელიც მეხოტბედ ყოფნისათვის კი არ ევლინება ქვეყანას, არამედ უკეთესი მომავლისთვის საბრძოლველად.

იგი პირველ ყოვლისა სწორედ ამ გაგებით მიესალმა რევოლუციას და აქტიურად დადგა კიდეც მის მხარეზე. მისი ამ პოზიციის განმაპირობებელ არგუმენტად ტიციანს უხვად მოჰყავდა მაგალითები მსოფლიოს არაერთი მწერლის ბიოგრაფიიდან. მისი მტკიცებით, ლიტერატურულ შეხედულებათა განსხვავებულობის მიუხედავად, პროგრესულად მოაზროვნე ყველა დიდ მწერალს, ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული მის დრომდე, სწორედ ამგვარი დამოკიდებულება ჰქონდა რევოლუციასთან.

ამ გარემოებამ არსებითად განსაზღვრა ის ფაქტი, რომ გიორგი ლეონიძესთან ერთად მან შეადგინა და 1921 წელს გამოსცა პოეტური კრებული სახელწოდებით „რევოლუციის პოეტები,“ სადაც შეტანილია რევოლუციის თემაზე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელ ავტორთა მიერ შექმნილი რჩეული პოეტური ტექსტები.

როგორც კრებულის წინასიტყვაობიდან თვალნათლივ ჩანს, ხსენებული წიგნის გამოცემის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად კრებულის შემდგენლები იმ გარემოებას მიიჩნევდნენ, რომ რევოლუცია ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლების მისაღწევადაც წარმოადგენდა უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას; რომ „ეროვნული თავისუფლება დამოკიდებულია სოციალურ განთავისუფლებაზე და რევოლუციის დაცვა ეს არის ეროვნების იდეის დაცვა, რადგან შრომის განთავისუფლებასთან ერთად განთავისუფლდება ერიც.“

როგორც ვხედავთ, ხსენებული კრებულის შემდგენელთა და გამომცემელთა მიერ მკითხველისათვის მათი წიგნის მიწოდების განმაპირობებელ უმთავრეს მიზნად ეროვნული პრობლემა იყო ქცეული, რომანტიკულ-ილუზიური მოლოდინი იმისა, რომ იმხანად მიმდინარე რევოლუციური მოვლენები სასიკეთოდ შეცვლიდა ჩვენი ქვეყნის ეროვნულ და სახელმწიფოებრივ მომავალს.

სწორედ უაღრესად პოზიტიური ამ რომანტიკულ-ილუზიური მოლოდინიდან გამომდინარე მოუყარეს თავი ტ. ტაბიძემ და გ. ლეონიძემ მათ მიერ შედგენილ ამ კრებულში რჩეულ პოეტურ ნიმუშებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ცნობილ პოეტთა შემოქმედებიდან.

როგორც ცნობილია, ტიციანის სამეგობრო წრე მეტად მრავალრიცხოვანი იყო და იგი გულითადი მეგობრული ურთიერთობებით იყო დაკავშირებული ბევრ არაქართველ კოლეგასთან. ამ ურთიერთობის დროს ის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნული ინტერესების დაცვას. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანი ამ მიმართულებით რაიმე უტაქტობას გამოავლენდა, ტიციანი უკომპრომისოდ დაგმობდა მის ამგვარ ქმედებას და მკაცრ პასუხს გასცემდა მას.

სწორედ ამის ერთ-ერთ ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის კონფლიქტი, რომელიც მის მეგობარ რუს პოეტ ოსიპ მანდელშტამთან მოუვიდა მას 1920 წელს. ნათქვამისთვის მეტი სიცხადის მისაცემად გავიხსენებ ხსენებულ შემთხვევას.

სამწუხაროდ, ამ წელს საქართველოში სტუმრად მყოფი ოსიპ მანდელშტამი ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებათა ამსახველ წერილში, რომელიც მან ჟურნალ „ოგონიოკის“ მეოცე ნომერში გამოაქვეყნა, დამამცირებელ-შეურაცხმყოფელი ფორმით საუბრობდა ქართველი ხალხის ყოფასა და ადათ-ტრადიციებზე. ამ ამბით აღშფოთებულმა ტიციანმა გაზეთ „რუბიკონის“ 1923 წლის 25 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ წერილში მძაფრად შეუტია „გველური სისინით სავსე“ ამ სტატიის ავტორს და გაიხსენა რამდენიმე ეპიზოდი მასთან ურთიერთობიდან.

ტიციანის ინფორმაციით, 1920 წელს, ბათუმში ყოფნის დროს, იქაურ ებრაელთა დელეგაციას მისთვის უთხოვია, ეშუამდგომლა ვისთანაც საჭირო იყო და ციხიდან გაეთავისუფლებინა ოსიპ მანდელშტამი, რომელიც ამ ქალაქში ყირიმიდან მომავალი დაეპატიმრებინათ. ტიციანი ამ საქმის მოსაგვარებლად სასწრაფოდ წვევია ბათუმის მაშინდელ გენერალ-გუბერნატორს ბენია ჩხიკვიშვილს, რომელსაც პატიმარი პოეტი ციხიდან გაუთავისუფლებია.

მანდელშტამი ამ ამბიდან ერთი კვირის შემდეგ თბილისში სტუმრებია ტიციანს, რომელიც ერთი თვის განმავლობაში მასპინძლობდა ახლად შეძენილ მეგობარს. კერძოდ, ქართველი მწერლები გაუცვნია, კახეთი მოუტარებია და ხელმოკლედ მყოფი კოლეგისთვის

თავისი პალტოც კი უჩუქებია. სამწუხაროდ, „ოგონიოკში“ გამოქვეყნებულ თავის წერილში მანდელშტამს ყოველივე ზემოთქმულისადმი მადლიერების გამოხატვის ნაცვლად თავისი ქართული შთაბეჭდილებები ნეგატიური კუთხით ჰქონია მოთხრობილი.

ამ ფაქტით აღშფოთებულმა ტიციანმა მის ამგვარ ქმედებას საპასუხო წერილში ასეთი შეფასება მისცა: „შეუძლებელია კეთილშობილების ძებნა იმ ხალხში, რომელიც მოღალატურად სტოვებს თავის ქვეყანას. მართლა გულუბრყვილობა იქნებოდა მათგან მოითხოვო პატიოსნება... მაგრამ წარმოუდგენელია მეტი ქამობა და სულიერი დაცემა, რომელსაც იჩენენ ისეთი მაწანწალები, როგორიც მანდელშტამია.“

საბედნიეროდ, საქართველოსადმი მანდელშტამის დამოკიდებულება სულ მალე რადიკალურად შეიცვალა, რის შედეგადაც ტიციანსა და მას შორის არსებული წყენა განქარდა და მათი მეგობრული ურთიერთობა ისევ აღდგა.

აქტიურად გამოეხმაურა ტიციან ტაბიძე სომხებსა და ქართველებს შორის 1918 წლის დეკემბერში გამართულ საომარ ბატალიებს. ტიციანმა, რომელიც გულითადი მეგობრული ურთიერთობებით იყო დაკავშირებული სომეხი ხალხის ისეთ ცნობილ წარმომადგენლებთან, როგორებიც იყვნენ ავეტიკ ისააკიანი, ოვანეს თუმანიანი და ეღიშე ჩარენცი, დაუყოვნებლივ აღიმაღლა ხმა ამ უგუნური ქმედების წინააღმდეგ და პრესის ფურცლებიდანაც და პიროვნული ჩართულობითაც გაილაშქრა სომეხ ნაციონალისტთა მიერ წამოწყებული ამ ვანდალური აქტის წინააღმდეგ.

კერძოდ, აი, რა შეფასება მისცა მან ამ ომს ოვანეს თუმანიანისადმი გაგზავნილ წერილში: „თქვენ, - მიმართავდა იგი თბილისში მცხოვრებ ცნობილ სომეხ პოეტსა და მამულიშვილს, - ქართველი საზოგადოება გიცნობთ, როგორც პოეტს და პატრიოტს. არავის არ აქვს უფლება ილაპარაკოს სომეხი ერის სახელით, როგორც თქვენ, და არავისი ხმა არ იქნება ისეთი სამართლიანი და გასაგონი, როგორც განათლებული პოეტისა და მამულიშვილისა.

თქვენ, როგორც პოეტმა, მიიღეთ ეს უფლება შთაგონებული ლექსებით და, როგორც პატრიოტმა, როცა თქვენი შვილი წავიდა ოსმალეთის ბრძოლის ველზე, რომელიც ერთი-ორი კვირის წინ მოასვენეს მკვდარი თბილისში. თქვენ მაშინ კიდევ გჯეროდათ ომის აზრი და იცოდით, რომ ომისაგან სიმართლე და კულტურა უნდა იყოს

გამარჯვებული. მაგრამ ჯერ კიდევ არ დამცხრალა ომი ოსმალეთთან და ჯერ კიდევ მიცვალებული შვილი არ გამოგეტირათ, რომ ახალი ომი დაიწყო ახლა ქართველებთან.

ჩვენ გვჯერა, რომ არ იქნება სხვა სომეხი, რომელსაც შეაწუხებდეს ეს ომი ისე, როგორც თქვენ.

გარდა იმისა, რომ თქვენში ლაპარაკობს კეთილშობილება პოეტისა, თქვენ პირადად დასდეთ მსჯავრი კავკასიის მომავალს. ეს იყო თქვენი დაფასება რევოლუციისა, სადაც თქვენ ამტკიცებდით, რომ საქართველო კავკასიის საფრანგეთია - გულისხმობდით რა საფრანგეთის სახით რევოლუციის პათოსს და კეთილშობილების პოეზიას. რამდენიმე დღის წინ, სანამ ომი დაიწყებოდა, თქვენვე დასწერეთ პირველად შემრიგებელი სიტყვა საქართველოს საზღვრებზე და საქართველოზე.

პოეტს მეტი აქვს ნამდვილი გრძნობა ეროვნული ღირსებისა და ამიტომაც მხოლოდ თქვენ უნდა გეთქვათ ეს სიტყვა. ეხლა, როცა ფრონტზე სწარმოებს ომი და მაკედონიის აჩრდილით აშინებს მომავალს, შეუძლებელია მიუკერძოებლად ლაპარაკი - თქვენ მაინც გამოიჩენთ ამ გამბედაობასა და იტყვით ჩვეულ სიმართლეს.

საქართველომ საუკუნეთა განმავლობაში დაამტკიცა თავისი კეთილშობილება და შეუწყვეტელი ტრადიციით გადმოსცა თავის შთამომავლებს მონობაშიაც სხვა ერის პატივით მოპყრობა, თუ იგი დევნილია და შევიწროებული...

დასამოწმებლად იმისა, რომ კეთილშობილება ყოველთვის უნდა დაფასდეს, არის თქვენგან საუბრებისა და თქვენგან დაწერილის გახსენება. მე და ის ქართველი პოეტები, რომელთაც თქვენ იცნობთ, თქვენს პატივისცემაში შეერთებული ვფიქრობთ, რომ მოიკვეთება ომის დამთესველის ხელი - სომხის ერსაც ასცდება აგასფერის გზა და თქვენი და თქვენისთანა პატიოსანი პატრიოტებით გზა განათებული დაემკვიდრება თავის მშვიდობიან საზღვრებში" (ციტირებულია წიგნიდან: აფხაიძე, 1964: 183).

ტიციანის ამ წერილს დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ოვანეს თუმანიანი. ასე აღსდგნენ ქართველ და სომეხ ხალხთა ეს სახელოვანი შვილები ჩვენს ერებს შორის საუკუნეთა განმავლობაში დამკვიდრებული მეგობრობის შესანარჩუნებლად.

• • •

როგორც ტიციან ტაბიძის მიერ საანალიზო პერიოდში გამოქვეყნებული წერილებიდან თვალნათლივ ჩანს, მისი მაშინდელი შეხედულებების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად რუსეთის მიერ გატარებული კოლონიური პოლიტიკის შედეგად ქართულ რეალობაში მიზანმიმართულად დამკვიდრებულ იმ მანკიერებათა კრიტიკაც იქცა, რაც საფუძველს ურყევდა ჩვენი ეროვნული ყოფის ფუნდამენტურ მხარეებს. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა იყო რუსეთის ეკლესიის მესვეურთა აქტიური მცდელობა ქართული მართლმადიდებლური რელიგიისთვის ეროვნულ-ენობრივი საფუძვლის გამოცლა.

ტიციანი სწორედ ამ ტრაგიკული მოვლენის თვალნათლივ გამოვლინებად მიიჩნევდა იმ გარემოებას, რომ რუსული ეკლესიის შემადგენელ ნაწილად გადაქცევის შედეგად ქართული ეკლესია, რომელიც „წარსულში მართლა ავტოკეფალური იყო, მოწყდა ევროპული ქრისტიანობის წიაღს.“ აქედან გამომდინარე, „საქართველოს სახელმწიფოებრივი კატასტროფა ეკლესიის კატასტროფაც იყო. ქართულმა ეკლესიამ, რომელმაც გაუძლო ბიზანტიის ეკლესიის გავლენას და შეირჩინა თავისი ინდივიდუალობა, სრულიად დაემორჩილა რუსულ ეკლესიას და დამღუპველი იყო ეს გავლენა... ბედის დაცინვით,... ქართველი სამღვდელოებაც გაიხადა სინოდმა მოხელეებად“ (გაზ. „საქართველო,“ 1917 წ. #198).

ტიციანს ამ ტრაგიკული მოვლენის გულსატკენ გამოვლინებად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ „ამ დროში დიდხანს იყო გამქრალი ჭყონდიდელის და ანტონ კათალიკოსის ხსენება... თუ უწინ ბიზანტიელი იმპერატორები საპარადო საღვთისმეტყველო ტურნირებში პირველად უშვებდნენ ათონის ქართველ ბერებს და და ისინიც ყველას აკვირვებდნენ ჭკუამახვილობით და ერუდიციით,“ რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში მოქცეული „აწინდელი ქართული ეკლესიები ვერ აკმაყოფილებდა ხალხის ვერც რელიგიურს და ვერც ესთეტიურს მოთხოვნათ... ხალხი დღეს ქორწილში მღერის საეკლესიო საგალობლებს და ეკლესიას კი არ ეკარება.“

თავისი ამ წერილით ტიციანი რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებიდან ჩვენი ეკლესიის განთავისუფლებითა და ავტოკეფალიის აღდგენით განპირობებულ ემოციას გამოხატვადა და მკითხველის ყურადღებას არა მარტო რუსული საეკლესიო მმართველობის შე-

დეგად ქართულ ეკლესიებში შექმნილ სირთულეებს მიაპყრობდა, არამედ მისი სამომავლო განვითარების დიდ პერსპექტივებზეც საუბრობდა. „ქართული ეკლესიის ავტოკეფალობა, - წერდა იგი, - დღეს ფაქტია, მაგრამ გარეგან ავტოკეფალობაზე უფრო საჭიროა შინაგანი ავტოკეფალობა, ეკლესიის გარდაქმნა შიგნიდან უნდა მოხდეს... ამ შინაგანი გარდაქმნისათვის კი მეტი ბრძოლა და სიმტკიცეა საჭირო, ვინემ სინოდის ჩამოშორებისათვის და ამის შესრულებაზეა დამოკიდებული ქართული ეკლესიის ბედი."

ტიციან ტაბიძე არა მარტო თავისი პუბლიცისტური წერილებით იყო იმდროინდელ პროცესებში აქტიურად ჩართული, არამედ პრაქტიკული საქმიანობითაც, რის თვალნათლივ გამოვლინებასაც წარმოადგენს თანამოაზრეობის საფუძველზე დამყარებული თანამშრომლობა საქართველოში სწორედ იმხანად შექმნილ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან. ამ თვალსაზრისით იგი გამონაკლისი არ ყოფილა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად აქტიურად მებრძოლ ამ პარტიასთან იმხანად ქართული მწერლობის არაერთი წარმომადგენელი იყო დაკავშირებული იდეურადაც და პრაქტიკული საქმიანობითაც.

სწორედ ამ თანამოაზრეობის ერთ-ერთ თვალნათლივ გამოხატულებას წარმოადგენდა ტიციანის განსაკუთრებული აქტიურობა იმჟამად გამართულ არჩევნებში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მხარდამჭერი დეპუტატების ასარჩევად. მაგალითად, აი, რას წერდა იგი გაზეთ „საქართველოს" 1917 წლის 14 ნოემბერს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ წერილში: „არჩევნები უკვე დაიწყო... ცხრა თვე ელოდა საქართველო თავისი ბედის გადაწყვეტას... ჩვენი პარტია (იგულისხმება ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - ა. ნ.) განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას ამ არჩევნებს. სხვა პარტიებს წინ უძღვის 4 სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გამოცდილება. ჩვენ პირველად გამოვდივართ ასეთ დიდ სცენაზე და ჩვენს ასეთ გამოსვლას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი პარტიის გავლენისათვის მომავალში.

დღეს ქართველი ერი მოითხოვს, ძლიერი ნებისყოფით რომ გადაჭრილ იქნას მისი ბედი და დაუბრუნდეს თავისუფლება, რომელიც წაართვეს მას რუსეთის მუხანათმა იმპერატორებმა და ბატონობას შეჩვეული ამ ჟამათაც ცდილობს არ გაგვიშვას თავის გავლენისაგან.

ქართველ ამომრჩევლებს უნდა ახსოვდეთ, რომ ამნაირი დრო, როგორიც ეხლა არის, არას დროს არ დადგება საქართველოს განთავისუფლებისთვის... ქართველი ერი ვერასოდეს ვერ მოინელებს, რომ ის პროვინციები, რომლებიც მას ისტორიულად ეკუთვნოდა და ეხლაც იმყოფება მისი გავლენის სფეროში, მიეცეს სხვას".

ტიციან ტაბიძის ეროვნული მრწამსის შეფასების დროს რამდენიმე სიტყვა საანალიზო პერიოდში მის მიერ შექმნილ ქალდეას ციკლის ლექსებზეც მინდა ვთქვა. ხსენებული პოეტური ციკლისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ ამ ციკლის ლექსებით ტიციანი შეეცადა ჩვენი ერის ისტორიულ რეალიებთან დაკავშირებული ფორმით წარმოესახა კაცობრიობის გარიჟრაჟზე მცხოვრებ და კულტურულად აღზევებულ ქალდეელთა ლეგენდარულ წარსულთან დაკავშირებული ეპიზოდები და მათი ტრაგიკული გადაშენებით წარმოქმნილი ტკივილი.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე იმ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ხსენებული პოეტური ციკლით ტიციანი მეცნიერულ წრეებში გამოთქმულ იმ ჰიპოთეზასაც გამოეხმაურა პოეტური ფორმით, რომლის მიხედვითაც ქალდეველები კოლხთა წინაპრებად და მონათესავე ტომის წარმომადგენლებად არიან მიჩნეული. მაგალითად, მირიან აბულაძის აზრით, „ტიციან ტაბიძისათვის ქალდეა ქართველ ტომთა მხოლოდ ადრეული სამყოფელი კი არ არის, არამედ იგი ზოგადად საქართველოს სინონიმია მთელი თავისი პოლიტიკური მთლიანობითა და ისტორიით" (აბულაძე, 1961: 44).

ამ გარემოებას ტიციანის წერილებშიც არაერთგზის ესმება ხაზი. მაგალითად, აი, რას წერდა იგი ერთგან ამასთან დაკავშირებით: „შეიძლებოდა დამტკიცება ჩვენი ნათესაობისა ასურეთისა და ქალდეას გარდასულ ტომებთანო."

ტიციან ტაბიძის ეროვნული მრწამსის წარმოჩენის დროს რამდენიმე სიტყვა გარესამყაროსთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობასთან დაკავშირებით მის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებითაც მინდა ვთქვა. მართალია, თავის პუბლიკაციებში ამ პრობლემას იგი უპირველეს ყოვლისა ლიტერატურულ და კულტურულ ღირებულებებთან მიმართებით განიხილავს, მაგრამ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საკითხებთან დაკავშირებითაც გამოთქვამს საგულისხმო მოსაზრებებს.

აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა „ქართული მესიანიზმის იდეებით გაჟღენთილი“ (მისი სიტყვებია) მისი ლირიკული პოემა - „ცხენი ანგელოსით“ (1921 წ.). როგორც ტიციანის ავტობიოგრაფიიდან ვგებულობთ, ამ პოეტური ქმნილებით მას მონაწილეობა მიუღია 1920 წელს ჟურნალ „ლომისის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლის გამართვის მიზანიც იყო პოეტების მეფის ტიტულის მოპოვება. ამ ტიტულის მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველს ჟიურისთვის უნდა წარედგინა ერთი ახალი ლექსი. როგორც ცნობილია, ეს ტიტული მაშინ გალაკტიონმა მოიპოვა საკონკურსოდ გაგზავნილი ლექსით - „პოეზია, უპირველეს ყოვლისა.“

აღმოსავლური სამყაროსადმი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულების წარმომჩენი ამ პოემით (ზოგიერთები მას ლექსადაც მოიხსენიებს) ტიციანი შეეცადა, სიმბოლური თვალთახედვით გაეაზრებინა ჩვენი ერის მიერ განვლილი ისტორიული გზის უმნიშვნელოვანესი ეპიზოდები და ეროვნულ ტრადიციათა განდიდების შედეგად ქართველი კაცის ცნობიერებაში კიდევ უფრო მეტად განემტკიცებინა აღმოსავლური სამყაროსაგან დისტენცირებისა და საკუთარი ეთნიკური იდენტობის დაცვისა და შენარჩუნების რწმენა. ტექსტის ერთ-ერთ ეპიზოდში ამ თვალსაზრისით არსებულ საგანგაშო მდგომარეობას, რაც, ავტორის აზრით, სწორედ აღმოსავლური სამყაროდან მომდინარე არასასურველი მოვლენებით იყო განპირობებული, იგი ამგვარად გამოხატავდა:

ხრინწიანი ხმით აკივლებენ მრავალჟამიერს,
ღვინო ჩამოსდის ქამარგახსნილ შარვალს განიერს.
გრძელი ულვაშებით ქონდრის კაცები
სიონში მღერიან „არშინ მალალან.“

მირიან აბულაძის ხაზგასმით, „სიონში ამ შემთხვევაში იგულისხმება ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვანი ტაძარი, რომელსაც ქართველი ხალხის ისტორიაში მომხდარ ზოგიერთ უდროობათა გამო ეს „ქონდრის კაცები“ ეპატრონებოდნენ“ (აბულაძე, 1977: 19). კინტოებისა და ყარაჩოხელების გაფეტიშება და „მრავალჟამიერის“ ღვთაებრივი ჰანგების შეცვლა აღმოსავლური ბაიათებით, რაც იმდროინდელ თბილისს ეროვნული სახის გადაგვარების საფრთხეს უქმნიდა, სავსებით ბუნებრივად იწვევდა პოეტის აღშფოთებას.

ტ. ტაბიძესა და მის მეგობრებს ეს გარემოება ეროვნულ სირცხვილად მიაჩნდათ და არაერთხელ გამოუხატავთ მძაფრი გულისწყრომა ყოველივე ამის გამო.

საანალიზო პოეტური ტექსტისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ ამ ნაწარმოებით ტიციანი შეეცადა რამდენადმე სიმბოლურ-ალეგორიული ფორმით წარმოეჩინა ქართველი ერის უძველესი ისტორიული წარსულის ფრაგმენტული ეპიზოდები. სწორედ ამის ნათელ გამოვლინებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საუკუნეთა წიაღში ჩაკარგულ ჩვენს ისტორიულ ფესვებზე საუბარს პოეტი ქიმერიისა და ქალდეას ტომთა გახსენებით იწყებს, რადგანაც, მისი აზრით, ჩვენი ერის უძველესი ფესვები გენეტიკურად პირველ ყოვლისა სწორედ მათთანაა დაკავშირებული.

ამას მოსდევს აღწერა ძველი ორპირის პეიზაჟებისა, რომელთა უცვლელ ატრიბუტებად მალარია, ჭაობი და ყანჩაა დასახელებული. ნაწარმოების მომდევნო ნაწილი კი ისტორიულად დამკვიდრებული ეროვნული იდენტობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებისკენ მოწოდებას წარმოადგენს და შიშს იმის გამო, ქართული კულტურის მრავალსაუკუნოვანი ტაძრის სიმბოლოდ ქცეულ სიონს პოეტის მიერ „ქონდრის კაცებად“ სახელდებული კინტოები და ყარაჩოხელები რომ არ დაპატრონებოდნენ და „მრავალჟამიერის“ გრძნეული და ღვთაებრივი ჰანგები „არშინ მალ-ალანის“ მსუბუქი ბაიათებით არ შეცვლილიყო.

ტიციანს ეს მოვლენა ნაციონალურ სირცხვილად მიაჩნდა და არაერთხელ გამოუთქვამს გულისწყრომა ამასთან დაკავშირებით. კერძოდ, თავის პუბლიცისტურ წერილებში მას მრავალჯერ აქვს გამოხატული აღშფოთება ქართული თეატრების სცენაზე ფეხმოდგმული იმ ტენდენციის გამო, რომლის დამამკვიდრებელნი აქტიურად ცდილობდნენ გაფეტიშებული ფორმით წარმოესახათ პოეტის მიერ ჩვენი ერის „ეთნოგრაფიულ ნალექად“ სახელდებული და ნაციონალურ სირცხვილად მიჩნეული კინტოებისა და ყარაჩოხელების პიროვნული სახეები.

ამ მოვლენისადმი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება ტიციანმა იმითაც გამოხატა, რომ იგი ჩვენს პოეზიაში აშუღური პოეტური ფოლკლორის სახელით შემოჭრილ აღმოსავლურ ჰანგებსაც დაუპირისპირდა. კერძოდ, მისი ხაზგასმით, ის „დიდი მოწინააღმდეგე იყო იმისა, ქართულ მწერლობაში აშუღის ჟანრი და მისი ენა

რომ დაკანონებულიყო“ და „დაყვანილ ყოფილიყო ყარაჩოხულ და კინტოს პოეზიამდე.“ ამ ტრაგიკული მოვლენისადმი ტიციანის მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ კიდევ ერთ ფრაგმენტს ზემოთ ნახსენები მისი პოეტური ტექსტიდან:

გრძელი ულვაშებით ქონდრის კაცები
სიონში მღერიან „არშინ მალალან...“
- აქ რომ სტიროდა ამირანი, ვინ გააპარა?
- აქ რომ სტიროდა რუსთაველი, ვინ გააჩუმა?
- აქ რომ იბრძოდა სააკაძე, ვინ დააკავა?
სწორი ხერხემალი - დროშის ტარი ქიმერიელთა,
სწორი ხერხემალი - დროშის ტარი თეთრი გიორგის ვინ გადატეხა?
ბებერი თესლი - სურნელება ჰერეთის ღვინის,
ბებერი თესლი - ჭა უძირო და დაუშრეტი ვინ ამოსწურა?

სწორედ ასეთი ფრაგმენტული მინიშნებებით, რიტორიკული შეკითხვებითა და შემახილებით ცდილობდა ტიციანი მკითხველის ცნობიერებაში რომანტიზებული ფორმით გაეცოცხლებინა ეროვნული ისტორიის გმირული ეპიზოდები და მათი უმთავრესი შემოქმედნი. ჩვენი წარსულის ამგვარი ფორმით წარმოსახვას პოეტმა მეტი სიმძაფრე იმითაც შესძინა, რომ საქართველოს ისტორიის გმირულ ეპიზოდთა და მათ წარმმართველ პიროვნებათა გვერდით იმათი სახელებიც გაიხსენა, რომელთაც ჩვენი ქვეყნის დიდ ისტორიულ წარსულსა და სამომავლო პერსპექტივას მკვიდრი საფუძველი გამოაცალეს.

სწორედ ასეთი ფრაგმენტული მინიშნებებითა და კონტრასტულ სახეთა ერთმანეთთან დაპირისპირებული ფორმით წარმოჩინდება ტიციანის ხსენებულ პოეტურ ტექსტში ჩვენი ქვეყნის დრამატული ისტორიისა და ავტორის დროინდელი ყოფის მნიშვნელოვანი ეპიზოდები - დაწყებული ამირანის ზღაპრითა და არგონავტების მითით და დამთავრებული პოეტის დროინდელი თბილისის ეთნოგრაფიული ჭრელსახოვნებით. კერძოდ, ავტორის ხსოვნაში კინოკადრებივით გაიელვებენ სისხლიანი სახელები „საჭურისი და დამპალი აღა-მაჰმად-ხანისა“ და ჯალალ-ედინისა. საუკუნეთა წიაღში „მიიცოხნება ყვითელი ურდო ვიწრო თვალებით,“ ავბედითად ელავს გასისხლიანებული „მაჰმადის ხმალი“ და ცეცხლის გრიგალში ინთქმებიან ერისთვის წამებული მამულიშვილები...

ავტორისეულ მონათხრობს სევდიან ჰანგად გასდევს სულის სიღრმიდან აღმომსკდარი გოდება ეროვნულ თავისუფლებაზე ოცნების დათრგუნვის გამო, გლოვა გიორგი სააკაძის გადამტყდარ ხმალსა და მარწუხებში მოქცეულ ძუძუებთან შედარებულ წიწამურსა და კრწანისზე, რისგანაც მხოლოდ ერთადერთი რამ იყო ხსოვნას შემორჩენილი - „აპოკალიპსის თეთრი იმედი და ყრმა უკვდავი - ცხენი ანგელოსით.“

რას უნდა ნიშნავდეს პოეტური სინტაგმა - „ცხენი ანგელოსით?“ სარგის ცაიშვილის აზრით, იგი „ალუზიაა წმინდა გიორგის მხედარზე და „მარად უკვდავი სულის“ ახლებური გააზრება. ხოლო „გაშლილი ველი საქართველოს, აზიის სარკე“ თარეშისა და განადგურების სარბიელია, რომელსაც ბედისწერასავით ასკდება უხეში და დამთრგუნველი ტალღები „მაჰმადის ხმლით“ ხელში და ხან კი „ყვითელი ურდო ვიწრო თვალებით.“ პოემის პათოსი იქეთკენ მიგვმართავს, რომ ყოველივე ეს გარდუვალობის კანონია, ქართველი ხალხის ბედისწერაა. ასე იყო და ალბათ მომავალშიც ასე იქნება, მაგრამ მაინც აპოთეოზად აღიქმება პოემის ფინალი, ქართველი ყოველთვის მაღალია და წმინდა იდეების დამცველი. იგი გამორჩეულია და მას მარად დაიფარავს წმინდა მხედარი.“

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ აღმოსავლური სამყაროსადმი ტ. ტაბიძის ნეგატიური დამოკიდებულების წარმომჩენი ტენდენციის დამკვიდრების პროცესში მნიშვნელოვანი როლი პოეტის სიმბოლისტურ-მოდერნისტულმა თვალთახედვამაც შეასრულა. კერძოდ, ევროპულ ლიტერატურულ ფასეულობათა დამკვიდრებისაკენ სწრაფვის შედეგად იგი არა მარტო პოეტური პრინციპების მხრივ გაემიჯნა აღმოსავლურ სამყაროს, არამედ ცხოვრებისეული წესის განმსაზღვრელი ტრადიციებისადმი ნეგატიური დამოკიდებულებითაც.

„ცხენი ანგელოსით“ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო ნაწარმოებია, თავად ავტორის შეფასებით, „ქართული მესიანიზმის იდეებით გაჟღენთილი“ პოეტური ტექსტი.

ტიციანის უკომპრომისო ბრძოლა „ეთნოგრაფიული ნალექის“ წინააღმდეგ იმითაც გამოიხატა, რომ იგი პრინციპულად დაუპირისპირდა აშუღური პოეტური ფოლკლორის სახელით ჩვენს პოეზიაში მობალებულ აღმოსავლურ ტენდენციებს, რომელთაც დაკარ-

გული ჰქონდათ ეროვნულ-ქართული სახე. „მე, - წერდა, მაგალითად, პოეტი, - დიდი მოწინააღმდეგე ვარ, რომ აშუღის ჟანრი და მისი ენა დაკანონდეს ქართულ მწერლობაში, როგორც იყო ამის ტენდენცია თეატრსა და მწერლობაშიც; აგრეთვე წინააღმდეგი ვარ, აშუღური პოეზია დაყვანილ იქნეს ყარაჩოხულ და კინტოს პოეზიამდე.“

მიუხედავად აღმოსავლური სამყაროსადმი ტიციანის ხაზგასმულად ნეგატიური დამოკიდებულებისა, მის ნააზრევში იმ გარემოებასაც ესმება ხაზი, ჩვენი კულტურა, მათ შორის მწერლობაც, ამ სამყაროს არეალშიც რომ იყო მოქცეული გარკვეულწილად და ფაქტობრივად „დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურათა შედუღების“ შედეგად იყო შექმნილი. ტიციანის თვალთახედვის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია და ქართული მწერლობის განვითარების გზას იგი არა მარტო ევროპულ ლიტერატურულ პროცესებს უკავშირებდა, არამედ მის მიერვე პრინციპულად უარყოფილ აღმოსავლურ პოეტურ ფასეულობებსაც, ეს 1916 წელს დაწერილი მისი ერთ-ერთი ლექსიდან („წიგნიდან „ქალდეას ქალაქები“) დამოწმებული ამ სტრიქონებიდანაც თვალნათლივ ჩანს:

გაფიზის ვარდი მე პრუდონის ჩავდე ვაზაში,
ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს...

როგორც ვხედავთ, ტიციანი თავის უმთავრეს დამსახურებად პირველ ყოვლისა იმ ფაქტს მიიჩნევდა, რომ საკუთარი პოეტური შემოქმედებით მან წარმატებით შეძლო ქართულ პოეზიაში (მისი სიტყვებით - „ბესიკის ბაღში“) ბუნებრივად შეერწყა ერთმანეთისთვის ცნობილი ფრანგი მოდერნისტი პოეტის - პრუდონის (პრუდომის) სახელის მიღმა ნაგულისხმევი ევროპული მოდერნიზმი და XIV საუკუნის სპარსული პოეზიის ცნობილი წარმომადგენლის - გაფიზის (ჰაფეზის) სახელით მოხსენიებული კლასიკური სპარსული (აზიური) პოეტური ტრადიციები.

იგივე მოსაზრება, ოღონდ უფრო განზოგადებული ფორმით, მან ქართული მწერლობის განვითარების ისტორიული მონაპოვრის შეფასების დროს ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში 1916 წელს გამოქვეყნებულ წერილშიც („ცისფერი ყანწებით“) გამოთქვა. კერძოდ, ის ფაქტი, რომ ჩვენს ლიტერატურაში პირადად მისი და მისი მეგობრების მიერ სწორედ იმხანად დაფუძნებული „ცისფერ-

ყამნწელთა“ ლიტერატურული დაჯგუფება ევროპული მწერლობის ზეგავლენით იყო შექმნილი, ტ. ტაბიძის შეფასებით, არავითარ საფრთხეს არ შეიცავდა, რადგანაც ეს მოვლენა გამონაკლის შემთხვევას არ წარმოადგენდა და „ბევრ სხვა და სხვა კულტურის გავლენის ქვეშ“ საქართველო ჩვენი ისტორიის სხვა პერიოდებშიც იმყოფებოდა არაერთხელ. სახელდობრ, „ბევრი გადმოუღია იმას ბერძნულ, არაბულ, სპარსულ კულტურის, ბევრი იმათთვისაც გაუტანებია...

ნაციონალური აპერცეპციის ძალით ერი ითვისებს იმას, რაც მის ეროვნულ თავისებურებას ეგუება, რასაც იმასთან ახლობელი კავშირი აქვს.“

როგორც დამოწმებული ფრაგმენტითაც თვალნათლივ ჩანს, ქართული მწერლობისათვის მძლავრი შემოქმედებითი იმპულსის მიმცემ ძალად ტ. ტაბიძე არა მარტო ევროპას მიიჩნევდა, არამედ იმ გარემოებასაც, რომ ქართველი ხალხი საუკუნეების განმავლობაში აზიასთანაც იყო აქტიურად დაკავშირებული.

მაგალითად, მისი შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ „სიმბოლიზმი, როგორც შკოლა, დასავლეთიდან მოვიდა ჩვენში, მისი უმაღლესი განვითარებისთვის არსად არ იყო ნიადაგი მზად ისე, როგორც ჩვენში. აქ უკვე გაჟღენთილია ჰაერი სიმბოლიური შემოქმედების ელემენტებით: აღმოსავლეთის თვალუწვდენი მისტიციზმი, ჰაერში გაფანტული სახეები, სპარსეთიდან მოტანილი ფერები და მეტყველი ხმები. დღეს ჩვენში არის უკვე ორი პოლიუსი ერთი დასაწყისის...

პაოლო იაშვილში ახმაურდა აღმოსავლეთი: გაბედულ მეტაფორებით, თვალმჭრელ კონტრასტებით... პაოლოს ტრიოლეტებში გამთბარ სიტყვებით იკივლა აღმოსავლეთმა. მეორე მხრით, დასავლეთიც გაიშმუშნა ვალერიან გაფრინდაშვილში... უნდა მოხდეს ამ ორი პოლიუსის შეხვედრა. ამ ორმა მსოფლმხედველობამ უნდა იქორწილოს ერთ ტაძარში. მეთორმეტე საუკუნემ ეს შეძლო. უნდა შეძლოს განახლებულმა საქართველომაც. ქართული ხელოვნება ნაცადი გზით წავა... და თუ მართლაც დაღლილ დასავლეთს ეჭივრება გადახალისება აღმოსავლეთის მისტიციზმით და მაგიურ ქვებით, ამას შესძლებს უეჭველად გამოცდილი დოსტაქარი - საქართველო.“

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ტიციანისა და მისი თანამოაზრეების ამგვარი აქტიური სწრაფვა უცხოურ კულტურასთან ქართული მწერლობის დაახლოებისკენ კარგად გაცნობიერებული აქტი იყო, რაც სულაც არ ნიშნავდა ეროვნული ფესვებისაგან მის მოწყვეტას. „როცა ხალხი სხვისგან რამეს იღებს, – წერდა ამასთან დაკავშირებით ტ. ტაბიძე, – იმას თავის ბრძმედში ატარებს... ნაციონალური აპერცეპციის ძალით ერი ითვისებს იმას, რაც მის ეროვნულ თავისებურებებს ეგუება, რასაც იმასთან ახლობელი კავშირი აქვს“ (ტაბიძე, 1916: 33).

როგორც უკვე ითქვა, მკვეთრად გამოხატული სწორედ ამგვარი ეროვნული მრწამსი და მხატვრულ-ესთეტიკური თვალთახედვა წარმოადგენს იმ შემოქმედებითი მემკვიდრეობის უმტკიცეს საფუძველს, რითაც ტიციან ტაბიძემ მყარად დაიმკვიდრა კუთვნილი ადგილი ქართული მწერლობის ისტორიაში.

ნიკოლო მიწიშვილის „თებერვალი,“ როგორც საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის ამსახველი მხატვრულ-დოკუმენტური ნაწარმოები

ნიკოლო მიწიშვილის (1896-1937 წწ.) ჟანრობრივად მრავალფეროვანი შემოქმედებიდან დღესდღეობით ყველაზე მეტად საინტერესო და განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სულიერ ფასეულობას, ჩემის აზრით, მისი დოკუმენტური პროზა და პუბლიცისტიკა წარმოადგენს. მწერლის ლიტერატურული ნააზრევის ამ ნაწილისთვის ამგვარი შეფასების მიცემას არსებითად განაპირობებს ის ფაქტი, რომ ხსენებულ ტექსტებში არა მარტო თავად მწერლის დროინდელი ქართული ყოფის საჭირბოროტო პრობლემები და იმდროინდელი მოვლენებია წარმოსახული ამ პროცესებთან აქტიურად დაკავშირებული პიროვნების მიერ, არამედ ისინი ჩვენი ქვეყნის წინაშე დღესაც მწვავედ მდგარ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემათა განსჯა-გააზრების თვალსაზრისითაც უაღრესად საინტერესოა.

დოკუმენტური ელემენტები ნ. მიწიშვილის პროზაში იმდენად მნიშვნელოვან როლსაც კი ასრულებს, რომ ამ ჟანრში შექმნილი მისი ნაწარმოებები, როგორც ისტორიული სინამდვილის ფაქტოლოგიური სიმართლით ამსახველი ტექსტები, შესაბამისი პერიოდის მოვლენათა შესახებ მეცნიერულად მნიშვნელოვან მასალებადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

თავისი მხატვრული პროზის უმთავრეს მიმართულებად ქცეული ამ ტენდენციის დამკვიდრებას მწერალი მიზანმიმართულად რომ ცდილობდა, ამის განმარტებას იგი აღნიშნული საკითხისადმი მიძღვნილი სპეციალური წერილითაც („დოკუმენტური პროზა,“ 1928 წ. იხ: მიწიშვილი, 2012) შეეცადა. მისი შეფასებით, უახლესი პერიოდის პროზაში დოკუმენტური ფაქტორის როლი და მნიშვნელობა იმდენად მზარდ ადგილს იჭერდა, რომ „ყველაზე უფრო საინტერესო სწორედ ის პასაჟები გამოდის, რაც სინამდვილეში იყო, რაც ფაქტი იყო. და ღირებულებაც – სადღეისო და სამერმისო – სწორედ ამ ფაქტებს და არსებულს ეძლევა...

ცხოვრება დღეს იმდენად საინტერესო შეიქმნა, რომ თუ მწერალმა შესძლო ამ სინამდვილის მხატვრული ხელით და კარგი ენ-

ით აღწერა – ეს სინამდვილე ყოველთვის დასჩაგრავს და წაახდენს გამოგონილი გმირის ისტორიას“ (მიწიშვილი, 2006 (1): 156).

როგორც ნ. მიწიშვილის მიერ გამოთქმული ამ მოსაზრების შემდგომდროინდელი ლიტერატურული პროცესის მიმდინარეობა ადასტურებს, დოკუმენტური პროზის ხვედრითი წილი თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში (მათ შორის ქართულშიც) მართლაც უფრო და უფრო მატულობს და მკითხველთა მზარდი დაინტერესების საგანი ხდება.

ნ. მიწიშვილის მხატვრულ-დოკუმენტური პროზის უმთავრეს ღირსებად უპირველეს ყოვლისა ის გარემოება უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ ჟანრში შექმნილ მის ნაწარმოებებში ფაქტოლოგიური სიმართლითაა ასახული საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგად საქართველოში განვითარებული რთული სოციალური და პოლიტიკური მოვლენები და მწერლისა და მისი თანამედროვეების არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ამ მოვლენებისადმი.

წინამდებარე ნაშრომის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ნ. მიწიშვილის მხატვრულ-დოკუმენტური პროზიდან ამჯერად მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ 1923 წელს, პარიზში ცხოვრების დროს, დაწერილ მის ქრონიკას - „თებერვალი,“ რომელშიც 1921 წლის 17-18 მარტს, საქართველოდან მენშევიკური მთავრობის გადახვეწისა და ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლის დღეებში, ბათუმში არსებული მდგომარეობაა აღწერილი ფაქტოლოგიური სიზუსტით. ჩვენი ქვეყნის ისტორიის გარდამტეხ მიჯნად ქცეულ ამ მოვლენათა ავტორისეული წარმოსახვის ხარისხს პროფესორმა ვახტანგ გურულმა ასეთი შეფასება მისცა: „ვერც ერთი ისტორიული წყარო, ვერც ერთი საარქივო დოკუმენტი ისე ზუსტად ვერ აღადგენს 1921 წლის მარტში ბათუმში შექმნილ ვითარებას, როგორც ეს შეძლო ნიკოლო მიწიშვილმა თავისი ნაწარმოების – „თებერვლის“ სულ ორიოდე გვერდზე“ (მიწიშვილი, 2006 (2): 7).

ზემოთ ხსენებული მოვლენები და ქვეყანაში მათ შედეგად რადიკალურად შეცვლილი მდგომარეობა მწერალს ფრაგმენტული ფორმით, ე. წ. დეპეშური სტილის გამოყენებით, იმგვარად აქვს მოთხრობილი, რომ აღნიშნული მოვლენებისადმი როგორც პირადად მის, ისე საზოგადოების დიდი ნაწილის დამოკიდებულებას მხოლოდ ქვეტექსტური მინიშნებებით გამოხატავს.

ნ. მიწიშვილის „თებერვლისადმი“ ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ იგი ზემოთ ხსენებულ მოვლენათა მოხ-

დენიდან ორიოდე წლის შემდეგ იმ პიროვნების მიერ დაწერილ მსატვრულ-დოკუმენტურ ნაწარმოებს წარმოადგენს, რომელიც თავად იყო ამ მოვლენათა უშუალოდ თვითმხილველი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის სათავეში მათ შედეგად მოქცეული ახალი ხელისუფლებისადმი გარკვეული სიმპატიები ნ. მიწიშვილს იმხანად უკვე ჰქონდა გაჩენილი, ნაწარმოების ცალკეულ ეპიზოდებში ქვეტექსტური ფორმით გამოვლენილ შეფასებებში მაინც ვლინდება ამ მოვლენებისადმი მისი აშკარად კრიტიკული და გაორებული დამოკიდებულება. ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად დავიმოწმებ შესაბამის ადგილებს ნაწარმოებიდან.

მაგალითად, ზემოთ უკვე ნახსენები ე. წ. დეპეშური სტილის გამოყენებით, მწერალი ბათუმიდან ემიგრაციაში მენშევიკების მთავრობის წასვლისა და ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლის შესახებ მხოლოდ რამდენიმე სიტყვისაგან შემდგარ ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: „იყო მარტი. 1921 წელი. ქალაქ ბათომში.

ამ დღეს ბათომი გასხვანაირდა. ესე იგი ეს იყო უკანასკნელი დღე. ამ დღეს წავიდა მთავრობა (მენშევიკები), ამ დღეს დაიშალა დამფუძნებელი კრება (საქართველოსი), ამ დღეს დააპირეს ბათომის აღება თათრებმა. ამ დღეს მოხდა კიდევ მრავალი სხვა და სხვა მნიშვნელოვანი და არა მნიშვნელოვანი ამბავი და როდესაც გათენდა შემდეგი დღე (მეორე დღე) – ქალაქში დაჯდა რევკომი. ანუ: ქალაქი ბათომი დაიკავეს ბოლშევიკებმა.“

როგორც დამოწმებული ფრაგმენტის გაგრძელებიდან ნათლად ჩანს, მკითხველისთვის ისედაც კარგად ცნობილი ამ ინფორმაციის მიწოდება მწერალს მხოლოდ იმის სათქმელად სჭირდებოდა, რომ შთამბეჭდავად დაენახვებინა მოვლენათა ამგვარი განვითარების შედეგად არა მარტო ბათუმში, არამედ მთელ ქვეყანაში რადიკალურად შეცვლილი მდგომარეობის სიმძიმე.

კერძოდ, ნ. მიწიშვილის „თებერვალში“ პეტერბურგიდან ოქტომბრის რევოლუციის სახით გადმოვარდნილი და ჩვენს ქვეყანაშიც „ატეხილ სტიქიონად“ მოხეთქებული ის მოვლენა, რომელმაც „კანონები უკუღმა შეატრიალა,“ ასეა აღწერილი: „ასკდებოდა წყალი ნაპირს. ნაპირი იყო საზღვარი ატეხილი სტიქიონის. ეხლა შეტრიალდა კანონები უკუღმა. ესე იგი: – აღელდა ეხლა ხმელეთი, პირველი ტალღა გაქანდა მიწაზე ოქტომბერში პეტერბურგიდან (შეიძლება – მარტში, თუ თებერვალში), როდესაც დაიწყო რევოლუცია რუსეთის. ოქტომბერში ტალღა გაიშალა. ატორტმანდა რუსული

მინდორი. მოაწყდა ეს ტალღა კავკასიონს და შეჩერდა (მაღალია კავკასიონი), შეინძრა, კიდევ ერთხელ აზვირთდა. აქაფდა, გადმოასხა მთებზე ღვრია წყალი და გაიბნა. ტალღა დაეჯახა ნაპირს (ზღვას), ზღვასთან შეჩერდა" (მიწიშვილი, 2006 (2): 16).

მწერლის შეფასებით, სწორედ კავკასიონის მთებზე „გადმოსხმული ამ ღვრია და აზვირთებული წყლის ტალღებში," შემდეგ „ოკეანედ რომ გადაიქცა," ჯერ თბილისი ჩაიძირა, მერე – ქუთაისი, ბოლოს კი – ბათუმიც. ასეთ მდგომარეობაში მოქცეული ქვეყნის მოქალაქეებს თავის გადასარჩენად, ნ. მიწიშვილის აზრით, იმხანად მხოლოდ ორი გზა დარჩენოდათ – „გზა ზღვისაკენ – ეს იყო სიკვდილი. დახრჩობა. გადაშენება. ამოძირკვა და მეორე გზა: გაჩერება ზღვასთან, მიწაზე (მიწაზე მაინც). შეიძლება გზა სიკვდილის, მაგრამ სიკვდილის მიწის სიყვარულით გამართლებულის.

ორივე გზა კი საშიში. ორივე გზა – უფსკრულებზე. სიარული დანის პირზე.

ეს იყო ამ დღეს – მარტში" (მიწიშვილი, 2006 (2): 16).

არა მგონია, ვინმემ საკამათოდ მიიჩნიოს ის ფაქტი, საქართველოს გასაბჭოების შედეგად ქვეყანაში შექმნილი ურთულესი მდგომარეობის ამგვარად შემფასებელი მწერლის ეს სტრიქონები ხსენებული მოვლენისადმი მისი აღფრთოვანებული დამოკიდებულების გამოხატულებას წარმოადგენდეს. როგორც ნაწარმოებიდან თვალნათლივ ჩანს, იმჟამინდელი ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი, მათ შორის თავად ნ. მიწიშვილიც, ყოველივე ამის გამო პანიკური შიშით იყო შეპყრობილი, შიშითა და მოლოდინით იმისა, რომ ქვეყნის სათავეში ბოლშევიკური ხელისუფლების მოსვლის შემდეგ საქართველოში დარჩენილები სიკვდილისა და უმკაცრესი რეპრესიების მსხვერპლნი გახდებოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების ბოლო ეპიზოდებში ეს შიში რამდენადმე ქარწყლდება და თბილისიდან და ქვეყნის სხვა ადგილებიდან „წითელ საშიშროებას" (მწერლის სიტყვებია) გამოქცეული და ბათუმს მომწყდარი ის ადამიანები, რომელთაც უცხოეთში გაქცევა ვერ მოახერხეს, ხელისუფლების კარნახით, კვლავაც თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს უბრუნდებიან, ზემოთ აღნიშნული შიშის მბაფრი განცდა მაინც ბოლომდე მსჭვალავს ავტორისეულ მონათხრობს.

პირველ ყოვლისა სწორედ ზემოთქმულის ნათელ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ ის შეფასება, რასაც მწერალი არა მარტო იმჟა-

მინდელ ბათუმურ ყოფას აძლევს, არამედ ბუნების გულქვაობასაც: „ამინდი (ცუდი) ვერ აკავებდა ვერავის. ქუჩად იყო გამოსული მრავალი. ბათომში სახეები იყო დაღვრემილი. გაუპარსავი. აწურული.

იდგა სვეტივით გულზე:

შიში, სიცივე, წვიმა“ (მიწიშვილი, 2006 (2): 17).

მარტის იმ საბედისწერო დღეებში, როცა ბოლშევიკური ტერორისაგან თავის გადარჩენის მიზნით არა მარტო მენშევიკური საქართველოს მთავრობა, არამედ ჩვენი საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილიც უცხოეთში გასაქცევად ემზადებოდა, ბათუმში არსებულ ვითარებას ნ. მიწიშვილი შემდეგნაირად აღწერს: „ვაჭრობდნენ სარეკორდოდ და უჩვეულოდ: – ქუჩის ფოტოგრაფები და რესტორნები.

იდგა სამფეხიანი აპარატი ყველა მოსახვევში. ბაღის მხრივ უფრო მეტად: ბაღთან წვიმაში არავინ დადიოდა. იქ მყუდრო ადგილი იყო. ვერავინ დაინახავდა ამ საიდუმლო საქმეს. სურათის გადაღება კი საჭირო იყო (აუცილებლად) საგარეო პასპორტისათვის...

ფასი დაედო ძალზე – ჩემოდნებს. შეიქნა მოთხოვნილება ატმოსფერული. ვიღაცა ამას მიხვდა – გაჩნდა მაღაზიებში ძველი და ახალი ჩემოდნები. სისხლის ფასად. მაგრამ ჩემოდნები საღდებოდა მაინც...

მიღოღავდა ქუჩაზე: ეტლები, ფურგონები, საბარგო მანქანები. მიჰქონდათ: ნოხები. სკამები. კალა. ჟესტის ყუთები. თბილი საბნები ბარდანებად შეკრული. ყველაფერს ათოვდა. და სტიროდა გზაზე წვირიანი თოვლი.

ქუჩაზე ყიდდნენ დარცხვენილი ხმით „ერთობას“ (მიწიშვილი, 2006 (2): 19-21).

მოთხრობის მიხედვით, საზოგადოების უდიდესი ნაწილი ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლას იმდენად დიდ უბედურებად მიიჩნევდა, რომ ვინც ემიგრაციაში წასვლას ვერ ახერხებდა, თავს უბედურ და დასაღუპავად განწირულ ადამიანად თვლიდა. მაგალითად, ქუჩაში შეხვედრილი ნაცნობები, როცა ერთმანეთთან სახელდახელო გასაუბრების შედეგად გაარკვევდნენ, რომ უცხოეთში წასვლას ვერ ახერხებდნენ, „გააქნევდნენ თავს. გაშლიდნენ ხელებს. უხმოდ ასჩეჩავდნენ მხრებს და უხმოდვე შეაქცევდნენ ერთი მეორეს მოდრეკილ ზურგებს. ეს ნიშნავდა: არის ბედნიერი ხალხი, რომელნიც მიდიან საზღვარგარეთ. მე და შენ კი ასეთ რისკს ვეწევითო“ (მიწიშვილი, 2006 (2): 22).

ნ. მიწიშვილის „თებერვალში“ არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ საზოგადოების უდიდეს ნაწილში გაბატონებული ამგვარი პანიკური შიში, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლასთან იყო დაკავშირებული. მაგალითად: „არავინ არ იცოდა, თუ რა იქნებოდა ხვალ.

ყველა კი გრძნობდა, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო და ეს რაღაც იქნებოდა მეტად არასასიამოვნო მოქალაქისათვის. დაახლოებით ყველა დარწმუნებული იყო, რომ მოხდებოდა პოგრომი. დაარბევდნენ მაღაზიებს, საწყობებს და მოქალაქეებს.

შემდეგ დახვრეტდენ –

ოფიცრებს (უსათუოდ ყველას).

განსაკუთრებულ რაზმს (პირწმინდად).

პარტიულ ხალხს (ზორბა-ზორბა და მცირეს).

მენშევიკებს (ვინ დააკავებს) და სპეკულიანტებს (უეჭველად).

შემდეგ –

უთუოდ დაჯდებოდა ჩეკა და ყოველდღე თითო-ოროლა კაცს (ვის – ეს შემთხვევის და გარემოების საქმეა) დახვრეტდა, ან ჩამოახრჩობდა მოედანზე სამაგალითოდ და ჭკუის სასწავლებლად... იდგა შიში, სვეტივით ჩასობილი გულში“ (მიწიშვილი, 2006 (2): 23).

მწერლის მიერ იმჟამინდელი ვითარების ამგვარი სახით წარმოჩენა განსაკუთრებულ მნიშვნელობას უპირველეს ყოვლისა იმიტომაც იძენს, რომ ამ ინფორმაციას ხსენებული მოვლენის უშუალოდ თვითმხილველი პიროვნება იმ ნაწარმოების მეშვეობით გვაწვდის, რომელშიც ცხოვრებისეული რეალობა, თავად მისივე ხაზგასმით, დოკუმენტური სიმართლითაა ასახული.

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო მძაფრად განაცდევინოს ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის გარდამტეხ მიჯნად ქცეული ამ მოვლენის მსხვერპლად გამხდარ ადამიანთა პანიკური შიში, ნ. მიწიშვილი ამ მოვლენის ცენტრში შემთხვევით აღმოჩენილი ერთერთი მოქალაქის – სიმონ ახალკაცის სულიერ განცდებსაც გადმოგვცემს და იმ გარემოებაზეც მიგვანიშნებს თვალნათლივ, იგი ამ თვალსაზრისით გამონაკლისი სულაც რომ არ ყოფილა და ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი მაშინ სწორედ მის ბედში იმყოფებოდა.

სიმონი ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკური ხელისუფლების მოსვლის შედეგად გაჩენილი პანიკური შიშის გამო თბილისი დაუტოვებია და თავი ბათუმისთვის

შეუფარებია. მაგრამ 18 მარტის იმ საბედისწერო დღეს, როცა ჩვენი ქვეყნის მენშევიკური მთავრობა ემიგრაციაში გაიხიზნა, მან გადარჩენის ის იმედიც დაკარგა, რასაც ის და მისნაირები ხავსივით იყვნენ ჩაბღაუჭებულნი.

ამ ამბის შეტყობის შემდეგ სიმონმა ახალი რეალობის არსში რამდენადმე მაინც გასარკვევად ბათუმში ქალაქის საბჭოს დარბაზს მიაკითხა, სადაც შეკრებილ უამრავ ადამიანს თავმჯდომარემ ასეთი ინფორმაცია მიაწოდა: „მოქალაქენო! შეხედეთ – დღეს დავრჩით პირისპირ ერთი მეორის წინაშე. დავრჩით ღვთის ანაბარად მიტოვებული... ისინი, ვისაც დღემდე ეწოდებოდა საქართველოს მთავრობა, ვისაც მოჰქონდა თავი ხალხის მესვეურად, მის ბელადად, აღარ არიან ისინი დღეს აქ...

გაიქცა, მოქალაქენო, და არც კი მოიხედა უკან. დაივიწყა სინდისი, ნამუსი. ზნეობა და პატიოსნება. და ასე უსახელოდ მიატოვა სამშობლო კერა“ (მიწიშვილი, 2006 (2): 36).

ერთადერთი დამაიმედებელი სიტყვა, რაც სხდომის თავმჯდომარისაგან დარბაზში შეკრებილებმა იმ დღეს მოისმინეს, ის იყო, რომ მართალია, მთავრობა გაიქცა, მაგრამ „აქ დარჩა საქართველო და ქართველი ხალხი“ და რომ მათი წასვლით „საქართველომ მხოლოდ პერანგი გამოიცვალა.“ ძველი ხელისუფლების მესვეურთა საქმიანობისა და მოღალატეობრივი ქმედების დასაგმობად წარმოთქმული თავისი ვრცელი გამოსვლა სხდომის თავმჯდომარემ საბოლოოდ ამ სიტყვებით შეაჯამა: „საქართველო მოკვდა – გაუმარჯოს საქართველოს!“

ნ. მიწიშვილის „თებერვალი“ ერთგანზომილებიანი ნაწარმოები არ არის და ეს ყველაფერი – ქვეყნიდან მენშევიკური მთავრობის გაქცევისა და ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლის შედეგად საზოგადოების უდიდეს ნაწილში გაჩენილი პანიკური შიშისა და სასოწარკვეთის გამოხატვა – ავტორისეული სათქმელის მხოლოდ ერთი მხარეა.

„თებერვლის“ შეფასების დროს მასში მკაფიოდ გამოკვეთილი სამი მთავარი მიმართულების შესახებაც უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა: პირველი, ბათუმში მარტის იმ საბედისწერო დღეებში არსებული ანარქიისა და მასობრივ შიმშილად ქცეული ეკონომიკური გაჭირვების წარმომჩენ ეპიზოდებზე; მეორე, შექმნილი მდგომარეობით გააქტიურებულ თურქულ აგრესიაზე, რომლის უმთავრეს მიზანს თურქეთის მიერ ბათუმის (და არა მარტო ბათუმის) კვლა-

ვაც მისაკუთრება წარმოადგენდა და მესამე, ნაწარმოების ბოლოს გამოხატულ იმის იმედზე, რომ ახალი ხელისუფლებისადმი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის პანიკური შიში არ გამართლდებოდა და მმართველობის სადავეებს დაპატრონებული ბოლშევიკები ქვეყანას სისხლიან სასაკლაოდ არ აქცევდნენ.

ნაწარმოების აღნიშნულ მხარეებზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ რამდენიმე ფრაგმენტს ტექსტიდან.

მაგალითად, ბათუმში იმხანად შექმნილი ანარქია და უკიდურესად მძიმე ეკონომიკური გაჭირვება ერთგან ასეა გამოხატული: „ეძებეს და პური ვერსად იშოვეს. ფურნეები პირღია იყო. შიშველი თაროებით: შეხედეთ, დარწმუნდით, რომ პური არ არისო. სადღაც თორნეში იშოვეს ცომი მჭადი.

სიჩუმე იდგა ქალაქში. არავინ სჩანდა. არც ყარაული. მკვდარი იყო ქალაქი. სასაფლაოს მსგავსი. სიჩუმე უარესი, ვინემ საფლავების. სიჩუმე ყვიროდა – საშინელებით. მოულოდნელობით. მეხით. მყვირალა სიჩუმე იდგა ქალაქში“ (მიწიშვილი, 2006 (2): 50).

ნაწარმოებიდან კარგად ჩანს, რომ ბათუმი ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით გამონაკლისი არ ყოფილა და ანალოგიური მდგომარეობა მთელ საქართველოში სუფევდა იმხანად. მაგალითად, აი, როგორ აღწერს მწერალი სამტრედიაში არსებულ ვითარებას: „შუადღეზე შევიდნენ სამტრედიაში. ქალაქი სამტრედია – გაფხეკილი და შემწვარი ტარანივით.

ეხლა კი გაცივებული და ტალახში გასვრილი“ (მიწიშვილი, 2006 (2): 83).

ნ. მიწიშვილის „თებერვლის,“ როგორც დოკუმენტური ჟანრის ნაწარმოების, თავისებურება ისიცაა, რომ მწერალი მისეულ მონათხრობს ფანტაზიით შეთხზული ეპიზოდებით ნაკლებად ტვირთავს და პირველ ყოვლისა რეალურად მომხდარ მოვლენებს აღწერს ფაქტოლოგიური სიზუსტით. ამ თვალსაზრისით „თებერვალი“ ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა შეფასდეს ამ მოვლენათა დოკუმენტური სიმართლით ამსახველ ქრონიკად.

მაგალითად: „წარსული ღამით (სროლა რომ იყო) ქალაქი ბათომი ვერ აიღო თათარმა. ვერ მოახერხა თათარმა ბათომში დაბინავება. გათენდა დღევანდელი დღე და მზეს მიეგება სხვა მთავრობა. არც მენშევიკური, არც თათრული – გაჩნდა მთავრობა ბოლშევიკების. დაჯდა გუბერნატორის სახლში – რევკომი“ (მიწიშვილი, 2006 (2): 55).

თავად მწერლის ფაქტობრივ ორეულად ქცეული ნაწარმოების მთავარ პერსონაჟის – სიმონ ახალკაცის თანამდგომი დამოკიდებულება ბოლშევიკური ხელისუფლებისადმი, რაც მოთხრობის ბოლო თავებში ვლინდება, ავტორმა მნიშვნელოვანწილად დაუკავშირა თურქული ანექსიისაგან ბათუმის გადარჩენის ფაქტს. მაგალითად, აი, როგორ აღწერს მწერალი ამ დიდმნიშვნელოვან ისტორიული მოვლენას: „სადგურის ახლო ფორტებზე დილიდან ბრძოლა იყო. იბრძოდა ქართული ჯარი.

ფორტებში იჯდა თათარი. არ იქნა მისი გამოდენა. იბრძოდა სასტიკად. თავგამოდებით. თათარს ბათომი სწყუროდა. დაიჭირა კიდეც ქალაქში – ფოსტა, საბჭო, რამოდენიმე სხვა ადგილიც. ჩაჯდენ სახლში. გამოჰკიდეს ანგორის მთვარე და გამაგრდნენ. არ გამოდიოდნენ გარეთ. სახლის წინ კი იდგა ხიშტიანი წითელი რუსი – სახლი ყუმბარებით იყო სავსე...

თათრის კუნძულები იდგა ქალაქში ერთი კვირა.

მაგრამ ფორტებზე მოფშვნეს თათარი ერთ დღეს.

ეს ქნა ქართველმა ჯარმა. გამორეკა სანგრებიდან მტერი. ამოყარა და გააქცია“ (მიწიშვილი, 2006 (2): 74).

განსხვავებით ნაწარმოების პირველი თავებისაგან, სადაც მწერალი ყოველგვარი შენიღბვის გარეშე გამოხატავს როგორც პირადად მის, ისე საზოგადოების უდიდესი ნაწილის პანიკურ შიშს ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლის მოლოდინთან დაკავშირებით, „თებერვლის“ მომდევნო თავებში უკვე რეალურად ჩნდება იმედი იმისა, რომ ამგვარი შიშისათვის საფუძველი რეალურად არ არსებობდა.

ახალი ხელისუფლებისადმი თავისი ამგვარი კეთილგანწყობითი დამოკიდებულება, რაც ამ დროიდან მოყოლებული ნ. მიწიშვილს კიდევ უფრო მეტად განუმტკიცდა და მოქალაქეობრივი მრწამსის არსებითად წარმომჩენ თვალთახედვად ჩამოუყალიბდა, ნაწარმოების ერთ-ერთ ეპიზოდში ასეთი სიმბოლურ-ალეგორიული პასაჟითაა გამოხატული: განსხვავებით საქართველოდან მენშევიკური მთავრობის გაქცევის თოვლიან-ყინვიანი დღისგან, ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლის მეორე დღე უკვე მზიანი გათენდა: „თბილი მზე ადნობდა გაყინულ გუბეებს ქუჩებში. დასავლეთიდან კი (ე. ი. ევროპიდან – ა. ნ.) ჰქროდა ცივი ქარი“ (მიწიშვილი, 2006 (2): 55).

ეს რაც შეეხებოდა ბუნებას; ახალი ხელისუფლების მოსვლის შედეგად შეცვლილი რეალობა კი მოთხრობაში ასეა წარმოსახული: აზიზიეს მოედანზე გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე გამომსვლელები „ლაპარაკობდნენ ქართულად და რუსულად. ტკბილი იყო და შემარიგებელი საუბარი ძმობა-ერთობაზე, თავისუფლებაზე, პროლეტარიატზე და იდეალებზე. ეტყობოდა – „ამგენმა" ლაპარაკი მენშევიკებზე უკეთ იციან...

ბევრს მოხუცი კაცის კაკანა ლაპარაკი არ მოსწონდა... უბედურება იმაში იყო, რომ ამ წვეროსან კაცს გვერდში თოფიანი რუსი უდგა" (მიწიშვილი, 2006 (2): 70).

მიუხედავად ნაწარმოების ბოლო თავებში აშკარად გამოხატული იმ თანამდგომი დამოკიდებულებისა, რასაც თავად მწერალი და მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ბოლშევიკური ხელისუფლებისადმი იჩენენ, ზემოთ დამოწმებული ციტატიდანაც და ნაწარმოების სხვა ეპიზოდებიდანაც იმის შიშიც ვლინდება, რუსული მმართველობის ხელში მოქცეულ ქვეყანას შესაძლოა აშკარად რომ შექმნოდა ეროვნულ ფასეულობათა დაცვისა და შენარჩუნების საფრთხე.

ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ფრაგმენტს ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლის შემდეგ სიმონსა და მის მეგობრებს შორის გამართული საუბრიდან: „– სხვანაირდება ქვეყანა. წითელი საქართველო. საბჭოების. როგორ მოგწონთ?

– საქართველო ხომ არის და წითელი იყოს, თუ გინდ ყვითელი, სულ ერთია.

– აღარაა, ჩემო ძმაო, საქართველო, თუ არა კარგი შენ, – ამოიოხრა მეორემ... – აღარაა, თუ დამიჯერებ" (მიწიშვილი, 2006 (2): 68).

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ნიკოლო მიწიშვილი 1921 წლის თებერვალ-მარტში ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების არა მარტო თვითმხილველი იყო, არამედ გარკვეულწილად თანამონაწილეც, მკითხველი ყოველგვარი ზედმეტი განმარტების გარეშეც დამეთანხმება იმაში, რაოდენ ფასეულიცა და მნიშვნელოვანიცაა მისი „თებერვალი," როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიაში ერთადერთი მხატვრულ-დოკუმენტური ნაწარმოები, დაწერილი ამ მოვლენათა თანამედროვე მწერლის მიერ.

ტერენტი გრანელი

ტერენტი გრანელის (1898-1934 წწ.) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლის დროს ყურადღება არა მარტო პოეტის მხატვრულ შემოქმედებას უნდა მივაქციოთ, არამედ იმჟამინდელ სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებთან მის დამოკიდებულებასაც, რამაც პირველ ყოვლისა ავტორის პუბლიცისტურ წერილებში ჰპოვა გამოვლინება. სამწუხაროდ, ტ. გრანელის ამგვარი აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა მეტად ხანმოკლე გამოდგა და იგი, უმთავრესად, მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წინარე წლებს მოიცავს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო მისი პუბლიცისტური წერილები 1917-1921 წლებშია დაწერილი.

აქტიურ სამწერლო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე ტ. გრანელი 1917 წელს, ჯერ კიდევ თბილისში დამკვიდრებამდე, გამოვიდა და როგორც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამეგრელოში იმხანად გამართულ მასობრივ საზოგადოებრივ ღონისძიებებში. გარდა ამისა, ამ დროიდან მოყოლებული, იგი აქტიურად იწყებს თანამშრომლობას ქართულ პერიოდულ გამოცემებში და მკვეთრად გამოხატული ეროვნული პოზიციებიდან ეხმაურება მაშინდელ სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებს. კერძოდ, ამ მოვლენათა მისეული ინტერპრეტირების წარმომჩენ პუბლიცისტურ წერილებს იგი ხშირად აქვეყნებდა იმდროინდელ პრესაში.

ამ პუბლიკაციებს განსაკუთრებული ყურადღება პირველად ლერი ალიმონაკმა მიაქცია ტერენტი გრანელის ცხოვრებისა და შემოქმედების საფუძვლიანად შესწავლის დროს და აღნიშნული მიმართულებით მის იმდროინდელ მოღვაწეობას ამგვარი შეფასება მისცა: „სალონებიდან და ბალ-მასკარადებიდან კი არ მოსულა პოეზიაში, პირდაპირ ცხოვრებიდან მოვიდა, ტალახიანი ფეხებითა და ნაჯაფი ხელებით, უპოვარი და არას მქონე, ერის ხვედრზე ღრმად ჩაფიქრებული, სამშობლოს ტკივილებით შეპყრობილი, და როცა სხვები, გაპუდრულნი და ბაფთიანები, სალონებში გაფითქინებული ხელებითა და გულისპირებით იქმნიდნენ პოეტურ კარიერას, მას ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა და სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძოდა. თუმცა ეს ფარაჯაც ისევე მძიმე იყო მისთვის, ვით სულის-

თვის ხორცი: „ბნელ ყაზარმაში სული შფოთავს, გული ღონდება, იქ უძილობა, შავი ფიქრი უფრო მაწვალებს, როს გარეთ გავალ, ყრუ სიცივე ამაკანკალებს და წარსულ ყრმობის სიმახინჯე მომაგონდება.“ რა მიზანი ჰქონდა ამ ტანჯვას?! ერთადერთი: „ასე ღვივდება გრძნობა ფარული, როცა არ ვხედავთ ჩვენ განსხვავებას, ყველას გვაერთებს აქ სიყვარული, სამშობლოს დაცვა და აყვავება...“ სამშობლოს ტკივილს ისე შეაწნა პოეზიის უმაღლესი ცნება, ვით ვაზი ქართულ ჩუქურთმას, ვით ვაზს ქართული საგალობელი. ცივი მჭვრეტელი არასოდეს ყოფილა, დაუცხრომლად მოქმედებდა, მთელი არსებით, შინაგანი მოთხოვნილებით. მისი სტიქია ხომ მშფოთვარება იყო, შიში და მღელვარება, იჭვი და რწმენა, უკმარისობა და ლტოლვა, ეზიზღებოდა განურჩევლობა, გულგრილობა, უსამართლობა“ (ლ. ალიმონაკი, კვირის წერილები, 1988 წ. გვ. 57. აღნიშნული წიგნის დამოწმების დროს ქვემოთ მითითებული იქნება მხოლოდ ავტორი, წიგნის გამოცემის წელი და შესაბამისი გვერდი).

ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი სიცხადის მისაცემად და ტერენტი გრანელის იმდროინდელი ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის წარმოსაჩენად დავიმოწმებ რამდენიმე ფრაგმენტს ქართულ პრესაში სწორედ იმხანად გამოქვეყნებული მისი პუბლიცისტური წერილებიდან.

1918 წელს „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებული წერილით ტერენტი გრანელმა მისი შემოქმედებისათვის ნაკლებად დამახასიათებელი სიტყვიერი პათეტიზმითა და ემოციური აღტკინებით გამოხატა განსაკუთრებული მადლიერება იმ ადამიანთა მამულიშვილური ღვაწლისადმი, რომელთაც უმნიშვნელოვანესი დამსახურება მიუძღოდათ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. კერძოდ, მისი შეფასებით, პირველ ყოვლისა სწორედ მათ „გადაარჩინეს საქართველო რღვევის პროცესისაგან ჯართან ერთად. მათ დაგვიმტკიცეს სამშობლოს სიყვარული არა მარტო სიტყვით, არამედ თავგანწირული, რეალური მოქმედებით. ბევრი საუკეთესო შვილი გამოესალმა წუთისოფელს, მაგრამ, მიუხედავად ყველა ამისა, მაინც მიაღწიეს დასახულ მიზანს და დაამყარეს მთელ საქართველოში სრული წესიერება და მშვიდობა... დღეს მწყობრად გამოვლენ ტფილისის ქუჩებში და ამით ერთხელ კიდევ თავზარს დასცემენ იმ ჩვენს მოსისხლე მტრებს, რომლებიც ლამობენ ჩვენი სუვერენული უფლების შელახვას და ჩვენი დამოუკიდებლობის მოსპობა-განადგურებას. მაშ, საუკუნო ხსენება სამ-

შობლოს დაცვის დროს ბრძოლის ველზე გმირულად დაცემულ ამხანაგებს“ (ალიმონაკი, 1988: 58).

იმხანად ჯერ კიდევ მშობლიურ წალენჯიხაში მყოფი ტერენტი არა მარტო პრესაში გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილებით ეხმიანებოდა მაშინდელ სოციალურ და პოლიტიკურ მოვლენებს, არამედ პრაქტიკულ მონაწილეობასაც იღებდა მათ ორგანიზებაში და სიტყვითაც გამოდიოდა ამგვარ მასობრივ შეკრებებზე. როგორც მისი მაშინდელი პუბლიკაციებიდან თვალნათლივ ჩანს, აღნიშნულ მოვლენათა ეპიცენტრში მყოფი პოეტი მოქალაქეობრივი გაბედულებით ილაშქრებდა იმ ადამიანთა წინააღმდეგ, რომლებიც სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარ ქვეყანას წინ ეღობებოდნენ.

მაგალითად, აი, რა შეფასებას აძლევდა იგი სამეგრელოს რეგიონში ამ თვალსაზისით არსებულ მდგომარეობას გაზეთ „სახალხო საქმეში“ 1918 წელს გამოქვეყნებულ თავის ერთ-ერთ წერილში: „დღეს, როდესაც სინათლე ეფინება უხვად ყოველ მიდამოს და სიმართლის ხმა მკაფიოდ ისმის, აქაურ სოფლებში ისევ ბნელა და სიმართლის თქმა სასტიკად აკრძალულია, რაც სრულებით არ შეეფერება ახალ სიმართლეს. ყველა უსწავლელს და პოლიტიკის სრულიად არმცოდნეს თავი დიდ პოლიტიკოსად მოაქვს და ვინ იცის, თუ როგორი პროვიკაციითა და დემაგოგიით კვებავენ ხალხის გონებას. სოფელი ისევ ყაჩაღების ბუდედ არის გადაქცეული. სოფელს კვლავ ნაბირალები ევლინება შავ აჩრდილად. არსაიდან არის ხსნა!“ (ალიმონაკი, 1988: 55).

როგორც ტ. გრანელის იმდროინდელი პუბლიკაციებიდან ნათლად ჩანს, ხსენებულ მანკიერებათა ასეთი პირუთვნელობით მხილების გამო პოეტი პიროვნული შევიწროებისა და დევნის ობიექტადაც არაერთხელ ქცეულა. მაგალითად, აი, რას წერდა იგი მის მიმართ განხორციელებულ ამგვარ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით წალენჯიხის თავკაც იოსებ კვარაცხელიასთვის გაგზავნილ ღია წერილში, რომელიც 1917 წელს გაზეთ „სახალხო საქმის“ ერთ-ერთ ნომერშია გამოქვეყნებული: „არ შემიძლია უყურადღებოდ დავტოვო ის ცილისწამება, რომელიც მე მხვდა წილად თქვენი შემწეობით და მსურს ნათელვყო ჩემი სიმართლე. საკვირველია, სატირალი რომ არ იყოს ის სიტყვები, რომელიც ჩემ წინააღმდეგ წამოაყენეთ. თქვენ ლაპარაკობთ, ვითომ მე რელიგიის წინააღმდეგ მივდიოდე და „ანარქისტულ პროპაგანდას“ ვეწეოდე. თქვენ კარ-

გად იცით ჩემი ვინაობა, იცით, რომელი პარტიის წევრი ვარ და მიკვირს, რად დაგჭირდათ ამისთანა ჭორების გავრცელება ჩემს წინააღმდეგ. ამ ცილისწამებისთვის პროტესტს გიცხადებთ და მოგიწოდებთ, გამომყვეთ სამედიატორო სასამართლოში ჩვენდა სიმართლის აღსადგენად“ (ალიმონაკი, 1988: 56).

ლერი ალიმონაკის განმარტებით, აღნიშნული წერილის დაწერა პირველ ყოვლისა იმ გარემოებით იყო განპირობებული, რომ პოეტის მშობლიურ მხარეში მის შესახებ „ათასნაირ ჭორებს ავრცელებდნენ და ათასნაირ ცილს სწამებდნენ... ვინ რა იცოდა, რა ღვიოდა მის გულში, რა ძლიერი სიყვარულით უყვარდა თავისი ხალხი, თავისი სოფელი, თავისი ქვეყანა. განა ეს სიყვარული არ ანიჭებდა თავისუფლებას და ამ თავისუფლებით არ უკავშირდებოდა იმ ფესვებს, იმ ეროვნულ სულს, რამაც აღმოაცენა და ძუძუ აწოვა?! თითქო საკუთარ არსებაში ერის დაღლილობასაც კი ატარებდა, იმ ზღვართან მიახლოებული ერის, კიდევ ერთი დიდი და ახალი განსაცდელი რომ ელოდა წინ. თითქო მთელი არსებით გრძნობდა ამ განსაცდელს, გრძნობდა ბედისწერულად და თითქო ზეცაში გადახვეწით ცდილობდა დაეძლია ეს ბედისწერული თუ საბედისწერო განსაცდელი“ (ალიმონაკი, 1988: 55).

ტ. გრანელის ეროვნულმა თვალთახედვამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა 1918 წლიდან - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და თბილისში პოეტის გადმოსვლის შემდგომ. კერძოდ, იმხანად გამოქვეყნებული თავისი პუბლიცისტური წერილებით იგი არა მარტო ლექსებითა და პუბლიცისტური წერილებით ეხმაურებოდა იმდროინდელ დიდმნიშვნელოვან მოვლენებს, არამედ პრაქტიკულადაც იყო ჩართული მაშინდელ პროცესებში.

ტ. გრანელის ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის მძლავრი შინაგანი იმპულსის მიმცემ ძალად ამ შემთხვევაში უპირველეს ყოვლისა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა იქცა. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამ პერიოდის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამის თვალნათლივ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პოეტის ცხოვრების ეს პერიოდი აღნიშნული თვალსაზრისით არსებითად განსხვავდება საბჭოთა პერიოდის დროინდელი მისი ყოფისაგან.

კერძოდ, თუ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში ტერენტი გრანელი არა მარტო თავისი მხატვრული სიტყვითა და პუბლიცისტური წერილებით იდგა სამშობლოს სამსახურში, საბჭოთა პერიოდში იგი იმდროინდელ რეალობას მხოლოდ მისი სულიერი სასოწარკვეთის წარმომჩენი ორიოდე ლექსით გამოეხმაურა, საზოგადოებრივ საქმიანობაში კი არავითარ მონაწილეობას აღარ ღებულობდა.

საბჭოთა რეალობისაგან ტერენტის ამგვარი დისტანცირება მხოლოდ მისი მძიმე სულიერი მდგომარეობით რომ არ აიხსნება, ეს იმხანად შექმნილი მისი იმ ლექსებიდანაც თვალნათლივ ჩანს, რომლებშიც ჩვენი ქვეყნის მაშინდელი მდგომარეობა ზღვარდაუდებელი პესიმიზმით შეპყრობილი პიროვნების თვალთახედვითაა წარმოსახული. ტ. გრანელის ეროვნული მრწამსის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამას ქაქუცა ჩოლოყაშვილის მკვლელობის დღეს დაწერილი მისი ეს ლექსიც თვალნათლივ ადასტურებს:

კვდება ეს მდელო და ეს ქარია
და საქართველო ახლა მკვდარია,
დილაზე მდელოს ვუმზერ სპეტაკი
და საქართველოს ციდან ვუძახი:
მათ საქართველო დღეს გულში დაჭრეს,
ახლა ძნელია სულის მიგნება.
ირგვლივ ღამეა, არ სჩანს მესია
და საშინელი ეს გაციგნება.
მაგრამ ლაზარე აღდგება მკვდრეთით,
აღსდგება როგორც ღვთის სიყვარული,
.....
ვუამბობ, რასაც ვამბობდი: „კმარა!!!"
მზეო, ამოდი! ამოდი ჩქარა!"

ქაქუცა ჩოლოყაშვილისადმი მიძღვნილი ეს ლექსი გამონაკლისი არ არის და საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას ტერენტი გრანელი სხვა ლექსებითაც ამგვარი პროტესტანტიზმით რომ გამოეხმაურა, ამის ნათელსაყოფად აქ მისი პოეტური შემოქმედების ეს ნიმუშიც მინდა დავიმოწმო:

ახლა ეს ფიქრი სხვა სამარეა,
მოვიდა ქარი, ხე შეარხია,
და საქართველო ეს ის მხარეა,
სადაც ცოცხალი ხალხი მარხია.
ციხეში ვზივართ, გარეთ მთვარეა,

შორს გაუსხლავი ლურჯია ბაღი
და საქართველო ეს ის მხრეა,
სადაც ცოცხალი მარხია ხალხი.

მიუხედავად იმისა, რომ რუსული ოკუპაციის ამგვარ მხილებასა და ეროვნულ თემას ტერენტი გრანელის საბჭოთა პერიოდის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი არ დაუკავებია და მას აღნიშნული თვალსაზრისის წარმომჩენი მხოლოდ რამდენიმე ლექსი აქვს დაწერილი, მათი მეშვეობითაც თვალნათლივ ჩანს მკვეთრად ნეგატიური ის დამოკიდებულება, რომელიც მან ყოველგვარი შენიღბვის გარეშე გამოხატა საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებულ ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული უმძიმესი რეალობისადმი. მაგალითად:

რაღაც მინდა სიცოცხლეზე მეტი,
უფსკრულია და შენ მარტო ჰკივი,
მე მაფიქრებს საქართველოს ბედი,
მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს.
როგორც ოხვრა შორეული გედის,
ანდა როგორც მარმარილო ცივი, -
მე მაფიქრებს საქართველოს ბედი,
მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე სულაც არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ტერენტი გრანელისებური სიმძაფრითა და ნიღაბახდილი ფორმით საბჭოთა პერიოდში მოღვაწე ქართულ მწერალთაგან ცოტას თუ გამოუხატავს იმდროინდელი რეალობისადმი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულება.

სამწუხაროდ, ამგვარი საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივი აქტიურობა დროებითი მოვლენა გამოდგა და საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდგომ პერიოდში ტ. გრანელი მთლიანად განუდგა საზოგადოებრივ მოღვაწეობას და არავითარ მონაწილეობას აღარ ღებულობდა იმ საქმეებში, რომელნიც უშუალოდ მისი შემოქმედებითი ინტერესების სფეროში არ შედიოდა.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ იმჟამინდელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოვლენებისადმი პოეტის ამგვარი ინდიფერენტული დამოკიდებულება არა მარტო მისი პიროვნული ბუნებით იყო განპირობებული, არამედ ეროვნული მრწამსითაც. კერძოდ, საქართველოს გასაბჭოების დროიდან მოყოლებული, ჩვენს ქვეყანაში აღზევებულმა სისხლიანმა პროცესებმა, როგორც ჩანს, ერთიანად ჩააქრო პოეტის მანამდელ ცნობიერებაში მეტ-ნაკლები

სიცხადით გამოვლენილი პოლიტიკური რომანტიზმის ცეცხლი და მისი სული საზოგადოებრივი გულგატეხილობის, აპათიისა და ინდიფერენტიზმის განუკურნებელმა სევდამ მოიცვა.

ყოველ შემთხვევაში, ტერენტის ნაწერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი, ამ პერიოდიდან მოყოლებული, თითქმის მთლიანად ჩამოშორდა აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას და მხოლოდ ლიტერატურულ მოღვაწეობას მიჰყო ხელი.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული რეალობისადმი ტერენტი გრანელის დამოკიდებულების ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია და მისი იმდროინდელი შემოქმედების უმთავრეს მიმართულებად ქცეული სულიერი სასოწარკვეთის განმაპირობებელ ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორად საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიისა და ოკუპაციის შედეგად დამკვიდრებული რეალობა რომ იქცა, ამას მისი ერთ-ერთი ლექსიდან დამოწმებული ეს სტრიქონებიც ნათლად ადასტურებს: „და ჩაქრა შუქი თავისუფლების, ირგვლივ სიბნელე დაფენილია, ნელა მიდიან შავი ღრუბლები, გარეთ ვიღაცას უყეფს ფინია.“

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად აქ უაღრესად მნიშვნელოვან ერთ გარემოებასაც მინდა მივაქციო განსაკუთრებული ყურადღება: საბჭოთა ეპოქაში გასული საუკუნის 60-იან წლებამდე მოღვაწე ქართულ მწერლობაში ტერენტი გრანელი ფაქტობრივად ერთადერთი მწერალია, რომელსაც იმდროინდელი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი რეალობის განსადიდებლად ერთი სტრიქონიც კი არ დაუწერია. მიუხედავად იმისა, რომ იმხანად მოღვაწე ჩვენი მწერლების შემოქმედებაში კრიტიკულ-ოპოზიციური სულისკვეთების ღიად თუ შენიღბული ფორმით გამომხატველი ნაწარმოებებიც გვხვდება, ისინი იძულებული იყვნენ, არსებულ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ რეალობას დამორჩილებოდნენ და საბჭოთა რეჟიმის განმადიდებელი კონიუნქტურული ტექსტებიც შეექმნათ.

რუსული ოკუპაციისადმი ტერენტი გრანელის ამგვარი დამოკიდებულება მისი ეროვნული მრწამსის კარგად გაცნობიერებულ გამოვლინებას რომ წარმოადგენდა, ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში მას, როგორც საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლი სახალხო ლაშქრის წევრს, ტაბახმელასა და

კოჯორში გამართულ საბრძოლო ბატალიებშიც აქვს მონაწილეობა მიღებული.

აღნიშნული მოვლენა გამონაკლის შემთხვევას არ წარმოადგენდა და ტერენტი გრანელს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდშიც აქვს მონაწილეობა მიღებული ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად გამართულ ბრძოლებში. აი, რა ინფორმაციას გვაწვდის ამასთან დაკავშირებით ტერენტი გრანელის ერთ-ერთი თანამედროვე ალექსანდრე გაბესკირია: „იყო ასეთი სამხედრო ნაწილი, ე. წ. მეშვიდე ათასეული, რომელსაც გენერალი ვაჩნაძე მეთაურობდა. მე კაპიტან გურამიშვილის ნაწილში ვირიცხებოდი. იქ შევიტყვე, რომ ტერენტი ჯარში იყო გრიგოლ ცეცხლაძესთან, აკაკი ვასაძესთან... ერთად. ჩემს ნაწილში კი სიმონ ჩიქოვანი, კოლია ჩაჩავა და გრიშა ორაგველიძე იბრძოდნენ. მაშინ ყველა ახალგაზრდა, 16 წლის მოსწავლეებიც კი, ჯარში გაიწვიეს. ჯარი ორგვარი იყო - სახალხო ანუ ეროვნული გვარდია, რომელსაც ვალიკო ჯუღელი მეთაურობდა და წვევამდელებისა, ანუ ჩვეულებრივი. მე და ტერენტი წვევამდელთა ჯარში ვირიცხებოდით. პირადად მას იქ არ შევხვედრივარ. გამიგონია კი, რომ ტერენტი აქტიურად მონაწილეობდა ბათუმიდან თურქი ასკერების განდევნაში“ (გ. ცქიტიშვილი, ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების. დოკუმენტური მოთხრობა. თბ. 1990 წ. გვ. 212).

ტერენტი გრანელის იმდროინდელი მოღვაწეობის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია და ყოველივე ზემოთქმული სიმართლეს წარმოადგენს, ამის დასტურად აქ 1919 წელს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის წლისთავზე, გამოქვეყნებული მისი ის წერილიც მინდა დავიმოწმო, რომლითაც კიდევ უფრო ნათლად წარმოჩინდა პოეტის ეროვნული მრწამსი:

„ერთი წელი შესრულდა მას აქეთ, რაც ჩვენი მრავალტანჯული სამშობლო ეღირსა თავისუფალ ცხოვრებას.

მრავალხნოებით დაჩაგრულმა ერმა იგრძნო თავისუფალი ცხოვრების სიტკბოება.

ეროვნული თავისუფლება ეს უდიდესი პრობლემაა ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში. და ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს რევოლუციონური დემოკრატია დარაზმული გამოვა, თუ სამშობლოს

რაიმე ხიფათი მოევლინება და თავზარს დასცემს იმ ველურ ხალხთა გროვას, რომელთა უახლოესი მიზანი იქნება ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის დამხობა.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ დღევანდელ ზეიმში მხურვალე მონაწილეობას მიიღებს ყოველი ქართველი და ამით ერთხელ კიდევ დავუმტკიცებთ ჩვენ მტრებს, რომ ჩვენ შეგვწევს ძალა და უნარი, შევინარჩუნოთ ეროვნული თავისუფლება. დეე, ყველამ გაიგოს, რომ ჩვენ გვწყურია თავისუფალი ცხოვრება და არავის ნებას არ მივცემთ, აბუჩად აიგდოს ჩვენი უზენაესი უფლებები.

დღეს საქართველოს მუშათა კლასის უდიდესი მოვალეობაა, ერთის მხრივ შეინარჩუნოს ეროვნული თავისუფლება, და მეორე მხრივ კი ყური უგდოს დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის რევოლუციონურ მოძრაობას, და როდესაც თავისუფალ ცხოვრებას ეღირსება მთელი ევროპის მშრომელი მასსა, მაშინ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მოხდება ძირითადი ტრანსფორმაცია სახელმწიფოებრივ სფეროში და მაშინ საქართველოს დემოკრატია წავა იმ გზით, რა გზასაც დაადგება მთელი ევროპის მშრომელი დემოკრატია.“

დამოწმებული წერილი გამონაკლისი რომ არ არის და ტერენტი გრანელის იმდროინდელ შემოქმედებაში მსგავსი ეროვნული სულისკვეთების გამომხატველი სხვა პუბლიკაციებიც რომ გვხვდება საკმაოდ მრავლად, ამას იმხანად გამოქვეყნებული მისი ერთერთი წერილიდან დამოწმებული ეს ფრაგმენტიც ადასტურებს: „იმ საშინელ დროს, როდესაც ჩვენ სამშობლოს განადგურება მოელოდა, გაბოროტებულ და გამხეცებულ ბრბოებისაგან, საქართველოს დამცველად მოევლინა ორი ჯგუფი: სახალხო გვარდია და საქართველოს სოც. ფედერალისტთა რაზმი, რომელსაც ხელმძღვანელობს ჩვენი სასიქადულო გენერალი ი. გედევანიშვილი და ეს ორი შეერთებული ჯგუფი ხელი-ხელ ჩაკიდებულნი ლომივით ებრძოდნენ საქართველოს დაუძინებელ მტრებს როგორც აწყურისა და ყაზბეგის მიმართულებით, ისე სამეგრელოს მიდამოებში. მათ გადაარჩინეს მთელი საქართველო რღვევის პროცესისაგან ჯართან ერთად. მათ დაგვიმტკიცეს სამშობლოს სიყვარული არა მარტო სიტყვით, არამედ თავგანწირულ, რეალურ მოქმედებით. ბევრი საუკეთესო შვილი გამოესალმა წუთისოფელს, მაგრამ მიუხედავად ყველა ამისა, მაინც მიაღწიეს დასახულ მი-

ზანს და დაამყარეს მთელ საქართველოში წესიერება და მშვიდობიანობა...

დღევანდელი დღე მართლაც ჩვენთვის საზეიმოა... ჩვენ გვწამს, რომ ამ დიდებულ დღეს სახალხო გვარდია, მასთან აგრეთვე ის პარტის, რომელსაც არანაკლები მოღვაწეობა და თავგანწირვა მიუძღვის მშვიდობიანობის და წესიერების დამყარებაში, დღეს მწყობრად გამოვა ტფილისის მღელვარე ქუჩებში თავის დროშით და რევოლუციონური ჰიმნის გუგუნით და ამით ერთხელ კიდევ თავზარს დასცემს იმ ჩვენ მოსისხლე მტრებს, რომლებიც ლამობენ ჩვენი სუვერენული უფლებების შელახვას და ჩვენი დამოუკიდებლობის მოსპობა-განადგურებას. მაშ საუკუნო ხსენება სამშობლოს დაცვის დროს ბრძოლის ველზე დაღუპულ გმირებს."

პოეტის ასეთი პატრიოტული აღტკინება უშუალო გამოძახილი იყო იმ საერთო სახალხო განწყობილებისა, რაც ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენას მოჰყვა ჩვენში.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში ტერენტი გრანელის ეროვნულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ქართული ენის უფლებათა აქტიური დაცვაც იქცა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ის წერილები, რითაც იგი აფხაზეთში ამ თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით არსებულ ვითარებას აფასებს და ქართული ენის უფლებათა აქტიურად დამცველის როლში გვევლინება.

მაგალითად, გაზეთ „სახალხო საქმის" 1918 წლის 202-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში ოჩამჩირეში აღნიშნული მიმართულებით შექმნილ არასასურველ რეალობას იგი ამგვარად გამოეხმაურა: „ამ დაბაში (იგულისხმება ოჩამჩირე) იშვიათად ნახავთ ქართულის მცოდნე პირებს... ნუთუ ამ ხალხს არ შეუგნია ქართული ენის სიდიადე, ნუთუ მათ არ აინტერესებთ სამშობლო ენა. თვითმპყრობელობის დროს ქართული ენის უცოდინარობას ნიკოლოზის მთავრობას ვაბრალებდით, დღეს ვის უნდა დავაბრალოთ?! თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა ეს ჩვენს გულგრილობას და გადაგვარებას ადასტურებს. გახსოვდეთ, რომ თქვენ სამშობლო გავალებთ თქვენი მშობლიური ენის შესწავლას".

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში ტ. გრანელი არა მარტო

თავისი პოეტური და პუბლიცისტური ტექსტებით ეხმიანებოდა ჩვენს ქვეყანაში იმხანად მიმდინარე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მოვლენებს, არამედ, როგორც სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტიის წევრი, თავადაც აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ პროცესებში და ძალისხმევას არ იშურებდა თავისი პარტიული ინტერესების დასაცავად და ხორცშესასხმელად.

კერძოდ, თავისი იმდროინდელი პარტიულ-საზოგადოებრივი საქმიანობის უმთავრეს მიზნად პოეტს დასახული ჰქონდა, აქტიურად დაეჭირა მხარი ორი უმთავრესი საქვეყნო იდეალის აღსრულებისთვის - საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის და, პოეტისავე სიტყვებით თუ ვიტყვით, „გაბედული და ამაყი სვლისთვის იმ წმინდა გზით, რომელსაც შეუჩერებლად» უნდა წაეყვანა ქვეყანა სოციალიზმისაკენ.

როგორც ვხედავთ, ტ. გრანელის იმდროინდელ ცნობიერებაში ეროვნული თავისუფლება და სოციალისტური პრინციპები ერთიმეორის გვერდით თანაარსებობდნენ და ერთმანეთს არ უპირისპირდებოდნენ. ამდენად, სოციალისტური იდეების მისეული ქადაგება პრინციპულად შორს იდგა იმ ეროვნული ნიჰილიზმისაგან, რაც ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის იყო დამახასიათებელი. ასე რომ, სოციალიზმის არსის ტერენტი გრანელისეულ გაგებაში სოციალური თვალსაზრისითაც და ეროვნული კუთხითაც მიუღებელი, ფაქტობრივად, არაფერი იყო.

თავისი პარტიის სოციალური პროგრამა პოეტს გააზრებული ჰქონდა, როგორც თავდადებული ბრძოლა მშრომელი ხალხის ბედნიერი ცხოვრების დამკვიდრებისათვის. იგი თავის „მამულიშვილურ მოვალეობად» თვლიდა, მხარი დაეჭირა იმ პარტიისათვის, „რომელსაც მიზნად დაესახა ჩვენი ბუნებით მდიდარი სამშობლოს ფეხზე დაყენება და მისი ფეხქვეშ გათელილი უფლებების აღდგენა». მისი იმდროინდელი რწმენით, ეს ის პარტია იყო, „რომელმაც ყველაზე უწინ ააფრიალა დროშა საქართველოს განთავისუფლებისა».

იმხანად სწორედ ამგვარი პოლიტიკური რომანტიზმით შეპყრობილი პოეტი ბევრ მოვლენას უფრო ემოციურად იაზრებდა, ვიდრე სიღრმისეულად და თავისი საქვეყნო იდეალების აღსრულების წმინდა გზად „რევოლუციონურ საქართველოში უაღრესად სოციალისტური მეთოდების შემოღებას» მიიჩნევდა. „ჩვენი სამოქმედო

გეზი, - წერდა, მაგალითად, იგი, - იქნება მშრომელი კლასის და სოციალისტური ინტელიგენციის შეკავშირება და შედუღება და ამ ორ ჯგუფთა სინთეზის საშუალებით შექმნა ძლიერი სოციალისტური ფრონტისა... მხოლოდ მაშინ მოხდება მუშათა იდეალის ცხოვრებაში გატარება, როდესაც თვით მუშები აიღებენ ხელში თავისუფალ საქართველოს ცხოვრების მშენებლობას. მხოლოდ მუშების შეუპოვარი მოქმედების ზეგავლენით შეიძლება შეიქმნას ისეთი წესწყობილება, რომელიც გამომხატველი იქნება მშრომელი კლასის სამართლიანი სურვილების და ნებისყოფისა».

როგორც დამოწმებული ფრაგმენტითაც თვალნათლივ ჩანს, ტერენტი გრანელის ამგვარი სოციალური მიზანსწრაფვა, რომელიც სოციალიზმის ცნებაში იყო განსახებული, რადიკალურად განსხვავდებოდა მარქსისტების რევოლუციური მსოფლმხედველობისაგან. მისი იმდროინდელი მოქალაქეობრივი მრწამსის ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ეს თვალნათლივ ჩანს პოეტის მაშინდელი პუბლიცისტიკიდან.

მაგალითად, 1917 წელს დაწერილ ერთ-ერთ წერილში („რევოლუცია სოფლად») ტერენტი მკაცრად გმობდა სოციალ-დემოკრატების მოქმედებას იმის გამო, რომ მათი აგენტები „აქაურ სოფლებში (იგულისხმება ზუგდიდის მაზრა - ა. ნ.) დადიოდნენ და ჭორებს ავრცელებდნენ». ავტორის თქმით, „ხალხი მათ ძალიან ეჭვის თვალით შესცქეროდა». მეორეგან კი ახალგაზრდობას მოუწოდებდა, არჩევნებში ხმა არ მიეცათ იმ პარტიისათვის, „რომელიც პროლეტარიზაციას აღიარებდა და რომელსაც მუშა-ხალხის გაღატაკება აუცილებლად მიაჩნდა».

სოციალ-დემოკრატებისადმი პოეტის ამგვარ დამოკიდებულებაში მოულოდნელი არაფერი იყო, რადგანაც იგი პრინციპულად ვერ შეურიგდებოდა „მარქსისტული მიმართულების» იმ პარტიას, რომლის ლიდერები გააფთრებით ებრძოდნენ ყოველივე ეროვნულს და ხელის ერთი მოსმით „უარყოფდნენ თავიანთ სამშობლოს».

ბუნებრივია, მკითხველისათვის ადვილი წარმოსადგენი იქნება, ამგვარი სულისკვეთების მქონე პოეტი როგორი სიხარულითაც შეხვდებოდა 1918 წლის 26 მაისს. ამ სიხარულს მას კიდევ უფრო მეტად უმძაფრებდა ის გარემოება, რომ ამ დიდმნიშვნელოვანი ეროვნული ოცნების ხორცშესხმის პროცესში გარკვეული წვლილი მასაც ჰქონდა რეალურად შეტანილი.

კერძოდ, ტ. გრანელის იმდროინდელი მოქალაქეობრივი აქტიურობის ერთ-ერთ თვალნათლივ გამოვლინებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მას აქტიური მონაწილეობა მიუღია სამეგრელოში იმხანად საგრძნობლად მომძლავრებული „ყაჩაღებისა და ბნელი ძალების» წინააღმდეგ მიმდინარე საბრძოლო ოპერაციებში. მაგალითად: „მე, ამ სტრიქონების დამწერს, - აღნიშნავდა იგი ერთგან, - ჩემს ოფიცერთან ერთად მომიხდა წასვლა სამეგრელოში პარტიზანების შესავსებად... ჩვენ ზუგდიდში დროებით კანცელარია გავხსენით და გამოვუშვით მოწოდება ჩაწერილიყვნენ ჩვენს პოლკში და კიდევაც მოდიოდნენ ჩასაწერად».

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობითა და ეროვნულ-სოციალური იდეებით პოეტის ესოდენი გატაცება მის ლიტერატურულ ნააზრევშიც რომ აირეკლა რამდენადმე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა 1919 წელს დაწერილი საკმაოდ ვრცელი წერილი „მაშვრალთა მგოსანი», რომელიც ირ. ევდოშვილისადმია მიძღვნილი.

თუ ამ წერილის მიხედვით ვიმსჯელებთ, ტ. გრანელს მწერლის შემოქმედებითი ღვაწლის შესაფასებელ უმთავრეს კრიტერიუმად მის მიერ ხალხისა და ქვეყნის ტკივილების გამოხატვა მიაჩნდა. მისთვის ირ. ევდოშვილი სწორედ იმიტომაც იყო კარგი პოეტი, რომ „თავისი გაბედული და მრისხანე ლექსებით» მან „გამოაფხიზლა დროებით მიძინებული მუშები... მის უმთავრეს მიზანს შეადგენდა მაშვრალთა განთავისუფლება და მედგარი ბრძოლა უკუღმართ დროებასთან.“ ტ. გრანელის ხაზგასმით, აი, სწორედ „ასეთი სულისკვეთებით არის სავსე მისი დიადი პოეზია». „მაშვრალთა ტანჯული გულის მესაიდუმლედ» ქცეული ამ „წმინდა ლირიკოსის პოეზია, - ტ. გრანელის თქმით, - „მარტოოდენ საზოგადოებრივი და სავსებით ობიექტური ხასიათის პრობლემებით სულდგმულობდა» და „მხნედ შესცქეროდა ბრწყინვალე და მასთან წითელ განთიადს».

ვფიქრობ, მკითხველი დამოწმებული ფრაგმენტებითაც თვალნათლივ დაინახავს იმ დიდ განსხვავებას, რომელიც ტ. გრანელის ამ თვალსაზრისსა და მისივე პოეტურ შემოქმედებას შორის არსებობს. კერძოდ, როგორც ტერენტის პოეზიის ანალიზი ცხადყოფს, მისი ლიტერატურული მოღვაწეობა შემდგომში არსებითად განსხვავებული მიმართულებით განვითარდა და რადიკალურად გან-

სხვავდება მის პუბლიცისტურ წერილებში გამოხატული მოქალაქეობრივი თვალსაზრისისაგან.

ტერენტი გრანელის ეროვნული თვალთახედვის წარმოჩენის დროს ყურადღება მიხეილ ღანიშაშვილის (ილტოსპირელის) მიერ სოციალური ქსელით გავრცელებულ წერილსაც მინდა მივაქციო. მის მიერ მოძიებული ახალი მასალების შედეგად ბატონმა მიხეილმა კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობა შესძინა ტერენტი გრანელის იმდროინდელ მოღვაწეობასთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ იგი არა მარტო თავისი პოეტური ტექსტებითა და ესეისტიკით ეხმიანებოდა მაშინდელ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ პრობლემებს, არამედ პრაქტიკულადაც იყო ჩართული მათი მოგვარების პროცესში. კერძოდ, აი, რა შეფასებას აძლევს თავად ბატონი მიხეილი ტერენტის მოღვაწეობის ამ მხარეს:

ტ. გრანელის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლერი ალიმონაკის წიგნის წაკითხვის შემდეგ მივხვდი, რომ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში პოეტი „არცთუ ისე შორს მდგარა პოლიტიკისაგან... იგი აქტიურად თანამშრომლობდა ოფიციალურ პრესაში, ათავსებდა კორესპონდენციებს, რომლითაც მხარს უჭერდა საქართველოს სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის იდეას; რომ, თურმე, ის თანაუგრძნობდა და, შეძლებისდაგვარად, მონაწილეობდა კიდეც 1924 წლის ანტიბოლშევიკურ აჯანყებაში; რომ ის, მსოფლმხედველობრივად, ყოველთვის შორს იდგა 1921 წლის შემდეგ საქართველოში გაბატონებული წითელი ხელისუფლებისაგან... ყოველივე ზემოთქმულმა თითქოს გახსნა რებუსი, რომელიც ასე მტანჯავდა და ჩემთვის დავასკვენი, რომ ტერენტი გრანელის სახით ჩვენ გვყავდა არა მხოლოდ დეკადენტი, ნიჰილიზმის ნისლებით მოცული, არამედ უაღრესად ეროვნული პოეტი, რომ ის პესიმიზმი და მელანქოლია, რაც ასე ძალუმადაა მის შემოქმედებაში განფენილი, ოდენ პიროვნული სულიერ-ფსიქოლოგიური რყევების გამო კი არ იყო გამოწვეული, არამედ, სინამდვილეში, ჯერ კიდევ ადამისდროინდელი პირველცოდვის მონანიება და ამით გამოწვეული მძაფრი მხატვრული სიმძიმილი, ხოლო, მეორეს მხრივ, სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გულდათუთქული ადამიანის აღსარება, სულის ამოძახილი იყო.“

ყოველივე ზემოთქმულისთვის მეტი სიცხადის მისაცემად მ. ღანიშაშვილი შეეცადა თავადაც მოეძიებინა ახალი მასალები ტ. გრანელის იმდროინდელი ცხოვრებიდან და შემოქმედებიდან. კერძოდ, მან მის მიერ მიკვლეული ახალი მასალებით კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობა შესძინა მანამდე გამოთქმულ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ტ. გრანელი არა მარტო თავისი პოეტური და პუბლიცისტური ნააზრევით გამოხატავდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობით განპირობებულ ემოციებს, არამედ აქტიურ პრაქტიკულ მონაწილეობასაც იღებდა აღნიშნულ მიმართულებით არსებულ პრობლემათა მოგვარების პროცესში.

კერძოდ, პოეტი, როგორც ქართული არმიის რიგითი ჯარისკაცი, პრაქტიკულ მონაწილეობასაც იღებდა ჩვენი ქვეყნის სუვერენული უფლებებისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად გამართულ საომარ ბატალიებში.

სწორედ ამის თვალნათლივ გამოვლინებად მიაჩნია ბატონ მიხეილს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო სექციის ორგანოს, ჟურნალ "მხედარის" 1920 წლის ნომრებში ჯარისკაც ტერენტი გრანელის მიერ გამოქვეყნებული ლექსები: "საქართველოს", "ვედრება", "ყაზარმა" და "მოგზაურობა სოფლის სიჩუმეში". მართალია, ხსენებული პოეტური ტექსტები ტერენტის პოეტური შედევრების ტოლფას ქმნილებებს არ წარმოადგენს, მაგრამ პოეტის ეროვნული მრწამსის შესწავლის დროს ყურადღება ამ ნაწარმოებებსაც უნდა მივაქციოთ. მაგალითად, „საქართველოს:"

შენს რკინის საზღვრებს სდარაჯობენ მხნე რაინდები
და ვერასოდეს ვერ შეგბღალავს შეურაცხება,
ცისფერ დილაზე ბრილიანტის რომ აინთები,
ყველას აბრმავებს მომხიბლავი შენი სახება.
იფეთქებს გრძნობა სიყვარულის ჩუმი გალობით,
სისხლის წამების მოგონება წარსულთან რჩება,
ჩემი სამშობლო იამაყებს ჯარის წყალობით,
ერთმანეთს ჰკოცნის საქართველო და გამარჯვება.
ფრაგმენტი ლექსიდან „ყაზარმა:"
თეთრი ყაზარმა და აფიცრები,
დილა ადრიან რეკვა ზარების,

ყველა დაქრიან როგორც ისრები,
ისმის მახილი მხოლოდ გვარების...
ავტომობილი, ღია გარაჟი
და ყველას გულში თამაში ძგერა,
ისევ საღამო ჯარში დარაჯი
და ნასადილევს ჩუმი სიმღერა.
ასე ღვივდება გრძნობა ფარული,
როცა არ ვხედავთ ჩვენ განსხვავებას,
ყველას გვაერთებს აქ სიყვარული,
სამშობლოს დაცვა და აყვავება.

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, სულაც არ გადავაჭარბებთ, კიდევ ერთხელ ხაზგასმით თუ ვიტყვით, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პერიოდში შექმნილი თავისი პოეტური და პუბლიცისტური ტექსტებითა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობით ტერენტი გრანელმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმდროინდელი ჩვენი მწერლობის ისტორიაში.

გიორგი ლეონიძე

საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემას 1917-1921 წლების პრესაში გამოქვეყნებული ლექსებითა და პუბლიცისტური წერილებით აქტიურად გამოეხმაურა გიორგი ლეონიძეც (1899-1966 წწ.). განსხვავებით ხაზგასმულად ოპტიმისტური იმ მოლოდინისაგან, რომელიც 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გამარჯვებამ გაუჩინა ქართველ მამულიშვილთა დიდ ნაწილს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით, გიორგი ლეონიძე გაზეთ „საქართველოს“ 1917 წლის 217-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილში „ჩაბნელებული არმაზი“ შექმნილ მდგომარეობას ფრთხილი დაეჭვებით აფასებდა და ახალი რეალობისადმი თავის დამოკიდებულებას სკეპტიციზმნარევი ამ სიტყვებით აფასებდა: „ვამბობ: ჯერ მზე არ ამოგვსვლია. ბრწყინვალე გვირგვინიანი თავადი ოქროს ხელნაგრით - არ გამოჩენილა თეთრ ტაიჭზე ჩვენსკენ მომავალი.

არ ამღერებულა ჩვენში ოქროსფეროვანი გულიანი - მოსავადებული საქორწილო შროშანებით...

არც ერთი ჩვენგანი არ აყვავებულა შვიდგაშლილ ცისარტყელად.

თვითეული ჩვენგანი აღივსო საღვთო წყურვილით და წყურიელნი ვეძებთ სულის დამალულ ოთახებს! მაგრამ სად არის გრძნეულნი, - დააჩქეფოს თვითნათენი და ბროლის ქაფში ააყვავილოს მოთვალმარგალიტული სიტყვა?..“ („ქართული ლიტერატურული ესსე. XX საუკუნის 20-იანი წლები, 1986:75).

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით თავისი სკეპტიკური დამოკიდებულება გ. ლეონიძემ კიდევ უფრო მძაფრი ფორმით გამოხატა გაზეთ „საქართველოს“ 1917 წლის 30 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ ესეში „თამარ!“ რაგინდ მოულოდნელიც არ უნდა იყოს, მძაფრი ეროვნული სკეპტიციზმით განმსჭვალული ეს ლირიკული აღსარება პოეტმა 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ პერიოდში გამოაქვეყნა, იმ დროს, როცა ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილი რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან საქართველოს განთავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე საუკუნოვანი ოცნების რეალურად ხორცშესხმით იყო შეპყრობი-

ლი. მათგან განსხვავებით, ამ მოვლენისადმი თავის პესიმისტურ დამოკიდებულებას გ. ლეონიძე თამარ მეფისადმი მიმართული ამ სიტყვებით გამოხატავდა:

„შენ უდაბნოს ვარსკვლავივით გაიელვე ლურჯ უფსკრულში და ვგოდებთ, რომ კვლავ ვერ შევესწრებით სხივთა დღესასწაულს.

ჩვენ ვიცით, რომ ორჯერ ვარსკვლავი არ გაგვინათებს! - და კვლავ შეგნატრით, განუმეორებელო მზევ, გაზაფხულის ღელის ყვავილო!..

მოუვალ გზისკენ წასულან სამშობლოს ვარსკვლავები. ბრწყინვა და შარავანდედი შეახუნდა საქართველოს მზეს... არ გაიშალა ჩვენთვის სხივთა მარაო და დღეს მტრის შვილდოსნისაგან დაკოდილი ქართლოსიანი სასოებით მხოლოდ შენ შემოგმახის, თამარ!..

ჰყვავის და სჭკნება საუკუნე; ჰყვავის მწუხრი და განთიადი, ხოლო სახე შენი ჰგიებს, დაუმჭკნარო, ღიმილის ელვით ოქროცურვილო...

საუკუნეთა ბინდში მხოლოდ შენ გპოვა ერის სალამურმა, მხოლოდ შენ მოგკრა თვალი საქართველოს დედამ!.. და გიხმობთ შვილად, თამარ! ჰოი, თამარ! - ივერია იავარ იქმნა!

მეც ძაძით შევიმოსე გული; მე ღამის სიჩუმეში ვარ - ღამეში ჩამარხული და სიჩუმით ვახსენებ შენს სახელს...

მთვარის ნაპერწკლებით და ოქროს ძაფებით შენს მზიურს სახეს შავ ნისლებში ვქარგავ, ჰოი, თამარ!

მე მიხარიან, რომ საქართველო შენის სახელით შეიმოსა; მე მიხარიან, რომ შენ ედედოფლე მას - უკვდავი მშვენიერება და სიხარული! - და კვლავ თაყვანსა გცემ, თამარ! შენით ჰსუნთქავს საქართველო!

გულს ვეღარ შემიზარავს ჩემს წინაშე აღმართული შავი აჩრდილი სიკვდილისა; უკვდავია ერი ჩემი, სანამ უკვდავობს თვალშეუდგამი შენი სახე, - უკვდავია, რადგანაც შენით უჭკნობ მშვენიერებას ეზიარა“ („ქართული ლიტერატურული ესსე. XX საუკუნის 20-იანი წლები, 1986:71).

როგორც გიორგი ლეონიძის იმდროინდელი პუბლიკაციებიდან თვალნათლივ ჩანს, საქართველოს სახელმწიფოებრივი წარსულისა და მომავლის შეფასების დროს პოეტი ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდებარეობასაც სძენდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას. სწორედ ამის ერთ-ერთ თვალნათლივ გამოვლინებად მიიჩნევს გიორგი ქავთარაძე 1920 წელს გაზეთ „ნაციონალისტის“ მე-20 ნო-

მერში გამოქვეყნებულ წერილს „ვახტანგ მეექვსე“, რომელშიც XVIII საუკუნის საქართველოში არსებული მდგომარეობა ასეა შეფასებული: „ამ საუკუნის დრამაში მრავალი საშინელი აკტია. მაგრამ ყველაზე მეტად ის აკტია სისხლეური, რომელსაც ეწოდება: „საქართველოს პოლიტიკის დუელი საქართველოს გეოგრაფიასთან“.

გიორგი ქავთარაძის ხაზგასმით, პოეტს ამ შემთხვევაში „მხედველობაში აქვს საქართველოს სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის გამო პეტრე პირველის დროინდელი რუსეთის სწრაფვა ჩვენი ქვეყნის დასაუფლებლად, რაც შავი ზღვის აუზისა და სპარსეთ-ინდოეთისაკენ მიმავალი სავაჭრო გზის ხელში ჩაგდების ტოლფასი იყო. გარდა ამისა, საკუთრივ გეოპოლიტიკური თვალთახედვითაც რუსეთისათვის დაუშვებელი იქნებოდა კავკასიონის ქედის გადაღმა დამოუკიდებელი და, მით უფრო, ძლიერი სახელწიფოს არსებობა, თუნდაც იგი მისი ერთმორწმუნე და მოკავშირე ყოფილიყო. ეს უნდა იყოს ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ყოველგვარი „მოკავშირეობა“ თუ „მეგობრობა“ რუსეთსა და საქართველოს შორის უკანასკნელის ოკუპაციითა და ანექსიით თუ ინკორპორაციით მთავრდებოდა. საქართველოს მოსახლეობის ერთმორწმუნოება და სიმპატიები რუსეთისათვის მხოლოდ ხელსაყრელ გარემოებას წარმოადგენდა საქართველოს „ათვისებისათვის“ და შემდგომი ექსპანსიისათვის პლაცდარმად გადასაქცევად“ (ქავთარაძე, 2018: 28).

აქედან გამომდინარე, ვახტანგ მეექვსის პოლიტიკურ მოღვაწეობასა და სახელმწიფოებრივ ორიენტაციას გ. ლეონიძე ასეთ უკომპრომისო შეფასებას აძლევდა: „აღმოსავლეთში თავისი ვრცელი პოლიტიკური გეგმის განსახორციელებლად რუსეთის საშიშარ ქირურგს, სვინდისსა და ღვთიურ თავშეწირვას მოკლებულ პეტრე იმპერატორს, საშიშარი ოპერაცია გაუკეთებია საქართველოსათვის. ვახტანგ მეექვსე - ლეონიძისული დახასიათებით, ქართული ისტორიის მარკუს ავრელიუსი და ქართული ლირიკის გოლგოთაზე ჯვარცმული უბედო მეფე - პეტრე პირველმა სპარსეთის წინააღმდეგ მოკავშირედ მიიწვია და ამასთანავე მრავალი პოლიტიკური კომბინაციებით გამუდმებით მოტყუებული თბილისის სამეფო კარი მოჰქანცა ელჩების გაგზავნითა და უთავბოლო დაპირებებით. ავტორის სიტყვებით: „არა დროს არ ყოფილა საქართველო თავის დასასრულთან ასე ახლოს, როგორც ამ ბაგრატიონის დროს“. ვახტანგ VI-ის შეცდომაში შეყვანით, „ამ ქრისტეს საფლავზე მთებარე

კანდელმა," როგორც ვახტანგი უწოდებდა თავის მოკავშირეს, საქრისტიანო ქვეყანა იანიჩრებს მისცა სათარეშოდ. თვით მეფე კი, მთელი თავისი ტაძრეულით და უმაღლეს არისტოკრატიის თანხლებით, რომელიც ორი ათასი თავად-აზნაურისაგან შესდგებოდა, რუსეთს გაიწვია, ე. წ. მოკავშირის „საფარველის" ქვეშ საცხოვრებლად. ავტორის თქმით, „ამ გადახვეწამ ქართულ რასას საუკეთესო სისხლი დაუკარგა" (ქავთარაძე, 2018: 28).

რუსეთისადმი, როგორც ჩვენი ქვეყნის დამპყრობელი სახელმწიფოსადმი, მკვეთრად ნეგატიური ამგვარი დამოკიდებულება გიორგი ლეონიძემ ზემოთ ხსენებულ პუბლიკაციაზე უფრო ადრე 1917 წელს გაზეთ „საქართველოს" 217-ე ნომერში გამოქვეყნებულ წერილშიც - „ჩაბნელებული არმაზი" გამოხატა. კერძოდ, პოეტის შეფასებით, „ყველაზედ მაზარალებელი ჩვენთვის ჩრდილოეთის წყვდიადი გამოდგა. ჩვენ გავაღეთ დარიალი იმ ფიქრით, რომ იგი მზეს იჭერდა. მაგრამ მზის ნაცვლად სიცივე შემოიჭრა. მართალია, სული ჩვენი არ ემონა ციმბირის ღმერთებს, მაგრამ მოიშხამა და გაუწმინდურდა. ჩვენ წაგვართვეს მზე და ვეღარც ვიტყოდით მზის სიტყვას, ...რადგან... მთელი საუკუნე ჩვენში არ თქმულა ლამაზი სიმღერა, იგი ჩაჰკლა საქართველოს მონურმა სულმა".

გიორგი ლეონიძის ეროვნულ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი მრწამსის წარმოჩენისა და შეფასების დროს გიორგი ქავთარაძე იმ გარემოებასაც მართებულად უსვამს ხაზს, რომ „საქართველოს ხელისუფალნი ქმედითად იყენებდნენ ქვეყნის ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობით ბოძებულ უპირატესობა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთიდან ძალთა გადმოყვანა მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა, რათა ქვეყნის უსაფრთხოებას ზიანი არ მისცემოდა და არც არასოდეს, თითქმის XIX საუკუნემდე, საქართველოს ხელისუფალთ არ გადაუციათ კავკასიის ზეკარისა და შემოსასვლელი გზების კონტროლის უფლება ჩრდილოეთის მხარისათვის, რაც, თავისთავად ცხადია, საკუთარი ქვეყნისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის ტოლფასი იქნებოდა, ვინაიდან სახელმწიფო დაკარგავდა თავის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას (ქავთარაძე, 2018: 29).

განსხვავებით ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ მომავალთან დაკავშირებით ზემოთ დამოწმებულ ესეებში გამოხატული მეტ-ნაკლებად სკეპტიკური მოსაზრებებისა, საანალიზო პერიოდში შექ-

მნილი თავისი ლექსებით გიორგი ლეონიძე პათეტიკური ფორმით წარმოსახული ეროვნული თვალთახედვის მქონე იმ ოპტიმისტ პიროვნებად მოგვევლინა, რომელიც ჩვენი ქვეყნის წარსული დიდების აღსადგენად თავის გაწირისთვისაც გამოთქვამდა მზადყოფნა.

სწორედ ამის თვალნათლივ გამოხატულებას წარმოადგენს 1917 წელს დაწერილი ლექსები: „ორი სონეტი საქართველოს" და „საქართველოში." ამ ლექსების ლირიკული გმირი ამჯერად არა მარტო ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის გმირული ეპიზოდების რომანტიკულად განმადიდებლის როლში გვევლინება, არამედ იმ მამულიშვილის სულისკვეთებით განმსჭვალულ პიროვნებადაც, რომელიც თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად ქვეყნის ისტორიული დიდების აღსადგენად ბრძოლას მიიჩნევდა.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორია და თანამედროვეობა გ. ლეონიძის ამ ლექსებში ერთმანეთთან კონტრასტულად შეპირისპირებული ფორმით იყო წარმოსახული. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ წარსულში ჩვენი ქვეყნის „სტავრა და ფარჩეული" სისხლითაც არაერთხელ შეღებილა და მას „ცრემლიც სდენია სევდის ჯამში დაუშრეტელი," ქართველმა ხალხმა მაინც შეძლო „მზემდე აზიდული ტაძრების" აღმართვა. კერძოდ, აი, როგორ წარმოსახავს თავად პოეტი მის მიერ რომანტიკულად განდიდებული ჩვენი წარსულის ფრაგმენტულ სურათს (ლეონიძე, 1980: 12):

მზესთან აჰზიდე მარმარილოს ტაძრის კედელი,
მარტო დადექი სილამაზის წმინდა მკრებელი,
წარსთქვი ლოცვები სხვებისათვის მოუთხრობელი
და შემოივლე ცეცხლის ალი დაუშრეტელი...

როგორც განსახილველი ლექსიდან თვალნათლივ ჩანს, ისტორიული წარსულის ამგვარი რომანტიკული განდიდება პოეტს ამჯერად, პირველ ყოვლისა, იმ გარემოებისთვის მკითხველის ყურადღების მისაპყრობად სჭირდება, წარსული დროებისაგან განსხვავებით, ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის თავგანწირვით ბრძოლის სულისკვეთება იმჟამინდელ ვითარებაში იმდენადაც კი იყო დამცხრალი, რომ ჩაჩქან-მუზარადს ჟანგი მოსდებოდა და საქართველო ზღვაში უგზო-უკვლოდ მოხეტიალე ობოლ ხომალდს დამსგავსებოდა. ამ მდგომარეობით შეძრწუნებული პოეტი რომანტიკული აღგზნებით ოცნებობდა იმ დროის დადგომაზე, როცა ჩანგის ნაცვლად ხელთ პირგამახულ შუბს დაიჭერდა და ამ მდგომა-

რეობიდან ქვეყნის დასახსნელად მებრძოლი გმირის როლში მოგვევლინებოდა (ლეონიძე, 1980:12):

ჩაჩქან-მუზარადს დასჩნევია ჟანგი ჟამისა,
თეთრი გვირგვინი უცხოელმა შეგიღამისა -
საკურთხეველსაც შემოძარცვა მან მეწამული...
ზღვად ობოლ ხომალდს მივამსგავსე ჩემი მამული,
როგორ მაჟღერებს საქართველოს ნაზი ნაღველი,
ო, ჩანგის ნაცვლად მეპყრას შუბი პირ-გამახვული.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, მკითხველის ყურადღებას აქვე იმ გარემოებასაც მივაპყრობ, რომ მტრების მძლავრობისგან სამშობლოს დახსნისა და განთავისუფლების ეს იდეა გ. ლეონიძის იმდროინდელ ლექსებში „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა გმირულ ქმედებებთან ასოცირებული ფორმითაცაა გამოხატული. მაგალითად (ლეონიძე, 1980:13):

შოთას გაფიცებთ! - მივემსგავსოთ ნესტანის რაინდს,
ძველი სამშობლო ჩვენ სიზმრებში ვეძიოთ მაინც,
დაგვირგვინებულს ფარ-შიმშერით დავუდგეთ მზირად
და ყვავილები მივუჩინოთ ნაზირ-ვეზირად.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ლეონიძის მიერ 1917-1921 წლებში შექმნილ მხატვრულ-პუბლიცისტურ ტექსტებში მისი შემდგომდროინდელი შემოქმედების უმთავრეს თემად დამკვიდრებული ეროვნული პრობლემა ნაკლებად მასშტაბური ფორმით წარმოჩინდა, ზემოთ განხილული ნაწარმოებებით პოეტი მაინც გვიქმნის მყარ საფუძველს მის იმდროინდელ ეროვნულ თვალთახედვაზე ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად.

მარო მაყაშვილი

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში მოღვაწე ქართველ მწერალთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მრწამსის წარმოჩენა სრულყოფილ სახეს ვერ მიიღებს იმ შემოქმედებითი და პიროვნული წვლილის გაუთვალისწინებლად, რითაც რუსული ოკუპაციის წინააღმდეგ ბრძოლაში გმირულად დაღუპულმა მარო მაყაშვილმა მყარად დაიმკვიდრა ადგილი სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებულ ქართველ გმირთა გვერდით.

19 წლის ასაკში რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად მისი ნებაყოფლობით წასვლა მხოლოდ პატრიოტული ემოციის აფექტურ გამოვლინებას რომ არ წარმოადგენდა და კარგად გაცნობიერებული გადაწყვეტილება იყო, ამის დასტურად მრავალი კონკრეტული ეპიზოდი შეიძლება გავიხსენოთ როგორც მარო მაყაშვილის ბიოგრაფიიდან, ისე საოჯახო არქივში დაცული მისი ხელნაწერი ლიტერატურული დღიურიდან, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1997 წელს.

ყოველივე ზემოთქმულს ის შეფასებანიც დაუეჭვებლად ადასტურებს, რაც მარო მაყაშვილის თავგანწირვას მისცა იმდროინდელ ქართველ მამულიშვილთა არაერთმა წარმომადგენელმა. ამ შემთხვევაში ხაზგასმით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულ გმირად იმხანადვე შერაცხული ეს პიროვნება მხოლოდ მისი დაღუპვის დღეებში კი არ დაიტირა ფაქტობრივად მთელმა საქართველომ, არამედ მისი ეროვნული თავგანწირვის განმადიდებელი პუბლიკაციები საბჭოთა დიქტატურის დამყარების პირველ წლებშიც იბეჭდებოდა ქართული პრესის ფურცლებზე (ამასთან დაკავშირებით იხ: ღვინეფაძე, 2009).

მარო მაყაშვილი საბჭოთა რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოს დასაპყრობად წარმოგზავნილი საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ გამართულ ომში 1921 წლის 17 თებერვალს მოხალისედ წავიდა და, როგორც მედდა, მონაწილეობას იღებდა ტაბახმელა-კოჯორის ფრონტზე მიმდინარე ბრძოლების დროს დაჭრილი ქართველი მეომრების მკურნალობის პროცესში.

სამწუხაროდ, მარო მაყაშვილის საბრძოლო თავგადასავალი მეტად ხანმოკლე გამოდგა და იგი ომში წასვლიდან მესამე დღეს, 19

თებერვალს, მტრის მიერ გამოსროლილმა ჭურვმა იმსხვერპლა. აი, რა განცხადება გამოქვეყნდა ამ ტრაგიკულ ამბავთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1921 წლის 41-ე ნომერში: „მტერთან ბრძოლის დროს პირველი მსხვერპლი ქალის, თავგანწირულად და გმირულად თავის მოვალეობის აღსრულების დროს მოკლულის მოწყალების დის, უნივერსიტეტის სტუდენტის მარო მაყაშვილის დაკრძალვა მოხდება სამხედრო ტაძრის გალავანში ოთხშაბათს, 23 ამა თებერვალს, დღის 12 საათზე“.

მარო მაყაშვილის ამქვეყნიური ცხოვრების ტრაგიკული დასრულებით განპირობებულ გულისტკივილს კიდევ უფრო მეტად გვიმძაფრებს ის გარემოება, რომ რუსული ოკუპაციის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარ მოვლენათა შედეგად მისი საფლავიც დაიკარგა. კერძოდ, სამხედრო ტაძრის ეზოში არსებულ იუნკერთა საძმო სასაფლაოს ადგილზე, სადაც მარო მაყაშვილი დაკრძალეს, საბჭოთა პერიოდში მთავრობის სასახლე ააგეს.

როგორც ითქვა, მარო მაყაშვილის „დღიური“ ცალკე წიგნად პირველად 1997 წელს გამოიცა. ავტორის მწერლური შესაძლებობის წარმომჩენი ამ ტექსტით ნათელი წარმოდგენა გვექმნება არა მარტო ავტორის პიროვნულ მისწრაფებებზე, არამედ შესაბამისი პერიოდის მოვლენებისადმი მის დამოკიდებულებაზეც. წიგნს თან ახლავს მაროს დისწულის - მარიამ (ნუგეშა) მაყაშვილის ბოლოსიტყვაობა, რომლის მეშვეობით შესაძლებლობა გვეძლევა მაროს ხანმოკლე ბიოგრაფიის შთამბეჭდავ ეპიზოდებსაც გავეცნოთ ფრაგმენტულად.

მარო მაყაშვილი დაიბადა 1901 წელს ცნობილი პოეტისა და მამულიშვილის კოტე მაყაშვილის ოჯახში. 1919 წელს, თბილისის ქართული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. როგორც მისი „დღიურიდან“ თვალნათლივ ჩანს, იგი შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეულ იმ პიროვნებას წარმოადგენდა, რომლის სახითაც ჩვენს მწერლობას მომავალში წარმატებული ლიტერატურული პერსპექტივის მქონე შემოქმედი შემოემატებოდა.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მარო მაყაშვილის ტრაგიკულ გარდაცვალებას იმხანად არა მარტო არაერთი ქართველი მამულიშვილი გამოეხმაურა უღრმესი გულისტკივილით, არამედ ფართო საზოგადოებაც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს იმდროინდელი ქართული მწერლობის ცნობილი წარმომად-

გენლების: იოსებ გრიშაშვილის, ტიციან ტაბიძის, გრიგოლ რობაქიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, რაჟდენ გვეტაძის, იოსებ მჭედლიშვილის, ვარლამ რუხაძისა და სხვათა მიერ დაწერილი მისადმი მიძღვნილი ლექსები და წერილები, რომელთა მეშვეობითაც მათი ავტორები ხოტბას ასხამდნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის ომში დაღუპული ქალიშვილის გმირულ თავგანწირვას.

მარო მაყაშვილისადმი იმდროინდელ ქართველ მამულიშვილთა ამგვარი დამოკიდებულება აფექტური შეფასების შედეგს რომ არ წარმოადგენდა, ეს იმ დამოკიდებულებითაც გამოვლინდა, რომ მისი გმირობის განმადიდებელი ლექსები და წერილები რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის პირველ წლებშიც ქვეყნდებოდა ქართული პრესის ფურცლებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ პუბლიკაციათა ავტორები ამით რეალურად უპირისპირდებოდნენ იმჟამინდელი ხელისუფლების იდეოლოგიურ პოლიტიკას, ისინი ამ ნაბიჯის გადადგმისაგან თავს მაინც არ იკავებდნენ.

ნათქვამისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად აქ მარო მაყაშვილის დისწულის - ნუგეშას მიერ დეიდის შესახებ ნანა ღვინეფაძისთვის მოთხრობილ ამბავთაგან ასეთ ეპიზოდს დავიმოწმებ: „მახსოვს, ქართველ მწერლებს მაროს ნეშტის მთაწმინდაზე გადასვენება რომ უნდოდათ, მამასთან მოვიდნენ. ტიციანი და პაოლო იყვნენ ამ ამბის თაოსანნი, მაგრამ მამამ მტკიცე უარით გაისტუმრა, - ამას ახალი მღელვარება მოჰყვება, ახალი მსხვერპლის გაღების უფლება კი ქართველობას აღარა აქვს, ფიზიკურად გაწყდება ახალგაზრდობაო... მერე სხვაგვარად მოუნდომებიათ ქართველ მწერლებს მაროს სახელის უკვდავყოფა. 1924 წლის „ქართულ სიტყვაში“ (#4) დაბეჭდილია ინფორმაცია „წიგნი მარო მაყაშვილზე“.

„მარო მაყაშვილის, პოეტ კოტე მაყაშვილის ასულის გარდაცვალებიდან სამი წლისთავზე, გრ. რობაქიძის, ი. გრიშაშვილის და ს. ახვლედიანის ინიციატივით გამოვა წიგნი, რომელშიაც მოთავსებული იქნება მარო მაყაშვილის დღიური და ქართველი პოეტების ლექსები, დაწერილი მასზე“ (ღვინეფაძე, 2009: 22).

მარო მაყაშვილის გმირული თავგანწირვისადმი იმდროინდელი ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულებაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად აქ ქართველ პოეტთა მიერ მისადმი მიძღვნილი ლექსებიდანაც დავიმოწმებ ორიოდე ფრაგმენტს (ღვინეფაძე, 2009: 85-86). ვარლამ რუხაძე:

წმინდა ასულო, დღემდის ჩვენ გვყავდა
ნინო, ქეთევან და მზე თამარი,
დღეიდან, როცა აიწევს ფარდა,
შენც გამოჩნდები სახენარნარი.
რაჟდენ გვეტაძე:
მე არ გიცნობდი, ამორძალო, სწორო თამარის,
მაქვს სანანებლად თქვენი სახის უნახველობა,
მაგრამ ამბობენ, რაფაელის უნდა ხელობა

თქვენს ნამდვილ პორტრეტს, დღეს რომ ფარავს ვარდი სამარის.

რაც შეეხება იოსებ გრიშაშვილს, მან მარო მაყაშვილის საფლავის სამუდამო დაკარგვით განპირობებული გულისტკივილი მისი მამის - კოტე მაყაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში ამგვარად გამოხატა (ღვინეფაძე, 2009: 27):

და ორი წელი დაგვრჩა იგავად,
ახლა სხვა დროა და სხვა ტაროსი,
გულიდან გრძნობა კვლავ აღიგავა,
როგორც საფლავი შენის მაროსი!

რუსული საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ გამართულ ომში საბრძოლველად წასვლა 19 წლის ასაკში მარო მაყაშვილის მიერ აფექტურად მიღებულ გადაწყვეტილებას რომ არ წარმოადგენდა და უპირველეს ყოვლისა მისი ეროვნული მრწამსით იყო განპირობებული, ეს თვალნათლივ ჩანს „დღიურიდან.“ მწერლური ნიჭიერებით აღბეჭდილი ამ სენტიმენტალიზებული ჩანაწერებით მან ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა არა მარტო თავისი სამომავლო ცხოვრების საოცნებო პერსპექტივებზე, არამედ საკუთარი ეროვნული მრწამსიც წარმოაჩინა ღრმად შთამბეჭდავი სახით.

მაგალითად, აი, რას წერს ამასთან დაკავშირებით არჩილ სულაკაური მარო მაყაშვილის „დღიურისთვის“ თანდართულ ბოლოთქმაში: „მარო მაყაშვილი - მთელი სიცოცხლე მასწვალებდა და მტანჯავდა ეს სახელი და გვარი. ვიცოდი, კოტე მაყაშვილის ქალიშვილი იყო; ვიცოდი, 1921 წელს კოჯორთან დაიღუპა, საქართველოს თავისუფლებას შესწირა თავი და შემდეგ ისე წარიმართა ცხოვრება, მისი საფლავიც კი აღიგავა პირისაგან მიწისა.

სულ მინდოდა, გამეგო, რით სულდგმუნობდა ეს დიდი ქალიშვილი... მინდოდა შემეღწია მისი ფიქრებისა და ოცნებების საუფლოში.

„დღიურის“ წაკითხვის შემდეგ ჩემთვის ყველაფერი გაცხადდა. ახლა ხმამაღლა ვამბობ: მთელი სიცოცხლე მიყვარდა მარო მაყაშვილი. იგი ჩემი მეგობარი იყო, ჩემი თანამდევი სული.“

არჩილ სულაკაური გამონაკლისი არ ყოფილა და მარო მაყაშვილის „დღიურს“, როგორც ჩვენი ლიტერატურის მნიშვნელოვან შენაძენს, ამგვარი შეფასება შემდგომში არაერთმა პიროვნებამ მისცა. მაგალითად, აი, როგორ გამოხატა ხსენებული ტექსტის წაკითხვით განცდილი ემოცია კრიტიკოსმა გურამ გვერდწითელმა:

„კი არ განმაცვიფრა, უბრალოდ კი არ გამახარა ან დამაღონა, არამედ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, გამაოგნა მარო მაყაშვილის დღიურმა... მსგავსი ძალის, გონის, გრძნობის დღიურები, ასე მგონია, აქამდე საერთოდ არ შემხვედრია. ალბათ, ამგვარი აღქმა და შთაბეჭდილება იმიტომ მომეძალა, რომ დღიურების ავტორი ვინმე ხანდაზმული, გამოჩენილი ან დაბრძენებული პიროვნება კი არა, ერთი სულ ახალგაზრდა, თვრამეტი-ცხრამეტი წლის ქალიშვილია. ამ დღიურების გამოქვეყნებით ჩვენ ხელახლა და მთელი სისრულით გავიცანით ჩვენი ეროვნული გმირი მარო მაყაშვილი... ამ დღიურებით ნათელი გახდა, თუ როგორ ყალიბდებოდა ეს ნათელი პიროვნება, რომ მისი გმირული თავდადება, თურმე, პატრიოტული გრძნობის იმპულსური გამოხატულება კი არ იყო, არამედ კარგა ხნის ნაფიქრი და მომწიფებული გადაწყვეტილება“ (გვერდწითელი, 1997: 89).

როგორც უკვე აღინიშნა, მარო მაყაშვილის „დღიურისადმი“ განსაკუთრებულ ინტერესს პირველ ყოვლისა ის გარემოება განაპირობებს, რომ ავტორისეული ჩანაწერების შედეგად ნათელი წარმოდგენა გვექმნება მის ეროვნულ თვალთახედვაზე. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ტექსტის მეშვეობით ახალგედა მწერალი თავის პიროვნულ მისწრაფებებსაც ხშირად წარმოაჩენს და ყოველდღიური ცხოვრებისეული საკითხებისადმი მის დამოკიდებულებასთან დაკავშირებითაც გვაწვდის საგულისხმო ინფორმაციებს, მარო მაყაშვილის დოკუმენტური ჩანაწერები უწინარესად სწორედ აღნიშნული თვალსაზრისითაა საინტერესო.

„დღიურის“ უმთავრეს ლაიტმოტივად ქცეულ ამ პრობლემას ახალგედა მწერალი უპირველეს ყოვლისა გარესამყაროსთან ჩვენი ქვეყნის ურთიერთობის კონტექსტში აანალიზებს. პრობლემის ამგვარი რაკურსით წარმოჩენა არსებითად განაპირობა იმხანად არსებულმა რეალობამ. როგორც ცნობილია, მიუხედავად იმისა, რომ სა-

ხელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა საქართველოს იმხანად უკვე ჰქონდა აღდგენილი, მისი, როგორც სუვერენული ქვეყნის, მომავალი, არსებითად აღმოჩნდა დამოკიდებული რუსეთისა და ევროპის დიდი სახელმწიფოების მიერ მის მიმართ გატარებულ პოლიტიკაზე.

„დღიურიდან" თვალნათლივ ჩანს, რომ მარო მაყაშვილი საფუძვლიანად იყო გარკვეული აღნიშნულ მოვლენათა არსში და ჩვენი ქვეყნის მიმართ ხსენებულ სახელმწიფოთა მესვეურების მიერ გატარებულ ძალადობრივ პოლიტიკას მკვეთრად ნეგატიურ შეფასებას აძლევდა. იმხანად არსებული რეალობიდან გამომდინარე, ყველაზე მეტ სიმკაცრეს ამ შემთხვევაში იგი პირველ ყოვლისა რუსეთის მიმართ იჩენდა.

ამ გარემოების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად მარო მაყაშვილი არა მარტო იმხანად არსებულ პოლიტიკურ ვითარებას მიიჩნევდა, არამედ რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის დაპყრობის დროიდან ტოტალურად გატარებულ ძალადობრივ პოლიტიკასაც და იმ გარემოებასაც აღნიშნავდა გულისტკივილით, ამ მოვლენის განმსაზღვრელ საფუძვლად ერეკლე მეორის მიერ მიღებული საბედისწერო გადაწყვეტილება რომ იყო ქცეული. კერძოდ, აი, რა შეფასებას აძლევდა იგი მეფე ერეკლეს პოლიტიკურ ორიენტაციას მისადმი მიმართული შემდეგი სიტყვებით: „ერეკლე, ერეკლევ, რაზედ დაგვღუპე. მართალია, შენც სხვა გზა არ გქონდა, მაგრამ რუსს რად მიგვეცი. იმიტომ, რომ მთელი ჩვენი სიცოცხლე ვიტანჯოთ, რათ? რა დაგიშავა საბრალო ერმა, ღმერთო!" (მაყაშვილი, 1997: 4).

რუსეთის შემადგენლობაში ჩვენი ქვეყნის ყოფნის პერიოდს მ. მაყაშვილი უკიდურესად ნეგატიურ შეფასებას არა მარტო იმის გამო აძლევდა, რომ ამ ტრაგიკული მოვლენის შედეგად საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგა, არამედ იმიტომაც, რომ იმპერიული ხელისუფლება ტოტალურად გატარებული თავისი მმართველობითი პოლიტიკით მიზანმიმართულად და აქტიურად ცდილობდა ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერებისთვის საფუძვლის გამოცლას. კერძოდ, მ. მაყაშვილის შეფასებით, „რუსეთმა, რაც კი კარგი გვქონდა, ჩვენი კულტურა სულ დასცა და ახალიც არაფერი შემოიტანა ენის გარდა. ამისთანა მფარველი რომ ღმერთს არ გაეჩინა, უფრო კარგი იქნებოდა" (მაყაშვილი, 1997: 5).

რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩვენი ქვეყნის მიმართ გატარებული კოლონიური პოლიტიკის ამგვარი შეფასება მ. მაყაშვილის „დღიურში“ იმდენად დიდ მასშტაბსაც კი იძენს, რომ რუს ხალხს იგი „ღმერთისგან დაწყევლილ“ ერადაც მიიჩნევდა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით განპირობებული სიხარულის გამოხატვის დროს მარო მაყაშვილი ემოციური აღტკინებით უსვამდა ხაზს იმ გარემოებას, რომ ერეკლე მეორის დროიდან ჩვენს ქვეყანას დაპატრონებული „ორთავა არწივი მოკლულ იქნა, მისი კლანჭები უკვე აღარ გვაშინებდა და ჩვენი ქვეყანა აღსდგა“ (მაყაშვილი, 1997: 55).

მარო მაყაშვილის ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის წარმოჩენის დროს რამდენიმე სიტყვა იმ დამოკიდებულების შესახებაც მინდა ვთქვა, რითაც იგი ჩვენი ქვეყნისადმი ევროპის დიდი სახელმწიფოების მიერ იმხანად გატარებულ პოლიტიკას აფასებდა. ამ პოლიტიკისადმი მკვეთრად ნეგატიური მისი დამოკიდებულების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს პირველ ყოვლისა იმის შიში წარმოადგენდა, საქართველოს ბედით მათ ამგვარ დაინტერესებას ვაითუ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაკარგვა მოჰყოლოდა შედეგად.

როგორც მ. მაყაშვილის „დღიურიდან“ თვალნათლივ ჩანს, მიუხედავად ევროპული სულიერი კულტურისადმი, საერთოდ, ევროპული სამყაროსადმი, გამოვლენილი უდიდესი ინტერესისა, სწორედ აღნიშნული ფაქტორიდან გამომდინარე აძლევდა იგი ხაზგასმულად უარყოფით შეფასებას ევროპის დიდი სახელმწიფოების მიერ ჩვენი ქვეყნის მიმართ იმხანად გატარებულ პოლიტიკას.

ნათქვამისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტებს ავტორისეული ჩანაწერებიდან. 1918 წლის 20 მაისი: „დღეს დაგვიდგა უბედური დღე: დღეს შემოვიდა გერმანელის ჯარი და ქართველები ე. ი. ჯარი სიმღერით დაუხვდა. ჩვენც წავედით სანახავად. რა სურათი წარმოგვიდგა თვალწინ: ჩასუქებული, ჩასხმული, მხარბეჭიანი გერმანელები ხიშტებით ხელში შუა ქუჩაში იდგნენ რიგ-რიგად და ხალხი მათ შემოხვეოდა. მათ ისეთი შეხედულება ჰქონდათ, თითქოს უნდა ადამიანი შუაზე გაეგლიჯათ - წარბშეხრილნი და გამგელებულნი... მე ისეთი გრძნობა მქონდა, ვითომ ვიღაცა მახლობელს ასაფლავებდნენ. მღეროდნენ ქართველები, მაგრამ გულში რა ჰქონდათ? სევდა და დაღონება. მოვიშორეთ ერთი ბატონი, მონობისგან გავთავისუფლდით, ეხლა კი ახ-

ალი უღელი დავიდგით. ღმერთო, მამაზეციერო, რა დაგიშვა პატარა ერმა, რომ მთელ ჯავრს ჩვენზე იყრი“ (მაყაშვილი, 1997: 6).

1918 წლის 18 ნოემბერი: „თბილისიდან მიდიან გერმანელი ჯარისკაცები. მათ სამაგიეროდ ინგლისელების და ფრანგების მისია ჩამოვიდა. საქართველოს დამოუკიდებლობა პრინციპში მიიღეს. გერმანელები რომ მიდიოდნენ, თურმე უთქვამთ, ჩვენ არასოდეს თავს არ დაგანებებთო გაჭირვების დროს“ (მაყაშვილი, 1997: 28).

1919 წლის 23 მარტი: „ამ დღეებში ფრანგების მისიაც ჩამოვა. რამდენი სტუმარი მოდის, რამდენი და ნეტა როგორები არიან? რა მიზანი აქვთ, ერთმა ღმერთმა იცის. ღმერთო, გეხვეწები, რომ ეს მიზანი ჩვენთვის კარგი იყოს და არა ბოროტი. ყველა აქეთკენ მოისწრაფვის, ნეტა რა დარჩენიათ აქ!“ (მაყაშვილი, 1997: 47).

1919 წლის 24 მაისი: „მე წინა რვეულებში ვწერდი, მოვიდნენ მეთქი გერმანელები, მერე ინგლისელები, ეხლა კიდევ იტალიელები არიან ჩვენთან. ამერიკელებით აივსო თბილისი... ბოლოს და ბოლოს ვის ჩავუვარდებით ხელში, არ ვიცი“ (მაყაშვილი, 1997: 48).

როგორც დამოწმებული ფრაგმენტებიდანაც თვალნათლივ ჩანს, უცხო ქვეყნების მესვეურთა მიერ საქართველოს მიმართ გატარებული ძალადობრივი პოლიტიკისადმი მარო მაყაშვილის მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას არსებითად განაპირობებდა შიში იმისა, ამ მოვლენის ჩვენს ქვეყანას კვლავ რომ არ დაეკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მაგალითად, აი, რა შეფასებას აძლევდა იგი აღნიშნული თვალსაზრისით იმხანად არსებულ საშიშროებას 1919 წლის 13 აგვისტოს გაკეთებულ ჩანაწერში: „მუდამ ვწერდი ყოველ მოთხრობაში, ჩემ მოგონილში, ამირანმა აწყვიტა ჯაჭვი და საქართველო გაათავისუფლა მეთქი. ეს ილუზია იყო მარტო. თურმე იგივე ამირანი უფრო გაუწყვეტელ ჯაჭვებით არის შებოჭილი და მის გაწყვეტას დიდი, ძალიან დიდი ღონე უნდა. აგრე ადვილი არ ყოფილა თავისუფლების მიღება... მტრობა გაუთავებელია“ (მაყაშვილი, 1997: 60).

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი სიძლიერისთვის საფუძვლის გამომთხრელ სწორედ ასეთ მოვლენად მიიჩნევდა მარო მაყაშვილი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ თვეებში სომხეთის მიერ ჩვენი ქვეყნის მიმართ გატარებულ აგრესიულ პოლიტიკას, რომლის უმთავრეს მიზანსაც ქართული ტერიტორიების მისაკუთრება წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ამ აგრესიამ

იმხანად იმდენად დიდი მასშტაბებიც კი შეიძინა, რომ 1918 წლის დეკემბერში იგი საომარ ბატალიაშიც გადაიზარდა.

მარო მაყაშვილი მკვეთრად რადიკალიზებული ფორმით გამოხატავს უკიდურეს აღშფოთებას სომეხ ნაციონალისტთა ამგვარი ქმედების გამო და ამ ტრაგიკულ მოვლენას სომხეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ საომარი ბატალიის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, 1918 წლის 18 ნოემბერს, გაკეთებულ ჩანაწერში ასეთ შეფასებას აძლევდა: „ოხ! ამ სომხებზე რა ჯავრი მომდის. ეს ღმერთისაგან დაწყევლილი ხალხია... რამდენი სიკეთე გავუკეთეთ, რამდენი ლტოლვილი გადავურჩინეთ, მაინც უმადურ ხალხს ვერაფრით დააკმაყოფილებ“ (მაყაშვილი, 1997: 28).

ციტირებულ ფრაგმენტში მარო მაყაშვილის მიერ ესოდენი რადიკალიზმით გამოხატული ანტისომხური დამოკიდებულება მომენტალური ემოციის გამოვლინებას რომ არ წარმოადგენდა, ეს „დღიურის“ სხვა ეპიზოდებიდანაც თვალნათლივ ჩანს. ამ დამოკიდებულებამ განსაკუთრებით დიდ მასშტაბები სომხების მიერ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ საომარი ბატალიების მიმდინარეობის დროს შეიძინა.

მაგალითად, აი, რა ჩანაწერი გაუკეთებია მწერალს ამ ტრაგიკულ მოვლენასთან დაკავშირებით ხსენებული ომის დაწყების პირველივე დღეს, 1918 წლის 17 დეკემბერს: „ამ დღეებში წყდება საქართველოს ბედ-იღბალი... სომხებმა გამოუცხადეს ომი! მერე ვის?.. ქართველებს... რამდენი სიკეთე უყავით. ათასობით ლტოლვილები, გლახები შიმშილს და სიკვდილს გადავარჩინეთ, მეზობლებათ და მეგობრებათ ვთვლიდით... რა ვიცოდით, რომ მათ გულში ეშმაკი ბუდობს... გუშინ ულტიმატუმი წარუდგინეს სომხის მთავრობამ ქართველებს. ახალქალაქი, ახალციხე, ჯავახეთი დაგვიცალეთო. თბილისი ნეიტრალურ ქალაქად გახადეთო. უნამუსოები... სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებთ და არავის დავანებებთ საყვარელ დედას - თბილისს“ (მაყაშვილი, 1997: 30).

დამოწმებული ფრაგმენტები გამონაკლისი არ არის და მსგავსი ემოციის გამომხატველი ჩანაწერები მარო მაყაშვილის „დღიურის“ სხვა ეპიზოდებშიც მრავლად გვხვდება. მის ამ ემოციას ამ შემთხვევაში მეტ სიმძაფრეს ის გარემოებაც სძენდა, რომ სომეხი ნაციონალისტების წინააღმდეგ გამართულ საომარ ბატალიებში მონაწილეობის მისაღებად 24 დეკემბერს მისი ძმაც გაემგზავრა საკუთარი სურვილით.

მარო მაყაშვილის ეროვნული მრწამსის ესოდენი ემოციით წარმომჩენ „დღიურებზე“ მსჯელობის ბოლოს რამდენიმე სიტყვა სოციალური ქსელებით გავრცელებულ იმ ლექსზეც მინდა ვთქვა, რომელიც, მკითხველთა გარკვეული ნაწილის აზრით, ასევე მარო მაყაშვილის მიერაა დაწერილი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა „აფხაზეთის ხმის“ მიერ ფეისბუკით გავრცელებული რუსუდან ცირეკიძის წერილი. ქალბატონ რუსუდანის მტკიცებით, ხსენებული ლექსი, რომლის ავტორადაც დაღესტნელი პოეტი რასულ გამზატოვი იყო მიჩნეული, სინამდვილეში მარო მაყაშვილს ეკუთვნის და საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის დღეებში, 1921 წლის 12 თებერვალსაა დაწერილი. აი, ეს ლექსიც:

ჩემი ძმები და ამხანაგები,
ვინც შეიწირა ომმა წყეულმა,
ასე მგონია, რაღაც განგებით
თეთრ წეროებად გადაქცეულან...
წეროთა გუნდი ყივის და ყივის,
ისინი მართლა ჩემი ძმებია.
სადღაც გამქრალა მიჯრილი მწკრივი
და, ალბათ, ჩემი შესავსებია.

ქალბატონ რუსუდან ცირეკიძის ხაზგასმით, რასულ გამზატოვის დაწერილად მიჩნეული ამ ლექსის პოპულარობა არსებითად განაპირობა მის ტექსტზე შექმნილმა იმ სიმღერამ, რომელიც „წითელი საბჭოთა არმიის ჰიმნად იყო ქცეული“. ამ სიმღერამ მაშინ იმდენად დიდი პოპულარობა მოიპოვა, რომ წითელარმიელთა სიმბოლოდ ქცეულ წეროს „რამდენიმე ქალაქში ქანდაკებებიც კი დაუდგეს.“

როგორც უკვე ითქვა, რ. ცირეკიძის მტკიცებით, ხსენებული მუსიკალური მელოდიის ტექსტი, რომელიც ქართულად შოთა ნიშნიანიძემ თარგმნა, სინამდვილეში მარო მაყაშვილს ეკუთვნის და იგი რასულ გამზატოვის მიერაა თარგმნილი რუსულად. ნათქვამისათვის მეტი სიცხადის დასტურად იგი იქვე შოთა ნიშნიანიძის ხსენებულ თარგმანსაც გვთავაზობს, სადაც სიტყვიერი სიზუსტით მეორდება მარო მაყაშვილის ქმნილებად მიჩნეული პოეტური ტექსტის სტრიქონები:

ჩვენი ძმები და ამხანაგები,
რომ შეიწირა ომმა წყეულმა,
ასე მგონია, რაღაც განგებით

თეთრ წეროებად გადაქცეულან.
წეროთა გუნდი ყივის და ყივის,
ისინი მართლა ჩვენი ძმებია,
სადღაც გამქრალა მიჯრილი მწკრივი
და, ალბათ, ჩემი შესავსებია.

ჩემი აზრით, იმისათვის, რომ რ. ცირეკიძის მიერ გამოთქმულმა ამ მოსაზრებამ დამაჯერებლობა შეიძინოს, აუცილებელია, დოკუმენტური სიცხადით გაეცეს პასუხი შემდეგ კითხვებს:

1. რით მტკიცდება, რომ ხსენებული ლექსი ნამდვილად მარო მაყაშვილს ეკუთვნის და სად, როდის და როგორ იქნა იგი მოძიებული? არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ აღნიშნული ლექსი პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით იმდენად სრულყოფილ ნაწარმოებს წარმოადგენს, რომ მას სულაც ვერ მივიჩნევთ ახალბედა ავტორის მიერ დაწერილ ქმნილებად. მით უფრო, რომ მარო მაყაშვილის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან დღესდღეობით ჩვენთვის ცნობილ ტექსტებში დასახელებული ლექსის გარდა სხვა პოეტური ქმნილება არ გვხვდება.

2. ვინ გადასცა რასულ გამზატოვს ხსენებული ლექსის ბწკარედული თარგმანი და ვინ იყო ამ ტექსტის ავტორად დასახელებული? მარო მაყაშვილის ნაწერები ხომ პირველად მხოლოდ პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოქვეყნდა და, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს ლექსი მისი ავტორობის დაფიქსირებით დღემდე არაა დაბეჭდილი. აქედან გამომდინარე, თუ ეს ლექსი მართლაც მარო მაყაშვილისაა, უსათუოდ უნდა გაირკვეს, ვინ და სად შეძლო მისი მოპოვება მაშინ და რატომ მიაწოდა იგი რასულ გამზატოვს სათარგმნელად?

3. რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ შოთა ნიშნიანიძე ისეთი სიტყვიერი სიზუსტით იმეორებს მარო მაყაშვილის ლექსად მიჩნეული ტექსტის სტრიქონებს, რომ მისი ამგვარი ქმედება ფაქტობრივად პოეტურ ქურდობადაც შეიძლება მივიჩნიოთ. თუ ასეთი რამ შოთა ნიშნიანიძემ საბჭოთა პერიოდში იმის გამო გააკეთა, რომ მაშინ მარო მაყაშვილის სახელის ხსენებას ფაქტობრივად ტაბუ ჰქონდა დადებული, მერე ვიღა უშლიდა ხელს, სიმართლე რომ გაემჟღავნებინა?

„აფხაზეთის ხმის“ საიტზე გამოქვეყნებულ რუსულან ცირეკიძის წერილს საკმაოდ დიდი რეზონანსი მოჰყვა და არაერთი პირი გამოეხმაურა სოციალური ქსელის მეშვეობით. ამ გამოხმაურებათა

შემაჯამებელ კომენტარში რედაქციამ სავსებით მართებულად აღნიშნა: „რუსუდან ცირეკიძის წერილში გამოქვეყნებული ვარაუდი ლექსის ქართული ვარიანტის მარო მაყაშვილისათვის მიკუთვნების შესახებ დადასტურებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდება ხელნაწერის ფოტოასლი, რომლის მოძიებასაც, მისი არსებობის შემთხვევაში, როგორც რედაქცია, ასევე წერილის ავტორი რუსუდან ცირეკიძე შეეცდებიან.“

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მარო მაყაშვილის „დღიური“ ახალბედა ავტორის მიერ შექმნილი ერთადერთი ნაწარმოებია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ ტექსტს მხატვრულად სრულყოფილ ქმნილებად ვერ მივიჩნევთ, მისი ცალკეული ეპიზოდები მაინც ქმნის საკმაოდ მყარ საფუძველს იმის სათქმელად, „დღიურის“ ავტორის სახით ქართულ მწერლობას სამომავლოდ უსათუოდ რომ შეემატებოდა დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობების მქონე მწერალი.

სტამბოლის ქართული სავანის სტამბა-გამომცემლობის ქართული გამოცემანი 1917-1921 წლებში

სტამბოლის ქართული სავანის გადაქცევას ქართული კულტურისა და მწიგნობრობის ერთ-ერთ მძლავრ უცხოურ კერად პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ 1870 წელს იქ ქართული სტამბისა და გამომცემლობის დაარსებამაც მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი. მას, როგორც ამ საქმის ინიციატორს, აღნიშნული სტამბის გახსნამდე საამისო გამოცდილება უკვე ჰქონდა შეძენილი ვენეციაში მღვდელმსახურების პერიოდში. იქ იგი არა მარტო უბრალოდ დაინტერესდა საგამომცემლო საქმის შესწავლით, არამედ მესტამბეებს ქართული შრიფტებიც ჩამოასხმევინა და 1855 წლიდან ქართული წიგნების ბეჭდვასაც მიჰყო ხელი.

კერძოდ, პ. ხარისჭირაშვილის ინიციატივითა და დაფინანსებით სწორედ ვენეციაში არის დაბეჭდილი ისეთი ქართული წიგნები, როგორებიცაა: "ისტორია გინა მოთხრობა სამღთო წერილისა ძველისა და ახალის აღთქმათა" (1858 წ.), "წმინდანების ცხოვრება" (1859 წ. შედგენილი არქიმანდრიტ ლუკა ინჯიჯიანის მიერ), "იგავნი იეზებოს ფილასოფოზისანი თარგმნილი და გამოცემული ქართულსა ენასა ზედა სასარგებლოდ ივერიისა" (1859 წ. წიგნი პირველი), "შემოკლებული სწავლა ყოვლად საჭირო უწინარეს ყოველთა სწავლათა" (1860 წ.)...

სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობით პ. ხარისჭირაშვილის ამგვარმა დაინტერესებამ კიდევ უფრო დიდი მასშტაბები შეიძინა სტამბოლში მისი მოღვაწეობის პერიოდში. ამ საქმის პრაქტიკულ განხორციელებას წინ უძღოდა მეტად რთული და შრომატევადი სამუშაოს შესრულება. კერძოდ, "ჩამოასხმევინა სრულიად ახალი ყალიბები, ვენეციის ასოს მინაგვარათ, მაგრამ საკმარისათ თავის ხასიათის მექონი, შეიძინა ყოველივე იარაღი სტამბისა... ვენეციიდამაც აქ გადმოიტანა ქართული ასოები, რადგანაც იქ მან მოუხერხებლად დაინახა ქართული წიგნების ბეჭდვა, ვენეციიდამ ამან ქართული ასოები სულ გადმოიტანა, ისე რომ იქ აღარაფერი დასტოვა... სტამბაში მუშაობა დააწყებინა თავისავე მოსწავლეებს და ძმებს" (ჭიჭინაძე, 1916: 65).

როგორც შ. ლომსაძემ ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით გაარკვია, პ. ხარისჭირაშვილს საგამომცემლო საქმე იმდენად მაღალ დონეზე ჰქონია მოწესრიგებული, რომ გამოსაცემი წიგნების ავტორებსა და მთარგმნელებს ჰონორარსაც კი აძლევდა (ხარისჭირაშვილის გამოთქმით, "შეთხზვის ხარჯსა" და "თარგმნის ხარჯს"). ამასთან დაკავშირებით უაღრესად საინტერესოა ქვემოთ დამოწებული ის წერილი, რომელიც ივანე გვარამაძისათვის გაუგზანია მას 1877 წელს: "მიახლებია თქვენთვის 25 მანეთი. აქედან 5 მანეთი დაიჭირეთ წ-ა ესტატის ლექსებისათვისა, 10 მანეთი წ-ა ეგნატის რვა დღის წურთვისათვის და 10 მანეთი როტორველის წიგნისათვის, რომელიც უნდა დასთარგმნოთ" (ლომსაძე, 1984: 155).

ზემოთ ხსენებული საარქივო დოკუმენტებიდან ისიც ირკვევა, რომ გამოსაცემი მასალის შერჩევის დროს გამომცემელთა ერთი ნაწილი თეოლოგიური ხასიათის წიგნებთან ერთად განსაკუთრებულ დაინტერესებას ე. წ. "სახალხო წიგნებისადმიც" იჩენდა, კერძოდ, სასწავლო და საყოფაცხოვრებო ხასიათის მქონე ისეთი წიგნებისადმი, რომლებიც მნიშვნელოვან პრაქტიკულ როლს შეასრულებდნენ ფართო მოსახლეობის განსწავლის საქმეში. ამ მიმართულებით საქმიანობის გააქტიურებას ისინი იმდენად მნიშვნელოვნადაც კი თვლიდნენ, რომ ამის გაკეთებას ზოგიერთი მათგანი თეოლოგიური ხასიათის წიგნების ბეჭდვაზე სასარგებლო საქმედაც მიიჩნევდა.

აი, რას წერს ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით სტამბოლის სტამბა-გამომცემლობის ერთ-ერთი თანამშრომელი პავლე კალაიჯიშვილი: "იმისათვის, რომ ქართულს ენაზედ მოლაპარაკე კათოლიკები ძალიან ცოტანი არიან და მათგანაც ხუთი წილი უსწავლელია და ღარიბი", გამომცელობას თეოლოგიური ხასიათის წიგნების გამოცემა უნდა შეემცირებინა და უფრო მეტად "სახალხო წიგნები" დაებეჭდა. პ. კალაიჯიშვილის თქმით, "საქართველოს იმ დროში" პირველ ყოვლისა სწორედ ასეთი წიგნები "უფრო სჭირდებოდა," ისეთი წიგნები, როგორებიცაა: "ქართული გრამატიკა, მაგრამ ახალი ენისა, მოკლე ისტორია საქართველოსი, მოკლე გეოგრაფია საქართველოსი, თუ შეიძლება კარტებიც, საღმთო ისტორია მოკლე, სათემო ისტორია მოკლე და მისი გეოგრაფია, საქრისტიანო მოძღვრება მოკლე განაკვეთი და არა ასრე ყრუ. ბუნებითი საგნების განმარტება, რაც კაცს გარეშე არტყია, ესე იგი მოკლე წიგნებით და

ცალ-ცალკე: ბოტანიკა, ასტრონომია, ზოოლოგია, ხიმია, ფიზიკა და გეოლოგია" (ლომსაძე, 1984: 157).

როგორც სტამბოლში დაბეჭდილი წიგნების ჩვენთვის ცნობილი ჩამონათვალითაც დასტურდება, ჰ. კალაიჯიშვილის ეს სურვილი სურვილად არ დარჩენილა და ხსენებულ გამომცემლობას ზემოთ აღნიშნული "სახალხო წიგნებიც" საკმაო რაოდენობით აქვს გამოცემული.

გარდა ქართველი მოსახლეობის ფართო ფენებისათვის განკუთვნილი ამგვარი "სახალხო წიგნებისა", სტამბოლის სტამბა-გამომცემლობა დროდადრო ქრისტიანული ეკლესიის წმინდანთა და ქართველ მეფეთა სურათებსაც ბეჭდავდა და ავრცელებდა მოსახლეობაში. მაგალითად, 1875 წელს გამომცემლობის მესვეურებს თამარ მეფის ფერადი სურათი გამოუციათ რამდენიმე ათასიანი ტირაჟით.

მოყოლებული 1870 წლიდან მეოცე საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებამდე სტამბოლის ქართულ სტამბაში ათეულობით ქართული წიგნი დაიბეჭდა. თემატურად ეს წიგნები პირობითად ოთხ ჯგუფად შეიძლება დავყოთ. ესენია:

პირველი, სასულიერო ხასიათის გამოცემები. ამგვარი შინაარსის წიგნებს სტამბოლის გამომცემლობა ძირითადად XIX საუკუნის 90-იან წლებამდე სცემდა.

მეორე, სასწავლო და ზოგადსაგანმანათლებლო წიგნები. გამომცემლობა განსაკუთრებულ აქტიურობას ამ მიმართულებით XIX საუკუნის 70-80-იან წლებში იჩენდა.

მესამე, მხატვრული, ისტორიული და საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებული პოლიტოლოგიური ხასიათის გამოცემები. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი შინაარსის წიგნები სტამბოლში XIX საუკუნეშიც დაიბეჭდა, ამ თვალსაზრისით იქაურ გამომცემელთა საქმიანობა XX საუკუნის ათიან და ოციან წლებში იმდენადაც კი გააქტიურდა, რომ მათი საქმიანობის უმთავრეს მიმართულებად იქცა.

კერძოდ, როგორც ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალებიდან ჩანს, სავანის გამომცემლობას ათიან წლებში რელიგიური შინაარსის მქონე არცერთი წიგნი არ გამოუცია და იგი ფაქტობრივად მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან და ეროვნულ პრობლემებთან დაკავშირებული პოლიტიკური ხასიათის მქონე წიგნების გამოცემით იყო დაკავებული.

შუშანა ფუტკარაძის აზრით, გარდა წიგნებისა, მონასტრის სტამბაში 1913-1914 წლებში ქართული ემიგრანტული ჟურნალი "თავისუფალი საქართველოც" იბეჭდებოდა, რომლის სულისჩამდგმელნი იყვნენ სამშობლოსათვის თავდადებული ქართველები: მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი, მელიტონ ქარცივაძე, ლეო კერესელიძე და სხვები (ფუტკარაძე, 2012: 23).

თუმცა გურამ შარაძე ფიქრობს, რომ პეტრე სურგულაძისა და ლეო და გიორგი კერესელიძეების რედაქტორობით გამომავალი ეს ჟურნალი, რომელიც ქართველ "სეპარატისტთა ჯგუფის" ანუ "საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" ორგანის წარმოადგენდა, არა სტამბოლში, არამედ ჟენევაში გამოდიოდა. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ დღესდღეობით ხსენებული ჟურნალის მხოლოდ ერთადერთი, მეოთხე, ნომერია მიკვლეული და მასზე გამოცემის ადგილი მითითებული არ არის, ეს საკითხი სამომავლოდაა დასაზუსტებელი.

ამავე სახელწოდების ჟურნალი 1921-1922 წლებში საქართველოდან ემიგრირებული მთავრობის წევრებმაც გამოსცეს (სულ გამოვიდა 27 ნომერი). კონსპირაციის მიზნით, ჟურნალში არც გამოცემის ადგილია მითითებული, არც სტამბა და არც რედაქტორი. "თავისუფალი საქართველოს" გამოცემის ადგილთან დაკავშირებით გურამ შარაძე წერს: "თავდაპირველად ვფიქრობდით, რომ იგი სტამბოლში გამოდიოდა, მაგრამ უკანასკნელ ხანს ჩვენი ვარაუდი მაინც პარიზზე შეჩერდა; ან შეიძლებოდა მეორენაირადაც გვეფიქრა: თავდაპირველად "თავისუფალი საქართველოს" გამოცემა ჩვენს პოლიტიკურ ემიგრაციას სტამბოლში დაეწყო, ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნული მთავრობა სტამბოლიდან პარიზში გადავიდა მუდმივ საცხოვრებლად, "თავისუფალი საქართველოს" გამოცემაც იქ გადაეტანა" (შარაძე, 2001: 170).

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ სტამბოლელ გამომცემელთა საქმიანობაში მომხდარი ზემოთ აღნიშნული ამგვარი მკვეთრი გარდატეხა იმ პოლიტიკური მოვლენებით იყო განპირობებული, რომელთაც არსებითი როლი შეასრულეს იმდროინდელი საქართველოს ისტორიაში.

თუმცა ასეთი ეროვნულ-პოლიტიკური აქტიურობა ქართული სავანის მღვდელმსახურებისა და გამომცემლობის მუშაკთათვის არც მანამდე რომ არ ყოფილა უცხო მოვლენა, ეს თუნდაც იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ სტამბოლის სტამბა-გამომოცემლობამ 1882

წელს გამოცემული წიგნით – "მზა პასუხი სომხურ გაზეთ "მშაკის" შესახებ მის, რომ ქართველებს არა აქვთ მდიდარი წარსული, მოქალაქეობა, ისტორია, მწერლობა, დამოუკიდებელი ეკლესია და სხვანი" მკაცრად ამხილა საქართველოსა და ქართველი ერისადმი მტრულად განწყობილ სომეხ ავტორთა ცილისმწამებლური გამოხდომანი.

და ბოლოს, სტამბოლის სტამბა-გამომცემლობის თანამშრომელთა საქმიანობის მეოთხე მიმართულებას უცხოური მხატვრული ლიტერატურის ცალკეულ ნიმუშთა და საქართველოსთან დაკავშირებით უცხოელ ავტორთა მიერ დაწერილი წიგნების ქართული თარგმანების გამოცემაც წარმოადგენდა.

სტამბოლში გამოცემულ ქართულ წიგნებზე საუბრის დროს ასევე ცალკე, საგანგებოდ, მინდა მოვიხსენიო 1914 წელს დასტამბული სახელმძღვანელო "პატარა ქართული ანბანი, შედგენილი და გამოცემული ოსმალოს ქართველთათვის."

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სტამბოლში გამოცემული წიგნების ავტორთა უმეტესობა ან ამ ქალაქს დროებით თავშეფარებული ქართველი იყო, ანდა ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ჩვენი გაემიგრანტებული თანამემამულე.

როგორც იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული წერილებიდან ჩანს, ქართველი საზოგადოება საკუთრივ საქართველოშიც ინტერესით ადევნებდა თვალს სტამბოლში ქართული წიგნების გამოცემის პროცესს. მაგალითად, გაზეთი "დროება" 1880 წლის 180-ე ნომერში წერდა: "ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში სტამბოლით იქაურ ქართველ-ფრანგების (როგორც ცნობილია, ქართველ კათოლიკეებს, ჩვეულებრივ, ფრანგების სახელით მოიხსენიებდნენ ხოლმე – ა. ნ.) პატრებისაგან გამოცემული "მოკლე რიტორიკა გინა მჭევრმეტყველება, სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილთა კაცთა". კონსტანტინოპოლს, ანტუან გვიზელიანის სტამბაში.

ეს პატარა წიგნი შესანიშნავად არის გამოცემული, კარგის, ადვილად საკითხავის ასოებით დაბეჭდილი."

იმ სასულიერო პირთაგან, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შეტანილი სტამბოლის ქართული სტამბის რეალურად ფუნქციონირების საქმეში, გარდა პეტრე ხარისჭირაშვილისა, ასევე უნდა გავიხსენოთ კონსტანტინეპოლის მონასტერში მოღვაწე ქართველი ღვთისმსახურები: ალექსანდრე მირაქოვი, ათანასე ნასყიდოვი, ალფონს ხითარიშვილი, შალვა ვარდიძე და სხვები. როგორც სტამ-

ბოლში გამოცემული ქართული წიგნების თავფურცელზეც ხშირადაა ხოლმე მითითებული, XIX საუკუნის 70-80-იან წლებში სავანის სასტამბო-საგამომცემლო საქმეს სათავეში ედგა ანთუან გვაზალიანი (იგივე ანტონ გოზალიშვილი).

სტამბაში ასოთამწყობებად და სხვა პრაქტიკული საქმეების შემსრულებლებად ძირითადად ეკლესიასთან არსებული სასწავლებლების მოსწავლეები მუშაობდნენ. თავიდან მათ იქვე ასწავლიდნენ ხელობას, შემდეგ კი უშუალოდ რთავდნენ მუშაობის პროცესში. იმის გამო, რომ ხსენებულ სტამბაში დროდადრო არაქართულენოვანი წიგნებიც იბეჭდებოდა, შეგირდები უცხო ენებზე ბეჭდვაშიც ხელოვნებოდნენ.

სტამბოლში გამოცემული წიგნები იმდენად პოპულარულიც კი ყოფილა, რომ მათი შეძენით მარტო ქართველები კი არ ყოფილან დაინტერესებული, არამედ უცხოელებიც. ამის დასტურად ზ. ჭიჭინაძეს ცნობილი ფრანგი ქართველოლოგი მარი ბროსე მოჰყავს, რომელიც 1877 წელს მისთვის საგანგებოდ გაგზავნილ წერილში ქართველ მწიგნობარს "დიდის მუდარებით" თხოვდა, დახმარებოდა მას კონსტანტინეპოლში დაბეჭდილი წიგნების შოვნაში.

ქართული წიგნის სტამბოლელი გამომცემელნი და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. პეტრე სურგულაძის წიგნები.

რუსეთის იმპერიაში 1917 წლის თებერვალში მომხდარი რევოლუციის შემდეგ, რასაც შედეგად ამ იმპერიის დანგრევა მოჰყვა, სტამბოლელ გამომცემელთა საქმიანობაში აღმავლობის ახალი, დიდმნიშვნელოვანი ეტაპი დგება. როგორც ამ გამომცემლობის მიერ იმხანად დასტამბული წიგნების თუნდაც მხოლოდ სათაურების გახსენებითაც დასტურდება, სტამბოლელ გამომცემელთა იმჟამინდელი საქმიანობის თითქმის ერთადერთ მიმართულებად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებული წიგნების გამოცემა იქცა. ეს წიგნებია: პეტრე სურგულაძისა: 1. საქართველო თავისუფლებისაკენ, 1917 წ. 2. საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, 1918 წ. 3. დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა, 1918 წ. აგრეთვე – პავლე ინგოროყვას საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, 1918 წ.

გარდა იმისა, რომ დასახელებულ წიგნებში უაღრესად საინტერესოდაა დასმული და გაანალიზებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებული ბევრი იმდროინდელი უმწვავესი პრობლემა, მათ განსაკუთრებული ყურადღება იმ თვალსაზრისითაც უნდა მივაქციოთ, რომ მათი გამოცემით სტამბოლის ქართული სავანის მღვდელ-მსახურნიც წარმოაჩენდნენ თავიანთ ეროვნულ-პატრიოტულ სულისკვეთებას თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ ცხადად და აშკარად.

სამწუხაროდ, სტამბოლის გამომცემლობა წიგნების გამოცემას სტაბილურად ვერ ახერხებდა და გარკვეული პერიოდების განმავლობაში იგი უფუნქციოდ იყო დარჩენილი. მაგალითად, სწორედ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ იქაური გამომცემელნი 1919-1920 წლებში, როცა სტამბოლის ქართველთა კათოლიკე სავანის საბეჭდავს (იქაური გამომცემელნი სწორედ ამ სახელით მოიხსენიებდნენ ხოლმე თავიანთ გამომცემლობას) არცერთი წიგნი აღარ გამოუცია.

სტამბოლში საგამომცემლო საქმიანობის განახლება 1921 წლიდან იწყება და 1924 წლის ბოლომდე გრძელდება. ეს მოვლენა არსებითად აღმოჩნდა დაკავშირებული რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციასთან და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დამხობასთან. აღნიშნულ პერიოდში გამოცემული თითქმის ყველა წიგნი უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ ტრაგიკულ მოვლენასთან იყო დაკავშირებული.

სტამბოლში გამოცემული არასასულიერო ხასიათის წიგნების ავტორთა უმეტესობას ან ამ ქალაქს დროებით თავშეფარებული პოლიტიკური ემიგრანტები წარმოადგენდნენ, ანდა ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები. ერთადერთი წიგნის ავტორი კი არაემიგრანტიც იყო – სტამბოლში იმხანად ხანმოკლე პოლიტიკურ-დიპლომატიური მისიით მყოფი პავლე ინგოროყვა.

განსხვავებით ხსენებული წიგნების ავტორებისაგან, პეტრე სურგულაძე ერთადერთია, ვინც სტამბოლში არა მარტო თავისი ემიგრანტული ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა, არამედ იქვე გარდაიცვალა კიდეც 1931 წელს.

1917-1918 წლებში პ. სურგულაძის შემოქმედებითი გააქტიურება და მის მიერ ზემოთ უკვე მოხსენიებული სამი წიგნის გამოცემა შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა და პირდაპირ იყო დაკავშირებული საქართველოში იმხანად განვითარებულ მოვლენებთან. როგორც მისი ბიოგრაფიიდანაა ცნობილი, 1900-იანი წლებიდან მოყოლებული, იგი ძალზე აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის პროცესში და თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში.

იმისათვის, რომ მკითხველს უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნეს პ. სურგულაძის ზემოთ ნახსენები წიგნების დაწერის განმსაზღვრელ საფუძვლად ქცეულ გარემოებებზე, მოკლედ გავიხსენებ უმთავრეს მომენტებს მისი მოღვაწეობიდან.

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის აქტიური ბრძოლა პ. სურგულაძემ 1909-1910 წლებში "საქართველოს დამოუკიდებლობის ჯგუფში" წევრად ყოფნის დროს დაიწყო. კალისტრატე სალიას ინფორმაციით ("ბედი ქართლისა," 1962, №39-40), ხსენებულ ჯგუფში, რომელიც ძირითადად ჟურნალ "ერის" ირგვლივ იყო შემოკრებილი, პ. სურგულაძესთან ერთად,

იმხანად მოღვაწე ქართველ მამულიშვილთა ისეთი ცნობილი წარმომადგენლებიც შედიოდნენ, როგორებიც იყვნენ: ფილიპე გოგიჩაიშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე, მიხეილ წერეთელი, გიორგი გვაზავა და სხვები.

ხელისუფლების მიერ მის მიმართ განხორციელებული დევნა-შევიწროებისაგან თავის დასახსნელად პ. სურგულაძე 1910 წელს ჟენევაში გადასახლდა, სადაც 1913 წელს ლეო და გიორგი კერესელიძეებთან ერთად "სეპარატისტთა ჯგუფი" დააარსა. 1913-1914 წლებში ეს ჯგუფი ხსენებულ პიროვნებათა რედაქტორობით იქვე ყოველთვიურ ჟურნალ "თავისუფალ საქართველოსაც" სცემდა ქართულ ენაზე.

როგორც პეტრე სურგულაძის მიერ სანდრო შანშიაშვილისა და გერონტი ქიქოძისათვის ჟენევიდან საქართველოში გამოგზავნილი პირადი წერილებით ირკვევა, აღნიშნული ჟურნალის გამოცემასთან დაკავშირებულ ტექნიკურ და ორგანიზაციულ საქმეთა მოსაგვარებლად უმთავრესი სამუშაო პირველ ყოვლის სწორედ მას შეუსრულებია. ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ ფრაგმენტს ერთერთი მათგანიდან: "ძვირფასო თანამემამულენო გერონტი და სანდრო!

თქვენთან ერთი დიდი სათხოვარი მაქვს. მე ერთ კაცთან მოლაპარაკება მაქვს და ვგონებ ცოტაოდენი თანხა ვიშოვო. მსურს მოვაწყო ჟენევაში ქართული ტიპოგრაფია. რასაკვირველია, მაშინის ყიდვას ვერ მოვახერხებთ, მაგრამ შევიძენთ ასოებს, აწყობას ისწავლის ორი-სამი კაცი და ამგვარად საშუალება მოგვეცემა ჩვენი აზრი ბეჭდვით გავავრცელოთ. აქაური წრე გულმოდგინეთ ეკიდება საქმეს, მაგრამ ჩვენ მაინც იმდენი ძალა არ შეგვწევს, რომ გავუძღვეთ ამდენ საქმეს," და თხოვდა მათ "აზრსა და რჩევას, გამოეცათ პატარა მოცულობის ჟურნალი თუ ერთდროული გამოცემა" (საითიძე, 2009: 81).

1913 წელს, ჟურნალ "თავისუფალი საქართველოს" პირველი ნომრის გამოცემის შემდეგ, პ. სურგულაძე სტამბოლში ჩავიდა, იქ არსებული ქართული კათოლიკური ეკლესიის ღვთისმსახურებს, ამ ეკლესიასთან პ. ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებული ქართული სტამბა-გამომცემლობის თანამშრომლებსა და თურქეთში მცხოვრებ მუსლიმან ქართველებს დაუკავშირდა და შეეცადა ამ გზით კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შეეძინა მისი საქმიანობისათვის.

მაგალითად, აი, რას წერდა იგი ამასთან დაკავშირებით ს. შანშიაშვილს: "მმაო სანდრო!

მე უკვე კონსტანტინეპოლში ვარ... მსურს პატარა წრეს თავი მოვუყარო. მაჰმადიან ქართველებში ცოტა აზრი დავატრიალო, ერთი სამკითხველო გავხსნა, რათა საერთო ბინა გავიჩინოთ. არ ვიცი, შევძლებ რამე მოვახერხო თუ არა" (საითიძე, 2009: 83).

როგორც მეგობრისთვის შემდგომში გამოგზავნილი წერილებიდან ირკვევა, პ. სურგულაძეს მართლაც გადაუდგამს პრაქტიკული ნაბიჯები ზემოთ აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად. მაგალითად: "კათოლიკე ბერებს გამოვაწერიე სტამბა. ასე რომ, მოკლე დროში აქ გაჩაღდეს ქართული წიგნების ბეჭდვა. ვაპირებ ერთი ბიბლიოთეკა მაინც გავხსნა... სამუშაო აქ ბევრია, მაგრამ არც ხალხია და არც ფული" (საითიძე, 2009: 84).

1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყების დროს, "სეპარატისტთა ჯგუფი" "საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტად" გადაკეთდა, მისი შემადგენლობა ემიგრაციაში მყოფი ქართველი მამულიშვილებით კიდევ უფრო გაფართოვდა, ჟენევიდან ბერლინში გადავიდა, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კავშირ-ურთიერთობა დაამყარა და განახლებული ძალით განაგრძო საქმიანობა დასახული მიზნის მისაღწევად.

კერძოდ, კ. სალიას ინფორმაციით, "აქ იქმნა დადებული ერთნაირი ხელშეკრულება გერმანიის მთავრობასა და ქართულ კომიტეტს შორის, სადაც იყო დაპირება გერმანიის მთავრობის მიერ საქართველოს სუვერენობის ცნობისა, თუ გერმანია გაიმარჯვებდა, საქართველოს მიეცემოდა შესაძლებლობა დამოუკიდებლობის გამოცხადებისა" (შარაძე, 2001: 69).

გერმანიის მთავრობასთან ხსენებული ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ "დამოუკიდებლობის კომიტეტის" წევრები სტამბოლში გაემგზავრნენ და გერმანელ დიპლომატთა დახმარებით წარმატებით გამართეს მოლაპარაკება ოსმალეთის ხელისუფლებასთან ამ ქვეყნის ტერიტორიაზე ქართული ლეგიონის ჩამოსაყალიბებლად. ხსენებული სახელმწიფოების ხელისუფალთა მხარდაჭერით წაქეზებულმა ქართველმა პატრიოტებმა კიდევ უფრო გააქტიურეს ბრძოლა რუსეთის ბატონობისაგან ჩვენი ქვეყნის განსათავისუფლებლად და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად.

ყველაფერს ამას აქ იმიტომაც ვაქცევ ესოდენ განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ პ. სურგულაძე ამ პროცესების უბრალო მონაწი-

ლე კი არ იყო, არამედ როგორც ხსენებულ ორგანიზაციათა თავმჯდომარე, მოვლენათა უშუალოდ წარმმართველის როლშიც ხშირად გამოდიოდა ხოლმე. მისი ერთ-ერთი თანამებრძოლის – ლეო კერესელიძის შეფასებით, "ალექსანდრე ბატონიშვილის შემდეგ პირველმა სწორედ მან ააფრიალა თავისუფლების დროშა და სამშობლოსთვის საჭურველით ხელში იბრძოლა. პეტრე იყო ხელმძღვანელი ამ ბრძოლისა" (შარაძე, 2001: 564).

1917-1918 წლებში, როცა რუსეთის იმპერიის ნანგრევებად ქცევამ და პირველი მსოფლიო ომის შედეგად მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა რეალური საფუძველი შექმნეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდასგენად, სტამბოლში გამოცემული თავისი წიგნებით პ. სურგულაძე შეეცადა მყარი პოლიტიკურ-იდეოლოგიური საფუძველი მოემზადებინა ქართველი ხალხის ამ უდიდესი ეროვნული ოცნების ხორცშესხმისათვის.

სწორედ ამ მიზნით დაწერა და გამოსცა მან 1917 წელს სტამბოლში თავისი პირველი წიგნი "საქართველო თავისუფლებისაკენ," რომელშიც ჩვენს ქვეყანაში რუსეთის ბატონობის დროინდელი ისტორიის უმთავრესი მომენტებისა და რუსული მმართველობის ანტიქართული პოლიტიკის ნეგატიური მხარეების წარმოჩენის საფუძველზე ცადა ეჩვენებინა ქართველი ერის დაუოკებელი სწრაფვა რუსული კოლონიალიზმის კირთებისაგან განთავისუფლებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ.

ხსენებული პერიოდის ჩვენი ისტორიიდან მკითხველისათვის ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესო ეპიზოდების კიდევ ერთხელ შეხსენების საფუძველზე პ. სურგულაძე საბოლოოდ დაასკვნის: "ქართველი ერის უცილობელი ისტორიული და ბუნებრივი უფლებანი დამოუკიდებელ არსებობისა, მდიდარი ისტორიული წარსული, საკმაოდ მდიდარი და განვითარებული დღევანდელი ეკონომიური ცხოვრება და სულიერი კულტურა, შეუჩერებელი და დაუზოგველი ბრძოლა არსებობისათვის, აურაცხელი მსხვერპლი ქართველ ერის მიერ ეროვნული თავისუფლების საკურთხეველზე შეწირული საკმაო თავდებია იმისა, რომ ქართველმა ერმა აღიდგინოს ახლო მომავალში თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა და ამ აღდგენაში მას ხელი გაუწოდონ და დაეხმარონ როგორც მისი მეზობლები, აგრეთვე მოწინავე კაცობრი-

ობა, რომელიც დღეს საქვეყნოდ აღიარებს ერთა უფლებებს" (სურგულაძე, 1917: 21).

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აუცილებლობა და ამ ისტორიული მოვლენის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჩვენი ერისათვის პ. სურგულაძემ უფრო მასშტაბურად წარმოაჩინა 1918 წელს გამოცემულ თავის მეორე წიგნში "საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო." საქართველოს ისტორიაში არსებითი გარდატეხის მომხდენი ამ მოვლენის პოზიტიური მხარეების ნათელსაყოფად მან მეტი სიცხადითა და არგუმენტირებულობით წარმოაჩინა ის დიდმნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგები, რომელნიც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას მოჰყვებოდა.

კერძოდ, თუ რუსეთის კოლონიად ყოფნის პერიოდში ქართველ ერი იძულებული იყო კოლონიზატორი სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად ეღვარა სისხლი და გაეწირა შვილები, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ იგი პირველ ყოვლისა საკუთარ მიწა-წყალს დაიცავდა, "მთელი ხალხის ტანჯვის და უბედურების წყაროდ" ქცეულ რუსულ სამართალს უარყოფდა და ძველ ქართულ კანონმდებლობას აღიდგენდა, ქართველი ბავშვებისათვის "სატანჯველ ჯოჯოხეთად" გამხდარ რუსულ სკოლებს დახურავდ, სწავლას "სამშობლო ენაზე" შემოიღებდა და ეროვნულ ფასეულობათა ამგვარი დაცვითა და განმტკიცებით "ადვილად ამაღლდებოდა მოწინავე კაცობრიობის კულტურულ დონემდე."

თავის სტამბოლურ გამოცემებში პ. სურგულაძემ იმ პოზიტიურ შედეგებზე მსჯელობასაც დაუთმო დიდი ადგილი, რაც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საერთაშორისო მასშტაბითაც მოჰყვებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი მას არც ზემოთ მოხსენიებულ წიგნებში დაუტოვებია უყურადღებოდ, აღნიშნულ მოვლენას იგი სპეციალურადაც შეეხო 1918 წელს გამოცემული მესამე წიგნით – "დამოუკიდებელ საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა."

ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მნიშვნელობის განსაზღვრისა და მომავალი პოლიტიკური როლის განზოგადებულად შეფასების დროს პ. სურგულაძემ განსაკუთრებული ყურადღება პირველ ყოვლისა იმას მიაქცია, რომ "საქართველოს მეტად საყურადღებო ადგილი უჭირავს გეოგრაფიულ რუკაზე. უზარმაზარი კავკასიონის ქედი, რომელიც გადაჭიმულია შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე,

წარმოადგენს ბუნებრივ ზღუდეს, სადაც ჩრდილოეთიდან მოწოლილ ხალხთა ზღვა უნდა შეჩერდეს. მას აქვს მხოლოდ რავდენიმე გასასვლელი, რომელიც სულ ქართველთა ხელშია. ქართველებს დარიალის ხეობა ნებით რომ არ გაეხსნათ რუსებისათვის, ვინ იცის, ჩვენი ბედიც და ჩვენი ახლო მეზობლებისაც სხვანაირად დატრიალებულიყო" (სურგულაძე, დამოუკიდებელ საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა, 1918: 7).

ჩრდილოეთიდან მომდინარე მტრული აგრესიისაგან დაცვის თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ამგვარ შეფასებაში ისტორიული თვალსაზრისით გადაჭარბებული მართლაც არაფერი იყო და საქართველოს ბუნებრივად დამცავ ჯებირად ქცეული კავკასიონის ქედი საუკუნეების განმავლობაში ნამდვილად ასრულებდა ასეთ დიდმნიშვნელოვან როლს როგორც ქართული სახელმწიფოს, ისე მთელი რეგიონის უსაფრთხოების საქმეში.

ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მნიშვნელობის განსაზღვრის დროს იგივე უნდა ითქვას იმ შეფასებაზეც, რასაც პ. სურგულაძე აძლევს შავ ზღვას, როგორც გარესამყაროსთან არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი რეგიონის დამაკავშირებელ უმთავრეს სანაოსნო გზას.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო როლისა და მისიის განსაზღვრის დროს პ. სურგულაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა ერთი ნაწილი მათი გამოთქმის შემდგომდროინდელ მსოფლიოში განვითარებულმა გლობალურმა გეოპოლიტიკურმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს, მისი არაერთი დებულება კვლავაც უაღრესად აქტუალურია და სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ამჯერადაც მნიშვნელოვანი. მაგალითად, ავტორის მართებული პროგოზირებით, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და "ნამდვილი ეკონომიური მონობისგან გამოსვლის" შედეგად "ჩვენ პირდაპირ ევროპასთან დავიჭერდით ეკონომიურ ურთიერთობას, რითაც ჩვენც ძლიერ ვისარგებლებდით და სხვებსაც ვასარგებლებდით."

იგივე უნდა ითქვას ქართული სულიერი კულტურის ზოგადსაკაცობრიო როლთან და მნიშვნელობასთან დაკავშირებით გამოთქმულ შეხედულებაზეც. კერძოდ, პ. სურგულაძის შეფასებით, ოდითგანვე ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მცხოვრები ჩვენი ხალხის ეროვნული ცნობიერებისა და სულიერი კულტურის ჩამო-

ყალიბებაზე ამ ფაქტორმა არსებითად განმსაზღვრელი ზეგავლენა მოახდინა. მისი მტკიცებით, "ქართული კულტურის განვითარება რომ გავითვალისწინოთ, ადვილად დავინახავთ, რომ ორივე მხარეს გავლენა ჰქონდა ჩვენში. თუ საქართველომ ქრისტიანობა მიიღო ბიზანტიისაგან და ქრისტიანობასთან ერთად ევროპიული სოფლმხედველობა და ზნეობრივი შეხედულობა შეითვისა, მეორე მხრით მან ბევრი რამ გადმოიღო სპარსულ და არაბულ სიტყვა-კაზმულ შემოქმედებისგან... ჩვენ უნდა ვცნოთ, რომ ქართული შემოქმედება ვითარდებოდა ორგვარი ცივილიზაციის გავლენით, ევროპის და აღმოსავლეთის" (სურგულაძე, დამოუკიდებელ საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა, 1918: 14).

მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის არნახული განვითარების შედეგად მსოფლიოში, მათ შორის ჩვენს რეგიონშიც, ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით ბევრი რამ შეიცვალა არსებითად და რადიკალურად, როგორც დამოწმებული მაგალითებითაც ნათლად ჩანს, საქართველოს საერთაშორისო პოლიტიკურ როლთან და ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით პ. სურგულაძის მიერ გამოთქმული არაერთი მოსაზრება კვლავაც აქტუალურია და სახელმწიფოებრივად აშკარად ანგარიშგასაწევი.

სტამბოლის ქართული სავანის მიერ გამოცემული თარგმნილი წიგნები:

ა) ევგენი დალეჯიო დ'ალესიო – „ქართველები კონსტანტინეპოლში"

გარდა ორიგინალური წიგნებისა, სტამბოლის სავანესთან არსებული სტამბა-გამომცემლობა (თავად ამ საქმის მესვეურთა სახელდებით – სტამბოლის (კონსტანტინეპოლის) საბეჭდავი ქართველთა სავანის) უცხოელ ავტორთა ქართულ ენაზე გადმოთარგმნილ ტექსტებსაც აწვდიდა მკითხველს. იქაური გამომცემელნი ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გააქტიურდნენ გასული საუკუნის ოციანი წლების დასაწყისში.

კერძოდ, 1921 წელს სავანის მღვდელმსახურის – შალვა ვარდიძის მიერ თარგმნილი ორი წიგნი გამოვიდა – ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს "ქართველები კონსტანტინეპოლში" და რემონ ჟანენის "ქართველები იერუსალიმში."

მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული გამოცემები ორიგინალურ ნაწარმოებებს არ წარმოადგენდა, ისინი მაინც იქცა იმდროინდელი ჩვენი სულიერი კულტურის მნიშვნელოვან შენაძენად. მათი გამოცემით სტამბოლურმა გამომცემლობამ ქართველ ემიგრანტ ავტორთა მიერ იქ დასტამბულ წიგნებში მძაფრად გამოვლენილ ეროვნულ-პატრიოტულ მისწრაფებებს კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შესძინა იმით, რომ ჩვენი ერის დიდ ისტორიულ წარსულსა და იმჟამინდელ პრობლემებზე ამჯერად უცხოელები წერდნენ უღრმესი სიყვარულითა და სათანადო დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით.

ვიდრე მკითხველს ყოველივე ზემოთქმულისათვის მეტი სიცხადის მისაცემად უფრო კონკრეტულად ვეტყოდე რამდენიმე სიტყვას, აქ უაღრესად მნიშვნელოვანი ის როლიც მინდა აღვნიშნო ხაზგასმით, რომელიც დასახელებულ გამოცემათა მხოლოდ ქართულად თარგმნის საქმეში კი არა, მათი დაწერის პროცესშიც შეასრულა სტამბოლის სავანის მღვდელმსახურმა და გულმხურვალე მამულიშვილმა შალვა ვარდიძემ.

ხსენებულ თარგმანთა შესახებ საუბარი მინდა დავიწყო ევგენი დალეჯიო დ'ალესიო წიგნის – "ქართველები კონსტანტინეპოლში"

მოკლე განხილვით (აღნიშნული წიგნის ქართული თარგმანი პირველად 1921 წელს დაიბეჭდა კონსტანტინეპოლის ქართული სავანის სტამბაში. განმეორებით კი იგი გურამ შარაძემ გამოსცა 1990 წელს). დალეჯიოს წიგნისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ავტორი უაღრესად საინტერესო ცნობებს გვაწვდის სტამბოლის ქართული სავანის, საერთოდ, თურქეთსა და მის მთავარ ქალაქში მცხოვრებ ქართველთა შესახებ.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ეს იტალიელი დიპლომატი, სწავლული და მოგზაური საქართველოზე თავდავიწყებით შეყვარებული პიროვნება იყო. ჩვენი ქვეყნისადმი დიდი სიყვარული და პატივისცემა მან ბევრი რამით გამოხატა. კერძოდ, 1918 წელს, როდესაც საქართველოს დიპლომატიური მისია კონსტანტინეპოლში ჩავიდა, იქ მყოფი დალეჯიო ამ მისიის მდივანი გახდა, საქართველოს ქვეშევრდომობა მიიღო, ჩვენს ქვეყანაში იმოგზაურა, ქართული ენა შეისწავლა და მთელი შემდგომი ცხოვრების განმავლობაში ჩვენი ხალხის ინტერესების აქტიურად დამცველი პიროვნება გახდა.

სტამბოლში მოღვაწე ქართველ მღვდელმსახურთა განსაკუთრებით მნიშვნელოვან დამსახურებად დალეჯიო დ'ალესიო პირველ ყოვლისა იმას მიიჩნევდა, რომ ხსენებული სავანე მათ "უცხოეთში ეროვნულ კერად გარდაქმნეს, სადაც არა მარტო მრავალმა ქართველმა ახალგაზრდამ შეაფარა თავი, არამედ მრავალმა პოლიტიკურმა მოღვაწემაც კი, განურჩევლად სარწმუნოებისა და მისწრაფებისა. ამავე საზოგადოების წყალობით, ვატიკანი და საფრანგეთის მთავრობა მარადის ეცნობოდნენ საქართველოს და ქართველების ისტორიას და თანამედროვე მათ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ მდგომარეობას" (დალეჯიო, 1990: 31).

ასე რომ, დ'ალესიოს შეფასებით, ფერი-კვეის სავანე არა მარტო სასულიერო დაწესებულება იყო, არამედ "პოლიტიკურიც, რამდენადაც სარწმუნოება და პოლიტიკა ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგებიან და ერთი მეორესთან შეკავშირებულნი არიან. ამ სავანის კათოლიკე მღვდლები, განმსჭვალულნი დიდებული მომავლის რწმენით საქართველოს თავისუფლებისათვის, პირნათლად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. ამათი სასყიდელი მხოლოდ ის იქნება, რომ თავისუფალმა საქართველომ და ქართველმა მოღვაწეებმა მისცენ მათ როგორც საქართველოში, ისე საზღვარ გარედ უფრო მეტი ზნეობრივი დახმარება და ყოველ გვარი საშუალება, რათა უფრო

ფართე ფარგლებში შესძლონ მათ მოღვაწეობა საქართველოში და ქართველ ხალხში" (დალეჯიო, 1990: 34).

ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს თქმით, უმთავრესი მიზანი, რომელიც პ. ხარისჭირაშვილმა და მის მიერ სტამბოლში დაფუძნებულმა ქართულმა სასულიერო საზოგადოებამ მათი საქმიანობის საფუძველთა საფუძვლად აქციეს, იყო "ქართველი ხალხის გამოღვიძება-აღორძინება სარწმუნოებრივად, პოლიტიკურად და კულტურულად." მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ზემოთქმულის გამო ისინი "ხშირად სასტიკად შევიწროებულნი იყვნენ ყველასაგან და ყოველნაირად" და არც იმისთვის ჰქონდათ "საკმარისი ნივთიერი საშუალება, თავიანი მოქმედებისათვის უფრო ფართო ხასიათი რომ მიეცათ", პ. ხარისჭირაშვილმა და მისი ძმობის წევრებმა მაინც შეძლეს ბევრი დიდმნიშვნელოვანი საქმის გაკეთება (დალეჯიო, 1990: 31).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ალბათ სულაც არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ სტამბოლის ქართული ეკლესია იქაური ქართველობისთვის არა მარტო სალოცავ დაწესებულებად იქცა, არამედ იმ ადგილადაც, რომელიც მათ, გარკვეულწილად, ისტორიული სამშობლოს მაგივრობასაც უწევდათ და მშობლიური წიაღისაგან განშორების შედეგად გაჩენილ ტკივილს უამებდათ.

დალეჯიოს ინფორმაციით, სტამბოლის სავანეში 1911 წელს ქართული კლუბიც გახსნილა, სადაც ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიას ასწავლიდნენ. ამ საქმის ინიციატორსა და თავკაცს – შალვა ვარდიძეს კლუბის გახსნის შესახებ დაინტერესებული პირებისათვის გაზეთების მეშვეობით უცნობებია და ისინი, განურჩევლად მათი სარწმუნოებისა და სოციალური მდგომარეობისა, მონასტერთან არსებულ ქართულ სასწავლებელში მიუწვევია. ასე შექმნილა ქართული კლუბი, რომელიც ამ დროიდან მოყოლებული 1914 წლამდე, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, თურმე სისტემატურად მართავდა ხალხმრავალ შეკრებებს.

ასეთი კრებები, რომელთაც ჩვეულებრივ 150 ქართველზე მეტი ესწრებოდა ხოლმე, სხვადასხვა კატეგორიის ადამიანთა თავშეყრის ადგილად ყოფილა ქცეული. კერძოდ, დალეჯიოს ინფორმაციით, აქ იკრიბებოდნენ ფაშები, გენერლები, ოფიცრები, ვექილები, ექიმები, ვაჭრები, მოხელეები და სტუდენტები. "ყოველი კრება ქართული სიტყვებითა და სიმღერებით იხსნებოდა და იმ სახითვე მთავ-

რდებოდა. შეიმუშავეს წესდება, რომელიც ოსმალეთის მთავრობამ უცვლელად დაამტკიცა" (დალეჯიო, 1990: 16).

ქართული კლუბის შექმნის ამბავი არა მარტო სტამბოლში, არამედ მთელ თურქეთშიც ფართოდ რომ გახმაურებულა, ამის დასტურად დალეჯიოს კონკრეტული ფაქტებიც მოჰყავს. კერძოდ, მონასტერში თურმე ხშირად მიდიოდა მუსულმან ქართველთა აღფრთოვანების გამომხატველი წერილები ანატოლიიდან, მაკედონიიდან და თურქეთის სხვა კუთხეებიდან. ამ წერილების ავტორები შალვა ვარდიძეს თხოვდნენ, გაეგზავნა მათთვის ქართული კლუბის თურქულად გადათარგმნილი წესდება და ქართული წიგნები, რათა მათაც მისცემოდათ შესაძლებლობა ქართული ენის შესწავლისა და ხსენებული კლუბის წევრად გახდომისა.

მიუხედავად იმისა, რომ სტამბოლსა და მთელ თურქეთში საკმაოდ ბევრი ქართველი ცხოვრობდა, დალეჯიო მათ შესახებ საუბრის დროს გულისტკივილით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მათმა დიდმა ნაწილმა არათუ ქართული წერა-კითხვა, ქართულად საუბარიც კი არ იცოდა. მისი შეფასებით, ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო მუსულმან ქართველებში, რომელთაც "ეროვნული შეგნება საერთოდ არ ჰქონდათ განვითარებული" (დალეჯიო, 1990: 14).

ასეთ ვითარებაში სტამბოლის ქართული სავანის ბერ-მონაზონთა მიერ გაჩაღებულ საგანმანთლებლო მოღვაწეობას უდიდესი პატრიოტული მნიშვნელობა ჰქონდა. მათი საქმიანობის შესახებ საუბრის დროს იტალიელი ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას, უპირველეს ყოვლისა, იმაზე ამახვილებს, რომ სავანეში მოღვაწე სასულიერო პირების ძალისხმევით ეროვნული გადაგვარების გზაზე დამდგარი ბევრი ქართველი კვლავ დაუბრუნდა მშობლიურ ნიადაგს და აღიდგინა ისტორიული ბედუკუღმართობის შედეგად დათრგუნული ეროვნული ცნობიერება.

ნათქვამის დასტურად იგი იმ ქართველ კათოლიკეებს ასახელებს, რომელთაც "თავიანთი ქართველობა უარჰყვეს და თავიანთი თავი სომხებად აღიარეს." ბევრმა მათგანმა "თვით თავიანთი გვაროვნობის სახელწოდებაც დაივიწყა. ამ გადაგვარებულთა შორის შედარებით ცოტანი არიან, რომელთაც თავიანთი გვარი მაინც კიდევ ახსოვთ... მაგრამ მაინც დღეს თავიანთ თავს ქართველებად აღარ აღიარებენ" (დალეჯიო, 1990: 20).

ამ გულსატკენი მდგომარეობიდან დალეჯიო ერთადერთ გამოსავალს ხედავდა – "ქართველმა საზოგადოებამ მეტი პრაქტიკული ყურადღება უნდა მიაპყროს არა მარტო ოსმალეთის და კონსტანტინეპოლის ქართველ მუსულმანებს, არამედ თვით ქართველ ქრისტიანებსაც, რომელთაც არავითარი კულტურული დაწესებულება არა აქვთ, სადაც თავისუფლად შეეძლოთ ყოველი რწმენის და მისწრაფების ქართველთ მისვლა და პრაქტიკულად მუშაობა."

სტამბოლის ქართული სავანის უმთავრეს მნიშვნელობას ევგენი დალეჯიო დ'ალესიო იმაში ხედავდა, რომ მას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს როლი უნდა შეესრულებინა არა მარტო კათოლიკე ქართველთა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების საქმეში, არამედ მშობლიურ ქართულ ფესვებს მოწყვეტილი გამუსულმანებული ქართველების ეროვნული ცნობიერების აღდგენაშიც.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეული და მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ ყოველივე ამის შესახებ ქართველი კაცი კი არ წერს ესოდენი გულისტკივილითა და გულშემატკივრობით, არამედ ის უცხოელი, რომელმაც ღრმად და ობიექტური სიმართლით გაიაზრა ჩვენი ეროვნული ისტორიული ბედუკუღმართობის ტრაგიკული შედეგები და აქტიურად ცადა რეალური დახმარება გაეწია ქართველებისათვის ამ მდგომარეობის გამოსასწორებელ გზათა მოძებნაში.

დალეჯიო უდიდესი კმაყოფილებით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ კონსტანტინეპოლის ქართულ სავანეში "ყოველგვარი საქართველოს მოგაგონებთ; აქ მოსული ქართველი სტუმარი უსათუოდ იგრძნობს მამულის სიყვარულის და თავის თავის უარის-ყოფის იმ ღრმა რწმენას, რომლითაც ეს თანამემამულენი აქ ცხოვრობენ, ნათესავ-მეგობრებს, ქართველებს და სამშობლოს მიწა-წყალს დაშორებულნი. ეს სავანე იზიდავს ქართველს იმიტომაც, რომ შიგ ნახავს ბევრ საგანს, რომელიც მოაგონებს საქართველოს ხალხის წარსულს თავისი სიძლიერის და სისუსტის ხანებით და აღუძრავს მომავალ არსებობის ძალას".

ამ ამბით გულწრფელად გახარებული იტალიელი სწავლული კონსტანტინეპოლის ქართული სავანის ეროვნული მისიის ამგვარ დახასიათებასა და შეფასებას ემოციური პათეტიკის გამომხატველი ამ სიტყვებით აგვირგვინებს: "უცხოეთში გადმტყორცნილო ქართველო, რა რწმენისა და მისწრაფებისაც გინდა იყო, მოდი ამ სავანეში და აქ ნახავ შენ თანამემამულეთა ძმურ, შინაურ და ზრდილო-

ბიან დახვედრას; მალე იგრძნობ, თვალით ნახავ არა მარტო შიგ მცხოვრებ ქართველების სახეზე შენი ქვეყნის და შენი ერის დიდებას, მწუხარებას, არამედ ამას კედლებიც მეტყველებენ. აი, აქ არის სულ უბრალოდ დახატული ქართველ წმინდანთა და მეფეთა ხატები და სამეფო გვარის ღერბი, საპატიო ადგილასაა თამარ მეფე, გამომხატველი ქართველი ერის სიძლიერე-აღორძინებისა და დიდი კულტურისა და მის გვერდით დავით მეფე, სურათი წარსული დიდებისა. აქვეა მგოსანი მესხი შოთა რუსთაველი, მისნი მიმდევარნი და გიორგი სააკაძე" (დალეჯიო, 1990: 32).

დალეჯიოს ინფორმაციით, XX საუკუნის ათიანი წლების ბოლოს კონსტანტინეპოლის ქართულ სავანეში თურმე თორმეტი ქართველი მღვდელი და ექვსი ძმა ეწეოდა სასულიერო და საგანმანათლებლო მოღვაწეობას. აქვე არსებულ დედათა მონასტერში კი ოცდაორი მონაზონი ყოფილა დამკვიდრებული. იტალიელი ავტორის თქმით, "ამ ორივე საზოგადოების წევრები თითქმის ყველანი მესხეთიდან იყვნენ და ერთი მეორის ნათესავნი" (დალეჯიო, 1990: 30).

იტალიელი ავტორის თქმით, ქართველი მღვდლების ღვთისმსახურების წყალობით, სტამბოლის ქართული ეკლესია "იმდენად ყოფილა სახელგანთქმული ოსმალეთის ძველი იმპერიის ფარგლებში", რომ იქ "ყოველი გვარის ხალხი და ხშირად სხვა და სხვა სარწმუნოებისაც დაიარებოდა".

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე იტალიელი სწავლული სავსებით მართებულად უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ "ფერიკვეის სავანე მარტო სასულიერო დაწესებულება კი არ იყო, არამედ მასთან ერთად პოლიტიკურიც, რამდენადაც სარწმუნოება და პოლიტიკა ერთი მეორეს არ ეწინააღმდეგებიან და ერთი მეორის შემაკავშირებელნი არიან".

საქართველოსა და ქართველი ერისადმი ესოდენი გულმხურვალე სიყვარულით განწყობილი ჩვენი იტალიელი მეგობრის წიგნისადმი მიძღვნილი ეს პატარა ჩანაწერი ერთი მოგონებით მინდა დავასრულო: 2008 წელს, სტამბოლში სამეცნიერო მივლინებით ყოფნის დროს, ქართული სავანის მოამაგე მღვდელმთავართა ხსოვნისათვის პატივის მისაგებად სტამბოლის კათოლიკურ სასაფლაოზე გავედით (მათი უმეტესობა სწორედ აქ განისვენებს). ეს სასაფლაო სავანის მახლობლად მდებარეობს და ტერიტორიულად იმდენად დიდია და საფლავებით ისეა გადატვირთული, რომ სასურველ პიროვნებათა საფლავების მონახვა ძალზე ძნელია.

სასაფლაოს 5 ივნისს ვეწვიეთ და იქაურობის მომვლელის დახმარებით ზოგიერთი მათგანის განსასვენებლის მოძიება შევძელით. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა სასურველ პიროვნებათა საფლავების ძებნის დროს, სრულიად მოულოდნელად, ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს ძვალთშესალაგსაც წავაწყდით და მისი საფლავი ყვავილებით შევამკეთ, რითაც ჩვენი ქვეყნის ამ დიდი მეგობრისა და გულშემატკივრის ხსოვნას სათანადო პატივი მივაგეთ.

ბ) რემონ ჟანენი – "ქართველები იერუსალიმში"

როგორც რემონ ჟანენის წიგნისთვის წამძღვარებული შალვა ვარდიძისეული წინასიტყვაობიდან და ტექსტისთვის თანდართული ვრცელი კომენტარებიდან ირკვევა, ხსენებული ნაშრომის დაწერის დროს მას ავტორისთვის ძალზე აქტიური დახმარება აღმოუჩენია არა მარტო სათანადო კონსულტაციების გაწევით, არამედ ქართული დოკუმენტებისა და წყაროების ფრანგულ ენაზე გადათარგმნილი ფორმით მიწოდებითაც.

საეკლესიო ისტორიის ცნობილი ფრანგი მკვლევრის, ხელოვნებათმცოდნისა და ბიზანტიოლოგის – რემონ ჟანენის (1882-1972 წწ.) ინტერესი საქართველოსა და ქართული ეკლესიისადმი მხოლოდ დასახელებული წიგნით არ ამოიწურება და ამ მიმართულებით მას სხვა ნაშრომებიც აქვს დაწერილი და გამოქვეყნებული. კერძოდ, საქართველოში ქრისტიანული რელიგიის ისტორიას პირველი მნიშვნელოვანი გამოკვლევა მან 1912 წელს მიუძღვნა. ეს იყო ფრანგულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული მისი გამოკვლევა "დასაბამი ქრისტიანობისა საქართველოში."

1913 წელს კი მან აღნიშნულ თემაზე თავისი მეორე გამოკვლევაც გამოაქვეყნა – "ქართველები იერუსალიმში." საქართველოსადმი უდიდესი სიყვარულით დაწერილი ამ წიგნისთვის წამძღვარებულ წინასიტყვაობაში ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს ქრისტიანობის უმნიშვნელოვანეს როლს როგორც საქართველოს ისტორიაში, ისე მთელს ქრისტიანულ სამყაროში. მისი შეფასებით, "აღმოსავლეთის ეკლესიებში საქართველოს ეკლესია ერთი უწარჩინებულესთაგანია არა მარტო იმ წმინდანებით და მეცნიერებით, რომლებიც მან წარმოშვა და სასულიერო ხელოვნების ნამოქმედარითა, რომლის ზოგიერთმა ძველმა ნიმუშებმა ჩვენამდე მოაღწია, არამედ თა-

ვის ბრწყინვალებითა და ზედ-გავლენით, მრავალ უცხო ქვეყნებში რომ მოიპოვა."

შ. ვარდიძის ინფორმაციით, ხსენებული ნაშრომებისთვის მასალების მოსაძიებლად ფრანგმა მკვლევარმა "კარგა ხანს დაჰყო პალესტინაში, ადგილობრივ ინახულა ქართველების ყველა ძველი სავანეები. კრიტიკულად გამოიკვლია მათი სიტორია და 1913 წელს გამოსცა სათაურით "ქართველები იერუსალიმში" (ჟანენი, 1921: III).

გარდა ხსენებული გამოკვლევებისა, ფრანგმა მკვლევარმა შემდგომში საქართველოსადმი მიძღვნილი მესამე მნიშვნელოვანი ნაშრომიც დაწერა. ეს იყო კათოლიკური ღვთისმეტყველების ენციკლოპედიურ ლექსიკონში შესატანად გამიზნული სტატია. შ. ვარდიძის შეფასებით, ესაა "საქართველოს შესახებ ვრცელი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტიკური, რელიგიური და ლიტერატურული გამოკვლევა. აქაც პატივცემული მკვლევარი რიგის გარეთ ცოდნას იჩენს, ვინაიდგან საქართველოს ცხოვრება უძველეს დროიდგან დღევანდლამდე დასაბუთებული აქვს არა მარტო ქართული წყაროებით, რომელიც ჩვენ ვუთარგმნეთ, არამედ უცხო ტომების ძველ და ახალ მემატიანეთა და მეცნიერთა საბუთებით" (ჟანენი, 1921: III).

როგორ ცნობილია, ხსენებული ნაწრომი 1924 წელს შეტანილ იქნა პარიზში გამოცემულ კათოლიკური ღვთისმეტყველების ენციკლოპედიის VI ტომში.

რ. ჟანენის წიგნისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ქართული ეკლესიის უდიდეს საერთაშორისო ავტორიტეტსა და წარსულ დიდებაზე ესოდენი სიყვარულითა და მდიდარ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით უცოელი მკვლევარი წერს. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა იმასაც უნდა მივანიჭოთ, რომ რ. ჟანენი ერთ-ერთი პირველი უცხოელი მკვლევარი იყო, რომელმაც ფრანგულ ენაზე გამოცემულ თავის წიგნში ქართულ და უცხოურ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით ცადა შეეფასებინა ის დიდმნიშვნელოვანი როლი, რომელსაც საქართველოს ქრისტიანული ეკლესია ასრულებდა იერუსალიმში საუკუნეთა განმავლობაში.

ფრანგი მეცნიერის ხაზგასმით, "ყველა იმ ხალხთა შორის, რომელთაც განსაკუთრებული უპირატესობანი და დიდი გავლენა ჰქონდათ წმიდა ქალაქში, ქართველებს უდაოდ ერთი უპირველესი ადგილი ეჭირათ" (ჟანენი, 1921: 10). ნათქვამისათვის მეტი და-

მაჯერებლობის მისაცემად რ. ჟანენის წიგნში არაერთი კონკრეტული ფაქტია დასახელებული. მაგალითად, ფრანგი მკვლევრის მტკიცებით, "დანამდვილებით ვიცით, რომ ბერძნებს და დანარჩენ ქრისტიანებს ქართველებისთვის უნდა ეთხოვნათ, რომ ქრისტეს საფლავზე ლოცვის ნება მიეღოთ. ლუდოლფი, რომელიც პალესტინაში ცხოვრობდა 1336-1341 წლამდე, აღნიშნავს, რომ ქართველებს მართლაც ჰქონდათ წმიდა საფლავის გასაღები" (ჟანენი, 1921: 18).

რ. ჟანენი იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ ქრისტეს საფლავი გამონაკლისი არ ყოფილა და ქართველები გოლგოთის თხემის მთელ სავანე-სამლოცველოებსაც ფლობდნენ მშვიდობიანად ასორმოცდაათი წლის განმავლობაში.

ყოველი ქართველისთვის საამაყო ამ ცნობებს განსაკუთრებით ფასეულსა და მნიშვნელოვანს ხდის ის ფაქტი, რომ მათ საეკლესიო ისტორიის ცნობილი უცხოელი მკვლევარი გვაწვდის სათანადო არგუმენტებზე დაყრდნობით.

ქართული ქრისტიანული ეკლესიის ბრწყინვალე წარსულის გახსენების შემდეგ რ. ჟანენი იერუსალიმში ქართველთა როლის თანდათანობითი დამცრობისა და მათი რელიგიური სიწმინდეების სხვათა მიერ მისაკუთრების შესახებაც საუბრობს უდიდესი გულისტკივილითა და სინანულით. ეს სამწუხარო პროცესი XV საუკუნის დასასრულიდან იწყება და შემდგომ საუკუნეებში იმდენად ძლიერდება, რომ იერუსალიმში ქართველთა კუთვნილ სავანეებსა და რელიგიურ სიწმინდეებს სხვები (ძირითადად ბერძნები, სომხები და კოპტები) დაეპატრონენ, ჩვენი ხალხი კი ყოველგვარი საკუთრების გარეშე დარჩა.

რ. ჟანენის წიგნში ცალკე თავი აქვს დათმობილი იერუსალიმის ჯვრის ქართული მონასტრის ისტორიის გადმოცემას. ავტორის მტკიცებით, ქართველთა მიერ წმინდა მიწაზე აგებულ და ქართველ ღვთისმსახურთა საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრების უმთავრეს სავანედ ქცეულ ამ მონასტერში XV საუკუნის დასასრულიდან უკვე ბერძენი ბერებიც იწყებენ დამკვიდრებას, ხოლო XVI საუკუნეში მათ "ნესტორიანები და იაკობინელებიც ემატებიან. ამ დაცემის ერთი დამახასიათებელი ნიშანი შემდეგი იყო: წმიდა ჯვრის ეკლესიაში, ისე როგორც სხვა ქართულ სავანეებში, ჟამ-კანონი და თვით წმიდა წირვა ჩვეულებრივად ბერძნულად წარმოებდა და იშვიათად ეროვნულ ენაზე" (ჟანენი, 1921: 36).

იერუსალიმის ქართულ სავანეებში გვაინდელ შუა საუკუნეებში შექმნილ ამ არასახარბიელო მდგომარეობას, რასაც ამ სიწმინდეთა თანდათანობითი დაკარგვაცა და გასხვისებაც მოჰყვა შედეგად, რ. ჟანენი პირველ ყოვლისა იმ რთული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ვითარებით ხსნის, რომელიც სწორედ იმხანად შეიქმნა ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულ საქართველოში. ეს სამწუხარო პროცესი შეეხო ჯვრის მონასტერსაც. კერძოდ, ფრანგი მკვლევრის თქმით, "ქართველების ფინანსური გაჭირვებით უნდოდათ ესარგებლათ სომხებს და შეესყიდათ წმიდა ჯვრის სავანე, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. ბერძნების პატრიარხმა დოსითემ 1658 წლის აპრილში გაიმარჯვა მათზე და შეიძინა ქართველების მთელი ქონება, რომელზედაც დიდი ხანია გული უთქვამდა...

ამის შემდეგ, თავის-თავად ცხადია, სავანის მმართველობა ჩამოერთვა მათ და გადაეცა ბერძნებს; თუმცა ზოგიერთი უფლება დაუტოვა პატრიარქმა, სხვათა შორის, თვეში ერთ გზის თავიანთ ეროვნულ ენაზე წირვის შესრულება და სავანის იღუმენად გახდომა. ცნობილია მხოლოდ ორი ქართველი ბერი, რომელთაც მიიღეს ეს თანამდებობა: ქრისტეფორე მე-XVII საუკუნის დასასრულს და გერასიმე 1841-ში. წმიდა ჯვრის სავანესთან ერთად ქართველების ყველა საკუთრება საბოლოოდ გადავიდა ბერძნების ხელში" (ჟანენი, 1921, 37).

იერუსალიმის ქართულ სავანეებზე საუბრის დროს რ. ჟანენი მკითხველის ყურადღებას ჯვრის მონასტრის ახლოს მდებარე კატამონის ანუ კატამონასის სავანედ წოდებულ ქართულ საეკლესიო ცენტრსაც მიაპყრობს. მისი მტკიცებით, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქართველების კუთვნილი ეს სავანეც XVI საუკუნეში ბერძნებმა მიისაკუთრეს და "იერუსალიმის ბერძნის პატრიარქის საზაფხულო სახლად გადააქციეს."

1640-1642 წლებში ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა გოლგოთის სამლოცველოც, რის გამოც ამ სამლოცველოს მომვლელი ქართველი ბერები იძულებულნი გახდნენ იქაურობა ბერძნებისთვის დაეტოვებინათ და თავად ჯვრის მონასტერში გადასულიყვნენ (ჟანენი, 1921: 40).

ასე რომ, რ. ჟანენის დასკვნით, იერუსალიმის ქართულ სავანეებში მოღვაწე "ქართველი ბერები საბოლოოდ მოისპენ მე-XVIII საუკუნის განმავლობაში, თუმცა მე-XIX საუკუნეში ვხედავთ რავდენიმეს. მაგრამ ეს უკვე გამონაკლისს შეადგენს... ესრედ ამაყმა ქარ-

თველმა ხალხმა თერთმეტ დაწესებულებიდან, იერუსალიმსა და მის მიდამოებში რომ ჰქონდა ოდესღაც, საბოლოოდ ერთიც ვერ გადაარჩინა დაღუპვისაგან... დღეს კი იერუსალიმს მოსული ქართველები შობის და აღდგომის დღესასწაულებში უცხო ტომის საზოგადოებას სთხოვენ სტუმრობას და ბინავდებიან სომხების წმიდა იაკობის სავანეში ან რუსების სხვა და სხვა დაწესებულებებში" (ჟანენი, 1921: 40).

როგორც დამოწმებული ფრაგმენტებითაც ნათლად ჩანს, ფრანგი მკვლევრის ნაშრომს იერუსალიმში ქართველ ღვთისმსახურთათა მოღვაწეობისა და იქ არსებულ ქართულ სიწმინდეთა ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მათ მეცნიერულ ღირებულებას განსაკუთრებით ფასეულს ხდის ის ფაქტი, რომ საქართველოსა და ქართული ქრისტიანული ეკლესიისადმი უღრმესი სიყვარულით განმსჭვალული ამ ნაშრომის ავტორი უცხოელი მკვლევარია, საეკლესიო ცხოვრების ისტორიის ფართოდ ცნობილი მკვლევარი.

ბოლოთქმა

როგორც მკითხველი საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროინდელი ქართული მწერლობის წინამდებარე ანალიზითაც თვალნათლივ დაინახავს, იმხანად მოღვაწე ჩვენი მწერლების ყველა თაობის წარმომადგენელთა შემოქმედებაში მიზანსწრაფულად გაგრძელდა და ახალი მასშტაბებით წარმოჩინდა მთელი ჩვენი ლიტერატურული პროცესის მაგისტრალურ მიმართულებად დამკვიდრებული პრობლემა - ჩვენი ქვეყნის საჭირბოროტო ეროვნული საკითხებისადმი გამოვლენილი მძაფრი ინტერესი. არ დარჩენილა იმხანად მოღვაწე არც ერთი მწერალი, რომლის მაშინდელ შემოქმედებაში ეს პრობლემა განსაკუთრებული ინტერესის საგნად არ ქცეულიყოს.

გარდა აღნიშნული თვალსაზრისით არსებული დიდი ტრადიციისა, ამ გარემოების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ამ შემთხვევაში პირველ ყოვლისა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა იქცა.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანი ერთი გარემოებაც უნდა აღინიშნოს ხაზგასმით: მიუხედავად იმისა, რომ დრამატული მოვლენებით აღსავსე ამ პერიოდში მრავლად არსებულ პოლიტიკურ პარტიათა ლიდრებს შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებიც რუსეთის იმპერიული სივრციდან ჩვენი ქვეყნის გამოყოფასა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას აქტიურად ეწინააღმდეგებოდნენ, მათი ფსევდოინტერნაციონალური იდეებისთვის მხარი იმხანად მოღვაწე არც ერთ ქართველ მწერალს არ დაუჭერია.

სამწუხაროდ, 1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის შედეგად ადრინდელი ვითარება არსებითად შეიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ქართული მწერლობის უდიდესი ნაწილი ამ ტრაგიკულ მოვლენას არა მარტო თავისი მხატვრული სიტყვით დაუპირისპირდა, არამედ იმხანად აქტიურად მიმდინარე ანტისაბჭოთა გამოსვლებშიც იღებდა მონაწილეობას, მათ საპროტესტო გამოსვლებს შედეგი არ მოჰყოლია. ბუნებრივია, ქვეყანაში შექმნილ-

მა ამგვარმა რეალობამ იმდროინდელ ჩვენს მწერლობაზეც მოახდინა არასასურველი ზეგავლენა, რის შედეგადაც ეროვნული პრობლემის განსჯა-გააზრება მკაცრ იდეოლოგიურ ჩარჩოებში მოექცა.

ამისდა მიუხედავად, იმხანად მოღვაწე ქართველ მწერალთა დიდი ნაწილი აქტიურად შეეცადა ხელისუფლების მოთხოვნებს არ დამორჩილებოდა და კონიუნქტურის გზით არ წასულიყო.

სამწუხაროდ, ამგვარი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა და იდეოლოგიური მარწუხებით ლიტერატურის შებოჭვის პროცესი 1930-იან წლებში თვისებრივად უმაღლეს ნიშნულზე ავიდა, რამაც იმხანად მოღვაწე ჩვენი მწერლობის უდიდესი ნაწილის შემოქმედებით მოღვაწეობაზე მეტნაკლებად ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა.

ბიბლიოგრაფია

აბაშელი ა. თხზ. კრებული ტ. 1, ლექსები. 1909-1939. თბ. 1958 წ.
აბაშიძე მ. თხზულებანი, გამოსცა გ. შარაძემ, თბ. 1998 წ.
აბრამიშვილი მ. უცნობი ფურცლები, გაზ. „კომუნისტი," თბ. 1990 წ. 22 აპრილი.
აბულაძე მ. ტიციან ტაბიძის პოეზია, თბ. 1961 წ.
აბულაძე მ. ლიტერატურულ მიმდინარეობათა ისტორიიდან მეოცე საუკუნის ქართულ მწერლობაში, თბ. 1977 წ.
ალიმონაკი ლ. კვირის წირვები, თბ. 1988 წ.
აფხაიძე შ. ადამიანები და წიგნები, თბ. 1964 წ.
ამირეჯიბი შ. წიგნი პირველი, თბ. 1998 წ.
ამირეჯიბი შ. წიგნი მეორე, თბ. 1998 წ.
ამირეჯიბი ჯ. თხზ. ტ. 7, თბ. 2001 წ.
არაგვისპირელი შ. თხზ. სრული კრებული, ტ. II, თბ. 1947 წ.
არველაძე ლ. მშობლიურ მიწასა და უცხო მიწათა შორის, წიგნი III, პარიზი, 1963 წ. იხ: საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკის ქართული ემიგრაციის განყოფილება, გ. შარაძის კერძო კოლექცია.
არჯევანიძე ი. დავით კლდიაშვილის ახლოს (მოგონება), ტექსტი გამსაცემად მოამზადეს ავთანდილ და ოთარ ნიკოლეიშვილებმა, თბ. 2013 წ.
აფხაიძე შ. მახსოვს მარადის... თბ. 1988 წ.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული, III, 2002 წ.
ბარნოვი ვ. თხზ. სრული კრებული ათ ტომად, ტ. 5, თბ. 1962 წ.
ბარნოვი ვ. თხზ. სრული კრებული ათ ტომად, ტ. 6, თბ. 1962 წ.
ბიბილეიშვილი ი. გვარიშვილი ო. მემედ-ბეგ აბაშიძე – მწერალი და მოაზროვნე, ბათუმი, 1999 წ.

ბუჩუკური ე. ვეფხისტყაოსნის ყველაზე ადრინდელი ხელნაწერი შესაძლოა თურქეთში ინახებოდეს. იხ: გაზ. „საქართველო XXI," 2009 წ. 5 ოქტ.
ბუხნიკაშვილი გ. ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი, 1948 წ.

გაზ. "ახალი ივერია," თბ. 1914 წ. №1, 20.
გაზ. „დროება," თბ. 1880 წ. №198.
გაზ. „ივერია," თბ. 1903 წ. 6 დეკემბერი, №261.

გაზ. „მთლიანი საქართველო,“ ბათუმი, 1920 წ.
გაზ. „სამუსლიმანო საქართველო,“ ბათუმი, 1919-1921 წწ. გაზეთის გადარჩენილი ნომრები ცალკე კრებულად გამოსცეს ნ. აბაშიძემ და თ. კომახიძემ, ბათუმი, 2008 წ.
გაზ. "საქართველო," თბ. 1915 წ. #169; 1917 წ. #137, 156, 274; 1918 წ. #40, 45, 47, 99.
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა, „ თბ. 1921 წ. #41.
გაზ. „სახალხო საქმე,“ 1919 წ. 15 თებერვლი, 25 ივლისი.
გაზ. „სახალხო საქმე,“ თბ. 1920 წ. 4 აგვისტო.
გაზ. „სახალხო ფურცელი,“ თბ. 1916 წ. 11 მარტი.
გაზ. „ტრიბუნა,“ თბ. 1921 წ. #22.
გაზ. „ქართული სიტყვა,“ თბ. 1924 წ. #4.
გაზ. „ხალხის თავისუფლება,“ თბ. 1917 წ. #1, 2, 17, 19.
გამსახურდია კ. ახალმოსულის შენიშვნები, გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917 წ. 7 თებერვალი.
გამსახურდია კ. ველიკოროსები და „არა რუსები.“ გაზ. „სახალხო საქმე,“ 1917 წ. 13 მარტი.
გამსახურდია კ. ილია ჭავჭავაძე თუ არჩილ ჯორჯაძე. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1917 წ. 22 მარტი.
გამსახურდია კ. ტროანელი ცხენი, გაზ. „სახალხო საქმე,“ 1917 წ. 11 აგვისტო.
გამსახურდია კ. ქართულ არტილერიას, გაზ. „სახალხო საქმე,“ 1918 წ. 22 (7) თებერვალი.
გამსახურდია კ. სიტყვები ქართველი ერისადმი 26 მაისს, გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი,“ 1921 წ. 25 აპრილი.

გამსახურდია კ. ტფილისიდან ბათომამდის, გაზ. "სახალხო საქმე," 1918 წ. 1, 5, 10 აპრილი.
გამსახურდია კ. ღია წერილი ულიანოვ-ლენინს, გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1921 წ. 25 მაისი.
გამსახურდია კ. თხზულებათა ათტომეული, ტ. VII, 1983 წ.
გაწერელია ა. ნარკვევები, პორტრეტები, ლექსმცოდნეობა, თბ. 1988 წ.
გვერდწითელი გ. მარო მაყაშვილის დღიურები, ჟურნ. „მნათობი,“ თბ. 1997 წ. #7.
გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილება, დოკუმენტის ნომერი: 6254-ხ, 6256-ხ, 6257-ხ, 6258-ხ, 6260-ხ.
გრანელი ტ. რჩეული, თბ. 1991 წ.
გრიშაშვილი ი. საქართველოს მტრებს, ლექსები, თბ. 2011 წ.

გრძელიძე რ. საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924), თბ. 1998 წ.
გურული ვ. ნოე ჟორდანია. პოლიტიკური პორტრეტი. 1869-1953, თბ. 1999 წ.

დადიანი შ. რჩეული თხზ. ხუთ ტომად, ტ. II, თბ. 1959 წ.
დადიანი შ. რჩეული თხზ. ხუთ ტომად, ტ. IV, თბ. 1961 წ.
დადიანი შ. რჩეული თხზ. ხუთ ტომად, ტ. V, თბ. 1962 წ.
დავით კლდიაშვილის საიუბილეოდ (კრებული), ტფ. 1920 წ.

ევგენი დალეჯიო დ'ალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში. ფრანგულიდან თარგმნა შალვა ვარდიძემ, სტამბოლი, 1921 წ.
ევგენი დალეჯიო დ'ალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში. ფრანგულიდან თარგმნა შალვა ვარდიძემ. იხ. წიგნში: ქართველები კონსტანტინეპოლსა და სპარსეთში, გამოსცა გურამ შარაძემ, თბ. 1990 წ.
ემუხვარი მ. ანჩაბაძე პ. მცირე განმარტება აფხაზთა მოთხოვნილებათა შესახებ. იხ: გაზ. „საქართველო," 1918 წ. #99.

თევზაძე დ. საუკუნის თვალით, ლიტერატურული წერილები, თბ. 1994 წ.
თოიძე ლ. საქართველოს პოლიტიკური ისტორია. 1921-1923 წლები, თბ. 1999 წ.

იაშვილი პ. ერტომეული, თბ. 1975 წ.
იმედაშვილი გ. იოსებ იმედაშვილის ცხოვრების გზებზე, თბ. 1984 წ.
იმედაშვილი ი. ჩემი ცხოვრების წიგნი, თბ. 1978 წ.
იმედაშვილი კ. ჩემი საუკუნე, თბ. 2016 წ.
ი. ი. (იმედაშვილი იოსებ) ერთგული მოხელე, ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება," თბ. 1919 წ. #4.
იმედაშვილი ი. ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი. ხელნაწერი დაცულია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში.
ინგოროყვა პ. კავკასიის ქვეყნების ტერიტორიული გამიჯვნის გამო. ჟურნ. „პრომეთე," თბ. 1918 წ. #2.
ინგოროყვა პ. საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ, სტამბოლი, 1918 წ.

კაკაბაძე პ. დრამატული პოეზია, ტ. 1, თბ. 1971 წ.

კასრაძე დ. პოეტები და ირრედენტები, გაზ. „საქართველო," თბ. 1920 წ. 19 სექტ.
კვერენჩხილაძე რ. წამების გზა, წიგნი I, თბ. 2014 წ.
კირთაძე ნ. 1924 წლის აჯანყება საქართველოში, თბ. 1996 წ.
კლდიაშვილი დ. ჩემი ცხოვრების გზაზე. მოთხრობები, თბ. 1961 წ.
კომახიძე თ. მემედ აბაშიძე, ბათუმი, 1993 წ.
კოტეტიშვილი ვ. აზიისკენ, ჟურნ. „ლეილა," თბ. 1920 წ. #1.
კუკავა ი. დიდი განძია მოგონებანი. გაზ. „თბილისი," 1988 წ. 7 მარტი.

ლაშქარაძე დ. ლიტერატურული მერიდიანები, თბ. 1988 წ.

ლეონიძე გ. ჩაბნელებული არმაზი, გაზ. „საქართველო,"თბ. 1917 წ. # 217.
ლეონიძე გ. ლექსები, პოემები. ერთტომეული, თბ. 1980 წ.
ლომსაძე შ. მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი, თბ. 1984 წ.
ლორთქიფანიძე ი. იოსებ გრიშაშვილი, თბ. 1990 წ.
ლორთქიფანიძე მ. ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, თბ. 1966 წ.
ლორთქიფანიძე ნ. უფლება გვავალებს, იხ: გაზ. „სამშობლო," ქუთაისი, 1917 წ. 5 მარტი.
ლორთქიფანიძე ნ. ფინლანდია აღსდგა, იხ: გაზ. „სამშობლო,"ქუთაისი, 1917 წ. 10 მარტი.
ლორთქიფანიძე ნ. გარდამავალი დროის კანონები, იხ: გაზ. „სამშობლო,"ქუთაისი, 1917 წ. 12 მარტი.
ლორთქიფანიძე ნ. წიწამურის ტრაგედია, იხ: გაზ. „ჩვენი ქვეყანა," 1917 წ. ქუთაისი, 27 ივლისი.
ლორთქიფანიძე ნ. მრწამსი, გაზ. „ჩვენი ქვეყანა," ქუთაისი, 1917 წ. #1.
ლორთქიფანიძე ნ. სამშობლოს მივაშუროთ, გაზ. „ჩვენი ქვეყანა," ქუთაისი, 1917 წ. #4.
ლორთქიფანიძე ნ. რუსეთი იღუპება, გაზ. „ჩვენი ქვეყანა," ქუთაისი, 1917 წ. #122.
ლორთქიფანიძე ნ. თხზულებანი, ტ. IV, თბ. 1981 წ.

მაზნიაშვილი გ. მოგონებანი, თბ. 1990 წ.
მარტვილელი (ოდიშარია) კ. წავიდეთ საბებნელად (სად ინახება ვეფხისტყაოსნის უძველესი ხელნაწერი). ვ. გურგენიძის პუბლიკაცია. იხ: გაზ. „კომუნისტი," თბ. 1990 წ. 22 აპრილი.
მარო მაყაშვილის დღიური, თბ. 1997 წ.
მაყაშვილი კ. რჩეული, თბ. 1964 წ.

მაზნიაშვილი გ. მოგონებები, თბ. 1990 წ.
მახარაძე ფ. ძველი ქართული მწერლობის გამო, "კვალი," თბ. 1901 წ. №24.

მახარაძე ფ. დანიელ ჭონქაძე და მისი დრო, 1904 წ. ქუთაისი.
მახარაძე ფ. საქართველოს ავტონომიის საკითხის გამო, გაზ. „კავკაზსკი რაბოჩი," თბ. 1917 წ. 20 მარტი.
მახარაძე ფ. ნაციონალური საკითხი რუსეთის სოციალ-დემოკრატების საერთო კონფერენციაზე. გაზ. „ბრძოლა," 1917 წ. 12 ივნისი.
მახარაძე ფ. საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, გაზ. „ბრძოლა," 1917 წ. 21 ნოემბერი.
მახარაძე ფ. ქართველი მენშევიკების ნამდვილი სულისკვეთება. გაზ. „ბრძოლა," 1917 წ. 17, 24 დეკემბერი.
მახარაძე ფ. საზავო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის. გაზ. „კომუნისტი,"თბ. 1920 წ. 8 ივნისი.
მახარაძე ფ. ყველას გასაგონად (სამხრეთ ოსეთის აჯანყების გამო), გაზ. „კომუნისტი," თბ. 1920 წ. 13 ივნისი.
მახარაძე ფ. ნაციონალური საკითხი და მენშევიკები, გაზ. „საქართველოს კომუნისტი," თბ. 1920 წ. 26 ივნისი.
მახარაძე ფ. სიტყვა წარმოთქმული ნაძალადევის სახალხო სახლში 13 მარტს. გაზ. „კომუნისტი," თბ. 1921 წ. 16 და 17 მარტი.
მახარაძე ფ. მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში, თბ. 1921 წ.
მახარაძე ფ. თხზ. კრებული, ტ. I, თბ. 1924 წ.
მახარაძე, თხზ. კრებული, ტ. IV, ნაციონალური საკითხი, თბ. 1924 წ.
მახარაძე ფ. თხზ. კრებული, ტ. V. სიტყვა-კაზმული მწერლობა და მისი კრიტიკა, თბ. 1926 წ.
მეძველია ზ. პაოლო იაშვილის ხუთი ლექსის სადავო კომენტარები, ჟურნ. „ცისკარი," თბ. 1985 წ. #11.
მიშველაძე რ. უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ. 2003 წ.
მიწიშვილი ნ. ფიქრები საქართველოზე, ჟურნალი „ქართული მწერლობა," თბ. 1926 წ. #1.
მიწიშვილი ნ. ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან, თბ. 2006 წ. (1).

მიწიშვილი ნ. თებერვალი, თბ. 2006 წ. (2).
მიწიშვილი ნ. პუბლიცისტიკა, თბ. 2011 წ.

ნადირაძე კ. რაც ლექსად ვერ ვთქვი, თბ. 1984 წ.

ნატროშვილი გ. მანკიერი რომანი და რედაქტორის უპრინციპო ბოლოსიტყვაობა. იხ: გაზ. „კომუნისტი", თბ. 1952 წ. 8 ივნისი.
ნიკოლაძე ნ. ჩემს პოლიტიკაზე, 1913 წ.
ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. I, თბ. 1962 წ.
ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. III, თბ. 1963 წ.
ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. IV, თბ. 1964 წ.
ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. V, თბ. 1966 წ.
ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ VII, თბ. 1985 წ.
ნიკოლაძე ნ. თხზ. ტ. VIII, ქუთაისი, 2003 წ.
ნიკოლეიშვილი ა. პაოლო იაშვილი. ცხოვრება და შემოქმედება. მონოგრაფია, ქუთაისი, 1995 წ.
ნიკოლეიშვილი ა. ეროვნული საკითხი სტალინის ნააზრევში, ქუთაისი, 2000 წ.
ნიკოლეიშვილი ა. მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები, ტ. მესამე, ქუთაისი, 2000 წ.
ნიკოლეიშვილი ა. ლიტერატურული ნარკვევები, ქუთაისი, 2002 წ.
ნიკოლეიშვილი ა. ქართული კულტურის კერა და ქართველები თურქეთში, ქუთაისი, 2009 წ.
ნიკოლეიშვილი ა. თურქული დღიურები, ქუთაისი, 2010 წ.
ნიკოლეიშვილი ა. ქართველოლოგიური ეტიუდები, წიგნი პირველი, ქუთაისი, 2010 წ.
ნიკოლეიშვილი ა. ორტომეული: ქართველ მწერალთა ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსი, ქუტაისი, 2014 წ.
ნიკოლეიშვილი ა. ქართულენოვანი ზეპირსიტყვიერება და მწერლობა თურქეთში, ქუთაისი, 2015 წ.
ნიორაძე გ. პირველი ქართული სკოლა ბათუმში, 1958 წ.
ნოზაძე ვ. საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ. 1989 წ.

96 ესსე, XX საუკუნის 20-იანი წლები. შეადგინა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო მანანა ხელაიამ, თბ. 1986 წ.

ჟანენი რ. ქართველები იერუსალიმში. ფრანგულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და კომენტარები დაურთო შალვა ვარდიძემ, სტამბოლი, 1921 წ.
ჟორდანია ნ. ნაციონალური კითხვა ამიერ-კავკასიაში. თეზისები და რეზოლიუცია, თბ. 1917 წ.
ჟორდანია ნ. სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, ტფ. 1918 წ.
ჟორდანია ნ. წერილი 1921 წლის 22 ივლისიდან, პარიჟი, 1922 წ.

ჟორდანია ნ. ჩემი წარსული, თბ. 1990 წ.
ჟორდანია ნ. რჩეული ნაწერები, თბ. 1990 წ.
ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება," 1917 წ. #1, 11, 12, 14, 15, 37, 38, 42, 43; 1918 წ. #3, 7, 10; 1919 წ. #1-14; 1920 წ. #2, 4.
ჟურნ. „კავკასია", პარიზი, 1938 წ. №6-13.
ჟურნ. "კლდე," 1913 წ. თბ. № 38.
ჟურნ. "მოამბე," 1895 წ. თბ. №3.
ჟურნ. „მხედარი," თბ. 1920 წ.
ჟურნ. „სამშობლო," პარიზი, 1937 წ. №21-22; 1938 წ. №25-26.

რადიანი შ. ქართული მწერლობის ათი წელი, იხ: ჟურნ. „მნათობი," თბ. 1931 წ. #1-2.
რიონელი (ნიკოლაძე ნ.) რუსეთის დამხობა და საქართველოს ბედი. იხ: გაზ. „საქართველო," 1918 წ. 22, 24, 27 მარტი.
რობაქიძე გ. აზიისაკენ, ჟურნ. „ლეილა," თბ. 1917 წ. #1.
რობაქიძე გრ. ქართველ მწერლებს, გაზ. „საქართველო," თბ. 1917 წ.
რობაქიძე გრ. ირაკლი წერეთელი, გაზ. „საქართველო," თბ. 1917 წ. 10 ოქტომბერი.
რობაქიძე გრ. პატრონები და მოქალაქენი. ოსმალეთის სომხეთის გარშემო. გაზ. „საქართველო,"თბ. 1917 წ. 21 ოქტომბერი.
რობაქიძე გრ. ბოლშევიკების აჯანყება. გაზ. „საქართველო," თბ. 1917 წ. 27 ოქტომბერი.
რობაქიძე გრ. ფანტასმების ქალაქი, გაზ. „საქართველო," თბ. 1917 წ. 29 ოქტომბერი.
რობაქიძე გრ. დიონისოს კულტი და საქართველო, გაზ. „საქართველო," თბ. 1917 წ. 1, 3, 4, 6, 7, 10 დეკემბერი.
რობაქიძე გრ. ქართული რენესანსი, გაზ. „საქართველო," თბ. 1917 წ. 21 დეკემბერი.
რობაქიძე გრ. ისტორიულ წამები, გაზ. „საქართველო," თბ. 1917 წ. 25 დეკემბერი.
რობაქიძე გრ. ფული და კომისარიატი, გაზ. „საქართველო," თბ. 1918 წ. 2 თებერვალი.
რობაქიძე გრ. კლასსიური და ეროვნული. გაზ. „საქართველო," თბ. 1918 წ. 15 თებერვალი.
რობაქიძე გრ. გიორგი შარვაშიძე, გაზ. „საქართველო," თბ. 1918 წ. 1 მარტი.
რობაქიძე გრ. დამაფიქრებელი. აჭარის გარშემო. გაზ. „საქართველო,"თბ. 1918 წ. 31 მარტი.
რობაქიძე გრ. „ჯვარი თმებით," გაზ. „პოეზიის დღე," თბ. 1920 წ. 7 მაისი.

რობაქიძე გრ. ნოე ჟორდანია, გაზ. „ბარრიკადი," თბ. 1920 წ. 25 ოქტომბერი.
რობაქიძე გრ. ნაწერები, წიგნი III, თბ. 2012 წ.

საითიძე გ. პეტრე სურგულაძის საგამომცემლო-პუბლიცისტური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, თბ. 2009 წ.
სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, III, ბათუმი, 2008 წ.
საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივი, ფონდი 489, ანაწერი 33, საქმე 12, ფურცელი 6.
საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ. 1976 წ.
საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, თბ. 2003 წ.
სიგუა ს. მარტვილი და ალამდარი, 1, თბ. 2011 წ.
სიგუა ს. მარტვილი და ალამდარი, 2, თბ. 2011 წ.
სიგუა ს. ქართული კულტურის ისტორია, IV, თბ. 2019 წ.

სილაგაძე ა. გურული ვ. საქართველოს განუყოფელობისათვის ბრძოლის ისტორიიდან. ნაკვეთი I, მემედ-ბეგ აბაშიძე. დოკუმენტები და მასალები (1917-1923), თბ. 1996 წ.
სინდისგომის ეკლესია არტაანში. სიახლე ტაო-კლარჯეთიდან, ჟურნ. „ისტორიანი," თბ. 2015 წ. #7/5.
სიხარულიძე ფ. მასალები სამხარეთმცოდნეო ექსპედიციების ისტორიისათვის. კ. ოდიშარიას სამხრეთ სსაქართველოში მოგზაურობის ჩანაწერები. იხ: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. II, ბათუმი, 1998 წ.
სურგულაძე პ. საქართველო თავისუფლებისაკენ, სტამბოლი, 1917 წ.
სურგულაძე პ. საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, სტამბოლი, 1918 წ.
სურგულაძე პ. დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა, სტამბოლი, 1918 წ.
სურგულაძე ა. სიორიძე მ. პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათუმი, 1996 წ.
სტალინი ი. თხზ. ტ. 1, 1901-1907 წწ. თბ. 1947 (1) წ.
სტალინი ი. თხზ. ტ. 2, 1907-1913 წწ. თბ. 1947 (2) წ.
სტალინი ი. თხზ. ტ. 3, 1917 წ. მარტი - ოქტ. თბ. 1948 (1) წ.
სტალინი ი. თხზ. ტ. 4, 1917 წ.ნოემბ. – 1920 წწ. თბ. 1948 (2) წ.
სტალინი ი. თხზ. ტ. 5, თბ. 1921- 1923 წწ. თბ. 1949 წ.

ტაბიძე გ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, თბ. 1966 წ.
ტაბიძე გ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბ. 1972 წ.
ტაბიძე გ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VII, თბ. 1975 წ.

ტაბიძე გ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი XII, თბ. 1975 წ.
ტაბიძე ნ. გალაკტიონი, თბ. 2000 წ.
ტაბიძე ნ. გაზეთი „მთლიანი საქართველო," ჟურნალისტური ძიებანი, ტ. VI, თბ. 2004 წ.
ტაბიძე ტ. მანიფესტი აზიას, გაზ. „ბარრიკადი," თბ. 1920 წ. #1.
ტაბიძე ტ. „ერთობის" კლევრეტებს," გაზ. „საქართველო," თბ. 1920 წ. 7 სექტ. #93.

ტაბიძე ტ. ირრიდენტისათვის, გაზ. „ბარრიკადი," თბ. 1920 წ. 18 ოქტ. #1.
ტაბიძე ტ. გასტროლიორი ჭონტოლი, გაზ. „რუბიკონი," თბ. 1923 წ. 25 აგვისტო.
ტატიშვილი ვ. ქართველები მოსკოვში, თბ. 1959 წ.

ფუტკარაძე შ. სტამბოლის ქართული სავანე, ბათუმი, 2012 წ.

ქართული ლიტერატურული ესსე. XX საუკუნის 20-იანი წლები, შეადგინა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო მანანა ხელაიამ, თბ. 1986 წ.
ქართული მწერლობა, ტ. XXII, თბ. 2004 წ.
ქიქოძე გ. დასავლეთი კარებები. გაზ. „საქართველო," თბ. 1916 წ. #279.
ქიქოძე გ. ეროვნული ენერგია, თბ. 1919 წ.
ქიქოძე გ. პოლიტიკური წერილები, თბ. 1920 წ.
ქიქოძე პ. ქართული მწერლობის ერთი წელი. იხ: ჟურნ. „მნათობი," თბ. 1928 წ. #3.
ქიქოძე გ. ეტიუდები და პორტრეტები, თბ. 1958 წ.
ქიქოძე გ. წერილები, ესსეები, ნარკვევები, თბ. 1985 წ.
ქიქოძე გ. ასეთი იყო ჩემი ცხოვრება, თბ. 1985 წ.
ქიქოძე გ. თანამედროვის ჩანაწერები, თბ. 2003 წ.
ქიქოძე გ. თანამედროვის ჩანაწერები, თბ. 2003 წ.
ქიქოძე გ. „დაკვირვებული მეთვალყურეა." 1916-1919 წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური პუბლიცისტიკა. იდეის ავტორი და კრებულის შემდგენელი ირაკლი იაკობაშვილი, თბ. 2018 წ.
ქუჩიშვილი გ. წიგნი 1, პოეზია, თბ. 1914 წ.
ქუჩიშვილი გ. წიგნი 3, ლექსები, და პოემები, თბ. 1916 წ.
ქუჩიშვილი გ. ერთტომეული, თბ. 1958 წ.
ქუჩიშვილი გ. თხზულებანი ორ ტომად, ტ. II, თბ. 1963 წ.

ღვინეფაძე ნ. შარავანდედი (მარო მაყაშვილის ხატი სხვადასხვა შუქჩრდილში), თბ. 2009 წ.

ყაზბეგი გ. სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995 წ.
ყიფშიძე ი. ჭანური ტექსტები, ტფ. 1939 წ.

შანიძე ა. ქართული ეროვნული ჰიმნი, ჟურნ. „პრომეთე," თბ. 1918 წ. #1.
შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი პირველი, თბ. 1991 წ.
შარაძე გ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. I, თბ. 2001 წ.
შარვაშიძე გ. ლირიკა, ეპოსი, დრამა, აკად. ს. ჯანაშიას რედაქციითა და ნარკვევით, თბ. 1946 წ.

ჩხეიძე ო. მოგონება იპოლიტე ვართაგავაზე. გაზ. „ლიტ. საქართველო,"თბ. 1988 წ. 18 მარტი.
ჩხეიძე რ. ბედი პავლე ინგოროყვასი, თბ. 2003 წ.
ჩხეიძე რ. მზე და მწუხრი. შიო არაგვისპირელის ცხოვრების ქრონიკა, თბ. 2008 წ.
ჩხიკვიშვილი დ. ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი, თბ. 1986 წ.

ციციშვილი გ. შალვა დადიანი, თბ. 1974 წ.
ცქიტიშვილი გ. "ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების," თბ. 1990 წ.
წითელი დროშა. ლექსები. შედგენილი მამულიშვილისა. ტფ. 1917 წ.

ჭავჭავაძე ი. რჩეული ნაწარმოებები ხუთ წიგნად, ტ. III, თბ. 1986 წ.

ჯავახიშვილი ი. საქართველოს საზღვრები, ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. გამოცემა მოამზადა, რედაქცია გაუკეთა და ბოლოსიტყვა დაურთო დ. ცინცაძემ, თბ. 1996 წ.
ჯავახიშვილი მ. წერილები, თბ. 2001 წ.
ჯავახიშვილი მ. უბის წიგნაკებიდან, თბ. 2005 წ.

Avtandil Nikoleishvili

National problem of 1917-1921 in Georgian creative writing

Abstract

In order to objectively understand the national beliefs of Georgian writers working in the twentieth century, one should focus on the attitude expressed by the Georgian writers of that time in their artistic and journalistic texts, from the time of the February 1917 revolution in the Russian Empire and the restoration of Georgia's state independence on May 26, 1918 including the occupation of the country by Soviet Russia on February 25, 1921..

During the creation of the works written by them on the mentioned topic, the author emphasizes because the strongly negative attitude of the officials of the Soviet government towards the mentioned historical event had such a strong and negative impact on the creative position of the writers of that period that the mentioned event either remained out of attention altogether, or was evaluated as being Soviet ideology.

As for the national liberation movement that was agitated during the last period of the existence of the Soviet Union, which resulted the restoration of Georgia's state independence in 1991, the radical change of attitude towards the above-mentioned historical events naturally had a significant impact on the creativity of the writers of that time, and the current processes were seen and evaluated from a diametrically different standpoint.

Along with the joy caused by the restoration of state independence, the existed life problems became the subject of active discussion in the works of Georgian writers at that time. Among them, the ideology of socialism was considered to be a particularly dangerous phenomenon, the preachers of what bewildered economically poor people with seductive promises.

The danger caused by this event was increased by the fact that the Georgian Bolsheviks were particularly active among the revo-

lutionaries who were fanatically loyal to socialist ideas. Based on their anti-national party interests, they unequivocally supported the formation of a new state conglomerate on the ruins of the former Russian empire and still considered Georgia as a part of Russia. Such insidious party purposefulness of these traitors to the motherland became the subject of severe criticism of many representatives of Georgian literature.

As a result of the analysis of artistic and journalistic texts written by Georgian writers in 1917-1921, one will have a clear idea of true national viewpoint of their authors and their attitude to the reality of that time. Based on the fact that due to the ideological restrictions legalized by the Soviet government, some of the mentioned texts were either not entered in the books of the authors during the Soviet period, or were printed in a corrected form, some of them were purposely obtained both from the then press and from the archives of the authors.

The short history of the restoration of Georgia's independence and existence as a sovereign state on May 26, 1918 was inseparably connected with the political activity of the Georgian party leaders working at that time. In this case, first of all, one should pay special attention to the thinking of those politicians who considered Russia and not their ethnic homeland, to be the main activity area.

Distanced from their own country both by their consciousness and in many cases by their practical activities, these former Georgian party activists did everything to remain Georgia as an integral part of the Russian state space. It is not exaggerate if one says that with their treacherous activities, they essentially played an important role in the process of the conquest of Georgia by Soviet Russia in 1921. These events quite naturally had significant impact on the national consciousness of the Georgian society at that time, including the Georgian writers.

One of the most important issues, which became the subject of intense discussion not only among politicians, but also among Georgian writers, was the clarification of Georgia's relationship with the outside world.

In particular, the opinions expressed in the Georgian literature of 1917-1921 regarding the state independence of Georgia and the future of creative life can be conventionally grouped into three main directions:

The representatives of the first, most widespread standpoint actively supported the implementation of pro-European policy, which should lead to the establishment of Georgia as an integral part of the European world. According to their belief, in this way it would be possible to preserve the state independence of Georgia and defeat the hostile environment. For the majority of Georgian writers, the strengthening factor of pro-European standpoint was the belief that a closer approach to European spiritual values and creative processes would become a factor giving a powerful internal impulse to Georgian creative writing and a force establishing new trends.

As for the representatives of the other two viewpoints, political-state reality was almost completely excluded from their views, and the main factor determining Georgia's relationship with the Eastern world was considered only creative proximity to this world. In particular, in the opinion of individual representatives of the creative writing at that time, based on the fact that not only the European world, but also the Eastern one was the force giving internal impetus to the centuries-old process of the development of Georgian literature, the path of its development should be directed in this direction in the future, and it should not be separated from the European space, nor from the Eastern world.

In contrast to the representatives of the mentioned opinions, the third part of Georgian writers categorically disagreed with both of these standpoints and considered the proximity to the Asian world to be the most promising way for the development of Georgia's spiritual culture, including creative writing.

In the works of representatives of all generations of Georgian writers working during the First Democratic Republic of Georgia, the problem established as the main direction of the entire Georgian literary process - intense interest revealed in the urgent national issues of Georgia – continued purposely and appeared on a new

scale. There is not a single writer at that time, in whose work this problem did not become a subject of special interest.

In addition to the great tradition in the mentioned viewpoint, the main factor determining this circumstance was the restoration of the state independence of Georgia.

Along with all of the above, in this case, one very important circumstance should be emphasized: although in this period full of dramatic events, there were many leaders of political parties who actively opposed the separation of Georgia from the Russian imperial space and the restoration of state independence, not a single Georgian writer of that time supported their pseudo-international ideas.

Unfortunately, as a result of the occupation of Georgia by Soviet Russia in February 1921, the previous situation changed substantially. Despite the fact that the greatest part of the Georgian writers opposed this tragic event not only with their artistic words, but also took part in the anti-Soviet rebellions that were actively going on at that time, their protest did not have any results. Naturally, this kind of reality in the country had an undesirable impact on Georgian creative writing at that time, as a result of which the judgment and understanding of the national problem fell into a strict ideological framework. Despite this, a large number of Georgian writers of that time actively tried not to obey the demands of the government and not to go through the conjuncture.

Unfortunately, this situation did not last long, and the process of tying literature with ideological constraints reached a qualitatively higher level in the 1930s, which had a negative impact on the creative work of the greatest part of Georgian writers of that time.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ბიოგრაფიული მონაცემები

დაიბადა 1948 წლის 27 აგვისტოს ვანის რაიონის სოფელ გორაში. 1966 წელს იქვე ოქროს მედალზე დაასრულა სკოლა. 1971 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პედინსტიტუტი (ახლანდელი უნივერსიტეტი) ისტორია-ფილოლოგიის სპეციალობით. 1974 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1983 წელს სადოქტორო დისერტაციები. 1980 წლიდან არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. 1970 წლიდან მუშაობს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სხვადასხვა დროს იყო მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, ფაკულტეტის დეკანი, პრორექტორი სამეცნიერო დარგში, უნივერსიტეტის რექტორი (1996-2005 წწ.). 1987-2011 წლებში ხელმძღვანელობდა ქართული ლიტერატურის დეპარტამენტს (კათედრას); 2011 წლიდან კი სათავეში უდგას ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტს. 2013-2019 წლებში იყო ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე; ამჟამად არის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში არსებული განყოფილების - უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობა - ხელმძღვანელი, ქართულ ლიტერატურაში სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, სამეცნიერო ჟურნალ «ქართველური მემკვიდრეობის" (ქუთაისი) რედაქტორი, „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალის" მთავარი რედაქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს კოორდინატორი, რუსთაველის საზოგადოების იმერეთის რეგიონული განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველო-ისრაელის მეგობრობის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი და ამავე საზოგადოების ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე, სხვადასხვა სამეც-

ნიერო და ლიტერატურულ გამოცემათა რედკოლეგიების წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი.

არჩეულია გელათის მეცნიერებათა აკადემიის (1995 წ.), ნიუ-იორკის საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის (1999 წ.), ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის (1999 წ.), ლიტერატურათმცოდნეთა აკადემიისა (2010) და ქართველ მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა აკადემიის (2013 წ.) აკადემიკოსად.

მისი ხელმძღვანელობით დაცულია საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. ჰყავს დოქტორანტები.

მინიჭებული აქვს შემდეგი პრემიები და ჯილდოები:

საქართველოს მწერალთა კავშირისგან - ქართული კულტურის რაინდის წოდება - 2018 წელს;

სტამბოლის ქართული კულტურის ცენტრის სერთიფიკატი „ჩვენი კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის“ – 2017 წელს;

სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სიგელი – 2016 წელს;

იუნესკოს მიერ დაწესებულ მეცნიერების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სიგელი ფილოლოგიის დარგში სამეცნიერო მიღწევებისათვის – 2015 წელს;

საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის პრემია წლის მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომისთვის – „ქართველ მწერალთა ეროვნულ–პოლიტიკური მრწამსი,“ ორტომეული. – 2015 წელს;

ილია ჭავჭავაძის პრემია საქართველოს მწერალთა კავშირისგან – 2013 წელს;

აკაკი წერეთლის პრემია საქართველოს მწერალთა კავშირისგან – 2010 წელს;

ნიკო ნიკოლაძის პრემია მწერალთა კავშირისაგან – 1998 წელს;

გერცელ ბააზოვის პრემია – საქართველოს მწერალთა კავშირისგან 1995 წელს;

ქართულ-ევროპული ინსტიტუტის (პარიზი) პრემია მონოგრაფიებისათვის: „ტიციან ტაბიძე (ცხოვრება და შემოქმე-

დება)“ და „პაოლო იაშვილი (ცხოვრება და შემოქმედება)“ – 1993 წელს.

არის ქუთაისის, ვანისა და ქალაქ კოლუმბიის (აშშ) საპატიო მოქალაქე.

1998 წელს დააჯილდოეს «ღირსების ორდენით.» გამოცემული აქვს ორმოცდაათზე მეტი წიგნი. ავტორია ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში გამოქვეყნებული 300-ზე მეტი ნაშრომისა.

არის კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული საზოგადოების წევრი. კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიული საზოგადოების მიერ 2003 წლის 26 ივნისს არჩეულია XXI საუკუნის 2000 საუკეთესო ინტელექტუალს შორის.

2017 წლის მაისში, როგორც „მევლანას“ საერთაშორისო პროგრამის გამარჯვებული, ლექციების წასაკითხად მიწვეული იყო რიზეს რეჯებ ტაიპ ერდოღანის უნივერსიტეტში (თურქეთ). იყო ხელმძღვანელი საერთაშორისო საგრანტო პროექტისა (თურქეთი) „ოსმალეთსა და ევროპაში XVIII და XIX საუკუნეებში ნამოგზაურებ ქართველ მწერალთა მოგზაურული ჟანრის ნაწარმოებების თარგმნა და გამოცემა თურქულად.“

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი.